გურამ ჭერაშვილი

ხევი და მოხევეები

გურამ ქერაშვილი

ხევი და მოხევეები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2024

მეორე გადამუშავებული გამოცემა

რედაქტორი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თეიმურაზ ფანჯიკიძე**

მხატვარი-დიზაინერი **გიორგი ზაგაშვილი**

გარეკანზე ფოტო **გიორგი შერმაზანაშვილის**

© გ. ქერაშვილი, 2024
გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-602-6

ჩემს შვილიშვილებს, სალომეს და გურამს:

არ დაგავიწყდეთ –

ვისი გორისა ხართ!

მშვენიერი წიგნი ხევსა და მოხევეებზე
რედაქტორის წინათქმა

საქართველო, უპირველეს ყოვლისა, მდიდარია თავისი შემადგენელი ულამაზესი კუთხეებით, რომლებიც პოლიტიკურ ერთიანობასთან ერთად ქმნიან იმ დიდ სულიერებას და კულტურულ მრავალფეროვნებას, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყანა.

მართლაცდა, მსოფლიოში, ალბათ ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც ესოდენ პატარა ტერიტორიაზე არსებობდეს ამდენი განსხვავებული ხასიათი, ტემპერამენტი, ტრადიცია, წესი და ადათი, ცეკვა და სიმღერა, სტუმარ-მასპინძლობა, ლხინი და გლოვა, სულიერების სხვა გამოვლინებები და მათგან მომდინარე ცხოვრების წესი.

ეს განსხვავებულობა და ნაირფერობა, ერთის მხრივ, ჭეშმარიტად დიდი სიმდიდრეა, დიდი პოტენციალია ეროვნული ინდივიდუალობისათვის, ორიგინალური შემოქმედებისათვის, საკუთარი მეობის გამოხატვისა და დამკვიდრებისათვის, თუმცა, მეორეს მხრივ, იგი ძალზე ართულებს ამ კუთხეთა ერთმანეთთან შეკავშირებას, ორგანიზაციულ ერთობას და განსაკუთრებით კი, მართვას.

წარსულიდან კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს თითოეულ კუთხეს ოდითგანვე თავისი სპეციფიკა ჰქონდა და თავისებური ელფერი დაჰკრავდა, გამომდინარე მათი ფიზიკური არსებობის პირობებიდან, გეოგრაფიული მდებარეობიდან, გარემოცვიდან, მტერი თუ მოყვარე მეზობლებიდან, მათ წინაშე მდგარი თავის გადარჩენის და დამკვიდრების ამოცანიდან.

საქართველოს თითოეულ კუთხეს ადრეული ხანიდან დაწყებული თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ერთიანი სხეულის არსებობასა და განმტკიცებაში, შემუშავებული ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან თუ სხვა კუთხეებთან ურთიერთობის და თანაცხოვრების საკუთარი გამოცდილება. საჭიროების დროს თითოეული მათგანი თავის თავზე იღებდა გარკვეულ პასუხისმგებლობას, იგერიებდა მტრისგან მიყენებულ დარტყმას და ღირსეულად პასუხობდა გარედან მოსულ ყოველგვარ საფრთხეს.

ხევი და იქ მცხოვრები მოხევეები ერთ-ერთი მარგალიტია კუთხეთა იმ თანავარსკვლავედში, რომლისგანაც შედგება მთლიანად საქართველო. იგი გამოირჩეოდა თავისი იმ ისტორიული მისიით, რაც მას მდებარეობის გამო ხვდა წილად ერთიანი საქართველოს სხეულში და საკმაოდ საინტერესო წარსულითაც.

ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს კუთხეები, მათ შორის ხევი, საერთოდ არ იყოს შესწავლილი ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური თუ სხვა მიმართებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითოეული ახალი წიგნის გამოჩენა ამ თემაზე განსხვავებული იერ-სახით წარმოაჩენს ცალკეული რეგიონის ისტო-

რიას, ყოფას, წარსულსა თუ თანამედროვეობას.

წინამდებარე წიგნი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, ძალზე საინტერესო და გამორჩეული შრომაა. მისი ავტორი წარმოშობით მოხევე – ბატონი გურამ ქერაშვილი, თავისი პროფესიით არც ისტორიკოსია და არც ეთნოგრაფი, იგი უბრალოდ, თავის კუთხეზე და საკუთარ ძირებზე შეყვარებული ადამიანია, სპეციალობით კი შესანიშნავი ექიმი-ქირურგი, რომელსაც ცხოვრების დიდი გზა აქვს გავლილი და საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფიაც გააჩნია:

დაბადებულია 1940 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. არის მედიცინის დოქტორი, ოცდაათამდე სამეცნიერო შრომის ავტორი; წლების მანძილზე მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე: იყო ბარისახოს საუბნო საავადმყოფოს, ქ.თბილისის საქარხნო რაიონის სამგორის საავადმყოფო-პოლოკლინიკური გაერთიანების, ბავშვთა მეოთხე კლინიკური საავადმყოფოს, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს და რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი; საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე; წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში – ხელმძღვანელობდა სამედიცინო დაწესებულებების მართვას.

მიუხედავად იმისა, რომ მოხევეა, ბატონ გურამს ხევში მუდმივად არასოდეს უცხოვრია. დაიბადა დუშეთში და შემდგომ, ძირითადად თბილისში ცხოვრობდა. ცხადია, დროდადრო, უმეტესად ზაფხულობით ჩადიოდა ყაზბეგში და მშობლიურ სოფელ ახალციხეში.

თავისი წიგნის ჩაფიქრების ისტორიას იგი ასე გადმოგვცემს: ერთ ზაფხულს შვილიშვილები, სალომე და გუგა წაუყვანია ხევის გასაცნობად, რათა მათ უკეთ სცოდნოდათ საიდან იყვნენ წარმოშობით, სად იყო მათი ძირები, ვისი „გორისანი“ იყვნენ. ბავშვებს მისთვის ბევრი ისეთი კითხვა დაუსვამთ, რომლებზეც შეცბუნებულ პაპას ვერ უპასუხია და უხერხულ მდგომარეობაშიც ჩავარდნილა. ამ ფაქტის შემდეგ, იგი მთელი სერიოზულობით ჩაჯდომია მშობლიური კუთხის და საკუთარი გვარის წარმომავლობის შესწავლას, რასაც რამდენიმე წელი მოანდომა. წინამდებარე წიგნის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კეთილსინდისიერად შეისწავლა ამ თემასთან დაკავშირებული პირველწყაროები, დაამუშავა უკვე გამოქვეყნებული სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა, გაეცნო ეთნოგრაფიულ მასალას, საფუძვლიანად იმუშავა საარქივო დოკუმენტებზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა წიგნის წერას.

ისტორიული და ხალხური გადმოცემებით მოპოვებული ამბების თხრობისას ბატონ გურამს თავისი მიდგომა და ხედვა აქვს. ხევის ისტორიას იგი მართებულად იკვლევს მთლიანი საქართველოს და მისი პრობლემების ფონზე, თუმცა, ცალკე გამოყოფს და კარგად აჩვენებს იმ როლსა და ფუნქციას, რასაც ეს რეგიონი ასრულებდა და ასრულებს ერთიანი საქართველოს ისტორიაში.

საარქივო და სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად ავტორი ხშირად იყენებს მხატვრულ და ისტორიულ-პოპულარულ წიგნებს. მის შრომაში განსაკუთრებით უხვად არის მოტანილი ფრაგმენტები ისტორიკოსისა და მწერლის ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებიდან.“ როგორც ჩანს, გურამ ქერაშვილის განწყობა და პათოსი ზუსტად ემთხვევა „უქარქაშო ხმლების“ ავტორის შეფასებებსა და სულისკვეთებას.

ლევან სანიკიძის მსგავსად ისიც უზომოდ ხარობს იმ წარმატებებით, რისთვისაც ქართველებს ოდესმე მიუღწევიათ, წუხს განცდილ მარცხზე და წარუმატებლობაზე.

პირველწყაროებზე, საარქივო მასალებზე, სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, თუ საკუთარი დაკვირვებების გადმოცემით – ავტორი უამრავ საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს: მიმოიხილავს ხევის გეოგრაფიულ მდებარეობას, საზღვრებს, ტოპონიმებს, გადმოცემებსა და ისტორიას, თქმულებებს; მშვენივრად აღწერს მოხეურ თემს, თემურ ცხოვრებას და მის მართვას; მოხევეთა რელიგიურ რწმენებს და წარმოდგენებს, გაქრისტიანებას და მათ წარმართობანარევ ქრისტიანობას. სწორად ხსნის ხევის დამოკიდებულებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ცალკეულ აღზევებულ ფეოდალებთან, რომლებიც მათ დაყმევებას ცდილობდნენ. ვრცელი საუბარი აქვს მოხევეთა მონაწილეობაზე ზოგადქართულ მოვლენებში: ომებში, აჯანყებებში. ამ პროცესების გადმოცემის დროს კარგად იყენებს ფოლკლორს.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს რუსეთთან ურთიერთობას და მის გავლენას მოხევეთა ცხოვრებაზე. განსაკუთრებით გამოყოფს საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელობას, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა და ახდენს მთელი საქართველოს მდგომარეობაზე. მოგვითხრობს ამ გზასთან და მის სხვადასხვა მიმართულებასთან დაკავშირებულ ამბებს, აღწერს დასახლებებს, ისტორიულ სოფლებს, ხეობებს, ეკლესიებს, ციხე-სიმაგრეებს და ადრინდელ სალოცავებს.

წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ხევის ცხოვრების წესს, ტრადიციებს და ადათ-ჩვეულებებს. ავტორი საუბრობს მოხევეთა ურთიერთობაზე სხვა ეროვნების ხალხებთან, კერძოდ ოსებთან და ქისტებთან, მათთან დაკავშირებულ ძმადნაფიცობასა და „ყონაღობაზე;“ მოხეურ „გორსა“ და „საგორეულოზე,“ სახელის მოხვეჭის ტრადიციაზე, უფროს-უმცროსობაზე, ქალის კულტზე, ამანათობაზე, მესისხლეობაზე, „სამან-საყუდზე,“ დარისხება-დაწყევლის და თემიდან მოკვეთის ტრადიციაზე.

ბატონ გურამს მეტად საინტერესო მასალები აქვს მოპოვებული მოხეურ გვარებზე. იგი დაწვრილებით მიმოიხილავს მათი წარმოშობის ისტორიას, განსახლებას, ურთიერთკავშირებს და თემთან დამოკიდებულებას. დიდი სიმპათიით და პატივისცემით მოიხსენიებს ხევის სახელოვან შვილებს. ყურადღებას იმსახურებს გვართა კარგად შედგენილი გენეალოგიები.

წიგნის უდავოდ საინტერესო ნაწილია ხევის დემოგრაფიის აღწერა და ის სქემები, რომლებიც ავტორს ამ მიზნით აქვს გაკეთებული. გურამ ქერაშვილი ყურადღებას ამახვილებს საგანგაშო დემოგრაფიულ ცვლილებებზე, მის ტენდენციებზე და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს; დიდი გულისტკივილით, შეშფოთებით საუბრობს ხევის დღევანდელ პრობლემებზე, დაცარიელებულ სოფლებზე, შემცირებულ მოსახლეობაზე, გაუსაძლის სოციალურ ყოფაზე, შობადობის შემცირებაზე, დაკარგულ მიწებზე, მოდარაჯებულ მეზობლებზე, რომლებიც ჩვენი ტერიტორიების მითვისებას ლამობენ და ა. შ.

სხვა ღირსებებთან ერთად წინამდებარე ნაშრომი არის წიგნი-მოწოდება – ვუშველოთ ხევს! ვუშველოთ საქართველოს მთას და სრულიად საქართველოს. განგაშის ამ სიტყვებით ამთავრებს გურამ ქერაშვილი თავის სათქმელს და ნაშრომს, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა ბოლო დროს აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნებულ შრომათა შორის – თავისი მრავალფეროვნებით, საკითხთა სიუხვით,

სიღრმით და პატრიოტული სულისკვეთებით.

წიგნი კარგი ქართულით არის დაწერილი, იოლად იკითხება და უთუოდ მიიქცევს მკითხველის ყურადღებას თავისი შინაარსით, წყობით, აქტუალური თემებით. იგი დააინტერესებს ყველას: დიდსა თუ პატარას, სპეციალისტს თუ უბრალო მკითხველს, რადგან მას შეყავხართ საქართველოს მთიანეთის ცხოვრების მეტად მიმზიდველ სამყაროში.

აუცილებლად წაიკითხეთ ეს მშვენიერი წიგნი და სხვასაც წააკითხეთ!

თეიმურაზ ფანჯიკიძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ცოდნითა და სიყვარულით ამონათქვამი

ჩემს მეგობარს გურამ ქერაშვილს, მოხევეს, შესანიშნავ დასტაქარს, პიროვნებასა და მოქალაქეს, თავის შვილიშვილების სალომესა და გუგას დაინტერესების გათვალისწინებით, მოუსურვილებია, უპირველესად მათთვის ეთქვა, ნანა ღვინეფაძის ლექსიდან ამონარიდი რომ მოვიხმო:

„იცოდე ნირი ქართული ხორბლისა,
ფერი და სურნელი მახობელის,
ფესვი და ძირი უნდა იცოდე
შენი და შენი ახლობელის“

და ამ მიზნით თავი მოუყრია თავისი უმშვენიერესი „ფესვისა და ძირის“ – ხევის – გეოგრაფიის, ისტორიის, ანდრეზების (რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), ეთნოგრაფიის, ლიტერატურის, არქიტექტურის, ხელოვნების, მოხევეთა ცხოვრების წესის, გენეალოგიის, მათი წარსულისა თუ დღევანდელობის შესახებ არსებული ფოლიანტებისათვის, ერთ ძნად შეუკრავს და დიდტანიანი კრებულის სახით წარმოუდგენია მშვენიერი ნაშრომი „ხევი და მოხევეები“.

გურამ ქერაშვილი ხევის და თავისი ახლობლების ტრადიციების მცოდნე, პატივისმცემელი და გამგრძელებელი კაცური კაცია, რომელსაც უყვარს თავის ქვეყანა, თავის კუთხე, თავისი ერის სახელოვანი წარსული, დღევანდელობა და აფიქრებს მომავალი. ამ სულისკვეთებით იგი წლების მანძილზე აგროვებდა ყველაფერს, რაც თავის კუთხეზე წაუკითხავს თუ გაუგონია და მკითხველს სთავაზობს ხევისა და მოხევეთა მრავალფეროვან ისტორიას.

ამ შესანიშნავ კუთხეზე ბევრ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერს, მოგზაურს, ხელოვანსა თუ სპეციალისტს დაუწერია, მაგრამ ასეთი სიყვარულითა და სრულყოფილებით არავის გამოუქვეყნებია, თანაც უამრავ საინტერესო და უცნობ ინფორმაციას წარმოაჩენს, რისთვისაც ავტორს დიდი მადლობის მეტი არა ეთქმის რა.

ნაშრომი დახუნძლულია საკითხთა თუ პრობლემათა მრავალფერობით, იგი იო-

ლად და საინტერესოდ იკითხება, რაც ავტორის ქართული ენის და მოხევეთა დიალექტის ღრმა ცოდნაზე მიუთითებს.

ბატონი გურამი, როგორც ნამდვილი პატრიოტი, ღრმად განიცდის თავისი კუთხის, საერთოდ მთა-საქართველოს და მთელი ქვეყნის ხვალინდელ დღეს და ყველას მოუწოდებს – გადავარჩინოთ სამშობლო!

ნუგზარ ანდღულაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა
და ტექნიკის დარგში

ხევის საკრალური წარსულის მატიანე

რელიგიური რწმენა, ტრადიციული სოციალური ყოფის განსაკუთრებული ფორმა, ადგილობრივი მოსახლეობის მითორელიგიური მსოფლმხედველობა და თემის წევრებს შორის გვაროვნული ურთიერთობები დაედო საფუძვლად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერებას. საბედნიეროდ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხალხური კულტურით დაინტერესებული არაერთი უცხოელი თუ ქართველი მოღვაწე აკვირდებოდა და იწერდა ქართველ მთიელთა წეს-ჩვეულებებსა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ის მასალა, რაც შეიკრიბა და რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, თავისი მაღალი მხატვრული, ისტორიული თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობით, წარმოადგენს ქართული სულიერი კულტურის ფასადაუდებელ საგანძურს, რომელიც განსაკუთრებულ პატივისცემას, პოპულარიზაციასა და მზრუნველობას საჭიროებს. სწორედ მშობლიური ხევის წარსულით, ტრადიციებითა და ზეპირსიტყვიერების სიყვარულით არის შთაგონებული გურამ ქერაშვილის წიგნი „ხევი და მოხევები“, რომელიც 2012 წელს თბილისში გამოქვეყნდა.

გ. ქერაშვილის ნაშრომი „ხევი და მოხევეები“ მრავალჟანრული სამეცნიერო გამოკვლევაა. დიდ ფორმატზე დაბეჭდილი წიგნი მოიცავს 335 გვერდს. ნაშრომში დაწვრილებით არის აღწერილი ხევის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება, ტერიტორია და საზღვრები, გზები და ბილიკები, „სამან-სამძღვრის“ ხელშეუხებლობის ტრადიცია, ტოპონიმიკა, კლიმატი, ისტორიული წარსული, არქეოლოგიური მასალა, ქრისტიანული ტაძრები, საბრძოლო კოშკები და საცხოვრებელი ციხე-დარბაზები, ისტორიული წყაროები და დოკუმენტები, მათ შორის გერგეტის სულთა მატიანე – „მოსახსენებელი სულთა“. გ. ქერაშვილის ნაშრომში შესაბამისი ფოლკლორული მასალის მოხმობით შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი მოხევეთა ტრადიციული ყოფის თითქმის ყველა სფერო: ჯვარ-ხატთა თაყვანისცემა, გვარების ისტორია და გვაროვნული ურთიერთობები, ამანათობის ინსტიტუტი, სტუმარმასპინძლობა, მტრობა და სისხლის აღების წეს-ჩვეულება, შერიგება, დამოყვრება, ურვადი და გორმეტობა, დაძმობის ფიცი, გარეშე მტრებთან ბრძოლა, დამოკიდებულება გაერთიანებული საქართველოსა და ქართლ-კახეთის მეფეებთან, ბრძოლა ზურაბ ერისთავთან და აღზევებულ მეთემეებთან ბატონყმობის წინააღმდეგ, ურთიერთობა მეზობლებთან, ოსებთან, ქისტებთან და ქართველ მთიელებთან. გ. ქერაშვილის წიგნში ერთმანეთს

ენაცვლება წარსული და თანამედროვეობა, ავტორი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ხევის თითოეული თემ-სოფლის სახელოვან წარმომადგენლებზე, გვიამბობს ქვეყნის წინაშე მათი ღვაწლისა და დამსახურების შესახებ. ნაშრომს დანართის სახით ახლავს საეკლესიო ჩანაწერები, კამერალური აღწერის მასალები და ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ხევის დემოგრაფიული სიტუაციის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები.

გ. ქერაშვილი არ არის ხალხური ყოფისა და ზეპირსიტყვიერების პროფესიონალი მკვლევარი. მას, როგორც სპეციალისტს, სრულიად განსხვავებული პროფესია აქვს და, შესაბამისად, განსხვავებული სამეცნიერო ინტერესები ამოძრავებდა. ის არის მედიცინის დოქტორი და მედიცინის დარგში გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი. წლების მანძილზე გ. ქერაშვილი ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა. ის იყო რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსა და რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე და ხელმძღვანელობდა სამედიცინო დაწესებულებების მართვას.

ქერაშვილები სნოს ხეობის ულამაზესი სოფლის, ახალციხის მკვიდრნი არიან. მოხეურმა ანდრეზებმა და ბალადებმა დღემდე შემოგვინახეს ცნობები ქერეთ წინაპრების ჰეროიკულ თავგადასავალზე.

ნაშრომის წინასიტყვაობა გვაწვდის ცნობებს წიგნის ავტორის შესახებ. გ. ქერაშვილი დუშეთში დაბადებულა და შემდეგ, ძირითადად, თბილისში უცხოვრია. ის მხოლოდ დროდადრო, უმეტესად ზაფხულობით ჩადიოდა ხევში, მშობლიურ სოფელ ახალციხეში. მიუხედავად იმისა, რომ გ. ქერაშვილს ხევში მუდმივად არასოდეს უცხოვრია, ის მოხევეთა ცხოვრებას არ გადმოგვცემს როგორც ადგილობრივი ყოფის გარეშე დამკვირვებელი. გ. ქერაშვილს აქვს ერთი დიდი უპირატესობა, ის ხევის წიაღიდან არის გამოსული. ავტორი თითოეული თემ-სოფლის ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ხალხურ შემოქმედებას, ისტორიულ წარსულს, ხევის აწმყოსა და მომავალს უყურებს შიგნიდან, აღწერს შინაგანი მზერით, როგორც წიგნში გადმოცემული ამბების თანამონაწილე. ვფიქრობ, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას ერთიორად ზრდის, როცა მას ქმნის ადგილობრივი წიაღიდან გამოსული, თავისი თემ-სოფლის მცოდნე პირი. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ბესარიონ ნიჟარაძის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, დავით ხიზანაშვილის „ფშავი და ფშავლები“, ნათელა ბალიაურის „სწორფრობა ხევსურეთში“, ალექსი ოჩიაურის „სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში“, „ქართული ხალხური დღეობების კალენდარი“ და სხვ.

როგორც წიგნიდან ირკვევა, გ. ქერაშვილს საფუძვლიანად შეუსწავლია ისტორიული წყაროები და დოკუმენტები, ხევის თემაზე შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული შრომები, შეუკრებია ახალი, დღემდე უცნობი მასალა.

ხევი, როგორც საქართველოს ჩრდილოეთი ფორპოსტი, საუკუნეების მანძილზე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქვეყნის კულტურულ-რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. საუკუნეების მანძილზე ხევი იყო ცენტრალური მაგისტრალი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. ცამდე აზიდული კავკასიონის ციცაბო ფერდობებზე შეყუჟულ ლამაზ სოფლებსა და დარიალის პირქუში ხეობის ვიწრო ბილიკებს მიუყვებოდნენ ქართველი მეფეები და მისიონერები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასი-

აში დაუღალავად ავრცელებდნენ ქრისტეს რჯულს. გ. ქერაშვილი წიგნში იმოწმებს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას, რომელსაც საეკლესიო ტრადიცია უდევს საფუძვლად და ხევის საკრალური ისტორიის დასაბამს გვამცნობს: გერგეტის მთაზე, სადაც მოგვიანებით წმინდა სამების ტაძარი აშენდა, პირველი სალოცავი ჯვარი ანდრია პირველწოდებულსა და სიმონ კანანელს აღუმართავთ. ხევში ქრისტიანული რწმენის სიძველეზე მიუთითებს არაერთი ეკლესია და სალოცავი, განსაკუთრებით კი მყინვარწვერის მასივზე, ზღვის დონიდან 4100 მეტრის სიმაღლეზე დაარსებული ბეთლემის მონასტერი. გ. ქერაშვილის ცნობით, ბეთლემის სამონასტრო კომპლექსში შედიოდა მრავალი მღვიმე და გამოქვაბული, რომელთა საკრალური სახელწოდებებიც: ეკლესია, ქვაჯვარი, ბერების აბანო, ამირანის ნაქოხარი, მარიამწმინდის საბრძანისი, ირმების საწველი – დღემდე შემოგვინახა ხალხის მეხსიერებამ. მოხევეები მთლიან კომპლექსს „ნაბერალსაც“ უწოდებენ და ხელშეუხებელ სიწმინდედ მიიჩნევენ. კლდეში დაარსებულ ბეთლემის მონასტერში ბერები მხოლოდ ქვაბიდან გადმოკიდებული რკინის ჯაჭვით ადიოდნენ. იქ აღმოჩენილია ხუცური დამწერლობის ფრაგმენტები და სხვადასხვა საუკუნით დათარიღებული ნივთები. გ. ქერაშვილი ყურადღების მიღმა არ ტოვებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას, რომლის თანახმად, ბეთლემის მონასტერში ინახებოდა უსვეტოდ და უსაბლოდ „მდგომი“ აბრაამის კარავი, უფლის აკვანი და სხვა საკვირველიც, თუმცა მემატიანე ბოლომდე არ გვიმხელს საკრალურ სივრცეში დავანებული სიწმინდეების საიდუმლოს და დასძენს: „არამედ მე ვდუმებ“ (ვახუშტი 1973: 357-358). იმის შესახებ, რაზეც ვახუშტი დუმილს ამჯობინებდა, უფრო მეტად ხალხური ტექსტები მოგვითხრობენ. გადმოცემების თანახმად, ბეთლემის მონასტერში ოქროს აკვანს მტრედები არწევდნენ; იქ, საიდუმლო შესაკრებელში, თურმე ციური მანანა და ოქრო ინახებოდა, რომელიც ქრისტე-მაცხოვარს დაბადებისას მიართვეს მოგვებმა.

გ. ქერაშვილი წიგნში მოგვითხრობს ბეთლემის მონასტერთან დაკავშირებით ხევში მოსმენილ ზოგიერთ გადმოცემას. ერთი თქმულება ეხება მწყემს ლეგას, რომელსაც, ცხრა შეფიცულთან ერთად, სამების განძეულიდან სამი წმინდა ნივთი: ოქროს აკვანი, წმინდა ნინოს ჯვარი და სულის სახარება – მყინვარწვერის გამოქვაბულში დაუმალავს, რათა ეს სიწმინდეები ხევში შემოჭრილ ურჯულოებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

მეორე გადმოცემის თანახმად კი, ერეკლეს მეფობის დროს ერთი მოხუცი მღვდელი, თავის ვაჟიშვილთან ერთად, ბეთლემის გამოქვაბულში ასულა. მოხუცი ყინულეთში დაკარგულა; ხოლო ჭაბუკს იქიდან ჩამოუტანია ოქროს მონეტები, უცნობი ხისა და აბრეშუმის ნაჭრები. თქმულების მიხედვით, მონეტები ზუსტად ის ოქრო ყოფილა, რომელიც ქრისტეს შობის დღეს მიუტანიათ მოგვებს ბეთლემში. სამწუხაროდ, გ. ქერაშვილი არ მიუთითებს ხალხური ტექსტების მთხრობელის ვინაობას, არც იმ წყაროს ასახელებს, საიდანაც მან ისარგებლა. როგორც წესი, პასპორტის გარეშე ხალხური ტექსტი კარგავს თავის სამეცნიერო მნიშვნელობას.

ბეთლემის საკულტო-რელიგიური მნიშვნელობა სცილდება ხევის, როგორც ერთი კონკრეტული კუთხის ფარგლებს. გ. ქერაშვილი ნაწილობრივ ეხება იმ ხევსურულ თქმულებას, რომელიც ბეთლემს ჯვარ-ხატთა და ღვთისშვილთა სამშობლოდ აცხადებს. ქართველ მთიელთა მითორელიგიურ ცნობიერებაზე ხევის ბეთლემმა დიდი გავლენა მოახდინა. ვფიქრობ, ბეთლემის კულტურულ-რელიგიური მნიშვნელობის

წარმოსაჩენად გ. ქერაშვილი უეჭველად უნდა გასცნობოდა ზ. კიკნაძის წიგნს „ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996 (გვ. 36-43), რომელშიც ანდრეზული ტექსტების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე ახსნილია ბეთლემის ქვაბის საკრალური საიდუმლო.

გადმოცემების მიხედვით, ბეთლემიდან იღებენ სათავეს ხევსურეთის საყმოების მფარველი წმინდანები და ჯვარ-სალოცავები. ხევსურული ანდრეზები მოგვითხრობენ, თუ როგორ მოევლინნენ მტრედის სახით ხევსურეთის საყმოებს ბეთლემში მორიგე ღმერთისგან შეკრებილი და დავანებული ჯვარ-ხატები. ანდრეზი საყმოს საკრალური ყოფის დასაბამს ბეთლემში ხედავს. ამ დროიდან იწყება, თქმულებების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოებში მფარველ წმინდანთა თაყვანისცემა და ჯვარმსახურება.

მითოლოგიური მოტივებითა და საკრალური სიმბოლოების სიმდიდრით განსაკუთრებით გამოირჩევა ხევსურული ანდრეზი ჭორმეშიონ გახუა მეგრელაურზე. გ. ქერაშვილი მოგვითხრობს ღვთისშვილებთან ერათად გახუას მოგზაურობას ხევის ბეთლემში, სადაც მას ოქროს აკვანში მწოლი ყმა უნახავს, რომელსაც „მტრედები დაჰღუღუნებდნენ და იფქლის მარცვლებს აჭმევდნენ“. რაც გახუამ ბეთლემში ნახა, მაცხოვრის შობის რემინისცენციას წარმოადგენს. ისიც ცნობილია, რომ იქიდან გახუას მფრინავი ხატი გამოჰყოლია, რომელსაც გუდანის ჯვრის ბეღელში ბინა დაუდია.

ღვთისშვილებთან ერთად გახუას ბეთლემში მოგზაურობასთან დაკავშირებით დღემდე უცნობ ეპიზოდებს ვხვდებით გ. ქერაშვილის წიგნში. ავტორის ცნობით, მფრინავ ხატს გუდანის ბეღელში დაბრძანებამდე ხევში, ყორასთან მდებარე კლდეზე, ქერაშვილების სათიბებთან შეუსვენია. ქართული ანდრეზების მიხედვით, სადაც ხატი შეისვენებდა, იქ „კოჭს მოიკიდებდა“ და მისი სახელობის ნიში არსდებოდა. თუმცა უცნობია, ყორასთან მდებარე კლდეზე, ქერაშვილების სათიბებთან, არის თუ არა ხატის ნიში, ან თუ იმართებოდა იქ საჯვარხატო რიტუალი. ამის შესახებ გ. ქერაშვილი წიგნში არ მოგვითხრობს. არც ის ვიცით, თუ რომელი ანდრეზიდან ისარგებლა ავტორმა, როცა წერს: ქერაშვილების მამულთან, სადაც ბეთლემიდან გამოფრენილმა ხატმა შეისვენა, „ანგელოზებიც მოფრენილან, იქაურობა გაუნათებიათ და ხატი ოქრო-ვერცხლით შეუმოსავთ“ (გვ. 207). რადგან ამ ეპიზოდს არ მოგვითხრობს არც ალ. ოჩიაური, არც თ. ოჩიაური და არც ზ. კიკნაძის მიერ გამოქვეყნებული ანდრეზები, გ. ქერაშვილს უეჭველად უნდა მიეთითებინა ის წყარო, საიდანაც მოჰყავს აღნიშნული ცნობა. ხალხური სიტყვიერება ისედაც უავტორო შემოქმედებაა და ფოლკლორული ტექსტი მთქმელის ვინაობის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის მითითების გარეშე ანომალიაა, ის მოწყვეტილია დროსა და სივრცეს, კარგავს სანდოობის ხარისხს.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების მდიდარი ფოლკლორული შემოქმედების ფონზე ხევის ზეპირსიტყვიერი მასალა შედარებით მწირად გამოიყურება. ზ. კიკნაძის წიგნში „ანდრეზები“ ხევსურეთის მითოლოგიური მასალა წარმოდგენილია 177 ტექსტით. იმავე წიგნში გვხვდება შესაბამისი ჟანრის მხოლოდ და მხოლოდ 22 მოხეური თქმულება. ფშავ-ხევსურეთის მსგავსად, ხევის სოფლებიც, სამწუხაროდ, მოსახლეობისგან თანდათან იცლება. წარსულის ანდრეზული ცოდნაც დავიწყებას ეძლევა და ბუნებრივია, ხევშიც ამჟამად ახალი მითოლოგიური მასალის მოძიების ნაკლები შესაძლებლობაა. ერთი საუკუნის, ან

თუნდაც ნახევარი საუკუნის წინ რომ გამოჩენილიყო გ. ქერაშვილის მსგავსად ხევის საკრალური წარსულით დაინტესებული პირი, ვფიქრობ, მას მითოპოეტური მასალის აღმოჩენის მეტი საშუალება ექნებოდა, უკეთესად გამოვლინდებოდა ამ დიდებული კუთხის დაფარული შესაძლებლობები. ანდრეზული მასალის სიმწირის მიუხედავად, ვფიქრობ, გ. ქერაშვილმა ხევსა და მოხეველებზე მაინც შეძლო ხალხური ყოფის ამსახველი უაღრესად საინტერესო მასალით აღჭურვილი ნაშრომის შექმნა.

გ. ქერაშვილი გერგეტის სამებას, როგორც მცხეთის სვეტიცხოვლის „სამკაულთა სახიზარს“, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ნაშრომში. როგორც ავტორი აღნიშნავს, იქ ესვენა ქართველთა უწმინდესი რელიქვია, წმინდა ნინოს ჯვარი, რომლის ფლობის პატივსაც ეს ტაძარი სვეტიცხოველთან და თბილისის სიონთან ერთად ინაწილებდა. სამების დაარსების ანდრეზშიც ხომ მცხეთური კვალი მოჩანს. გ. ქერაშვილი მოგვითხრობს გერგეტის სამების დაარსების შესახებ ცნობილ ანდრეზს. გადმოცემის მიხედვით, ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებს დავა ჰქონიათ, სად აშენებულიყო ეს ტაძარი; მცხეთელ ბრძენკაცს უთქვამს, ფურბერწი დაკალით, მისი სამგორველი (მენჯის ნაწილი) სოფლის ბოლოს დატოვეთ და სადაც შავი ყორანი წაიღებს, იქ ააშენეთო. აუტაცია ყორანს სამგორველი და პირველად ანანურის თავზე შეუსვენია, სადაც მეფეებს სამების ნიში აღუმართავთ; მეორედ ბიდარაზე დაფრენილა და მეფეებს ჯვარი დაუდგამთ, შემდეგ გერგეტში გაფრენილა, ელოგეშის ნიშთან კიდევ ერთხელ შეუსვენია და ბოლოს სამების წვერზე დაფრენილა... გამოუხრავს სამგორველი და ძვალი დაუგდია. იმ ადგილას ქართველ მეფეებს სამების ტაძარი აღუმართავთ.

გ. ქერაშვილი ხევის ქრისტიანული ეკლესიების მხოლოდ გარეგნულ, ნივთიერ სახესა და არქიტექტურას არ აღგვიწერს, არამედ, უფრო მეტად ის ყურადღებას ამახვილებს სალოცავების როლზე ხევის საყმოების კონსოლიდაციაში, თუ როგორ აისახა ჯვარ-ხატებთან დაკავშირებული მოვლენები ხალხის ცნობიერებაში.

მოხეური ანდრეზების თემატიკა, იდეოლოგია და საზრისი ანალოგიას ავლენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების მითორელიგიურ გადმოცემებთან. ისინი ძირითადად ერთი ტიპისაა.

ხევის თითქმის ყველა სალოცავის დაარსება საქართველოს ბარს უკავშირდება. ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით, გ. ქერაშვილი მთისა და ბარის განუყოფელ საკრალურ ურთიერთობას წარმოგვიდგენს. ავტორს სურს დაანახოს მკითხველს, რომ ხევის სალოცავებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ თბილისის, მცხეთისა და მარტყოფის უმთავრეს სიწმინდეებთან. ამის საილუსტრაციოდ კი, გ. ქერაშვილს ხევის სიონის ანდრეზი მოჰყავს. თქმულების მიხედვით, სიონის ბაზილიკაში ინახებოდა ღვთაების ჯვარი, რომელიც საყდრიდან არასდროს გამოჰქონდათ. როგორც ამბობენ, ერთხელ ღვთაების ჯვარს ფრთები გამოუსხამს, ანგელოზის სახით სჩვენებია ხალხს და გაფრენილა. სისაურები და ცოფურები დასდევნებიან. უფრენია ჯვარს და მარტყოფის კლდის ნაპრალებში ჩაფრენილა. მდევრები იქვე დაბანაკებულან, მაგრამ გამოქვაბულში ბერები შესულან, ჯვრისთვის ოქროს ძეწკვი შეუბამთ, თბილისში წაუბრძანებიათ და იქ მისთვის სიონის ტაძარი აუგიათ. მაგრამ ხატი აქაც არ დამდგარა და ისევ მარტყოფის კლდეში დაბრუნებულა. ანდრეზი არ გადმოგვცემს, სისაურმა და ცოფურმა ჯვარი სოფელ სიონში როგორ დააბრუნეს, იმას კი გვაუწყებს, რომ ღვთაების მთავარი საბრძანისი მარტყოფია, შემდეგ ხევისა და ტფილისის სიონიო.

ხევის უდიდეს სიწმინდეებს: ახალციხის ყოვლადწმინდის, გარბანის ოქროს წმინდა გიორგისა და სიონის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიებს, რომლებსაც ბაზილიკის ფორმა აქვთ, გ. ქერაშვილი, სხვადასხვა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, IX-X საუკუნეებს მიაკუთვნებს.

გ. ქერაშვილი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ხევის დეკანოზთა მსახურების შესახებ. ავტორის აზრით, დეკანოზობა ხატის ბეგარა იყო და მათ გასამრჯელო არ ეძლეოდათ. საწირიდან კი ისინი მხოლოდ ნახევარ ქადასა და საკლავის ტყავს იღებდნენ. ჯერ კიდევ ს. მაკალათია მიუთითებდა, რომ ხევში დეკანოზებს გვარის მიხედვით მორიგეობით ირჩევდნენ, რაც ტრადიციის შესუსტებით შეიძლება აიხსნას. ცნობილია, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთის საყმოებში ჯვარი თვითონ ირჩევდა ხუცეს-ხევისბერს თავის მსახურად. გ. ქერაშვილის აზრით, ხევისბრები და დეკანოზები სიტუაციის შესაბამისად მფარველ წმინდანთა ერთგულ ყმებს ამწყალობებდნენ, ხოლო დამნაშავეებს წყევლიდნენ, არისხებდნენ და თემიდან იკვეთდნენ. შესაბამისი ტექსტების მოხმობით ავტორი აღწერს სხვადასხვა გვარების თემიდან მოკვეთისა და დარისხება-დაწყევლის პრეცედენტებს.

გ. ქერაშვილს სავსებით სწორი დასკვნა გამოაქვს ხევის სალოცავებში კულტმსახურების უწყვეტი ქრისტიანული ხასიათის შესახებ. მისი აზრით, ხევში ქრისტიანული სარწმუნოების შესუსტების რაღაც ეტაპზე მღვდელმსახურება შეცვლილი ფორმით შეითავსეს ხევისბერ-დეკანოზებმა, მაგრამ კანონიკური საეკლესიო ელემენტები მათ მაინც შეინაჩუნეს. ისინი ქრისტიანულ ხატებს შესაფერის პატივს მიაგებდნენ; მათ რეპერტუარში იყო საკულტო შინაარსის ტექსტები, რომლებიც ძალიან ჰგავს ღვთისმსახურების ტიპიკონის მიხედვით, ბარძიმზე და კვერექსებში ცოცხალთა და მიცვალებულთა მოხსენების წესს. გ. ქერაშვილი ერთმანეთს უდარებს მფარველ წმინდანთა კანონიკურ და გახალხურებულ სადიდებლებს. როგორც წესი, ხევისბერი პირველად მიმართავს ერთიან ღმერთს, ყოვლადწმინდა სამებას, შემდეგ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ წმინდანებს; ისევე როგორც კვერექსში, ის მოიხსენიებს ერსა და სხვადასხვა განსაცდელში მყოფ ადამიანებს.

შუა საუკუნეებში საქართველოს მთიანეთში, მათ შორის ხევში, კანონიკური ეკლესიის გავლენა შესუსტდა. წიგნური ღვთისმსახურება ზეპირი კულტმსახურებით შეიცვალა, რამაც დასაბამი მისცა ქრისტიანობის პაგანიზაციას. გ. ქერაშვილის ცნობით, სოფელ ფხელშეში ერთი ნანგრევი კოშკი ქალების კუთვნილი ხატის „კვირეღვთისშვილის“ საბრძანისს წარმოადგენს. ერთ დროს იქ ქალი დეკანოზიც ჰყოლიათ. ავტორი ეყრდნობა ს. მაკალათიას ცნობილ აღწერას, რომლის მიხედვით, „ხატი წარმოადგენს დედოფალას. მისი სიგრძე 54 სმ-ია; შემოსილია თეთრი ტანისამოსით და პირისახეზე მიკრული აქვს ლითონის პატარა ხატი, რომელზედაც ქრისტეს სახეა გამოხატული. ხატი შემკულია აგრეთვე მძივის ყელსაბამით, ღილებით, საყურეებით, ბეჭდებით და სხვ. მას ყელზე ზანზალაკიც ჰკიდია“. ფხელშელები კვირეღვთისშვილის ხატობას ამაღლებას აღნიშნავენ და მას მხოლოდ დედაკაცები დღესასწაულობენ. გადმოცემის თანახმად, ფხელშელები ქალ-დეკანოზს ერთი წლით ირჩევდნენ, რომელიც აუცილებლად გაუთხოვარი და უმანკო ქალწული უნდა ყოფილიყო.

კვირეღვთისშვილის სახელობის სალოცავები ხევის სხვა სოფლებშიც გვხვდება. გ. ქერაშვილი მიუთითებს სოფელ ცდოსთან, დასახლების უმაღლეს ადგილზე, ნაცრისფერი ანდეზიტისგან უხეშად გამოკვეთილ ვერძზე, რომელსაც მოხევეები „კვირიეს

ყოჩს“, „კვირეღვთისშვილს“ უწოდებენ და მას ცხვრის გამრავლებას, ნაყოფიერებასა და ვაჟიანობას ევედრებიან. ახლადშეძენილი ვაჟები მშობლებს პირველად იქ „გაჰყავთ“ და დეკანოზს საკლავის სისხლით ანათვლინებენ. გ. ქერაშვილის ცნობით, აქვეა „ჟამის საწირავის“ ნიში, რომელსაც „ცდოვლები“ სახადისა და ყოველგვარი მოარულისგან მფარველობას შესთხოვენ.

გ. ქერაშვილი ახალციხეშიც ადასტურებს კვირეღვთისშვილის ნიშის არსებობას. მისი მიწიერი საბრძანისი, კოპალესა და ელიას ნიშებთან ერთად, არის ციხის სიახლოვეს. ცოტა გაუგებარია ავტორის განმარტება, რომ ეს ნიშები „სადღეისოდ დიფერენცირებული არ არიან“. თუმცა გ. ქერაშვილი იქვე მოიხსენიებს კოპალეს – ვაჟების, ხოლო ელიას გოგონების სალოცავად, რაც, ვფიქრობ, ხევში ქრისტიანობის პაგანიზაციის მასშტაბებზე გვიქმნის წარმოდგენას.

გ. ქერაშვილი კვირიეღვთისშვილთან დაკავშირებულ ახალციხეში გავრცელებულ წეს-რიტუალსაც წარმოგვიდგენს. ავტორის ცნობით, დედაკაცი, რომელსაც კვირიას მიზეზი ჰქონდა, ხელში თეთრი დროშითა და ანთებული სანთლით სოფელს კარდაკარ დაივლიდა, შედიოდა ოჯახებში და ლოცავდა, შეგეწიოთ კვირეღვთისშვილიო! ოჯახის პატრონს კი მისთვის გამოჰქონდა ერთი ჯამი ფქვილი და ტომარაში უყრიდა; შეგროვილი ფქვილით დედაკაცი პატარა და თხელ პურებს, ე. წ. „ცხრილეულებს“ აცხობდა, რომლებიც ხატში მიჰქონდა და კვირიეღვთისშვილს მფარველობას ევედრებოდა (გვ. 171).

ვერ დავეთანხმებით წიგნის ავტორს, თითქოს კვირიას თაყვანისცემა წარმართული ეპოქიდან იღებდეს სათავეს. გ. ქერაშვილი წერს: „კვირიას თაყვანისცემა“ („კვირეზლობა“), განსაკუთრებით, წარმართობის ჟამს იყო გავრცელებული; იგი ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა და აღდგომის მეორე კვირას იხდიდნენ“ (გვ. 171). საქმე გვაქვს ანაქრონიზმთან. წარმართული ეპოქის ნაყოფიერების ღვთაებებს, როგორც წესი, ქრისტიანული კალენდრით არსად არ დღესასწაულობდნენ. კვირიას არაფერი აკავშირებს წარმართული ეპოქის კულტებთან. არანაირი ისტორიული საბუთი არ მოიპოვება წარმართობის ხანაში კვირიას თაყვანისცემის შესახებ. კვირია არის უფლის, მაცხოვრის ბერძნული სახელი, რომელიც, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ბერძნული ფორმით დამკვიდრდა საქართველოში, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კულტმსახურებაში. საკულტო ტექსტებში ის ხსენდება როგორც „კვირია ცხოველი“ და „კვირია მაცხოვარი“. კვირია არის “დიდი“, „მოწყალე“, „ძალიანი“, „მადლიანი“, „სამართლიანი“, „მწყალობელი“. ჯვარ-ხატთა სადიდებლებში დეკანოზები მას მორიგე ღმერთის შემდეგ ადიდებენ. ზეციურ ძალთა იერარქიაში ის მეორე ადგილზეა, როგორც შუამავალი მორიგე ღმერთსა და ღვთისშვილებს შორის. ხალხის რწმენით, „ღვთის მაღლის მოკარვე“ და „ანგელოზთ მეუფროსე“; კვირია მამა-ღმერთთან იმყოფება, სადაც მას ზეციური კარავი უდგას და სამართალს განაგებს. კვირიას კარავი და ღმერთის ზეციური სამყოფელი – წმინდა კარავი ქრისტიანული სიმბოლოა: „ვინ დაეშენოს კარავსა შენსა“ (ფსალ. 14. 1).

გ. ქერაშვილი დეტალურად აღწერს ხევის სალოცავებსა და წმინდა ადგილებს. ავტორი ხევის მფარველ წმინდანებს სრული სახელწოდებებით, ხალხის ხსოვნაში დამკვიდებული ეპითეტებით მოიხსენიებს („ოქროს მამაწმინდა“, „ბერის წმინდა გიორგი“ და ა. შ.).

მოხეურ ანდრეზებსა და ბალადებში ხშირად მთავარ როლს ქალი პერსონაჟები

ასრულებენ. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოებში, ხევის საკრალურ ყოფაშიც ქალი აქტიურ მონაწილედ გვევლინება. ანდრეზები ხშირად მოგვითხრობენ ჯვარ-ხატთა დიასახლისებზე, ქადაგ და ჰიეროფანიის შემსწრე ქალებზე, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს საყმოს საკრალურ ცხოვრებაში. როგორც ზემოთ დავინახეთ, ფხელშეს კვირეღვთისშვილის სალოცავში მორიგეობით ირჩევდნენ ქალ-დეკანოზს, რაც ხევის საზოგადოებაში ქალის მაღალ სოციალურ როლსა და ღირსებაზე მიანიშნებს. გ. ქერაშვილი მოგვითხრობს ხევის სპარსანგელოზის შესახებ, რომლის ისტორიაც სპარსეთში გატაცებულ მოხევე ტყვე ქალს უკავშირდება.

გ. ქერაშვილი ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ხევის სალოცავებისა და მათი მფარველობის ქვეშ მყოფი ადამიანების ურთიერთობის თემას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გერგეტის სამების რჩეულ და საპატიო ყმებად სტეფანწმინდელი ხეთაგურების კურთხევის ანდრეზი. ხეთაგურების ანდრეზი-რიტუალი მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ხევის სოციალური წყობისა და კონკრეტული გვარის საკრალური წარსულის შესახებ.

ერთხელ, ვახტანგ VI-ის წინამძღოლობით ლეკებთან ბრძოლის დროს, მოწინააღმდეგეს ორი დანა დაუყენებია სამიზნედ, ვინც ტყვიას ზუსტად მოარტყამდა, გამარჯვება მას დარჩებოდა. ლეკს კარგად „მოურტყამს“ სამიზნისთვის, ნასროლი ტყვიით მას დანა გაუფხაჭნია. თუმცა ვახტანგ მეფეს შეჯიბრში იასე ხეთაგური გამოუყვანია, რომელსაც ნასროლი ტყვიით დანა ზუსტად შუაზე გაუკვეთია. გამარჯვებული იასე ხეთაგურისთვის მეფეს ჯილდოდ აზნაურობა და სოფლები სიონი, გარბანი და თოთი უძლევია, მაგრამ იესეს უარი უთქვამს. მან იცოდა, რომ ხევის ტრადიცია მეთემის წოდებრივ აღმატებულებას ვერ იგუებდა და სანაცვლოდ უთხოვია, ყოველ ახალ წელს, როდესაც დეკანოზ-ხევისბრები გერგეტის სამებიდან წმინდა ნინოს ჯვარს ჩამოაბრძანებდნენ, სტეფანწმინდაში პირველად მის კართან დაესვენებინათ და ახალი წელი მიელოცათ. გ. ქერაშვილის ცნობით, დღემდე ასეა: ყოველ ახალ წელს, განთიადისას, ხატის მსახურნი სამებიდან ხატებსა და დროშებს გამოაბრძანებენ, ისინი დიდების სიმღერით სტეფანწმინდისკენ მოემართებიან. ხოლო ხეთაგურები მუხლმოყრილი ეგებებიან საკუთარ ნიშთან, სადაც დეკანოზები ხატებს დააბრძანებდნენ, ვახტანგ VI-ის მიერ ხეთაგურებისთვის ნაბოძებ სიგელს ნიშის თაროზე გაშლიდნენ და ამ გვარის ხალხს დაამწყალობებდნენ. ამავე ნიშთან დეკანოზი ხეთაგურების საღმრთო ცხვარს დაკლავდა და „საკვლევარით“ ხელში მათ ოჯახებს შემოივლიდა, როგორც ახალი წლის მეკვლე.

შენიშვნა:

ვ. ითონიშვილის ცნობით, სტეფანწმინდელი ხეთაგურები ხეთაგ თექთურმანიძის შთამომავლები ყოფილან. 1774, 1781 და 1832 წლის აღწერებში აღნიშნული გვარის წარმომადგენლები ხეთაგიძეებად არიან დაფიქსირებულნი, 1860 წლიდან კი ხეთაგურებად.

გ. ქერაშვილის ნაშრომში ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა ანდრეზებს გვარების წარმომავლობისა და გვართა შორის ურთიერთობების შესახებ. ეს თემა პრიორიტეტულია ავტორისთვის და უფრო მეტ სიახლეს გვთავაზობს.

როგორც ჩანს, XVII საუკუნის დასაწყისში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთ-

ში ზურაბ ერისთავის ლაშქრობებს უნდა მოჰყოლოდა არა მარტო ცალკეული გვარების მიგრაცია, არამედ დიდი სოციალური ძვრებიც. გ. ქერაშვილი, ანდრეზების მიხედვით, ბუჩუკურების ხევსურეთიდან ხევსა და მთიულეთში ჩასახლების რამდენიმე მიზეზზე ამახვილებს ყურადღებას. ერთი ანდრეზის მიხედვით, ბუჩუკურების ოჯახში ცხრა ძმა აღზევებულა და ძალადობა დაუწყიათ. მამულების გამო ბუჩუკურთელებსა და უკენახოვლებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები გამართულა. გ.ქერაშვილის აზრით, ორ გვარს შორის დაპირისპირება, შეიძლება, ბუჩუკურების მიგრაციის მიზეზიც გამხდარიყო. სხვა ვერსიით, ბუჩუკურების ხევსა და მთიულეთში გადასახლება ზურაბ ერისთავის ხევსურეთზე თავდასხმას უკავშირდება: მრისხანე ფეოდალს ბუჩუკურების ციხე ღალატით აუღია. ექვსი ძმისთვის თავები დაუჭრია. სამი კი, ვაჟკაცობისთვის დაუნდვია, მაგრამ ხევსურეთიდან აუყრია და ერთი ძმა ხევში – ახალციხეში ჩაუსახლებია, მეორე – მთიულეთის სოფელ გვიდაქეში და მესამე – ტონჩაში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი გოგოჭურების, ბუჩუკურებისა და ქერაშვილების საერთო წინაპრიდან წარმომავლობის შესახებ. გ. ქერაშვილის აზრით, „როდის და სად გამოეყო ბუჩუკურების, ან ქერაშვილების გვარი გოგოჭურებს ძნელი სათქმელია“ (გვ. 220). თუმცა, ზურაბ არაგვის ერისთავის სიცოცხლის პერიოდში ხევში ქერაშვილების უკვე რამდენიმე თაობის არსებობა დასტურდება: ქერა, ქერბეღელა, ქერბეღელას ძე.

გ. ქერაშვილის აზრით, „ზურაბის პერიოდში“ „ქერენი“ უკვე იმდენად აღზევებულნი იყვნენ, რომ შიოლა ღუდუშაურთან დაპირისპირებასაც ბედავენ და დაუმოყვრდნენ კიდეც მას“ (გვ. 220).

კონფლიქტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საყურადღებოა გ. ქერაშვილის ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს არაგვის ერისთავებისგან აღზევებული მეთემის – შიოლა ღუდუშაურის დაპირისპირებას ადგილობრივ მოსახლეობასთან. ხალხურ წყაროებზე დაყრდნობით ავტორი ობიექტურად განიხილავს XVII საუკუნის დასაწყისში ხევში სოციალურ ნიადაგზე მომხდარ ტრაგედიას, რომელშიც, სნოელი ღუდუშაურებისა და ხევსური მთრეხელის გარდა, მონაწილეობდნენ ახალციხელი ქერაშვილებიც. გ. ქერაშვილი ნაშრომში წარმოგვიდგენს ტრაგედიაში მონაწილე თითოეული პერსონაჟის ზნეობრივ სახეს. ავტორის აზრით, არც ერთი მთქმელი არ ადანაშაულებს შიოლას დას, რომელმაც ქმარს სტუმრის სისხლის აღება მოსთხოვა. ქერაშვილებისა და ღუდუშაურების შემუსვრა, ბოლოს, სათემო განსასჯელიც გამხდარა. გ. ქერაშვილის ცნობით, „თემმა შიოლანი გაამტყუნა და თავ-სისხლი არ ააღებინა, თვითონ მათ დაადო თავსისხლი, როგორც ხევის პირის გამტეხთ, რადგან, წესის თანახმად, ხევში ბატონი არ უნდა ყოფილიყო“ (გვ. 240).

გ. ქერაშვილი ისტორიულ დოკუმენტებსა და ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გიგაურების, ფიცხელაურებისა და ფადიაურების ხევში დამკვიდრების შესახებ. გიგაურების ფესვებს ხევსურეთამდე მივყავართ. ავტორი მიუთითებს ხევსურეთის სოფ. გველეთის სიახლოვეს ტოპონიმ „გიგაურთ ველზე“, სადაც უწინ ეს რიცხვმრავალი გვარი ცხოვრობდა. რადგან მათი წინაპარი გაგა არაგვის სასტიკ ფეოდალს ეხმარებოდა, ზურაბ ერისთავის შემოსევების შემდეგ, დათვისელ და გველეთელ გიგაურებს მშობლიური მიწა-წყალი დაუტოვებიათ და ჭართალში გადასახლებულან.

შენიშვნა:

ავტორი წყაროს არ უთითებს. სხვა ვერსიით, გიგაურები გველეთიდან ზურაბ ერისთავმა აყარა და ჭართალში გადაასახლა.

გ. ქერაშვილის ცნობით, გიგაურები ხევში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე დასახლებულან, თავიანთი გვარი დაუფარავთ და ჩეკიაშვილებად დაწერილან. საკუთარი გვარი კი მათ მოგვიანებით აღუდგენიათ.

მოხევე ფიცხელაურთა გვარმოდენილობის გასარკვევად გ. ქერაშვილი ძირითადად რ. თოფჩიშვილისა და ალ. ნაზღაიძის კვლევებს ეყრდნობა. ფიცხელაურთა წინაპრად გადმოცემები ბაცალიგოელ ფიცხელა არაბულს ასახელებენ. მოხევე ფიცხელაურები ლიქოკის ხეობის სოფელ აჭედან ყოფილან გადმოსახლებული. ცალკეული გვარეების ხევში დამკვიდრებას თან სდევდა სისხლისმღვრელი ბრძოლები და შეტაკებები. ავტორი ნაშრომში წარმოგვიდგენს კარკუჩის მახლობლად, სოფ. ქოსაში ფიცხელაურებსა და ფადიაურებს შორის ჩამოვარდნილ მესისხლეობის ისტორიას. სოფ. ქოსაში (არა ქოსელში) დასახლებისას ფიცხელაურებს იქ ფშავიდან გადმოსული ფადიაურები დახვედრიან. ჯერ ქოსელ-ფიცხელაურებს „უმარჯვიათ“ და ცოცხალი მხოლოდ ფადიაურების ორსული რძალი გადარჩენიათ, რომელიც ფშავში გადახვეწილა მამასთან; იქ ვაჟი შესძენია. დავაჟკაცებულ ფადიაურს თავისი საგვარეულოს ამბავი დედისგან შეუტყვია, გადმოსულა ხევში და თავისი წინაპრების ადგილში დასახლებული ფიცხელაურები ამოუხოცავს. „გამარჯვებულ“ ფადიაურს ცოცხალი მხოლოდ ერთი მოხუცი ფიცხელაური დაუტოვებია, ქოსადან ქოსელში ჩამოუსახლებია და მისთვის გუდამაყრელი ქალი შეურთავს, რომლისგანაც მას ორი ვაჟი შესძენია. გადმოცემის მიხედვით, ფიცხელაურების ორი ძმიდან ერთი სტეფანწმინდაში დასახლებულა, ხოლო მეორე ქოსელთაში დარჩენილა. ფადიაურები კი ახალციხეში დამკვიდრებულან. ფადიაურებსა და ფიცხელაურებს შორის ატეხილ ბრძოლას, გ. ქერაშვილის აზრით, ზეპირი გადმოცემის გარდა, ადასტურებს ხალხური ლექსი („სად იყავ, ფადიაურო“...) და ისტორიული დოკუმენტი, ლევან ბატონიშვილის 1780 წლის 2 ივლისის განკარგულება მარტია ღუდუშაურისადმი, რომლის მიხედვითაც, ბატონიშვილი ქოსელებისა და ფადიაურების სადავო მთის სანახევროდ გადანაწილებას ბრძანებდა.

გ. ქერაშვილმა ნაშრომში წარმოგვიდგინა არაერთი მივიწყებული ტრადიცია მოხევეთა ცხოვრებიდან. ავტორმა ერთად შეკრიბა ხევსა და მოხევეებზე სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული ცნობები. მან ისარგებლა ისტორიული და საეკლესიო დოკუმენტებით. წიგნი ყურადღებას იქცევს გარდასული მოვლენების საყურადღებო ანალიზით. ავტორმა ხევის საკრალური წარსულის დიდებული სურათის აღსადგენად ხალხურ წეს-ჩვეულებებს, თქმულება-გადმოცემებსა და ზეპირ ისტორიებს თავის წიგნში საპატიო ადგილი მიუჩინა.

წიგნში გვხვდება ცალკეული ხარვეზები და უზუსტობანი: ნაშრომში ზოგიერთი ეპიზოდი მეორდება. წიგნს არა აქვს კომპოზიციური მთლიანობა; არ არის დაცული განხილული თემებისა და საკითხების თანმიმდევრობა; ზოგჯერ თხრობა გადატვირთულია სხვადასახვა წიგნებიდან ამოკრებილი ვრცელი ციტატებით, რომლებსაც ხშირად არსებითი კავშირი არა აქვს ხევის პრობლემატიკასთან. უმეტეს შემთხვევაში ავტორი არ უთითებს წიგნში გამოყენებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის წყაროს. თუმცა, ამ შენიშვნების მიუხედავად, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების

შენაძენად მიმაჩნია გ. ქერაშვილის წიგნი „ხევი და მოხევეები“, რომელიც დაეხმარება ეთნოლოგებს, ფოლკლორისტებსა და ხალხური კულტურით დაინტერესებულ სტუდენტ-ახალგაზრდობას ხევის მეცნიერულ შესწავლაში.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ „ხევი და მოხევეები“ მხოლოდ წარსულზე არ მოგვითხრობს. წიგნის ავტორი, როგორც ამ უმშვენიერესი კუთხის შვილი, ინტერესდება ხევის თანამედროვე პრობლემებითა და მომავლით. გ. ქერაშვილი მტკივნეულად განიცდის ხევის სოფლების დაცარიელებას. ის მოგვითხრობს იმ მიზეზებზეც, რის გამოც მოხევეს მთაში გული აღარ უჩერდება.

გ. ქერაშვილს აფიქრებს ხევის მომავალი: – როგორ იცხოვროს, რითი ირჩინოს თავი მოხევემ?! – სვამს ავტორი მწარე, ცხოვრებისეულ კითხვას და თითქოს ლელთ ღუნიას ხმა ჩაგვესმის.

ხევი, მართლაც, ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, შველასა და დახმარებას. ავტორმა ჩვენამდე მთელი ხევის გულისტკივილი მოიტანა. უეჭველად უნდა გაუმჯობესდეს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, „რათა, მოხევემ საბოლოოდ არ აშალოს თავისი კერა, რათა საბოლოოდ არ გაპარტახდეს ეს კუთხე.“

ხვთისო მამისიმედიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ხევის ტერიტორია და საზღვრები

მდინარე თერგის, სნოსწყლის და თრუსოს ხეობები – კავკასიონის ცენტრალური ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ქმნიან უძველეს ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულის – ხევს.

მისი სახელწოდება რეგიონის ტერიტორიის („ხევში“) მდებარეობასთან არის დაკავშირებული.

ზემოდან მას კავკასიონის მწვერვალები გადმოჰყურებენ: – ყურო, ვეშანროვანი, ნაროვანი, ხვედისი, შინო, ქაბარჯინა, ართხმო, ღენჭიანა, ბახნო, ლიჯე, საკეცენი, ჩათა, ქუბასწვერი, დიდო, ნახერეთი, ხდე, დარიალა, გვირგვალის წვერი, ორნვერი, დევდორაკი, მყინვარწვერი და სხვ.

საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო – მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე რეგიონია, კარგად შემონახული ტრადიციებით, ფოლკლორითა და მაღალი კულტურის ძეგლებით.

როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – პირველად (არა უგვიანეს IV–V სს) – მოხსენიებულია „აშხარაცუიცში“ (სომხურ გეოგრაფიაში).

ქართულ წყაროებში – VI საუკუნეში ჩანს, „ხევი წანარეთისა“ („ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“).

თანამედროვე ყაზბეგის რაიონი, ძირითადად, ემთხვევა ისტორიული ხევის ტერიტორიას, რომელიც ზემოაღნიშნულ (თრუსოს, სნოს და თერგის) ხეობებად (თუ, ხევებად) იყო დაყოფილი.

ხევის ფარგლებშია მოქცეული – თეთრი (მთიულეთის) არაგვის სათავეები.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს (1696–1757 წ.წ.): –

„მთიულეთის ჩრდილოთით არს ხევი, გარდავალს გზა ხევს ხადის დასავლეთიდამ, კავკაზსა ზედა... არს დაბალი და უტყეო, ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა. ზაფხულ არს ბალახიანი, ყვავილიანი. ამას უწოდებენ ყელს. ხოლო ჩრდილოთკენ ერთვის ხევის მდინარეს ხევი და უწოდებენ შთასავალს (იგულისხმება კობის წყალი).“

„აქა არს წყარო სპეტაკი ვითარცა თოვლი და ჰყრია ბროლი მრავალი, მზგავსი გათლილისა, და სცვივა კლდესა. აქა იპოების ბროლი და სჭვირს წითლად, და გასტეხო – არს შიგ წითელი ბროლი.“

„მდინარესა ხევისასა ეწოდების არაგვივე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის მდინარე ძველადვე და აწ უწოდებენ თერგსა. გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და მაღრანდვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ, კავკასის მხრიდამ დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე.“

„ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ხევად. აღმოსავლით აქუს ხევი, დასავლით ზახა და მაღრანდვალეთი, სამხრით მთიულეთი, ჩრდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს კავკასით, თვინიერ ხევიდამ.“

„მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი.

შთასავალის ქვეით მოდრკების არაგვი და დის ჩრდილოთ, ვიდრე ქისტის წყლამდე, და მიდის ფრიად მსწრაფლად. ამ დინების გამო არა არს თევზი მდინარესა ამას შინა, თვინიერ კალმახისა.“

„არს ხეობა ესე მოზღუდვილ კავკასითა, რამეთუ დასავლეთით აქუს მყინვარი,

უმაღლეს ყოველთა კავკასთა და მარადის ყინულით შეკვერცხილი, და განყოფს მთა ესე თაგაურს, ჩიმსა და ხევსა. აღმოსავლით უძეს კვალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი. განყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს და ხევსა. სამხრით აქუს კვალად კავკასი, და განჰყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთს და ხევს.“

„ჩასავალს ქვეით არს, ჩრდილოთ, კერძ არაგვის დასავლით, ციხე არშისა, თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული, მაღალსა კლდესა ზედა, მოზღუდვილ კლდითავე და შეუვალი კაცთა.“

„მყინვარის კალთასა ზედა აღმოსავლიდამ არაგუს ერთვის, არშის ქვეით, აჩხოტისხევი.

აქ არს ციხე ღუდუშაურისა მცირე, არამედ ფრიად მაგარი.

ამ ხევიდამ გარდავალს გზა გუდამაყარს.“

„მის ჩრდილოთ არს სტეფანწმიდა, დაბა კარგი. ამის დასავლით არს გერგეთი.

არაგვს იქით კიდესა ზეით ამისასა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერნაშენი.“

„შვენიერს ადგილს, მყინვარის კლდესა შინა, არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა. გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდამ და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთა...“

„კვალად ძირს მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ, და აწ ცალიერი.

გერგეთს ქვეით, ჩრდილოთკენ, დასავლეთიდამ ერთვის ხევი გელათისა, ძველად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი, ხოლო აწ უწოდებენ გველეთს.

ამ გველეთის ქვეით ერთვის არაგვსვე ხევი, სამხრ-აღმოსავლეთიდამ, გამოსდის გუდამაყარისა და ძურძუკის კავკასსა, მოდის დასავლეთს-ჩრდილოს შუა და არს უშენი.“

„გარდავალს ამ ხევიდამ გზა ძურძუკსა და ქისტეთს, ძნელი, საჭირო, კვალად გარდავალს გზა გუდამაყარსაცა.

ამ ხევს ქვეით დავიწროვდების ხევი ესე კლდითა და აქა არს ციხე დავითისა, არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა, აღმაშენებლის აღშენებული.

ამის ქვეით არს დარიელა, არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა, მეფის მირვანის მიერ შეება კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენ.

ამის ქვეით ნასასახლევია მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან.“

„ხეობა ხევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრიისა შთასავალით გველეთამდე.

არა არს აქა ხილნი, თვინიერ მთის ხილთა: არს კოწახური, მოცხარი, კლდის მერსენი და სხვანიცა ბალახთა ხილნი. არის ვარდი ჭალათა, მრავალფურცლოვანი და წითელი მრავალი, და სხვანიცა ყვავილნი მთისანი.“

„პირუტყვნი, რაც ოდენ ეტყვის, მრავალნი. ცხვარი უდუმო. არს აქა მჯიხვი მრავალი ჯოგად და არჩვი. არის ფრინველი შურთხი, გლონი და ზაფხულის მწყერი ურიცხვნი.

იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა.

„არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გველეთის ქვემოდამ.

ჰავით არს კეთილმშვენი...“ (ვახუშტი, „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერა“).

ივ. ჯავახიშვილი ცნობით: –

„სახელოვანი მეცნიერის ზემოაღნიშნული აღწერილობა იმდენად ნიშანდობლივია, რომ ყოველი დასახელებული პუნქტის და ადგილის პოვნა თანამედროვე რუკებზე ძნელი არ არის.“

„გველეთის ჩრდილოეთით – თერგს მართლაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ერთვის „ერთი პატარა წყალი,“ რომელსაც ქისტურა (კისტანკა) ეწოდება. ეს ის ადგილი უნდა იყოს, რომელსაც საქართველოს სამხედრო გზაზე რუსებმა სადგური დარიალისა უწოდეს.“

„აქ... რუკაზე, მართლაც ნათქვამია „ციხის ნანგრევი,“ რომლის ჩრდილოეთით მირვან მეფის მიერ აგებული ყოფილა დარიალის კარი, რომელიც ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი.“

„ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც ეხლა სადგური ლარსია.“

„უფრო ჩრდილოეთით ყოფილა საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი „ნასასახლევი მეფეთა,“ რომელიც დაახლოებით ეხლანდელ „ჯერახევსკოეს“ მიდამოებში უნდა ყოფილიყო.“

„აქაც, 5 ვერსიან რუკაზეც, ნათქვამია „ციხის ნანგრევი.“

„ვახუშტის დაწვრილებით რუკაზე – „ნასასახლევი მეფეთა,“ მართლაც, „ჯარიეხის“ (= ეხლანდელს „ჯერახევსკოეს“) მახლობლად, ცოტა სამხრეთით არის აღნიშნული და საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის სამზღვარი – ამ ადგილის წინ, დაახლოვებით ჯარიეხითგან ერთი ვერსით სამხრეთით მოდიოდა“ (ივ. ჯავახიშვილი).

*

დღემდე სადავოა საქართველო-ოსეთის (საქართველო-რუსეთის) საზღვრის დარიალის მონაკვეთი.

ჯ. კეკელიას ცნობით: –

დაზუსტებით დგინდება რომ: –

საქართველოს „საზღვარი ედო იმ ქედის თხემის გაყოლებით, რომელიც მდ. არაგვის (თერგის) ხეობისაგან მდ. ქისტურას (კისტანკას) ხეობას გამოყოფს.“

„თანამედროვე რუკაზე ამ ქედს ოხკურის ქედი ეწოდება.“

ანუ, დარიალის გზაზე საქართველო-რუსეთის ისტორიული საზღვარი „გადიოდა იქ, სადაც სოფ. ქვემო ლარსის ჩრდილოეთით – თერგს (მარჯვენა მხრიდან) ერთვის მდინარე არხმი (სოფ. ჩმისთან).“

„სწორედაც ამ ხეობის გამოსავალში (სოფ. ჩმისთან ახლოს) იყო ქართული ციხე, რომელიც მდ. თერგისა და მდ. არხმის ხეობებს აკონტროლებდა და რომელსაც ჯარიეხის ციხე ეწოდებოდა.“

(„სადა დაივაკებს მდინარე არაგვი ანუ ლომეკი, ამ არაგვს, ხეთაძის დაბის ზევით, ერთვის ქისტეთის წყალი... ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიეხი“ (ვახუშტი, გეოგრაფია).

„ამ ციხის ნანგრევები 1891 წელსაც არსებობდა“ (ჯ. კეკელია, „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები,“ 2006 წ.).

რუსეთის მიერ საქართველოს იძულებითმა მიერთებამ (1801 წ.), სერიოზული

ცვლილებები შეიტანა საქართველო-რუსეთის საზღვრის მოხაზულობაში.

დარიალის სასაზღვრო მონაკვეთი, იმპერიის ინტერესების გათვალისწინებით, „ჩრდილოელმა მეგობრებმა“ – „ეშმაკის ხიდამდე“ გადმოწიეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1918 წლის 26 მაისი), დღის წესრიგში დადგა მისი ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი – რუსეთთან, თურქეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან.

დაინტერესებული მხარეების მიერ, შეიქმნა პრეტენზიული შინაარსის რუკები.

მათი განხილვა მოხდა პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე (1919 წელს).

რაიმე გადაწყვეტილიბის მიღება ვერ მოხერხდა.

*

დარიალის სასაზღვრო მონაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მეორე მსოფლიო ომის და მის შემდგომ პერიოდში.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1944 წელს, გააუქმეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ და მისი ტერიტორია მეზობელ რესპუბლიკებს შორის გადაანაწილეს: –

საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანეს იტუნკალინსკის რაიონი მთლიანად, შაროევსკის რაიონის დასავლეთური ნაწილი, გალანჩოვსკის და გალაშკინსკის საგარეუბნო რაიონების სამხრეთული ნაწილი და – ჩრდილო ოსეთის ასსრ გიზელსკის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილი.

აღნიშნულის გათვალისწინებით – შეიქმნა საქართველოს სსრ-ს ახალხევის რაიონი, რომლის ფართობიც, დაახლოებით, 2 ათ. კვ.კმ-ს შეადგენდა.

ამავე წელს, საქართველოს გადმოსცეს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი გიზელსკის რაიონის სამხრეთ აღმოსავლური ნაწილი.

გალაშინსკის საგარეუბნიოს ნაწილი, ყაზბეგის რაიონს დაუქვემდებარეს.

„მოხდა ის, რომ საქართველოს დაუბრუნდა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია (456,5 კვ.კმ;) და – რსფსრ-სთან საზღვრის ხაზი გატარდა ზუსტად ისე, როგორც ეს აღწერილია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიაში“ (ჯ. კეკელია).

ინგუშების სამშობლოში დაბრუნების შემდგომ (1957 წელს), რუსეთმა გააუქმა ახალხევის ადმინისტრაციული რაიონი და საქართველოსთან შეთანხმების გარეშე, ისევ შეიერთა ყაზბეგის რაიონს დაქვემდებარებული – დარიალის უბანი, სოფლები – ზემო და ქვემო ლარსი, თერგის პირი, სანიბა, დარიალი, თამარიანი, განახლება, შრომა, თერგულა და მთისძირი.

აღნიშნული ქართული სოფლები ვითომ ინგუშებს დაუბრუნეს, მაგრამ, სინამდვილეში – ისტორიულად ერთგულ პოლიტიკურ მოკავშირეს – ოსეთს, მიაკუთვნეს.

მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდგარ ქართულ სალოცავს ვერაფერი მოუხერხეს და საზღვარი „ეშმაკის ხიდიდან“ 2,5 კმ-ზე გაატარეს – ზუსტად, ზემო ლარსსა და ეშმაკის ხიდს შუა.

ამბობენ რომ: –

საქართველოს მთავრობა ასეთ დემარკაციას არ თანხმდებოდა; ქართველებით დასახლებული ზემო და ქვემო ლარსის ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში დატოვებას მოითხოვდნენ – მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ხელშეკრულებას მალულად მოაწერეს ხელი და შესაბამისი დოკუმენტები – შემდგომში, ქართული არქივებიდან გაქრა.

„საქართველო-რუსეთის თანამედროვე საზღვარი, რეალურად – მდ. ქისტურას შესართავიდან, თერგის დაყოლებით, 1,5 კმ-ში ძევს.“

„რუსებმა ის, თვითნებურად, 1,5 კმ-ით ჩვენსკენ გადმოწიეს – ზუსტად მდ. ქისტურას შესართავთან.“

„ესეც არ იკმარეს და საკონტროლო პუნქტი ბოლო გვირაბის შესასვლელთან დადგეს.“

„რუსი ცდილობს, საზღვრის ხაზი ძველ, საგუბერნიო საზღვარს დაამთხვიოს“ (ჯ. კეკელია, 17.06.09.).

*

თანამედროვე ხევი ესაზღვრება: – ხევსურეთს, მთიულეთს, გუდამაყარს, ჩრდილო ოსეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს.

2002 წლის მონაცემებით: – ყაზბეგის რაიონის ტერიტორია 1081,9 კვ.კმ-ია; მოსახლეობა – 5261; ცენტრი – დაბა სტეფანწმინდა.

რაიონში 45 სოფელია; ერთი სადაბო და 5 თემის საკრებულო (გუდაური, კობი, სნო, სიონი, გორისციხე).

ხეობის სიგრძე, ჯვრის უღელტეხილიდან ზემო ლარსამდე – გზით, 50 კმ-ია.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, ყაზბეგის რაიონის ცენტრი, სოფელი ყაზბეგი – დაბად გარდაიქმნა; ყაზბეგის სასოფლო საბჭო – ყაზბეგის სადაბო საბჭოდ.

ამავე ბრძანებულებით – ყაზბეგთან ტერიტორიული შერწყმის გამო – სოფ. გერგეტი, როგორც დამოუკიდებელი დასახლება – გაუქმდა.

ყუროს ძირში მდებარე სოფელი თარგმანი – ყაზბეგის დასახლებას თავისით შეუერთდა და მის უბნად იქცა.

საქართველოს პრეზიდენტის № 14 ბრძანებულებით – 2006 წლის 9 იანვარს, დაბა ყაზბეგს დაუბრუნდა ისტორიული სახელწოდება – სტეფანწმინდა.

მოხევეები

მოხევეები – პირველად, თამარის ეპოქაში მოიხსენებენ.

„მოხევეს ძეთა, ჩახრუხაძეთა ექო თამარი მეფე წყლიანი“:

ხალხური მთქმელს თანახმად, თამარის ცნობილი მეხოტბე – ჩახრუხაძე, მოხევე ყოფილა (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული ლიტერატურა, თბ. 1954, გვ. 250).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: –

მოხევეები „არიან მებრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოველითა. სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისიცა უმეცარნი.“

პეტერბურგიდან მომავალმა ილიამ ლელთ ღუნიას სახით დაგვანახა – „მოხევეთა სიდარბაისლე, ჭკუამახვილობა, ცხოვრებისეული ტკივილები... „რუსობაჩი“ ყოფნის განცდა, ეროვნული ცნობიერება და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული“ (ვალ.

ითონიშვილი).

ნიშანდობლივია ისიც, რომ – ილიამ სწორედ მოხევეს ათქმევინა: –

ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო.

„ისეთის თავგანწირვით უყვარს მოხევეს თავისი თითო მუჭა მიწა, სულ მუდამ წვალებაში ყოფნას რჩეულობენ, სანამ იმის თავის დანებებას და სხვაგან გადასვლას. ყოველ მთას, ყოველ გორას, ყოველ ქვას, მდინარეს, ადგილს, იმისთვის რაღაც მღვთიური მნიშვნელობა აქვს და მთაში მწუხარებაში და ჯაფაში ყოფნას ის არ გასცვლის არც ერთ გვარს სიამოვნებაზედ“ (ალ. ყაზბეგი).

*

სტეფანწმინდასთან მიკვლეული არქეოლოგიური მასალა, ე.წ. „ყაზბეგის განძი,“ ქრისტეს შობამდე VI საუკუნეს განეკუთვნება და მოწმობს ამ კუთხის ძველთა-ძველ ურთიერთობაზე უძველესი კულტურის ქვეყნებთან.

მთაში: – სიყმაწვილიდან აჩვევდნენ ვაჟებს ამტანობას, გამბედაობას შრომას.

„ბიჭი საკაცო საქმეებში იყო ჩართული, გოგონა ხელსაქმეს, წველა-დღვებასა და სხვა საშინაო საქმეებს სწავლობდა.“

„როცა ბავშვები იმდენად მოიზრდებოდნენ, რომ ველზე გასვლას შეძლებდნენ, სამწყსოში გაუშვებდნენ; მწყემსი გოგო-ბიჭები შეიყრებოდნენ, ან ხელსაქმობდნენ, ქსოვდნენ, ქარგავდნენ, ანდა თამაშით იქცევდნენ თავს.

როცა ქალები საქონელს ჩამოწველიდნენ, მოწველილ ძროხას პაწიები მიუსხდებოდნენ – უჩვევი თითებით წველას სწავლობდნენ.

ბიჭებს – არა მარტო სავაჟკაცო საქმეები, თავიანთი ტრადიციებიც უნდა სცოდნოდათ. მათ მარტო უფროსების საუბრის მოსმენას როდი აჯერებდნენ, თვითონაც უნდა გაწაფულიყვნენ წეს-ადათთა შესრულებაში, პირველ რიგში კი – საჯვარო სავალდებულო წესებში.

მოზარდები იწვრთვნებოდნენ ფიზიკურად და საკულტო წესების შესრულებასაც სწავლობდნენ.

დადგებოდა დრო, ჭაბუკობის ასაკს მიღწეულნი, თავიანთი მამის სალოცავებში „ზღურბლს დალახავდნენ,“ „სახელოში ჩადგებოდნენ“ და – გვაროვნული თემის სრულუფლებიან წევრებად იქცეოდნენ“ (თ. ოჩიაური).

*

მეზობელი მთიელებივით მოხევეებიც თემური წყობილებით ცხოვრობდნენ.

მათთვის უცხო არ იყო: – მესისხლეობა, შურისძიება, დაურვება, თემიდან მოკვეთა, ქალის გატაცება.

ამასთან ერთად – სიმამაცე და ერთგულება, სიბრძნე და სამართლიანობა – ხევში, ვაჟკაცობის – კაცური ღირსების მთავარი საზომი იყო.

მთის სხვა რეგიონებთან შედარებით – ხევში, დაივიწყებას უფრო ადრე მიეცა საგვარეულო თემი.

უხსოვარი დროიდან, ამ ცნებით – იქ, ყველა საგვარეულოს ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ერთობლიობა მოიაზრებოდა – რაც მოხევეთა გარკვეულ სოციალურ წინსვლაზე მიუთითებს.

*

მოხევეთა მარჩენალი ცხვარი და ძროხაა, რომლებსაც საძოვრები სჭირდება.

„მათი უწესრიგოდ გამოყენების შედეგად, სუბალპურ და ალპურ საძოვრებზე, დიდი რაოდენობით გვხვდება ძიგვიანი მდელოები (ძიგვას მოხევეები „ვირის ქუჩს“ უწოდებენ).“

„მათი დიდი ფართობები მოქცეულია იქ, სადაც საძოვარი მრავალი წლის მანძილზე ფრიად დატვირთული იყო და სადაც ადრე გაზაფხულზე დიდი ფარები გროვდებოდა.“

„ასეთ ადგილებში ცხვარი მცენარის ფესვს ყელამდე გლეჯს და კვნეტს, რადგან საკვები ბალახი ყველას არ ყოფნის; ამასთან საჭმელად გამოსაყენებელ ბალახს ტკეპნის, შლის აერაციას, აფერხებს ნიადაგში ჰაერის განუწყვეტელ ცვლას.“

„ძიგვა კი სწორედ ისეთ ნიადაგებს ეგუება, რომელშიც აერაციაა დარღვეული.“

„ცხვარი რომ იმდენი მოჰყავდეთ, რამდენსაც საძოვარი აიტანს, ეს არ მოხდებოდა.“

„თუ საძოვარი კარგია, ჰექტარზე უნდა მოდიოდეს არა უმეტეს 8 ცხვრისა; ზაფხულის განმავლობაში კი, თუ ნირშეშლილია, არაუმეტეს 2-3 ცხვრისა.“

„როცა ძიგვის (ქუჩის) ფოთოლი გაუხეშებულია, მისი წვერი ლამის ეკლადაა გადაქცეული და შუა ზაფხულში პირუტყვი მას ვერ ძოვს, იჩხვლიტება. მისი ძველი, შარშანდელი ფოთლები, რომელშიც საყვავილე ყლორტიცაა ამოზრდილი, თესლის ჩათესვის შემდეგ კვდება და ბუსნოს მარაგში გადადის, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე არ იხრწნება.“

„სწორედ ამის გამოა, რომ, როდესაც ძიგვიანზე დადიან, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, გეგონება, სქელი ლეიბი აგია ფეხქვეშ. მდელო ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ადის და ჩადის.“

„ჩვენს მთაში ასი ათასი ჰექტარი ძიგვიანს უჭირავს. ასი ათას ჰექტარ კარგ საძოვარზე კი ზაფხულის განმავლობაში შეიძლება ნახევარი მილიონი ცხვარი გამოიკვებოს. ამიტომ – ასეთი ძიგვიანები მოუთმენელია, უნდა გავაუმჯობესოთ.“

„გაუმჯობესებული მდელო კი მრავალ ფარას გამოკვებავს“ (აკად. ნ. კეცხოველი).

*

მთელ ხევში მხოლოდ ოთხასი თუ ხუთასი ჰექტარია სახნავ-სათესი.

ამ პატარა მიწებზე კარტოფილსა და ქერს თესენ, ზოგი წმინდა პურსაც.

მიწას რომ ბარავ, გეგონება ქვიშააო – ამიტომ მოდის კარგად კარტოფილი.

მოხევეები ტრაბახობენ, კარტოფილი ჩვენგან წაიღეს ბარელებმაო.

გადმოცემის თანახმად: –

თურმე, ერეკლე II-ს გამოუგზავნეს ორი ცხენის საპალნე კარტოფილი რუსეთიდან.

ყაზბეგამდე რომ მოაღწიეს, ჩამოთოვა და გზები შეიკრა.

არ გაფუჭდესო, იფიქრეს გამყოლებმა და სოფ. თარგმანებში დათესეს.

შემოდგომაზე მიწიდან გოჭებივით ამოცვივდა კარტოფილი.

ორი საპალნის ნაცვლად ერეკლეს ექვსი გაუგზავნეს...

ბევრიც დარჩათ.

ამის შემდეგაა-ო კარტოფილი საქართველოში (აკად. ნ. კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი,“ თბილისი, 1971 წ.)...

სოფლების ტოპონიმიკა

ხევის ბევრ სოფელს თავისი წარმოშობის ისტორია აქვს: –

„სტეფანწმინდელებს“ – ადრე, ყუროს მთის ძირას უცხოვრიათ – დავაკებაზე. მახლობლად – წითელ ეკლესიაში მდგარა სტეფანე ბერი, გვარად ფიცხელაური (ქოსლელი); ერისკაცობაში ღურბელა – დაქვრივების შემდეგ, სტეფანეს სახელით – ბერად შემდგარი.

ჯერ ბეთლემის უდაბნოში უმოღვაწია – მერე, ყუროს გამოქვაბულში.

ყუროს მთიდან, ერთხელ – საშინელ ნიაღვარს დაუწყია დენა – შუაღამისას.

სტეფანეს მოსალოდნელი უბედურების საფრთხე უგრძვნია.

ზარების საგანგაშო რეკვით გაუღვიძებია სოფელი...

მოსახლეობამ გახიზვნა მოასწრო;

მათი სახლკარი ნიაღვარმა წალეკა.

ბედზე გადარჩენილმა მოხევეებმა მდინარის მეორე მხარეს დააფუძნეს ახალი სამოსახლო – რომელსაც, გადამრჩენელის სახელის მიხედვით (მადლიერების ნიშნად), „სტეფანწმინდა“ უწოდეს.

*

„თანახმად ხალხური განმარტებისა, სოფლის სახელი თარგმანი წარმოიშვა ხევის შორეულ წარსულში არსებული სოფლის, სათარგმნო-ს სახელწოდებიდან, რომელიც მდებარეობდა სოფელ თარგმანიდან ჩრდილოეთით, მდ. ყუროს ნაპირას.

წარმოადგენდა ხევის უძველეს სათემო ცენტრს.

ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, ძველ მოხეურში „თარგმანი“ ნიშნავდა ბჭობას, თათბირს, მსჯელობას – რის გამოც – თითქოს, იმ ადგილსაც, სადაც ხევის თავკაცების ბჭობა იმართებოდა, თარგმანი უწოდეს (ვალ. ითონიშვილი).

*

სოფელ ყანობის „დღევანდელი ტერიტორია ადრე სახნავ ადგილს წარმოადგენდა, რომელსაც ხევში ეწოდება ყანა.“

„ნაყარი ნაკვეთის სახელად მიჩნეულია ყანობი“ (ვალ. ითონიშვილი).

„დღევანდელი თოთის ტერიტორიაზე პირველი დასახლებულა, ოსეთიდან კაცის მოკვლის გამო გამოქცეული, თათო სალბიევი.“

„ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, სოფლის სახელწოდება თოთი, უშუალო კავშირშია მისი პირველი მკვიდრის, თათოს საკუთარ სახელთან“ (ვალ. ითონიშვილი).

არსებობს ვარაუდი, რომელიც სოფ. არშის ეტიმოლოგიას ვეინახურ „არშტის,“ ანუ შავი, დაბურული ტყის სახელწოდებას უკავშირებს.

(იმ მიდამოში ტყე არ არის!).

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

„არშა, არსა, არში“ მონღოლურად თბილი ან მჟავე წყალია, რომელიც არშის ციხის ფერდობებზე დღესაც ამოედინება.

მოხევეები მას „ვეძას“ ეძახიან.

გამორიცხული არ არის, რომ, სოფლის და მისი თანამოსახელე ციხის სახელწოდება – აქედან იყოს წარმომდგარი.

„გაღმა კობის, ანუ ბაზილენის სამხრეთ მხარეზე, საქართველოს სამხედრო გზის პირად, დუქანი და ღამის სათევი ფუნდრუკი აუშენებია თბილისელ სომეხს, გვარად ალმაზიანს. ამის შემდეგ ჯერ სოფლის ერთი უბნისთვის, შემდეგ მთელი სოფლისათვის შეურქმევიათ ალმაზიანი, ანუ ალმასიანი“ (ვალ. ითონიშვილი).

ალბათ, უფრო სარწმუნო ვერსიის მიხედვით: –

სოფლის სახელწოდება, მის დამფუძნებელთან, ალმასხან ბატონიშვილთან არის დაკავშირებული.

აკად. ნ. კეცხოველის ცნობით: –

„ანდეზიტს“ მოხევეები ჯერ „ანდაზეთს“ ეძახდნენ; ფიქრობდნენ, „ალბათ, იმ სოფელში ენამახვილი ხალხი ცხოვრობს და ამიტომ შეარქვესო ეს სახელი“ – მაგრამ იქ ანდეზიტს ამუშავებდნენ და ამისთვის აშენდა ახალი სოფელი. ხალხმა თავისი აზრი ჩადო და ანდაზეთად მონათლა – რადგან „ანდაზა“ უფრო გასაგები იყო მისთვის ვიდრე „ანდეზიტი“ (ნ. კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი,“ თბილისი, 1971 წ.).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: –

სოფელ გველეთის სახელწოდება მდინარე გველეთისწყალის ადრინდელი სახელიდან (გელათი, გელათისხევიდან) – მომდინარეობს.

*

რ. ხარაძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ქისტების სოფელ ღულიდან სამი (ქისტაურების წინაპარი) ძმა წამოსულა.

ერთი – რომელიც კოჭლი ყოფილა, ხევში დარჩენილა: – „ძმებს უთქომ, შენ აქ გაიბოტე ფეხიო.“

აქედან წარმომდგარა გაიბოტენის სახელწოდება.

ამბობენ რომ: –

სოფ. სნოს სახლწოდება საღუდუშაუროს წინაპარის, ვინმე სნოს, საკუთარი სახელიდან მოდის.

*

სოფელ ახალციხის ზემოთ მდებარე ფერდობზე, ოდესღაც, ძლიერი ციხე მდგარა.

მის ბალავარზე, მოგვიანებით აღუმართავთ – მეორე, ანუ, ახალი ციხე.

ჩემი წინაპრების გადმოცემით, აქედან წარმოსდგა სოფლის სახელწოდება.

გერგეტის სულთა მატიანეში – სოფელი უკვე ახალ-ციხედ არის მოხსენიებული.

ანუ (XV საუკუნეში) უძველესი ციხე – უკვე დანგრეული და „ახალიც“ – უკვე აღმართული იყო.

*

ს. მაკალათიას ცნობით: –

სოფ. ქოსელის სახელწოდება მოდის სოფელ ქოსადან – საიდანაც იქ მცხოვრები ფიცხელაურები ჩამოსახლდნენ (ანუ, „ქოს-ელები“ არიან ისინი).

ვალ. ითონიშვილის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: –

ფიცხელაურების „საგორეულოს“ ქოსლელთ განშტოების სამოსახლოს სახელწოდება გვარის ეპონიმის, „ქოსელაის“ სახელიდანაა წარმოქმნილი.

„ამ სოფელში მხოლოდ ქოსელნი ცხოვრობენ. უფრო მეტიც, იქ არცერთი არა ქოსლელი ფიცხელაურიც კი არ ცხოვრობს. ქოსელის მკვიდრნი მხოლოდ ქოსელნი არიან. ეს ერთადერთი სოფელია ხევში, რომელიც ერთი გვრითაა დასახლებული. უფრო ზუსტად, ქოსელის გარდა ხევში არ არსებობს სოფელი, სადაც მხოლოდ ერთი საგვარეულოს მარტო ერთი განშტოება ცხოვრობდეს, სოფლის სახელწოდებაც გვარის ეპონიმიდან წარმოდგებოდეს და დღემდე, ძველ მდგომარეობას ინარჩუნებდეს“ (ვალ. ითონიშვილი).

*

ხურთაშვილები, სტეფანწმინდის ახლოს, „ნახურთისალში“ ცხოვრობდნენ.

ისინი „თემმა შემუსრა.“

მათი შთამომავალი, ხურთა (რომელსაც პაპის სახელი დაარქვეს), იქიდან აიყარა და თერგის გაღმა დასახლდა.

ანუ, ხურთაშვილების ახალ სამოსახლოს დაერქვა ხურთისი.

მოხეური „გორი“ და „საგორეულო“

ხევის პირველმოსახლეებთან დაკავშირებით აკაკი შანიძეს, 1913 წელს, ასეთი ამბავი აქვს ჩაწერილი: –

არაბეთიდან გადმოხვეწილ კაცს – დავით მეფისთვის საქართველოში დასახლება ისეთ ადგილას უთხოვია, სადაც მშობლები ვერ იპოვიდნენ.

მეფეს მისთვის ხევი შეურჩევია.

იმ კაცს – ცოტა ხანში, მარტოდ ყოფნა მოსწყენია;

„წასულა და სამი კაცი მოურეკია: ზანგიოვი, შუჯაი და ირჯეული.“

„გადმოხვეწილ არაბს გერგეტი ერქვა და გერგეტი გამოიყვანეს იმის სახელობაზე;“ „იმის შემდეგა – შვიდი კომლი შედგა.“

მთხრობელის თანახმად: –

„შუჯაი,“ სუჯაშვილების წინამორბედი იყო, „ირჯეული“ – ირჯიაულებისა;“

„ზანგიოვი“ – ჩამწერს, ზანგიშვილად აქვს სქოლიოში ჩამოტანილი.

რომელ დავით მეფეზე აქვს მთხრობელს საუბარი – არ ჩანს.

*

არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ – გვარების ჩამოყალიბების პროცესი, საქართველოში XVI საუკუნიდან დაიწყო.

მანამდე ამ ფუნქციას ოჯახის უფროსის ან მათი წინაპრის სახელი ასრულებდა.

დროთა განმავლობაში, პრაქტიკულმა საჭიროებამ მოითხოვა ადამიანების უფრო მეტად დაკონკრეტება – რადგან სახელი და მამისახელი ცვალებადი კომპონენტი იყო.

პიროვნებების იდენტიფიცირება საჭირო გახდა – უფრო მდგრადი (უცვლელი) კომპონენტის, გვარის, დამატებით.

ივ. ჯავახიშვილის ცნობით: –

„გვარის აღმნიშვნელი თავდაპირველი ტერმინი უძველეს ქართულ ძეგლებში არ გვხვდება, მაგრამ უეჭველია, რომ „სახლი“ უნდა ყოფილიყო. ერთი გვარის მქონებელ პირებს, თუნდაც მათ შორის არავითარი ნათესაობაც კი აღარ ყოფილიყო, „სახ-

ლისკაცები“ ეწოდებოდა. ეს იმის მომასწავებელია, რომ ყოველი ცალ-ცალკე გვარის აღსანიშნავად „სახლი“ იხმარებოდა... ხოლო საგვარეულოს იმ უხუცეს წევრს, რომელსაც გვარის საერთო ქონების მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული, „მამასახლისი“ უნდა ჰრქმევოდა.“

*

ყველა ეროვნების გვარები ამაყობენ თავიანთი წარმომავლობით.

„გვარმა და მამიშვილობამ შეინახა ერები, შეკრა, ჩამოაყალიბა ისინი.“

„რომისა და ათენის სახელმწიფო წყობილების სიმტკიცის საფუძველი და საყრდენი იყო ფრატრია, გვარი, მამიშვილობა.“

„გვარი არ ჰქონდა მონას – მასზე ამოდაღული იყო მხოლოდ ნომერი ან დამღა; ამით ის უთანასწორდებოდა პირუტყვს, ცხოველს.“

„უგვარობა ნიშნავს უწინაპრობას – ვისაც არა აქვს ძირი, ფესვი, საფუძველი, რასაც უნდა ეყრდნობოდეს და რაზეც უნდა მაგრდებოდეს.“

„დაუმაგრებელი მოძრავია, როგორც ის ჯოჯო ბუჩქი – უდაბნოს ქარი რომ დააგორებს აქეთ-იქით და თუ გვინდა, ასე ამოგლეჯილ-ამოთხრილი და უპატრონო-უთვისტომო არ ვიყოთ – უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს გვარს, ჯილაგს, ფესვს, საიდანაც მოვდივართ, რაზეც ვართ მიბმულნი“ (გ. გოგოჭური).

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მოხევეთა წინაპრები – ხევში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან მოსულები.

მიგრაციის მთავარ მიზეზად – მესისხლეობა სახელდება.

ყამარაულები და ავსაჯანიშვილები ფშავიდან მოსულან; დავითაშვილები კახეთიდან; გოგოჭურები, ბუჩუკურები, ქერაშვილები და გიგაურები ხევსურეთიდან; კვირჭიშვილები, ოდიშვილები და კრაწაშვილები ქსნის ხეობიდან...

ვახტანგ ითონიშვილის ცნობით, ხეთაგურები თექთურმანიძეების შთამომავალნი არიან და მათი გვარის შეცვლა – ერთ-ერთი ეპონიმის, ხეთაგ თექთურმანისძის სახელს უკავშირდება.

*

ხევის მოსახლეობა გვარებად („საგორეულოებად“) იყო დაჯგუფებული. სოფლები გვარების მიხედვით უბნებად იყოფოდა. თითოეული უბანი ერთ „საგორეულოს“ ეჭირა; გვარები კომლებად იყოფოდა და – დღესაც, თავიანთი „კომლის თავის“ (მეთაურის) სახელს ატარებენ: –

ჩოფიკაშვილები არიან: – ლევანენი, ზალიენი, გუგუენი...

სუჯაშვილები: – ნადუენი, იაკობიანი, ყუბეშენი, მოსელენი, უბელენი...

ხეთაგურები: – გახუტენი, კოტიენი, თორღენი, საბენი...

შადურები: – გოდენი, ალოშკენი, კაჭუენი, კალიენი, ბუენი, საჩიენი;

ბაზალები: – ადიენი, ნანენი, გაგენი, ჯარიენი, მამუკენი;

ავსაჯანიშვილები: – იმედენი, დათურენი, ნანენი...

კურკუმულები: – გოგორენი, გოჭიენი, ზილინენი...

ქერაშვილები: – მათენი, დეკანოზიანი, ზურაბენი, ბადენი, ხაფანენი;

ბუჩუკურები: – ბულელიანები, ხაფანენი, ხაფიენი და ა.შ.

*

კომლის სახელის ცოდნა საჭიროა იყო პიროვნების მოსახსენიებლად; მაგ: ლევანეთ გიგუშა ჩოფაკაშვილი; მიხა ხეთაგეთ კოტიეთი; ვანიეთ ნიკა შადური; თოლიკეთ იობა ფიცხელაური; ქუშეთ ნასყიდაი ქუშაშვილი, ქერეთ ჭრელაი ქერაშვილი, ბულელიანთ მიტუშაი ბუჩუკური და ა.შ.

მამის მოდგმას ხევში „ჩამამავლობას“ ეძახიან, დედისას – „ჩამადევნებას.“

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

„ჩამამავლობის“ „ყველაზე დიდ სოციალურ გაერთიანებას „სახლიკაცობა“ ეწოდება – რომელიც ერთი საერთო წინაპრის შთამომავალთა რამდენიმე ჯგუფს მოიცავს. მის შემადგენლობაში შესაძლებელია სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრები და ზოგჯერ სარწმუნოებითაც განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები შედიოდნენ.

„სახლიკაცობაზე“ უფრო მცირე აგნატიკური გაერთიანებაა „საგორეულო,“ რომელიც ერთ თემში შემავალი, ზოგჯერ, თემის ფარგლებს გარეთ მცხოვრები, მაგრამ აუცილებლად ეთნიკურად და სარწმუნოებრივად გაუყოფელი ერთეულია.

„საგორეულო“ “გორებად“ იყოფა.

„გორი“ „ჩამამავლობის“ „სისხლით შედუღაბებული“ ერთეულია, რომელიც „განაყართა“ რამდენიმე ჯგუფს შეიცავს.

„გორის“ წევრობის აღსანიშნავად იხმარება სიტყვა „ხონჯრისანიც“;

„გამოიყენება აგრეთვე მისი თანაბარმნიშვნელოვანი გამოთქმა – „სისხლ-ხორცი.“

განაყრობა – მოხეური აგნატიკური ნათესაობის სეგმენტაციაში ორ გარკვეულ წარმონაქმნადაა წარმოდგენილი: –

პირველი მათგანია – „ადრეგანაყარნი,“ მეორე – „ნელადგანაყარნი.“

„ადრეგანაყრები“ ერთიმეორეს „გარე-ბიძაშვილებად“ მოიხსენიებენ, „ნელად-განაყრებს“ – ბიძაშვილებად.

„ჩამამავლობის“ მიკროერთეულია „მეკომურობა“ – რომელიც მოხეური აგნატიკური ნათესაობის უკანასკნელ მუხლს ქმნის.

„მეკომურები“ ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ, ყველაზე ახლობელთა წრეს შეადგენენ. ისინი ერთიმეორის „სახლიკაცები,“ ძმები და „ძმათა შვილები,“ ანუ „ალალი ბიძაშვილები“ არიან (ვალ. ითონიშვილი).

„სახლიკაცობაში“ შემავალ ყველაზე შორეულ ნათესავთა აღსანიშნავად იხმარება სიტყვა „მანაკიდვარიც.“

„სახლიკაცი“ და „მანაკიდვარი“ არსებითად ერთი ვითარების გამომხატველია, იმ განსხვავებით რომ – „სახლიკაცი“ შორეულ აგნატთან ერთად – ძმაზეც ითქმის; „მანაკიდვარი“ მარტო შორეულ მოგვარეზე ვრცელდება.

აგნატიკური ნათესაობის მნიშვნელოვანი ტერმინია „თოხუმობა“ – რომელიც, ერთი წინაპრის შთამომავალთა მიერ შედგენილი ჯგუფის სახელწოდებაა და შინაარსობრივი სიფართოვით, „მანაკიდვარს“ ვერ უტოლდება.

ის – „საგორეულოს“ წევრთა წარმომავლობის და მათი აგნატიკური გაერთიანების კუთვნილების გამომხატველია (ვალ. ითონიშვილი).

დედის ხაზთან დაკავშირებულ ნათესაობას მოხევეები „ჩამადევნებას“ ეძახიან.

დეიდაშვილის ძველი მოხეური სახელწოდებაა „შინში;“ დეიდაშვილის შვილები „შინშის შვილები“ არიან, მათი შემდგომი შთამომავლობა – „შინშთა შვილიშვილები“ და ა.შ.

როგორც „ჩამამავლობის,“ ისე „ჩამადევნების“ მიმართ „მანაკიდვარი“ თანაბარი მნიშვნელობით იხმარება.

ორივე სახის ნათესაურ ურთიერთობაში გვხვდება სიტყვა „თვუისი,“ რაც თავისიანს ნიშნავს და „მანაკიდვართან“ შედარებით – უფრო ახლო ნათესაობის მაჩვენებელია.

„თვუისის“ პარალელურად იხმარება „ნაფერცხლარი.“

„მანაკიდვარის“ თანაბარი მნიშვნელობა აქვს ტერმინს „თვუის-ნატამალი,“ რომელიც შორეული ნათესაობის მაჩვენებელია.

შედარებით გვიან, მოხეურ მეტყველებაში შემოვიდა გამოთქმა – „ნაჭრით მამბმული ნათესავი,“ რომელიც ძალიან დაშორებულ, სუსტად შეკავშირებულ სისხლიერ ნათესავზე ითქმის.

თავისი მნიშვნელობით იგი „მანაკიდვარსა“ და „თვუის-ნატამალს“ უტოლდება.

ამანათობა
(„შაყრილ-შაკედლებულნი“)

ხევის დღევანდელი მოსახლეობა შედგება როგორც ადგილობრივი – ძირძველი, მკვიდრი გვარებისგან – ისე მოსულებისაგან (მიგრირებული, მიგრანტი, ამანათებისგან).

რაიმე დანაშაულის: – ხშირ შემთხვევაში, მკვლელობის, ან სოციალური პრობლემების (ხშირად – მიწების უკმარისობის) გამო, როცა მთიელს თავის სოფელში „აღარ ედგომებოდა“ – მთის ტრადიციის მიხედვით, სხვა რომელიმე სოფელს შეარჩევდა და – „ამანათად“ მიდიოდა იქ.

ჯერ იმ სოფლის თავკაცებს სთხოვდა თანხმობას;

შეთანხმების შემდეგ, ამანათობის მსურველი და მასპინძელი – ხატში, ერთ საკლავს მიიყვანდნენ – მთელ სოფელს დაპატიჟებდნენ და – დეკანოზი საკლავს „სამწყალობნოდ დაჰკლავდა.“

ამის შემდგომ, ახალი სოფელი ხდებოდა ამანათის მფარველი: –

იცავდნენ მტრისგან, გაჭირვებაში ეხმარებოდნენ, პატივისცემით ეპყრობოდნენ და, ხანგრძლივი დროის განმავლობაში – სარჩოს და საცხოვრებელს უზიარებდნენ.

„ამანათად მისვლა“ – სუსტი გვარის მიერ ძლიერის მფარველობაში შესვლასაც ნიშნავდა.

ასეთ პიროვნებებს ეწოდებოდა: – „შამაყრილი,“ „შაკედლებული,“ „შამაფარებული,“ „შამახიზნული“ – „შაყრილ-შაკედლებული“.

ტრადიციის თანახმად: –

„შაკედლებულ“ და მფარველ გვარებს შორის „სასახლიკაცო“ ურთიერთობები მყარდებოდა;

ისინი – ჭირსა თუ ლხინში, საერთო საგვარო ინტერესების დამცველები იყვნენ.

შეხიზნული – ზოგჯერ, ინარჩუნებდა საკუთარ გვარს, ზოგჯერ – ამის საჭიროება არ იყო.

მისი შეცვლა, უმეტესად, დევნის შემთხვევაში ხდებოდა, როცა – „ამანათი“, მფარველი გვარის მიღებით, მტერსაც გზას უბნევდა და ძლიერი გვარის მფარველობასაც იღებდა.

„ამანათობა რომელიმე ოჯახის წევრად გახდომას არ ნიშნავდა.“

„მისი დაკმაყოფილება ხდებოდა საერთო სასოფლო ფონდიდან მიცემული მიწის ნაკვეთის ხარჯზე.“

„თვით საცხოვრებელ ფართობსაც კი სოფელი აძლევდა, ამ სოფლის სამოსახლო ადგილის ბოლოზე – რაც იმის გამომხატველი იყო, რომ იგი – ამ სოფლის „ამანათი“ და სოფლის საზოგადოების მორჩილი, მათი დაქვემდებარებული წევრი უნდა ყოფილიყო და არა აბორიგენის უფლებებით აღჭურვილი.“

„მკვიდრი მოსახლეობისადმი მისი დაქვემდებარებული მდგომარეობა მით უფრო შესამჩნევი იყო, თუ იგი რომელიმე ძლიერი გვარის მფარველობაში არ შევიდოდა; თავისივე გვარის სახელს დაიტოვებდა და რომელიმე გვარის ხელოვნურად შენათესავებულ ერთეულად კი არა – მხოლოდ სოფლის მფარველობაში მყოფად ითვლებოდა“.

ამანათი თუ მფარველის გვარს მიიღებდა, მთის კანონი – მათ შორის ქალის თხოვნას კრძალავდა.

იმ შემთხვევაში, როცა „შაყრა-შაკედლება“ მხოლოდ სუსტი გვარის მფარველობას გულისხმობდა და არა სუსტის ძლიერ გვარზე გადაწერას – დაქორწინება შვიდი თაობის წრეში იკრძალებოდა“ (ვალ. ითონიშვილი).

„შამკედლებელი“ გვარის თავკაცი – „შახიზნულს,“ ზოგჯერ, შვილად „ღებულობდა“.

ასეთ შემთხვევაში, როგორც ალ. ყაზბეგი გვამცნობს: –

„ყმაწვილმა კაცმა უნდა ამოირჩიოს სახლის უფროსი დედაკაცი და ძუძუზედ კბილი დაადგას; რასაკვირველია, იქ დამსწრენი უნდა იყვნენ – რომელთაც პურს აჭმევენ. ამ დღიდგან შვილობილი მთელის გვარეულობისაგან ნათესავად მიიღება.“

*

„ბუნების სიმკაცრეს შეჭიდებული მთიელი რით არ ცდილობდა ვარგისი მიწის მოპოვებას: –

ტყეს ტეხდა, კუნძებს ცეცხლით ძირკვავდა, ქვა-ღორღისგან ასუფთავებდა, პატივს აყრიდა, ყამირს სათიბად აქცევდა, მაგრამ სათადარიგო მიწის ნაკვეთი ან სათიბი ყოველთვის ჰქონდა ამანათისთვის.“

„თავ-სისხლის შემთხვევაში დამნაშავე მესისხლეებს გაერიდებოდა, ამანათად მივიდოდა მაგარ სიფელში, სადაც მოკეთე, ან კარგი მასპინძელი ეგულებოდა.“:

„ამანათის მიღება სოფლის სახელი იყო. მფარველობასაც გაუწევდნენ და დროებით სახნავ-სათესსაც გამოუყოფდნენ, ან ჯვრის მიწას მიარგებდნენ, ან საამანათოდ დატოვებულ სათიბებს.“

„თუმც სოფელი ამანათს გვერდში დაუდგებოდა, იგი მათთვის მაინც უცხო იყო, მორიდება და მოკრძალება მართებდა, როგორც შევრდომილს და შეფარებულს.“

„სოფელი ამანათის სამუდამოდ იქ დამკვიდრებასაც ერიდებოდა, რადგან იგი სახნავ-სათიბშიც, საძოვარშიც და წყალ-წისქვილშიც წილს ჩაიდებდა. ისედაც უმიწაწყლოდ შეწუხებულ ხალხს კი, ზედმეტი კომლი არ უნდოდა.“

„მიწის სიმცირე იყო იმის მიზეზიც, რომ ზესიძეს არ მიიყვანდნენ.“

„მამის სახლში მიბრუნებულ ქალს – შვილების თან მიყვანის ნება არ ჰქონდა“ (თ. ოჩიაური).

საჭიროების შემთხვევაში, „ამანათს“ ყველა სოფელი ღებულობდა, მაგრამ ზედსიძედ მისვლის საბაბით ცოლის ოჯახში გადასახლება, ხევში მიუღებელი და სათაკილო იყო.“

„უსახლკარო, დედისერთა ვაჟის სიმამრთან საცხოვრებლად გადასვლაც არ შეიძლებოდა, რადგან, ადათის საფუძველზე, ქალი მამის ოჯახის ქონებრივ მოწილედ არ ითვლებოდა: –

„ქალს არავითარი წილი არ ეძლევა მამის სახლიდგან და კაცს რომ ქალის მეტი არა ჰყვანდეს რა, იმისი სარჩო-საბადებელი ისევ შორეულ ნათესავს დარჩება, სანამ ქალსა“ (ალ. ყაზბეგი).

უფროს-უმცროსობის ტრადიცია
და
ქალის კულტი

მოხევეთათვის დამახასიათებელი იყო რამდენიმე თაობის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, ერთობლივი შრომის ორგანიზაცია, უფროს-უმცროსობაზე დამყარებული მმართველობის სისტემა და გაუყოფელი საკუთრება.

„დიდ ოჯახებში გაერთიანებული იყო სამი, ოთხი, ზოგჯერ კი ხუთი თაობის რამდენიმე საქორწინო წყვილი.“

„მრავალთაობიან ოჯახში შედიოდნენ სხვადასხვა თაობის პაპები და ბებიები, მამები და დედები, მაზლები... მულები და ბავშვები. არაერთი ამ ტიპის ოჯახი ითვლიდა 20-დან 50-მდე სულს, ზოგჯერ კი მეტსაც.“

„ჯერ კიდევ ალ. ყაზბეგმა თავის „ეთნოგრაფიულ ნარკვევში“ – გაუყრელობის მაგალითად დაასახელა სტეფანწმინდაში მცხოვრები ქუშაშვილების ოჯახი, რომლის რიცხოვნობა 54 სულს აღწევდა“ (ი. ახუაშვილი).

განუყრელი ოჯახის სათავეში იდგნენ: – უხუცესი მამაკაცი, „სახლის უფროსი“ და უხუცესი დედაკაცი – „დიასახლისი.“

ისინი მართავდნენ ოჯახს.

სახლის უფროსი – საკაცო და სამეზობლო საქმეებს განაგებდა.

დიასახლისი – დანარჩენ ქალებს ასაქმებდა და საკვებს ანაწილებდა.

ოჯახის უფროსს – სახლში, „სამარტო სკამი“ ედგა, რომელზეც მხოლოდ ის ჯდებოდა.

უფროსი დიასახლისის ადგილი კერის პირას იყო, მატყლით გატენილ „ქუნთაზე.“

„ახალ-უხლები“ – უფროსებს (ასაკოვნებს) განსაკუთრებული პატივისცემით, მოწიწებით ეპყრობოდნენ: –

უსმენდნენ, ანგარიშს უწევდნენ, ფეხზე უდგებოდნენ, გზას უთმობდნენ;

„მათ წინ გავლა არ შეიძლებოდა – შორით უნდა მოევლოთ.“

უფროსთა საზოგადოებაში – ახალგაზრდას ეკრძალებოდა სითამამე, ქარაფშუტობა, ბევრი ლაპარაკი.

მშობლების არპატივისმცემლებს „ერობა“ საჯაროდ გაკიცხავდა – თავისგან მოი-

კვეთდა, განდევნიდა – ღორღს მიაყრიდა.

„ძმები ძნელად ეყრებოდნენ ერთმანეთს;“

„თუ დედ-მამა ცოცხალი ჰყავდათ, მაშინ ხომ სულ შეუძლებელი იყო იმათი გაყრა.“

„სცხოვრობენ ბევრლჯერ ოცს სულ ჯალაბამდინ ერთად.“

„კაცებზედ უფროსობს და რიგს აძლევდა მამა, ქალებზედ დედა.“

„ოჯახის გაყოფის დროს გვარის უხუცესს სიკვდილამდე ზედმეტ სახნავ-სათესს აძლევდნენ („გორის უფროსის ყანას“), რომელიც შემდეგ მორიგ უხუცესზე გადადიოდა.“

„დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ქონებას ვაჟიშვილები იყოფდნენ. თუ უფროს ძმას უმცროსების აღზრდაში რაიმე წვლილი მიუძღვოდა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ეძლეოდა მას ზედმეტი წილი: –

საყანე მიწის ნაკვეთი, ან საქონელი.

მეცხვარე ძმას ეძლეოდა „საჯოხე“ (მწყემსის ჯოხი), ასიდან ოცი ცხვარი, ან შეკაზმული ცხენი;

მხვნელ-მთესველ ძმას გუთანს უთმობდნენ (ალ. ყაზბეგი).

*

ხევში უხსოვარი დროიდან ბატონობდა ქალის კულტი.

სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების დროს – თუ ქალი მოწინააღმდეგეთა შორის მანდილს („მერდინს,“ თავშალს) ჩააგდებდა – მამაკაცები იარაღს ყრიდნენ.

განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობდა რძალ-დედამთილს – რძალ-მამამთილსა და ოჯახის სხვადასხვა ასაკის წევრებს შორის.

ბუნებით კონსერვატორი მოხევეები – დღესაც, მამა-პაპათა ადათის დამცველნი არიან.

საკუთარი ყოფის ნორმებს – ხშირად შორეული საუკუნეების არშინით ზომავენ;

მტკიცედ იცავენ ტრადიციულ შეხედულებებს.

სახელის მოხვეჭის ტრადიცია

ღირსეული თვისებებით შემკობილ „ჩამამავლობა-ჩამადევნებას“ მოხევეები „ჯიშიანს“ უწოდებენ – უვარგისს, „უჯიშოს.“

„ჯიში“ მამის ხაზით არსებული ნათესაობის ღირსების მაჩვენებელია;

„ჯილაგი“ – დედის ნათესაური შტოს მახასიათებელი.

ჯიშის და ჯილაგის მონაცემთა შეჯერებით ფასდებოდა როგორც გვარის, ისე პიროვნების ღირსებები;

განსჯა ხდებოდა: –

„ჩამამავლობა-ჩამოდევნების“ საზოგადოებრივი მდგომარეობით;

თემის წინაშე დამსახურებით;

მორალური და ფიზიკური მაჩვენებლებით.

პიროვნების მორალური ღირსების საზომი იყო: –

„მოკეთეებისადმი“ მისი დამოკიდებულება; გვერდში დგომა, კეთილსინდისიერება, ერთგულება, მოხუცების პატივისცემა, „კაცის-კაცობის“ პრინციპების დაცვა“ (ვალ.

ითონიშვილი).

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“

„ერთხელ ნაშობი, ერთხელ მოკვდების! მაგრამ ვაჟკაცად კი მოკვდი... ისე რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს...“

ალ. ყაზბეგის ეს მოწოდება, თითოეულ მოხევეს – „აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთს პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახობის გამაპატიოსნებელი, თუ დამამცირებელია.“

რამდენიც მეტი გამოჩენილი პიროვნება ეყოლებოდა გვარს – იმდენად უფრო ჯიშიანად ითვლებოდა;

რამდენიც მეტი ჩაიდენდა სამარცხვინო საქციელს – იმდენად დაბლა ეცემოდა საგვარეულოს ავტორიტეტი.

საქართველოს სამეფო კარი და ფეოდალები ერთგული ხალხის წარმოჩინებას სხვადასხვა პრივილეგიებით – ხშირად, მონათვლით – „ნათელ-მირვნობით“ ცდილობდნენ, მაგრამ (უმეტეს შემთხვევაში) „ნათლულნი“ – რიგით კაცებად დარჩნენ.

მათი სახელი ხალხურმა მეხსიერებამ არ შემოინახა, რადგან – მთაში, მთავარი – ბატონისგან ბოძებული პატივი კი არა – ვაჟკაცობა იყო.

კარგი ყმის სახელის მოპოვება კი, ძნელი.

„კაცის კაცობის“ მაღალ რეიტინგს – ბევრი ვერ სწვდებოდა, იმის მიუხედავად, რომ – ყოველი მეორე, სახელისა და ვაჟკაცობისათვის იბრძოდა“.

ადამიანურ და ვაჟკაცურ ღირებულებებს („სახელ-სირცხვილის“ ფენომენს) – მთიელისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

თემობის დაფასების წადილი („სახელის ძიება,“ „სახელის ქნა“) – თითოეული მათგანის უმაღლესი მოწოდება იყო და მოხევეც – სახელის მოსახვეჭად, ხშირად, შეუძლებელს აღწევდა.

ხევის თითოეულ სოფელს, თემსა თუ გვარს, თავისი სახელოვანი წინაპარი ჰყავს.

მათი საგმირო საქმენი – ხალხს სათუთად აქვს შემონახული: –

ღურბელას მოქმედებამ ფიცხელაურებს ჯიშიანობის ტიტული შესძინა.

მისი ღვაწლით მოპოვებული სახელი – გვარს კიდევ უფრო განუმტკიცა გოჩა ფიცხელაურმა.

მისი დიდებული პორტრეტი შექმნა ალ. ყაზბეგმა – თხზულებაში „ხევისბერი გოჩა.“

სნოს გმირობამ და ვახტანგ გორგასალთან მისი „ნათელ-მირვნობის“ შესახებ არსებულმა თქმულებამ – ღუდუშაურების საგვარეულოს ჯიშიანობის სახელი დაუმკვიდრა.

შემდგომში, ის უფრო განამტკიცეს – შარამბალ და სურხავ ღუდუშაურებმა, მღვდელმა ბართლომე ღუდუშაურმა და – რასაკვირველია, მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ.

სახელგანთქმული ვაჟკაცები იყვნენ: –

სტეფანწმინდელი იასე ხეთაგური და ქუშეთ ნინიაი;

კარკუჩელი გლახა ყამარაული; „სივანელი“ სისაური; გორისციხელი ავსაჯანა; ახალციხელი: – ქერა, ფადიაური და ხაფანას შვილი ივანე (ბუჩუკური).

მათზე უამრავი სახოტბო ლექსი და გადმოცემაა შემონახული.

როგორც ცნობილია: –

სახელმოხვეჭილ ვაჟკაცებს თემი გარკვეულ ეკონომიურ კეთილდღეობას და სოციალურ პრივილეგიას ანიჭებდა.

ვერდიქტი: – „სიფრო უწევარი და ქალი უთხოვარი“ – მათ, ხევის ნებისმიერ ოჯახში გამართულ წვეულებაზე დაუპატიჟებლად მისვლას და უცოლო კაცისთვის – სასურველი გაუთხოვარი ქალის მითხოვებას ითვალისწინებდა.

ასეთი პრივილეგია მინიჭებული ჰქონიათ: – თადოშვილებს, ავსაჯანიშვილებს... სოფელ გერგეტის მკვიდრთ (როგორც წმინდა სამების ყარაულებსა და სათემო დღეობების რიგის მიმცემთ)... ყაზბეგებსაც, „თავიანთი სოციალური მდგომარეობის შემწეობით,“ მაგრამ – ისინი, „ამ უფლების გამოყენებაზე თავს არ იწუხებდენ, მოხევეთა სუფრაზე დასწრებასაც უკადრისობდნენ და მათთან დამოყვრებასაც გაურბოდნენ“ (ვალ. ითონიშვილი).

თემისთვის თავდადებულ გმირებს მოხევეები ხოტბას ასხამდნენ;

მათ შესახებ ლექსებს თხზავდნენ და მომავალ თაობებს გადასცემდნენ;

დეკანოზები – ქება-დიდებით იხსენიებდნენ;

მანდილოსნები – ლოცავდნენ.

„სამან-სამძღვრის“ ხელშეუხებლობის ტრადიცია

საზღვრის ხელშეუხებლობა ხევის ძველთაძველი კანონია.

მოხევეები ოდითგან იცავენ ამ ტრადიციას.

თითოეულ გოჯ მიწას თავისი პატრონი ჰყავს და ყველა ოჯახი იცავს – ქვეყნის, მეზობლისა, თუ თანასოფლელის მიჯნას.

საზღვრებს – ადათი არეგულირებდა და მიწის თითოეულ მონაკვეთს სისხლის ფასი ჰქონდა.

მისი დარღვევა მძიმე ცოდვა იყო; ყველა ცდილობდა მის დაცვას და საზღვრის ხელშეუხებლობის ტრადიცია თაობიდან-თაობას გადაეცემოდა.

უფროსები უმცროსებს გადასცემდნენ და ასწავლიდნენ: –

„ეს ჩვენი მიწაა, ის უცხოთა...“

„უნებართვოდ საზღვარს არ უნდა გადასცილებოდნენ, სხვათა ადგილებში არ უნდა მოეთიბათ, არც საქონელი გაეშვათ და არც ენადირათ.“

პატივი უნდა ეცათ როგორც თავისი, ისე მეზობლის ადგილისათვის.

თუ დავა მაინც ატყდებოდა, ხატში დაფიცებით აგვარებდნენ – დროშის თანდასწრებით.

კერძო საკუთრებასთან ერთად ხევში არსებობდა – საგვარო, სასოფლო და საკომლო მიწები.

საერთო მფლობელობა – სოფლის საძოვრებით იყო წარმოდგენილი.

ზოგიერთ შემთხვევაში, მათზეც იყო შემონახული საგვარო საკუთრება.

სახნავ-სათესი მიწები კომლობრივად იყო დანაწილებული, მაგრამ მათი გასხვისების შემთხვევაში, ზოგჯერ, თავს იჩენდა ხოლმე გვაროვნული საკუთრების ნიშნებიც.

საერთო საკუთრების მოვლის და თანაბარი მოხმარების მაგალითს წარმოადგენდა – სოფლის ტყის დაცვასთან დაკავშირებული „ტყის დაკეტვის“ გადაწყვეტილება.

ხევის გაგა, ხევსბერი,
მესისხლეობის ტრადიცია და „სამან-საყუდი“

ხევის – სამივე (თრუსოს, თერგის და სნოს ხეობების) თემს – სათავეში ედგა ხევისბერი, რომელსაც ხალხი ირჩევდა.

უფრო ადრე, თემის მეთაურს ერქვა ხევის გაგა.

იგი, ხალხისგან ერთხმად არჩეული – ნდობით აღჭურვილი მმართველი იყო „მთლად ხევის თემობაჩი.“

(დიდი პატივისცემის ნიშნად, მოხუცებს – ხევში, გაგათი მიმართავდნენ).

მის ფუნქციებში შედიოდა ყველა სათემო საქმე: –

იყო „მოძღვარი, ლაშქართბელადი და კანონმდებელი ერობისა;

მოციქული ღმერთსა და ხალხს შორის;

მომწესრიგებელი და კანონმრჩეველი მთელი თემისა და ჯამაათისა – ყოფაცხოვრების ყოველგვარ საკითხში.

მისი განსაკუთრებული საზრუნავი იყო, მოსისხლე საგვარეულოთა დაზავება – რადგან, დროთა განმავლობაში, სისხლის აღება მომაკვდინებელ ადათად იქცა.

შურისძიება თაობიდან თაობაზე გადადიოდა და აურაცხელ უდანაშაულო მსხვერპლს იწირავდა.

„მოსისხლედ ჩამომდგარი“ გვარები ვეღარ ჩერდებოდნენ, ვეღარ წყვეტდნენ ურთიერთმუსვრას – რომელსაც საუკეთესო ვაჟკაცები ეწირებოდნენ.

საქმე იქამდეც მისულა, რომ სოფელი – „გორის გუშაგის“ გამოყოფას ვეღარ ახერხებდა.

მათზე განკუთვნილ საგუშაგო კოშკებს – „მოხუცნი-ღა სდარაჯობდნენ...“

სისხლი მოეთხოვებოდა მკვლელს და მის ოჯახს.

მტრობდნენ „მეხელის“ დედიძმებს და ბიძებსაც, მაგრამ, ტრადიციის თანახმად, შურისმაძიებელი მათ არ კლავდა – დაჭრიდა ხოლმე.

საკუთარ გვარში სისხლს დაღვრას – მოხევეები გაურბოდნენ, მაგრამ სხვათა სისხლის აუღებლობა არ შეიძლებოდა; დიდი სირცხვილი იყო და მოხევე მას არავის შეარჩენდა.

მკვლელზე – შური ძმებს და ბიძაშვილებს უნდა ეძიათ.

ტრადიციას არავინ ღალატობდა; თემის ინტერესები კი – ხშირად, დაზავების ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა – რათა რომელიმე გვარი სრულ მოსპობამდე არ მისულიყო.

*

„მეხელე“ და მისი ოჯახი მკვლელობისთანავე იხიზნებოდა, რათა მოკლულის პატრონებს დარბევა აეცილებინათ თავიდან.

დასარბევად წამოსულებს, „მეხელის“ ახლობლები (შუაკაცებს მეშვეობით) მიაგებებდნენ კურატს, ცხვარს... და შერიგებას სთხოვდნენ.

მერე – ორივე საგვარეულო მსაჯულებად ირჩევდა საპატიო მოხუცებს, რომლებიც, მკვლელობის ყველა გარემოების გათვალისწინებით – სისხლის საზღაურის რაოდენობას ადგენდა.

მისი გადახდა შესაძლებელი იყო როგორც ფულით, ისე საქონლით.

შუაკაცები – მოსისხლე ოჯახებს შორის მანამ დადიოდნენ, სანამ მათ შერიგებაზე თანხმობას არ მიაღწევდნენ.

ამის შემდგომ – მკვლელი და მისი ნათესაობა მოკლულის საფლავთან იყრიდა თავს: – „მუხლის კვრით“ დგებოდნენ (იჩოქებდნენ), ჩადენილ დანაშაულს ინანიებდნენ და პატიებას ითხოვდნენ.

მერე (როცა შერიგების პირობა უკვე მიღწეული იყო), მიცვალებულის პატრონებიც საფლავზე მიდიოდნენ – ორივე მხარე შესანდობარს იტყოდა და ამის შემდეგ – ბჭეთა უხუცესი გამოაცხადებდა, რომ დაპირისპირებულ მხარეთა შორის მტრობა მოისპო.

იქვე – ყველას თანდასწრებით ხდებოდა სისხლის საფასურის გადახდა.

მერე – ყველა მოკლულის სახლში მიდიოდა – სადილზე, რომელიც მკვლელის ხარჯზე იმართებოდა.

მკვლელი და მისი ნათესაობა მოკლულის სახლთან მუხლის კვრით დგებოდა და ოჯახში ჩოქვით შედიოდა.

სადილზე, სადაც მოკლულის ყველა ნათესავი იყო მიწვეული, ორივე მხარის წარმომადგენლები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ; მოკლულის დედას მკვლელი „დედობას“ ეტყოდა (ძუძუზე კბილს დააჭერდა) და ამით შერიგების რიტუალი მთავრდებობა.

(ვინც სადილს არ დაესწრებოდა, შურისძიების გაგეძელება შეეძლო).

*

როცა სისხლი „მძიმე“ იყო და სოფლის თავკაცები დაპირისპირებულთა დაზავებას ვარ ახერხებდნენ, გაგას ჩარევა ხდებოდა საჭირო. მის სიტყვას უდიდესი ძალა ჰქონდა – მაგრამ ხალხის მიერ არჩეული „ბჭეთუფროსის“ უფლებებიც განსაზღვრული იყო – ადათით დამკვიდრებული კანონებით.

„ერობის კანონმდებელი“ სათათბიროდ არ დაჯდებოდა, თუ ორივე მოსისხლე გვარს „ათავებული არ ჰქონდა საშუღლო აზარი,“ ანუ – დაპირისპირებულ მხარეებს უმეტნაკლებოდ უნდა ჰქონოდათ გაღებული მსხვერპლი.

„გარჯულვა“ რომ მიუკერძოებელი ყოფილიყო, აუცილებელი იყო ბჭეების და მოსისხლე „გორების“ ურთიერთდამოკიდებულების კარგი ცოდნა.

გაგა – თავდაპირველად, მოსისხლე გვარების თავკაცებს იხმობდა; დაიყოლიებდა მათ და „ულვაშნაფიც სიტყოს“ იღებდა, იმას თაობაზე რომ – ისინი შერიგების მცდელობას არაფერს დააკლებდნენ.

„მათი სიტყვა არ გატყდებოდა.“

შესარიგებლად სპეციალური ადგილი იყო გამოყოფილი „სამან-საყუდის სახელწოდებით,“ სოფელ სათარგმნოს მიმდებარედ – იქ, სადაც დღეს, სტეფანწმინდის ქვემო უბნის სახლები – მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და გამგეობის შენობაა განთავსებული.

ტერიტორიის სიდიდე ერთ ჰექტარს აღწევდა – შემოზღუდული იყო ქვის მაღალი გალავნით. აღმოსავლეთით და დასავლეთით ჭიშკრები ჰქონდა – მუდმივად დაურდულებული.

მათი გასაღები ხევის გაგასთან ინახებოდა.

მოსისხლეთა თავკაცების დაფიცების შემდეგ, უახლოესი ხატობის ალიონზე, სოფელს აღვიძებდა ბუკის ხმა – კოშკის თავზე გადმომდგარი, თეთრად შემოსილი

მაცნისა, რომელსაც ხელთ წვრილი ზანზალაკებით ახუნძლული ხის შუბი ეპყრა.

ეს სასიხარულო ნიშანი იყო;

სოფელი სამზადისს იწყებდა.

როცა დილის მზე – ყუროს კლდეს „ორი შუბის თავზე“ ასცდებოდა, „ხევის პატრონის“ სამყოფს – ორი შუბოსანი გუშაგი გააღებდა და იქიდან – მედიდური ნაბიჯებით, მწიფე შვინდისფერი წამოსასხმით შემკული მოხუცი გამოდიოდა, რომელსაც ხელთ საუფლებო კვერთხი ეპყრა.

გაგა – ხმის ამოუღებლად მიემართებოდა „სამან-საყუდის“ გალავნისკენ.

კვალში მიყვებოდა, ქუდმოხდილი და შეიარაღებული – ერთმანეთის მოსისხლე ვაჟკაცების ორი მწკრივი, რომლებიც სრულ სიჩუმესა და წესრიგს ინარჩუნებდნენ.

მდუმარე პროცესია „სამან-საყუდის“ აღმოსავლეთის ჭიშკარს რომ მიაღწევდა – დამსწრეთ ადგილზე აქვავებდა ხევის გაგას ჰაერში აღმართული კვერთხი.

მისი სიტყვა მოკლე და დამაჯერებელი იყო: –

„ხალხნო და ჯამაათნო, გესმოდეთ!“

„მშვიდობის ანგელოზმა ამ ორ გორჩი სამტრო ხმალ-სატევარი შუა გასტეხა; თქვენის დასწრებითა და ჩემის დალოცვით – მაგათ, ერთურთჩი მტრობის სათემო სამანი უნდა ჩავუყაროთ.“

„აგრე სურს ღმერთსაც და ჩვენც.“

„ამინ, აგრე იყოს!“

„შეკავებული გუგუნით ეხმიანებოდნენ დამსწრენი ხევის მმართველს.“

ამის შემდგომ – გაგა, დასავლეთისკენ იბრუნებდა პირს.

ამ ნიშანზე სამან-საყუდის აღმოსავლეთის კარი იღებოდა: –

ორი თმაგაშლილი (გლოვის სიმბოლიკით), თეთრად შემოსილი, 10-12 წლის გოგო – ხევის პატრონს მუხლმოყრილი ეგებებოდა და მცირე ტაბლას მიართმევდა, რომელზეც – პური, მარილი და დოქით სუფთა წყალი იდგა.

ერობის თავკაცი ტაბლას დალოცავდა – პურს გატეხდა, მარილს მოაყრიდა, ლუკმას შეჭამდა – ერთ ყლუპ წყალს დააყოლებდა და აღავლენდა ლოცვას: –

„გვარიდას ღმერთმა ერთურთის სისხლი და ფიცის გატეხა!“

„სასახელოზე გვაცოცხლას და სავაჟკაცოზე დაგვხოცოს!“

„ამინ, აგრე იყოს!“ – ეხმიანებოდნენ გაგას მოსისხლე გვართა თავკაცები.

ამის შემდგომ – პროცესია მიემართებოდა „ერობის თავყადისკენ“, სადაც ხევის პატრონი საქმის „გარჯულვას“ იწყებდა.

დამსწრენი ორ მწკრივად შემოევლებოდნენ საბჭეო ადგილს.

მოსისხლე გვართა თავკაცნი – ბჭეებს საგორეულოთა სახელით ამცნობდნენ – „მოშუღართა შერიგების სურვილს“; იმას რომ – „მოსისხართ“ ერთმანეთში კეთილი დამოკიდებულების „დადგენა სურთ“; ორივე გვარს რომ თანასწორად აქვს „გაღებული მსხვერპლი“ – „საშუღლო აზარი ათავებული“ აქვთ; მზად არიან, „სამტრო ხმალ-სატევარი გატეხონ, ადგილის დედას მიაბარონ და მიწაში ჩამარხონ“ – რათა:

„ცოდვა მიწამ ზიდას“ და გვარი სისხლის სიმძიმისგან განსპეტაკდეს“.

ამ რიტუალის შემდგომ, ბჭეები – საგვარეულოთა წარგზავნილებს ხმალზე აფიცებდნენ; მერე – მარტონი რჩებოდნენ; საქმეს „გარჯულავდნენ“ და გადაწყვეტილების მიღებისთანევე – დამსწრეთა თანხლებით, „სამან-საყუდისაკენ“ გაემართებოდნენ.

ითხრებოდა მეტრამდე სიღრმის ორმო – რომელთანაც ხევის გაგა ლოცვის აღვლენდა და მოსისხლე „გორების“ თავკაცებს თავისთან იხმობდა.

ისინი ცალ მუხლზე იჩოქებდნენ.

ხევის პატრონი, ორივე მხარეს – თავზე ხელისგულებს ადებდა და მიმართავდა: –

„ღმერთი ლოცავდეს თქვენს კეთილ სურვილსა! დღეის ამას იქით ამ ორ გორს შუა მშვიდობის ანგელოზი მოციქულობდეს და იგივ გფარვიდესთ ავისაგან. ერთურთის სამტრო ხმალ-სატევარი ვადაშიმც გაგითხტებოდესთ. სიფრო და ქალ-უკითხავნი იყავით ერთურთჩი. ფიცის გამტეხს მოღალატის სამანიც ჩასყროდეს საშვილიშვილოდ!“

„ამინ, აგრე იყოს!“ პასუხებდნენ მტრადყოფილნი.

ამის შემდეგ, გაგა შუაზე გადატეხდა ხმალს, ორმოში აგდებდა და წყევლიდა: –

„მიწამ ზიდას ის ცოდვა, რაც ძმათა საშუღლოდ დაგიღვრია, წყეულო!“

მუხლმოყრილი მტრადყოფილები ფეხზე დგებოდნენ, ერთმანეთს ხელს ართმევდნენ და მიმართავდნენ: –

„ერთურთჩი სამტროდ გაღვიძებული ხმალ-სატევარი ვადაშიმც გოდოგვიტყდების, სამტრო მარჯვენა მიწამ ჭამას!“

ნამტრობი გვარები ერთმანეთში ხმლებს ცვლიდნენ – გადატეხენ, ორმოში ჩაყრიდნენ და მიაძახებდნენ: –

„წყეულიმც იყავ, ძმათა სისხლის დამღვრელო – მიწამ გზიდას ორგზის ცოდვიანო.“

აღნიშნულის შემდგომ, „კაცნი“ – მტრადყოფილი გვარებისა, „სამანის ორმოს განერიდებოდნენ“ და ადგილს დედაკაცებს უთმობდნენ.

იწყებოდა ქალთა რიტუალი: –

ისინი, ხმისამოუღებლად – მკაცრი წესრიგის დაცვით უახლოვდებოდნენ დამტვრეული იარაღით ამოყორილ ორმოს და, ამ სასიხარულო ფაქტის აღსანიშნავად – სწირავდნენ ყველაზე ძვირფას ნივთებს, რაც გააჩნდათ.

ყველაფერს ნამუსრ იარაღს აყრიდნენ.

ამ ცერემონიალის შემდგომ, კოშკზე მდგარი მაცნე, ბუკის განსაკუთრებული ხმით ამცნობდა სოფელს სასიხარულო ამბავს; ჩამოვიდოდა კოშკიდან, სამანის ორმოსთან მივიდოდა – გადატეხდა თავის ზარ-ზანზალაკებიან ხის შუბს და ორმოში აგდებდა.

ეს უკვე დასასრულის დასაწყისი იყო.

ხევის გაგა ორმოსთან მიდიოდა და ერთ მუჭა მიწას მიაყრიდა.

ამას იმეორებდნენ სხვებიც... ვიდრე ორმო მიწით ამოივსებოდა.

ბოლოს – მასში, სხვადასხვა ზომის სამ გრძელ ქვას ჩაფლავდნენ და კარგად დატკეპნიდნენ.

ამას ეწოდებოდა „სამანი;“

იმ ადგილს კი, სადაც შერიგების ცერემონიის ორმო კეთდებოდა – „სამან-საყუდი.“

ტრადიციული რიტუალის დასრულების შემდეგ, გაგა, დამსწრეთა თანხლებით, თერგის სანაპიროსკენ მიემართებოდა – დასავლეთის ჭიშკრით, სადაც უკვე – თმაგაშლილების ნაცვლად, იმავე ასაკის გოგონები (ბედნიერების სიმბოლიკით) დაწნული თმებით – უხვი საკვებით და ლუდით სავსე კათხებით გაწყობილ ტაბლასთან ეგებებოდნენ.

მირთმეულ კათხას – გაგა „თავს გადაუქცევდა“ და მტრობით დაღუპულთა სულებს შეინწყალებდა: –

„წყალმა ზიდას, დღეის ამას იქით, თქვენი მტრობაცა და ნაშუღლარიცო“ – იტყოდა, გალავნის იქით გადააქცევდა ლუდს და სწრაფი ნაბიჯით გაემართებოდა დასავლეთის ჭიშკარისკენ.

ამით სრულდებოდა დაზავების რიტუალი.

სოფლის შუაგულში იმართებოდა სათემო ნადიმი...

ზემოაღნიშნულის შემდგომ, მტრადყოფილი გვარები ერთმანეთში დამოყვრებას ცდილობდნენ, რათა მათი შერიგება ნამდვილი ნათესაური კავშირით გამყარებულიყო.

*

ხევის გაგას ფუნქციები, დროთა განმავლობაში, ხევისბერებზე გადავიდა.

მოსახლეობა ხევებად დაიყო და თითოეულ ხევს – სათავეში, ხალხის მიერ არჩეული ხევისბერი ჩაუდგა.

„ძეგლის დების“ მიხედვით (გიორგი ბრწყინვალე, 1314-1346 წ.წ.), ხევისბერი – „ლაშქართ თავადი“ (მეთაური) იყო; იერარქიულად – ერისთავის და განმგებლის შემდეგ ფიგურირებდა; მისი და განმგებლის სისხლის საურავი თანაბარი იყო.

ხევისბერს – დროშა და ციხე ებარა.

მისი მთავარი მოვალეობა ლაშქრის შეგროვება და მეთაურობა იყო.

„ხევისბერს დარბაზით – ლაშქართ თავადობა ჰბოძებიაო“ – გვამცნობს „ძეგლის დება“ (მუხლი „ი“).

ციხეების დაცვა და მეთვალყურეობა ციხისთავებს ევალებოდა;

მათვე ემორჩილებოდა მეციხოვნე ჯარი.

ხევისბერი და ციხისთავი ადგილობრივი ხელისუფლება იყო, რომელიც მეფის მიერ დანიშნულ მმართველ ერისთავს ემორჩილებოდა.

ერისთავის თანაშემწეს გამგებელი ერქვა.

მათ მოვალეობას შეადგენდა სამეფო კარის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა, ლაშქრის წვევა და ხარჯების აკრეფა.

ხევის შინაურ თემობრივ საკითხებში ისინი არ ერეოდნენ.

ამას ხევისბერი და სათემო საბჭეო განაგებდა.

თემობა და სათემო საბჭეო

თემობა (ერობა, ხევობა) – ხევის უზენაესი ორგანო იყო.

რაიმე საჭირბოროტო საკითხის გამო ინიშნებოდა და ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ხევის ცხოვრებაში.

მასზე (სახალხოდ!) განიხილებოდა თემის ავ-კარგი; ირჩეოდა სადვაო საკითხები და, ადათ-წესების მკაცრი დაცვით, მიიღებოდა გადაწყვეტილება.

ერობის დროს ხდებოდა წმინდა დროშის – „ორუყის“, გამობრძანება.

მას რომ შეხებოდნენ – თემის თავკაცნი (ადათის თანახმად), ორი კვირა ემზადებოდნენ.

ამ პროცედურას „საწმინდრად გასვლა“ ეწოდებოდა და მთელი რიგი წესების

დაცვას ითვალისწინებდა: – განდგომილ ცხოვრებას, რიტუალურ განბანვას და ა.შ.

„გერგეტის სულთა მატიანე“ გვამცნობს, თემობის მიერ „კრებულობის“ გამართვის თაობაზე მიღებულ ერთსულოვან გადაწყვეტილებას: –

„შევიყარენით ჩვენ ერთ კრებულნ ერთსულად, დავდევით საჩივარი და კრებულობაი საყდრის წინაშე განვიკითხენით...“

„განკითხვა-საჩივრის“ საგანი „კრებულობის“ გამართვის ადგილი ყოფილა, რადგან სადავო გამხდარა – სად უნდა მომხდარიყო შეკრება: – „სოფელს,“ თუ „საყდრის წინაშე.“

„გერგეტის საბჭეოს“ აგებამდე „სოფლად შეკრება იყო დადგენილი“ (ჯერ სათარგმნოში, შემდეგ, სტეფანწმინდასა, გარბანსა და სნოში).

საბჭეოს აგების შემდგომ, „საყდრისწინაშე“ გადაწყდა მისი „გამართვა“, მაგრამ – კრების იქ მოწვევას – საერთო, საზოგადო საკითხი უნდა „ჰქონოდა საგნად“ („ჭირი“! ანუ გასაჭირი) – რადგან „ადგილი ესე“ – „საღმრთოდ“ იყო მიჩნეული.

*

„წინადგანვე ყოველი საქმე თემის ყრილობით გადაწყდებოდა ხოლმე და მოხევისათვის შეუძლებელი იყო, რომ არ დამორჩილებოდა ამგვარს ხალხის გადაწყვეტილებას.“

„გადაწყვეტილების მეთვალყურენი იყვნენ ერობის დეკანოზები და მათი მეუფროსე, მთელის თემობის უფროსი ხევისბერი. ხევისბერი მიემსგავსებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტს... ბრძოლის დროს – სრული თვითმპყრობელობის უფლება ეძლეოდა“ (ალ. ყაზბეგი).

„როდესაც ასტყდის ერობაჩი დიდ-დავა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას აქიდ გამართავინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით სახელდებულნი, დასხმინ მათ იმ სენაკჩი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენ ჰსთქმიან, გადასჰსჭრიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან“ (ილიას ლელთ-ღუნია).

„იქ იყო ხოლმე თემის ყრილობა. იქ გადასწყვეტდნენ თავიანთ საქმეებს, იქ გაასამართლებდნენ მომჩივრებს და არცერთი მოხევე არ გაბედავდა, წინააღმდეგობა გამოეჩინა იქ გადაწყვეტილის ხალხის ნებისათვის“.

„თემობას თავისი საზოგადოება ერთს ოჯახად მიაჩნდა და ყოველი თითოეულის წევრის უბედურება საერთო ზარალად, საერთო დანაკლისად მიიღებოდა.“

„თემობა თავს მოვალედ ჰხდიდა – დაეცვა სარგებლობა თვითოეულის წევრისა, ეზრუნა მისთვის და ყოველ შემთხვევაში გამოსარჩლებოდა.“

„თემი თითოეულს წევრს ისე უყურებდა, როგორც შემადგენელს ნაწილს მთელის ერობისას და მის ტკივილში საერთო ტკივილი გამოითქმოდა“ (ალ. ყაზბეგი).

*

გერგეტის სამებაში შეიკრებილი მოხევეების დალოცვა-დამწყალობნების პროცესს ალ. ყაზბეგი აღწერს – არაგვის ერისთავის წინააღმდეგ საომარი სამზადისის დროს:

„მთავარ დროშასთან, რომელიც თავზე მიმაგრებული ჯვრით, ტაძრის გალავანში ფრიალებდა, თეთრჩოხა მედროშეებმა სასოფლო დროშები მოიტანეს და რამდენიმე

წუთის შემდეგ, მთავარ დროშას გარს შემოახვიეს.“

„ხევისბერს თეთრი პერანგი ეცვა, მასზე ქამრად შემოჭერილი უბრალო თოკით.“

„მუხლმოყრილი ხალხი შეაკრთო მის მიერ შერხეული დროშის ზარების წკრიალმა.“

დამსწრეთ დალოცვის შემდეგ, „ხევის პატრონმა“ მათი დამწყალობნება დაიწყო: – „ვისაც სათემოდ თავი გამოეჩინა და შრომა და ჯაფა არ დაეშურვებინა თავის ხალხის კეთილდღეობისთვის.“

დაამწყალობნა: –

„ვინც მტრის განსადევნად მდევარში პირველი გასულიყო“;

„ის ვაჟკაცნი, რომელნიც იარაღს გამართულს ინახავდნენ და დაამთავრა უფლის ვედრებით – რომ მას, ხევზე ხელი არ აეღო, ყოფილიყო მისი მფარველი – ყოველს გაჭირვებაში მრავალჟამიერ“ („ხევისბერი გოჩა“).

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

მოხევეთა ცხოვრებას, ძირითადად, სათემო საბჭეო განაგებდა.

მის შემადგენლობაში იყვნენ – „კითხულნი, თავდღიანი, სიტყვა-პასუხიანი“ – თემის უხუცესი წარმომადგენლები, „ბჭეები,“ გამორჩეულნი თავიანთი სიდარბაისლით, ჭკუითა და სამართლიანობით – რომლებმაც კარგად იცოდნენ ხევის ადათ-წესები, „გარდასულ დღეთა“ სასახელო, თუ სამარცხვინო ფაქტები.

მათ ირჩევდნენ გარკვეული ვადით.

სათათბიროდ გამოყოფილი ჰქონდათ სპეციალური ნაგებობა – „სათემო საბჭეო“.

მკვლელობის და „ჭრა-ჭრილობის“ გარდა „ბჭეებს“ ეკითხებოდა ქურდობის და მრუშობის საქმე; მამულების, საქონლის თაობაზე აღმოცენებული დავა და სხვ.

მრუშობაზე – უმკაცრესი სასჯელი გამოჰქონდათ – ჩაქოლვა (ჩაღორღვა).

დამნაშავეებს – საჯაროდ, ხიდის ყურზე, ან გზაჯვარედინზე ჩაჰქოლავდნენ, რათა ყველას ენახა და მსგავსი რამ არ ეკადრა.

სათემო საბჭეო და ხევისბერები XIX საუკუნის ბოლომდე არსებობდნენ.

შემდეგ დაიწყო ტრადიციების რღვევა.

ხევისბერები – დეკანოზებთან და თემის ბჭეებთან ერთად, რუსებმა მხოლოდ ადათობრივი კულტის მსახურებად აქციეს.

ხევის დეკანოზები და მნათეები

თემის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ დეკანოზები.

ისინი წარმოადგენდნენ რელიგიური კულტის მსახურებს.

ევალებოდათ – სადღესასწაულო რიტუალების წარმართვა, მსხვერპლთ შეწირვა და მლოცველთა დამწყალობნება.

ალ. ყაზბეგის ცნობით, მათი მოვალეობა იყო: –

„დროშებისა და ხატების გასვენება, იმათ საუნჯის შენახვა და დამალვა ისეთს ადგილებში, სადაც სხვისი ხელი და თვალი ვერ მისწვდება.“

„დეკანოზად შეუძლიან გახდეს მხოლოდ ის, ვისაც ხატი გამოითხოვს, ე.ი. ვისაც ქადაგად დასცემს.“

„ყოველ დღეობის წინად დეკანოზები გადიან საწმენდად სოფლის გარედ და იქ ყოველდღე იბანენ ტანს;“

„საჭმელ-სასმელს სოფლის ხალხი უზიდავს...“

„დეკანოზებს ყოველთვის ლოცვის დროს დროშა უჭირავთ ხელში და ამ დროშას შებმული აქვს ზედ შეწირული შანები, ხატები, უღლები და ზარები. ამ დროშებს ძველადგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და ყოველთვის ომის დროს ხალხი იმათ წინ გაიძღოლებდა ხოლმე“ (ალ. ყაზბეგი).

როგორც ს. მაკალათია გვამცნობს: –

დეკანოზებს – სოფელი ან თემი, გვარების მიხედვით, მორიგეობით ირჩევდა.

„მორიგე გვარი დეკანოზად ორ პირს ირჩევს ერთი წლის ვადით. არჩევნები ხდება აღდგომას, ან იანვარში; ერთ საგვარეულოში დეკანოზობა იმდენ ხანს გასტანს, რამდენიც მასში მამაკაცია; როდესაც დეკანოზობის ეს რიგი ერთ გვარში მთავრდება, ის ახლა მეორე გვარში გადადის და ასე გრძელდება, სანამ დეკანოზობის რიგს ყველა გვარები არ მოიხდიან.“

„ახლად არჩეულმა დეკანოზმა ლუდი უნდა მოადუღოს და ამისათვის ქერი მისმა გვარმა უნდა გაიღოს.“

„თუ გვარი მცირერიცხოვანია და მისთვის ეს საძნელოა, მაშინ ხარჯებში მას მეორე მცირერიცხოვანი გვარი მიუდგება.“

„სადეკანოზედ არჩეულ პირს ხატში მიიყვანენ; უხუცესი ბერიკაცი მას აიაზმის წყლით ასხურებს და დეკანოზობას მიულოცავს. შემდეგ ლუდს ჩამოასხამენ, ყველას ყანწებს ჩამოურიგებენ და არჩეულ დეკანოზს დალოცავენ.“

„ჩააბარებენ ხატის დროშებს, მის საგანძურს და ისიც სამსახურს შეუდგება“ (ს. მაკალათია).

დეკანოზობა ხატის ბეგარა იყო.

გასამრჯელო არ ეძლეოდათ.

საწირიდან – მხოლოდ ნახევარ ქადას და საკლავის ტყავს იღებდნენ.

ხატობის წინ – ორი კვირა „წმინდობდნენ“;

ოჯახიდან გადიოდნენ და ხატის მახლობლად ქოხში (გამოქვაბულში) შედიოდნენ.

მოწმინდარი დეკანოზის ახლოს, თვიურიანი ქალს გავლა არ შეიძლებოდა.

(ჭექა-ქუხილი მოყვება და ქვეყანას წალეკავსო).

წმინდობის დროს, დეკანოზმა თუ ქალთან კავშირი დაამყარა – ხატი დაამიზეზებსო.

დეკანოზების მიერ ჩატარებული რიტუალი, მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმებს არ თანხვდება.

(ქრისტიანული ნორმებით, დეკანოზი – დაოჯახებული მღვდლის მაღალი რანგია).

როგორც ჩანს, ქრისტიანული სარწმუნოების შესუსტების რაღაც ეტაპზე – საერო პირებმა მღვდელთმსახურება სრულიად შეცვლილი ფორმით შეითავსეს და კანონიკური მსახურების მხოლოდ რაღაც ელემენტები შეინარჩუნეს.

ხევის დეკანოზი მართლმადიდებლური წესით ხელდასხმული არ არის – მაგრამ ქრისტიანულ ხატებს შესაფერის პატივს მიაგებს; თავისებურ სამღვდელო მსახურებას აღასრულებს; წარმოსთქვამს ლოცვას, რომელიც ძალიან ჰგავს, ღვთისმსახურების ტიპიკონის მიხედვით, ბარძიმზე და კვერექსებში – ცოცხალთა და მიცვალებულთა მოხსენების წესს და რიგითობას.

დეკანოზი პირველად მიმართავს ერთიან ღმერთს, ყოვლადწმინდა სამებას;

შემდეგ, როგორც ეს კანონიკურად ხდება – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს; ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ წმინდანებს და, ისევე როგორც კვერექსში – მოიხსენებს ერს და სხვადასხვა განსაცდელში მყოფ ადამიანებს.

მოიხსენიებიან: –

უძლურებაში, მოგზაურობაში, ტანჯვაში მყოფნი, „ლოცვებს შემოვედრებულნი," ანუ „მხვეწარნი;" ქველმოქმედნი, ანუ „ნაყოფის შემომწირველნი;"

„იხსენებიან":

მიცვალებულები, „ვისაც ღმერთისთვისაცა, კაცისთვისაცა და თემობისთვისაცა კარგი გაუკეთებია, ვისაც ობოლ-ქვრივისათვის დახმარება გაუწევია და მადლ მოუსხია."

„სულსა იმათსა შაუნდოს," ანუ „სულმან მათმან კეთილთა შინა განისვენოს" და „დამრჩომს იმათას სწყალობდეს," ანუ „ნათესავმან მათმან დაიმკვიდროს ქვეყანა..." (ც. ღუდუშაური).

*

საგვარო დღეობების (ანუ, მნათეობის) მოწყობა სოფლების მიერ გამოყოფილ მნათე-დეკანოზებს ევალებოდა.

სათემო დღეობების ორგანიზატორები – თემის დეკანოზები იყვნენ.

ორივე კულტთმსახურება ერთმანეთთან ორგანულად იყო დაკავშირებული.

ყველა მნათე რომელიმე სალოცავის სახელზე შეწირული ყანით სარგებლობდა.

სახატე მიწებით სარგებლობის სანაცვლოდ – მათი ვალდებულება იყო, თანასოფლელების გამასპინძლება ახალწლისა და აღდგომის დღესასწაულებზე.

ვალ. ითონიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„სტეფანწმინდაში სრულდებოდა როგორც გვარობრივი, ისე სამამისძმო გვარების გაერთიანებული მნათეობა."

„მამისძმობაში შედიოდნენ მეზობლობით შეკავშირებული სხვადასხვა გვარები."

სოფელი საგვარო მნათეებად იყო დაყოფილი.

როცა ყანა-სათიბი განაყარ ოჯახებზე ნაწილდებოდა, განუყოფელი რჩებოდა ხატის ყანები, რომლებსაც მორიგეობით ხნავდნენ გვარების მიერ გამოყოფილი მნათეები.

*

ფიცხელაურებს სახნავ-სათიბი ნაკვეთები სემღისაის სახელზე ჰქონდათ; მათთან ერთად ლოცულობდნენ სამამისძმოში შემავალი ღუდუშაურები (ეფხონი, ყაზიენი, ტუხუნი), ხახლიშვილები და აბაზურები – რომლებიც შეფარებულები იყვნენ ფიცხელაურ-ღუდუშაურების სამამისძმოში.

დამოუკიდებული მნათე ჰყავდათ ხეთაგურებს. ხატის ყანები მათ ოქროს ბურთუსოვანის სახელზე ჰქონდათ. „მნათეობას ირიგებდნენ ხაიკაშვილებთან და ფიცხელაურებთან." „ყანა-სათიბს მორიგეობით ხმარობდნენ – სამხდოს გადახდის პირობით."

ოქროს ბურთუსოვანში ლოცულობდნენ აგრეთვე: –

ჩოფიკაშვილები, კაზალიკაშვილები, გომიაშვილები, ქირიკაშვილები, გიგაურები

და წიკლაურები (ხურმუშკენი).

ალიბეგაშვილების სამამისძმოში შედიოდნენ: გომიაშვილები, ქირიკაშვილები და კაზალიკაშვილები.

„ახლო წარსულამდე – ეს ოთხი გვარი ერთ მნათეს შეადგენდა და ყანებიც საერთო სამამისძმო ჰქონდათ.“

მოგვიანებით – ალიბეგაშვილები და კაზალიკაშვილები ცალ-ცალკე მნათეებად გამოიყვნენ.

გომიაშვილები და ქირიკაშვილები ერთ მნათედ დარჩნენ.

„ერთ მნათედ იყვნენ გიგაურებიც.“

ხატის ყანას ერთად ხნავდნენ – ოქროს ბურთუსოვანის სახელზე.

წიკლაურებს (ხურმუშკეთ) და ვალიშვილებს ხატის ყანები არ ჰქონიათ...

ისინი მონაწილეობას იღებდნენ სხვა გვარის, ან სხვა სამამისძმო მნათეში.

შადურები და ქავთარაშვილები ერთად ხნავდნენ წმინდა გიორგის სახელზე შეწირულ სამამისძმო ყანებს;

სამხდოსაც ერთად იხდიდნენ.

მირიანაშვილები, ხახლიშვილები და ურჯუკაშვილები – ივანე ნათლისმცემელში ლოცულობდნენ.

დიდი მამული და ცალკე ხატის ყანები ჰქონიათ ურჯუკაშვილებს.

მირიანაშვილებს და ხახლიშვილებს ხატის ყანები საერთო ჰქონდათ.

მნათეობა იმართებოდა გერგეტშიც.

სოფლის 4 მნათედან 2 სუჯაშვილების გვარიდან იყო;

მესამე მნათეს შეადგენდა ხუციშვილების და ჩიბაშვილების ერთობა;

მეოთხე მნათეში გაერთიანებულნი იყვნენ წიკლაურები და არაბულები.

სოფ. ყანობი – „სთვლის გივარგობაზე“, სამ საუბნო მნათედ იყო დაყოფილი:

1. ზემო უბანი (ჭიალაშვილები, ითონიშვილები, ტატიშვილები და კობიაშვილების ეფრიეთ მამიშვილობა);

2. შუა უბანი (კობიაშვილები – ეფრიეთ გამოკლებით, ვარდიშვილები და კურკუმულები);

3. ქვემო უბანი (კურკუმულების ნაწილი და აიდარაშვილები).

მნათეობა მორიგეობით იმართებოდა.

მასპინძლობდა ის – ვინც ხატის ყანებს ხნავდა.

ხატის სახელზე ყანები ჰქონდა ოთხ გვარს: – კობიაშვილებს, კურკუმულებს, ვარდიშვილებს და აიდარაშვილებს.

ტატიშვილებს, ზილინაშვილებს და ითონიშვილებს – ხატის ყანები არ ჰქონდათ; ზემოაღნიშნულ გვარებთან იყვნენ დაზიარებულნი.

კობიაშვილების მრავალსულიანი გვარი, მამიშვილობათა მიხედვით – სამ საუბნო მნათედ იყოფოდა.

პირველ მნათეში შედიოდნენ: – ლადარიანნი და თემურენი; მეორეში – შარმენი და ხუტიანი; მესამეში – გოგნენი და ეფრიენი.

დარისხება-დაწყევლის
და
თემიდან მოკვეთის ტრადიცია

ხევისბერები და დეკანოზები სიტუაციის შესაბამისად ახდენდნენ ხალხის „დამწყალობნებას“ (ღვთის სახელით დალოცვას), ან დამნაშავის „დარისხება-დაწყევლას“.

მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – ზოგჯერ, დამნაშავეებს „სარისხულო სამანსაც ჩაუდგამდნენ“ ხოლმე.

სამარცხვინო საქმის ჩამდენთ – როგორც „უჯიშოებსა და ბოროტმოქმედებს“, ხალხი წყევლა-კრულვით მოიხსენიებდა, გვარ-შთამომავლობას დაუწყევლიდნენ, შერისხავდნენ: –

„ამაწყდეს მათი ძე და ბოლო-ო,“ იტყოდა დეკანოზი.

ქალები მათ თავზარდამცემ წყევლას უთვლიდნენ: –

„წმინდა სამების რისხვა შეგეყაროს!“

„შეგიდგეს ნათლისმცემლის რისხვა – ჭინჭარკანაფა ამასასვლელო!“

„ღთისა და ბატონის ქარი და ცეცხლი შენს გვერდებსა!“

„ჩაგიბრუნდა მეკომურობა;“ „გამოგტყრო ორივ თოლი!“

„დაგიბნელდა მზე – გაქრა შენი წუთისოფელი!“

„ეგეთი ჭირი შეგეყრება, ცალი გვერდი ზამთარს მისცე, ცალი გვერდი ზაფხულს!“

„ნურცა გაძღები მზეზე ცქერითა – ვერ დახვდი კვლე ემ დროსა!“

„დაგაყარე ვაგხანი; ჩამოგცხრე ქონოლანი...“

თემის უკიდურესი აგრესიის გამოვლენა (სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი) იყო ხატში დარისხება-დაწყევლა იყო.

ასეთ შემთხვევაში: –

„ხევისბერი აავსებდა თასს ლუდით, არყით ან ღვინით;“

„ცალს ხელში ეჭირა სასმლით სავსე თასი, მეორე ხელით ანთებული სანთელი და იტყოდა: –

„ვინც დამალოს და არა თქვას, გაუწყრეს ეგ ჩვენის ბატონის მადლი და დავლათი... ეგ თასივით დაიღვაროს იმისი ოჯახი (დააქცევდა თასს)... ეგ სანთელივით გაქრეს იმისი სახსენებელი დედამიწის ზურგზედა“ (გააქრობდა სანთელს)“... (ვაჟა-ფშაველა,“ თხზულებანი ტ. V, 1994 წ.)...

ხატობებში შერისხეს:

ხურთას შვილები, რომლებიც სტეფანწმინდის ახლოს, „ნახურთისალში“ ცხოვრობდნენ; იყვნენ „ძრიელ ავაზაკნი...“ ხალხს თავზარს სცემდნენ, ჭირნახულს უწვავდნენ, საქონელს სტაცებდნენ – ხშირად, სახლებშიც უცვივოდნენ და არბევდნენ.

გურაპენი (გურაპიშვილების საგვარეულო, ხურთიშვილების დისწულები) – „უნამუსოდ პირისგატეხნი“, რომლებმაც გერგეტელი ირჯიაულების ბედი გაიზიარეს...

წოწეხში უცხოვრიათ მათ – ყაზბეგიდან 3 კმ-ის დაშორებით.

„ყოფილან და აღარ არიან.“

ავი ხალხი იყოო, დაუმორჩილებელი; თავიანთ მამულებში დედიძმის საქონელს არ უშვებდნენ – ცოცხალ ძროხას აძრობდნენ ტყავს...

დვალეთიდან (სოფ. ნარადან) გადმოსახლებული და ყანობელ კურკუმულებთან

„შაკედლებული“ – ალიენი (სამი ძმანი), „ავები ყოფილან...“ „ხალხი დააღონეს“...

თემის გადაწყვეტილებით – „მეეღორღათ და ჩაეხოცათ...“

„მოიშორეს თავიდან.“

ჩქარეულებს „შაკედლებული“ – ლეკური წარმომავლობის აღულენი – მტრის ლაშქარს (არშის ციხისკენ) გამოუძღვნენ...

არბევდნენ სოფლებს, ხოცავდნენ ხალხს...

სამების საბჭეომ – მათი „ჩამამავლობის გადაშორება გადაწყვიტა“: –

ვინც მათ „გაიკვლევდა,“ საქონელში გაირევდა, წისქვილში დააფქვევინებდა... თუ ცეცხლი გაუქრებოდა და ცეცხლს მიაწვდიდა – „ისიც უნდა გარისხულიყო.“

„ყველა სოფელში თემმ ა– მათ, საწყევარი სამანი ჩაუდგა... დასწყევლა, დაკრულა თითოეული მათგანი...“

ამბობენ რომ: –

შემდგომში, მომხდარის გამო – აღულას შთამომავალნი მეტად წუხდნენ.

ოსების შუამავლობით – თემისთვის პატიება და შერიგება უთხოვიათ.

მიუღიათ თანხმობა და „სადაც „სარისხულო სამანი იყო ჩადგმული, ყველგან საკლავი დაუკლავთ... ამოუღიათ სამანები...“

*

უმძიმესი დანაშაული იყო, „ცოდვიანობის ჩადენა“ (ანუ, ნათესავთა ქორწინება).

მოხევური რჯულის (ხალხური სამართალის) მიხედვით, ასეთი ცოდვის ჩამდენი – თემის უმაღლეს სასჯელს, „ჩაღორღვას“, ვერ ასცდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეგზოგამია, ანუ ერთი და იგივე გვარის, ან თემის წარმომადგენლებს შორის ქორწინების აკრძალვა – მოხევეთა სისხლისმიერი ნათესაობის დამადასტურებელ სერიოზულ არგუმენტად იქცა.

ქორწინება თუ „მოკეთეებს“ (არასისხლიერ ნათესავებს) შორის მოხდებოდა – თემი ქალ-ვაჟს განდევნიდა და „სარისხეულო სამანს“ ჩაუდგამდა.

*

თემიდან გაძევება უმკაცრესი სასჯელი იყო.

„საზოგადოება თავის წევრს „მოიკვეთდა“ – „ქურდობისთვის, ხატის წესის დაკლებისათვის, თემის პირის გატეხისთვის, მაყვედრობისთვის...“

„მოკვეთილს სახლში აღარავინ შეუშვებდა, აღარცავინ იმასთან გაივლიდა; მოუკვდებოდა ვინმე, ძველის ჩვეულებისამებრ, აღარავინ მიხედავდა – თემი არაფრით აღარ შეეწეოდა.“

„წისქვილისა და სამჭედლოს კარებიც დახშული იყო მოკვეთილისათვის.“

„ხატში – ყრილობაში აღარ გაატარებდა ხალხი მოკვეთილს.“

„სოფლისგან მოკვეთილი ხატისაგანაც მოკვეთილი იყო“: –

„ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა, სახვეწარს არ „დაუდიდებდა“ – იმისთვის წყალობას აღარ გამოსთხოვდა ხატს“ (ვაჟა-ფშაველა).

*

ერთი მთხრობელი გვამცნობს – „ჭდეს ამოგდებით“ იმ პირის თემიდან მოკვეთის ამბავს – რომელსაც სოფლის საბალახეს ფული შეუჭამია: –

„მარიანობის დღესასწაული იყო.“

„მთელი ხალხი წყალ პირთ გავიდა.“

„მრავალი საკლავი უნდა დეეხოცათ... ქადა ნაზუქებით მოსულიყო ხალხი...“

„წამოდგნენ უფროსები და გვითხრეს“: –

„სოფელში ძალმამრევი კაცი არისო და სოფლის არა მორჩილი უნდა მოვიშოროთო.“

„მაგისი ძროხები – ძროხებში არ გავღრიათო; ცხორი – ცხორში არ გავღრიათო – მეზობლად ეგ არ მივიღათო...“

„აიღეს ერთი ჯოხი, გათალეს და ერთმა უფროსმა ამოსჭდია იგი. ჭდე გააკეთა და დაარისხა“: –

„სამების მხრიდან – ასე ამოარდესო იმისი საბოლოო, როგორც მე ამ ჭდეს ამოვაგდებო – იმისიც, ვინც მაგას მეზობლად მიუდგება, ან მიიყენებსო, ან ცხორ-ძროხას გაურევსო.“

„სოფლის ყველა კაცმა სათითაოდ ჭდე ამააგდო.“

„მერე სამღვთო დაკლეს და იმაშიც ირისხეს;“

„ყანწები აავსეს და მაშინაც დაარისხეს.“

„ის ჭდეამოგდებული ჯოხი საყდარში შეინახეს.“

„იყო მერე ის გოგია მარტოკა, კარგი ველარა ნახა რა.“

„მისი უფროსი შვილი ცხორში მოკვდა, თითონაც მოკვდა – იმისი ცოლიცა და ქალიც.“

„რო იტყვიან – ჭინჭარ-კანაფნიც ამოვა იმის სახლშიდაო, ასე მოუვიდა...“

*

მოკვეთის ტრადიცია ერთად ადუღაბებდა თემის თითოეულ წევრს.

ერთიანი საზოგადოება ვერ იხდენდა, საერთო ცნობიერების ტრადიციული ნორმებს დამრღვევს.

ვინც მას გასცდებოდა – ერთობის თანადგომიდან თავისით ამოვარდებოდა;

ხევისბერი მხოლოდ აფიქსირებდა თემიდან მისი გამოკლების ფაქტს.

ასეთ შემთხვევას – ხშირად, თან ახლდა დარისხების სამანის ჩადგმა, რომლის ამოღებაც – შემდგომში, შეუძლებელი იყო.

თემიდან ასეთი მოკვეთილის სამანი სამუდამოდ რჩებოდა.

დანაშაულის გამოსყიდვის სხვა შემთხვევაში, „სარისხულო სამანი“ ძალას კარგავდა;

მისი ამოღება შესაძლებელი იყო.

ერთი ასეთი შემთხვევა გ. ბედოშვილს აქვს აღწერილი: –

„შუადღის დროს ერთმა უცნაურმა გარემოებამ მიიქცია ხალხის ყურადღება: ერთმა თმაჭაღარა კაცმა ი. ქ-შვილმა მიიყვანა ჭედილა და ქუდმოხდილი ევედრებოდა თავის მეზობლებს: ღმერთი იწამეთ, ამთენი ღვთის განრისხება მაკმარეთ და ჩემთვის ჩასმულ სამრისხეულო სამანის ამოღების ნება მომეცითო...

დაითანხმა სოფელი.“

მოხევეთა გაქრისტიანება

ქრისტიანობის გავრცელება და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება (ახ.წ. IV საუკუნე, დაახლოებით – 326 წელი, მეფე მირიანი) – ქართველი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო, რომელმაც მისი სულიერი ფერისცვალება განაპირობა. საქართველო საბოლოოდ გაემიჯნა სპარსულ ორიენტაციას და მჭიდროდ დაუკავშირდა ქრისტიანულ რომს, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ფრთას, მომავალ ბიზანტიას და კონსტანტინეპოლს.

ახალი რელიგიის საქადაგებლად – ხევში, ჯერ კიდევ ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელს და ბართლომე მოციქულს უმოღვაწია (I საუკ.), „მაგრამ მთიულთ არ აღმოუჩენიათ საჭირო სათნოება.“

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით: –

წმ. სამების მთაზე ანდრია მოციქულს უქადაგია ქრისტიანობა და ჯვარი აღუმართავს.

„ქრისტეს ამაღლებისა მექვსესა წელსა მოიწვივნეს ესე ორნი მოციქულნი ქრისტესნი პირველ-წოდებული ანდრია და სიმონ კანანელი, რამეთუ უბრძანა წმინდამან ღთუის-მშობელმან, რათა წარვიდნენ ივერიად და მუნ ჰქადაგონ საყვარელი ძეს მისი ქრისტე ღმერთი, მხსნელი და მაცხოვარი, წილ-ხდომილსა შინა ქვეყანასა ღუთისა დედისასა...“

„და მოვიდა ხევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა (რომელსა აწ სახელ-სდებენ თერგად) და აღვიდა ძირსა საშინელისა მის კავკასიურისა მთისასა, რომელსა ეწოდების მყინვარი... მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ადგილსა მას დაბა და ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმართა ეკლესია დიდი მონასტერი წმინდისა მოციქულისა პირველ-მოწამისა სტეფანესი.“

იმასაც ამბობენ რომ: –

ანდრია პირველწოდებულმა ჯვარი აღმართა არა სამების მთაზე, არამედ მყინვარწვერის ძირში, სადაც შემდგომში დაივანა ბეთლემის სამონასტრო კომპლექსმა და სწორედ ბეთლემის ეკლესია უნდა იყოს მოციქულის პირველ-მოწამის სტეფანეს სახელზე აშენებული V-VI სს – ში.

მყინვართა საუფლოში – დღეს, აღნიშნული ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი.

*

ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლა – მთაში, განსაკუთრებული სისასტიკით წარიმართა.

მთიელებმა ნათლისღებაზე უარი თქვეს.

მათ მოსაქცევად – „სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა დაიძრა... წმინდა ნინო... და ეპისკოპოსი იოანე...“ მისია იმდენად საშიში იყო, რომ „მეფემან (მირიანმა) თანა წარატანა მათ ერისთავი ერთი“ – ლაშქრის თანხლებით.

როგორც მემატიანე გვამცნობს: –

„ფხოველნი“ და მათთან ერთად სხვა „მთიულნი, მსგავსნი ნადირისანი – „უკუიქცნენ“ და, უფრო მეტიც – მახვილი აღმართეს...

წარმართობა იმდენად მძლავრად იყო მათში გამჯდარი – „არა ინებეს ნათლისღება...“

„ერისთავმან მეფისამან... ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი.“

ასე გააქრისტიანეს ჭართლელნი, ფხოველნი, წილკნელნი და გუდამაყრელნი...

„სხვანიცა მთიულნი არა მოიქცეს... (მოხევეები ცალკე არ სახელდებიან) და „დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლისღება.“

ქრისტიანობის გავრცელება – პოლიტიკური თვალსაზრისით, საუკეთესო საშუალება იყო, მთის ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობის მოსასპობად.

აღნიშნულის გამო, სამეფო კარის ბრძოლა იმდენად სისხლიანი აღმოჩნდა – ახალი რწმენის მქადაგებლებს, წმინდა ნინომ შეახსენა: –

„არა ბრძანებულ არს უფლისგან მახვილის აღება... სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩვენოთ-ო მათ – გზა ჭეშმარიტი“.

იძულებითმა გაქრისტიანებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

მთიელთა ნაწილი ძველ რწმენაზე დარჩა.

„რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმა და რომელნიმე მათგანი დარჩეს წარმართობასა შინა დღეს აქამომდე.“

*

ხანგრძლივი დროის განმავლობაში – ხევში, ქრისტიანობასთან შერწყმული წარმართული კულტის მძლავრი კერები მოქმედებდა.

XIX საუკუნეშიც კი – ქრისტიანობა და კერპთაყვანისმცემლობა იქამდე „გადარეული“ ჰქონდათ მოხევეებს, რომ „თვითონაც ვერ მიუციათ ანგარიში, რა რიგი სული სადა მოქმედებს, რა რიგითა სწამთ“ (ალ. ყაზბეგი).

*

საქართველოს სამეფო კარი, რადგან – „წარმართობასა შინა დარჩენილთ“, დარიალის გზას ვერ მიანდობდა – მეფე ბაქარ მირიანის ძე მტკიცედ შეუდგა მამისგან დატოვებული ანდერძის აღსრულებას: –

„მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა.“

V საუკუნის 30-იან წლებში, ქრისტიანობა – ხევში, უკვე კარგა ხნის ფეხმოკიდებული იყო.

როგორც „მოქცევაი ქართლისა“ გვამცნობს (არჩილ მეფის დროს, 429-437 წ.წ.): –

„მისსა ზე აზნაურთა სტეფანე-წმიდაი აღაშენეს არაგუსა ზედა.“

მის აგებამდე, მოხევეები, ცხადია, უკვე ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ციტირებულ ტექატს ასეთი ფრაზა მოსდევს: –

„და მოგუნი მოგუთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა შინა“...

აღნიშნული წინადადებით მოხევეთა სარწმუნოებრივი ყოფის თავისებურებაა დაფიქსირებული: ქრისტიანობასთან წარმართობის თანაარსებობა.

როგორც ჩანს: –

გარკვეულ პერიოდის განმავლობაში – ხევში, ქრისტიანი და წარმართი მოსახლეობა ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობდა.

მალე ასეთი სიმბიოზი – დაპირისპირებაში გადაიზარდა.

აღნიშნული პროცესი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აისახა, როგორც „ხთიშვილთა და დევკერპთა“ ბრძოლა – რაც ალეგორიული ასახვაა განსხვავებული სარწმუნოების მთიელთა დაპირისპირებისა.

ლეგენდის თანახმად: –

ხთისშვილთა თავდაპირველი სადგომ-პანთეონი გერგეტ-ბეთლემია:

„რაც ფშავ-ხევსურეთში ხთის ნაბადებნი არიან სულ გერგეტში, ოქროს აკვანში დაბადებულნი და გაზრდილნი არიან... იქ კვრივია, სადაც კაციშვილს ფეხი ვერ დაუდგამს“ (ვ. ბარდაველიძე).

„მორიგე (მომრიგებელმა) ღმერთმა ხალხის ვედრება შეისმინა და მხსნელად „ანგელოსური არსებები“, „ნახორცივლარი ღვთაებანი“ მოუვლინა. „იახსარს და კოპალას, ერთურთის მოძმე ორივ წმინდა ბერს მიულოცა ძალი და შეძლება – დევების განადგურებისა.“

დევკერპნი დამარცხდნენ, „გამარჯვებული ხთიშვილნი (ქრისტიანები) გაძლიერდნენ და დამარცხებულთ მამულებს დაეპატრონენ.“

ახალი რელიგიის მიღებისას, გარკვეული მნიშვნელობა იმანაც იქონია რომ: – ჯვარი, ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე იყო – მთაში, რელიგიური სიმბოლო.

ქრისტეს რჯული საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოში, რაც „მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არა, ამასთან ერთად, პოლიტიკური ქვიტკირიც იყო, საქართველოს მრავალი ნაწილის გასაერთიანებლად და შემოსაკრებად“ (ილია).

*

IX-X სს მიჯნაზე, ხევში და არაგვის ხეობის სათავეებში – თავიანთ გავლენას კახეთის ქორეპისკოპოსები ავრცელებდნენ.

„ძეგლის დების“ მიხედვით (გიორგი ბრწყინვალე, XIV საუკუნე) – ხევი (ისევე როგორც მისი მოსაზღვრე – ხადა, მთიულეთი და გუდამაყარი), უშუალოდ მეფეს – ხოლო ეპარქიულად, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ექვემდებარებოდა.

საქართველოს დაშლის და დაქუცმაცების ჟამს (XV–XVII სს-ში), რელიგიური კუთხით – მთიელები თავის ნებაზე იყვნენ მიშვებულნი.

მათ ძველი ღმერთები (კულტმსახურება) გაიხსენეს.

მღვდლებმა მთა დატივეს;

ეკლესიები დაიქცა და განადგურდა.

ტახტზე ქრისტიანული წესით ასული მეფე სანატრელი გახდა.

ერეკლემ II-მ კარგად დაინახა მთიელთა „სჯულზედ წახდომის მიზეზი“. „შეიწყნარა მათი წარმართი რჯული,“ რადგანაც მათში „ჩაუქრობლად ღვიოდა ქრისტიანობის ნაპერწკალი – რომელიც ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის ჟამს აბრდღვიალდებოდა ხოლმე“ (შ. არაბული).

როცა რუსეთის იმპერატორმა – ბაგრატიონებს „ღვთის მიერ ბოძებული“ ტახტი გამოსტაცა და რუსულმა მმართველობამ ქრისტიანი მღვდლით დადებული ფიცი გატეხა (ანუ, მას შემდეგ, რაც პ. ციციანოვმა – ანანურში, თორმეტი ხევისბერი ჩამოახრჩო, რომლებსაც ხელშეუხებლობას დაპირდა) – მთაში, ქრისტიან მღვდელზე მეტად – ისევ ხევისბერები იწამეს.

XIX საუკუნის II ნახევარიდან დაიწყო მთის სოფლების მართლმადიდებლობისკენ მობრუნება.

მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ძალისხმევით – აღნიშნული პროცესი XX საუკუნის ბოლოს დასრულდა.

2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი

ეკლესიის წმინდა სინოდმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: –

ყაზბეგის რაიონი საქართველოს ეკლესიის ცალკე საეპისკოპოსოდ გამოცხადდა;

მას უწოდეს სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია.

საეპისკოპოსო კათედრაზე არჩეულ იქნა მისი ყოვლადუსამღვდელოესობა პეტრე (ცაავა).

მის შემდგომ, 2006 წლის დეკემბრიდან – სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიას მეუფე იეგუდიელი (ტაბატაძე) განაგებს.

მოხევეები მისი მადლიანი ლოცვა-კურთხევით ეზიარებიან ქრისტეს სისხლსა და ხორცს.

*

ხევში შემონახული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან ყველაზე ძველია ახალციხის ყოვლადწმინდის (ღვთისმშობლის მიძინების), გარბანის „ოქროს წმინდა გიორგის“ და სიონის ღვთისმშობლის მიძინების ბაზილიკები.

სამივე IX–X საუკუნეების განეკუთვნება და ხევის უდიდეს საკულტო ნაგებობებს წარმოადგენენ.

მოხევეთა მთავარი სალოცავი, გერგეტის წმ. სამება, 2170 მ-ის სიმაღლეზეა აღმართული და ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია.

თერგის და სნოს ხეობებს შუა – მაღალი მთის წვერზე დგას, ხევის მეორე დიდი სალოცავი – „სპათანგელოზი.“

როგორც ალ. ყაზბეგი გვამცნობს: –

ხევის – „თითქმის ყველა სოფელს თავისი ხატი ჰყავს, რომელსაც წელიწადში ორჯერ და სამჯერ თუ არა, ერთხელ მაინც მოუდის დღეობა. საზოგადოთ ეს დღეობები ზაფხულობით არის ხოლმე და, მაშასადამე, დიდი მხვეწარი მისდის და ღამის თევა არამც თუ შესაწუხარი იყოს, არამედ დროს გასატარებლად და სასიამოვნოდ მიაჩნიათ ყველას.“

„შეგროვდება დიდძალი ხალხი და ღამის სათევლად რომელიმე მაღალ მთაში წავლენ, სადაც უეჭველად ნიში არის გაკეთებული და სადაც უწინ ხატები და იმათი სიმდიდრე ამორჩეულ დეკანოზებსა ჰქონდათ დამალული.“

„მოხევეებს მოჰყავთ უეჭველათ ბატკნები, მოაქვსთ ხაბიზგინები, ხაჭაპურები, ნაზუქები და ზედაშეთ ღვინო.“

„საკლავებს იქვე დახოცვენ, ტყავები ხატისა არის და სარგებლობენ კი მღვდელ ბლაღოჩინები.“

„ხორცს საერთო ხატის ქვაბებში ხარშავენ და მემრე გვარეულობაზედ გაჰყოფენ, რომლებიც ცალ-ცალკე დასხდებიან და სჭამენ პურსა.“

„იქიდგან ყველანი დაბრუნდებიან იმ სოფელში, რომელს სოფელსაც ეკუთვნის ეს ადგილები და ეს ხატი.“

„საღამომდინ ერთი ტაშ-ფანდურა, ერთი ლხინი და თამაშობა აქვსთ.“

„საღამოსთვის მოგროვდება კიდევ სხვა სტუმრებიც, რომლებიც, რომელისამე მიზეზით, ხატში ვერ წასულან.“

„ყველანი შეგროვდებიან ერობაში, სადაც ჩამოვლენ ამ სოფლის ხალხი – კომლზედ თითო კაცი. სხვა სოფლებიდამ მოგროვებულს სტუმრებს კომლზედ გაიყოფენ

და წაიყვანენ შინ, იქ უმასპინძლდებიან ამათ და ვისაც როგორი შეძლება აქვთ, ისე დაუხვდებიან.“

„რაც უნდა ღარიბი გლეხი იყოს, ამ დღეს ორს საკლავს მაინც და იმის საკმარის ხორაგს და სასმელს მოამზადებს და ყოველის ღონისძიებითა ცდილობს, რო არ მოაწყინოს თავის ძვირფას სტუმრებს და დრო კარგად გაატარებინოს.“

„ქალები თავ-თავიანთ ნათესაობასთან მიდიან და რამდენიმე დღე რჩებიან იქა.“

„ესეთი დღესასწაულობა ზაფხულში ოცდაათამდინ მოდის და ასე რიგ-რიგით ერთს სოფელს ესტუმრებიან სხვა სოფლელები და ძმურად დროებას ატარებენ.“

„ამ ხარჯს აცდენილები არიან მარტოკა მკვდრის პატრონები – ერთი წლის განმავლობაში, რადგანაც იმათ ისეც დიდი ხარჯი მოსდისთ... რომლის გადაგდებაც ვერა ღონისძიებით ვერ მოუხერხებიათ, თუმცა ყველა აშკარათა ხედავს იმის მავნებელს მოქმედებას და უსაფუძვლობას“ (ალ. ყაზბეგი).

მოხევეები და ბატონყმობა

მთის პირველ ერისთავებად, ისტორიული წყაროების მიხედვით, შაბურისძენი ჩანან.

შუა საუკუნეების ხევის პატრონები (გამგებლები), თექთურმანიძეები ყოფილან – რომლებიც არაგვის ერისთავების წინაპრებმა ამოწყვიტეს.

მათ შესახებ ინფორმაციას გვაწვდის: – ბერი ეგნატაშვილი (ახალი ქართლის ცხოვრება), ვახუშტი ბაგრატიონი (აღწერა სამეფოსა საქართველოსი), იოანე ბატონიშვილი (ქართლ-კახეთის აღწერა), პლ. იოსელიანის რამდენიმე ნაშრომი, პროფ. დ. გვრიტიშვილი (ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან), ვალერიან და ვახტანგ ითონიშვილების შრომები...

სამეფო კარის წინაშე დამსახურებისათვის – ვახტანგ VI-მ (1675-1737 წ.წ.), ხევის რამდენიმე სოფლეზე ბატონობის უფლება – თექთურმანიძეებს, სათანადო სიგელის გაცემით დაუდასტურა.

აღნიშნული წყალობის განახლების მიზნით – მათ, მეფე ბაქარმაც გაუგზავნა შესაბამისი უსტარი.

ვ. ითონიშვილის ცნობით: –

მეფეს – თექთურმანიძეებისათვის „აზნაურობაც კი შეუთავაზებია, მაგრამ თექთურმანიძეებს უარი უთქვამთ იმ მოტივით, რომ არ უსურვებიათ ასეთი გამოყოფით მოხევეებისადმი დაპირისპირება.“

„სამაგიეროდ, დათანხმებულან თემის გადაწყვეტილებას“: –

„ახალწელს, თექთურმანიძეების უბანში, სადაც მათი საგვარეულო სალოცავი იდგა – წმინდა სამების ტაძრის დეკანოზებს... პირველ რიგში მათი გვარი დაემწყალობნა.“

„გვარის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, ხალხის აზრით – ამ ტრადიციას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე სამეფო ხელისუფლების მხრიდან – წყალობის სიგელის გაცემას“.

საახალწლო დამწყალობნების ტრადიცია – დღემდე გრძელდება, თექთურმანიძეების შთამომავლების – ხეთაგურების უბანში, სადაც წმინდა სამების „ხეთაგეთ ნიშია“ აღმართული.

*

მთიელი ტომების დამორჩილება, სავარაუდოდ – ნუგზარ არაგვის ერისთავის (ზურაბის მამის) პაპამ („ნუგზარ I-მა“) დაიწყო, რომელიც ვანათელი აზნაურის, სიდამონისძის, შთამომავალი ყოფილა – პატარა ლიახვის ხეობიდან.

მას შემდეგ, რაც ირანის შაჰმა (1569 წელს) სვიმონ მეფე დაატყვევა, „ნუგზარ I-მა“ – ოსებისა და ქსნის ერისთავების დახმარებით ამოწყვიტა – ბაზალისძენი, ჭარმეულნი, თექთურმანისძენი და „ავაზაკურად“ გაბატონდა მთელს არაგვის ხეობაში.

ტყვეობიდან დაბრუნებულმა სვიმონ პირველმა (1578 წელს) – ნუგზარს არაგვის ერისთავობა (ანუ, რეგიონის მმართველის თანამდებობა), ოფიციალურად უბოძა.

„ერთხანობას განმდგარი და ხარკ-ბეგარაზე უარის მთქმელი“ მთიელი ტომების დამორჩილება – დროთა განმავლობაში, მეორე ნუგზარმაც მოინდომა.

იგი ცეცხლითა და მახვილით შეიჭრა მთაში.

ჯერ მთიულეთი ააწიოკა, შემდეგ ხევი.

მისი ერთი ლაშქრობა ალ. ყაზბეგს აქვს აღწერილი.

მხატვრული ნაწარმოების მიხედვით („ხევისბერი გოჩა“), ერისთავის დაქირავებული ლაშქარი „ვერას გახდა“ მთიელების საძმო კავშირთან.

ზვიადმა ფეოდალმა უარი თქვა „ომებითა და სისხლის ქცევით მთის დამორჩილებაზე.

თავისი ძლიერების მწვერვალს არაგვის საერისთაომ XVII საუკუნეში მიაღწია, ზურაბ არაგვის ერისთავის (1619-1629 წ.წ.) ზეობისას, როცა – მთაში, „სისხლის წვიმები“ და „დევების შემობრუნება“ დაიწყო (ზ. კიკნაძე).

აღნიშნული პერიოდის მთიელთა ცხოვრებაზე მემატიანე დუმს.

მარტყოფის, მარაბდის, ბაზალეთის ტრაგედიათა გვერდით – მთიელთა ვარამი მისთვის თვალშისაცემი არ არის.

ალ. ყაზბეგის ცნობით, „ხევში არასოდეს არ ყოფილა ბატონყმობა, თავადაზნაურობა.“

ადრე, გლეხთა ვალდებულებები განისაზღვრებოდა ადათით, რომელიც კანონად იყო ქცეული.

„მის გარეშე არა თუ მემამულეს, მეფესაც არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა ზედმეტი.“

„როცა ეს წესი მემამულის (ბატონის) მიერ დაირღვევოდა – ყმები მისგან გარბოდნენ.“

„ხანდახან, მთელი სოფელი აიყრებოდა და აშკარა აჯანყებაც იწყებოდა“ (ვახტანგ ითონიშვილი).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მთაში ბატონყმობის დამყარების მიზნით, ზურაბ ერისთავს „სამჯერ დაულაშქრავ მეშვიდ-მეშვიდეს წელს ხევსურეთი და ვერ გაუტეხავ.“

მერე – თურმე, თემის ზოგიერთი მოთავე მოისყიდა და „განსაკუთრებულის სისასტიკით“ დაიპყრო ჯერ მთიულეთი, შემდეგ ხევი.

„მთიანეთისთვის სპეციფიკური იყო, არა თავად-აზნაურთა წოდების ფორმირება, არამედ მხოლოდ მოსახლეობის საერთო მასიდან გამოყოფილ შეძლებულ და გავლენიან პირთა პრეროგატივა...“

„ასეთი გავლენისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, შედეგად არ მოჰყო-

ლია მათი იურიდიული სტატუსის შეცვლა და მაღალ წოდებაში გაფორმება.“

„მთისთვის მიუღებელი არ იყო მეფის სამსახურში დაწინაურებული მეთემე, რომელიც გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა“... მაგრამ, ერთი იყო მისი სამსახურებრივი სტატუსით მოპოვებული გამორჩეული მდგომარეობა და მეორე – გააზნაურებული, ბატონის ამბიციებით შეპყრობილი პიროვნების პრეტენზიები... მეთემეთაგან უდების მოთხოვნის უფლებამოსილება.“

„მთის კაცნი“ იმას ეგუებოდნენ, რომ სახელმწიფო სამსახურში გათავკაცებული მეთემე – მათზე მაღლა დამდგარიყო...“

„იმას ვერ ურიგდებოდნენ, რომ ამ გზით ამაღლებული პიროვნება – „ბატონად“ მოვლენოდათ“ (ვახტანგ ითონიშვილი).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, გააზნაურებულ მოხევეს – თემობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ხევში „აღარ დააყენებდნენ“: –

„ვინც რო ხევში აზნაური გახდებოდა, ხევს – ერთის პირით, ის უნდა მოეკლა.“

ამიტომ – ბევრს, „უარი უთქომთ ხევში – მეფეთა ნაბოძებ აზნაურობაზე... ხევის პირობას ვერ გავტეხავთო!“

ასეთი მკაცრი ადათ-წესის მიუხედავად, არაგვის ერისთავის მიერ (თავისი) აზნაურის სტატუსში აღზევებულმა შიოლა ღუდუშაურმა – „აჩხოტში კარავი დაიდგა და ხევის ბატონობა მოინდომა...“

რაც მისი ტრაგედიით დამთავრდა.

შიოლამდე – ხევში, ადგილობრივი წარმოშობის აზნაური არ იძებნება.

აღსანიშნავია, რომ „გააზნაურების“ მიუხედავად, ღუდუშაურების ყოფა-ცხოვრება დიდად არ შეცვლილა.“

ისინი „კვლავ მამაპაპურ მიწურებში ცხოვრობდნენ და გლეხურ შრომას ეწეოდნენ.“

მათი ეკონომიური კეთილდღეობის გაზრდა გამოიხატა მხოლოდ რამდენიმე სოფლის დაბეგვრაში, ღალის აკრეფასა და მამულების შეძენაში.

გააზნაურებული იყო მხოლოდ სოფ. სნოში მოსახლე ღუდუშაურების ნაწილი – კერძოდ, ისინი, ვინც ერისთავების პოლიტიკის შესაბამისად მოქმედებდნენ.

„სიონში, სტეფანწმინდასა და სხვა სოფლებში მცხოვრები ღუდუშაურები – კვლავ, ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი მოხევეების გვერდით იდგნენ და გააზნაურებულ „სახლიკაცებს“ არ თანაუგრძნობდნდნ“ (ვალ. ითონიშვილი).

ღუდუშაურების დამოყვრებაც „უაზნო“ მოხევეებთან გაგრძელდა.

შიოლას ერთი და – დარეჯანი, ახალციხელ ქერაშვილზე გაათხოვეს; მეორე, გარბანელ ბეჟუეთ (გელაძე) ნადირაზე.

*

XVIII ს-ის ხევში მხოლოდ ბარიდან მოსული აზნაურები ბატონობდნენ (არაგვის ერისთავები, ჩრდილელები, ყარანგოზიშვილები, კობიაშვილები...).“

მოხევეები მათ ბატონობას ვერ ურიგდებოდნენ და შეუპოვარი ბრძოლით უპირისპირდებოდნენ...

„როდესაც რომელიმე მთიული ან მოხევე – ბარიდან შესულ აზნაურს მამულის საკუთრებაში ედავებოდა – მის მოხვნას არ ანებებდა და იქიდან, ზოგჯერ ცემა-ტყეპითაც აძევებდა“ (ვახტანგ ითონიშვილი).

აღნიშნულის მიუხედავად, მოხევეებს მაინც სერიოზული სუსხი აგრძნობინეს ქართველმა ფეოდალებმა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც კი – ისინი, ზოგიერთი სოფელის ყოფილ მობეგრე გლეხებს – ისევ აიძულებდნენ გადასახადი ეძლიათ.

სოფ. გაიბოტენის ბატონი, ჩრდილელი – თავიდან მანამ ვერ მოიცილეს, სანამ მაგრად არ სცემეს და ბანიდან არ გადმოაგდეს.

*

XVIII საუკუნის II ნახევარიდან – საარაგვოს მოსახლეობა – უკვე, ვეღარ ურიგდებოდა აღზევებული ფეოდალების თვითნებობას; ერისთავების განუკითხაობას; არაქრისტიანულ ყოფაქცევას – „ბუნებითი სჯულის“ საწინააღმდეგო ქმედებას – „უმსჯავროდ კვლათა კაცთათა, განსყიდვათა და სხვათა მრავალთა ავაზაკებრივთა საქმეთა.“

გაწამებულმა მთიულებმა და მოხევეებმა, 1743 წელს, ამბოხება მოაწყეს.

მეთაურობდნენ: – პაპა ღუდუშაური, ნადიბაიძე, ზარიბეგი, ტეტია ნახიჩა, გელდაშვილი და კიდევ სხვა 15 გლეხი.

ბეჟან ერისთავი – სასტიკი ფეოდალი იყო და, მძიმე გადასახადით ილაჯგაწყვეტილი ქვეშემრდომები („უმეტეს წილ მთიულნი“) – სწორედ მას გადაემტერნენ.

„მიუხტნენ და ანაზდაითი დარტყმით გაათავეს.“

„ზედ ბიძაშვილიც დააკლეს – ოტია ერისთავი.“

„გივი ამილახორსა და ბეჟან ერისთავს ცოლ-შვილი მთიულეთს ყავდა გახიზნული.“

„ორივე საჯალაბოს მიუხტნენ – ყველაფერი დაიტაცეს და იავარჰყვეს...“

„ეს რომ მოილიეს – თეიმურაზ II-ს მოციქული გაუგზავნეს: –

„თქვენს მეტი ბატონი ჩვენ არ გვინდა – მობრძანდით, გვიბატონეთ და გვიპატრონეთო.“

თეიმუირაზი „წაბრძანდა...“

„ანანურში შეეგებნენ მისი მონატრული არაგველები.“

„მეფემ მადლი უბრძანა, საჩუქრები დაურიგა და აღუთქვა“: –

„რაც ძველი ერისთავებისაგან არა გდებიათ, იმის მეტს არას გთხოვთ და ხელმწიფის სამსახურსაც მე გარდავსწყვეტო.“

მთა – დროებით, დაწყნარდა და დადუმდა.

*

1756 წლიდან – არაგვის საერისთაოს და თუშ-ფშავ-ხევსურეთს (სხვადასხვა პერიოდებში) მართავდნენ: – ერეკლე მეორე, მისი შვილები... და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.

ვახტანგ და ლევან ბატონიშვილებმა, 1780-იან წლებში, მთის სპეციალური სამართალი შეადგინეს: –

ხევი ოთხ ადმინისტრაციულ (სტეფანწმინდის, სნოს, ფანშეტის და თრუსოს) სამოურავოდ დაიყო.

თითოეულ მათგანს მეფის, ან გამგებელი უფლისწულის დანიშნული მოურავი განაგებდა.

მისი თანაშემწე იყო – „ხევის ნაცვალი“ (რომელსაც – ასევე, სამეფო კარი ნიშ-

ნავდა). მას – გამგებლის განკარგულებები მოყავდა სისრულეში; მეთვალყურეობდა სამართლის წარმოებას და ვაჭრობის საქმეს.

*

რუსეთთან ურთიერთობის გააქტიურებასთან დაკავშირებით, XIX ს-ის ბოლოს, დარიალის გზის მნიშვლელობა უფრო გაიზარდა.

აუცილებელი გახდა თერგის ხეობაზე კონტროლის გაძლიერებაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე – ხევის სხვა სამოურავოებს შორის, განსაკუთრებით დაწინაურდა სტეფანწმინდა და მისი მოურავი, ყაზი (შემდგომში – ყაზიბეგ) ჩოფიკაშვილი.

ყაზის შემდგომ, საქართველოს სამეფო კარზე დაწინაურდა – მისი ვაჟი, გაბრიელი – რომელიც „ერეკლე II-ს უერთგულესი მოხელე გახდა.

იგი უყოყმანოდ ასრულებდა მეფის დავალებას;

განუხრელად ატარებდა ერეკლეს პოლიტიკას.

სამეფო კარმა მას აზნაურობა უბოძა.

ეს პატივი, რომელიც თემის ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა, ჩოფიკაშვილებმა უყოყმანოდ მიიღეს და მიღებული წოდების შესაბამისი პირობებიც შეიქმნეს: –

„დაუახლოვდნენ სხვა ქართველ აზნაურებს, თავადებს, სამხედრო პირებს, დიდ მოხელეებს... მკვეთრად გაემიჯნენ არა მარტო მოხევეებს, არამედ საკუთარი საგვარეულოს იმ განაყარსაც კი, რომლებიც გლეხ ჩოფიკაშვილებად დარჩნენ“ (ვ. ითონიშვილი).

„ნამდვილი აზნაურობისთვის საჭირო იყო მამულების და ყმების მოპოვება.“

„ხევში – არც თავისუფალი მიწა იყო, არც ყმობის მსურველი.“

„მოხევე ურჩობდა, უკადრისობდა მათ ყმობას“ – მაგრამ „ყაზბეგიანთ“ თავისი გაიტანეს: –

უხათელ ყმებს მათთვის „სააღდგომო ხბო ან ბატკანი უნდა მიერთმიათ. მამულის დამუშავება, ჭირნახულის აკრეფა-დაბინავებაც მათ ევალებოდა.“

„აჩხოტელები და თოთელები – ყაზბეგიანთ თივას უზიდავდნენ; ჭირნახულის მესამედს ღალაში აძლევდნენ და თითო სულ საქონელზე საძოვარში ათ შაურს უხდიდნენ.“

„სოფ. ცდო და გერგეტი ყალანში – კომლზე ორ კონა ფიჩხსა და ჩარექა (კილო) ერბოს უხდიდა.“

„კახეთიდან კავკავში ღვინის მზიდავებს – ყაზბეგის ბატონისთვის საუკეთესო სასმელი უნდა მიერთმია...“

„ჩერქეზების ჯოგი – ბაჟად საუკეთესო ცხენს იხდიდა.“

„ცარიელ მეურმეს არ შეეძლო ყაზბეგის კარზე გავლა – მას ყაზბეგიანთ რაიმე ტვირთი უნდა წამოეღო: – შეშა, ქვა, ლამკირი და სხვა.“

„ყმურ სამსახურთან ერთად, ყაზბეგიანები მოსახლეობისაგან თავადურ პატივისცემასაც მოითხოვდნენ; მათი დანახვისთანავე, ცხენოსანი უნდა ჩამოქვეითებულიყო და უმდაბლესი სალამი მიეცა – თორემ, გამათრახება ელოდა“ (ს. მაკალათია).

ჩოფიკაშვილები დაუნათესავდნენ საქართველოს სამეფო კარს: –

დიდი ქართველი მწერალის – ალ. ყაზბეგის დედის, ელისაბედის (კეკეს) მამა – ესტატე თარხან-მოურავი, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ასუ-

ლის, სოფიოს ვაჟი გახლდათ.

რუსეთის მიერ საქართველოს იძულებითი მიერთების შემდეგ – ყველასთვის მოულოდნელად, ყაზბეგები იმპერიის სამსახურში ჩადგნენ;

ერთგულება შეჰფიცეს მას და ქართულ სამეფო კარს განუდგნენ.

გაბრიელმა – „ღენერლობა“ მიიღო;

რუსებმა – საგვარეულო ეკლესია აუშენეს; სტეფანწმინდას ყაზბეგი უწოდეს და ამაგი დაუფასეს.

წერა-კითხვიდან განათლებამდე

XIX ს-ის 80-90-იან წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ერთ-ერთი ყველაზე მიყრუებული და ბედის ანაბარა მიტოვებული მხარე იყო საქართველოში.

1762 წლის საეკლესიო კრების დადგენილებით, თავისი სამწყოსთვის წერა-კითხვის სწავლება მღვდლებს ევალებოდა, მაგრამ – მათი უმეტესობა, თავად იყო წერა-კითხვის უცოდინარი.

1850 წლის გაზეთი „დროების“ ცნობით: –

XIX ს-ის 80-იანი წლების – ხევის სამი სამამასახლოსოს სოფლებში, სადაც 1500 ადამიანი სახლობდა: „მხოლოდ სტეფანწმინდის საზოგადოებაში იპოება ორმოციოდე, რომ იცოდეს წერა-კითხვა.“

„ამ ორმოციოდე კაცს წერა-კითხვა შეასწავლა სტეფანწმინდის მიქაელ მთავარანგელოზის დიაკონმა, ნიკოლოზ ციბაძემ.“

„ამ პატიოსანმა პირმა შესანიშნავი ზრუნვით მიიზიდა აქაური გლეხობის შვილები და შეძლებისდაგვარად ცდილობდა იმათ აღზრდას.“

ამავე გაზეთის 1867 წლის 6 დეკემბრის (№49) ინფორმაციით: –

„სოფელ სტეფანწმინდას შკოლა გაუმართავთ...“

„ასწავლის დიაკვანი და ერთი თავადის ქალი...“

*

ხევის სხვა სოფლებში სრული უწიგნურება სუფევდა.

განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში იყო ქალების სწავლა-განათლების საქმე.

მათი ოჯახიდან გაშვება მიუღებელი იყო და არც სასწავლებლად უშვებდნენ.

წერა-კითხვაზე მეტად მშობლები – ქალების საოჯახო სქმეების სწავლებით იყვნენ დაინტერესებულნი.

ცდილობდნენ ესწავლათ ჭრა-კერვა, ქსოვა, ქარგაზე მუშაობა.

არც „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მცდელობას და არც ქართველთა შორის წერს-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას, რაიმე მნიშვნელოვანი ძვრები არ მოჰყოლია.

მშობლები სწავლის წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ ისეთი განათლების მიღებას ითხოვდნენ, ცხოვრებაში რომ გამოადგებოდა მათ შვილებს – საკუთარი თავის რჩენის, ან სწავლის გაგრძელების საშუალებას მაინც რომ მისცემდათ.

„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“, მიერ გახსნილ სკოლებში ნასწავლი – კაცად არავინ იქცა, შინაურ საქმეზეც გული აიცრუეს და ვეღარც იმდენი ისწავ-

ლეს, რომ თავი ერჩინათ. ასე, ორ წყალს შუა დარჩნენ.“

„ყველას დიდი იმედი ჰქონდა, ყველა ელოდა სწავლისა და ცოდნის მოფენას“, მაგრამ აღნიშნული საზოგადოების სკოლებმა „არამც თუ არ მოუტანა ხალხს ის ნაყოფი, რომელსაც იგი ელოდა, არამედ პირდაპირ ვნება შესძინა, ხალხმა აშკარად დაინახა, რომ სკოლა არამც თუ არ უხსნის ყმაწვილებს გონებას, პირიქით უხშობს მას, არამცთუ ზნეობით არ აუმჯობესებს, არამედ აჩვევს უსაქმურობას, ცუღლუტობას და შრომის სიძულვილს. სკოლამ მოატყუა ხალხი და აუცრუა გული მასზედ“ (ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. II, 1940 წ. გვ. 7).

არც რუსეთის მთავრობა ჩქარობდა სკოლების გახსნას.

ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ, 1829 წლის 2 აგვისტოს დამტკიცებული დებულების თანახმად, საქართველოში მხოლოდ 7 სამაზრო სკოლა უნდა გახსნილიყო.

სამაზრო სასწავლებლებიც – „თავისი ორი წლის კურსით, ვერც გიმნაზიისთვის ამზადებდა მოწაფეთა კონტიგენტს და არც სამსახურისათვის იყვნენ კურსდამთავრებულნი შესაფერისად მომზადებულნი“ (ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან, გვ. 21).

ამას დაემატა რომ, 1881-1882 წლებში, სკოლები ახალ სასწავლო პროგრამაზე გადაიყვანეს – რაც, არსებითად, რუსულ ენაზე სწავლებას და ქართული ენის განდევნას ითვალისწინებდა.

„ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეებისა, უწინარეს ენას მისწვდა“, რადგან იგი უნარჩუნებდა ერს – თავის თვითმყოფადობას.

„საქართველოს მასწავლებლის“, დიდი იაკობ გოგებაშვილის, უკვდავი ძეგლები – „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ – „ერთმორწმუნე მფარველებმა“ რუსული სახელმძღვენელოებით ჩაანაცვლეს.

*

XIX-XX სს-ის მიჯნაზე – ხევში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელი იყო ანდრია კობაიძე – რომელმაც თავისი ცხოვრების მიზანად აქცია, მშობლიურ კუთხეში – საგანმანათლებლო საქმის გაძღოლა.

სკოლების გახსნას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.

ამ მამულიშვილური საქმის სათავეში მდგარი თემისკაცები – წიგნებს საკუთარი დანაზოგით იძენდნენ;

სტეფანწმინდაში წიგნთსაცავი დააარსეს და ახალგაზრდობა დააინტერესეს.

ამან „სხვა თუ არაფერი, კითხვის და სწავლის სურვილი აღუძრა მოსახლეობას, რაც მეტად სასიხარულო ამბავი იყო“ (ა. კობაიძე).

ყმაწვილები ხალისით დაინტერესდნენ წიგნებით და მოხევე თავკაცებმა მათ მშობლებს – სკოლისთვის ფულის შეგროვება გააბედინეს.

„პირველი თაოსნობა ხევში სკოლის გამართვაზე სტეფანწმინდას ეკუთვნის.“

„პრაქტიკული ნაბიჯი ბავშვებისათვის წერა-კითხვის შესწავლის საქმეში – პავლე ღუდუშაურს“.

„ის ითვლებოდა წიგნის კარგ მცოდნედ და სოფლის ერთგულ კაცად... რამდენიმე ყმაწვილი შემოიკრიბა და თვით დაუწყო სწავლება.“

„მეტი სიმხნევე შემატა მას, 1881 წელში – აქაური მემამულის, გიორგი ყაზბეგის

იმხანად სტეფანწმინდასში ყოფნამ.“

თანასოფლელებს მან ურჩია სკოლის გახსნა.

„შედგენილი იქნა განაჩენი... სტეფანწმინდელები კისრულობდნენ სკოლის ხარჯებს“: –

„სახელმწიფო ხარჯთან შევიტანთ ყოველ წელს სასკოლო ფულს და წერა-კითხვის საზოგადოებას მივაბარებთ-ო სკოლის გაძღოლას.“

„ხელის მომწერთა შორის, რომელთაც ითავეს სტეფანწმინდაში სკოლის გახსნა – პირველი იყო ლეგა ფიცხელაური.“

„მოვაწეროთ ხელი, სოფლობა არ წაგვიხდეს...“ განაცხადა მან.

„მე უშვილო ვარ, მაგრამ სათემო საქმეში ცოცხალის თავით არ მინდა რომ გამოვაკლდე, დიაღაც ვიკისრებ, პირველი მე მომაწერინეთ ხელი, თქვენი კვნესა მე...“

„საქმეს საშველი მაინც არ დაადგა.“

„სტეფანწმინდაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ხელი შეუშალეს ამ კეთილ საქმეს“ („ივერია“, 1888 წელი).

XIX ს-ის პრესის თანახმად: –

„სტეფანწმინდის საზოგადოებამ (1881 წელს) ძლივს მოიყარა თავი, ძლივს გადაწყვიტა სკოლის გამართვა, ძლივს იკისრა საჭირო ფულის ხდა და როდესაც ეს ყველაზე ძნელი ადგილები გაიარა სკოლის გამართვამ, ერთბაშად ჩვენგან გაუგებელმა მიზეზებმა დააბრკოლა მისი გახსნა და სწავლის დაწყება“ („დროება“ 1882 წ.).

„წერა-კითხვის საზოგადოებამ თავისი საქმე ჰქნა რაც შეეძლო... პავლე ღუდუშაური ყმაწვილებს ასწავლიდა, წიგნებს უგზავნიდა – მერე, განაჩენი წარადგინა მაზრის უფროსთან“ – მაგრამ 1888 წელს – სტეფანწმინდაში სკოლა ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი...“ („ივერია“, 1888 წელი, პეტრე უმიკაშვილი).

1888 წლის ნოემბერში, გიორგობის დღეს, ქართველთა შორის წერე-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით, კავკავში (ძაუგს) დაარსდა ორკლასიანი ქართული სკოლა, 29 მოსწავლით – სადაც მოხევე ბავშვები სწავლობდნენ.

*

სკოლების ხევში გახსნის ინიციატორები (ა. კობაიძე, გ. ბედოშვილი, ი. ღუდუშაური) – სამრევლო სკოლების გახსნას მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ კობში, სტეფანწმინდასა და სნოში.

„ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, მიხეილ ზაალის ძე ყიფიანს, რომელიც, იმ პერიოდში (1888 წელს), მუშაობდა თერგის ოლქის სამიჯნაო განყოფილების გამგედ.“

„მას კარგად ესმოდა მოხევეთა გაჭირვებული მდგომარეობა და ურჩევდა სკოლა უშუალოდ ხევში დაეარსებინათ, რადგან ხევიდან ბავშვების კავკავში სწავლა დიდ ხარჯებთან და სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.“

მ. ყიფიანი, 1891 წლის 2 მარტს, ვლადიკავკაზში ისე გარდაიცვალა, „მისი მზრუნველობის შედეგად, უკვე დადებითად გადაწყვეტილ – ხევში პირველი სკოლის გახსნის დღეს – ვერ მოესწრო.“

„8 მარტს – მისი ცხედარი სტეფანწმინდაზე გამოატარეს და მთელმა ხევმა დიდი პატივი მიაგო.“

„პანაშვიდი მღვდელმა მალანიამ გადაიხადა.“

პავლე ღუდუშაურს უთქვამს: –

„მოხევეებისთვის იმისთანა ქართველი აღარ დაიბადებაო...“

„ვის არ უნდა შესტკიოდეს გული ამგვარი მხნე და კეთილი მოღვაწე კაცის დაკარგვის გამო?“

„ვისღა უნდა მიმართოს ჩვენმა უბედურმა ახალთაობამ სწავლა-განათლების გზის მაჩვენებლად.“

„მოხევე ერს“ დღემდე სასწავლებელი არ ჰღირსებია და დღეს ვინც მოისურვა აქ სკოლა, ისიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ადრე წაგვართვა სიკვდილმა...“ (ანდრია კობაიძე).

*

ცოტა მოგვიანებით, სტეფანწმინდის ორკლასიან სასწავლებელს – გიორგი ყაზბეგმა უფასოდ მისცა თავისი შენობები...

დადგა მოხევეთათვის სანატრელი დღეც: –

1892 წლის 22 ოქტომბერს, „ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ – სტეფანწმინდაში პირველი დაწყებითი სკოლა გახსნა.

მასწავლებლად დაინიშნა თბილისის სასულიეროა სემინარიის კურსდამთავრებული, ნ. კახისშვილი.

ხალხს დიდიხნის ოცნება აუხდა.

1892 წლის 22 ოქტომბერი სადღესასწაულო დღედ იქცა.

გ. ყაზბეგი – „სწავლებითაც თვითონ, თავისი ხარჯებით ასწავლიდა ბავშვებს, თავისი ხარჯებით უზიდავდა გასათბობად შეშას...“

პირველი სკოლის გახსნის საქმეში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი – ანდრია კობაიძეს, იაგორ ღუდუშაურს და დიმიტრი ყაზბეგს.

1894 წელს, გაზეთი „ივერიის“ (№ 73) ცნობით: –

„სტეფანწმინდის სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა ძალიან შემცირდა.“

„თავიდან აღრფთოვანებით შეხვდნენ სკოლის დაარსებას, ეგონათ, რომ სკოლა უშველიდათ და „სიბნელიდან გამოიყვანდა.“

„ეს იყო მიზეზი რომ – სკოლის გახსნის დღეს, მოსწავლეთა რაოდენობა 60-ზე მეტი იყო.“

„ყველამ მიაბარა შვილი სკოლას, მაგრამ, რაღაც მცირე დროის შემდეგ – მოსწავლეთა ნახევარიც აღარ სწავლობდა.“

1895 წელს, იმავე გაზეთში გამოქვეყნებული გ. ნათაძის სტატიის თანახმად: –

მოხევეები – სკოლებში, „მოკლებულნი არიან ქართულ ენას და უფრო რუსულ ზნე-ჩვეულებას და ენას ითვისებენ...“

„შეძლებული მოხევე შვილს აუცილებლად კავკავის სასწავლებელში აბარებს აღსაზრდელად, სადაც (ქართული სკოლის გარდა) მშობლიურ ენას მოკლებულნი არიან ბავშვები და როცა იზრდებიან, ქართულად წერა-კითხვას და ლაპარაკს ვეღარ ახერხებენ.“

აღნიშნული ნაკლოვანებების, სირთულეების და გაუგებრობების მიუხედავად, სტეფანწმინდის სკოლა მაინც განაგრძობდა ფუნქციონირებას.

ასეთი იყო – ხევში, პირველი სკოლის გახსნის სევდიანი დრამატურგია.

*

1900 წელს – ერთკლასიანი სასწავლებელი გაიხსნა სოფ. სნოში.

„მსურველი 100-მდე ბავშვი იყო, მაგრამ მხოლოდ 63-ის მიღება შეძლეს.“

„შკოლის გახსნას დიდი ამაგი დასდეს მღვდელმა გიორგი სირაძემ და სნოს მამასახლისმა, გიორგი შიოლაშვილმა.“

„მასწავლებლობდა ეფროსინე ბაკურაძე.“

1902 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, სოფ. სიონში დაარსდა – პირველი დაწყებითი სკოლა.

აღნიშნული მიზნით, სოფელმა – შიო ოდიშვილის ბინა დაიქირავა.

პირველი მასწავლებელი იყო აპოლონ მარკოზაშვილი, რომელიც მეფის მთავრობამ, როგორც არასაიმედო პიროვნება – ციმბირში გადაასახლა.

მის შემდეგ მასწავლებლობდა ალექსანდრე კვაჭაძე.

მოგვიანებით, ერთკლასიანი სასწავლებელი – ორკლასიანად გადაკეთდა.

მისი კურთხევა მოხდა 1912-1913 წ.წ.

ღონისძიებას დაესწრო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, გენერალი გიორგი ყაზბეგი. ფართის სივიწროვის გამო – მალე, დაქირავებულმა შენობამ სასწავლებლის მოთხოვნები ვეღარ დააკმაყოფილა და მოსახლეობამ – ახალი სკოლის აშენების მოითხოვა წამოაყენა – მხცოვნი პედაგოგის, ალ. კვაჭაძის, ანდრია კობაიძის, მარტია ღუდუშაურის, გრიგოლ დავითაშვილის და სხვათა აქტიური მონაწილეობით.

„რურუაში“ გამოიყო სოფლის კუთვნილი მიწა.

მშენებლობა დამთავრდა 1907 წელს – „მოსახლეობის სახსრებით და მათი უანგარო შრომითი მონაწილეობით.“

1903 წელს – სკოლები გაიხსნა: ყანობში, კობში, თრუსოსა და ღუდაში.

იმ პერიოდის ხევში – ფიქსირდება ორი ორკლასიანი (სტეფანწმინდასა და სნოში) და 4 ერთკლასიანი სკოლა.

*

დღეს, ყაზბეგის რაიონში 5 სრული საჯარო სკოლაა: – სტეფანწმინდაში, სნოში, არშაში, სიონსა და გორისციხეში.

გერგეტსა და გარბანში დაწყებითი სკოლებია;

საბაზო სკოლაა სოფელ ყანობში.

ქრისტიანული აღზრდა-განათლების პოპულარიზაციისა და ახალგაზრდობის სულიერი განვითარების მიზნით, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრის (შიოლაშვილის) ძალისხმევით – 1999 წლის ნოემბერში, სტეფანწმინდაში დაარსდა წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი (რექტორი, მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი).

2009 წელს – უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის და სტეფანწმინდის და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით, დაბა სტეფაფწმინდაში გაიხსნა ხელოვნების სახლი – „მოხეური თექა“, რომელსაც – დღემდე, არქიმანდრიტი იოსები ხელმძღვანელობს.

სახლი მიზნად ისახავს – ხევში, ხელოვნების ტრადიციული დარგების აღდგენას, ძველი ხელნაკეთი ნივთების მოძიებას – მათ შესწავლას და პოპულარიზაციას.

მთიელები
და
საქართველოს სამეფო კარი

მთიელები ქართული სამეფო კარის ერთგულები იყვნენ, მაგრამ მათი თავისუფლების ხელყოფის მცდელობისას, მუდმივად მზად იყვნენ განდგომისა და წინააღმდეგობისათვის – „მსწრაფლ მიილტვოდნენ ამბოხისადმი.“

აღნიშნულის მიუხედავად, მთა „სამეფო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებოდა და განკერძოება-დაპირისპირების შემთხვევაში უკომპრომისო ზომები ხორციელდებოდა.“

„იმის მიუხედავად, რომ ქართველი მთიელები თავდაუზოგავად ებრძოდნენ გარეშე მტრებს და სამეფო ხელისუფლებას ერთგულად ემსახურებოდნენ – წინააღმდეგობრიობა სასტიკად ითრგუნებოდა“.

„საისტორიო წყაროების განხილვის შედეგად გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო ხელისუფლებისადმი მთიელთა თანადგომას და ურთიერთობის იმ ფორმებს, რაც განაპირობებდა მთიანეთის შემომტკიცების აუცილებლობას – ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში.“

„საბუთები იმაზედაც მეტყველებენ, თუ ამ ურთიერთობაში რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა მთიანეთის ამა თუ იმ კუთხის მდებარეობას, მის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ტრადიციული ყოფის ლოკალურ თავისებურებებს და სალოცავების როლს მთიელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

მთიანეთის შემომტკიცების მიზნით, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობას სამეფო ხელისუფლება – „შექმნილი ვითარების შესაბამისად, სხვადასხვა საშუალების გამოყენებით ახორციელებდა.

კარგად იყო გაცნობიერებული იმის საჭიროება, რომ მთიანეთის სახით ქვეყანას ძლიერი ზურგი ჰქონოდა და მისი მკვიდრნი საიმედო ქვეშემრდომებად თუ მოკავშირეებად ჰყოლოდათ...“

„მთიელები ზოგჯერ სამეფო ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ; სამეფო კარი, თავის მხრივ, ძალასაც იყენებდა და მომნანიებელი მთიელების მიმართ შემწყნარებლობასაც იჩენდა, ანუ, განდგომილი მთიელების გადმობირება ხდებოდა არა ძალის გამოყენებით, არამედ სასიცოცხლო-სამეურნეო შეღავათებით.“

„ასეთი მიდგომა განაპირობებდა მთიელთა ერთგულ სამსახურს როგორც მოლაშქრეობაში, ისე ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულებაში“ (ვახტანგ ითონიშვილი).

ფარნავაზის დროს – მთა ძლიერ მხარეს წარმოადგენდა.

მომავალი მეფე ძურძუკებსა და ფხოველებს შორის იზრდებოდა; სიძე იყო ძურძუკებისა.

შვილსაც ქისტური სახელი დაარქვა – საურმაგი.

ფხოველნი მონაწილეობას იღებდნენ ფარნავაზის ბრძოლებში. მისი ეპიზოდები აღწერილია ხევსურ ხთიშვილთა მიერ „ქაჯავეთის დალაშქვრის“ ანდრეზებში.

მირიან მეფე სისხლითა და მახვილით ცდილობდა მთიელთა გაქრისტიანებას. საბერძნეთიდან მოიწვია „მღვდელნი მრავალნი და კირით ხურონი აღშენებისათვის ეკლესიათა.“

ციხეთა გვერდით „აღმართეს მათ ეკლესიანი“.
შექმნეს „ერთიანი არქიტექტურული ანსამბლი, ციხე-ეკლესია.“
მიუვალ მთათა მწვერვალებზე დაიწყო მცირე ზომის ეკლესიების მშენებლობა.

„იალბუზზე ფეხის შედგმა“

457 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა 15 წლის ვახტანგ გორგასალი.
მაშინვე „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა.“
„შეიკრიბა დარბაზი მცხეთად“.
ჭაბუკმა ხელმწიფემ, რომელიც ლაპარაკობდა „სიბრძნითა ჭარმაგულითა“ – განსაჯა მდგომარეობა ქართველთა, გარეშე მტერთა მოძალება, სულიერი დაცემულობა და სჯულიერი მერყეობა.
ძველი მამაპაპეული სიმტკიცე უნდა აღდგესო, განაცხადა.
ყველამ იცოდეს ჭაბუკი ვარ, მაგრამ „არა დავითმინო კიცხევა“ მტერთაგან ჩემთა და ჩემი სამშობლოსი-ო...“
პირველი ლაშქრობაც დანიშნა მეფემ იმავე დღეს – ჩრდილოეთისკენ!
თერგზე და დარიალზე გაიყვანა ჯარები.
მდინარის მეორე ნაპირზე უცდიდნენ ვახტანგს ოვსნი და ხარაზნი.
შვიდი დღე ერთიმეორის პირისპირ იდგნენ მდინარის იმიერ და ამიერ.
„ამა შვიდსა დღესა ბრძოლა იყო ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა.“
ხარაზთაგან გამოვიდა ბუმბერაზი მხედარი თარხან და ორთა ბრძოლაში გაიწვია ქართველთაგანი.
გავიდა ბარდაველი ფარსმან-ფარუხი.
გაალმასებით ეძგერნენ ერთურთს.
თარხანმა „უხეთქნა ხრმალი“ და უსულოდ გადმოაგდო ცხენიდან თავგაპობილი მოპირდაპირე.
მეორე დღეს კვლავ გამოვიდა თარხან – ზვიადი გულით და უშვერი სიტყვით.
თვითონ მეფემ გაიწია საომრად.
წინაღუდგნენ წარჩნნებულნი... ჯერ კიდევ საომრად უმწიფარიაო ვახტანგ... 16 წლის „ყმაწურილი.“
არ დაიშალა, მოახტა ჰუნეს და გავიდა, თითო ხელში თითო შუბით შეჭურვილი.
გამოეგება თარხან. შორიდან გოლიათი ეჩვენა ვახტანგი. ახლოს მივიდა და სავსებით უწვერული ყმაწვილი შეიცნო ხარაზმა.
„მიეტევნეს ერთიურთას.“
გაექანა ვახტანგ, ორივე შუბი გაწვართა და სარტყლის ზემოდ აძგერა თარხანს. აძგერა, ასწია და შუბებზე აგებული გადაისროლა ცხენიდან. წამსვე გადასწვდა მახვილით და წარკვეთა თავი.
შემობრუნდა მეფე ძლევამოსილი.
აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართველნი.
ზარგანხდილი იდგა ხარაზთა ურდო...
მომდევნო დღეს ოვსთაგან გამოვიდა ბაყათარ „ბუმბერაზი,“ რომელსაც ამ ჟამამდე ბადალი არ გამოსჩენია სარკენალ ველზე, თორმეტმტკაველიანი მშვილდი აეკიდნა მხარზე, ექვსმტკაველიანი ქეიბურებით აევსო კარპაჭი.

მოადგა გოლიათი მხედარი მდინარეს და ხმამაღლა შემოუძახა ქართველთა ბანაკს: –

ვახტანგ მეფევ, ნუ განლაღდები თარხანის მოკვლით, ჩემთან გაბედე გამოსვლა და ნახავ, როგორ გადამირჩებიო.

ვახტანგმა მშვიდად გახედა ახალ მოპირდაპირეს, ვიგრის ტყავიანი ფარი აიღო, ამხედრდა და მდინარისკენ დაეშვა...

გადმოიარა მდინარე ბაყათარმა და როგორც კი ხმელზე შემოდგა, უგრძეს ისართა სეტყვა დაუშინა მეფეს.

ვახტანგი „სიფიცხლითა თვალთათა, და სიმახვილითა გონებისათა, და სიკისკასითა ტაიჭისა ირიდებდა ისარსა: რამეთუ შორსვე იხილის ისარი მომავალი, და უხლდებოდა და სიმარჯვით მიეახლებოდა."

ორივე ბანაკი გაოცებით უცქერდა გმირთა რკენას.

ორივე მხრიდან იდგა გრიალი ბუკთა და დაფდაფთა, ყიჟინა, ღრიალი და ზეხილი, „რომლით იძვროდეს მთანი და კლდენი."

როკავდა მეფე მხედარი, ნასროლ ისართა მხედველი.

უსაზმნოდ სტვენდნენ ბაყათარისგან ნატყორცნი ქეიბურნი.

მხოლოდ ორი ისარი მოხვდა ვახტანგის ფარს.

ვიგრის ტყავმა აისხლიტა ორივ ნასროლი.

ცხენს დაუმიზნა ოვსთა რჩეულმა, იწივლა ქეიბურმა, ყალყზე აღიმართა ვახტანგის ტაიჭი და მისხლეტით დაეშვა.

თითქოს წამიერად – სიკვდილის ნება წაართვა მეფემ ერთგულ ცხოველს, ძირს დაცემამდე მიაგდო ბაყათარს და ელვის უსწრაფეს მოიქნია ხმალი. მხარ-იღლივ გადაჰკვეთა ბაყათარ, მარჯვენა მხრიდან მარცხნის, გულამდე.

წამიერ იყო ყველაფერი:

ძირს ეყარნენ მკვდარნი – ბაყათარ და ცხენი ვახტანგისი (ლ. სანიკიძე).

მოწინააღმდეგის ცხენზე ამხედრებული მეფე თავისიანებს მოუბრუნდა და მტრისკენ დასძრა...

მორჩილება გამოუცხადეს ვახტანგს ოვსთა მთავრებმა.

დატყვევებული დაი, მირანდუხტ გამოიხსნა მეფემ და არაგვის ხეობის გავლით, მცხეთას გამოგზავნა.

თვითონ, იალბუზის მთის გასწვრივ გაემართა.

დაიმორჩილა ოვსეთი, დაამარცხა ყივჩაღნი, დაიპყრო ჯიქეთი.

ეტყობა, მაშინ დაიბადა სიმღერა „იალბუზის გმირზე" (ლ. სანიკიძე, „უქარქაშო ხმლები").

ვახტანგ მეფესთან დაკავშირებულმა ლეგენდებმა ასახვა ჰპოვა რამდენიმე მოხეური გვარის: მოხუცი თადოშვილის, კვირაისძალთელი ღუდუშაურების, სიონელი (ძირად მთიული) კობაიძეების და სხვ. ზეპირსიტყვიერებაში.

ბუღა-თურქის სისხლიანი ზამთარი

მემატიანეს ცნობით: –

როგორც კი აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელები გაბატონდნენ (VI საუკუნე), მაშინვე, ჩრდილოეთის გზის გამაგრებას შეუდგნენ.

„კარნი ოვსეთისანი აიგნეს და იგი მთიულნი (ანუ, მოხევეთა წინაპრები) გომარდად (მცველად) დაადგინეს.“

853 წლის 5 აგვისტოს, სარკინოზებმა – ანთებული კუპრის ნთხევით, ტფილისი გადაწვეს; მერე, კახეთს შეესიენ; იქიდან მთიულეთში ავიდნენ და ცხავატამდე (ფასანაურამდე) მიაღწიეს.

მთიულებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურებს – ამოწყვიტეს „სარკინოზთაგან ურიცხვი.“

სამასი მძევალის აყვანა მოახერხა ბუღა-თურქმა და დარიალის კლდეკარის გახსნა მოითხოვა.

მთიელებმა – „გაწირნეს მძევალნი“ და მტერს შეებნენ...

„საქართველოს მთებმა ყინვიანი საგები დაუგო არაბებს“.

„სიცივისაგან სახსარდალეწილ სარკინოზებს ცხენები დაემშათ და დაეყინათ“.

გაჩანაგებული და ჯანგატეხილი ჯარით – ბუღა თურქი ბარში ჩამოიხვეწა („უქარქაშო ხმლები“).

დავით აღმაშენებელის „მშვიდობის გზა“

1118 წელს: –

დავითმა „წარავლინა კაცნი სარწმუნონი... მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა“ მათი თვისტომების საქართველოში გადმოსახლება.

მუდმივი სამეფო ჯარის შექმნა ჰქონდა განზრახული ქართველთ ხელმწიფეს.

რუსთაგან შევიწროებული ყივჩაღები, ისედაც სამხრეთისკენ მოიწევდნენ და, ათრაქა შარაღანის ძე – სიხარულით შეხვდა სახელოვანი სიძის შეთავაზებას.

ოვსნი აღუდგნენ მათ ძლიერ მტრულ ძალად.

ყივჩაღების საქართველოში გამოშვება არ სურდათ...

დავითი სწრაფად გადავიდა ოვსეთს;

სწრაფადვე დაიჭირა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა... მთისათანი...“

იკადრეს და ეახლნენ ოვსი მთავრები ქართველთა მეფეს – მორჩილება და ერთგულება გამოუცხადეს.

მოვიდნენ ათრაქა და მისი ძენიც.

აღმაშენებელმა – ორივე მხარეს, ფიცისა და ზავის წიგნი დაადებინა; გზაზე მდებარე ყველა მნიშვნელოვანი ციხის გადმოცემა მოსთხოვა და მძევლები ჩამოართვა.

დარიალის კარი, ანუ, ჩრდილოეთის და სამხრეთის შემაერთებელი მაგისტრალი – დავითმა „მშვიდობის გზად“ აქცია;

მორჩილებაში მოიყვანა თავისუფალი მთიელები და მათი წარმართული ყოფა-წარმოდგენების დანგრევას შეუდგა.

თამარ მეფე და „მთიელთ განდგომა“

XII-XIII სს მიჯნაზე, ფეოდალურმა საქართველომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია და მთაშიც ბატონყმობის დამყარებას შეეცადა.

ფხოველთ უკვე ქრისტიანებად – ჯვრის მსახურებად მიიჩნევდნენ, მაგრამ, რეალურად, ისევ წარმართები იყვნენ.

არ ეჭაშნიკათ სახელმწიფოზე დამოკიდებულების გაზრდა და უბრძოლველად არ დათმეს გვაროვნულ-თემობრივი ცხოვრების წესი.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: –

1212 წელთან ახლო პერიოდში, დიდოელთა და ფხოველთა სერიოზულ „განდგომას“ ჰქონდა ადგილი.

ფხოველნი, რომლებიც „ქრისტიანობას იჩემებდნენ“, წარმართ დიდოელებთან ერთად განუდგნენ ქრისტიან მეფეს;

„იწყეს რბევად... ხოცად და ტყეობად – ცხადად და ღამით“.

აჯანყებულთა დამორჩილება თამარმა ივანე ათაბაგს მიანდო: –

„მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთიულთა, დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა...“ – წარავლინა ისინი დიდოელთა და ფხოველთა ზედა.

განდგომილებს მიუვალი ადგილები ეჭირათ.

ივანემ „გონიერად ყო“ (ბრძნულად მოიქცა): –

ჯერ „აღვიდა მთასა ხადისასა, წარვლო წუერ-წუერად და წარადგა ფხოველთა და დიდოთასა.“

მერე – „ზეიდაღმან დაიწყო ბრძოლა...“ რომელმაც სამ თვეს: – ივნისს, ივლისს და აგვისტოს გასტანა.

„მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდოი და ფხოი.“

თამარმა დიდი სისასტიკით ჩაახშო აჯანყება.

ამბოხებულებმა ზავი ითხოვეს.

„მოსცეს მძევლები და აღუთქვეს მსახურება... ხარჯა... პირი სიმტკიცისა“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 527-529).

დავით VIII – „გველეთის მეფე“

მონღოლთა შემოსევის შემდეგ (XIII საუკუნე), „დარიალის გზა დიდი ხნით ჩაკვდა;“

გაუდაბურდა „დიდი გზა-შარის პირები.“

ამას მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური დაცემა: –

დაიქცა და მოიშალა მისი პოლიტიკური ერთიანობის საფუძვლები, შეირყა კანონიერება.

მთის დასამორჩილებლად მისი მმართველი თავადები გააქტიურდნენ და მთიელებმაც მახვილი შემართეს: –

ხოცავდნენ ხელისუფლების მოხელეებს, არბევდნენ მათ ციხე-კოშკებს, უწვავდნენ სახლ-კარს – მთიდან ერეკებოდნენ, მაგრამ, ქვეყნის ამ საყოველთაო დაძაბუნებისა და ძნელბედობის ჟამსაც, მტრისათვის ძნელად მისადგომი მთის სოფლები – ქართველ მეფე-დიდებულთათვის, მაინც საიმედო თავშესაფარი იყო.

მოხევეთა გაუტეხლობა გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა – თემურლენგმა რომ დარიალის გზა ხელში ვერ ჩაიგდო.

1297 წელს, მონღოლთა მბრძანებელმა, ყაზან ყაენმა – მისგან სანახევროდ განდ-

გომილი დავით VIII – დემეტრე II თავდადებულის ძე, თავისთან იხმო.

დაფრთხა დავითი.

ცხენს მოახტა და ურდოს ნაცვლად „ჟინვანს მივიდა.“

თავდასაცავად – „სიბა“ შეკრა: ჯარი ჩააყენა და მთიულეთის მთებში გაუჩინარდა.

როგორც ჟამთაღმწერელი გვამცნობს: –

„შევიდეს იგი გზასა ხუარაზმის ხევისასა, განვიდეს მთასა შორის ცხავატსა და ცხრაზმის ხევთა, რომელ არს ლომისა და... შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალი იყო.“

„ჩავლო ხუტულბულა, განვიდეს ხადას და გარდვიდეს ხევსა...“

ყაზან ყაინმა კიდევ რამდენჯერმე მოავლინა მოციქულნი – შესარიგებელად მეწვეთო, მაგრამ, მთებში შეხიზნულმა მეფემ – ისევ ვერ გაბედა ყაენთან წასვლა.

„თავისთავზე შეყვარებული სუსტქედიანი გვირგვინოსნის ლაჩრული ჭირვეულობის გამო, გაჩაღდა მოწყვეტა საქართველოსი.“

„მთიულეთს... იმდენი თათარი მოვიდა, ვერ ეტეოდეს სადგომად.“

„ბევრ სისხლად და ცრემლად დაუჯდა საქართველოს – დიდი დიმიტრი თავდადებულის უღირსი შვილის სიცოცხლე.“

„მის შესამუსრად ხუტლუშა ნოინი გამოგზავნეს ირანელმა მონღოლებმა, 1300 წელს.“

„სტეფანწმინდაში ეგულებოდათ, მაგრამ ცისკარეს ციხეში აღმოჩნდა გამაგრებული.“

„უგნური მეფის სიმხდალის გამო, კიდევ უნდა დასდენოდა სისხლი, ისედაც დაშრეტილ ქვეყანას...“

დავითი გველეთის ციხეში ჩაიკეტა.

იქ დაელოდა უბადრუკ წილხვედრს, რომელსაც თავისი ხალხის ფასად უმზადებდა ისტორიის ბედისწერა.

„თავისი ქონდრისკაცური სიცოცხლისათვის მეფემ საბოლოოდ გასწირა ის ხალხი და ქვეყანა, რომელსაც მისმა მშობელმა მამამ უყოყმანოდ შესწირა დიდი სიცოცხლე.“

ხუტლუშა ნოინმა ქართლი ნაცრად აქცია.

მოსიყვარულე ძმას დაადგა ეჭვიანი თვალი „გველეთის მეფემ“ – აითვალისწუნა, შეიპყრო და ჟინვალის ციხეში ჩააგდო.

გაქცევა მოახერხა ძმისგან იმედგადაწურულმა ვახტანგმა;

ურდოში წავიდა და ყაზან ყაენს ეახლა.

დავითზე გაბოროტებულმა მბრძანებელმა – ის გამოაცხადა საქართველოს მეფედ.

ასე გაჩნდა ბედუკულმართ აღმოსავლეთ საქართველოში ორი მეფე: –

ვახტანგ III თბილისში,

დავით VIII გველეთის ციხეში.

დავითმა – ერთი პირობა, თითქოს, ისურვა მონღოლებთან შერიგება.

„ამდენი სიცრუის, პირმოშლისა და სიტყვისტეხვის შემდეგ, მისი დიპლომატიური ცუნდრუკი – ყაენის კარზე, სასაცილო ჩანდა“ – მაგრამ დავითს – „დარიალის კარი ეპყრა“ და ირანელმა მონღოლებმა, მაინც სერიოზულ ძალად მიიჩნიეს – მტერ-მოყვარეში სახელგატეხილი მეფე; დაეთანხმნენ მისი შემორიგების სურვილს.

დავითმა ისევ გატეხა სიტყვა;

ისევ გველეთის ციხეში ჩაიკეტა.

ისევ დაიძრნენ მონღოლები მთისკენ.

ისევ უკუაქციეს ისინი მთიელებმა.

ისევ უერთგულეს თავიანთ მეფეს – რადგან მისი ღალატი, ღმერთის ღალატთან ჰქონდათ გაიგივებული (ლ. სანიკიძე, „უქარქაშო ხმლები“).

გიორგი ბრწყინვალე და „ძეგლისდება“

მონღოლებმა – ქართველთა „წინამბრძოლობით“, ტიგროსიდან ღაზამდე დაიპყრეს ქვეყნები, მაგრამ სპარსელებმა და სარკინოზებმა – ოლჯაიტუ ყაენი მაინც დაარწმუნეს: –

მანამ ქრისტიანობას არ მოსპობ, ეკლესიებს არ დაანგრევ და ქრისტიანებს მაჰმადიანებად არ მონათლავ, რაიმე სიკეთეს ვერ ეღირსებიო...

მონღოლებიც შეუდგნენ ეკლესიების რღვევას, ქრისტიანთა წინდაცვეთას, აკლება-აოხრებას...

„იდგა XIV საუკუნე და საქართველო მოეცვა აგონიას: – პოლიტიკურად დაშლილ–დაწიწკნილი, ჯანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული სულიერად, ზნეობრივად დამხობილი...“

„მონღოლურმა სამხედრო მანქანამ შეარყია და შეცვალა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება. უთავჟამო ომებმა და უცხო დროშის ქვეშ „წესად მიღებულმა“ ქართველთა „წინამბრძოლობამ“ – სამხედრო სიქველე უმაღლესი საზოგადოებრივი „მოწოდებისა“ და პრივილეგიის საგნად აქცია.“

„ახალი სოციალური ფენა – “სამხედრონი“ წარმოადგენდნენ იმდროინდელი საზოგადოების „ელიტას.“

„მეფის შემდგომ, უმაღლეს მაგისტრატურას იჭერდნენ „მთავრები,“ რომლებიც ისევ და ისევ ძლიერ მახვილზე დაყრდნობით, ხელთ იგდებენ ცალკეულ ქართულ თემთა და კუთხეთა უზენაეს ხელისუფლებას.“

„იდგა დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთისა ღალატედ დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი.“

„არსად „სამართალი არად იყო-ღა.“

„ქართულ მთას თათრული უღელი თითქოს სავსებით დავიწყნოდა. ერთმანეთს დანასისხლად გადაჰკიდებიან ქართული სოფლები.“

„ქსნის ხეობაში ერთმანეთს ეჟლიტებოდნენ ცხაოტელნი და ჟამურელნი...“

„ერთ ასეთ „საძმო შეტაკებაში“ მარტო თვრამეტი ცხაოტელი ხევისბერი დახოცილა.“

„სისხლისღვრის „მიზანი“ ხშირად სამხედრო „ხელოვნებასა“ და ვაჟკაცურ სიქველეში თავის გამოჩენა იყო, სხვა არაფერი...“

„უგნური თავმოყვარეობისა და უსაგნო მეშურნეობის მიზეზით, წლების განმავლობაში ერთმანეთს აწყდებოდნენ ქსნისა და არაგვის მთიელები.“

„უსაზმნოდ გამხეცებულ თანამოძმეებს ერთმანეთზე სასიკვდილო იერიში მიჰქონდათ „დახვეწილი“ საომარი ხელოვნებით... დროშების ფრიალით, ომახიანი ხმიანით, თავგანწირული ხმალთაკვეთებით, მიჯრილ ფართა „სიპებით,“ ქვათა გორებით და ისართა მერეხ-ბარანით.“

„ასეთ ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეგდებულიყო ეროვნული და სისხლიერ–ნათესაობრივი თვითშეგნება ქართველთა შორის.“

„სხვა რაღა უნდოდა გარეშე მტერს! მონღოლთა მსგავს მსოფლიო დამპყრობელთ რომ თავი დავანებოთ, შინაური მტრობითა და მესისხლეობით დასუსტებული საქართველო – „მცირე მასშტაბის“ მომტერეთა საკბილოდაც გადაქცეულა.“

„კავკასიონის გადაღმიდან მოშლიგინობდნენ მოთარეშენი.“

„მოდიოდნენ ყავჩაყნი.“

„გორამდე აღწევდა ოვსთა აბრაგული თარეში...“

„ასეთ ვითარებაში მოევლინა საქართველოს მეფე დიმიტრი II თავდადებულს მესამე ცოლისგან მხოლოდშობილი ძე, რომელმაც ისტორიაში დაივანა მეფე გიორგი V ბრწყინვალეს სახელით (1314–1346 წ.წ.).“

„ოქროს ურდოდან დაბრუნებისთანავე იგი ქართლის გაწმენდას შეუდგა ჩრდილოკავკასიელი მოთარეშე ტომებისაგან.“

„ჯერ მიადგა გორს, სადაც თავს აფარებდნენ მარბიელად მოვარდნილი ოვსნი...“

„ძლიერი ალყისა და იერიშის შემდგომ აიღო გორის ციხე. ქალაქიდან „განასხნა“ და კავკასიონს გადაღმა გადარეკა ოვსნი.“

„იმ ალყობასა და ოვსთაგან გორის ციხიდან ლტოლვაში ქსნისა და არაგვის საერისთაონიც მონაწილეობდნენ.“

„ამათ შორის ქართველთა სამარცხვინო თვისებამ იჩინა თავი – ცილობამ იმის გამო, თუ რომელი საერისთაოს ლაშქარმა დადო მეტი ქველობა საქმეს.“

„ეს თითქოსდა სიცილის მომგვრელი დავა იმდენად გამწვავდა, რომ მოსისხლე მტრობად იქცა.“

„ვერაფერს გახდა მთაში საგანგებოდ მისული უფლისწული დავით გიორგის ძე, რომელმაც არღარა აუშვა მხარეები საომრად, განყარნა ხევისთავნი, მოაშორა იქაურობას ბარელი აზნაურნი, ბოლოს უგუნური სისხლთათხევისათვის გამზადებულ თანამოძმეთა შორის ჩავარდა, მუხლებზე დაიჩოქა და ხატებზე აფიცა, მაგრამ არაფერმა გაჭრა.“

„მთიელთ არა იღეს ყურად სიტყვა და მუდარა დავითისი, ლომისის მთაზე საშინელი ხმალთაკვეთებით ერთმანეთს შეაწყდნენ ქსნისა და არაგვის ქართველობა.“

„გაჩაღდა ხოცვა-ჟლეტა ძმათაშორისი საზიზღარი.“

„იძლივნენ არაგველნი.“

„მოჰყვა ამას ერთმანეთისა ზედა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა და კოშკთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა – გაცუდდა სამართალი... ტომნი და თემნი თავმოყვარეობის მცირედი შელახვისა გამო ბრძოდნენ ერთმანეთს ვითა მოსისხლენი. ზოგზოგნი მიცვალებულებზეც კი იყრიდნენ ჯავრს, გლეხნი დიდებულთა ძარცვასაც აღარ ერიდებოდნენ (ჭ. ამირეჯიბი, „გიორგი ბრწყინვალე“).

მთის „აღრევით ყოფა“ გამხდარა – ამ მხარეში, გიორგი ბრწყინვალეს მისვლის მიზეზი.

მეფე – დიდი ამალით, ჟინვანში ასულა და „ჯვრის ყელზე“ გადავლით – დარიალამდის მიუღწევია.

მან სოფელ-სოფელ, თემ-თემად და ხევ-ხევად მოიარა მთიანეთი.

ყველგან – ხალხთან და ხევისბერ-ჰეროვანებთან ბჭობით, მტკიცე ნებითა და ბრძნული სიტყვით დაარწმუნა მთიელები, რომ – ყველას (განურჩევლად „დიდთა“

და „მცირეთა“) – სიცოცხლის ფასად აზღვევინებდა – რაიმე „უსამართლობასა და მძლავრებულობას“, ურთიერთმესისხლეობას, განუკითხავ მკვლელობას, „ციხეთა დაქცევას,“ სხვისი ცოლის „წაგურას,“ საკუთარის „დაგდებას,“ მოყვასის საფლავის ხელყოფას და სხვა მსგავსთა „ულუსობათა.“

მთიელთა „აღრეული ყოფა-ცხოვრების მოწესრიგების მიზნით“, მეფემ სპეციალური კანონმდებლობა (სამართალი) შექმნა („ძეგილს დადება მთიულთათვის“) – რომელიც, მოგვიანებით, მთელ მთაზე გავრცელდა.

კანონთ-კრებულის მიხედვით, საქართველოს მთა უბრუნდებოდა თავის ძველ, ტრადიციულ წესრიგს და ზნეობრიობას;

ფეოდალური განკერძოება გზას უთმობდა სამეფო კარის შეუვალ და განუყოფელ უზენაესობას – რაც დავითისა და თამარის დროინდელი სახელმწიფოებრივი სისტემის აღდგენას ნიშნავდა...

თემურ ლენგი და გიორგი VII

1393 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა გიორგი VII.

იმ პერიოდში – ჩრდილოეთის ოქროს ურდოს ყაენი, თოხთამიში და თემურლენგი ერთმანეთს მტრობდნენ.

კოჭლი მონღოლი ეჭვობდა რომ: – ქართველთა მეფე ჩრდილო-მონღოლებს ემხრობოდა.

დაასწრო მათ და რჩეული მხედრობით – დარიალის გზის ხელში ჩასაგდებად გამოემართა.

არაგვის ხეობა თათართა ჯარით გაივსო.

არაგველებმაც ხმალი აღმართეს.

„მძიმედ მიიკაფავდა გზას თემური; ძვირი უჯდებოდა ბრძოლა ყოველი ციხისთვის, უღელტეხილისთვის, ქვაღორღიანი ბილიკისათვის.“

ძლივს გადავიდნენ დარიალზე და შეიტყვეს რომ – ოქროს ურდოელნი დარუბანდზე წასულიყვნენ.

შეშინდა თემური: მტერმა – შირვანიდან ირანში არ შემასწროსო და დარიალიდან – არაგვის გასწვრივ, სწრაფად დაეშვა.

კვალდაკვალ მიჰყვა თათრებს გიორგი მეფე.

ვაი-ვაგლახით გაიარა „რკინა-კოჭლმა“ მთელი გზა...

ჩრდილოელ მონღოლთ ვეღარ მიუსწრო.

უკვე გადაევლოთ მათ დარუბანდის კარიბჭენი.

*

XV-XVI-XVII საუკუნეებმა „სისხლიანი ეტლით გადაიარეს საქართველოს გულზე.“

„ქართველებმა ბევრი სისხლი ადინეს გადამთიელს“;

„არა უმცირესი – ერთმანეთს.“

„ლამის დაიქცა საქართველო, მაგრამ მაინც კიაფობდა ნაპერწკალი ნაცარმორეულ ქართულ კერაზე.“

„იმსხვრეოდნენ უქარქაშო ხმლები, მაგრამ იჭედებოდა ახალთახალი დავითფერულიც – რადგან ჩაუმქრალად ენთო ცეცხლი ქართულ ქურაზე...“ (ლ. სანიკიძე).

საქართველოს სამეფო კარის ურთიერთობა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატამდე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მჭიდროდ უკავშირდება ჩრდილოეთის ამ უდიდესი ქვეყნის და ოსმალეთის ინტერესების შეჯახებას – კავკასიის საკითხებში.

რუსეთის შავ ზღვაზე გასვლა სჭირდებოდა.

აღნიშნული მიზნით, XVI საუკუნის შუა წლებში – მან, ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ფეხის მოკიდება დაიწყო.

მდინარე თერგის შესართავთან – ციხე ააგო და ჯარი ჩააყენა.

„მაშინ – იქ, დიდი ხელმწიფე იჯდა, ივანე IV, მრისხანედ წოდებული.“

კახეთში ლევანი მეფობდა – ჭკვიანი მმართველი და მოქნილი პოლიტიკოსი: –

ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და, ბრძოლებით ილაჯგაწყვეტილმა, ელჩობა გაგზავნა მოსკოვს – ერთმორწმუნე ხელმწიფეს ჯარი სთხოვა.

თხოვნა აღასრულა – ივანე მეოთხემ.

შვიდი წელი (1564-1571 წ.წ.) „ლევან მეფეს – კახეთში, რუსის ჯარი ედგა.“

შვიდი წელი მშვიდად და არხეინად პატრონობდა იგი „თავის წილ“ საქართველოს.

ოსმალეთმა რუსეთი – ომის მუქარით აიძულა რომ – თერგის ციხიდან ჯარი გაეყვანა.

ლევანმაც – შაჰის წინადადებით დაითხოვა რუსი მეციხოვნენი.

ალექსანდრე კახთა მეფე

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა XVI საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, როცა ოსმალეთმა, ამიერკავკასიაში გაბატონებასთან ერთად – ჩრდილო კავკასიის დაუფლებაც გადაწყვიტა.

მოსკოვი მოკავშირეს ეძებდა ოსმალთა წინააღმდეგ.

მათი უზენაესი ხელისუფლების რწმუნებულმა, 1585 წელს – კახთა მეფე ალექსანდრეს წიგნი გადასცა – რომლითაც რუსეთის მეფე, თეოდორე ივანეს ძე – ქართველ ხელმწიფეს – კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა.

ალექსანდრე – ოსმალეთს ებრძოდა და უკეთესს ვერაფერს ინატრებდა.

ისარგებლა მომენტით: –

რუსეთის მეფეს თერგზე ციხის აგება; იქ რუსის ჯარის ჩაეყენება და, თერგიდან დაღესტანზე გავლით – კახეთამდე მომავალი გზის დაკავება მოსთხოვა.

მოსკოვმა ხელსაყრელად მიიჩნია მისი წინადადება.

კახთა მეფემ „წყალობის სიგელი“ მიიღო – „ოქროს ბეჭდით“ დამშვენებული...

მოვლენები ქართველების საწინააღმდეგოდ განვითარდა: –

რუსეთმა – ვერც დაღესტანი დაიმორჩილა და ვერც თერგ-კახეთის გზა „დაიჭირა;“

ქართული სამეფოების ხელით მოინდომა – ოსმალეთ-ერანის კავკასიიდან განდევნა.

*

საქართველოში რუსების ხელახალმა ფეხისჩამოდგმამ, „ააბორგა და ააფორიაქა

მუსლიმანური სამყარო“: –

XVI საუკუნის მიწურულში – უფრო დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს ქართველობისა და ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად;

„მამულებს ართმევდნენ ყველას, ვინც ქრისტიანობას არ განაგდებდა, ისლამს არ მიიღებდა და ოსმალეთის სამსახურში არ შევიდოდა მხედარ-მეომრად.“

„მამულებს ართმევდნენ ქართულ ეკლესიებს.“

„ქართულ ტაძრებს მეჩეთებად აქცევდნენ.“

„ქრისტიანები დამატებით გადასახადს იხდიდნენ ქრისტიანობისათვის.“

„სამასი წლის მანძილზე არ გამოლეულა ქართველ ჭაბუკთა, უფლისწულთა და თავადისწულთა „სამძევლო წვევა“ სპარსთა სამეფო კარზე.“

„გამუდმებით, უწყვეტად, ზედმიყოლებით მიჰყავდათ ისინი და „ათათრებდნენ;“

„ასწავლიან სპარსულ და თურქულ ენებს;“

„ქრისტიანობას აგმობინებდნენ და ისლამის სჯულზე აქცევდნან“ (ლ. სანიკიძე, „უქარქაშო ხმლები“)...

თეიმურაზ I

დადგა XVII ასწლეული და ისევ აიტუზა სიკვდილის აჩრდილი ქართულ კერასთან.

აჩრდილი შაჰ აბასისა და გიორგი სააკაძისა... ავბედითი პერიოდი თეიმურაზ პირველისა, რომელსაც ბედმა – სხვა უბედურებებთან ერთად, ამ ტიტანებთან ბრძოლაც არგუნა.

კახეთი – ჯერ კიდევ, თეიმურაზს ეკუთვნოდა.

დარწმუნებული იყო, რომ არ შეარჩენდნენ და წინაპრების მსგავსად – რუსეთის სამეფო კარს (მიხეილ რომანოვს) მიაწვდინა ხმა: –

ეგებ, როგორმე მოეშველოთო მოძმე საქრისტიანოს.

არაფერი გამოუვიდა.

იმის მიუხედავად რომ – აღასრულა რუსთა ხელმწიფის მოთხოვნა: –

მოსკოვს „აღსაზრდელად“ გაგზავნა შვილიშვილი, ათი წლის ნიკოლოზ დავითის ძე, რომელიც – მალე, ალექსი რომანოვის სამეფო კარზე – ყველაზე მიღებული ადამიანი გახდა; ისტორიული წყაროების მიხედვით, პეტრე I-ის მამა – რაც ნატალია ნარიშკინას მიერ ერეკლესადმი მიწერილი წერილიდან და „ბოიართა სათათბიროს“ ერთ-ერთი სხდომის ოქმიდან დასტურდება (ს. მასხარაშვილი, „მატიანე ქართველთა,“ გვ. 264).

ილაჯგაწყვეტილი თეიმურაზი, 1658 წელს, თავად ეახლა მოსკოვს, მაგრამ, საკადრისი მიღებების შემდგომ – მხოლოდ დამაიმედებელი სიტყვებით გამოისტუმრეს.

კახეთის 1659 წლის აჯანყება ბახტრიონის ომი

თეიმურაზ პირველის რუსული პოლიტიკის შედეგად, ერანის სასახლის კარმა ააღორძინა შაჰ აბასის უბოროტესი განაზრახი: – კახეთიდან კახელების აყრა და მათ ნაცვლად, მომთაბარე ელების და თურქმენების ჩამოსახლება.

სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში, კახეთში – სელიმ ხანმა თურქთა ურდოები ჩამოასახლა, რომლებმაც – ბახტრიონი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები დაისაკუთრეს.

„ველური ელი-თურქმენი ყრუ გულცივობით სჩეხავდა კახური მზითა და კახელი კაცის სულით აღსავსე ვაზს.“

„ბარი იქცეოდა...“

„მისი პურისა და ღვინის შემყურე მთიელობაც დამეხვის უფსკრულს მისდგომოდა...“

*

„საყოველთაო საფრთხემ საყოველთაო აჯანყება შობა“ – ლეგენდარული თუშის – ზეზვა გაფრინდაულის, ხევსური ნადირა ხოშარეულის, გურგენ ჭინჭარაულის, ძმები გულუხიძეების, ალავერდელი ფუნჩიაშვილისა და სხვათა მეთაურობით.

„სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად მთელი ქვეყანა წამოიშალა: კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიულ-მოხევე – ზვავად მოსკდა... თურქმენთა დასახლებებს მოედვნენ და დედა-წულიანად გაჟლიტეს ყველა, ვისაც ამ დღემდე წილი დაედო კახური ოჯახის დაქცევაში, კახური ვაზის გაჩეხვაში, კახური სალოცავი მიწისა და წყლის შებილწვაში...“ (ლ. სანიკიძე).

აჯანყება დიდი მსხვერპლის ფასად ჩაახშეს;

ერანის მმართველმა – დამსჯელი „ილღარის“ მოწყობა ვეღარ შებედა აბობოქრებულ კახეთს...

სიკვდილი, ან მაჰმადიანობა!

ასეთი იყო შაჰის განაჩენი აჯანყების მოთავეების მიმართ.

ბიძინა ჩოლოყაშვილმა – შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა – სიკვდილი არჩიეს.

რაც ეხება „ბახტრიონული ომის“ ხალხის წიაღიდან გამოსულ მთიელ რაინდებს – ისინი არც ქართველ მეფეს ენდნენ, არც ქართველ თავადებს, არც სპარსელ ბეგლარ ბეგებს და არც სპარსეთის შაჰს...

იარაღის დაყრა არც უფიქრიათ.

იბრძოდნენ, სანამ პირში სული ედგათ!

ერეკლე I
(ნიკოლოზ დავითის ძე, ნაზარ-ალი-ხანი)

სიცოცხლის მიწურულს, ერანს შეურიგდა მისი ნახევარსაუკუნოვანი მტერი – სამამულო ხმათაკვეთებით სავსებით დაბერებული და გატეხილი, „რუსთმოყვარე“ – თეიმურაზ I.

დიდი შაჰ აბასი მის ქედის მოდრეკას ვერ ეღირსა.

სიკვდილის წინ კი, უმსხვერპლოდ და უბრალოდ ჩაბარდა „მცირე შაჰ აბასს“ – რომელმაც წარმოუდგენელი ღირსებით და პატივით მიიღო...

მათი „სიამტკბილობა“ საგანგაშო ცნობამ დაარღვია: –

საქართველის მთას იარაღი აესხა და ავისმომასწავებელი გადაწყვეტილება მიეღო: –

კახეთი სპარსეთის შაჰის და „გათათრებული“ ხელმწიფისგან უნდა განთავისუფლდეს;

მას საკუთარი ბატონ-პატრონი უნდა დაუბრუნდესო.

„საკუთარი ბატონ-პატრონი“ თეიმურაზი იყო, რომელმაც სპარსეთს „ჩაიტანა სული.“

მთიელებმა რუსეთიდან მოიხმეს მისი შვილიშვილი – ნიკოლოზ დავითის ძე, რომელიც რვა წელი იმყოფებოდა მოსკოვში – „ვითარცა ძე“ რუსთა ხელმწიფე ალექსი რომანოვისა.

1661 წლის ზაფხულის მიწურულს, ნიკოლოზმა თუშეთს მიაღწია.

„შემოეყარნენ მის იმედად დამდგარი“ მეამბოხენი.

მისვლისთანავე, სახელი შეუცვალეს და ერეკლე დაარქვეს...

თავზარი დასცა ამ ამბავმა „მცირე შაჰ აბასს“.

ერეკლემ ცივი უარი შემოთვალა მის „თხოვნაზე“...

*

1663 წელს – თეიმურაზ პირველი 74 წლისა იყო, „როცა სიკვდილმა ასტრაბადის ნესტიან კედლებში გაიარა, მხცოვანი ხელმწიფის სარეცლის წინ დაიმუხლისთავა და ნოტიო საბნის ქვეშ, გულის გასწვრივ გათოშილი ხელი შეაცურა“... (ლ. სანიკიძე).

*

ერეკლე I – როგორც კახელების, ისე მოსკოვის ქართველ „კოლონისტთა“ იმედად იქცა.

დროც – თითქოს, ხელსაყრელი იყო: –

შაჰ აბას I-ის შემდგომ, სპარსეთი სწრაფად კნინდებოდა;

„ცარევიჩი ნიკოლაი“ რუსთა ხელმწიფის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა... მაგრამ რუსეთის იმპერიის ცხოვრება – ერთბაშად, ისე აიწეწა – საქართველოსთვის ვეღარავინ მოიცალა...

ნიკოლოზ დავითის ძემ – საქართველოს საკეთილდღეო შანსი დაკარგა და იძულებული გახდა, სპარსეთის შაჰის მიწვევას დათანხმებოდა.

1688 წელს, სპარსეთ-საქართველოს გზაზე, ქართლის ახალი მეფე მოაჭენებდა ბედაურს – ბრწყინვალე ამალით; შაჰისგან ნაწყალობევი სიმდიდრით და მისართმეველით – რუსეთში „ცარევიჩ ნიკოლაის“ სახელით ცნობილი, ძე დათუნასი, ძის-ძე სახელოვანი თეიმურაზ მეფისა.

უკვე მესამე სახელი ჰქონდა მას – თათრული, ნაზარ-ალი-ხანი.

ვერ გადაურჩა „თათრად მონათვლას“ ამპარტავანი ქართველი უფლისწული, „ორგზის ქრისტიანი“ – ორი ქრისტიანული ქვეყნის აღზრდილი.

საქართველოში რომ შემოვიდა, ცხენიდან ჩამოქვეითდა – განმარტოვდა, მუხლებზე დაეცა, მიწას აკოცა და დიდხანს ილოცა ჯვარსახოვნად, ქრისტიანულად, ქართულად („უქარქაშო ხმლები“).

არჩილი

ბედის უკუღმართობით დევნილი პოეტი მეფე – ვახტანგ V-ის უფროსი ვაჟი – არჩილი, თავდავიწყებით მიილტვოდა რუსეთისაკენ – რადგან ყველა სხვა გზა დახშული ჰქონდა –

აღმოსავლეთიც, დასავლეთიც და სამხრეთიც!

ჩრდილოეთი დარჩენოდა „დახსნის უნარით“ და მი-მო-დიოდა, დიდ რუსეთში – პოეტი მეფე – მძიმე ფიქრებით დატვირთული და დარეგვილი.

ერთ-ერთი გადასვლის მცდელობისას (1688 წელს), შამხლის ბატონმა შეუთვალა დაღესტნიდან ჩერქეზთა ბატონს (ყილჩიყოს): –

ქართველი, გიაური მეფე მიდის გიაურ რუსეთში.

სტუმრად შენთან უნდა გამოიაროს.

სპარსეთის შაჰი დიდ სასყიდელს გვპირდება... შეიპყარ არჩილ და გავუგზავნოთ სპარსეთის ხელმწიფეს-ო.

*

ქართველების თავაზით მიღების შემდგომ, ყილჩიყომ მეგზურობას თავი აარიდა... გზაზე – უეცრად, ორი გოლიათი ჩერქეზი დაეძგერა ქართველთ ხელმწიფეს...

მრავალმა – ქართველთა მცირე გუნდს შეუტია.

„ორი ბერ-მონაზონი დატოვეს უყურადღებოდ – ვითარცა ბრძოლისთვის უძლური და უმაქნისნი.“

ანაფორის შიგნიდან იშიშვლეს მათ ხმლები.

მეფემაც „იხადა მშვილდ-კარპაჭი და მოსრნა მრავალნი...“

იბრძოდა მეფე,

იბრძოდნენ ბერნი,

იბრძოდნენ მსახურნი!

როცა თითო-ოროლა ქართული ხმალი-ღა ელავდა ასეულ ჩერქეზულს შორის – საშინელი ყიჟინითა და ჩეხვით შეუტია მეფემ საბედისწერო წრეს.

„განვლო ბრძოლით რაზმი მათი და წარვიდა ლტოლვით.“

გრიგალივით დაედევნენ ჩერქეზები – ლაგამაწყვეტილი ჭენებით.

მიჰქროდა არჩილ, მაგრამ „ქროლვა“ ჩაუწყდა მის ცხენს... ვეღარ შეძლო გოლიათი მხედარის ტვირთვა...

გადმოხტომა მოასწრო მეფემ.

„ბრძობდა კვლავაც ძლიერად“...

უცებ მის გარშემო შემორტყმული წრე გაარღვია უცხო მხედარმა;

სასტიკის ხმით რაღაც შესძახა.

ჩერქეზებმა უმალ შეაყენეს ხმლები!..

„მე ლეკი ვარ, საოცარო გმირო,“ მიმართა მან მეფეს –

„ნუღარ მოიკლავ თავსა უებროსა... რაც ჩაიდინე ისიც გეყოფა სიმხნედ და სივაჟკაცედ...“

„დაიმდაბლე თავი და წამოდი ჩემთან!“

ლეკმა – მეფეს უმასპინძლა როგორც ჭეშმარიტმა კავკასიელმა.

მეორე დღეს კი, ისევ ყილჩიყო ჩერქეზთან მიიყვანა (ყოფილ მასპინძელთან, რო-

მელიც შამხლის ბატონთან იყო შეთქმული).

„დიდხანს ჩურჩულებდნენ ლეკი და ჩერქეზი განმარტოებით.

„გვიანობამდე იწვა არჩილი ფხიზლად და უძილრად.“

ყილჩიყოს ცოლმა – შუაღამისას, მეფეს – მასთან ერთად წაბრძანება სთხოვა...

ბასიანს მივიდნენ.

დამხვდურმა ქალებმა – სახლში შეიყვანეს ქართველი მეფე და გადამალეს.

მეორე დილით, შამხლის ბატონი მიადგა ჩერქეზთა ბატონს – ქართველი ტყვე-მეფე მოჰკითხა...

ქალებმა მომპარესო – უთხრა ყილჩიყომ და ორივენი, მხედრების თანხლებით – სასწრაფოდ გაიჭრნენ ბასიანისკენ.

გამოეგებნენ მომხდურ ბატონებს ჩერქეზთ ქალები;

ლეჩაქები ჩამოიხსნეს და ქმრებს მიმართეს: –

„ან ეს ლეჩაქნი თავს დაიბურეთ, ან ქართველ მეფეს – ჩვენს სტუმარს, ხელი არ ახლოთო...“

ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა.

შამხლი უზანგებზე წამოიმართა, „მაგრამ ჩერქეზ ქალთა ქმრებს უკვე სანახევროდ ამოზიდულ სატევრებზე დაედოთ ხელი (ლ. სანიკიძე)...

*

კავკასიელ მთიელთა შორის არსებულ მტრობას – თავისი ფესვები აქვს;

იყო შუღლი, სისხლის აღება;

იყო სხვადასხვა სარწმუნოება – მაგრამ იყო ვაჟკაცობისა და ძმობის საოცარი მაგალითები, რომელსაც დიდი ადამიანები იძლეოდნენ.

ამან შემოინახა კავკასიის ხალხთა ერთობა;

ამით შეინარჩუნდა მათ შორის არსებული მერყევი წონასწორობა.

ვახტანგ VI
რუსეთის მორიგი მსხვერპლი

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძების საქმეში, ფასდაუდებელი ღვაწლის პარალელურად ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მოღვაწეობა სავალალო აღმოჩნდა საქართველოსთვის.

მუხანათურად მოატყუა მიამიტი მეფე პეტრე I-მა;

კასპიის ზღვის მიდამოების საკუთარ მფლობელობაში მოქცევის მიზნით, თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენა იგი.

რუსეთის ელჩმა შთააგონა ქართველთ ხელმწიფეს – თითქოს, ერთმორწმუნე მეზობელი – საქართველოს დახსნის სურვილით აპირებდა სპარსეთთან ბრძოლას.

რუსების დიპლომატიური ხრიკი ქართველებმა სინამდვილედ მიიჩნიეს.

დიდი იმედით მოელოდნენ რუსის ჯარის შემობრძანებას.

ვახტანგ VI-მ იმპერატორის შეტყობინებაც მიიღო: –

მანამ ჩემი ჯარი – სპარსეთის საზღვრებს მოადგება, ლეკებს დაეცი და იქ დამელოდე – ჩვენი თავშეყრის ადგილს დამატებით გაცნობებო.

ვახტანგმა „განჯისკენ გაილაშქრა;

„შანქორში დაიბანაკა – რუსთა ხელმწიფისა და ძლიერი ლაშქრის მომლოდინემ.“

ეს ამბავი, 1723 წლის 6 ენკენისთვეს – პეტრეს დარუბანდში მიუვიდა;

7-ში – დაიძრა და შინ წავიდა, აშტარხანისკენ (ივ. ჯავახიშვილი).

„აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველი“ ხელმწიფე სულაც არ შეუწუხებია იმ გარემოებას – რუსეთს მიმხრობა და სპარსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა – საქართველოსთვის რომ საბედისწერო ნაბიჯი იყო.“

„უკან დასახევი გზა – მას აღარ რჩებოდა...“

თავზარი დაეცა მტრულ გარემოცვაში მიტოვებულ ქართველთა მეფეს.

დათქმულ ადგილზე – სამი თვის ლოდინის შემდეგ, გამობრუნდა „დაშლილი ჯარით, აშლილი გონებით, ჩაშლილი სამამულიშვილო და საშვილიშვილო განზრახვით.“

*

1724 წლის ზაფხულში, ვახტანგ VI-მ შეიტყო – „სავსებით მოულოდნელი, გონების შემარყეველი და ძვალთადამამსხვრეველი ამბავი: –

პეტრე პირველმა ქართლი თურქეთის საკუთრებად ცნო“ (ლ. სანიკიძე).

ასე უკუღმართად დამთავრდა პეტრე პირველის მიერ საქართველოსთვის აღთქმული მფარველობა: –

ჯერ თავის სასარგებლოდ ომში ჩათრევით;

მერე – მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებით და – ბოლოს, მტრისათვის მისი გადაცემით.

თეიმურაზ II

თეიმურაზ II-ის და მეფე ერეკლეს (ერეკლე II-ის) – ფრთხილი, გაწონასწორებული პოლიტიკის და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წყალობით, აღმოსავლეთ საქართველო გადაურჩა იმ განსაცდელს, რომელშიც პეტრე I-ის მუხანათობით ჩავარდა.

უმძიმესი იყო საქართველოსთვის XVIII საუკუნის შუა პერიოდი: –

„დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული – ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლის საერისთავოებში.“

„აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს.“

„იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება საქართველოსა შინა.“

„დაკარგულ საინგილოს „მიმდევარი“ უჩნდებოდა... ხელიდან მიდიოდა ქვემო ქართლი... დამბლადაცემულ ქართულ ნაფუძარზე რჩებოდა თურქმანი და... ჭინჭში გახვეული სამართებელი“ („უქარქაშო ხმლები“).

ისევ რუსეთის მოიმედე შეიქმნა საქართველოს სამეფო კარი.

გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, 1760 წლის გაზაფხულზე – ისე რომ პეტერბურგის საიმპერატორო კარისთვის მიწვევა არ უთხოვია – თეიმურაზი რუსეთს გაემგზავრა: –

„ელისაბედ დედოფალს ჯარი სთხოვა“ – ან იქნებ, ფულადი სესხი გაიღოსო რუსეთის ხაზინამ, რამდენიმე წლის ვადით...“

„ამ დახმარებით... ქართველები ლეკებსაც ალაგმავენ, „გამორჩეულის დასით“ ერანშიც შევლენ – იქ, „ჩინებულთა სპარსთა შეკრებასაც“ მოახდენენ და მათის „ერთხმობით“ ერანის ტახტზე რუსეთისა და საქართველოს „სასურველ შაჰს“ აიყვანენო“...

საიმპერატორო კარს – ისევ არ ეცალა საქართველოსთვის...

1762 წლის 8 იანვარს თეიმურაზ II პეტერბურგში გარდაიცვალა.

ერეკლე – ქართლ-კახეთის ერთხელმწიფე გახდა.

ლეკიანობა

ჭარში – კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ლეკები XVI საუკუნიდან ჩანან.

ისინი – იქ, კახთა მეფეების ნებართვით, მათ ყმებად „სხდებოდნენ“;

ცოტა ხანში – ჭარი, კახეთის მარბიელ, გადამთიელ ლეკთა სადგურად იქცა.

ისინი ქურდულად ესხმოდნენ თავს ქართულ სოფლებს და აოხრებდნენ.

ამ საქმეში მათ – შამხალი შველოდა.

ორივე ტომს კი, ოსმალები მფარველობდნენ – რომლებმაც საშამხლო დაიმოყვრეს და საქართველო – ადამიანებზე მონადირე აბრაგთა ბუდედ აქციეს.

ლეკიანობა იმდენად სერიოზული პრობლემა გახდა, კახთა მეფე ალექსანდრე (1585 წ.) რუსეთის მეშვეობით შეეცადა მის გადაჭრას...

ვერც რუსებმა დაიმორჩილეს დაღესტანი.

უსაშველოდ ძნელი იყო მათთან ბრძოლა;

„გაცილებით ძნელი, ვიდრე თურქთან, გინა სპარსელთან, გინა არაბთან... მონღოლის შემდგომ, არავისთან ისე საძნელო არ იყო ბრძოლა, როგორც ლეკთან“ (ლ. სანიკიძე).

შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ, კიდევ უფრო გაძლიერდა – ჭარში, ლეკების ჩამოსახლება.

ირანში „გარეკილი“ კახელების ადგილს – დაღესტნელები „იჭერდნენ“.

შაჰის მოხელეები აშკარად უწყობდნენ ხელს მათ გაძლიერებას.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან, დაღესტნელ მტაცებლეთა გუნდები, თითქმის, ყოველდღე არბევდნენ ქართულ სოფლებს – აოხრებდნენ და ძარცვავდნენ; თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც მოიხელთებდნენ.

ლეკთა პრობლემა ვერ გადაჭრა – ვერც თეიმურაზმა, ვერც ერეკლემ.

1754-1760 წლებში, მთელი ქართლ-კახეთი – ლეკთა ბრბოებით აივსო.

მოსახლობა ციხეებს იყო შეფარებული.

მეურნეობა სულს ღაფავდა.

„მთებიდან ჩამოსვლის უმალ ლეკები წვრილ გუნდებად ნაწილდებოდნენ, უღრან ტყეებს, მიუვალ კლდეებსა და ვერანა ადგილებს ირჩევდნენ ხოლმე სადგურებად... ასეთი ბუნაგებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის წვრილად ტაცებასა და ძარცვას ეწეოდნენ.“

„სამოქმედოდ სწორედ მაშინ გამოდიოდნენ, როცა ქართველი გლეხობა ციხე-გალავნებიდან თუ გამაგრებული სოფლებიდან სამუშაოდ უნდა გასულიყო.“

„ხვნა-თესვის, მკისა თუ რთველის დროს მოედებოდნენ ხოლმე მინდვრებს... მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რისი მოტაცებაც შეიძლებოდა: ადამიანები,

საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი.“

„მიუხტებოდნენ ხოლმე უკაცოდ დარჩენილ სიფლებს... თავისი ბუნაგებისკენ მიერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებს, სოფლის ნახირს.“

„ნაშოვნით დატვირთულები ტყის ბილიკებითა და უცხო ველებით ბრუნდებოდნენ დაღესტანში.“

„მოდიოდნენ ღამით, დღისით – მიუვალ ხევ-ხუვებსა და ტყეებში ბანაკდებოდნენ.“

„ჭარ-ბელაქანს გასულნი – უკვე სამშვიდობოს იყვნენ.“

„იქ სტოვებდნენ ნატაცებს;“

„როცა მას საკმაოდ არ სთვლიდნენ, საშოვარისთვის ისევ ქართლ-კახეთს ბრუნდებოდნენ“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1946 წ.).

„ქართველთან პირისპირ შეხვედრაში ლეკს ყოველთვის სიკვდილი ან მარცხიანი უკუქცევა ელოდა, მაგრამ მისთვის აუცილებელი არ იყო „პირისპირ შეხვედრა.“ იგი მოდიოდა ქურდულად, მიპარვით, ჩასაფრებით, ანაზდაითი დაცემით და „მიხდომ-მოხდომით.“

„მთავარი ის გახლდათ, რომ ლეკისთვის ყოველივე ეს – ქურდობა, ძარცვა, მიტაცება, ტყვევნა და ალაფალა – მოუცილებელი სასიცოცხლო „სამეურნეო დარგი“ იყო, ძირითადი და მთავარი დარგი, ურომლისოდაც მას – მწირი და ბერწი მიწის შვილს, არსებობა არ შეეძლო.“

„ლეკის მთავარი საარსებო წყარო იყო ნაძარცვი, ნაქურდალი და ნატაცები. „მსოფლიო ბაზარზე“ ყველაზე დიდი „ლეკური საქონელი“ გახლდათ ტყვე ადამიანი, ხოლო „უმაღლესი ლეკური საქონელი“ – ქართველი ტყვე.“

„ამიტომ მოდიოდა ლეკი სათარეშოდ გასაოცარი თავგანწირულებით, სიკვდილთან შერიგებული, სიკვდილთან წილნაყარი.“

„ან სიკვდილი, ან მუდმივი თარეში!”ასეთი იყო ტრაგიკული მოწოდება „ლეკური არსებობისა.“

„სწორედ რომ უსაშველოდ ძნელი იყო, ისეთ მტერთან ბრძოლა, რომელსაც ყოველდღიურ საარსებო-სამეურნეო ცხოვრების წესად სიკვდილთან წილნაყარი აბრაგობა გაეხადა.“

„ლეკს სამეურნეო იარაღად ჰქონდა თოფ-დამბაჩა, ხმალ-ხანჯალი და თოკი (ტყვის ხელ-ფეხის გასაკრავად).“

„ქართველს „სამეურნეო იარაღად“ ჰქონდა: – თოხი, ბარი, გუთანი და მისთანანი.“

„იცოდა ლეკმა, რომ მისი „საომარი მეურნეობა“ მისივე სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა – თუ „სამიწათმოქმედო მეურნეობას“ თავმიცემული ქართველი გუთნის ხელიდან გაგდებასა და ხმლის მოხელთებას მოასწრებდა.“

„ისიც იცოდა, რომ ათიდან შვიდჯერ მაინც მოასწრებდა ქართველი ხმლის აღებას... ათიდან შვიდ სიკვდილს ვერ აიცდენდა ლეკი, მაგრამ მაინც მოდიოდა, ვინაიდან სხვაგვარად არსებობა არ შეეძლო.“

„ქართველს მაინც ძალიან ძვირი უჯდებოდა ათიდან „სამი ვერ მოსწრება“, ვინაიდან – განუწყვეტლივ, ცისმარე და დღენიადაგ მოდიოდა ლეკი ნადავლისთვის, ან სიკვდილისთვის!“

ჭეშმარიტად – ლეკის ბედისწერა იყო ქართველი!

ჭეშმარიტად – ლეკის „პური არსობისა“ იყო „ქართული ლუკმა.“

„საჭირო იყო ათიდან ათივეჯერ მოესწრო ქართველს უქარქაშო ხმლის აღება, მაგრამ მხოლოდ მაშინ მოასწრებდა, თუ იგი სამუდამოდ დააგდებდა და დაივიწყებდა გუთანსაც, თოხსაც, ბარსაც, საჭრეთელსაც, კალამსაც, ყალამსაც და – ლეკივით მარტო ხმალსა და თოფს გაიხდიდა „სამეურნეო იარაღებად...“

მაშინ ქართველიც აღარ იქნებოდა ქართველი.

ლეკისთვის მთავარი იყო – ქართველს არ მოესწრო ხმლის აღება.

„ქართველისთვის მთავარი იყო – ყველაფერი მოესწრო: ყანაც, ვენახიც, ბაღიც, ბოსტანიც, შენებაც, წიგნიც, კალამიც, ძერწვაც, ხატვაც... და ხმლის აღებაც“ (ლ. სანიკიძე)...

დიდი აგრესორების წაქეზებით გაღვივებული ლეკიანობა და მისგან საქართველოს თავსდატეხილი პრობლემები გახდა მიზეზი იმისა რომ – ქართველმა არისტოკრატიამ, შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში, სწორი პოზიცია არ დაიკავა;

საღად ვერ შეაფასა არსებული პოლიტიკური სიტუაცია და რომანოვების მიერ მოწყობილ – კავკასიის მთიელთა ხოცვა-ჟლეტაში – სამარცხვინო როლი ითამაშა.

გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართლ-კახეთის სამეფოს აღსასრული

XV–XVIII საუკუნეების განმავლობაში, არ დარჩენილა ქართველი მეფე, რომელსაც ანტიოსმალური კოალიციის შექმნის, ან მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების თხოვნით, ელჩები არ გაეგზავნოს (ან მიმოწერა არ ჰქონოდა) ევროპელ ხელისუფლებთან.

ისეთი „რუსოფილებიც“ კი, როგორიც კახთა მეფეები (ალექსანდრე II და თეიმურაზ I) იყვნენ, მანამ რუსეთთან დაიჭერდნენ საქმეს, ევროპისკენ იმზირებოდნენ – მაგრამ მათი იმედი თანდათან ქრებოდა და რჩებოდა მხოლოდ რუსეთი – რომელიც ქართველ მეფეებს თავად უშლიდა ხელს – კავშირი დაემყარებინათ ევროპელებთან.

ერეკლე II-მ, რომელსაც ყველაზე მეტად უკიჟინებენ რუსოფილობას და საუკუნო შეცდომაში სდებენ ბრალს, XVIII საუკუნის 80-იან წლებში, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე ორი წლით ადრე, ევროპას მიმართა – მაგრამ მისი წარგზავნილი ორივე ელჩი – გზაში, მეტად საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.

ქართველ პოლიტიკოსთა უწყვეტი ცდები – ევროპის დახმარებით დაეღწიათ თავი მაჰმადიანური გარემოცვისგან (ისევე როგორც დღემდე) – მარცხით დასრულდა.

XIX საუკუნის ზღურბლზე საქართველო ისევ რუსეთის იმპერიის იმედზე დარჩა.

1768 წელს, ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს.

ერთმორწმუნე მეზობელს მაშინ გაახსენდა საქართველო, რადგან – სლავების, ბერძნების და საქართველოს ჩაბმა გადაწყვიტეს ამ ომში – საზარბაზნე ხორცად (ა. ცაგარელი, გ. ბუტკოვი).

მხოლოდ ქართველები გაებნენ მათ ქსელში.

იმპერატორმა ეკატერინემ – იმერეთის მეფე, სოლომონ I-ს წერილით „აუხსნა“ რომ: – რუსეთ-ოსმალეთის ომი საუკეთესო საშუალებას აძლევდა მას – თავი დააღწია ოსმალთა ბატონობასგან... ურჩია – ჯარი შეეყარა, ერეკლე მეფეც გაერია ომში და, ორივეს ერთად, რუსეთის დახმარებით – ოსმალთა წინააღმდეგ გაელაშქრათ.

მაჰმადიანი ქვეყნები ერეკლეს მხოლოდ ბრძოლაში ჩაურევლობას სთხოვდნენ,

მაგრამ, ერთმორწმუნე მეზობლის სამხედრო დახმარებას იმედით, ორივე ქართველმა მეფემ – რუსეთს გულუბრყვილო თანხმობა მისცა.

სოლომონ I-მა, მალე – ეკატერინე II-ს „დამაიმედებელი“ წერილიც მიიღო: –

დახმარებისთვის გამოგიგზავნით – ერთ-ერთ, თავის საქმეებში გამოცდილ მხედართმთავარიო.

„გამოცდილ მხედართმთავრი“ ტოტლებინი გახლდათ – ყოვლად შეუფერებელი და უღირსი კაცი; უნიჭო და უზნეო – რომელსაც საკუთარი პატივმოყვარეობის იქით, არაფრად მიაჩნდა არც რუსეთი და არც საქართველო.

გულის ჯიბეში მას დედოფლის ვერაგული ინსტრუქციაც ედო: – „ქართველებმა... საკუთარი ძალით იმოქმედონ; ჩვენგან მხოლოდ იმდენი ჯარისკაცი დაემატოს, რამდენიც ეყოფა მაგალითის მისაცემად და წასახალისებლად“-ო.

რუსეთის გეგმა – საქართველოს ბრმა იარაღად გამოყენებას ითვალისწინებდა.

გადაწყვეტილი ჰქონდათ – მოესპოთ ქართველთა ჯარი და დაპატრონებოდნენ უმწეოდ დარჩენილ ქვეყანას.

ასეთი განზრახვით გადმოლახა ტოტლებინის რაზმმა დარიალი. „სტეფანწმინდას მიატანეს და ადოს მინდორზე დაბანაკდნენ.“

ერეკლემ – ჯვრის უღელტეხილის გადმოღმა, ხადასთან გაშალა თავის კარავი.

მოლაპარაკება უკომპრომისოდ წარიმართა.

ერეკლემ თავისი პირობები წამოაყენა.

საიმპერიო კარი იძულებული გახდა „წყალობანი“ გაეზარდა – მაგრამ, ტოტლებინისთვის მიცემული საიდუმლო დავალებიდან გამომდინარე, რუს-ქართველთა სინქრონული საომარი მოქმედება ვერ შედგა.

აწყურის ციხესთან სამ დღიანი ბრძოლის შემდგომ, 1770 წელს, ტოტლებინმა ბრძოლის ველი მოულოდნელად მიატოვა და, მთელი თავისი რაზმით – უკან გაბრუნდა (ხერხეულიძე, ჭიჭ. 264, ჩუბ. 491, ბუტკოვი I, 281-282).

„გამოცდილმა სარდალმა“ – გაწირა და ბრძოლის ველზე მიატოვა ქართველთ ხელმწიფე.

თავზარდამცემი იყო მისთვის რუსი გენერლის ღალატი.

მრავალრიცხოვანი მტრის თვალწინ, რუსთა წყალობით ომში ჩაბმული საქართველო, რუსი „მხედართმთავრის“ მიერ – მუხანათურად იქნა მიტოვებული...

ანალოგიური იყო ტოტლებინის შემცვლელი გენერლის, სუხოტინის მოქმედებაც: –

1772 წლის მაისის ბოლოს, ეკატერინე II-ს მოულოდნელი ბრძანებით – ისიც, რუსულ ჯართან ერთად, საქართველოს საზღვრებს გაშორდა.

„დაზაფრულნი დარჩნენ საქართველოს საჭეთმპყრობელნი...“

„განრისხებულ ხონთქარს – ფული და ჯარი არ დაუზოგავს, რათა მათთვის სამაგიერო მიეზღო.“

„არც სპარსეთს მოსწონებია საქართველოსგან რუსეთის ცხადად მიმხრობა.“

ქერიმ ხანი – ჯარით წამოვიდა მის წინააღმდეგ.

დიდი იმედები – ისევ დიდმა იმედგაცრუებამ შეცვალა.

*

რუსეთი, ოსმალეთი და ერანი არასოდეს ისე მძაფრად არ დატაკებიან ერთმანეთს, როგორც XVIII საუკუნის 80-იან წლებში.

რუსეთს კვლავ დასჭირდა განაწყენებული მეფე ერეკლე;

ინიციატივის ღიად გამოხატვა არ ისურვა და – ჩვეული პოლიტიკით, „მფარველობითი“ ტრაქტატის დადება – საქართველოს ათხოვინა (ვითომ, მის ინტერესებში არ შედიოდა).

იმპერიის „სამხრეთის საქმეებს“ – მაშინ, ეკატერინე II-ს ფავორიტი, ფელდმარშალი გრიგოლ პოტიომკინი განაგებდა – რომელსაც თანაშემწედ, მასივე ახლო ნათესავი, ჩრდილო კავკასიის საომარი ძალების („კავკასიის ლინიის“) მთავარსარდალი – პავლე პოტიომკინი დაუნიშნეს.

მისი შტაბ-ბინა ქალაქ გეორგიევსკში იყო განთავსებული.

ერთმორწმუნე მეზობელმა ისე დაგეგმა კავკასიის ხელში ჩაგდება – ქართველებს ისე წარმოუდგინა საქმის ვითარება, თითქოს – რუსეთის ერთადერთი მიზანი, ქრისტიანი ქართველების დახმარება იყო და, ამ მოჩვენებითი თანაგრძნობით, შესთავაზა „მფარველობა.“

გრიგოლ პოტიომკინმა, 1779 წელს, თავისთან დაიბარა – იმ დროს ერეკლეს კარზე მყოფი გერმანელი მოგზაური, რაინეგსი და სათანადო ინსტრუქციით – ისევ საქართველოში გამოისტურმა.

საგანგებოდ დაავალეს მას, ერეკლე მეფისთვის ჩაეგონებინა რომ – რუსეთისთვის ეთხოვა მფარველობა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 5, გვ. 73-74).

„ურჩიე ქართველ მეფეს, თხოვნა დაწეროს რუსეთის მფარველობაში შესვლისა... მხოლოდ ისე, რომ ჭკუის მასწავლებლად ნუ მოაჩვენებ თავს – ეგზომ ღირსეულ ხელმწიფეს“-ო.

ასეთი იყო ფელდმარშალის დავალება.

*

ქვეყნის ურთულესი მდგომარეობის და მრავალმხრივი ზემოქმედების შედეგად, 1782 წლის 21 დეკემბერს – მეფე ერეკლემ თხოვნა გაუგზავნა პეტერბურგის საიმპერატორო კარს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ.

იმპერატორმა „დააკმაყოფილა“ მისი თხოვნა და ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა – 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში ხელი მოაწერეს „მეგობრობის პირობას.“

იურიდიულად – რუსეთთან მხოლოდ კავშირი და მფარველობა გაფორმდა – მაგრამ ამ აქტით გადაწყდა საქართველოს ბედიც – მისი ყოფნა-არყოფნა.

ტრაქტატის პირობით – გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

მისი „მერვე არტიკულის“ თანახმად: –

„რუსეთის იმპერატრიცა, ნიშნად უმაღლესი მოწყალებისა, საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსს ან/და არქიეპისკოპოსს (უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ საქართველოს კათოლიკოსი აღარ ეყოლებოდა!), ღებულობდა რუსეთის სინოდის წევრად – მერვე ხარისხის პატივით.

საქართველოს ეკლესიის უფლება-მოვალეობებს – დამატებით არტიკულით განსაზღვრავდა რუსეთის ხელმწიფე.

(განსაზღვრა კიდეც, 1811 წელს – ქართულად წირვა-ლოცვა აიკრძალა და კათოლიკოსი ეგზარხოსმა შეცვალა).

ტრაქტატის „მერვე არტიკული უფრო დიდი ტრაგედია იყო საქართველოსათვის, ვიდრე ერთად აღებული – უხსოვარი დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე მომხდარი, ყველა შემოსევა და კატასტროფა.

ამიერიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობაც კი კარგავდა აზრს“ (ს. მასხარაშვილი, „მატიანე ქართველთა,“ გვ. 255-256).

*

ტფილისი დიდი ზეიმით შეხვდა რუსეთთან „მარადიული მეგობრობის“ გამოცხადებას – მაგრამ, საქართველოში მათმა ხელახალმა ფეხის ჩამოდგმამ, ააბორგა და ააფორიაქა მუსლიმანური სამყარო.

„რუსული ზარბაზნების გრიალმა და რუსული მაშხალების ელვა-ჭექამ, თავზარი დასცა კავკასიის მაჰმადიან მბრძანებელებს;“

წამოიშალნენ და კოალიციურად აღსდგნენ საქართველოს წინააღმდეგ.

„1783 წლის ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არ მოუტანია, ზიანი კი აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ, საშინლად გაუარესდა“ (ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 ს-ში, გვ. 32-33).

ერეკლეს წინააღმდეგ ის მეზობლებიც კი წავიდნენ, რომლებიც, სულ ცოტა ხნის წინათ, მისი მოკავშირეები იყვნენ.

რუსული ორიენტაციის და რუსეთის ვერაგული პილიტიკის შედგი იყო კრწანისის ომიც.

ცბიერი და ვერაგი „მეგობრის ერთგულების“ დემონსტრირებას შეეწირა თბილისი და 30 000 ქართველი ტყვე, რომელიც აღა-მაჰმად-ხანმა ირანში გარეკა.

ქართული მიწა-წყალი ქართველებისგან იცლებოდა.

ქართლ-კახეთი შველას ითხოვდა.

რუსეთის ხელისუფლება თავს არ იტკიებდა საქართველოს ბედით.

„გეორგიევსკის ტრაქტატი, სადღაც რუსული სამოხელეო სკივრის ფსკერში ჩაძირულიყო.“

მეფე ერეკლე
და
საქართველოს გაერთიანების შანსი

თეიმურაზ II-მ და ერეკლემ, თავიანთი მეფობის დასაწყისში, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს ქვეყნის ერთიანობის აღსადგენად (გააუქმეს არაგვისა და ქსნის საერისთავოები; ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა).

ღრმა მოხუცებულობის ჟამს, როცა დარეჯან დედოფალი, თითქმის, სუვერენულად განაგებდა საქართველოს – მეფე ერეკლე, ცოლ-შვილის კარნახით, თავად აქუცმაცებდა გაერთიანებულ სამეფოს – შვილებსა და შვილიშვილებს შორის; იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის, გარდაცვალების შემდეგ, ხელიდან გაუშვა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ისტორიული შანსი.

მისი ანდერძი – მემკვიდრეობის ახალი წესის შესახებ და გეორგიევსკის ტრაქტატი (თავისი მერვე „არტიკულით“) – საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის და სახელმწიფოს სასიკვდილო განაჩენი იყო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ჰქონდა არა მხოლოდ მოსპობის საფრთხე, არამედ გაერთიანების და დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობაც.

იმერეთის მეფე, სოლომონ I – 1784 წელს ისე გარდაიცვალა, ტახტის მემკვიდრე არ დარჩენია.

1790 წლის 25 ივლისს – ტფილისს, იმერელთა ელჩობა ეწვია; ერეკლეს საქართველოს გაერთიანება შესთავაზა – მაგრამ დარეჯან დედოფლის შთაგონებით, მეფე – „წინაღუდგა დასავლეთის და აღმოსავლეთის საქართველოს შეერთებას, რომელსაც ერთპირად და მხნედ ჰთხოულობდნენ იმერნი და ამერნი... ქვეყნის საუბედუროდ ჩაშალა ეს ბრძნული წადილი ერისა, იმ ეგოისტურ წვრილმანი მიზეზის გამო, რომ თავის შვილისშვილისთვის არ ეწყენინებინა და არ მოეკლო იმერეთის ტახტზედ ფარფაშობა“ (ი. გოგებაშვილი, „რანი ვიყავით გუშინ?“ გვ. 5).

აღსანიშნავია ისიც რომ: – იმ დროს (1787-1791წ.წ.), რუსეთ-ოსმალეთს შორის გააფრთებული ბრძოლები წარმოებდა. თურქეთს საკუთარი ტერიტორიის დაცვა უჭირდა; რუსებს თავისი 2 ბატალიონი საქართველოდან გაიყვანილი ჰყავდა და – სწორედ რომ ხელსაყრელი მომენტი იყო, საქართველოს გაერთიანებისათვის.

ელჩები ვერაფერს გახდნენ.

ჭეშმარიტ მამულიშვილთა ხმა იქცა „ხმად ღაღადებისა უდაბნოსა შინა, ენითა ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა.“

1791 წელს, დარეჯანმა – ერეკლე II-ს კიდევ ერთ საბედისწერო დოკუმენტზე მოაწერინა ხელი.

ეს იყო ახალი სამეფო-სამემკვიდრეო კანონი.

თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში, ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით, დაკანონებული იყო რომ – მეფის სიკვდილის შემდგომ, ტახტი მის უფროს ვაჟს ეკუთვნოდა.

ცოლის შთაგონებით, ერეკლემ – სამეფო ჯერ შვილებს დაუნაწილა (კახეთი – გიორგის მისცა, ქსნის ხეობა – იულონს, საარაგვო – ვახტანგს, მარტყოფი – მირიანს, სურამი – ფარნაოზს), მერე – კანონი შეცვალა.

დაადგინა რომ: –

მისი სიკვდილის შემდგომ, მეფობას – უფროსი ძე, გიორგი, მიიღებდა; მის შემდგომ კი, მისი ძმები (იულონი, ვახტანგი, მირიანი, ალექსანდრე და ფარნაოზი) – თანამიმდევრობით...

მათ შემდგომ – უფროსი ვაჟის ძენი;

შემდგომ – მომდევნო ძმათა ძენი და ა.შ.

ყოველივე ეს – დარეჯან დედოფლის ხრიკები იყო, რათა მის ღვიძლ შვილებს, გერი გიორგის საპირისპიროდ – უზრუნველყოფილი ჰქონოდათ ხელმწიფობა.

ასეთი ანდერძის შედეგად, ექვსივე უფლისწული – სათავისოდ ვარაუდობდა ქართლ-კახეთის ტახტს.

ამას მოჰყვა – შინაური შუღლი, მტრობა და მესისხლეობა.

მტრისადმი მუდამ უტყუარმა ალღომ და გეშმა პატარა კახს სწორედ აქ უმტყუნა.

*

გენიალური ჰანიბალიც ერთხელ შეცდა, მაგრამ საისტორიო ფორტუნამ არც მას აპატია – რადგან, ეს ერთადერთი ცდომილება, საბედისწერო აღმოჩნდა მისი სამშობლოსთვის.

კრწანისის ომი და მოხევეები

1795 წლის აგვისტოში, ირანის შაჰმა: –

რუსეთის მფარველობაზე უარის თქმა – სპარსეთის ვასალობა და ხარკს გადახდა მოსთხოვა მეფე ერეკლეს.

პასუხის ნაცვლად – პეტერბურგის სამხედრო დახმარების იმედით, ქართლ-კახეთის მეფემ – დააპატიმრა მისი ელჩი.

განაწყენებული აღა-მაჰმად-ხანი თბილისისკენ დაიძრა.

აუცილებელი და დროული ღონისძიებების გატარება ერეკლემ ვერ შეძლო;

საჭირო რაოდენობის ჯარი ვერ შეაგროვა და მტერს მოუმზადებელი დახვდა.

„უთადარიგოდ“ საომრად გამოსული 75 წლის მეფე – 5000-მდე მეომრით, მტერის 35 000-იან ჯარს უნდა შებმოდა, რომელიც თბილისის კარს იყო მომდგარი.

ერეკლემ – დაგვიანებით მიიღო სათადარიგო ჯარის თავშეყრის გადაწყვეტილებაც.

მხოლოდ 8 სექტემბერს გაუგზავნა თუშთა მოურავს – „მეომრების გამოსაწვევი“ საგანგებო დავალება.

შაჰი კი, წარმოუდგენელი სისწრაფით მოიწევდა.

8 სექტემბრამდე, ვერც (დუშეთში მცხოვრები) საარაგვოს და ფშავ-ხევსურეთის მაშინდელი მმართველი – ვახტანგ ბატონიშვილი შეუდგებოდა საუფლისწულოს სათადარიგო მხედრიონის მობილიზებას.

მხოლოდ „მუდმივი ჯარი“ იქნებოდა მის განკარგულებაში.

„განგაშის ცნობა“ სოფლებამდე იყო მისატანი;

დრო სჭირდებოდა – სამობილიზაციო მეომრების „ჩამოდინებასაც“.

გასათვალისწინებელია მაშინდელი ამინდიც.

თბილისი ბურუსით იყო მოცული და გადაუღებელად წვიმდა.

ჯვრისა და ვერკეთილის უღელტეხილებზე, ამ პერიოდში, უკვე თოვს.

ირანელთა მთავარი ძალები, 1795 წლის 8 სექტემბრის საღამოს – უკვე, სოღანლუღ-იაღლუჯას ჩრდილო კალთებსა და კუმისის ტბას შუა – მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ველზე იყო დაბანაკებული.

„ასეთ მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი ქართველობა მტერს უბრძოლველად უნდა დანებებოდა. აღა-მაჰმად-ხანის წამოყენებული პირობები უსიტყვოდ უნდა მიეღო – მაგრამ მოწინააღმდეგეების ძალთა ასეთი უცნაური შეფარდების მიუხედავად, ნებისყოფის სიმტკიცემ და ბრძოლებში გამოცდილებამ – ქართლ-კახეთის სარდლობას მტერთან ბრძოლა გადააწყვეტინა...“

ხუთი ათასი ქართველი 30-35 ათას ირანელს უნდა შებმოდა.

„ბრძოლის ინიციატივა მოწინააღმდეგის ხელში იყო, რომელიც ტფილისიდან ექვს ვერსზე ათევდა ღამეს“ (ი. ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, 1969, გვ. 177).

11 სექტემბრისთვის გადაწყვიტა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისზე იერიშის მიტანა.

საისტორიო წყაროების და ეთნოგრაფიული ცნობების გათვალისწინებით – ვახტანგ ბატონიშვილი, 8 სექტემბერს, ჯერ კიდევ დუშეთში უყრიდა თავს – საარაგვოს და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ლაშქარს.

„მაღალი საუფლისწულოდან“ – „ფეხქალამნიანი ჯარის“ „ჩამოდინება“ – ჭირდა.

მეომართა ძირითადი რაზმი („მორიგე ჯარი) – ალბათ, 9 სექტემბრამდე შემოიკრიბა, რადგან 10 სექტემბრის საღამოს, ისინი უკვე კრწანისში, ვახტანგ ბატონიშვილის გვერდით – წმინდა გრიგოლ ნაზიანზელის დროშის ქვეშ იდგნენ.

(ს. კაკაბაძის ცნობით, დაახლოებით 800 კაცი: – „არაგვიდან 300... ხევსურნი და თუშნი, ვარაუდით, 500“ – „კრწანისის ომი“, გვ. 112-113).

11 სექტემბრის გარიჟრაჟზე, ირანელთა ჯარმა „ქართველთა პირველ საბრძოლო პოზიციას შეუტია.

„საათნახევრის განმავლობაში უშენდნენ ყუმბარებს – იოანე ბატონიშვილის სანგრებს.“

მერე – „ზარდამცემი ღრიანცელით, წინ გაქანდნენ“.

მტკვრის ხეობაში ნისლი იყო ჩამოწოლილი და მტერი – ჯერ კიდევ ვერ აღიქვამდა, ქართველების სავალალო მდგომარეობას.

ირანელებმა – „ერთ საათში, რამდენიმე ასეული მებრძოლი დაკარგეს“ – მაგრამ, აღა-მაჰმადის გონივრულმა მანევრმა – მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო: –

სარდალმა საკუთარი თვალით იხილა რა, „ქართველ სპათა დიდი სიმცირე“ – ალყაში მოაქცია ისინი.

„საეჭვო აღარ იყო მათი სრული განადგურება – მაგრამ ერთხელ კიდევ სძლია სიკვდილი ჭეშმარიტმა ვაჟკაცობამ“.

„დაჭრილ-დაფლეთილმა და სისხლდადენილმა არაგველებმა, რომელთაც ასევე დაჭრილ-დაკოდილი და სისხლში განბანილი უფლისწულები მეთაურობდნენ – კიდევ ერთხელ შეუტიეს არაგვის წყალში განათლული გველისპირულებით... ჩახოცილ გვამთა გროვანი გადათქერეს... და ალყიდან გააღწიეს“ (ლ. სანიკიძე).

თავს არ იზოგავდნენ ქართველები, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში – მათი ძალები იწურებოდა.

ერეკლეს უკანასკნელი რეზერვები გამოჰყავდა და ჭარბი ძალების მოწოლას – ქართველობამ ვეღარ გაუძლო...

ბებერი მეფე სიკვდილს ეძებდა, მის ღირსფერს“...

„და, როცა – კინაღამ, „სამარცხვინო ტყვეობამ უსწრო – ღირსეულ სიკვდილს, მეფესა და ერანელთ შორის, განურღვეველ კედლად აღიმართნენ უკანასკნელი არაგველნი“...

„მიცვივდნენ მეფესთან შვილი და შვილიშვილი – ვახტანგ და იოანე...

მუხრანბატონმა ცხენის ჯივლას უტაცა ხელი;

ზაქარია ანდრონიკაშვილმა მათრახი უჭირა მის ცხენს“.

ძალით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან „პატარა კახი.“

ძალით აქნევინეს პირი საარაგვოსკენ...

ასორმოცდაათი სისხლში ამოსვრილი ვაჟკაცი გაჰყვა უკან...

„უკანასკნელი არაგველნი მათგანვე დაჩეხილ და დარეცილ მტერთა გროვაზე ესვენნენ, შორიდან ნატყორცნი ცერმართალი ქეიბურებითა და გმურებით მკერდშელეწილნი“... (ლ. სანიკიძე).

*

მეტად უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ისტორიამ, არ შემოგვინახა კრწანისის ომში მებრძოლი და დაღუპული მეომრების სახელები.

ერეკლეს II-ის მიერ გენერალ გუდოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში და ბატონიშვილ დავით გიორგის ძის (ძმებთან ერთად), 1744-1844 წ.წ. შეკრებილ – საქართველოს ისტორიის მასალებში – კრწანისის ომის გმირებად სახელდებიან: –

არაგვის საუფლისწულოს გამგებელი, ვახტანგ ბატონიშვილი; ერეკლეს შვილიშვილები – იოანე და დავით (გიორგის ძენი); იმერელთა მხედართმთავარი, ზურაბ წერეთელი; იოანე მუხრანბატონი (მემარცხენე სარდალი); ზაქარია ანდრონიკაშვილი (ქიზიყის მოურავი); ოთარ ამილახვარი (მემარჯვენე სარდალი)... თავადი გიორგი გურამიშვილი (ერეკლეს ნათლული, მეტსახელად „ქუმელა“) – „ერთი უპირველესთა მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერიცა არტილერიის ხელოვნებისა“... გაბრიელ, მაიორი არტილერიისა – „კაცი ფრიად მხნე და განსწავლული“, რომელიც „მოიკლა მუნვე“... თავადი აბაშიძე იოანე – „მახლობელი ნათესავი მეფისა ირაკლისა“; ბორჩალოს მოურავი, ჯანდიერ ჯანდიერიშვილი; დავით მაჩაბელი; სინჯია ქევხა – მამასახლისი საქობისი; მაჩაბელა – „მსახიობი მეფისა“; აღალუა – თბილისის ციხის არტილერისტი; თარაშვილი დავითი (მზვერავი); გაბრიელ მაიორის ძმა; ფარეშთუხუცესი გორჯასპი ნათალიშვილი (რომელიც, კრწანისის ომიდან 17 წლის შემდეგ – 1812 წლის კახეთის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო – მთელ ოჯახთან და, განსაკუთრებით მეუღლესთან, გულქან (გულქა) ორბელიანთან ერთად, რომელიც სამრთლიანად ამშვენებს – გმირულად წამებულ ქართველ დედათა ღვთიურ პანთეონს).

საარაგვოს და ფშავ-ხევსურეთის მაშინდელი მმართველის, ვახტანგ ბატონიშვილის მეომართა ძირითად რაზმში (ანუ, „მორიგე ჯარში“ – აზნაურთა, აზატ-თარხანთა და მათ მსახურ-მოლაშქრეთა შორის იმყოფებოდნენ: – ხევსურები, ფშავლები, მოხევეები, მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელნი და ჭართლელნი.

1774-1781 წლებში, არაგვის საერისთოდან „მორიგე ჯარში“ გამსვლელთა სიებს (ანუ, 1774-1781 წ.წ. აღწერებს) თუ გადავხედავთ, კრწანისის ომში – ხევიდან, ვახტანგ ბატონიშვილის მორიგე ჯარში (მათი ასაკის გათვალისწინებით) შესაძლებელია ყოფილიყვნენ: –

1. სტეფანწმინდან: – ჩოფიკაშვილი, მოურავი ყაზიბეგ, იასე, ბადურ, გაბრიელ და ივანე;
2. სნოდან: – ღუდუშაური ჯაბანასშვილი, მოურავი მარტია, მამუკა, ჯარია, უძილა და შაშვა; ღუდუშაური ფირანისშვილი, ფირან, თომა (ნაცვალი), აბაა და უძილა;
3. გორის ციხედან: – ჩქარეული აღდგომლისშვილი, ნაცვალი, ისე, ნასყიდა და მარტია;
4. ყანობიდან: – კობიაძე ნოდარის შვილი, ზაქარია, ხახა და იასე (თარხანი); აიდარაული გიგის შვილი, პაპა, ბერი და შია მსახური; თაონიძე ჯაბოს შვილი, ძაღლია მსახური;
5. მნადან: – ბადაძე ზაღაგის შვილი, ნაცვალი დოლა, შავხალ და იოსებ.

აღნიშნულ მოლაშქრეთა დიდი ნაწილი, დავთრების შედგენის პერიოდში (ანუ, კრწანისის ომამდე 15-20 წლით ადრე), 40 წელზე ახალგაზრდა იყო; 1795 წელს ჯერ

კიდევ მეომართა სიებში უნდა ყოფილიყვნენ და (დიდი ალბათობით, მათი ნაწილი მაინც) კრწანისის ველზე მეომართა შორის უნდა ყოფილიყო.

კრწანისის ომში დაცემული 3500 ქართველიდან – ხალხმა, განსაკუთრებული შარავანდით, 300 არაგველი – ანუ, იაკობ გოგებაშვილის მიხედვით, სამასი თავდადებული გლეხი შემოსა – მათ ხსოვნას მიანიჭა გამორჩეული ხიბლი.

ისტორიული დოკუმენტები მათ შესახებ არ არსებობს.

არც მეფე ერეკლე და არც ბატონიშვილები არ მოიხსენიებენ.

ინფორმაციას გვაწვდის ქართული ხალხური პოეზია, ეთნოგრაფიული ცნობები და რამდენიმე ქართველი მწერლის ნაწარმოები (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, იაკ. გოგებაშვილი, ლ. სანიკიძე...).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

„სამასმა თავდადებულმა გლეხმა“ (ძირითადად – მთიულებმა; გუდამაყრელებმა, ხანდოელებმა, ჭართლელებმა... მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოხევეებთან, ფშაველებთან და ხევსურებთან ერთად) – ვახტანგ ბატონიშვილის ძირითად რაზმს (უფლისწულის ადგილსამყოფელის გათვალისწინებით) – დუშეთში ვერ ჩაუსწრეს.

სავარაუდოდ, 10 სექტემბრის ღამეს (განთიადამდე, ან სულაც გადამწყვეტი ბრძოლის მიწურულში) – კრწანისის ველზე შეუერთდნენ მათ.

აღნიშნული, არ ეწინააღმდეგება ინფორმაციას იმის შესახებ რომ – სამასმა არაგველმა წაგებული ომის შემდგომ გაწირა თავი: –

ერეკლეს სტრატეგიული გეგმის თანახმად, ვახტანგ ბატონიშვილის რაზმი გადამწყვეტი შეტაკებისთვის იყო გამიზნული და ბრძოლაში ომის მიწურულს ჩაება.

კრწანისის ომის ყველა მკვლევარი – სამას არაგველს და ვახტანგ ბატონიშვილის მთავარ რაზმს – ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოიხსენიებს.

ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით: –

300 არაგველის რაზმში ოთხი სადროშო იყო გაერთიანებული: – მთიულებს, გუდამაყრელებს, ხანდოელებისა და ჭართლელებს.

„ოთხივეს – თავ-თავისი მედროშე ჰყოლია“.

მთავარი მედროშის პატივი რგებია გუდამაყრელ ნინია აფციაურს.

ხალხური ზეპირსიტყვიერება მოიხსენიებს ზოგიერთი გმირის სახელსაც, კერძოდ: – კიკოლა ნაზღაიძეს, სამ ძმა ბექაურს, მოთიაშვილების გვარის კაცს ხანდოდან, მამუკა ღუდუშაურს ხევიდან;

არსებობს ცნობა ბაზალეთელი სახალხო გმირის, გელა ნათელაშვილის შესახებაც.

მამუკა ღუდუშაური ერთადერთი მოხევეა, რომელიც 300 არაგველის შემადგენლობაში სახელდება.

*

თბილისის სამხრეთის შემოსასვლელთან, 300 არაგველის მონუმენტური ძეგლი დგას (არქიტ. ალ. ბაქრაძე, 1961 წ.).

23 მეტრი სიმაღლის მოთეთრო-ოქროსფერ სტელაზე და უზარმაზარ ჰორიზონტალურ მონოლითზე – ცხენოსანი და „ფეხქალამნიანი“ მოლაშქრენია ამოკვეთილი.

ისინი გააფთრებით მიიწევენ წინ;

მოხუცი – ვაჟკაცებს ლოცავს; დედა – მოკლულ შვილს დასტირის...

მარადიული ცეცხლი ლამობს ამოფრენას მრგვალი ფიალიდან.

მემორიალს – ჰეროიკულ ემოციას მატებს ლ. ასათიანის შეძახილი: –
„ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა...“

*

რუსეთის საიმპერიო კარს – საქართველო, კრწანისის კატასტროფის შემდეგ, ისევ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გაახსენდა: –

1796 წლის გაზაფხულზე, ეკატერინე II-მ ომი გამოუცხადა სპარსეთს.

მიზეზად – აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოს აოხრება გამოაცხადა;

რეალური მიზეზი – კასპიისპირეთზე ერანელთა გაბატონება იყო.

რუსთა ორმოცდაათათასიანი არმია კასპიისპირეთში შევიდა.

შუა ნოემბერში – მტკვრისა და არეზის შესაყართან მიაღწიეს, სადაც – დიდი სამხედრო კოლონიის, ეკატერინოსერდის დაარსება და იქ, რუსი ჯარიაკაცების დასახლება ჰქონდათ გადაწყვეტილი...

მათთვის – ქართველი და სომეხი ქალების შერთვას აპირებდნენ...

მაგრამ, 1796 წლის ნოემბერში – ეკატერინე II აღესრულა.

იმპერატორმა პავლე I-მა – საგარეო პოლიტიკის კურსი შეცვალა;

ამიერკავკასიიდან ჯარი გაიწვია.

საქართველოს უსისხლოდ დაპყრობა – არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

ერეკლეს შემდგომი
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები

ერეკლე II – 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა.

სამეფო მემკვიდრეობის ისტორიული ტრადიციას შესაბამისად, ტახტი მის უფროს ვაჟზე, გიორგიზე უნდა გადასულიყო – მაგრამ დარეჯან დედოფალს, თავის მომხრეებთან ერთად – ორიენტაცია იულონზე ჰქონდა აღებული.

22 თებერვალს გიორგი თელავს მიბრძანდა. მამა ღირსეულად დაიტირა; პანაშვიდი გადაიხადა – დაქვრივებულ დარეჯანს სამძიმარი მოახსენა და, ყველასთვის მოულოდნელად – ტაძარშივე, „სამეფო აქტის შესრულება ჰყო.“

დარეჯანის მომხრეთა სამზადისი ჩაიშალა.

დედოფალი პირდაპირ დატაკებას – იმ ხანად, მოერიდა – მაგრამ გიორგის ხელწერილი ჩამოართვა, რომ – შემდგომში, ერეკლეს ანდერძი ძალაში შევიდოდა და მისი მემკვიდრე – იულონი იქნებოდა.

გიორგიმ პირობა საქვეყნოდ დადო; პავლე I-ს კი – საქართველოს მიერთებაზე თანხმობა იმის გათვალისწინებით მისცა, რომ – იმპერატორი ტახტის მემკვიდრედ მის შვილს (დავითს), ცნობდა და არა იულონს. სამეფო რეგალიების გადაცემის დროს, რუსეთის რეზიდენტმა, კოვალენსკიმ, საჯაროდ განაცხადა: –

იმპერატორი (პავლე I) საქართველოს თავის მფარველობის ქვეშ იღებს;

კანონიერ მეფედ – გიორგის, ხოლო – ტახტის მემკვიდრედ მის შვილს, უგანათლებულეს დავით გიორგის ძეს ამტკიცებსო.

ამან, დარეჯანის ფრთა აღაშფოთა.

უკმაყოფილო ბატონიშვილები საუფლისწულოებში გაიხიზნენ და გამაგრდნენ.

„ცივილიზირებული“ რუსეთის პირველი ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, მინისტრი-რეზიდენტი კოვალენსკი, იყო – უკულტურო, მექრთამე, პატივმოყვარე და ძალაუფლების მოყვარე არაკაცი. მის ხელში ჩავარდა მეფე გიორგი, რომელიც – სრულიად დასნეულებული და პროტექტორისგან იმედგაცრუებული – შემდგომში, „ჩიხში მოემწყვდა.“

ბრძენი კანცლერი – სოლომონ ლეონიძე, ბევრს ეცადა, რუსთა კლანჭებიდან გამოეხსნა მომაკვდავი მეფე: –

მივიდა მასთან;

მემკვიდრე დავითი მიიყვანა იმის იმედად: –

„იქნებ ერთის წამით გონს მოსულიყო უკვე უიმედოდ მყოფი მეფე;“

„საშინელი საფრთხე დაენახა და სიკვდილის წინ – დავითი ტახტზე აეყვანა.“

უშედეგო გამოდგა მისი მცდელობა...

*

იმპერატორმა პავლემ – 1800 წლის 18 დეკემბერს, ხელი ისე მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს, მეფე გიორგისთვის არც უკითხავს. წინასწარ გამზადებული ქაღალდი გამოუგზავნეს ხელმოსაწერად – „რომელშიც ვითომ თვით მეფე სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს – საქართველო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთთან შეეერთებინა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად ექცია.“

„ისე გარდაიცვალა გიორგი, ეს მზაკვრული დოკუმენტი თვალით არ უნახავს.“

„მისი მომტანნი, იმ დროს, ჯერ საქართველოში ჩამოსულნი არც იყვნენ.“

ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ფაქტობრივად, ხელმოუწერელი დარჩა.

რუსეთის მთავრობას აღნიშნულის შესაძლებლობაც გათვალისწინებული ჰქონდა და საქართველოში თავისი წარმომადგენლისათვის ნაბრძანები: –

„რა წამს გიორგი მეფე გარდაიცვლებოდა, სამეფო ტახტზე ასვლის ნება არავისთვის მიეცა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 5, გვ. 95-96).

*

როგორც კი პეტერბურგმა გიორგი მეფის სიკვდილი შეიტყო: –

„აღარც ხელშეკრულების ცხადს დარღვევას და არც საჯარო სიცრუეს არ მოერიდა; მაშინვე (18 იან. 1801 წ.) პავლე I-ის მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია – ვითომ, თვით მეფე გიორგის, მოწინავე წრეებისა და ქართველი ერის სურვილითა და თხოვნით – რუსეთმა საქართველო სამუდამოდ შემოიერთა“ (ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 ს-ში, გვ. 60-61).

1801 წლის 16 თებერვალს, აღნიშნული მანიფესტი ღენერალმა ლაზარევმა – თბილისში, საქართველოს „წარჩინებულნთ ამცნო“: –

„ჭაღარით მოსილ ქართველთ – ამ თავზარდამცემი ამბავის წინაშე სიტყვა-გამშრალნი რომ იდგნენ – ლაზარევის მიერ მოწყობილი პარაკლისი, საქართველოს პანაშვიდად ესახებოდათ“: –

„განა ასე უხმოდ უნდა ჩაესვენოს საქართველო, მისი მეფე და ამას ჩვენ – სიონში ვიგინდარა გვიცხადებდეს-ო...“

„ასე ფიქრობდნენ ის ძველი მხედრები, ერეკლეს რომ უთვალავ ომებში ახლდნენ და ქართული დროშისათვის მრავალჯერ თავი დაედოთ“ (თამარ და აკაკი პაპავები,

„მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი," ბუენოს აირესი, 1956 წ.).

ლაზარევს სულაც არ აწუხებდა ქართველ წარჩინებულთა „მღელვარე ზრახვანი": – დამსწრეთ რუსულ ენაზე წაუკითხა – საქართველოს რუსეთთან „უკუნითი უკუნისამდე" შეერთების მანიფესტი და სამადლობელი პარაკლისი – მიცვალებული ქართველი მეფის ძმას, ერეკლეს შვილს, ავტოკეფალური ეკლესიის პატრიარქს – ანტონ II-ს გადაახდევინა...

უდიერად დააჩქარა გიორგი მეფის დასაფლავება; 1801 წლის მარტში, მისი შვილები: იოანე, ბაგრატ და მიხეილი – იმპერიის საგანგებო დავალებით, პეტერბურგს გაისტუმრა.

*

იმპერატორმა პავლემ, თავისი მანიფესტით, ქართული სამეფოს რაღაც აჩრდილი შემოინახა. მისმა მემკვიდრემ, ალექსანდრე I-მა კი – ეს ფორმალობაც ზედმეტად მიიჩნია;

საქართველო, როგორც სახელმწიფო – ერთის ხელის მოსმით გააუქმა.

*

„რუსეთს უკვე აღარ სჭირდებოდა დიპლომატიური სიფრთხილე..."

„დარიალის გახსნის და რუსული ჯარების მომძლავრებით შემოჭრის შემდეგ, მთასაც – კავკასიელ ხალხთა ბუნებრივ სიმტკიცეს, მხნეობა და ძალა ჩამოსცლოდა..."

„ორივე მხრით: ჩრდილოეთით და სამხრეთით – რუსულ რკალში იყო მოქცეული."

„რუსეთს აქედან უკან დახევა არ შეეძლო და არც სწადდა..."

„საქართველოს სამეფოს ყველა ნაშთები უნდა უწყალოდ, უხეშად ამოგდებულიყო" და – „რუსთა ხელმწიფემ – საქართველოს სამეფო საჩქაროდ მოშალა;"

„ნეკროლოგად (ახალი) – მაღალფრაზებიანი მანიფესტი მიუძღვნა და მარიამს, რომელსაც ტახტი და დედოფლის დიდება ჩამოართვა – „ღრამოტა" უბოძა (თამარ და აკაკი პაპავები „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი," ბუენოს აირესი, 1956 წ.).

*

ასეთი მძაფრი ტკივილების მიყენებით, იმპერიამ თავად დარაზმა ქართველი ხალხი მის წინააღმდეგ.

რუსთა ბატონობის მცირე პერიოდიც საკმარისი აღმოჩნდა, ყველას რომ დაენახა – მათი რეალური სახე.

„ბატონიშვილები, სარდლები და მათ შორის – უბრძნესი და ნათლად მხილველი მყოობადისა და მომავალისა, სოლომონ ლეონიძე... სთხოვდნენ და ევედრებოდნენ დავითსა – წარვიდეს ცხეთას და დაგვირგვინდეს მეფედ..."

„იოანე სარდალი... წარსდგა დავით მემკვიდრესთან და მოახსენა: –

„ბატონიშვილო და ბიძავ!"

„ნუ ჰკარგავ მეფობასა, მიბრძანე და გამოვუცხადებ რუსისა აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსისა ღენერალი, ადვილია მისი აქედამ განდევნა."

„დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოდ მეფობითი სახელი ჩვენი. როგორც გვიმეფნია, ისე ვიმეფოთ" (პლ. იოსელიანი, გიორგი XIII-ის ცხოვრება, გვ. 210-224).

დავითი „რუსეთიდამ ელოდა სამეფო ნიშნებს.“

*

ალექსანდრე I-მა – ამასობაში, საბოლოოდ მოიწონა საქართველოს რუსეთთან შეერთების – მისი „ღუბერნიად“ გამოცხადების გეგმა; 1801 წლის 12 სექტემბერს – ხელი მოაწერა ახალ მანიფესტს – ერთხელ უკვე შეერთებული აღმოსავლეთ საქართველოს – რუსეთთან მიერთების შესახებ;

ბოლო მოუღო მის სუვერენიტეტს და ავტონომიას.

იმპერატორის საქციელი – შემაძრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა – ძალმომრეობა იყო.

შვიდი თვის განმავლობაში (12 სექტემბრიდან 12 აპრილამდე), უკვე გამოცხადებულ მანიფესტს – საქართველოში ვერ ამხელდნენ.

როცა ხალხის დაფიცება აუცილებელი გახდა, 1802 წლის 12 აპრილს – მთავარმართებელმა კნორინგმა (რომელიც დარწმულებული იყო რომ – დამოუკიდებლობის მოსპობაზე ქართველები თამხმობას არ განაცხადებდნენ) – პრობლემა მოტყუებით და მუქარით გადაჭრა: –

სიონის ტაძარში მიიწვია გავლენიანი წრეები, თავად-აზნაურობა, ტფილისის მოქალაქენი და როცა თავი ყველამ მოიყარა – ბრძანება გასცა – მათთვის საიერიშოდ „განმზადებული“ რუსის ჯარი შემოერტყათ.

„ლომების ხახასავით განხმული იყო ზარბაზნების პირი.“

ასე განუცხადეს ქართველ ხალხს ხელმწიფის მანიფესტი.

გენერალმა კნორინგმა ქართველები აიძულა – რუსთა ქვეშევრდომობის და ერთგულების ფიცი მიეღოთ.

*

ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა.

შემუშავდა ახალი მმართველობის წესები.

დაინიშნა გენერალ-გუბერნატორი.

„ასე დაეცა და დაიღუპა ერთ დროს ძლიერი და მშვენიერი ივერია – უკანასკნელ მეფეთა პოლიტიკური სიბეცით და რუსეთისაკენ ხელის პოტინით“ (ს. ქვარიანი, ქართველი ერის ისტორია, 1919 წ. გვ. 39).

„აღა-მაჰმად-ხანის მიერ ფიზიკურად განადგურებულ თბილისში – პოლიციურმა რუსეთმა შემოდგა ფეხი რომ – სულიერადაც გაენადგურებინა ის ჯიუტი ხალხი, რომელიც აქამდე ისტორიას უძალიანდებოდა და არ ნებდებოდა“ (ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 40).

საბოლოოდ გაიხსნა დარიალის კლდეკარი.

რუსული სამხედრო გზა შემოიკლაკნა კლდეებსა და ხეობებში.

რუსული მმართველობა

ქართველი ხალხი, რომელიც „თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, თვითმყოფადობითი სული ისე დალია, რომ არავისი ვალი და ვახში არ დასდებია“ (ი. ჭავჭავაძე) – ასევე „უვალ-

ოდ და უვახშოდ,“ მაგრამ უმეფოდ და უიმედოდ შედიოდა XIX საუკუნეში.

უზარმაზარმა სახელმწიფომ ფეხქვეშ გათელა 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი და 1801 წლიდან, მფარველის ნაცვლად, დაუნდობელ აგრესორად მოევლინა დაუძლურებულ საქართველოს – რომელიც, თითქმის ყველა დამპყრობლის ხელში – ინარჩუნებდა თავის სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ მთავრობას, ქართულ ენას, კანონმდებლობასა და სარწმუნოებას.

რუსულმა ადმინისტრაციამ სასწრაფოდ მოსპო ყველა ეროვნული ნიშანი: –

ოფიციალურ დოკუმენტებში აკრძალა საქართველოს ხსენება;

გაუქმდა ქართული ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფა;

სკოლებში, სასამართლო ორგანოებში, წარმოება-დაწესებულებებში და ეკლესია-მონასტრებში – გაბატონდა რუსული ენა.

კირით გადაღებეს და შეურაცხყვეს ქართული ფრესკები.

დაიწყო ახალი ყოფა: –

ძველი წესი, კანონები, ადათი, სასამართლო საქმეთა სწრაფი წარმოება – მოიშალა;

საერთოდ განდევნეს ადგილობრივი კადრები;

ცენტრალური და სამაზრო უწყებების ხელმძღვანელებად რუსი მოხელეები დანიშნეს.

დამკვიდრდა ხალხისთვის უცხო – ნელი, ზანტი, ბიუროკრატიული წესები.

გამეფდა თვითნებობა, თავგასულობა და დესპოტიზმი.

მკვეთრად გაიზარდა ბიუროკრატიული აპარატის ხარჯები;

მეტი გასაქანი მიეცა რუს მოხელეთა თვითნებობას...

ვახტანგ VI-ს მარტივ კანონებს მიჩვეული ხალხი დაიბნა;

ვერ გაერკვა – ვინ იყო უფროსი, ამდენ უფროსებს შორის.

არ იცოდნენ სად ეძიათ სამართალი.

სწრაფ, მარტივ და მშობლიურ ენაზე წარმოებულ სასამართლოს მიჩვეული ხალხი, განცვიფრებული იყო „დაუსრულებელი რუსული კანონებით.“

სამართალი უცხო ენაზე წარმოებდა.

მოსამართლესა და მომჩივანს ერთმანეთის არაფერი ესმოდა...

რუსეთუმე ისტორიკოსებიც კი, ვერ უარყოფენ იმ საშინელი მხეცობის ფაქტებს – რასაც რუსი მოხელეები სჩადიოდნენ.

იმპერიის მიერ აღთქმული მშვიდობის დამყარებაც „ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა.“

„რუსეთი – ეხლა, თვითონ იყენებდა ქართველთა მეომარ რაზმებს იმავ მაჰმადიანი ქვეყნების საწინააღმდეგოდ.“

„განსხვავება მხოლოს ის იყო, რომ – წინათ, ქართველი საქართველოსთვის იბრძოდა, თავის კეთილდღეობას მას სწირავდა;

ეხლა – რუსეთის დროშის სადიდებლად... დიდი იმპერიის საზღვრების განსავრცობად იღვრებოდა ქართველთა სისხლი.“

საქართველოში სათავე დაედო კოლონიზატორულ კურსს, რომელიც ქართველი ერის დეგრადაციას და გაქრობას ისახავდა მიზნად: –

1829-1830 წლებში, ი. პასკევიჩმა – მესხეთ-ჯავახეთიდან თურქეთში განდევნა ქართველები;

მათ ნაცვლად – ყარსელი სომხები ჩამოასახლა.

პ. ციციანოვმა, 1804 წელს – ერევნის სახანოდან თბილისში გადმოასახლა 2000-ზე მეტი საქართველოში დასახლების მსურველი სომეხი, აისორი და სპარსეთის აზერბაიჯანელი.

კოლონიური უღელით დამძიმებული და შეურაცხყოფილი ქართველი ხალხი – პროტესტს, თანდათან, უფრო მეტად აქტიური ფორმით გამოხატავდა; ერი ერთ მუშტად იკვრებოდა და დამპყრობთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ებმებოდა.

*

რუსეთის მთავრობამ, 1899 წელს – სიონის, სნოს და სტეფანწმინდის საზოგადოებები, ე.წ. ქვემო ხევის საზოგადოებად გააერთიანა.

დაინიშნა მამასახლისი, მწერალი, ჩაფრები და ისედაც გაღარიბებულ ხალხს – ათასგვარი უკანონო გადასახადი დაუწესა.

მოსახლეობამ „ძალით გარეკა ჯამაგირიანი მოხევენი“ და მაზრის უფროსს – თავისი მოთხოვნები წაუყენა: –

საადგილმამულო გადასახადის (ყალანისგან) განთავისუფლება;

მცირე სამიწათმოქმედო მამულების და ცხვრის საბალახო იალაღებს გაფართოება;

პირველდაწყებითი სწავლის ქართულ ენაზე შემოღება;

საავადმყოფოს გახსნა და აქციზის მოსპობა;

საქართველოს სამხედრო გზაზე ბეგარის გაუქმება და გერგეტის ტაძარში მყოფი ბერების განდევნა – რომლებიც მეფის რეჟიმის დამცველებად მიაჩნდათ.

1802 წლის შეთქმულება

საზეიმოდ გამოცხადებული მანიფესტიდან ერთი წელიც არ იყო გასული რომ: –

„საშველად მოსული ერთმორწმუნე მფარველების წინააღმდეგ“, 1802 წლის ივლისში, კახეთის აჯანყება დაიწყო.

მის სათავეში სამეფო ოჯახი და პეტერბურგის ქართული საელჩო იდგა (გარსევან ჭავჭავაძე, სერგი ლაშქარაშვილი) – რომელიც საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ – მაინც ცდილობდა საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვას.

(სერგი ლაშქარაშვილი – შვილი გახლდათ ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში წასული ლაზარე (ლაშქარ) ბიბილურისა; შემდგომში ცნობილი რუსი დიპლომატი და პოლიგლოტი – გენერალ-ადიუტანტი; მოლდავეთის, ვლახეთისა და ბესარაბიის გენერალური კონსული).

„საელჩოს“ შთაგონებით: – ბაგრატიონების ორივე ფრთის (მარიამის და დარეჯანის) შერიგება (მეფედ საერთო პრეტენდენტის წამოყენებაზე ფიქრი) დაიწყო – რათა გაებათილებინათ საიმპერატორო კარის „არგუმენტი“, რომლის თანახმადაც, რუსეთი „იძულებული გახდა“, ქართული სამეფო შეეერთებინა – რადგან, ბაგრატიონთა ოჯახში – ტახტის ირგვლივ იყო ატეხილი დავა.

სამეფო ოჯახის ერთიანობა რომ წარმოეჩინათ: – მარიამ დედოფალმა თავისი ასპარეზი მხცოვან დარეჯანს დაუთმო; ბატონიშვილმა დავითმა – უფროს ბიძას, იულონს, მდაბლად დაუკრა თავი და ერთგულება აღუთქვა“ (თამარ და აკაკი პაპავე-

ბი, მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი," ბუენოს აირესი, 1956 წ.)...

აღნიშნულის შემდგომ – კახელმა თავადებმა თავიანთი უფლებების შენარჩუნება მოითხოვეს; ბოდბელი მიტროპოლიტის თანდასწრებით – იულონ ბატონიშვილის მეფობაზე დაიფიცეს და ქიზიყში საპროტესტო-სააგიტაციო საქმიანობა გააჩაღეს.

ხალხი „საჭურველ ქვეშ" დადგა და 1783 წლის ტრაქტატის პირობების შესრულება მოითხოვა: –

„ჩვენ გვსურს, რუსეთის ერთგულება და ქვეშერდომობა... მაგრამ უნდა გვყავდეს ჩვენი მეფე – ბაგრატიონთა ოჯახიდანო".

მთელი საქართველო ფეხზე დადგა.

ბატონიშვილებმა დამხმარე ძალების მოძიება დაიწყეს: –

თეიმურაზი სურამში იკრებდა თავად-აზნაურობას; ლევანი – ოსეთში დგომით უქმნიდა რუსებს პრობლემებს; იმერეთს შეხიზნული იულონი და ფარნაოზი – სოლომონ II-ს და ლეკ-ოსმალოთა მოკავშირეობაზე აკეთებდნენ გათვლებს; ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთის კარის დახმარებით გეგმავდა სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

აქტიურობდა ვახტანგ ბატონიშვილიც.

ხევის და მთიულეთის დახმარებით, საქართველოს სამხედრო გზის გადაკეტვა ჰქონდა მას განზრახული.

საქართველოს მიერთებამდე – ვახტანგი, ერთგულად მსახურებდა რუსეთს; ხელს უწყობდა მათი ჯარის შემოსვლას და სურსათითაც ამარაგებდა.

აღნიშნულის გამო, საიმპერატორო კარმა – წმ. ანას I ხარისხის ორდენი უბოძა;

შეეშალათ და შეცდომით – სიგელი ალექსანდრე ნეველის ორდენის გამოუგზავნეს.

იწყინა ბატონიშვილმა;

განუდგა რუსეთის ერთგულ გიორგი XII-ს; მათ წინააღმდეგ მებრძოლ ძმებს (იულონს, ფარნაოზს) მიემხრო და – მთიელებში, უკმაყოფილების თესლს გაღვივება დაიწყო.

1802 წლის კახეთის აჯანყების პერიოდში – უკვე, თავგამოდებით იბრძოდა რუსების წინააღმდეგ.

*

გარსევან ჭავჭავაძემ – შეთქმულებისგან პეტიციის წარედგინა მოითხოვა, იმის თაობაზე რომ: –

სამეფო ტახტის აღდგენა მთელი ქართველი ხალხის მოთხოვნა იყო;

ხალხი რომ ერეკლეს ანდერძს ცნობდა და მეფედ – იულონის გამოცხადებას უჭერდა მხარს.

*

მთელი საქართველო ფეხზე დადგა, მაგრამ, პეტერბურგის საიმპერატორო კარმა – „სასტიკის და ვერაგულის გზით ჩაკლა" ქართველი ხალხის ეს ჯანყი...

დაიწყო აჯანყების მონაწილეთა დასჯა;

შეთქმულთა მთელი შტაბის განადგურება.

ვახტანგ ბატონიშვილის წინააღმდეგ სადამსჯელო ექსპედიცია მოეწყო: –

დაიკავეს დუშეთი, გადაწვეს მისი სასახლე და გლახა ჭილაშვილის (როგორც მისი თანამებრძოლის) ციხე-დარბაზი.

იავარჰყვეს არაერთგზის დამწვარ-გადაბუგული ქალაქი, სადაც თავისი გარნიზონი ჩააყენეს.

დევნილმა ბატონიშვილმა მთას შეაფარა თავი...

*

„მრავალს მეტყველებენ“ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები: –

რუსეთის სახელმწიფოს საიდუმლო მრჩეველი, პ. კოვალენსკი, 1802 წლის 29 ივლისს, გენერალ-მაიორ ი. ლაზარევისაგან ვახტანგ ბატონიშვილის დაპატიმრებას მოითხოვს.

31 ივლისს კი, პირადი წერილით, ბატონიშვილს თბილისში „ჩამობრძანებას სთხოვს“, რათა მან დაამტკიცოს, რომ ამბოხებულებთან კავშირი არა აქვს.

კავკასიის გრენადერთა პოლკის უფროსის, გენერალ-მაიორ ს. ტუჩკოვის, 1802 წლის 12 აგვისტოს პატაკიდან ირკვევა, რომ იგი, გუდამაყრის ხეობაში გახიზნული, ბატონიშვილის დაკავებას ცდილობს... თუ ვერ შეძლო, ვახტანგის მოღალატედ გამოაცხადებს – მის ადგილ-მამულებს ხაზინას გადასცემს და სამეფო ოჯახი – რუსეთის მონარქიის კანონებით დაისჯება.

13 აგვისტოს გაგზავნილ წერილში, გენერალ-ლეიტენანტი კ. კნორინგი ფარისევლურად „წუხს“ და ბატონიშვილის თბილისში ჩასვლას მოითხოვს: – „რათა განიფანტოს ყველა ეჭვი, რომელიც მის მიმართ არსებობს“...

გენერალ ტუჩკოვის პატიოსან სიტყვას მინდობილი მეფისწული, მოტყუებით დააპატიმრეს და ბადრაგის თანხლებით ჩაიყვანეს თბილისში.

კნორინგი (25 აგვისტოს) კმაყოფილებას ვერ მალავს მისი თბილისში „ჩამობრძანებით“;

დედაქალაქში დარჩენას „სთხოვს“: –

„ვიდრე, ქვეყნისთვის არასაიმედო პიროვნებების მიერ არეული მდგომარეობა არ დალაგდება“.

ეს შინა პატიმრობა იყო.

რუსებმა – ბატონიშვილი, ფაქტობრივად, შეიპყრეს და დედასთან, დარეჯან დედოფალთან ერთად – ავლაბრის სასახლეში გამოკეტეს;

კარ-მიდამო ჩამოართვეს და ხაზინას გადასცეს.

1802 წლის 17 სექტემბერს, ალექსანდრე I-სადმი გაგზავნილი ვახტანგ ბატონიშვილის წერილი – „განწირულის სულისკვეთებაა“: –

მის უდიდებულესობას უფლისწული აუწყებს, რომ: –

ბრალდებები, რომელთა გამოც იძულებული გახდეს, დუშეთი დაეტოვებინა, სიმართლეს არ შეესაბამება;

ეს, ზოგიერთი რუსი მოხელის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია.

ვახტანგი – ვითარებაში გარკვევას და უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებაზე სამემკვიდრეო უფლების აღდგენას ითხოვს...

*

მოსახლეობის მხარდაჭერით გათამამებული ბაგრატიონების საქართველოში დატოვება – უკვე, აშკარად უშლიდა ხელს – რუსული პოლიტიკის განხორციელებას;

„მამულების დაბრუნების“ ნაცვლად – იმპერატორმა მათი რუსეთში „მიპატიჟების“ გადაწყვეტილება მიიღო – „სწავლისა და უმაღლეს წყალობათა მისაღებად.“

*

სუსტი, ანგარებიანი და უავტორიტეტო კნორინგის ნაცვლად, 1803 წლის თებერვლში, ალექსანდრე I-მა – საქართველოში ახალი მთავარმართებელი გამოგზავნა: – „სახელოვანი და მამაცი სარდალი,“ სასტიკი და დაუნდობელი, პავლე ციციანოვი – რუსეთის ერთგულიც იყო, ქართული მოდგმისაც და საქართველოს ამბებშიც უფრო ჩახედული.

ძირძველი ქართული ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავალის, „ქართული მიწის შვილის“ ამ თანამდებობაზე დანიშვნით, იმპერატორი ხარკს უხდიდა ქართველ ფეოდალთა ზედა ფენის ინტერესებს.

კავკასიას აბარებდა ნიჭიერ, ნაცად, უნარიან და ერთგულ – რუსული პოლიტიკის ულმობელ გამტარებელ – „მრისხანე თავადსა“ და „მამაც გენერალს“...

იმპერატორმა დიდი იმედებით გამოისტუმრა იგი;

ციციანოვიც ერთგულებით შეუდგა საქმეს კეთებას: –

ბატონიშვილებისგან კატეგორიულად მოითხოვა რუსეთში „წასვლა“ (ანუ, მისი უდიდებულესობის „მიპატიჟებაზე“ თანხმობა).

ვახტანგი „ფეხთ ჩაუვარდა“ მთავარმართებელს: –

„საქართველოში მიწის თხრა მირჩევნიაო, რუსეთში წასვლას“ – მაგრამ...

1803 წლის 19 თებერვალს – ის, ბატონიშვილ დავითთან (ტახტის მემკვიდრესთან) ერთად, ისე განამწესეს რუსეთში – ახლობლებთან გამოთხოვების უფლებაც არ მისცეს; დუშეთი ისე ჩაატარეს, საკუთარ სასახლეში არ შეუშვეს და თბილი ტანსაცმელის აღების ნება არ დართეს.

შემზარავია, ზამთრის ყინვით სასიკვდილოდ განწირული ბატონიშვილების წერილები...

*

ასეთი ძალადობის მსხვერპლი გახდა საქართველოს სამეფო ოჯახი – „ერთმორწმუნე მფარველის შემწეობით“.

მეფე ერეკლეს ძეს, ვახტანგ ბატონიშვილს, 1800 წლიდან რუსეთის არმიის გენერალ-მაიორს და საიმპერატორო კარის უმაღლეს ჯილდოთა („წმ. ანას“ I ხარისხის, „წმ. იოანე იერუსალიმელის“ ორდენებისა და “კომანდორთა ჯვარის“) კავალერს – იმავე სახელმწიფოს იმპერატორმა – მემკვიდრეობითი სამეფო ქონება წაართვა;

იძულების წესით გადაასახლა უცხო ქვეყანაში.

*

ბევრს ეცადნენ რომ: –

ხალხს საკუთარი მეფე და ქვეყანა დავიწყებოდა;

მოსპეს არაგვის საუფლისწულოს კვალი.

ვახტანგ ბატონიშვილის ქონება გაყიდეს და მისი ხსენება ამოძირკვეს.

1803 წელს – დუშეთი შტატგარეშე ქალაქად გამოაცხადეს და ახალ სამაზრო ცენტრს, ანანურს, დაუქვემდებარეს (აქტები, ტ. II, გვ. 7).

*

„დუშეთის პრინცი“ 1814 წელს გარდაიცვალა.

დასაფლავებულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში – ხარების ეკლესიის შესასვლელთან, ხელმარცხნივ.

მარმარილოს ძეგლის თითბირის ფირფიტაზე – მისი სურათია გამოსახული.

ალბათ, საფლავში ჩაატანეს კრწანისგამოვლილი დუშეთის დროშა – რომელიც, დიდი რუდუნებით – თან წაიღო.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემონახულია ბატონიშვილის დაკრძალვაზე წარმოთქმული ბერი იონა ხელაშვილის სიტყვა (ფ. -7, გვ. 123-140).

ჩვენამდე მოაღწია უფლისწულის ხელქმნილმა „ისტორიისებრმა აღწერამ“ და ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ.

*

ქართველი ხალხი მწვავედ განიცდიდა მოტყუებული სამეფო კარის უმწეობას.

განსაკუთრებით მთიელები აქტიურობდნენ.

ვერ ეგუებოდნენ „ერეკლეს სახლის ასეთ დამდაბლებას“ და თავიანთი ვერდიქტი გამოიტანეს: –

მარიამი – საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, „ტყვეობიდან უნდა ვიხსნათ;

ჩვენთან უნდა წავიყვანოთ და იქ დავაბრძანოთ ტახტზე;

„დარიალი ხელ-ახლა ჩავკეტოთ და შიგ დაშთენილ რუსთ – მამა-პაპურად უნდა გავუსწორდეთო...“

„მარად უტეხი მთა ციციანოვის რკალის გარღვევას ჰფიქრობდა...“

„ერეკლეს ბრძოლებში ნაკურთხ ხმალს – ისინი, ხელახლა ლესდნენ – ჩუმად და მოხერხებით, რათა მთავარმართებელს ეჭვი არ აეღო და მათი გეგმები არ ჩაეშალა...“ (თამარ და აკაკი პაპავები, მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი,“ ბუენოს აირესი, 1956 წ.).

დედოფალმა – კავშირი დაამყარა ხევსურეთთან და „სარდლობის ყველა ტრადიციებს ნაზიარებ, ასლან ორბელიანს, აქაც რომ ჭეშმარიტი სარდლობა გამოეჩინა, დედოფალი ფშავ-ხევსურეთში გადაეყვანა და – იქ, მისი სახელით აჯანყების დროშა აეფრიალებინა – დაუყოვნებლივ გამოეხმაურებოდნენ ამას მოხევეები, არაგველები, ოსები, გუდამაყრელები და მთელი მთა – გვერდში ამოუდგებოდა მას.“

„ის ამბები რაც ერთი წლის შემდეგ მოხდა (მთიულეთის ამბოხება!), უფრო ადრე – მეტის ერთსულოვნებიოთ იფეთქებდა და გაბრიელ ყაზბეგის ერთგულება – რუსებს ვეღარას არგებდა“ (ისტ. პუპლია).

*

მზაკვარი ციციანოვი – ეტყობა, დედოფალის იდუმალ სამზადისს გრძნობდა;

კატეგორიულად მოითხოვდა, მისი რუსეთში „წაბრძანება“ – თანახმად ხელმწიფე იმპერატორის „მიპატიჟებისა“ – არავითარ შემთხვევაში არ გადადებულიყო.

შეთქმულთა გეგმით – 1803 წელს 19 აპრილს, მარიამი – მთაში, ხელახლა უნდა ეკურთხათ დედოფლად.

იოჰანს ვილლეს აღწერილი აქვს „როგორის მოუთმენლობით ელოდნენ მთიელები იმ დღეს, როცა ფშავლები რუსებს კლანჭებიდან გამოჰგლეჯდნენ საყვარელ დედოფალს, მის შვილებს... და მთაში გაიყვანდნენ, რათა ამ გმირულ დინასტიას – კვლავ სახელოვნად განეგრძო თავისი ისტორია...

„დიდის ხნით სწარმოებდა ფრთხილი მიმოწერა და რჩეულების გაგზავნ-გამოგზავნა."

„მოურავი ჩოლოყაშვილი დედოფალს და ბატონიშვილ ბაგრატს ყოველმხრივ აიმედებდა..."

„ერთგული ხევსურეთი ფიცს სდებდა, რომ მის დედას, საქართველოს დედოფალს – ფშავ-ხევსურეთი ურყევ ჯებირად შემოერტყმოდა, ოღონდ, ასლან ორბელიანს იგი ციციანოვის კლანჭებიდან გამოეხსნა..."

„თუ ციციანოვი მთიელებს დედოფლის გამგზავრებას დაასწრებდა – კავკასიის უღელტეხილზე რუსის ჯარს თაგაურელნი უნდა დასხმოდნენ – გზა უნდა შეეკრათ და დედოფალი ბრძოლით „გაეტაცნათ."

ყველაფერი ძალზე კონსპირირებული – ათასჯერ გაზომილი და გათვლილი იყო – მაგრამ შეთქმულების ამბავმა ციციანოვის ყურამდე მაინც მიაღწია.

ბედის სამწუხარო ირონიით: –

ზუსტად 1803 წლის 19 აპრილს, განთიადისას – გენერალმა ლაზარევმა ალყა შემოარტყა დედოფლის სასახლეს და – რუსეთში მისი გამგზავრების მზადყოფნა ამცნო.

„დაჰფარა რა მორეული ბრაზი," მარიამმა „ღენერალს ნიშანი მისცა მიახლოვებოდა..."

„კალთიდან ხანჯალი გამოიძრო და ჩასცა მას – ისე ძლიერად რომ – რამდენიმე წუთში ღენერალმა სული განუტევა."

„ღრმად მორწმუნე – სასოებით, სათნოებით სავსე დედოფალმა, საკუთარი კეთილდღეობა და ოჯახი გასწირა, რათა ღირსება დედოფლისა გადაერჩინა" (თამარ და აკაკი პაპავები „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი", ბუენოს აირესი, 1956 წ.).

იმავე დღეს, შვილებითა და მხლებლებით – რუსეთის გზას გაუყენეს იგი.

დარიალის ხეობაში – დედოფლის გამოხსნის მცდელობა მაინც შედგა.

ბრძოლა გაცხოველდა კიდეც, მაგრამ მთიელთა მცირე, ცუდად შეიარაღებული რაზმი – ვეღარაფერს გახდა, კარგად აღჭურვილ რუსის ჯართან.

1804 წლის მთიულეთის აჯანყება

1802 წლის აჯანყების ჩახშობით რუსებმა პროტესტის გრძნობა ქართველებში ვერ ჩაკლეს – რადგან მათი „სახით ქვეყანას მოევლინენ – ფლიდი, მექრთამე, ქურდი, ლოთი და გარყვნილი არსებანი."

„თვითონ ყოველმხრივ ზნედაცემულნი, ქართველ ხალხს უყურებდნენ, როგორც პირუტყვებს და გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებდნენ – ქმრების თვალწინ ქალების საჯარო გაუპატიურების ჩათვლით; გლეხკაცობას უკანასკნელ სარჩო-საბადებელს

ართმევდნენ და მათი კითხვის პასუხად – რიღით გამოვკვებოთ ცოლ-შვილიო, მიწაზე მიუთითებდნენ, „თქვენ ბალახი სძოვეთო“ (ალ. ფრონელი).

მთიელთათვის – აუტანელ ბეგარად იქცა გზისა და ხიდების შეკეთება; მათი ზვავისა და ღორღისგან გაწმენდა, თოვლის ხვეტა...

ხალხს სულს ხდიდა რუსი ჯარისკაცების შენახვა-გამოკვება, მათი უხამსობა, ყაჩაღური, ველური დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ...

ჯარისკაცები ტეხდნენ სახლებს, იტაცებდნენ საქონელს, ეძლეოდნენ ღრეობას. სასმელისაგან წრესგადასულები იჭრებოდნენ მთიელთა ბინებში, ქმრების თვალწინ აუპატიურებდნენ მათ ცოლებს, ქალიშვილებს...

დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ მთიელთა ადათ-წესებს – მანმადე შეუბღალავ მამა-პაპურ ტრადიციებს.

ილაჯგაწყვეტილმა, მოთმინებიდან გამოსულმა მთიულებმა – საჩივრით მიმართეს მთავარმართებელ პ. ციციანოვს.

შემზარავია მათი წერილი, ქართულად შედგენილი და ქართულადვე თანდართული რუსულ აქტებზე: –

„კაცისგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფან-წმინდიდან ანანურამდე – საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავსწმინდეთ.

ჩვენგან გაკეთებულს ამავ გზაზე წვიმისგან შეიქმნა ტალახი; გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს.

ამ დაფენილს ფიჩხში – ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა;

მოგვადგნენ და მათრახის ცემით, ორი კაცი მოკლეს...

მოვიდა თოვლი და აღმოივსო ჩვენგანვე გაკეთებული გზა; ასეთს დროს მოგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს.

წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა.

ტიმოთემ კიდევ ხმლის ცემით მიგვყარა.

წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით – ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭყლიტა...

მოვიდა ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენიანი ყაზახი.

დღეში სალდათს უნდებოდა ათი საკლავი – ყაზახთ ორი... ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს...

ცხენსა და ხარს – ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩა და არ მოუციათ ქირა.

ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი... და ესეც მოვითმინეთ...

ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს – მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედა-კაცებს მათრახითა სცემდნენ...

ჩვენ – ამ ზემოხსენებულის მწუხარებისგან, რომელნიც – ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში განძლიერებას – ღმერთს ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ – მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქეთ.

ჩვენ ძალას არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ...

ჩვენ ერთობით ეს არ ვირჩიეთ...

თუ სხვა არა მოგვევლინა-რა განსაცდელი – ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით – ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოვუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ.

ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს... ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დანახ-

ვას – ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ...

„ერთობით მთიულთაგან წარგზავნილნი მოციქულნი, რომელთაც, ერთობის პირით, ეს წერილი მოგცეს, არიან: – ბურდული მღვდელი ათანასე, ნაზღაიძის სახელო. ბერი, ბურდულის სახელო. ბუჩუკური ფადიაური, ნაზღაიძე დათუნა, ციხისთავის შვილი გიორგი, ბენიაძე გამახარე...“ (ალ. ფრონელი, „მთიულეთი 1804 წელი,“ გვ. 103-105).

ასეთი საზარელი ყოფის გამო, ხალხს – ახალი აჯანყებისათვის, მხოლოდ ნაპერწკალი სჭირდებოდა და – მალე, ისიც გაჩნდა.

მთავარმართებელი ციციანოვის ბაქოსკენ გალაშქრებას მოჰყვა პოლიტიკური გართულება; ლეკთა თარეში, ტახტის მაძიებელი ბატონიშვილების ამოძრავება და როცა ციციანოვმა – მთიულებისგან სალაშქროდ ჯარიც მოითხოვა, მათი მოთმინების ძაფი გაწყდა.

მთავარმართებელს გადაჭრით უარი შეუთვალეს;

იარაღით ხელში აღდგნენ და წმინდა გიორგის ხატზე დაიფიცეს: –

„სულ ერთიანად გავწყდეთ, ოღონდ რუსეთის ბატონობას ბოლო მოეღოსო...“

გაერთიანდნენ მთიულები, ფშავ-ხევსურნი, მოხევეები და ოსები.

დარიალის კარი გადაკეტეს;

სამხედრო გზა ანანურიდან კაიშაურებამდე მთლად გადათხარეს და გააოხრეს, ჩახერგეს და ხიდები დააქციეს.

ამოწყვიტეს კაიშაურის სადარაჯო;

გარს შემოერტყნენ დუშეთს, ანანურს, კობს, ლარსს, სტეფანწმინდას და ლომისს.

რუსების საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყეს თაგაურელმა ოსებმაც;

სოფ. ჩმიში მცხოვრები მებატონე, ახმეტ დუდაროვი, რომელიც სამხედრო გზას კავკავიდან დარიალამდე აკონტროლებდა, საკვირველი ერთგულებით დაუდგა გვერდით აჯანყებულებს.

მისი შემწეობით, საქართველოს სამხედრო გზის ჩრდილოეთი მონაკვეთიც, აჯანყებულთა ხელში გადავიდა და – რუსთა ბატონობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

ამბოხებული მთიელების „დაწყნარება“ – გაიძვერა ციციანოვმა ბაგრატიონებზე განაწყენებულ ქსნის ერისთავებს მიანდო: –

„მახვილით აჰკაფეთ, ლუკმა-ლუკმა ასჩეხეთ და აჰკუწეთ... ნუ დაინდობთ, ნურცა შეიბრალებთ მაგ ავაზაკთა და ბარბაროსთა. სახლ-კარი გადაუბუგეთ ცეცხლითა, ბრძოლის დროს გასდევნეთ ყოველივე აზრი შებრალებისა და შეწყალებისა.“

*

„მომეტებული ნაწილი რუსის მხედრობისა“, იმ პერიოდში, ერევანში იყო გაწვეული.

ამის გამო, ქართველების წინააღმდეგ ერისთავებმა ისევ ქართველები აამხედრეს და რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყება, ძმათა მკვლელ ბრძოლად აქციეს.

მიზეზი ამისა იყო ის, რომ, ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეული ყმა-მამულები, რუსებმა – ქსნის ერისთავებს უკან დაუბრუნეს (აქტები, ტ. 2, გვ. 178).

მთიელთა აჯანყებას უბრალო – ხალხის წრიდან გამოსული ვაჟკაცები მეთაურობდნენ (შიო ბურდული, ნინია ბედოიძე, ნინია ბენიაიძე, ემნა ბედოიძე, ლევან ნაზღაიძე, სამუკა ამერიძე, გივი წიკლაური, თათარა ჩქარეული, ბიჭიკო ღუდუშაური,

თომა ღუდუშაური, მიხეილ ჯამარჯაშვილი).

მათ მხარეს იდგნენ დუშელი აზნაურები – გამოცდილი და მხნე მეომარნი – გოშპარ, დიმიტრი, დურმიშხან კობიაშვილები და გრიგოლ ყარანგოზიშვილი.

საქართველოში შემორჩენილი ბატონიშვილები (იულონი და ფარნაოზი) – აჯანყებულთა მხარდასაჭერად გაემართნენ.

მოღალატე ერისთავებმა – გზაში რუსის მხედრობა დააყენეს თავზე.

იულონი – ტყვედ ჩაიგდეს;

ფარნაოზი, რაღაც სასწაულით გაიქცა... ძლივს, დიდი გაჭირვებით და დაგვიანებით მიაღწია აჯანყებულებთან.

„გაბაწრული იულონი – მემკვიდრე საქართველოს ტახტისა... უბრალო ტუსაღივით წამოიყვანეს საწურბლედან სოფ. ბრეთს“.

„უდროოდ და მოულოდნელად დასრულდა მისი „პოლიტიკური მოღვაწეობა...“

*

ხევი – მოვლენათა ეპიცენტრში იყო მოქცეული.

გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა გაბრიელ ყაზბეგის პოზიციას.

მეამბოხენი მას მოციქულებს უგზავნიდნენ: –

იქნებ გაბრიელი „მფარველის საბურველით შებურვილ დამპყრობს გადაუდგეს და კვლავ ქართული სამეფოს ბურჯად იქცესო...“

მაგრამ მისთვის – უკვე, „ოქროს ჯაჭვი სჯობდა თავისუფლებას.“

მაიორის ტიტულს წაეხდინა ერეკლეს მოურავადყოფილი...

რუსეთს ერთგულება შევფიცე – ფიცს ვერ გადავალო, შემოუთვალა აჯანყებულებს და ყველაფერი იღონა მათ გასანადგურებლად: –

მუქარითა და ქრთამით ცდილობდა ფშავ-ხევსურების და მოხევეთა შეკავებას.

თვალ-ყურს ადევნებდა ბატონიშვილების მოძრაობას;

იცავდა – სტეფანწმინდაში მომწყვდეულ, რუს მოხელეებს და ჯარისკაცებს.

უაღრესად კრიტიკულ მომენტში, მოციქულები აფირინა ხევსურებთან – ძღვენით და ფულით: –

„დაწყნარდით! შფოთსა და დავიდარაბაში ნუ გაერევითო...“

მეამბოხეებმა ძალით გადაწყვიტეს მისი დამორჩილება: –

„რუსების გაწყვეტა, ან სიკვდილიო“ – თქვეს და სტეფანწმინდას ალყა შემოარტყეს...“

„ციხე აიღეს. შეხიზნული რუსები გაძარცვეს და დაატყვევეს; სურსათი და ქონება გაზიდეს...“

ტყვეებს ისევ გაბრიელ ყაზბეგი მოევლინა მხსნელად: –

მათ გამოსახსნელად 1000 მანეთი გაიღო;

რუსი მაღალჩინოსნების ნაცვლად, საკუთარი შვილი და ძმისშვილი მისცა მძევლებად.

*

არავინ იცის როგორ წარიმართებოდა საქართველოს ბედი, 1804 წლის აჯანყებაში ფშავ-ხევსურებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა.

მეამბოხეთა პირველ შეკრებას 800 ხევსური დაესწრო.

მოწოდებას ფშავლებიც გამოეხმაურნენ.

თითქოს, საერთო სამზადისსაც შეუდგნენ, მაგრამ – შემდგომში, ადგილი ჰქონდა მოსყიდვას – ქრთამის აღებას (იხ. კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები გვ. 320, 1804 წლის 12 ივლისის № 95 პატაკი).

ფშავ-ხევსურეთის ბოქაულმა, დურმიშხან ჩოლოყაშვილმა – მთავარმართებლს აცნობა – აჯანყების სამზადისის შესახებ.

ხალხის მოსასყიდად – სანდო პირები (ალექსანდრე მაყაშვილი და დავით ქობულაშვილი) გაგზავნეს.

გაატანეს ასი თუმანი.

ქრთამმა გაჭრა;

ფშავ-ხევსურებმა აჯანყებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს...

გაბრიელ ყაზბეგის კაცებიც მისულან ხევსურეთში: –

მიუტანიათ კარგი ძღვენი, ფული და გაბრიელის პირით უთხოვიათ – ამბოხებაში მონაწილეობის არ მიღება.

ათასამდე ხევსური მოლაშქრე შეგროვდა გუდანის ჯვარში.

გამართეს ბჭობა.

ქადაგად – უკვე საკმაოდ ხანში შესული, თოთია გაიდაურ-ჯინჭარაული დასვეს.

სახელოვანმა ხევისბერმა – ამბოხებულთა მარცხი, სისხლის წვიმები და ბაგრატიონთა დალევა იწინასწარმეტყველა.

ბლოველმა, ღულელებმა და ბისოელ-ხახმატელმა ხევსურებმა ბრძოლაზე უარი თქვეს.

სალაშქროდ გამზადებულნი – დაშლილან.

ხიტალეთ მამუკამ (არაბულ-რკინაულმა) – გორშელმის ხეობის ხევსურები აამხედრა.

მათ ლიქოკელები მიუერთდნენ და ხავსურთა ნაწილი – ამბოხებულ მთიულ-მოხევეთა გვერდით დადგა.

აჯანყებულები მთელი ხევსურეთის მონაწილეობას ითხოვდნენ.

ხევსურები ყოყმანობდნენ – გადაჭრილ პასუხს არ იძლეოდნენ.

ბოლოს, სარფიან გარიგებაზე წავიდნენ...

გ. ყაზბეგის ციხე-სახლში შეხიზნული რუსის რაზმის ამოსაწყვეტად, 700 ხევსური გადმოვიდა და მდინარე სნოს პირას დაბანაკდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, შეთანხმდნენ: –

„მოპოვებული ქონება თანაბრად გაეყოთ;

ტყვედ აყვანილი რუსები არ დაეხოცათ...“

„ხალხს ეხლაცა სწამს, რომ რუსის ლაშქარი დარიალში ვერ შემოვიდოდა, გუდანის ბორაყს ვერ გაუმაგრდებოდა – თოთია გაიდაურს რომ არ ეღალატნა და ფულით მოსყიდული ვიღაცა ყაზბეგისაგან – ხევსურთ ლაშქარი უკან არ დაბრუნებულიყო“ (ნ. ხიზანაშვილი ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.).

*

1804 წლის თიბათვის დამდეგს, საბრძოლველად გამოვიდნენ „მთელის ოთხის ხეობის“ (ქართლის, გუდამაყრის, ხანდოს და მთიულეთის) მკვიდრნი.

მათი მოწინააღმდეგენი (თორნიკე, შანშე და ელიზბარ ქსნის ერისთავების მეთაუ-

რობით) – „თორმეტ თიბათვეს, ლომისის მთასთან შეიყარნენ“.

აჯანყებულები დილაადრიან დაესხნენ თავს.

„თითქმის ექვსი საათი გასტანა თოფის სროლამ.“

„მეამბოხეთა ზარალი გაცილებით დიდი აღმოჩნდა...“

„ბრძოლაში მოიკლა აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი – მხნე და მამაცი ბურდული, რომელიც არამცთუ მარტო ხევს აქეზებდა რუსების წინააღმდეგ და მეთაურობდა აჯანყებულთ, არამედ ხშირად დაიარებოდა თაგაურში და იქაც ოსობას ასისიანებდა და აგულიანებდა საომრად“ (ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804, გვ. 125).

„12 აგვისტოს, კარჩოხისა და ქსნის ხეობის მკვიდრთ შეჰფიცეს მთიულებსა – არ გიღალატებთ... დღეიდან რუსებს აღარ გავატარებთ ლომისისკენო“.

ამით დაიმედებული მთიულნი – ხელახლა შეუდგნენ სამზადისს.

„12-13 აგვისტოს ჯარები გაგზავნეს ანანურსა და დუშეთს.“

„ჰფიქრობდნენ, ვერც ანანური და ვერც დუშეთი ვეღარ გაგვიძლებს“, რადგან ანანურის აღებაში – კარჩოხელები და ქსნის მკვიდრნი დაგვეხმარებიან; დუშეთის აღებაში კი, არაგველები – „რომელთაც სახელოვანი, გოშპარ კობიაშვილი წინამძღოლობსო“.

„20 აგვისტოდან ქ. დუშეთი – თითქმის, ხელში ჰქონდათ მთიულებსა.“

„იქ გამართული ყაზარმა დასწვეს და ბატონიშვილ ვახტანგის ვენახში – ყურძნით იმტკბარუნებდნენ პირსა...“

მეამბოხენი – უკვე, ქართული სამეფოს აღდგენას ითხოვდნენ.

ერევნის ძიებაში – ციციანოვი საქართველოს კარგავდა.

*

„დიდად შეწუხდა“ ხელმწიფე იმპერატორი (ალექსანდრე I) საქართველოში მყოფი რუსი მხედრობის მწარე ხვედრით...“

„საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების მიზნით, ღენ. ციციანოვს, ერევანს ალყა მოახსნევინა და მთელი ძალები მთიულეთს მიაყარეს.“

აჯანყებულთა წინააღმდეგ იმპერიის რეგულარული ჯარი დაიძრა როგორც ჩრდილოეთიდან, ისე სამხრეთიდან.

იერიშებით იღებდნენ მეამბოხეთა სიმაგრეებს;

მათ მომწყვდევასა და ამოწყვეტას ცდილობდნენ.

„კაპიტანმა მატუშევმა დუშეთის ციხიდან გამოლალა მეამბოხენი და ქაისხევის მაღლობებზე – საშინლად დაამარცხა“ (რუსული წყაროებით, 2700 კაცი)...

„აჯანყებულები – ნელ-ნელა, ძალა-უნებურად იჯუჯგებოდნენ.“

„ანანურთან – ან უნდა შებმოდნენ რუსებს... ან დამორჩილებოდნენ...“

„მეტად მოეცარათ ხელი...“

*

დუშეთის აღების შემდგომ – „თავისუფლად და გაუჭირვებლად შეეძლო ტფილისიდამ წამოსულიყო ციციანოვი“, რომელიც 16 ოქტომბერს გამოემართა აჯანყების ეპიცენტრში.

„ამავ დროულად – კავკავიდან, ქვეითის ჯარით, არტილერიით და ყაზახთა რაზმებით მოდიოდა გენერალი ნესვეტაევი.“

„მას უკან მოსდევდა გენერალი გლაზენაპი.“

„ჯარი – ნელის მარშით მოდიოდა; არ ჩქარობდა. ჩახერგილ და გაოხრებულ გზას ასწორებდა; თერგზე ხიდებს ჰმართავდა და თან, მეამბოხე მთიულებს ებრძოდა...“

ყაზახთა რაზმების უფროსი, პოდპოლკოვნიკი ბიხალოვი, იძულებული გახდა – „სათითაო იერიშით აეღო გამაგრებული ადგილები: დარიალი, ლარსი, ყაზბეგი და სიონი...“

„ანანურამდინ სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა“...

„მთიულეთმა“ ვეღარ გაუძლო რუსის აუარებელი ჯარის შეტევებს და 1804 წლის ოქტომბერში, აჯანყება „დაცხრა“ (ალ. ფრონელი).

მეამბოხეებმა სიონის ციხეს შეაფარეს თავი.

დიდი და გადამწყვეტი ბრძოლა – იქაც, რუსების გამარჯვებით დამთავრდა.

*

ბატონიშვილი ფარნაოზი „ბევრს ეცადა ერთმორწმუნე დამპყრობების გასარეკად...

დიდი მხნეობა გამოიჩინა სამშობლოს განთავისუფლებისათვის...

ვით მიწის მგელი ამ წუთს რომ ხევში იყო, სასწრაფოდ ახლა ხევსურეთს გაჩნდებოდა...

დიდი ენთუზიაზმით იკრებდა მამაცთა რაზმებს...

ბევრი მიიმხრო და ბევრიც იბრძოლა ერთმორწმუნე დამპყრობების გასარეკად, მაგრამ, მის დაუცხრომელ ბრძოლასა და თავგანწირვას, შედეგი არ მოჰყოლია.“

დააგვიანა!

დატყვევებას გადარჩენილი ბატონიშვილი, ისეთ დროს მივიდა მთაში, როცა ხალხი ბრძოლით დაქანცული იყო და ციციანოვიც ერევნიდან დაბრუნებული.

სიონთან მარცხის შემდგომ, „შევიწროებული, სულ-შეხუთული ფარნაოზი, საჩქაროდ გაეცალა ხევს, სადაც ტყვეობას და შერცხვენას ვერ აიცდენდა...“

„გადაიჭრა ხევსურეთსა და ფშავში – ეხვეწებოდა, ემუდარებოდა – ამ გმირობით განთქმულ მთიულთ, ბედი ერთხელ კიდევა ვცადოთ, შევუტიოთო რუსებს – მაგრამ ვერას გახდა...“ (ალ. ფრონელი).

სხვა გზა აღარ დარჩა, საქართველოს უნდა გასცლოდა – მაგრამ, ღალატით შეიპყრეს – მცირე რაზმთან ერთად (რომელთა შორის იყო ალ. ჭავჭავაძეც).

რენეგატმა თამაზ ორბელიანმა – მის დატყვევებაში „სისხლის ჯვარი“ მიიღო...

„სანატრელი ჯილდო, რომელიც მოღალატე ქართველებს ჭკუა-გონებას ურევდა.“

*

საქართველოს დროშაზე შეფიცულმა მთიელებმა იარაღი 1805 წლის გაზაფხულზე დაყარეს.

მანამდე – დატყვევებული ბატონიშვილების დასახსნელად იბრძოდნენ.

რუსეთუმე ქართველები მათ დამშვიდებას ურჩევდნენ.

ყველაფრის დავიწყება-პატიებას ჰპირდებოდნენ;

მეთაურებს დიდ წყალობებს აღუთქვამდნენ – „ოღონდ, ამ აქა-იქ დაშთენილი რაზმების შემოტევები დაეცხროთ.“

მირმანოზ ერისთავი საგანგებო შიკრიკებს უგზავნიდა ამბოხებულებს;

„ძმურად“ ურჩევდა იარაღის დაყარას: –

„თქვენმა ბრძოლამ ყოველი აზრი დაჰკარგა მას შემდეგ, რაც თქვენი ბელადი, ფარნაოზი – ციციანოვს ტყვედ ჰყავს თბილისშიო...“

შეფიცულთა მეთაურები („ბარამ და გედევან“), მირმანოზს, მის „მამაშვილურ რჩევათა“ პასუხად – შემდეგს სწერდნენ: –

„თქვენ-მიერი წერილი, რომელმაც... გული და გონება ჩვენი განგმირა... იფიქრე, ჩემის ხელმწიფის მეფის-ძის ფარნავაზის დაჭერის ხმა, რაგვარი საბავთოს ხმის მოწევნადი არის და ვაი სასმენელთა ჩვენთა!“

„მწყალობლობა მეგობრობითი გებრძანათ.“

„შენ ნუ მომიკვდები, თუ ფარნავაზ ბატონისშვილი არა მყავს, ჩალად მჩანს ყოველი ქვეყანა, მისთვის-ვე შემიწონია.“

„თუ ქრისტიანი ვართ, ვერც ხმალი, ვერც ცეცხლი; ვერც წყალი და ვერც სხვა რამ განმაშორებს და განმდრეკს მის სიყვარულზედ და თუ იმისის გულისათვინ კიდენ ერთს წელიწადს ხმალს არ ვიქნევთ, რა სიყვარული არის?“

„თუ იმის ერთგულებაზედ დაგვხოცს ვინმე, ასე მგონია ღვთის მოწყალებით სასუფეველი მზა არს ჩვენთვის.“

„გებრძანათ“: –

„ამის უარესად თქვენს თავს ნუ გააუბედურებთო; და ფუ, ჩვენს კაცობასა, რომ თუ ფარნაოზ მეფის-ძე გაუბედურდება, ჩვენთვის სიკვდილი სანატრელი არ იყოს.“

„ასე მოხსენდეს თქვენს მაღალ-ბრწყინვალებას.“

„ჩვენც ამ ხეობაში ერთი ამათთანა მოძმე გახლავართ და გაფიცულნი გახლავართ; თუ გარიგება იქნება, ჩვენ და ეს ხეობაც ერთათ გავრიგდებით.“

„ვიცი მწყალობ, მაგრამ თუ მესვრიან, მეც ვესვრი; ასე არის ჩვენი საქმე.“

„როკამდის, კუდარომდის, ქურთაულამდის და ჩერქეზამდის გზა გვაქვს სავალი – არ გვეშინიან ჯარის მისვლისა: აქ რომ მოვა, ზეით წავალთ.“

„რა ვქნა, ჩემო ხელმწიფევ, თუ ფარნაოზ დაიჭირეს – ალექსანდრე, თეიმურაზ და ლევან ხომ ისევ არიან.“

„თუ ფარნაოზ ამ განსაცდელს შემთხვევია – ჩვენთვის სიკვდილი სანატრელია.“

„ჩვენ მოგახსენებთ პირ აქეთ გადმოიხედოთ; სულ აგრე არ იქნება, შენ ნუ მომიკვდები.“

„ვითხოვთ არა უგულებელს გვყოთ და თუ მართალია, ბატონი-შვილის ნაწერი ბარათი გვებოძოს თავისის პატარა ბეჭდით დაბეჭდილი: –

„წამოდითო, ქალაქს ვიმყოფებიო“ და ჩვენც ყელზედ ხმალს დავიკიდებთ და ისე შენ გიახლებით, თუნდა შენ დაგვხოცე და თუნდა ციციანოვმა – ნება თქვენი აღსრულდეს და ამ ხეობასაც შემოგირიგებთ, როგორც თქვენი ნება არის.“

„საცა ათასი სული კაცი კაცთან მოკვდება, იქ რომ კაცი განდრკეს, წაწყნდება.“

„ჩვენი მოხსენება ეს არის და სხვას ჩვენს სიტყვას ეს უფროს-უფროსი კაცნი მოგახსენებენ...“

*

ციტირებული წერილი ნათლად ადასტურებს მთიელების რაინდობას, თავდადებას და მათ გაუტეხელ ერთგულებას დიდი ერეკლეს ძის – ფარნაოზისადმი...

*

1804 წელსაც ფუჭად ჩაიარა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენის მცდელობამ.

1805 წლის გაზაფხულზე, ღალატით შეპყრობილი ბატონიშვილები – რუსეთის გზას გაუყენეს, "სადაც დღენი თვისი დალიეს".

„ბინად იულონს ქ. ტულა აურჩიეს;

ფარნაოზს – ვორონეჟი, სატახტო ქალაქიდან უფრო მოშორებით, ვითარცა უფრო მომეტებულად დამნაშავეს..."

საშინელი აღმოჩნდა მშობელი ერის მოღალატეთა ხვედრიც: –

1806 წელს – ციციანოვს, ჰუსეინ-ყული-ხანის მხლებლებმა „დამბაჩა დასცეს და თავი მოჰკვეთეს."

მოკვეთილი თავი – სპარსეთის შაჰს გაუგზავნეს;

ტანი – სანაგვეში ჩაფლეს...

გაბრიელ ყაზბეგი – მოხევეებმა მოღალატედ შერაცხეს; დასწყევლეს და გერგეტის სამებასთან – „დარისხების სამანი" ჩაუდგეს.

1812 წლის აჯანყება

ნაპოლეონის რუსეთში შეჭრამ – კიდევ ერთი ბიძგი მისცა საქართველოში ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას.

ძლიერი მტერი ალექსანდრე I-ის ტახტს აზანზარებდა.

„უკეთესი დრო" მოადგა საქართველოს კარებს."

„განახლდა დროებით შეწყვეტილი ბრძოლა – აქამდე ფარული და საიდუმლო... ძველმა ლომმა ფაფარი აიყარა".

სისხლისგან დაცლილ და ეკონომიურად გაპარტახებულ საქართველოში კიდევ ერთი აჯანყება დაიწყო მაშინ, როცა ქვეყანას ბრძოლის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

არ ჰქონდა არც სხვა გზა.

მიწასთან გასწორებულ ერს – მოყვრად მოსული მტრის პოლიტიკამ უკანასკნელი ძალა მოაკრებინა და საქართველო უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ ომში – კიდევ ჩაება.

აჯანყების ზარმა, 1812 წლის 31 იანვარს – ახმეტაში დაჰკრა.

მერე – თიანეთში დაიწყო მღელვარება, სადაც ზღვარგადასული საეგზეკუციო რაზმის ფანტაზია, ძალზე შორს წავიდა: –

„მთვრალთა აფიცერთა შეიპყრეს დედაკაცი და საშოსა შინა შთაასხეს ძაბრითა ღვინო" (დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 28.).

შეურაცხყოფისგან გადარეული ქალი „მივარდა ქმარსა, მოგლიჯა ქუდი – გადაახურა თავისი მანდილი და დაჰკივლა: –

„დღეიდან შენ ცოლი და მე ქმარი! ნამუსი ამხადეს! მივდივარ, მსურს, შური ვიძიო შენს მაგიერო..."

ხალხი გაალმასებულ ქალს უკან გაყვა.

ალყა შემოარტყეს რუსების რაზმს და, როგორც ალ. ფრონელი გვამცნობს – იმ დღეს (ანუ, 1812 წლის 1 თებერვალს), 150 ჯარისკაცი აჩეხეს.

აჯანყების ალი ავარდა და მთელი კახეთი თავისუფლების დასაბრუნებლად დაირაზმა.

მეამბოხეთა სათავეში კახელი თავადები ჩადგნენ – სვიმონ და ადამ ბებურიშვილები, ნინია ანდრონიკაშვილი, ოთარ ქართველიშვილი, იოსებ სიდამონიშვილი, ივანე მაყაშვილი, პაატა ჯანდიერი, ოთარ ონანაშვილი...

აჯანყების ერთ-ერთ მეთაურად – მალე, ერეკლე მეფის „მდივანყოფილი“ – ოთარ ქობულაშვილი გამოიკვეთა.

„საომარი ოპერაციები გონივრულად და ოპერატიულად იმართებოდა.“

კახელები – „ჩვეულებრივ, არამსმენნი ურთიერთთა“ – ახლა, გასაოცარი ერთსულოვნებით მოქმედებდნენ...“

„სასტიკი და თავხედი, დაუმარცხებელი რუსი ოფიცრები და სალდათები თავქუდმოგლეჯილები ტოვებდნენ პოსტებსა და იარაღს;“

„შიშით შეძრწუნებულები და გონებადაბინდულები გადარჩენას ევედრებოდნენ ღმერთს“ (აკ. გელაშვილი, „კახეთის 1812 წლის აჯანყება“, 2003 წ. გვ. 168).

მეამბოხეთა რიგები დღითი დღე იზრდებოდა.

სისხლის გუბეები დადგა კახეთის მიწაზე.

აჯანყება მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოედო;

მისმა ეპიცენტრმა – მალე, საარაგვოზე გადაინაცვლა: –

9 თებერვალს, თავადმა იოსებ სიდამონიშვილმა, ფშავ-ხევსურ-თიანელებისაგან შემდგარი 1000 კაციანი რაზმით, არაგვის ხეობა ამოიარა; დუშეთი და ფასანაურის საგუშაგო აიღო და „საქართველოს გასაღებს“ – ანანურს, შემოარტყა ალყა.

ხალხი სიხარულით ეგებებოდა აჯანყებულებს.

მღელვარება „მთელს საარაგვოს“ მოედო.

სამაზრო ქალაქი (დუშეთი) დაკარგული იყო; ფასანაურის გარნიზონი განადგურებული; კავკასიის ხაზი ჩაკეტილი;

მალე – დარიალის გზაც მეამბოხეთა ხელში უნდა ჩავარდნილიყო, მაგრამ რუსებს – მხსნელებად მოღალატე ქართველები მოევლინნენ.

საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში „თავი ისახელეს“: – გარუსებულმა გენერალმა კონსტანტინე მუხრანბატონმა, გაბრიელ ყაზბეგმა და თორნიკე ერისთავმა.

ქართველების წამატებებით შეშფოთებულმა მუხრან-ბატონმა ზემდგომ ინსტანციას სთხოვა დახმარება.

გორიდან – მის დასახმარებლად, ფორსირებული მარშით, 12 თებერვალს გამოემართა გრენადერთა ბატალიონი – პოლკოვნიკ უშაკოვის მეთაურობით (მის შემადგენლობაში ათასამდე მოლაშქრე იყო).

13 თებერვალს მათ დუშეთის ციხე აიღეს – რომელსაც, „ხუთასი კაცისა და არტილერიის წინააღმდეგ – ოცდაათი კაცი იცავდა“.

პოლკოვნიკმა დუშეთი გადაწვა.

რუსებმა ძლიერი დარტყმები განახორციელეს და აჯანყებულების საბრძოლო შტაბი გაანადგურეს (ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. II, გვ. 440).

იმავე (17 თებერვალის) ღამეს, მომხდურებმა საშინელ სისასტიკეს მიმართეს: –

კობიანთკარში მიეპარნენ არაგველების მძინარე რაზმს და უღვთოდ ამოხოცეს;

15 კაცი – სამაგალითოდ, ჩამოახრჩეს (აქტები, ტ. V, გვ. 583).

ასეთი ვანდალიზმის შემოქმედი კონსტანტინე მუხრან-ბატონი გახლდათ.

„ფრიად ერთგული რუსთა და არა კეთილის მოსურნე ქართველთა...“ რომელმაც „ტკბილი საუბარით და ფიცით მოატყუა არაგვის პირისანი...“

„სრულად მოაშთობინნა იგინი რუსთა.“

„მოწვა კობიანთ კარი და დუშეთი“ (დ. ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისა, გვ. 41).

რუსების მიმართ განსაკუთრებული ერთგულება კვლავ გამოიჩინა გაბრიელ ყაზბეგმა, რომელიც ყოველგვარი დავალების გარეშე, „შესანიშნავად აკეთებდა რუსულ საქმეს.“

როგორც კი აჯანყებამ მთამდე მიაღწია – „ხევის ერისთავი“ სასწრაფოდ გადავიდა ვლადიკავკაზში.

კომენდანტ დელპოცოს ჯარი გამოართვა;

ღრმა თოვლში – ოსებს გზა გააწმენდინა; რუსები – მშვიდობით გადმოიყვანა უღელტეხილზე და ფასანაურის პოსტი დააკავებინა.

*

აჯანყებული პატრიოტების გვერდით იდგა ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე. ჯერ, ქართლში მოქმედებდა; 20 თებერვლის შემდეგ – კახეთში გადავიდა და იქ შეუდგა აჯანყების ხელმძღვანელობას (ო. მარკოვა, „1812 წლის კახეთის აჯანყება“, გვ. 70).

მისი თანამებრძოლი იყო „არაგვის მთავრის, ბეჟან ერისთავის ვაჟი – იოსები, რომელიც დიდი ავტორიტეტის გამო, მასობრივად იყოლიებდა გუდამაყრელებს და დამპყრობლებს დიდ საგონებელში აგდებდა (აკ. გელაშვილი, „კახეთის 1812 წლის აჯანყება“, 2003 წ. გვ. 183).

საგვარეულო ხის მიხედვით – იოსები, ბეჟან არაგვის ერისთავის ძმის – სარიდანის, უფროსი შვილიშვილია.

ისტორიულ საბუთებში მოიხსენიება 1798-1809 წლებში.

გაკვირვებას იწვევს, როგორც მისი მეფე ერეკლეს დაკრძალვაში მონაწილეობა, ისე ანტირუსულ კომპანიაში აქტიურობა – რადგან, ერეკლეზე განაწყენებული არაგვის ერისთავები – ძირითადად, რუსებს ერთგულებდნენ.

1812 წლის აჯანყებაში, თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა – კრწანისის ომის გმირი, გორჯასპი ნათალიშვილი – ფარეშთუხუცეს გივი ნათალიშვილის მეორე ვაჟი.

ის, ჯერ კიდევ 1805 წლის იანვარში ჩავიდა კაწალხევში – ბაბა ხანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებით.

მერე, ხევსურეთის მხრიდან, დუდარუკთან გადავიდა და ალექსანდრე ბატონიშვილის საჩუქრები მიართვა.

1812 წელს, ალ. ბატონიშვილმა საქართველოს სამხედრო გზაზე გაგზავნა – „ხალხის ასაჯანყებლად და ხიდების ასაფეთქებლად“.

მის გვერდით იდგა 6000 მთიელი.

გორჯასპი ნათალიშვილმა ბოლომდე უერთგულა ალექსანდრე ბატონიშვილს;

სპარსეთში გაყვა და იქ დაიღუპა.

*

1812 წლის აჯანყების მეთაურთა ლიდერი გახლდათ, საქართველოში რუსეთის რეჟიმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე – ერეკლე II-ს და დარეჯანის მეხუთე ვაჟი – ალექსანდრე ბატონიშვილი (1771-1844 წ.წ.).

ჯერ, უცხოეთიდან ცდილობდა იგი აჯანყებულების გამხნევებას.

მისი, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო წერილები „არნახულ საბრძოლო ჟინსა და განწყობას ბადებდნენ ხალხში."

„ამის დასტურად იკმარებს ხევსურეთის, ფშავისა და მთიულეთის ხალხთა ერთობლივი დარაზმულობა, რისთვისაც ალექსანდრეს თავისი წერილებითა და მთის სალოცავებისათვის გაგზავნილი შესაწირავებით მიუღწევია" (ნ. ბერძენიშვილი).

„ეხლა არის, შემწეობის დრო."

„ეხლა არი სამსახურის ჟამი და წყალობის მიღებისა" – ასეთი სიტყვებით მიმართავდა ბატონიშვილი აჯანყებულებს.

„თქვენ ეს ვალი დაგვდევით..."

„ხევს უნდა ჯარით გადახვიდეთ..."

„გუდამაყრელთ და ხევსურთათვისაც მიგვიწერია; ეგრეთვე მოხევეთათვის, რომ ჩვენის ოჯახის მტრისა და თქვენის მტრის – რუსთ მოსავლელი გზა წაახდინოთ, რომ ჯარმა ველარ გამოიაროს..."

„საქართველოში მყოფის რუსისა, ღვთის შემწეობით, ჩვენ ვიცით..."

„კვლავ, როგორც ლომურად ყოფილხართ, ისე ლომურად გაისარჯენით..."

„ბაგრატოვანთა – ლაშარის ჯვრისა და გუდანის ჯვრის მოძმის, სამეფოს ოჯახის – მტრისა და საძირკვლით ამომღების სისხლი – თქვენც უხვად ღვარად და ღვარად ადინეთ"...

„თქვენი ჩვენს ოჯახზედ მრავალ რიგად სახელოვნად გარჯილი ძველი ხმალი მოიგონეთ... რჯულისა და თქვენის საყვარელის მეფის ირაკლის შვილებისათვის..."

„თქვენს ნამუსიანს სახელსა და თავს ნუ დაზოგავთ..."

„საუკუნოდ თქვენი გულოვნობაც ასახელეთ და მეფის ირაკლის ოჯახი და სახელიც ადიდეთ..."

„ეს არის სიმხნისა და გამოჩინების ჟამი ჩვენის სამსახურისა..."

„ახლა თქვენ იცით და თქვენმან მრავალ რიგად სახელიანმან ხმალმან..."

*

ალექსანდრე ბატონიშვილი – გაბრიელ ყაზბეგსაც უგზავნიდა წერილებს;

დიდ წყალობას ჰპირდებოდა, თუ აჯანყებას მიემხრობოდა;

მასში პატრიოტული სულის გაღვიძებას ცდილობდა და რუსთა დაუნდობლობა-უმადურობაში არწმუნებდა: –

„დამიჯერე გაბრიელ, შენ ჩვენგან სიყვარულის, პატივისცემისა და ძმობის მეტს ვერაფერს ნახავ..."

„მაგ რუსებისა წარმავალი არის... ჩვენი წყალობა წარუვალი და საშვილიშვილო..."

„მთის ერისთავი" – შეუვალი დარჩა.

*

ბატონიშვილის წერილებით გამხნევებულმა აჯანყებულებმა ძლიერი იერიშები განახორციელეს: –

„საქართველოს სამხედრო გზა დაიკავეს და რუსებს ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება მოუსპეს“.

თავად – სპარსეთ-ოსმალეთის ჯარის დახმარების იმედით აგვიანებდა – მათ მიმხრობას ცდილობდა.

1812 წლის 1 სექტემბერს შემობრძანდა საქართველოში და აჯანყებულებს ახალი ენერგია შემატა.

მოწინააღმდეგის რიცხვმრავლობას და გაწვრთნილობას, „ნიჭიერმა სარდალმა საკუთარი უპირატესობანი დაუპირისპირა...“

„რუსეთს პარტიზანული ომი აჰკიდა“ (ნ. ბერძენიშვილი).

მისი გვერდში დგომით გამხნევებულმა აჯანყებულებმა ახალი იერიშები განახორციელეს და თბილისის კარიბჭესთანაც გამოჩნდნენ.

გორჯასპი ნათალიშვილმა – მთიულეთის გზა გადაჭრა და ფასანაურში მდგომ რუსის ჯარს ალყა შემოარტყა.

აჯანყებულთა ხელში გადავიდა ხევი.

გაბრიელ ყაზბეგი, ცოლ-შვილთან ერთად, ლარსში გაიხიზნა (ნ. ბერძენიშვილი).

მძიმე დღეები დაუდგა იმპერიის ჯარებს.

მძაფრი, სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა კახეთში... მაგრამ ძალები, აშკარად, არათანაბარი იყო.

ხალხი მოქანცა;

დახმარება – „არსაით სჩანდა“.

აჯანყებულები გატეხა მტერთა სიმრავლემ, დამხმარე ძალების მოუსვლელობამ...

დღითი დღე კლებულობდა მამულისათვის მებრძოლთა რიცხვი;

ომი იწირავდა ასობით მოსახლის სიცოცხლეს;

მისი გაგრძელება კარგს არაფერს უქადდა ქვეყანას და – აჯანყება, თანდათან დაცხრა (ნ. ბერძენიშვილი).

*

ამასობაში, რუსეთმა საოცარი სისწრაფით დაიწყო თავისი დიდი საგარეო პრობლემებს მოგვარება: –

გამარჯვებით დაასრულა ნაპოლეონთან ომი;

რამდენიმე ძლიერი მარცხი აგემა სპარსელებს და საქართველოშიც – თავის სასარგებლოდ გადახარა სასწორი.

რუსთაგან დევნილი ალექსანდრე ბატონიშვილი შატილში გაიხიზნა.

1812 წლის
კახეთის აჯანყების ხევსურული რეკვიემი

ალ. ბატონიშვილი, თითქმის, ერთი წელი იმყოფებოდა შატილში.

მთავარმართებელი რატიშჩევი მის „შემორიგებას“ ცდილობდა: – ეფიცებოდა სინდისს, ჭაღარას, ქრისტიანობას – მაგრამ ბატონიშვილი არ ენდო...

ხევსურებმა მას ერთგულება შეჰფიცეს და განაგრძობდნენ რუსების წინააღმდეგ ხელახალი ბრძოლის ორგანიზებას.

აღნიშნულის თაობაზე კარგად ინფორმირებულმა მთავარმართებელმა – ახალი ამბოხებისთვის რომ ბოლო მოეღო, ბატონიშვილის შესაპყრობად (და ერთი მუჭა ხევსურების წინააღმდეგ), დიდი სამხედრო ოპერაციის სამზადისი წამოიწყო;

მრისხანე გენერალიტეტს მოუყარა თავი.

ფშავლებს რომ რუსებისთვის გზა არ შეეკრათ – კახეთში დაბინავებული მათი ცხვარი ამანათში გარეკეს; ისინი იზოლირებულნი იქნენ, მაგრამ რუსთა მხედრობას, გზადაგზა – ხევსურების და ქისტების რაზმებთან – მაინც ძლიერი შეტაკებები ჰქონდა.

მთიელები მტერს – წინსვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი – ხევსურეთში, სამი (აწუნთის, ფხიტუს და არაგვის ხეობებიდან) შეიჭრა.

დიდი სიფრთხილით მიემართებოდნენ ურთულეს გზებზე.

სიმხნევე მხოლოდ მაშინ მიეცათ, როცა – ლებაისკართან, სოფლის ყველა მიმართულებიდან მომავალი მათი ჯარები – გაერთიანდნენ.

საძელის უღელტეხილით გადმოსული, გაბრიელ ყაზბეგის „მთიელთა ასეულიც“ – იქ, შეუერთდათ და, 1813 წლის ივნისში, „ხევსურეთის დამსჯელმა ექსპედიციამ“ – იერიში გურო-შატილზე მიიტანა.

გურო – შატილიდან 7,5 კმ-ზე მდებარეობდა.

თავისი გალავანშემორტყმული „ბათაკეთ (გოგოჭურების) ციხით“ – მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო – არხოტში, ისართღელის უღელტეხილით (ტანიის ხეობაში) გადამავალ გზაზე.

*

გენერალმა სიმონოვიჩმა ბატონიშვილს უბრძოლველად ჩაბარება მოითხოვა.

ხევსურებს – რომელთა გვერდით მოხევეები და ქისტებიც იდგნენ – დანებება არც უფიქრიათ.

ელჩი სიცოცხლეს გამოასალმეს და...

რუსეთის რეგულარულმა ჯარმა, ოთხი მხრიდან – ოთხი სარდლის მეთაურობით შეუტია ხევსურეთის პატარა სოფელს.

დიდი სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა.

მთიელები თავგამეტებით იბრძოდნენ; დაუფიქრებლად მიდიოდნენ სიკვდილზე და წინ – მათი თავისუფლების ხელმყოფთ იმძღვარებდნენ...

ბოლოს, „ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვნენ და ველური აღტკინებით ეკვეთნენ მტერს.“

უსასტიკესი და უთანასწორო ბრძოლის შემდეგ, რომელმაც 36 საათზე მეტხანს გასტანა – გურო დაეცა.

ბრძოლაში 700-მდე ხევსური დაიღუპა გმირის სიკვდილით.

რუსებმა მიწასთან გაასწორეს სოფ. გურო – გადაწვეს, გადაბუგეს და სისხლით მორწყეს...

ჯერი შატილზე მიდგა.

ხევსურთათვის წარმოუდგენელი იყო იმ ციხესოფელის დაცემა, რომელიც მათი

მრავალსაუკუნოვანი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის სიმბოლოდ იყო ქცეული.

რუსებმა ზარბაზნებით და 2500 ჯარისკაცით შეუტიეს.

შატილიონნი ტყვიებზე წავიდნენ;

ხმალდახმალ გადაეშვნენ და, თითქმის, მთლიანად შეაწყდნენ რიცხვმრავალ მტერს.

ბრძოლაში 600-მდე ხევსური, ქისტი და მოხევე გაწყდა.

რუსები მკაცრად ასაიდუმლოებენ დანაკარგებს და ხევსურეთის ამ სამკვირიან ხოცვა-ჟლეტას – თავიანთი სამხედრო ისტორიის გამორჩეულ მოვლენად მიიჩნევენ.

„ისინიც კი, ვინც სუვოროვთან ერთად ალპები გადალახეს, აღიარებდნენ, რომ ეს ექსპედიცია გაცილებით უფრო რთული იყო – ვიდრე ალპური...“

რუსებმა ოცზე მეტი სოფელი გადაწვეს, გადაბუგეს და მიწასთან გაასწორეს – სისხლით მორწყეს მთელი ხევსურეთი.

ბატონიშვილმა რკალი გაარღვია და დაღესტანში გადაიხვეწა...

ამით დასრულდა 1812 წლის კახეთის აჯანყება, რომელიც წელიწადნახევარს გრძელდებოდა.

*

აღნიშნულის შემდგომ, ანტირუსული მოძრაობის კიდევ ერთი უპერსპექტივო დრამა – 1832 წელს „გათამაშდა...“

მერე – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და თავისუფლების დაბრუნების ილუზიები დიდხნით გაქრა – იმის მიუხედავად რომ – ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა არასოდეს შეწყვეტილა.

შამილი
კავკასიური ომები და საქართველო

რუსეთის იმპერიას საშინელი აგრესია ჰქონდა ჩრდილოკავკასიელი მთიელების მიმართ.

„გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით – მზაკვრულად აღვივებდა შუღლს განსხვავებული რელიგიის ერებს შორის; ერთმანეთთან აპირისპირებდა მათ და ამითაც იკიდებდა ფეხს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ გზაჯვარედინზე.

მათმა გაბატონებისკენ სწრაფვამ წარმოშვა ე.წ. „კავკასიის ომები,“ რომელიც თითქმის, ნახევარ საუკუნეს (1818-64 წ.წ.) გაგრძელდა და იმპერიას – ყოველწლიურად, სამასი ათასიანი არმიის შენახვის ფასად უჯდებოდა.

უსასტიკესი საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ჩეჩნეთ-დაღესტანსა და ადიღეური ტომებით დასახლებულ ოლქში – სადაც თავისუფლებისათვის ბრძოლამ ბევრი ნიჭიერი, ჭკვიანი ლიდერი გამოავლინა: –

შეიხ მანსურს – ექვსი წლის განმავლობაში, საშინელ დღეში ჰყავდა ჩეჩნეთში რუსის ჯარი.

ორმოცი წლის შემდეგ – ყაზი მოლამ კონტროლი დაამყარა დერბენდზე.

ის შეცვალა ჰამზათ ბეგმა...

მისი დაღუპვის შემდეგ – ხუნძახთან გამოჩნდა შამილი, რომელმაც – ჰაზავათი, ანუ გიაურების წინააღმდეგ წმინდა ომის იდეა – ჩრდილო კავკასიელი ერების საერ-

თო საქმედ აქცია; დიდი და პატარა ჩეჩნეთი დაღესტნის მნიშვნელოვან ნაწილთან გააერთიანა და, ფაქტობრივად – აიძულა რუსეთი, კავკასიური პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის გზები ეძებნა.

პეტერბურგი, თითქმის, მზად იყო, დე ფაქტო ეღიარებინა „შამილის სახელმწიფო“ – მაგრამ იმამმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

განაცხადა რომ: – მოსკოვისა და პეტერბურგის აღების შემდეგ, სტამბულამდე მივიდოდა, სადაც – მისი აზრით, „ისლამის სიწმინდე შებილწული იყო...“

რუსეთთან მისმა ომმა სასტიკი – დაუნდობელი ხასიათი მიიღო.

ბრძოლები მოწინამღდეგეთა სრულ განადგურებამდე მიმდინარეობდა.

ქართული არისტოკრატია რუსეთის სამხედრო ექსპანსიის ალმადარი გახდა.

უფრო გააღრმავდა ქართველებსა და ჩრდილო-კავკასიელ მეზობლებს შორის „ლეკიანობით“ გაჩენილი უფსკრული.

ამ ფუქსავატურ ყოფას – დაუნდობელი სარკაზმით და ცინიზმით აღწერს მიხ. ჯავახიშვილი („არსენა მარაბდელში“). სასტიკად ამხელს მათ „წარხოცილ ღირსებას,“ ვინც „საგაზაფხულო ნადირობად“ მიიჩნევდა დაღესტნის მთებში აულების აწიოკებას: –

„შამილი... სანადირო მხეცად გადაქცეულიყო.“

„მისი დაჭერა ისეთივე გმირობად იყო მიჩნეული, როგორიც ერთ დროს ნაპოლეონის განდევნა იყო მოსკოვიდან.“

„ყველა მას დასდევდა, გაზაფხულზე დაღესტანში გარბოდა და ზამთრის პირას ხელცარიელი მორბოდა...“

„წარჩინება და ფული მოჰქონდათ...“

„გაუთავებლად მოელოდნენ გაზაფხულს, რათა ხელახლა ენადირათ, ახალ-ახალი სოფლები დაეწვათ, ისევ უამრავი სისხლი დაენთხიათ, ქვრივ-ობოლი მოემრავლებინათ, ცრემლის გუბეები დაეყენებინათ და ისევ წყევლა-კრულვა, ისევ ორდენები და ისევ ფული წამოეღოთ...“

სასტიკ – დაუნდობელ ზომებს მიმართავდა შამილის წინააღმდეგ გრ. ორბელიანი.

„მისი სადამსჯელო ოპერაციებით ცეცხლის ალში იწვოდა მთელი დაღესტანი...“

„საუბედუროდ, ამ სისასტიკეს სჩადიოდა საქართველოს სახელით, „ქართველთა სისხლის საზღაურად“ (ლ. ჭანია, „შამილი ქართულ მწერლობაში,“ თბილისი, 2009 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ, მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში, ქართველებს ერთი ბედნიერი დღე არ ახსოვდათ დაღესტნელებისა და ჩეჩნებისაგან – მათი ასეთი საქციელი მხოლოდ საერთო მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

*

სამწუხაროდ, ვერც ჩვენმა ჩრდილოკავკასიელმა მეზობლებმა გამოიჩინეს პოლიტიკური სიბრძნე და როცა შამილმა დაისაჭიროა საქართველოს მეგობრული განწყობა, „ცოტა არ იყოს, დაგვიანებული აღმოჩნდა – რადგან ჩატეხილი ხიდის გამრთელება – გაჭირვების დროს, არც თუ აგრე ადვილია“ (ალ. ფრონელი, „მთის არწივი შამილი,“ თბილისი, 1914).

*

1859 წლის 25 აგვისტოს – გუნიბის ციხესთან განიარაღებულმა შამილმა – ჩეჩ-

ნეთ-დაღესტნის დიდმა იმამმა, ოცდახუთწლიანი უკომპრომისო წინააღმდეგობის შემდეგ, თავისი მახვილი მთავარმართებელ ალ. ბარიატინსკის გადასცა და რუსეთის სახელმწიფოს სულგრძელობას მინებდა...

*

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ფართოდ იყო გავრცელებული ხმა – შამილის ალექსანდრე ბატონიშვილის შვილობასთან დაკავშირებით.

მათი სისხლისმიერი ნათესაობა ლეგენდას ჰგავს, მაგრამ დამაეჭვებელი აზრიც არსებობს: –

ვინმე (ისტორიკოსს), კაპიტონ ასათიანს – ალ. ფრონელისთვის გადაუცია ხელნაწერი, რომლის თანახმად: –

რუსთაგან დევნილი „ძე ერეკლე მეორისა“ – ალ. ბატონიშვილი, „დაღესტანში – ავარში გადაიხვეწა, სოფელს ნუკოლას, რომელიც არის სოფელ გიმრის მახლობლად.“

„ამ განდევნილობის ჟამს, ალექსანდრემ შეიყვარა... ერთი ლეკის, სახელად დუნგას ცოლი, ქალი ლამაზი – და მათი შეერთებიდან დაიბადა შამილი – რომელიც განითქვა შემდეგ დაღისტნის იმამათ და შეიქმნა ძლიერ განთქმული რუსების მტერი“ (ალ. ფრონელი, „მთის არწივი შამილი,“ თბილისი, 1914).

იმამის ბიოგრაფების მითითებით, შამილის მამას ერქვა – დინღაუ.

მიიჩნევენ, რომ დუნგა – დინღაუს დამახინჯებული ფორმაა.

„ამ სახელების იდენტურობით – კიდევ უფრო მეტი სიმყარე ეძლეოდა შამილის ალ ბატონიშვილისაგან ჩამომავლობას“ (ლ. ჭანია, „შამილი ქართულ მწერლობაში,“ თბილისი, 2009 წ.).

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: –

ფშავში, ხახა ქისტაურის ოჯახში ქეიფის დროს, ალექსანდრე ბატონიშვილს უთქვამს: – „მე იქნება ამოდენა ტანტალში უძეოდ მოვკვდე, თუმცა კი – არც უძეო ვარ... მენანება, რომ ჩემი თესლი დაღესტანში დარჩაო.“

საქართველოს მთაში დიდხანს მუსირებდა ვიღაცის ნათქვამი – თითქოს, შამილს – დედა ხშირად წააყვედრებდა ხოლმე – „არ დაცხრები, შე გიაურო და გურჯის შვილოო.“

მიხეილ ჯავახიშვილის ცნობით: – ანალოგიური ხმები დაღესტანშიც დადიოდა (ტ. VI, გვ. 128).

ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ – თითქოს, შამილს აქილიკედდნენ კიდეც: –

„შეხედეთ, ნამდვილი მამასავით თვალებჭუტია და ცაციაოო.“

„შამილისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სახის მეტყველება – მეტისმეტად წააგავს ერთმანეთს: მაღალი ახოვანი ტანი, შეჭმუხნული შუბლი და ვარამი, რომელიც საოცრადაა აღბეჭდილი ორივეს სახეზე – ამტკიცებს მათ სიახლოვეს და ნათესაობას. ტუჩმოკუმულ სახეს ბატონიშვილისას რომ აკვირდები, ჰფიქრობ, რომ ამ ადამიანს ერთი ბედნიერი დღე არ უნახავს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეშიო. ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენს დაღვრემილი და დარდიანი სახე შამილისა“ (ალ. ფრონელი).

„კ. გამსახურდიამ იწამა შამილი ალ. ბატონიშვილის უკანონო შვილი რომ იყო.

მწერალი, ამ სათუო და საჭოჭმანო ამბავს, იმადაც მიიჩვევდა სარწმუნო ცნობად, რომ მასში კავკასიელი ხალხების კონსოლიდაციისა და მათი ერთ მუშტად შეკვრის წინაპირობას ხედავდა (ლ. ჭანია, „შამილი ქართულ მწერლობაში,“ თბილისი, 2009 წ.).

ელგუჯა მაღრაძეს უკითხავს ბ-ნ კონსტანტინესთვის: –

საიდან მოიტანე ცნობა, რომ შამილი ალ. ბატონიშვილის უკანონო შვილია?

– „ასეთი ხმები შამილის სიცოცხლეშივე დაირხა, მის ყურამდე მიაღწია და მის მხრივ ამას პროტესტი არ მოჰყოლია...“

„მერე – როცა საქართველოს ტახტზე თავისი პრეტენზიები დაისაჭიროვა პოლიტიკური მიზნებისათვის თვითონვე განაცხადა-ო“.

*

განსხვავებული განსჯის საფუძველს იძლევა და, ალბათ, პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს – ილია ორბელიანსა და შამილს დიალოგს.

ტყვეობით გაწამებულმა ქართველმა სარდალმა შამილს ჰკითხა – რატომ ამყოფებდა მას გაუსაძლის პირობებში.

„მინდა გაწვალო თუნდაც იმის გამო, რომ ერეკლე მეორეს შვილიშვილი ხარ...“ (ილია ორბელიანი, „რვა თვე შამილის ტყვეობაში,“ თბილისი, 1991, გვ. 98).

ალ. ბატონიშვილის მამად აღიარების შემთხვევაში, შამილი ალბათ, ასე სასტიკად არ მოექცეოდა მას.

დამოუკიდებლობის აღდგენა და დარიალის დაცვა 1918 წლის გაზაფხულზე

1917 წლის რევოლუციის შემდგომმა რუსეთის იმპერიის დაშლამ – საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი მისცა.

იმპერიის შემადგენლობიდან მათი გასვლა: –

„გამოწვეული იყო პრაქტიკული აუცილებლობით და იმ ფაქტით, რომ ამიერკავკასიამ არ აღიარა 1917 წლის 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება და ამიერკავკასიის ხალხებმა აშკარად გამორიცხეს საკუთარი თავი ცენტრალიზებული რუსული სახელმწიფოს ფარგლებიდან“ (ზ. ავალიშვილი).

ცალ-ცალკე გასვლამდე – ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფომ ერთიანი ფედერაციის შექმნა სცადა – მაგრამ ისტორიული მეზობლობის გარდა, თითქმის არაფერი აღმოაჩნდათ საერთო.

ეთნიკური, რელიგიური და იდეოლოგიური აზრთა სხვაობა – ამიერკავკასიის ფედერაციას განუხრელად უბიძგებდა დაშლისკენ.

სამივე ქვეყანა განსხვავებული საგარეო ორიენტაციის კურსს დაადგა: –

აზერბაიჯანმა თურქეთზე აიღო გეზი; სომხეთმა თეთრგვარდიულ რუსეთზე; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის პროდასავლური კურსი იყო უალტერნატივო...

აღნიშნულის გამო, ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და, 1918 წლის 26 მაისს, გერმანიისა და საფრანგეთის დახმარებით – საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

*

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან, დუშეთის მაზრის გლეხობის აჯანყების და დარიალის ხეობიდან რუსის ჯარის შემოყვანის მცდელობით

დაიწყო – რუსი და ქართველი ბოლშევიკების შეთანხმებული საომარი მოქმედება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ს. ვალიშვილის ცნობით (გაზეთი „საქართველო“, 1918 წ. თიბათვის 21, გვ. 4): –

„29 (16) მაისს გავრცელდა ხმა ხევში, რომ დარიალის ხეობაში ბოლშევიკები შემოიჭრნენ და დარიალის ხიდი დაიჭირეს. ზოგი მოხევეთაგანი ბოლშევიკების შემოსვლის წინააღმდეგნი იყვნენ, სამშობლოს გულშემატკივარ ხალხს თავი მოუყარეს და გაემართნენ ომის ასპარეზზედ იარაღით ხელში.“

„აღმოჩნდა, რომ დარიალის ციხე-სიმაგრის დამცველი ჯარისკაცნი, დაუპატიჟებელი სტუმრების საწინააღმდეგოთ, ცოტანი იყვნენ.“

(დარიალის საზღვარს – მეომართა 60 კაციანი რაზმი იცავდა, რომელიც I მსოფლიო ომიდან დაბრუნებული მოხალისე ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული).

„ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი შესდგებოდა 70 კაცისგან. მასში შედიოდნენ 16-60 წლიანები.“

„ბრძოლა დაიწყო 30 (17) მაისს. დილიდან საღამომდინ უშედეგო სროლა იყო ორივე მხრიდან თოფებისა და ტყვიისმფრქვევლებისა...“

„მეორე დღეს, 31 (18) მაისს მოხდა სამხედრო თათბირი... მიღებული იქნა სვიმონ შადურის წინადადება: ჯარის ორ ნაწილად გაყოფა და მტრის ორივე მხრიდან მოვლა...“

„პირდაპირ წასვლა „ფხალტის მთით“ იკისრა სვიმონ შადურმა ათი ამხანაგით... მეორე მხრიდან მოვლა „ხურნუკის“ მთით ნიკოლა ჩოფიკაშვილმა 25 ამხანაგით.“

„ეს ორი ჯგუფი ნაშუადღევს გაემგზავრნენ მთებში. იმ ღამეს მთებში ათენეს, რადგან შორს და მაღალ მთებზე უნდოდა მოვლა.“

1 თიბათვეს (19 მაისს), დილის 8 საათზედ, ს. შადური თავის ამხანაგებით ლევან ქუშაშვილით, სოლომონ ვალიშვილით, ილია ფიცხელაურით, იობა ქავთარაშვილით და სხვ. რომლებიც განგებ არჩეულ იყვნენ როგორც თოფის კარგად მსროლელები (მაგალითად, ასი ფეხის ნაბიჯზედ თოფით ამტვრევდნენ ქათმის კვერცხს“ – ფრიალო კლდით დაუპირისპირდნენ“ 200 კაცისგან შემდგარ მტერს, რომელიც „დაიმედებული იყო თავის უზრუნველყოფაში... ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ“ და ჩაისთვის წყალს ადუღებდნენ...

„ჩვენები წამოწოლილები იყვნენ ფრიალო კლდის თავზედ თოფებ გადაშვერილნი და ზევიდან დაჰყურებდნენ მტერს 200-300 ნაბიჯის სიშორიდან.“

უეცრად – ერთად იგრიალა ჩვენების თოფებმა.

„მოპირდაპირე აირია, დაიბნა... წინ და უკან დაიწყო რბენა.“

„მოხევეების ნასროლი ტყვია მტერს ყველგან სწვდებოდა...“

„გაქცეული მტერი იმ მხარეს გადავიდა, სადაც ჩვენი მეორე ჯგუფი იყო ჩასაფრებული.“

„მტერს მეორე მეხი დაატყდა თავს.

სროლა გახშირდა, ბოლშევიკები გარბოდნენ.

გზაზე რჩებიან დაჭრილნი და დახოცილები – მრავალი პატრონა, თოფები“.

„ტყვიისმფრქვეველი, რომელსაც მოაგორებდა ერთი ბოლშევიკი – ლევან ქუშაშვილმა და სოლომონ ვალიშვილმა მკვირცხლი სროლით დაატოვებინეს... მერე, ტყვიის ცეცხლიდან გამოტანილი იქნა ლევან ქირიკაშვილის მიერ.“

„მტერმა დასტოვა თავის წინა პოზიცია და ცოცხლად დარჩენილი მათი ნაწილი

გასცილდა საქართველოს საზღვარს 1/2 ვერსით, სადაც მათი მაშველი ჯარი იყო დაბანაკებული.“

„ჩვენც ჩქარა მოგვივიდა მაშველი ჯარი დარიალის ციხე-სიმაგრიდან თავის ოფიცრებით.“

„გაქცეული მტერი შეუერთდა თავის მაშველ რაზმს და აგვიტეხეს თოფის, ტყვიისმფრქვეველის და ზარბაზნის სროლა. ორივე მხრიდან ისეთი დამაყრუებელი სროლა გაჩაღდა, ერთმანეთის ლაპარაკი არ გვესმოდა. ერთი ჩვენგანი დაყრუვდა. დიდი შეუპოვრობა გამოიჩინეს ჩვენმა ტყვიისმფრქვეველების მსროლელებმა, ნამეტნავად იოსებ შადურმა, რომელმაც მტერს ნება არ მისცა წინ წამოსევისა. საღამოთი სროლა შეწყდა. მტერი საქართველოს საზღვრიდან 1/2 ვერსის იქით გამაგრდა. ხიდი ჩვენ დავიპყარით და გავამაგრეთ.“

სროლის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ ტყვეთ ჩავიგდეთ 28 კაცი, ერთი მათგანი დაჭრილი, მოუკალით 30 კაცი, დაუჭერით 70, ხელში ჩავიგდეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი, 30 თოფი და რამდენიმე ათასი პატრონა. ჩვენი მხრით მოკვდა ერთი, დაიჭრა 4... მადლობის ღირსია ორივე ჯგუფი მოხევეებისა, რომლებმაც მტერს ორივე მხრიდან მოუარეს. ს. შადურის ჯგუფიდან განსაკუთრებით – ლევან ქუშაშვილი; ნიკოლა ჩოფიკაშვილის ჯგუფიდან – გიორგი ეფხოშვილი და ალექსი წიკლაური... მონაწილეობას იღებდნენ სტეფანწმინდის და სნოს მცხოვრებნი; რამდენიმე კაცი სიონიდან – დავითაშვილები; კარკუჩიდან – მარსაგიშვილები. დანარჩენი სოფლები... გაებრიყვებინათ პროვაკატორთ და იმ „ბოსიაკ“ ბოლშევიკების მომხრენი გაეხადათ, რომლებსაც საქართველოს კარის, დარიალის ხელში ჩაგდება უნდოდათ.“ (ს. ვალიშვილი).

*

მაისის ბოლოდან მოყოლებული, 18-20 ივნისამდე – დარიალში ბრძოლები რუს ბოლშევიკთა მარცხით მთავრდებოდა.

საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა ვლადიკავკაზში დისლოცირებული, ე.წ. „თერგის რესპუბლიკის“ ბოლშევიკური ხელისუფლება და რუს ბოლშევიკთა „რევოლუციის სამხარეო კომიტეტი“ – კიროვის, ორჯონიკიძის, მახარაძისა და სხვ. შემადგენლობით.

მათი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იყო.

27 მაისს განცდილი დამარცხებით, ისინი დარწმუნდნენ რომ – დარიალის აღება იოლი არ იყო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კლდეკარის გახსნა გაძლიერებული ძალებით გადაწყვიტეს – როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მხრიდან.

საშა გეგეჭკორის თაოსნობით სამეგრელოში ორგანიზებულმა ღატაკ გლეხთა დაჯგუფებამ მითითება მიიღო – რაჭის გავლით, მამისონზე გადასულიყო და ვლადიკავკაზიდან შეეღწია დარიალში.

ამ 400-ს კაციანი ჯგუფის მოქმედება იმ პოლიტიკური მიზნითაც იყო განპირობებული რომ – კლდეკარის გახსნა ქართველების ხელით მომხდარიყო, რათა, რუსეთის მხრიდან, ამას ოკუპაციის ხასიათი არ მისცემოდა.

აღნიშნულის პარალელურად, ბოლშევიკებმა ორგანიზება გაუკეთეს დუშეთის

მაზრის გლეხობის აჯანყებას.

გეგეჭკორის რაზმს დარიალის კლდეკარი უნდა გაეხსნა და რუსეთის დამხმარე ძალები შემოეყვანა, რათა, დუშეთის მაზრის აჯანყებულებთან ერთად – დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა დაემხოთ.

იმ პერიოდში, საქართველოს მოსახლეობა შიმშილობდა;

ბოლშევიკებმა იოლად აიყოლიეს გაღატაკებული გლეხები;

დააჯერეს რომ: – დარიალის ხეობის გახსნის შემდგომ, რუსეთიდან მარცვლეული შემოვიდოდა.

1918 წლის ივნისში, ამბოხებულებმა მთელი დუშეთის მაზრა დაიკავეს;

მის ტერიტორიაზე ბოლშევიკური ხელისუფლება გამოაცხადეს და ძლიერი საბრძოლო შენაერთი (3000 მეთოფე, სამი ზარბაზანით, ტყვიამფრქვევებითა და ბომბმტყორცნებით – რომლებსაც თან ახლდა 100-მდე რუსი მეზარბაზნე და ტყვიამფრქვევის მსროლელი) – დარიალის გზის გასახსნელად დაძრეს.

აღნიშნულის პარალელურად, ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა (ფ. მახარაძის მეთაურობით) ვლადიკავკაზიდან – ს. გეგეჩკორის მებრძოლები გამოგზავნა შესაბამისი ინსტრუქციით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეს მხოლოდ – დარიალის ციხეში მდგარი მცირე შეიარაღებული რაზმი და ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული – ხევის მოსახლეობის ნაწილი დარჩა.

მდგომარეობას უფრო ართულებდა ის გარემოება რომ: – საქართველოს მთავრობის ჯარი – ამ დროს, ბათუმთან ებრძოდა ოსმალებს.

მოხევეებს – გზააბნეულ თანამოძმეებთან – დუშეთის, მცხეთის, მთიულეთ-გუდამაყრისა და ხევის ზოგიერთი სოფლის მკვიდრ ქართველობასთან უწევდა – ურთიერთობის გარკვევა.

ბედის უკუღმართობით, ერთი მუჭა მოხევეებიც – ბოლშევიკების და დამოუკიდებელი საქართველოს მომხრეებად იყვნენ დაყოფილები.

რომ არა – ხევისბერების ტრადიციული სიბრძნე, ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაერეოდნენ ერთმანეთს.

*

იმ პერიოდის ხევის ცხოვრება (1918 წელს 27 მაისიდან 15 ივლისამდე) – დიდი რუდუნებით შეისწავლა სოფ. ცდოს მკვიდრმა, ხევის მოამაგე და გულშემატკივარმა კაცმა, ჯიმშერ წიკლაურმა.

როგორც მის მიერ მოკვლეული მასალიდან ირკვევა: –

მოხევეებმა (ძირითადად, სტეფანწმინდის, სნოს და ცდოს მოსახლეობამ) – დიდი ბრძოლები გადაიტანეს. ორ ფრონტზე ებრძოდნენ ბოლშევიკებს, რომლებიც რუსეთიდან დარიალის ხეობით – სამხრეთიდან კი, ჯვრის უღელტეხილით მოისწრაფოდნენ.

1918 წლის 27 მაისს მომხდარ პირველ შეტაკებაში – დარიალის ხეობის მესაზღვრეებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი მკვიდრნი – რომელებმაც, ძველი ტრადიციის მიხედვით, მოხალისეთა რაზმები შექმნეს და სტრატეგიული ობიექტები დაიკავეს (დარიალის ციხესთან, გველეთთან და ცდოსთან)...

მომარაგებული ჰქონდათ იარაღი და ტყვია-წამალი;

მთიდან კლდის ჩამოშლით, მყისიერად შეეძლოთ – სამხედრო გზის გადაკეტვა და ტექნიკის შეჩერება.

ორგანიზებული იყო დარიალის დამცველთა კვება – მოხევე ქალების აქტიური მონაწილეობით...

როგორც ხევის ერთ-ერთი მაშინდელი თავკაცი, სიმონ შადური გვამცნობს (გაზეთი „ერთობა," 1918 წელი, 2-3 ივლისი): –

„22 ივნისს – სტეფანწმინდაში, ხმა გავრცელდა, სოფ. სიონში დიდძალი ქართველი ჯარი მოვიდაო დუშეთის მაზრისა."

„სტეფანწმინდელებს უპირობენ-ო თავდასხმას და ამოწყვეტას," რადგან ისინი და სნოვლები „წინააღმდეგნი იყვნენ, მაისის ბოლო რიცხვებში რუსი ბოლშევიკების გამოშობაზე დარიალის ხეობიდან..."

„ამის გამო გაჯავრებული ბალშევიკები, კავკავიდან პურს და სურსათს აღარ უშვებენ-ო."

„სიონიდან გამოქცეულმა ორმა მოხევემ (ანდრია კობაიძემ და კოლა დავითაშვილმა) სტეფანწმინდელებს ამცნეს": –

„დუშეთის მაზრიდან ამოსულ „ბრბოს" სურს – გახსნას დარიალის კარები, შემოუშვან რუსი ბოლშევიკები და მათი დახმარებით ჩამოაგდონ საქართველოს მთავრობა."

„ნამდვილი საქმის გასაგებად, სტეფანწმინდლებმა" მეორე დღეს (23 ივნისს) – „ბრბოს" თავისი წარმომადგენლები გაუგზავნეს (ლევან ფიცხელაური და ორი ჯარისკაცი)...

„მტრის ბანაკიდან" მათ „დადგენილება ამოიტანეს" – რომელიც, ფაქტობრივად, კაპიტულაციის მოთხოვნა იყო...

მოხევეები – „ომის თადარიგს შეუდგნენ:" –

„გავიტანეთ სოფლის გარეთ ზარბაზნები, ტყვიის მფრქვევლები, გავამაგრეთ პოზიციები და მზად ვიყავით საომრად."

„მტერს პირდაპირი უარი შევუთვალეთ..."

„მივეცით წინადადება, რომ სიონიდან არც ერთ კაცს ფეხი ჩვენსკენ არ გადმოედგა, თორემ სასიკვდილოდ ვესროდით."

„გავგზავნეთ კაცები მეზობელ სოფლებში – ჯუთას, ართხმოს, კარკუჩას, ახალციხეს, გერგეტსა და ცდოს."

„ვთხოვეთ... ჩვენ მოგვხმარებოდნენ და არა საქართველოს მტრებს."

„სნოსა და ცდოს გარდა არავინ დაგვეხმარა."

„იმ სოფლებმაც კი უარი გვითხრა, რომლებიც, მაისის ბოლო რიცხვებში, დარიალის ბრძოლაში გვშველოდნენ."

„ზოგმა სოფელმა ნეიტრალიტეტობა გამოაცხადა, ალბათ, მტრის ძალა რომ მეტი ნახეს, იმან შეაშინა" (ს. შადური).

*

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მოხევეთა „დაახლოვებით 400 კომლი სულით და გულით შეკავშირდა და სამი ათას კარგად შეიარაღებულ, კარზე მომდგარ მტერს – მედგრად დახვდა."

სიონში დაბანაკებული „ბოლშევიკების ჯარი (24 ივნისს) საომრად გაიშალა და

მთის სერებს მოედო.“

შევნიშნეთ რომ: – „სოფ. აჩხოტის თავს, ელიას მთაზედ – მტერი სნოსკენ გაემართა.“

„სნოველებმა მთას შემოუარეს და ატყდა ორმხრივი სროლა.“

„მტერი შეშინდა და გაიქცა.“

„სტეფანწმინდლები, თავიანთი სოფლიდან ორი ვერსის დაშორებით, „წყალათ ხიდის“ თავს, კლდეებში იყვნენ გამაგრებულნი.“

„გამარჯვებაში დარწმუნებული მოხევეები, რომლებსაც მტრის მუქარა და სიმრავლე – სიცილად არ ჰყოფნიდათ“ – 25 ივნისს, „მლეთის „სტანციაში მოსამსახურე ვარდო ფიცხელაურისგან იგებენ რომ: –

„გარდა იმ ჯარისა, რაც სიონში მოვიდა, უფრო მეტი მლეთაშია და კიდევ მოდის.“

„კარგად არის ძალიან შეიარაღებული; 3 ზარბაზანი აქვთ, მრავალი ტყვიისმფრქვეველი და პატრონები ფურუნებით მოსდევენ.“

ეს თავზარდამცემი ამბავი იყო.

„ჩვენი ვარაუდით, 9000 კაცთან უნდა მოგვხდომოდა საქმე, კარგად შეიარაღებულთან...“

„სამხრეთით, ეს მტერი უნდა მოგვწოლოდა, ჩრდილოეთით – დარიალში, რუსი ბოლშევიკები გვაწვებიან.“

„იქაც ბრძოლები გრძელდება...“

„მთავრობისა არაფერი ვიცით, არსებობს-ღა თუ არა; 18 ივნისიდან ფოსტა და ტელეგრაფი ბალშევიკების ხელშია...“ (ს. შადური).

*

ასეთ ვითარებაში და ზუსტად იმ დღეს – მომხდურებმა დელეგატები გამოგზავნეს სტეფანწმინდას.

მოლაპარაკება გაფორმდა ოქმით, რომელიც კარგად ასახავს თავგზაარეული – ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგარი ქართველების ბედკრულ ყოფას;

მათ ურთიერთ საწინააღმდეგო ორიენტაციას, უნდობლობას და მტრობას: –

ოქმი

სხდომისა დუშეთის მაზრის გლეხთა ორგანიზაციის ერთის მხრით და მეორეს მხრით ყაზბეგ-სნოელების წარმომადგენლებისა მომხდარ ინციდენტის გამო 1918 წ. 25 ივნისს სოფ. სტეფანწმინდაში

მოისმინეს – შაქრო მანგიაშვილის განცხადება დუშეთის გლეხთა ორგანიზაციის სახელით: –

„მოიწია საშინელმა უბედურებამ, რომელიც განადგურებას უქადის საქართველოს... ჩვენ 25-მა წარმომადგენელმა უნდა გაგაცნოთ და აგრეთვე პასუხი უნდა მიუტანოთ ჩვენ გამომგზავნილ ამხანაგებს, რომლებიც შედიან დუშეთის ორგანიზაციაში...

მოხდა ის, რომ ერთი წლის წინ დაეცა თვითმპყრობელობა და მოვიპოვეთ თავისუფლება. ეს თავისუფლება საქართველოსაც მიეცა. მაგრამ დღეს უბედურება გვეწვია. საფრთხეშია ეს თავისუფლება. ჩვენ გვითხრეს, რომ ყაზბეგლები და მისი მომხრე სოფლები შეუერთდა წითელ გვარდიას (იგულისხმება დარიალის დამცველი საქართველოს მთავრობის რაზმი) და გზა შეჰკრეს, რაც არის მიზეზი უპურობისა. პური არ მოდის, ჩვენ შიმშილი გვაწუხებს და ავსდეგით. გამოცხადდა ეროვნული თავისუფლება, მაგრამ... იარაღი ბნელი ხალხის მოგონილია, ჩვენ არ გვინდა სისხლი, ჩვენ გადავსწყვიტეთ შემოგიერთდეთ თქვენ და იარაღი ავჰყაროთ იმ ჯარის კაცებს, რომლებიც სცარცვავენ ხალხს და ღვრიან ჩვენს სისხლს. ჩვენი მიზანი არის თქვენთან კავშირი, გზის გახსნა და უწესობის მომხდენ ჯარის კაცების იარაღის აყრა. ამიტომ უნდა ჩავიდეთ ჩვენ დარიალში, გავხსნათ გზა... და თუ ვინმე იქნებიან, ბოლშევიკები, თუ მენშევიკები... ცუდი განზრახვით, მათ არ გამოვუშვებთ. ის ჯარი, რომელიც აქ დგას, თუ შემოგვიერთდებიან, იარაღს შეინარჩუნებენ, თუ არა, იარაღი აეხადოს და ჩაბარდეს სტეფანწმინდელებს, დიდი იარაღები ჩაბარდეს საქართველოს არჩეულ მთავრობას. ყველა ამის შემდეგ ერთმანეთს მივესალმოთ და უსისხლოთ გავათაოთ საქმე.“

ჯარისკაცი დავით წერეთელი: –

„ჩვენ გვირევენ გვარდიელებში... გვაბრალებენ, რომ მათი მტერი ვართ. გზებს ვკრავთ და სიმინდს არ ვუშვებთ, ეს აგრე არ არის...

მთავრობამ შეადგინა რაზმი, რომელიც იცავს წესიერებას. ჩვენ ამ მიზნით წამოვედით დარიალში, რათა... გაგვეხსნა გზა და გამოგვეშვა პური. ეს იყო ჩვენი მიზანი. ყაზბეგლებმა იციან, ვინ ვართ ჩვენ, უწესონი, თუ წესიერების დამცველნი. ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავით მათი, ვისაც უნდოდა თბილისის დარბევა. ჩვენ გვინდა ავიცილოთ 1905 წლის ამბები. თუ ჩვენ ცუდ მოქმედებას დაგვიმტკიცებენ, მზად ვართ, დავემორჩილოთ თქვენ გადაწყვეტილებას. თუ კი დანაშაულობა არ მიგვიძღვის, მაშინ ჩვენი ჯარისკაცი მოვალეობას შეასრულებს და იარაღს ვერავის მივცემთ. თუ გვიძმობთ, თქვენთანა ვართ, თუ არა და გაგვიშვით ისე, როგორც მოვედით.“

თავმჯდომარე ეკითხება შაქრო მანგიაშვილს: –

თქვენი საზოგადოება ემორჩილება, თუ არა – საქართველოს დღევანდელ მთავრობას?

პასუხი: – სრულებითაც არა. ჩვენ ვემორჩილებით იმ მთავრობას, რომელიც სპობს ცარცვა-გლეჯას, მტაცებლობას, და ამყარებს წესიერებას. ჩვენ რუსეთის შემოსვლა არ გვინდა... ჩვენ მხოლოდ თავისუფალი მიმოსვლის უფლებას ვაძლევთ... თუ კარგი უნდა ჩვენთვის – გამოუშვებთ, თუ არა, წინ აღუდგებით.

ეკითხებიან: – საქართველოს მთავრობა ჩვენ ამოვირჩიეთ თუ არა?

მანგიაშვილი: – ჩვენ ამოვირჩიეთ, მაგრამ ხშირათ ხდება, რომ მშობელი თავის

ნაშობ შვილს არ უთანხმდება. მთელი საქართველო აღსდგა და მიდის ყაზბეგლების წინააღმდეგ, თუ ჩვენ მცხეთიდან დარიალამდი მცხოვრებნი შევკავშირდებით – ვერ-ავინ დაგვძლევს...

თავმჯდომარე: – დუშეთის მაზრა მთელი საქართველო არ არის!

დოღდი ღუდუშაური: – უნდა ვეცადოთ, რომ სისხლი არ დაიღვაროს; დელეგატე-ბი აცხადებენ, რომ პური გვინდა; მეორე მიმდინარეობა მოითხოვს, იარაღი აჰყარონ დარიალის ხეობის ჯარისკაცებს, რომლებიც წითელ გვარდიელებათ მონათლეს. თუ პური გვინდა, ჩვენ ყველანი კი არ უნდა აღვსდგეთ... სულ სხვა გზით უნდა მივაღ-წიოთ ამას. გზის შეკვრას აბრალებთ ყაზბეგლებს და დარიალას მყოფ ჯარის კაცებს, მაგრამ ეგრე არ არის. რაც გზა შეიკრა, ჩვენ ყველანი დამშეულნი ვართ. ჩვენ ყვე-ლანი იმიტომ ვიდექით, რომ არ გაგვეშვა ის ბრბო, რომელიც ჩვენ დასარბევად მო-დიოდა. ნუ დავუჯერებთ პროვოკატორებს და ერთმანეთისა გავიგოთ. თუ დარიალში მოსულ... ბოლშევიკებს, რაიმე უნდოდათ, უნდა დელეგატების პირით შემოეთვალათ და არა ომით. ჩვენ ხალხი არა ვართ? ჩვენც მოუვლით ჩვენს თავს!...

...

მღვდელი ღუდუშაური: – თუ პურის უქონლობა არის მიზეზი ამბოხებისა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. თუ დუშეთის მაზრას დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს, ეგ შეუძლებელია... თქვენ საქართველოს მთავრობის სახელით მუშაობა არ შეგიძლიათ, რადგანაც ნდობას არ უცხადებთ მას – ჩვენ მთავრობა არ გვყავს დუშეთის მაზრის. ბოლშევიკური მთავრობა ჩვენ ანგარიშს არ გაგვიწევს. ჩვენ უნდა დავემორჩილოთ საქართველოს მთავრობას და ისე ვიმოქმედოთ.

ჯარისკაცი პ. ჩხიკვაძე: – გამოთქვამს სურვილს, რომ მომხდარი კონფლიქტი უსისხლოთ გათავდეს... ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ მდგომარეობას, რომ შე-თანხმება მოხდა ჩვენ მთავრობასა და თერგის ბოლშევიკურ მთავრობას შორის. ჩვენ ვიცით, რომ ძაუგს პური აქვს... ვიცით აგრეთვე, რომ ბოლშევიკებს ფული ბევრი აქვთ, მაგრამ იგინი პურს ფულზე არ იძლევიან. მათ აკლიათ სურსათი, რომელიც ჩვენ გვაქვს, მაგალითად: შაქარი, ჩაი, თამბაქო, მედიკამენტები და სხვა... ამ ორ ზემოხსენებულ მთავრობას შორის უკვე მოხდა მოლაპარაკება, რომ მოხდეს სურ-სათის გაცვლა-გამოცვლა და თუ ჩვენ უნდობლობას გამოვუცხადებთ მთავრობას, ამით პურის შოვნის გზა გვეხშობა. ამიტომ ჩვენ უმთავრობოთ არ შეგვიძლია რაიმეს გაკეთება... რაც შეეხება იარაღის ჩამორთმევას, მე, როგორც ჯარისკაცი, გეტყვით, რომ ჩვენ მოქმედებაში თუ თქვენ ნახავთ რაიმე წინააღმდეგ მიმართულებას, დაგვსა-ჯეთ და მიიღეთ იარაღი, და თუ მართალნი ვართ, იარაღს ვერ მოგცემთ, როგორც ჩვენ უძვირფასეს რამეს. იგი მთავრობამ ჩაგვაბარა და მთავრობას უნდა მიუტანოთ. თუ თქვენ ძმებად დაგვინახავთ, გვიმსახურეთ, თუ არა მოგვეცით გზა, ისე წავალთ, როგორც მოვსულვართ, რადგან თქვენი საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, თუ თქვენც ჩვენი გესმით.

ნ. ფიცხელაური და კობაიძე თავიანთ გამოსვლებში თითქმის ერთ აზრს ატარებენ: – შევრიგდეთ, გავიგოთ საქმის ვითარება, რომ სისხლი არ დავღვაროთ... ამასთან

ერთად, კობაიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა ჩვენი ამორჩეულია და ნდობა უნდა გამოვუცხადოთ მას, თქვენ რაც გინდათ ის სთქვით და მე მას ვენდობი და ქართველი ქართველურად მოვკვდები.

მინდიაშვილი: – ჩვენ გვჯერა თქვენი... ხალხს დასარწმუნებლად მოვიყვანთ... ჯარისკაცებთან ერთად დარიალს ვნახავთ და დავიცავთ მას.

პ. ჩხიკვაძე: – რადგან საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და თითქმის ერთი აზრისანი ვართ, ამიტომ ჩვენ, ჯარისკაცები, ისე დავიცავთ დარიალს, როგორც აქამდე ვიცავდით. ეს მოზღვავებული ხალხი კი, გლეხობა, რომელსაც დღეს სამუშაო დრო აქვს, დაბრუნდეს თავის სახლში და განაგრძოს თავისი სამუშაო.

სვიმონ შადური: – მთავრობას არ უნდა შევეხოთ, ჩვენ მას ნდობა უნდა გამოვუცხადოთ... ჩვენ მხოლოდ პურის საქმე უნდა მოვაგვაროთ; ადგილობრივი ჯარი მოვხსნათ და დარიალის ხეობაში ფულით დაქირავებული მოხევენი დავაყენოთ.

ბედოიძე: – აღნიშნავს, რომ მათი მოძრაობა არ არის პარტიული, არც ბოლშევიკური, არც მენშევიკური. ჩვენ მთავრობას უნდობლობას არ ვუცხადებთ. ჩვენ მარტო უპურობამ გვაიძულა და იმიტომ აღვსდეგით, სხვა მიზანი ჩვენ არა გვაქვს რა.

ალექსი ფიცხელაური: – პურის საქმის მოგვარება უნდა მოხდეს უსისხლოდ. საქართველოს მთავრობას წინააღმდეგობა არ უნდა გავუწიოთ, რადგანაც ჩვენი ამორჩეულია დემოკრატიული არჩევნებით... მთავრობაში ისეთი პირებია, რომლებსაც მთელი ქვეყანა იცნობს და თაყვანს სცემს. მათი უნდობლობის გამოცხადება მომასწავებელი იქნება დუშეთის მაზრის გამოყოფისა საქართველოდან, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიღოთ, რადგან ეს ღალატი იქნება დუშეთის მაზრაში მცხოვრებ გლეხებისაგან მთავრობისადმი. ამიტომ გაიგზავნოს დელეგატები ქალაქ ვლადიკავკაზში და ქალაქ ტფილისში, რომ ეს მომხდარი უთანხმოება მშვიდობიანი გზით გათავდეს.

იღებენ გადაწყვეტილებას: –

მოისპოს ძმათა შორის სისხლისღვრა, მოხდეს შეთანხმება და გაიგზავნოს ქ. ვლადიკავკაზში დელეგაცია, რომელიც მოაგვარებს პურის საქმეს, ჯერ მშვიდობიანის გზით და თუ ეს შეუძლებელი იქნა, შემდეგ სხვა საშუალებით.

დარიალის ხეობაში საქართველოს საზღვრის დასაცველათ დადგეს დუშეთის მაზრის მცხოვრებლების მიერ ამორჩეული პირები, რომელთაც მიეცემათ შესაფერი ჯამაგირი.

რადგან ჯარისკაცების წინააღმდეგ ვერავითარი საბუთი ვერ იქნა წამოყენებული, რადგან იგინი არ სჩადიოდნენ არავითარ უწესობას, ამიტომ სტეფანწმინდის მცხოვრებლები თავდები არიან, რომ ჯარისკაცებისაგან არაფერი საფრთხე და უწესობა არ არის მოსალოდნელი. ამიტომ იარაღი არ ჩამოერთმევათ.

ხელს აწერენ დუშეთის გლეხთა ორგანიზაციისა და სტეფანწმინდა-სნოს წარმომადგენლები (25-25 კაცი): 1) შაქრო მანგიაშვილი, 2) ძახოვი, 3) აბრამა არმაზაშვილი, 4) ლექსო ლალიაშვილი, 5) ნესტორ ოტური, 6) ივანე მაისურაძე, 7) მარტია ფანიაშვილი, 8) ტურა კარიაული, 9) იაკობ ბურდული, 10) გიორგი როსტიაშვილი, 11) გაბო ხუციშვილი, 12) გრიგოლ ბურდული, 13) გიორგი ვეშოგური, 14) ალექსი კობაიძე, 15) ფირან ჯალაბაური, 16 იოსებ წაბალაური, 17) იაკობ ბუთხუზი, 18) ალექსანდრე საშერი (გაურკვეველია), 19) ივანე ზეტურიძე, 20) რ. კურკუმელაშვილი, 21) ვას. ბუთხუზი, 22) კუბადი კიკაევი, 23) შიო წიკლაური, 24) რ. თოფაძე, 25) მღვდელი ბართლომე ღუდუშაური, 26) ივანე ვალიშვილი, 27) ნინია ფიცხელაური, 28) სოლომონ ხეთაგური, 29) იოსებ ფიცხელაური, 30) იაგორ ღუდუშაური, 31) ალექსანდრე ფიცხელაური, 32) გიორგი გომიაშვილი, 33) გიორგი ხართიშვილი, 34) იორდან გიგაური, 35) ნიკოლოზ ღუდუშაური, 36) გიორგი მალსაგოვი, 37) ციცილა ყამარაული, 38) ანდრია კობაიძე, 39) ილიკო კიკური, 40) ალექსი ქირიკაშვილი, 41) ლევან ფიცხელაური, 42) სიმონ შადური, 43) ივანე შადური, 44) ნიკოლაი ქერაშვილი 45) გიორგი ჩაბაიძე, 46) როსტომ წიკლაური, 47) დათიკო წერეთელი, 48) კოტე გომიაშვილი, 49) შიო ფიცხელაური, 50) ს. კარაევი.

თავმჯდომარე: გაბრიელ კელენჯერიძე

მდივანი: პ. ჩხიკვაძე

(ოქმი მოყვანილია გ. ლაფანაშვილის წიგნიდან „დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება 1918 წელს“, თბილისი, 1927 წ.).

*

როგორც სიმონ შადური გვამცნობს: –

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს, „26 თიბათვეს“ – სტეფანწმინდის და სნოს წარმომადგენლები – სიონში უნდა მისულიყვნენ მეამბოხეებთან შესახვედრად: –

„უნდა მივესალმებოდით ერთმანეთს, მიგველოცა მშვიდობიანად და უსისხლოდ საქმის დაბოლოვება, გაგვეცნო ჯარისთვის დელეგატების მიერ დადგენილი პირობანი“ – რათა ჩვენს შორის საბოლოოდ მოსპობილიყო ყოველივე უთანხმოება.

დელეგატებად აირჩიეს: – სიმონ შადური, გიორგი ხართიშვილი, ქოთია გომიაშვილი, გ. კელენჯერიძე და პ. ჩხიკვაძე – რომლებმაც, პირობისამებრ, ჯარისთვის გასაცნობად წაიღეს “შეთანხმების ოქმი“ და – 26 ივნისს, დილის 10 საათზე, მივედნენ სიონში.

„ბრბო გველოდებოდა... თავმოყრილი ტრიალ მინდორზე, იარაღით შემოსილი, ჯარისებურად როტებათ დამწკრივებული...“

„ისეთი დასკვნა გამოვიტანე ჯარის ცერემონიით ჩვენთვის უნდა ეჩვენებინათ, რომ მათში წესრიგი არსებობს და კარგი დისციპლინა აქვთ.“

„ადგილობრივი ნაწილის უფროსები – სიონიდან, კობიდან, ყანობიდან, ხურთისიდან, გორისციხიდან და სხვა სოფლებიდან, თავის როტებს, ქართველები ქართველებს – რუსულად კამანდრობენ...“

„სამწუხარო და სატირალი იყო ეს სურათი გონიერი ადამიანისაგან...“

„მთელი კვირების მანძილზე ამ ხალხს სახლ-კარისთვის, ცოლ-შვილისთვის თავი დაუნებებია; ცოლ-შვილი შიმშილით უწუხთ; შემოსული ქერები – მოსამკელი უფუ-ჭდებათ და ეს ამოდენა ხალხი, 3000 კაცი – ბავშვებივით მინდორზე ცელქობენ, თა-მაშობენ...“

„საწყალი ჩვენი გლეხობა, რა იციან ვის ემორჩილებიან ასე ბრმად თვალდახუ-ჭულნი, მათ მტერი მოყვარედ დაუსახავთ და მოყვარე მტრადა...“

უფროსებმა – ჯარი წესრიგში ჩააყენეს და დაიძახეს „ყაზბეგის დელეგატები მორეკეთო.“

„ამ ხმას მოჰყვა ხალხის მღელვარება, გრგვინვა, აურზაური, ხმაურობა. გვესმო-და ჩვენზე ლანძღვა-გინება უშვერის სიტყვებით“: –

„მორეკეთ დავხვრიტოთ!“

„ეგენი არიან მთავრობისაგან შესყიდულნი, სამი მილიონი ოქრო მიიღეს მთავრო-ბისაგან, დარიალის კარი ჩაკეტეს, გზა შეკრეს და ხალხს შიმშილით გვწყვეტენ-ო...“

„სიონის სკოლის ეზოში ვიყავით და ვგრძნობდით, რომ არც აქ იყო ჩვენი სი-ცოცხლე საიმედო...“

„დავიბარეთ მათი მეთაურები...“

„ვუთხარით რომ, თუ დაგვხოცავენ როგორც სოფლის წარმომადგენლებს, ჩვენი სოფლელები არ აპატიებენ და ამას დიდი სისხლის ღვრა მოჰყვება.“

„ისინი შეიარაღებულ ბრბოში გავიდნენ, ბევრი იყვირეს და რამდენადაც შესაძლე-ბელი იყო, დაამშვიდეს...“

*

„ბრბოში გაგვიყვანეს...“

„დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი აღსასრული მოსული იყო.“

„მდივანი ჩხიკვაძე ავიდა ტაბურეტკაზედ და დაიწყო კითხვა შერიგების პირობი-სა...“

ბრბო აბობოქრდა: –

„ეგეთი პირობა არ გვინდა, ეხლავე წავიდეთ ყაზბეგში და გამოუშოთ ჩვენი ძმები დარიალიდანო.“

„სალაპარაკოდ ავიდა სოფ. ხურთისში მცხოვრები ნიკო ბადაშვილი, რომელმაც ბევრი ილაპარაკა ბრბოს მომავალ კარგ ბედზე, აძაგა ყაზბეგლები და სიტყვა იმით დააბოლოვა, რომ ურუსეთოდ საქართველოს არ ეცხოვრება...“

„ბრბომ ოვაციებით დააჯილდოვა იგი.“

სიმონ შადურმა მომხდურებს ურჩია: –

„ამოდენა თავმოყრილი ძალა კეთილი, სასარგებლო საქმისთვის მოეხმარებინათ და შეცდომაში არ შესულიყვნენ...“

მოვითხოვე: –

„გამოჩნდეს და დაამტკიცოს ვინც იცის, რომ ყაზბეგლებმა მთავრობისაგან სამი მილიონი ოქრო მიიღეს სასყიდელი.“

„ავუხსენი რომ – მათი აზრი, ვითომ ბალშევიკებმა უნდა მისცენ პური ვლადიკა-ვკავიდან, მცდარია;“

„ვუთხარი რომ – მათ არავითარი პური არა აქვთ;“

„ისინი ხვნა-მთესავი ხალხი არ არიან...“

პური და სიმინდი შეიძლება ვიყიდოთ მხოლოდ ინგუშებისაგან, ოსებისაგან, ყაზახებისაგან...

ეს სამი ერი კი, ერთმანეთში ომობს...

„დრო არა აქვთ, ბაზარზე სურსათი გამოიტანონ...“

„თუ ასე იომებენ, მათაც მოხვნის და პურის მოკრების დრო არ ექნებათ;“

„ისინიც დამშივდებიან და ჩვენც შიმშილით დავიხოცებით.“

„ამას გარდა, ვერც ცხვარსა და საქონელს გავრეკავთ საზამთროდ, თერგის ოლქში...“

ვურჩიე რომ: –

„ამ სამი ერის შერიგება ქართველებს გვეკისრა, მშვიდობა დაგვემყარა მათ შორის და ეს, ჩვენც დიდ სარგებელს მოგვიტანდა.“

„ვუსურვე გამარჯვება სასარგებლო საქმის საკეთებლად; თავი დავუკარი და ტაბურეტკიდან ცოცხალი ჩამოვედი...“

ასეთი დაძაბული და სარისკო შეხვედრის შემდგომ, როცა ხევის დელეგატები სტეფანწმინდას დაბრუნდნენ – ცუდი ამბავი შეიტყვეს: –

ბოლშევიკებს – ჩრდილოეთიდან კიდევ შემოუტევიათ;

საქართველოს მთავრობის მესაზღვრეები (50 კაცი) მათ მხარეს გადასულა...

„მოხევეები დარჩენილან შვიდნი, მაგრამ მტერი არ გამოუშვიათ, ერთი მოუკლავთ და სამი დაუჭრიათ...“

სიონის შეთანხმების თანახმად: –

„იმავე საღამოს, ვითომ დარიალის დასაცავად, 100 მეაბოხე სიონიდან სტეფანწმინდას ამოვიდა.“

„ითხოვეს: – ღამეს სტეფანწმინდაში გავათენებთ და დილით ადრე წავალთ დარიალში-ო...“

„გულუბრყვილო სტეფანწმინდელებმა – შეთანხმებიდან გამომდინარე, ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები პოზიციებიდან მოხსნეს.“

„მეამბოხეებმა – სიტყვა გატეხეს და იმავე ღამით, მთელი მათი ჯარი სტეფანწმინდაში ამოვიდა.“

27 ივნისს: –

„ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები ჩვენი სოფლისკენ მომართეს...“

„ალყა შემოარტყეს;“

„მოგვთხოვეს – სრული დამორჩილება, იარაღის აყრა და მეთაური კაცების გაცემა.“

შევუთვალეთ რომ: –

„სტეფანწმინდლები, სნოვლები და ცდოვლები არც დანებდებიან;“

„არც მეთაურ კაცებს მისცემენ, არც თოფებს...“

სიმონ შადურის ცნობით: –

ზემოაღნიშნულის შემდგომ, „უკანასკნელ ღონეს მივმართეთ“ –

„საიდუმლო წერილი, შიკრიკის ხელით – თბილისში, საქართველოს სამხედრო მინისტრთან ვაფრინეთ.“

ვატყობინებდით რომ: –

„სამშობლო იღუპება, დარიალის კარი იხსნება და რუსი ბალშევიკები უნდა შემოუშვან...“

„დარიალში ბრძოლა გრძელდება...“

„დამხმარე ძალების გამოგზავნას ველოდით... ველით, მაგრამ ჩვენი მაშველი არსაიდან სჩანს...“

„მტერი გარშემორტყმული გვყავს... გული გაგვიტყდა...“

„მთავრობა ყურს არ გვიგდებს და რა ვქნათ მარტო ჩვენ...“

„თუ რამეს გვიშველით, გვიშველეთ... იხსნება დარიალის კარები...“

„შეიძლება სულ გავწყდეთ... სხვა შველას არსაიდან ველით“ (ს. შადური)...

დამოუკიდებელი საქართველოს გვარდიის შტაბის უფროსის, ვ. ჯუღელს – აღნიშნული წერილი მესამე დღეს გადასცეს – მაშინ, როცა უკვე მცხეთაში იყო და ჯარით სტეფანწმინდისკენ მიემართებოდა.

*

28 ივნისს – მოკავშირე სოფლების დარბაისელი მოხუცები ამბოხებულებთან მივიდნენ, რათა მათთვის და, განსაკუთრებით, მოწინააღმდეგე ბანაკში მყოფი მოხევეებისთვის აეხსნათ, რა უგუნურობას სჩადიოდნენ საკუთარი თავისა და ქვეყნის მიმართ: –

„სასარგებლო რომ იყოს ეგ საქმე, რისთვისაც თქვენ გამოურეკიხართ – მაშინ ყაზბეგლები თქვენზე უწინ შევერეოდით მაგ საქმეშიო...“

„დიდად იმოქმედა ბრბოზე“ ამ საუბარმა.

„იქამდინ ვეცადენით, რომ სოფლისგან ალყა მოვახსნევინეთ...“

„29 ივნისს – ამბოხებულები მაინც ჩავიდნენ დარიალში.“

„გახსნეს კარები და ყოველივე აცნობეს ვლადიკავკაზში მყოფ ბოლშევიკებს.“

იმავე დღეს – იქიდან, „ყაზბეგში ამოვიდა სამი უცნობი, რომელთაგან ორი ქართულად ლაპარაკობდა... ერთი რუსი.“

„მიესალმნენ ხალხს, მიულოცეს გონიერება და შორსმჭვრეტელობა;

„დაპირდნენ დიდ განათლებას, თავისუფლებას, სისწორეს, ძმობას, ერთობას.“

„აღუთქვეს, რომ ხვალ მოუვათ 30 000 ფუთი სიმინდი, „ამხანაგი ჯარები,“ იარაღი და ერთად უნდა გაილაშქრონ საქართველოსკენ...“

„დახოცონ სისხლის მწოველი თავად-აზნაურობა, ჩამოართონ მამულები, სიმდიდრე, ჩამოაგდონ ჩხენკელის მთავრობა...“

„რა უბედური ხალხი ვართ, როგორ ვიღუპებით ჩვენი გულუბრყვილობით! სამი ათასი კაცი ტაშს უკრავს ვიღაც უცნობებს; არ იციან ეშმაკები მოევლინენ, თუ ანგელოზები; მაჰმადიანები თუ ქრისტიანები, მტრები თუ ერთგულნი.“

„არ იციან მათი გვარ-სახელი, ვინაობა. ტაშის დაკვრით და „გაუმარჯოს“ ძახილით ეგებებიან.“

„ამაზე მეტი უბედური ხალხი განა შეიძლება კიდევ იყოს?!“ (ს. შადური).

*

1 ივლისს – „მეამბოხეთა „ვაენნი მინისტრმა,“ ეროვნებით სომეხმა – კომლზედ კაცი მოგვთხოვა „მცხეთაზე სალაშქროდ...“

ბოლშევიკების მოწინააღმდეგე „მეკავშირე სოფლები“ ამ წინადადებამ კვლავ

ააღელვა.

„ყველა იარაღში გამოეწყო, საფრებში ჩავსხედით, საომრად მოვემზადეთ...“

„გავუგზვნეთ მოციქულები მტერ მოხევებს და მთიულებს“: –

„გაგვშორდნენ ჩვენი ადგილებიდან... ნუ დაგვაღვრევინებენ მეზობლები თავის სისხლს – ვიღაცა სომხის ბრძანებით...“

2-3 ივლისს ხმები მოვიდა: –

„საქართველოს მთავრობის ჯარებმა... ამბოხებული სოფლები ჩააჩუმეს და დუშეთამდე მივიდნენო.“

გვიხარიან...

„ყველგან, სადაც ბრბოს მცველები იდგნენ (ტელეგრაფთან, ტელეფონთან, სურსათის საწყობთან...), ჩვენი მცველები მივუჩინეთ... მაგრამ... მთავრობის ჯარის მოსვლამდე, 4 ივლისს, სტეფანწმინდაში კიდევ 120 ბალშევიკი ამოვიდა ვლადიკავკაზიდან – 60 რუსი და 60 ოსი.“

„ამოიტანეს 2 ზარბაზანი; სოფლის მოშორებით დაბანაკდნენ და ზარბაზნებს პირი – სტეფანწმინდისკენ უბრუნეს.“

„ტყვიისმფრქვევლები მაღლობზედ აიტანეს; ბრბო „ცეპზედ გაშალეს;“

„დაიწყეს ჩვენსკენ სროლა...“

გვაცნობეს რომ: –

„თუ არ დავნებდებით და მეთაურ კაცებს არ გადავცემთ, მთელ სოფლს ააოხრებენ...“

„ჩვენც... იარაღში გამოწყობილნი, „ცეპზედ“ გავიშალენით;“

„სოფლის გარეთ ჩავსაფრდით და პირობა დავდეთ“: –

„სანამ – ერთი ჩვენგანი მაინც არ მოკვდება – არ ვესროლოთ...“

„ხელმეორედ მივგზავნეთ მტერ-მოხევებთან კაცები, ვსთხოვეთ გონზედ მოსულიყვნენ რომ – ჩვენ შუა არ ჩამოვარდნილიყო სამუდამო მტრობა და სისხლი...“

„სტეფანწმინდაში დაბანაკებული „ბრბო“, 5 ივლისს, „დილით აიყარა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წავიდა კობისკენ.“

„მათთან ერთად წავიდა წინა დღეს მოსული 120 ბალშევიკი.

„სტეფანწმინდელებმა, სნოვლებმა და ცდოვლებმა, უარი ვსთქვით ბოლშევიკების გაყოლაზედ...“

ხევის სხვა მეამბოხე სოფლებაც (მათ მაგალითზე) განაცხადეს უარი საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებაზე: –

„რაკი ყაზბეგლები და სნოვლები არ მოდიან, არც ჩვენ წამოვალთო!“

„ასევე განაცხადეს მთიულებმაც და... დაიშალა ეს 3000 რიცხვიანი ბრბოს ჯარი.“

ყველა თავის სოფელში წავიდა.

რუსებმა ზარბაზნები ვლადიკავკაზში გააბრუნეს;

120 ბოლშევიკი თოფებით წავიდა თბილისისაკენ...

*

6-7 ივლისს – ბოლშევიკებმა სტეფანწმინდაზე ჩამოატარეს ტყვეები.

„ვლადიკავკავში მიუდიოდათ...“

„ნახევარზედ მეტი საცვლების ამარა იყვნენ; არც ქუდები ჰქონდათ, არც ფეხსაცმელები...“

„მეამბოხეებს წაერთმიათ და საცვლებიღა შეენარჩუნებინათ.“

„სტეფანწმინდაში 2 დღე-ღამე შევინახეთ ისინი.“

„ვისაც რამ მეტი ტანისამოსი გვქონდა, მივეცით. ყოველ დღე ცხელ საჭმელს ვუხარშავდით... ყველას დავურიგეთ 1-2 პაჩკა პაპიროსი...“

„ჩვენი გული არ ისვენებდა, ერთთავად სულ იმას ვფიქრობდით – ეს ხალხი გაგვენთავისუფლა, იარაღით შეგვემოსა და მტერს შევბრძოლებოდით.“

„ის გვიშლიდა ხელს, რომ არ ვიცოდით – მთავრობა და საქართველო რა მდგომარეობაში იყო;“

„გაიმარჯვებდნენ, თუ უკვე დამარცხებულნიც იყვნენ – რადგან 14 თიბათვიდან მოწყვეტილნი ვიყავით ფოსტას, ტელეგრამას და ტელეფონს...“

„ჩვენი კერპობა ვერაფერს გააწყობდა... თუ მთავრობას ძალა აღარ ექნებოდა“(ს. შადური).

*

„10 ივლისს – ნაშუადღევს, გუდამაყრის ხეობით სტეფანწმინდაში მოვიდა საქართველოს მთავრობის ჯარისკაცი, გრიგოლ ავსაჯანიშვილი (გუდამაყრელ ამხანაგთან ერთად).“

„მოიტანეს ცნობა, რომ ორად გაყოფილი ქართული სამთავრობო ჯარის ერთი ნაწილი – ჯვრის უღელტეხილის გავლით მოდის; მეორე – ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, დუმაცხოს და სნოს ხეობებით მოემართება...“

ითხოვეს, რომ: –

„მეკავშირეებს“ შეეკრათ დარიალი – არც არავინ იქით გაეშოთ და არც არავინ აქეთ.“

„ხალხმა ეს წინადადება მიიღო... შეიარაღება დაიწყო“, მაგრამ, „გასჭრა მოღალატეთა ენამ და... მოხევეებმა უარი თქვეს დარიალის დაცვაზე...“

„მხოლოდ 30 ახალგაზრდა გაემართა ვ. ჯუღელის დასახვედრად.“

*

„11 ივლისს – გუდამაყრის ხეობით მიმავალი სამთავრობო ჯარი ჯერ კიდევ სოფელ დუმაცხოში იყო.“

მისი მეორე ნაწილი – ჯვრის უღელტეხილით, გუდაურისკენ მიისწრაფოდა.

დამოუკიდებელი საქართველოს გვარდიის შტაბის უფროსი, ვ. ჯუღელი – თავის 11 ივლისის დღიურში აღნიშნავს: –

„ხვალ გადაწყდება ჩვენი გარემოვლის ბედიღბალი.“

„ჩვენთან თანდათან მოდიან შეიარაღებული, წარმოსადეგი მოხევები, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ყაზბეგლები არიან, ან კიდევ სნოს მცხოვრებნი...“

იმავე დღეს (11 ივლისს), როგორც ს. შადური გვამცნობს: –

„ვლადიკავკაზიდან სტეფანწმინდაში ამოვიდა საშა გეგეჭკორის რაზმი, რომელმაც „სასტიკი პოზიცია დაიკავა.“

„მოითხოვეს კარგი საკვები და საცხოვრებელი პირობები;“

დაგვემუქრნენ რომ: –

„თუ თუნდაც ერთ ჯარისკაცს გავაჯავრებთ... მთელ სოფელს ააოხრებენ...“

12 ივლისის დილას – „ბალშევიკების უფროსმა გაგვაფრთხილა: –

ნახევარ საათში თუ იარაღს არ ავიყრიდით და არ ჩავაბარებდით – „სოფელს ზარბაზნებით დაანგრევდნენ...“

„სოფელში რომ სროლა თავიდან აგვეცილებინა... თოფებით შეიარაღებულნი... განაპირას გავედით...“

გეგეჭკორის ცხენოსანი რაზმი სოფელში შეიჭრა: –

„ისმის ტირილი ქალებისა და ბავშვებისა, ბევრგან ქუჩაზე ხელჩართული ბრძოლაა, ჩვენები თავს იჭერენ, არ უნდათ სოფელში ატეხონ სროლა...“

დედაკაცებს ვერ ვაჩუმებთ...

„ისინი იმუქრებიან, სწყევლიან ამ მხეცებსა და გონებადაკარგულ ქართველებს“...

„ზოგიერთები ჩვენებიც სუსტი გულისანი აღმოჩნდნენ... იარაღის ჩაბარება დაიწყეს.“

„მეთაურები იძულებულნი გახდნენ სოფელს გასცლოდნენ და მთებში დამალულიყვნენ...“

„მეც მათთან ვიყავი, სოფლის თავს, ასე, სამი ვერსით დაშორებული.“

„სადაც მივედი 14 კაცი ჩვენებურები დამხვდნენ – ისინიც ჩემსავით ურჩი გაქცეულები, მათ შორის ხევში პირველი მონადირე, ლევან ესტატეს ძე ქუშაშვილი...“ (ს. შადური).

ბოლშევიკები დასასჯელად ეძებდნენ, „მაბეზღარებისაგან მეთაურებად ნაჩვენებ პირთ“: –

მღვდელ ბართლომე ღუდუშაურს, სიმონ შადურს, ალექსანდრე, ივანე, ფიდო და ლევან ფიცხელაურებს, ვასო და ანდრია თოფაძეებს, ნიკალა შიოს ძე ხეთაგურს, ანდრია კობაიძეს, კოლა დავითაშვილს, ალექსი ქირიკაშვილს, ნიკალა ქერაშვილს, ილიკო გიგაურს; ალექსი ვარძუკაშვილს (სნოს კომისარს), გიორგი გოგიაშვილს (ყაზბეგის კომისარს), ვანო ვარძუკაშვილს, სოლომონ ვალიშვილს, დოღდი ღუდუშაურს, გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილს, იოსებ გიორგის ძე ფიცხელაურს და პავლე ცაბალოვს...

*

12 ივლისის დილას – ვ. ჯუღელის სამთავრობო ჯარი ჯერ კიდევ ბურსაჭირში იყო.

როგორც მისი დღიურებიდან ჩანს: –

„უღელტეხილსა და გარემო მთებს ყარაულობენ სნოს და კარკუჩის მცხოვრებლები... მათი ნაწილი შეგვხვდა ჩვენ და მოგვესალმა უღელტეხილზე... მშვენიერი შესახედაობა აქვთ და კარგ ცხენებზე არიან. რა ბედნიერებაა...“

„უიმითოთ ჩვენი გარემოვლა იქნებოდა სრულიად უიმედო...“...

„გადმოგვცეს ბოლშევიკების ტელეფონოგრამები; ისინი გვიჩვენებენ მათი ძალების სამწუხარო და სავალალო მდგომარეობას...“

12 ივლისს – ნაშუადღევს, სამთავრობო ჯარმა კარკუჩას მიაღწია.

სოფელმა სადილი გაუმართა მთელ რაზმს.

„მათი გულწრფელი სიხარული და ფართო მასპინძლობა ავიწყებს ადამიანს მოქანცულობას...“

„ყაზბეგში კავკავიდან ამოვიდა საშა გეგეჭკორის რაზმი.“

„ეს ჩვენთვის ხელსაყრელია. დაიღუპება ეს რაზმი“ (ვ. ჯუღელის 12 ივლისის დღიურიდან).....

*

როგორც ს. შადური გვამცნობს: –

13 ივლისს – „რიჟრაჟზე, ზედ მთის წვერზე ვიყავით;“

„ჩვენი მიზანი იყო დარიალში გადავსულიყავით და მტრისთვის მოგვევლო...“

მთის წვერიდან ჩვენს სოფელს გადავსცქირეთ;

მისგან მოშორებით, მტერს ზარბაზნები ედგა...

სნოსკენ ისროდნენ.

იქიდანაც ტყვიისმფრქვევლების ხმა ისმოდა.

მივხვდით, რომ მთავრობის ჯარი მოვიდა.

გვიხარიან...

„დაუსვენებლივ გავეშურეთ მეორე მთისაკენ... რომ მივიდეთ დარიალში და გზა მოვუჭრათ გაქცეულ ბალშევიკებს.“

„ბინდისას, მივედით ხდეში, ქისტი მეცხვარეების ბინაზე.

დიდის გულკეთილობით მიგვიღეს; დაკლეს ცხვარი, მოხარშეს ხორცი, გამოაცხვეს მჭადები – ცხელის წვენ-ხორცით კარგად გაგვიმასპინძლდნენ.

მწვანე მონდორზე მკვდრებივით დაგვეძინა...“

*

ამავე დღეს – 13 ივლისის დილას, გუდამაყრის ხეობით მომავალი სამთავრობო ჯარი – ვ. ჯუღელის დღიურების მიხედვით, მართლაც, სნოში იყო: –

მოსახლეობა „სათნოიანად დაგვიხვდა. სამაგალითოდ გაგვიმასპინძლდნენ. პირველად ჩემს სიცოცხლეში – ვჭამე გემრიელი „ხაბიზგინები.“

„დედაკაცები, მეტადრე მოხუცებულები, ჩვენთან შეხვედრის დროს ტიროდნენ და ჩუმად გვლოცავდნენ...

მათი შვილები შემოუერთდნენ ჩვენს ლაშქარს...

ყოველივე ეს უფრო აძლიერებს მათ ნათელ დარდს...

სიყვარულით და ცნობისმოყვარეობით ვუცქერ ამ მოხუცებულებს და მახსენდება ძველი, წინანდელი გმირი ქართველი დედა.....

სარდალი მიიჩნევს რომ: –

„მტერი... ჯერ ვერ გრძნობს თავის სახიფათო მდგომარეობას.“

„ჩქარა დავიწყებთ ბრძოლის ოპერაციებს და გავანადგურებთ.“

„13 ივლისს, 11 საათზე – დავიკავეთ აჩხოტის ციხე-სიმაგრე, რომელიც მდებარეობს სამხედრო გზაზე“ (არშის ციხე გ.ქ.).

მტერს გადავუჭერით გზა!

„ზოგიერთებმა ღამით მოასწრეს ყაზბეგში გავარდნა...“

ეხლა ისინი ზარბაზნებს უშენენ იმ მთებს და მწვერვალებს, რომლიდანაც ამოდიოდა ლომთათიძის გუნდი.

„მჯერა, რომ მოხევები გზას გადაუჭრიან მათ და მთელი „სოციალისტური რაზმი“ გეგეჭკორისა ჩაგვივარდება ხელში.“

მთავარი სიმაღლენი, უკვე ჩვენს ხელშია!

ამ სიმაღლეებიდან ვუმზერ გარემოს...

აღტაცებაში მოვდივარ მთების ძლიერი სილამაზით.

აქედან მოსჩანან ჩანჩქერები, ძველი ციხე-სიმაგრენი, კეკლუცი და ლამაზი სოფლები...

ყველა ამეებზე ბატონობენ მწვანე, დიადი და ლამაზი მთები.

დროგამოშვებით ვივიწყებ ომს და სავსებით ვინთქები ბუნებაში“ (ვ. ჯუღელის დღიურებიდან).

*

ამავე დღეს, ანუ, 1918 წლის 13 ივლისს, ჯვრის უღელტეხილით მომავალ სამთავრობო ჯარის მეორე შენაერთს – ს. გეგეჭკორის რაზმი გუდაურთან დახვდა.

სისხლისმღვრელი შეტაკება ბოლშევიკების მარცხით დამთავრდა.

ისინი – ყაზბეგში დატოვებულ თანამზრახველებთან გაიქცნენ – მაგრამ, სნოს ხეობით გადმოსულმა ვ. ჯუღელის რაზმმა – გზა გადაუჭრა და თითქმის, ყველა დაატყვევა.

*

14 ივლისის დღიურში სარდალი აღნიშნავს: –

„გუშინ საღამოთი დავიმწყვდიეთ „ბოლშევიკები.“

„მთლად განადგურდნენ... წავართვით ორი ზარბაზანი, ოთხი ბომბის მფრქვეველი, ტყვიის მფრქვეველები – მთელი ბარგი-ბარხანა და ორასი ტყვე.“

საშა გეგეჭკორის “სოციალისტური რაზმიდან“ აღარაფერი დარჩა.

„კავკავის გზაზე... გვამები ყრია... მძიმე სანახაობაა... მაგრამ გული გაქვავდა, მოკვდა.“...

„განადგურებული მტერი წარმოადგენდა საცოდავ, უბედურ სანახაობას.“

„იგი მოვიმწყვდიეთ დარიალის ვიწროებში.“

„ამ ადგილას მდებარეობს პატარა სოფელი ცდო, რომელმაც ითამაშა ბოლშევიკებისთვის საბედისწერო როლი.“

„მტერს არავითარი საშველი აღარ გააჩნდა; წინ აუსაფრდნენ მოხევეები და ჩვენი ტყვიის მფრქვევლები; მარჯვნით – გაცოფებული თერგი მოაგორებს თავის ტალღებს, მარცხნით – ციცაბო და მაღალი კლდეებია; უკნიდან აწვებოდნენ ჩვენები...“

„გაკეთდა საბედისწერო, სასიკვდილო რკალი – მაგრამ საშა გეგეჭკორმა მოასწრო რკალიდან გახტომა...“

„მოხევეები იბრძოდნენ როგორც ლომები. ჩვენმა ჩამოსვლამ აღაფრთოვანა ისინი...“

„საუკეთესო მსროლელები და გულადი მეომრები არიან...

რანაირად უყვართ იარაღი!

მინახავს მოხევეები, რომელთაც ზურგზე ბოლშევიკებისაგან წართმეული 10-12 შაშხანა თოფი ჰქონიათ – მაგრამ მაინც ყოჩაღად და დაუღალავად უდევნიათ მტრისთვის...

საშინლად გაჯავრებული იყვნენ ბოლშევიკებზე, რომლებმაც სრულიად დაანგრიეს ყაზბეგი...“

„უკვე ბინდდებოდა, როცა მეთერთმეტე ვერსს მივაღწიეთ...“

„ტყვეებმა გვთხოვეს, შევჩერებულიყავით, რადგან ბოლშევიკები დარიალის ციხე-სიმაგრეში იყვნენ გამაგრებული: –

„ჩვენც დავიღუპებით და თქვენცო“ – საცოდავად გვარწმუნებდნენ ისინი... (ვ. ჯუღელის დღიურებიდან).

*

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ – ს. შადურის რაზმმა ჯერ არაფერი იცის.

14 ივლისს – რიჟრაჟზე, ისინი მასპინძელმა, ჰაუდი იაჰკუროვმა, გააღვიძა.

„სადაც უნდა გადაგვეჭრა მტრისათვის გზა, იქამდინ სამი ვერსი კიდევ გვექნებოდა გასავლელი, სულ კლდეებზე...“

რომელ ჩვენს ამხანაგებსაც სიარული აღარ შეეძლოთ, ქისტების ბინაში დარჩნენ.

ჩვენთან წამოვიდა საშველად სამი მასპინძელი ქისტი...

დილის 10 საათზე დანიშნულ ადგილს ვიყავით...

კარგად გვიჩნდა დარიალის „კრეპოსტი,“ სადაც ჩვენი მოწინაღმდეგენი მიდი-მოდიოდნენ...

ვატყობდი – დურბინდით, რაღაც მოუსვენარ ფაცაფუცში იყვნენ;

30 კაცამდის იქნებოდა...

16 კაცი ჩვენსკენ წამოვიდა.

რა მიზნით, არ ვიცი, თუმცა იმაში დარწმუნებული ვიყავით, რომ ვერ დაგვინახეს...

ტყიან მთის წვერზე ვსხედვართ და თვალს ვადევნებთ...

უეცრივ გზას აუხვიეს და „ხდის წყლის“ ხეობას გაყვნენ.

ჩვენ ვეღარ ვხედავდით.

ორი საათის შემდეგ გამოჩნდენ შოსეს გზაზე – შორს.

ავუტეხეთ სროლა.

ერთი წაიქცა, სხვები გაიფანტნენ და ქვებში ჩაიმალნენ;

იქვე ახლოს, დუქანს მოეფარნენ და ციხეში კლდეების მოფარებით მიაღწიეს...

ერთი საათის შემდეგ – თითო თითობრივ... თერგის ნაპირებით ლარსისკენ გაიქცნენ და ცარიელი ციხე დატოვეს...

ჩვენ ისევ ქისტი მეცხვარეების ბინაში დავბრუნდით...

შუაღამისას – გახარებულმა მასპინძელმა გაგვაღვიძა და სასიამოვნო ამბავი გვამცნო: –

თქვენი მთავრობის ჯარი ყაზბეგში შესულა, ბალშევიკები ამოუწყვეტია, დარიალამდინ ჩამოსულან და ეხლავე – ჩვენც უნდა წავიდეთ დარიალშიო...

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

რიჟრაჟზე, დარიალის ციხისკენ გავეშურეთ...

უსაზღვრო სიხარულსა ვგრძნობდით... ძრიალ დაღლილები ვიყავით, მაგრამ – დარიალიდან ყაზბეგამდე, 12 ვერსი – ფეხით წამოვედით...“

*

1918 წლის 21 ივლისს დღიურში – ძმათამკვლელი ბრძოლების შემდაგ, ვ. ჯუღელი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: –

სამების „ჩაფიქრებულ ტაძარში გერგეტლებმა შერიგების პანაშვიდი გადაიხადეს.

გუშინ შერიგდნენ ყაზბეგლები და სიონელები.

დღეს – გერგეტლები უარს ამბობენ წარსულ თავდავიწყებაზე და ურიგდებიან ყაზბეგლებს...

გვწამს, რომ უბრალო ფიცი, რომელსაც ეს ხალხი აძლევს ერთი მეორეს – ტაძრის ლამაზი თაღების ქვეშ, იქნება წმინდა და სამუდამო.

ძველი მონასტრის გალავნის შიგნით, გერგეტლების მიერ გამართულ შერიგების სადილზე – გერასიმე მახარაძე, ივანე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე დგებუაძე და მე – საპატიო სტუმრებად ვიყავით.

იყო გულუხვი დროს გატარება, მასპინძლები იყვნენ მხიარულად და ქეიფიანად;

მღეროდნენ ამაყ მთიულურ სიმღერებს...“...

*

27 ივლისს დღიურით ვ. ჯუღელი გვამცნობს: –

„სახელოვანი გამარჯვების შემდეგ, ჩვენი ნაწილები თანდათან მიდიან უკან – სახლებში;

კავკავმა მიიღო ყველა ჩვენი მოთხოვნა და პირველ რიგში, გაათავისუფლა ტყვეები...“

იმავე დღეს, სოფ. ცდოში – სარდალი დაესწრო „მეგობრულ სადილს“ და საკუთარ დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: –

„ეს სოფელი საშა გეგეჭკორის რაზმის საფლავია.“

„ვათვალიერებდით ციცაბო კლდეებზე გაშენებულ სოფელს და ვისმენდით – გულად მონადირეთაგან რაზმის განადგურების ამბავს.“

„ეს სოფელი რომ არ ყოფილიყო, საშა გეგეჭკორის რაზმი მოახერხებდა ჩვენგან გასხლტომას.

ცდოს მცხოვრებნი ძველი მონადირეები არიან და მათ თვალს არაფერი გამოეპარება... საუცხოოდ იციან თითოეული ბილიკი, გაყვითლებული კლდის თითოეული წვეტი და... ავანტურისტ გეგეჭკორის მიერ მოტყუებული მხედრები – რანაირად შეძლებდნენ მათთან ბრძოლას...

ეხლა ჩვენ ვიმყოფებით სუფთად და ლამაზად მოწყობილ, ერთი შეძლებული გლეხკაცის სახლში...

სიამოვნებით ვიყურები გარშემო.

რა სასიამოვნოა, როდესაც უკიდურეს ჩრდილოეთის მხრის ქართულ სოფელში პოულობ ერთგვარ კომფორტს და წყნარ თავშესაფარს.

რა კარგია, ომის უსუფთაობის შემდეგ, ნახვა და შეგრძნება ასეთი სისუფთავისა...“

*

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს: –

1918 წლის 27 მაისიდან 15 ივლისამდე – ალყაში მოქცეული მოხევეების დიდი ნაწილი, თავდადებით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და – ბოლომდე, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთგული დარჩა.

გზააბნეული თანამემამულენი – ხევისკაცებმა აიძულეს, უარი ეთქვათ, რუს ბოლშევიკებთან ერთად, თბილისზე ლაშქრობაზე;

შეძლეს აჯანყებულ მთიულ-მოხევეთა დაშოშმინება და როცა, ბარიკადების სხ-

ვადასხვა მხარეს მდგარი მოხევეები – ერთმანეთის წინააღმდეგ ცეცხლის გახსნის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ – ერთმანეთს შეჰფიცეს: –

მანამ მათ რიგებში ერთი კაცი მაინც არ მოკვდებოდა, თანამოძმეთათვის ცეცხლი არ გაეხსნათ...

რიცხობრივად მცირენი იყვნენ, მაგრამ მტერმა – თვენახევრის განმავლობაში ვერ შეძლო დარიალიდან შემოსვლა...

საზღვრის დამცველთა შორის სახელდებიან: –

უწმინდესის და უნეტარესის მამა, გიორგი შიოლაშვილი; აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის პაპა, იაგორ ღუდუშაური; ვასა ჩოფიკაშვილი, ნასყიდა ფიცხელაური, ვასება შადური, პოეტ ალექსამდრე გომიაშვილის მამა, კონსტანტინე და სხვანი.

წერილობით წყაროებში მოხსენიებული არ არის ტყვიათმფრქვევით მსროლელის, მიხელა გომიაშვილის, განსაკუთრებული ღვაწლი. მისი გმირობის გახსენება – „ხევის რამდენიმე უხუცესღა შეუძლია“ (მ. გომიაშვილი, ნ. ფიცხელაური, ხევის მატიანე, 2016 წ.).

პატრიოტი მოხევეების გვერდით იდგა მამაჩემის უფროსი ძმა – ნიკალა ქერაშვილი, რომელიც დუშეთის მაზრის გლეხთა ორგანიზაციისა და ყაზბეგ-სნოველების წარმომადგენელთა – 1918 წლის 25 ივნისის სხდომის ოქმსაც აწერს ხელს – № 44.

*

1918 წლის ხევში მიმდინარე პროცესების მემატიანე და ერთ-ერთი თავკაცი, სიმონ შადური, თავის ისტორიულ ქრონიკებს – მგზნებარე პათოსით ამთავრებს: –

„დიდება და თაყვანისცემა სამშობლოსათვის შეწირულთა ხსოვნას! წყევლა-კრულვა და შეჩვენება ფლიდებს და სამშობლოს მოღალეტეთ!“

ასემც იყოს...

დარიალის დაცვა 1921 წლის თებერვალში
რუსეთის მიერ
საქართველოს მეორე ოკუპაცია

1920 წლის 7 მაისს – მოსკოვში, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა ისტორიულ ხელშეკრულებას.

რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა;

უარი თქვა მის ტერიტორიასთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიაზე;

დათანხმდა, არ ჩარეულიყო მის შინაურ საქმეებში... მაგრამ – როგორც კი ევროპა შეურიგდა საბჭოთა რუსეთის არსებობას, გაირკვა რომ – რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ეს ისტორიული ხელშეკრულებაც – კიდევ ერთი ბინძური დიპლომატიური ხრიკი იყო.

1921 წლის 25 თებერვალს – თბილისში, მეთერთმეტე არმიის წითელი კავალერისტები შემოვიდნენ და საქართველოს ოკუპაცია განახორციელეს.

ამავე დღეს – პარიზში, ვიქტორ ჰიუგოს ქუჩიდან ელისეს მინდვრებისკენ მიემართებოდა ორი ეტლი, საპატიო ესკადრონის თანხლებით.

მასში ისხდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი

წარმომადგენელი, აკაკი ჩხენკელი და მისი თანამშრომლები.

საქართველოს ელჩობა მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ეტიენ მილიერანმა – რომელსაც აკაკი ჩხენკელმა რწმუნებათა სიგელები გადასცა.

სამწუხაროდ, ასეთი დიდი ამბით საფრანგეთის პრეზიდენტთან მისული წარმომადგენლობა – უკვე არაფერს და არავის აღარ წარმოადგენდა (ზ. მეძველია; პირველი ევროპული დელეგაცია საქართველოში და გრ. რობაქიძის უცნობი სიტყვა; გაზ. „ბურჯი ეროვნებისა, 1997, №6).

*

რუსის ჯარის შესვლას – თბილისი „სამარისებული სიჩუმით შეხვდა, ქართველი ხალხი ქუჩებიდან გაქრა; სახლებში ჩაიკეტა; თეატრები, სინემა, გასართობი ადგილები – უცხოელებით გაივსო... ვიგინდარები ურცხვად იღრიჭებოდნენ.

ქართველი ბოლშევიკები ნაცნობებს დაძმარებული ეხვეწებოდნენ: ქუჩებში გამოდით, თქვენ ხელს არავინ გახლებთ, თეატრში იარეთ, რუსის ჯარს დაენახვეთო.

ქართველობა ბოლშევიკებს ზიზღით უყურებდა.

თვალცრემლიანი დედები – კუთხეში მიკუნჭულები, შეშინებული გასცქეროდნენ გამხეცებულ, ძაბრიან ქუდში შეჭურვილ ველურებს“ (ვ. მგელაძე, რუსეთის დაბრუნება საქართველოში, პარიზი, 1936 წ.)...

*

ამავე დღეს, 1921 წლის 25 თებერვალს, როცა თბილისის თავზე – უკვე, საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებდა – დარიალის ხეობაში, ძოტის კლდეებს შუა ჩასაფრებული, ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი – საქართველოს მთავრობის კომისრების: – გიორგი გომიაშვილის, ალექსი ვარძუკაშვილის და წმინდა გიორგის 4 საბრძოლო ორდენის კავალერის, ნიკო გიგაურის მეთაურობით – თებერვილის ბოლომდე, თავგანწირვით ებრძოდა – ჩრდილოეთიდან მომხდურ 30000-იან საბჭოთა არმიას.

დიდი ზარალით – ორჯერ უკუაქციეს იგი.

საბრძოლო პოზიციები მხოლოდ მას შემდეგ დათმეს, როცა გაიგეს რომ – თბილისში უკვე ყველაფერი დამთავრდა.

„100 ქართველის ეს გმირობა, საბჭოთა კავშირის პერიოდში – საგულდაგულოდ იჩქმალებოდა, მაგრამ ისტორიის ისეთივე კუთვნილებაა, როგორც 9 ძმა ხერხეულიძისა და 300 არაგველის თავგანწირვა.“

300 სპარტელი მეომარი ორი კვირის განმავლობაში იცავდა თერმობილეს და – 25 საუკუნეა მათზე მსოფლიო ისტორია ღაღადებს.

100 ქართველი – თვეზე მეტხანს იგერიებდა მტრის 30•000-იან მხედრობას და – საქართველოს ისტორია მათზე დუმს.

„საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა თავგამოდებით ცდილობდა ჩვენი ისტორიის ამ ბრწყინვალე ფურცლის გაქრობას – მაგრამ, როგორც საბერძნეთის ისტორიას ამშვენებს ლეონიდასი და 300 სპარტელი, ვატერლოოს კამბრონი და უკვდავი ფრანგული გვარდია – ასევე 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ზნეობრივი გვირგვინია – ნიკო გიგაური და 100 დაუმარცხებელი ქართველი.“

მათი უმრავლესობის სახელი დღემდე უცნობია.

ერთ-ერთ მათგანს (არა მოხევეს) ცნობილ სადღეგრძელოს მიაწერენ – წინააღმდეგობის შეწყვეტის შემდეგ, სამგლოვიარო ვახშამზე სიმწრით (სარკაზმით) წარმოთქმულს: –

„ჯერ მოხევეებს გაუმარჯოს, მერე დანარჩენ ქართველებს-ო“ (რადგან მოხევეებმა ყველაზე გვიან შეწყვიტეს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა).

უკანასკნელ წლებში, რეპრესიების შიშის გაქრობის შემდგომ – ცნობილი გახდა დარიალის რამდენიმე დამცველის ვინაობა.

სახელდებიან – მეტყვიამფრქვევეები: ვასო ჩოფიკაშვილი, იოსებ შადური, მიხეილ გომიაშვილი და „ერთიც იმერელი“... რიგითი მებრძოლები: – ილიკო გიგაური, ბადა გოდერძიშვილი, სოლომონ ვალიშვილი, ვასო თოფაძე, ნიკალა ქერაშვილი და ალექსი ქირიკაშვილი (მეტი ინფორმაცია, სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვე!).

ოკუპანტების მნიშვნელოვან მსხვერპლზე მოწმობს: – საბჭოთა ხელისუფლების მიერ – ვლადიკავკაზის შესასვლელთან მოწყობილი ძმათა სასაფლაო და ხალხური ლექსი:

„დარიალაჩი“ იბრძოდა მარტო მოხევის ჯარიო,

„გრუზავიკებით“ გაჰქონდათ ნათოფი რუსის მკვდარიო...“

*

1921 წლის 17 მარტს, მე-11-ე წითელი არმიის შემოჭრიდან ექვსი კვირის შემდეგ – საქართველოს მთავრობამ ბათუმი დატოვა.

რუსეთის იმპერიას – საქართველოში, საბჭოთა კავშირი ჩაენაცვლა.

ქვეყნის ცხვრებაში დაიწყო „ახალი უღელტეხილი“ – მაგრამ არა ისეთი, როგორიც დამოუკიდებლობის მესვეურ ქართველთ ეიმედებოდა.

ხევის ცხოვრება „საოცარი სისწრაფით შეიცვალა: – „გუშინდელი დღე დავიწყებულია, ელგუჯა მზაღოს აღარ მოიტაცებს, არც მათია გადმოვა ცხენიდან, რათა ყური მიწას მიაკრას და ყაზახთა ცხენების თქარათქური შორიდანვე გაიგოს, აღარც მთის მგელი იაგოა სადმე, აღარც აფთარი კობა“;

მომსპარან: – ჟუჟუნა, მაყვალა, ხევის თვალი ნუნუ, ჩერქეზთა ნაზარდი მზაღოც, ონოფრეც გამქრალა ხევის თოვლივით.“

ქართველის გულს კბენს, დიდი მწერლის მიერ – თითქოს, სასხვათაშორისოდ ნათქვამი ფრაზა: –

„სხვა სხვის მაგივრად ვიღა წავა ციმბირში“-ო;

„დასტური ზნეობრივი რღვევისა, დასტური იმისა, რომ „თემი ძველებურად ვეღარ თემობს, აღარც ხევისბერს გამოაქვს სპარსანგელოზის ბავრაყი, ეჟვნებს აღარ აწკარუნებს და საკუთარ შვილსაც – საკუთარი ხელით არ კლავს თემის ღალატისათვის.“

სამაგიეროდ: –

„წითელი თემი დამყარდება, დეკანოზის ნაცვლად აღმასკომი გამოიტანს წითელ დროშას, ახალ თემობას გაუძღვება და თუ დასჭირდა – ახალი თემის ღალატისთვის საკუთარ მამას, გოჩას გაჰგმირავს.“

„ეგაა მხოლოდ – მამის მკვლელი გონებაზე არ გადაცდება, არც ინანებს, რადგან მისთვის აღარაფერი არსებობს – რაც საკუთარ კერასთან დააკავშირებს.

„გოჩას“ მკვლელობაც, აფექტის ბრალი კი არა – „ულმობელი მცდელობა იქნება,

„ახალი ადამიანის“ ტყავში შესაძვრომად“ (მ. ჯავახიშვილი, „გივი შადური“).

*

მ. ჯავახიშვილის თანადროული რეალობა ალ. ყაზბეგისეული სინამდვილის პაროდიად მოჩანს: –

„ველარც პოეტი იცლის ღუნია მოხევისათვის: ცხენის ნაცვლად ავტოთი მიჰქრის და გზად მიმავალ ელგუჯებს პაპიროსებს უყრის.“

„ისე დაკნინდა ყველაფერი, რომ ის ელგუჯაც, რომლის აჩრდილისკენ ასეთი ჟინით მიილტვოდა ალ. ყაზბეგი – გადაგდებული პაპიროსების მუშტრად იქცა.“

„წინასწარმეტყველის მუნათია შერეული პაროდიულ სცენებში – სულისა და სხეულის შემძვრელი; დაცემულ, გადაგვარებულ ყოფაში რომ მოგინდეს იმ ხვალინდელი დღის ხილვა, რომელიც ელგუჯასთვის სიცოცხლის აზრი იყო – უღვთოდ დაჩეხილი სხეულის აღმდგენი უებარი მალამო...“

მოხევე რწმენით ანთებული მოელის გამოხსნის ჟამს.

როდის იქნება ის დღე, როდის?

როცა ყველა ხმალს გაავლებს ხელსა...

რისხვა გამოსდევს მის ნათქვამს, რისხვა, გლოვა და მოლოდინი.

მოლოდინით გაჯერებულ ქართველ ხალხს გმირის დაბადების ნატვრა ასულდგმულებს.

ის კი არ სჩანს...

აღარც ელგუჯაა, აღარც იაგო და აღარც კობა...

„დიახ, აღარც კობა... იმის მიუხედავად, რომ ყველაზე ცნობილმა ქართველმა სიცოცხლის ბოლომდე დაიჩემა მისი სახელი“ (რ. ჩხეიძე, „ყაზბეგიანა“).

კვლავ დამოუკიდებლობა და ოკუპაცია

თავისუფლების დაკარგვას ქართველები ვერ შეეგუენ: –

1922 წელს ხევსურეთი აჯანყდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

რუსმა ბოლშევიკებმა პირწმინდად გადაბუგეს მათი რამდენიმე სოფელი.

შემდეგ იყო სისხლიანი 1924 წელი, როცა – თითქმის, მთლიანად ამოწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების რეალური თუ ეჭვმიტანილი მოწინააღმდეგე.

განადგურდა პროდასავლურად განწყობილი პოლიტიკური ელიტა.

ამას მიყვა 1937 წლის რეპრესიები; 1950 წლის მასიური გადასახლებანი; 1956 წლის საპროტესტო დემონსტრაციის სისხლიანი ანგარიშსწორება და 1989 წლის 9 აპრილი.

*

როგორც რუსეთის ისე საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებმა კარგად იცოდნენ ქართველი ხალხის განწყობა და გულისწადილი.

გვაშანტაჟებდნენ: –

„საქართველოდან თუ გავალთ – კარს ისე მივიჯახუნებთ, ქვა ქვაზე იქ აღარ დარჩებაო“ (ლ. ტროცკი).

გვაფრთხილებდნენ: –

„გასვილს საწინააღმდეგო ნაღმებს აგიფეთქებთო“ (მ. გორბაჩოვი) და – აგვიფეთქეს კიდეც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში;

ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ფითილი უკვე ცეცხლწაკიდებული აქვთ...

მ. გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ როცა სტიმული მისცა საბჭოთა კავშირის რღვევას, ამ ურთულესი კატაკლიზმების განვითარებას – „ბალტიისპირეთი... მშვიდად და მოლოდინით შესცქეროდა.“

სხვა რესპუბლიკებიც – „ამ პროცესის განვითარებაში ხედავდნენ თავიანთი მომავლის გადაწყვეტას – ნაკლები მსხვერპლით, საკუთარი სულიერი და ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებით.

საქართველო ნგრევის პროცესს უფრო აჩქარებდა და, საუბედუროდ, იმპერიის ნანგრევებში მოყოლა ეწერა (ედ. შევარდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, 2006).

*

„პერესტროიკამ“ საშუალება მიეცა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს (მ. კოსტავას, ზ. გამსახურდიას...) გამოექვეყნებინათ დოკუმენტები, რომლითაც მტკიცდება საქართველოში რუსეთისა და კომუნისტური მმართველობის უკანონობა.

შესაძლებლობა მიეცათ 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატზე“ და 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დარღვევაზე აპელირებისა...

1991 წლის 9 აპრილს – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.“

იმავე დღეს, აშშ-ს კონგრესმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად სცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები – რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობას წარმოადგენდა.

*

საბჭოთა კავშირის ფართოდ დეკლარირებულმა დანგრევამ, საუბედუროდ – მის ფაქტობრივ ლიკვიდაციამდე არ მიგვიყვანა.

„არ გაქრა მისი სამართალმემკვიდრის – რუსეთის, იმპერიული სულისკვეთება და აზროვნება.“

„რუსები შეეგუენ ყირიმის, ოდესისა და სევასტოპოლის დაკარგვას; დაკარგეს ნავსადგურები ბალტიის ზღვაზე და შეეგუენ – მაგრამ, ვერაფრით ვერ ეგუებიან საქართველოს დაკარგვას და ტრადიციული იმპერიული მზაკვრობით, არ თმობენ თავის სტრატეგიულ ინტერესებს“ (ედ. შევარდნაძე)...

„დიდი ხნით ადრე დაიწყეს მათ მიზანმიმართული მუშაობა, საქართველოში – სომეხთა, აზერბაიჯანელთა, აფხაზების და ოსებს სეპარატისტული განწყობილების გასაღვივებლად.“

ამ მზაკვრულად ჩადებული „ნაღმების აფეთქებას“ მოყვა 1992-1993 წ.წ. და 2008 წლის აგვისტოს ომები.

რუსეთმა მესამედ დაიპყრო საქართველო.

გადაწყვეტილი აქვს მოსპოს იგი როგორც ერთიანი სახელმწიფო და კვლავ თავის წიაღში დაიბრუნოს.

ქვეყანა კატასატროფის წინაშე დგას.

პოლიტიკოსები ძლიერ მოკავშირეს ეძებენ – მაგრამ ისტორიამ უკვე დაგვანახა,

რომ შეუძლებელია ისეთი მფარველის პოვნა, რომელიც ამ ზესახელმწიფოს ჩვენი გულისთვის დაუპირისპირდება.

დასავლეთ ევროპის არცერთ ქვეყანას რუსეთისგან თავის დაცვა – მარტოს არ შეუძლია.

ამიტომ, ჯერ კიდევ 1949 წლის აპრილში შექმნეს ჩრდილო ატლანტიკური თავდაცვითი კავშირი.

საქართველოს ამ ალიანსში გაწევრიანება რუსეთის სერიოზულ პროტესტს იწვევს.

მოკავშირე ქვეყნებისთვის კი, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება – ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს ნატოში მიღება.

ცნობილი ჟურნალისტის, მერაბ ბერაძის კითხვას: –

„საქართველოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობები რუსეთთან?“

აშშ-ს შეიარაღებული ძალების უმაღლესმა სამხედრო პირმა, გენერალმა ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილმა ასეთი პასუხი გასცა: –

„რა თქმა უნდა.

ეს რამდენჯერმე აღვნიშნე და არა მარტო აქ, საქართველოში...

რუსეთი მეტად ანგარიშგასაწევი ძალაა.

ჩემი რჩევა იქნება, რომ მარტო ცუდს ნუ გაიხსენებთ! გახსოვდეთ, რომ ბევრი კარგიც იყო თქვენ შორის...

ვიცი თქვენი გულისტკივილი... ვიცი, რომ ხშირად გტკენიათ გული, მაგრამ მოდი ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ.

თქვენ აუცილებლად უნდა მონახოთ გასაღები რუსეთთან, დამერწმუნეთ, სხვა ისე ვერავინ დაგეხმარებათ, როგორც ისინი.

თქვენ ძალიან გაგჭირდებათ დამოუკიდებლად ფეხზე წამოდგომა“ (მ. ბერიძე, „ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი,“ თბილისი, 1998 წ.).

რა ვქნათ?!

რა გვეშველება?!

გამოდის რომ – საქართველოს ბედი კვლავ რუსეთის ხელშია და ქვეყანას დიდი ეროვნული გმირი სჭირდება – რომელიც ბიბლიურ მოსესავით გვიხსნის განსაცდელისგან: –

არც დასავლურ ორიენტაციას უღალატებს და რუსეთთანაც გამონახავს საერთო ენას.

კარგად ვიცით, რომ დაშლილი საქართველოს სხვადასხვა კუთხე – რუსეთმა საკუთარი იმპერიის ფარგლებში გააერთიანა და ქართველობა ევროპის კულტურას აზიარა.

„ჩვენ უმადური ხალხი არ ვართ, ყველა სიკეთე გვახსოვს და ისიც ვიცით, რომ არც ჩვენ დავრჩენილვართ ვალში – რუსეთის ომებში ქართველებიც იღუპებოდნენ და 1801 წლიდან დღემდე – ეს ბევრი სისხლის ფასად დაუჯდა საქართველოს.

თუ ყოველივე ეს ორივე მხარემ არ გაიაზრა და არ გააანალიზა, ჩვენი მეზობლობა ვერ იქნება გულწრფელი, ვერ იქნება სრული, ვერ იქნება ორმხრივი სიკეთის მომტანი (ედ. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“).

საქართველოს სამხედრო გზა

ხევის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული დარიალის გზასთან.

ჩრდილოეთში მოთარეშე უზარმაზარი სამხედრო ძალის დარიალის კლდე-კარში შემოშვება-არშემოშვების საკითხი დღემდე განაპირობებს როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ქვეყნების პილიტიკურ კლიმატს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გზის საიმედოება – უძველესი დროიდან იყო ქართული სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

საქართველოს მეფეებს – იქ, ერთგული, მუდმივად საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი, ძლიერი მოსახლეობა სჭირდებოდა.

ასეთები იყვნენ ქართველი მთიელები, რომლებიც ხევში – საგანგებოდ, ჯერ კიდევ I საუკუნეში დაასახლეს.

*

დარიალის გზა (იგივე „არაგვის“, იგივე საქართველოს სამხედრო გზა) – თბილისიდან (თავისუფლების მოედნიდან) იწყება და ოსეთის საზღვართან მთავრდება (სიგრძე 196 კმ-ია).

ჟინვალთან – იგი მთიულეთის არაგვის ხეობაში შედის, აუყვება ზემო მლეთის აღმართს, კავკასიონის ქედზე გადადის, ეშვება მდინარე ბიდარას ვიწრო ხეობაში და სოფელ ალმასიანთან ჩადის – სადაც თავს იყრიან ბიდარას, თრუსოს და უხათის ხეობები...

გაივლის კობს, ვარდისუბანს, სიონს, გარბანს, არშას – გვერდზე დატოვებს სნოს ხეობას და სტეფანწმინდის შემდეგ – თერგისა და მდინარე ჩხერის შესართავთან, დარიალის ხეობაში შედის.

გაცდება: – ცდოს, გველეთს, ლარსს, ჩმის, ბალთას ხეობას და გაშლილი ველით – ვლადიკავკაზში მთავრდება.

*

ტრასაზე ერთმანეთს ენაცვლება ალპური, სუბალპური და ტყიანი მცენარეული სარტყელი.

ჯვრის უღელტეხილის კანიონის ფსკერზე ვერცხლის ძაფად მიიკლაკნება თეთრი არაგვი – რომელიც ამ პირქუში, მაგრამ თვალწარმტაცი ხეობის ზედა ნაწილში იღებს სათავეს.

„რაკი მთიულეთის არაგვის ხეობას შეათავებთ და შეუდგებით კავკაზის მთებს, ბუნება სრულებით გამოიცვლება.“

„ტყიანი მთების მაგიერათ თვალწინ წარმოგიდგებათ ამაღლებული გზის აქეთ იქით მთები, რომლებიც ზურმუხტის ფრათ გამწვანებულან, ნაზი აბრეშუმის მსგავსის ბალახით;“

„ათასი რიგი სხვადასხვა ფერის ყვავილები აქა-იქ გაფანტულან მწვანე ძირზედ.“

„ფერადის სინაზე გააკვირვებს თქვენს თვალს.“

„აშკარადა ხედამთ, რომ ბალახს და ყვავილთ არ აკლიათ ღამის მცვარი და სიცხისაგან არა აქვსთ დაკარგული ფერი.“

„ალაგ-ალაგ ამჩნევთ, რომ სიმწვანეებით ამართულა ფიცარა კლდე...“

„ამ ადგილებიდან დაიწყება უპირველესი საშიში ალაგები თოვლისა და მიწის ზვავებისაგან.“

„ამ ალაგებში შინდებიან თითონ გამბედავი მოხევეებიც კი და ზამთარში დიდის სიფრთხილით დადიან“ (ალ. ყაზბეგი).

საქართველოს სამხედრო გზა, წელიწადის თითქმის ყველა დროს – მრავალი დიდოსტატის ხელითაა აღწერილი.

მისი მოწესრიგება განსაკუთრებით მწვავედ დადგა დღის წესრიგში XVI ს-ის შუა წლებში, როცა, წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე – რუსეთის პრეტენზიები დაფიქსირდა.

საქართველოს ძველი სამხედრო გზა ქვეშეთი-კობის მიმართულებით

სოფელ ქვეშეთთან, იქ, სადაც პატარა მდინარე ხადა არაგვს უერთდება – 1861 წლამდე მდებარეობდა საქართველოს სამხედრო გზის ძველი საუღელტეხილო მიმართულების (ქვეშეთი–კობის) საწყისი პუნქტი, „სადაცა მდგარა მთიულეთის პრისტავი, რომელსაცა მთიულები უწოდებენ ბატონად“ (გრ. ორბელიანი).

მდინარე არაგვზე გადებული ხის ხიდით – დარიალის გზა მდინარის მეორე ნაპირზე გადადიოდა და შემდგომში, გველივით მიიკლაკნებოდა კაიშაურების ველზე აღმავალ ციცაბო აღმართზე, რომლის ყველაზე ძნელი, 1 კმ. სიგრძის მონაკვეთი იყო მის დასაწყისში, სადაც გზა 33% დახრილობის 4 ზიგზაგს აკეთებდა.

მის ავლას – ურემი ერთ დღეს ანდომებდა.

1831 წელს, „თბილისიდამ პეტერბურღს“ მიმავალი გრ. ორბელიანი ასე აღწერს ქვეშეთი-კობის გზის სილამაზეს: –

„საღამო იყო მშვენიერი. მზე მიეფარა მთათა და უკანასკნელნი სხივნი მისნი ცეცხლებრ აღანთებდენ თოვლიანთა მთათა ათასფრად. წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სურნელება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორს უფსკრულსა შინა მიმოიკლაკნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი, ერთმანეთზედა აღყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდენ. ვიჯექ კლდესა ზედა, ჰფსკრულსა ზედა გადაკიდებულსა, და ვსჭვრეტდი მდინარეთა – მთათაგან გადმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა. განკვირვებით ვუმზერედი კაცისა სადგურთა, ზოგთა ღრმათა უფსკრულთა შინა აღშენებულთა, და ზოგთა მაღალთა მთათა ზედა, ცისა მეზობლად დადგინებულთა. აღმოსავლეთით, მარცხნივ ჩემსა აღმოდიოდა მთოვარე ბრწყინვალებით; მაშინ ოდესცა მშვენიერი საღამოს ვარსკვლავი სიამით ჰფენდა ნათელსა ღომისა საყდარსა ზედა დასავლეთით. კაცისა ხელი ფრიად სუსტ არს აღსაწერლად დიდებულებითისა ბუნების მშვენიერებისა. ყოვლადშემძლეობა შემოქმედისა აღბეჭდილ არს ამა მთათა ზედა, რომლისა ხილვითა განცვიფრდების, ჰკრთების და იკარგების გონება კაცისა. ვიყავ მარტო, გული აღივსო კეთილმოწიწიბითა და უნებლეეთ მუხლნი მოვიდრიკე, ხელნი განვართხნე და თვალნი მივმართე ცად მიმართ. ენა ჩემი ვერა წარმოჰსთქვამდა ვერცა ერთსა სიტყვასა, მარამა არაოდეს არ მილოცნიეს ესრედ გულმოდგინედ და ესრედ მხურვალებით, ვითარ მას წამსა“.

ხადას ხეობას უამრავი ციხე-კოშკი და საკულტო ნაგებობა ამშვენებდა, მას „60 ციხის ხეობას“ ეძახდნენ;

მისი სიგრძე 15 კმ-ს არ აღემატება.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ყოფილა „ადგილი კლდოვანი და 60-კოშკოვანი“.

ხეობის თავში, მდინარის მარჯვენა მხარეს, ქოროღოს ანსამბლია.

მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, კოშკი და რამდენიმე ნაგებობა.

„ტაძრის კარნიზებს შესანიშნავი ქანდაკებები ამშვენებს;“

„მათზე გამოკვეთილია მშენებლობის სცენები;“

„სახურავის მწვერვალის სამკუთხა კარნიზზე ღვთისმშობელია ამოკვეთილი, რომელიც ლოცავს მშენებლებს;“

„ბარელიეფზე მოჩანს, როგორ ეზიდებიან ქვას – მარხილით, ციგით, ზურგით; აქვე ამტვრევენ, თლიან...“ (ნ. კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი“, თბილისი, 1971 წ.).

ტაძარი – სავარაუდოდ, X-XI საუკუნეებს განეკუთვნება.

მშენებლის ვინაობა უცნობია.

ხადას ხეობიდან ბილიკები ხევში შემდეგი მარშრუტებით გადადიოდა: –

1. წკერე-ქუდოსძირის კუდები – ღუნჭიანის კუდები – ართხმო – ახალციხე...
2. წკერე – მილივანას მთა – კობი – სტეფანწმინდა.
3. წკერე – მუღურეს მთა – საკოხე – გუდაურის მთა – ჯვართვაკე – კობი – სტეფანწმინდა.
4. ქვეშეთი – დიდველი (ზაქათ ველი) – კაიშაურები – ქუმლისციხე – გუდაური – ჯვართყელი – კობი – სტეფანწმინდა.

ყველაზე მოქმედი გზა კაიშაურებიდან – გუდაურის დასახლების გვერდის ავლით, დღევანდელი ტრასიდან უფრო მაღლა – ღუდას მთაზე (გუდ-გორზე) გადადიოდა, საიდანაც – საშიში, ღრმა ხეობის გასწვრივ (რომლის ქვემოთაც არაგვი ბობოქრობდა), ციცაბოდ ეშვებოდა ეშმაკის ველზე; „ფიცხელი აღმართით“ – ჯვრის უღელტეხილის უმაღლეს წერტილის აღწევდა და პირდაპირ, ზიგზაგების გარეშე, ეშვებოდა ბიდარას ხეობაში – კობის მიმართულებით.

*

ქვეშეთი-კობის საუღელტეხილო მონაკვეთის სიგრძე შეადგენდა 20 კმ-ს.

კაიშაურებს შემდეგ იყო ორი – ნაკლებად მძიმე, მაგრამ ძნელი აღმართი, რომლებიც ღუდის (გუდ-გორის) და ჯვრის მთებზე გადადიოდა.

თვითმხილველების გადმოცემით, ზოგადი წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას იმ სიძნელეებზე, რაც ამ მიმართულებით მგზავრობასთან იყო დაკავშირებული.

როგორც გრ. გორდეევი (1815 წელს) გვამცნობს: –

„ბიდარადან ჯვრამდე (ვლადიკავკაზი-თბილისის მიმართულებით) – ორი ვერსტი სიგრძის თიხა-ქვიანი აღმართია, არც თუ ისე რთული. ჯვრის მთის სამხრეთით მდებარე, ნახევარ ვერსტზე მეტი სიგრძის დაღმართი, ძალზე ციცაბოა, საშიში და თითქმის ყოველთვის გამდინარე წყლებით გადარეცხილი; აქედან გავდივართ – მწვანე ცვრიანი ბალახის ხალიჩებით მოფენილ სწორ მაღლობზე, რომელსაც ქართველები ჯვართ-ვაკეს ეძახიან, ოსები „პოლია-ფეზს“. მისი სამხრეთი ბოლო ჩახერგილია ძვე-

ლი, დიდი და საკმაოდ მკვრივი ორი ქვით, რომელთა შორის მდებარე თიხის გრუნტზე იწყება გუდ-გორის რთული და დამღლელი აღმართი; მისი სიგრძე 400 საჟენს აღემატება. შემდგომი, ორვერსტიანი, 4,2–6,4 მ. სიგანის გზა – ოსებით დასახლებულ ღუდას ხეობაში გადადის და მიემართება ღრმა უფსკრულის პირას, რომლის მხრიდან გზა ჯებირებით არის შემოსაზღვრული.“

„კაიშაურების მთა გუდგორზე საგრძნობლად დაბალია, ამიტომ ჩამავალი დაღმართი ციცაბოა და დახრილი. ზამთარში იგი ყველაზე სახიფათოდ ითვლება, რადგან თითქმის მთლიანად იფარება თოვლით და სავალად რჩება მხოლოდ ვიწრო, ზვავსაშიში ბილიკი“.

ალ. პუშკინის ცნობით: –

„ზვავები აქ ხშირია.“

„შარშან ჯვრის მთას რუსი მეეტლე გადადიოდა;“

„ზემოდან ზვავი წამოსულა, შთაუნთქავს ეტლი, ცხენი და გლეხი; გადაუვლია გზა და თავისი მსხვერპლით უფსკრულში ჩაჩეხილა...“

„მთის მწვერვალზე გრანიტის ჯვარი დგას, ძველი ძეგლი, ერმოლოვის მიერ განახლებული.“

„მგზავრები აქ ეტლიდან ჩამოდიან და ქვეითად მიდიან...“

„ამას წინათ, რომელიღაც უცხოელ კონსულს გაუვლია: ისე ყოფილა დაუძლურებული, თვალების ახვევა უბრძანებია... ხელით მიჰყავდათ თურმე...“

„როცა სახვევი მოუხსნიათ, მუხლებზე დაცემულა და ღმერთისთვის მადლობა შეუწირავს“ („არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს“).

*

1858-59 წლებში – საქართველოს სამხედრო გზის ქვეშეთი-კობის ერთ მონაკვეთს ალ. დიუმაც (მამა) აღწერს: –

„ქვეშეთიდან 6 ვერსტიანი აღმართი დაიწყო, რომელიც თითქოს კლდეზე იყო დაკიდებული.

მარხილში ცხენების ნაცვლად 12 ხარი შეაბეს; ისინი ყოველ ნაბიჯზე თოვლში მუცლამდე ეფლობოდნენ – დიდი წვალებით მიათრევდნენ მას...

გზა იმდენად ვიწრო იყო, ზემოდან მომავალ მარხილებს ძლივს ვიცილებდით – რომ არ გადავჩეხილიყავით უფსკრულში, რომლის ნაპირებიც თოვლით იყო დაფარული...

ჩვენსკენ მომავალი ერთი მარხილის წინა ხარები წაბორძიკდნენ, მგზავრები გადმოცვივდნენ – ცხოველები შეშინდნენ და მთელი სხეულით აცახცახდნენ; ერთი მათგანი ჩაიკეცა კიდეც...

როგორ შეძლეს გამცილებელმა მათი შეკავება, არ ვიცი“...

*

გზის ამ მონაკვეთს (თბილისი-ვლადიკავკაზის მიმართულებით) დიდოსტატის ხელით აღწერს მ. ლერმონტოვიც: –

„რა საუცხოო ადგილია!“

„ყოველი მხრიდან მიუვალი მთები, მოწითალო კლდეები – მწვანე სუროთი მოფარდაგებული და ჭადრების ქოჩორით დაგვირგვინებული.“

„ზემოთ, ოქროსფერი თოვლის ფოჩია...“

„ქვემოთ, არაგვი გადახვევია – შავი, დაბურული ხეობიდან ყვირილით გამოვარდნილ უსახელო მდინარეს, ვერცხლის ზოლივით გაწოლილა და ბზინავს, როგორც გველი თავისი ქერცლებით...“

„ღამით... თოვლის შუქზე, ზემოთ აღმავალ გზას, იოლად ვაგნებდით;“

„ისეთი სიწყნარე სუფევდა, კოღოს გაფრენას თვალყურის მიადევნებდით.“

„მარცხნივ, შავად მოჩანდა ღრმა ხეობა – იქით, თოვლიანი – ნაოჭებით დაღარული მუქი ლურჯი მწვერვალები აღმართულიყვნენ... ცის ტატნობზე მკრთალად ისახებოდნენ და ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ დაისის უკანასკნელი ციაგი...“

„მუქ ცაზე ვარსკვლავების ციმციმი იწყებოდა.“

„აქა-იქ, თოვლიდან ბუჩქები მოჩანდნენ...“

„მათი არც ერთი გამხმარი ფოთოლი არ ირხეოდა.“

„ბუნების მკვდარ ძილში მხოლოდ დაღლილი ცხენების ფრუტუნი და რუსული ზანზალაკების წკრიალი ახალისებდა გულს...“

„ღუდას მთა ბოლავდა;“

„მის ფერდობზე მსუბუქი ღრუბლები მიცოცავდნენ; მწვერვალზე შავი ნისლი გაწოლილიყო, რომელიც მუქ ცაზე ლაქასავით მოჩანდა...“

ცივმა, ნესტიანმა ქარმა დაგვიბერა, ხეობა აგუგუნდა, ჟინჟღვლა დაიწყო.

ძლივს მოვასწარი ნაბდის მოხურვა, რომ თოვლი წამოვიდა...

ღამის გასათევად კვამლიანი მიწური მიგვიჩინეს, რომელიც კლდეზე იყო მიკრული...

ხელების ფათურით შევედი და ძროხას დავეჯახე...

არ ვიცოდი საით წავსულიყავი: – აქეთ ცხვრები ბღაოდნენ, იქით, ძაღლი ღრინავდა.

ბედზე, მკრთალმა სინათლემ გაიელვა და მეორე, კარისმაგვარი შესასვლელი დავინახე, რომლის იქით – ორ შეჭვარტლულ სვეტზე დაყრდნობილი ფართო მიწური – ხალხით იყო სავსე.

შუა ადგილას, მიწაზე, ცეცხლი ენთო...

ქარის მიერ სახურავიდან მობრუნებული კვამლი ისე სქლად ეფინა – დიდხანს ვერაფერი დავინახე...

მთვარე – თანდათან ფერმკრთალდებოდა და იმ შავ ღრუბლებში ჩასაფლობად იყო გამზადებული, რომელებიც შორეულ მწვერვალებზე დაფხრეწილი ფარდის ნაფლეთებივით ეკიდნენ...

ვარსკვლავთა ხომლები საუცხოო არშიებად იხლართებოდნენ შორეული ცის გუმბათზე და ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ.

აღმოსავლეთის ფერმკრთალი ციაგი მუქლილისფერ ტატნობზე იშლებოდა და თანდათან ანათებდა – უმანკო თოვლით დაფარული მთების ფერდობებს...

პირქუში, იდუმალებით მოსილი უფსკრულები შავად შემოგვყურებდნენ;

კლდეთა ნაპრალებზე მიცოცავდა დახვეული, გველივით დაკლაკნილი ნისლი, რომელიც, თითქოს, დღის მოახლოებას გრძნობდა და ეშინოდა.

ცასა და მიწაზე ისეთი სიმშვიდე იყო, როგორიც მორწმუნის გულში დილის ლოცვისას...

ხუთი გამხდარი ჯაგლაგი, მიხვეულ–მოხვეულ გზაზე, გუდ-გორისაკენ გაჭირვე-

ბით მიათრევდა ჩვენს ფორანს...

გზა – თითქოს, ზეცაში მიდისო, თვალმისაწვდომამდე მაღლა მიიწევდა და ბოლოს იკარგებოდა ღრუბლებში, რომლებიც ღამის შემდეგ გუდ-გორზე ისე ისვენებდნენ, როგორც ძერა – ნადავლის მოლოდინში...

ვისაც ასეთ მთებში ჩემსავით უვლია, ამ უცნაური სურათებისთვის უმზერია და ვისაც მთის ცხოველმყოფილი ჰაერი ხარბად ჩაუყლაპავს, ის უთუოდ გაიგებს ჩემს სურვილს: – გადმოგცეთ, მოგითხროთ და აგიწეროთ ყოველივე ეს...

როგორც იქნა გუდ-გორზე ავედით...

მასზე დაკიდებული ნაცრისფერი ღრუბელის ცივი სუნთქვა – ქარიშხლის მოახლოვებით გვემუქრებოდა...

აღმოსავლეთით – ნათელი იდგა, ყველაფერი მოვარაყებული იყო...

ქვემოთ კაიშაურების ხეობა გადაშლილიყო...

არაგვისა და კიდევ ერთი მდინარის ვერცხლისფერი ძაფებით გადასერილი;

მთებს შუა მტრედისფერი ნისლი მისრიალებდა – თითქოს, დილის თბილ სხივებს გაურბისო...

თოვლითა და ბუჩქნარით დაფარული მთების კარჩხლები ერთიმეორეს გადაჭდობოდნენ...

ორი ერთმანეთის მსგავსი კლდის დანახვაც კი შეუძლებელია.

თოვლი თეთრ-ყირიმიზად ისე ლაპლაპებს, ადამიანი სამუდამოდ ინატრებს აქ დარჩენას...

მარჯვნივ კლდეა, მარცხნივ – უფსკრული... ქვემოთ, ოსების სოფელი – მერცხლის ბუდეს ჰგავს...

– აი, ჯვარიც, მითხრა შტაბსკაპიტანმა, როცა „ჩერტოვა დოლინაში“ დავეშვით და თოვლის სუდარაში გახვეული გორაკისაკენ მიმითითა.

მის მწვერვალზე შავად მოჩანდა ქვის ჯვარი...

გზა ალაგ-ალაგ გაყინულიყო...

წინ გაჭირვებით მივიწევდით...

ცხენები ეცემოდნენ.

ორი საათის განმავლობაში ჯვრის მთას ძლივს შემოვუარეთ.

ამასობაში, საავდრო ღრუბლები დაბლა დაეშვა...

წამოვიდა სეტყვა, თოვლი...

ქარი ღრიალებდა და ბულბულყაჩაღივით სტვენდა...

ქვის ჯვარი ნისლში დაიმალა.

კობის სადგურამდე კიდევ ხუთი ვერსი უნდა გვევლო – თავქვეზე, მოყინულ კლდეებზე და საფლობ თოვლში.

ცხენები დაიტანჯნენ...

ჩვენ გავითოშეთ.

მშობლიური ჩრდილოეთის მსგავსად, ქარბუქი აქაც მძლავრად ღმუოდა...

მისი ველური ჰანგები – უფრო მწუხარე და სევდიანი იყო...

მეეტლეები ყვირილითა და ლანძღვა-გინებით ურტყავდნენ ცხენებს... რომლებმაც ფეხები ერთმანეთს მიაბჯინეს და, მათრახების მჭერმეტყველების მიუხედავად – ადგილიდან არ იძვროდნენ...

ამდენი დავიდარაბის შემდეგ, ღარიბულ თავშესაფარს მივაღწიეთ: – ორ ქოხს,

რომლებიც სიპი რიყის ქვით იყო ნაგები და ასეთივე კედლით გარშემორტყმული...

ძონძებით შემოსილმა მასპინძლებმა თბილად მიგვიღეს“ (მ. ლერმონტოვი; „ჩვენი დროის გმირი“).

როგორც მახსოვს, მიხეილ ლერმონტოვის პეჩორინი კაიშაურების აღმართზე შეხვდა მაქსიმ მაქსიმიჩს და მთელი გზა ისმენდა ჩერქეზი ბელას სევდიან ისტორიას;

ალექსანდრე ყაზბეგის ელგუჯაც – იქ, შეებრძოლა ჩოფიკაშვილის „სალდათებს“ (სადაც, თავდაპირველი ვერსიით, დაიღუპა კიდეც).

*

საქართველოს სამხედრო გზის ქვეშეთი-კობის მიმართულების ძირითადი ნაკლი ზაფხულობით იყო ციცაბო აღმართები, რომელთა დაძლევა დიდ ფიზიკურ შესაძლებლობებს მოითხოვდა, ზამთარში ამას ემატებოდა სტიქიური უბედურებები: – ქარბუქი, ყინვა, ზვავი და მეწყერი...

ზვავის სიგრძე ხშირად 1-1,5 კმ-ს აღწევდა, სიმაღლე რამდენიმე მეტრს – რაც უზარმაზარი დამანგრეველი ძალა იყო.

დიდთოვლობისა და ქარბუქის დროს, განსაკუთრებით სახიფათო კაიშაური-კობის მონაკვეთზე – მგზავრები ორიენტაციას კარგავდნენ.

1844 წელს, ზვავმა – იქ, 8 საფოსტო „ტროიკა“ დაიტანა; დაიღუპა – 18 კაცი.

1846 წელს, გუდ-გორიდან წამოსული ზვავი – არაგვის ხეობის სიღრმეში მდებარე ხატის-სოფელს დასცემია; 15 კომლი მოქცეულა ზვავქვეშ; 35 ადამიანი დაღუპულა; მთლიანად განადგურებულა მათი საცხოვრისი.

1855 წელს, ზვავქვეშ მოექცა 7 მარხილისგან შემდგარი ფულის გადამტანი „ეკიპაჟი“; გზის გაწმენდისას – ახალ ზვავს დაუტანია 22 მუშა.

1932 წელს, მჟავე წყლებთან ჩამოწოლილი ზვავი – 7 მ. სიმაღლის ყოფილა...

*

ამდენი საფრთხის და უბედურების მომტანი ქვეშეთი-კობის მონაკვეთი, ვინ წარმოიდგენდა, რომ – XXI საუკუნეში, კვლავ განიხილებოდა, როგორც საქართველოს სამხედრო გზის ძირითადი მიმართულება.

მისი ყველა პრობლემის გათვალისწინებით, სატრანზიტო მშენებლობის ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის ნაწილის ფარგლებში, 2019 წელს დასრულდა ქვეშეთი-კობის მონაკვეთის ახალი მიმართულების პროექტირება – თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად.

პროექტის საერთი ღირებულება – 1,2 მილიარდი ლარია.

მშენებლობის პროექტი აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით და გვირაბის მშენებლობის ნაწილში – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება.

დაგეგმილია ორზოლიანი ასფალტ-ბეტონის – 22,7 კმ. სიგრძის გზის, 6 ხიდის, 5 გვირაბის (მათ შორის ერთი 9 კილომეტრიანის მშენებლობა, რომელიც სოფ. წკერესთან იწყება და კობთან მთავრდება; გადის ჯვრის უღელტეხილის ქვეშ).

პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე გუდაურამდე მისასვლელი 5 კილომეტრიანი ახალი გზის და ტურისტული ცენტრის მშენებლობას.

საგზაო უსაფრთხოების ყველა სტანდარტით უზრუნველყოფილი ახალი გზა,

პროექტირების თანახმად, მოაგვარებს საუკუნის პრობლემებს: –

ზამთარშიც შენარჩუნდება მოძრაობის უწყვეტობა;

გაუმჯობესდება გზის უსაფრთხოება და გამტარუნარიანობა;

შემცირდება ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი და გადაადგილების დრო.

35 კმ-იანი გზის ნაცვლად, ქვეშეთიდან კობამდე მანძილი – 12 კმ-ით შემოკლდება; ერთ საათიანი მგზავრობის ნაცვლად, გზის გავლა 15-20 წუთში იქნება შესაძლებელი.

აშენდება 500 მ-იანი ხიდი, რომლის თაღი უპრეცენდენტო – 300 მეტრი სიგრძის იქნება.

მთის სოფლებს, რომლებიც ზამთრის განმავლობაში საგზაო კომუნიკაციის გარეშე რჩებოდნენ, მუდმივი წვდომა ექნებათ – სამედიცინო, საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან.

ახალი გზა სატრანსპორტო ნაკადს აარიდებს ყაზბეგის ეროვნულ პარკს და გუდაურის ზამთრის კურორტს.

გააუმჯობესებს მოხევეთა საარსებო პირობებს.

ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაბრუნებას, მცირე ბიზნესის განვითარებას და ხეობის გამოცოცხლებას.

*

23.04.2024 წელს დასრულდა ქვეშეთი კობის დამაკავშირებელი 9 კმ. სიგრძის და 15 მ-ის დიამეტრის მქონე გვირაბის გაჭრა – რომელიც, თავისი მახასიათებლებით უნიკალურია.

ბურღვის სამუშაოები წარმოებდა სპეციალურად დამზადებული საბურღი დანადგარით, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას; უზრუნველყოფს მისი მდგრადობის შენარჩუნებას.

23 კმ-იანი გზის მშენებლობის დამთავრება – ეტაპობრივად, 2024-2025 წლებშია გათვალისწინებული.

საქართველოს სამხედრო გზის ფასანაური-სნოს მიმართულება

მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა გაითვალისწინა რა, რუსეთისათვის საქართველოს სამხედრო გზის უდიდესი მნიშვნელობა – მის მოწესრიგებაზე სერიოზული ზრუნვა დაიწყო და ზემოაღნიშნული სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით, 1814 წლიდან, ჯვრის უღელტეხილის შემოვლითი გზის – (სნოს ხეობით) პროექტირება დაიწყო.

(ფასანაური-ყაზბეგის ტრასის მონაკვეთი, გუდაურის გავლით, 64 კმ-ია; გუდამაყარი-სნოს მიმართულებით – 45. მოხევეები თვლიდნენ, რომ გუდამაყარი-სნოს მიმართულებით – ცხენით შეეძლოთ სტეფანწმინდაში ჩასწრება, ფასანაური-გუდაურის მიმართულებით მოძრავი ავტომობილისათვის).

შავი არაგვისა და სნოსწყლის ხეობების დამაკავშირებელი ტრასის გაკვლევა – 1836 წელს დაიწყო.

განიხილებოდა როგორც საქართველოს სამხედრო გზის საუღელტეხილო მონ-

აკვეთის მთავარი მიმართულება;

აგებდნენ ყაზარმებს, აწყობდნენ ჰოსპიტალებს, მგზავრთა სადგურებს...

ტრასა, ფასანაურიდან – შავი (გუდამაყრის) არაგვის მარჯვენა სანაპიროს ციცაბო აღმართებით, ბურსაჭირისკენ მიუყვებოდა; გაივლიდა წინამხარს, დიდებაანს; ადიოდა ათნოხში, გადაჭრიდა ბოსლის ხევს, დუმაცხოს, ვანისკარს... მერე – საძოვარ წახაროს და სალაღოს ფერდობის ავლით, ბურსაჭირის გადასასვლელზე გადიოდა... ციცაბო ზიგზაგებით – საძელეს, საცხენგორის, ქვენემთის (3145 მ. ზღ.დ.) და კიბეს გავლით, სნოს ხეობაში ჩადიოდა; გაივლიდა კარკუჩას, ახალციხეს, სნოს, სტეფანწმინდას და ვლადიკავკაზისაკენ მიუყვებოდა.

აღნიშნული მიმართულება გარკვეულ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა სნოს ხეობას.

გარკვეული თეორიული უპირატესობის მიუხედავად, ჯეროვნად ვერ შეაფასდა ახალი მიმართულების კლიმატური თავისებურებები. მშენებლობის დაწყებიდან 15 წლის შემდეგ გაირკვა რომ: – არც ეს მარშრუტი იყო დაზღვეული იმ სიძნელეებისგან, რომელიც ჯვრის უღელტეხილის გააჩნდა.

ალ. დიუმას ცნობით: –

„ახალი გზა გვერდს უვლის კაიშაურსა და კობს... იმ ორ სადგურს, რომელთა შორის ზვავი ხშირად ჩამოდის... ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს მოუნდებიან ამ გზის კეთებას... ვიდრე ერთ ბოლოს დაასრულებენ, ალბათ, მეორე ბოლო მთლიანად მოიშლება“.

1838-1845 წლებში, ზემოაღნიშნული გზის გაყვანაზე, მილიონი მანეთი დაიხარჯა; კარგი ასაწონ-დასაწონი გახდა დანახარჯები; ჯვრის უღელტეხილის და ქვენემთის მიმართულების ღირსება-ნაკლოვანებანი.

გაირკვა რომ: –

იმპერია დაგეგმილ შეღავათებს ვერ მიიღებდა... და 1847 წელს, მთავარმართებელმა ვორონცოვმა, ტექნიკური და საინჟინრო სირთულეების გამო, დაიწუნა გუდამაყრის (სნოს) ხეობით გზის გაყვანის პროექტი;

მშენებლობა ჯვრის უღელტეხილზე, დიდველის მიმართულებით განაახლა.

(1854 წლის მარტში, ზვავმა თურქეთთან საომრად მიმავალი რუსული დივიზია დაიტანა, რამაც გადამწყვეტი ბიძგი მისცა ქვენემთის მიმართულების პროექტის დახურვას).

როგორც ჯიმშერ წიკლაურისგან მოვისმინე – ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად – აკ. ბაქრაძე პოლიტიკურ ფაქტორს ასახელებდა.

ვარაუდობდა რომ – დიდველის მიმართულებას, რუსის ჯარის მეტი უსაფრთხოების მიზნით მიენიჭა უპირატესობა – რადგან ის – გვერდს უვლიდა ქართულ სოფლებს და თავდაცვით ნაგებობებს, რომლებიც მათ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ.

დიდველის მიმართულებით დისლოცირებული იყო რუსეთის ერთგული მოკავშირის – ოსების სოფლები...

*

ასე იყო, თუ ისე – საქართველოს სამხედრო გზის ყველა მიმართულება, რომელიც ჯვრის უღელტეხილს გვერდის ავლას ითვალისწინებდა, დარგის სპეციალისტების მიერ, შემდგომში – უარყოფილი იქნა.

საქართველოს სამხედრო გზის მლეთა-კობის მიმართულება

1855 წლიდან, ინჟინერ სტატკოვსკის პროექტით დაიწყო საქართველოს სამხედრო გზის ახალი მიმართულების – მლეთა-კობის გზის მშენებლობა.

მისი ყველაზე რთული მონაკვეთის – ზემო მლეთის აღმართის სამუშაოები 1861 წელს დამთავრდა.

მეტად რთული რელიეფის გამო, ტრასის გასაყვანად „საჭირო გახდა მუშების თოკით მიბმა და უფსკრულზე დაკიდება."

აღნიშნული მშენებლობა, თავის დროზე, მიჩნეული იქნა საგზაო-საინჟინრო ხელოვნების მიღწევად.

ამბობდნენ რომ: –

თანხა, რომელიც საქართველოს სამხედრო გზის გაყვანას მოხმარდა, მთელ მაგისტრალს ვერცხლის მანეთიანებით დაფარავდა (ნ. პოლიბინი, 1881 წელი).

XXI საუკუნემდე, ანუ – სატრანზიტო მშენებლობის ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის ნაწილის, ქვეშეთი-კობის გვირაბის გაყვანამდე, მლეთა-კობის მიმართულება საქართველოს სამხედრო გზის ოპტიმალურ ვარიანტად იყო მიჩნეული – იმის მიუხედავად, რომ ვერ უზრუნველყოფდა ტრანსპორტის ზამთარ-ზაფხულ უწყვეტი მოძრაობის შესაძლებლობას.

საბჭოთა კავშირის პერიოდში, რამდენჯერმე ჩაუტარდა მას სერიოზული რეკონსტრუქცია: –

გაფართოვდა და გასწორდა თავბრუდამხვევი სერპანტინები;

გაყვანილი და აღდგენილი იქნა ხიდები, გვირაბები;

გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა;

გზის სიგრძე 210-დან 196 კმ-მდე შემცირდა.

მლეთა

საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია.

ალევის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს – ზ.დ. 1480 მ-ზე.

„მილეთის ხალხი იყრიდაო თავს" და ამიტომ მიუღია ეს სახელწოდება.

XIX ს-ის ბოლო წლებში – სამხედრო გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადგურს წარმოადგენდა.

სასწრაფო საფოსტო ეკიპაჟები ღამეს – იქ ათევდნენ.

შენობა საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო.

საერთო სასტუმრო ოთახების გარდა, 11 ცალკე ნომერი ჰქონდა – მეორე სართულზე.

განსაკუთრებით „გენერლების ნომერი" გამოირჩეოდა, რომლითაც მაღალჩინოსნები სარგებლობდნენ.

მის გვერდით – სამეფო აპარტამენტი იყო განთავსებული;

მისი დიდი აივანიდან, არაგვის ხეობის საოცარი პანორამა მოჩანდა (ა. ანდრეევი, ვლადიკავკაზიდან ტიფლისამდე, 1891 წ.).

*

მლეთის ძველ ხიდამდე – ხელმარცხნივ, პატარა შემაღლებაზე დგას ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია – გვიანფეოდალური ხანის.

პაპაჩემი – მიხა ქერაშვილი, შეძლებული, ქველმოქმედი და მოქეიფე კაცი, თიკუნით – „ჭამპურა," ბიდარაზე არც გადმოივლიდა და არც გადავიდოდა ისე – ამ საყდართან ეტლი რომ არ შეეჩერებინა – სალოცავად და სატრაპეზოდ: –

„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნოო" – ღიღინებდა, თურმე, ნიკ. ბარათაშვილის ლექსთან შეზრდილ მელოდიას...

ღუდას ხეობა

მლეთის შემდგომ საქართველოს სამხედრო გზა ჯვრის უღელტეხილის აღმართს აუყვება, რომელიც არაგვს გაღმა, მისი მარცხენა ნაპირიდან იწყება.

იქვე, ხელმარცხნივ – თეთრი არაგვის სათავის მიმართულებით, ღუდას ხეობაა.

ადრე, დარიალის გზა მას მიუყვებოდა;

გაივლიდა: – განისს, მექეთს, ხატისოფელს (იგივე ღუდას), ერეთოს, ნეფის კალოს და თრუსოს ხეობის სოფლების (აბანოს, ოქროყანის, ნოგყაუს) გავლით – კობში ჩადიოდა.

ლეგენდა ღუდაზე

მრავალი თქმულებაა შემორჩენილი მთების ზღაპრული მბრძანებელის – ღუდას შესახებ.

ერთი გადმოცემის თანახმად: –

ღუდა, სასიკეთო საქმეებით განთქმული – ღვთაებრივი მოხუცია;

მეორე თქმულების მიხედვით: –

საშინელი სულიერი არსება – ყველა ადამიანური სისუსტით და მისწრაფებებით (რომლებიც საოცარ მასშტაბებს აღწევენ).

მასთან მიკარების უფლება ადამიანს არ ჰქონდა.

მეტად გაბედული ვაჟკაცებიც კი, მთის მწვერვალებიდან უმზერდნენ – „მრისხანე სულის მომაჯადოებელ საცხოვრისს."

მძლეთა-მძლე ღუდა – ზოგიერთ მათგანს, თავისი სამფლობელოს საოცრებებს უჩვენებდა – მაგრამ, მთიდან დაბრუნებული სულიერი არსება არავის ენახა.

მხოლოდ მთის არწივმა და გრძნეულმა მოხუცმა იცოდა – რომელი უფსკრულის ძირას ეყარა მათი ძვლები...

ხეობის სიღრმეში იყო სოფელი ღუდა.

ყოველი მხრიდან – უზარმაზარი მთებით გარშემორტყმული.

მის მდუმარებას, ხანდახან, არღვევდა ყრუ გრგვინვა... როცა მოხუცი ღუდა ერთობოდა და უზარმაზარ ყინულის ლოდებს უფსკრულში ისროდა.

*

სოფლის განაპირა ქოხში სახლობდა – ლუკმა-პურს მონატრებული ოჯახი, რომელსაც ულამაზესი ასული ამშვენებდა – სახელად ნინო.

მისი სიტურფით მოიხიბლა მოხუცი ღუდა.

თავს დასტრიალებდა, ეტრფოდა, ზრუნავდა მასზე: –

ნინო თუ მთაზე ასვლას მოინდომებდა, იქ მიმავალი ბილიკი „ფიანდაზად ეფინებოდა," „ვაკდებოდა," ქვები და ფერდობები მოხერხებულად ეწყობოდნენ...

მძლეთა-მძლე ღუდა – ამ დროს, თავისი ძლიერი მკლავებით უზარმაზარ ლოდებს ეყრდნობოდა – თვალს ვერ აცილებდა პატარა სატრფოს...

თეთრ წვერზე ჩამომდინარე მისი ცრემლები – ქვებზე იკრიბებოდნენ და მდინარეებად მოჩქეფდნენ...

მოხუცი მზად იყო, მომაკვდავ ადამიანად ქცეულიყო, მაგრამ სატრფო გულისთქმას ვერ მიუხვდა...

მოხდა უარესიც – მეზობელი ვაჟკაცი შეუყვარდა – სახელად სოსიკო.

ღუდა მრისხანებდა, ეჭვიანობდა – საშინელ განსაცდელს უწყობდა მეტოქეს, მაგრამ – ისიც მამაცი და მოხერხებული აღმოჩნდა.

გაცოფებული მოხუცი გრიგალივით დაქროდა; უფსკრულებში ყრიდა უზარმაზარ ლოდებს – საავდრო ღრუბლებს კრებდა; იწვევდა ქარიშხალს, ელვას – მეხთატეხას – მაგრამ ამაოდ!

*

როცა არემარე სქელი თოვლით დაიბურა, ღუდამ – საშინელი შიმშილით მოუწყო გამოცდა შეყვარებულებს.

უზარმაზარი ზვავის ქვეშ მოაქცია მათი ქოხი, როცა ისინი ერთმანეთის ეშხით ტკბებოდნენ.

გამომწყვდეულებს საკვები შემოელიათ და მათი ალერსი სასოწარკვეთამ შეცვალა.

სოსიკო ქოხის ერთი კუთხიდან მეორეს ეხლებოდა, წვალობდა – ბოლოს, გონებადაუჩლუნგებული – შიმშილის დასაკმაყოფილებლად სატრფოს ეძგერა...

შიმშილმა დაამარცხა სიყვარული.

ღუდას ხარხარმა უზარმაზარი ლოდები ჩამოშალა ეშმაკის ველზე.

დიდმა მთებმა იწყეს რღვევა.

ლეგენდა – მ. ლერმონტოვმა გამოიყენა თავის „დემონში".

სოფელი ღუდა

ხეობის თანამოსახელე სოფელი ალევის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1650 მ-ზე.

XIV-XV სს მიჯნაზე შედგენილ დოკუმენტში („ძეგლი ერისთავთა"), „ღუდაი" – მთიულეთის რამდენიმე სოფელთან ერთად არის მოხსენიებული.

XVIII საუკუნით დათარიღებულ „დებულებაში" – ხადას, გარეშემოს და ცხაო-

ტის თემების გვერდით სახელდება – ანუ, ხადასგან დამოუკიდებელი ტერიტორიული თემის სახით არის წარმოდგენილი.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: –

XVIII ს-ის 30-იან წლებში, მთიულეთის მთელი მოსახლეობა – ქართული იყო.

ღუდა – შემდგომში, ქართველებისგან, თანდათან დაიცალა.

ბუთხუზთა, გაგაძეთა, ნაზღაიძეთა და ბურდულთა კუთვნილი საცხოვრისი ოსებმა დაიკავეს.

მათი ინტენსიური დასახლება – სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დამდეგს დაიწყო.

1770 წლის ქართლ-კახეთის აღწერით, ღუდა – არაგვის ოსების ერთ-ერთ სამოსახლო ადგილად ფიგურირებს.

გულდენშტედტის ცნობით: –

1772 წელს, თეთრი არაგვის სათავეები ოსებით იყო დასახლებული.

1774 წლის არაგვის ხეობის აღწერაში – ღუდას ხევის სოფლები მოხსენიებული არ არის.

*

ერთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ღუდა – ადრე, საბურდულო ყოფილა.

უფრო მოგვიანებით, ნაზღაიძეების გვარს ეკუთვნოდა და ოსები – იქ, მათი ნებართვით დასახლდნენ.

მათ უხდიდნენ კულუხს.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

„ღუდას ყველაწმინდის“ დეკანოზობა – ბუთხუზების გვარს „მოუდიოდა“.

მოგვიანებით გადასულა ოსების ხელში.

ისინი ჯავიდან – ჯაბან ბუთხუზს მოუყვანია და დაუსახლებია.

„ჯაბან ბუთხუზმა მისცაო მაღრან-დვალეთიდან გადმოსულ ოს რუბაევს – ღუდაში დასახლების უფლება.“

(ქართულ ტოპონიმს – მოგვიანებით, მათ სახელი შეუცვალეს და „კუდი კომ“ დაარქვეს).

იმასაც ამბობენ – თითქოს, პირველი მიგრანტი, რომელიც მაღრან-დვალეთიდან მესისხლეობის გამო გამოიქცა – ღუდას მიმდებარედ, დაუკითხავად დასახლდა – ულრან ტყეში.

„ვიღაცას ბოლი დაუნახავს და მერე მისულან.“

აღმოუჩენიათ თავიანთ მიწაზე დასახლებული ოსი, რომელსაც უთქვამს: –

„ესე მომიხდა და ნუ გამაგდებთო“.

მიუღიათ ამანათად და – მოგვიანებით, იქ დასახლებილი ოსებისათვის – ღვთისმშობლის ხატში, კულუხის მიტანა დაუკისრებიათ.

*

ვახტანგ ითონიშვილის ცნობით: –

ღუდას ხევზე ხელდების უფლებით, ბურდულები და ნაზღაიძეები, გარკვეულ პერიოდში, მართლაც სარგებლობდნენ, მაგრამ ამ ადგილების „პირველ მეპატრონეებს

წარმოადგენდნენ არა აღნიშნული საგვარეულოები, არამედ ბუთხუზები და შესაძლოა გაგაძეებიც...

ღუდის ყველაწმინდის დეკანოზობა ბუთხუზთა საგვარეულოს პრივილეგიას წარმოადგენდა...

მთიულეთის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავის „პატრონობაში, მათ არავინ არასოდეს შესცილებია."

„ეს გარემოება იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ბუთხუზები აღნიშნული პრივილეგიით სარგებლობის კვალობაზე ნომინალურად მაინც ინარჩუნებდნენ ღუდის ხევის, ვითარცა ოდითგანვე მათი საგვარეულოს საკუთრებაში მყოფი ტერიტორიის ფლობის უფლებას".

„ბუთხუზებთან ერთად, ღუდას ხევთან ცხოვრობდნენ გაგაძეები.

ზემო მლეთაში ისინი ნაზღაიძეებზე გვიან დასახლდნენ, „მაგრამ მათი სამკვიდრო სოფელი, გაგაძენი, რომელიც ტერიტორიალურად უფრო მეტად მაინც ღუდას ხევს ეკუთვნის, ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია მთელ მთიულეთში."

„იგი სოფელ მლეთასთან ერთად ფიგურირებს XIII საუკუნის ისტორიულ მოვლენათა აღწერისას."

„ბუთხუზები და გაგაძეები ღუდას ხევის პირველ მოსახლეებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, შედარებით ნაკლები აქტიურობა გამოიჩინეს ცენტრალური ხელისუფლების (თუ არაგვის ერისთავების) „ერთგულად სამსახურსა შინა" – ვიდრე ბურდულებმა და ნაზღაიძეებმა" (ვახტანგ ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ. 1989 წ.).

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, შემდგომში გამოხევებული გელაძეების (ანუ, გელიაიძეების) თავდაპირველი საცხოვრისიც ღუდა იყო.

ისინი – სავარაუდოდ, XVIII ს-ის დასაწყისში გადასახლდნენ ხევის სოფელ გარბანში, სადაც, 1774 წლის აღწერით, მათი 2 კომლი სახლობდა.

ხევიდან – ისინი დიდხანს დადიოდნენ ღუდაში სალოცავად.

„იქაურ ხატობაში, მანამ გელაძეების კურატი არ დაიკვლებოდა, სხვა კურატებს არ დაკლავდნენ."

*

XIX საუკუნის აღწერებით – ღუდას ხეობის 5 სოფელში 52 კომლი (277 სული) სახლობდა – 169 მამაკაცი და 108 ქალი.

განისის მოსახლეობა 9-14 კომლის ფარგლებში იყო.

ცხოვრობდნენ: – რუბაევები (რუბაშვილები), გადიევები (გადიშვილები, ჯერტელიევები, ჯიგაევები, კოროევები (კორაშვილები), საამოვები, ჟესპოლიშვილები, ჯესმელაშვილები, ჩაბოლიშვილები, გოდიშვილები, ჟერთელიშვილები, გიგოშვილები და ძიგოშვილები.

განისი – ორ სოფლად – ზემო (5 კომლი) და ქვემო განსაიდ (6 კომლი) იყო გაყოფილი.

მექეთის მოსახლეობა 5-9 კომლის ფარგლებში მერყეობდა.

ცხოვრობდნენ: –

რუბაევები (რუბაშვილები), კოდონურიევები, კაზრიშვილები, კაბანაშვილები, კაზბანაშვილები, კაზუროვები, კუზუროვები და ხოზაუროვები.

ხატისოფელის მოსახლეობა 12-14 კომლის ფარგლებში იყო.

ცხოვრობდნენ: –

საამოვები (სამიშვილები), სალიშვილები, რუბაევები (რუბაშვილები), ჯავაევები, ბურჯიევები (ან გურჯიევები) და ფორნიშები.

ერეთოს მოსახლეობა 12-20 კომლის ფარგლებში მერყეობდა.

ცხოვრობდნენ: –

ჯანაევები (ჯანაშვილები), რუბაევები (რუბაშვილები), ტაკაევები, კილჯიკოვები (კილჯიკაშვილები), გადიევები (გადიშვილები), ჩიგოევები (ჩუგოშვილები), შაამოვები, შაშაშვილები, ჩაფოშვილები, სამიშვილები, ჟანაშვილები და კელგიკოვები.

გაღმასოფლის (იგივე ურმისსოფლის) მოსახლეობა 6-10 კომლის ფარგლებში იყო.

ცხოვრობდნენ: –

ისარაევები, თაკაევები, ჩაბოლიშვილები (ჩაბოლოვები), ცაბოლიშვილები, თავაშვილები, თაყაშვილები, ჩაბდოვები და ჩაბალოვები.

*

ხეობა – ამჟამად გაუკაცრიელებულია.

მისი თანამოსახელე მთის მწვერვალზე შემორჩენილია ყოვლადწმინდის ძველთაძველი ქართული სალოცავი, რომელსაც „ქვაწულად მქცეველად“ მოიხსენიებენ.

ლეგენდის თანახმად: –

კალთაში ბავშვივით გახვეული ქვა – მახვეწარ ქალს სალოცავმა „წულად“ (შვილად) უქცია.

ხატობას ლომისობის წინა ორშაბათს იხდიან და „შვილიერებას შესთხოვენ.“

ზემო მლეთა

ზემო მლეთის დასახლება ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს – ქვემო მლეთიდან 1 კმ-ის დაშორებით.

შუა სოფელში მდგარი, საკმაოდ მოზრდილი, ციხე-გალავნის კომპლექსი, ე.წ. „ნაზღაანთ ციხე“, თავის დროზე, საკმაოდ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა.

XVII ს-ის II ნახევარით თარიღდება.

XVIII ს-ში – ხადელი ციხისთავების ადგილსამყოფელი იყო.

ამ ციხე-სახლში – 1756 წელს მოკლეს არაგვის საუფლისწულოს დროებითი მმართველი – ჯიმშერ ჩოლოყაშვილი.

ხუცა ბურდულს მოუკლავს უკანასკნელი არაგვის ერისთავი.

*

დღეს მოქმედი საქართველოს სამხედრო გზის ყველაზე რთული მონაკვეთი – ზემო მლეთის აღმართი, არაგვს გაღმა, მისი მარცხენა ნაპირიდან იწყება.

მრავალყულფად არის დაკეცილი და დაკლაკნილი.

ძირს – მხარმარცხნივ, ნეფის-კალოს კალთებზე დაბადებული არაგვი მიიკლაკნება.

მარჯვნივ – 1900-2000 მეტრის სიმაღლეზე, კაიშაურის ვაკის მიდამოებია – იელ-ით დაფარული.

ანდრეევის ცნობით: –

გუდაურის ქვემოთ, მისგან სამხრეთით – „8 ვერსტის შემდეგ, იწყება მლეთის საოცარი დაღმართი, ე. წ. ბორიატინსკის გზატკეცილი, რომელიც ხუთი დიდი ზიგ-ზაგით არაგვთან ჩამოდის; ქვის ორსართულიან მუშათა ყაზარმასთან – საუცხოო ხიდზე გადადის, ჩაუვლის ზემო მლეთის დუქანს, მშვენიერ ეკლესიას და ქვემოთ მიემართება“ (ვლადიკავკაზიდან ტიფლისამდე, 1891 წ.).

„ნათელი ხდება, რომ ღრუბლიანი, ცივი ქვეყნიდან ვეშვებით ნაყოფიერ ველზე.“

„თანდათან თბება, ირგვლივ არსებული სიმწვანე – თოვლისგან დაღლილ თვალებს ამშვიდებს.“

არაგვის „კეთილხმოვანება“ ტყისპირას აყვავებულ მინდვრებზე მიემართება.“

„მთებზე ქართული სოფლებია მიმოფანტული;“

„მოჩანან დანგრეული სამეთვალყურეო კოშკები;“

„თავს იწონებენ უძველესი ეკლესიების გუმბათები“ (ძმები ესაძეები, საქართველოს სამხედრო გზა“, 1864 წ.).

სეთურთკარი და სეთურიძეები

სოფელი დიდველზე მდებარეობს.

მლეთის ხვეულების ზემოთ – იქ, სადაც საქართველოს სამხედრო გზა, ჯვრის უღელტეხილისკენ უხვევს.

ძველი სეთურკარი გზიდან უფრო დაცილებული იყო; ზემოთ მდგარი ციხე-კოშკის სიახლოვეს მდებარეობდა.

1774 წლის აღწერით – იქ, სეთურიძეების 15 კომლი სახლობდა;

1781 წელს – 17.

1886 წლის აღწერით, სეთურიძეების 21 და კუბრიაკოვების – 1 კომლი დარეგისტრირდა – 63 მამაკაცი და 43 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1817).

1926 წელს – 26 კომლი აღრიცხეს; 70 მამაკაცი და 90 ქალი;

ძირითადი გვარი – სეთურიძე იყო.

ისინი ძირად არგანაშვილები არიან.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

დიდველზე, დღევანდელ სოფ. სეთურთკართან (სეთურებთან) -“ნაღორევიდან სანადიროდ მოსულა“ – არგანაშვილის გვარის სამი ძმა.

„ერთს მათგანს ჰქვივნებია სეთურა.“

„შინ რო ჩასულა, მამისთვის უთქვამს – მამულები მომეწონაო იქ“ და – ცოტა მოგვიანებით, „სოყურიანთ პირდაპირ რომ არის ადგილი, ფილიანი – იქ დასახლებულა.“

იმ სეთურა არგანაშვილზე მოდიანო დღევანდელი სეთურიძეები.

*

1873 წლის აღწერით, სოფ. სიონში – სეთურიძეების ორი კომლია მოხსენიებული: –

1. შიო გიორგის ძე სეთურიძე, 38 წლის;
2. იაკობ ზაქარიას ძე სეთურიძე, 40 წლის; მისი შვილები: ივანე – 9 წლის, ნიკოლოზი – 4 წლის; იაკობის ძმა, გიორგი – 21 წლის.

*

სეთურთკარის შემდეგ, საქართველოს სამხედრო გზა მალე აივაკებს;

ასცდება დაკეცილ ყულფებს და გამოჩნდება შედარებით ვრცელი, სამხრეთ-დასავლეთით დაქანებული ვაკე...

აკად. ნ. კეცხოველის ცნობით: –

ქუმლის-ციხემდე ერთი პატარა იელიანი მინდორი იყო, რომელშიც თითო-ოროლა ვერხვი, ორიოდე ცირცელი და არყი იდგა...

„იქვე შეინიშნებოდა მთის ბოყვის ნაბარტყი."

„ყველა ნიშნით ეტყობოდა, რომ, ახლო წარსულში – იქ, მაღალმთის, სუბალპების ტყე ყოფილა, მაგრამ – განა გაუძლებდა სოფელ ქუმლის-ციხეს და ახლო-მახლო სოფლებს, რომლებიც ღუდას ხეობიდან ამ პლატოზე ამოდიოდნენ."

„მოისპო ტყე და დარჩა ქვეტყე-იელი" (ნ. კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი," თბილისი, 1971 წ.)...

ქუმლისციხე

„დაქანებული ვაკის" ზემოთ მდებარე მთის ფერდობზეა შეფენილი სოფელი ქუმლისციხე.

ამწვანებული ქვაბურის პირას განთავსებული სოფლიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთით) მოჩანს, მთის წვერზე მდგარი – „ცეცხლის ჯვრის" აშოლტილი კოშკი და მასზე მიხორცებული პატარა ეკლესია, რომლებიც – ქვემოდან ამომავალ გზას და ღუდას ხეობას გასცქერიან..." (ნ. კეცხოველი).

სოფელი – ჯვრის უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, მთიულეთის არაგვის მარცხენა მხარეს – ზ.დ. 1840 მ-ზე.

XIX საუკუნის აღწერებით – მისი მოსახლეობა 14-17 კომლის ფარგლებში მერყეობდა.

ცხოვრობდნენ: – ცივიევები (ცივაშვილები), ბზიკიევები (ბზიკიშვილები), ჩაბალიევები, ჩალაგიევები (ჩალაგაშვილები), ჩალაგოვები, ჩიბაევები, ჩიბოევები, ბიზიკოვები, ბიჩიკოვები, ჯივიევები, ჯავაევები (ჯავაშვილები), კოკოევები, კაკაევები, რუბაევები, რუსაევები, ღუბაევები, ქოქაშვილები, ქისილიევები, კოკიევები და დულაევები.

1926 წლის აღწერით – იქ, 129 კომლი სახლობდა (72 მამაკაცი და 57 ქალი).

ძირითადად, ოსებით იყო დასახლებული.

2014 წელს – 35 კომლი დარეგისტრირდა (18 მამაკაცი და 17 ქალი).

გუდაური

ზღვის დონიდან 2157 მ-ზე მდებარეობს.

მის ადგილას – თავდაპირველად, მგზავრთა მომსახურების მიზნით აშენდა ფუნდუკი და ფოსტა.

საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სადგური იყო, სადაც დაღლილი ცხენების შეცვლა ხდებოდა.

დღეს – ზამთრის ცნობილი სათხილამურო კურორტია.

მისი საბაგირო გზის ქვედა სადგური 1990 მ-ის სიმაღლეზეა;

ზედა, საძელისა და კუდების მთებზე – 3307 მ-ის სიმაღლეზე.

დასახლების პეიზაჟს თავის შნოს მატებს – ახლადნაგები ამაღლების ეკლესია, მამათა მონასტერი და ამაღლების ნიში (ქტიტორი, ზურაბ ჟორჟოლიანი).

*

უღელტეხილის უმაღლეს წერტილამდე – ჯვრის და ღუდას მთებს შორის მდებარე ტერიტორიას – „ეშმაკის ველს“ ეძახიან.

სახელწოდება ამ ადგილას მომხდარ საშინელებებთან არის დაკავშირებული.

მ. ლერმონტოვის ცნობილი პერსონაჟის აზრით („ჩვენი დროის გმირიდან“), „ველის“ სახელი მომდინარეობს სიტყვიდან „ჩერტა“ და არა „ჩორტი,“ რაც, მისი აზრით – საქართველო-რუსეთის საზღვარს ნიშნავს.

წინასწარმეტყველი აღმოჩნდა პეჩორინი.

2008 წლის აგვისტოში – რუსულმა ტანკებმა „ჩერტა“ ახალგორთან გაატარეს.

ჯვრის უღელტეხილის უმაღლესი მონაკვეთი

ჯვრის უღელტეხილი თერგის და არაგვის ხეობების წყალგამყოფია.

ორივე ხეობისკენ დახრილობა იწყება ზეკარის უმაღლეს წერტილთან, სადაც აღმართული ქვის პირამიდა გვამცნობს რომ: –

საქართველოს სამხედრო გზის უკიდურესი სიმაღლე, ზღვის დონიდან – 2395 მეტრია.

*

ზეკარის ნიშან-სვეტთან, პატარა ტაფობზე – გაზაფხულობით აუარებელი თეთრი ყვავილი – ცხენისკბილა, ყვავის:

„ეს მცენარე, რომელიც დამახასიათებელია ამ მხარისათვის, ხშირად თოვლიდან ამოყოფს ხოლმე ღეროს და თითქმის უკვე გაშლილ ყვავილს“ (ნ. კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი,“ თბილისი, 1971 წ.).

უღელტეხილის ხელმარჯვნივ აღმართულია „გუდ-გორი“ (ღუდას მთა); მარცხნივ, სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის შვიდი ძმის მთები.

ზეკარის ნიშნულის მიმდებარედ იმ გერმანელ ტყვეთა საძმო სასაფლაოა, რომლებიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გუდაური–კობის მონაკვეთზე გვირაბების მშენებლობისას დაიღუპნენ.

სასაფლაო გოეთეს საზოგადოების ძალისხმევით – 1991 წელს დაფიქსირდა.

*

XIV–XV სს ქართულ საისტორიო წყაროებსა და სამართლის ძეგლებში, „ჯუართა ყელი“ – ჯვრის გადასასვლელის აღსანიშნავად მოიხსენიება.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: –

ჯვრის უღელტეხილის ზეგანს, ანუ მთიულეთიდან ხევში გადასასვლელ კორიდორს, ყელი ეწოდებოდა.

„ადგილს, რომელსაც ვახუშტი ყელს უწოდებს, მოხევეები ეძახიან ჯორთ ვაკეს, ანუ ჯვართ ვაკეს“ (ვალ. ითონიშვილი).

უღელტეხილის სახელწოდება – იქ, ჯვარის (თუ ჯვრების) არსებობასთან არის დაკავშირებული.

სამხედრო ისტორიკოსი, გენერალი ვ. პოტტო და ა. მურავიოვი – უღელტეხილზე ჯვრის პირველ აღმმართველედ დავით აღმაშენებელს მიიჩნევენ.

რუსული მმართველობის პერიოდში, ჯვარი – იქ, 1803-1804 წლებში დაუდგამთ;

უცნობია ვის.

უცნობია მისი შემდგომი ბედიც.

1809 წელს, გაბრიელ ყაზბეგს – გზის მშენებლობის სამახსოვროდ დაუდგამს იქ, ჯვარი, რომელსაც დიდხანს ვერ გაუძლია.

1824 წელს, თითქმის იმავე ადგილას, გენერალ ერმოლოვს – მესამედ აღუმართავს იგი.

ამ ცნობას – 1831 წელს, „თბილისიდამ პეტერბურღს“ მიმავალი გრ. ორბელიანიც ადასტურებს: –

„აღვედ ჯვართან, რომელიცა არს აღმართულ ერმოლოვის დროსა ქანანოვის მიერ და უნებლიედ შემოვხედე საქართველოს, თვალთათვის დაკარგულს, ხოლო გულისთვის მარად განუშორებელს.“

გრანიტის პედისტალზე დადგმულ ამ უზარმაზარ (5,30 მ. სიმაღლის) ქვის ჯვარს – მარმარილოს დაფაზე ჰქონდა შემდეგი წარწერა: –

«Во славу Божью, въ управление генераль оть инфантерии Ермолова, поставлень приставомь горскихь народовь майором Кононовимь вь 1824 году.“

გადმოცემის თანახმად: – 1858 წელს – ჯვარს მეხმა ჩამოამტვრია მარცხენა ფრთა. მისი ახალ ტრასასთან (დაახ. 900 მ-ის დაცილებით) გადატანა ვერ მოხერხდა და 1941-1945 წლებში, თითქმის, მთლიანად დაინგრა. გადარჩა მხოლოდ მისი ჩონჩხი.

ამჟამად, ნაწილობრივ აღდგენილი და ნაკლები სიმაღლისაა.

ბიდაროვები და ყველაზე ზვავსაშიში მონაკვეთები

ჯვრის უღელტეხილიდან სამიოდე კილომეტრის შემდეგ, საქართველოს სამხედრო გზა – მთებს შუა ჩაჭედილ ვიწრო ხევში ეშვება (რომლიც სოფელ ალმასიანთან წყდება).

მინერალური წყლების ცოტა ზემოთ, გზის მარცხნივ – ნასახლარებია შემორჩე-

ნილი, სადაც მდ. „მთის წყალაისა და თეთრი წყლის“ შესაყართან – საგანგებოდ აშენებულ მიწურში, ერეკლე II-ს ოსი ბიდარა ბოცოევი დაუსახლებია და ჯამაგირი დაუნიშნია.

გზის ამ ყველაზე სახიფათო მონაკვეთში – მის მოვალეობას შეადგენდა, მგზავრების უსაფრთხოება; უამინდობაში მათი დახმარება და მასპინძლობა.

ბოცოევის მიწური ზვავებისაგან დაცულ შემაღლებაზე იდგა, საიდანაც გზის საკმაოდ დიდი მონაკვეთი მოჩანდა.

დიდი თოვლის და ქარბუქის დროს, როცა ხილვადობა 2-3 მეტრს ძლივს აღწევდა, ბიდაროვების ოჯახი ვალდებული იყო – ზარი ერეკა, რათა გზააბნეულ მგზავრს, რამენაირად – მიეღწია მათ სახლამდე.

მიწური წარმოადგენდა ნახევრადმიწაყრილს, რომელსაც – წინ, გადმონაშვერი (წინაფრა) ჰქონდა.

მის დამჭერ ძელზე ეკიდა ზარი.

ზამთარში მიწური თოვლით იფარებოდა; მისი ხილვადობა ძნელდებოდა...

მგზავრებისათვის გამოყოფილი იყო ოთახი, სადაც დასვენება და გათბობა იყო შესაძლებელი.

თვითმხილველნი გაკვირევებას ვერ მალავენ, ამ უკაცრიელ ადგილას მდებარე ნაგებობაში, როგორ თავსდებოდა იმდენი ხალხი – ერთ ოთახში, რომლის ფართობიც 6 საჟენს არ აღემატებოდა.

დროთა განმავლობაში – ჯვრის უღელტეხილს მოხევეებმა ბიდარა უწოდეს; რუსების აშენებულ (წითელ) ყაზარმას – „ბიდარაის ყაზარმა;“ „თეთრ წყალაზე“ გადებულ ქვის ხიდს – ბიდარას ხიდი; „მთის წყალაისა“ და თეთრი წყლის ნაერთ მდინარეს ბიდარაის წყალი...

ერეკლეს მიერ ბიდაროვებისთვის დაკისრებული ვალდებულება – ძალაში დატოვეს რუსებმაც.

ბიდაროვები შიმშილის ზღვარზე, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ.

150 წლის განმავლობაში (1787-1941 წ.წ.) ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას და – ბოლოს, უხელფასობის გამო მიატოვეს იგი.

ამბობენ რომ: –

ბოლო პერიოდში, მგზავრებს დახმარების ნაცვლად – მათ ყაჩაღობას და ქურდობას მიჰყვეს ხელი.

იმასაც ამბობენ, თითქოს – აღნიშნულთან დაკავშირებით შეიქმნა ცნობილი სიმღერა: –

„გადამიშვი, ბიდარაო, შენი არა მინდა რაო!“

*

საქართველოს სამხედრო გზაზე – ბიდარას ხიდის ქვემოთ, „კულაგინის ხიდია“, რომელიც მისი მშენებელი ინჟინრის სახელს ატარებს.

ბოდოს მთის ძირას, უღელტეხილის ბოლო ხიდი მდებარეობს, რომელსაც კობის ხიდს ეძახიან – თანამოსახელე სოფელთან სიახლოვის გამო.

*

უღელტეხილის მთელი საშინელება რომ შეიგრძნო, ზამთარში უნდა გადალახო იგი – როცა თოვლის უზარმაზარი მასა დევს; გზა მხოლოდ ჩამოქცეული ზვავის ვიწრო დერეფანშია გაჭრილი და ირგვლივ – თითქოს, მარადიული თოვლის სამეფოა.

განსაკუთრებით ზვავსაშიშ ადგილთა სახელწოდებები – ცალკეულ პიროვნებებთან, ადგილმდებარეობასთან, ან ამა თუ იმ ფაქტთან არის დაკავშირებული.

ხელმარჯვნივ (კობი-გუდაურის მიმართულებით): –

პირველი ასეთი ადგილი „ბოდოს“ მონაკვეთია, კობიდან მეორე ვერსტზე.

ბოდო – მაღალი, შვეული მთაა, რომელიც ზემოდან დასცქერის ალმასიანს.

მისი ფერდობებიდან ჩამოქცეული ზვავი, პირველი თოვის შემდეგ ჩნდება და ხევში – სიდიდის, სიძლიერის სინონიმად არის ქცეული.

კობიდან მეხუთე ვერსტზე – „ფოსტის“ მონაკვეთია, სადაც, 1877 წელს, ზვავმა მეეტლე და მისი შვილი დაიტანა;

მათთან ერთად მყოფი ქალი, გვარად კარტაშოვა, სამი დღე-ღამის შემდეგ – ზვავიდან ცოცხალი ამოიყვანეს...

შემდგომში – „კულაგინის“ ზვავსაშიში ზონაა, დაახლოებით მეხუთე ვერსტზე.

XIX საუკუნის 50-იან წლებში, ზვავმა – იქ, მოხსენიებული გვარის ადამიანი დაიტანა, თანმხლებ პირებთან ერთად.

„სალდათების“ სახელით ცნობილი ზვავსაშიში ადგილი (სადაც ზვავი მარტსა და აპრილში ჩამოდის) – მეექვსე ვერსტზეა.

1887 წელს – იქ, ორი ჯარისკაცი დაიღუპა – ფურგონში შებმულ ოთხ ცხენთან ერთად.

„დიდი და მცირე მაიორშას“ სახელწოდების ზვავსაშიში მონაკვეთები ერთი მთიდან იღებენ სათავეს – მერე, იყოფიან და თითქმის, ერთდროულად (უმეტესად მარტსა და აპრილში) ეშვებიან სხვადასხვა ხრამში.

გადმოცემის თანახმად: –

XIX საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოში – რამდენიმე ეკიპაჟით, მოემგზავრებოდა რუსი მაიორის კაპასი ცოლი, რომელმაც მსახური გოგო ეტლიდან ჩამოაგდო.

წამოსულმა ზვავმა „მაიორშა“ დამარხა;

მოსამსახურე – გადარჩა.

1864 წელს, ამავე ადგილას დაიღუპა 9 კაცი;

1897 წელს – 22.

ხეობის ხელმარჯვნივ მდებარე ზვავსაშიში ადგილებია ე.წ. შვიდფუთიან მილთან და ბიდარას ხიდთან.

*

ხეობის ხელმარცხნივ (გუდაურის მიმართულებით): –

კობიდან მეხუთე ვერსტზე, „მჟავე წყლების“ ზვავსაშიში მონაკვეთია;

მერე – „კაზაკების“ („კულაგინის“ წინ, „სალდათების“ და „მაიორშას“ მოპირდაპირედ).

1879 წელს, ზვავმა – იქ, 21 ცხენოსანი კაზაკი დაიტანა (დაიღუპა 17).

„თეთრი წყლების“ ზემოთ – „ტრანშეისა“ და „საძელის“ სახიფათო ზონაა.

ამავე მხარესაა – „სპარსელთა“ და „უსახელოს“ სახელწოდებით ცნობილი მონაკვეთები.

*

ამდენი უბედურების თავიდან აცილების და უღელტეხილზე უწყვეტი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, 1876 წლიდან – რუსებმა, გუდაური-კობის მონაკვეთზე – ზვავსაწინააღმდეგო გვირაბების მშენებლობა დაიწყეს. ჩემს მიერ მოპოვებული ინფორმაციით: –

პირველად აშენდა „მჟავე წყლების“ 111 მ. სიგრძის გვირაბი;

1885 წელს, „საფოსტო“ – სიგრძით 512 მ.

1895 წელს „კაზაკთა“ – 45 მ.

1902 წელს „მაიორშა“ – სიგრძით 452 მ.

1913 წელს „სალდათების“ – 313 მ.

ამავე წელს აშენდა „სპარსელთა“ – სიგრძით 43 მ.

ექვსივე გვირაბის საერთო სიგრძემ 1476 მ. შეადგინა.

„სპარსელთა“ – რკინა-ბეტონის იყო;

დანარჩენი ლამ-კირით აშენდა – ხის გადახურვა ჰქონდათ და 1923 წელს – მწყობრიდან გამოვიდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე 3 გვირაბი იყო დარჩენილი.

„მაიორშას“ და „სალდათების“ აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა 1941 წელს;

ომის პერიოდში მიმდინარეობდა, რამდენიმე – საერთო სიგრძით 1091 მეტრი გვირაბების რეკონსტრუქცია.

დღემდე, მეტ-ნაკლებად – ფუნქციონირებენ შემდეგი გვირაბები: –

„თეთრიწყლის“ – თბილისიდან 135-ე კმ-ზე, სიგრძით 120 მ; იქვეა – „მაიორშა“, 444 მ. სიგრძის.

136-ე კმ-ზეა – „სალდათების“ და „სპარსელებისა“, საერთო სიგრძით 257 მ.

მის მიმდებარედ – „საფოსტოა,“ 417 მ.

137-ე კმ-ზე – „მჟავე წყლების“ გვირაბია, სიგრძით – 108 მ.

ახალი აზომვითი მონაცემებით: –

გვირაბი „ბელაია“ თბილისიდან 101-ე კმ-ზე მდებარეობს, სიგრძით 280 მ;

„მაიორშა“ – 102 კმ-ზეა, სიგრძით 466 მ; „სოლდატსკაია“ ამავე მანძილზეა (სიგრძით 257 მ);

103-ე კილომეტრზეა „საფოსტო“ და „მჟავე წყლების“ გვირაბები (სიგრძით – შესაბამისად: 462 და 174 მ.).

ციტირებული აზომვების მიხედვით, თბილისიდან 93-ე კმ-ზე მდებარე „გუდაურის ფარდული“ – სიგრძით 679 მეტრია.

*

მჟავე წყლების გვირაბიდან გამოსვლისთანავე – გზის პირას მოჩანს მინერალური წყლების დანალექი მარილებისგან – ფორთოხლისა და ჟანგისფრად მოხატული ფერდობი – რომელიც იქაურობას განუმეორებელ ელფერს აძლევს.

მგზავრები – იქ, ხშირად ჩერდებიან, ისვენებენ და არემარეს ფირზე აღბეჭდავენ.

ხევის სათავეები

ხევის სათავეს წარმოადგენს – მთიულეთის საზღვარზე მდებარე, ჯვრის უღელტეხილის ჩრდილოეთი მხარე – რომელიც მოიცავდა რამდენიმე დასახლებულ პუნქტს (ალმასიანს, ბაზილენს, კობს, თოლგოთს, ქვემო უხათსა და ზემო უხათს).

ალმასიანი (გაღმა კობი) და ბაზილენი, თავდაპირველად, კობის უბნები ყოფილა.

კობის მოპირდაპირედ – მდ. თერგს გაღმა მდებარეობდა სოფ. თოლგოთი – რომელიც ნასოფლარად იქცა.

XIX ს-ის აღწერებით – იქ, ბაჩიევები, ჯაკიევები, თაკაშვილები (თაკაევები), ფიდორიშვილები (ფიდოროვები), სალბიშვილები და ტაკაევები სახლობდნენ.

დანარჩენი 5 სოფელიც (ალმასიანი, ბაზილენი, კობი და ორივე უხათი) უკვე დიდხანია რაც ოსებით არის დასახლებული.

ალმასიანი

ბიდარას დაღმართის შემდეგ, პირველი სოფელი – ალმასიანია.

ჯვრის უღელტეხილის მისადგომებთან, საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს, ზ.დ. 1960 მ-ზე.

კობიდან ერთი კმ-ით არის დაცილებული.

ორივე სოფელს – პატარა მდინარეები (უხათის წყალი და ბიდარა) ჩამოუდის.

ალმასიანს ეძახდნენ გაღმა კობსაც.

ადრე, კობის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა.

დამოუკიდებელ სოფლად იქცა XVIII ს-ის პირველი ნახევრიდან.

მის სიახლოვეს, ცენტრალურ მაგისტრალს გამოეყოფა თრუსოს ხეობისკენ მიმავალი გზა, რომლის პირას – სოფ. ნოგყაუსთან, შემაღლებაზე დგას მომცრო საყდარი.

თვალს ხვდება XIX საუკუნის შუა პერიოდის თეთრი გუმბათიანი ეკლესიაც.

1792 წლის დოკუმენტის თანახმად: –

სოფელი – საარაგვოს მმართველ უფლისწულს, ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილს შეუქმნია და სამეფო კარის საქმის აღმსრულებლად დაუსახლებია ვინმე ისა აბაშვილი, რომელიც არზით მოახსენებს ბატონიშვილს: – „თქვენის ბრძანებით დავდექ და სოფელი ავაშენე... ეხლა 8 კომლი სახლობსო.“

სოფლის სახელწოდება, პირდაპირ კავშირში უნდა იყოს მისი დამფუძნებლის, ბატონიშვილ ალმასხანის სახელთან.

იგი – „მპყრობელი სრულიად არაგვთა...“ ფეოდალური საქართველოს სამეფო გვარეულობის უკანასკნელი წარმომადგენელია, რომლის სახელიც გერგეტის სულთა მატიანეშია შეტანილი...

*

დროთა განმავლობაში, ალმასიანში განთავსდა – სასტუმრო-ფუნდუკი, დუქანი და სხვა საჭირო სათავსები.

XIX საუკუნის აღწერებით – იქ, სახლობდნენ: – აბაევები (აბაშვილები), კარაევები, კორაშვილები, ურთაევები (ურთაშვილები), ჩიღოევები, ჟიკაევები, მრიკიევები, გეგიევები, ზაკიშვილები, დოლაშვილები, ჯახაშვილები, გულიშვილები, გოთოშვილე-

ბი, კომაშვილები, ზალიშვილები, მარანიშვილები და ციცოევები.

დიდი ალბათობით, ისინი ახალი გადმოსახლებულები იყვნენ თრუსოდან.

ამ პერიოდის აღწერებში, ალმასიანი – „ბაზალიანის“ სახელწოდებით არის მოხსენიებული.

აღნიშნული სახელწოდება მომდინარეობს ოსური სიტყვიდან „ფაზილან,“ რაც ნიშნავს შესახვევს. მთხრობელების განმარტებით, დასახლებამ ეს სახელწოდება მიიღო თრუსოს ხეობისაკენ შესახვევ გზაზე მდებარეობასთან დაკავშირებით (ვალ. ითონიშვილი).

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

„გაღმა კობის, ანუ ბაზილენის სამხრეთ მხარეზე, საქართველოს სამხედრო გზის პირად, დუქანი და ღამის სათევი ფუნდრუკი აუშენებია თბილისელ სომეხს, გვარად ალმაზიანს. ამის შემდეგ ჯერ სოფლის ერთი უბნისთვის, შემდეგ მთელი სოფლისათვის შეურქმევიათ ალმაზიანი, ანუ ალმასიანი“ (ვალ. ითონიშვილი).

*

რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ, ალმასიანში სამხედრო სადარაჯო ააგეს. 1818 წელს, მთავარსარდალ ა. ერმოლოვის ბაძანებით – დუშეთის მაზრიდან გადაიყვანეს მოხელეები, რათა კეთილმოეწყოთ დუქნები და ხანაგები.

2014 წელს – სოფელში, 22 სული სახლობდა (7 მამაკაცი და 15 ქალი).

კობი და კობიაშვილები

სოფელი კობი – ალმასიანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, თერგის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, საქართველოს სამხედრო გზაზე – ზ.დ. 1970 მ-ზე.

ხევის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა.

წერილობით წყაროებში („ძეგლი ერისთავთა“) – პირველად, XIV ს-ის შუა წლებშია მოხსენიებული.

ისტორიული ხევის სამი ძირითადი ხეობის – თერგის, თრუსოს და სნოს დამაკავშირებელ – მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა; მთიულეთში გადასასვლელ უმოკლეს გზაზე მდებარეობდა და მთიელთა წარმომადგენლების თავშეყრის ადგილიც გახლდათ.

იქ გადასცემდნენ მეფეებს მძევლებს.

ქსნისა და არაგვის ერისთავები (XIV-XVII საუკუნეებში), დროდადრო – მის კუთვნილებაზე, საქართველოს მეფეებს ეცილებოდნენ.

ქსნის ერისთავს – გირშელს, მნას ციხის აღების შემდეგ, მოხევეებთან ბრძოლის საწყის პუნქტად კობი აურჩევია და იქ გამაგრებულა.

მთელ ხევს და მასზე გამავალ მნიშვნელოვან ტრასებს, აღნიშნულის მიუხედავად – იმავე პერიოდში, როგორც „გერგეტის სულთა მატიანეში“ ჩართული – ალექსანდრე I-სადმი მიცემული ფიციდან ჩანს – ქართველი მეფეები აკონტროლებდნენ.

რუსეთთან რეგულარული ურთიერთობის დამყარების შემდგომ, საქართველოს სამხედრო გზის კობის მონაკვეთს – ადგილობრივი მოსახლეობა ემსახურებოდა. იქ იყო მგზავრთა დასასვენებელი და ცხენების გამოსაცვლელი სადგური, რომელმაც მთელი XIX ს-ის განმავლობაში იარსება.

დასახლების მიმდებარე ტერიტორია მდიდარია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით: –

სოფლის მახლობლად მდებარე კლდოვან ბორცვზე – გიორგიწმინდის კომპლექსია განთავსებული.

მის შემადგენლობაშია: – ორი კოშკი, ეკლესია და გალავანი.

კომპლექსის შუაგულში – ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია დგას; აღმოსავლეთის სარკმელის თავზე, მასიური მართკუთხა ქვაა, რომელზეც ქვის ჯვარია აღმართული.

სამხრეთით მდგარი ზურგიანი კოშკი, რომლის საფუძვლად ორი გიგანტური ლოდია გამოყენებული – შემორჩენილია სამიოდე მეტრის სიმაღლეზე.

ოთხკუთხა კოშკი (5,6X5 მ.) – ჩრდილოეთით მდებარე კონცხის კიდეზე დგას – ქვის წყობით გამაგრებულ კლდეზე; თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი ნაწილის ჩრდილოეთ კედელზე სამრეკლოა მოწყობილი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

კობის – „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის (10,3X8,2 მ.) ეკლესია, XIX ს-ით თარიღდება. ნაგებია სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვით; კედლები (შიგნით და გარეთ) – შელესილი და შეთეთრებული აქვს.

სამივე კარიბჭე ფართო თაღითაა გახსნილი.

დასავლეთის მკლავის ფრონტონზე, წყობის შეღრმავებით, დაბალი ჯვარია გამოსახული.

გუმბათის ყელი დაბალი და განიერია.

ფასადები სადა.

1982-83 წლებში – ეკლესიას სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

*

კობის შესასვლელთან შინმოუსვლელთა ძეგლია – შავი ნათალი ქვისგან ამოყვანილი კედელი (სიმ. 1,5 მ.). მის მარჯვენა კიდეში – მწუხარე დედის ბეტონის ფიგურა დგას (სიმ. 2,5 მ.), რომელიც სიმბოლურ საფლავს დასცქერის.

საფლავის ქვაზე ჯარისკაცის მუზარადი და დაფნის გვირგვინი დევს.

კედელთან – რკინის ყვავილების გვირგვინი.

*

კობში – ძირითადად, თრუსოს ხეობიდან მისული კობიაშვილები (ეფერიენი, გოგნენი, სიენი, ხუტიანი, თემურენი, შარმენი, ლადარიანი) სახლობდნენ. XIX ს-ის აღწერებით ჩანან – ასევე, თრუსოდან მიგრირებული თავაევები (თუაევები, თავაშვილები – ანუ, ადრინდელი თვაურები (თავაურები).

აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა ეთნიკური ოსების ძლიერი მიგრაცია: –

ქურთათის ხეობიდან გადმოსახლდნენ ბიზიკოვები და ზლიევები, ჟბიდან – აბაევები და გაძიევები.

ი. კლაპარტის ცნობით: –

„კობში მცხოვრებ ოსებს უწოდებენ კობი-აბაითის. ისინი, მეტწილად, მთებიდან გამოქცეულები არიან. იქ ხალხი დახოცეს და გადმოსახლდნენ – რათა სისხლის აღე-

ბა აეცილებინათ თავიდან.“

2014 წლის აღწერით – კობში, 3 მამაკაცი სახლობდა.

*

იოანე ბატონიშვილის „საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერის“ მიხედვით: –

აზნაური კობიაშვილების „წინა-პარნი იყვნენ ძველადვე არაგვის ხეობის ადგილის აზნაურნი, მთისანი, რომელნიც პირველად ესახლნენ ადგილსა კობისასა. ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა როსტომისასა, 1633 წელსა, შთამოვიდნენ არაგვის ვაკესა ადგილთა შინა და მუნ არიან მოსახლედ, ხოლო ამათგანნი რომელნიმე სახლობენ კახეთს ბახტრიონსა შინა აზნაურივე და არიან რაოდენიმე სახლად მოსახლენი... კობიაშვილობა გაუგვარდათ კობის ადგილისა გამო“.

ბატონიშვილის მეორე ცნობით: –

„კობიაშვილი ყუბილხან იყო თათართა უფროსი დროსა დაპყრობისასა თათართაგან კახეთისა და ოდეს ასწყვიტეს კახთა, ამისი, ყუბილხანის, ნათესავი ვინმე დაშთა, მოინათლა და მიიღეს მეფეთა აზნაურად 1253 წ. და იწოდებიან კობიაშვილებად“ (იგივე წყარო, რიგითი № 285).

მეორე ციტირებული ტექსტით, იოანე ბატონიშვილი განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის;

ცალ-ცალკე საუბრობს კახელ და ქართლელ კობიაშვილებზე.

მისი ვერსიები, ბევრ სხვა შემთხვევებშიც, ურთიერთგამომრიცხავია – მაგრამ: –

„თუ მაინც მოგვყავს მისი მონათხრობი – იმიტომ, რომ მის ტექსტში ზოგი რამ თუ შელამაზებული და ლეგენდაა, ზოგიერთიც სინამდვილეს შეესაბამება.“

„სინამდვილე უნდა იყოს ის, რომ კობიაშვილებს (როგორც კახელებს, ისე არაგველებს) საერთო წარმომავლობა აქვთ და ისინი მთიდან წარმომავლობენ.“

„როგორც ჩანს, კახელი კობიაშვილები მთაში (ხევში) მცხოვრები კობიაშვილების განაყრები არიან და მათი პირველსაცხოვრისი იყო თრუსოს სოფელი მნა.“

„ამავე დროს, გვარი მომდინარეობს არა ადგილის სახელიდან (კობი), არამედ, მამაკაცის სახელიდან კობა, კობია (რ. თოფჩიშვილი „საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია“, 2011 წ.).

ციტირებული მკვლევარის მსჯელობა ლოგიკურია იმის გათვალისწინებითაც, რომ ხევის არც ერთი სოფლის სახელწოდება – იქ მცხოვრები გვარების მიხედვით არ არის ნაწარმოები.

*

არაგვის საერისთაოს გაუქმებამდე, კობიაშვილები მათი აზნაურები იყვნენ.

საერისთაოს გაუქმების შემდეგ, სამეფო აზნაურებად იქცნენ და ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულო კარზე – საგრძნობლად დაწინაურდნენ.

პლ. იოსელიანის ცნობით: –

„1799 წელსა, თვესა ნოემბერსა 26-ს, შემოვიდა თფილისსა ჯარი რუსისა, ე.ი. პოლკი ლაზარევისა. მეფის ძენი დავით და იოანე წინა უძღოდენ მას დარიალისა გზით. მეფის ძე ალმასხან ანუ ვახტანგ, უნებლიეთ მიეგება ანანურსა და თან ჰყვა 30 აზნაური კარისა თვისისა კაცნი და მოხელენი: გოშპარ, დიმიტრი და დურმიშხან

კობიაშვილნი; გლახა ჭილაშვილი და გრიგორი ყარანგოზიშვილნი პირველობდნენ მათ შორის“...

გოშპარ და ბეცია კობიაშვილებს – „მეფემან გიორგიმ მიანდო გზაზედ დარიალისა დახვედრა და გამოძღოლა რუსთა ჯარისა... იწყინა ესე ძმამან მისმან ვახტანგ, გარნა ვერა ჰქმნა წინააღმდეგი“.

მთიულეთის (1804 წელს) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის – გოშპარ, დიმიტრი, დურმიშხან კობიაშვილები და გრიგოლ ყარანგოზიშვილი: –

„შეიპყრეს რუსთა და დაბორკილნი დაატუსაღეს ანანურის ციხეში.“

„აღდგომისა დღესა გადმოცვივდნენ (გადმოხტნენ) ისინი მაღლისა კოშკიდამ და ილტვოდნენ მთიულეთისა მთებში.“

მოგვიანებით, ისინი „შემოირიგეს რუსთა და დამშვიდებულნი ცხოვრობდნენ სახლთა შინა თვისთა (პლ. იოსელიანი, „გიორგი მეცამეტე“, თავი ჩXXII)“.

მთიულეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო ამავე კუთხის მოურავი, ზაალ კობიაშვილი.

1804 წლის 29 ოქტომბერს, იგი ბატონიშვილთან ერთად დააპატიმრეს (აქტები, II, №675).

იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში, საქართველოს გამგებელი, ლიტვინოვი – უმაღლესი კატეგორიის დამნაშავეთა შორის მოიხსენიებს მას (ასეთი სულ 5 იყო): –

„ყველას გადააჭარბა აზნაურმა ზაალ კობიაშვილმა. მთიულების დეკანოზებმა იგი დააფიცეს – იყავ ჩვენი ერთგული და მტერი რუსეთისაო... ზაალსაც უკისრნია ასეთი ფიცი... დუდარუკოს წერილებს სწერდა – რუსები არ შემოუშვაო საქართველოში; რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში... ბატონიშვილი ფარნაოზი გუდამაყარს რომ ავიდა... დიდის ამბით დაჰხვედროდა... მთიულეთიდან რამდენჯერმე ბარს ჩამოსულა – რუსებმა მთიულეთი აიკლესო და ხალხს აგულიანებდა, გამხნევდით და მტერს შეებრძოლეთო. დუშეთის აკლების დროს, რუსებს ებრძოდა, შემდეგ ხალხი გაიტაცა და მთიულეთს ავიდა. ზაალი და გლახა ჭილაძე ყველას აგულიანებდნენ, რუსები გაჟლიტეთო, ბაბა ხანისგან დიდი წყალობა მოგივათო; ამის გულისთვის ერთს თოფი აჩუქა, მეორეს ხუთი მანეთი. ერთი სიტყვით, პირველი მეამბოხე და აღელვების უმთავრესი ამტეხი იყო“ (აქტები, ტ. III, გვ. 104-105).

დაპატიმრების შემდგომ (ციციანოვის ბრძანების თანახმად) – ზაალ კობიაშვილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეხვედროდა ამავე აჯანყების გამო დაპატიმრებულ სხვა 12 მეაბოხეს (ფ. 16, დოკ. 176, გვ. 2).

1807 წელს – პერმში გადაასახლეს.

უსაქმობის გამო, „გადმოწერა“ „დაუჯდომელი“ და წერა-კითხვა ასწავლა კონდოლელ გოგია ალადაშვილს – სვიმონ ქობულოვის ყმას, რომელიც თავის ნებით გაჰყვა ბატონს გადასახლებაში.

1828 წელს ზაალ კობიაშვილი სამშობლოში დაბრუნდა – გიორგი ჭონქაძესთან ერთად.

წანარეთი და წანარები

მდ. თერგის ხეობა, შორეულ წარსულში, მთლიანად – წანარების ქართველური ტომით იყო დასახლებული.

ისინი აკონტროლებდნენ საქართველოს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტებს – დარიალის ხეობას და წელქნის (წილკნის) კარებს, რომელიც ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში, სავარაუდოდ, „ჯუართა ყელთან“ მდებარეობდა; მოიცავდა ე.წ. „წანარეთის ხევს“ – რომელიც დღევანდელი ყაზბეგის რაიონის ტერიტორიას ემთხვევა.

წანარებს – საქართველოს სამეფო კარის დავალებით, დარიალის ხეობის და ჯვრის უღელტეხილის დაცვა ევალებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთიელების მსგავსად, ჰაბიბ იბნ-მასლამის შემოსევების შედეგად, წანარებიც არაბთა მოხარკენი გახდნენ – მაგრამ ხარკი მალე შეუწყვიტეს დამპყრობლებს და, VIII ს-ში – უკვე აღარ ემორჩილებოდნენ მათ.

არაბთა ბატონობით დაუძლურებული საქართველოს ბარი, როცა „სულს ღაფავდა“ – წანარები ისევ მომძლავრდნენ, დამოუკიდებლობა მოიპოვეს და სათავეში ჩაუდგნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა აჯანყებას – 770 წელს.

მისი ჩახშობა – მტერმა ორი წლის შემდეგ მოახერხა.

IX ს-ის დასაწყისში – წანარები კახეთის გაერთიანების მოთავენი გახდნენ;

დიდი როლი ითამაშეს კახეთის სამთავროს წარმოქმნაში.

ახალი ქართული სამთავროს შექმნისთვის ბრძოლა, ამ დაუმორჩილებელმა ტომმა – ბოლომდე მიიყვანა;

IX ს-ის შემდეგ კი, ჯერ თანდათანობით, მერე – მასიურად, კახეთის მთისწინა ბარში ჩასახლება დაიწყო.

საბოლოოდ, მთა მთლიანად დატოვეს; ბარის მოსახლეობაში გაითქვიფნენ და ისტორიის სარბიელიდან გაქრნენ.

მკვლევართა ნაწილის (ნ. მარი, ს. კაკაბაძე, ჯ. გვასალია) აზრით, წანარები სვანურენოვანი ტომი იყო.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

ისინი სვანთა არა მთლად იდენტური, მაგრამ მათთან ახლოს მდგომი ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ორგანულად ერწყმოდნენ ქართულ ეთნიკურ გარემოს.

ისტორიული წანარეთის ტერიტორიაზე მდებარე, გარბანის ეკლესიის წარწერების მიხედვით, მკვლევარები იმასაც ვარაუდობენ რომ: – ისინი ქართულად მეტყველებდნენ.

მათ პოლიტიკურ და ეთნიკურ ექსპანსიას, დროთა განმავლობაში, თერგის ხეობის ზემო წელის მოსახლეობისგან დაცლა მოყვა.

X სუკუნის შემდგომ – „ერთიანი წანარეთი სამ პატარა ქვეყნად:“ – თრუსოდ, მნად და ხევად დაიშალა.

XIII ს-დან წანარეთის ნაწილი (თრუსოდან მნის ხევამდე) – წანარების მონათესავე სხვა ქართველურმა ტომმა – დვალებმა, დაიკავეს.

საცხოვრებელი გარემო მათ მოსახლეობის ნამატის გამო სჭირდებოდათ, მაგრამ, მონღოლთაგან დევნილი ოსებიც ავიწროებდნენ – რომლებმაც, თავდაპირველად,

წანარეთის თრუსოს ხეობის იმ ნაწილში იწყეს ჩამოსახლება, რომელიც მოსახლეობისგან უკვე დაცლილი იყო.

დროთა განმავლობაში – უფრო ქვემოთ ჩამოინაცვლეს; აბორიგენი მოსახლეობა შეავიწროეს; ქართველების ასიმილაცია მოახდინეს – გააოსეს და მათ საცხოვრისს დაეპატრონნენ.

*

დვალეთში, თრუსოსა და მნაში მიმდინარე კატაკლიზმებმა სერიოზული გავლენა იქონიეს ხევის დემოგრაფიაზე.

შეძლებისდაგვარად შევეცდები – შევეხო საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეებში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც აქტუალობას დღემდე არ კარგავენ.

დვალეთი

როგორც ივ. ჯავახიშვილი გვამცნობს: –

„საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი აფხაზეთის შემდგომ სვანეთის ჩრდილოეთის საზღვრით არის მოხაზული და... ეს ხაზი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს – კავკასიონის მთავარ უღელტეხილის მარადთოვლიანს ქედს, რაჭის საზღვრამდის.“

„შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი – რაჭაა და მისი სამზღვრის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე უღელტეხილის მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე.“

„დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იქნას აღნიშნული“: –

„იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ – მთავარსა და პირიქითელს ქედებს შუა არის მოქცეული.“

„ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარადთოვლიან მთებით არის გარშემოზღვრული... ისე კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე.ი. პირიქითელი, სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთს ალაგს გარდა, სრულიათ გაუვალი...“

„ამ ადგილას, დვალეთი საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.“

„ძველთაგანვე... საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ სამძღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII საუკუნითგან მიექცია და პოლიტიკურადაც მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებელის დროს მოიკიდა (ცხოვრება მეფისა დავითისი, გვ. 301, ქართველი ერის ისტორია II, 515).

შემდეგშიც: –

„საქართველოს პოლიტიკურ დაუძლურების დროსაც – XVIII საუკუნის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ვახუშტის მოწმობით: –

„მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა“ (გეოგრაფია, 460).

„ვახტანგ VI იყო ის მეფე, რომელმაც საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვრის ეს მონაპირე კუთხე... 1711 წელს ჯარითურთ შემოიარა, შევიდა შიგ, „ჩავლო ზრამაგა... შემოვლო ჟღელის-ხევი და გარდმოვლო კედელსა ზედა...“

„მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული.“

„მტკიცედ „დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ.118).

*

დვალეთის აღმოსავლეთით – თრუსოს და ხევის საზღვარია; „მერმე მყინვარის კავკასი და არხოტის კავკასი, რომელნი ძენან სამხრიდან ჩრდილოდ და სწყდების ხევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა...“

„სამხრით მზღვრის კავკასი ხევის ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-საბძელამდე... ზეკარ-კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიან შორისი კავკასნი... ჩრდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი...“

„დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭისა და ჟღელეს შორისი... მერმე ბასიანისა და სვანეთს შორისი“ (ვახუშტი, 428-430).

*

„ეხლანდელს რუსულს საგეოგრაფიო რუკებზე მიღებული სახელები რომ ვიხმაროთ, მაშინ დვალეთის სამზღვარი ასე გვეხატება: ჩრდილოეთით ადაი-ხოხითგან (= ქართულ ხოხის მთას) ხაზი მიდის აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ არხონამდის (= ქართულ არხოტს), ხოლო დასავლეთით ამავე ადაი-ხოხის მწვერვალითგან ხაზი სამხრეთისაკენ მიდის ქედ-ქედ მწვერვალ ყაზი-ხოხამდის. შემდეგ სამხრეთის სამზღვარი იწყობა ამ ადგილითგან და ქედ-ქედ მიდის – საუხოხზე, ხალიწაზე, ზეკარზე, ბრუტსაბძელზე, ხოხზე, შემდეგ როქზე არხონამდის...“ (ივ. ჯავახიშვილი).

*

„დვალეთი ძველადაც და ეხლაც რამდენიმე ხეობად იყოფებოდა: კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ, ზახად“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 428).

მასზე „გარდავლენან გზანი დიგორსა და გზანი ვალაგირსა და ფაიქომსა“ (გეოგრაფია, 444).

სადაც კასრის ხეობა „მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა... გლოლსა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა“: –

ყოფილა „კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი მდინარესა ზედა.“

ეს კარიბჭე... საქართველოს „მეფეთაგან ქმნული“ ყოფილა იმ მიზნით, რომ: –

„არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი.“

„არს ხეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი“ (იქვე, გვ. 444).

*

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, დვალეთს საქართველოსთან – პოლიტიკურის გარდა, სარწმუნოებრივი და კულტურული კავშირიც ჰქონდა: –

ქრისტიანობა – იქ, ქართველი მქადაგებლების გავრცელებული იყო.

ეკლესიის ნანგრევებს (მაგალითად, როქის ხეობაში), ეხლაც ეტყობა ქართული ასომთავრული წარწერები.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: –

ამ ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ „სამწყსონი ნიქოზლისანი“ (გეოგრაფია 434).

XVIII საუკუნის დამდეგს – იქ, კიდევ ბლომად ყოფილა „ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი“ – საქართველოს „მეფეთგან ნაშენნი.“

ამ ძეგლების შესახებ თქმულებები ყოფილა და როგორც ბატონიშვილი გვამცნობს: –

„უმეტეს იტყვიან... თამარ მეფისაგან“ აგებულად (იქვე, 438)...

*

ივ. ჯავახიშვილის ცნობით: –

„დვალეთის აღმოსავლეთით საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედზე მიდის... დარიალის ხეობასთან... ქედს იქით გადადიოდა და უფრო ჩრდილოეთით იყო წაწეული.“

„მისაბჯენ ციხედ ჰქონდა „გორის ციხე, ფრიად ძველი, ძველებურ წესზე აგებული, კოშკებით შემკული სიმაგრე, რომელიც მდინარე თერგის სათავის მიდამოებში მთებში მდებარეობდა.“

„ეხლანდელ რუკებზე ამგვარი გეოგრაფიული სახელი არ არის აღნიშნული.“

„ამის გამო, ამ ციხის მდებარეობაც გამოურკვეველი რჩება“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919 წელი).

*

დვალეთი – ეკონომიურადაც საქართველოსთან ყოფილა დაკავშირებული: –

„მარილს, ცხვრის ტყავს, სვიას და სხვა სახმარს, რასაც-კი თავიანთ ცივს ქვეყანაში ვერ შოულობდნენ... ქართლითგან და რაჭითგან ზიდავდნენ (ვახუშტი, გეოგრაფია, 438).

*

როგორც ივ. ჯავახიშვილი გვამცნობს: –

„ამჟამად, ამ კუთხეს არდონის, ანუ ნარდონის ქვაბ-ხეობა ეწოდება.“

„იგი ყოველმხრივ გარშემოზღუდულია და ჩრდილოეთისკენ მხოლოდ ერთადერთი გასავალი აქვს.“

საქართველოსთან კი, მრავალრიცხოვანი გზებით, სხვადასხვა მხრით 11 გარდმოსავალით არის დაკავშირებული.

*

„ზემოაღნიშნულ მოსამზღვრე ადგილითგან მოყოლებული საქართველოს სამზღვარი, მდინარე ქისტურას ხეობის გაყოლებით, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევდა და კვლავ კავკასიონის უღელტეხილის მთავარს ქედს აღწევდა...“

„შემდეგ, მუდამ – სწორედ ამ მთავარ უღელტეხილს ქედ-ქედ მიდიოდა...“

„იმგვარადვე, როგორც XIX საუკუნეშიაც, რუსთა მფლობელობის დროს, აღმოსავლეთ საქართველოს ტფილისის გუბერნიის სამზღვარი იყო მოხაზული“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919 წელი).

XIX საუკუნეშიც – თავდაპირველად, ეს ხეობა ტფილისის გუბერნიის საზღვრებში იყო მოქცეული და მთიულეთის ოლქს ეკუთვნოდა.

შემდგომში – რუსეთის მთავრობამ, დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა საქართ-

ველოს (1859 წელს) ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა...

რუსეთის მიერ მითვისებული საქართველოს ეს ისტორიული კუთხე – მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს – დარიალის ხეობის და მამისონის უღელტეხილს შორის არსებულ ტერიტორიას – რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

დვალეთის შემადგენლობაში იყო: – კასრის ხევი, ზარმაგას, ჟღელეს, ნარას, ზროგოს და ზახას ხეობები – მდინარე არდონის, ფიაგდონის და გიზელდონის აუზების ზემო ნაწილი.

იქ არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ჩვენამდე მოაღწია აღნიშნულ მდინარეთა სათავეებში განთავსებულმა სიმაგრეებმა: – კასრის კარმა და ხილკამ; ზროგოსა და მამისონის (ჟღელეს) ხეობებში არსებულმა ქრისტიანული სალოცავების ნანგრევებმა და სხვა ნაგებობებმა.

კასრის კარი – ანუ, ქვითკირის და კლდისაგან შექმნილი ზღუდე, იმ ერთადერთ გზას კეტავდა, რომლითაც ჩრდილოეთიდან იყო შესაძლებელი – დვალეთში შეღწევა.

*

საქართველოს მთავრობა, საუკუნეთა განმავლობაში, დვალეთს – „ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და ამის გამო, ფხიზელ დარაჯად უდგა.“

„საგანგებოდ – არდონის გასავალთან ზღუდეც-კი ააგო, რომ თუ საჭირო იქმნებოდა – ამ სახიფათო გზის დახშვა ადვილად შესძლებოდა...“

„უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას: – რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს.“

„მაშინ ამ ადგილას საქართველოს სახელმწიფო საზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც ხოხის მთას (ადაი ხოხ) და არხოტის მთას (არხონს) შუა გაივლება...“

ყოველივე ზემოაღნიშნულს – დიდი ივანე ჯავახიშვილი 1919 წელს აღნიშნავდა...

სად იყო პატრონი!

„თრუსოს ქვეყანა“

კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე – მთავარ წყალგამყოფ ქედსა და ხოხის ქედს შორის მდებარეობდა, თერგის ზემო წელში.

აღმოსავლეთით – ალმასიანი და კობი ესაზღვრებოდა; სამხრეთით, მაღრან-დვალეთი და ღუდა; დასავლეთიდან – დვალეთის ნარა-მამისონის ქვაბული და ზახას ხეობა; ჩრდილოეთით – ოსეთი.

ხეობის სათავეში, საიდანაც გზა მდ. არდონის ხეობაში (ოსეთში) გადადის, მდებარეობდა თრუსოს უკიდურესი სოფელი – რესი;

ხეობის ქვედა (ბოლო) პუნქტი იყო სოფელი ნოგ-ყაუ (ანუ, ახალსოფელი).

ვახუშტი ბატონიშვილის (1696–1757 წ.წ.) ცნობით: –

მდინარე თერგი „გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და მაღრანდვალეთისა შუათს...“

„დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე.“

„ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ხევად.“

„აღმოსავლით აქუს ხევი...“

„დასავლით ზახა და მაღრანდვალეთი...“

„სამხრით მთიულეთი, ჩრდილოთ ქურთაული და მოზღუდვილ არს კავკასით, თვინიერ ხევიდამ.“

„მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი.“

*

წანარების ქართველური ტომის კახეთის მთისწინეთში გადასახლების შემდეგ (სავარაუდოდ, XIII ს-დან), თრუსოს ხეობაც – მათმა მონათესავე მთიელებმა – დვალებმა დაიკავეს.

მათი დვალეთიდან და თრუსოს ხეობიდან აყრა, თემურ-ლენგის შემოსევების დროს დაიწყო.

ქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა (ძირითადად დვალებმა), თითქმის, მთლიანად ხევში მოიყარა თავი...

დროთა განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც გადაინაცვლეს.

აღნიშნულის პარალელურად – დვალეთსა და თრუსოში ჩამოსახლება დაიწყო, შუა აზიიდან ჩრდილო კავკასიაში მოღწეულმა ოსურმა მოსახლეობამ – რომელმაც დიდი და ხანგრძლივი გზა განვლო, მანამ კავკასიის მთებში შემოაღწევდა.

მათი მიგრაცია დაემთხვა – ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის და დვალეთზე ქართული სამეფო კარის გავლენის შესუსტებას.

ამით ისარგებლეს ჩრდილო კავკასიის მთიან ხეობებში ჩასახლებულ-დაბანაკებულმა ოსებმა: –

ხშირი თავდასხმებით, მეკობრეობით, ლაშქრობებით – დვალეთსა და თრუსოში შემორჩენილ ქართველებს აიძულებდნენ – თავიანთი საცხოვრისი მიეტოვებინათ.

(მონღოლთა შემოსევებს გადარჩენილი დვალები, მკაცრი კლიმატური პირობების გამოც ტოვებდნენ – თავიანთი მამა-პაპის ადგილ-სამყოფელს)

თრუსოში – ოსების მასობრივი ჩამოსახლება, XVI საუკუნიდან დაიწყო და XIX ს-ის ბოლომდე გაგრძელდა.

(XVII ს-ის დასაწყისში, დვალეთის მოურავი ყოფილა გიორგი სააკაძე, რომელიც ამ თანამდებობას თბილისის და ცხინვალის მოურავობასთან ათავსებდა)

*

„თრუსოს ქვეყანა“ რამდენიმე დასახლებას მოიცავდა (კეტრისს, ქვემო და ზემო დესის, ცოცოლთას, აბანოს, ზაკაგორს, კართსოფელს, ბურმასიგს, გიმარას, სუათისს, გუსალთას, ტეფს...).

თერგის ორივე ნაპირას მდებარე – მთის ფერდობებზე შეყუჟულ სოფლებთან, „თითქოს მწვანე კაბაზე ნაირნაირი საკერებლები დაუკერებიათო, ისე იყო მიფანტულ-მოფანტული პატარ-პატარა ყანები: ქერის, ბარდის, კარტოფილისა და ზოგან დოლის პურისა...“ (ნ. კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი,“ თბილისი, 1971 წ.).

პატარ-პატარა – ადრე, მჭიდროდ დასახლებულმა ამ სოფლებმა, თავიანთი ბანიანი სახლებით, ძველი უბნებითა და თავდაცვითი ნაგებობებით – ბევრად უკეთესად შეინარჩუნეს ისტორიული ელფერი, ვიდრე ხევის უფრო მეტად განახლებულმა დასახლებებმა.

კულტურის საოცარი ძეგლებია შემორჩენილი: – აბანოში, სუათისში...

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლომთაგორის სიახლოვეს – მაღალ კლდეზე მდგარი მთავარანგელოზის სახელობის ბაზილიკური ეკლესია, რომელიც განვითარებული შუასაუკუნეებით თარიღდება.

მას შემდეგ, რაც თრუსო ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული ოსების სამოსახლო არეალად იქცა (XVII ს-ის შუა პერიოდიდან) – დვალების ისტორიული ძეგლები მათ დაისაკუთრეს.

„ქვათა ღაღადი“ ეჭვგარეშე მოწმობს რომ: –

თრუსოს ოსებამდელი მოსახლეობა ქართველი მთიელები – დვალები, იყვნენ;

ადრეული ხანის იქაური ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების უდიდესი ნაწილი – მათ საკუთრებას წარმოადგენს.

ბევრ სოფელში (ქეთრისში, აბანოში და სხვ.) დღემდეა შემორჩენილი საფლავის ქვები – ქართულ წარწერებით.

უფრო მოგვიანებით – ოსებმა „მნის ქვეყანა“ და ხევის სოფლებიც დაიკავეს (შევარდენი, ოქროყანა, ალმასიანი, კობი, უხათი...).

მათი მიგრაციის შესაბამისად იცვლებოდა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.

დვალეთში – თრუსოს და „მნის ქვეყნებში“ აბორიგენი მოსახლეობის ისედაც მცირე ნაწილი, ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში – თითქმის, მთლიანად გაოსდა...

ოსები – თანდათან, უფრო მეტად ავიწროებდნენ ქართველებს;

მათ ასიმილაციას ახდენდნენ...

დიდი როლი იქონია ოს ქალებზე ქორწინებამ;

დედები – შვილებს ოსურად ესაუბრებოდნენ.

*

საუკუნეების განმავლობაში, დვალეთიდან ხევში გადმოსახლდნენ: –

სტეფანწმინდელი ვალიშვილები და ვალიევები (ძირად – დვალები, დვალიშვილები).

დვალეთიდან ხევში მიგრაციის თრუსოს გზა განვლეს ხურთისში მცხოვრებმა ჩოჩოშვილებმა.

თრუსოდან მოვიდნენ: – ითონიშვილები, ზილინაშვილები, ქესაევ-კესაევ-ქესაურები და სხვ.

ძველი თრუსოელები არიან ფაჯიშვილები.

თრუსოში მკვიდრობდნენ: – ზაქაიძე-ზაგაშვილები, ბაბაშვილები, არჯინაშვილები, ბადაშვილები, კობიაშვილები, ტუჩაშვილები...

ძირად ქართველებად მიაჩნიათ თავი ქასოევებს და სუხიევებს

(ადრინდელ გვარებად ქასოშვილსა და სუხიშვილს ასახელებენ).

*

დღეს – თრუსო მოსახლეობისგან დაცლილია...

ხეობაში, სადაც გაუსაძლისი ზამთარი იცის, აღარავინ ცხოვრობს.

ოსი მკვლევარების ნაწილი, მცდარი „მეცნიერული“ დასკვნებით – ქართული ისტორიული მიწების მისაკუთრებას ცდილობს.

წარსული დიდების ნაშთებს ჟამთა სიავე დაუნდობლად ანადგურებს.

თრუსოს თერგის მარჯვენა სანაპირო

გავუყვეთ თერგის მარჯვენა სანაპიროს – ქვემოდან ზემოთ, მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.

შევჩერდეთ ძველთაძველ ნასოფლარებთან.

ნოგაყუ (ნავაკევი)

თრუსოს ხეობა იწყება იქ – სადაც მნისწყალი თერგს ერთვის.

პირველი ნასახლარია ნოგაყუ – ზ.დ. 1980 მ-ზე.

ძველი ქართული სოფლის, ადოს, ნანგრევებზე იყო აღმოცენებული.

ნოგყაუ – ოსებმა შეარქვეს – მათ ენაზე ახალსოფელი.

1831-1832 წლების აღწერებში, ქართული სახელწოდებით – ახალსოფლად, არის მოხსენიებული;

მომდევნო წლებში – ნავაკავად.

*

1769 წლის ივნისში – ადოს მინდორზე, ერეკლე II და გენერალი ტოტლებინი შეხვდნენ ერთმანეთს.

მათი პირველი შეხვედრა, მთიულეთში – სოფელ ხადასთან მოხდა.

ნოგაყუზე გადიოდა საქართველოს ძველი სამხედრო გზის ერთ-ერთი მონაკვეთი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის თანახმად (2008 წელი): –

შუა სოფელში – გზის პირას მდგარი დარბაზული (6X5 მ.) ეკლესია – XVIII-XIX სს მოჯნაზეა აგებული.

ნაშენია სხვადასხვა ფერის დაუმუშავებელი ბაზალტის ქვით (ჭარბობს ღვინისფერი).

სამხრეთის ფასადის კარის გადამხურავ ქვებზე – მარტივი სიმბოლოებია ამოკვეთილი: –

ნახევარრკალი, ხელის მტევანი, ურმის თვალი და გაჭრილი ვაშლი.

ფასადებზე – ჯვრის გამოსახელებები შეიმჩნევა.

ნასოფლარის სამხრეთით მდგარი – ნოგოყუს (გარე) ტაძრის აგების თარიღი უცნობია.

დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს.

ნაშენია რიყის ქვის მშრალი წყობით;

გადახურულია თუნუქაით.

ტაძრის ცენტრში აღმართულია სვეტი, რომელიც სახურავს სცდება და ბოლოვდება ქვის ჯვარით, რომელზეც ზანზალაკებია ჩამოკიდებული („სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორია“, 2018 წელი).

XIX ს-ის აღწერების თანახმად: –

ნოგაყუში (ანუ, ახალსოფელსა და ნავაკევში) სახლობდნენ (ხეობის უფრო ზემოთ მდებარე სოფლებიდან, 1810-1820-იან წლებში ჩამოსახლებული) – აბაევები (აბიაშვილები), აგაევები (აგაშვილები), ოქრიშვილები, ნეფიშვილები, კალოევები (კალოშ-

ვილები), ჯატიევები, ძილიშვილები, ოსიაშვილები და სამოევები (რ. თოფჩიშვილი, თრუსო... 2021 წ.).

კეტრისი (ქეთრისი)

ნოგაყუს ზემოთ, თრუსოს თერგის ორივე მხარეს – განთავსებული იყო სოფ. ქეთრისი, ზ.დ. 2010 მ-ზე.

„იოკონიმი ქეთრისი (1780 წლის საბუთით – ქეთერისი), მიღებულია ქართული სახელწოდებიდან – ქვათეთრისი“ (რ. თოფჩიშვილი).

საბუთებში ძველი და ახალი ქეთრისი სახელდება.

ძველ ქეთრისში – თერგის მარცხენა ნაპირზე მდგარი კოშკი, XVII-XVIII სს განეკუთვნება.

გეგმით კვადრატულია (5,6X5,7 მ.), ექვსსართულიანი (სიმ. 13 მ.);

ნაგებია ფიქლის დიდი ქვებით; გამოყენებულია ტუფის კვადრებიც.

ახალ ქეთრისში – თერგის გაღმა მდგარი მეორე კოშკი – XVII ს-ის II ნახევრით თარიღდება. გეგმით სწორკუთხაა (8,8X8,2 მ.) – ზემოთ შევიწროებული; ნაგებია ნატეხი ქვით. ხუთსართულიანი ყოფილა;

ამჟამად, ძლიერ დაზიანებულია.

სოფლის მთავარი სალოცავის – თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესის კომპლექსი – ორ (ძველ და ახალ) ნაწილად არის გაყოფილი.

*

არქიმანდრიტი იოსების (თავაძის) თაოსნობით, 2010 წელს, კეტრისში დაიწყო წმინდა თორმეტი მოციქულის სახელობის მამათა მონასტრის მშენებლობა.

საგანგებოდ აირჩიეს მოსახლეობისაგან დაცლილი და გავერანებული ადგილი – სოფ. აბანოს მიდამოებში, სადაც, ადრე, აღნიშნული სალოცავი მდგარა („სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორია, 2018 წელი).

დღეს – იქ, წირვა-ლოცვა აღევლინება;

შეიძლება ითქვას რომ: – ერთ-ერთი ის ადგილია თრუსოს ხეობაში, სადაც სიცოცხლე იგრძნობა.

მონასტრის ტერიტორიაზე აღდგენილ იქნა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

2014 წელს – ქეთრისის ახლადდაარსებულ თორმეტი მოციქულის მამათა მონასტრის ეზოში – სოფელ აბანოს ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტრიდან გადაასვენეს, ნაწამები მღვდელის – იოსების, ნეშტი.

*

XIX საუკუნის აღწერებით – კეტრისში, მოხსენიებულნი არიან: –

ჯივიშვილები, ქოქაშვილები (ქოქოევები), გუშაშვილები, ბირთეშვილები, ხამიშაშვილები, თეთრაშვილები, კარგაშვილები ჩალაგიევები (ჩალაგაშვილები), კასაევები (კასაშვილები), ცალაგოვები და კეტოევები (254, I, 1245; 254, III, 1808).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

დვალეთის ზახას ხეობაში მისულ ოსებს – იქ, ქესაევები (ქესაურები) დახვედნენ

– რომლებსაც საერთო წარმომავლობა ჰქონიათ თავად ხერხეულიძეებთან.

ძმების – ქესას და ხერხას შთამომავლები ყოფილან.

ამბობენ რომ: –

ქესაევების (კესაევების) წინაპარი ქესაურები – ზახას ხეობაში შემოჭრილ მოთარეშე ოსებს – თრუსოში გამოექცნენ. მათი ნაწილი – მოგვიანებით, ქსნის ხეობის სოფელ ყანჩავეთში გადასახლდა, სადაც ქართველობა შეინარჩუნეს.

ვალ. ითონიშვილის ვარაუდით: –

ქეთრისის პირველმოსახლენი არიან კოკაევები; მათ შემდეგ მოსულან კესაევები და ბოლოს, ცაგალოვები (თრუსოს ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, ხელნაწერი, 1958 წ.).

გადმოცემის მიხედვით: –

დვალეთიდან (ნარადან) – ქეთრისში მიგრირებული კოკაევები (იგივე კოკაურები) – სამი მონადირე ძმა ყოფილა.

„ტყით შემოსილი ადგილები მოსწონებიათ... და გადმოსახლებულან.“

„მათ მაგალითს მიბაძესო – მტრიანმა კესაევებმა და ცაგალოვებმა (რომლებიც, ასევე, ნარადან არიან მოსულები).

არსებობს აზრი რომ: –

ზემოაღნიშნული სამი გვარი დვალეთიდან თრუსოში მიგრირებულთა პირველი წარმომადგენლობაა.

მათი გაოსება მოხდა გვიან (სავარაუდოდ, XVII ს შუა პერიოდში); მას შემდეგ, რაც ეთნიკური ოსების მასიური მიგრაცია განხორციელდა.

ზემო და ქვემო დესი

მათი ნასახლარები – ზ.დ. 2250 მ-ზე მდებარეობს.

დიდი ალბათობით, იმ ადგილას – სადაც, ი. გულდენშტედტი (XVIII ს-ის ბოლოს) ორ სოფელს – ვალაგდენძეს და დალაგდენძეს მოიხსენიებს.

XIX ს-ის საარქივო მონაცემებით, ორივე ამ დასახლების საერთო სახელწოდება იყო დესი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

სოფლის განაპირას მდებარე საცხოვრებელი კომპლექსი გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება.

მის შემადგენლობაშია – საცხოვრებელი სახლი, საბრძოლო კოშკი და ორი მათი დამაკავშირებელი ნაგებობა.

ნაშენია ნატეხი ქვით და თიხით; ძლიერ დაზიანებულია.

კოშკი გეგმით კვადრატულია (6,15X6,25 მ.), ოთხსართულიანი (სიმ. 10,6 მ.).

პირველ სართულზე – სამალავი ყოფილა; მეორე და მესამე სართულზე – ოჯახის წევრთა თავშესაფარი; მეოთხე – სათავდაცვო და სათვალთვალო დანიშნულების.

სოფლის განაპირას მდგარი წმ. გიორგის ეკლესია (უასტერჯი) XIX საუკუნეს განეკუთვნება.

გეგმით სწორკუთხაა (3,6X3 მ.).

ინტერიერი და ფასადები შელესილი აქვს.

რელიეფის თავისებურების გამო, ყველა ფასადი (აღმოსავლეთის გარდა) – ნაწილობრივ, მიწაშია ჩაფლული.

აღმოსავლეთის ფასადზე, ფრონტონის წვერში – რუსული ზარია ჩამოკიდებული.

XIX ს-ის აღწერებით – დესიში („ახლებურად“ უკვე – დენცეში) სახლობდნენ: –

ხამიცაშვილები (ხამიცოვები), სავდათიევები, ტატაროვები (თათარიშვილები), კაზიევები (კაზიშვილები), კარგიშვილები (კარგიევები), ძიცოშვილები, კორგაევები და სავტალოვები.

სოფლის ძირითადი მკვიდრნი იყვნენ ხამიცაშვილები.

ერეკლე II-ს დროინდელ საბუთში – ისინი, ხამიჩიშვილებად არიან ჩაწერილები. ზემო დესში – ურს-თუალეთიდან, ანუ, მაღრან-დვალეთიდან მოსულან;

კარგიევები და კაზიევები – ქურთათის ხეობიდან არიან მოსულები.

ზემო დესის – მოგვიანებით გამოეყო ქვემო (ქვეით) დესი, სადაც – სალბიევები, მარიკიევები (მარიკიშვილები), ტატაროვები (თათარაშვილები), ხამიჩიევები (ხამიჩაშვილები) და სალბიევები (სალბიშვილები) დასახლდნენ.

1873 წლის აღწერის მიხედვით: –

ქვემო და ზემო დესიში მცხოვრები ყველა გვარი – ქურთათის ხეობის სოფელ ცმიტიდან არის მიგრირებული.

2014 წელს – სოფელში უკვე აღარავინ ცხოვრობდა.

ცოცოლთა (წოწოლთა)

ნასოფლარი – მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე, ზ.დ. 2280 მ-ზე მდებარეობს.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: მისი სახელწოდება – სოფლის უკან მდებარე წოწოლა მთასთან არის დაკავშირებული.

XIX ს-ის აღწერებში – ამ სახელწოდების დასახლება არ ჩანს.

ი. კლაპროტი – მის ტერიტორიაზე მოიხსენიებს სოფ. იცფარს-კაუს: –

„ციცაბო კლდოვან ხეობაში... ხმაურით და ჩანჩქერებით მიექანება მდინარე უცფარს-დონი (თერგის პირველი მარჯვენა შენაკადი, გ.ქ.)“.

„მასზე – თერგიდან 1,5 ვერსზე ძევს, პატარა სოფელი – იცფარს-კაუ, რომელიც ჯანთიათეს გვარს ეკუთვნის“.

1776 წლის საბუთში, ზემოაღნიშნული მოგზაურის მიერ მოხსენიებული დასახლება – სავარაუდოდ, ჩოჩოლის სახელწოდებით არის დაფიქსირებული.

ნასოფლარის შუაგულში – მოსწორებულ ადგილას, XIX ს-ის წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია დგას (7,2X4,7 მ.). გარს აკრავს დაბალი, სწორკუთხა მოხაზულობის გალავანი, რომელიც ნატეხი ქვის მშრალი წყობით არის ნაგები.

რ. თოფჩიშვილის თანახმად: –

სოფელი ბურმასიგი და წოწოლთა წარმოიქმნა – XVIII ს-ის თრუსოში არსებული სოფლის, ყაყიდურის საფუძველზე.

„იქ ცხოვრობდნენ – შემდგომში, ბურმასიგის მკვიდრი თავაევები (თუაევები, თოვაშვილები)...“

1780 წელს – ცოცოლთაში მცხოვრები გვარებიც ყაყიდურის მკვიდრები იყვნენ, კერძოდ: – ჯანტიშვილი (XIX ს-ში ჯანტიევი); ბულაჩაშვილი (XIX ს-ში ბულაცოვი); ქორქაშვილი (XIX ს-ში კორკაევი) და სხვ.

ჯანტიევები დარგავის ხეობიდან მოსულან;

მოგვიანებით, თრუსოდან – ჩრდილო ოსეთში გადასახლდნენ და „თან წაიღეს თავიანთი სოფლის სახელწოდება – კაკიდური (ანუ, ყაყიდური)“.

მაკაევები – ზახას ხეობიდან არიან მიგრირებულები.

მათი წინაპრები XVII-XVIII სს მიჯნაზე, ელიხანოვის გვარს ატარებდნენ (ერთი მათგანი, სახელად ზურაბი – საქართველოს სამეფო კარზე გაზრდილა და ვახტანგ VI-ს გაჰყოლია რუსეთში).

წარმოდგენილი ინფორმაცია დასტურია იმისა, რომ: – თრუსო, რომელიც, XVII ს-ის შუა პერიოდში, ოსებმა მიითვისეს, თავდაპირველად – ქართველებით დასახლებულ საქართველოს რეგიონს წარმოადგენდა – სადაც ქართველი მთიელები, დვალები, მკვიდრობდნენ.

XIX საუკუნის აღწერების თანახმად, წოწოლთაში სახლობდნენ: – ჯანტიევები (ჯანთიშვილები), გულაჩიევები, კორკაევები, ქუძიევები, ბულაცაშვილები (ბულაცოვები), თოვაშვილები, დაურიშვილები, მაკაშვილები (მაკაევები), ნაორიევები, დავროვები, მახოევები, ტაკაევები და კოსკოვები.

თრუსოს თერგის მარცხენა სანაპირო

სოფელი აბანო

ამჟამად ნასოფლარი – სოფ. აბანო, თრუსოს ხეობის ერთ-ერთი უძველესი დასახლება იყო – ზ.დ. 2160 მ-ზე.

სახელწოდებას უკავშირებენ იქ არსებულ თერმიულ წყლებს.

მასზე გადიოდა ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განშტოება და – როგორც თრუსოს ხეობის ფაქტობრივი ცენტრი, შუა საუკუნეებში, სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების პუნქტს წარმოადგენდა.

XIV ს-დან – ქსნის ერისთავებს დაქვემდებარებაში იყო;

XVI-XVIII სს-ში – არაგვის ერისთავებს ემორჩილებოდა.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): – სოფლის განაპირას მდგარი კოშკების კომპლექსი – XVII ს-ის II ნახევრით და XVIII ს-ის დასაწყისით თარიღდება. სამი კოშკია, რომელთა სილუეტიც – მაღალი მთების ფონზე, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

სამხრეთ-დასავლეთ მდგარი – ხუთსართულიანი (სიმ. 20 მ.) კოშკი თავდაცვითი დანიშნულებისა ყოფილა; ნაგებია ნატეხი ქვით.

ჩრდილო-დასავლეთით მდებარე – ოთხსართულიანი (15 მ. სიმაღლის), ერთ დროს, საცხოვრებელი და სათავდაცვო დანიშნულების მქონე კოშკი – ძლიერ დაზიანებულია.

ჩრდილო-აღმისავლეთით მდგარი კოშკისგან (რომელიც საცხოვრებლად არის გადაკეთებული) – მხოლოდ ერთი სართულია შემორჩენილი.

ნასოფლარის მთავარი გზის პირას მდგარი ეკლესია – კარის თაღზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად – 1889 წელს აუშენებიათ. დარბაზულია (12,9X6,4 მ.); ნაგებია ტლანქად დამუშავებული ნარინჯისფერი ტუფის კვადრებით. ძლიერ დაზიანებულია. ინტერიერის დასავლეთ კედელზე – სარკმლის ორივე მხარეს, გამოსახულია მამაკა-

ცის თითო (ცუდად შესრულებული) შარავანდიანი ფიგურა. დასავლეთის სარკმლის გადამხურავ ქვაზე – ფონის ამოღებით, გამოყვანილია მარტივი რელიეფური თავსართი. სარკმლის ზემოთ, წყობაში ჩადგმულია ჯვრის ფორმის ქვა, რომელზეც რელიეფური ჯვარია გამოყვანილი.

ყოფილი სოფლის გზის პირას – ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერია განთავსებული.

როგორც „სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორია“ (2018 წელს) გვამცნობს: – 1820 წლის 25 სექტემბერს – იმ ადგილას, წმინდა გიორგის სახელზე იკურთხა ტაძარი, რომელიც – 1889 წელს, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ განაახლა. სალოცავი ნაგები იყო ტლანქად დამუშავებული ნარინჯისფერი ტუფის კვადრებით და ნატეხი ქვით. დასავლეთის მხრიდან მიშენებული ჰქონდა გალავანი. ტაძრის ბიბლიოთეკა 182 წიგნად ფონდს ითვლიდა – ქართულ და რუსულ ენებზე. 1909 წლიდან – ტაძართან არსებობდა სამრევლო სკოლა.

გადმოცემის თანახმად, სალოცავი – რუსებმა ააფეთქეს.

ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილმა) წმინდა გიორგის ტაძარის ნანგრევები აღადგინა; ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აკურთხა და – იქ, დედათა მონასტერი დააარსა.

ტაძრის ეზოში აღმოჩნდა მღვდელი იოსების საფლავი, რომელიც, 2014 წლის 18 ოქტომბერს, მისი უწმინდესობის კურთხევით გაიხსნა.

გული და სხეული მიცვალებულისა უხრწნელი აღმოჩნდა.

შემოსილი იყო საბერო მანტიით; ხელთ ეპყრა ტრაპეზის ჯვარი.

სახეზე ჰქონდა ძალადობის ნიშნები – ორი ნაიარევი: –

„თვალის არეში ხიშტით მიყენებული ჭრილობა და პირის არეში ტყვიით...“

წამებული მღვდლის ნეშტი სოფელ კეტრისში გადააბრძანეს და წმინდა თორმეტი მოციქულის მამათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

სოფელ აბანოს პირველმოსახლენი ზაქაიძე-ზაგაშვილ-ზაგაკოვები ყოფილან. XVIII ს-დან შეერივნენ მათ ეთნიკური ოსები.

XIX ს-ის აღწერებით – აბანოში სახლობდნენ: –

სირდიევები, ბიზიკოვები (ბიზიკაშვილები), ჩავოლიევები, კარაევები, საპიევები, ცობოლიშვილები, გუდიევები (ადრე, გუდიური, გუდიაურ-გუდიაშვილები, რომლებიც, მოგვიანებით – ოქროყანაში ჩამოსახლდნენ), სათიაშვილები, სისიაშვილები, სონიაშვილები, კორაშვილები, ბიჩინაშვილები, ცაბალოვები და ბიზძიკოვები (სცსსა ფ. 254, აღწ. 1, დოკ. 1245; 254 -3-226-216; 254 -3-1791).

1944 წელს – აბანოში, 20 კომლი სახლობდა.

2014 წლის აღწერით – 3 სული აღირიცხა.

ზაქაგორი (ზაკაგორი, ჟაკაგორი, ჯახაგორი)

თერგის და მდ. სუათისის შესართავთან – მაღალ, ძნელად მისადგომ მთაზე მდებარეობს – აბანოს მიმდებარედ.

ხეობის ერთ-ერთ ძველი დასახლებაა, რომელიც სამეფო კარის კუთვნილებას წარმოადგენდა. განვითარებულ შუა საუკუნეებში, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა თრუსოს ხეობის სათავდაცვო სისტემაში.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): –

დასახლების საცხოვრებელი ბირთვი XIII-XIV სს თარიღდება.

კოშკები – XVII ს-ში უნდა იყოს აგებული.

ნასოფლარი ერთიან გეგმარებით სისტამას წარმოადგენს.

შედგება: – ხუთი საცხოვრებელი უბნის, ერთი კოშკურა სახლის, ორი სათავდაცვო კოშკისა და გალავნისგან.

აღმოსავლეთის უბანი – კომპლექსის საცხოვრებელი ბირთვისგან გამოყოფილია;

მეორე უბანი – მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს;

მესამე – სამხრეთ-დასავლეთით;

მეოთხე – ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია განთავსებული.

მეხუთე – ცენტრალურ მოედანზე გამოდის.

მიჯრით აგებული საცხოვრებელი სახლები რელიეფს მიყვება და – მიმოსვლისათვის, ბანური სახურავების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

მეორე, მესამე და მეხუთე უბნებს შორის – დიდი მოედანია მოქცეული.

მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კოშკურა სახლი დგას;

სამხრეთით და ჩრდილოეთით – თითო კოშკი.

კოშკურა სახლი გეგმით კვადრატულია (7,5X7 მ.).

შემორჩენილი აქვს პირველი სართული და მეორე სართულის ნაწილი.

საცხოვრისი – დასავლეთის მხრიდან აქვს მიშენებული.

მისი მეორე სართულიდან იყო შესაძლებელი – კოშკში მოხვედრა...

სამხრეთით მდგარი კოშკი გეგმით კვადრატულია (6,7X6,7 მ.), ხუთსართულიანი (სიმაღლე 9,5 მ.); ძლიერ დაზიანებულია.

ჩრდილოეთით მდებარე კოშკი – ტრაპეციის ფორმისაა (5X7 მ.); შემორჩენილი აქვს ხუთი სართული (სიმაღლე – 13 მ.)...

ნასოფლარის ტერიტორიაზე მოხვერდა ჩრდილოეთის მხრიდან იყო შესაძლებელი.

დღემდე შემორჩენილია ძველი საურმე გზის ნაწილი – რომელიც გარშემო უვლიდა მთას და გალავნის კარიბჭესთან თავდებოდა.

ზაქაგორი – XVIII ს-ში, მნის სამოურავოში შედიოდა და ქართველებით იყო დასახლებული.

XIX ს-დან ოსების მოძალება-მოჭარბება დაიწყო, მაგრამ – საბოლოოდ, ვერც მათ მოიკიდეს ფეხი.

1778 წელს – იქ, მხოლოდ ორი კომლი სახლობდა: – ქეტოშვილი ბიბო და ბიბიშვილი მიხა.

შემდგომში, ბიბიშვილებიც აღარ ჩანან;

ქეთოშვილი-კეტოშვილები – კეტოევებად იქცნენ.

მათი ზაქაგორში დასახლება XVIII ს-ის შუა პერიოდში მოხდა – ზაგაშვილების ნასახლარზე.

XIX ს-ის აღწერებით – ზაქაგორში, სახლობდნენ: – ქეთიაშვილები, ქეთაშვილები,

ქეთოშვილები, კეტოვები, კეტოევები და ასლანოვები.

XX საუკუნის 50-იან წლებში – დასახლება ნასოფლარად იქცა.

ზაგაშვილების წინაპრები – ზაქის (დვალეთის ზახის) ხეობიდან არიან მოსულები.

აქედან უნდა მოდიოდეს სოფლის სახელწოდებაც – ზაქაგორი (ანუ, ზაგათ გორი).

გადმოცემის თანახმად: –

ზაქაიძე-ზაქაძე-ზაგაშვილ-ზაგაკოვების წინაპარი სამი ძმიდან – ერთი, თრუსოს სოფ. აბანოში დასახლებულა; ორი – ხევის სოფელ გველეთში.

აბანოსა და ზაქაგორში მცხოვრები ზაგაშვილები – დროთა განმავლობაში, სოფ. მნაში ჩამოსახლდნენ;

იქ, დიდხანს იყო შემორჩენილი მათი ნასახლარები;

ყოფილა მათი სასაფლაოც.

(ერთი ვერსიის თანახმად, მათი ნაწილი იქიდან გადასახლდა – სოფელ ცდოში).

მნაში მცხოვრებ ზაგაშვილებს აუშენებიათ „მარიანობის“ სალოცავი, სადაც – ხევში გადასახლების შემდგომაც, კიდევ დიდხანს დადიოდნენ სალოცავად.

ამბობენ რომ: –

მნაში მოგვიანებით დასახლებული ოსები, მათ დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ – როგორც სოფლის ადრინდელ მკვიდრებს და ადგილობრივი სალოცავის ყმებს.

გ. ჯიბლაძის ცნობით: –

„მარიანობის“ ხატში, ხშირი მსვლელობა ჰქონიათ ზაგაშვილების განაყრებს, რომლებსაც – მამის სახელის, კობის და მისი მოდგმის – კობაითის მიხედვით, კობიაშვილების გვარი მიუღიათ (მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1961, გვ. 227).

„მარიანობის“ სალოცავში – ფაჯიშვილები და კობიაშვილები წილდებულები ყოფილან.

XV ს-ში – ზაგაშვილების წინაპრები, უკვე – თერგის ქვემო ხეობაში (გველეთში) არიან დასახლებულები.

დიდი ალბათობით, ისინი შთამომავლები არიან გერგეტის სულთა მატიანეში მოხსენიებული ნაცვალი – ინდო ზაქაძისა, რომელიც საკმაოდ შეძლებული კაცი ყოფილა. წმინდა სამებისთვის შეუწირავს ფანშეტის ჭიელისეული დღენახევრის ყანა – „მეფეთა სიგელით ნაბოძვარი.“

XVIII ს-ის აღწერებში – ზაგაშვილები არც მნაში ჩანან და არც ცდოში (გველეთი – ხევის აღწერებში მოხსენიებული არ არის).

ზაქაიძე-ზაქაძე-ზაგაშვილ-ზაგაკოვების საგა თვალსაჩინო მაგალითია დვალეთსა და თრუსოში მცხოვრები ქართული გვარებისა, რომელთა ნაწილიც – ბედის უკუღმართობით – მათ ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ოსების ეთნიკურ და ენობრივ გარემოში – ნებსით თუ უნებლიედ, იძულებით თუ შერეული ქორწინების შედეგად – გაოსდა.

„ზოგიერთნი“ – დღესაც, თავს ოსებად მიიჩნევენ.

სუათისი (შუატისი, სუატისი)

ზაქაგორის ზემოთ, მდ. სუათისის ხეობაში, ზ.დ. 2320 მ-ზე იყო განთავსებული სოფ. სუათისი.

ნასოფლარის ცენტრში მდგარი კოშკი – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება; გეგმით კვადრატულია (5,3X5,3 მ.), ოთხსართულიანი (სიმ. 12,8 მ.), ნაგებია ნატეხი ქვით.

სოფელის მიმდებარედ წმინდა სამების სამი ეკლესია ფიქსირდება: –

დასავლეთით, მაღალი მთის ფერდობის მცირე დავაკებაზე (ზ.დ. 3150 მ-ზე) მდგარი – სამების ზემო ეკლესია – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება; დარბაზულია (4,2X5,2 მ.); გეგმით პარალელოგრამის ფორმის, ნაგებია ფიქალით. ძლიერ დაზიანებულია.

სამების შუა ეკლესია (3,3X2,6 მ.) სოფლიდან 0,5 კმ-ზე, მთის ფერდობზე განთავსებული; გეგმით სწორკუთხაა; თარიღდება XIX ს-ის II ნახევარით; გადახურულია თუნუქით. სახურავის კეხზე დამაგრებულია თუნუქით შეჭედილი თანამედროვე ჯვარი.

სამების ქვემო ეკლესია – ნასოფლარის განაპირას დგას – მთის ფერდობზე. თარიღდება X-XI სს მიჯნით – დარბაზულია (7,6X5 მ.). ნაგებია ტლანქად დამუშავებული სხვადასხვა ზომის და ფორმის ქვიშაქვის ირეგულარული წყობით. ეკლესიის გადახურვა – მოგვიანებით, შეუცვლიათ; სახურავზე დაშენებული აქვს სამრეკლო.

XIX ს-ის აღწერების მიხედვით, სუათისში სახლობდნენ: –

ბაციშვილები (ბაციევები), კაშაშვილები (კასიევები), ბაჩიევები, ბაგიევები, სამბეგიევები (სამბეგაშვილები), ელოევები (ელოშვილები), ტურბეგოვები, ბოკოევები, ქასოშვილები, ქოსაშვილები, კაზაშვილები, კალმიშვილები, თანდიშვილები და სამბაიოვები.

ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი კასაევი (კაშაშვილი) ყოფილა.

ბაციშვილები (ბაციევები) – მამისონის დვალეთიდან იყვნენ მოსულები.

ელოშვილების 6 კომლი, 1873 წლის აღწერის თანახმად, გორისციხიდან გადმოსახლდა.

2014 წელს – სუათისში აღარავინ ცხოვრობდა.

კართსოფელი (კარატკავი, ყარათყაუ, ადრინდელი ხუცური)

ნასოფლარი – თრუსოს თერგის მარცხენა ნაპირზე – ზ.დ. 2060 მ-ზე მდებარეობს.

უსახელო რუს ორივე მხარეს შემორჩენილი ექვსი (XVII-XVIII სს) კოშკიდან, ოთხი – სოფლის აღმოსავლეთ ნაწილშია განთავსებული; ორი – დასავლეთით.

გადმოცემის თანახმად: – XX ს-ის დასაწყისში, სოფელში ათი საგვარეულო კოშკი მდგარა.

დასახლების ტერიტორიაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული (4,1X5,5 მ.) ეკლესია – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. გადახურულია ფიქალის მოზრდილი ფილებით. შემოვლებული აქვს ხუთკუთხა მოხაზულობის დაბალი (0,7 მ. სიმაღლის) გალავანი.

შუა სოფელში მდგარი კოშკური სახლი XVII საუკუნეს განეკუთვნება. ნაგებია ნატეხი ქვით; შემორჩენილი აქვს ორი სართული.

ნასოფლარის აღმოსავლეთით (1,5 კმ-ზე) – დასახლების თანამოსახელე მდინარის და თერგის შესაყართან (მთის თხემზე) მდგარი – მთავარანგელოზთა სახელობის

ტაძარი (9,5X5,7 მ.) – „სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორიის“ მიხედვით (2018 წელი), X ს-ით თარიღდება.

ნაგებია ფიქალის მოზრდილი ქვებით.

გადმოცემის თანახმად: –

სალოცავის კარის თავზე ქართული წარწერა ყოფილა, რომლის მიხედვით – ტაძრის აგებისას – 330 ფუთი მარილი დაიხარჯა.

XIX ს-ის აღწერებით – კართსოფელში მოხსენიებულნი არიან: – ადეშვილები, აკოევები, კუმალაგაშვილები (შემდგომში – კუმალაგოვები და კუმალაგიევები), კალოშვილები (შემდგომში კალოვები), ურთაშვილები (შემდგომში – ურთაევები და ურტაევები), ბულაჩაშვილები (შემდგომში – ბულაცოვები და ბულაჩიევები), ბუგლაცოვები, ჯუკოშვილები, ქაულიშვილები (რუსული აღწერების მიხედვით, კალუევები), ბეჟაშვილები და კამუევები.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ურთაშვილები (ურთაევები) და კუმალაგაშვილები (კუმალაგოვები) – დარგავსიდან არიან მოსულები;

ბულაცევები – ციმიტიდან (ქურთათის საზოგადოებიდან).

2014 წელს – კართსოფელში, აღარავინ არ ცხოვრობდა.

ბურმასიგი (ბურმასეკი)

ხოხის ქედის სამხრეთი კალთის ძირას მდებარეობს – ზ.დ. 2350 მ-ზე.

ი. გიულდენშტედტი „ბურმახევს“ სახელწოდებით მოიხსენიებს.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): –

სოფელში მდგარი, XVII-XVIII სს-ის საცხოვრებელი კომპლექსი – ერთმანეთისგან თხუთმეტიოდე მეტრით დაშორებული – ორი კოშკის და მათ შორის მიჯრით განლაგებული – სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებისგან შედგება.

აღმოსავლეთით მდგარი კოშკი – თითქმის, მთლიანად დანგრეულია;

დასავლეთით განთავსებული – უკეთესად არის შემორჩენილი; ოთხსართულიანია (სიმ. 12,7 მ.), ნაგებია ნატეხი ქვით. კოშკის წინ – ქვის კედლით შემოფარგლული ეზოა, რომელსაც, ფერდობის დაყოლებაზე მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ესაზღვრება.

როგორც რ. თოფჩიშვილი გვამცნობს: –

„ბურმასიგისა და წოწოლთის გვარებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს ორი სოფელი წარმოიქმნა – XVIII ს-ის თრუსოში არსებული სოფლის, ყაყიდურის (რუსულად – კაკიდურის) საფუძველზე“.

XIX ს-ის აღწერების თანახმად, ბურმასიგში სახლობდნენ: – თავაევები (თუაევები, თოვაშვილები), ურთაევები (ურთაშვილები) და ბერზოევები.

თუაევები – თრუსოში, დვალეთიდან მოსულან.

რუსების შემოსვლამდე, მათი გვარი იყო თვაური.

უფრო ადრე – თავაური.

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, მათი 7 კომლი დვალეთის მამისონის (ჟღელეს) ხეობიდან არის გადმოსახლებული.

თვაურების განაყრებად მიიჩნევიან დვალიშვილები (შემდგომში ვალიშვილები და ვალიევები).

XIX ს-ის აღწერებით – სტეფანწმინდაში ჩანან როგორც ვალიშვილები ისე ვალიევები.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

დვალიშვილი-ვალიშვილების ნაწილი – თრუსოსა და დვალეთში შექმნილ ოსურ ენობრივ გარემოში გაოსდა; ვალიევის გვარზე გადავიდა და ოსეთში გადასახლდა. მათი დიდი ნაწილი დედით ოსი იყო.

ურთაევები – სოფელ ბალთიდან 1860 წლის შემდგომ გადმოსახლებულან ბურმასიგში.

გიმარა (ჯიმარა)

ნასოფლარი – ხოხის ქედის სამხრეთ კალთაზე, თრუსოს თერგის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ზ.დ. 2280 მ-ზე.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): –

გიმარელთა მთავარი სალოცავი – სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ბორცვზე მდგარი – წმინდა გიორგის დარბაზული (4,5X4,8 მ.) ეკლესია, გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ფიქალით. შემოვლებული აქვს დაბალი – სწორკუთხა ფორმის გალავანი.

დასახლების დასავლეთით მდგარი – XVII საუკუნის კოშკი – გეგმით კვადრატულია (5X5 მ.); ნაგებია კლდის დაფლეთილი ქვით. ძლიერ დაზიანებულია.

სოფლის ჩრდილოეთით – ციცაბო კლდის ბაქანზე განთავსებული კოშკი (6X6,4 მ.) – გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება; ნაგებია ფიქალის მოზრდილი ქვებით. შემორჩენილი აქვს ორი სართული.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

სოფ. გიმარას საფუძველჩამყრელები ყოფილან ბეროზაშვილები (შემდგომში – ბერეზოვები).

მოგვიანებით მისულან ბოცოევები.

მათი წინაპარები, ადრე – ბოჩაშვილები ყოფილან.

ბეროზოვები და ბოცოევები – დარგავის ხეობიდან არიან მოსულები – სადაც, 1873 წელს – შესაბამისად, მათი 14 და 7 კომლი სახლობდა.

გიმარაში ცხოვრობდნენ – ბუასალიშვილები, ხოსთუყოშვილები, გუსალაშვილები, ბარსაგიშვილები, კომაშვილები, თორქინაშვილები, ჩაკულიშვილები, ბორიშვილები, ცოცოევები, ბოლოევები და ურთაევები.

2014 წლის აღწერით – გიმარაში აღარავინ ცხოვრობდა

გუსალთა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): –

ნასოფლარის ცენტრში მდგარი ოთხკუთხა (5,25X5 მ.) კოშკი გვიანდელი შუა

საუკუნეებით თარიღდება.

ნაგებია ნატეხი ქვით; შემორჩენილი აქვს მხოლოდ ორი სართული (სიმ. 9,4 მ.).

ტეფე (თეფე, ტეფი)

თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ზ.დ. 2320 მ-ზე.

ნასოფლარში რამდენიმე ციხე-სახლი ფიქსირდება.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): –

ქვემო უბანში მდგარი ციხე-სახლი – კოშკისა და საცხოვრებელი ნაგებობისაგან შედგება. თარიღდება XVII-XVIII სს.

კოშკი (რომელიც კომპლექსის არქიტექტურული დომინანტია) – შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე.

საცხოვრებელი ნაგებობა ორსართულიანია (12X8 მ.).

სოფლის სამხრეთ ნაწილში მდგარი ციხე-სახლი გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება; გეგმით ოთხკუთხაა (7,1X6,5 მ.); ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილი აქვს ორი სართული.

მის აღმოსავლეთით მდგარი ციხე-სახლიდან – მხოლოდ ჩრდილოეთის კედლის ნაწილია შემორჩენილი.

ნასოფლარის განაპირას მდგარი კოშკი – XVII ს-ის II ნახევრით (ან XVIII ს-ის დასაწყისით) თარიღდება.

გეგმით სწორკუთხაა (6,5X6 მ.); ნაგებია ნატეხი ქვით.

დასახლების სამხრეთ ნაწილში, მდ. ტეფნისწყლის და თერგის შესართავთან მდგარი – სოფლის მთავარი სალოცავი, წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია (4,65X3,95 მ.) – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვით. გარს ევლება მშრალი წყობით ნაგები გალავანი.

ტეფეს – გვიანდელი (ოსური) მოსახლეობა აღნიშნულ სალოცავს – ვასტერჯი ძუარს უწოდებდა.

XVIII ს-ის საარქივო მასალებით – ტეფეში, სახლობდნენ: – ხა**თ**იშვილები, ჯანიგიშვილები, თემურიშვილები, ჯაბიაშვილები და ჯილოშვილები.

ამავე პერიოდში – ხევის სოფელ სნოში სახლობდნენ ხარ**თ**იშვილები.

არის თუ არა რაიმე კავშირი სნოველ ხა**რ**თიშვილებსა და ტეფელ ხა**თ**იშვილებს შორის – ჩემთვის უცნობია.

XIX ს-ის აღწერებით – ტეფეში მოხსენიებულნი არიან: – კალაგიევები (კალაგიშვილები), კალოევები (კალოშვილები), ხუბიევები, ხობეგიევები და გეგიევები.

ძირითადი გვარი – კალაგოვი (კალაგიევი, კალაგიშვილი) ყოფილა.

გადმოცემის თანახმად: –

მათი გვარს საფუძველჩამყრელი, ვინმე კალაგა, ჩრდილო კავკასიიდან იყო მიგრირებული.

კალოშვილი-კალოევები ზახას ხეობიდან მოსულან.

2014 წლის აღწერით – ტეფეში, აღარავინ არ ცხოვრობდა.

რესი (რეში) და სივრათა (სივრატა)

ნასოფლარი – თრუსოს თერგის მარცხენა მხარეს მდებარეობს – ზ.დ. 2400 მ-ზე.

XVII ს-ის II ნახევარსა და XVIII ს-ის დასაწყისში – არაგვის ერისთავების ხელდებული იყო. საერისთაოს გაუქმების შემდეგ, მნის სამოურავოში გაერთიანდა როგორც სამეფო სოფელი.

უძველესი დროიდან, ქართველებით იყო დასახლებული.

XVIII ს-ის საარქივო მონაცემების მიხედვით: – ქაშიაშვილები, გაბულაშვილები (შემდგომში – გაბულიევ-გაბულოვები), ჯაკაშვილები, კაკოიშვილები და ქალამნიშვილები (შემდგომში – კაიმონოვები, კაიმანოვები, კამაევები) – სახლობდნენ.

XIX ს-ის აღწერებით მოხსენიებულნი არიან: – კამაევები, კუდონიევები, დონალოევები, კამლანიევები (კალიმანაშვილები), გაბულიევები (გაბულაშვილები), კუსაშვილები, კორძისაშვილები, გოგიშვილები, ჯაკაზაშვილები, კუსაევები, კაიმანოვები, კუზიევები, ზოზიევები, ზაზიევები და ზაკაევები.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ძირითადი გვარი კუსაევი იყო (1886 წელს აღწერით – მათი 9 კომლი სახლობდა). ალაგირის სოფელ დაგომიდან (ციმიტიდან) იყვნენ მიგრირებულები. გადმოსახლების მიზეზი მიწების უკმარისობა ყოფილა.

კალმანოვები ქურთათის ხეობიდან მოსულან;

კუძიევები – დარგავის ხეობიდან (უნალიდან).

ზაკაევები – გაოსებული ზაგაშვილები არიან.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): –

რესელთა ყოფილი სალოცავი, წმინდა ბასილის სახელობის ეკლესია – ნასოფლარის განაპირას მდებარე მთის ფერდობზეა განთავსებული. გეგმით სწორკუთხა – ფიქალით ნაშენი ნაგებობაა (3,6X4 მ.) – უაფსიდო. XVIII-XIX სს მიჯნაზეა აგებული. შემოვლებული ჰქონდა დაბალი გალავანი.

2014 წლის აღწერით – რესიში, აღარავინ ცხოვრობდა.

*

სოფელი **სივრათა (სივრატა, სივირაუტა),** რესის მიმდებარედ ყოფილა განთავსებული.

ფ. გუტნოვი თერგის სათავის პირველ სოფლად მოიხსენიებს.

XIX საუკუნის აღწერებით – იქ, ქოქოშვილები (ქოქოევები), კალაგიშვილები (კალაგოვები) და ფალიშვილები სახლობდნენ.

„მნის ქვეყანა“

„მნის ქვეყანა“, ადრინდელ შუა საუკუნეებში, იმდენად ფართე ტერიტორიას მოიცავდა რომ: – მისი სახელწოდება სცილდებოდა ერთი სოფლის ფარგლებს;

მის შემადგენლობაში იყო – შევარდენი, ოქროყანა, ადო და – ალბათ, სხვა – მიწის პირთაგან აღგვილი, დასახლებებსაც.

საისტორიო წყაროების თანახმად: –

ხალხმრავალი, ეკონომიკურად დაწინაურებული და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, კარგად ორგანიზებული „ქვეყანა“ იყო – სადაც ციხე-სიმაგრეთა მთელი სისტემა არსებობდა.

მაშინ – „თრუსოელნი და მნაელნი“ (ანუ, ქართული ტომები) ერთმანეთთან დაპირისპირებულნი ყოფილან.

მნის ხეობელნი – თავს თრუსოელებად არ თვლიდნენ.

მათ შორის არსებულ მტრობას – სათავისოდ იყენებდნენ ქსნის ერისთავები.

ისინი „ორივე ქვეყნის“ დამონება-დაყმევებას; მნის და თრუსოს ხეობებზე საკუთარი გავლენის გავრცელებას ცდილობენ.

XIV საუკუნეში – თრუსოელნი შედარებით მცირერიცხოვანნი ჩანან, მნაველებთან შედარებით.

როგორც „ძეგლის დება“ გვამცნობს: –

ისინი საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდებიან მეზობლებს და ქსნის ერისთავს, გირშელ III-ს (1348-1400 წ.წ.), სთხოვენ დახმარებას.

„მოეგებნეს თრუსოელნი (გირშელს) მრავლითა ძღვენითა და ერთგულების ჩვენებითა მას და ევედრნეს შველად მტერთა მათთა ზედა მნას...“

„ერისთავმან უბრძანა მნაველთ მოსვლად წინაშე მისსა...“

„არა ინებეს მათ, რამეთუ თქუეს: არა მეშინის შენგან და ვერც რას შემძლებელ ხარ ვნებად ჩუენდა“-ო.

„განირისხა ვირშელი და შეუზახა ლაშქარი თვისი.“

„დასცეს საყვირსა და მოეტევნეს ვითარცა მხეცნი და მოადგეს შუა სამხრის ციხეთა მნისათა და იყო ბრძოლა სასტიკი, რამეთუ კაცნი იგი იყუნეს მარჯუედ მბრძოლნი – მხნენი და გოლიათნი... აბჯარსრულნი...“

„იყო სიმრავლე ისარისაი, ვითარცა წვიმა ხშირი... სიმრავლე ქვისაი ვითარცა სეტყვა და საგორავი აურაცხელი...“

„მაშინ მოიკლეს სიმრავლითა ისრითაითა თავნი და გოლიათნი ქუეყნისა მათისანი: სენღუ, გარეჯან... ამსალსა ზახილსა და ხმობასა შინა იცნობებოდა ხმაი ვირშელისა ვითარცა ხმაი ლომისაი.“

„შეტეხეს კარები და შეიბყრეს ყოველი მბრძოლი... მოიყვანეს წინაშე ერისთავისა... დაწვეს და დაართვივნეს ცხენი და სოფელნი მნისანი.“

„ესმა მოხევეთა... მივიდეს ბრძოლად და ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქრისაი, შიშით დაიმალნეს.“

„უკუმოდგა ერისთავი კობს და მოიღეს მოხევეთა სიმრავლე ძღვენისაი.“

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – მნის ხეობის სიღრმეში განთავსებული დასახლებები (შავარდენი, ქვემო და ზემო ოქროყანა, მნა და – ალბათ, ოდესღაც არსებული სხვა პუნქტებიც) – ტრადიციული ქართული სოფლები იყო – სადაც, XVIII-XIX სს მიჯნამდე, მხოლოდ ქართველები სახლობდნენ.

მუდმივი საადგილმამულო დავა არსებობდა – დვალეთსა და „მნის ქვეყანას“ შორის

დვალები და ოსებიც დაპირისპირებული მხარეები იყვნენ.

შევარდენი

„მნის ქვეყანა“ – მდინარე თერგის და მნისწყალის შესართავიდან იწყებოდა;

იქ – სადაც, ზ.დ. 2020 მ-ის სიმაღლეზე, სოფელი შევარდენი იყო განთავსებული.

მოსახლეობა – ოდითგან, ქართული ყოფილა.

ოსები – ისევე როგორც ამ ხეობის სხვა მიტოვებულ სოფლებში, XX ს-ის დასაწყისში დასახლდნენ.

XIX ს-ის აღწერების მიხედვით – შევარდენში, სახლობდნენ: –

ბაბეშვილები, ბიბიშვილები, არჯინაშვილები (არჯანოვები), მამიევები, ქოქაევები (ქოქაშვილები), საფიშვილები, შავლოხაშვილები (შავლოხოვები), კოკოევები, საპიევები და სალაევები.

აქვს თუ არა რაიმე საერთო შევარდენში მცხოვრებ შავლოხაშვილ-შავლოხოვებს – სტეფანწმინდელ შავხალაშვილ-ფიცხელაურებთან – ჩემთვის უცნობია.

შევარდენის პირველმოსახლენი – დიდი ალბათობით, ბაბეშვილები და არჯინაშვილები ყოფილან.

1774 წლის აღწერის დავთრებში – ისინი, ბაბეურებად და არჯინაულებად არიან ჩაწერილები (მოგვიანებით, ხევში – ხურთისსა და სიონში გადასახლდნენ)

მათი ნაწილი, ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში გაოსდა – რაშიც დიდი გავლენა იქონია, ოს ქალებზე ქორწინებამ.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, „მნის ქვეყანაში“ – არჯინიშვილთა წინაპრები ქართლის სოფ ჭოპორტიდან მისულან; თავდაპირველად უცხოვრიათ ქვემო ოქროყანაში – სადაც დღემდე შემორჩენილია – „არჯინათ-ციხის“ ნანგრევები.

მამიევები – დვალეთის ნარას ხეობიდან არიან მიგრირებულები;

გაოსებამდე მათი გვარი მამიაური იყო.

საპიევები – ქურთათის ხეობიდან მოსულან;

1950-იან წლებში, ისინი – ხუთ თაობის ითვლიდნენ.

შევარდენში მათ არჯინაშვილები და მამიაურები დახვდნენ.

სოფელი – 2002 წლიდან დაცარიელდა.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

შევარდენის თავში, მთის ფერდობზე მდგარი მაცხოვრის დარბაზული ეკლესია (4,3X4,9 მ.) გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ფიქლის მოზრდილი ქვებით.

სალოცავიდან სამიოდე მეტრის დაშორებით, ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე დგას – ბაზალტის მოზრდილი ქვებით ნაგები, კუბური ფორმის სამრეკლო. მის ცენტრში – ხის სვეტია, რომელზეც ზარის ჩამოსაკიდებელი ძელია გადებული.

სახურავის წვერზე აღმართულია ქვის ჯვარი, რომელზეც რუსული წარწერის კვალია შემორჩენილი.

ეკლესიის ტერიტორია დაბალი გალავანით იყო შემოსაზღვრული.

*

საველ მარსაგიშვილის ცნობით: –

ცნობილი მხატვარის, ლადო გუდიაშვილს (დედით – ითონიშვილი) მისი ახ-

ლობლებისათვის უთქვამს: – ჩემი წინაპრები სოფ. შევარდენიდან წარმომავლობენო.

ქვემო ოქროყანა

ნასოფლარი – თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ზ.დ. 2000 მ-ზე.

მის ზემოთ, ხეობა – თანდათან ვიწროვდება.

1802 წელს – ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულო სოფლების ჩამონათვალშია მოხსენიებული;

სახლობდა 15 კომლი (89 სული).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

მნაისისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდგარი კოშკი – XVII ს-ით თარიღდება. გეგმით ოთხკუთხაა (6,8X6,6 მ.). კედლების ქვედა ნაწილი დიდი ქვებით არის ნაშენი (ზემოთ – ქვის ზომები მცირდება და შესაბამისად, მატულობს სართულების ფართი).

შემორჩენილი აქვს ოთხი სართული.

სოფლის განაპირას მდგარი ციხე-სახლი (9,45X7,9 მ.), გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ოთხსართულიანია (სიმ. 8,5 მ.); ნაგებია ნატეხი ქვის მშრალი წყობით.

ძლიერ დაზიანებულია.

XIX ს-ის აღწერების მიხედვით – ოქროყანაში სახლობდნენ: – ზაგაშვილები და ზაგაკოვები, არჯინაშვილები და არჯიმოვები, ქოქაევები (ადრე, ქორქაშვილები), გუდიევები (ადრე გუდაშვილები), ბიბუხიევები, ზაკაკიშვილები, დუდიევები, ბიდიშვილები, ზაჩევები, ძაგაგოვები, ბიბილოვები, ბიდაგოვები და კაკაევები.

ქართველი მოსახლეობის ნაწილი, ოსებად ჩაუწერიათ – მერე, იმავე ხელით გადაუშლიათ და მიუწერიათ – ქართველი.

სოფლის ძირითადი მკვიდრნი – ზაგაშვილები და გუდიურები იყვნენ, რომლებიც – რუსული აღწერის დავთრებში, ზაგაკოვებად და გუდიევებად არიან ჩაწერილები. მათი ნაწილის გაოსება, ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში მოხვედრამ და – უპირატესად, ოსის ქალებზე ქორწინებამ განაპირობა

ფ. გუტნოვის ცნობით: –

გუდიევები, რომლებიც XVIII ს-ში გუდიაურები იყვნენ, სოფელ ოქროყანაში აბანოდან არიან ჩამოსახლებულნი.

ზემო ოქროყანა

მნაისისწყალის და თერგის შესართავთან მდებარეობდა, თერგის მარცხენა მხარეს – ზ.დ. 2080 მ-ზე.

XVII ს-ში – მნის ხეობისთვის სათავდცვო მნიშვნელობის დასახლება იყო.

ოსები – XIX-XX სს-ის მოჯნაზე დასახლდნენ.

მნაისისწყალის მარცხენა ნაპირზე მდგარი ოთხი კოშკიდან – სამი, თითქმის, მთლიანად დანგრეულია.

მეოთხე – რომელიც სამხრეთით მდებარეობს, XVII ს-ით თარიღდება. ნაგებია მოწითალო ფერის ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია; შემორჩენილი აქვს ოთხი

სართული და მეხუთე სართულის მცირე ნაწილი.

სოფლის ეკლესია – ქვის წყობით გამაგრებულ (1,8 მ. სიმაღლის) ხელოვნურ ბაქანზე დგას. XIX ს-ის დასასრულს განეკუთვნება; გეგმით სწორკუთხაა (3,6X5 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით.

შუა სოფელში მდგარი საცხოვრებელი კომპლექსი (20X26 მ.) – XIX საუკუნით თარიღდება. მის შემადგენლობაშია: – საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა და ეზო.

სახლი სამსართულიანია, ტერასულ-ბანიანი; ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. წყობა მშრალია; პირველი და მეორე სართულის ნაწილი გამოკვეთილია კლდეში (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

2014 წელს – ზემო ოქროყანა მოსახლეობისგან დაცლილი იყო; აღარავინ ცხოვრობდა.

მნა

ნასოფლარი – მდ. მნაისისწყალის ნაპირზე მდებარეობს, ზ.დ. 2200 მ-ზე.

შუა საუკუნეებში სამეფო სოფელი იყო; მნის ხეობის (ე.წ. „მნის ქვეყნის“) ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა.

XVIII ს-ის ბოლოს, ხევის შემადგენლობაში შედიოდა;

მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული.

განაგებდა ქართლ-კახეთის მეფეთა მიერ დანიშნული მოურავი.

ჩვენამდე მოაღწია კარგი პროპორციის მქონე სწორკუთხა კოშკის ოთხმა სართულმა. მის პირველ სართულზე დამხმარე სათავსოა; მომდევნო სამი სართულის კედლებში – სარკმელები, სათოფეები და ნიშებია გამოჭრილი.

ოთხივე სართულზე ვრცელი დარბაზები ფიქსირდება (ალბათ, ოთახებად იყო დაყოფილი).

ფასადებზე რამდენიმე ზოლად არის დაყოლებული თეთრი ქვები.

ნასოფლარის ტერიტორიაზე შემორჩენილი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია – დასახლების ზედა ნაწილში განთავსებული, მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით უნიკალური კოშკური სახლი – რომელიც XVII საუკუნეს განეკუთვნება; ოთხსართულიანია; გეგმით სწორკუთხა (10,3X8,2 მ.); ნაგებია ნატეხი ქვით;

ძლიერ დაზიანებულია.

სოფლის ძველ სასაფლაოზე მდგარი წმ. მარიამის სახელობის დარბაზული ეკლესია (8,5X6 მ.) X-XI სს განეკუთვნება. ნაგებია მოზრდილი ზომის და უსწორმასწორო მოხაზულობის ქვიშაქვით (ზოგიერთი ქვის სიგრძე – 2 მეტრამდეა). სამხრეთიდან გვიანდელი მინაშენი ეკვრის, რომლის შემორჩენილ კედელში გაჭრილ განიერ ღიობში – XIX ს-ის რუსული ზარია ჩამოკიდებული (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

სალოცავის სამხრეთის კედელთან – ორ მოზრდილ ქვაზე დადგმულია – ქვისგან გამოთლილი ორნამენტირებული ჯვარი.

ეკლესიის საძირკველში ნაპოვნია, XV-XVI სს-ში მოჭრილი ბილონური მონეტების განძი (926 მონეტა) – რომელიც XVI ს-ის I ნახევარში უნდა იყოს ჩაფლული.

სოფლის – ერთ დანგრეულ სალოცავში – „ბ. დ. ფურცელაძეს უნახავს XVI ს-ის ორი ხატი: – იესო ქრისტეს ჯვარცმის... ღვთისმშობლის მიძინებისა... XVI საუკუნეს ერთი ხუცური ხელნაწერი დავითნისა – რომელიც ტენისგან სველი და დამპალი ყოფილა“ (გაზეთი დროება, 1883 წელი, № 165).

1774 წლის აღწერით, არაგვის ერისთავის ყმა, ზანდუკელი ოტიას შვილის, გოგიას სამოურავო „ხევის მნაში“ – სახლობდნენ: –

1. ბაბეური კურდღელას შვილი ზარიბეგ და იასე;
2. ბაბეური დავითას შვილი გელა და შარანბალ;
3. ბაბეური ალდათის შვილი მაი და გივი;
4. ბაბეური ბიასის შვილი იასე, თემურა და გივი;
5. ბაბეური ავთანდილის შვილი იამან;
6. ბაბეური ზურას შვილი ზაალ და ადამ;
7. ბაბეური ზაქის შვილი დაო და ბათი;
8. არჯინაური გის შვილი დავით;
9. არჯინაური ელალდის შვილი დათი და ბასილა;
10. არჯინაური ხოსროს შვილი ვახტანგ, დავით და ბერი;
11. არჯინაური თამაზას შვილი ბია და ისე;
12. არჯინაური ქოჩორას შვილი ალიხან და გიორგი;
13. ბადაძე კაცოს შვილი კოზმან და გივი;
14. ბადაძე ზაღაგის შვილი, ნაცვალი დოლა, შავლახ და იოსებ;
15. გუდიაური ბისას შვილი ქემე და გაბილა;
16. გუდიაური ბისას შვილი რევაზ და საამ;
17. ნოქარაული ტიგას შვილი გივი;
18. შუშღიაური მარზაბეგის შვილი მარტია და ბატა;
19. ახღსუაიძე გოდერძის შვილი როსტევან და ნასყიდა;
20. ნასყიდაური ედიშერის შვილი ფეხელა და სედან;
21. ბადილაური პაპუას შვილი ბერი;
22. ვარზოური გაბილას შვილი გიორგი და ფირან;
23. თადიაური ოსიტას შვილი პატარკაც და ზაალ;
24. გუდიაური აზანბეგის ობოლი ჩაღი.

მოხსენიებულია: – ბაბეურების 7 კომლი, არჯინაურების – 5, ბადაძეების – 2, გუდიაურების – 3; ნოქარაულების, შუშღიაურების, ახღსაიძეების, ნასყიდაურების, ბადალაურების, ვარზოურებისა და თადიაურების – თითო-თითო კომლი.

მოსახლეობის 98% -ს ქართული სახელები ჰქონდათ.

1802 წელს შედგენილ – ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულო სოფლების ჩამონათვალში – მნა, ხევის ქართულ დასახლებად არის მოხსენიებული; ცხოვრობდა 5 კომლი (20 სული).

მათი ეთნიკური ცვლა – XVIII-XIX სს მიჯნაზე დაიწყო, როცა მნას ხეობაც ოსურმა მოსახლეობამ დაიკავა; ქართველების ასიმილაცია მოახდინა, გააოსა და მათ საცხოვრისს დაეპატრონა.

XIX ს-ის აღწერების მიხედვით – მნაში სახლობდნენ: – კამაევები, ჯაშაევები, საგიევები, კაზმანოვები, ჩალაგიევები, ლოკაევები, ჩაბალიევები, კოკაევები, ბიზიკოვები, კ(ქ)ასაშვილები (კასაევები), ოქაშვილები, კანიჩოშვილები, გუთანიშვილები

(გუთანოვები), ბადოშვილები (ბადიძეები), ცობოლიშვილები, ცაბალოვები, გუტანოვები, აბაევები და სუგიევები.

გაოსებული აბორიგენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ჩრდილო ოსეთში გადასახლდა და – დღეს, ოსურ გვარს ატარებს.

თადიაურები – მოგვიანებით, ფშავის სოფელ მათურაში სახლობდნენ.

ნოქარაულები შიდა ქართლში გადასახლდნენ და ნოქარაშვილის გვარზე გადავიდნენ.

იგივე შეიძლება ითქვას ნასყიდაურებზე.

1926 წლის აღწერით – მნაში, 16 კომლი დარეგისტრირდა, 122 სული (67 მამაკაცი და 55 ქალი).

ქართველები და ოსები

XIII ს-ის ოციანი წლებიდან კავკასია მონღოლთა შემოსევებით ნადგურდებოდა.

არა ერთი ქვეყანა აღიგვა პირთაგან მიწისა.

მას შემდეგ, რაც იმიერკავკასიის ველების დიდი ნაწილი მომთაბარე მონღოლურ-თათრულმა ურდოებმა დაიჭირეს, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა: აფხაზ-ჩერქეზთა ტომები, ოსები, ძურძუკ-ღილღვები და სხვანი – იძულებულნი გახდნენ – მოსულ მოძალადეთათვის დაეთმოთ საუკეთესო ველები და თვითონ – მტერთათვის მიუვალ, მაგრამ მწირ მთას დასჯერებოდნენ...

ჩრდილო კავკასიის მთიან ხეობებში ჩასახლებული ოსები – მალე, იქიდანაც გამოდევნეს.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: –

„შემდგომად ჩინგის ყენთა მოსვლისა, ბათო ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა.“

მონღოლთაგან დევნილმა ოსებმა – პირაქეთი კავკასიონის და მთის ძირობა საქართველოს დაპყრობა დაიწყეს. მათმა ჩამოსახლებამ სასტიკი და დაუნდობელი – სამამულო ბრძოლის ხასიათი მიიღო.

XIII ს-ის დამლევს, ოსებს ეჭირათ იმიერკავკასიიდან ქართლში გადმოსასვლელი გზა-ბილიკები, რომლებიც – არაგვის, ქსნის და ლიახვის ხეობებში გადმოდიოდა.

ხსენებულ რეგიონში 11 გადმოსასვლელია; ვის ხელშიც ის გზა-ბილიკები იყო – ის აკონტროლებდა აღნიშნულ ტერიტორიას.

„საქართველომ როცა ვეღარ შეძლო ჩრდილოეთის ამ საზღვრის დაცვა, შედეგიც შესაბამისი აღმოჩნდა; დაკარგა თავისი ტერიტორიები, სადაც ჩრდილოეთიდან მოსული ოსები დასახლდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი).

ოსთა პირველი ახალშენები, XIII ს-ის II ნახევარსა და XIV ს-ის დასაწყისში ჩნდება – კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე დვალეთის ტერიტორიაზე. შემდგომში ისინი – ლიახვის, ქსნის, ფცისა და არაგვის ხეობებშიც სახლდებიან.

პროცესი ხანგრძლივ ხასიათს იღებს; სასტიკ ბრძოლებში გადაიზრდება და მოსული ოსების გამარჯვებით მთავრდება.

ისინი მკვიდრდებიან ძირძველ ქართულ მიწაზე.

თრუსოდან ქართული მოსახლეობის აყრა, XIV საუკუნის მიწურულში, თემურ-

ლენგის შემოსევის დროს დაიწყო – როცა, მონღოლების გამანადგურებელი თავდასხმების შედეგად, ქართველთა რაოდენობა – იქ, ძალზე შემცირდა (თითქმის, მთლიანად ხევში გადმოსახლდნენ).

იგულისხმება თრუსო არა დღვანდელი გაგებით, არამედ თერგის უფრო ზემო ნაწილი, სადაც ოსებამდე დვალები ცხოვრობდნენ.

აღნიშნულის შედეგად შეიქმნა საფუძველი – ქურთაულის ხეობის ოსთა თრუსოში მიგრაციისა.

„ქართულმა ელემენტმა თანდათან დაუთმო ადგილი ოსურ ეთნიკურ ერთეულს."

თრუსოს ხეობის ნაწილი XVIII საუკუნეშიც ქართველებით იყო დასახლებული.

XVIII ს-ის ბოლოს, ი. გულდენშტედტმა – იქ, 13 სოფელი აღწერა: – რესი, სივერაუტი, გიმრა, წოწოლთა, ბურმასეკი, ხუძანი (კარათ-ყაუ), ვალაგდენძე, დალაგდენძე, ბარსი, სუ-თისი, ცარგიშტი, აბანო და კეთრისი.

აღნიშნულ სახელწოდებათა ნაწილმა – შემდგომში, ცვლილებები განიცადა: –

ვალაგდენძე და დალაგდენძე – სავარაუდოდ, ზემო და ქვემო დესია.

ზოგი სოფლის სახელწოდება – დღეს, აღარ გვხვდება (ბასრი და ცარგიშტი – აღწერის რიგის მიხედვით, ზაქაგორი უნდა იყოს).

*

ზემოაღნიშნულ პერიოდში – ხევში დასახლებული ოსები, საერთო ქართული ცხოვრებით ცხოვრობდნენ.

ემორჩილებოდნენ საქართველოში მოქმედ კანონებს.

საქართველოს ლხინი და გასაჭირი, მათი ლხინი და გასაჭირიც იყო.

ყოფით საკითხებზე – ყველა დროისა და ხალხისთვის დამახასიათებელ ცალკეულ უთანხმოებებს (რასაც, ალბათ, ვერც მოხევეები და ოსები ასცდებოდნენ) – იშვიათად თუ მიუღია ეროვნული შეფერილობა.

ანალოგიური დამოკიდებულება იყო ვლადიკავკაზში ჩასახლებული მოხევეების მიმართ.

1886 წელს – ხევში აღრიცხული მოხევეების 100-მდე ოჯახი, ფაქტობრივად, ვლადიკავკზში ცხოვრობდა.

ანუ – ადგილი ჰქონდა ხევის და ალანიის მოსახლეობის ორმხრივ ინფილტრაციას; როგორც გადინებას, ისე შემოდინებას.

ჩრდილოკავკასიელი ოსების და მოხევეების მეგობრობამ, რომელიც უხსოვარი დროიდან მოდის, მრავალ გამოცდასა და საუკუნეს გაუძლო. ორივე მხარეს – შესაძლებლობა ჰქონდა, ზიარებოდა ერთმანეთის კულტურას და, ამასთან ერთად, განუწყვეტლივ ეზრუნა მშობლიური ენისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის.

*

განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა შიდა ქართლის მთიანეთში, სადაც ოსებმა XVII ს-ის შუა ხანებში შეაღწიეს.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდგომ, ქართველი ფეოდალები (ქსნის, არაგვის ერისთავები და მაჩაბელები) – დვალეთის ზახას ხეობასა და დიდი ლიახვის სათავეში – მაღრანდვალეთში გაბატონდნენ.

XVIII-XIX სს მიჯნაზე მაჩაბელებს ეკუთვნოდა ზროგოს ხეობაც.

ქართული სახელმწიფოს მოსპობის მიზნით, რუსებმა, საციციანოსა და საჯავახოში – ოსთა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობა გადაწყვიტეს და მათთვის, კავკასიონის ქედიდან მეჯვრისხევამდე, ათიათასობით დესეტინა მიწის უფასოდ გადაცემა მოინდომეს.

ამავე მიზნით – ქემერტ-კეხვის ზემოთ, გუფთა-მსხლების საზღვარებიდან დაწყებულ ტერიტორიას (ჯავის რაიონს) – თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ოსების უბანი დაარქვეს და სეპარატიზმის გაღვივება დაიწყეს.

აღნიშნული ტერიტორიის დაკარგვა, ქართველებისთვის კატასტროფის ტოლფასი იყო – რადგან როგორც ოსებს, ისე ქართველ თავადაზნაურობას – იქ, საუკეთესო მიწები ეკავათ.

ქართული საზოგადოებრივი აზრი – მძაფრად აკრიტიკებდა ამ გადაწყვეტილებას – მაგრამ რუსული ნაღმი მაინც ჩაიდო. მის ამოქმედებას შესაბამისი დრო და მომენტი სჭირდებოდა – რომელმაც, საუბედუროდ, არ დააყოვნა.

*

ქართულ-ოსური ურთიერთობა სერიოზულად შეილახა 1918-1920 წლებში – როცა სისხლი დაიღვარა მათ შორის.

პირველი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, რუსი ბოლშევიკების წაქეზებით – ოსი მოსახლეობა სამჯერ აუჯანყდა საქართველოს მთავრობას.

აჯანყებული ოსები საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ და პირველებმა აღმართეს ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ოსთა მიერ დაღვრილ ქართულ სისხლს – მერე, ქართველთა მიერ დაღვრილი ოსური სისხლი დაემატა და... არც ერთ მხარეს არ აღმოჩნდა გონიერი ძალა, რომელიც მეზობელ ხალხს უბედურებას ააცილებდა.

ამ – ფაქტობრივად, ანტიქართულ აქციებს ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკურ სიბრძნეს მოკლებული ადამიანები – რომლებმაც, უწინარეს ყოვლისა – საკუთარ ხალხებს ავნეს.

„რეპრესიები, თანაც ისეთი მკაცრი, როგორიც – 1920 წელს, აჯანყებული ოსების წინააღმდეგ განახორციელეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეირაღებულმა ძალებმა – არ შეიძლება არ იწვევდეს ქართველი ისტორიკოსების გულისტკივილს... ვინც კარგად იცის, რომ დაღვრილ სისხლს – მით უფრო თუ ის ეროვნული კონფლიქტის დროს მოხდა, საუკუნეებით არ ივიწყებენ თაობები“ (ლ. თოიძე, 1991 წ.).

ჭრილობები ჯერ კიდევ მოშუშებული არ იყო, როცა – 1989-1991 წლებში, სამაჩაბლოში წარმოქმნილი პრობლემების სალიკვიდაციოდ, კვლავ არასწორი პოლიტიკა გატარდა.

ამას მოყვა 1992-1993 წლების და 2008 წლის აგვისტოს ომები – თავისი საზარელი შედეგებით.

ქართველმა და ოსმა „ბურბონებმა ვერაფერი ისწავლეს...“

ამ ორ ერს – საბედნიეროდ, ღირსეული ადამიანებიც ყავს: –

დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა, გია ყანჩელმა, რუსული კულტურის სიმბო-

ლოს და ეთნიკურ ოსს, ვალერი გერგიევს – 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მუსიკალური ნაწარმოები მიუძღვნა და ასეთი შინაარსის წერილით მიმართა: –

„ოსურად „ვარზონ“ სიყვარულს ნიშნავს, მაგრამ, როდესაც „ვარზონ“ ლათინურად დავწერე, ლათინური ტრანსკრიპციით, გამოდგა „ომის ზონა...“

„სიყვარულიდან ომამდე ერთი ნაბიჯია, მაგრამ ომის ზონიდან სიყვარულამდე გველოდება უზარმაზარი, ხანგრძლივი, მომქანცველი და ტკივილიანი გზა...“

დღეს, ბევრი ქართველი და ოსი დადის ამ ტკივილით...

თერგის ხეობის მარჯვენა მხარე
კობი-აჩხოტის მიმართულება

საქართველოს სამხედრო გზა, სოფ. კობს შემდგომ – პირქუშ, უტყეო მთის ფერდობზე ეშვება.

ჯვრის ზეკარიდან წამოსულ – თერგის მეორე სათავის ტოტს, 1900 მეტრის სიმაღლეზე უერთდება თრუსოს თერგი, რომელიც მყინვარწვერის და ჯიმარაის მთის კალთებიდან – მრავალ შენაკადს იერთებს (შავარდნის წყალს, ხევის წყალს, სუათისის წყალს, ღამძროს ხევს, თეფის წყალს და სხვ.).

ხევის და თრუსოს ხეობების კუთხეში, სოფ. ალმასიანთან, გარეთიანებული მდინარე – მკვეთრად ჩრდილოეთით უხვევს და დარიალის ვიწროებისკენ მიემართება.

პერსპექტივაში ჩნდება – ფერდობებზე შეფენილი, წითელსახურავიანი სახლებით დამშვენებული – მოხევეთა სოფლები: – ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორის-ციხე, ტორნისა, ტყარშეტი, გაიბოტენი...

თერგის და უხათის-წყლის შესართავიდან – სოფ. გორისციხის „გიორგი-წმიდის ციხე“ და მომცრო ეკლესია მოჩანს.

ბიდარას გადმოსული მოხევეები – მათ დანახვაზე პირჯვარს იწერენ.

აღნიშნული ციხე-კოშკი – ხევის სიგნალიზაციის შუასაუკუნოვან სისტემაში შედიოდა.

მის ზედა ბაქანზე დანთებული ცეცხლით გადაცემულ საგანგაშო ინფორმაციას – სხვა „საგუშაგოთა“ მეციხოვნენი ერთმანეთს ატყობინებდნენ.

მამა-პაპური ციხე-კოშკები – დღესაც ამაყად გასცქერიან ჩვენი წინაპრების ადგილსამყოფელ სამივე ხეობას.

სტრატეგიული თვალსაზრისით – განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: დარიალის, არშის და სნოს ციხეებს.

პირველი – ჩრდილოეთის საზღვარს კეტავდა;

მეორე – ხევის ცენტრში იყო განთავსებული და მიმდებარე სოფლების სახიზარს წარმოადგენდა;

სნოს ციხე – თანამოსახელე ხეობას ჩამკეტი იყო;

ძირითადად, ღუდუშაურების გვარს ემსახურებოდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – თითქმის ყველა სოფელში განთავსებულ საგვარეულო კოშკებს – სადაც, მტრის შემოსევის დროს, ცალკეული გვარი ან სოფლი იხიზნებოდა.

ციხე-კოშკები ერთმანეთს გასცქეროდნენ და სიგნალიზაციის ერთიანი სისტემის უწყვეტ ჯაჭვს ქმნიდნენ.

მტრის გამოჩენის ინფორმაცია – ელვისებურად გადაეცემოდა ცენტრს.

დიდ ციხეებში ჯარი იდგა.

კოშკებში მზვერავი უნდა ყოფილიყო, რათა დანთებულ კოცონს – მომდევნო შესიტყვებოდა.

უხათი

მდინარე უხათისწყალის მარჯვენა ნაპირზე, ციცაბო კლდის თავზე მდებარე – გაშლილ მშვენიერ ზეგანზე (ზ.დ. 2200 მ-ზე) იყო შეფენილი – ულამაზესი სოფელი (შედარებით უფრო ძველი დასახლება) – ზემო უხათი.

მისკენ ზიგზაგებიანი ბილიკი მიუყვება.

უხათის კლდის ძირში მდებარეობდა სოფელი მილივანა.

ნასოფლარის ოდნავ ქვემოთ – ქვემო უხათი.

სამივე სოფლის მოსახლეობა – როგორც ქართველები, ისე ოსები დვალეთიდან იყვნენ მოსულები.

ორივე უხათის მცხოვრებნი საერთო საძოვრებით სარგებლობდნენ.

სამივე სოფელი (შუა საუკუნეებში) საქართველოს სამეფო საკუთრებას წარმოადგენდა.

XVII ს-ში არაგვის ერისთავებმა დაისაკუთრეს.

საერისთაოს გაუქმების შემდგომ, მნას სამოურავოში გაერთიანდნენ.

XIX ს-ის პირველ მეოთხედში, ყაზბეგებმა დაიმორჩილეს და დაბეგრეს.

მათთან ბრძოლას – ძირითადად, ქართველები (დვალები) შეეწირნენ;

ურჩები – მამაპაპისეული მიწებიდან აყარეს და მათ ადგილას ოსები დაასახლეს;

ზოგმა გაქცევით უშველა თავს.

XIX ს-ის აღწერების თანახმად, ზემო უხათში სახლობდნენ: –

ბატიევები (ბათიშვილები), თავაევები (თავაშვილები), საიუმოვები, ხაბლიევები, სალბიევები, კობლიევები, ჩობალიევები, ქობულოვები, განიბეკოვები, კუსაშვილები, ბუქულოვები, ტუგოევები და ძუკოევები.

კობლოევების გვარი – უხათში, დვალეთის ნარას საზოგადოებიდან გადმოსახლდა.

ამავე პერიოდში – ქვემო უხათში (რომელიც კობს ემეზობლება) სახლობდნენ: –

სამიშვილები, ურთაშვილები (ურთაევები), ცაბოლოცები, ცობოლიშვილები, ცაბალოვები, თავაშვილები, თუაევები და სამოვები.

დვალეთიდან გადმოსახლებული თუაევების გვარი, რუსების შემოსვლამდე, თვაური იყო;

უფრო ადრე – თავაური.

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით – თრუსოში მცხოვრები მათი 7 კომლი – დვალეთის მამისონის (ჟღელეს) ხეობიდან იყო მოსული.

თვაურების განაყრებად მიიჩნევიან დვალიშვილები (შემდგომში ვალიშვილები და ვალიევები).

ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გაოსებულმა უხათელმა ბადაშვილებმა – შემდგომში, სოფ. ხურთისში – აზნაურ კობიაშვილებისგან შეისყიდეს მიწის ნაკვეთი და იქ დასახლდნენ.

უხათში დაიბადა სამხდრო მფრინავი, სერგო კობლოვი – II მსოფლიო ომის გმირი.

1926 წლის აღწერით – უხათი ერთ სოფლად არის წარმოდგენილი;

სახლობდა 24 კომლი (171 სული).

XX საუკუნის 60-ან წლებში – ზემო უხათში სახლობდა 58 კომლი; ქვემო უხათსა და მილივანაში 28-28...

2014 წელს – აღნიშნულ სოფლებში, აღარავინ არ ცხოვრობდა.

ვარდისუბანი (ტორნისა)

ხევის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს, ზ.დ. 1860 მ-ზე.

გადმოცემის თანახმად: –

პირველი მოსახლე – სოფ. გორისციხიდან მისული, ვინმე სოსიკა ავსაჯანიშვილი ყოფილა.

მის შთამომავლებს, შემდგომში, ყაზბეგების და სიონელი კვრიჭიშვილებისგანაც შეუძენიათ – ტორნისაში მამულები.

ამჟამად, ავსაჯანიშვილები და ჩქარეულები სახლობენ.

ტორნისაში და ახალ არშაში მცხოვრები ავსაჯანიშვილები ერთი პატრონიმიის – დათურენის, წარმომადგენლები არიან.

სოფლის აღმოსავლეთით მდებარე ფერდობზე (რომელსაც „კავთის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ), დღემდე შემორჩენილია ფანშეტელი სამქანაშვილების წინაპართა ნასახლარები;

სალოცავები (კავთის წმინდა გიორგი, კავთის საზანისი) და ბუნებრივი გამოქვაბულები – ე.წ. კავთის ქოხები.

გადმოცემის თანახმად – კავთისხევიდან მოსული სამქანაშვილები პირველად – იქ, დამკვიდრებულან.

*

სოფლის შესასვლელთან – მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალია (არქიტ. დ. დავითაშვილი). აგებულია 1980-85 წ.წ.

კომპლექსის ცენტრში აღმართულია (10 მ. სიმაღლის) ობელისკი – წარწერით: – „1941-1945“.

იქვეა სამამულო ომის ორდენის გამოსახულება.

ამოკვეთილია სტრიქონები ილია ჭავჭავაძის და გიორგი ლეონიძის პატრიოტული ლექსებიდან;

უკანა მხარეს ჰორელიეფური პანოა, რომელიც II მსოფლიო ომის საბრძოლო ეპიზოდებს ასახავს.

მემორიალის ზღუდეზე – შესასვლელთან, მარმარილოს 11 დაფაზე 270 მეომრის გვარია ამოტვიფრული.

ერთ დაფაზე სტალინის პორტრეტია.

მემორიალის მარცხნივ – გამხმარ ხეზე, ზარებია ჩამოკიდებული.

*

ვარდისუბნის სიახლოვეს დონატის მთის ძირში მდებარე იოანე ნათლისმცემელის ხატი – ფიქლის მშრალი წყობით არის ნაგები.

მისი კედლების გასწვრივ, ჩამოსაჯდომი ქვებია ჩამწკვრივებული.

ხატის წინ ყორეა, რომელსაც დიდი სიპი ადევს.

ყორის დასავლეთი ნაწილი (საკლავის შესაწირი ადგილი) – რამდენადმე შემაღლებულია.

„სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორიის“ თანახმად (2018 წელი): – სოფელის მცხოვრებთათვის მიმდინარეობს წმინდა კვირიკე და ივლიტას სახელობის ტაძრის მშენებლობა.

2014 წლის აღწერით, ვარდისუბანში – 48 სული სახლობდა (23 მამაკაცი და 25 ქალი).

სიონი

საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს, ზ.დ. 1860 მ-ზე.

ძველად – უფრო მაღლა ყოფილა განთავსებული, ქედზე, სადაც დღეს, ორიოდე კომლია შემორჩენილი.

1831 წლის აღწერაში მისი ძველი სახელწოდება ფიქსირდება – „კალოანი.“

მსგავსი ტოპონიმი – „კალოვანი“, დღეს – სოფლის ცენტრშია განთავსებული.

ხევის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა.

დ. ბერძენიშვილის ცნობით: –

მთიულეთისაგან ცალკე გამოყოფილ ხევს – სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე განაგებდა, რომელსაც „ძეგლისდების“ მიხედვით (ანუ, XIV ს-ში), „სიონის ერისთავი“ ერქვა და, აღნიშნულის შესაბამისად, მისი ადგილსამყოფელი – სოფ. სიონი უნდა ყოფილიყო.

ერისთავი საქართველოს სამეფო კარს ემორჩილებოდა.

სამეფო ხელისუფლების დასუსტების და არაგვის ერისთავების ზეობის ჟამსაც (ანუ, XVII ს-ში) – მას ისევ ძველი სახელით, სიონის ერისთავად მოიხსენიებდნენ (სოფ. სიონის ისტორიიდან, „ძეგლის მეგობარი,“ 1970, №21).

XIX ს-ის II ნახევრიდან – სოფელი საკმაოდ გაშლილ, ფართე ტერიტორიაზე ჩამოსახლდა.

*

ვარდისუბნის შემდეგ, საქართველოს სამხედრო გზაზე – ციცაბოდ ჩამავალ კონცხზე გამოჩნდება სწორი – პირამიდული აღნაგობის, მაღალი ტანწყობილი კოშკი, რომელიც – გადმოცემის თანახმად, ვინმე სისაურს აუშენებია – თამარ მეფის ბრძანებით.

ოდნავ მოშორებით – სიონის ბაზილიკაა.

ორივე ნაგებობა კომპოზიციურად ერწყმის ქედის ვიწრო მასივს და პეიზაჟის აუცილებელ ორგანულ ელემენტებად აღიქმება.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

აღნიშნული კოშკი, რომელიც ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზას კეტავდა – ეკლესიის ჩრდილოეთით დგას, მაღალი კლდის ქიმზე. გეგმით კვადრატულია (4,5X4,5 მ.), ხუთსართულიანი; ზემოთ შესამჩნევად ვიწროვდება.

ნაგებია მოზრდილი ზომის – უსწორმასწორო, ნატეხი ქვით.

კარი მეორე სართულზე აქვს.

ასასვლელად იყენებდნენ მისადგმელ კიბეს, რომელიც მტრის შემოსევის დროს – მაღლა აჰქონდათ.

კოშკის ყოველ სართულზე თაღოვანი სარკმელები და სათოფურებია.

მტრის დაზვერვა და ქვების დაშენა ხდებოდა მეხუთე სართულის ღიადებიდან.

ხევის ცხოვრების ამსახველ სიუჟეტებში სოფელ სიონს – თავისი კოშკით და ბაზილიკით ხშირად აჩვენებდნენ ტელეეკრანებზე.

(არსებობს ლერმონტოვის და გაგარინის ნახატებიც).

სალოცავის კომპლექსი – სოფლის განაპირას, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ბორცვზეა განთავსებული.

მის შემადგენლობაშია – IX-X სს-ის ეკლესია, გალავანი, კოშკი და XVIII-XIX სს საცხოვრებელი სახლები.

სალოცავი – სამნავიანი ბაზილიკაა (10,2X12,1 მ.), ნაგებია თლილი ქვით; ამჟამად, თუნუქით არის გადახურული.

აღინიშნება, ეპოქის სტილისთვის დამახასიათებელი – ტაძრის ფასადების უაღრესად ძუნწი მორთულობა.

ინტერიერში ყურადღებას იპყრობს ძველი – შენობის თანამედროვე, კანკელი.

დასავლეთის კედელზე, სარკმელთან, შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

სალოცავში ინახება ვერცხლით მოჭედილი „ღვთაების ჯვარი," რომელიც (მხედრული) წარწერის მიხედვით, 1693 წელს შეუწირავს არაგვის ერისთავ ბაადურს.

„ჯვარი არასდროს გამოაქვთ საყდრიდან," რადგან, ლეგენდის თანახმად: –

ერთხელ, „ფრთები გამოუსხამს, ანგელოზის სახით სჩვენებია ხალხს და გაფრენილა..."

„დასდევნებია – სისაური და ცოფური."

„უფრენია ჯვარს და მარტყოფის კლდის ნაპრალებში ჩაფრენილა."

„მდევრები იქვე დაბანაკებულან, მაგრამ, მათზე ადრე – ნაპრალში ბერები შესულან;"

„ჯვრისთვის ოქროს ძეწკვი „გამოუბამთ" და თბილისის სიონში წაუბრძანებიათ, სადაც – „ჯვრის ხასიათი არ სცოდნიათ;"

„თვალყური არ მიუდევნებიათ და ისევ მარტყოფში გაფრენილა."

ლეგენდა არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, როგორ დააბრუნეს ჯვარი სოფელ სიონში სისაურმა და ცოფურმა.

იმას კი გვაუწყებს, რომ: –

„მისი მთავარი საბრძანისი მარტყოფია."

*

სიონის ბაზილიკას შემოვლებული აქვს უსწორმასწორო მოხაზულობის – კარგად ნაწყობი თლილი ქვის გალავანი, რომელიც – ეკლესიის პატარა ეზოს საყრდენი კედლის მოვალეობასაც ასრულებს.

მის შესასვლელთან, უფრო გვიანდელი სამრეკლოს ნანგრევებია;

შიგნით – სასაფლაო.

აკლდამები განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება.

სალოცავიდან რამოდენიმე მეტრის დაშორებით, აღმართულია მემორიალური ქვასვეტი (სტელა), რომელიც, მცირე ზომის ბაზისზე – ზემოთ ოდნავ დავიწროებულ კვარცხლბეკზე დგას. მის რვაკუთხოვან ფილაზე ამოკვეთილი (ასომთავრული) წარწერის თანახმად – სვეტი აუგია ვინმე გიორგის – რომელიც შენდობას ითხოვს.

ერთ-ერთ ფილაზე შემორჩენილია ღვთისმშობლისა და ჩვილის – საღებავით შესრულებული გამოსახულების კვალი.

ქვასვეტს აგვირგვინებდა ჯვარი, რომელიც – ამჟამად, დაკარგულია.

ეკლესიის შესასვლელთან – გვიანდელი სამრეკლოს გვერდით, ქვის სავარძლები და სკამები (ყადებია) მოწყობილი – რომლებიც ხევის საბჭეოს უხუცესთათვის იყო განკუთვნილი.

ქვების ზურგზე ჯვრებია ამოკვეთილი.

როგორც „თბილისიდამ პეტერბურღს“ მიმავალი გრ. ორბელიანი გვამცნობს: –

გზის მარჯვნივ, სოფელ სივანთან „არს საყდარი, რომლისა სანახავად წაველ განგებ. გზა იყო ფრიად ვიწრო მისასვლელი. კართან დამხვდა ბებერი დედაკაცი, რომელსაცა ეტყობოდა, რომ არ იამა ჩემი მისვლა, ვგონებ იმიტომ, რომ ვეგონე რუსი. შეველ და განვკვირდი, ვიხილე რა... ბნელი ტალარი, ძლივს ვიპოვე მეორე კარი, რომლიდამაც შეველ საყდარში, ეგრეთვე ბნელში. მუნ ვიხილე ერთი ისევ ბებერი დედაკაცი და მეორე კიდევ სხვა, ეგრეთვე მოხუცებული. ოთხი კიბის ფეხი ქვისა იდგა ასასვლელად, სადაცა იყო ტაძარი. მღვდელი შემოსილი – უდიაკვნოდ სწირავდა. აღვანთე რაოდენიმე წმინდა სანთელი და ვიხილე ჯვარი ვერცხლით შეჭედილი, შეწირული არაგვის ერისთვისშვილის ბაინდურისაგან და მეუღლისა მისისა ფანასკერტელის ციცისშვილის ქაიხოსროს ასულის თამარისაგან.

ჯვარცმის თავსა და ბოლოს არს გამოსახული ფრინველი ლომის თავითა, რომელთ ფეხებში უჭირავსთ წიგნი.

მარჯულ და მარცხნივ იესოსა არს გამოსახული ხარი და წმინდა გიორგი. ვგონებ ესე ნიშნავდეს ოთხთა მახარობელთა, თუმცა უმეტეს ემზგავსების დანაშთომსა კერპთმსახურებისასა, რომლისგანაცა არა სრულიად გამოსულან მთის ხალხნი.

მღვდელმა მითხრა, რომ მითომ თამარ მეფისაგან იყოს აღშენებული საყდარი ესე. გარნა ვგონებ, რომ არც იმან იცის სწორედ.

საქართველოში თითქმის ჰჯულად არის დადებული, რომელ ყოველსა ამგვარს ძველს შენობას მიაწერენ თამარ მეფეს, თუმცა მრავალნი ესრეთნი არიან სხვათა მეფეთაცაგენ აღშენებულნი...“

პოეტი გენერლის მიერ მოხსენიებული – სიონის ტაძრისათვის ბაადურ ერისთავის მიერ, 1693 წელს შეწირული, „მღვთაების (ხის) ჯვარი“ (98X71 სმ. ზომის), მოჭედილი ვერცხლით – ჯვარცმის კომპოზიციითა და მოციქულთა სიმბოლური გამოსახულებით – 1936 წელს, ამავე სალოცავში უნახავს ს. მაკალათიას და მის ქვედა მკლავზე შემდეგი წარწერა ამოუკითხავს: –

„ჩვენ მინდობილმა და საფარველთა თქუენთა შევედრებულმან მონამან და სასოებელმან არაგვის-ერისთავმან ბაადურ და თანამეცხედრემ ჩვენმა ფანასკერტელსა ციციშვილს ქაიხოსროს ასულმან თამარ მოვაჭედინეთ ხატი ესე ღვთაებისა, შევამკევით,

ვითარცა შვენოდა, შევწირეთ ხევს, სუდარსა სიონისასა, სულისა ჩვენისა საოხად.“

ანდრია კობაიძის ცნობით: –

სიონის ეკლესიის გალავანში ინახება „პატარაზე გატეხილი ძველი დროის ზარი, წონით ორ ფუთამდე, რომელსაც სწორედ იმავე ხელით აქვს წარწერა და ყველა სიტყვის შემდეგ დასმული სამი წერტილი – როგორც ღვთაების ჯვარს: –

„მე ცოდვილის პაპას დამიწერია, ვინც წაიკითხოს, შენდობა ბრძანოს, ჩვენ ღვთის მიერ კურთხეულმა არაგვის ერისთავის შვილმა, ნინოწმინდელმა მიტროფანემ შემოგწირე ზარი ესე ხევის სიონთა მღუთაებას ჩვენის ძმის ერისთავის ბაინდურის სადღეგრძელოდ. მის საუკუნის ცოდვათა გამოსახსნელად და სულისა ჩვენისა საოხად.“

როგორც ღვთაების ჯვარი, ისე ზემოაღნიშნული ზარი, ამჟამად დაკარგულია.

კაცმა არ იცის, სად გაქრა.

*

სიონის მცხოვრებნი ლოცულობდნენ – ღვთისმშობელს, სამებას, კვირეს და მინდვრის წმინდა გივარგის. დღეობები იმართებოდა შემდეგი თანამიმდევრობით: – ახალი წელი, წყალკურთხევა, აღდგომა, კვირესძლობა, ათენგენობა, ფერისცვალება, მარიამობა, ჯორთამაღლება, ივანობა და სთვლის გივარგობა.

სოფლის მიმდებარედ, რიყეზე მდგარი წმ. გიორგის ეკლესია – XVIII ს-ით თარიღდება; ნაგებია ანდეზიტის დამუშავებული ქვით. გარს ყორით ნაგები გალავანი აკრავს.

სამების გორზე მდებარე თანამოსახელე ნიშიდან, მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. მის გვერდით მდგარი – მთლიანი ქვისგან გამოთლილი ჯვარის ერთი მხარე – ფრთოსანთა გამოსახულებით არის შემკული. მეორე მხარეს წარწერაა – რომელიც მისი აგების თარიღის (1903 წელს) და ამგების ვინაობას (მიხა კობაიძის) შესახებ გვამცნობს. ჩრდილოეთის მხრიდან ჯვარი გამაგრებულია ანდეზიტის ქვით ნაგები ორიარუსიანი – ოვალური კედლით. მეორე იარუსი შედარებით ვიწროა და ჯავრის კვარცხლბეკს წარმოადგენს. ნიშის ძირში, დავაკებაზე – საუფროსოა მოწყობილი (ქვის სკამები და მაგიდა დგას).

სოფლის სამხრეთით მდებარე კვარცხლბეკზე – ათენგენობის ნიშია განთავსებული – ქვის ჯვარი (სიონელი ღუდუშაურების – ყარაჯეთ ბუცენის და ბუტენის სალოცავი).

კვირეს ქედზე, თანამოსახელე (კვირეს) ნიში დგას.

ქალთა სალოცავი ყოფილა;

თიკანს სწირავდნენ და შვილის ყოლას – გამრავლებას შესთხოვდნენ.

ნ. კეცხოველის ცნობით (1971 წელი): –

სიონის კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ მდებარე ფერდობზე, წარმტაცი სილამაზის ფოთლოვანი ჭალაა – არყნარი, რომელშიც თითო-ოროლა ცირცელი და ნეკერჩხალიც შეიძლება ვნახოთ. ტყეში აგებულია ხატის ნიში, რომელიც მოხევეთა სათაყვანებელი გერგეტის წმინდა სამების საბრძანისია და წმინდა ადგილად ითვლება. 28 აგვისტოს სიონის ხატის ტყეში სამების ხატობა იმართება, რომელიც გერგეტის მარიამობასთან არის დაკავშირებული და „ვარდობის დღეობას“ უწოდებენ. უამრავი მხვეწარი იყრის თავს. მეცხვარეები მშვიდობიან მგზავრობას და ცხვრის მფარველობას შესთხოვენ სალოცავს.

მოდიან მცირეწლოვანი და უმანკო ქალებიც.

გათხოვილებს ხატთან არ უშვებენ.

ხატობების ორგანიზება ევალებოდა მნათეებს – რომლებიც ოჯახებს გვარების, ან სამეზობლო ურთიერთობის მიხედვით აერთიანებდნენ.

სოფელი 10 მნათედ იყო დაყოფილი: –

ოდიშვილების, ღუდუშაური ყარაჯენის, კვრიჭიშვილების, წამალაიძეების, ფაჯიშვილების, კობაიძეების, სეთურიძეების, დავითაშვილი სოსენის, დავითაშვილი ატენის – და კიდევ ერთ: 4 გვარის (სისაურიძეების, არჯინაშვილების, ბაბაშვილი ადიენის და წიკლაური გოთიენის) გამაერთიანებელ მნათედ.

სოფლის საერთო საქმეების გადაწყვეტის მიზნით, სიონის ეკლესიის უკან მდებარე – ტყით შემოსილ ბორცვზე („შარის გორზე“) ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის შეკრება.

ამავე ადგილას მოხდა ალ. ყაზბეგის რომანის, „ხევისბერი გოჩას“, გმირების – შეყვარებული ახალგაზრდების საბედისწერო შეხვედრაც.

ვარაუდობენ რომ: –

სიონში, ადრინდელ შუა საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი თავდაცვითი (სახიზარი თავშესაფრების) მშენებლობას.

„ზემგორზე“ (ეკლესიის მიმდებარე ბორცვზე) – გვერდიგვერდ, ორი მოზრდილი გამოქვაბულია („ზემგორის ქოხნი“).

უფრო მოშორებით, მწვერვალ ქაბარჯინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე – უჩვეულო მოხაზულობის ციცაბო მთის ფერდობზე, კიდევ რამდენიმე სახიზარი-გამოქვაბულია გამოკვეთილი.

*

თერგის მარჯვენა მხარეს, სოფ. ხურთისის მოპირდაპირედ – საქართველოს სამხედრო გზა მკვეთრი ხვეულებით ეშვება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ.

„პირდაპირი ხაზით ორ კილომეტრამდე გაჭიმულ ამ ტერიტორიას ეწოდება „ფიჭვადაღმები.“

გადმოცემის თანახმად: –

„ეს ადგილი ფიჭვის გაუვალი ტყით იყო დაფარული... სამი მხრიდან (აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან) – შემოღობილი ყოფილა. დასავლეთიდან იცავდა თერგი და მისი ღრმა კალაპოტი.

„ტყეს ყოლია ყარაული, რომელიც მწვერვალ ქაბარჯინას ძირას მდგარა, შემაღლებულ ადგილზე.“

„ზემოდან ადევნებდა თვალს თავის სადარაჯოს.“

აქედან გატანილი ხეებით ყოფილა დახურული მოხევეთა ბევრი ძველებური სახლი (ვალ. ითონიშვილი).

*

სიონში მკვიდრობენ: – სისაურები, ღუდუშაურები, კვირჭიშვილები, ფაჯიშვილები, არჯინაშვილები, სეთურიძეები, ოდიშვილები, დავითაშვილები, წიკლაურები, წამალაიძეები, კობაიძეები, ბაბაშვილები, მალანიები, გელაძეები...

1774 წელს – არაგვის ერისთავის ყმა, ღუდუშაური ფირანის შვილის თომას სახე-

ლოში – ხევის სიონს, 23 კომლი დარეგისტრირდა: –

ღუდუშაურების – 1, ცოფურების – 3, ოდიაურების – 2, ფაჯიაურების – 4, დავითაურების – 3, გლახაურების – 3, აჯინაურების, წამალაიძეების, წიკლოურების, სისოურების, გოთიაურების ბაბეაურების და ლაბაურების – თითო-თითო კომლი.

*

სიონში მცხოვრები ცალკეული გვარებიდან 1774 წლის საოჯახო სიებში მოხსენიებულნი არიან: –

1. ცოფური ხოსიტას შვილი პაპუა, ნასყიდა და დავით;
2. ცოფური ზარიბეგის შვილი ბერი, შალვა და ივანე;
3. ცოფური მახარებლის შვილი მახარებელი;
4. გლახაური ამანას შვილი ზარიბეგ და ჯაბანი;
5. გლახაური გუგუას შვილი ივანე და ბერი;
6. გლახაური თხუნას შვილი გივი, პატარკაცი და მარტია;

1781 წელს დარეგისტრირდნენ: –

1. ხოსიტას შვილი (ცოფური) ნასყიდა და დავით;
2. ზარიბეგის შვილი (ცოფური) ბერი, შალვა და ივანე;
3. მახარებლის შვილი მახარებელი (ცოფური);
4. ამაონას შვილი (ამანას შვილი) ზარიბეგ და ჯაბანი (გლახაური);
5. გუგუას შვილი ნანა და ბერი (გლახაური);
6. თხუნას შვილი გივი, პატარკაცი, მარტია და სეთური (გლახაურები).

*

ფაჯიშვილები (ფაჯიაურები), არჯინაშვილები (არჯინაურები) და ბაბაშვილები (ბაბეაურები, იგივე ტუჩაშვილები) – თრუსოს ხეობიდან არიან მოსულები.

1774 წლის აღწერით – მნაში, არჯინაურების 5 კომლი სახლობდა: –

არჯინაური გის შვილი დავით;

არჯინაური ელალდის შვილი დათი და ბასილა;

არჯინაური ხოსროს შვილი ვახტანგ, დავით და ბერი;

არჯინაური თამაზას შვილი ბია და ისე;

არჯინაური ქოჩორას შვილი ალიხან და გიორგი;

ამავე წლის სიონში – მათი ერთი კომლია დარეგისტრირებული (5 სული): – აჯინაური ხოსროს შვილი სედან, თემურაზ, მამუკა და გიორგი.

1873 წელს – სიონში მოხსენიებულია – 63 წლის გიორგი კურის ძე არჯინაშვილი – ძმასთან, ალექსისთან ერთად.

*

სიონში – 1774 წელს ფაჯიაურების 4 კომლი სახლობდა: –

ფაჯიაური ელისბარის შვილი მღვდელი ზაალ და კიკო;

ფაჯიაური მჭედლის შვილი ივანე;

ფაჯიაური დავითის შვილი იასე;

ბოგანო ფაჯიაური ასანაის შვილი ხუნა და იასე.

1781 წელს აღირიცხნენ: –

ელისბარის შვილი კოზმან და ივანე (ფაჯიაური);
დავითის შვილი ისე (ფაჯიაური);
ბოგანო ასნავის შვილი იასე (ფაჯიაური).
1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. ნიკო ბერის ძე ფაჯიშვილი, 49 წლის; მისი შვილები: გლახა – 23 წლის, ივანე – 16 წლის, გრიგოლი – 5 წლის;
2. იოსებ გიორგის ძე ფაჯიშვილი, 50 წლის; მისი შვილები: სიმონი – 21 წლის, ალექსი 4 წლის.
3. ბესარიონ ნანეს ძე ფაჯიშვილი, 16 წლის;
4. ივანე ტეტიას ძე ფაჯიშვილი, 28 წლის; მისი შვილი, ნიკო – 2 წლის; ივანეს ძმები: გრიგოლი – 23 წლის, მარტია – 20 წლის; გრიგოლის შვილი, გიორგი – 3 წლის;
5. სიმონ იოსების ძე ფაჯიშვილი, 43 წლის; მისი შვილები: იოსები – 16 წლის, სტეფანე – 4 წლის.
6. გლახა შიოს ძე ფაჯიშვილი, 33 წლის; მისი ძმისწული, მოსე გრიგოლას ძე – 14 წლის.

*

1774 წელს – სოფ. მნაში, ბაბეურების 7 კომლი სახლობდა: –

1. ბაბეური კურდღელას შვილი ზარიბეგ და იასე;
2. ბაბეური დავითას შვილი გელა და შარანბალ;
3. ბაბეური ალდათის შვილი მაი და გივი;
4. ბაბეური ბიასის შვილი იასე, თემურა და გივი;
5. ბაბეური ავთანდილის შვილი იამან;
6. ბაბეური ზურას შვილი ზაალ და ადამ;
7. ბაბეური ზაქის შვილი დაო და ბათი.

ამავე (1774 წლის) – სიონში აღირიცხა: – ბაბეაური ბარნაბეს შვილი, მღვდელი ნიკოლოზ.

*

1873 წლის აღწერით – სიონში მოხსენიებულნი არიან: –

1. ივანე ივანეს ძე კობაიძე, 43 წლის; მისი შვილები: მამუკა, 33 წლის, შიო – 23 წლის; მამუკას შვილები: ანდრია – 11 წლის, მიხეილი – 8 წლის, ვასილი – 5 წლის.
2. ივანე გლახას ძე კობაიძე, 25 წლის; მისი შვილები: იოსები – 5 წლის, ვასილი – 1 წლის.
3. სიმონ ზაქარიას ძე კობაიძე, 35 წლის; მისი შვილები: სოლომონი – 7 წლის, მოსე – 4 წლის.
4. თევდორე ზაქარიას ძე კობაიძე, 34 წლის;
5. ნიკო ბერის ძე ფაჯიშვილი, 49 წლის; მისი შვილები: გლახა – 23 წლის, ივანე – 16 წლის, გრიგოლი – 5 წლის;

6. იოსებ გიორგის ძე ფაჯიშვილი, 50 წლის; მისი შვილები: სიმონი – 21 წლის, ალექსი 4 წლის.
7. ბესარიონ ნანეს ძე ფაჯიშვილი, 16 წლის;
8. ივანე ტეტიას ძე ფაჯიშვილი, 28 წლის; მისი შვილი, ნიკო – 2 წლის; ივანეს ძმები: გრიგოლი – 23 წლის, მარტია – 20 წლის; გრიგოლის შვილი, გიორგი – 3 წლის;
9. სიმოს იოსების ძე ფაჯიშვილი, 43 წლის; მისი შვილები: იოსები – 16 წლის, სტეფანე – 4 წლის.
10. გრიგოლ ბაეს ძე ღუდუშაური, 48 წლის; მისი შვილები: ივანე – 12 წლის, გიორგი – 2 წლის; გრიგოლის ძმისწული, მარტია ავთანდილის ძე – 12 წლის.
11. ნიკოლოზ ყარაჯას ძე ღუდუშაური, 53 წლის; მისი შვილები: დავითი – 33 წლის, გლახა – 23 წლის, თევდორე – 20 წლის; დავითის შვილი, შიო – 7 წლის.
12. მოსე გიორგის ძე ღუდუშაური, 30 წლის; მისი ძმები: სიმონი – 12 წლის, ალექსი – 9 წლის, სპირიდონი – 7 წლის.
13. გიორგი გრიგოლის ძე გურციევი, 30 წლის; მისი ძმა, დიმიტრი, 23 წლის.
14. შიო გიორგის ძე სეთურიძე, 38 წლის;
15. იოსებ დავითის ძე კურციევი, 49 წლის; მისი შვილები: ლაზარე – 23 წლის, გლახა – 20 წლის, სიმონი – 18 წლის, იაკობი – 10 წლის, ნანე – 8 წლის, ნიკოლოზი – 5 წლის; გლახას შვილი, ალექსი – 3 წლის; იოსების ძმისწულები, ნანეს შვილები: გრიგოლი – 23 წლის, იაკობი – 19 წლის.
16. იოსებ იასეს ძე ოდიშვილი, 43 წლის; მისი შვილები: სიმონი – 19 წლის, შიო -16 წლის, ივანე – 15 წლის, აბრამი – 5 წლის, მოსე – 2 წლის.
17. მარტია ივანეს ძე წამალაიძე, 83 წლის; მისი შვილები: გიორგი – 49 წლის, ივანე – 38 წლის; გიორგის შვილები: იოსები – 22 წლის, გლახა – 7 წლის; ივანეს შვილები: იაკობი – 22 წლის, იობა – 16 წლის, თევდორე – 11 წლის, ალექსი – 7 წლის, ნიკოლოზი – 5 წლის; იაკობის შვილი, ვახტანგი – 1 წლის.
18. გლახა შიოს ძე წიკლაური, 58 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 21 წლის, გიორგი – 3 წლის.
19. გიორგი იასეს ძე ოდიშვილი, 38 წლის; მისი შვილი (სახელი არ იკითხება) 3 წლის.
20. ბიჭი იასეს ძე წამალაიძე.
21. დავით შიოს ძე წიკლაური, 73 წლის; მისი შვილი, შიო – 41 წლის; შიოს შვილები: სიმონი – 17 წლის, იოსები – 9 წლის.
22. ნინიკა ომას ძე დავითაშვილი, 38 წლის; მისი შვილი, ნიკო – 2 წლის; ნინიკას ძმები: ბიჭიკო – 29 წლის, სიმონი – 21 წლის; ბიჭიკოს შვილი, იაგორი – 3 წლის; სიმონის შვილი, ვანკა – 3 წლის.
23. ივანე გიორგის ძე დავითაშვილი, 53 წლის; მისი შვილი, გლახა – 26 წლის; გლახას შვილი, გიორგი – 4 წლის; ივანეს ძმისწულები, გრიგოლის შვილები: სიმონი – 17 წლის; ბიჭიკო – 15 წლის.
24. შიო იოსების ძე დავითაშვილი, 63 წლის; მისი შვილები: ივანე – 23 წლის, გიორგი – 20 წლის, იაკობი – 15 წლის, ანდრია – 9 წლის; ივანეს შვილი, სიმონი – 4 წლის.
25. იორდანე ბიჭილას ძე დავითაშვილი, 24 წლის; მისი ძმა, გიორგი – 21 წლის.

26. იასე პეტრეს ძე დავითაშვილი, 38 წლის; მისი შვილები: ალექსი – 4 წლის, ვასილი – 1 წლის. იასეს ძმები: იოსები – 27 წლის, დავითი – 19 წლის; იოსების შვილი, გრიგოლი – 6 წლის.
27. პაპა პავლეს ძე ოდიშვილი, 43 წლის; მისი შვილი, გიორგი – 17 წლის; პაპას ძმა, ივანე – 35 წლის; ივანეს შვილები: ალექსი – 5 წლის, იაგორი – 2 თვის.
28. ივანე შიოს ძე ოდიშვილი, 25 წლის; მისი ძმა, გიორგი – 17 წლის (გადასახლდ-ნენ ვლადიკავკაზში).
29. იოსებ ივანეს ძე ოდიშვილი, 38 წლის; მისი შვილები: ივანე – 16 წლის, ნი-კოლოზი – 2 წლის.
30. გლახა ბერის ძე წამალაიძე, 40 წლის; მისი შვილები: გიორგი – 16 წლის, სტე-ფანე – 13 წლის, შიო – 7 წლის, ალექსანდრე – 3 წლის; გლახას ძმა, ივანე – 33 წლის; გლახას ძმისწული, სიმონ პეტრეს ძე – 18 წლის; გლახას ბიძაშვილები: საბრალა – 15 წლის; სპირიდონი – 3 წლის.
31. იაკობ ზაქარიას ძე სეთურიძე, 40 წლის; მისი შვილები: ივანე – 9 წლის, ნი-კოლოზი – 4 წლის; იაკობის ძმა, გიორგი – 21 წლის.
32. გიორგი კურის ძე არჯინაშვილი, 63 წლის; მისი ძმა, ალექსი.
33. გრიგოლ შიოს ძე ბაბეშვილი, 23 წლის; მისი ძმა, ალექსი – 3 წლის;
34. მატვეი (მოსე? მათე?) გრიგორის ძე ღუდუშაური, 26 წლის;
35. შიო ზაალის ძე ბაბეშვილი, 68 წლის; მისი ძმისწულები: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე – 23 წლის, ანდრო იესეს ძე – 6 წლის.
36. ბაცა (?) შიოს ძე ოდიშვილი, 38 წლის; მისი ძმისწულები, გაბალას შვილები: გიორგი – 22 წლის, კიკო – 19 წლის, ლაზარე – 17 წლის; გიორგის შვილი, კონსტანტინე – 3 წლის.
37. გლახა შიოს ძე ფაჯიშვილი, 33 წლის; მისი ძმისწული, მოსე გრიგოლას ძე – 14 წლის.
38. ბიყრი (?) ზაქარიას ძე სისაური 58 წლის; მისი შვილები: იოსები – 12 წლის, იასე – 7 წლის, გიორგი – 5 წლის, გრიგოლი – 2 წლის.

*

ღუდუშაურები სიონში – სნოდან არიან მოსულები.
1774 წელს – სიონში სახლობდა: –
„ღუდუშაური თადის შვილი სურხავ და ბესლან;“
1781 წელს აღირიცხა: –
ღუდუშაური თადის შვილი სურხავ და თადია.
1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. გრიგოლ ბაეს ძე ღუდუშაური, 48 წლის; მისი შვილები: ივანე – 12 წლის, გი-ორგი – 2 წლის; გრიგოლის ძმისწული, მარტია ავთანდილის ძე – 12 წლის.
2. ნიკოლოზ ყარაჯას ძე ღუდუშაური, 53 წლის; მისი შვილები: დავითი – 33 წლის, გლახა – 23 წლის, თევდორე – 20 წლის; დავითის შვილი, შიო – 7 წლის.
3. მოსე გიორგის ძე ღუდუშაური, 30 წლის; მისი ძმები: სიმონი – 12 წლის, ალე-ქსი – 9 წლის, სპირიდონი – 7 წლის.
4. მატვეი (მოსე? მათე?) გრიგორის ძე ღუდუშაური, 26 წლის.

*

წიკლაურები (გოთიაურ-გოთიშვილები, „გოთიენი“) ცდოდან – XVIII საუკუნის ბოლოს არიან სიონში მოსულები.

სიონელ სისაურს „ცდოველი“ წიკლაური მოუკლავს და „სისხლში აუღიათ“ მათი ადგილი.

1774 წელს – სიონში სახლობდა: – გოთიაური თამაზას შვილი გია, იასე, გიორგი და პაპუა;

1781 წელს – წიკლოურის შვილი შაშვია.

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. გლახა შიოს ძე წიკლაური, 58 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 21 წლის, გიორგი – 3 წლის.
2. დავით შიოს ძე წიკლაური, 73 წლის; მისი შვილი, შიო – 41 წლის; შიოს შვილები: სიმონი – 17 წლის, იოსები – 9 წლის.

*

კვირჭიშვილი – ხევში ქსნის ხეობის სათავეებიდან (სოფ. ჟამურიდან) მიგრირებული გვარია.

მათი სიონში დამკვიდრება – სავარაუდოდ, XVIII-XIX სს მიჯნაზე მოხდა.

1831 წელს – იქ, კვირჭიშვილის ერთი კომლია აღრიცხული;

1886 წელს – 5.

*

სეთურიძეები, წამალაიძეები და კობაიძეები მთიულეთიდან არიან მოსულები.

აღნიშნული სამი გვარიდან, 1774 წელს – სიონში, მხოლოდ წამალაიძე სეხნიას შვილი ბერა, გიორგი და გივი სახელდება.

1781 წელს – სეხნიაშვილი ბერა, გიორგი და ივანე (წამალაიძეები).

კობაიძე – სიონში პირველად, XIX ს-ის დასაწყისში ჩანს.

1831 წელს – მათი ერთი კომლია აღრიცხული.

ამავე პერიოდში არიან მოსული სეთურიძეებიც – გახეშვილის გვარით (სიონში მათ მოიხსენიებენ როგორც – „გახეთ“).

წამალაიძეები

მთიულური წარმომავლობის არიან.

მათი ძირები ხადას სოფლებშია – მუღურეში და ქოროღოში.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

მუღურეში მცხოვრები ყუთუყაურები და ავწაიძები, დროთა განმავლობაში, წამალაიძეების გვარში გაერთიანდნენ და – დღეს, მათ მამაშვილობებად ითვლებიან.

წამალაიძეთა გვარი მიიღეს ქოროღოში მცხოვრებმა მახატიშვილებმაც.

ძველთაგან – დიდი ახლობლობა მოსდგამთ წამალაიძეებს და ჯაღუმიძეებს.

გადმოცემის თანახმად: –

ქოროღოში მცხოვრები წამალაიძეები მტერს ამოუწყვეტია.

გადარჩენილა მხოლოდ მათი ფეხმძიმე რძალი, რომელიც საღირაანთ კომობის

ჯაღუმაიძეს შეუკედლებია.

ამ ოჯახის რძალიც ორსულად ყოფილა.

ჯაღუმაიძეთ – ვაჟი შესძენიათ;

წამალაიძეების რძალს – ქალი.

წამალაიძეთა გვარმოდენილობა რომ არ შემწყდარიყო, ჯაღუმაიძეებმა – მშობლებს ქალ-ვაჟი გააცვლევინეს.

ჯაღუმაიძედ დაბადებული და წამალაიძედ გაზრდილი ბიჭი რო „მოღერდა“ – იარაღასხმული ჯაღუმაიძეები სოფ. ქოროღოსკენ დაიძრნენ და მის მოსისხლეებს შეუთვალეს: –

„გაგვეცალენით! წამალაიძე მოგვყავსო...“

იმ ვაჟზე მოდიანო – ქოროღოდან წამოსული წამალაიძეები.

*

სიონში დასახლებულ წამალაიძეებს – დროთა განმავლობაში, რამდენიმე მამიშვილობა გამოიყო (ყაზბეგიანი, მახარობლიანი, ბიანი, ყატყვიანი და ჯაბიანი).

1873 წლის აღწერით – მოხსენიებულნი არიან: –

1. მარტია ივანეს ძე წამალაიძე, 83 წლის; მისი შვილები: გიორგი – 49 წლის, ივანე – 38 წლის; გიორგის შვილები: იოსები – 22 წლის, გლახა – 7 წლის; ივანეს შვილები: იაკობი – 22 წლის, იობა – 16 წლის, თევდორე – 11 წლის, ალექსი – 7 წლის, ნიკოლოზი – 5 წლის; იაკობის შვილი, ვახტანგი – 1 წლის.
2. ბიჭი იასეს ძე წამალაიძე.
3. გლახა ბერის ძე წამალაიძე, 40 წლის; მისი შვილები: გიორგი – 16 წლის, სტეფანე – 13 წლის, შიო – 7 წლის, ალექსანდრე – 3 წლის; გლახას ძმა, ივანე – 33 წლის; გლახას ძმისწული, სიმონ პეტრეს ძე – 18 წლის; გლახას ბიძაშვილები: საბრალა – 15 წლის; სპირიდონი – 3 წლის.

კობაიძეები

ს. მაკალათის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„როცა ვახტანგ გორგასალს ოს-ბაყათარი დაუმარცხებია, ტყვეებში რეულა კობაიძეთა წინაპარი, რომელსაც მთიული ქალი შეურთავს და კობათ-კარში (მთიულეთში) დამკვიდრებულა.“

მკვლევარის მთხრობელის ცნობით: –

კობაიძეები „ჩიმიდანა (ჩმიდან, ჩრდ. ოსეთიდან) ვართ მოსულები.“

„ქვრივი დედაკაცი ყოფილა, მაიაი – რომელსაც სამი ვაჟი ჰყოლია. გამოურეკია სამივე და აქ მოსულან.“

„კობაი დამდგარა – წინკობათს;“

„ჯაბანაი – ზემო ხევზე;

„შუაზე – თვითონ მაიაი დამდგარა უმცროს შვილთანა“...

*

მთიული კობაიძეები, ძირითადად, სოფ. ჩირიკში სახლობენ.

ქსნის ხეობის სოფ. საძეგურში მცხოვრები კობაურები ძირად ჩირიკიდან გადასახ-

ლებული კობაიძეები არიან.

მათი გადასახლების მიზეზი ბატონის მკვლელობა ყოფილა.

კობაიძეებიდან წარმომავლობენ სოფ. კობიანთკარში (დუშეთის რაიონში) მცხოვრები გორზამაშვილებიც.

*

ხევში (სოფ. ყანობში) კობაიძე-კობიაშვილები XVIII ს-ის აღწერებით ჩანან.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

ისინი თრუსოს ხეობიდან არიან მოსულები.

სიონელი კობაიძეები **(ვანენი, ბაიენი, ნიკენი???)**, XIX საუკუნის პირველ ნახევარში – მთიულეთიდან მოსულან.

1873 წლის აღწერით – მათი 4 კომლია მოხსენიებული: –

1. ივანე ივანეს ძე კობაიძე, 43 წლის; მისი შვილები: მამუკა, 33 წლის, შიო – 23 წლის; მამუკას შვილები: ანდრია – 11 წლის, მიხეილი – 8 წლის, ვასილი – 5 წლის.
2. ივანე გლახას ძე კობაიძე, 25 წლის; მისი შვილები: იოსები – 5 წლის, ვასილი – 1 წლის.
3. სიმონ ზაქარიას ძე კობაიძე, 35 წლის; მისი შვილები: სოლომონი – 7 წლის, მოსე – 4 წლის.
4. თევდორე ზაქარიას ძე კობაიძე, 34 წლის.

სისაურები

დიდი ისტორიის მქონე, ძირძველი ქართული გვარია.

ერთი ეთნოგრაფიული ვერსიის თანახმად, ჩეჩნეთის სოფ. ჭანთეთიდან, ხევსურეთის მოსაზღვრე ქისტეთის სოფელ მიზუში (ალბათ, XV საუკუნეში) მისულა – მკვლელობის გამო თავგამორიდებული კაცი, რომელიც – მერე, ჯარეგაში დამდგარა ამანათად.

მისი ორი ვაჟი – სანაგი და ნიქორი, მოგვიანებით, ხევსურეთის სოფელ ანატორში გადმოსახლდნენ – ქისტეთის მოსაზღვრე თავისუფალ ადგილზე.

მათი გვარი იყო სისვაური (სისკაური)...

გადმოცემის თანახმად: – ახალმოსახლენი სახელის მოპოვებას შეუდგნენ და მოიპოვეს კიდეც.

სანაგის ასპარეზად პირაქეთი ხევსურეთი იქცა.

ნაქორის მოდგმამ დიდხანს იბოგინა ანატორში და, ბოლოს, ჭინჭარაულებთან საადგილმამულო დავას შეეწირა.

რ. თოფჩიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

სისაურების წინაპარი, უფრო ადრე, საქართველოს ბარიდან იყო ქისტეთში წასული.

უცხო გარემოში დიდხანს ვერ გაუძლიათ და უკან (საქართველოში – კერძოდ, ხევსურეთში) დაბრუნებულან.

*

შატილიდან პირაქეთ ხევსურეთში მისული სისვაურ-სისკაურების მეორე წინაპარი – სანაგი, დათვის-გველეთელ გიგაურთა მომიჯნედ, მანამდე დაუსახლებელ ადგილზე დასახლდა;

მერე – გველეთის მთავარანგელოზის ჯვარში თეთრი ხარით მივიდა („ხარ-ქვაბი ქნა“) და სისკაურთ მთელი გვარის სახელით – გიგაურებთან ძმობა ითხოვა.

დღემდე შემორჩენილია: ხუთასი წლის წინ, გიგაურ-სისკაურთა ძმობის ნიშნად, იმავე სალოცავში ჩაგდებული სამანი.

ბარისახოს მიმდებარედ დასახლებული სისაურები – ქისტეთში მოლაშქრე ხევსურებს გვერდით დადგნენ, „როგორც იქაური ადგილ-გარემოს კარგი მცოდნენი.“

„თავკაცობდნენ მათ გალაშქრებას მითხოში და სხვაგანაც...“

„სადაც კი დასაბეგრავად წავიდოდნენ, ხმალას დროშას ააბამდნენ და წინ გამუძღვარებდნენ ხოლმე ჯარს – ვიდრე მათ მეგანძურები აქედან აყრიდნენ და გუდანის ჯვარის დროშით დაიწყებდნენ წინამძღვრობას“ (ალ. ოჩიაური).

*

ბარისახოში მცხოვრები სისაურები, დროთა განმავლობაში, მძიმე საადგილმამულო ბრძოლების შემდგომ – იქიდან, მეგანძურებმა (ჭინჭარაულებმა და არაბულებმა) აყარეს.

ანდრეზის თანახმად: –

ცნობილ ვაჟკაცს, ხმალას ჯავრის გამძღო-ხევისბერს, სანაგის სანაგს (გვარად სისაურს), ძმადნაფიცი ჰყავდა ბასხანჯაური.

ლიქოკის ხეობა, მაშინ – თითქმის დაუსახლებელი იყო;

მისულა და მის მეზობლად დამკვიდრებულა.

ასე ჩაეყარა საფუძველი სანაგ სანაგის ძის შთამომავლების, ანუ, ლიქოკელი სისაურების განშტოებას – რომლებმაც, დროთა განმავლობაში, ლიქოკის ხეობაში მცხოვრებ სხვადასხვა წარმომავლობის გვარებთან (ბასხაჯაურებთან, კიმხელ თაუგანთან და თუშეთიდან გადმოსულ ოჩიაურებთან (თუ, ვაჩიაურებთან) შეყრილობით, ახალი ქართული გვარი შექმნეს – ლიქოკელი.

სისაურთა ნაწილი, დროთა განმავლობაში, ლიქოკიდან – ხადას ხეობის მთიან ნაწილში გადასახლდა.

ჯერ ქალაქეთის კოშკებთან უცხოვრიათ, მერე, იქვე ახლოს, სოფ. იუხოში გადასულან, სადაც ქვიცურის გვარს ატარებდნენ.

მათი განაყრები არიან სიონში მცხოვრები სისაურები, ამჟამად კახეთში მოსახლე სამნიაშვილები და ვლადიკავკაზში გადასახლებული ქუცურები (ქვიცურები).

სისაურები – სიონის პირველმოსახლეებად ითვლებიან.

გადმოცემის თანახმად, მათთვის, როგორც კარგი მეომრებისთვის – მეფეს უბოძებია ეს ადგილი.

1774 წლის აღწერით – სიონში, მოხსენიებულნი არიან: – „სისოური კაცის შვილები, ბერა და ბეჟან.“

1873 წელს დარეგისტრირდნენ: – ბიყრი (?) ზაქარიას ძე სისაური 58 წლის; მისი შვილები: იოსები – 12 წლის, იასე – 7 წლის, გიორგი – 5 წლის, გრიგოლი – 2 წლის.

სისაურებიდან წარმომდგარი რამდენიმე გვარი, დროთა განმავლობაში, ერთ-

მანეთს ისე დაშორდა, რომ მათ შორის ნათესაობის ხსოვნა დაიკარგა; კერძოდ: –

ზემოთიანელი კახოშვილები, გონჯილაშვილები და ბატონის მკვლელობისთვის თიანეთიდან იმერეთში გახიზნული, „ერთი თიანელი სისაურის“ შთამომაავლები, რომლებიც სისვაძეებად დაეწერნენ.

ბარში დასახლებული სისაურები, ძირ-გვარის გარდა – ოცამდე ახალ გვარს ატარებენ.

ოდიშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ოდიშვილების წინა გვარი ცეცხლაძეა. ადრე, მეჯუდის (ღრომის) ხეობის სოფ. არდისში უცხოვრიათ (სამაჩაბლოში).

სამი ძმანი ყოფილან: – ბედო, ოდი და მელა.

დროთა განმავლობაში დაყოფილან – ოდიშვილებად, ბედოშვილებად და მელაძედ.

1774 წლის აღწერით – სიონში, მათი 2 კომლი სახლობდა: –

1. ოდიაური ბრუტაულის შვილი ბიძინა, შალუხა, პავლე და შერმაზან;
2. ოდიაური ბიასას შვილი გიორგი და დავით.

1781 წელს აღირიცხნენ: –

1. ბრუტაულის შვილი ბიძინა და შერმაზან (ოდიაური);
2. ბიასას შვილი გიორგი და დავით (ოდიაური).

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

სიონელი ოდიშვილების საოჯახო თემის საბოლოო დაყოფა, XIX ს-ის დასაწყისში მოხდა.

ოჯახი – მაშინ, 64 სულისგან შედგებოდა და შრომას 13 მამაკაცი ეწეოდა.

ერთიან კომლს სათავეში ედგა შარმაზანი, რომელსაც 5 ვაჟი ჰყავდა: – იოსები, ბადა, გივარგი, იასე და გაბალა.

შარმაზანის სიკვდილის შემდეგ, ოჯახი – ორად გაიყო.

ერთის მეთაური გახდა გაბალა, მეორესი – იასე.

გაბალას ოჯახში დარჩა – უშვილო ბადა.

უშვილო იყო მეორე ოჯახის მეთაური – იასეც.

მასთან, თავიანთი შთამომავლებით, გაერთიანდნენ – იოსები და გივარგი.

იასეს გარდაცვალების შემდეგ, კომლის თავი გახდა იოსები.

ოჯახის მეთაურთა სახელების მიხედვით, ერთ საოჯახო თემს მოხევეებმა შეარქვეს გაბალენი, მეორეს – იოსებენი.

1873 წელს – სიონში მოხსენიებულნი არიან: –

1. იოსებ იასეს ძე ოდიშვილი, 43 წლის; მისი შვილები: სიმონი – 19 წლის, შიო -16 წლის, ივანე – 15 წლის, აბრამი – 5 წლის, მოსე – 2 წლის.
2. გიორგი იასეს ძე ოდიშვილი, 38 წლის; მისი შვილი (სახელი არ იკითხება) 3 წლის.
3. პაპა პავლეს ძე ოდიშვილი, 43 წლის; მისი შვილი, გიორგი – 17 წლის; პაპას ძმა, ივანე – 35 წლის; ივანეს შვილები: ალექსი – 5 წლის, იაგორი – 2 თვის.
4. ივანე შიოს ძე ოდიშვილი, 25 წლის; მისი ძმა, გიორგი – 17 წლის (გადასახლდნენ ვლადიკავკაზში).

5. იოსებ ივანეს ძე ოდიშვილი, 38 წლის; მისი შვილები: ივანე – 16 წლის, ნიკოლოზი – 2 წლის.
6. ბაცა (?) შიოს ძე ოდიშვილი, 38 წლის; მისი ძმისწულები, გაბალას შვილები: გიორგი – 22 წლის, კიკო – 19 წლის, ლაზარე – 17 წლის; გიორგის შვილი, კონსტანტინე – 3 წლის.

როგორც ვალ. ითონიშვილი გვამცნობს: –

XX საუკუნის დასაწყისში, გაბალეთ ოჯახში ირიცხებოდა 25 სული. ისინი 7 ინდივიდუალურ კომლებად დაიყვნენ, მაგრამ ყველამ შეინარჩუნა ყოფილი მეთაურის სახელიდან წარმოებული სახელწოდება – გაბალენი.

XX საუკუნის დასაწყისში დაიყო იოსებეთ ოჯახიც.

მათი კომლი – მაშინ, 50 სულს ითვლიდა და „დიდი ოდიანნი“-ს სახელწოდებით მოიხსენიებდნენ – რადგან ცხოვრობდნენ ერთ დიდ სახლში, რომელიც სიონის კოშკს – სახლის შიდა კედლებსა და ტიხარებში დატანებული რამდენიმე კარით უკავშირდებოდა.

ადგილს, სადაც ის სახლი იდგა, კართა სიმრავლის გამო, ნაკარალს უწოდებენ.

იოსების (6 შვილის) და გიორგის (2 შვილის) შთამომავლებს – 13 ინდივიდუალურ კომლად დაყოფის შემდეგაც – დღემდე, შემორჩენილი აქვთ „იოსებენის“ და „დიდი ოდიანნის“ თიკუნი.

*

XIX ს-ის ხევში, „დიდი ოჯახებს“ სახელწოდებით მოიხსენიებდნენ:

სტეფანწმინდელ გიგაურებს: –

„დიდი ჩეკიენი“, რომელიც, 1908 წელს – გაყრის მომენტში, 52 სულისგან შედგებოდა;

ცდოველ წიკლაურებს: –

„დიდი ჩოფანენი“, რომელთა 40 სულიანი ოჯახი, XX საუკუნის 20-იან წლებში – 8 ინდივიდუალურ ოჯახად დაიყო;

„დიდი ბეკურენი“: –

ყამარაულების საოჯახო თემი სოფ. კარკუჩაში;

„დიდი უძილენი“ – სუჯაშვილების საოჯახო თემი – გერგეტში;

„დიდი დათურენი“ – ტყარშეტიდან არშაში ჩასახლებული ავსაჯანიშვილების საოჯახო თემი;

სტეფანწმინდაში მცხოვრები ქუშაშვილების 55-სულიანი ოჯახი და სხვ.

დავითაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

დავითაშვილები კახეთიდან არიან სიონში მოსულები;

თავიანთი გვარის სალოცავად მათი წინაპრები „ალავერდს“ მიაჩნევდნენ.

*

1774 წლის აღწერით – სიონში მოხსენიებულნი არიან: –

1. დავითაური ათილას შვილი ატა და თადი;

2. დავითაური გილას შვილი ლომკაცა და პაპა;
3. დავითაური კურდღელას შვილი გია.

1781 წელს აღირიცხნენ: –
1. ათილას შვილი ატა და თადი (დავითაური);
2. გიას შვილი (გილას შვილი) ლომკაცა (დავითაური);
3. კურდღელას შვილი გია და ივანე (დავითაური).

1860 წელს – დარეგისტრირდნენ: –
1. ნონიკა ომას ძე დავითაშვილი, 25 წლის; მისი ძმები: ბიჭიკო, 16 წლის; სიმონი – 8 წლის;
2. ივანე გიორგის ძე დავითაშვილი, 40 წლის; მისი შვილი, გლახა – 13 წლის; ივანეს ძმისწულის, გრიგოლის შვილები: სვიმონი – 4 წლის; ბიჭიკო – 2 წლის;
3. შიო იოსების ძე დავითაშვილი, 50 წლის; მისი შვილები: ივანე – 13 წლის; გიორგი – 7 წლის; იაკობი – 2 წლის; შიოს ძმისწულის, პეტრეს შვილები: იასე – 25 წლის; იოსები – 14 წლის; დავითი – 6 წლის;
4. იორდანე ბიჭილას ძე დავითაშვილი, 11 წლის; მისი ძმა, გიორგი – 8 წლის; ობლები.

1873 წლის აღწერით მოხსენიებულნი არიან: –
1. ნინიკა ომას ძე დავითაშვილი, 38 წლის; მისი შვილი, ნიკო – 2 წლის; ნინიკას ძმები: ბიჭიკო – 29 წლის, სიმონი – 21 წლის; ბიჭიკოს შვილი, იაგორი – 3 წლის; სიმონის შვილი, ვანკა – 3 წლის.
2. ივანე გიორგის ძე დავითაშვილი, 53 წლის; მისი შვილი, გლახა – 26 წლის; გლახას შვილი, გიორგი – 4 წლის; ივანეს ძმისწულები, გრიგოლის შვილები: სიმონი – 17 წლის; ბიჭიკო – 15 წლის.
3. შიო იოსების ძე დავითაშვილი, 63 წლის; მისი შვილები: ივანე – 23 წლის, გიორგი – 20 წლის, იაკობი – 15 წლის, ანდრია – 9 წლის; ივანეს შვილი, სიმონი – 4 წლის.
4. იორდანე ბიჭილას ძე დავითაშვილი, 24 წლის; მისი ძმა, გიორგი – 21 წლის.
5. იასე პეტრეს ძე დავითაშვილი, 38 წლის; მისი შვილები: ალექსი – 4 წლის, ვასილი – 1 წლის. იასეს ძმები: იოსები – 27 წლის, დავითი – 19 წლის; იოსების შვილი, გრიგოლი – 6 წლის.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

სიონელი დავითაშვილები ორ შტოდ იყოფიან – სოსენად და ატენად;

სოსენიდან (ანუ, იოსებიდან) მოდიან ძმების – შიოს და პეტრეს შვილები; შიოსგან: – ივანე, გიორგი, იაკობი და ანდრია; პეტრესგან: – იოსები (ბუტია), დავითაი და სიმონაი (სია);

ატენიდან მოდიან: – ბიჟიენი, ქოსელენი, ბიჭიკვენი და გუგულენი;

*

სიონმა ბევრი სახელოვანი შვილი მისცა როგორც ხევს, ისე სრულიად საქართველოს.

ყაზბეგის რაიონში წერა-კითხვის გავრცელებისა და საგანმანათლებლო ქსელის განვითარების საქმეში – დიდი წვლილი მიუძღვის პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ანდრია კობაიძეს – რომელიც „კალმისწვერას“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროებაში,“ „ივერიაში“);

არ არსებობდა – პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, დემოგრაფიული თუ ეკოლოგიური პრობლემა, რომელსაც არ ეხებოდა და არ წარმოაჩენდა.

დაუღალავად იბრძოდა მოხევეების შრომა-გასაჭირის შესამსუბუქებლად; მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

პრესაში აშუქებდა იმ უსამართლობას – უსულგულობასა და ხალხის ჩაგვრას, რომელსაც ადგილობრივი მმართველობა ახორციელებდა.

იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელი ხევში;

მიმოწერა ჰქონდა ილიასთან, იაკობ გოგებაშვილთან, იონა მეუნარგიასთან...

მისი მეუღლე გახლდათ ალ. ყაზბეგის მეგობრის, სიმონ გიგაურის („ნამგალას“) ქალიშვილი;

ყავდათ 10 შვილი.

მათმა ვაჟმა, არჩილ კობაიძემ – წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი;

იკვლევდა ხევის ისტორიულ წარსულს, აქვეყნებდა წერილებს პრესაში;

დიდი წვლილი აქვს შეტანილი ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში; ქართულ დიალექტოლოგიაში;

შეკრიბა 5000-ზე მეტი მოხეური სიტყვა და ტოპონიმური მასალა;

შეადგინა მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი.

*

ხევის საამაყო პიროვნება გახლდათ ცნობილი პარტიული მუშაკი და საზოგადო მოღვაწე – ისიდორე ოდიშვილი.

თავისი ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი სიცოცხლის განმავლობაში, ორჯერ იქნა არჩეული საქ. კპ ყაზბეგის რაიკომის პირველ მდივანად;

იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე;

გაასამართლა ილია ჭავჭავაძის მკვლელი, გიგლა ბერბიჭაშვილი;

1953 წელს, გამოსცა წიგნი „წიწამურის ტრაგედია“.

*

ვახტანგ ისიდორეს ძე ოდიშვილი – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების და მილიციის პოლკოვნიკი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ; საქართველოს შსს სისხ-

ლის სამართლის სამმართველოს უფროსი – კურირებდა სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურს.

მასთან დაუვიწყარი მოგონებები მაკავშირებს: –

გავიცანი თბილისის კოლორიტის, ბ-ნ ოთარ აბდუშელიშვილის ოჯახში.

გაკვეთილებს ვიღებდი ქართლი სუფრის მათ აკადემიაში.

ერისკაცები იყვნენ.

ცოტას თუ ახსოვს, ბ-ნი ვახტანგი როგორც სპორტსმენი – რომელიც ტოლს არ უდებდა ლეგენდარულ გივი კარტოზიას; მასთან, დიდი მეგობრობა აკავშირებდა.

იმდენად საოცარი რომ – სარბიელზეც არასდროს შეჭიდებიან ერთმანეთს.

*

ვლადიმერ (ვალოდია) ისიდორეს ძე ოდიშვილი – შუა აზიის რესპუბლიკების ნიადაგის შემსწავლელი საკავშირო გეოლოგიური ექსპედიციის მთავარი სპეციალისტი გახლდათ;

იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების გორის სარაიონთაშორისო ბაზის დირექტორი, საქ. კპ ცკ-ის მემცენარეობის სექტორის გამგე, კასპის რაიკომის პირველი მდივანი, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; გარდაბნის რაიონის სამგორის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი საქართველოში. თბილისის წისქვილ-კომბინატის დირექტორი.

მაყვალა ოდიშვილი – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორია, გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე სახელმძღვანელო.

ნუგზარ ოდიშვილი მოღვაწეობდა საქ. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქ. კპ ცკ-ში; იყო საქ. კპ ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი, გამგებელი; დამზადების მინისტრის მოადგილე. 6 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია – საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მიწის ეკონომიკური შეფასებს საკითხებზე.

გურამ ოდიშვილი – შესანიშნავი პიროვნება და სამეურნეო მუშაკი – ფეხსაცმელების ფაბრიკის დირექტორი გახლდათ თბილისში. დაუვიწყარია მასთან ერთად საქარხნო რაიონში მუშაობის წლები, სადაც ისეთი კოლექტივი შეიკრა – დღემდე, ყველა მეგობრებად ვრჩებით.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვახტანგ დავითაშვილი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

მედიცინის დოქტორი, ოთარ დავითაშვილი – საყოველთაოდ ცნობილი სამედიცინო დაწესებულების, აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორია.

მხატვარ ლევან დავითაშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს სამხატვრო ფონდში, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, შვეიცარიისა და რუსეთის კერძო კოლექციებში.

ანზორ დავითაშვილი – ყაზბეგის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მსახურობდა.

გოჩა მალანია – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე გახლდათ.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მკლავჭიდში, მამუკა ფაჯიშვილი – პირველი მოხევე მსოფლიო ჩემპიონია.

14 წელი ითამაშა დიდი რაგბი ლორდი ფაჯიშვილმა; იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ-ს მესამე პრიზიორი; მისი თამაში დღესაც ახსოვთ რაგბის მოყვარულებს. ტანმაღალ, ორი მეტრი სიმაღლის გამხდარ ათლეტს – ბადალი არ ჰყავდა საჰაერო ბურთისათვის ბრძოლაში.

მაგული კობაიძე ცნობილი მოქანდაკეა.

დემიკო კობაიძე – სპორტის ოსტატი ველოსპორტში.

ანზორ (ჯემალ) კობაიძე, ყიზლარის მართვის გაერთიანების თავმჯდომარის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მსახურობდა.

გარბანი

საქართველოს სამხედრო გზაზე, მდინარე ტერხენზე გადებულ ხიდს გაღმა მდებარეობს – ზ.დ. 1830 მ-ზე.

სიონთან – ზემოაღნიშნული მდინარე „განჰყოფს“.

ხევის უძველესი დასახლებაა.

მოხსენიებულია გერგეტელ საყდრისშვილთა მატიანეში (XV ს-ის დოკუმენტში).

სოფლის ზემოთ – ტერასებზე, რომელსაც „ძველ გარბანს“ უწოდებენ, ადრინდელი ნასახლარებია შემორჩენილი. სოფელი – იქ, მეწყერსა და ზვავს დაუნგრევია. მოსახლეობა ამის გამო აყრილა და მდინარე თერგის პირას („ქვემო სოფელში“) ჩამოსახლებულა – თანამედროვე გარბანის ქვემოთ, სადაც ნასახლარები და კოშკის ნანგრევებია შემორჩენილი.

სოფლის განაპირას, შემაღლებულ ადგილზე მდგარი – „ოქროს ბებერი წმინდა გიორგის“ დარბაზული (14,5X7,2 მ.) ეკლესია, თლილი ქვების ჰორიზონტალური რიგებით არის ნაგები.

თავისი ხუროთმოძღვრული ფორმების, მორთვის ხერხების, ჩუქურთმის შესრულების წესისა და სხვა ანალოგიების გათვალისწინებით – IX–X სს ძეგლს წარმოადგენს.

1968-70 წლებში მას სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა: –

განახლდა კამარა, კონქი – კედლების და გალავნის დანგრეული ნაწილები; გამაგრდა მიშენებული კედლების ფრაგმენტები.

ფრესკები, რომლითაც სალოცავის ინტერიერი იყო მოხატული, დროთა განმავლობაში, განადგურდა; რესტავრაციის შემდეგ კი – მთლიანად დაიკარგა.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): –

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ელფერის: – ლეგა, ყვითელი და მოყავისფრო ტუფის კარგად გათლილი ფილებით.

აფსიდის თაღის ქუსლები მოჩუქურთმებულ იმპოსტებზეა დაყრდნობილი.

ჩუქურთმიანია საბჯენი თაღების კონსოლებიც.

დასავლეთის სარკმელი მორთულია პროფილირებული, ჰორიზონტალურ გადანაკეცებიანი თაღით – რაც ქართული ტაძრის ინტერიერისთვის იშვიათი მოვლენაა.

ფასადები სადაა.

სარკმელთა მოკრძალებულად პროფილირებული ზედანები თითქმის არ იქცევს მნახველის ყურადღებას.

უმთავრესი სამკაული: – საინტერესოდ, მრავალფეროვნად გადაწყვეტილი ლავგარდნებია.

დასავლეთის ფასადზე – თაღოვანი სარკმელის ასწვრივ, მოთავსებულია კაშკაშა აგურისფერი-მოწითალო ფილა და მისი კონტრასტული – მწვანე ქვის ჯვარი.

ტაძრის პერანგის ცალკეულ ფილებზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერები, რომლებიც ეკლესიის თანადროული უნდა იყოს.

ერთ მათგანში მოიხსენიება „ოქროს წმინდა გიორგი;“ მეორეში – დაქარაგმებულია სახელი „გრიგოლ“ (ალბათ, ეკლესიის მშენებელი)...

გადმოცემის თანახმად: –

„ოქროს ბებერი წმინდა გიორგის“ სალოცავის კედლებში – ოქროს ფული ყოფილა ჩამარხული.

აქედან მოდისო მისი სახელწოდება.

გიორგობის დღესასწაული („თავი გივარგობა“ – ანუ, „შემოდგომის გივარგობა“) – ყველაზე დიდი ზეიმით, გარბანში ტარდებოდა. სათემო დღეობა იყო – გარბანელთა მასპინძლობით. უამრავი მხვეწარი იღებდა მონაწილეობას ხევის სხვა სოფლებიდან.

ხატობას – აღდგომის მესამე კვირას იხდიან.

ადრე, ეკლესიიდან გამოაბრძანებდენ ხოლმე წმინდა გიორგის ვერცხლის ხატს (34X26 სმ.), რომელზეც – ჯვარცმა, ღვთისმშობელი, წმინდა გიორგი და სხვა წმინდანები იყო გამოსახული.

მას შემდეგ, როცა გარბანის ეკლესია მთიდან დაქანებულმა ზვავმა დაანგრია – ხატები სიონის ეკლესიაში გადააბრძანეს;

იქ დაიკარგა.

*

„ოქროს ბებერი წმინდა გიორგის“ სალოცავის დასავლეთით, ფიქალის (დიდი) ნათალი ქვის მშრალი წყობით ნაგები – მინდვრის წმინდა გიორგის ხატია განთავსებული. მის კედელზე – დიდი ზომის ფიქალის ოთხკუთხა ქვა დევს, რომელზეც ჯვარია დადგმული – გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგის გამოსახელებით.

სალოცავის გვერდით, თუნუქით გადახურული საჯარეა (ქვის მაგიდა და სკამები დგას).

სოფლის მიმდებარედ განთავსებულია: –

კვირეღვთიშობლის ხატი, ციხემცავი ანგელოზის, წვერის (სემღისას) წმინდა გიორგის და მთავარანგელოზის (თარანგელოზის) სალოცავები.

სემღისას წმინდა გიორგის ხატი – სოფლის თანამოსახელე მთაზე მდებარეობს.

2017 წელს – მისგან მხოლოდ საძირკველი იყო შემორჩენილი.

მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით და მღვდელ-მონაზონი ილარიონის ხელმძღვანელობით – სოფლის მოსახლეობამ აღადგინა აღნიშნული სალოცავი.

დღეს – იგი, წმინდა ათინოგენის სახელობის ტაძრად მოიხსენიება.

სასოფლო ხატობების ორგანიზებას – გარბანში, ორი მნათე უძღვებოდა.

ერთი გელაძეების გვარის; მეორე – დანარჩენი გვარებისა ერთად (გუჯარაიძეების, ქუქიშვილების, ხეთაგურებისა და ქოჯურების). ორივე მნათე წმინდა გიორგის სახელზე შეწირულ ყანებს ამუშავებდა.

*

1774 წლის აღწერით, „ხევის გარბანს, არაგვის ერისთავის ყმა ჩქარეული აღდგომლის შვილის იასეს სახელოში“ – მოხსენიებულნი არიან: –

1. გელიაიძე ბერიას შვილი როსტევან, პაპუნა და შიო;
2. ქაუმსის შვილის ადამის ყმა ქუქიქური ნის შვილი ბიძია და ჯანუყო;
3. ქაუმსის შვილის ადამის ყმა ქუქიქური ნის შვილი შია;
4. ქაუმსის შვილის ადამის ყმა ყუთიაური დავითის ობოლი გიორგი და ელისბარ;
5. ქაუმსის შვილის იასეს ყმა ქუქიქური ატას შვილი ჯანუყო, დათუნა და გიორგი;
6. ქაუმსის შვილის იასეს ყმა ჩოხელი გივის შვილი ყაზიბეგ და იასე;
7. ქაუმსის შვილის იასეს ყმა გელიაიძე ბეჟუას შვილი გელა და დოლა;
8. ქაუმსის შვილის იასეს ყმა ქუქიქური ნასყიდას შვილი მაღლია;
9. ოთარის შვილის ჩრდილელის ყმა გუჯარაიძე გიორგის შვილი პაპუა და ბერა;
10. ოთარის შვილის ჩრდილელის ყმა გუჯარაიძე პაპას შვილი გაგა, ნანა და ჯანუყო;
11. ოთარის შვილის ჩრდილელის ყმა ჩაბაკაური ბერის შვილი ვაზგა და ივანე

სულ მოხსენიებულია ქუქიაურების 4 კომლი; გელიაიძე და გუჯარაიძე 2-2; ყუთიაური, ჩოხელი და ჩაბაკაური – თითო-თითო.

1781 წელს აღირიცხნენ: –

1. გელიაიძე როსტევან, პაპუნა და შიო;
2. გელიაიძე მამუკა და აჯეკა;
3. გელიაიძე დოლა;
4. გელიაიძე ბერა;
5. ქუმსის შვილის ტეტიას ყმა ყუთუზას შვილი გიორგი და ელისბარ (ხეთაგურები);
6. ქაუმსის შვილის იასეს ყმა ქუქიას შვილი ჯანუყო, დათუნა, გიორგი და ზაზა;
7. ქუმსის შვილის ნინიას ყმა მგელია, მგელა, პაპუნა და სულთან (გუჯარაიძეები);
8. ქუმსის შვილის ტეტიას ყმა ნიას შვილი შია (ქუქიაური);
9. ქაუმსის შვილის იასეს ყმა გივის შვილი ყაზიბეგ (ჩოხელი);
10. ქაუმსის შვილის იასეს ყმა ნასყიდას შვილი ძაღლია (ქუქიაური);

სულ: – გელიაიძეების 4 კომლი, ყუთუზას შვილი (ყუთიაური) – 1, ქუქიას შვილი – 1, ნიას შვილი (ქუქიაური) – 1, ნასყიდას შვილი (ქუქიაური) – 1, გივის შვილი (ჩოხელი) – 1, მგელია გუჯარაიძე – 1.

1886 წლის აღწერით – გარბანში დარეგისტრირდნენ: –

1. გელაიძე ზურაბ გიორგის ძე, 68 წლის; მისი შვილები: გიორგი – 24 წლის,

იოსები – 29 წლის; ზურაბის ძმა, ივანე, 52 წლის; მისი შვილები: სვიმონი – 31 წლის, მოსე – 28 წლის; ზურაბის ძმისწული: გრიგოლ იოსების ძე – 26 წლის; სვიმონის შვილები: ისაკი – 6 წლის, ლაზარე – 3 წლის; გრიგოლის შვილი, გიორგი – 1 წლის.

2. გელაძე სია გოგიას ძე, 33 წლის, მისი შვილი, ნიკო – 4 წლის (გადასახლდნენ ვლადიკავკაზში).
3. გელაძე ზაქარია სუხას ძე, 60 წლის; მისი შვილები: თევდორე – 32 წლის, ნინია – 27 წლის, ივანე – 17 წლის.
4. გელაძე სოსიკო სუხას ძე, 38 წლის; მისი ძმა, ბიჭიკი – 47 წლის; ბიჭიკოს შვილები: ივანე – 13 წლის, ნიკოლოზი – 9 წლის, ილიკო – 2 წლის.
5. გელაძე შიო თანდილას ძე, 35 წლის; მისი ძმები: გიორგი – 28 წლის, გრიგოლი – 19 წლის.
6. გელაძე სიმონ გიორგის ძე, 19 წლის.
7. გელაძე ტეტია სიას ძე, 35 წლის; მისი შვილი, დათიკო – 1 წლის; ტეტიას ძმა, გლახა – 32 წლის; მისი შვილი, სვიმონი – 1 წლის.
8. გელაძე მარტია გიორგის ძე, 28 წლის.
9. გელაძე გლახა ივანეს ძე, 45 წლის; მისი შვილი, კოტე – 1 წლის; გლახას ძმები: პავლე – 43 წლის, დიმიტრი – 39 წლის; პავლეს შვილები: გიორგი – 15 წლის, ნიკალა – 9 წლის, იაკობი – 7 წლის; დიმიტრის შვილი, ნიკო – 1 წლის.
10. გელაძე გიორგი დავითის ძე, 15 წლის; მისი ძმები: ნიკო – 6 წლის, სვიმონი (ედია) 4 წლის.
11. დურაყაშვილი შიო იოსების ძე, 20 წლის; მისი ძმები: გიორგი – 14 წლის, სვიმონი – 8 წლის (ცხოვრობენ სოფ. ნიჩბისში).
12. გელაძე სია ბეჟანის ძე, 61 წლის; მისი შვილი, ლევანი – 24 წლის; ლევანის შვილი – გრიგოლი – 1 წლის.
13. გელაძე გლახა შიოს ძე, 32 წლის.
14. ქუქიშვილი სვიმოს იოსების ძე, 28 წლის; მისი ძმები: გრიგოლი – 23 წლის, გიორგი – 17 წლის, ნიკალა 15 წლის, გლახა – 9 წლის, ფიდო – 7 წლის.
15. ქერაშვილი ივანე გიორგის ძე, 40 წლის; მისი შვილი, ილიკო – 3 წლის.
16. ქუქიშვილი თევდორე გიორგის ძე, 32 წლის.
17. ქუქიშვილი ბიჭიკო დავითის ძე, 65 წლის; მისი შვილები: ნანე – 29 წლის, ბესო 9 წლის; ბიჭიკოს ძმა – გიორგი – 61 წლის; მისი შვილი, იოსები – 30 წლის; იოსების შვილი, ალექსი – 5 წლის.
18. გელიაიძე გიორგი ნანეს ძე, 23 წლის; მისი ბიძაშვილი, ივანე ხარებას ძე – 19 წლის.
19. გელიაიძე გიორგი სვიმონის ძე, 32 წლის; მისი შვილი, გაბრიელი – 2 წლის; გიორგის ძმები: მარტია – 26 წლის, ივანე – 23 წლის, გრიგოლი – 18 წლის, ნიკალა – 10 წლის.
20. გელიაიძე გიორგი ივანეს ძე, 37 წლის; მისი ძმა, ზაქარია, 34 წლის; შვილები: ალექსი და გიორგი – გადასახლდნენ ვლადიკავკაზში.
21. გელიაიძე სვიმონ თევდორეს ძე, 48 წლის; მისი შვილები: გიორგი – 14 წლის, იოსები – 6 წლის, კონსტანტინე – 3 წლის, იაგორი – 1 წლის; სვიმონის ძმა, ლაზარე, – 33 წლის.

22. დურაყიშვილი ანდრია იოსების ძე, 20 წლის;
23. ზაგაევი სვიმონ ლაზარს ძე, 25 წლის; მისი შვილები: ნიკალა 11 წლის, ყარამანი, – 8 წლის, იაგორი – 6 წლის, ვლადიმერი – 1 წლის;
24. ზაგაევი ლუკა ლაზარს ძე, 35 წლის.
25. გუჯარაიძე გლახა გრიგოლის ძე, 29 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 7 წლის, ვასილი – 1 წლის, მოკო – 5 წლის.
26. გუჯარაიძე ივანე გიორგის ძე, 55 წლის; მისი შვილები: ესტატე – 22 წლის, ალექსი – 18 წლის, ნიკალა – 15 წლის.
27. გუჯარაიძე პეტრე გიორგის ძე, 45 წლის; მისი ძმები: შიო – 49 წლის, იოსები – 35 წლის; შიოს შვილი, გლახა – 29 წლის; იოსების შვილი – სოლომონი – 1 წლის.
28. გუჯარაიძე სვიმონ პავლეს ძე, 55 წლის; მისი ძმა – ანდრია – 47 წლის; ანდრიას შვილები: გიორგი – 17 წლის, ივანე – 15 წლის, სტეფანე – 9 წლის.
29. გუჯარაიძე ბერო გაბრიელის ძე, 37 წლის; მისი ძმები: იოსები – 19 წლის, გლახა – 28 წლის; გლახას შვილი, ილიკო – 1 წლის.
30. გუჯარაიძე იობა პატარას ძე, 28 წლის; გადასახლდა ვლადიკავკაზში.
31. გუჯარაიძე გიორგი ბიჭიკოს ძე, 26 წლის – გადასახლდა ვლადიკავკაზში.
32. გელიაიძე ივანე გიორგის ძე, 35 წლის; მისი შვილი, გიორგი – 1 წლის.
33. ყუთუზაშვილი ივანე გლახას ძე, 22 წლის; მისი ძმები: პავლე – 28 წლის, მიხეილი – 13 წლის.
34. ქუქიშვილი მარტია გიორგის ძე, 16 წლის – გადასახლდა ვლადიკავკაზში.

*

ხეთაგურები, ანუ, ყუთიაურ-ყუთუზაშვილები („ყუთუზენი“) – გარბანში, სტეფანწმინდიდან არიან მისულები.

ჩაბაკაურენი – ხევსურეთიდან; მათი ადრინდელი გვარი ნაროზაულია.

ქოჯურები – XVIII ს-ის საკომლო სიებში არ ჩანან.

მათი ორ-ორი კომლი, XIX საუკუნის (1831, 1860, 1873, 1886 წ.წ.) აღწერებში – დურაყაშვილის გვარით არის ჩაწერილი.

XX საუკუნის დასაწყისში აღიდგინეს თავდაპირველი გვარი – ქოჯური.

1926 წლის აღწერით – გარბანში 250 სული სახლობდა (119 მამაკაცი და 131 ქალი);

2014 წელს – 329 სული დარეგისტრირდა (156 მამაკაცი და 173 ქალი).

გელაძე-გელიაიძეები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

მოხევე გელაძეების (ანუ, გელიაიძეების – კოტორენის, დოლენის, თომენის, როსტომენის, ბეჟუენის, ზაზენის, გახუტენის) – თავდაპირველი საცხოვრისი ღუდას ხეობა იყო.

დიდი ალბათობით, XVIII ს-ის დასაწყისში გადმოსახლდნენ ხევში, მაგრამ – კიდევ დიდხანს დადიოდნენ ღუდაში სალოცავად.

„იქაურ ხატობაში, მანამ გელაძეების კურატი არ დაიკვლებოდა – სხვა კურატებს

არ დაკლავდნენ.“

1774 წლის აღწერით – გარბანში მათი 2 კომლია მოხსენიებული;

1781 წლის – 4;

1886 წელს – 17.

გარბანელი გელაძეების კოტორეთ ოჯახი, 1911 წელს (მათი ხუთ ნაწილად გაყრისას) – ერთ-ერთი დიდი (25 სულიანი) კომლი იყო ხევში.

გუჯარაიძეები

ხევსურეთიდან – მესისხლეობის გამო არიან მიგრირებულები.

მათი ადრინდელი გვარი ხორნაულია.

გადმოცემის თანახმად: –

წყალსიქითის (როშკის) თემში მისული ხორნაულები ხორნაბუჯელნი იყვნენ.

ხორანბუჯი შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი იყო დედოფლისწყაროს რაიონში. ისტორიული ქართლის სამეფოს ერთ-ერთი პროვინციის – კამბეჩოვანის, ცენტრი.

მკვლევარები ვარაუდობენ რომ: –

„ხორნაბუჯი და ხორანთა“ – სიტყვა „ხორნი-ს“ ფუძიდან არის მიღებული.

ამ ფუძეში ხედავენ სპარსულ ხორან-ს (მზეს) და თა-ს (მთას);

აღნიშნავენ რომ: –

„ხორან“ თუ მზეა, ხორანბუჯის კომპოზიტში, შესაძლებელია – „მზის კერპის ბურჯი“ მოიაზრებოდეს.

ერთი გადმოცემის თანახმად: –

ხორნაულების წინაპარი, ბარში ლაშქრობის შემდეგ, წიკლაურებს ნაალაფევში მოუყვანიათ ხევსურეთში (რ. თოფჩიშვილი).

იმასაც ამბობენ რომ: –

როშკელმა წიკლაურებმა შეიფარეს, თავიანთ მამულში დაასახლეს და ქალიც მიათხოვეს, მათთან შემოხიზნულ – ხორნაულთ წინაპარს.

მათი შთამომავლები დღემდე დადიანო დედულეთში სალოცავად.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

როცა თათრებმა ხორანბუჯი ააოხრეს, ერთი იქაური თავადის ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი – როშკელებმა შეიფარეს.

მათი ადგილსამყოფელი – მაშინ, ხორნაულთის თავზე ყოფილა.

ბავშვი იქ გაზრდილა, კარგი ვაჟკაცი დამდგარა და „აღარსად გაუშვიათ.“

ხორნაულთის ადგილი მიუციათ და მამიძმობაზე შეფიცულან.

შეფიცული მოყმის 9 ვაჟმა დაუდო-ო სათავე ხორნაულთა 9 მამიშვილობას: – სიხანს (ანუ სიხარულანს), ასხავარანს, ივანიკანს, წვერბედენანთ, კაცრიელთ, ჯამრულიკანთ, ხეთეშაურებს და ზარიძეებს (გ. ხორნაული, ჩემი საწუთრო-სამზეო, 2017 წ. გვ. 22).

*

ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობის დროს, ლიქოკელებს – ხორნაულების ძლიერი მხარდაჭერა ჰქონიათ.

მადლიერების ნიშნად, კარატის ჯვარში მათ – „სახორნაულთო ბროლის ქვა“

დადეს, რომელიც სადეკანოზო ბეღელშია და მასზე მხოლოდ სალოცავში მისულ ხორნაულს ჩამოსვამდნენ ხოლმე.

ხევსურული ანდრეზის მიხედვით: –

როცა ზურაბ არაგვის ერისთავის ვერაგობით – თრუსოში, სამოცი ხევსური მეომარი დახოცეს, მხოლოდ გახუა ხეთეშაურმა – ხორნაულთა ერთ-ერთი მამიშვილობის კაცმა შეძლო თავის დაღწევა.

სუფრასთან იარაღით ჩამოჯდა და სხვებიც გააფრთხილა: –

„ფარ-ხმალს ნუ იყრით, ხევსურნო, ზურაბ არ დაინდობისა“.

მეორე ანდრეზის თანახმად: –

ხორნაულთ ქალი – თამარული, ბაცალიგველ არაბულს ჰყოლია ცოლად.

ისეთი თეთრი ყოფილა, ისეთი ნაზი კანი ჰქონია, წყალს როცა სვამდა – ჩანდა ყელში როგორ ჩადიოდა.

მეფე ერეკლეს მოსწონებია თამარაული – ხევსურეთში ყოფნისას.

„ამდგარან და დაუწვენიათ მასთან წესის-და-მიხედვით.“

ხორნაულთ ქალმა ვაჟი დაბადა, შემდგომში – ცნობილი ვაჟკაცი, ბიჩინაგა.

ვიღაცას – ოჯახისთვის უნამუსობა შეუყვედრებია;

აყრილან და გველეთში გადასახლებულან.

დღევანდელი გველეთელი არაბულები მის ჩამომავლებად თვლიან თავს.

ხორნაულებთან საუბრისას კი, ხორნაულ დიდიბებოს შვილობასაც ახსენებენ ხოლმე (გ. ხორნაული).

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მოხევე გუჯარაიძეები ორ ძირითად შტოდ არიან გაყოფილნი – გაგენად და ტატენად.

1774 წლის აღწერით – გარბანში, მათი ორი კომლია მოხსენიებული (იხ. აღწერაში – №9 და №10).

1781 წელს აღწერილი (№7) „ქუმსიშვილის ნინიას ყმა მგელია, მგელა, პაპუნა და სულთან (დიდი ალბათობით, გუჯარაიძეები არიან).

ამავე (1781 წლის) აღწერით – გაიბოტენში ახალმოსახლედ ჩანს გუჯარაიძეების 2 კომლი: –

1. გუჯარაიძე ივანე და გაგა;
2. გუჯარაიძე ნანა და ბერი.

გარბანში მცხოვრები გუჯარაიძეების ნაწილი, როგორც ჩანს – გაიბოტენში გადასახლდა.

*

გარბანი ცნობილი მოხევეების სამშობლოა: –

მედიცინის დოქტორი, ნათელა ქუქიშვილი, თბილისში – ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სკ ინსტიტუტში მოღვაწეობდა.

კონსტანტინე (კოსტა) გელაძე – 15 წლის განმავლობაში მსახურობდა ყაზბეგის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ.

მისი ვაჟი – მერაბი, ყაზბეგის რაიონის გამგებელი იყო (გავიცანი თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონში მუშაობის პერიოდში – საქმიანი, ავტორიტეტის მქონე ახალ-

გაზრდა კაცი – კარგი მეგობარი და ადამიანი).

გელაძე ვაჟა – საქართველოს პარლამენტის წევრი იყო 1992-1995 წ.წ.

თამაზ გელაძე – საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი ველოსპორტში; საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სტუდენტთა საკავშირო ჩემპიონატის გამარჯვებული.

პოეტი მანანა გელაძე.

ნინო გუჯარაიძე არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის" დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი გახლავთ. 2002-2003 წ.წ. იყო – ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის ეროვნული კოორდინატორი საქართველოში. 30-ზე მეტი ნაშრომის ავტორია.

არშა (ანდეზიტი)

გარბანის შემდგომ, საქართველოს სამხედრო გზაზე (თერგის ორივე მხარეს) განთავსებულია სოფელი არშა.

უახლოეს წარსულში, მისი ტერიტორია – აჩხოტის, გარბანის და – ისტორიული სოფელის, არშისციხის – სახნავ-სათეს ადგილს წარმოადგენდა.

ანდეზიტის საბადოს გამოყენებასთან დაკავშირებული ხშირი აფეთქებები – საფრთხეს უქმნიდა სოფ. არშისციხის მოსახლეობას. მათი უსაფრთხოების მიზნით, საბადოს მოპირდაპირედ – თერგის მარჯვენა მხარეს, გაშენდა მუშათა ახალშენი, სადაც აღნიშნული სოფლის მცხოვრებნი ჩამოასახლეს.

ახალ დასახლებას უწოდეს ანდეზიტი.

*

ხევში ანდეზიტის აღმოჩენა და მისი დამუშავების წამოწყება დაკავშირებულია სტეფანწმინდელი გლეხის, ივანე ომას ძე ფიცხელაურის სახელთან.

ქვის მოპოვება, თავდაპირველად, სოფ. ცდოს მიმდებარე საბადოსთან, ე.წ. საკეცეთში დაიწყო – სადაც, დღეში ერთი მანეთის გადახდის პირობით – 5-6 კაცი მუშაობდა.

1910 წლიდან – იმავე სოფელში, ნარდი ანაზღაურების პრინციპით შეიქმნა არტელი, რომელშიც უკვე 150-200 მუშა იყო ჩაბმული.

ისინი ჭრიდნენ და ამუშავებდნენ ანდეზიტის ლოდებს;

ცდოს ძირას „გამოქვაბეს" კლდე – ე.წ. სამჭედლო ქოხი, რომელიც დღემდე არის შემორჩენილი.

მუშები მას იარაღის შესანახად იყენებდნენ.

1913 წლიდან დაიწო კლდის აფეთქებები.

საკეცეთის საბადოს (სამხედრო გზიდან) საკმაოდ მაღლა მდებარეობის გამო – გაყვანილი იქნა რკინიგზა;

მასზე მოძრავი ვაგონეტკებით ხდებოდა – ქვების გზამდე ჩამოტანა.

იქიდან ვლადიკავკაზში გაჰქონდათ ურმებით და დროგებით.

*

არშისციხის (შედარებით დიდი) საბადოს დამუშავება 1914 წლიდან დაიწყო.
ვლადიკავკაზში უკვე დაუმუშავებელ ქვებს აგზავნიდნენ.
1915 წლიდან დაიწყეს მათი ადგილზე გათლა;
მუშების რიცხვი 1000-მდე გაიზარდა.
რევოლუციის შემდგომ, ანდეზიტის წარმოება შეწყდა.
განახლდა 1925 წლიდან.
დიდი საწარმო გაიხსნა 1930 წელს.

*

სამამულო ომის დამთავრების შემდგომ, ანდეზიტის ტერიტორიაზე – მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთები მისცეს.

ყოფილ სახნავ-სათიბ ადგილებზე, ხევის სხვადასხვა სოფლების მცხოვრებნი ჩამოსახლდნენ;

არშა – გარბანს გადაება;

გარბანი – სიონს.

წარმოებაში ჩაბმულთა რიცხვი – სხვა ეროვნების (მოყვანილ) მუშათა რაოდენობის გათვალისწინებით, 3000-მდე გაიზარდა.

ახალი დასახლების ტერიტორიაზე აშენდა მუშათა საერთო საცხოვრებლები, საავადმყოფო, სკოლა, კლუბი, ტურბაზა, ელექტროსადგური...

საგრძნობლად გაუმჯობესდა მათი საყოფაცხოვრებო პირობები; მოხევეთა ეკონომიური მდგომარეობა.

ცოტა მოგვიანებით ხევში გაჩნდა ანდეზიტის წარმოების კიდევ ერთი კერა – ე.წ. „სამტვერე," სოფ. ყანობის მოპირდაპირედ.

*

თანამედროვე არშა – მოზრდილი სოფელია, სადაც ხევის – თითქმის, ყველა გვარის წარმომადგენელი სახლობს.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთის წვერზე წმინდა გიორგის ხატი დგას – ფიქალის მშრალი წყობით ნაგები.

2003 წელს, არშის საავადმყოფოს შენობა – სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიას გადაეცა.

მასში განთავსდა მამათა მონასტერი;

შენობის სამხრეთი ნაწილი – ხარების სალოცავს დაეთმო.

დასახლების შესასვლელთან მდებარე ბორცვზე – მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალია;

აღმართულია ქვაში ნაკვეთი (5 მ. სიმ.) ობელისკი – წარწერით: –

„დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავსაყოფად ყაზბეგის რაიონის მშრომელებისაგან (1941-1950").

*

სოფლის სიახლოვეს – ორი კასკადოვანი ჩანჩქერია.

ერთი – სოფლიდან მოჩანს.

მეორე – უფრო ზემოთ, ჩრდილოეთითაა.

„მისკენ მიმავალი გზა პირველყოფილი ხელშეუხებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს“ – საიდანაც ფანტასტიკური სილამაზის სივრცეა გადაშლილი.

არშის ციხე და მისი თანამოსახელე სოფელი

საქართველოს სამხედრო გზიდან მარჯვნივ განტოტილი შარა, სოფელ აჩხოტთან – ჩემი ძირძველი წინაპრების საცხოვრისისკენ აუყვება.

გზაჯვერედინის მოპირდაპირედ, თერგის მარცხენა მხარეს – ანდეზიტის კლდოვან შემაღლებაზე – შუასაუკუნეების ხევის მიუვალი სიმაგრის, არშის ციხის ნანგრევებია შემორჩენილი, რომელიც სნოს ხეობას გასცქერის.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკონტროლებდა იგი თერგისა და სნოს ხეობებს;

XVI-XVII საუკუნეებს განეკუთვნება;

შორიდან უჩინარია და პატარა გორაკად აღიქმება.

„კაცთაგან შეუვალ“ ამ ბუნებრივ სიმაგრეს, რომელიც – თოთქოს, ადამიანის ხელის გარეშეა შექმნილი – გალავანი არ სჭირდება.

ადგილები, საიდანაც მტერს ციხეში შეღწევა შეეძლო – ნატეხი ქვის სქელი კედლებით იყო გამაგრებული.

ერთადერთი მისასვლელი ნასოფლარ არშისციხიდან ჰქონდა – ჩხატის წყლის ზემოთ, საიდანაც ძნელად ასასვლელი ბილიკი მიემართება.

კლდეში გამოკვეთილ ციხეს, ერთდროს, მუხის კარი ჰქონია – რკინით შეჭედილი.

მის სიახლოვეს, გადმოცემის თანახმად, წითელი ჯვრები იყო გამოსახული, სადაც, ლეკებს ციხის დარაჯისათვის მოუჭრიათ თავი – „ხმლის ჯვარედინი დაკვრით.“

„მისი სისხლით ყოფილა გამოსახული ის ჯვრები.“

*

ციხის შესასვლელიდან – რამდენიმე ვიწრო საფეხურის და კიდევ ერთი კარის შემდეგ – ქვის კიბეები გაშლილ მინდორზე ადიოდა, სადაც უზარმაზარი ლოდები იყო მიმოფანტული.

იქ იდგა – გვიანდელი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, რომელსაც არშის წმ. გიორგის სახელით მოიხსენიებდნენ.

სალოცავის კართან – ქვის ბოძი (მემორიალური სტელა) იყო – ოდესღაც, ვიღაცისაგან – საკუთარი სულის საოხად აღმართული.

ეკლესიის შიგნით არსებულ ნიშაში – წმინდა გიორგის ხის ჯვარი ესვენა, ვერცხლით შემოსილი (54X42 სმ.).

მასზე გამოსახული იყო მხედარი, რომელსაც ხელში ჯვარი ეკავა.

ცხენის ქვეშ წაქცეული მამაკაცი მოჩანდა.

ჯვრის შუატანის ორ მრგვალ როზეტში – მშვილდოსანი მხედარი იყო გამოსახული.

*

მრავალ ჭირთა მომსწრე არშის ციხეში, მტრის შემოსევის დროს, მთელი თემი იხიზნებოდა.

1731 წელს, ლეკთა გამუდმებული თავდასხმებით შეწუხებული ბარძიმ არაგვის ერისთავი – რუსეთს შეხიზნულ ვახტანგ VI-ს შესჩივის: –

ერთი შემოსევის დროს, ათი ათასი ლეკი მოადგაო სნოსა და არშის ციხეს.

*

გადმოცემის თანახმად: –

არშის ციხეში ინახებოდა თოფის წამლის მარაგი, რომელიც სოფ. გაიბოტენში მზადდებოდა.

იქიდან ურიგდებოდა ხევის დანარჩენ სოფლებს.

ქართველთა საგანძურის სამალავიც ყოფილა, ერთ დროს – არშის ციხე.

მასთან ბევრი თქმულება და გმირული ეპიზოდია დაკავშირებული.

ციხის მიმდებარე „აჭკალნის“ მთაში – ბუნებრივი გამოქვაბულია, რომლის თავზეც, პატარა – ვაკე მინდორია განთავსებული.

ლეკების ერთი შემოსევის დროს, მომხდურებს – იქ, მოხევე ბავშვები დაუყრიათ და – ცხენები უტარებიათ ზედ.

იმ ადგილს „ცოდვილთ კალოს“ ეძახიან...

*

არშის ციხე – გიორგი სააკაძის ბობოქარი ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდთანაც არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, 1623 წელს, მარტყოფთან მარცხის შემდგომ – გაცოფებულმა შაჰ აბასმა სააკაძის ძეს, მძევლად დატოვებულ პაატას – თავი მოკვეთა და საქართველოს დასაქცევად დიდძალი მხედრობა დაძრა – თავისი სიძის ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით.

ანდუყაფარ ამილახვარი, რომელსაც ცოლად შაჰის შვილიშვილი (ყორჩიბაშის ასული) ჰყავდა, არანაკლებ გაცოფებულმა სააკაძემ, მთელი ოჯახით – არშის ციხეში გამოამწყვდია.

შაჰმა – ყორჩიბაშს საკუთარი სისხლის და ხორცის (შვილის და შვილიშვილის) გამოხსნა უბრძანა.

დავალების შესრულება ძალზე ძნელი იყო, რადგან არშისკენ მიმავალი გზა ზურაბ ერისთავს ჰქონდა ჩაკეტილი – სააკაძის ცოლიძმას, იმჟამად მის თანამებრძოლს და საქართველოს „მეორე ხმალს,“ რომლის გულშიც „ჩაბუდებული მატლი“ – „ხშირად, ძალიან ხშირად, სჩაგრავდა... ლომს“ (ლ. სანიკიძე).

გაიძვერა ყორჩიხანმა მზაკვრულად შეუთვალა ზურაბს: –

„რაც იყო, დავივიწყოთ, ერთმანეთში სისხლს ნუღარ დავღვრით, გზა მომეცი, არც ჩემი ჯარი ავნებს რაიმეს შენს სამფლობელოს, ნურც შენი ხალხი შეეცდება ჩემიანების სისხლის დაქცევასო.“

„დაავიწყდა საკუთარი მამულიშვილობის ფასი მარტყოფისა და მარაბდის გმირს.“

მტერს გზა მისცა საარაგვოზე.

12 000-მა სპარსელმა არაგვის ხეობა უბრძოლველად აიარა, თერგზე გადავიდა, არშის ციხიდან მოღალატე ამილახვარი დაიხსნა – ქსნის ხეობით გამობრუნდა და სასტიკად ააოხრა.

გიორგი სააკაძე ქსანთან დახვდა მაოხართ.

სპარსთა მხედრობა „ამოსწყვიტეს ისე – იმისთანა გამარჯვება არა თქმულ არს.“
„მოსრეს ესრეთ, რომე ქსანი შეიღება სისხლითა და სისხლის ფერად დიოდა...“
„სააკაძემ ხუთი კონა ისარი შემოიხარჯა და მერე ხმლით დაერია ყიზილბაშებს.“
„12 000 სპარსელისგან ერთი ათასეულიც აღარ იდგა ფეხზე“ (ლ. სანიკიძე).

*

XIX საუკუნის დასაწყისში, არშის ციხე ჯერ კიდევ მოქმედი იყო.

იქ ინახებოდა ხუცურწარწერიანი რკინის კვერთხი და ისტორიული რკინის კლიტე, რომლიც, ქართველთა მიერ განჯის აღების შემდეგ წამოუღია – არშელ ჯურღმა ბაზალს:

„არშას ბაზალი ჯურღმაი, ვეფხი კლანჭებზე დგებაო, განჯას შაგლიჯა კლიტენი – ჩემს არშას მაუხდებაო...“

გვამცნობს ხალხური ლექსი.

*

მტერთაგან შეუვალი – ჩვენი წინაპრების სისხლით და ოფლით მორწყული არშის ციხე, XX საუკუნის 60-იან წლებში, ანდეზიტის ქვის მოპოვებასთან დაკავშირებულ აფეთქებებს შეეწირა.

დაანგრიეს და ვანდალურად ხელყვეს ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების საუკეთესო ძეგლი;

ქართველ მეფეთა საიმედო დასაყრდენი და განძსაცავი;

მოხევეთა სიმტკიცის, გულადობის და ვაჟკაცობის – მათი დიდებული წარსულის უტყუარი ძეგლი.

*

სოფ. არშისციხე – თანამოსახელე ციხის ქვემოთ – თერგის მარცხენა მხარეს მდებარეობდა.

ეტიმოლოგიის ერთი ვერსია მის სახელს ვეინახურ „არშტის“ – შავ, დაბურულ ტყეს უკავშირებს – მაგრამ ამ მიდამოში ტყე არ არის.

განსხვავებული ვერსიით: –

„არშა, არსა, არში“, მონღოლურად (თურმე) – მჟავე წყალია, რომელიც ციხის ფერდობებზე – დღესაც ამოჩქეფს.

მოხევეები მას „ვეძას“ ეძახიან.

ნასოფლარის ტერიტორიაზე შემორჩენილია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები.

შენობათა უმრავლესობა ერთოთახიანია.

გვხვდება ერთმანეთთან დაკავშირებული ორ, სამ და ოთხოთახიანი სათავსებიც.

გაყვანილი ყოფილა გვირაბი და კერამიკულმილებიანი წყალსადენი, რომელიც წყაროს წყლით ამარაგებდა სოფელს და ციხეს (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წელი).

ანდეზიტის კლდეში, „დევთ-ქობად“ წოდებული დიდი გვირაბის ნანგრევებია შემორჩენილი – სადაც, გადმოცემის თანახმად, ხუთასამდე ცხვარი თავსდებოდა.

*

ძირითადად, სამი გვარი მკვიდრობდა არშისციხეში: – სულიაური, ბაზალი და გოგბაიძე.

მოგვიანებით დასახლდნენ: – კარკუჩიდან წამოსული მარსაგიშვილები (ტროპენი), აჩხოტიდან მისული ბედოევები (ჩერიმენი) და ძირად გორისციხელი ავსაჯანიშვილები („დათურენი“).

1774 წლის აღწერით, „ხევის არშის ციხეს, არაგვის ერისთავის საყმოს და მისსავე სახელოში“ მოხსენიებულნი არიან: –

1. ბაზალი აფციაურისშვილი ისე, ბერი და ნასყიდა;
2. ბაზალი აფციაურისშვილი ივანე, საბიჯური და გივი;
3. ბაზალი ღურმასშვილი ხუტა და შალვა;
4. სულიაური პაპუასშვილი გამახარე, გუგუა, შია და ბერი.

1781 წელს დარეგისტრირდნენ:

1. ბაზალი ივანე;
2. ბაზალი ხუტა, ბერი და აფციაური;
3. ბაზალი საბიჯური და გივი;
4. ბაზალი ნასყიდა, გამახარე და ლაზარე;
5. სულიაური შია და ბერი;
6. სულიაური გუგუა და ცუგნა;
7. ოგბაიძე ბიძიას შვილი გია;
8. სულიაური ყანწილას შვილი აბა, გივი და ნასყიდა.

1886 წლის აღწერის თანახმად – არშისციხეში სახლობდნენ: –

1. სულიაური სპირიდონ იოსების ძე, 26 წლის; მისი შვილი, ილიკო – 3 წლის;
2. სულიაური ხათუნა შოშიას ძე, 55 წლის; მისი შვილები: შიო – 28 წლის, ივანე – 13 წლის.
3. სულიაური ანდრია ხათუნას ძე, 31 წლის; მისი შვილი, გიორგი – 5 წლის.
4. სულიაური სვიმონ ხათუნას ძე, 30 წლის; მისი შვილი, მიხა – 2 წლის.
5. სულიაური გრიგოლ დიმიტრის ძე, 55 წლის; მისი შვილი, გლახა – 31 წლის.
6. ბაზალიშვილი ნანე სოსიას ძე, 65 წლის; მისი შვილები: ანდრია – 39 წლის, დავითი – 31 წლის, გრიგოლი – 20 წლის; ანდრიას შვილი, გიორგი – 14 წლის.
7. ბაზალიშვილი მამუკა თეიმურაზის ძე, 31 წლის;
8. ბაზალიშვილი ლევან იოსების ძე, 21 წლის; მისი ძმები: ალექსანდრე – 18 წლის, იაკობი – 14 წლის.
9. ბაზალიშვილი გრიგოლ სვიმონის ძე, 46 წლის; მისი შვილი, კოტე – 7 წლის; გრიგოლის ძმა, შიო – 40 წლის; მისი შვილები: ნიკოლოზი – 14 წლის, გიორგი – 10 წლის, ვასილი – 4 წლის.
10. ბაზალიშვილი გაბრიელ ბოძოტუნის ძე, 52 წლის; მისი შვილები: დავითი – 32 წლის, გრიგოლი – 24 წლის; დავითის შვილები: ბესო – 6,5 წლის, პავლე – 4,5 წლის, ივანე – 1,5 წლის.
11. ბაზალიშვილი გიორგი შიოს ძე, 36 წლის; მისი შვილი, ნიკო – 6 წლის.
12. ბაზალიშვილი ადამ ბერის ძე, 55 წლის; მისი შვილები: ივანე – 22 წლის, გრიგოლი – 19 წლის, ვანო – 15 წლის.
13. გოგბაიძე გლახა ბერის ძე, 55 წლის; მისი შვილი, გიორგი, – 27 წლის; გლახას

ძმა, დავითი – 33 წლის; მისი შვილები: იაგორი – 10 წლის, ვანო – 4 წლის; გლახას ძმისწული, გრიგოლი – 22 წლის; მისი შვილი, სვიმონი – 6 წლის.

14. გოგბაიძე გიორგი ნანეს ძე, 63 წლის; მისი შვილი გრიგოლი – 22 წლის.
15. ავსაჯანიშვილი ნიკოლოზ იტებას (?) ძე, 40 წლის; მისი შვილები: გიორგი – 20 წლის, გრიგოლი – 18 წლის, ივანე – 12 წლის. გადასახლდნენ ვლადიკავკაზის ოლქში (სოფ. ტარსკოე).
16. ავსაჯანიშვილი გოგია იტებას (?) ძე, 47 წლის; მისი შვილები: კოტე – 7 წლის, ივანე – 4 წლის; გოგიას დისშვილი, მიხეილ გიორგის ძე გოგბაიძე – 26 წლის.

*

სოფლის მთავარი სალოცავი იყო არშისციხის წმინდა გიორგი.

სამღვთოს მის სახელზე სამივე გვარის წარმომადგენლები მორიგეობით იხდიდნენ (ვინც, კონკრეტულ შემთხვევაში სარგებლობდა ხატის სათიბით).

არშისციხის, გაიბეტონის და თოთს მოსახლეობას, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – სამეზობლო, საადგილმამულო ურთიერთობები და რელიგიური რიტუალების ერთად გადახდის წესი აერთიანებდა.

სულიაურები

არშისციხის ყველაზე ძირძველ მკვიდრებად სულიაურები ითვლებიან.

დროთა განმავლობაში, მათი ნაწილი ბარში ჩამოსახლდა.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

XIX ს-ის 60-იან წლებში, 3 სულიაური ძმიდან – ერთი, ერწოს ხევსოფელში დასახლდა; მეორე – გარე კახეთში; მესამე – ბიწმენდში.

ხევიდან ისინი სიღატაკეს გამოექცნენ.

ბიწმენდელმა სულიაურებმა თან წამოიმძღვარეს არშის წმინდა გიორგის ნიში.

ბაზალები

ბაზალების ხევში მოსვლის რამდენიმე ვერსია არსებობს.

ერთი გადმოცემის თანახმად – ისინი სურამიდან გამოქცეულან;

მეორე ვერსიის მიხედვით – ბაზალეთიდან.

იმასაც ამბობენ რომ: –

ქსნის ერისთავების მიერ თექთურმანისძეების და ბაზალიძეების ამოწყვეტის შემდეგ, ბაზალიძეების (ანუ, ბაზალების) ნაწილმა შეაფარა-ო – არშისციხეს თავი.

რ. თოფჩიშვილის ვარაუდით: –

სოფ. ალმასიანის მიმდებარე დასახლების – „ბაზალიანის“ (ბაზილენის), სახელწოდება იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ სოფელში – თავის დროზე, ბაზალის გვარისანი ცხოვრობდნენ, რომლებიც, მოგვიანებით – არშაში გადასახლდნენ.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

ბაზილენის დასახლების სახელწოდება მომდინარეობს ოსური სიტყვიდან „ფაზილან,“ რაც შესახვევს ნიშნავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოსახლომ სახელწოდება მიიღო – თრუსოს ხეობისაკენ შესახვევ გზაზე მდებარეობასთან დაკავშირებით.

ციტირებული მკვლევარის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: –

ბაზალეთიდან მკვლელობის გამო ლტოლვილი კაცი, თავისი ცოლ-შვილით, სოფელ თოთის ადგილზე დასახლდა. რა გვარისა იყო ის ბაზალეთში – უცნობია. ცნობილია რომ: – ხევში დასახლების დღიდან, გვარად ბაზალი მიიღეს.

ხალხური მეხსიერების თანახმად: –

ბაზალენის ოჯახი, იმ დროს უკვე – 50-მდე სულს ითვლიდა, როცა – დედაბუდიანად, ყანის სამკალად გასულა.

ეს მომხდარა ძველი სტილით 9 სექტემბერს, როცა – სოფ. სიონში ხატობას იხდიდნენ და ხევის მთელი მოსახლეობა უქმეს ინახავდა.

სამუშაოდ წასულ ბაზალებთან – სიონელებს კაცი გაუგზავნიათ, უქმის გატეხვით – ხევის ადათს ნუ არღვევთო.

„ჩვენი ქალი და რძალი დილითვე დაიხატაო“ (ანუ, უქმესთან დაკავშირებული რიტუალი ხატში მათ დილით შეასრულესო) – უპასუხია ბაზალთა ოჯახის უფროსს და სტუმარი სუფრასთან მიუწვევია.

უჭამიათ მოხარშული ხორცი და სულ ერთიანად ამოწყვეტილან.

ქვაბში – წყალს გველი მოჰყოლია და მისი შხამით მოწამლულან.

გადარჩენილა მხოლოდ მათი უმცროსი რძალი, რომელსაც სხვებთან ერთად არ უსადილია.

იმ ქალს შესძენია ვაჟი და ბაზალნი კვლავ გამრავლებულან.

მომხდარი უბედურებით დაშინებული მათი შთამომავლები, გადმოცემის თანახმად, შემდგომში – სიონის ხატობამდე წინა დღესაც უქმობდნენ.

მოხევეები იმ დღეს – „ბაზალთ უქმედ“ მოიხსენიებდნენ.

*

1774 წლის აღწერით, არშისციხეში სახლობდა ბაზალი აფციაურისშვილის ორი კომლი;

კონკრეტულ შემთხვევაში, აფციაური მამაკაცის საკუთარი სახელი იყო და არა გვარი.

ისევე როგორც – ხშირად, ზარიძე, არაბული, ნარბული და წიკლაური გვხვდება, როგორც მამაკაცის საკუთარი სახელი.

გოგბაიძე-ოგბაიძეები

გადმოცემის თანახმად: –

გოგბაიძეების (ძირად ოგბაიძეების) წინაპარი – მთიულეთიდან არშისციხეში მაშინ მისულა, როცა – იქ, „სულიაურების გვარი ბატონობდა.“ „მათი წინაპარი ჯორზე მჯდარი თესდა ყანას და ოქროს სათითურებით მკიდა პურს.“

„გოგბაიძეს მისთვის დიდება უმღერია.“

მოსწონებია სულიაურს და მამული უჩუქებია.

გოგბაიძე-ოგბაიძეების ძირი მთიულეთის მრევლის თემშია – სოფ. გოგნაურთას.

(დიდი ალბათობით, მათ მიტოვებულ ნასოფლარს მოიხსენიებს ი. ა. გიულდენშტედტი, 1771-1772 წ.წ-ში – „ოგბანის“ სახელწოდებით).

1774 წლის აღწერაში, აღნიშნული დასახლება მოხსენიებული არ არის.

ოგბაიძეები, იმ დროს – ალბათ უკვე შედარებით ქვემოთ მდებარე სოფლებში (გოგნაურთასა და სალაჯურში) სახლობდნენ.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ძირად ოგბაიძეები არიან: – ობგაიძეები, ობგაძეები და გოგბაიძეები.

ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა გიორგი სააკაძის თანამებრძოლის – სახალხო გმირის, გივი გოგბაიძის სახელი – რომელმაც, 1625 წელს, თავი ისახელა მდ. ქსანთან გამართულ სამდღიან ბრძოლაში, სადაც ქართველებმა 12 ათასი სპარსელი მეომარი, თითქმის, მთლიანად ამოწყვიტეს.

1770 წელს, ასპინძის ბრძოლაში გამოიჩინა თავი გოგნაურთელმა სახალხო გმირმა, გიორგი ოგბაიძემ.

ალ. ყაზბეგის ცნობით: –

„მამის მკვლელის“ მთავარი გმირი, იაგო გოგბაიძე – განთქმული და თავისუფალი გვარის შთამომავალი იყო.

მოხევე გოგბაიძეების წარმომადგენელია – ცნობილი ექიმი-სექსოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგბაიძე.

მთიული ოგბაიძეები ცხავატის თემის საერთო სალოცავის – „ცეცხლიჯვრის“, ტრადიციული დეკანოზები ყოფილან.

სნოს ხეობა

სოფელ აჩხოტთან – საქართველოს სამხედრო გზიდან მარჯვნივ განტოტვილი შარა, სნოს ხეობას აუყვება – რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, კავკასიონის მთავარ ქედსა და ყურო-შინოს მასივს შორისაა განთავსებული;

შექმნილია მდინარე სნოსწყალის (შავი არაგვის) მიერ, რომელიც სათავეს ბურსაჭირის უღელტეხილის მიდამოებში იღებს.

აჩხოტი

ხეობის პირველი სოფელი აჩხოტი.

XVII ს-ის I მეოთხედში, შიოლა ღუდუშაურმა – იქ, ოსები ჩამოასხლა და ყმებად გაიხადა.

1886 წლის აღწერით – ბედოევების 10 კომლი სახლობდა.

მათი უმრავლესობა ჩრდილო ოსეთში გადასახლდა; ნაწილი სოფ. არშაში.

მათ ნაცვლად – სნოდან და ახალციხიდან მოსული მოხევეები დასახლდნენ.

დღეს, საკმაოდ მოზრდილი სოფელია, რომლის შუაგულშიც წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია და მამათა მონასტერია განთავსებული.

იმ ადგილას, 1992 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს. ლოცვა-კურთხევით, ორსართულიანი სახლი აშენდა, სადაც ბინა დაიდო მამათა მონასტერმა.

იმავე ეზოში აიგო წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

2000 წლის ნოემბერში – აჩხოტის ველზე (მამის მიერ მინიშნებულ ადგილას) ილია II-მ, აღმართა „მეორედ მოსვლის ნიში“ (ერთადერთი მთელს საქართველოში), სადაც საშინელი სამსჯავროს ხსენების დღეს, წმინდა მამები პარაკლისს იხდიან.

სნო

სოფელი თანამოსახელე მდინარის ხეობაში მდებარეობს – ზ.დ. 1760 მ-ზე.

მისი დასახლება – სავარაუდოდ, XVII საუკუნიდან დაიწყო.

ხალხი – მიმდებარე გორიდან, კვირაის ძალთადან (ზემოსოფლიდან) ჩამოსახლდა სადაც დღემდე შემორჩენილია, საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობების ნაშთები.

ყურადღებას იპყრობს – ორი ძველი კოშკის ნანგრევი (ე.წ. „კვრეს ციხეები“) – რომლებიც სნოვლებმა წმინდა ადგილად აქცის; წინაპართა საცხოვრისში სალოცავად დადიან და „კვრესძლობას“ აღნიშნავენ.

XVIII ს-ში – სნო ხევის ერთ-ერთი სამოურავოს ცენტრი გახლდათ.

მის გარემოს და ფლორას მხატვრულად აღწერს აკად. ნ. კეცხოველი: –

„ღუდუშაურის არაგვს – ელიას მთის ჩრდილოეთ ფერდოზე დაბადებული პატარა ღელე უერთდება, რომლის საკმაოდ განიერი გამოტანის კონუსი მთის ძირამდე დაფარულია შესანიშნავი ფართოფოთლოვანი სუბალპური მდელოთი.

არაგვს გარს ერტყმის მრავალი მწვერვალი: – ელია, სადუცია, ქვენა მთა, ჭაუხი, როშკის ხორხი, შინო, ყურო...“

„ამ მთათა ყინულის მუზარადიანი მწვერვალები... უხილავი მზის სხივებით ელვარებდნენ, რომელიც ჭაუხის მთებიდან უნდა ამოსულიყო.“

„მეტად ლამაზი იყო ფართოფოთლება, დიდქოლგებიანი ვარდისფერი დიყი, რომელიც მწვანე მდელოზე სისხლის წვეთებივით მოჩანდა.“

„აქა-იქ, იშვიათად, მაღალ დიყსაც წამოეყო თავი, მათ შორის იყო თეთრი და სოსანი დეზურა, ყელმოღერებული კენკეშა, პირისფერი გვირილა, წითელი დვალურა, ტოტებგაშლილი წართხალი, ნაზყვავილიანი კვლიავი, მრავალმტვრიანა ვარსკვლავა, სხვადასხვა ოქროსფერი ბაია... ჭაღარა სამყურა, ალპების სამყურა, სათესი სამყურა, სამთავა სამყურა, მხოხავი სამყურა, მინდვრის სამყურა... ყვითელი იონჯა, ლურჯი იონჯა, შვრიელა, თავთავყვითელა, ტიმოთელა, სათესი წივანა, ლურჯყვავილება წყალიკრეფია, ფრინტა და სხვა მრავალი...“

„მდელოს მრავალფეროვნებამ თვალი მოსჭრა ყმაწვილებს.“

„ერთი ლამაზი ყვავილიდან მეორესკენ გარბოდნენ და თავის აღტაცებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ, ხან ვაჟას კესანეს და პირიმზეს იხსენებდნენ, ხან კიდევ ანა კალანდაძის არჯაკელს.“

„სიხარულით სავსე გულით მალე ერთ შვეულ ფერდას მიადგნენ და ზედ ავიდნენ, ავიდნენ და გაოცებისა და აღტაცებისაგან თვალები გაუბრწყინდათ.“

„მთელი ხეობა რაღაც მოელვარე, მოცახცახე ოქროსფერი სინათლით იყო განათებული.

გამჭვირვალე წმინდა ჰაერში მზეს თითქოს აბრეშუმის კრიალა ძაფები გაევლო.“

„ვაკეზე, სნოს ციხის ძირას, აქამდე მჩქეფარე მდინარე, გაჩერებული, გატვრენილი ჩანდა და ცისფრად ელვარებდა.

მთის ვიწრო ხევიდან გამოჭრილი ნაკადული ქვიდან-ქვაზე ხტომით ქვევით დაშვებულიყო, მთაში ნანახს და გაგონილს ლიკლიკებდა და მთამაღალის დილის უჩვეულო მყუდროებას მხოლოდ იგი არღვევდა.“

„ფერდო, რომლის კალთაზეც იდგნენ, ჩრდილში იყო და მზეს ჯერ ვერ ხედავდ-

ნენ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ იგი მთების გადაღმა თავისი ცხრათვალითვე ბდღვრიალებდა, ბდღვრიალებდა და ისე ძლიერად, თითქოს მთების მკერდში ატანს და აქეთ, მეორე მხარესაც ელვარებსო.“

„არყის ძირს დაშვებული ტოტებიდან ნამი ცვიოდა; სიხარულის ცრემლს ჰგავდა, რომელსაც კდემამოსილი ქალწული აფრქვევს, მაშინ როდესაც ომში წასული ძმა უბრუნდება.“

„შორიახლო თეთრყვავილებით დამშვენებული ცირცელიც იდგა, თავს ისე აკანტურებდა, გეგონება, არყის ცრემლებს ამართლებსო და, ნიშნად დასტურისა, თავს დაბლა ხრიდა.“

„მდელოს მწვანედ გაჰქონდა ხასხასი, ჯერ ფეხი არავის დაედგა და თითქოს აბრეშუმის მწვანე კაბის კალთაზე დაბნეული ნაირ-ნაირი ძვირფასი ღილებიაო, ისე იყო მოფანტული კესანეს, გვირილას, მზიურას, კვლიავის, ბაიას, სამყურას, მედგარის, ღიღილოს და მრავალ სხვა მცენარეთა ყვავილები.“

„მაღლა, დაუსრულებელ ლაჟვარდში, ფასკუნჯები წრეს უვლიდნენ და მზეს თავისებური ხორუმით ეგებებოდნენ...“ (ნ. კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი,“ თბილისი, 1971 წ.).

*

მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდგარი სნოს ციხე – XVI-XVII სს მიჯნაზეა აგებული, ხევის მოურავის – შიოლა ღუდუშაურის დაკვეთით.

ციხის აგება მას სნოსწყლის ორივე ნაპირზე უთხოვია, მაგრამ იმის შიშით რომ საჭიროზე მეტად არ გაძლიერებულიყო – არაგვის ერისთავს ერთი აუგია.

ღუდუშაურის ციხე – განცალკევებით მდგარ კლდოვან გორაკზეა განთავსებული, რომელიც ბუნებისაგან, თითქოს, საგანგებოდ არის შექმნილი მის კვარცხლბეკად.

ხუროთმოძღვრული კომპოზიცია იმდენად მთლიანია, რომ ციხე და ოცმეტრიანი კლდე განუყოფელ მონოლითად მოიაზრება.

გალავანშემორტყმულია; ნაგებია ნატეხი ქვით და ფიქალით.

კოშკი – ოთხკუთხაა (4,8X4,3 მ; სიმაღლე – 20 მ.). ზემოთ, თანდათან, ვიწროვდება და გალავნის სიღრმეში – ყველაზე მაღალ ადგილას დგას.

ამით განსხვავდება, ამავე პერიოდის, სხვა ქართული ციხე-სიმაგრეებისგან, რომლებშიც კოშკები გალავნის ხაზებშია მოქცეული.

სნოს ციხე თანამოსახელე ხეობის ჩამკეტი იყო.

კონტროლს უწევდა გზას, რომელიც ჩრდილო კავკასიას აკავშირებდა ქართლთან და ხევსურეთთან.

მრავალი უბედურების მომსწრეა; არაერთგზის არის მოხსენიებული ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

მტრის შემოსევის დროს, „სნოვლები“ ამ ციხეში იხიზნებოდნენ.

1731 წლის უსტარით, არაგვის ერისთავი ბარძიმი – რუსეთში მყოფ ვახტანგ VI-ს ატყობინებს ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას; ჩივის ლეკთა გამუდმებულ თავდასხმებზე და აუწყებს რომ – ერთ-ერთი შემოსევის დროს, ათი ათასი ლეკი მოადგა სნოსა და არშას.

ჯარიახის (ამხის) ხეობიდან სამეკობრეოდ წამოსული ქისტები, რომლებიც „მგვრგალაზე“ გადმოდიოდნენ – სნოს საძოვრებამდე აღწევდნენ. იტაცებდნენ საქონელს

და, როგორც წესი, დაზარალებული მოხევეებიც, სამაგიეროს გადახდის მიზნით – თავს ესხმოდნენ ქისტების სოფლებს. მოტაცებული საქონლის დასახსნელად, ისინი მოკლე ბილიკებით მიდიოდნენ, ქისტებს გზას უჭრიდნენ და საიმედო ადგილებში უსაფრდებოდნენ.

სნოვლებს ამორჩეული ჰქონიათ ერთი გამოქვაბული, რომელსაც – გადმოცემის თანახმად, მათ საფარს, ანუ, „სასნოვლო ქოხს“ უწოდებდნენ...

*

სოფ. სნოს ჩრდილო-დასავლეთით, მთის წვერზე (ნასოფლარ კვირაის ძალთაში, ანუ, ზემო სოფელში) მდგარი კვირეღვთიშვილის (კვირეძალის) ნიში – ოთხკუთხა, მასიური ნაგებობაა. ნაშენია ფიქალის მშრალი წყობით – შიგადაშიგ გა**ამ**ოყენებულია მთის ბროლიც.

ძლიერ დაზიანებულია.

ვარაუდობენ რომ: –

აღნიშნულ ნიშთან დადგენილი რელიგიური დღესასწაული (კვირეძლობა) დაკავშირებულია, ერთ დროს – იქ, არსებული სოფლის სახელწოდებასთან (კვრაის ძალთასთან).

(მიტოვებული ნასოფლარები, დროთა განმავლობაში – ხევში, სალოცავ ადგილებად იქცეოდა ხოლმე, სადაც წინაპართა მოსაგონებლად – ტრადიციული რიტუალი სრულდებოდა).

გასული საუკუნის 80-იან წლებში, მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილმა, კვირიე ღვთისშვილის სალოცავის ნანგრევებზე – ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო.

*

სნოში – დღეს, სამი მოქმედი სალოცავია: – დარყის წმინდა გიორგი, ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი და წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია.

დარყის წმინდა გიორგის კომპლექსი სოფლის მიმდებარე მთის წვერზეა განთავსებული. მის შემადგენლობაშია: – სალოცავი, ზურგიანი კოშკი, სხვადასხვა სათავს-სადგომი და გალავანი.

თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. ნაგებია ფიქლით.

ეკლესია (5,3X4,8 მ.) – კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში დგას.

სამხრეთის კედელზე სამი სარიტუალო სვეტია აღმართული.

აღმოსავლეთის კედელში არსებული ნიშის გარშემო – ჩაშენებულია სხვა სალოცავიდან მოტანილი „წმინდა ქვები“.

ამავე კედელზე ძევს – ასევე სხვა ეკლესიიდან წამოღებული, თაღების მწკრივით დამუშავებული – ლავგარდნის ქვა.

გალავნის დასავლეთ ნაწილში ჩაშენებულია ზურგიანი კოშკი – რომელიც 4 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

დარყის წმინდა გიორგი – „ღუდუშაურების და მათთან წილდებული გელაშვილების სალოცავი“ იყო, სადაც აღდგომას და ამაღლებას აღნიშნავდნენ.

1918 წლიდან – იქ, ღვთისმსახურება შეწყდა;

სკოლად მოხდა მისი გადაკეთება.

1988-89 წლებში, ეკლესიის შემორჩენილი კედლები დაშალეს და მის საძირკველზე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით – წმინდა გიორგის ახალი ეკლესია ააგეს.

2000 წელს, სნოს კოლმეურნეობის ყოფილი შენობა საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა; სარიტუალო ნაგებობის შესაბამისად კეთილმოეწყო და – მასში, შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრი განთავსდა.

მის წინ – პატრიარქის ხელთქმნილი, შიოლა ღუდუშაურის ბიუსტი დგას.

2002 წელს, ამავე ტერიტორიაზე განთავსდა – საპატრიარქო და სამღვდელთმთავრო რეზიდენცია.

მის გვერდით – პედაგოგ, ნუნუ ბულაშვილის კუთვნილ შენობაში, მისი ერთადერთი უდროოდ გარდაცვლილი ვაჟის, პაატას სულის საოხად – წმინდა ნინოს დედათა მონასტერი დაარსდა.

2006 წელს – მას, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა;

მოეწყო სამლოცველო, რომელიც წმინდა ნინოს სახელზე აკურთხეს.

2007 წელს, შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ეზოში – იოსებ მოხევის ხსენების დღეს, ფუნქციონირება დაიწყო ვახტანგ გორგასალის სახელობის ტაძარმა.

ცენტრის წინ, 2011 წელს – დიდი ზეიმით გაიხსნა მოქანდაკე გიორგი (გია) ხეთაგური-თექთუმანიძის მიერ – პატრიარქის ფერწერული ტილოს შთაგონებით შექმნილი – ვახტანგ გორგასალის ძეგლი.

2017 წელს გაიხსნა სასტუმრო „სნო“ – 34 ნომრით.

მისი ფუნქციონირებით შემოსული თანხა, ილია II-ის კურთხევით – სოფლის განვითარებასა და მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას უნდა მოხმარდეს.

*

1900 წელს, „ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ – სნოში, ერთკლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლა დააარსა.

შენობის ასაგებად – მოსახლეობამ ოთხ-ოთხი მანეთი გაიღო.

„მსურველი 100-მდე ბავშვი იყო, მაგრამ მხოლოდ 63-ის მიღება შეძლეს.“

„შკოლის გახსნას დიდი ამაგი დასდეს მღვდელმა გიორგი სირაძემ და სნოს მამასახლისმა, გიორგი შიოლაშვილმა.“

„მასწავლებლობდა ეფროსინე ბაკურაძე“.

1902 წელს – სკოლა ორკლასიანად გადაკეთდა.

1903 წელს – სოფელში გაიხსნა ერთკლასიანი სკოლაც.

*

სნოში სახლობენ – ღუდუშაურები, გელაშვილები, გოდერძიშვილები, ელიაძენი, ჟორჟიკაშვილები, ხართიშვილები...

მათ შესახებ არსებული საარქივო სტატისტიკური მონაცემებით ვსარგებლობ ნინო შიოლაშვილის წიგნებიდან.

ღუდუშაურები

საღუდუშაუროს წინაპარი – სნო, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მათი დღევანდელი ძირითადი საცხოვრისის ტერიტორიაზე – მიმდებარე გორიდან, კვირაის ძალთადან (კვირედან), ჩამოსახლდა.

პირველი ის დამკვიდრდა ახალ სამოსახლო ადგილზე და ახალი სოფლის სახელწოდებაც – მისი საკუთარი სახელიდან მოდის.

როგორც ლეგენდა გვამცნობს: –

ახალ სამოსახლოში შეეძინა სნოს ვაჟი, რომელიც ორიოდე კვირის ყოფილა, როცა ოსების სარდალი, ბაყათარი, ხევში შემოჭრილა და მეცხოვნეები შეუმუსრავს.

სნო – თურმე, სასწრაფოდ გაემართა მცხეთისკენ;

მეფეს აცნობა „ოვსთა თარეშის“ შესახებ.

მტრის ასალაგმად ვახტანგ გორგასალი დაიძრა და სასტიკად გაუსწორდა მომხდურებს.

სნომ – ბრძოლაშიც ისახელა თავი; გამორჩეულად იომა და როცა მეფემ თხოვნის შესრულება აღუთქვა – შებედა: ახალშობილი ვაჟი მომონათლეო...

ნათლულისთვის ღუდუ (ღუდუშა) დაურქმევია მეფეს.

მისგან მოდის – თურმე, მთელი საღუდუშაურო.

სამი ვაჟის მამა გამხდარა მეფის ნათლული.

მათ შთამომავლებს მოიხსენიებენ როგორც – „პაპიეთ,“ „შიოლეთ“ და „ისმელეთ“ განაყრებს.

ერთიანი აზრი იმის შესახებ – თუ როგორ დანაწილდნენ მათი მოდგმის ღუდუშაურები – არ არსებობს.

დ. ბენაშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

პაპიენიდან (პაპიაშვილებიდან) წარმოსდგნენ ჯანუყენი (ჯანუყაშვილები) და ბულენი (ბულაშვილები);

შიოლენიდან – ჯაყიენი, გოტოლენი, გორელნი, ბაშიენი და ბიძიენი...

ისმელასგან – ჯერ, ჯაბანენი, ფირანიანი, ვარძუკელნი, აქენი და სამუკენი წარმომდგარან – მერე: ლომნიენი, თათულენი, თადილენი და თათარენი...

სამუკეთ დანაწილების პირველ ეტაპად თვლიან: – ყაზიეთ, ტუხვეთ და ეფხვეთ კომლების გამოყოფას და სტეფანწმინდაში მათ გადასახლებას (დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1989 წ.).

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

პაპიენიდან მოდიან: – ჯანუყენი, ბულენი და ყარაჯენი;

ისმელას შტოდან: – ღუდუშაურნი, ჯაბანენი, ფირანიანი, ვარძუკენი, აქენი და სამუკენი.

შიოლენიდან მოდის შარამბალი – ჯაყიენი, გოტოლენი, გორელენი, ბაშიენი, ბიძიენი და ფშავში წასული ქოჩანი.

ნინო შიოლაშვილის ცნობით: –

პაპიაშვილები თავის წინაპრად შიოლა ღუდუშაურის ძმას – პაპას თვლიან.

„ჯაბანაშვილები, აქიაშვილები, თათულენი და ლომნიენი ერთი ოჯახის განაყარი გვარები უნდა იყვნენ...“

„დღემდე ღუდუშაურებად დარჩნენ თათარენი, თათულენი და ლომნიენი.“

*

„გერგეტის სულთა მატიანის“ ერთ-ერთი (1439 წლის) საბუთი – სოფელ „კვირაის ძალთაით“ მოიხსენიებს ღუდუშაურ შალვას.

ამავე ძეგლის XVI საუკუნის საბუთში მოხსენიებულნი არიან: – მოძღვარი ღუდუშაური ჯერასიმე (იგივე გერასიმე) და მისი თანამეცხედრე – რუსუდანი; მოძღვარი გიორგი ღუდუშაური და მისი თანამეცხედრე ანა... სავარაუდოდ – მატიანეში მათი შვილის მოსახსენებელიც ყოფილა, მაგრამ საბუთის დაზიანების გამო, ვერ წაუკითხავს ხელნაწერის გამომცემელს.

რომელ ეკლესია-მონასტერში მოღვაწეობდნენ ჯერასიმე და გიორგი – მატიანე არაფერს ამბობს (ნ. შიოლაშვილი, მასალები სოფელ სნოს მოსახლეობის ისტორიისათვის... 2013 წ.).

1774 წლის აღწერით, „ხევის სნოს – არაგვის ერისთავის ყმა ღუდუშაურის მარტიას სამოურავოში,“ 40 კომლი სახლობდა (ღუდუშაური 30, დანიაური – 4, ჯოჯიკაურ-ჯაჯიკაური – 4, ხარცლიაური ხართისშვილი – 1, სეთურიძე ბასილისშვილი – 1);

კერძოდ: –

1. ღუდუშაური ჯაბანასშვილი, მოურავი მარტია, მამუკა, ჯარია, უძილა და შაშვა 2. ღუდუშაური ყაზისშვილი თათარა და გიორგი 3. ღუდუშაური ნეღოსშვილი ტეტია და ავთანდილი 4. ღუდუშაური მარტიასშვილი ზალია, ბერი, ირემა და ივანე 5. ღუდუშაური ფირანისშვილი ფირან, თომა, აბაა და უძილა 6. ღუდუშაური გივისშვილი იასე და ვარძუკა 7. ღუდუშაური თემურასშვილი ჯარია 8. ღუდუშაური ნეღოსშვილი – აქაი 9. ღუდუშაური ალხასტისშვილი – გიორგი 10. ღუდუშაური სამუკასშვილი – გუგუა და კურდულა 11. ღუდუშაური გივისშვილი – ლომნია 12. ღუდუშაური გელისშვილი – შიო, პაპუა და იასე 13. ღუდუშაური ზაქარისშვილი – ბერი 14. ღუდუშაური ატასშვილი – გელა და ატა 15. ღუდუშაური ცუღუტასშვილი – ზალია და ბეჟან 16. ღუდუშაური ივანესშვილი – მარაიძე და შარანბალ 17. ღუდუშაური სოლთანბეგისშვილი – სოლთანბეგ 18. ღუდუშაური ბიძისშვილი ჯარია, გივი და ივანე 19. ღუდუშაური თაზიასშვილი – ნადირა და ჯანუყო 20. ღუდუშაური ჯანუყოსშვილი – შივალა 21. ღუდუშაური პაპუასშვილი – ყაყა, პაპუა და იაა 22. ღუდუშაური ზარიბეგისშვილი ბულა, ღრუბელა, გივი და გოგია 23. ღუდუშაური უძილასშვილი – მირია და შიო 24. ღუდუშაური გურიისშვილი – პაპა და ზარიბეგ 25. ღუდუშაური პაპასშვილი – იასე, ჯუღუნა და ბიძია 26. ღუდუშაური გელასშვილი – მამუკა, ქოჩორა და ივანე 27. ღუდუშაური გივისშვილი – ნეღო 28. ღუდუშაური ღაბუტასშვილი – რევაზ 29. ღუდუშაური ბუზასშვილი – ავთანდილი და ყაწილა 30. დინიაური თუმანასშვილი – წიწია, კურდღელ, ბერი და ივანე 31. დინიაური თათარასშვილი – ივანე, გია და ბერი 32. დინიაური ქურციკისშვილი – შიო 33. ჯოჯიკაური სიასშვილი – გია და სია 34. ჯოჯიკაური თათრისშვილი – მამა და შიო 35. ჯოჯიკაური გოდერძისშვილი – ბერუა და გიორგი 36. ხარცლიაური ხართისშვილი – ლომიტა 37. ღუდუშაური შავხალის ობოლი – გრიგოლი 38. ბოგანო ჯაჯიკაური ხონასშვილი – პავლე 39. ბოგანო დინიაური ქურციკისშვილი – ბიძია და პაპა 40. ბოგანო სეთურიძე ბასილისშვილი – პეტრე (მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, რედაქტორი ე. თაყაიშვილი, ტფ. 1907 წ. გვ. 413).

1781 წლის აღწერით – სნოში, 37 კომლი დარეგისტრირდა: –

1. ღუდუშაური ჯაბანას შვილი – მარტია, ჯარია, მამუკა, უძილა, შაშვია და ბერ-

დია 2. ღუდუშაური ყაზის შვილი – თათარა და დავით 3. ღუდუშაური ნეღოს შვილი – ავთანდილ, ბერი და გიორგი 3. ღუდუშაური მარტიაშვილი ზალია, ბერი, ირემა, ივანე და შავხალ 4. ღუდუშაური ფირანის შვილი – აბა და თომა 5. ღუდუშაური გივის შვილი – ისე, აძი და შიო 6. ღუდუშაურის ჯარიას ობოლი – თემურა და ბიჭი 7. ღუდუშაური ალხასტის შვილი – გიორგი 8. ღუდუშაური სამუკას შვილი – გუგუა და კურდღელი 9. გივის შვილი – ლომნია 10. გელია შვილი – შიო, პაპუა, ისე, ბიძია და გელია 11. ზაქარის შვილი – ბერი 12. ატას შვილი – გელია და ატა 12. ცუღუტას შვილი – ბეჟან 13. ივანეს შვილი – მარაიძე 14. ღუდუშაური – სოლთანბეგ 15. ბიძიას შვილი – ჯარია და გივი 16. ჯამარჯას შვილი – ისე 17. ნადირას შვილი – ჯანუყო და ზალია 18. ჯანუყოს შვილი – შივალა და ბერი 19. პაპუას შვილი – ყაყა, იაა, პაპუა, ბიჭი და გურია 20. გულას შვილი – გივი და ლაზარე 21. უძილას შვილი – მირიან, შიო და ძია 22. გურიას შვილი – პაპა და ზარიბეგ 23. პაპას შვილი – იასე და კურდღელა 24. პაპას შვილი – ბიძია და ჯუღურა 25. გელას შვილი – ქოჩორა და ივანე 26. გივის შვილი – ნეღო 27. ღაბუტას შვილი – რევაზ და ივანე 28. ავთანდილისა და ყაწილას ობოლი – ბერი და გიორგი 29. თუმანას შვილი – წიწია, კურდღელი, ივანე და ლაზარე 30. თათარას შვილი – ივანე, გია და გიორგი 31. ქურციკის შვილი – შიო და ქურციკი 32. ჯოჯიკაურის შვილი – საია და პოვლია 33. ჯომარჯას შვილი – ისე 34. თათრის შვილი – შიო 35. გოდერძის შვილი – ბერუა და გიორგი 36. ხართის შვილი –ჟომიტა 37. ბოგანო ქურციკის შვილი – პაპა, შაშვია (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბ. 1967, გვ. 113-114).

1886 წელს – სნოში, 76 კომლი აღირიცხა;

1926 წელს – 605 სულია მოხსენიებული (272 მამაკაცი და 333 ქალი).

2014 წელს – 263 სული (122 მამაკაცი და 141 ქალი).

ღუდუშაურები სახლობდნენ სტეფანწმინდაში და სიონშიც; ცხოვრობდნენ თოთშიც – სადაც მათი ჩასახლება შედარებით გვიან, XIX საუკუნის 40-იან წლებში მოხდა.

*

ღუდუშაურებს ძველთაგან მოსდგამთ ძლიერი ჯიში და ჯილაგი.

არაგვის ერისთავმა ბარძიმმა – პაპა ღუდუშაურსა და მის ძმებს წყალობის წიგნით უბოძა სნოს და მისი მიმდებარე სოფლების მოურავობა.

1743 წელს – პაპა ღუდუშაური არაგვის საერისთაოს აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო.

1744 წელს, ლეკ-ოსმალთა წინააღმდეგ გამართულ აჩაბეთის ბრძოლაში, აქტიურად მონაწილეობდა – მამუკა ღუდუშაური.

ხევის ცნობილი მოურავები იყვნენ მარტია და თომა ღუდუშაურები.

*

ხევის კოლორიტი და ამაგდარი მამულიშვილი იყო შალვერდ ღუდუშაური.

როცა „ხევის მივარდნილ სოფლებში სკოლა უმასწავლებლოდ დარჩებოდა და დახურვა დაემუქრებოდა, შალვერდი გამოუჩნდებოდა ხოლმე მხსნელად, ავიდოდა, სკოლას გადაარჩენდა... „დედაენას“ ასწავლიდა ბავშვებს“ (მ. გომიაშვილი, ნ. ფიცხელაური, ხევის მატიანე, 2016 წ.).

*

ღუდუშაურების გვარიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

ერის სიამაყეა აკადემიკოსი, ოთარ ღუდუშაური; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი; საბჭოთა კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი; მსოფლიოს ქირურგ-ტრავმატოლოგთა ასოციაციის საპატიო წევრი, თბილისის საპატიო მოქალაქე, 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 21 გამოგონების ავტორი.

საქართველოს ისტორიაში სამუდამოდ დარჩა მისი ვაჟკაცური გამოსვლა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე – 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით.

მის სულისშემძვრელ სიტყვას სულგანაბული უსმენდა დარბაზი და მილიონობით ტელემაყურებელი.

„ეს უკეთილშობილესი კაცი უმაღლესი ხელისუფლებისგან – პირგამეხებული მოითხოვდა სიმართლის აღიარებას.“

*

ბატონი ოთარი – მისი მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდში გამაცნო ჩემმა მასწავლებელმა, აკადემიკოსმა, გურამ ტატიშვილმა.

საქართველოში მისი დაბრუნების შემდგომ – როცა ზოგიერთი საკითხი სამედიცინო ინსტიტუტის და რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას ითვალისწინებდა – ხშირი და გულთბილი შეხვედრები გვქონდა.

შეუძლებელი იყო მისი ღია, უანგარო და ვაჟკაცური კეთილგანწყობის არ დანახვა...

*

ღუდუშაურების გვარს წარმოადგენს: –

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი – ირაკლი ღუდუშაური; 4 მონოგრაფიის, 7 გამოგონებისა და 200 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; საქართველოს მე-5-ე მოწვევის პარლამენტის წევრი.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ელგუჯა ღუდუშაური – საქ. კპ ცკ-ს სამრეწველო განყოფილების გამგე გახლდათ; შემდგომში, სერიოზულ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა მოსკოვში.

მარინა ღუდუშაური – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, თსსუ-ს ტრავმატოლოგია-ორთოპედიის კურსის ხელმძღვანელი; 1 სახელმძღვანელოს, 2 მონიგრაფიის, 32 სამეცნიერო ნაშრომის და 3 გამოგონების ავტორი. იყო ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სკ ინსტიტუტის დირექტორი; საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

თინა ღუდუშაური – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, 35-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

სამხედრო პოლკოვნიკი – ვიქტორ ღუდუშაური, წლების განმავლობაში, საქართველოს „ინტურისტის“ მმართველად მსახურობდა.

საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ და არაერთგზის ჩემპიონს კრივში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, უმაღლესი კატეგორიის მსაჯს, დამსახურებულ მწვრთნელს და საქართველოს კრივის ფედერაციის ყოფილ თავმჯდომარეს, ლევან ღუდუშაურს – „ერთი ოცნება დარჩა განუხორციელებელი – დაბრუნებოდა თავის სათაყვანებელ კუთხე-მხარეს ყაზბეგს, სოფელ სნოს და იქ აღეზარდა ქვეყნის ახალი ჩემპიონები; გადანახული ჰქონდა მათთვის მოკრივის ხელთათმანები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინეს და სნოს სკოლას გადასცეს – როგორც აუხდენელი ფიქრის სახსოვარი – ვინ იცის, იქნებ სიმბოლოც – ახალი ოსტატების წარმოჩენისა“ (ლიანა ფირანიშვილი).

ცნობილი საზოგადო მოღვაწე – ირაკლი ღუდუშაური, სხვადასხვა დროს მსახურობდა – დუშეთის, ხაშურის, თიანეთის რაიკომის პირველ მდივად; იყო თბილისის ოლქის (აღმოსავლეთ საქართველოს) მილიციის სამმართველოს უფროსი; სამი ცნობილი ვაჟკაცის – გურამ, მერაბ და ელგუჯა ღუდუშაურების მამა.

გურამი – აღმოსავლეთმცოდნე და ცნობილი დისიდენტი – უდროოდ, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.

უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან მისი უმცროსი ძმა – ელგუჯაც: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, მრავალი საკავშირო და საერთაშორისი ტურნირის მონაწილე და გამარჯვებული – კლასიკურ ჭიდაობაში. რკინიგზელთა შორის მსოფლიო ჩემპიონი. საქართველოს სპორტკომიტეტის მრავალჭიდის სამმართველოს უფროსი.

მერაბი – მილიციის პოლკოვნიკი გახლდათ; საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და არაერთგზის პრიზიორი კლასიკურ ჭიდაობაში; საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი; მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული... შემდგომში – ლენინის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსი; ქ. თბილისის სისხლის სამართლის სამსახურის უფროსი; ქალაქის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურის უფროსი; სამხრეთ ოსეთის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსი.

უდროო და თავზარდამცემი იყო მისი სიკვდილი.

რთული, მაგრამ წარმატებული ოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ – ფატალური გამოსავალით...

ქართული ტიხრული მინანქრის ტრადიციის ღირსეული გამგრძელებლის, გიორგი ღუდუშაურის ნამუშევრები – საქართველოს საპატრიარქოს და ბევრ ეკლესიას ამშვენებენ. მისი უზადო გემოვნებით და სიფაქიზით შექმნილი სამკაულები კი – მრავალი ადამიანის პირადი კოლექციის კუთვნილებაა.

ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის ასისტენტ-პროფესორი, ნინო შიოლაშვილი ავტორია წიგნებისა: – მასალები სოფელ სნოს მოსახლე-

ობის ისტორიისათვის (1732-1918 წწ.); მასალები ხევის მოსახლეობის ისტორიისათვის (სოფელი სტეფანწმინდა, 1774-1918 წწ.).

ხევის კოლორიტი იყო და მშობლიურ სოფელს ამშვენებდა იორამ ღუდუშაური.

ღუდუშაურების შტონაყარი გვარები

ღუდუშაურების საგვარეულოში 12 გვარი და 80-ზე მეტი მამიშვილობა ფიქსირდება. მათი შტონაყარ გვარებად დაყოფის პროცესი, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეში დაიწყო – რადგან, 1774-1781 წ.წ. აღწერებში, ზოგიერთ მათ კომლს – უკვე მამის სახელები აქვს გაგვარებული.

გადმოცემის თანახმად: – შიოლა ღუდუშაურს გაუზრდია ობოლი ძმისწული – ისმელა, რომელსაც ცხრა ვაჟი შეძენია: ვარძუკა, ფირანა, ჯაბანა, აქია, ლომანია, ყარაჯა, თათარა, ჯანუყა და სამუკა.

მათ შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას – შეძლებისდაგვარად, წარმოგიდგენთ ქართული ანბანის თანამიმდევრობით.

აქიაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ისმელეთ შტოდან მოდიან.

1774 წლის აღწერით – სნოში სახლობდა: – ღუდუშაური მარტიასშვილი – ზალია, ბერი, ირემა და ივანე;

1781 წელს – ღუდუშაური მარტიაშვილი ზალია, ბერი, ირემა, ივანე და შავხალ.

1804 წელს მოხსენიებულია – გაგილა აქას შვილი № 34 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს – ირემა აქაზიშვილი № 4 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 10, ირემა ღუდუშაური – 49 წლის; მისი შვილები: გლახა – 20 წლის, პეტრე – 15 წლის. ირემას ძმისშვილი, გიორგი – 12 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს აღირიცხა: –

№ 11, ირემა, იგივე ალექსანდრე ღუდუშაური – 68 წლის; მისი შვილი, პეტრე – 26 წლის. ძმისშვილი გიორგი – 23 წლის. შვილიშვილი ზურაბი – 8 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წლის აღწერაში მოხსენიებულია: –

№ 3, პეტრე ალექსანდრეს ძე ღუდუშაური – 40 წლის. მისი შვილები: სიმონი – 10 წლის, ლევანი – 7 წლის, ივანე – 3 წლის. პეტრეს ძმისშვილები: გიორგი და გლახა. გიორგის შვილები: გიორგი – 10 წლის, გაბრიელი – 7 წლის, ეგნატე – 3 წლის. გლახას შვილი, ზურაბი – 20 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 3. პეტრე ალექსანდრეს ძე ღუდუშაური – 53 წლის. მისი შვილი სიმონი – 23 წლის. პეტრეს ძმისშვილები: გიორგი – 23 წლის, გაბრიელი – 20 წლის, გიორგი – 12 წლის, ნიკოლოზი – 8 წლის. გიორგის შვილი, გრიგოლი – 2 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს აღირიცხნენ: –

№ 3, ღუდუშაური პეტრე ალექსანდრე ძე – 66 წლის. მისი შვილი სიმონი – 36 წლის. სიმონის შვილები: ესტატე – 5 წლის, სტეფანე – 1 წლის. პეტრეს ძმისშვილები: გაგა, ზურაბი, გიორგი და გაბრიელი. გაგის შვილები: გიორგი – 36 წლის, გაბრიელი – 33 წლის. ზურაბის შვილები: გიორგი – 25 წლის, ნიკოლოზი – 21 წლის. გიორგის შვილი, გრიგოლი – 15 წლის. გაბრიელის შვილები: ალექსანდრე – 6 წლის, სიმონი – 3 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

აქიაშვილების გვარს წარმომადგენელია – ურბნისისა და რუისის ეპარქიის მიტროპოლიტი, იობი (ელგუჯა აქიაშვილი); დაამთავრებული აქვს საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი; იყო მანგლელი ეპისკოპოსი; თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პრორექტორი. ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი; ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორი. ბათუმის ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი; საღრმთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისიის თავმჯდომარე.

ნინო აქიაშვილი – კავკასიის მედიცინის ცენტრის ნევროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელია.

ბულაშვილები (ბულენი)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ღუდუშა ღუდუშაურის უფროსი ვაჟის – პაპისგან მოდიან.

1774 წლის აღწერით – სნოში ბულაშვილების ორი კომლი სახლობდა: –

1. ღუდუშაური ზარიბეგისშვილი – ბულა, ღრუბელა, გივი და გოგია;

2. ღუდუშაური უძილასშვილი – მირიან და შიო.

1781 წელს აღირიცხა: –

1. ბულას შვილი – გივი და ლაზარე;

2. უძილას შვილი – მირიან, შიო და ძია.

1804 წელს: –

ჯაჯა უძილას შვილი ღუდუშაური, № 33 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77);

1816 წელს: – ბასანაი პაპასშვილი, № 23, (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436);

1831 წლის აღწერით მოხსენიებულნი არიან: –

№ 12, ღურბელა ღუდუშაური – 40 წლის. მისი შვილები: გაბრიელი – 8 წლის, ალექსანდრე – 3 წლის.

№ 29, ბასანა ღუდუშაური (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს აღირიცხნენ: –

№ 34, ბასანა ღუდუშაური – 61 წლის. მისი შვილი იოსები – 41 წლის. ძმისშვილი, შავხალი – 46 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 39, შავხალ უძილას ძე ღუდუშაური – 51 წლის;

№ 47, გლახა ნინია ძე ღუდუშაური – 40 წლის. მისი შვილები: გრიგოლი – 12 წლის, სიმონი – 8 წლის, იოსები – 6 წლის, მიხეილი – 2 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წლის აღწერით სახლობდნენ: –

№ 51, გრიგოლ გლახას ძე ღუდუშაური – 25 წლის. მისი შვილები: გიორგი – 7 წლის, ალექსი – 4 წლის. გრიგოლის ძმები: – სიმონი – 21 წლის, იოსები – 19 წლის, მიხეილი – 15 წლის, იაკობი – 13 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 55, ღუდუშაური გრიგოლ გლახას ძე – 44 წლის. მისი შვილები: გიორგი – 20 წლის, ალექსი – 17 წლის. გრიგოლის ძმები: – სიმონი – 21 წლის, იოსები – 19 წლის, მიხეილი – 15 წლის, იაკობი – 13 წლის. სვიმონის შვილი კოტია (იგივე, ნიკოლოზი) – 12 წლის. გრიგოლის ბიძა, შავხალი ღულიას ძე – 85 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

როგორც XVIII (1774-1781 წ.წ.), ისე XIX სს აღწერებით – პაპენის განაყარი ბულაშვილები სახლობდნენ თარგმანშიც.

ვარძუკაშვილები (ვარძუკენი)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ისმელეთ შტოდან მოდიან.

1774 წლის აღწერით – სნოში მოხსენიებულია: –

ღუდუშაური გივისშვილი – იასე და ვარძუკა;

1781 წელს აღირიცხა – ღუდუშაური გივის შვილი – ისე, აძი (ვარძუკა) და შიო.

1804 წელს: – № 27, შიო გივის შვილი (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1831 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 21, ჯარია ღუდუშაური – 35 წლის; მისი ძმა შავხალი – 33 წლის.

№ 22, კიკო ღუდუშაური – 50 წლის. მისი შვილები: – გოგია, 25 წლის, ვარძუკა – 9 წლის, პავლე – 7 წლის. კიკოს ძმა, ნინია – 40 წლის. მისი შვილები: ბაწაწუნა – 7 წლის, გრიგოლი – 4 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წლის აღწერით სახლობდნენ: –

№ 22, გრიგოლ ღუდუშაური – 8 წლის. მისი ძმა ფიდო – 5 წლის.

№ 23, შავხალ, იგივე ბიძი ღუდუშაური – 44 წლის. მისი შვილი, გლახა – 9 წლის.

№ 24, კიკო ღუდუშაური – 61 წლის. მისი შვილები: ვარძუკა – 20 წლის, პავლე – 18 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 27, ბიჭი შიოს ძე ღუდუშაური – 60 წლის. მისი შვილი გლახა – 30 წლის.

№ 28, პავლე იაკობის ძე ღუდუშაური – 35 წლის.

№ 29, გლახა ვარძუკას ძე ღუდუშაური – 12 წლის. მისი ძმა სიმონი – 9 წლის.

№ 30, შიო ნანიას ძე ღუდუშაური – 35 წლის. მისი ძმა – გრიგოლი – 30 წლის. გრიგოლის შვილები: ივანე – 5 წლის. სიმონი – 1 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 31, ბიჭი შიოს ძე ღუდუშაური – 25 წლის. მისი შვილი გლახა – 43 წლის. გლახას შვილები: ივანე – 5 წლის, ნიკოლოზი – 3 წლის.

№ 32, გლახა ვარძუკას ძე ღუდუშაური – 25 წლის. მისი შვილი გაბრიელი – 2 წლის. გლახას ძმა სიმონი – 22 წლის.

№ 33, გრიგოლ ნანას ძე ღუდუშაური – 43 წლის. მისი შვილები: სიმონი – 14 წლის, გიორგი – 10 წლის, შიო – 5 წლის.

№ 34, ივანე გრიგოლის ძე ღუდუშაური – 43 წლის. მისი ძმები: გიორგი – 38 წლის, იაგორი – 23 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს აღირიცხნენ: –

№ 34, ღუდუშაური გლახა ბიჭიას ძე – 52 წლის. მისი შვილები: ვანო – 18 წლის, ნიკოლოზი – 16 წლის. ვანოს შვილი იოსები – 1 წლის.

№ 35, ღუდუშაური გლახა ვარძუკას ძე – 38 წლის. მისი შვილები: გაბრიელი – 13 წლის, იაგორი – 10 წლის, ნიკოლოზი – 4 წლის. გლახას ძმა, სვიმონი – 35 წლის. მისი შვილები: ვანო – 9 წლის, როსტომი – 1 წლის.

№ 36, ღუდუშაური იოსებ გრიგოლის ძე – 27 წლის. მისი ძმები: (გიორგი) ნინია – 23 წლის, შიო – 18 წლის.

№ 37, ღუდუშაური გიორგი გრიგოლის ძე – 50 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 3 წლის. გიორგის ძმა, იობი – 36 წლის. გიორგის ძმისშვილები: ივანე – 13 წლის, ვანო – 8 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი № 1818).

თათარენი

ერთი ეთნოგრაფიული ვერსიის თანახმად: –

ლომნიენი, თადილენი, ვასეფენი, თათულენი და თათარენი – ღუდუშა ღუდუშაურის ვაჟის – ისმელას შტოდან მოდიან.

1774 წლის აღწერით – სნოში სახლობდნენ: – ღუდუშაური მარტიასშვილი ზალია, ბერი, ირემა და ივანე.

1781 წელს აღერიცხნენ: –

ღუდუშაური ყაზის შვილი თათარა და დავით;

ღუდუშაური მარტიაშვილი ზალია, ბერი, ირემა, ივანე და შავლახ.

1804 წელს მოხსენიებულია: – მამუკა თათარას შვილი, № 30 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს: –

დავით თათარაშვილი – № 2 და იასე ზალიაშვილი, № 3 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წლის აღწერით დარეგისტრირდნენ: –

№ 5, გიორგი ღუდუშაური – 37 წლის. მისი შვილები: მარტია – 10 წლის, პაპა – 8 წლის, ჯურხა – 5 წლის, შიო – 3 წლის. გიორგის ძმა, შავხალი – 29 წლის.

№ 6. მამუკა ღუდუშაური – 45 წლის. მისი შვილები: იასე – 25 წლის, ბიჭი – 22 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს აღრიცხეს: –

№ 6, გრიგოლ ღუდუშაური – 48 წლის. მისი შვილები: მარტია – 21 წლის, პაპა – 19 წლის, ჯურხა, იგივე ივანე – 16 წლის, შიო – 14 წლის, მოსე, იგივე გიორგი – 6 წლის. გრიგოლის ძმა, შავხალი – 33 წლის; მისი შვილი, იოსები – 5 წლის.

№ 7. ბიჭი ღუდუშაური – 33 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს აღირიცხნენ: –

№ 1, პაპა გრიგოლის ძე ღუდუშაური – 35 წლის. მისი შვილები: სიმონი – 7 წლის, გიორგი – 3 წლის. პაპას ძმები: ივანე – 30 წლის, შიო – 20 წლის, გიორგი – 22 წლის. პაპას ძმისშვილი, მამუკა მარტიას ძე – 6 წლის.

№ 2, ბიჭიკო მამუკას ძე ღუდუშაური – 40 წლის. მისი შვილი, ალექსანდრე – 8 წლის.

№ 4. შავხალ გლახას ძე ღუდუშაური – 50 წლის. მისი შვილი, იოსები – 20 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 1. პაპა გიორგის ძე ღუდუშაური – 48 წლის. მისი შვილები: სვიმონი – 20 წლის, გიორგი – 15 წლის, ნიკოლოზი – 9 წლის, ალექსანდრე – 6 წლის. პაპას ძმები: ივანე – 43 წლის, გიორგი – 35 წლის. გიორგის შვილი, ევტსტატე – 10 წლის, გრიგოლი – 6 წლის. პაპას ძმისშვილი, მამ**უ**კა მარტიას ძე – 19 წლის.

№ 2. ბიჭიკო მამუკას ძე ღუდუშაური – 53 წლის. მისი შვილი ალექსანდრე – 21 წლის.

№ 4. იოსებ შავხალის ძე ღუდუშაური – 33 წლის. მისი შვილები: მიხეილი – 8 წლის, სიმონი – 2 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 1, ღუდუშაური პაპა გიორგის ძე, 61 წლის. მისი შვილები: სვიმონი – 33 წლის, ნიკოლოზი – 22 წლის, ალესანდრე – 19 წლის. სვიმონის შვილი, იაგორი – 3 წლის. პაპას ძმა, ივანე – 56 წლის. ივანეს შვილები: ალექსანდრე – 9 წლის, გრიგოლი – 4 წლის. პაპას ძმისშვილები: ესტატე გიორგის ძე – 23 წლის. მამუკას შვილები: შიო – 13 წლის, დათიკო – 8 წლის.

№ 2, ღუდუშაური ალექსი ბიჭიკოს ძე – 34 წლის. მისი შვილი, ვანო – 5 წლის.

№ 4, ღუდუშაური იოსებ შავხალის ძე – 46 წლის. მისი შვილები: მიხეილი – 21 წლის, ვანო – 12 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

თათულენი

1774 წლის აღწერით – სნოში სახლობნენ: –

ღუდუშაური ნეღოსშვილი – ტეტია და ავთანდილი;

ღუდუშაური ნეღოსშვილი – აქაი;

1781 წელს აღირიცხნენ: – ღუდუშაური ნეღოს შვილები – ავთანდილი, ბერი და გიორგი.

1804 წლის აღწერით ისინი უკავშირდებიან № 35 კომლს, ბერი ტეტიას შვილ ღუ-დუშაურს (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1831 წელს მოხსენიებულია: –

№ 11, სიაი ღუდუშაური – 40 წლის. მისი ძმა, თათულა – 25 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს აღრიცხეს: –

№ 12, სია ღუდუშაური – 51 წლის. მისი შვილი, ლევანი – 2 წლის. ძმა, თათუ-ლა, იგივე ავთანდილი – 36 წლის. თათულას შვილი, გლახა – 2 წლის. ძმისშვილები: გრიგოლი – 16 წლის, ეგნატე – 11 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 5, ავთანდილ ივანეს ძე ღუდუშაური, 60 წლის; მისი შვილები: გლახა – 20 წლის, იოსები – 10 წლის. ავთანდილის ძმის შვილი – ლევან იასეს ძე, 20 წლის. ავთანდილის ბიძაშვილები: – გრიგოლი, 30 წლის, ეგნატე – 21 წლის. გრიგოლის შვილები: – ნიკოლოზი 5 წლის, იოსები 2 წლის. გრიგოლის ძმის შვილი – სვიმონ ეგნატეს ძე, 5 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს აღირიცხნენ: –

№ 5, გლახა ავთანდილის ძე ღუდუშაური – 33 წლის. მისი ძმა, იოსები – 23 წლის.

№ 6, ლევან იესეს ძე ღუდუშაური – 33 წლის. მისი შვილები: გლახა – 10 წლის, სიმონი – 2 წლის.

№ 7, გრიგოლი გრიგოლის ძე ღუდუშაური 43 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 18 წლის, იოსები – 15 წლის, შიო – 6 წლის, ილია – 4 წლის.

№ 8, ეგნატე შიოს ძე ღუდუშაური – 34 წლის. მისი შვილები: სიმონი – 18 წლის, გიორგი – 9 წლის, ივანე – 6 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 5, ღუდუშაური გლახა ავთანდილის ძე – 46 წლის. მისი შვილები: გაბო – 10 წლის, ილიკო – 1 წლის. გლახას ძმა, იოსები – 44 წლის. მისი შვილი, გლახა – 3 წლის.

№ 6, ღუდუშაური ლევან იასეს ძე – 46 წლის. მისი შვილი, სვიმონი – 15 წლის.

№ 7, ღუდუშაური გრიგოლ შიოს ძე – 68 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 31 წლის, (მიხეილი) იოსები – 28 წლის, შიო – 19 წლის, ილიკო – 17 წლის. ნიკოლოზის შვილები: სანდრო – იგივე გიორგი – 4 წლის.

№ 8, ღუდუშაური ეგნატე შიოს ძე – 47 წლის. მისი შვილები: სიმონი – 31 წლის, გიორგი – 22 წლის, ივანე – 19 წლის. ივანეს შვილი, სერგო – 2 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

ლომნიენი

1774 წლის აღწერით – სნოში სახლობდა: – ღუდუშაური გივისშვილი ლომნია.

1781 წელს მოხსენიებულნი არიან: –

ღუდუშაური გივისშვილი – ლომნია;

გივის შვილი – ნეღო.

1804 წლის აღწერით ისინი უკავშირდებიან: –

№ 19 კომლს, ღუდია ლომნიას შვილს და № 22-ს – ნეღო გივის შვილ ღუდუშაურს (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1831 წელს – დარეგისტრირდნენ: –

№ 9, გრიგოლ ღუდიას ძე ღუდუშაური და მისი ბიძაშვილი, ნეღო;

№ 19, ნანაი ღუდუშაური და მისი შვილი, გლახა (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 10, გრიგოლ ღუდუშაური – 9 წლის;

№ 19, გაბრიელ ღუდუშაური – 33 წლის. მისი ძმა, ჯარია – 27 წლის. ჯარიას შვილი, აბრამი – 1 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს აღირიცხნენ: –

№ 6, გრიგოლ ღუდიას ძე ღუდუშაური – 25 წლის.

№ 37, გლახა ივანეს ძე ღუდუშაური – 36 წლის. მისი შვილი, იაკობი – 8 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს სახლობდნენ: –

№ 9, გრიგოლ ღუდიას ძე ღუდუშაური – 39 წლის (აღნიშნული კომლი ამოწყდა 1887 წლის მეორე ნახევრში).

№ 40, გლახა ივანეს ძე ღუდუშაური – 51 წლის. მისი შვილები: იაგორი – 21 წლის, სიმონი – 6 წლის, შიო – 3 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს – მოხსენიებულნი არიან: –

№ 9, ღუდუშაური გრიგოლ ღუდიას ძე (აღნიშნული კომლიდან გადარჩა ერთი ქალიშვილი, ელისაბედი – 13 წლის).

№ 45, ღუდუშაური გლახა ივანეს ძე – 64 წლის. მისი შვილები: ლევანი – 34 წლის, სვიმონი – 19 წლის, შიო – 16 წლის. ლევანის შვილი, გიორგი – 3 თვის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

პაპიაშვილები (პაპენი)

ღუდუშა ღუდუშაურის უფროსი ვაჟის – პაპისგან მოდიან: – პაპიაშვილები (პაპენი), ჯანუყენი (ჯანუყაშვილები), ბულენი (ბულაშვილები) და ყარაჯენი.

ჯანუყენიდან მოდიან: – გოგენი და ბიჭიენი;

ბიჭიენიდან: – აჭენი, შუენი, ზურაბენი და ადამენი; ადამენიდან მოდიან ბიჭიენისა და ყარაჯენის ახალი მამები, კერძოდ: – ბიჭიენიდან: – ზურაბენი და გელენი; ზურაბენიდან – დუზუგენი.

ახალი ყარაჯენი მამიდან: – ნიკოლოზენი, ბაიენი და გივარგენი. ნიკოლოზენიდან: – ბუტენი, ხაიენი და თედვენი; ბაიენიდან: – მარტიენი და ნანენი; გივარგენიდან: – მოსენი, სვიმანიენი და ფიდენი.

1774 წლის აღწერით – სნოში სახლობდნენ: –

1. ღუდუშაური პაპუასშვილი – ყაყა, პაპუა და იაა;
2. ღუდუშაური პაპასშვილი – იასე, ჯუღუნა და ბიძია.

1781 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. პაპუას შვილი ყაყა, იაა, პაპუა, ბიჭი და გურია;
2. პაპას შვილი – იასე და კურდღელა;
3. პაპას შვილი – ბიძია და ჯუღურა.

1804 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 4, ზაქარია პაპუას შვილი ღუდუშაური;

№ 9, აჩი (?) ყაყას შვილი ღუდუშაური;

№ 10, გურია პაპას შვილი;

№ 25, ბიჭიკო ყაყას შვილი ღუდუშაური (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს აღირიცხნენ: –

№ 18, აჩა პაპაშვილი;

№ 19, ბიჭი პაპაშვილი; № 20, გოგია პაპაშვილი; № 23, ბასანაი პაპაშვილი; № 24, გიგოლა პაპაშვილი; № 25, გაგილა პაპაშვილი; № 28, შიო პაპაშვილი; № 30, ყაყაი ღუდუშაური; № 31, შიო პაპაშვილი; № 32, გურია პაპაშვილი (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

XIX საუკუნის მომდევნო აღწერებში პაპაშვილები და პაპუაშვილები – ღუ-დუშაურებად არიან დარეგისტრირებულნი, კერძოდ: –

1831 წელს: –

№ 30, ნინია ღუდუშაური – 40 წლის. მისი შვილი, იოსები – 8 წლის. ძმისშვილი, სიმონი – 8 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245):

1842 წელს: –

№ 34, ბასანა ღუდუშაური – 61 წლის. მისი შვილი იოსები – 41 წლის. ბასანას ძმისშვილი, შავხალი – 46 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს: –

№ 40, გოგია ბაის ძე ღუდუშაური – 40 წლის. მისი ძმები: ზაქარია – 30 წლის, შიო – 25 წლის. ზაქარიას შვილი, დავითი – 7 წლის. შიოს შვილი, გაგაი – 1 წლის.

№ 44, სიმონ ნიკოლოზის ძე ღუდუშაური – 35 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 7 წლის, გლახა – 5 წლის.

№ 45, სია შიოს ძე ღუდუშაური – 25 წლის. მისი ძმა, ლაზარე – 20 წლის.

46, ნინიკა კურდღელას ძე ღუდუშაური – 80 წლის. მისი შვილები: იოსები – 33 წლის, გრიგოლი – 20 წლის. იოსების შვილი, გლახა – 1 წლის. გრიგოლის შვილი, ივანე – 1 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წლის აღწერით აღირიცხნენ: –

№ 47, სიმონ ნიკოლოზის ძე ღუდუშაური – 48 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 20 წლის, გლახა – 18 წლის, ივანე – 10 წლის, გიორგი – 5 წლის, ნიკოლოზი – 1 წლის.

№ 49, სია შიოს ძე ღუდუშაური – 38 წლის.

№ 50, იოსებ ნინიას ძე ღუდუშაური – 56 წლის. მისი შვილები: გლახა – 14 წლის, ანდრია – 11 წლის. იოსების ძმა, გრიგოლი – 33 წლის. გრიგოლის შვილები: ივანე – 14 წლის, იაკობი – 11 წლის, ნიკოლოზი – 9 წლის, ფიდო – 3 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 50, ღუდუშაური სვიმონ ნიკოლოზის ძე – 64 წლის. მისი შვილები: (ლეგა) ნი-კოლოზი – 33 წლის, გლახა – 31 წლის, ივანე – 23 წლის, გიორგი – 16 წლის, მიხეილი – 12 წლის, სანდრო – წლინახევრის. ლეგას შვილი, ალექსი – 2 წლის.

№ 52, ღუდუშაური სია შიოს ძე – 20 წლის, ცხოვრობს ვლადიკავკაზში.

№ 53, ღუდუშაური იოსებ ნინიას ძე – 69 წლის. მისი შვილები: გლახა – 27 წლის, ანდრია – 24 წლის. გლახას შვილი, ვანო – 2 წლის.

№ 54, ღუდუშაური გრიგოლ ნინიას ძე – 55 წლის. მისი შვილები: ივანე – 27 წლის, იაკობი – 24 წლის, ნიკო – 22 წლის. ფიდო ცხოვრობს ვლადიკავკაზში. ივანეს შვილი, ნიკო – 5 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

პაპიაშვილების გვარის წარმომადგენელია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ლივტების მეურნეობის სპეციალიზირებული სამშენებ-ლო-სარემონტო სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად – ლივტების მეურნე-ობის სპეციალიზირებული შპს-ს „საქლიფტის“ ხელმძღვანელი, ღირსების ორდენის კავალერი, ჯემალ პაპიაშვილი.

სამუკაშვილები (სამუკენი)

ღუდუშა ღუდუშაურის ვაჟის, ისმელას შტოდან მოდიან.

მათ ყველაზე დიდხანს უცხოვრიათ „ვანნში“ მზორე, ღალიანის ადგილას), რომელიც სნოველთა უძველეს სამოსახლოს წარმოადგენდა.

1774-1781 წლებში – სნოში სახლობდა: –

ღუდუშაური სამუკასშვილი – გუგუა და კურდღელა.

1804 წელს: – აკა კურდღელას შვილი, № 20 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1831 წელს: – № 7, მამუკა ღუდუშაური – 55 წლის. მისი შვილები: იასე – 26 წლის, ივანე – 25 წლის. მამუკას ძმა, გრიგოლი – 34 წლის. მისი შვილი, გიორგი – 7 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 8, მამუკა ღუდუშაური – 66 წლის. მისი შვილები: იასე – 39 წლის, ივანე – 36 წლის. იასეს შვილი, დავითი – 10 წლის. ივანეს შვილები: ანდრია – 8 წლის, ფუნჩა – იგივე გლახა, 1 წლის. მამუკას ძმა, გრიგოლი – 45 წლის. მისი შვილი გიორგი – 18 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 34, ნანიკა მამუკას ძე ღუდუშაური – 45 წლის. მისი შვილები: ანდრია – 22 წლის, გლახა – 20 წლის, ალექსი – 8 წლის, იაკობი – 4 წლის.

35. სია მამუკას ძე ღუდუშაური – 60 წლის. მისი შვილი, დავითი – 30 წლის. დავითის შვილი, ივანე – 1 წლის.

36. გიორგი გრიგოლის ძე ღუდუშაური – 30 წლის. მისი შვილები: იოსები – 8 წლის, დიმიტრი – 4 წლის, სიმონი – 2 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს აღირიცხნენ: –

№ 37, ნინიკა სამუკას ძე ღუდუშაური – 58 წლის. მისი შვილები: ანდრია – 35 წლის, გლახა – 33 წლის, ალექსი – 21 წლის, იაკობი – 17 წლის. ანდრიას შვილები: გიგოლა – 10 წლის. ნიკოლოზი – 2 წლის.

№ 38, გიორგი გრიგოლის ძე ღუდუშაური – 43 წლის. მისი შვილები: იოსები – 21 წლის, დიმიტრი – 17 წლის, სიმონი – 15 წლის, ივანე – 5 წლის.

№ 39, ივანე დავითის ძე ღუდუშაური – 14 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 40, ღუდუშაური ანდრია ნიკოლოზის [ნინიკას] ძე – 48 წლის. მისი შვილები: გრიგოლი – 23 წლის, ნიკოლოზი – 15 წლის, მიხეილი – 4 წლის.

№ 41, ღუდუშაური გლახა ნინიკას ძე – 40 წლის.

№ 42, ღუდუშაური ალექსი ნინიკას ძე – 35 წლის. მისი შვილები: ივანე – 7 წლის, ვანო – 5 წლის, სანდრო – 1 წლის.

№ 43, ღუდუშაური იოსები გრიგოლის ძე – 35 წლის. მისი შვილი, გიორგი – 8 წლის. იოსების ძმები: სვიმონი – 24 წლის, ივანე – 18 წლის.

№ 44, ღუდუშაური ივანე დავითის ძე – ვლადიკავკაზში ცხოვრობს (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

სამუკენის გარდა, ისმელას შტოდან მოდიან – ლომნიენი, თადილენი, ვასეფენი, თათულენი, თათარენი, ჯაბანაშვილები, ფირანიშვილები, ვარძუკაშვილები და აქიაშვილები.

დროთა განმავლობაში, სამუკენიდან, წარმოსდგნენ: – ყაზიენი, ტუხუენი, ეფხვენი, ფშავში მცხოვრები რაზიკაანი და საგურამოში მცხოვრები ისმაილაშვილები.

ყაზიენიდან მოდიან: – იაგორენი, ეფრემენი, პოვლიენი და ესტატენი;

ტუხუენიდან – ზაბგენი; ზაგბენიდან: – ნასყიდენი და ილუენი;

ეფხვენიდან: – თევდორენი და გიგიენი; თევდორენიდან: – ვასკენი, გიგიენი, ბაწაწუნენი და გაბრიელენი.

ვასკენიდან მოდიან: – მიხელენი და გივარგენი; მიხელენიდან – ვანუენი; გივარგენიდან – სტეფანიენი;

გიგიენიდან მოდიან: – კაჭუენი, კასინენი, ხუტენი;

კასინენიდან: – პოვლიენი, მაქსენი და ვანიენი;

ბაწაწუნენიდან: – რუხიენი; რუხიენიდან – თუზენი და ალექსენი; თუზენიდან – თუზენი და მიხენი;

გაბრიელენიდან: – ჯივენი; ჯივენიდან – იაგორენი.

*

სნოში დიდხანს იყო შემორჩენილი, XIX ს-ის 60-იან წლებში ნაგები, სამუკაშვილების დიდი ოჯახის კუთვნილი სახლის ნანგრევი.

ორ სართულიანი ყოფილა.

პირველი სართულის საზამთრო საცხოვრისი და ლასტებით (ნაწილი ქვის კედლებით) ერთმანეთისგან იზოლირებული ოთხი სათავსო (საძროხე, საბერწე, სახბე და საცხორე – ანუ, ბოსელი) – ერთმანეთთან ცხრა კარით ყოფილა დაკავშირებული.

იმ ადგილს, დღემდე – „სამუკეთ ცხრაკარიანის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ.

ძირად სნოველი ვაჟა-ფშაველა
სამუკაშვილები, გოგოჭურები და რაზიკაშვილები

„მე მიტომ მიყვარს მოხევე,
რომ სნოველი ვარ ძირადა,
გამოვქცევივარ სიკვდილსა,
ფშავი გვრგებია წილადა...“

ბრძანა ვაჟა-ფშაველამ და მისი გენიალოგიის მკვლევარებს თავად ამცნო მათი წინაპრების ხევიდან წარმომავლობის შესახებ.

„რაზიკაშვილების გვარი, როგორც ვაჟას მამა, პავლე გადმოგვცემს, მოხეური წარმოშობისაა. თავდაპირველად ისინი ღუდუშაურები ყოფილან და ცხოვრობდნენ სოფელ სნოში. სნოდან მათი ერთი შტო ფშავში, სოფელ ცაბაურთში გადასახლებულა (გოგოჭურ-ცაბაურების სამოსახლოში, გ.ქ.); ცაბურთიდან აფხოშოში, აფხოშოდან კი ჩარგალში. ხევიდან ფშავში მისვლის დროს, ღუდუშაურებს გვარი გამოუცვლიათ და

ერთ-ერთი მათი წინაპრის სახელი – რაზიკა გვარად გამოუყენებიათ“ (დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1989 წ.).

„ღუდუშაურები რაზიკაშვილებთან დამოყვრების შესახებ საკითხის დასმასაც კი დიდ ცოდვად თვლიდნენ (ეგზოგამიის დაცვის აუცილებლობას ქადაგებდნენ), ერთი საერთო წინაპრიდან წარმოშობის გამო...“

„მათი ერთობის ტრადიცია... გამოხატულებას რელიგიურ დღესასწაულის შესრულებაშიაც პოულობდა, როცა რაზიკაშვილები – ღუდუშაურთა სალოცავში მიდიოდნენ საკლავ-სასმელ-საწირით...“

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დ. ბენაშვილი გვარწმუნებს – „რაზიკაშვილებსა და ღუდუშაურებს შორის – ოდესღაც არსებული ერთობის სინამდვილეში.“

„დროთა სვლაში ამ ერთობის დარღვევის მიუხედავად – საქორწინო და სარწმუნოებრივი ურთიერთობის ხაზით უძველესი ტრადიცია კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს“ (დ. ბენაშვილი).

ციტირებული მკვლევარის ცნობით: –

რაზიკაშვილები ღუდუშაურების ისმელეთ შტოს – „სამუკეთ“ განაყრები არიან და „თუკი მეცნიერებაში დადგენილი წესის მიხედვით თაობათა დისტანციას 35 წელს ვიანგარიშებთ, რაზიკაშვილების გვარს სამი საუკუნის ისტორია უნდა ჰქონდეს.“

*

თედო რაზიკაშვილი ხშირად მიგვანიშნებს რომ – მათი ძირეული გვარი გოგოჭურია.

ვაჟა-ფშაველა, ვიდრე საბოლოო ფსევდონიმს აირჩევდა – ნაწერებს გოგოჭურის გვარითაც აქვეყნებდა.

ვაჟას მამა, პავლე – ავტობიოგრაფიაში, წინაპრების გადმოცემას იმოწმებს, იმის თაობაზე რომ – ღუდუშაურები და რაზიკაშვილები ერთი გვარისანი არიან: –

„სნუში (სნოში) მე თვითონაც მოხევისაგან გავიგონე – ჩვენი გვარისები ხართ – გ ო გ ო ჭ უ რ ე ბ ი ვ ო“.

ვაჟას თანახმადაც, რაზიკაშვილების თავდაპირველი გვარი გოგოჭურია.

მათი წინაპარი, რაღაც დანაშაულის გამო, გაუდევნიათ გოგოჭურთა თემიდან და თავისიანებთან, სნოში გადასულა.

კიდევ რაღაც ავკაცობა ჩაუდენია და იქიდანაც მისი გამოძევება განუზრახავთ, მაგრამ თვითონ „დაუსწრია:“ –

გაუტეხია სამლოცველო, გამოუტანია ხატი, ჩაუსვამს გუდაში, მოუპარია ვისიმე ცხენი, ფშავში გადმოსულა და იქ დამკვიდრებულა ხუცესად – „თავისი“ ხატით.

„მოუსვენარნი ვყოფილვართო,“ გვიყვება ვაჟას მამაც.

*

რატომ გაიქცა ჩარგალში რაზიკაშვილების სნოველი წინაპარი?

რატომ მიიტანა იქ სნოდან გატაცებული ხატი? და, რაც მთავარია, რატომ „დაამკვიდრეს“ იქ – სხვა კუთხიდან გამოქცეული კაცი ხუცესად?

„მხოლოდ იმიტომ, რომ ჩარგალსა და მის შემოგარენში მათი წინაპარი გოგოჭურები ცხოვრობდნენ, რომელთა საგვარო ხატი ხახმატის ჯვარში იყო, სადაც სა-

ლოცავად მიდიოდნენ როგორც ხევსურები, ისე ფშავლები, თუშები, მოხევეები და მთიულები.“

„იქ როგორც ძველთაძველ საგვარო ხატში საკლავს კლავდნენ და სანთელს ანთებდნენ ღუდუშაურებიც, რაზიკაშვილებიც და გოგოჭურებიც.“

„ამ ხატობას არაერთხელ დასწრებია ვაჟა; მამამისი, მღვდელი პავლე, ხახმატში მოღვაწეობდა და წარმართი ხუცესები, ალბათ, მხოლოდ იმიტომ ითმენდნენ მისგან ქრისტიანობის ქადაგებას, რომ ისიც ხახმატის ჯვრის ყმა იყო“ (დ. ბენაშვილი).

სოფ. ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლიდან აღმართს რომ ავუყვეთ, დაახლოებით 1 კმ-ის შემდეგ, პატარა დავაკებაზე გავალთ. ოდნავ მოშორებით ვეებერთელა ლოდებით ნაგები ციხის ნაშალია, რომელსაც ხალხი „სულა-კურდღელათ“ უწოდებს. სულა და კურდღელა გოგოჭურების გვარს ეკუთვნოდნენ. ამ გვარს რომ ჩარგალში ოდითგან უცხოვრია, ამაზე სულასა და კურდღელას ციხის ზემო გორაზე შემორჩენილი ნამოსახლარიც მიუთითებს, რომელსაც დღესაც „გოგოჭურებს“ ეძახიან. ძველ ხალხურ პოეზიაში გოგოჭურები ხშირად მოიხსენიებიან ჩარგლის მცხოვრებლებად. შემთხვევითი არც ჩარგალთან, სულა–კურდღელას ნასახლარში, ნიშის ჩადგმა და მისი სალოცავად გადაქცევაა... გოგოჭურების თემს ასეთი „ჩვევა“ ჰქონდა (ნასახლარების სალოცავად გადაქცევა). გავიხსენოთ ჭორმეშავში გახა მეგრელაურის „ფიცრული,“ ბეგენთ-გორზე მამუკა ქალუნდაურის სამანი და მარტია მისურაულის ციხის ნანგრევები ჭორმეშავში (თ. ოჩიაური).

ვაჟა-ფშაველას დიდი წინაპარის, იმედას, იგივე მამისიმედის, გოგოჭურობა (რომელსაც ხალხურ პოეზიასა და თქმულებებში ხშირად მოიხსენიებენ როგორც უშიშარ მეომარსა და დარბაისელს) – დადასტურებულია, 1750 წლის 6 ივლისით დათარიღებული დოკუმენტით – რომელიც ერეკლე II-ის მიერ გამართულ ხალხურ სასამართლოს („თემურ რჯულს“) ეხება და რომელშიც მამისიმედ გოგოჭური „რჯულის კაცთა“ (მსაჯულთა) შორისაა მოხსენიებული (გ. ხორნაული).

პავლე რაზიკაშვილის ცნობით: –

ამ იმედა (გოგოჭურის) შვილი იყო მამამისის ბიძა ბერი.

ანუ, ვაჟა-ფშაველა მამისიმედის ჩამომავალი მეოთხე თაობა ყოფილა (ბერო – გივი – პავლე – ვაჟა).

XIX ს-ის აღწერების (მათ შორის ხორხის ხეობის სოფლების) მონაცემებით, სავარაუდოა რომ – მამისიმედ გოგოჭურის შთამომავლებმა მისი სახელი გაიგვარეს და მამისიმედაშვილის გვარზე გადავიდნენ.

(ეს ის მამისიმედია, რომელსაც, ხალხური მეხსიერების მიხედვით, მეფე ერეკლესთვის უთქვამს: – „ორი შენ მიბრძანე, ბატონო, მაგრამ მესამე ჩემი გაიგონეო“).

*

მოხევე სამუკაშვილების გვარის წარმომადგენელია ცნობილი გეოფიზიკოსი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი – რევაზ სამუკაშვილი.

იურისტი – კორნელი სამუკაშვილი, სახელმწიფო კანცელარიაში მსახურობდა – სახელმწიფო მრჩეველი.

ფირანიშვილები (ფირანიანი)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ისმელეთ შტოდან მოდიან;
1774 წლის აღწერით – სნოში, სახლობდნენ: –
ღუდუშაური ფირანისშვილი – ფირან, თომა, აბაა და უძილა;
1781 წელს – ღუდუშაური ფირანის შვილი – აბა და თომა.

1804 წელს: –

1. თომა ფირანას შვილი, № 31.
2. ჩეკურა აბას შვილი ღუდუშაური, № 32 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1831 წლის აღწერით დარეგისტრირდნენ: –

№ 4, იასე (იგივე სია) ღუდუშაური – 60 წლის. მისი ძმა, გიორგი – 55 წლის. გიორგის შვილები: იოსები – 25 წლის, შიო – 18 წლის. იასეს ძმა, დავითი – 46 წლის. მისი შვილი, გლახა – 3 წლის. იასეს ძმა, ჯარია – 30 წლის. მისი შვილი, იაკობი – 8 წლის. იასეს ძმა, ლილა – 27 წლის. მისი შვილი, ივანე – 3 წლის.

№ 13, ჩაკურა ღუდუშაური – 70 წლის. მისი შვილი, გლახა – 20 წლის. ძმისშვილი, შავხალი – 30 წლის.

№ 15, გლახა ღუდუშაური – 25 წლის. მისი ძმა, შაშვია – 23 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს აღრიცხეს: –

№ 5, იასე, იგივე სია ღუდუშაური – 71 წლის. მისი ძმისშვილები: იოსები – 36 წლის, შიო – 29 წლის. იასეს ძმა, ჯარია – 41 წლის. მისი შვილები: იაკობი – 19 წლის, ჯიმშერი – 7 წლის, გაბრიელი – 4 წლის. ჯარიას ძმისშვილი, სიმონი – 11 წლის. იოსების შვილები: მოსე – 7 წლის, გიორგი – 5 წლის, ბაშკა – 2 წლის. იასეს ძმა, ლილა, იგივე ივანე – 38 წლის. მისი შვილი, ივანე – 14 წლის.

№ 14, გლახა ღუდუშაური – 31 წლის. მისი შვილი, იოსები – 3 წლის. ბიძაშვილი, შავხალი – 41 წლის. მისი შვილი, ივანე – 4 წლის.

№ 16, გლახა ღუდუშაური – 36 წლის. მისი ძმა, შაშვია – 34 წლის. შაშვიას შვილი, ნიკალაი – 3 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 18, გლახა ჭარიას ძე ღუდუშაური – 60 წლის. მისი შვილები: სიმონი – 7 წლის, დემეტრე – 5 წლის, გრიგოლი – 1 წლის.

№ 19, შაშვია ჭარიას ძე ღუდუშაური – 55 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 20 წლის, მამუკა – 7 წლის.

№ 20, გლახა იოსების ძე ღუდუშაური – 45 წლის. მისი შვილები: იოსები – 20 წლის, იაკობი – 15 წლის, გიორგი – 12 წლის, ივანე – 3 წლის.

№ 21, ივანე შავხალის ძე ღუდუშაური – 25 წლის.

№ 22, იოსებ გიორგის ძე ღუდუშაური – 60 წლის. მისი შვილები: მოსე – 25 წლის, გიორგი – 23 წლის, ვასილი – 20 წლის, მამუკა – 12 წლის.

№ 23, ივანე თომას ძე ღუდუშაური – 60 წლის.

№ 24, შიო გიორგის ძე ღუდუშაური – 49 წლის. მისი შვილი, ივანე – 13 წლის.

№ 25, იაკობ ჭარიას ძე ღუდუშაური – 35 წლის. მისი შვილები: ბესარიონი – 8 წლის, გიორგი – 1 წლის.

№ 26, ჯიმშერა ჯარიას ძე ღუდუშაური, 32 წლის. მისი ძმები: – გაბრიელი – 30

წლის, ნინია – 25 წლის, ივანე – 8 წლის, ადამი – 5 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს სახლობდნენ: –

№ 22, გლახა ჭარიას ძე ღუდუშაური – 73 წლის. მისი შვილები: სიმონი – 20 წლის, დიმიტრი – 17 წლის.

№ 23. ნიკოლოზ შაშიას ძე ღუდუშაური – 33 წლის. მისი შვილები: გიორგი – 7 წლის, ბესარიონი – 3 წლის. ნიკოლოზის ძმა, მამუკა – 20 წლის.

№ 24, იოსებ გლახას ძე ღუდუშაური – 33 წლის. მისი ძმები: იაკობი – 28 წლის, გიორგი – 25 წლის, ივანე – 16 წლის.

№ 25, ივანე შავხალის ძე ღუდუშაური – 38 წლის.

№ 26, იოსებ გიორგის ძე ღუდუშაური – 73 წლის. მისი შვილები: მოსე – 38 წლის, გიორგი – 36 წლის, ვასილი – 33 წლის. მოსეს შვილი, ლევანი – 8 წლის. გიორგის შვილი, იაგორი – 1 წლის. იოსების ძმა, მამუკა – 25 წლის.

№ 27, ივანე შიოს ძე ღუდუშაური – 26 წლის. მისი ძმა, გიორგი – 9 წლის.

№ 28. იაკობ ჭარიას ძე ღუდუშაური – 48 წლის. მისი შვილები: ბესარიონი – 21 წლის, მიხეილი – 4 წლის.

№ 29, დიმიტრი ჭარიას ძე ღუდუშაური – 25 წლის. მისი შვილი, ივანე – 6 წლის.

№ 30, გაბრიელ ჯიმშერის ძე ღუდუშაური – 43 წლის. მისი ძმები: ნინია – 29 წლის, ივანე – 21 წლის, ადამი – 18 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 22, ღუდუშაური სვიმონ გლახას ძე – 33 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 3 წლის.

№ 23, ღუდუშაური დიმიტრი გლახას ძე – 30 წლის. მისი შვილები: თევდორე – 8 წლის, გიორგი – 5 წლის.

№ 24, ღუდუშაური ნიკოლოზ შაშიას ძე – 46 წლის. მისი შვილები: გიორგი – 19 წლის, ბესარიონი – 15 წლის, ფიდო – 15 წლის.

№ 25, ღუდუშაური მამუკა შაშიას ძე – 33 წლის. ცხოვრობს ფოთში.

№ 26, ღუდუშაური იოსებ გლახას ძე – 46 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 10 წლის, ბიბო – 7 წლის. იოსების ძმები: კაცია – 41 წლის, გიორგი – 38 წლის, ვანო – 29 წლის. გიორგის შვილი, ალექსი, 6 თვის.

№ 27, ღუდუშაური ივანე შავხალის ძე – 50 წლის. მისი შვილი, ვანო – 10 წლის.

№ 28, ღუდუშაური მოსე იოსების ძე – 51 წლის. მისი შვილები: – ლევანი (ცხოვრობს ვლადიკავკაზში), ივანე – 11 წლის. მოსეს ძმები: გიორგი – 49 წლის, მამუკა – 38 წლის. გიორგის შვილები: იაგორი – 14 წლის, მათე – 6 წლის, ნიკოლოზი – 1 წლის. მამუკას შვილი, სტეფანე – 3 წლის.

№ 29, ღუდუშაური ივანე შიოს ძე – 39 წლის. მისი ძმა, გიორგი – 22 წლის.

№ 30, ღუდუშაური იაკობ ჭარიას ძე – 61 წლის. მისი შვილები: ბესარიონი – 34 წლის, მიხეილი – 7 წლის. ბესრაიონის შვილი, ნიკოლოზი – 2 წლის.

№ 31, ღუდუშაური ივანე ჯიმშერის ძე – ცხოვრობს ვლადიკავკაზში.

№ 32, ღუდუშაური გაბრიელ ჯარიას ძე – 51 წლის. მისი შვილი, ილიკო – 7 წლის. გაბრიელის ძმები: ივანე – 34 წლის, ადამი – 31 წლის. ადამის შვილი, ალექსი – 1 წლის.

№ 33, ღუდუშაური ნინია ჯარიას ძე – 42 წლის. მისი შვილი, ესტატე – 11 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი № 1818).

*

ვალერიან (ვალიკო) ფირანიშვილი, 1961-1970 წლებში, ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივნი გახლდათ; 1978-1983 წლებში ეკავა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა; 1983 წლიდან ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

პაატა ფირანიშვილი – თსუ-ს პროფესორია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

მერაბ ფირანიშვილი – ცნობილი მოქანდაკე.

ელიას მთის ძირში – ღია ცის ქვეშაა მისი მუზეუმი.

ოცნებობს რომ, აღნიშნული ტერიტორია, ქართველი გმირების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიუსტებით შეამკოს.

ჯაბანენი (ჯაბანაშვილები)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ღუდუშაურების ისმელეთ შტოდან მოდიან.

1774 წლის აღწერით – სნოში, მოხსენიებულნი არიან: –

ღუდუშაური ჯაბანასშვილი, მოურავი მარტია, მამუკა, ჯარია, უძილა და შაშვა.

1781 წელს: – ღუდუშაური ჯაბანას შვილი, მარტია, მამუკა, ჯარია, უძილა, შაშვია და ბერდია.

1804 წელს: –

№ 3, ბერდია მარტიას შვილი ღუდუშაური.

№ 33, ჯაჯა უძილას შვილი ღუდუშაური (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს: – მოურავი, ბერდია ღუდუშაური, № 1 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წლის აღწერით დარეგისტრირდნენ: –

№ 1, ბერდია ღუდუშაური – 60 წლის. მისი შვილები: იოსები – 30 წლის, ივანე – 25 წლის, შაბური – 20 წლის. იოსების შვილები: დავითი – 16 წლის, გიორგი – 10 წლის, იორდანე – 7 წლის. ბერდიას ძმა, პაპა – 50 წლის.

№ 2, ბიჭიკო ღუდუშაური – 45 წლის. მისი შვილი, გლახა – 5 წლის. ბიჭიკოს ძმა, ზაზა – 33 წლის. მისი შვილი, გიორგი – 6 წლის.

№ 3, ფითაი ღუდუშაური – 40 წლის. მისი ძმისშვილი იასე – 20 წლის. ბიძაშვილი ნიკოლოზი – 30 წლის. მისი შვილები: ანდრია – 14 წლის, ბაწაწუნა – 8 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 1, იოსებ ღუდუშაური 41 წლის. მისი შვილები: დავითი – 27 წლის, გიორგი – 21 წლის, იორდანე – 18 წლის (გიორგი და იორდანე – სოფელ თოთში გადავიდნენ საცხოვრებლად, 1845 წელს).

№ 2, ივანე ღუდუშაური, იგივე ბუშკია – 36 წლის. მისი შვილი, შიო – 6 წლის. ივანეს ძმისშვილი, გლახა – 2 წლის (გადავიდნენ საცხოვრებლად სოფელ თოთში, 1845 წელს).

№ 3, ბიჭიკო ღუდუშაური – 56 წლის. მისი შვილი, გლახა – 16 წლის. ბიჭიკოს ძმა, ზაზა – 44 წლის. ზაზას შვილი, გიორგი – 17 წლის.

№ 4, ფითა ღუდუშაური – 51 წლის. მისი ძმისშვილი, იასე – 31 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს აღირიცხნენ: –

№ 7, ნინია ბერდიას ძე ღუდუშაური – 60 წლის. მისი შვილი, შიო – 20 წლის.

№ 8, ნანიკა ყაზიხანის ძე ღუდუშაური – 20 წლის. მისი შვილი, იოსები – 2 წლის.

№ 9, გიორგი ლაზარეს ძე ღუდუშაური – 30 წლის. მისი

ძმა, გრიგოლი – 12 წლის. მათი ბიძაშვილი, გლახა ბიჭიკოს ძე – 34 წლის.

№ 10, გლახა ნიკოლოზის ძე ღუდუშაური – 35 წლის. მისი შვილი, შაბურა – 10 წლის.

11. იოსებ შიოს ძე ღუდუშაური – 50 წლის. მისი შვილები: ლევანი – 12 წლის, ალექსანდრე – 7 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს სახლობდნენ: –

№ 10, ნინია ბერდიას ძე ღუდუშაური – 73 წლის. მისი შვილი, შიო – 33 წლის. შიოს შვილები: ნიკოლოზი – 7 წლის, გიორგი – 4 წლის.

№ 11, ნინიკა ყაზიხანის ძე ღუდუშაური – 33 წლის. მისი შვილები: ევსტატე – 10 წლის, იოსები – 7 წლის.

№ 12, გიორგი ლაზარეს ძე ღუდუშაური – 43 წლის. მისი შვილი, სიმონი – 5 წლის. გიორგის ძმა, გრიგოლი – 25 წლის.

№ 13, გლახა ბიჭიკოს ძე ღუდუშაური – 47 წლის.

14. დიმიტრი იასეს ძე ღუდუშაური – 33 წლის.

15. ალესანდრე იასეს ძე ღუდუშაური – 21 წლის; მისი ძმა, ივანე – 11 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 10, ღუდუშაური შიო ნინიას ძე – 46 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 20 წლის, გიორგი – 17 წლის.

№ 11, ღუდუშაური ესტატე ნიკოლოზის ძე – 23 წლის. მისი შვილი, სანდრო – 1 წლის. ესტატეს ძმა, იოსები – 20 წლის.

№ 12, ღუდუშაური გიორგი ლაზარეს ძე – 56 წლის. მისი შვილი, სვიმონი – 18 წლის. გიორგის ძმა, გრიგოლი – 38 წლის.

№ 13, ღუდუშაური გლახა ბიჭიკოს ძე – 60 წლის. მისი

შვილები: იოსები – 13 წლის, (სანდრო) ვლადიმერი – 9 წლის.

№ 14, ღუდუშაური დიმიტრი იასეს ძე – 46 წლის.

№ 15, ღუდუშაური ალექსანდრე იასეს ძე – 34 წლის. მისი შვილი, დათიკო – 6 წლის. ალექსანდრეს ძმა, ვანო – 24 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

არაგვის საერისთაოდან „მორიგე ჯარში“ გამსვლელთა სიების (ანუ, 1774 წლის აღწერის) თანახმად – სნოში მოხსენიებული მოურავი, მარტია ღუდუშაური ჯაბან-ასშვილი, სხვა მთიელ მოხელეებთან, აზატ-თარხანებთან და მსახურ მოლაშქრეებთან ერთად, **შესაძლებელია ყოფილიყო,** 1795 წლის კრწანისის ომში – საარაგვოს და ფშავ-ხევსურეთის მაშინდელი მმართველის, ვახტანგ ბატონიშვილის მეომართა ძირ-ითად რაზმში („მორიგე ჯარში“) – რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ: – ხევსურები,

ფშავლები, მოხევეები, მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელნი და ჭართლელნი.

ზემოაღნიშნულ მოლაშქრეთა **დიდი ნაწილი**, დავთრების შედგენის პერიოდში (ანუ, კრწანისის ომამდე 15-20 წლით ადრე), 40 წელზე ახალგაზრდა იყო; 1795 წელს – ჯერ კიდევ მეომართა სიებში უნდა ყოფილიყვნენ და (მათი ნაწილი მაინც) – ალბათ, კრწანისის ველზე მყოფ მეომართა შორის იყო.

ჯანუყაშვილები (ჯანუყენი)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ღუდუშაურების პაპიეთ შტოდან მოდიან.

1774 წელს – სნოში მოხსენიებულნი არიან: –

ღუდუშაური თაზიას შვილები – ნადირა და ჯანუყო;

ღუდუშაური ჯანუყოსშვილი – შივალა.

1781 წელს: – ჯანუყოს შვილი – შივალა და ბერი.

1804 წელს: – ბერი შივალა შვილი ღუდუშაური (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

XIX საუკუნის მომდევნო აღწერებში, ყველა ზემოაღნიშნული კომლი ღუდუშაურად არის ჩაწერილი. კერძოდ: –

1831 წელს აღირიცხნენ –

№ 17, ბიჭი ღუდუშაური – 60 წლის. მისი შვილები: ბერი – 40 წლის, ჯარია – 35 წლის, თემური – 25 წლის. ბერის შვილები: გოგია – 12 წლის, შიო – 8 წლის. ჯარიას შვილი, ბეძია [ბიძია] – 8 წლის.

№ 26, შიო ღუდუშაური – 40 წლის. მისი შვილი, ომა – 23 წლის.

№ 27, გოგია ღუდუშაური – 36 წლის. მისი ძმა, გიორგი – 28 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1860 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 38, სია სურხიას ძე ღუდუშაური – 40 წლის. მისი შვილი, სვიმონი – 4 წლის. სიას ბიძაშვილი, დავით ომანის ძე – 19 წლის.

№ 40, გოგია ბაის ძე ღუდუშაური – 40 წლის. მისი ძმები: ზაქარია – 30 წლის, შიო – 25 წლის. ზაქარიას შვილი, დავითი – 7 წლის. შიოს შვილი, გაგაი – 1 წლის.

№ 41, გლახა გოგიას ძე ღუდუშაური – 23 წლის.

№ 42, ჭარია ბიჭიას ძე ღუდუშაური – 55 წლის. მისი შვილი, ზაალი – 25 წლის. ჭარიას ძმისშვილი, იოსებ თემურის ძე – 20 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს სახლობდნენ: –

№ 41, სია სურხიას ძე ღუდუშაური – 53 წლის. მისი შვილი, სიმონი – 15 წლის. სიას ძმისშვილი, დავით ომანას ძე – 35 წლის.

№ 43, გოგია ბერიას ძე ღუდუშაური – 59 წლის. მისი ძმა, ზაქარია – 43 წლის. გოგიას შვილები: დავითი – 22 წლის, გუგუა – 11 წლის, ლაზარე – 5 წლის.

№ 44, შიო ბერის ძე ღუდუშაური – 38 წლის. მისი შვილი, გოგა – 14 წლის.

№ 45, გლახა გოგიას ძე ღუდუშაური – 36 წლის. მისი შვილი, კონსტანტინე – 3 წლის.

№ 46, ზაალ ჭარიას [ჯარიას] ძე ღუდუშაური – 38 წლის. მისი შვილები: ივანე – 11 წლის, გიორგი – 5 წლის, სიმონი – 3 წლის.

№ 48, იოსებ თეიმურაზის ძე ღუდუშაური – 38 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 44, ღუდუშაური ივანე დავითის ძე – ცხოვრობს ვლადიკავკაზში.

№ 46, ღუდუშაური სვიმონი სიას ძე – 28 წლის.

№ 47, ღუდუშაური დავით ომანის ძე – 48 წლის. მისი შვილი, ივანე – 10 წლის. დროებით ცხოვრობენ სოფელ ჭოპორტში.

№ 48, ღუდუშაური კოტე გლახას ძე – 16 წლის.

№ 49, ღუდუშაური ზაალ ჯარიას ძე – 51 წლის. მისი შვილები: ივანე – 24 წლის, სვიმონი – 16 წლის, ნიკოლოზი – 5 წლის. ივანეს შვილი, სანდრო – წლინახევრის.

№ 51, ღუდუშაური იოსებ თემურის ძე – 51 წლის. მისი შვილები: გუგუა – 10 წლის, ნიკოლოზი – 2 წლის.

№ 89, ღუდუშაური ზაქარია ბაის ძე – 56 წლის. მისი შვილები: კიკო – 35 წლის, გუგუა – 24 წლის, ლაზარე – 16 წლის.

№ 90, ღუდუშაური შიო ბაის ძე – 38 წლის. მისი შვილი. გაგი – 14 წლის. გაგის შვილი, ვასილი; ცხოვრობენ ვლადიკავკაზში (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ჯანუყენიდან წარმოსდგნენ: – გოგენი და ბიჭიენი;

ბიჭიენიდან: – აჭენი, შუენი, ზურაბენი და ადამენი;

ადამენიდან მოდიან – ბიჭიენის და ყარაჯენის ახალი მამები, კერძოდ: –

ბიჭიენიდან: – ზურაბენი და გელენი; ზურაბენიდან – დუზუგენი.

ყარაჯეთ ახალი მამიდან მოდიან: – ნიკოლოზენი, ბაიენი და გივარგენი.

ნიკოლოზენიდან: – ბუტენი, ხაიენი და თედვენი;

ბაიენიდან: – მარტიენი და ნანენი;

გივარგენიდან: – მოსენი, სვიმანიენი და ფიდენი.

*

ჯანუყაშვილების გვარს წარმოადგენს: –

სსრკ სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი და ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ტანვარჯიშში – დონარა ჯანუყაშვილი (ველომრბოლელის, პირველი საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონის (სპრინტში) და ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორის – ომარ ფხაკაძის მეუღლე).

პროფესიით არქიტექტორი, ბიძინა (სნოველი) ჯანუყაშვილი – ძირითადად, ხის მხატვრული დამუშავებით არის დაკავებული. მისი ნამუშევრებია: – „კალოობა“, „ქართული ჭიდაობა“... კომპოზიცია „მოხევის ქალო თინაო“, „ნაცარქექია და დევები“, „მამის მკვლელი“, „ნუნუს გასამართლება“.

საგურამოს – ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისათვის გააკეთა 16 ფიგურიანი კომპოზიცია „კაცია ადამიანი?“;

ყვარლის მუზეუმისათვის კომპოზიცია – რთველი.

მახჩკალაში გააფორმა ნაციონალური დარბაზი;

მოსკოვში (არბატზე) – რესტორანი „სიონი“.

მისი ნამუშევრები ინახება აშშ-ს, ბელგიის, გერმანიის, რუსეთის, უკრაინის...

კერძო კოლექციებში. აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ბავშვებთან და ახალგაზრდებთან.

დააარსა სამხატვრო სტუდია „სნოველი.“

შიოლაშვილები (შიოლენი)

შიოლა ღუდუშაურიდან იღებენ სათავეს.

როგორც ნიკო ბერძენიშვილი გვამცნობს („ღუდუშაურების ამბავი“, 1935 წ.): –

როცა ნუგზარ არაგვის ერისთავმა „ხევი დაიჭირა... მოხელეებად თავისი აზნაურები დააყენა: კობიანი, ჩრდილელი, ტუსიშვილები, ყარანგოზიანი – მაგრამ თემთან ისინი ვერს გახდნენ.“

მერე, მათ ნაცვლად – „შიოლა ღუდუშაური დანიშნა,“ რომელიც მეტად მოუსვენარი, უხეში და გაუტეხელი მთის კაცი ყოფილა.“

ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოუხვეჭია სახელი და საჩუქრად საუკეთესო აბჯარიც მიუღია.

ერისთავებმა ის მოურავად დანიშნეს;

გადასახადების აკრეფა და სნოს ხეობის დაცვა დაავალეს.

თავისი პიროვნული თვისებებით, შიოლა მეთემეთა სერიოზულ პროტესტს იწვევდა, მაგრამ მთქმელები არც ვაჟკაცობას უკარგავენ: –

„შიოლა ღუდუშაური ვეფხვია სალის კლდისაო...
ხმა შორს გავარდა, გაითქვა – ყამი არა აქვ მტრისაო.
ვაშკაცი სახელოვანი, აჩხოტ ბატონად ზისაო,
მქისედ მომხტომი ცხენისა, მხმარეი მშვილდ-ისრისაო...“

როგორც გაზეთი „ივერია“ გვამცნობს (1902 წ. №124): –

„შიოლასათვის ერისთვიანთ უჩუქებიათ სკამი სახსოვრათ, ანუ ჯილდოთ განსაჯობისათვის და მხნეობისათვის.“

„ამ სკამს სახელი ჰქონდა მოპოვებული ღუდუშაურთა გვარში.“

„მთლიანად გვარეულობა თურმე იჩემებდა აზნაურობას...“

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, შიოლას ოთხი ვაჟიდან – ვაჟკაცობით გამორჩეული ყოფილა შარამბალი.

მისი ხმალი – დღეს, სნოს სულიერებისა და კულტურის ცენტრში ინახება: –

„შარამბალ ღუდუშაურო,
კაცი გამოხველ რა ხელი,
შენ მაჰკალ ლეკის ბელადი,
კარზე გეკიდა თავ-ხელი“ – გვამცნობს სახალხო მთქმელი.

„ღუდუშაურების ამბავის“ თანახმად (ნ. ბერძენიშვილი, 1935 წ.): –

„ჯირითში შარამბალ ლეკს გამოუთხოვია.

წილით – მას გაქცევა მოსწევია, ლეკს – შუბის სროლა.

გაქცეულა შარამბალ და უსვრია ლეკს შუბი...

შარამბალს, თავწახრილს – ლეკის ნასროლი შუბი დაუჭერია, შეუბრუნებია და მოუკლავს ლეკი...“

ამბობენ რომ: –

ამ ვაჟკაცობისთვის ერისთავმა მას „კარყუჩის მეოთხედი აჩუქა“.

მოკლული ლეკის იარაღი, გამარჯვებულ შარამბალს – მეზობელ სოფლელი ქოსელისათვის გამოუტანებია: –

შიოლას მიუტანე, ჩემი გმირობა მოახსენე და გაახარეო.

ქოსელს უფიქრია: –

შარამბალი თავდაუზოგავი კაცია, აქ მოკვდებაო; მისულა და „შიოლასთვის უთქომს: – შარამბალ მოკლეს ლეკებმა; სისხლი ავიღე, ლეკი მოვკალ და მისი იარაღი მოვიტანეო...“

შინდაბრუნებული შარამბალი – მატყუარა ქოსელის დასასჯელად წარიმართა.

„ახალციხლები ღვთისმშობლის ხატით ხელში გამოეგებნენ; მისი დანდობა-პატიება სთხოვეს...“ მაგრამ – არ შეისმინა ღუდუშაურმა: –

„ცხენს მათრახი დაჰკრა – ხალხი გაარღვია, მოჰკლა ქოსელი – მისი კერიდან ნაცარი აიღო და კლდეზე გადმოყარა...“.

იმის გამო რომ – ხატი „არ შეიწყნარა შარამბალმა, ღუდუშაურები ღვთისმშობელს დაუმიზეზებია... ყალნი დაუდივათ... ახალციხის მინდორზე – ცხენით ვეღარ გაივლიდნენ...“

„კარყუჩას“ მიღების შემდგომ – გადმოცემის თანახმად, შარამბალმა იქიდან ყამარაულები აყარა. ამის გამო – განაწყენებულ თემს, ივინწმინდას თავი მოუყრია და დაუდგენია: –

„შარამბალ გაგვიაზნაურდა, ყმად სურს გაგვიხადოს... ან უნდა აზნაურობა დააგდოს, ან უნდა მოვკლათო...“

არ დამორჩილებია შარამბალი თემის განაჩენს და „ისრით მოუკლავს იგი ყამარაულს.“

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, შიოლას შტოდან მოდიან: – ჯაყიენი, გოტოლენი, გორელენი, ბაშიენი, ბიძიენი და ფშავში დამკვიდრებული ქოჩანი.

1774 წლის აღწერით – სნოში დაფიქსირებულია შიოლაშვილების 3 კომლი: –

1. ღუდუშაური ცუღუტას (სუღუტას) შვილი – ზალია და ბეჟან;
2. ღუდუშაური ივანესშვილი – მარაიძე და შარანბალ;
3. ღუდუშაური ჯანუყოს შვილი – შივალა.

1804 წელს მოხესნიებულია: –

№ 6, ივანე მარაის შვილი ღუდუშაური.

№ 24, ბერი შივალა შვილი ღუდუშაური.

№ 37, ივანე ზალიას შვილი ღუდუშაური (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს აღწერეს: –

№ 21, ნანაი შიოლაშვილის კომლი.

№ 22, გლახა შიოლაშვილის კომლი.

№ 27, ბერდია შიოლაშვილის კომლი (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1842 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 15, ნანე ღუდუშაური – 51 წლის. მისი შვილები: შიო – 23 წლის, იოსები – 19 წლის. ნანეს ძმისშვილი, შიო – 6 წლის.

№ 25, ნანია ღუდუშაური – 51 წლის. მისი შვილები: ბაწაწუნა, იგივე შიო – 18 წლის, გრიგოლი – 15 წლის.

№ 26, ბიძია ღუდუშაური – 38 წლის. მისი შვილი გრიგოლი – 11 წლის. [ბიძიას] ძმები: ივანე – 29 წლის, იოსები – 19 წლის, ზაალი – 16 წლის. ივანეს შვილი, სიმონი – 3 წლის.

№ 30, გოგია ღუდუშაური – 47 წლის. მისი ძმისშვილი, გლახა – 5 წლის.

№ 31, გორელა, იგივე იოსებ ღუდუშაური – 41 წლის. მისი შვილები: მარტია – 5 წლის, ნიკალაი – 6 თვის. გორელას ძმა, გოგია – 30 წლის.

№ 32, შიო ღუდუშაური – 36 წლის.

№ 36, გლახა ღუდუშაური – 36 წლის და მასთან ერთად მცხოვრებნი: – 19 წლის დავით ელიაშვილი (იგივე წიწიაშვილი); მისი ძმები: – იოსები – 15 წლის, სიმონი – 8 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს სახლობდნენ: –

№ 48, იოსებ ივანეს ძე ღუდუშაური – 42 წლის. მისი შვილები: შიო – 9 წლის, ივანე – 7 წლის. იოსების ძმა, ზაალი – 30 წლის. მისი შვილი, ივანე – 5 წლის. ზაალის ძმისშვილი, სიმონ ივანეს ძე – 20 წლის.

№ 49, გრიგოლ ბიძიას ძე ღუდუშაური – 20 წლის. მისი ძმა, კაჭუა – 9 წლის.

№ 50, იორდანე თადილას ძე ღუდუშაური – 39 წლის. მისი შვილი სიმონი – 7 წლის.

№ 51, შიო თადილას ძე ღუდუშაური – 30 წლის. მისი შვილები: მაქსიმე – 3 წლის, მიხეილი – 1 წლის.

№ 52, ივანე თადილას ძე ღუდუშაური – 25 წლის.

№ 53, შიო გიორგის ძე ღუდუშაური – 50 წლის. მისი შვილები: ლევანი – 15 წლის, იაგორი – 12 წლის, სიმონი – 7 წლის.

№ 54, გრიგოლ გიორგის ძე ღუდუშაური – 9 წლის.

№ 55, იოსებ ნანიას ძე ღუდუშაური – 60 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 19 წლის, ბერი – 7 წლის.

№ 56, იოსებ ნანიას ძე ღუდუშაური – 35 წლის. მისი შვილი, გიორგი – 5 წლის. იოსების ბიძაშვილი, შიო გოგიას ძე – 22 წლის.

№ 57, გლახა გალეგას ძე ღუდუშაური – 39 წლის. მისი ძმა, სიმონი – 24 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 52, იოსებ ივანეს ძე ღუდუშაური – 55 წლის. მისი შვილები: შიო – 22 წლის, ივანე – 18 წლის, ივანე – 6 თვის.

№ 53, ზაალ ივანეს ძე ღუდუშაური – 43 წლის. მისი შვილი, ივანე – 18 წლის. ზაალის ძმისშვილი, სიმონ ნანიას ძე – 33 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 3 წლის.

№ 54, გრიგოლ ბიძიას ძე ღუდუშაური – 33 წლის. მისი შვილი, გიორგი – 4 წლის.

№ 55, იორდანე თადილას ძე ღუდუშაური – 52 წლის. მისი შვილები: სიმონი – 16 წლის, გუგუა – 7 წლის, თევდორე – 4 წლის.

№ 56, შიო თადილას ძე ღუდუშაური – 43 წლის. მისი შვილები: მაქსიმე – 16 წლის, მიხეილი – 14 წლის, ნიკოლოზი – 4 წლის.

№ 58, შიო გიორგის ძე ღუდუშაური – 63 წლის. მისი შვილები: ლევანი – 28 წლის, იაგორი [იგივე იობი] – 25 წლის. იაგორის შვილები: გიორგი – 6 წლის, იოსები – 4

წლის.

№ 59, გრიგოლ გიორგის ძე ღუდუშაური – 22 წლის.

№ 60, იოსებ ნანიას ძე ღუდუშაური – 73 წლის. მისი შვილი, ბერო – 21 წლის. ბეროს შვილი, გიგოლა – 6 თვის.

№ 61, იოსებ ნანიას ძე ღუდუშაური – 48 წლის. მისი შვილი, გიორგი – 18 წლის.

№ 62, გლახა გალეგას ძე ღუდუშაური – 52 წლის. მისი შვილები: მოსე – 10 წლის, თევდორე – 7 წლის, იაკობი – 3 წლის, იაგორი [იობი] – 1 წლის. გლახას ძმა, სიმონი – 37 წლის.

№ 63, შიო გოგიას ძე ღუდუშაური – 35 წლის. მისი შვილები: ივანე – 11 წლის, ქუქუა (Кукуа) – 5 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 56, ღუდუშაური ლევან ზაალის ძე – 31 წლის.

№ 57, ღუდუშაური სვიმონი ნინიკას ძე – 46 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 16 წლის, გიორგი – 6 წლის.

№ 58, ღუდუშაური გიორგი გრიგოლის ძე – 17 წლის.

№ 59, ღუდუშაური იორდანე თადილას ძე – 65 წლის. მისი შვილები: სიმონი – 29 წლის, გუგუა – 20 წლის, თევდორე – ცხოვრობს ვლადიკავკაზში. სიმონის შვილები: ნიკოლოზი – 4 წლის, პეტრე – წლინახევრის.

№ 60, ღუდუშაური შიო თადილას ძე – 43 წლის, ცხოვრობს ვლადიკავკაზში. მისი შვილები: მაქსიმე – 16 წლის, მიხეილი – 14 წლის, ნიკოლოზი – 4 წლის.

№ 62, ღუდუშაური ლევან შიოს ძე – 41 წლის. მისი შვილები: სვიმონი – 10 წლის, (ზალია) კოტია – 8 წლის, სერგო – 2 წლის.

№ 63, ღუდუშაური იობი შიოს ძე – 41 წლის. მისი შვილები: გიორგი – 19 წლის, იოსები – 16 წლის, დათიკო – 7 წლის.

№ 64, ღუდუშაური გრიგოლ გიორგის ძე – 40 წლის. მისი შვილი ტატა (დავითი) – 6 წლის (ცხოვრობენ მანგლისში).

№ 65, ღუდუშაური გორელა (იოსები) ნანეს ძე – 86 წლის.

მისი შვილი, ბერო – 42 წლის. ბეროს შვილები: ესტატე – 10 წლის, ალექსი – 7 წლის, ილიკო – 4 წლის.

№ 66, ღუდუშაური გლახა გალეგას ძე – 70 წლის. მისი შვილები: მოსე – 23 წლის, თევდორე – 20 წლის, იაკობი – 16 წლის. (იობი) იაგორი – ცხოვრობს ცხინვალში; ნიკოლოზი – 6 წლის. გლახას ძმა, სიმონი – 50 წლის. სიმონის შვილები: დავითი – 11 წლის, ალექსი – 8 წლის, გიორგი – 3 წლის.

№ 67, ღუდუშაური შიო გოგიას ძე – 50 წლის. მისი შვილები: ივანე – 25 წლის, გრიგოლი – 16 წლის, გიორგი – 10 წლის. ივანეს შვილი, ილიკო – 3 წლის.

№ 88, ღუდუშაური იოსებ ივანეს ძე – 68 წლის. მისი შვილები: ივანე – 31 წლის, ვანკა – 13 წლის. ივანეს შვილი გიორგი – 3 წლის.

№ 92, ღუდუშაური სოსია ნანიას ძე – 61 წლის. მისი შვილი გიორგი (ბიძია) – 31 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

შიოლაშვილია – ქართველი ერის სულიერი მამა, მისი უწმინდესობა, ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პარტიარქი, ღვთისმეტყველების დოქტორი,

კრეტის სასულიერო აკადემიის საპატიო და გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, კვიპროსის სასულიერო აკადემიის საპატიო დოქტორი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი (1978-83 წ.წ.) – რომელიც თითქმის ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს მფლობელია.

ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მიტროპოლიტს, დიმიტრი (დავით, ნოდარ შიოლაშვილს) – დამთავრებული აქვს მცხეთის სასულიერო სემინარია და მოსკოვის სასულიერო აკადემია – საღვთისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით. ასწავლიდა ლიტურლიკას თბილისის სასულიერო აკადემიაში. იყო იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სემინარიის რექტორი, ბათუმის წმ. მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანის ხელმძღვანელი.

სნოში მცხოვრები სხვა გვარები

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

ღუდუშაურების გარდა, სნოში მკვიდრობენ: ჯოჯიკაშვილები, გელაშვილები, გოდერძიშვილები, ელიაძეები და ხართიშვილები.

„გოდერძიშვილები, ელიაძეები და ჯოჯიკაშვილები ერთმანეთის ბიძაშვილებად თვლიან თავს... უფრო სწორად, როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ელიაძეები და გოდერძიშვილები – ჯოჯიკაშვილებისგან შტონაყარი გვარებია (მოხეური გვარსახელები, 1998 წ. გვ. 25).

ხართიშვილები (ხართიენი)

გადმოცების თანახმად: –

ხართიშვილები, ქისტეთის სოფელ ხამხიდან – მესისხლეობის გამო გამოხიზნულან და სნოს მახლობლად, სამაროვანისთვის შეუფარებიათ თავი.

დასცემიან დვალები და მთლიანად ამოუწყვეტიათ ისინი.

გადარჩენილა მხოლოდ სხვაგან მყოფი უსაჯი (უშაჯი), რომელიც „სახლში რო მისულა, დვალები უკვე გზას გასდგომოდნენ – ნადავლით.“

დასწევია მათ; 20 კაცი მოუკლავს და სისხლიანი ხმალი გაურეცხია წყაროში, რომელსაც „შაჯთა“, ანუ – სისხლის წყაროს ეძახიან მოხევეები.

ვალ. ითონიშვილის ვარაუდით: –

„შაჯთა წყარო“ – სახეშეცვლილი ფორმა უნდა იყოს უშაჯის წყაროსი.

*

სნოში ჩამოსახლებული ხართიშვილისთვის ღუდუშაურების გამოუსადეგარი სამოსახლო მიუცია – ჯაგნარი. „ხარტიეთ ეკალს“ ეძახიან იმ ადგილს.

სამარავანში შემორჩენილი ხართიშვილების საცხოვრისი და კოშკის ნანგრევები – ამჟამად, მათ სალოცავს წარმოადგენს.

სამაროვანის ხატი ნიშთმინდორში მდებარეობს.

ეკუთვნოდა პაპიაშვილებს და ჯანუყაშვილებს.

როცა ამანათად შეიკედლეს მათ ხართიშვილები – ხატიც საზიარო გახდა და

სამხდოს მორიგეობით იხდიდნენ (ვალ. ითონიშვილი).

სამაროვნობა შაბათს მოდიოდა;

კვირას სტეფანწმინდლები და სნოვლები სპარსანგელოზობას იხდიდნენ;

ორშაბათს დგებოდა დრაყეობა.

*

ხართიშვილების ადრინდელი გვარი ხარცლიაური უნდა იყოს.

1774 წლის აღწერით – სნოში მოხსენიებულია ხარცლიაური ხართისშვილი ლომიტა.

1781 წელს – ის, მხოლოდ ერთი გვარით, ხართის შვილით არის აღწერილი.

1804 წლის აღწერით – მოხსენიებულია: –

№ 44, მამუკა ხარტას შვილი ღუდუშაური (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1842 წელს აღირიცხა: –

№ 53, გაგი ხართიშვილი – 50 წლის. მისი შვილი, გრიგოლი – 13 წლის. გაგის – ციმბირში გადასახლებული ძმის – ნინიას, შვილი, გლახა – 3 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს – სნოში დარეგისტრირდნენ: –

№ 68, გრიგოლ გიორგის ძე ხართიშვილი – 30 წლის. მისი შვილი, გიორგი – 6 წლის.

№ 69, გლახა ივანეს ძე ხართიშვილი – 20 წლის. მისი ძმა, პეტრე – 12 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 76, გრიგოლ გიორგის ძე ხართიშვილი – 43 წლის. მისი შვილები: გიორგი – 19 წლის, ივანე – 8 წლის, გლახა – 6 წლის, ნიკოლოზი – 3 წლის.

№ 77, პეტრე ივანეს ძე ხართიშვილი – 25 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 7 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 86, ხართიშვილი გიორგი გრიგოლის ძე – 32 წლის. მისი შვილები: დათიკო – 11 წლის, სოლომონი – 6 წლის. გიორგის ძმები: ივანე – 21 წლის, გლახა – 19 წლის, ნიკოლოზი – 16 წლის.

№ 87, ხართიშვილი ნიკოლოზი პეტრეს ძე – 20 წლის. მისი ძმა, ივანე – 11 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

კარგად მახსოვს, 1965-1966 წ.წ-ში, თბილისის დინამოს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი – გოჩა ხართიშვილი; მშვენიერი ფეხბურთელი იყო; ჩაატარა 48 მატჩი – გაიტანა 3 გოლი.

გელაშვილები

სნოველი გელაშვილების დიდი ნაწილი თავს ღუდუშაურების განაყრებად მიიჩვევს;

არ ეთანხმებიან მოსაზრებას მათი გვარის დამოუკიდებელი წარმომავლობის შესახებ.

1774 წლის აღწერით – სნოში მათი ორი კომლი სახლობდა: –

1. ღუდუშაური გელის შვილი – შიო, პაპუა და იასე;
2. ღუდუშაური გელას შვილი – მამუკა, ქოჩორა და ივანე.

1781 წელს, ორივე ზემოაღნიშნული კომლი ჩაეწერა როგორც: –

1. გელიაშვილი შიო, პაპუა, ისე, ბიძია და გელია;
2. გელას შვილი ქოჩორა და ივანე.

1804 წელს აღირიცხნენ: –

№ 7, ქოჩარა გელას შვილი ღუდუშაური;

№8, გივა...? (ძნელად იკითხება) გელას შვილი ღუდუშაური (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წლის აღწერის თანახმად, ზემოაღნიშნული ორი კომლი, უკავშირდება გელაშვილების 5 კომლს: –

№ 13, ლაზარე გელაშვილს;

№ 14, სია გელაშვილს;

№ 15, გელა გელაშვილს;

№ 16, გიორგი გელაშვილს;

№ 17, გლახა გელაშვილს (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წელს აღწერით მოხსენიებულია: –

№ 40, შაშვია გელაშვილი, 40 წლის; მისი ძმები: – ჯარია, 33 წლის, ნინია – 27 წლის, ნინიას შვილი, იოსები – 3 წლის;

№ 41, სია გელაშვილი, 60 წლის, მისი შვილები: – ნინია 28 წლის, ივანე 25 წლის, მამუკა 5 წლის.

№ 42, გელა გელაშვილი, 26 წლის, მისი ძმები: – ზაქარია, 16 წლის, პაპა – 14 წლის;

№ 43, ლაზარე გელაშვილი, 33 წლის, მისი შვილები: – ნინია – 7 წლის, ტეტია – 5 წლის; ლაზარეს ძმები: – ბიდარა, 20 წლის, იოსები 15 წლის; ლაზარეს ბიძაშვილი, ნანა – 18 წლის.

№ 44, იმედა გელაშვილი – 12 წლის.

№ 45, იოსებ გელაშვილი – 25 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს აღირიცხნენ: –

№ 46, შაშვია გელაშვილი, 51 წლის; მისი ძმა, ჯარია, 44 წლის; მისი შვილი, იაკობი – 8 წლის; ძმის შვილები: – იოსები – 14 წლის, გრიგოლი – 8 წლის.

№ 47, სია გელაშვილი – 71 წლის; მისი შვილები: – ივანე, 36 წლის, მამუკა – 16 წლის; ივანეს შვილები: – ტეტია – 6 წლის, გიორგი – 2 წლის; ძმის შვილი, ნინია – 1 წლის.

№ 48, გელა გელაშვილი, 37 წლის; მისი შვილი, მარტია – 9 წლის; გელას ძმები: – ზაქარია, 27 წლის, პაპა – 25 წლის.

№ 49, ლაზარე გელაშვილი, 44 წლის; მისი შვილები: – ნინია, 18 წლის, ტეტია – 16 წლის; ლაზარეს ძმები: – ბიდარა – 36 წლის, იოსები 26 წლის, დემეტრე – 6 წლის; იაკობი – 1,5 წლის.

№ 50, გიგელა გელაშვილი, 23 წლის (?)

№ 51, იოსებ გელაშვილი, 36 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 12, ბიდარა ქოჩორას ძე გელაშვილი – 60 წლის. მისი შვილები: – დემეტრე – 20 წლის, იაკობი – 19 წლის.

№ 13, ლაზარე ქოჩორას ძე გელაშვილი – 62 წლის. მისი შვილები: ნინია – 30 წლის, ტეტება – 25 წლის.

№ 14, ჯარია ივანეს ძე გელაშვილი – 60 წლის. მისი შვილი იაკობი – 25 წლის. ჯარიას ძმისშვილები: ნინიას შვილები: იოსები – 30 წლის; გრიგოლი – 25 წლის. იოსების შვილები: გიორგი – 5 წლის; ჭრელა – 10 წლის.

№ 15, იოსებ ბერის ძე გელაშვილი – 60 წლის.

№ 16, მამუკა იასეს ძე გელაშვილი – 40 წლის. მისი ძმის, ივანეს შვილები: ტეტია 25 წლის, გიორგი – 20 წლის, გოგია – 16 წლის.

№ 17, გელა გიორგის ძე გელაშვილი – 60 წლის. მისი შვილები: მარტია – 25 წლის, გაბა – 15 წლის. გელას ძმა, პაპა – 40 წლის; გელას ძმის, ზაქარიას შვილები: გიგოლა – 12 წლის, იოსები – 7 წლის.

№ 70, ნინია ივანეს ძე გელაშვილი – 19 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს აღწერით სახლობდნენ: –

№ 16, ბიდარა ქოჩორას ძე გელაშვილი – 73 წლის; მისი შვილი დიმიტრი – 23 წლის. დიმიტრის შვილი, გიორგი – 4 წლის.

№ 17, ტეტება ლაზარეს ძე გელაშვილი – 38 წლის. მისი შვილი, გიორგი – 20 წლის. ტეტებას ძმისშვილი, ივანე – მისი შვილი ნინია – 12 წლის.

№18, იოსებ ნინიას ძე გელაშვილი – 43 წლის. მისი შვილები: ჭრელია – 23 წლის, გიორგი – 18 წლის, ლევანი – 10 წლის, ივანე – 6 წლის, იაკობი – 3 წლის. იოსების ძმა, გრიგოლი – 38 წლის – მისი შვილი, ილია – 7 წლის.

№ 19, ნინია ნანას ძე გელაშვილი – 33 წლის. მისი შვილები: თევდორე – 4 წლის, მიხეილი – 1 წლის.

№ 20, მამუკა იასეს ძე გელაშვილი – 53 წლის. მისი ძმისშვილები: ტეტიკა – 38 წლის, გიორგი – 33 წლის, გოგია – 29 წლის. ტეტიკას შვილი, ივანე – 9 წლის.

№ 21, მარტია გელას ძე გელაშვილი – 38 წლის. მისი ძმა, გაბრიელი – 28 წლის. ძმიშვილები: გრიგოლი – 25 წლის, იოსები – 20 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257):.

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 16, გელაშვილი დიმიტრი ბიდარას ძე – 36 წლის. მისი შვილები: (გიორგი) გიგია – 17 წლის, შიო – 10 წლის, ფიდო – 5 წლის, სტეფანე – 1 წლის.

№ 17, გელაშვილი გიორგი ტეტებას ძე – 33 წლის. მისი შვილი, ალექსანდრე – 1 თვის. გიორგის ძმისშვილი, ივანე ნინიას ძე – 25 წლის.

№ 18, გელაშვილი იოსებ ნინიას ძე – 66 წლის. მისი შვილები: გიორგი – 28 წლის, ლევანი – 23 წლის, ივანე – 19 წლის, იაკობი – 15 წლის. იოსების ძმა, გრიგოლი – 60 წლის. მისი შვილები: ილიკო – 20 წლის, სოლომონი – 10 წლის, ნიკოლოზი – 7 წლის.

№ 19, გელაშვილი ნინია ნანას ძე – 46 წლის. მისი შვილები: თევდორე – 16 წლის, მიხეილი – 14 წლის, იაკობი – 11 წლის.

№ 20, გელაშვილი მამუკა იასეს ძე – 66 წლის. მისი ძმისშვილები: ივანეს შვილები:

გიორგი – 46 წლის, გოგია – 42 წლის. გოგიას შვილები: გლახა – 12 წლის, თევდორე – 10 წლის, ივანე – 3 წლის. გიორგის ძმისშვილი, ნანიკო ტეტიას ძე – 22 წლის.

21. გელაშვილი მარტია გელას ძე – 51 წლის. მისი ძმისშვილები: ზაქარიას შვილები: გრიგოლი – 35 წლის, იოსები – 33 წლის. გაბრიელის შვილი, ალექსი – 13 წლის. გრიგოლის შვილი, ნიკოლოზი – 1 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

ჯოჯიკაურ-ჯოჯიკაშვილ-ჟორჟიკაშვილები

როგორც რ. თოფჩიშვილი გვამცნობს: –

„გოდერძიშვილები, ელიაძეები და ჯოჯიკაშვილები ერთმანეთის ბიძაშვილებად თვლიან თავს... უფრო სწორად, როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ელიაძეები და გოდერძიშვილები – ჯოჯიკაშვილებისგან შტონაყარი გვარებია“ (მოხეური გვარსახელები, 1998 წ. გვ. 25).

XVIII-XIX სს საარქივო მასალები, ჯოჯიკაურ-ჯოჯიკაშვილების შესახებ (მათგან წარმომდგარი გოდერძიშვილებისგან განცალკევებით) – ასეთი ინფორმაციას გვაწვდის: –

1774 წლის აღწერით – სნოში ჯოჯიკაურების ერთი კომლი სახლობდა: –

ჯოჯიკაური თათრისშვილი – მამა და შიო.

1781 წელს – მხოლოდ თათრის შვილი შიოა მოხსენიებული.

1831 წელს აღწერილ იქნა: –

№ 36, ბაწაწუნა ჯოჯიკაშვილი – 40 წლის. მისი შვილი, იაკობი – 2 წლის. ბაწაწუნას ბიძაშვილები: მახარაბელი – 40 წლის, ბეკურა – 20 წლის. მახარებლის შვილი იოსები – 1 წლის.

1842 წელს აღრიცხეს: –

№ 42, ბაწაწუნა ჯოჯიკაშვილი – 51 წლის. მისი შვილი, იაკობი – 13 წლის. ბაწაწუნას ბიძაშვილი, მახარობელი – 51 წლის. მისი შვილები: იოსები – 5 წლის, ივანე – 3 წლის. ძმისშვილი, ზაქარია, იგივე იოსები – 2 წლის.

1860 წლის აღწერით მოხსენიებულნი არიან: –

№ 58, სოსიკა მახარებლის ძე ჯოჯიკაშვილი – 30 წლის. მისი ძმა, ივანე – 10 წლის. სოსიკას ბიძაშვილი – ბეკურას შვილი, იოსები – 20 წლის. სოსიკას ბიძაშვილი – იაკობის შვილი, გიორგი – 4 წლის.

1873 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 64, სოსიკა მახარობლის ძე ჯოჯიკაშვილი – 43 წლის. მისი შვილი, იოსები – 1 წლის. სოსიკას ძმა, ივანე – 32 წლის. ივანეს შვილები: გრიგოლი – 5 წლის, მოსე – 2 წლის. სოსიკას ძმისშვილები: იოსები – 33 წლის, გიორგი – 17 წლის. იოსების შვილები: ნიკოლოზი – 3 წლის, ალექსი – 1 წლის.

1886 წელს აღირიცხნენ: –

№ 68, ჯორჯიკაშვილი სოსიკა მახარებელის ძე – 56 წლის. მისი შვილები: გლახა – 12 წლის, დათიკო – 10 წლის, ფიდო – 4 წლის.

№ 69, ჯოჯიკაშვილი ივანე მახარებლის ძე – 45 წლის. მისი შვილები: გრიგოლი – 17 წლის, მოსე – 15 წლის, კონსტანტინე – 11 წლის, გაბრიელი – 7 წლის.

№ 70, ჯოჯიკაშვილი კაცა ბეკურას ძე – 46 წლის. მისი შვილები: ნიკოლოზი – 16

წლის, ალექსი – 14 წლის, ილიკო – 9 წლის, იობი – 6 წლის, იაკობი – 3 წლის. კაცას ბიძაშვილი გიორგი იაკობის ძე – 30 წლის.

*

XX ს-დან ჯოჯიკაშვილები, ალბათ, რუსული ენის გავლენით, ჟორჟიკაშვილის გვარზე გადავიდნენ.

მთელ საქართველოში ცნობილი პიროვნება გახლდათ გრიგოლ (გრიშა) ჟორჟიკაშვილი, თბილისის საქალაქო კომიტეტის პარტიული განათლების სახლის დირექტორი; საკდესის დირექტორი; თბილისის საქალაქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე; კინემატოგრაფიის მინისტრის მოადგილე; ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი; საქ. კპ ცკ-ს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგე; ფინანსთა მინისტრის მოადგილე; მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი; საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე; საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი – ხევის დიდი მოამაგე და დამხმარე კაცი.

ბავშვობიდან მესმოდა მისი სახელი.

მისი და, ქ-ნი თამარი – სათნოებით სავსე ადამიანი (ცნობილი მოღვაწის, ალექსი ბექაურის მეუღლე) – ჩემი მასწავლებელი გახლდათ.

დუშეთში ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ.

დიდი სითბო მახსოვს მათი ოჯახიდან.

*

კარგად მახსოვს – კობა ჟორჟიკაშვილის (ამჟამად ცნობილი მწვრთნელის) თბილისის დინამოს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში გამოსვლებიც. მშვენიერი ფეხბურთელი იყო; 1983-1984 წ.წ-ში, 33 მატჩში მიიღო მონაწილეობა – გაიტანა 4 გოლი.

ელიაძეები

ხევის ერთ-ერთი ძირძველი გვარია;

რ. თოფჩიშვილის ცნობით, თავს ჯოჯიკიშვილ-გოდერძიშვილების ბიძაშვილებად მიიჩნევენ;

ვალ. ითონიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: ისინი – იგივე ჯუთაში ნაცხოვრები დიმიაურები არიან.

ხევსურ მთრეხელთან კონფლიქტის გამო აყრილან იქიდან.

„მათი ნასახლარები სოფ. ჯუთის ზემოთ არის შემორჩენილი.“

XVIII-XIX სს აღწერებში – ელიაძეები სხვადასხვა გვარსახელით არიან ჩაწერილები (დანიაურად, ქურციკისშვილად, ელიასშვილად, წიწიაშვილად...).

XX ს-ში დაიმკვიდრეს ელიაიძის გვარი.

1774 წლის აღწერით – სნოში დანიაურების 4 კომლი სახლობდა, კერძოდ: –

1. დინიაური თუმანასშვილი – წიწია, კურდღელ, ბერი და ივანე;
2. დინიაური თათარასშვილი – ივანე, გია და ბერი;
3. დინიაური ქურციკისშვილი – შიო;

4. ბოგანო დინიაური ქურციკისშვილი ბიძია და პაპა.
1781 წელს ისინი ჩაწერილნი არიან როგორც: –
1. თუმანას შვილი წიწია, კურდღელი, ივანე და ლაზარე;
2. თათარას შვილი – ივანე, გია და გიორგი;
3. ქურციკის შვილი – შიო და ქურციკი;
4. თათრის შვილი – შიო;
5. ბოგანო ქურციკის შვილი – პაპა და შაშვია.

1804 წელს მოხსენიებულნი არიან: –

ივანე ბეროს შვილი, № 42;
შიო მირამას შვილი, № 43;
ლაზარე წიწიას შვილი, № 45;
შაშვია ელიას შვილი, № 46 (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 10, სიმონა ელიაშვილი;
№ 11, ბერი ელიაშვილი (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 38, ბიჭილა ელიაშვილი, 32 წლის; მისი შვილები: – დავითი – 8 წლის, იოსები – 4 წლის.

№ 39, გიორგი ელიაშვილი, 40 წლის; მისი შვილები: – იოსები – 12 წლის, შიო – 5 წლის, შავბიჭი – 3 წლის. გიორგის ძმები: – ბეჟანი – 35 წლის, ივანე – 25 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს დარეგისტრირდნენ:

№ 44, გიორგი ელიაშვილი, 51 წლის. მისი შვილები: – იოსები, 23 წლის, შავბიჭი (ივანე) – 14 წლის, ანდრია – 5 წლის.

№ 45, ბეჟან ელიაშვილი, 46 წლის. მისი შვილი, ივანე – 3 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

ამავე წელს, სნოში მცხოვრები გლახა ღუდუშაურის (№ 36) კომლში აღირიცხნენ: – 19 წლის დავით ელიაშვილი და მისი ძმები (იგივე წიწიაშვილები): იოსები – 15 წლის, სიმონი – 8 წლის.

1860 წელს სახლობდნენ: –

№ 64, ივანე ბაწაწას ძე წიწიაშვილი – 21 წლის. მისი ძმები: გიგოლი – 15 წლის, იაკობი – 12 წლის, მიხეილი – 10 წლის, გიორგი – 8 წლის, სიმონი – 3 წლის.

№ 65, იოსებ გიორგის ძე წიწიაშვილი – 45 წლის. მისი შვილები: ალექსი – 9 წლის, კიკო – 7 წლის, ივანე – 2 წლის. იოსების ძმები: ივანე – 30 წლის; ანდრია – 20 წლის.

№ 66, დავით ბიჭილას ძე წიწიაშვილი – 35 წლის. მისი შვილი იოსები – 3 წლის. დავითის ძმები: იოსები – 30 წლის; სიმონი – 25 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 72, გიგოლა ბაწაწას ძე წიწიაშვილი, 28 წლის; მისი ძმები: – იაკობი – 25 წლის, გიორგი – 23 წლის, მიხეილი – 21 წლის, სიმონი – 16 წლის.

№ 73, იოსებ გიორგის ძე წიწიაშვილი, 58 წლის; მისი შვილები: – ალექსი, 22 წლის, კიკო – 16 წლის, გიგოლა – 10 წლის, ვასილი – 7 წლის, ზურაბი – 3 წლის.

№ 74, ანდრია გიორგის ძე წიწიაშვილი, 33 წლის; მისი შვილები: – ივანე – 11

წლის, გიგოლა – 6 წლის, იოსები – 3 წლის; ანდრიას ძმა, ლევანი – 43 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს აღრიცხნენ: –

№ 82, წიწიაშვილი გიგოლა ბაწაწას ძე (Бацацуков) – 41 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 2 წლის. გიგოლას ძმები: იაკობი – 38 წლის, მიხეილი – 34 წლის, სვიმონი – 29 წლის. იაკობის შვილი, შიო – 6 წლის.

№ 83, წიწიაშვილი იოსებ გიორგის ძე – 58 წლის. მისი შვილები: ალექსი – 22 წლის, კიკო – 16 წლის, გიგოლა – 10 წლის, ბასილი – 7 წლის, ზურაბი – 3 წლის (ცხოვრობენ ვლადიკავკაზში).

№ 84, წიწიაშვილი ანდრია გიორგის ძე – 60 წლის. მისი შვილები: ივანე – 24 წლის, გიგოლი – 19 წლის, იოსები – 16 წლის. ანდრიას ძმა, ლევანი (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

გოდერძიშვილები

XVIII-XIX სს საარქივო მასალები (ჟორჟიკაშვილებისგან განცალკევებით) ასეთი ინფორმაციას გვაწვდის გოდერძიშვილების შესახებ: –

1774 წლის აღწერით – სნოში მათი ორი კომლი სახელდება ჯოჯიკაურის გვარით: –

1. ჯოჯიკაური სიას შვილი გია და სია;
2. ჯოჯიკაური გოდერძის შვილი ბერუა და გიორგი;

1781 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. ჯოჯიკაურის შვილი სია და პოვლია;
2. ჯოჯიკაური გოდერძის შვილი ბერუა და გიორგი;

1804 წელს აღირიცხნენ: –

№ 38, პავლეს ქვრივი დარია.

№ 40, იასე ჯოჯიკას შვილი ღუდუშაური.

№ 41, ჯანგირა გიას შვილი (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს სახლობდა: –

№ 7, სიხანა ჯოჯიკაშვილი (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 33, თევდორე ჯოჯიკაშვილი – 40 წლის. მისი ძმისშვილი, იოსები – 25 წლის.

№ 34, სიხარულა ჯოჯიკაშვილი – 42 წლის. მისი ძმები: ვარძუკა – 35 წლის, ბერი – 25 წლის. სიხარულას ბიძაშვილები: – გაგა – 30 წლის, სია – 20 წლის.

№ 35, ჯანგირა ჯოჯიკაშვილი – 60 წლის. მისი შვილები: – ნინია – 26 წლის, იოსები – 15 წლის, გიორგი – 10 წლის, გრიგოლი – 6 წლის. ნინიას შვილები: იაკობი – 3 წლის, იოსები – 1 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს აღირიცხნენ: –

№ 37, გალეგა ღუდუშაური – 51 წლის. მისი შვილები: შიო, იგივე გლახა – 21 წლის, სიმონი – 6 წლის.

№ 38, თევდორე ჯოჯიკაშვილი – 53 წლის. მისი ძმისშვილი, იოსები – 36 წლის.

№ 39, სიხარულა ჯოჯიკაშვილი – 51 წლის. მისი ძმები: – ვარძუკა – 46 წლის, ბერი, იგივე ივანე – 36 წლის. ვარძუკას შვილი, ლევანა – 3 წლის.

№ 40, გაგა ჯოჯიკაშვილი – 41 წლის. მისი ძმა, სია – 31 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს სახლობდნენ: –

№ 59, სოსია გიორგის ძე ჯოჯიკაშვილი – 55 წლის. მისი შვილები: გლახა – 16 წლის, დემეტრე – 13 წლის, ეგნატე – 6 წლის, გიორგი – 4 წლის, თეოდოსი – 1 წლის.

№ 60, გაგა ივანეს ძე ჯოჯიკაშვილი – 56 წლის. მისი შვილი, იოსები – 7 წლის. გაგას ძმა, იასე – 50 წლის. იასეს შვილები: გიორგი – 12 წლის, ზაქარია – 8 წლის.

№ 61, ივანე ნასყიდას ძე ჯოჯიკაშვილი – 50 წლის. მისი შვილები: შიო – 9 წლის, პეტრე – 4 წლის. ივანეს ძმის, ვარძუკას, შვილები: ლუარსაბი, 21 წლის, იოსები – 8 წლის.

№ 62, იოსებ ნინიას ძე ჯოჯიკაშვილი – 40 წლის. მისი შვილები: მარკოზი – 19 წლის, ალექსანდრე – 8 წლის, სიმონი – 6 წლის, თედო – 2 წლის. იოსების ძმა, გიორგი – 30 წლის. გიორგის შვილები: ნინიკა – 5 წლის, დავითი – 1 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 65, გლახა სოსიას ძე ჯოჯიკაშვილი – 29 წლის. მისი ძმები: დიმიტრი – 26 წლის, ეგნატე – 19 წლის, გიორგი – 17 წლის, ივანე – 14 წლის.

№ 66, იასე ივანეს ძე ჯოჯიკაშვილი – 63 წლის. მისი შვილები: გიორგი – 31 წლის, ზაქარია – 21 წლის. ზაქარიას შვილი, დავითი – 6 თვის.

№ 67, ივანე ნასყიდას ძე ჯოჯიკაშვილი – 63 წლის. მისი შვილები: შიო – 22 წლის, პეტრე – 17 წლის.

№ 68, ლუარსაბ (ლევან) ვარძუკას ძე ჯოჯიკაშვილი – 34 წლის. მისი შვილი, სიმონი – 3 წლის.

№ 69, იოსებ ვარძუკას ძე ჯოჯიკაშვილი – 21 წლის.

№ 70, მარკოზ იოსების ძე ჯოჯიკაშვილი – 32 წლის. მისი შვილი ფიდო – 1 წლის. მარკოზის ძმები: ალექსი – 22 წლის, სიმონი – 19 წლის, თევდორე – 15 წლის.

№ 71, იაკობ ნინიას ძე ჯოჯიკაშვილი – 38 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს აღირიცხნენ: –

№ 71, ჯოჯიკაშვილი გლახა სოსიას ძე – 42 წლის. მისი ძმა, დიმიტრი – 39 წლის.

№ 72, ჯოჯიკაშვილი ეგნატე სოსიას ძე – 32 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 7 წლის.

№ 73, ჯოჯიკაშვილი გიორგი სოსიას ძე – 30 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 4 წლის.

№ 74, ჯოჯიკაშვილი ივანე სოსიას ძე – 27 წლის.

№ 75, ჯოჯიკაშვილი გიორგი იასეს ძე – 44 წლის. მისი ძმის, ზაქარიას შვილები: სვიმონი – 12 წლის, მიხაი – 6 წლის.

№ 76, ჯოჯიკაშვილი ივანე ნასყიდას ძე – 76 წლის. მისი შვილი, პეტრე – 30 წლის. პეტრეს შვილი, გრიგოლი – 2 წლის.

№ 77, ჯოჯიკაშვილი შიო ივანეს ძე – 35 წლის. მისი შვილი, გიორგი – 6 წლის.

№ 78, ჯოჯიკაშვილი ლემანა [იგივე ლუარსაბი] ვარძუკას ძე – 53 წლის. მისი შვილები: სიმონი – 16 წლის, გუგუცა – 10 წლის; ცხოვრობენ საგურამოს თემის სოფელ ზაქაროში.

№ 79, ჯოჯიკაშვილი იობი (იოსები) ვარძუკას ძე – 34 წლის. მისი შვილი, გიორგი – 1 წლის.

№ 80, ჯოჯიკაშვილი მარკოზი (ივანე) იოსების ძე – 45 წლის. მისი შვილი, ფიდო – 14 წლის. მარკოზის ძმები: ალექსი – 35 წლის, სიმონი – 22 წლის, თევდორე – 23 წლის. სიმონის შვილი, იაგორი – 1 თვის.

№ 81, ჯოჯიკაშვილი იაკობი ნინიას ძე – 60 წლის (ცხოვრობენ საგურამოს თემის სოფელ ზაქაროში).

№ 91, ჯოჯიკაშვილი ნანიკა გიორგის ძე 32 წლის. მისი ძმა, ნინია – 14 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

როგორც წარმოდგენილი საბუთებიდან ჩანს, გოდერძიშვილები მთელი XIX ს-ის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ჯოჯიკაშვილის გვარს.

„ცალკე გვარად მათი გამოყოფა... XX საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, თუმცა, სათემო საკითხებში ისინი გოდერძიშვილებად იხსენიებიან“ (ნ. შიოლაშვილი, მასალები სოფელ სნოს მოსახლეობის ისტორიისათვის, 1732-1918 წწ.).

ბარში მიგრირებული გოდერძიშვილები სოფელ გალავანში მკვიდრობენ – საგურამოს მიმდებარედ.

გადასახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა.

საძოვრის გამო ამტყდარ ჩხუბს, მკვლელობა მოჰყოლია („12 კაცი მოუკლავს ორს“).

„გადასახლების თარიღად 1907 წელს ასახელებენ“ (რ. თოფჩიშვილი, მოხეური გვარსახელები, 1998 წ. გვ. 25).

*

სნოველი გოდერძიშვილების გვარს წარმოადგენს: –

საქ. სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე გოდრძიშვილი – აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომს, 6 სახელმძღვანელოს და 4 მონოგრაფიის ავტორი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, ეკონომიკის დოქტორი, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავჯდომარე – თამარ გოდერძიშვილი, 2012 წელს დაინიშნა სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის მოადგილედ, ხელმძღვანელობდა საფინანსო, იურიდიულ და ადმინისტრაციულ მიმართულებას. 2014 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ეწევა საგანმანათლებო საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ქეთევან გოდრძიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, შავი ზღვის უნივერსიტეტის ფინანსური მმართველი.

სოფო გოდერძიშვილი – საერთაშორისო ექსპერტი, ინდონეზიის განვითარების პროექტის ფინანსური მმართველი

მეორე ქეთევან გოდერძიშვილის – საბანკო სადაზღვეო და კლინიკების მართვის სფეროში – ხანგრძლივი და წარმატებული მუშაობის გამოცდილება აქვს: – იყო სს „დისკონ ბანკის“ შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი; საერთაშორისო სადაზ-

ღვეო კომპანიის „იმედი-ელის“ მთავარი ბუღალტერი; ამჟამად, „არქიმედის კლინიკის“ ფინანსური დირექტორი.

სპათანგელოზი (წვერისანგელოზი, სპარსანგელოზი) და ათენგენობა

„სპათანგელოზი“ – ხევის უდიდესი სალოცავია;

თერგის და სნოს ხეობებს შუა – მაღალი მთის წვერზე დგას – ზღვის დონიდან 4000 მ-ზე.

იქ მიმავალი – ძნელად სავალი ბილიკები, სტეფანწმინდიდან და სნოს ხეობიდან მიდიან.

ძლიერ ხატად ითვლება.

მისი სახელით მოხევეები ფიცულობენ და იწყევლებიან.

თ. ცაგურიშვილის ცნობით: –

სპათ-ანგელოზის სახელწოდება სალოცავმა იმის აღსანიშნავად მიიღო რომ: ბრძოლის წინ – იქ, სპა, ანუ ლაშქარი ადიოდა – დალოცვისა და წმინდა ზიარების მისაღებად („კარიბჭე,“ 2008 წელი, №24).

როგორც ალ. ყაზბეგი გვამცნობს: –

სტეფანწმინდის და სნოს მცხოვრებთა ეს საერთო სალოცავი, „ყუროს მთის გადმოსწვრივ, სამხრეთით, ერთს ამაღლებულს ჩონჩხიანს გორაზედ მდებარეობს.“

„იქ შეფარებული დაჭრილი ჯიხვი მონადირისაგან ხელშეუხებელი რჩებოდა, რადგანაც წმინდა ადგილს ვეღარავინ გადალახავდა;“

„ამ ადგილებს მიღწეული დევნილი, მტრის დევნისაგან თავისუფლდებოდა.“

„ძველს დროში აქვე ინახებოდა სახალხო საუნჯენი, შეწირულობანი, საერთო ქვაბები ლუდისა, არყისა და საკლავის მოსახარში.“

„ეს წმინდა ადგილები ხალხისაგან მით უფრო პატივსაცემლად იყო გამხდარი, რომ იქ ესვენა სათემო დროშები, რომელთანაც ხალხს თავისი წარსული ბედ-იღბალი შეეერთებინა, რომელიც არა ერთხელ და ორჯელ ამოვლებულიყო მთიელთ სისხლში – თავის ქვეყნის, სარწმუნოების და ეროვნების დაცვისათვის – ადრინდელს არეულობის დროსა.“

*

ს. მაკალათიას ცნობით: –

ნიში ჩვეულებრივი ტიპისაა, სიპი ქვით მშრალად ნაგები; შემკულია ჯიხვის რქებით; შიგნით აწყვია: ბეჭდები, საყურეები, ზანზალაკები, ხატის უღლები და სხვა; იქვეა ოთახებად დაყოფილი გრძელი შენობა, სადაც დაცულია ხატის დროშები, ჭურჭელი, სალუდე ქვაბები, საგანძური; აქ ინახებოდა „სპარსანგელოზის ყოჩი,“ რომელიც შემდგომში, სტეფანწმინდის ეკლესიაში გადაიტანეს.

როგორც გრ. უვაროვა (1887 წელს) გვამცნობს: –

„ყოჩი“ ხისგან ყოფილა გაკეთებული და ვერცხლის ფირფიტებით შემკული.

ცნობილია რომ: –

მისი „ზურგის ჯვარი“, სპარსანგელოზის სხვა ნივთებთან ერთად – შემდგომში,

სნოს ეკლესიაში ინახებოდა. ვერცხლის იყო; სიგრძით 20 სმ. ორივე მხარეს თეთრი ლითონის სამკუთხა, დაფანჯრული საყურე ეკიდა, რომელიც „სპარსანგელოზის ყოჩზე“ იყო დამაგრებული.

გადმოცემის თანახმად: –

„ყაზბეგელებსა და სნოვლებს ყოჩის დაუფლებაზე დავა მოსვლიათ – ყაზბეგელებს ყოჩი რგებია; სნოვლებს ჯვარი.“

„ყოჩის ჯვარი“ 1934 წელს დაიკარგა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სნოს ეკლესიაში დიდხანს ინახებოდა სპარსანგელოზის ჯვრები და „ქოშაი“ (აზარფეშა), რომლის ტარზეც იყო წარწერა: –

„ღუდუშაურმა ივანემ სიონის მცხოვრებელმა შავწირე სპარსანგელოზობას.“

*

სპარსანგელოზთან რამდენიმე ლეგენდაა დაკავშირებული.

ერთის თანახმად: –

სპარსელებს – ტყვედ წაუყვანია ულამაზესი მოხევის ქალი, სეენჯა გოდერძიშვილი.

ათანგენობის წინა დღეებში – მშობლიურ ხატობაზე უოცნებია ტყვე-ქალს.

გამოსცხადებია იქაური (სპარსეთის) ანგელოზი და უთქვამს: –

„ნუ ტირი, ადექ, თაროდან ჩემი საყურე გამოიღე და ხევის გზას გაუდექიო!“

„უცებ, საიდანღაც – ხარიც გაჩენილა.“

მის რქაზე დაბრძანებულა სპარსანგელოზი და ხევისკენ გამოსძღოლია ტყვედყოფილ მოხევის ქალს.

ათანგენობას მისულან ხევში.

სეენჯა „წვერისანგელოზში“ ასულა და საყურე – „ყოჩის“ ჯვარისთვის „შაუბამს“;

იქ, დაბრძანებულა „სპარსანგელოზიც.“

იმ დღიდან შეცვლია სახელი „წვერისანგელოზს“.

*

ათენგენობას (სპათანგელოზობას, სპარსანგელოზობას) – ხევში განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ.

დღესასწაული დაკავშირებულია მღვდელმოწამე ათინოგენის სახელთან, რომელიც თავის 10 მოწაფესთან ერთად, დაახლოებით 311 წელს, ქალაქ სებასტიაში – ქრისტესთვის ეწამა.

სიკვდილის წინ – წმინდა ათინოგენი მაცხოვარის ხმის, თანაც იმავე სიტყვების მოსმენის ღირს იქნა, რომლითაც იესომ მის გვერდით წამებულ ჯვარცმულს მიმართა: –

„დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა!“

*

ათენგენობა მოძრავი დღეობაა;

იმართება აღდგომიდან 98-ე დღეს; უწევს ივნის-ივლისში.

კორნელი კეკელიძის ცნობით: –

თუ სახელწოდებას არ მივიღებთ მხედველობაში, მასში ქრისტიანული არაფერია დარჩენილი; ტიპიური წარმართული დღესასწაულია, სადაც ხალხი შესაწირავით და სათანადო რიტუალის შესრულებით ცდილობს, ხატის მფარველობის დამსახურებას.

სეენჯას ღვაწლიდან გამომდინარე – სალოცავში, გოდერძიშვილები დეკანოზობენ; ხატს თავისად მიიჩნევენ და პირველ საკლავსაც ისინი კლავდნენ.

არსებითად – ხატი სათემო იყო (ვალ. ითონიშვილი).

უკანასკნელ წლებში, სპათანგელოზობამ ქრისტიანული ელფერი მიიღო.

მლოცველები მწვერვალზე ადიან შესაწირავით, გასატეხელითა (ქადით) და საკლავით.

ვისაც ასვლა არ შეუძლია, სტეფანწმინდის ნიშთან იკრიბება – ყუროს მიმდებარედ.

მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე – სალოცავის ქვემო ნიშია, სადაც მლოცველები ისვენებენ; ღამეს ათევენ და მეორე დილას ადიან მწვერვალზე.

ნიშიდან ძნელი აღმართი იწყება.

გაკვირვებას იწვევს შესაწირავით დაბარგული მლოცველების ფიზიკური გამძლეობა.

მწვერვალზე მდებარე მთავარი სალოცავი – განმარტოებით დგას.

მიდამო თოვლიანი მწვერვალებით არის შემოზღუდული;

გადაღმა ლეკეთია; შორს – სნოსა და არაგვის ხეობები მოჩანს...

*

ალ. ყაზბეგი რამდენიმე ნაწარმოებში აღწერს ათენგენობას;

გთავაზობთ – ამონარიდს „ციკოდან“: –

„გალავნის იქიდან გამოჩნდა დროშები, რომელთაც მსუბუქი ნიავი აფრიალებდა. ვაკეზედ მოჩანდა მრავალი ხალხი სხვადასხვა ფერის ტანისამოსში. ერთს ადგილს შეყრილიყო ყმაწვილი ხალხი და გაემართა ტაშფანდურა, მეორე ადგილს დაებათ ფერხული და ასე ატარებდნენ დროს. ზოგიერთებს მიჰყავდათ ნიშთან ბატკნები, იქ ჰკლავდნენ დეკანოზები, დაამწყალობებდნენ, ღმერთს შეავედრებდნენ პატრონს და სისხლში ამოვლებულის თითით ჯვარს გაუკეთებდნენ შუბლზედ; მერე პატრონები დაავლებდნენ საკლავს ხელს და რბოლით ჩაათრევდნენ საარყე ქვაბთან, სადაც მლოცველთათვის საერთო სადილი მზადდებოდა.“

ამონარიდი „მოძღვარიდან“: –

„ხატში ხალხს მიაქვს საწირი, ზედაშე, საკლავი... საწირად მიჰქონდათ: ყელზე საბმელი ჯვარი, ბეჭედი, შეთქმისამებრ მთელი წლის განმავლობაში ყელზე ნატარები ვერცხლის ფული, თასები, აზარფეშები, შანები... ხალხს ამწყალობნებდა ხალხის მმართველი, დეკანოზებზედ უფროსი ხევისბერი...“

„ერთი ოჯახობა თავს იმით იჩენდა, რომ დაკლული საკლავები, ქადები სულ ერთ ადგილს, ნიშის ახლოს მიჰქონდა. აქა ჩუხჩუხებდა საერთო საარყე ქვაბები, რომელშიაც საერთოდ იხარშებოდა მთელ-მთელი ცხვრები და, მომზადების შემდეგ, იმის განურჩევლად, რომელი საკლავი ვისგან იყო მოტანილი, ხალხის რიცხვზედ უწილადდებოდა. ამ კერძს ერქვა ხატის წილი და მას ძუძუმწოვარასაც ვერ დააკლებდნენ.“

„იყვნენ ისეთნიც, რომელთაც ან ადგილის სიშორის, ანუ სხვა მიზეზის გამო, ხატში სრულიად არა მიეტანათ რა, მაგრამ აქ ერთი ოჯახი იყო... მას არა თუ მოი-

წვევდნენ, არამედ ვერაფერს დააკლებდნენ, რადგან თავისი ხატის წილის მოთხოვნა ყველას შეეძლო“ („მოძღვარი“).

„სპათანგელოზში“ ინახებოდა მოხევეთა მიერ ათასწლეულის მანძილზე შეგროვილი სიწმინდეები: განძი, სარიტუალო ინვენტარი, დროშები და სხვ.

მიხეილ ყაზბეგს სალოცავისთვის ირემი შეუწირავს – თავისი ვაჟის, ალექსანდრე ყაზბეგის, დაბადების აღსანიშნავად.

ახალციხე

სოფ. სნოს ზემოთ, ხეობას ამშვენებს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გრანიტის ფიგურები – მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილის მიერ – ღია ცის ქვეშ განთავსებული მუზეუმი.

უფრო ზემოთ, სნოსწყალის ორივე მხარეს – ხევის სხვადასხვა სოფლები და ნასოფლარებია განთავსებული: – ახალციხე, ქოსელი, კარკუჩა...

ართხმოს წყალზე – ართხმოს და მიგუდას ნასახლარებია.

შინო, ნადარბაზევი, ზემო სოფელი, სამაროვანი, ჯვარი და ვალშიც – მოსახლეთაგან დაცლილია.

ყორა და მთრეხიც – ნასოფლარად არის ქცეული.

ჯუთას წყლის ხეობაში, ხევსურთ სოფელია შემორჩენილი – ჯუთა...

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

XIX საუკუნის მიწურულში, სნოს ხეობის სოფლები ძლიერ დაზარალდა.

დიდი წყალდიდობის შედეგად, სახნავი ნაკვეთები ქვა-ღორღით მოფენილ რიყედ იქცა...

*

საქართველოს სამხედრო გზიდან მერვე კილომეტრზე, სნოსწყლის და ართხოსწყლის შესართავთან (ზ.დ. 1800 მ-ზე), მდებარეობს ჩემი წინაპრების ადგილსამყოფელი, სოფ. ახალციხე.

აღნიშნული სახელწოდებით სოფელი მოხსენიებულია „გერგეტის სულთა მატიანეში“ (XV საუკუნის ისტორიულ დოკუმენტში), რაც იმას მაუწყებელია რომ: –

მის ტერიტორიაზე, ოდესღაც მდგარი (დიდი ალბათობით, ღვთისმშობლის ეკლესიის თანადროული) უძველესი ციხის ნაცვლად – ჯერ კიდევ XV საუკუნემდე აუგიათ ახალი ციხე, რომლის სახელწოდებაც გავრცელდა – მიმდებარე დასახლებაზე.

ახალი ციხე – სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დასაწყისამდე შეიწირა ჟამთა სიავემ.

დღეს – ორივე ციხის ნაშალია შემორჩენილი;

მათ ნაფუძნარზე – ქვები გალეულან და გადახრეშილან...

ნანგრევები – მწვანე შამბნარშია გახვეული...

*

შორიდან მოჩანს დედასოფლის სამნავიანი ბაზილიკა.

სალოცავის გლუვი, სადა ფასადები – შემოსილია სხვადასხვა ფერის – მოზრდილი, ტლანქად დამუშავებული ქვებით.

აღმოსავლეთით მდებარე ერთადერთი სარკმელი, გრეხილი ლილვით შექმნილ,

სწორკუთხა საპირეშია მოქცეული.

ბაზილიკის არქიტექტურული ფორმა, მისი სამშენებლო და დეკორაციული მახასიათებლები სალოცავს – IX-X საუკუნის დამდეგის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან აკავშირებს.

თვალსაჩინოა მისი გადაკეთება-აღდგენის ნიშნები.

გვიანდელია ჩრდილო-დასავლეთის კუთხე.

კედლის წყობას ეტყობა განახლებული ნაწილისა და ძველის კვალი.

ფასადზე ეტყობა, რომ ლავგარდანი ახალია (რაც, XIX საუკუნის ბოლოს ჩატარებული, რეკონსტრუქციის შედეგი უნდა იყოს).

გაზეთ „მწყემსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, 1900 წელს – გ. ბედოშვილი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: –

„სოფ. სნოს მღვდლის, მამა გიორგი სირაძის თაოსნობით, 1892 წელს, ხევის ახალციხის ღვთისმშობლის ეკლესიას გაუკეთდა ორი ფანჯარა; დაიგო იატაკი, დაიდგა ხის კანკელი და დაიხურა „ჟესტით.“

სერიოზული რესტავრაცია სალოცავს 2003-2004 წლებში ჩაუტარდა;

აშენდა სამრეკვლოც.

ბაზილიკის ეზოში შემორჩენილია „სტელას“ ფრაგმენტი, რომელიც გარბანის ეკლესიის მემორიალური ქვის მსგავსია და საკმაოდ ადრინდელი უნდა იყოს.

ეკლესიაში დაცულია ხევის უძველესი ხატი – „მოჭედილი ჯვარცმა,“ რომელსაც თამარ მეფესთან აკავშირებენ.

მოზრდილ ჩარჩოში ჩასმულ ხის ჯვარს, რომელიც ვერცხლის ფირფიტებითაა შემოსილი – ძველი, საკმაოდ დაზიანებული (მხედრული) წარწერა აქვს: –

„ნებითა ღვთისათა მე ჭიაურთ ერისთავმან... შვილმა ზაალ... ჯვარცმის ხატი ესე თამარ მეფისაგან მოჭედილი, ახლა მე დავახატვინე და შევამკე წმინდა ვერცხლითა... ოქროთა და მისსავე ტაძარსა შიგა დავასვენეთ, ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა მარიამისა ახალციხეს ჯვარცმაი ქრისტესი...“

ხევში – თამარის „შემოსვლასთან“ დაკავშირებით, რამდენიმე გადმოცემა არსებობს: –

ერთი – ხდეს ხეობის ყარაულობიდან სტეფანწმინდელების განთავისუფლებას და მათ მაგიერ – იქ, ხევსურების ჩაყენებას უკავშირდება;

მეორე – 1212 წლის ახლო პერიოდში მომხდარ – განდგომილ მთიელთა „შემორიგებასთან“ არის დაკავშირებული.

ცნობილი ინგუში საზოგადო მოღვაწის, ისა კაძოევის ცნობით: –

თამარი, დარიალის გზით, შემობრძანდა მიწისძვრისგან დაზარალებული ჩრდილოკავკასიელი ტომების დასახმარებლად... დიდძალი ოქრო-ვერცხლი დაურიგა მათ.

*

ახალციხლებს – მათი უძველესი საყდრის მადლი იფარავს.

28 აგვისტოს სოფელი – იქ, მარიამობას ზეიმობს.

დიდი რელიგიური დღესასწაულებია ათენგენობა და ღალანგურობა.

სოფელი მათ მონაცვლეობით, წელიწადგამოშვებით აღნიშნავს.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

„ათენგენობის წინა დღეს მოდიოდა შადამაგობა, რომელიც, ძირითადად, ართხ-

მოში იმართებოდა (ხეთანას) – მაგრამ სნოს ხეობის სოფლებიც წილდებულები იყვნენ და მრავალი მხვეწარი იყრიდა თავს.“

„შადამგდი ახალციხესთანაა.“

„მისი ძველი სახელწოდებაა – კლდის ფეხაი.“

„შადამაგობაში პრიორიტეტს ქერაშვილებიც ჩემოლობდნენ, რადგან მათ რძლად ჰყოლიათ ხევსური (ბახალთ ქალი, არაბული) – სოფელ ჩირდილიდან...“

*

ჯუთელი არაბულები, პირიქითელი ხევსურები და ქერაშვილები – ათენგენობას, ართხმოს ხეობაში – სოფ. მიგუდას ნასახლარის მოპირდაპირედ მდებარე ნიშთან ზეიმობენ – სადაც, ადრე 3 დროშა იყო დაბრძანებული: –

ერთი – ჯუთელების ეკუთვნოდა; მეორე – პირიქით ხევსურების; მესამე – „ლიახვედ“ წოდებული და შუბზე აბმული – ქერაშვილებს საკუთრებას წარმოადგენდა.

მათი „ბაირახი“ (ბაირაღი, დროშა), გადმოცემის თანახმად – „ქერეთ“ ერთ-ერთი წინაპრისთვის, ღანჯიასთვის უბოძებია მეფეს – ხევსურეთში გამოჩენილი გმირობისათვის.

აღნიშნულ ბრძოლაში დაჭრილი ღანჯია – ხევსურის ქალს გადაურჩენია, სახელად ანას, რომელიც მეომარს – მერე, ცოლად შეურთავს.

ქერაშვილები მიიჩნევდნენ რომ: –

ღანჯიას მოპოვებული საბრძოლო რელიკვია – საქმროს გადარჩენიდან გამომდინარე, ანას მზითვიც იყო...

მიგუდას სალოცავში დაბრძანებულ სამივე დროშას, ტრადიციული რიტუალის შესაბამისად, ათენგენობის წინადღეს – პირიქითელი ხევსურები თავისთან მიაბრძანებდნენ; მეორე დღეს აბრუნებდნენ უკან და ხატობას, დადგენილი რიგის მიხედვით, ჯუთელი არაბულები იხდიდნენ; მესამე დღეს, სამივე დროშას – ქერაშვილები ახალციხეში მიაბრძანებდნენ და ათენგენობას – ღვთიშობლის ეკლესიის მოპირდაპირე ნიშთან აღნიშნავდნენ.

აღნიშნულის შემდგომ, სამივე დროშა ართხმოს ხეობაში მდებარე საბრძანისს უბრუნდებოდა – მაგრამ, XX საუკუნის დასასრულს, როცა სოფელი მიგუდა და ართხმო გაუკაცურდა – დროშების საბრძანისიც დაიქცა.

იქ შემორჩენილმა ერთადერთმა მოხუცმა – 90 წლის მზექალა ოჩიაურმა, დროშები ჯერ საკუთარ სახლში გადაიტანა – მერე (სამივე) ქერაშვილებს გადასცა.

უახლოეს წარსულამდე, სამივე დროშა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში იყო დაბრძანებული.

ღანჯიას მიერ ბრძოლაში მოპოვებული (შუბზე აბმული) „ბაირახი“ – ქერაშვილების „საგორეულო“ დროშად იქცა...

*

ღალანგურის წმ. გიორგის ნიში კარკუჩასა და ართხმოს შორის მდებარე თანამოსახელე მთაზეა განთავსებული.

ზემოდან გადმოყურებს სნოს ხეობას.

როდის აიგო – არავინ იცის.

ნიშს ქვემოთ ტბაა, მის უკან, ვრცელი ვაკე, სადაც ღამისთევით ასული მლოცველები ბანაკდებიან.

ხატობა დილით იწყება.

დეკანოზები წმინდა გიორგის მადლით ამწყალობებენ თავის მრევლს.

ვალ. ითონიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ღალანგურობის ხატობის დროს, როცა ხევსური დეკანოზები ჯუთიდან ართხმოსკენ გაემართებოდნენ, ახალციხესაც გაუვლიდნენ ხოლმე და – „ქერეთ რძალი (ალბათ, ღანჯიას ცოლი, ანა, გ.ქ.) – თავს ვალდებულად თვლიდა მათთვის პატივი ეცა...“ „ნაწმინდარ დეკანოზებს სახლში არ შეესვლებოდათ და პურმარილს ახვედრებდა სოფლის პირას – ე.წ. კლდის ფეხაზე.“

აღნიშნული პროცედურა რაკი ერთხელ შესრულდა, ხევსურმა დეკანოზებმა ქერაშვილების დამწყალობება – წესად აქციეს.

ყოველ ღალანგურობაზე, ქერაშვილებიც უკვე ტრადიციულად ხვდებოდნენ ხევსურებს და – მათი დროშიონიც, ღამისთავით დგებოდა კლდის ფეხას, ანუ – შადამაგას (ვალ. ითონიშვილი).

ხეთანობასა და ღალანგურობაში – საკლავ-საწირით მონაწილეობდნენ ახალციხელები, ქოსლელები, კარკუჩლები, ართხმოვლები, ჯუთელები...

სნოს ხეობის გარეთ მდებარე სოფლებიდან მოდიოდნენ ოდიშვილები – როგორც წილდებულები (ვალ. ითონიშვილი).

კვირეძლობის (კვირეზლობის) ახალციხლები აღნიშნავდნენ სოფელში მდებარე კვირეხვთიშვილის ნიშთან.

„დედაკაცს კვირიას მიზეზი თუ ჰქონდა, ხელში თეთრი დროშით და ანთებული სანთლით შემოუვლიდა სოფელს; შევიდოდა რამდენიმე ოჯახში და ეტყოდა – „შეგეწიოთ კვირეღვთისშვილიო.“

„ოჯახის პატრონი გამოუტანდა ერთ ჯამ ფქვილს და პარკში ჩაუყრიდა.“

„ამ ფქვილისგან დედაკაცი პატარა, თხელ პურებს – „ცხრილეულებს,“ გამოაცხობდა, კვირიას ხატში აიტანდა, შეევედრებოდა და, მერე – ბავშვებს გადმოუყრიდა; ისინი ყანაში წაიღებენ და იქ დაჭრიდნენ – რათა ოჯახს ბარაქიანი ჭირნახული მოსვლოდა.“

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მიხედვით, ახალციხეში – ციხის ოდნავ ქვემოთ მდებარე სალოცავები: კოპალე (ბიჭების) და ელია (გოგონების) – ამჟამად, დიფერენცირებული აღარ არის.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

ქერაშვილები – გუდამაყრის ხეობის სოფელ ჩოხში მდებარე სალოცავს, პირიმზე ფუძის ანგელოზს – ყოველწლიურად აკითხავდნენ და დღეობაშიც იღებდნენ მონაწილეობას.

ხევსურები და მოხევეები

ტერიტორიული სიშორის მიუხედავად, ხევსურებსა და მოხევეებს ახლო ურთიერთობები ჰქონდათ.

„ამის მიზეზი იყო ხევსურების ხშირი მგზავრობა ხევსა და კავკავში, საიდანაც ოჯახისთვის საჭირო საქონელი შემოჰქონდათ.“

„როგორც მოხევეები, ისე ხევსურები – ზოგჯერ, თავიანთ ტერიტორიაზე გამ-ავალ მგზავრებს უხვდებოდნენ, ეშარებოდნენ და ძარცავდნენ... მაგრამ ორივე მხ-არე ცდილობდა დამნაშავე გამოევლინა და მეგობრული ურთიერთობა აღედგინა“ (შ. არაბული).

სხვადასხვა ყოფითი მიზეზებით (თუ სამეფო კარის გადაწყვეტილებით), ხევ-სურებმა – დროთა განმავლობაში, ხევის ტერიტორიაზე დასახლება დაიწყეს.

მათი ნაწილი გამოხევდა, ნაწილი ხევსურებად დარჩნენ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რომ – ბევრი მოხეური გვარი ხევსურულიდან არის წარმომდგარი.

მათ შორის არიან ახალციხელი ბუჩუკურები და ქერაშვილები, რომელთა ძირებიც გოგოჭურებთან მიდის.

გოგოჭურები

დ. გოგოჭურის ცნობით: –

გოგოჭურთა გვარი (თავისი განშტოებებით) „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანე-თის თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება.“

„ძველ გვარზე ამჟამად მხოლოდ ხევსურები ეწერებიან და ისიც ნაწილიღა.“

„გოგოჭურის გვარს ატარებს ერწოსა და კახეთში ადრევე ჩასახლებული ფშაველი ცაბაურ-გოგნელაშვილების რამდენიმე ოჯახი. არის მაგალითები, როდესაც ბიძაშ-ვილებიდან ერთი ნაწილი ძველ გვარს გოგოჭურს ატერებს, მეორე – ახალ გვარზე იწერება. უფრო მეტიც, ერთი ძმა გოგოჭურის გვარს ატარებს, მეორე – გოგნელაშ-ვილს (ფშავლები); უფროსი ძმის ოჯახი გოგოჭურებად იწერებიან, დანარჩენი ორი ძმისა კი – ყვარიაულებად (ხევსურები).“

„ყვარიაულ-გოგოჭურები ყვარადან გუროში გადასახლებულან და იქაური გო-გოჭურებისგან გამოსარჩევად, თავიანთი ძველი სოფლის ყვარას მიხედვით, ყვარი-აულები უწოდებიათ. საქმე ის არის, რომ ყვარა დიდიხანია ფშავს ეკუთვნის, გურო – ხევსურეთს. ეს გვარი კი ორივე სოფელს თავის მოთემედ თვლის. გოგოჭურთა განშტოებად ყვარიაულთა გვარი ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ იხსენიება, მაგრამ დღემდე ვერც ძველი გვარი გაუმეტებიათ მისატოვებლად.“

„გოგოჭურთა გვარის განშტოებანი ჯერ კიდრვ 200-300 წლის წინათ ატარებდნენ ორ გვარს ძირეულსა და შეძენილს, ამასთან, ძირეული გვარი უფრო თემს ასახავდა, რადგან ისინი საერთო ხატის ყმანი იყვნენ, შეძენილი გვარი უფრო კონკრეტულად მიუთითებდა „მამიძმობის“ იმ განშტოებაზე, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ...“

„გოგოჭურთა გვარის არცერთ განშტოებას არ მოეპოვება გადმოცემა იმის შესახ-ებ, თუ რომელ კუთხეში გაჩნდა პირველად ეს გვარი, ყველა მათგანს აქვს თქმულე-ბათა და გადმოცემათა ტრადიციული ვარიანტები იმის შესახებ, თუ რომელმა წინა-პარმა მისცა მათ ახალი გვარი (ასახელებენ რაზიკას, ბუჩუკას, ღუდუშას, სულაკას, გოგნელას და სხვ.). მიუხედავად ამისა, ყველა ეს განშტოება დღემდე ერთიმეორის „მამიძმებად“ ითვლებიან და მათი უმეტესობა ბოლო დრომდე თავს მიიჩნევენ „სამა-მიძმო“ ხატის „ყმებად“.

„ვფიქრობთ, ეს გვარი ჯერ კიდევ მანამ არსებობდა, ვიდრე ფშავისა და ხევსურე-თის ცალ-ცალკე ეთნიკურ ერთეულებად ფორმირება მოხდებოდა, ვიდრე ამ კუთხეს

საერთო სახელი, ფხოვი ერქვა და ამ სახელით იხსენიებდნენ როგორც მეზობელი ტომები, ისე ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტები.“

„გოგოჭურთა ძველი გვარიდან განშტოვდნენ და გვარებად იქცნენ ალუდაურები და ქეთელაურები (ხევსურეთში), ღუდუშაურები (ხევში), ბუჩუკურები (მთიულეთში), სულაკაურები (თუშეთში), გოგნელაშვილები და რაზიკაშვილები (ფშავში).“

„ამ გვარის ზოგიერთი განშტოება: ალექსაურები, ფილაურები, ყვარიაულები, მრელაშვილები და სხვ. მთიდან ადრევე ჩამოსახლებულან და ამჟამად კახეთისა და ერწო-თიანეთის მიდამოებში ცხოვრობენ.“

„დედაგვარი თუ მისი განშტოებანი თავის შიგნით კიდევ არიან დაწვრილერთეულებულნი ე.წ. მამიშვილობებად, რომელთაც ცალკე გვარებად ჩამოყალიბების ტენდენცია გააჩნიათ.“

„გოგოჭურების საგვარო ხატი ხევსურეთშია.“

„ხახმატის ჯვარში როგორც ფუძე ხატში – სალოცავად ერთნაირად მიდიოდნენ როგორც ხევსურები, ისე ფშავლები და თუშები, მოხევეები და მთიულები (დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, გვ. 44-46, 58-59-61, 1977 წ.).

*

ხევში – გოგოჭურების მამიშვილებად ასახელებენ რაზიკას, ღუდუშას, ბუჩუკურას და ქერას (ქერაშვილების პატრონიმს).

მიიჩნევენ რომ: ბუჩუკური – გოგოჭურების შტონაყარი გვარია და ბუჩუკურა გოგოჭურიდან მოდის.

მოხევე ქერაშვილები დაბეჯითებით ამტკიცებენ რომ: – მათი ძირძველი წინაპრები გოგოჭურები და ბუჩუკურები იყვნენ.

*

დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი ფშაველი და ხევსური გოგოჭურების ძირებთან დაკავშირებით.

ვ. ბერიძიაშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ფშაველი „გოგოჭურების გვარს სათავე დაუდო გოგოჭა ცაბაურმა. მის შემდეგ ამ თემის ხალხი ხან გოგოჭურებად იწოდებიან, ხან კი ძველი სახელით – ცაბაურებად. ამ ორ სახელწოდებას შორის არავითარი განსხვავება არ არის. მათში მხოლოდ ერთი თემი იგულისხმება...“

„ფშავში რაიმე გადმოცემა, მითუმეტეს, საბუთი არ არსებობს, რომ ამ თემის ხალხის წინაპარი საიდანმე მოსულიყოს ფშავში. ასე რომ, უეჭველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ამ გვარის ფშაური წარმომავლობა...“

„ფშაური სათემო გვარის – გოგოჭურების პარალელურად და, დღეს, სრულიად დამოუკიდებლად, ხევსურეთში არსებობს გვარი გოგოჭური...“

„აქვთ თუ არა რაიმე კავშირი ფშაველ და ხევსურ გოგოჭურებს, თუ უბრალოდ, ეს გვარი ამ ორ კუთხეში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა? დღეს რაიმეს დაბეჯითებით დამტკიცება ალბათ გაჭირდება, მაგრამ ვარაუდი კი, ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით, რა თქმა უნდა შეიძლება...“ (ვ. ბერიძიაშვილი, სიყალბე მეცნიერების მანტიაში, 2010 წ.).

*

ხევსურული ანდრეზის მიხედვით: – პირაქეთა ხევსურეთის მკვიდრი ბუჩუკურების განაყარი გოგოჭურთ გვარი – თორღვა ძაგანისძემ დაასახლა ფშავში, თუშეთსა და პირიქით ხევსურეთში.

მეორე ანდრეზის თანახმად, მოწმაოს მამულებზე დავის დროს, ცაბაურ-გოგოჭურთა ჩამომავალმა, ბეკი ბეკურაულმა, კატეგორიულად განაცხადა: – ეს ადგილი ჩემიც არის, რადგან მაგანძურის ძმა, გოგოჭა – პაპა იყოო ჩემი...

*

გოგოჭურები ხევსურეთის 6 სოფელში მკვიდრობდნენ (ჭორმეშავი, ატაბე, ბუჩუკურთა, სახილი, გურო და გიორგწმინდა).

ძირითადი საცხოვრისი ატაბე და ჭორმეშავი იყო.

გ. თევდორაძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

მათი გვარი „ფრატიებად არ იყოფა... განაყარნი არა ჰყავს...“ რაც „იმით უნდა აიხსნას, რომ... რაღაც მიზეზით ვერ გამრავლდა ისე, როგორც არაბულებისა და ჭინჭარაულების გვარი...“

„მისი შემადგენლობა ასეთია: – მეხარიანი, სუიკანი, ბათაკანი, ქერხოსანი, მოზღარნი, ფასიორანი, მეგრელანი, ხოწანი, უთურგანი, დათვისბაბონი, დორეჯალანი, ჩიტონი, თარხანი, ნათუშარანი, ყორიაულნი, მონანი, კოკინანი და ხადულანი“.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

მინდიკაურები, ხახიაურები, ხოსიაურები და მამიაურები – გოგოჭურთა (ფშავის ტერიტორიალურ) თემში ხარ-ქვაბით იყვნენ შეყრილნი, მიღებული ჰქონდათ გოგოჭურის გვარი და მოგვიანებით (ალბათ, ხახაბოში დასახლების შემდეგ, გ.ქ.) აღიდგინეს საკუთარი გვარ-სახელი (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, გვ. 26, 2003 წ.).

ციტირებული მკვლევარის თანახმად, გოგოჭურებში შეყრილად ითვლება კიდევ ორი მამიშვილობა, კერძოდ: –

„ზეზიანი“ ძირად თუშები არიან; „ხადულიანი“ ფშავლები.

ისინი, ატაბეში ამანათად მისულან.

გოგოჭურები ფხოვის სამი დიდი სალოცავის ყმები იყვნენ: – ხახმატის, ლაშარის და გუდანის ჯვარის.

ბუჩუკურთაში თაყვანს სცემდნენ „ადგილისდედას,“ „ხვთიშობელსა“ და „მთავარანგელოზს“.

ხევის ახალციხეში – ყოვლადწმინდას, წმინდა ათინოგენსა და ღალანგურის წმინდა გიორგის.

*

წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალის გათვლისწინებით, შესაძლებელია ვიფიქროთ, გოგოჭურების ხანგრძლივი ციკლური მიგრაციის ასეთ სავარაუდო სქემაზე: –

1. გუდანის შემდეგ – მათი მიგრაცია იწყება ჭორმეშავიდან.
2. ბუჩუკურა გოგოჭურის მამიშვილობა აფუძნებს ბუჩუკურის გვარს და სოფელ ბუჩუკურთას.

3. ბუჩუკურების განაყარ გოგოჭურებს (XIII ს-ში) – თორღვა ძაგანისძე ასახლებს ფშავში.
4. დროთა განმავლობაში – ფშავში ფუძნდება გოგოჭურების, უფრო მოგვიანებით კი, ხახაბოელთა თემი (მას შემდეგ, რაც ისინი: – გოგოჭურები, მინდიკაურები, ხახიაურები, ხოსიაურები და მამიაურები – პირიქითა ხევსურეთში – არდოტში და ანდაქის ხეობაში, გადადიან).

გახუა მეგრელაური (გოგოჭური)

სამეგანძუროს მთავარი ღვთაება, „გუდანის ნაწილიანი და მფრინავი ხატი“ – ხთისშვილთა თანადგომით, სოფ. ჭორმეშავის მკვიდრს, გახუა მეგრელაურს მოუყვანია ხევსურეთში – „გერგეტ-ბეთლემიდან.“

გახუა გოგოჭური – ნახევრად მითოლოგიური, ანგელოზებთან წილნაყარი ხორციელი არსება, რომელსაც დაბადებიდან ყელზე „ოქროს გირკალი“ გამოჰყვა – „ჯვართან ჯვარი ყოფილა და კაცთან კაცი.“

როგორც ლეგენდა გვამცნობს: –

„ხვთისშვილებს“ წაუყვანიათ – ის, ბეთლემში, სადაც ოქროს აკვანში მწოლი ყრმა უნახავს, რომელსაც „მტრედები დაჰღუღუნებდნენ და იფქლის მარცვლებს აჭმევდნენ.“

გუდანში – გერგეტიდან გამოჰყოლია მეგრელაურს მფრინავი ხატი, რომელსაც, ხევსურეთში მისვლამდე – ხევში, ყორასთან მდებარე კლდეზე შეუსვენია, ქერაშვილების სათიბთან...

საკრალური დამთხვევაა!

გუდანისაკენ მფრინავი ხატის გოგოჭურ-ქერაშვილების მამულთან შესვენება; მით უმეტეს, რომ – იქ, „ანგელოზებიც მოფრენილან, იქაურობა გაუნათებიათ და ხატი ოქრო-ვერცხლით შეუმოსავთ.“

გუდანში მისვლის შემდგომ – ხახმატის ჯვარის მკადრე, გახუა გოგოჭური, ხევსურეთის ამ ახალი უდიდესი სალოცავის ქურუმ-ქადაგი გახდა.

ამას მოყვა სამივე სამაგანძურო გვარის აღზევება;

„ხატის მიერ საფარველდადებულ“ მეგრელაურთან და გუდანის ჯვართან ერთად – მათი „სამისიონერო“ (რეალურად დაპყრობითი) მსვლელობა;

ბრძოლა მეზობელ გვარებთან, თემებთან და ტომებთან...

მალე – დრო დრომ წაიღო და „გახუასაც გაუვიდა ყავლი“: –

„ცოლ-შვილობას გამოუდგა; ვეღარ წმინდობს, მარხვას ტეხს – ვეღარ ემსახურება ჯვარს, როგორც საჭიროა...“

ეჭვობდნენ რომ: – „ხთიშვილთა მოპოვებული განძიდანაც მიითვისა რაღაც.“

„აირია მეგრელაური – გადაილახა...“

გადმოცემის თანახმად – ბოლოს, „ჟამმა“ იმსხვერპლა იგი – თავის ოჯახთან ერთად.

წინასწარ სცოდნია „ჟამთ მოსვლის“ შესახებ: –

გაუფრთხილებია ხალხი... ჯვარის განძიც სამალავში „დაუფლავს...“

იმასაც ამბობენ რომ: – იმ ადგილას, „დღესაც ქანავს ქვიშა და თანდათან – უფრო ფარავს იმ განძს...“

მეგრელაურის ნასახლარი „ჯვარმა დაიჭირა“.

„იქ, ახლა, გოგოჭურთ თემის სალოცავი – ფიცრულის ჯვარნი სუფევენ...“

გოგოჭურები და არაგვის ერისთავები

არაგვის ერისთავები არაერთგზის მიხდომიან დასაპყრობად და „დასაყმევებლად“ – მთიულეთს, ხევს, ერწო-თიანეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს.

მრავალი სისხლი დაუქცევიათ მთიელთათვის.

მრავალიც მათთვის დაუდენია თავისუფლების მოტრფიალე მთას.

სალექსო, სასიმღერო და საცრემლო გამხდარა ზურაბ არაგვის ერისთავის საძრახისი ლაშქრობანი მთაში.

ხალხური პოეზიის მიხედვით: –

მას „სამჯერ დაულაშქრავ მეშვიდ-მეშვიდეს წელს ხევსურეთი და ვერ გაუტეხავ.“

„რა წლებში ხდებოდა ეს ლაშქრობები არ ვიცით. არც ის ვიცით, თუ რამდენად მართალია, რომ ინტერვალი ომებს შორის შვიდ-შვიდი წელი იყო.“

„ცხადია, რომ ხევსურების აწიოკება ზურაბის მიერ რამოდენიმეჯერ მომხდარა 1620 წლის ახლო“ (აკ. შანიძე).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ერისთავმა – პირველად, მთიულეთ-ხევისკენ გაილაშქრა და ძლიერი ბრძოლებით დაიპყრო იგი.

მერე – ფშავ-ხევსურეთისკენ გაემართა.

ჯერ ფშავიდან სცადა შეღწევა – მაგრამ „ფშაველ-ხევსურნმა“ ორწყალის გზაჯვარედინთან დაამარცხეს;

მათურის ხეობაში მრისხანე ფეოდალმა იმძლავრა; სერიოზული შეტაკება მოიგო და სასტიკად გაუსწორდა დამარცხებულებს: –

„საკირეზე ლუდისა და არყის სახდელი ქვაბები დაუდგამს; ფშავლები ჩაუყრია და „უხარშავს...“

„ხევსურებ ხინკლად ჩაყარა, ფშავლებ შაუნთო შეშადა... გაუტეხელი მოხევე გაიმატ დასაჩეხადა“ – მოთქვამს ხალხური მოლექსე.

როგორც ლეგენდა გვამცნობს: –

არაგვის ერისთავმა „ლაშარის ბერმუხის“ მოჭრაც განიზრახა – სადაც, მთიელთა რწმენით – „მოლაშქრეთ წინამძღვარი ანგელოზი“ იყო დაბუდებული.

ამ გაუგონარმა თავხედობამ მოიკრებინა ხალხს ძალა და სასტიკი ბრძოლების მიუხედავად, ზურაბმა ფშავ-ხევსურეთის დამორჩილება ვერ შეძლო; მოგვიანებით კი – თვალთმაქცურად, ვითომ ცოდვების მონანიების მიზნით – ლაშარის ჯვარს ზარი შესწირა... რეალურად კი, ძალა მოიკრიბა და მთიელთა დამორჩილება მთიულეთიდან სცადა.

გუდამაყრის გავლით, ზამთარში შეიჭრა ლიქოკის ხეობაში.

„ვერ გატეხა ხევსურნი“ და გაბოროტებულმა – ლიქოკის „ხმალა ხატზე“ მდგარ ალვის ხეზე „მიიტანა იერიში,“ რომელსაც „მირონი სდიოდა.“

ხე წააქცია...

ლიქოკის ხეობას ანგელოზი გასიცლდა და ზურაბმა ახალწლის დღეებში დაამარცხა ლიქოკელები.

*

არაფრით არ დაცხრა ზურაბ არაგვის ერისთავის ბოროტი სული.

საკუთარი სიმამრის, თეიმურაზ I-ს (1589-1663 წ.წ.) სახელით, ხევსურები, მოტყუებით და – მზაკვრული გეგმით, თრუსოში სალაშქროდ წაიყვანა.

მედგრად აომა.

გამარჯვების ნადიმის შემდგომ კი, სამოც რჩეულ ვაჟკაცს, „მთვრალს და მძინარეს“ – თავები დასჭრა...

*

გაბუდაყებული ერისთავის პრეტენზიები მალე ქართლ-კახეთის სამეფოთა ინტერესებს მისწვდა: –

„ორივე იყოს და ორივე მე მემორჩილებოდესო, ფიქრობდა იგი და გულდინჯად „აწონასწორებდა“ ქართლ-კახეთის „სასწორს“ ჯანიან ხელში (ლ. სანიკიძე).

თეიმურაზმა გული აიყარა სიძეზე.

სამეფო ტახტზე მეოცნებე სიძე საფურცლეს ჩაიტყუა და... ფშავის მოურავმა, ელუმ თუღუმიშვილმა „მარცხენა ძუძუში შეუგდო სატევარი.“

1630 წლის შემოდგომა იდგა.

ბაგრატიონის ხელი და დავლათი მოერია დაუმარცხებელ თავადს (ლ. სანიკიძე).

მთამაც დაისვენა...

მარტია მისურაული

სამარეში ჩაჰყვა ზურაბ არაგვის ერისთავს ჭორმეშიონის კლდეში გამოკვეთილი აუღებელი სიმაგრისა და – იქ, ხევსურთა ფარად მდგარი მარტია მისურაულის (გოგოჭურის) ჯავრი: –

„ზურაბს ჯავრი კლავს ორისა:
ხევსურეთისა ფშავისა,
ხევსურეთ ჭორმეშავისა,
ჭორმეშავ კლდისა შავისა,
შიგ მდგომის მარტიაისა,
ხმალ-სისხლიანის ვაჟისა.“

„დეკის კვერნად“ წოდებული მისურაული არ ეპუებოდა არც არაგვის ერისთავს – არც ხევსურეთის ჩრდილოელ მტრებს.

„მეთემეთა შორის მეტად გულთბილი და თავმდაბალი ყოფილა.“

„ხალხის მიერ მისთვის ნაბოძებ საკარგყმო-საპატიო სკამზე, რომელიც გუდანის ხატის დარბაზში იდგა – არასოდეს დამჯდარა“ (დ. გოგოჭური): –

„სწორები სახელს ულოცვენ;
„ვერა ვქენ“ – ეუბნებოდა.“
გადმოცემის თანახმად: –

მისურაულის წინააღმდეგობის მიუხედავად, ზურაბ არაგვის ერისთავმა ხატის მსახურნი ხარკის გადახდაზე დაითანხმა – იმ პირობით რომ – „წინწინ“, „სვიან ჭალას“ მისცემდა ხალხს – ბარში.

დათქმის შესრულებამდე – ხარკის ამკრეფი, „ვილაც მოხევე – ჩოფინა, თუ ჩოფი-

კა“ – ოსი მხლებლებით მისულა ხევსურეთში;

იძულებით დაუწყია პირუტყვის შეგროვება.

ქადაგ-ხევისბერნი მორიდებიან ერისთავთან დაპირისპირებას და „ჩოფინას ხევისკენ გაურეკია ბეგარი.“

მარტია მისურაული – ხახმატელ იმედა ფერაულთან ერთად, ფარულად აედევნა – თურმე, მეხარკეთ.

საძელის უღელტეხილზე წამოეწივნენ; მოძალადენი დახოცეს; ბეგარი უკან გამორეკეს – თანასოფლელებს „თავთავისი ჩააბარეს“ – ჩოფინას ბატონის ნაბოძები ცხენ-იარაღი წაართვეს და ზურაბთან დააბარეს: –

„მოსაცემი ხალხმა მოგცა... იმათთან საქმე ნუ გექნება, მტრები ჩვენ ორნი ვართ-ო...“

*

აღნიშნულის შემდგომ, ზურაბი „როგორც ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“ მცირე ამალით, საჩუქრებით და „ზღვენ-საკლავით“ – ვითომ, „სრულიად მშვიდობიანად ასულა ხევსურეთში (როგორც ხატის მლოცველი).“

„სანეს კარავი დაუდგამს“ და გუდანის ჯვარისთვის შესაწირი მიურთმევია.“

იქ დაიბარა სათითაოდ რჩეული ხევსურნი – (სიმამრის), თეიმურაზ I-ს (1589-1663 წ.წ.) სახელით, თრუსო-დვალეთის ლაშქრობაში მონაწილეობა სთხოვა და ნადავლის ნახევარს შეპირდა.

მარტია მისურაული და იმედა ფერაული (შინშები), იმავე ღამეს დაეცნენ ერისთავის რაზმს და „ხმლითა სცეს...“

ხატის სტუმრების დახოცვისათვის – მისურაული თემიდან „მოჰკვეთეს“ და „ხარ-ქობი“ დააკისრეს.

მხოლოდ თრუსოს სისხლიანი ნადიმის შემდეგ დააფასეს იგი – შემოირიგეს და გუდანის ჯვარში „საკარგყმო სკამი“ დაუდგეს.

გადმოცემის თანახმად: –

მისურაულს ღრმა სიბერემდე უცოცხლია;

„მემრ“ – მისი ციხე-სიმაგრის ნანგრევები ჯვარმა დაიჭირა.“

დღესაც, წმინდა ადგილად არის მიჩნეული.

მამუკა ქალუნდაური

სახალხო გმირის, მამუკა გოგოჭურისთვის, ერთი ლაშქრობის შემდგომ, საკარგყმოსთან ერთად – „ქალიც აურჩევიათ“, მაგრამ უარი უთქვამს: –

„მე ქალი კი არა ხმალი მინდაო.“

აქედან მოდის – თურმე, ქალუნდაურის თიკუნი.

„უფრო სარწმუნო ის არის, რომ მისი მამიშვილობა (ქვეგვარი ქალუნდაური) სწორედ ქალის სახელიდან – ქალუნდა-დან უნდა მოდიოდეს, მსგავსად ხოშარეულისა (დ. გოგოჭური).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სავარაუდოდ – 1620 წლის ზაფხულში, ზურაბ არაგვის ერისთავი ბუდე ხევსურეთში ხევიდან შეიჭრა და სნოს ხეობით გუდანს მიადგა.

თავდასხმა იმდენად ძლიერი და მოულოდნელი იყო, ხევსურებმა მუქარანარევი მორჩილება აღუთქვეს: –

„სანეს დაგროვდეს ხევსურნი, პატრონნ ვართ ადგილისანი... ზურაბო, დაჯე, დაგვეხსენ, ნარჩომნ ვართ შენის ხმლისანი, თორ ჩვენაც შამოგეცდებით, ხოჯეგნ კარ გვიდგან ხვთისანი; მაგვივლენ მთას იქითელნი, ნაპირის ადგილისანი...“

ხარკის გარდა – ზურაბმა ყმობაც მოითხოვა და „ასტყდა სშინელი სისხლის ღვრა.“

ხევსურები დამარცხდნენ.

წაგებული ბრძოლის შემდგომ, დაგვიანებით მოჭრილი მამუკა ქალუნდაურის რაზმი მტერს ბეგენ-გორთან წამოეწია, დიდ ხევში: –

„თან მოჰყვეს ქალუნდაურსა
მამუკას შუქნი მზისანი,
ბეგენ-გორს ჩამოეწია,
ჯარნი ჭრნა ზურაბისანი...“

ბრძოლა – ზურაბის ჯარის დიდი მსხვერპლით დასრულდა: –

„ღულის ძირს წისქვილნ დაბრუნდის, ზურაბის სისხლის წყლისანი...“

ბესარიონ გაბურის ცნობით: –

როცა მამუკა “დასწევის ზურაბის ლაშქართ... სცემია მას ხმლით წყალში, მოუკლავს ერთი, ორი, სამი... ისე, რომ თორმეტი კაცი ერთბაშად დაუხოცავს...“

„მეთორმეტე ყირამალა დამდგარა...“

ეს ნიშანი იყო ღვთისგან...

მეტის მოკვლით – „ცოდვა მოეკიდებოდა“...

გამარჯვებულ ქალუნდაურს – „ნაომარში, არგამოქცევის სამანი ჩაუდგამს.“

გუდანიდან გორშელმისკენ მიმავალი გზის თავზე – ჯაჭვის კალთით აუტანია დიდი ქვა და მიწაში ჩაუყუდებია, როგორც ნიშანი „ერისთავის დამარცხებისა და ცოდვის მიტევებისა.“

მამუკა ბუჩუკურთელი

1905 წლის რევოლუციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ფშავ-ხევსურეთში.

შეგულიანებულმა ხალხმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ფიცი დადო; ადგილობრივი მოხელეები გადააყენეს და მართვა-გამგეობა – ისევ თემმა აიღო თავის თავზე.

ფიცის დამდებთა შორის მამუკა გოგოჭურიც იყო – „ვაჟაით მამუკა“, რომელიც, ჯერ კიდევ ბავშვობაში – თითქმის, ერთი საუკუნის შემდეგ ისმენდა ამბებს – ხევსურეთში, რუსეთის 1813 წლის სადამსჯელო ექსპედიციის სისასტიკის შესახებ.

ისმენდა და ბავშვობიდანვე „ამოიჭრა გულში“ რუსეთის სიძულვილი.

დღეს, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად მოიხსენიებენ.

ბრძოლისთვის იარაღი იყო საჭირო;

სადარა არაბულთან ერთად, მამუკა თავს დაესხა – თიანეთის მახლობლად დაბანაკებულ სამხედრო ნაწილს.

ჯარისკაცი მოკლეს და იარაღი გაიტაცეს.

მათი ლიკვიდაციის მიზნით, ხელისუფლებამ უკიდურეს ზომებს მიმართა: –

გამუდმებით იგზავნებოდა ხევსურეთში პოლიციელთა რაზმი;

დაუნდობელ რეპრესიებს მიმართეს ყველას მიმართ, ვისთანაც აბრაგი მეგობრები თავს აფარებდნენ.

„არბევდნენ მერცხლის ბუდესავით კლდეებში მიმალულ სოფლებს.“ შეიპყრეს და აწამეს მათი ოჯახის წევრები – მათ შორის ქალები და მოხუცები.

სადარა არაბული მოკლეს (მოწამლეს)...

მისი მკვლელობის შემდგომ, მამუკა რამდენჯერმე გაუსხლტა პოლიციელთა ალყას.

ვერაფერი მოუხერხეს და გუდამაყრელი მეცხვარე, ბოლენა ჩოხელი მოისყიდეს;

მისი მეშვეობით, ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს და ბალთაში ჩაიტყუეს...

შეპყრობის მომენტში, სიცილით შემოიხსნა პატარა ხანჯალი, რუს სამხედროს ქარქაშიანად გაუწოდა და, როცა გახარებულმა ოფიცერმა ხანჯლის ბუდეს ხელი წაავლო – მახვილი ატაკა გულში.

ძვირად დაუსვა მტერს თავისი სიცოცხლე...

ვიდრე გონს მოვიდოდნენ – კიდევ რამდენიმე კაზაკი გამოასალმა წუთისოფელს – რკალი გაარღვია, გაიქცა და...

ტყვიებით დაცხრილეს...

მისი მკვლელობიდან 10 წლის შემდეგ, ანუ, 1912 წელს, მისმა მცირეწლოვანმა შვილებმა, იმედამ და ბაბუამ, მამის მეგობრებისა და თანამზრახველების – „მოხევე ქერათ აქსიას“ (აქსია ქერაშვილის, ანუ, ბუჩუკური აქსია დიმიტრის ძეს) და უქათ მამუკა ბურდულის შემწეობით – შორიდან დამიზნებით მოკლეს ბოლენა ჩოხელი.

აღნიშნულის შესახებ ვესაუბრე, მაშინ უკვე 80 წელს გადაცილებულ, პროფ. გ. გოგოჭურს – რომელმაც იცოდა გოგოჭურ-ბუჩუკურ-ქერაშვილების „მამიძმობის“ შესახებ, მაგრამ ქერეთ-აქსიაზე ინფორმაციას არ ფლობდა.

რომ მცოდნოდა, „სათავეებში“ მოვიხსენიებდიო – ინანა მოხუცმა, რომელიც აღნიშნულ ნაშრომში საინტერესო პარალელს ავლებს მამუკა ბუჩუკურთელსა და „გუროელ მამუკას“ (ქალუნდაურს) შორის: –

„მთელი სამასი წელი, სამი საუკუნე დგას მათ შორის, მაგრამ ეს ორი პიროვნება არამარტო გვარსახელითაა მსგავსი, არამედ ხასიათითაც;“

„ერთი თუ ფეოდალურ ძალმომრეობას ებრძოდა, მეორე რუსი ჩინოვნიკების თავგასულობას ეწინააღმდეგებოდა;“

„რუსული ჩექმის სიმძიმე კი, ზურაბ ერისთავის ლაშქრობებზე არანაკლებ იწვნიეს ხევსურებმა“ („სათავეები“).

ბუჩუკურები

ხევის ახალციხეში – ბუჩუკურები, ქერაშვილები, ფადიაურები და ჩაბაიძეები სახლობდნენ.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ბუჩუკურების გვარი ბუჩუკურა გოგოჭურისგან მოდის.

ანდრეზის მიხედვით: –

პირაქეთი ხევსურეთის მკვიდრი, ბუჩუკურების განაყარი – გოგოჭურთ გვარი – თორღვა ძაგანისძემ დაასახლა ფშავში, თუშეთსა და პირიქითი ხევსურეთის ზოგიერთ სოფელში.

სოფ. ბუჩუკურთას ხევისბერს, ჯურხა გოგოჭურს – 1974 წელს, ვ. ბარდაველიძისთვის უთქვამს: –

„ჩვენ... ჭორმეშავიდან ვართ; იმაზე წამოვსულვართ იქიდან, რომ მიწა აღარ გვყოფნიდა. ჩვენი სალოცავია თავადი მთავარანგელოზის ჯვარი...“

„ძველად აქ ბუჩუკურები მდგარან, მერე მთიულეთში გადასულან. ლაშქრობა ყოფილა – ლეკებს ულაშქრავ... ამაზე შეწუხებულან და აქედან წასულან...“

„ეს ადგილები მერე დაუჭერია ჩვენ ხალხს...“

„ეხლაც მოდიან სოფელ გვიდაქედან მთიულები აქ სალოცავად...“

ციტირებული ტექსტის თანახმად: –

ბუჩუკურთაში გოგოჭურები და ბუჩუკურები მდგარან;

ბუჩუკურა გოგოჭურის შთამომავლები მთიულეთში წასულან;

სხვა მამიშვილობის გოგოჭურები – იქ, დარჩნენ; ან უფრო მოგვიანებით დასახლდნენ თავიანთი ძველი სახლიკაცების ნაფუძნარზე – მათ მიერ მიღებული გვარის თანამოსახელე სოფელში.

*

მთიულეთსა და ხევში ბუჩუკურთა გადასახლების რამდენიმე ვერსია არსებობს;

მიგრაციის მთავარ მიზეზად – მიწების უკმარისობა და მესისხლეობა სახელდება.

ს. მაკალათიას ცნობით, ბუჩუკურებს კაცი მოუკლავთ და ამის შიშით გამოხიზნულან ხევსურეთიდან.

განსხვავებული ვერსიით – ლეკებს გამორიდებიან ისინი.

ერთი ხევსურული ანდრეზის თანახმად: –

ბუჩუკურთაში მცხოვრები 9 ბუჩუკური ძმის მამიშვილობა მეტისმეტად აღზევდა და ძალადობაზე გადავიდა. ამას მოჰყვა „ორი დიდი გვარის: ბუჩუკურების და წიკლაურ-ბექაურების სისხლიანი საქმე,“ რომელმაც მთელი ხევსურეთი შეძრა.

შ. არაბულს – „წინაპართგან სმენია,“ როგორ გადავიდნენ ძალადობაზე ბუჩუკურები; როგორ წაართვეს უკენახოვლებს „სალახორხისა“ და „შუაცხვირის“ მიწები; როგორ უხოციათ ბიძა-დისშვილებს ერთმანეთი და ბოლოს – როგორ დარევიან ერთმანეთს მთელი სოფლები.

დავის საგანს წარმოადგენდა წისქვილთა ადგილები და სათიბი ფერდობები.

წიკლაურები, ხარხელაურები, ბექაურები და თლოშიაურები – მიწისა და წყლის გულისთვის, იარაღით დარევიან ბუჩუკურებს.

მდინარე სისხლით შეღებილა და განგაშის ზარს – გუდელამდე მიუღწევია.

დაპირისპირებულ მხარეთა დაოკება, მხოლოდ მეზობელი სოფლების ძალისხმევით მოხდა.

შეკრებილან ჭკუასაკითხავი მსაჯულნი და „სჯულს კანონით“ ბუჩუკურები გაუმტყუნებიათ.

გიგა გიგაურს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა და უკანახოელი ქალის, ხადაანთ ბექაურის შვილი იყო – უთქვამს:

ბუჩუკურებმა დაარღვიეს დადგენილი საზღვრები...

როგორც იყო, ისე უნდა აღდგეს და სადავო მიწები უკანახოელებს დაუბრუნდესო.

ბუჩუკურები ყაბულს არ ყოფილან, მაგრამ შეუვალი ყოფილა გიგაც: –

თუ თანახმანი არ ხართ, გიგაურებიც უკანახოვლებს მივემხრობით და ხმალმა გადაწყვიტოსო სიმართლე...

მორიდებიან ბუჩუკურები მტერმოურეველ გვართან დაპირისპირებას.

*

უკანახოელებსა და ბუჩუკურებს შორის მომხდარი ზემოაღნიშნული ხოცვა-ჟლეტა შესაძლებელია, ბუჩუკურთა მიგრაციის მიზეზი – მართლაც გამხდარიყო, მაგრამ ხალხურმა მეხსიერებამ უფრო ჰეროიკული ვერსიაც შემოინახა – რომელიც ზურაბ (თუ, ნუგზარ) არაგვის ერისთავის ხევსურეთში ლაშქრობას უკავშირდება.

გადმოცემის თანახმად: –

სიმურთგორზე – ბუჩუკურების ციხე სდგომიათ – მტერთაგან შეუვალი.

არაგვის ერისთავმა ღალატით აიღოო იგი.

ექვს ძმას – თურმე, თავები დასჭრა; სამი – ვაჟკაცობისთვის დაინდო.

ორი მათგანი ხევსურეთიდან აყარა და ერთმანეთის მოშორებით – მთიულეთის სოფელ გვიდაქესა და ხევის ახალციხეში გადაასახლა.

მესამე ძმა – ერთი ვერსიის მიხედვით, ბუჩუკურთაში დატოვა;

მეორე ვერსიით – ტონჩაში, დუშეთის რაიონში ჩაასახლა.

*

ბუჩუკურთელთა მიგრაციის სერიოზული მიზეზი გახდა 1922 წლის ხევსურეთის აჯანყება ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

სამთავრობო ჯარმა პირწმინდად გადაწვა ეს სოფელი.

მოსახლეობამ დედაწულიანად მიატოვა საცხოვრისი და მიუდგომელ ადგილებში გაიხიზნა...

ბუჩუკური ბულელიანები

ხევის ახალციხეში ბუჩუკურების სამი შტო სახლობდა: – ბულელიანები, ხაფიენი და ხაფანენი (ჩვენი, ხაფანეთ ქერაშვილების განაყრები).

1831 წლის აღწერის თანახმად, ბულელიანები ივანე ქერაევის (ქერაშვილის) შტოდან მოდიან და 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული – ივანეს „ობოლი ქერას“ შთამომავლები არიან.

მათი წინაპარი ბულელა ყოფილა.

ხალხური მეხსიერების მიხედვით – ქერას და ხაფანას უფროსი ძმა.

1774 წლის აღწერით ახალციხეში მოხსენიებული ქერაინი, დიდი ალბათობით, ივანეს უფროსი ძმაა.

მისი შვილიშვილის შვილია, სნოს ეკლესიის ჩანაწერის მიხედვით, 1854 წელს ქოსელთაში გარდაცვლილი, სიმონ იოსების ძე ბუჩუკური.

მისი შთამომავლობა ეწერებოდა როგორც ბუჩუკურის, ისე ბულენიშვილის და – უმეტეს შემთხვევაში, ქერაშვილის გვარით.

ქერაინის შტო ჩვენამდე ვერ აღწევს.

სნოს ეკლესიის ჩანაწერებში ისინი, ბოლოს, 1914 წელს ჩანან.

ივანე ქერაევის სამი ძმიდან (ხუხა-გიორგიდან, ნიკოლოზიდან და ბესარიონიდან)

– ბულელიანების სამი შტო მოდის: –

გიორგი-ხუხასგან – გივარგენი და დათიენი;

ნიკოლოზისგან: – თითიკვენი, იოშკენი და სანდრო-ბართლომეს შტო.

ბესარიონისგან: – სტეფანიენი და ხოხონენი.

თავად ივანე ქერაევის საკმაოდ დიდი კომლიდან – დღემდე ვერავინ აღწევს.

ბულელიანები ჯიშ-ჯილაგიანი, მშრომელი და მებრძოლი ხევისკაცები ყოფილან ოდითგან.

ხალხური მეხსიერების თანახმად: –

ჯუთას უცხოვრია ტან-ჯანიან ხევსურს, სახელად ბეწინას, რომელსაც ხევში განთქმული ხმალი ჰქონია, „დავით-ფერული."

ღალანგურობას – ჩხუბი გამხდარა.

ბეწინას ხმალი გაუძრია და „საკეჭნად" გაუთხოვია ახალციხლები.

ბულელაანთ სტეფანაი (იგივე – ბაი) გასულა საპირისპიროდ...

ხმალი წაურთმევია და ფეხქვეშ გაუგდია ბეხლეწი ხევსური...

ამ შემთხვევას ხალხური ლექსიც ეხმიანება: –

„აქებენ ახალციხესა მაგ ლეგიაის შვილსაო,
ხვედრია მაღალ ბეწინას, უგია წიხლის ძირსაო,
ეუბებიან ხევსურნი (ბეწინას), დალევა შენის დღისაო,
მაგოდენაი კაცი ხარ, მაგიამ (პატარამ) ჩაგდვა ძირსაო..."

*

XIX ს-ის ყველა აღწერაში – ბულელიანები ქერაშვილებად არიან აღრიცხულები.

საეკლესიო ჩანაწერებში – ქერაშვილებად, ბუჩუკურებად და ბულენიშვილებად ფიქსირდებიან.

ისინი ხევის სხვა სოფლებშიც სახლობდნენ: –

1831 წელს – სნოში გარდაიცვალა ხუხა ბუჩუკურის ცოლი;

1854 წელს – ქოსელთაში გარდაიცვალა სიმონ იოსების ძე ბუჩუკური...

ბუჩუკურების რამდენიმე კომლი სახლობდა სოფ. მიგუდაში.

1873 წლის აღწერით – იქ, ციხელაშვილი-როსტომაულიბის მეზობლად, ბუჩუკურების 3 კომლი სახლობდა;

მათ შორის გიგოლა ქეროს ძე ბუჩუკურიც.

ხაფიეთ-ბუჩუკურები (ხაფიენი)

XIX საუკუნის II ნახევარში – ახალციხეში მცხოვრებ ბულელიანებსა და ხაფანაშვილებს (ხაფანეთ) – დაემატა ბუჩუკურების ახალი მამიშვილობა, ხაფიენი – რომლებიც 1860-1873-1886 წლების აღწერებში, მათ მსგავსად, ქერაშვილის გვარით არიან ჩაწერილები.

პირველად – სნოს ეკლესიის ჩანაწერებში ჩნდებიან 1857 წელს; შემდეგ, რამდენჯერმე, თავიანთი პატრონიმის, ხაფიას სახელი აქვთ გაგვარებული და ხაფიაშვილებად ეწერებიან.

1857 წლის საეკლესიო ჩანაწერის მიხედვით: –

ხაფია გიორგის ძე ქერაშვილს შეეძინა ილარიონი.

დიდი ალბათობით, ჩანაწერი ეხება ხაფია თომას ძე ბუჩუკურის ძმის, გიორგის შტოს, რომელიც ქისტებმა მოკლეს და რომელსაც შესაძლებელია ყოლოდა ძმის თანამოსახელე შვილი, ხაფია გიორგის ძე – ვისაც ილარიონი შეეძინა (მისი შთამომავლობა ჩვენამდე ვერ აღწევს).

1860 წლის აღწერით მოხსენიებულია: – ხაფია თომას ძე ქერაშვილი, 50 წლის; მისი შვილები: ანდრეი, 12 წლის; დემეტრე, 8 წლის; იოსები (იასე), 5 წლის, ივანე, 2 წლის.

ხაფიეთ ბადრი ბუჩუკურის ქალიშვილის – თინიკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით: –

მათი საგვარეულოს პატრონიმის (ხაფიას) მამას – თომა ბუჩუკურს, სამი ვაჟი ჰყავდა: – ხაფია, გიორგი (რომელიც ქისტებმა მოკლეს) და მამის მოსახელე თომა.

ხაფიას (1810-1873 წ.წ.) 5 ვაჟი ჰყავდა: – ანდრეი, ტეტე-დემეტრე, იასე, ივანე და სოლოლა (სოლომონი).

1886 წლის აღწერაში მითითებულია, რომ ხაფიეთ ანდრეის და დიმიტრის კომლები – ბალთაში გადასახლდნენ.

გადმოცემის თანახმად, ანდრეი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა.

მისი მეუღლე – სოფიო, სათნო და ღვთისნიერი ადამიანი, 1909 წლამდე ახალციხეში მოიხსენიება.

მათი ერთადერთი ვაჟი, სოლომონი – მოგვიანებით, დუშეთის რაიონის, სოფ. ჭოპორტში დასახლდა.

ტეტეს – 7 ვაჟი ჰყავდა: – ვანო, 7 წლის გარდაიცვალა; ადია – უცოლო დარჩა; იობის ცოლი – მირიქეთ ქალი, უშვილო იყო; ივანეს (ვანეს) 4 ვაჟი შერჩა; სოლელას – ერთი.

ხალხური მეხსიერების თანახმად: –

ხაფიას, თავისი ძმის (გიორგის) მკვლელობისთვის, ქისტების სისხლი აუღია და მისი მარჯვენა – ახალციხეში სახლის დედაბოძზე გაუკრავს.

„მკლავი ბოძზე ჩამამხმარა.“

1942 წელს, „ხაფიეთ ქალებს შიში გასჩენიათ – ფაშისტებს თავიანთი არ ეგონოთო და „ჩამაუხსნიათ.“

ხაფიას სახლში, ბოლოს, გიორგი (გოგი) ბუჩუკურის მშობლები ცხოვრობდნენ.

ბატონმა გოგიმ – წიგნიერმა, თავისი კუთხის მოყვარე ხევისბერმა – ბევრი საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა.

მსიამოვნებდა მასთან ურთიერთობა.

რისი დაჯერებაც არ სურდა – მიდიოდა და არქივში თავად ამოწმებდა.

*

1863 წლიდან ხაფიენი – თავს ბუჩუკურებად მიიჩნევენ.

გადმოცემის თანახმად – ჭართლიდან არიან მოსულები.

დიდი ალბათობით, ძირად გიგაურები უნდა იყვნენ (არა „ჩეკიენი“).

დაზუსტება XIX ს-ის აღწერებით არის შესაძლებელი (რისი დროც – სამწუხაროდ, ვეღარ გამოვნახე).

ქერაშვილები

ხევის ერთ-ერთი ძირძველი გვარია.

მათი შორეული წინაპრები ხევსურები ყოფილან, გოგოჭურები.

ქერა – მამაკაცის საკუთარი სახელია, რომელიც, ერთი ვერსიის თანახმად, ქერით სავსე ბეღელის მეპატრონე (შეძლებული სოციალური მდგომარეობის მქონე) ვაჟკაცისგან – ქერბეღელასგან მოდის.

განსხვავებული ვერსიით, ის გენეტიკურ ფაქტორს უკავშირდება – ქერა ულვაშებისა და შავ თმებს (რაც აღნიშნული გვარის მამაკაცების მახასიათებელი ყოფილა).

მოხევე ბუჩუკურების და ქერაშვილების წინაპარი გოგოჭურები – ჭორმეშავიდან მისულან ხევსურეთის სოფელ ბუჩუკურთაში; იქ გაუგვარებიათ ბუჩუკურობა და იქიდან წასულან (თუ არაგვის ერისთავს გადაუსახლებია) ისინი მთიულეთსა და ხევში (გვიდაქესა და ახალციხეში).

განსხვავებული ვერსიის მიხედვით, ახალციხელი ბუჩუკურები და ქერაშვილები იმ გოგოჭურებიდან მოდიან, რომლებიც თამარმა – ხევში, ხდეს ხეობის საყარაულოდ ჩაასახლა.

ს. მაკალათიას ცნობით: –

16 წლის ვახტანგ გორგასალმა, როცა დარიალის ციხე ოსებისა და ხაზარებისგან გაათავისუფლა – ის, „სტეფანწმინდლებს“ ჩააბარა და ორი დროშა გადასცა.

ერთი – მოხევეებმა ლარსთან აღმართეს; მეორე, ხდეს – გვირგალაის („მგრგვალაის“) წვერზე.

„იმ დროიდან, ხდე სტეფანწმინდელებს ეკუთნოდა თამარ მეფემდის.“

„როდესაც თამარი ხევში შემოსულა, სტეფანწმინდელები დაუბარებია და უთქვამს“: –

„თქვენ ვახტანგ მეფიდან ჩვენი ერთგულები ხართ და როგორც გულადი მეომრები თქვენგან სამი კაცი ჩემს მუდმივ სამსახურში უნდა იყოსო.“

„ამასთან ერთად, განთავისუფლებთ ხდეს ყარაულობიდან და ამ საქმეს ხევსურებს ვაკისრებო.“

„იმ დროიდან ხდეში ხევსურები გადმოსახლებულან და ეს ადგილი მათ სჭერიათ რუსების შემოსვლამდის“.

ვახუშტი ბატონიშვილი ამოწმებს რომ: – მდინარე ქისტურას (კისტინკას) ხეობაში მდგარა მეფე დავით აღმაშენებელის მიერ აგებული ციხე, რომელიც საქართველოს საზღვარს იცავდა.

ანდრეზის თანახმად: –

ხევსურ მეციხოვნეთა შორის, რომლებიც იმ ციხეში მდგარან – გოგოჭას „სახლიდან“ წამოსულებიც იყვნენ.

მეომართა ეს კასტა, საბოლოოდ, ხევში დამკვიდრდა.

მათმა შთამომავლებმა – თითქმის, 700 წელი უდარაჯეს საქართველოს საზღვრის ამ ურთულეს მონაკვეთს.

„ხდეს ხეობის ყარაულობიდან ისინი რუსებმა გაყარეს, ხდეზე და ლარსზე საქართველოს დროშები მოხსნეს და ორივე ხეობა გ. ყაზბეგს ჩააბარეს“ (ს. მაკალათია).

„გოგოჭას სახლიდან“ წამოსული ერთი მეციხოვნე – გადმოცემის თანახმად, სოფ. ახალციხეში დამკვიდრდა.

მისი „ჩამამავლობიდან“ წარმოსდგა მოხევე ბუჩუკურებისა და ქერაშვილების გვარი.

როდის – ან სად გამოეყო ბუჩუკურების (ან ქერაშვილების) გვარი გოგოჭურებს (ან ქერაშვილების გვარი ბუჩუკურებს) – ძნელი სათქმელია.

მოხევე ბუჩუკურების (ანუ, ბუჩუკურას შტოს) – გოგოჭურებიდან გამოყოფა, ან ახალციხეში მოხდა – ან ჯერ კიდევ ჭორმეშავში, სადაც მათი კომლი ორად გაიყო: – ერთი ბუდე ხევსურეთში (ბუჩუკურთაში) დამკვიდრდა; მეორე – ხევის ახალციხეში.

აღნიშნული, რასაკვირველია, არც იმას გამორიცხავს რომ: – უფრო მოგვიანებით – ზურაბ (ან ნუგზარ) არაგვის ერისთავმაც გადაასახლა ხევში – ბუჩუკურის გვარის ერთი მეამბოხე.

ფაქტია რომ: –

ერისთავების ზეობის პერიოდში (1630 წლამდე), ხევში – ქერაშვილების უკვე რამდენიმე თაობა სახლობდა (ქერა, ქერბეღელა, ქერბეღელას ძე).

მეცნიერებაში დადგენილი წესის მიხედვით, თაობათა შორის დისტანციას თუ 35 წელს ვიანგარიშებთ – ქერაშვილები ახალციხეში – ზურაბ არაგვის ერისთავამდე, ერთი საუკუნით ადრე მაინც უნდა იყვნენ დასახლებულნი.

გასათვალისწინებელი ფაქტია ისიც რომ: –

ზურაბის პერიოდში, „ქერენი“ იმდენად აღზევებულნი იყვნენ – შიოლა ღუდუშაურთან დაპირისპირებას ბედავდნენ და დაუმოყვრდნენ კიდეც მას.

ახალმოსახლეთაგან ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო: –

ერისთავების მოურავი ცოლად არ მისცემდა საკუთარ დას – ზურაბისგან (მისი ბატონისგან) შერისხულს.

*

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

ქერაშვილები და ბუჩუკურები „ერთი წინაპრის შთამომავალნი არიან. უფრო სწორად, ქერაშვილები ბუჩუკურებიდან მომდინარეობენ.“

1774 წლის აღწერის დავთარში ერთი კომლი „ქერაინიშვილი“ და 4 კომლი „ქერაი“ („შვილი“ სუფიქსის გარეშე) არის დასახელებული.

XIX საუკუნეშიც ყველა მათგანი ქერაშვილად იყო ჩაწერილი (1831 წელს – 7 კომლი, 1860 წელს – 17 კომლი, 1873 წელს – 18 კომლი, 1886 წელს – 22 კომლი).

არცერთი მათგანი ბუჩუკურის გვარს არ ატარებდა.

ჩანს, რომ მხოლოდ გვიან, XIX-XX სს მიჯნაზე, ქერაშვილების ნაწილი კვლავ დაუბრუნდა წინაპართა გვარს, ბუჩუკურს (მოხეური გვარ-სახელები, 1998 წ. გვ. 30).

ეჭვგარეშეა რომ: –

პირველად ახალციხეში დაირწა ქერაშვილის აკვანი.

იქ დაიბადა და სამარადჟამოდ დამკვიდრდა ეს გვარი, რომელიც XVII ს-ის დასაწყისში, იმდენად აღზევდა, ზურაბ არაგვის ერისთავის მრისხანე მოურავს – შიოლა ღუდუშაურს დაუმოყვრდა.

შიოლას მკვლელობისა და ქერაშვილების სახლში დატრიალებული ტრაგედიის შემდგომ, ამ ორი გვარის ურთიერთობას – უბედურებათა მთელი ჯაჭვი გადაება.

საბოლოოდ – გონიერებამ გაიმარჯვა და მოყვრობა სამარადისოდ აღდგა.

1631-1774 წ.წ. შუა პერიოდში – ქერაშვილებს ახალი უბედურება დაატყდა თავს

– დაუდგენელი ეტიოლოგიის „სახადით“ გაწყდნენ.

გადარჩა მხოლოდ ერთი მამაკაცი, რომელიც ხევსურეთში (არხოტში) გადაიხვეწა, სადაც ოჩიაურის ქალზე დაქორწინდა და მოგვიანებით – ოჯახთან ერთად დაუბრუნდა წინაპართა ადგილსამყოფელს, ხევის ახალციხეს.

მათი შვილებიდან დაიწყო ქერაშვილების „მეორედ მოსვლა.“

მათგან მოდის დღევანდელი ქერაშვილების ყველა შტო.

ღუდუშაურები და ქერაშვილები

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან, ქერაშვილების ისტორია მჭიდროდ უკავშირდება შიოლა ღუდუშაურს.

ორივე ამ გვარის ძირძველი ურთიერთობის რთულ ნიუანსებში გასარკვევად, აუცილებელია ხევის ადათ-წესების, კერძოდ: – დამოყვრების ტრადიციის, და-ძმობის ფიცის და სტუმარ-მასპინძლობას ადათის ცოდნა.

შევეცდები – შეძლებისდაგვარად მოგახსენოთ მათ შესახებ.

დამოყვრება

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მოხევეები სამი სახის ნათესაურ ურთიერთობას აღიარებენ: სისხლისმიერს, მოყვრობითს და ხელოვნურს.

სისხლისმიერი ნათესაობა დედ-მამიდან მოდის.

ხელოვნური დანათესავების საშუალებაა: „ეჯიფ-ხელისმამკიდეობა,“ „ნათლიობა,“ „ძმად გაფიცვა,“ „დაძმობილება“ და „სამამისძმო“ ურთიერთობა, რომელიც რამდენიმე გვარის ურთიერთსიახლოვეს, ხატობა-დღეობათა ერთად გადახდას და ერთი ხატის ყმობას გულისხმობს.

მოყვრობითი ნათესაობა დამძახლებით – ორი ოჯახის წევრებს შორის საქორწინო კავშირის დამყარებით იქმნება.

„საქორწინო ურთიერთობები – ხევში ისეთი მკაცრი კანონებით რეგულირდებოდა, თემი ისეთი სისასტიკით უსწორდებოდა „ადათ-რჯულის“ შემლახველს, რომ მის დარღვევაზე, ფიქრიც კი შეუძლებელი იყო“ (ვალ. ითონიშვილი).

სისხლის სიწმინდის დაცვა მოხევეთათვის უზენაეს ღირებულებას წარმოადგენდა – საღვთო რჯულის მოთხოვნათა რანგში აყვანილს.

საკუთარი სისხლისა და გენოფონდის სრულყოფის მიზნით, ისინი უძველესი დროიდან ჯიშიანი გვარებისკენ ილტვოდნენ.

დამოყვრების გადამწყვეტი საფუძველი „ჯიშ-ჯილაგიანობა“ იყო.

„უჯიშო და უჯილაგო“ ნათესაურ ჯგუფთან დამოყვრებას სასტიკად კრძალავდა „ჯიშ-ჯილაგიანი“ „საგორეულო.“

„ამ ცოდვის ჩამდენი „განწირული იყო;“ ნათესაობა მას „მოიკვეთდა“ (ვალ. ითონიშვილი).

მხარეთა შორის დამოყვრების (გარიგების) პროცესს ალ. ყაზბეგი აღწერს: –

„რაკი ბავში შეიქნება თხუთმეტის წლისა, ის დაიწყებს სახატოებში სიარულს და იქ თავისი ნათესავების შემწეობით ეძებს საცოლედ ქალს, რომელიც რამწამს შეხვდება და მოეწონება, შეატყობინებს იმ ნათესავსა და ეს კი დედ-მამას, რომლებიც

მაშინთანავე გაუგზავნიდნენ შუა კაცებს ქალის სახლს.“

„იქ ისინი მოილაპარაკებენ, ეტყვიან და პირველი დედ-მამის პასუხი უეჭველად უარი იქნება, თუნდა თვითონ დედ-მამას გულითაც უნდოდეთ მთხოვნელზე თავისი ქალის გათხოვება.“

„რამდენიმე ამისთანა მისვლა-მოსვლის შემდეგ, დედ-მამა მისცემენ ნებას და შუა კაცები დაბრუნდებიან გახარებულები.“

„ორი დღის შემდეგ შუა კაცები წაიყვანენ დედას, თან წაიღებენ ერთს ბოთლს არაყს და სამი მანეთიდგან ხუთს მანეთამდინ ფულს.“

„ეს გახლავსთ ნიშანი.“

„ქალის სახლობა გაუკეთებს ვახშამს... მარტონი, შინაურულად ატარებენ დროს და სარძლო „ქალაშავასაც“ შეატყობინებენ იმ ბედნიერობაზედ, რომელიც მოელის.“

„დასდებენ პირობას, თუ როდის შეიძლება ქალის მომზადება და მიცემა, რათა სასიძოს სახლიც მოემზადოს და დაიშლებიან.“

ურვადი და „გორმეტობა“

ოჯახების დამოყვრების პროცესში – „ნიშნის აღება და პირობის დადება თავ-ისთავად დაქორწინების საიმედო გარანტია იყო, მაგრამ საქმე ამით არ თავდებოდა.

ნიშნობიდან ქორწილამდე კიდევ არაერთი წესი სრულდებოდა, რაც პირველ რიგ-ში მატერიალურ ვალდებულებას გულისხმობდა.

ვალდებულ მხარედ სასიძოს ოჯახი ითვლებოდა.

ქალს არაფერი მიჰქონდა მამის სახლიდან, პირიქით, სასიძო ქალის სახლს უხდი-და ურვადს, ანუ „დანიშნულ ფულს“.

„ჯიშიანი“ გვარების პრივილიგირებული მდგომარეობა დიდთანხიანი ურვადის, „საგორმეტოს“ აღებით გამოიხატებოდა, რაც გვარის ავტორიტეტის და სხვასთან შედარებით „გვარით მეტობის“ გამომხატველი იყო.“

ურვადის რაოდენობის მსაზღვრელი – გამთხოვები გვარის „ჯიშიანობა“ იყო.

„ჯიშიანი“ და სახელმოხვეჭილი გვარები მხოლოდ მათზე დაბლა მდგომთაგან იღებდნენ ურვადის იმ ღირებულებაზე მეტს, რაც ნაკლებად სახელოვანი გვარის ქალისთვის იყო „საკუთვნო.“

ღუდუშაურების მიერ აღებული ურვადის ნორმა, თავდაპირველად, სხვა „ჯიშიან“ გვართა (ფიცხელაურების, ხეთაგურების, ჩოფიკაშვილების, ჩქარეულების) მიერ გან-საზღვრულ ოდენობაზე მეტი არ იყო, მაგრამ, მოგვიანებით („თემობის“ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ), მათ, საკუთარი ვერდიქტით დაადგინეს ახალი „საქორწინო გამო-საღები,“ რომელსაც „ს ა გ ო რ მ ე ტ ო“ ეწოდა და განკუთვნილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როდესაც ვაჟი ღუდუშაურებთან დამოყვრებას გადაწყვეტდა.

ახალი „საქორწინო გამოსაღები“ ითვალისწინებდა, ყველა გამოჩენილი გვარისთ-ვის კუთვნილ ურვადზე – „სართად“ 2 ძროხას და „საგორმეტოდ“ უღელ ხარს (ან ერთ შეკაზმულ სადოღე ცხენს) – ანუ, 2 ძროხით და 2 ხარით მეტს – რაც ნამეტანი იყო (ვალ. ითონიშვილი).

*

ღუდუშაურების ასეთი ზეობის პერიოდში, ასპარეზზე ჩნდება ხევში უკვე მყარად ფეხზე მდგარი ქერაშვილების რჩეული ვაჟკაცი – ქერა ქერბელელას ძე.

მას „გული ეთქმის“ შიოლა ღუდუშაურის დაზე (დარეჯანზე).

გაატანდა?

ან რა ურვადის ფასად გაიმეტებდა აჩხოტის ბატონი უბრალო მეთემისათვის ღვიძლ დას, რომელიც „ისეთივე სუფთა და მიუკარებელი იყო, როგორც ქერ-ბელელაის კოშკის ზემოთ, კიდის კალთაზე გაფურჩქნილი ყვავილი, რომელსაც ჯერ ნექტარი არ მიეცა ფუტკრისათვის“ (ლ. ბალიაური).

*

ალ. ყაზბეგი თავის ნაწარმოებებში გვამცნობს შიოლას დამოკიდებულებას საკუთარი დის გათხოვებასთან დაკავშირებით: –

„შიოლა ღუდუშაურში“ – არაგვის ერისთავის მოურავი – ირემას ცოლად არ აძლევს თავის დას – მოსისხლედ ეკიდება სასიძოს.

„ნინოს“ გმირი (გიორგი) – საგონებელშია ჩავარდნილი... დარდობს; იცის რომ – ერისთავის სკამში მჯდომი ღუდუშაური, ნუნუს არ გაატანს.

ქერა – ამ ორი პერსონაჟის პროტოტიპია.

სწორედ მას ჰქონდა ასეთი პრობლემები.

იყო ქალის არაერთგზის „თხოვნა“ და ღუდუშაურების ამდენივე უარი.

მეციხოვნეთა შთამომავალი „ქერენიც“ ვერ ეგუებოდნენ მოურავის „გორმეტობას“;

თავს უტოლებდნენ აჩხოტის ბატონს.

გადმოცემის თანახმად: –

განაწყენებულ სასიძოს – ბეგარის გადახდაზეც უთქვამს უარი და მთლად გაუცოფებია აჩხოტის ბატონი...

მხლებლებთან ერთად დატაკებია სასიძოს...

საკუთარი სისხლის გუბეში დაუგდიათ სულთმობრძავი ქერა – რომელიც მხოლოდ დედის სასწაულმოქმედი „აქიმობით გადარჩა.“

*

მთის კანონი შურისძიებას ითხოვდა: –

გაჯანმრთელებული, „მხრებგანიერი და მკერდმაღალი“ ქერა – სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეღობა წინ, ართხმოს გზაზე მიმავალ აჩხოტის ბატონს.

შეხვედრა სასწაულს – „მკვდრეთით აღდგომას“ ჰგავდა.

სისხლის დანთხევაც გარდუვალი იყო, მაგრამ არც ისეთი პიტალო აღმოჩნდა მოურავი: –

მან ხომ „განსჯობისათვისაც“ მიიღო ჯილდოდ „ერისთვის სკამი“ – „მხნეობის გარდა.“

ამბობენ რომ: –

„დაზავება“ დამოყვრებაზე თანხმობით მოხდა.

და-ძმობის ფიცი

მოხევეები ხშირად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს ძმად გაფიცვით და და-ძმობილებით – რაც ფიცით შეკრულთა მხრიდან მკაცრად დაკანონებული ადათ-წესების დაცვას მოითხოვდა.

ეს იყო მთიელთა დანათესავების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც „ნათელმირვნობაზე“ ნაკლები პატივით არ ეპყრობოდნენ.

ის შემთხვევით არ ხდებოდა.

მსურველებს ჯერ უნდა ერთმანეთი გაეცნოთ და გამოეცადათ.

როდესაც დარწმუნდებოდნენ, რომ ერთმანეთს ძმობას (ან და-ძმობას) გაუწევდნენ, საკითხი მათ ოჯახებში განიხილებოდა, ანუ, ეს იყო შეთანხმებული – გააზრებული მოქმედება და ურთიერთდამოკიდებულება.

ოჯახის წევრთა თანხმობის შემდგომ, ერთ-ერთ ოჯახში სუფრა იშლებოდა, რომელსაც ორივე მხარის წარმომადგენლები სრულად ესწრებოდნენ (უხუცესების მეთაურობით) და ადათით დადგენილ რიტუალს აღავლენდნენ.

„ხევში ძმად გაფიცვის სამგვარი წესი „დამოწმდა“: –

ერთ შემთხვევაში: მსურველები ვერცხლს ჩათლიდნენ არყიან სასმისებში, ხელი-ხელ-გადაჭდობილი დაცლიდნენ და ერთმანეთს ასეთი სიტყვებით მიმართავდნენ: –

„დედაშენი – დედაჩემი; მამაშენი – მამაჩემი; შენი და – ჩემი და...

მეორე შემთხვევაში: პროცედურა – ხელის თითების გაჭრით და „სისხლის გაზიარებით“ (ჭრილობების მიდებით) სრულდებოდა.

მესამე – სახელდახელო ვარიანტი, ტყვიების გაცვლით სრულდებოდა.

*

და-ძმობილება – რძით სავსე სასმისებში ვერცხლის ჩათლით და სასმისების გამოცლით ხდებოდა.

ამ რიტუალის შემდგომ, „ფიცვერცხლნაჭამნი“ – სისხლისმიერ და-ძმებს უთანაბრდებოდნენ;

ნათესაობის ახალ ჯგუფს ქმნიდნენ და ურთიერთდამოკიდებულების სავალდებულო წესებს იცავდნენ.

სისხლის გაზიარებით და-ძმობილებულთა შთამომავლების ქორწინება შვიდ თაობამდე იკრძალებოდა.

ამ ვადაზე ადრე დაქორწინებულთ – თემიდან დევნიდნენ.

ძმადნაფიცობა (და-ძმობა) უდიდესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება იყო.

მათ ერთმანეთის ჭირი და ლხინი უნდა გაეზიარებინათ; ერთმანეთის პრობლემები მოეგვარებინათ; მტერ-მოყვარე საერთო უნდა ჰყოლოდათ და ერთმანეთის გულისთვის სისხლი უნდა აეღოთ.

ძმადნაფიცს (დადნაფიცს) ძმაზე წინ აყენებდნენ.

სულიერი ძმობა – ფიზიოლოგიურს აღემატებოდა.

სტუმარ-მასპინძლობა

მთის ძველთა-ძველი, უმნიშვნელოვანესი ტრადიციაა, რომლის შეუსრულებლობაც ზნეობრივ-მორალური ნორმების დარღვევად აღიქმებოდა და ხშირად კონფლიქტის მიზეზი ხდებოდა დამრღვევსა და საზოგადოებას შორის....

ის წარმოადგენდა – სულიერ, საკრალურ ცოდნათა ერთობლიობას და დასაბამს ღვთაებრივი პირველწყაროდან იღებდა.

„სტუმარი ღვთისაა!“

ღვთისგან მოგზავნილად არის მიჩნეული და შემთხვევითი არ არის, რომ ყველაფერი კარგი და საუკეთესო მისთვის ემეტებათ (თ. შიოშვილი, სტუმარ-მასპინძლობა ქართულ ფოლკლორში, 2009).

ქართველი მთიელი სტუმარს, ზოგჯერ, ორივე მუხლზე დაჩოქილი ადღეგრძელებდა – როგორც ღმერთს.

„როდესაც სასმელს ასმევს ხევსური სტუმარს – ცალ მუხლზე დაჩოქილი, თავშიშველი სდგას მის წინ“ (ვაჟა-ფშაველა).

მთელი სოფლის და თემის წინაშე იყო ანგარიშვალდებული ოჯახი – სტუმრის სათანადო მიღებაზე.

თემ-სოფლის ღირსებად აღიქმებოდა ეს რიტუალი.

*

ხევში გამოვლენილია სტუმარ-მასპინძლობის რამდენიმე თავისებური ტრადიცია – რომელიც ფადიაურების და ქუშაშვილების მაგალითზეა წარმოდგენილი, წინამდებარე წიგნის ერთ-ერთ მომდევნო თავში – „ქოსლელი ფიცხელაურები და ფადიაურები“.

ღუდუშაურები, ქერაშვილები
და
მთრეხელი

და-ძმობის ფიცის და სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას მივყევართ XVII საუკუნის ხევის ცხოვრების იმ სისხლიან ეპიზოდთან, რომელიც შიოლა ღუდუშაურის მკვლელობასთან და ქერაშვილების სახლში დატრიალებულ ტრაგედიასთან არის დაკავშირებული.

დამოყვრებული ორი გვარის საერთო ტრაგედია, რომელიც – ბოლოს, სათემო საბჭეოს მსჯელობის საგანი გახდა, შიოლა ღუდუშაურის მკვლელობით დაიწყო...

ვინ იყო მთრეხელი და რატომ მოკლა მან შიოლა ღუდუშაური?!

გადმოცემის თანახმად: –

მთრეხელი შიოლას დასთან (ქერას ცოლთან) – და-ძმობის ფიცით იყო შეკრული, მაგრამ შიოლას მტრობდა – რადგან აჩხოტის ბატონს მისი „პაპა კარკუჩიდან ეეყარა და გეეგდა...“

მთრეხის ხევი ჯუთას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, მზვარეში, ციცაბო ფერდობზე – სადაც შემორჩენილია სიპი ქვით მშრალად ნაგებ ყორეთა ნაშთები.

ამ მიდამოებში ვარაუდობს ამ. არაბული შიოლა ღუდუშაურის მკვლელის ნასახლარს.

ჯუთელები იმ ადგილზეც მიუთითებენ, სადაც „მთრეხელი მდგარა.“

ნასახლარში ჯვარია.

ქართული მითოლოგიის მიხედვით, ჯვარი იჭერს ხოლმე „რომელიმე სახლს და აიძულებს – მისი მცხოვრებნი აიყარონ იმ ადგილიდან...“

ჯვარი წმინდა ადგილზე ფუძნდება.

„წმინდა ადგილი კი მოწმინდარის, გმირის, კაი ყმის სამკვიდროა“ (ამ. არაბული).

ტიციან ტაბიძეც გმირად მიიჩნევს მთრეხელს, მაგრამ არგუმენტირებულია რ. ჩხეიძის პოზიციაც: –

„რაკი და-ძმობის ფიცი ალალ, შეურყვნელ ურთიერთობას და ერთგულებას მოითხოვს, როგორც ფიცით შეკრულთა, ისე მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების მხრიდან, „პაპის კარკუჩიდან აყრაც“ არ უნდა გამხდარიყო მთრეხელისთვის მთის ამ ძლიერი ტრადიციის, და-ძმობის ფიცის გატეხის საფუძველი. უფრო მეტიც, შიოლას რომ ეს უსამართლობა მართლაც ჩაედინა, და-ძმობის ფიცი მისთვის ხელისშემკვრელი უნდა გამხდარიყო, ასეთი სასტიკი შურისძიებისათვის.“

*

მთრეხელმა – შემთხვევით მოკლა შიოლა ღუდუშაური, თუ წინასწარგანზრახვით?!

იყო თუ არა მთრეხელი დაქირავებული მკვლელი?!

პასუხები დღემდე სადავოა.

ერთი გადმოცემის თანახმად: –

შიოლას სიკვდილით დასჯა სათემო საბჭეომ გადაწყვიტა და მთრეხელი განაჩენის შემსრულებლად მოისყიდა.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

„როდესაც არაგვის ერისთავების მიერ აღზევებულმა შიოლამ აჩხოტში კარავი დაიდგა და ხევის ბატონობა მოინდომა, შეიყარა თემობა, უყარეს სოფლებს წილი, თუ ვის უნდა რგებოდა შიოლას მოკვლა და ერგო კარკუჩას.“

„თემობიდან დაბრუნებულმა კარკუჩელმა კაცებმა სოფელი შეჰყარეს და ახალგაზრდებს შეეკითხნენ: – „ერთი კაცი მოჰკლავს, თუ მთელი სოფელი, ჩვენ გვერგო წილში შიოლაო!?“

„მთრეხელს უთქომს: მე მავკლამო!“ რადგან მისი „პაპა შიოლას ეეყარა კარკუჩითა და გეეგდა, ამისთვი იმის ჯავრი ჰქონდა მთრეხელსა და იმიტომ თქო: – მე უწილოდ გავალო...“

ამ გადაწყვეტილების შესახებ ერისთავის მოურავმა თავისი კაცისგან შეიტყო: –

„შიოლას ძმისწული ჰყვანიყო და იმას შეეტყობინა მისთვის ეს ამბავი“ (ა. შანიძის ჩანაწერიდან).

ზემოაღნიშნულის შემდგომ, სანადიროდ მიმავალი მოურავი მთრეხელს შემთხვევით შეეყარა და უკვე საქმის კურსში მყოფმა, ახირებით ჰკითხა: –

„სად მიგაქვს ძღვენიო?!

„შენს დასთანაო, უპასუხნია მთრეხელს,“ რომელსაც „ფიცი ჰქონდა ნათქომი შიოლას გათხოვილ დასთან.“

„ვიცი, რაც ძღვენი მოგაქვსო," უთქვამს სამტროდ გამზადებულ შიოლას და მისთვის მშვილდის წართმევა განუზრახავს...

აკ. შანიძის ცნობით: –

მოურავი გუდამაყარში მიდიოდა „ურჩი ყმის" ჯალაბაურის დასარბევად, რომელსაც „ბეგარა არ მიუცავ."

გზაში მას შემთხვევით შეყრია „სასტუმროდ გამართული" მთრეხელი (არხოტელი ხევსური, დედით ყამარაული), რომელიც სნოში გათხოვილ დასთან მიდიოდა.

შიოლამ მისთვის – ჯერ ცხენის, შემდეგ კი, მშვილდის წართმევა მოინდომა – მაგრამ ხევსურმა არ დაუთმო: –

„არ გაუტიე მთრეხელი, ხევს მიმავალი დისასა. ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რადაღ სთხოვდი რქისასა" – ბრალს სდებს ხალხური ლექსი აჩხოტის ბატონს.

შიოლამ – „არ დაიშალა, გადასწვდა, მხართ ნადებს მშვილდსა რქისასა" და მთრეხელმაც: – „გულს დახკრა... სხვაკე გაღვარდა, ფალავანს აჩხვატისასა."

მკვლელობის თარიღად 1631 წელს მიიჩნევენ.

აკ. შანიძის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მთრეხელი მოსყიდული მკვლელი არ არის და არც შიოლა მოუკლავს წინასწარგანზრახვით.

აღნიშნულის არგუმენტად სახელდება ის ფაქტიც რომ: –

მკვლელობის შემდეგ, მთრეხელი, ნაცვლად იმისა, რომ ღუდუშაურებს განერიდოს, სნოსკენ მიდის, სადაც „წყეულს ციხესთან შამაუძახნია:" –

„მე მოგიკალით შიოლა, გიწევთ წყლის პირას მკვდარიო."

„მკვლელი არ იმალება, ნებაყოფლობით მიდის ღუდუშაურის ციხესთან და მომხდარის შესახებ შორიდან ამცნობს „შემოჯარულ სნოვლებს."

ასეთ მოქმედებას, ხევსურული რჯულით – „შინ შამახვეწილი მტერი" ჰქვიან, რომელიც პატიებას ითხოვს...

ღუდუშაურები მოსაკლავად გაეკიდებიან გვარის თავკაცის მკვლელს...

დევნილი – ახალციხის ყოვლადწმინდის საყდარში ცდილობს თავის შეფარებას – რაც იმავე ხევსურული რჯულით, „ჯვარში შაჯდომის" მცდელობას ჰგავს – პატიების თხოვნას...

„კარნ არ დაუხვდეს ღიანი ნაგებსა დედოფლისასა..."

„კლიტე ვერ გაუტეხავ, მშვილდიც იმ კლიტეს ისრის დაკვრის დროს გაუტეხივ, გადამხტარ და პირდაპირ შიოლას დის (ქერეთ) ბანზე შამხდარ."

სასიკვდილოდ განწირული მთრეხელი, მისივე ხელით დღედაბნელებულის დის, მაგრამ დადნაფიცის იმედზე რჩება: –

„მივა და შაიხვეწების ძმისა მამკლავი დისასა: დაო, ვერ შამინახავდი? მამკლავსა შენი ძმისასა" – სასოწარკვეთილი ეკითხება იგი დადგაფიცულს.

უპრეცენდენტო შემთხვევაა: –

ძმის მკვლელი მოკლულის დას დახმარებას და სიცოცხლის შენარჩუნებას სთხოვს – XVII საუკუნის ხევის მიყრუებულ სოფელში, სადაც „სიკვდილი თვით უფალს გაუჩენია მტრისადა."

„სჯულის კანონი" ქალს დილემის წინაშე აყენებს: –

სისხლის აღება, თუ და-ძმობის ფიცი... ?!

რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომელიმე ადათს უპირატესობა უნდა მიანიჭოს და ფრთხილობს: –

„სხვა თუ ვინ შემოხვეწილას ძმისა მამკლავი დისასა?“

სასოწარკვეთილი კითხულობს ქალი – რადგან „ანდრეზად ასეთი რამ არ მამდინარა.“

ფიქრის დროც არა აქვს...

მდევარი მისწრებაზეა...

გადაწყვეტილება წამებშია მისაღები და 15 წლის მოხევის ქალი („მთვარე ხუთმეტისა“), რომელსაც „სტუმარ-მასპინძელიც“ არ წაუკითხავს (ვაჟა – დაბადებულიც არ არის!), დიდი შინაგანი ტკივილით იღებს გამაოგნებელ გადაწყვეტილებას: –

,,შამოდი, შამოგიხვეწებ, შენის მოკლულის ძმის მზემა!“

ანუ, ,,ძმის მზეზე“ ფიცით, შურისძიებაზე მაღლა – ქალი და-ძმობის ადათს აყენებს...

რამდენადმე განსხვავებული ბალადის მიხედვით, დარეჯანი ასეთი სიტყვებით მიმართავს ძმისმკვლელ ძმადნაფიცს: –

,,შამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა...“

ძმაზე, ძმის სულზე ფიქრი არ სცილდება მისი სიკვდილით გულადფუფქულ დას... მაგრამ ძმადნაფიცს თავშესაფარს მაინც აძლევს.

იგავმიუწვდომელი ქმედებაა!

ხომ შეეძლო რომ – ძმისმკვლელი არ მიეღო... სისხლის აღების ადათზე გაეკეთებინა ორიენტაცია!?

მკითხველის სახელით სვამს კითხვას რ. ჩხეიძე და თავად პასუხობს: –

არ შეეძლო! რადგან თავშესაფარს სთხოვდა ნაძმობი; მისი ძმის მკვლელი, მაგრამ მასთან ფიცით შეკრული.

*

„რატომ ეძებდა გადარჩენის გზას მთრეხელი, მაინცდამაინც მოკლულის დის სახლში.

ბედისწერამ და შემთხვევითობამ კი არ მიაგდო იქ... სხვა შანსი არ ჰქონდა.

სხვა ოჯახები მას არ შეიფარებდნენ;

ღუდუშაურებს მტრად არ მოიკიდებდნენ...“

„შიოლას და – კი, ან გატეხდა მთრეხელისთვის მიცემულ ფიცს, ან არა.“

არ გატეხა და მთრეხელის სისხლის ასაღებად – მის სახლს მიეჭრნენ მისივე შურისმაძიებელი ძმები.

„რისხვასა ჰგავდნენ ღვთისასა“.

ქმარი შინ არ ყავდა!

გადაწყვეტილება ისევ თვად უნდა მიეღო და მომხდურებს შესძახა: –

„შინ ნუ შამახვალთ, მამულნო, ნაჭაპნს ნუ მამჭრით თმისასა,

თორო მე შაგეომებით, აბჯარს ავიღებ ქმრისასა...“

მის სიტყვებში მუქარაც ისმის და ვედრებაც!

ნაწნავის მოჭრა რჯულის დაკარგვის ტოლფასია – მაგრამ სისხლის ასაღებად მიჭრილი „ძმანი“ – დასაც არ ინდობენ: –

„გააღე, თორო შენც მაგკლავსთ,

დღეს დაგიბნელებთ მზისასა!“

სასოწარკვეთილი ქალი ძმებს ემუდარება და აფრთხილებს: –

„შაფარებული სტუმარი
უნდა იფიქრათ, ვისასა!
თუ არად აგდებთ სირცხვილსა,
რას ხფიქრობთ ჩემის ქმრისასა?!
ის არ შაგარჩენთ სტუმრის თავს,
წესს არ დაარღვევს მთისასა...

არად ჩააგდეს „მამულნმა“ ხვეწნა-მუდარა „დაისა;“ – „მახკლეს“ მის სახლში სტუ-მარი – „დახვრიტეს როგორც ცხავია.“

დარეჯანმა „მამულნი მისწყივნა: –

სახლში სტუმარი მახკალით, დაიცათ, წყეულნო! არ შაგარჩენთ! ერთხან ხო იქნების მომივას ქმარიც შინ -“ო: –

„მეტად შესწუხდა დარეჯან,
კედელს აგალა თავია,
სდიოდა ცრემლის ნაკადი,
სიტყო გულთ გამამხრავია.
თმებს იგლეჯს გამწარებული,
მოსწყდა დალალის კავია...“

რაღა დარჩენოდა?!

ქმრის მოსვლამდე სოფელი შეჰყარა, წინ თავისი ქორა ხარი დაუყენა და არხოტში წასვენებულ მკვდარს სამთრეხლოს მთამდე მიჰყვა (ქორა ხარს ცოდვების გამოსასყ-იდად კლავდნენ);

ცრემლთა ნაკადით დაიტირა მისი ცხედარი და იქაც დაიქადნა: –

„მალე კი ამავიყრი ჩემს მამულთ ჯავრს“-ო.

*

სტუმრის მკვლელობამ საკუთარ ძმებზე შურისმაძიებლად აქცია ქალი, რომელ-მაც ცოტა ხნის წინ და-ძმობის ფიცი დააყენა სისხლის აღების ადათზე მაღლა...

გადამწყვეტი სიტყვა ოჯახის უფროსს უნდა ეთქვა და აჰა, ისიც: –

„მოვიდა ქერბეღელაი, ის მონადირე მთისაო.
ზურგთა ხკიდია ნადირი, ჯიხვია ათის წლისაო.“
ცოლს უთხრა: „ქალო, რას შვრები, ვის ემუქრები, ვისაო?“
– „სნოვლებსა გასაწყვეტლებსა მადლი გაუწყრეს ხთისაო!
სტუმარი მაკლეს ჩემს სახლჩი, ას-კეცი ჭირი მჭირსაო.
წადი და ერთი მაუკალ, ჯიხვი დააგდე ძირსაო.
გადააგდა და წავიდა ირემსვით მარდად ხტისაო,
მალ მიეწია სნოვლებსა, იქვე სნოს ციხის ძირსაო.
შორით დახკივლა: „დადეგით, თავზე ნუ იხვევთ ჭირსაო.
რად ხკლავდით სტუმარს ჩემს სახლჩი? მოდით, მითხარით პირსაო.“
სნოვლები ციხეს მიდიან, ერიდებიან გმირსაო.
შორით ასროლა ისარი, ერთი დაგორდა ძირსაო.

წავიდა. მინამ შინ მივა, გულჩიგა ისრივ ხკვირსაო:
„ნეტარ, რად მაკლეს სტუმარი? ვის სახლჩი ხკლავდეს ვისაო?“
სახლჩი მივიდა. დიაცსა წყაროსვით ცრემლი სდისაო.
ქერამ შეხკითხა: „რად მაკლეს, თავს რად იდებდეს ჭირსაო?“
დიაცმა ვერ თქო პასუხი, გულ-კვნესით ამასტირსაო.
მეზობელთ უთხრეს ამბავი, მაში დამშვიდდა ისაო.
„რად არ იცოდეს უბედურთ ვის შეეფარა, ვისაო?
ჩემს სახლჩი შურის ძიება არ დაულევდა ჭირსაო.
უთხარით: შური ვიზიერ, დადუმდეს, ნულარ სტირსაო.“

რა დააყუჩებს უბედურს, ჭირი ესართვის ჭირსაო“ (ივ. ფიცხელაურის ვარიანტი, აკ. შანიძე, გვ. 340-342).

როგორც ციტირებული ბალადიდან ჩანს – ქერამ სასწრაფოდ, თითქმის დაუფიქრებლად იძია შური;

სისხლით ჩამოირეცხა სტუმრის მკვლელობისთვის მიყენებული შეურაცხყოფა.

ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის პ. ზაქარაიაც: –

მას შემდეგ რაც მთრეხელი „დადნაფიცის სახლში მოკლეს, ოჯახის უფროსი სნოში მიუხტა ცოლეურებს; დამხვდურთაგან ორი მოკლა და თვითონაც ზედ შეაკვდა“ („საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები,“ თბილისი, 1988 წ.).

*

არსებობს გადმოცემის ისეთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ცოლ-ქმრის (დარეჯანის და ქერას) პოზიციები სტუმრის „მამკლავ“ ძმაზე (ცოლისძმაზე) შურისძიებასთან დაკავშირებით – საპირისპიროა: –

როცა შინ (ნადირობიდან) დაბრუნებული ქერა კითხულობს – მთრეხელი რად მოკლეს, რა ვალი ჰქონდაო და იგებს – შიოლა (შენი ცოლისძმა) „მახკლაო“...

თავს შეურაცხყოფილად არ მიიჩნევს; საჭიროდ არ თვლის მეორე ცოლისძმაზე შურისძიებას: –

„თავი თავში გასწორდა, მაუკლეს – მახკლეს;“

„აქ ომი აღარ შაიძლება – საკაცე შაუკრათ და დავასაფლაოთ-ო.“

ქმრის ასეთ გადაწყვეტილებას აპროტესტებს დარეჯანი.

მისთვის მიუღებელია, რომ სტუმრის მკვლელობა საკუთარ ძმასაც კი ეპატიოს: –

„არ მახკლავ და მე შენთან ცოცხალი ვერ ვიქნებიო“ – კატეგორიულად უცხადებს ქმარს...

„რჯულის დაკარგვას, ხალხში უქუდოდ სიარულს იქავ ძმის სიკვდილი მირჩევ, ქერეეთ გვარს ხალხში აღარ გაგევალისთ, ხალხ გეტყვისთ: სტუმარი სახლში მაგიკლესთ და ვერაი ხქენით... მაუკლავად არა გვეშველების...“

გულდათუთქულ ქალს, რომელსაც ჯერ ერთი ძმა არ დაუმარხავს, მეორე ძმისთვის გამოაქვს სასიკვდილო განაჩენი – რადგან „ღვთის მოგზავნილი“ კაცის მკვლელობა, „სჯულის კანონით“ – უპატიებელია!

(ასაეთ სიუჟეტურ ქარგას, ალბათ, ევრიპიდეც ვერ წარმოიდგენდა!).

სტუმრის მკვლელობას უდიდესი ამბოხი მოსდევს ამავე სტუმრის ხელით მოკლულის დისგან და – „ეს არც უკვირს ზეპირსიტყვიერების კოლექტიურ ავტორს, რომ-

ლისთვისაც სტუმრის შენახვა, მისი დაცვის ვალდებულება – ღვთის ნებას გამოხატავს“ (თ. შიოშვილი).

დარეჯანის საქციელი, მთიელთა ყოფაში მყარად გამჯდარი სტუმარმასპინძლობის ტრადიციის ფანატიკური ერთგულების ტრაგიკული გამოძახილია, რომელიც სახალხო მთქმელებს ისეთ სიმაღლემდე აყავთ – ვერაფერს უკიჟინებენ დას, რომელსაც ერთი ძმა არ დაუმარხავს და მეორეს სასიკვდილოდ იმეტებს.

შემაძრწუნებელია მისი საქციელი, მაგრამ, როცა ტრაგედია მოხდა – ყველაფერი ადათობრივი ნორმის ფარგლებში იყო მოქცეული.

არცერთი მთქმელი დარეჯანს არ ადანაშაულებს.

სტუმრის მკვლელობა კი, მაინც წარუხოცელ ლაქად შერჩა მის ოჯახს: –

„ვერ შაინახეს სტუმარი, ვაი, ვა დედას მტრისას-ო!“ – ზარიანი ხმით მოთქვამს მელექსე და იმასაც დასძენს რომ: – ქერას, მისი „უნებლიე დანაშაულის“ საზღაურად, განგებამ მაინც შეუწონარი რისხვა დაატეხა თავს: –

„ამბობენ ჩამაქცევასა ახალციხურის კლდისასა, თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბელელაის ძისასა...“

*

იმასაც ამბობენ რომ: –

დარეჯანმა ორივე ძმა შორიდან დაიტირა; სნოს ხვეულებთან შეყარა მთელი თემი და ხარი დაკლა.

,,კაცი გამაუგზავნეს, შიოლაის დასაფლავებაზე მოდიო, შენი ძმა იტირეო... არ ჩავიდა!“

„შამაფარებული მამიკალითო, მე თქვენსა მოვალიო...?!“

„მამის სახლში არ მივიდა; წყალგაღმით დადგა, იქ ტიროდა – თურმე, თავის ძმასა: –

შენ ხო მაგკლაო და მეც ცოცხალს მიწა დამეყარაო;

შენი მამკლავი შემეფარა და ისიც მამიკლესო;

ხათრი არ გამიწია ჩემმა მამის სახლმაო...“

„ადგა, წავიდა სახლჩი და ეგრე მაკვდა, რო თავის მამი სახლჩი არ მისულა“ (თსუფა 3641, მთქმელი ჩაჩაურ არაბული, ჩამწერი გიორგი (იური) ჯაფარიძე).

როგორც უკვე აღვნიშნე, ქერას შურისძიებას უბედურებათა მთელი ჯაჭვი გადაება.

„ამან გამოიწვია ღუდუშაურთ მხრით სისხლის ძიება, რასაც შედეგად სამ-სამი მკვდარი მოყვა – სამი ქერეეთი და სამიც ღუდუშაურთი.“

„ეს ამთვენ ხოცა სრუ სტუმრის მაკვლამ მაიყოლა.“

საქმე იქამდის მივიდა, რომ – ღუდუშაურების და ქერაშვილების ურთიერთმუსვრა, სათემოდ განსასჯელი გახდა: –

„თემმა შიოლანი გაამტყუნა... თავ-სისხლი არ ააღებინა.“

„თითონ მათ დაადო თავსისხლი, როგორც ხევის პირის გამტეხთ – რადგან არ უნდა ყოფილიყო ბატონი ჩვენს ხევში.“

ამ შემზარავმა ტრაგედიამ მრავალი მწერლის და ლიტერატორის ყურადღება მიიპყრო: –

„მარტო ის რად ღირს, ალექსანდრე ყაზბეგმა რომ სამჯერ წამოიწყო მოთხრობა

ამ სიუჟეტურ ქარგაზე და სამჯერვე უშედეგოდ.“

ჯერ „შეწყალებული“ უწოდა, ერთი აბზაცი დაწერა და გვერდზე გადადო.

მერე კვლავ მიუბრუნდა, „შიოლა ღუდუშაური“ დაარქვა და, ორიოდე გვერდის შემდეგ შეჩერდა.

მესამედ „ნინოს“ სახელწოდებით განაახლა და ისიც მიატოვა...

აშკარაა: ძალიან აღელვებდა ეს თემა.

„ხელთ ჰქონდა მზამზარეული სიუჟეტური ქარგა, მაგრამ რაღაც ფსიქოლოგიური ბარიერი ეღობებოდა, როგორც ჩანს, სამჯერ დაწყებული მოთხრობა ვერაფრით რომ ვერ მიუყვანია ბოლომდე“ (რ. ჩხეიძე).

ამავე თემას ეხება გ. კალანდაძე – მონოგრაფიაში „ქართული ხალხური ბალადა“;

ტ. მახაური (ჟურნალში „კლდეკარი,“ 1992, №2);

ამ. არაბული (1993, №2 „კლდეკარი“);

ლ. ბალიაურის მოთხრობის, „ძმის მკვლელის“, კომპოზიციური ღერძიც შიოლასა და მთრეხელის ორთაბრძოლაა;

ამავე სიუჟეტზეა აგებული გ. დოჩანაშვილის „აჩხოტელების ბატონი.“

*

ტრადიციების დაცვა – ხევში, კანონმორჩილების ტოლფასი იყო, მაგრამ – ზოგჯერ უაზრობამდე მისულმა ადათ-წესების ერთგულებამ, მკითხველს შეიძლება მ. ჯავახიშვილის სასოწარკვეთილი პერსონაჟი გაახსენოს „თეთრი საყელოდან:“ –

„ირგვლივ სულ ადათი, დილით-დილამდე ადათი და მხოლოდ ადათი...“

„თვით სიკვდილიც რომ დაუხვდეს... ვერავინ ვერ მიეშველება – „წესი ას,“ ადათია!“

„ჩვენს მამაპაპებს შამოუღიავ და ჩვენ არ უღალატებთ.“

– მაშ თქვენს წინაპრებს ყირამალა სიარული რომ დაედოთ წესად, თქვენც მაგრე ივლიდით?

– ვივლიდით, ვივლიდით...

„ვინ მეტყვის?! ვინ გამაგებინებს?! ვინ ამიხელს დახშულ თვალებს, ვინ დამიბრუნებს დაკარგულ სმენას, ვინ ამილესავს დაჩლუნგებულ ალღოს?!“

ვინა მეთქი, ვინ?!

იქნება გაღმა მითხრან...

ეგებ იქ მიშველონ –

იქ, სადაც თეთრი საყელო მელოდება...

„აუწონავია-მეთქი თქვენი სიყვარული, მაგრამ რკინასავით მძიმეა.“

„ვერა ვზიდე, ვერ მოვერიე. მიშველეთ, მომხსენით, ამიშვით, გამიშვით!“

„გამიშვით, თორემ აქლემივით დავვარდები და ვერავინ ველარ ამაყენებს“ (მიხეილ ჯავახიშვილი, „თეთრი საყელო“)...

მე თეთრი საყელო მინდა! თეთრი ქათქათა.

ქერაშვილები და ოჩიაურები

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად, ზემოაღნიშნული ტრაგედიის შემდგომ – ქერაშვილებს ახალი უბედურება დაატყდა თავს: –

დაუდგენელი ეტიოლოგიის „სახადით“ – თითქმის, მთლიანად გაწყდნენ.

XIX საუკუნის აღწერები და საეკლესიო ჩანაწერები ახალციხის მცხოვრებთა მასიურ სიკვდილობას გამორიცხავენ.

დიდი ალბათობით, კატასტროფა 1631-1774 წლებში მოხდა.

(შიოლა ღუდუშაურის სიკვდილიდან – 1774 წლის აღწერამდე, ანუ, სადღაც, 140 წლის განმავლობაში).

აღნიშნულს გვაფიქრებინებს ის ფაქტიც რომ: –

XVII საუკუნის დასაწყისში საკმაოდ აღზევებული ქერაშვილების საგვარეულო, XVIII საუკუნის 80-იან წლებში (ანუ, 1774 წლის აღწერით) – მცირერიცხოვანია; მხოლოდ ხუთი კომლით, 10-11 მოლაშქრით არის წარმოდგენილი.

გადმოცემის თანახმად: –

სახადს მხოლოდ ერთადერთი მამაკაცი გადაურჩა, ცნობილი მონადირე, განთქმული ვაჟკაცი, რომელსაც ჯიხვებზე ნადირობის „აზარი ჰქონია ათავებული...“

გარიდებია დაქცეულ კერას;

გადახვეწილა არხოტში, სადაც ძმობილი ჰყოლია ოჩიაური; ისიც განთქმული მონადირე.

ძმასავით მიუღია ქერა;

რამდენიმე წლის შემდგომ, დამოყვრებულან კიდეც;

ოჩიაურის და – შეურთავს ხიზან მოხევეს.

საგვარეულო ისტორიის ამ ფაქტს სახალხო მთქმელიც ადასტურებს: –

„ცოლად დას მოგცემ, ძმობილო,
მჯობნია გიშრის თვალისა,
სწორედ მას შეეფერება,
დედობა ქერეთ გვარისა...“

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: – არხოტელ ძმობილს ახალციხეში მოუნახულებია ქერა; შებრალებია მარტოდ მყოფი ვაჟკაცი და თვითონ მოუგვრია ცოლად – საკუთარი და.

პირველი (ალბათ უფრო სარწმუნო) გადმოცემის თანახმად, არხოტში დაცოლშვილებული ქერა – მალე, თავის წინაპართა ადგილსამყოფელს დაუბრუნდა – ხევის ახალციხეს: –

„ახიელაის ყოილმა
ხევში დაიდო ბინაო,
გატიალებულ კერასა
პატრონად მოევლინაო,
სალ კლდეზე ქერეთ ციხესა
დამცველნი გაუჩინაო,
მარტო დარჩენილ ქერასა
წყლულები მოურჩინაო...“

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ: – XVIII საუკუნის ახალციხის აღწერებით ქერაშვილების სამი თაობაა მოხსენიებული (ერთი თაობის ხანგრძლივობად მეცნიერები 35 წელს მიიჩნევენ) – შეიძლება ვივარაუდოდ: –

ქერაშვილები სახადით – მართლაც, 1631-1774 წ.წ-ში გაწყდნენ და – XVIII სს აღწერებით მოხსენიებული ქერაშვილების უფროსი თაობა (ქერაინი, ივანე, თომა, ნისრაული, ჯანუყო და ნია) ოჩიაურთ ქალის და სახადს გადარჩენილი ქერას შთამომავლები არიან.

ხალხური მეხსიერების თანახმად – მათ სამი ვაჟი შეეძინათ: ბულელა, ქერა და ხაფანა (აქედან: ბულელიანები, ქერენი და ხაფანენი).

მათი შვილებიდან დაიწყო ქერაშვილების „მეორედ მოსვლა.“

მათგან მოდის დღევანდელი ქერაშვილების ყველა შტო: –

ქერასგან – თომასი და ნისრაულის;

ხაფანასგან – ჯანუყოსი და ნიასი.

ჯანუყოსგან მოდიან: – ხაფანეთ-ქერაშვილები და ხაფანეთ-ბუჩუკურები;

ნიასგან – ნინიენი (ჯუგაანელი ქერაშვილები).

თომას შტოდან მოდიან: – მათენი, დეკანოზიანი, ბადენი და ტიბაანელი ქერაშვილები (გელიენი);

ნისრაულისგან – ზურაბენი.

*

ქერეთ – ძველთაგან მოსდგამთ:

– სიმამაცე და ერთგულება,

– სიმტკიცე და სამართლიანობა,

– სიბრძნე და თემის ტრადიციების მორჩილება.

სათნონი, სახიერნი და გამკითხავნი იყვნენ ქერეთ მანდილოსნები: –

„ქალი ვარ ქერთაულია, კითხვა რად გინდათ გვარისა, გამაკეთება შამიძლივ, გაფუჭებული გვარისა“ – სიამაყით აღნიშნავდნენ ისინი.

„მოვიდა მარიამობა, ქერეთ ქალების დღეობა, იმათ შემყურე ვაჟკაცი სანთელივითა დნებოდა“ – გვამცნობს ხალხური მოლექსე.

ქერას შტო
თომა და ნისრაული
მათენი, დეკანოზიანი, ტიბაანელი ქერაშვილები, ბადენი და ზურაბენი

ხალხური მეხსიერების მიხედვით, ქერა – ოჩიაურთ ქალისა და სახადს გადარჩენილი ქერას შუათანა ვაჟია. მისგან მოდის თომას და ნისრაულის შტო. თომას შვილიშვილის, გელიასგან, მოდიან მათენი (ბიჭის ჩამამავლობა), დეკანოზიანი (იასე-გასიასიას ჩამამავლობა) და ტიბაანელი ქერაშვილები (შიოს ჩამამავლობა).

თომას მეორე შვილიშვილის, მინდიასგან, მოდიან ბადენი.

თომას ძმის, ნისრაულისაგან – ზურაბენი.

*

მათეთ – მარინე ქერაშვილის მოწოდებული ინფორმაციით: –

მათეს ერთი უშვილო ძმა ყავდა, სახელად, გლახა (სია); მისი სამი დიდან: – ერთი, გათხოვილი იყო ყაზბეგში, ქავთარაშვილზე; მეორე, სნოს, ღუდუშაურზე; მესამე, გორისციხეში, ავსაჯანიშვილზე (აკად. ო. ღუდუშაურის მამის, ნასყიდა ღუდუშაურის დედა, ანანო, იყო ცნობილი სახალხო მკურნალის, იოსებ ავსაჯანიშვილის ქალიშვილი, ხოლო იოსების მეუღლე, ანუ ანანოს დედა, ზემოაღნიშნული მათე და გლახა ქერაშვილების და).

მათეს 6 ვაჟი ყავდა:

1. დიმიტრი – რომელიც უცოლოდ დაიღუპა;
2. ილიკოს ყავდა სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი: – ბუთუნა (რომელიც II მსოფლიო ომში დაიკარგა); უშვილო ვალოდა, ირაკლი (რომელიც 15 წლის დაიღუპა, გველის ნაკბენით) და ნადია – ვისგანაც თენგიზი მოდის.
3. ნიკალას ერთი ვაჟი (გარსევანი) და სამი ქალიშვილი (ანეტა, ქეთო და მარუსა) ყავდა; გარსევანისგან მოდის ნოდარი და გელა (რომელიც ოდესაში დასახლდა). ანეტასგან მოდიან – ჯუღელი, ჯულიეტა და ჯუმბერი; ქეთოსგან – მარიკა, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი კაპიტნის, გიორგი ნემსაძის დედა და თამაზი – 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპული ბავშვის, ეკა ბეჟანიშვილის, მამა).
4. ალექსის (აქსიას) ყავდა: – გიორგი (მისგან მოდიან: მარინა და ნუციკო); მარინასაგან – ზვიად და ბექა წიკლაურები მოდიან; ნუციკოსგან – გიორგი და ია ნიაზაშვილები. ნატაშასგან – ნატო და მიშიკო ბაკურაძეები; სერგოსგან – ვალოდია.
5. შაქროს 4 ვაჟი ყავდა (გოგი, გურამი, იურა და ჟორა); გოგისგან – ანიკო და გია მოდიან; გიასგან მოდის – ირაკლი და გიორგი); ჟორასგან – ლენა, ვახო და კოლია მოდიან.
6. სოლომონს ყავდა: – შალიკო (იგივე ხატიონა; მისგან – მაყვალა, ნელი და ტრისტანი მოდიან; ტრისტანისგან მოდის – გიორგი და თეონა; ქრისტეფორესგან: – ელგუჯა, ნანა, მათე, ცაგო (გია) და მაცი; თამაზისგან – სოლომონი და სალომე.

*

დეკანოზიანი ქერაშვილების ყველაზე მრავალრიცხოვანი შტოა. რელიგიური კულტის მსახურები იყვნენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ თემის ცხოვრებაში.

მათ ევალებოდა სადღესასწაულო რიტუალების ხელმძღვანელობა, ლოცვების წარმოთქმა, მსხვერპლთშეწირვა, დარისხება-დამწყალობნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფელში – ალბათ, გარკვეული პრეროგატივით სარგებლობდნენ.

ისინი – თომას შვილიშვილის, გელიას შვილის, იასესგან მოდიან; მათი განაყრები არიან: მუნჯენი, ლაზვენი, ტასვენი და თელაველი ქერაშვილები (ქოთიენი).

გელიას შვილის – შიოსგან, მოდიან ტიბაანელი ქერაშვილები (გელიენი).

აღნიშნულ სოფელში – „ქერაანთ უბანი“ არსებობს, სადაც, უახლოეს წარსულში – ქერაშვილების 9 კომლი სახლობდა.

ხალხური მეხსიერების თანახმად, მათი წინაპარი ხევიდან – XIX საუკუნის 90-იან წლებში გადასახლდა.

მინდია – გელიას უმცროსი ძმაა.

1831 წელს აღწერილია თავისი მეორე ძმის, 80 წლის ღანჯიას კომლში – შუათანა ძმასთან, 60 წლის ნიასთან ერთად.

მინდია – 1796 წელს არის დაბადებული. 1831 წლის აღწერისას 35 წლის იყო; ყავდა ორი ვაჟი: 13 წლის ნიკოლა (რომელმაც შთამომავლობა ვერ დატოვა) და 11 წლის ბულაჯანი (ბუაჯა), ვისგანაც მოდიან ბადენი.

ბეჟანა ქერაშვილის – საუკუნეს მიღწეული მამიდის, თამროს, გადმოცემით: –

მათი კომლის (ბადენის) პატრიარქია „ბუჯაი," რომლის შვილსაც ერქვა ბადა; ბადას ძმები არ ჰყოლია (აღწერის მიხედვით – ყავდა); შესძენია სამი ვაჟი და ერთი ქალი (მაიკო), რომელიც სნოში გათხოვდა და გახდა დედა, მთაში განთქმული ვაჟკაცის, ვარდა გოდერძიშვილისა. მის შესახებ ერთ ბლოელ ხევსურს გაულექსავს, გულდაწყვეტილს: –

სრუ დიაცნი ხართ, ჯუთელნო,
რო გითხრათ ერთი სიტყვითა,
ათენგენობა ვერ ჰქენით,
სნოველ ვარდაის შიშითა...

თვალშისაცემია, თომას ქერას შვილების: – გელიას, ღანჯიას, ნიას და მინდიას, დიდი ასაკობრივი სხვაობები (40-45 წლი და მეტი).

დიდი ალბათობით, ისინი დედით სხვადასხვანი არიან.

ღანჯია დაბადებულია 1751 წელს; ნია 1791 წელს; მინდია 1796 წელს. გელიას ასაკი ვერ დგინდება; მისი შვილებიდან: – ბიჭი დაბადებულია 1791 წელს (მამიძმის, ნიას, ტოლია); იასე დაბადებულია 1806 წელს; შიო 1811 წელს.

გელია ადრე იღუპება, 1831 წლის აღწერაში აღარ ჩანს; მისი შვილი – ბიჭი ქერაშვილი, დამოუკიდებელ კომლად არის დარეგისტრირებული.

ღანჯიას და ნიას საკმაოდ მრავალრიცხოვანი შთამომავლებიდან (ბეძია, ჩრეისა, ბერი; გიორგი, პაპა) – ჩვენამდე ვერავინ ვერ აღწევს.

*

XIX ს-ის აღწერების მიხედვით, ზურაბენი – დამოუკიდებელი შტოდან, ნისრაულის ქერასგან მოდიან, მაგრამ ხევის ბერიკაცების: სულხანის, ნოდარის, გიგუშას და სხვათა ინფორმაციით, დეკანოზიანი, ზურაბენი და მუნჯენი ერთი „ჩამამავლობის" არიან და განსაკუთრებული სიახლოვეც ჰქონდათ ერთმანეთთან.

როცა ზურაბეთ გიგუშას ვუთხარ: – მგონი, ზურაბენი და დეკანოზიანი ქერეთ სხვადასხვა შტოდან მოდიხართ მეთქი, შეიცხადა:

– „სამ ძმათი ვართ (გარსიაის, პაპაის და მუნჯაის), ერთნი ვართ სულა, ერთ კერაზე დაზდილები, ერთ ბან გვქონდა, ერთად ვცხოვრობდით-ო..."

მერე ისიც დაამატა: – „სულხანის დედის გაზდილ ვარ, ერთი ძუძუ გვაქვს ნაწოვი და სულხანს ნუ დამაცილებო."

ოფიციალურ დოკუმენტებსა და ხალხურ მეხსიერებას შორის შეუსაბამობა, შესაძლებელია იმ გარემოებით აიხსნას რომ: –

ნისრაულის შთამომავლები რამდენიმე აღწერაში გამორჩენილები არიან. გარდა ამისა, XVIII-XIX სს-ში, მოხევეთა კომლები ჯერ კიდევ დიდ ოჯახებად ცხოვრობდნენ და რომელიმე კომლის თავის სიკვდილის შემთხვევაში, მის შვილებს მამიძმების კომლში აფიქსირებდნენ.

საგულისხმოა ის ფაქტიც რომ – ერთ პიროვნებას, ხევში, ხშირად, რამდენიმე სახელი ჰქონდა (ნათლობის, შინაური, დამცინავი, საალერსო და ა.შ.); ბევრი მოხევე, ხალხურ მეხსიერებას საერო სახელით შემორჩა, აღწერებში კი, „ოფიციალურით“ არის დარეგისტრირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სარწმუნოდ მივიჩნევ ზურაბენთან დაკავშირებული ხალხური მეხსიერების რეალობას, მაგრამ დოკუმენტებში მითითებული სახელების არანაირი შესაძლო გადაადგილება, ამის დამოწმების საშუალებას არ მაძლევს.

ვფიქრობ, საიდუმლო შემთხვევით გამორჩენილ აღწერებში იმალება, რადგან ერთი ახალი სახელის გამორჩენაც კი, ხშირად საგვარეულო ხის სრულ რეორგანიზაციას იწვევს.

*

ზურაბენს – ტყუპები მოსდგამთ; პავლე და პაპა ქერაშვილები ტყუპისცალები იყვნენ; ტყუპები იყვნენ პაპას შვილებიც: ზურაბი (ზურაბენის პატრონიმი) და შიო (გიგა).

1860 წელის აღწერით, პავლე ქერაშვილის კომლში დაფიქსირებულია მისი ნათესავი (მიგრანტი), მიხეილ ბიჭის ძე ქერაშვილი, რომელიც 1873 წელს 33 წლის იყო; ყავდა ორი ვაჟი: – 6 წლის გლახო და 2 წლის ალექსი. 1886 წელს გლახო აღარ ჩანს, მხოლოდ 14 წლის ალექსია აღწერილი.

*

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

ქერაშვილებს – სნოს ტერიტორიაზეც ჰქონიათ ნაკვეთი, რომელიც XIX ს-ის დიდი წყალდიდობის შედეგად მოფენილი ქვა-ღორღისაგან გაურჩევიათ და დაუმუშავებიათ.

„ამ სახნავ ნაკვეთს ხალხმა ქერეთ ნარჩევი, ანუ ქერაშვილების მიერ ქვისაგან გარჩეულ-გაწმენდილი უწოდა.“

ხაფანას შტო
ჯანუყო და ნია
ხაფანეთ-ქერაშვილები, ხაფანეთ-ბუჩუკურები და ნინიენი (ჯუგაანელი ქერაშვილები)

ხალხური მეხსიერების მიხედვით, პირველი ხაფანა „სახადს“ გადარჩენილი ქერას და ოჩიაურთ ქალის უმცროსი ვაჟია – ვისგანაც ჯანუყოს და ნიას შტოები მოდიან.

ჯანუყოსგან მოდიან ხაფანეთ-ქერაშვილები და ხაფანეთ-ბუჩუკურები; ნიასგან ჯუგაანელი ქერაშვილები (ნინიენი).

ნია ჯანუყოს ძმაა, რომელიც, ასაკის გამო, 1774 წლის აღწერაში ვერ მოხვდა. პირველად, 1781 წელს ჩნდება.

მისი შთამომავალია 1804 წლის აღწერაში მოხსენიებული ნინია ქერაშვილი.

ბოლო ინფორმაცია ნინიენის შესახებ – სნოს ეკლესიის 1916 წლის ჩანაწერებშია.

არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ისინი ჯუგაანის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც გადასახლდნენ (კერძოდ, ლაგოდეხში, დედოფლისწყაროსა და შიდა ქართლში).

ჯუგაანში ჩასახლებული ქერაშვილები ზაქარიას შთამომავლები არიან (ნიკოლოზის შვილის).

ძია მიშო (კაკო ქერაშვილის მამა) გვიყვებოდა ხევიდან მათი გადასახლების ამბებს.

სამწუხაროდ, მისი მონათხრობი მეხსიერებას არ შერჩა;

კახურმა ღვინომ წაიღო.

ჯანუყოს და ნიას სიახლოვე – კარგად ვლინდება მიგრანტ უძილოვების (უძილაურების) მიმართ მათი კომლების ურთიერთობაში: –

1831 წლის აღწერით, უძილა ქერაევის (უძილაურის) უფროსი ვაჟი, თადა – ბიძია ქერაშვილის (ჯანუყოს შვილიშვილის შვილის) კომლშია აღწერილი, როგორც მისი ნათესავი.

29 წლის შემდეგ, 1860 წელს, ნინია მანგიას ძე ქერაშვილის (პირველი ნინიას შვილიშვილის, ნინიენის) კომლში არიან დარეგისტრირებულნი – იოსებ უძილოვი და მისი შვილი, იაკობი, როგორც ნინიას ძმის, ბერის, ნათესავები.

1873 წლის აღწერით, უძილოვები – ხაფანეთ-ბუჩუკურებთან, იოსებ ნინიას ძე ქერაშვილის (ბუჩუკურის) კომლში არიან მოხსენიებულნი.

სავარაუდოა რომ: – ხაფანენი (ანუ, ნიას და ჯანუყოს შტო) – ნინიენი, ხაფანეთ-ქერაშვილები და ხაფანეთ-ბუჩუკურები), ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ და მათთან (პერიოდულად – ხან ერთთან – ხან, მეორესთან) აღირიცხებოდნენ ხოლმე უძილოვები.

უძილა – 1888 წელს, 104 წლის ასაკში გარდაიცვალა ახალციხეში. დანარჩენი უძილოვები – 1886 წლიდან ვლადიკავკაზში გადასახლდნენ და ახალციხის სარბიელიდან გაქრნენ.

სავარაუდოდ, ამანათად იყვნენ მიღებულნი ხაფანეთ კომლში – ქერეთ გვარის მიღებით, რაც ხევის ტრადიციების თანახმად, სისხლისმიერი ნათესაობის ტოლფასი იყო.

ძალზე საინტერესოა მათი შემდგომი ბედი.

*

ჯანუყო „სახადს“ გადარჩენილი ქერას და ოჩიაურთ ქალის შვილიშვილია, პირველი ხაფანას შვილი. მისი შვილიშვილებია: – მეორე ხაფანა და ბერა (ბერი).

ამ ორი ძმიდან, პირველი, ბუჩუკურის გვარს ღებულობს, მეორე – ქერაშვილისას; ანუ, ჯანუყოს შტო, რაღაც ეტაპზე, ხაფანეთ-ბუჩუკურებად და ხაფანეთ-ქერაშვილებად იყოფა.

ხაფანეთ-ქერაშვილები – უაპელაციოდ მიიჩნევენ, რომ მათი თავდაპირველი გვარი – ბუჩუკურია და ხაფანეთ ბუჩუკურები მათი ძირძველი განაყრები არიან.

*

1831 წლის აღწერაში მოხსენიებული ბიძია ქერაევი (ქერაშვილი) პირველი ხაფანას შვილის, ჯანუყოს, შვილიშვილის შვილია; დაბადებულია 1786 წელს; დაფიქსირებულია როგორც 1804 წლის, ისე 1816 წლის აღწერაში; მისი შვილი, ბერი ქერაშვილი, 1860 წელს დამოუკიდებელ კომლად არის აღწერილი თავის შვილთან (ომასთან) – ძმასთან (გლახასთან) და გლახას შვილთან, 2 წლის სიმონთან ერთად.

გლახას ცოლი გოდერძიშვილი იყო.

ყავდათ სამი შვილი: – ალექსი, მიხეილი (იგივე მიხა, იგივე სიმონი) და დარია.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ისინი უკვე ვლადიკავკაზში სახლობდნენ.

დარია – კურკუმულის გვარის კაცზე გათხოვდა. ყავდათ სამი ქალიშვილი: – ნინა (რომელიც პლეხანოვის №147-ში ცხოვრობდა); ლიზა (ქმარი, სიმონ გლოველი) და – ვერა (ქმარი, ნიკოლიზ ბეჟიტაშვილი, მედინსტიტუტის სამხედრო კათედრის ყოფილი გამგე).

ალექსის (ლეოს მამას; ნათელას და მარინას პაპას) ნავთობის ბიზნესი ჰქონდა ვლადიკავკაზში და საკმაოდ შეძლებული კაცი იყო. ორი ორსართულიანი სახლი ჰქონდათ: – ერთი „ჩუგუნნი მოსტთან," მეორე – ყოფილ გაბიზოვის ქუჩაზე, სადაც დღეს, ლეოს დისშვილის (თამარის), ვოვას ცოლი ცხოვრობს.

ალექსის მეუღლე იყო ანა ქირიკაშვილი, ხატვის ნიჭით დაჯილდოებული – სათნო, ლამაზი გარეგნობის ქალბატონი – ყავდათ 11 შვილი:

– ვანო, თეთრგვარდიელი ოფიცერი იყო.

კომუნისტების წინააღმდეგ იბრძოდა.

მათი შემოსვლის შემდეგ, ჯერ სტამბულში ცხოვრობდა – შემდეგ ბრაზილიაში, სადაც მისი კვალი დაიკარგა.

– გრიშა, ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ – უკვალოდ გაქრა.

– თამარი, თეთრგვარდიელ ოფიცერს მიყვებოდა ცოლად... მისი საქმრო და მეგობრები – ნიშნობის ზეიმის დროს შემოჭრილმა ბოლშევიკებმა ჩაცხრილეს (ვლადიკავკაზში).

თამარის შვილებია: – ზარა, ვალია, მიშა და ვოვა ჩქარეულები.

– არსენა, თეთრგვარდიელი ძმებისგან განსხვავებით, კომუნისტური ორიენტაციის, მათ „მაღალ ეშალონებში" მიღებული პიროვნება იყო. ჯერ კავკავში ცხოვრობდა, შემდეგ თბილისში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გაგრის ერთ-ერთი დიდი სანატორიუმის დირექტორი იყო. ქერჩისთვის ბრძოლაში დაიჭრა; სამკურნალოდ კისლოვოდსკში გადაიყვანეს, დაიღუპა და იქვე დაკრძალეს. შვილები არ დარჩენია.

მის შესახებ საოცარი სითბოთი მესაუბრა გენერალი ვარლამ შადური

დიდი მეგობრობა აკავშირებდათ.

– ბაბალე (ვალია), ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, ცოლად გაყვა ინდური წარმომავლობის ულამაზეს მამაკაცს, ახმედ მამედ ზადეს, რომელიც, ბავშვობაში, მას შემდეგ, რაც მისი ოჯახი განდის მოწინააღმდეგეებმა ამოწყვიტეს – აზერბაიჯანელ მოქალაქეს ჰყავდა ინდოეთიდან ჩამოყვანილი და ნაშვილები...

თბილისში სამი წელი იცხოვრეს, მერე – სტამბულში გადავიდნენ, ბოლოს, თეირანში დასახლდნენ...

ახმედ ზადეს – მისმა ინდურმა საგვარეულომ მიაგნო და სერიოზული მემკვიდრეობა გადასცა.

დაიმატა ინდური გვარი – გახდა ახმედ ზადე ბამბაი...

თეირანში, შაჰის სასახლის მახლობლად, „ხეიაბონ ლალაზარზე“ შეიძინეს კაფე „რაფაი“ – ჰქონდათ საკუთარი „ატელიე“ და აგარაკი ზღვაზე, თავრიზში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაჭრილ საბჭოთა ჯარისკაცებს პატრონობდნენ.

ქმრის სიკვდილის შემდეგ – ვალია საქართველოში დაბრუნდა.

დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

– ალექსის მესამე ქალიშვილი იყო ნინა, კოსტა არჩვაძის მეუღლე.

მათი საკუთრებას წარმოადგენდა პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე სასტუმრო „რუსთავი,“ რომელიც კომუნისტებმა ჩამოართვეს.

სანაცვლოდ დიდი ბინა მისცეს სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩაზე – შემდეგ ისიც წაართვეს და მხოლოდ ერთ ოთახში დატოვეს.

მათი შვილებია: – თამარი და პავლე; შვილიშვილები: – მედიკო და მადონა.

– ლეო, 1914 წელს, ვლადიკავკაზში დაიბადა. 17-18 წლის ჩამოვიდა თბილისში; ცხოვრობდა ძმასთან, არსენასთან, პლეხანოვის №125-ში; მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

მეორე მსოფლიო ომში ბერლინამდე იომა.

გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

მომავალი მეუღლე, ნინა ნიკოლოზის ასული ივანიცკაია (დედით ინგილო, მამით პოლონელი) – ლეომ თიანეთში გაიცნო.

ნინას მამას დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტი – მუშაობდა სიღნაღში; დაკრძალულია ბოდბეში, წმ. ნინოს ეკლესიის ეზოში.

ნინას ბიძა (მამის ძმა) იყო ცნობილი – რაფიელ ინგილო ივანიცკი, დაბადებული კახში (საინგილოში);

დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისის გიმნაზია, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

იტალიურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი.“

იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

*

გლახა ქერაშვილის უმცროსმა ვაჟმა, მიხა (მიხეილ, სიმონ) ქერაშვილმა, ტანჯანიანმა (130 კგ.) და მოქეიფე კაცმა – თიკუნით ჭამპურა, თავისი კარ-მიდამო ახალციხეში, თანასოფლელებს – ნიკოლოზ, სოლომონ და შიო ბუჩუკურებს (გივარგენს) მიყიდა და, 1873 წელთან ახლო პერიოდში, ვლადიკავკაზში გადასახლდა.

მისი ნასახლარის წინ, დღეს – ძმების: გუჯას, ილიკოს, ვლადიმერის და მიშიკოს (თითიკვენის) სახლი დგას.

მიხა – პაპა იყო ჩემი.

ვლადიკავკაზში – შეძლებული დიდვაჭარი გახდა.

ორსართულიანი დიდი სახლი ჰქონდა – „ჩუგუნნი მოსტთან,“ ღვინის ფართო სარდაფით.

პირველი სართული მაღაზიებს ეკავა.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ყველაზე თვალშისაცემი ნაგებობა იყო ვლადიკავკაზში.

მიხა – ცნობილი ქველმოქმედი იყო.

გაჭირვებულებს მკურნალობის ფულს უხდიდა; ნიჭიერების განათლებას აფინანსებდა.

რაღაც ამაგი ჰქონდა სერგო ორჯონიკიძეზე: –

რევოლუციის შემდეგ, როცა ჩვენი ოჯახი ვლადიკავკაზის სახლიდან გამოყარეს – ბებია გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, მისთვის თავი შეეხსენებინა.

შედეგად: – საკუთარი სახლის ორ ოთახში ცხოვრების ნება დართეს და ქონების რაღაც ნაწილი დაუბრუნეს.

მიხა (იგივე სიმონი) – თავისი ძმისშვილის, თამარის (საიდუმლოდ გამართული) ნიშნობის დროს, სასიკვდილოდ დაჭრეს – სახლის სხვენში გამართულ წვეულებაზე შემოჭრილმა ბოლშევიკებმა (თეთრგვარდიელ ოფიცერზე ინიშნებოდა).

გაქცევა შეძლო.

შეიფარა ეთნიკურად ოსმა ვაჟკაცმა, ვისთვისაც შვილის მკურნალობის საფასური ჰქონდა გადახდილი. მანვე, მალულად დამარხა ტყეში; კვალის დაფარვის მიზნით, საფლავი მიწასთან მოასწორა და მისი ქამარ-ხანჯალი ოჯახს დაუბრუნა.

მეუღლის მკვლელობის შემდგომ – ბებია იძულებული გახდა, ვლადიკავკაზი დაეტოვებინა.

ოთხ ვაჟთან ერთად, მშობლიური დუშეთისკენ გამოემგზავრა (უფროსი შვილი – ნიკალა, ძაუგს დარჩა, ორ ქალიშვილთან ერთად).

გვიანი შემოდგომა იყო.

ჯვრის უღელტეხილზე თოვდა.

ატყდა ქარბუქი და შემოაღამდათ.

გზის ავაზაკებმა დააყაჩაღეს და ყველაფერი წაართვეს...

მოგვიანებით – მათ თურმე, პაპაჩემის ვინაობა დაადგინეს და ნაძარცვი უკან დაგვიბრუნეს.

უცნობმა პიროვნებამ ყველაფერი – მალულად „ჩააბარა“ ბაბო ელენეს.

*

უკვე ნაციონალიზირებული ჩვენი საკუთარი სახლი ვლადიკავკაზში (რომლის ეზოს შეძენის დოკუმენტიც ბებოს დიდხანს ჰქონდა შემონახული) – მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მის ადგილას „გორსავეტის“ შენობის აგების მიზნით დაანგრია.

ზურაბეთ ნოდარი შეესწრო ამ პროცესს და, როგორც მითხრა – მშენებლებმა იმდენად სერიოზული განძი იპოვეს – მილიციამ ორმაგი ალყა შემოარტყა და ყველა დამსწრე გაჩხრიკა...

მისმა მონაყოლმა – ბებიაჩემის, ბაბო ელენეს, ნათქვამი გამახსენა: –

ეს მომხიბვლელი, ლამაზი, სათნო და სასაცილომდე გულუბრყვილო ადამიანი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (როცა ცხოვრება გაუსაძლისი გახდა) – მახსოვს, როგორ ეხვეწებოდა შვილებს: –

კავკავში წამიყვანეთ... მე და მიხამ – ჩვენ სახლში იმდენი ოქრო დავმალეთ – „მთელ ჩვენ შთამომავლობას ეყოფაო.“

არ დაუჯერეს!

ან შეეშინდათ!

ან როგორ შევიდოდნენ – უკვე სხვის სახლში.

*

პირველ – (ჩეკიეთ) სალომე გიგაურთან ქორწინებიდან პაპაჩემს 2 ვაჟი დარჩა: – ნიკალა და აკაკი; მეორე – ელენე შერმადინთან ქორწინებით სამი: – ალე (ალექსანდრე), ვახტანგი და მიშა (მიხეილი).

მამაჩემის 4 ძმიდან, ორს (ნიკალას და აკაკის), პასპორტი სიმონის ძედ ჰქონდა აღებული, ორს – მიხეილის ძედ.

ნიკალა – საცხოვრებლად ვლადიკავკაზში დარჩა.

აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხევის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ყაზბეგ-სნოველების მხრიდან ხელს აწერს, 1918 წლის 25 ივნისს, სტეფანწმინდაში – დუშეთის მაზრის გლეხთა ორგანიზაციასთან გამართული სხდომის ოქმს (44-ე ნომრით).

1921 წლის თებერვალში – რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ოკუპაციის წინააღმდეგ – დარიალის დამცველთა (ჟორდანიას მთავრობის კომისრების, გიორგი გომიაშვილის, ალექსი ვარძუკაშვილის, წმინდა გიორგის 4 საბრძოლო ორდენის კავალერის – ნიკო გიგაურის და სხვ.) გვერდით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

მისი მეუღლე იყო სოფია დიტროსიუკი.

დარჩათ ორი ქალიშვილი: – ლიდა და სვეტა (ნათელა).

აკაკი (კაკო ქერაშვილი – ვინც მამობა გამიწია), მეუღლესთან, ბაბილინა ჭანტურიასთან ერთად, სამტრესტის სისტემაში მუშაობდა.

ყავდათ ორი ვაჟი: – მამული (ინჟინერ-ტექნოლოგი) და ვაჟა (მეტყევე-ინჟინერი).

მამაჩემი, ვახტანგი – მიხა ქერაშვილის და ელენე შერმადინის შვილი იყო.

დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, 1943 წელს.

დასაფლავებულია ტუაფსესთან (შაუმიანის რაიონი, სოფ. „სადოვაია“) – ძმათა სასაფლაოზე.

უკანაასკნელად – იქ, აფხაზეთის ომის წინ ვიყავი.

ვარდის ბუჩქების წინ ჩავდგი – შავი მარმარილოს დაფა ქართული წარწერით.

დედაჩემი, თამარა თანიაშვილი – დუშეთის რაი-საავადმყოფოში მუშაობდა უფროს საოპერაციო მედდად.

19 წლის დაქვრივდა.

ოთარანთ ქვრივს ეძახდნენ.

შინაურსაც და უცხოსაც პირში მიახლიდა სათქმელს – გაჭირვებულთან პირველი მიდიოდა დასახმარებლად.

ბიძაჩემი – ალე (ალექსანდრე ქერაშვილი), შსს სისტემაში მსახურობდა; პენსიაზე გავიდა მაიორის ჩინით.

მისი მეუღლე, მარგო (მარგალიტა) ნაცვლიშვილი, ქიმიკოსი იყო.

ყავდათ ორი ვაჟი: – ლერი და ფარნა (ფარნაოზი).

მამაჩემის და ალეს უმცროს ძმას, მიშა (მიხეილ ქერაშვილს) – მეუღლესთან (ნინა წიკლაურთან) შეეძინა ოთხი ქალიშვილი: – ქეთინო, ელიკო, ლალი და ლია.

ხაფანეთ ბუჩუკურები

ხაფანეთ ქერაშვილების ამ განშტოებას – როგორც საეკლესიო ჩანაწერებში, ისე აღწერებით, უმეტეს შემთხვევაში – ქერაშვილებად მოიხსენიებენ.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ისინი ხაფანაშვილის გვარზე გადადიან.

საბოლოოდ – ბუჩუკურობას ინარჩუნებენ.

1831 წელს დამოუკიდებელ კომლად აღრიცხული ნინია ქერაევი და მისი ძმა, იოსები – მეორე ხაფანას შვილიშვილები არიან; ივანე ხაფანაშვილის შვილები.

1860 წლის აღწერით ირკვევა, რომ მათი მამისახელი ივანეა.

1886 წელს, იოსებ ნინიას ძე ქერაშვილის (ხაფანეთ-ბუჩუკურის) შვილები (ივანე, სვიმონი და ეგორი) – ვლადიკავკაზში გადასახლდნენ.

(მეორე) ხაფანას შვილის (პირველი) აქსიას შთამომავლები არიან – ალანიაში, სოფელ ჩმიში მცხოვრები ხაფანეთ-ბუჩუკურები.

აქსია – რევოლუციის აქტიური მხარდამჭერი ყოფილა; ახალციხიდან ვლადიკავკაზში წასულა საცხოვრებლად და ქერაშვილის გვარზე იმ მოსაზრებით დაწერილა, რომ – „ჩავარდნის“ შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრ ბუჩუკურებზე – რეპრესიები არ განხორციელებულიყო.

მისი შთამომავალი, მეორე აქსია – შემდგომში, ხაფიეთ გიორგი ბუჩუკურის პაპას, ვანეს ჩამოუყვანია ახალციხეში და შვილივით გაუზრდია;

უმუშავია ახალციხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ;

უცხოვრია არსენა ქერაშვილის (ბეჟანას მამის) მეზობლად.

მის შვილებს ჩაბაიძეებისათვის მიუყიდიათ სახლი და ჩმიში წასულან.

ახალციხეში მცხოვრები ბოლო ხაფანეთ-ბუჩუკურები იყვნენ ძმები: – ბიჭიკო, ივანე და დათო ბუჩუკურები.

ივანეს შვილები – დღეს, ვლადიკავკაზში ცხოვრობენ.

მეორე ხაფანას სამი ვაჟიდან: –

ერთ-ერთი – ხალხურ პოეზიაში კარგად ცნობილი, „გასაფრენ ქვასთან გდებული ივანეა“, „უკანონოდ“ ნაშობი – რომელიც გამორჩეული ვაჟკაცი დამდგარა.

მის შესახებ რამდენიმე ხალხური ლექსი გვამცნობს: –

„ხაფანას შვილო ივანე, რად არ გაქებენ ქალები,
ნაკუდალს დაჰკარ ისარი, მტერს დაუბნელე თვალები...“

„ხაფანას შვილი ივანე უხნოდ გაზრდილი ხარია,
თავ მასჭრა ლეკის ბელადსა, წყალში გადუგდა მკვდარია...“

საერთო წარმომავლობიდან გამომდინარე – ხაფანეთ-ბუჩუკურებს, ხაფანეთ-ქერაშვილებს და ნინიენის – გამორჩეულად გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან.

იურა სისაურის დედა, სონა ბუჩუკური, სოფელ ჩმიში, დიდი ზარ-ზეიმით ეგებებოდა ხოლმე მათ...

*

ქერაშვილების გვარის წარმომადგენლები არიან ცნობილი მეცნიერები, ექიმები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

იუსტიციის პოლკოვნიკი, რუსეთის სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი, ლენა ქერაშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი, რუსთველოლოგი და პოეტი, ნათელა ქერაშვილი;

ცნობილი სპორტსმენი-რაგბისტი, გია ქერაშვილი, 1978-1979 წ.წ-ში საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი და ბრინჯაოს პრიზიორი.

ვაჟა ქერაშვილი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი ფარიკაობასა და თანამედროვე ხუთჭიდში; საქართველოს ჩემპიონი; საკავშირო კატეგორიის მსაჯი; საქართველოს დამსახურებული მეტყევე... მუშაობდა კრწანისის ტყე-პარკისა და მარნეულის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევედ, კაცობურის სამონადირეო მეურნეობის დირექტორად.

ვახტანგ ქერაშვილი, მედიცინის დოქტორი, ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ვირუსული ჰეპატიტების განყოფილების ხელმძღვანელია.

მარინა ქერაშვილი, ავტორი მეტად საინტერესო წიგნისა – „სანოტო ანბანი და ქართული საგალობლები VI–XIX საუკუნეების საქართველოში.“

ლელა ქერაშვილი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ადმინისტრაციულ-ფინანსური მენეჯერი.

სალომე ქერაშვილი, საქართველოს ეროვნული ბანკის იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

მისი ძმა – გუგა (ანუ, პაპის თანამოსახელე გურამი), ჩემი „მეორე მე“ – ამერიკაში იღებს სამედიცინო განათლებას.

ცნობილი ფეხბურთელი, გივი ქერაშვილი – ორჯონიკიძის სპარტაკის შემადგენლობაში გამოდიოდა; ამჟამად ეწევა სამწვრთნელო საქმიანობას.

ვახტანგ და ნიკოლოზ ქერაშვილები მოსკოვში ცხოვრობენ; სამშენებლო ბიზნესი აქვთ და დიდ მზრუნველობას იჩენენ ახალციხელი თანასოფლელების მიმართ.

ზეზვა ქერაშვილი, საქართველოს ჩემპიონი და აბსოლუტური ჩემპიონი... კონტაქტიან კარატეში; ამიერკავკასიის ქვეყნების ტურნირში გამარჯვებული; საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი.

ჩემი თანამედროვე ქერაშვილების სული და გული იყო ვალიკო ქერაშვილი.

მოხევე აბითურიენტების დამხმარე, მასწავლებელი და გზაზე დამყენებელი.

მან დამაკავშირა ხევთან და ახალციხესთან.

პირველად მისი მშობლებისგან მოვისმინე მოხეურ კილოზე საუბარი.

მისი სიკვდილით ძმა და მეგობარი დავკარგე.

მადლობა ღმერთს რომ – დღეს ჩვენი შვილები და შვილიშვილებიც მეგობრობენ.

*

კარგად მახსოვს, ვალიკოსთან ერთად, ზურაბეთ სიკოს სახლში გატარებული ერთი საღამო...

ორივეს, განუკურნებელი სენი და მძიმე განცდა იმისა რომ – ექიმები ხშირად უძლურნი ვართ...

იმ საღამოს ნოდარიც ჩვენთან იყო, სიკოს ძმა, რომელმაც თავისი საქციელით პასუხი გასცა მ. ჯავახიშვილის გულისტკივილით ნათქვამ სიტყვებს: –

„სხვა სხვის მაგივრად ვიღა წავა ციმბირში“-ო...

ნოდარი წავიდა...

ქოსა და ქოსელი (ქოსელთა)

სოფ. ქოსელი – ახალციხის მოპირდაპირედ, მდინარე სნოსწყალის მარჯვენა ნაპირზეა შეფენილი (ზ.დ 1880 მ-ზე).

ერთადერთი მონოგენური სოფელია ხევში, რომელიც მხოლოდ ერთი გვარით – ქოსლელი-ფიცხელაურებით არის დასახლებული.

„უფრო ზუსტად, ქოსელის გარდა ხევში არ არსებობს სოფელი, სადაც მხოლოდ ერთი საგვარეულოს მარტო ერთი განშტოება ცხოვრობდეს“ (ვალ. ითონიშვილი).

ამბობენ რომ: – დასახლების სახელწოდება მოდის სოფელ ქოსადან, საიდანაც იქაური ფიცხელაურები (ანუ, „ქოს-ელები“) ჩამოსახლდნენ.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით, სოფლის სახელწოდება გვარის ეპონიმის – „ქოსელაის“ სახელიდან არის წარმომდგარი.

დღეს – „ქოსე“ (ანუ, „ქოსაი“) ეწოდება, სოფ. ქოსელსა და კარკუჩას შორის – მდ. სნოსწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე საძოვარ ფერდობს – სადაც ნასახლარები, აკლდამები და ნაკოშკარია შემორჩენილი;

არსებობს ძველი სალოცავიც.

ადრე – იქ უცხოვრიათ ქოსლელ ფიცხელაურებს, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, ფადიაურებმა ამოწყვეტეს.

ვინც გადარჩა – მიმდებარე ბორცვზე დასახლდა – რომელსაც ეწოდება „ჩირდილაი,“ ანუ, „ციხის კისერაი.“

იქიდან მისულან დღევანდელ სამოსახლოში.

*

ახალციხის და ქოსელის მცხოვრებთ – სნოსწყალი ჰყოფს.

XVIII ს-ის აღწერებში ორივე სოფელი ერთად, ხევის ახალციხეს, არაგვის ერისთავის საყმოს და მისსავე სახელოშია აღწერილი, სადაც 12 კომლი სახლობდა: – 7 კომლი ქოსელი და 5 კომლი ქერანი, კერძოდ: –

1. ქოსელი შერაკას შვილი ბერა და კვირიკა;
2. ქოსელი გივის შვილი ივანე;
3. ქოსელი ცისკარასშვილი შიო, თათარა, ბიძია და პაპუა;
4. ქოსელი ელისბარასშვილი გიორგი და დათუნა;
5. ქოსელი მიქელასშვილი გელია;
6. ქოსელი ბიძისშვილი საფანა;
7. ქერაინის შვილი ქერა;
8. ქოსელი ბერას ობოლი პაპუა;
9. ქერაი ივანეს ობოლი;

10. ქუმსისშვილის ადამის ყმა ქერაი თომას შვილი მგელი და ხინჩლა;
11. ქუმსისშვილის ადამის ყმა ქერაი ნისრაულის შვილი ბეჟიტა და გიორგი;
12. გილდაშვილის ტეტის ყმა ქერაი ჯანუყოსშვილი ხუა და ხაფანა.

ორ მეზობელ გვარს – ოდითგან, კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ.

ადრე, უთანხმოება ჰქონიათ, „ყორას დათავისების“ თაობაზე – სადაც შემორჩენილი იყო ფიცხელაურების პატარა საყდარი და სასაფლაო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თემს – ის ადგილი ქოსელების საკუთრებად უცვნია.

ამის შემდგომ, სახატო დღეობებსაც (უმეტესად) – ერთობლივად იხიდნენ.

ახალციხის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია და კვირიეს ხატი – მათი საერთო სალოცავი იყო.

აღდგომას – ერთობლივად ყიდულობდნენ საკლავს და ხატობას ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში მართავდნენ.

პეტრე-პავლობას – საკლავების დაკვლა სახლებში ხდებოდა, მაგრამ ქოსელ-ახალციხის საერთო სამხედო-საბალახეში აღებული საკლავებით იმართებოდა.

კვირეძლობის შემდეგ ამაღლება მოდიოდა (კარკუჩელთა დიდი დღეობა).

ამაღლებას მოსდევდა ღალანგურობა – ახალციხის, ქოსელის, კარკუჩის, ჯუთელების და ართხმოვლების საერთო დღესასწაული.

ღალანგურობის შემდეგ დგებოდა მარიამობა, რომელსაც ქოსლელები და ახალციხელები ღვთისმშობლის ეკლესიაში დღესასწაულობდნენ.

საკლავები სალოცავის მდგარ ნიშთან იხოცებოდა.

ხორცი სახლებში მიჰქონდათ, რადგან ხარჯი ინდივიდუალური იყო.

*

სნოს ხეობაში მომხდარ ტრაგიკულ წყალდიდობამდე (ანუ, სოფლის სავარგულების სრულ ჩამორეცხვამდე) ქოსლელებს სამღვთო სახნავ-სათიბები ჰქონიათ, რომლებსაც ორი მანათე ხმარობდა.

შესაბამის დღეობაზე, ისინი – სოფელს ერთი საკლავითა და არყით უმასპინძლდებოდნენ.

ქოსლელი ფიცხელაურები

ფიცხელაურების გვარმოდენილობა ბუდე-ხევსურეთის (გორშელმის ხევის) სოფელ ბაცალიგოდან მოდის.

გვარსახელი, საერთო წინაპრის, გვარის მამის, საკუთარ სახელს უკავშირდება. ბაცალიგოელ ფიცხელა არაბულზე მოდიანო ფიცხელაურები (ს. მაკალათია, ხევსურეთი. თბ. 1984. გვ. 75).

მოხევე ფიცხელაურები ლიქოკის ხეობის სოფ. აჭედან არიან მოსულები.

თავდაპირველად, კარკუჩის მახლობლად, სოფ. ქოსაში, უცხოვრიათ, სადაც ფადიაურებთან ჩამოვარდნიათ მესისხლეობა.

ამოუწყვეტია ისინი აღზევებულ ფადიაურებს;

თავად ახალციხეში გადმოსახლებულან და ცოცხლად დატოვებული ერთადერთი მოხუცი ფიცხელაური, დღევანდელ მათ საცხოვრისში, სოფ. ქოსელში დაუსახლებიათ...

გადმოცემის თანახმად, იმ მოხუცი ფიცხელაურიდან წამომდგარი ორი ძმიდან – ერთი სტეფანწმინდაში დამკვიდრდა; მეორე – ქოსელთაში.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

სტეფანწმინდელი და ქოსლელი ფიცხელაურები „ცალ-ცალკე „საგოროულოების“ ბუნებას ამჟღავნებენ;

თითოეული მათგანის ფარგლებში რამდენიმე „გორია“ მოქცეული...

ორივე სოფელში მცხოვრები ფიცხელაურები, ხევის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ფიცხელაურებთან ერთად – „სახლიკაცობაში“ ანუ საფიცხელაუროში ერთიანდებიან.“

ქოსელში მცხოვრები ფიცხელაურების „საგორეულო“ მრავალი „განაყრობის“ მომცველი ერთეულია.

მასში ერთიანდებიან ძველისძველი „ადრეგანაყარნნი:“ – ღერენენი, გელიენი, ბუშკიენი.

მათთან ერთად დამოწმდა ისეთი ერთეულების არსებობა, რომლებიც დასახელებული „ადრეგანაყრების“ „განაყრები და განაყართა განაყრები“ არიან.

ამგვარი სეგმენტაციის შედეგად, ქოსლელი ფიცხელაურების შიგნით ოცზე მეტი დასახელების ნათესაური ჯგუფის ათვლა ხერხდება.

ყველა ამ ჯგუფის გამაერთიანებელი სახელწოდებაა ქოსელნი, რომელიც ფიცხლაურების საგვარეულოს ერთ-ერთი განშტოების ეპონიმის – ქოსელაის სახელიდანაა წარმოებული.

მათ პატრონიმიაში შედიოდა რამდენიმე ოჯახი, რომელთა შორის – XIX საუკუნეში, საოჯახო თემების არსებობაც მოწმდება.

ერთ-ერთ ასეთ კომლს მეთაურობდა ედი.

მისი სახელის მიხედვით – როგორც ამ ოჯახს, ისე გაყრის შედეგად წარმოქმნილ ნათესაურ გაერთიანებას, ეწოდება ედიენი.

მეორე კომლის სახელწოდება იყო პაპალენი – მისი მეთაურის, პაპალას სახელის მიხედვით.

პაპალას შვილებიდან ერთს ერქვა მანგია; მეორეს – ღერენა.

მანგიას ყავდა სამი ვაჟი: – იაკობი, შუა (შიო) და ხუნჩია;

ღერენას – 4 ვაჟი ყავდა: – ნიკო, გიგია, ივარდანე და თედო.

მათი ერთად ყოფნის დროს, მანგიას და ღერენას ვაჟები ცოლშვილიანები იყვნენ, რაც იმის მაჩვენებელია რომ – ერთ ჭერქვეშ სახლობდა 4 თაობა (ვალ. ითონიშვილი).

*

1774 წლის აღწერით, ქოსელში, 7 კომლი ქოსელია დაფიქსირებული;

1781 წელს – 6; 1831 წელს – 7; 1860 წელს – 8; 1873 წელს – 12.

1886 წელს დარეგისტრირდა 15 კომლი; ამავე წლის – საოჯახო სიებში, ქოსელის გვარის გასწვრივ ჩნდება ახალი ჩანაწერი: „ქოსელი-ფიცხელაური“.

1926 წელს – ქოსელში, ფიცხელაურის გვარით აღირიცხა 23 კომლი (44 მამაკაცი და 65 ქალი).

დღეს – მხოლოდ ერთი სული – 80 წელს მიღწეული ვახტანგ ფიცხელაური სახლობს;

სულისშემძვრელია მისი გულისტკივილი: –

„მთელი ღამე სინათლეს ანთებულს ვტოვებ, ისევ მეთქი დაიხარჯას ის ორი თეთრი და ენთას მთელი ღამე ნათურა, რომ სოფლიდან შუქი გავიდეს.“

„არ მინდა, ვინმეს ეგონოს, რომ ნასოფლარია და არავინ ცხოვრობს.“

„დაინახონ, რომ ცოცხლობს ეს სოფელი.“

*

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

ქოსელ-ფიცხელაურების განაყრები არიან ქაისხევის სოფ. ზოტიკიანთკარში მოსახლე ბულაურები.

„შიდა ქართლში გადმოსახლებული ბულაურთა ნაწილი – მჭედლიშვილის გვარსაც ატარებს...“

„ხევიდან გადმოსახლებულებად თვლიან თავს – გარე კახეთის სოფ. პატარძეულში და ქსნის ხეობაში მოსახლე ფიცხელაურებიც...“

ფადიაურები და ქოსლელი ფიცხელაურები

ფადიაურები – ძირად ფშაველებად მიიჩნევენ თავს.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სოფელ ქოსაში დასახლებისას – ფიცხელაურებს იქ დახვედნენ.

მათ შორის ჩამოვარდნილა მტრობა – მესისხლეობით:

სნოს ხეობაში მიმავალ ვინმე ქუშაშვილს, ქოსაში მცხოვრები ფიცხელაურები დახვედრიან და სალოცავი ხატი – ოქროს ყოჩი, წაურთმევიათ.

რადგან ხატის გარეშე – სტეფანწმინდაში ვერ დაბრუნდებოდა ქუშაშვილი – ახალციხეში მცხოვრებ ფადიაურებთან „სტუმრად მისულა“ (რეალურად, თავი შეუფარებია).

არც სტუმრად მისვლის მიზეზი უთქვამს – არც გზად მომხდარი შემთხვევა გაუმხელია.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

ძველი მოხეური ტრადიციის თანახმად, მასპინძელს არ მართებდა სტუმრობის მიზეზის კითხვა; უფლება ჰქონდა – მასპინძლის ოჯახში 7 წლამდე ეცხოვრა და ემუშავა; მხოლოდ 7 წლის შემდეგ შეეძლო მასპინძელს ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება; თუ სტუმარი, ამ ხნის განმავლობაში, თავად არაფერს ეტყოდა.

ქუშაშვილმა – ფადიაურის ოჯახში 7 წელი იცხოვრა და იშრომა.

7 წლის თავზე ოჯახის უფროსს უკითხავს: –

ჯამაგირის მიღება და წასვლა გირჩევნია – თუ ჩვენი ოჯახის წევრად დამკვიდრება და დაცოლშვილებაო.

ჯამაგირის საზღაურად, ქუშაშვილს „ოქროს ხატის, ყოჩის“ დაბრუნებაში უთხოვია დახმარება.

ფადიაურები არ მოერიდნენ ფიცხელაურებთან დაპირისპირებას: –

შეიჭრნენ მათ სახლში; მარტოდ მყოფ ქალს „ყოჩი“ წაართვეს და ქუშაშვილის დაუბრუნეს.

ხატობიდან დაბრუნებული ქოსელნი თავს დაესხნენ ფადიაურებს და დედაბუდიანად ამოწყვიტეს.

დაინდეს მხოლოდ მათი ორსული რძალი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ფშავში (განსხვავებული ვერსიით, გუდამაყარში) – მამის სახლში წავიდა და იქ შეეძინა ვაჟი.

დავაჟკაცებულ ფადიაურს დედისგან შეუტყვია მომხდარის შესახებ. წამოსულა და შურის საძიებლად, იმ დროს მისულა სოფ. ქოსაში – როცა მისი წინაპრების ადგილზე დასახლებული ფიცხელაურების 35 სულიანი ოჯახი – ყანას მკიდა.

ანაზდეულად დასცემია თავზე – 7 კაცი მოუკლავს და გაქცეულა.

„დედას რო ეს ამბავი გაუგია, შვილისთვის უთქომს“: –

„ქოსელებმა შენი მამა-ბიძის ოჯახიდან 27 სული გაწყვიტეს – კიდევ 20 კაცის სისხლი გმართებსო.“

„თავი თავში გაუსწორებია“ ჭაბუკ ფადიაურს;

ყველა მოსისხლე ამოუხოცავს – ერთი მოხუცი ფიცხელაურის გარდა და მამაპაპისეულ ადგილზე დამკვიდრებულა.

სისხლით დათავსწორების შემდგომ, „გამარჯვებული“ ფადიაური, გადმოცემის თანახმად – ახალციხეს ჩამოსახლდა;

ცოცხლად დარჩენილი მოხუცი ფიცხელაური – ქოსადან ქოსელში გადმოასახლა და გუდამაყრელი ქალი შერთო ცოლად.

„შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი“...

მოხუცი ფიცხელაურის შთამომავლებმა – „შტონი იყარეს“;

ფადიაურები – ვერ გამრავლდნენ.

ამის შემდგომ, მთხრობელები ოცამდე თაობას ვარაუდობენ – ანუ, ზემოაღნიშნული, შორეულ წარსულში, სავარაუდოდ, XIV საუკუნეში მოხდა.

(საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტი (ფ. 1448, 3427; ბრძანება ლევან ბატონიშვილისა მარტია ღუდუშაურისადმი – ქოსელებისა და ფადიაურების სადაო მთის სანახევროდ გადანაწილების შესახებ 2.07.1780 1) – მოწმობს რომ:

ამ ორ გვარს შორის დაპირისპირება, უფრო მოგვიანებით – მართლაც იყო და მათი დავა ბატონიშვილის გადასაწყვეტი გახდა).

XVIII-XIX სს აღწერებში, ისინი ორ-ორი კომლით არიან წარმოდგენილნი.

ახალციხეში – პირველად 1781 წელს ჩანან: –

1. ფადიაურის შვილი: ჯაბანი, ბერი და ივანე;

2. ფადიაურის შვილი: ქოჩია და ნია.

1831 წელს მოხსენიებულია: –

შიო ფადიაური, 35 წლის; მისი ბიძაშვილი, ალექსი – 20 წლის.

1860 წელს აღირიცხნენ: –

1. ალექსი ივანეს ძე ფადიაური, 60 წლის; მისი შვილი გიორგი, 30 წლის;

2. ბერი იასეს ძე ფადიაური, 30 წლის; მისი შვილები: ივანე, 10 წლის, გლახა 4 წლის.

1873 წელს – ახალციხეში სახლობდნენ: –

1. ალექსი ივანეს ძე ფადიაური, 73 წლის; მისი შვილი, გიორგი, 43 წლის; გიორგის შვილები: ივანე, 8 წლის; გაბრიელი, 5 წლის;

2. ივანე ბერის ძე ფადიაური, 23 წლის; მისი ძმა, გლახა, 17 წლის.

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. გიორგი ალექსის ძე ფადიაური, 56 წლის; მისი შვილი, გაბრიელი, 18 წლის;
2. ივანე ბერის ძე ფადიაური, 36 წლის; მისი შვილი, ანდრეი, 5 წლის.

ფადიაურები და „სისხლივაკე“

ალ. ყაზბეგის არქივში შემონახულ, ხევის სახელოვან ვაჟკაცთა დატირების (მოხსენიების) ტექსტში – „მთაჩი ლეკების მხოცველი“, ახალციხელი ფადიაურიც არის მოხსენიებული.

გადმოცემის თანახმად: –

კარკუჩის ტერიტორიაზე მდებარე ადგილი, „სისხლივაკე“ – „ალაგ-ალაგ ტყითა და დეკით შემოსილი საძოვარი იყო, რომელიც ფადიაურების საკუთრებას წარმოადგენდა.“

ერთ დღეს, როცა ცხვარს – იქ, ახალციხელი ფადიაური აბალახებდა, მეზობელ მთაში (ცოცხანას), კარკუჩელების ფარა მდგარა.

მათ მწყემსს შეუმჩნევია რომ – ფადიაურების ფარეხს ლეკები ეპარებოდნენ.

სალამურით მიუცია მათთვის ნიშანი; „მწყემსის ენაზე“ უცნობებია მოსალოდნელი საფრთხე...

კუპრივით შავი ღამე დამდგარა.

ფადიაურს – კარგად სცოდნია ლეკების ენა; შეპარულა მტრის ბანაკში; ლეკურად აუტეხია ყვირილი და ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნია, თითქოს მთელი შეიარაღებული რაზმი დაესხა მათ თავს.

ლეკურ ენაზე მყვირალი მწყემსი მტერს სიბნელეში ვერ ამოუცნია და – „სანამ ღამე დღესთან გაყრილა, ფადიაურს მუსრი გაუვლია ლეკებისთვის.

აქედან წარმომდგარა იმ ადგილს სახელწოდება – „სისხლი ვაკე“.

*

ფადიაურების გვარიდან ხაზგასმული პატივისცემით მინდა მოვიხსენიო – სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი, ცნობილი მეან-გინეკოლოგი, ქ-ნი აზა ფადიაური, რომელიც ჩემი სამსახურის მოპირდაპირედ ცხოვრობდა; ხშირად მნახულობდა და დედობრივ მზრუნველობას არ მაკლებდა.

ვწუხვარ რომ – მისი გარდაცვალება დროულად ვერ გავიგე.

მიგუდა და როსტომაულები

ახალციხის სიახლოვეს, მდინარე სნოსწყალს – ართხმოს წყალი ერთვის.

მისი, 5-6 კმ. სიგრძის ხეობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიემართება.

ხეობის მარჯვენა მხარეს განთავსებული იყო, ამჟამად მოსახლეობისაგან დაცლილი სოფელი – მიგუდა.

ცხოვრობდნენ ჩაბაიძეები, როსტომაულები და ბუჩუკურები.

როსტომაულებს – უფრო ადრე, ართხმოში უცხოვრიათ.

1831 წელს – ისინი ციხელაშვილის გვარითაც არიან ჩაწერილები.

მომდევნო აღწერებით უკვე მიგუდაში ჩანან.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ჭართლის სოფელ მიგუდადან არიან მიგრირებულები. იქ, ხევსურეთიდან (სავარაუდოდ, სოფ. ქმოსტიდან) გადასახლებულან მესისხლეობის გამო.

ჭართალში მათი გვარი ციხელაშვილი იყო.

ხევში მოიხსენიებდნენ როგორც „ციხელეთ.“

1873 წლის აღწერით – მიგუდაში სახლობდნენ: –

1. დიმიტრი ივანეს ძე ციხელაშვილი, 43 წლის; მისი შვილები:: მიხეილი – 17 წლის, ლაზარე – 15 წლის, დავითი – 1 წლის; დიმიტრის ძმა, სოლომონი, 42 წლის; მათი ძმისწული – ნინია – 23 წლის.
2. ნანე სიმონიეს ძე ციხელაშვილი, 19 წლის.
3. გლახა ბაის ძე ციხელაშვილი, 25 წლის; მისი ძმა, მარკოზა – 21 წლის; მათი ძმისწული, კურდღელა მანგიას ძე, 18 წლის.
4. გიორგი ბერის ძე ბუჩუკური, 58 წლის; მისი შვილები: იოსები – 23 წლის, გლახა – 10 წლის. იოსების შვილი, ივანე – 1 წლის; გიორგის ძმისწული, გიგოლა ქეროს ძე – 5 წლის.
5. პაპუა ბერუას ძე ბუჩუკური, 52 წლის; მისი შვილი, ნიკოლოზი – 1 წლის.
6. ივანე კახის ძე ბუჩუკური, 52 წლის; მისი შვილი, ნიკოლოზი – 1 წლის.

*

გადმოცემის თანახმად: –

როსტომაულების შორეული წინაპარი, როსტომ-გმირი – „რაშით მონავალა, როცა – მიგუდის წყალთან, ავ-სულები ფერხულს უვლიდნენ: –

შუაში ოქროს აკვანი ედგათ – შიგ მწოლიარე ბავშვით.

როსტომს – ბავშვზე და აკვანზე ცხენით გადაუვლია...

ეშმაკებს – დაუწყევლია, ამის გამო, მათი გვარი: –

„შვიდ მამამდე ნურც გაწყდებით და ნურც გაშენდებითო.“

ამიტომ ვერ გამრავლდნენო როსტომაულები.

უახლოეს წარსულამდე ისინი მიგუდაში ცხოვრობდნენ.

დღეს – ძირითადად, ოსეთში სახლობენ.

1926 წელს – მიგუდაში, მათი 1 კომლი აღწერეს (1 მამაკაცი და 3 ქალი).

ჩაბაიძეები

ხევსურეთიდან არიან მიგრირებულები.

ჯერ ყორაში უცხოვრიათ; შემდეგ ართხმოსა და მიგუდაში;

ბოლოს – ახალციხეში დამკვიდრდნენ.

1804–1831 წლებში – ართხმოში მათი (ხევსურად ჩაწერილი) ერთი კომლია მოხსენიებული (ჩაბაიძე გიორგი).

XVIII-XIX სს-ის ახალციხის აღწერებში ისინი არ ჩანან.

1857 წლის საეკლესიო ჩანაწერებით, ივანე ჩაბაიძე და ივანე ბერის ძე ჩაბაიძე (ალბათ, ერთიდაიგივე პიროვნება) – ახალციხეში, ორ ქორწილშია თავდებად დაფიქსირებული: პავლე ნანეას (ივანეს) ძე ქერაშვილთან (ზურაბენი) და გრიგოლ იოსების ძე ქერაშვილთან (თომას შტო, ღანჯიას ჯღუნას შვილთან).

შემდგომი საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, ახალციხის ძირძველ მოსახლეო-

ბასთან ჩაბაიძეების დამოყვრება – უფრო ინტენსიური ხდება.

ახალციხეში – დიდი ალბათობით, XIX საუკუნის ბოლოს სახლდებიან.

1997 წელს – საქართველოში, 57 ჩაბაიძე ცხოვრობდა: – 32 თბილისში, 20 ყაზბეგის რაიონში.

ჩაბაიძეები
და
მოსისხლეთა შერიგების რიტუალი

რ. ხარაძეს აღწერილი აქვს ხევის ერთი ცხოვრებისეული ეპიზოდი, რომელიც ეხება – 1948 წელს, თემის თავკაცების „მეცადინეობით მომხდარ“ – ორი სამტროდ გადაკიდებული გვარის – ყამარაულების და ჩაბაიძეების შერიგებას.

„თემმა ამ ორ მოსისხლე გვარს შესარიგებლად კითხულნი, თავდღიანი, სიტყვა-პასუხიანი კაცები აუყენა: ყაზბეგელი ივანე ჩოფიკაშვილი – პირველ კაცად, გერგეტელი ივანე ხუციშვილი – მეორე კაცად, ყაზბეგელი ილია ქუშაშვილი – მესამე კაცად (სულ 13 კაცი) – რომლებიც, დანიშნულ დღეს, მკვლელის სოფლის სასაფლაოსთან დაბანაკდნენ და, სამი კვირის განმავლობაში, მოკლულის ოჯახში შუამავლებს გზავნიდნენ – მოლაპარაკებაზე დასათანხმებლად“: –

„ისინი მუხლის კვერას მივიდის და ეხვეწებოდეს პატიებას.“

„მოგვიშვითო, რომ გელაპარაკოთო...“

„ერთხელ მისვლაზე და ორჯერაც არა იყვეს რა...“

„სამს კვირას ასე დადიოდეს და სამს კვირას ეს ხალხი მინდორში იმყოფებოდა...“

„დაზარალებული მხარე, როგორც იქნა, მოლაპარაკებაზე დაითანხმეს.“

აღნიშნულის შემდგომ – ადათი სხვა დამატებითი რიტუალის ჩატარებას ითხოვდა, კერძოდ:

– ნათესავების თავმოყრას;
– შერიგების პირობებზე ბჭეების გადაწყვეტილების მიღებას;
– მოკლულის საფლავზე გასვლას;
– მოკლულის და მკვლელის ოჯახებში პურ-მარილის გაზიარებას.

*

თემის კაცებმა ჩაბაიძეები (ანუ, მოკლულის ნათესავები) დაითანხმეს რომ – მათ გადაწყვეტილებას უსიტყვოდ შეასრულებდნენ; სიტყვის გაუტეხლობაზე დააფიცეს და შერიგების პირობებზე შეთანხმდნენ.

მისი არსი – საჯარო გამოცხადებამდე, საიდუმლო იყო.

იმავე ღამეს, ორივე მოსისხლე გვარის ნათესავები, მკვლელის თანდასწრებით (რომელსაც სახელმწიფო სამართალით დადებული სასჯელი უკვე მოხდილი ჰქონდა) – მოკლულის საფლავთან შეგროვდნენ.

ბჭეების ნაწილი – სასაფლაოზე დარჩა; ნაწილი – მოკლულის ოჯახის წევრების მოსაყვანად წავიდა.

ჩაბაიძეთა უხუცესები – თემის კაცებს (ბჭეებს), მოკლულის სახლთან შეეგებნენ და გაწყობილ სუფრასთან მიიწვიეს.

შერიგებითი ხასიათის საუბარი, მეტად თავაზიან ვითარებაში წარიმართა.

ივანე ხუციშვილმა ასეთი სიტყვებით მიმართა დაზარალებულ მხარეს: –

„აქ ძალით არაფერია, ყველაფერი თხოვნით და შეთანხმებითაა – ხევის ზნე-ჩვეულობით, რაც მამა-პაპით გადმოგვცეს, იმათგანაა...“

„დამშვიდების დროს, თქვენ უთმობთ თემს, უთმობთ კარგ ხალხს.“

„იმედია, არ შეგვარცხვენთ არც თემს, არც თეთრწვერა მოხუცებს და კარგად დავაბოლოებთ ამ საქმეს.“

აღნიშნულის შემდგომ, ბჭეებმა დამსწრეთა იარაღზე შემოწმება ითხოვეს – მერე, მოკლულის ნათესავებთან ერთად, სასაფლაოსკენ გაემართნენ – წინ თემის კაცები, შემდეგ ოჯახის უფროსი, მოკლულის შვილი, ბიძაშვილები და – ბოლოს, დანარჩენი ნათესავები.

ბჭეები – გზაშიც ფრთხილობდნენ; ამშვიდებდნენ მოკლულის ნათესავებს.

სასაფლაოსთან – უხუცესებმა ლოცვა აღავლინეს და სხვებთან ერთად, საფლავისკენ გაემართნენ.

მკვლელის ნათესავი ქალები – თმაგაშლილნი, მოთქმით ტიროდნენ. წინ მკვლელის ცოლი და რძლები იყვნენ დაჩოქილები – თავზე თმებს იგლეჯდნენ, ისისხლავდნენ სახეს და პატიებას ითხოვდნენ...

თემის კაცებმა – ქალები დაამშვიდეს, საფლავიდან გაიყვანეს და – იქ, ჩაბაისძეთ კაცები მიიყვანეს.

მკვლელი საფლავზე დაემხო თავის ძმასთან, ბიძაშვილებთან და ნათესავებთან ერთად.

მოკლულის დედიძმა ფიდომ ხელი ჩამოართვა მკვლელს და ყამარაულებს მიმართა: –

„გვიპატიებია თემისთვის და თემის კაცების პატივისცემით თქვენთვისაც.“

ფიდო – მკვლელის ფეხზე წამოყენებას შეეცადა და ამის შემდგომ, თითქმის ძალით – შესარიგებლად მოიყვანეს მოკლულის ვაჟი, რომელიც უკან გაბრუნებას ცდილობდა.

დედაკაცებმა ტირილს მოუმატეს, ისინი „სახეს იკაწრიან, თმებს იგლეჯენ, პატიებას ითხოვენ...“ და მოკლულის შვილი ხელს ართმევს მამის მკვლელს; მოსისხლე გვარების წარმომადგენლებიც ერთმანეთს ხელს ართმევენ...

ოჯახის სახელით განცხადებას აკეთებს მოკლულის ბიძაშვილი, ნიკოლოზ ჩაბაისძე: –

„პატივცემულო ხევის კაცებო, გვიპატიებია თემისთვინ, ამორჩეული თემის კაცებისთვინ – არა სერგოსთვინ (მკვლელზე უთითებს) – მერე კი, სერგოსთვინაც...“ „გვიპატიებია ამ პატიოსანი ხალხისთვინ, რომელიც აქ იჩაგრება... გვიპატიებია ის ჩვენი გმირი გიგია!“

მოჰყავთ ორი ყოჩი, რომელსაც ზედ საფლავზე კლავენ.

იქვე დგამენ პურითა და ყველით გაწყობილ სუფრას და კასრით არაყს.

თემის უფროსი კაცი – ივანე ჩოფიკაშვილი, ჭიქით ხელში მიმართავს დამსწრეთ: –

„რჯულია, წესია, პურ-მარილით ვცხოვრობთ და პურ-მარილით უნდა გავერიოთ ერთმანეთთან...“

უფროს-უმცროსობის ტრადიციის დაცვით – სასმელს ყველა დამსწრე მიირთმევს.

ზემოაღნიშნულის შემდგომ – ადათი, მოკლულის სახლში მკვლელის ნათესავ-

ებთან პურ-მარილის გაზიარებას ითვალისწინებს. ანუ, მკვლელი, ნათესავებთან ერთად – თემის კაცებმა მოკლულის ოჯახში უნდა მიიყვანონ...

სუფრას იქაც ბჭეები უძღვნებიან.

სადღეგრძელოები თანდათან ალღობენ მტრობის ყინულს...

„პატივცემულო თემის კაცებო, ნება მომეცით – ერთი სადღეგრძელო ვთქვა“ – ითხოვს ნიკოლოზ ჩაბაიძე: –

„ჩვენი თემის იმ მამებს გაუმარჯოს, იმ რჩეულ კაცებს, რომლებიც აქ აღარ გვესწრებიან, მაგრამ წინათ იყვნენ. გაუმარჯოს დედიძმა ნინიას, ქერეთ ნიკალას, გოჩიათ ლევანას და მათთან – იმათაც ვისაც მე არ ვიცნობდი, ვინც გასწავლათ თქვენ – როგორ კეთილად ჩაატარათ ამ პატარა ხევში, ეს საქმე – როგორი წესი გაატარათ. იმათთან ერთად, მათ მამდევართა – თქვენც გაგიმარჯოსთ, რომ ბევრი საქმე დაგეგბოლოოსთ კეთილზე...“

წარმოთქმულ სადღეგრძელოს თემის კაცი – ივანე ხუციშვილი ეხმიანება: –

„გოჩაანთ ლეგაი კითხული კაცი იყო, შენ – კოლაი, იმათი ხარ კიდეც, და ღმერთმა გაგიმარჯოს... იმ ჩვენ წასულ გმირებს, რომლებიც სათემო კაცები იყვნენ, რომლებმაც თავისი ცოდნა გადასცეს, იმათ გაუმარჯოთ და – იმათაც, ვინც იმათ ცოდნას არ დახკარგავენ...“

სუფრის დასასრულს, სინზე დადებული შემოაქვთ თემის ბჭეების მიერ „ჩაბაისძეთა“ ოჯახზე გადასაცემად დადგენილი სისხლის საფასური – ორმოცდაათი ათასი მანეთი.

ოჯახი ფულს არ ღებულობს.

პატივით აბრუნებენ უკან.

აღნიშნავენ რომ: – ამ შერიგებით მათ პატივი სცეს თემს, თემის კაცებს, სოფელს, გვარს, დედიძმებსა და დეიდაშვილებს...

თემის კაცები ამას მისაბაძად ფაქტად მიიჩნევენ და სურვილს გამოთქვამენ რომ: – ასეთი საქციელი ხევში „საერთო წესად იქცეს.“

*

ჩაბაიძეთა „სახლში პურ-მარილში გარევის“ შემდგომ, ზემოაღნიშნული სუფრის წევრები, „კარკუჩას გადადიან“, ყამარაულებთან – სადაც შერიგების ტრადიციის ბოლო აქტი სრულდება და მესისხლეობა – დაძმობილებით მთავრდება.

ართხმო

ნასოფლარი ართხმოსწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე – ზ.დ. 2000 მ-ზე. მოხსენიებულია – XV ს-ის დოკუმენტში, გერგეტელ საყდრისშვილთა მატიანეში.

ხევსურთ სოფელი იყო.

სახლობდნენ: – წიკლაურები, არაბულები და ნაროზაულები.

1860 წელს – არაბულების 6 და წიკლაურების 3 კომლი სახლობდა.

1886 წელს – არაბულების 5 და წიკლაურების 4 კომლი.

1926 წელს – 20 კომლი აღირიცხა, 70 სული (36 მამაკაცი და 34 ქალი).

2002 წელს – გაუკაცრიერებული იყო.
ამბობენ რომ: – ყველაზე ბოლოს სოფელი წიკლაურებმა მიატოვეს.

კარკუჩა

სნოს ხეობის სათავეში მდებარეობს, ზ.დ. 1900 მ-ზე.
მოხევეებით დასახლებული ბოლო სოფელია აღნიშნულ ხეობაში.
ცხოვრობენ ყამარაულები და მარსაგიშვილები.
„ერთხან, ჯუთას მსგავსად, კარკუჩაშიც ხევსურები მდგარან."
„ღუდუშაურებს აუყრიათ" ისინი.
„ეს ადგილები მთრეხელების და დიმიაურების ყოფილა."
„მთრეხელებს დიმიაურები გაუძევებიათ, მთრეხელები ღუდუშაურებს."
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), სოფლის სიახლოვეს წმინდა გიორგის სახელობის სამი ნიში დგას – ნადარბაზევის, ღალანგურის და ყანანაზისა.
ნადარბაზევის ნიში ჯუთისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს.
ღალანგურის ნიში – ართხმოსა და კარკუჩის შუა მდებარე მაღალი მთის წვერზეა განთავსებული.
ღალანგურობა – სნოს ხეობის სოფლების ერთიბლივი დღეობაა.
მოხევეები მას – ართხმოელ და ჯუთელ ხევსურებთან ერთად, წელიწადგამოშვებით აღნიშნავდნენ.
მომდევნო წლებში – ამავე სალოცავში, ხეთენობას ზეიმობდნენ.

*

კარკუჩელთა საერთო დღეობა იყო კვირესძლობა, რომელიც კვირეს ხატის სახელზე, აღდგომიდან მესამე კვირას იმართებოდა.
სალოცავი სნოსწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე მთის ძირში – ყანანაზის წმინდა გიორგის ხატის გასწვრივ არის განთავსებული – კარკუჩის გაღმა უბნის სათავეში.
ღალანგურობასა და კვირესძლობაზე დეკანოზობა – ყამარაულების წილხვედრი იყო.
ყანანაზის წმინდა გიორგის ხატში კარკუჩას მცხოვრებნი ზეიმობდნენ ამაღლებას.
სალოცავი სოფლიდან ერთი კმ-ის დაშორებით მდებარეობს, სნოსწყლის მარცხენა მხარეს (ყაის ხეობის დასაწყისში) – შემაღლებულ ადგილზე;
შემოკავებულია ფიქალის ღობით.
თითქმის, ყველა დღეობაზე (პირველ ყოვლისა კი ამაღლებაზე) – კარკუჩაში „ღამე დგომით" მიდიოდნენ მაისურაძეები (გადმოცემის თანახმად – ჩაბაკაურებიც).
ამბობენ რომ: –
რაჭიდან მოსული მაისურაძეები, პირველად – კარკუჩის მიმდებარედ, – ყანანაზის წმინდა გიორგის ხატის მიმდებარედ დასახლდნენ. ტყარშეთში გადასახლების შემდგომ, თავიანთი ყანა მათ აღნიშნულ სალოცავს შესწირეს და იქ მომლოცველობას განაგრძობენ (ჩაბაკაურების წილდებულობის მიზეზი – ვერ დგინდება).

*

ყამარაულები და მარსაგიშვილები, ქოსელ-ახალციხის მოსახლეობასთან ერთად – ახალციხის ღვთისმშობლის ეკლესიის წილდებულებად ითვლებოდნენ.

სამივე სოფელს თავისი საწირი შეჰქონდა.

*

1926 წლის აღწერით – კარკუჩაში, 60 კომლი დარეგისტრირდა (121 მამაკაცი და 173 ქალი);

2014 წელს – 50 სული (25 მამაკაცი და 25 ქალი).

*

კარკუჩის სასაფლაოზე – ფიქალით ნაგები ცახვედისის წმინდა გიორგის პატარა – ერთნავიანი ეკლესია მდგარა, რომელიც, კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, თითქმის, მთლიანად დაინგრა. ამჟამად, გოდერძი (რომან) მარსაგიშვილის ძალისხმევით არის აღდგენილი.

როგორც საველ მასაგიშვილი გვამცნობს: –

1984 წელს – ახალეთ ვალიკო, გორგეთ გურამ და მურად მარსაგიშვილების თაოსნობით, გუდამაყრის ხეობის პირიმზე ფუძის ანგელოზის სალოცავიდან, ტოპონიმ „დეკიანში“ გადმოაბრძანეს ნალოცი ქვები – რომლებიც ჩატანებული იქნა, ჯუთის და კიბისწყლების შესართავთან, შემაღლებულ კლდოვან ბორცვზე – აღმართულ პირიმზე ფუძის ანგელოზის ნიშში.

მისი დღეობა იმართება მარიამობიდან ერთი კვირის შემდეგ – შაბათ დღეს.

*

კარკუჩაში გავლით მყოფმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქმა, ილია II-მ პირადად შეარჩია და აკურთხა სოფლის მფარველი ეკლესიის ასაგები ადგილი – სულთი ყამარაულის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (შუა სოფელში).

აშენების კურთხევა მისცა საველ მარსაგიშვილს.

არქიტექტორ გიორგი (გივი) მარსაგიშვილის პროექტის მიხედვით, ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელზე აშენდა – საველ მარსაგიშვილის და მისი ვაჟების, გელას და გიორგის შემოწირულობით, 2003-2004 წ.წ.

სხვა სიწმინდეებთან ერთად, სალოცავში დაბრძანებულია მარსაგიშვილებისა და ყამარაულების – საგანგებოდ დაწერილი საგვარეულო ხატები.

სოფლის მაცხოვრებთა შემოწირულობით, 2016 წლის შემოდგომაზე, მოიხატა ტაძრის საკურთხევლის კონქი;

2020 წელს ეკლესიის მოხატვის შესაწირი სრულად გაიღო – ცეზარ და ალექსანდრე (ალეკო) მარსაგიშვილების ოჯახმა.

მოხატა ხატმწერმა ლაშა ვანიძემ.

ყამარაულები

კარკუჩის პირველმოსახლენი ყამარაულები (ეფხენი, ბეკურენი, ტარიელნი, ბესვენი და გოგელნი) ყოფილან.

ფშავიდან არიან ხევში მოსულები.

მათი ადრინდელი საცხოვრისი ყანანაზი იყო.

იქ არსებული ნასახლარ-ნაციხვარები და სალოცავები – ყამარაულების თავდა-პირველი დასახლების ნაშთებია.

მათი მიტოვების შემდგომ, ხევიში არსებული ტრადიციის შესაბამისად – ადრინ-დელი ნამოსახლარი მათ სიწმინდედ სცნეს და – იქ, ყანანაზის წმინდა გიორგის ხატი ააგეს.

*

კიბე, ანუ კიბენი (ქვაკიბე) ეწოდება სნოს ხეობიდან გუდამაყარში გადასასვლელ შეღმართს.

აღნიშნული ტოპონიმი მოხსენიებულია გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნის შესავალში, როგორც კანონთა სამოქმედო ასპარეზის ერთ-ერთი სასაზღვრო პუნქტი.

ქვაკიბე წარმოადგენს კიბისებრ კლდეს ყანანაზისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც ყანანაზის ციხე მდგარა.

მის ნანგრევს დაარქვეს ყამარაულებმა ამაღლების ხატი.

უფრო მოგვიანებით, მთელი ნასოფლარიც სალოცავად აქციეს და, როგორც უკვე აღვნიშნე – იქ, ყანანაზის წნინდა გივარგის სალოცავი აღმართეს.

*

ხალხური მეხსიერების თანახმად, ყამარაულების ადრინდელი გვარი ნონიაური ყოფილა; განსხვავებული ვერსიით – გოგოლაური.

ერთი გადმოცემის თანახმად, ისინი ქისტებმა ამოწყვიტეს;

მეორე გადმოცემის მიხედვით, "ჭირმა გაათავა."

გადარჩენილა ერთი ორსული ქალი, სახელად ყამარი, რომელიც ფშავში, მამის სახლში წასულა; იქ შესძენია ვაჟი.

„ბიჭი რო წამოზრდილა, ფშავლებს უყვედრებიათ: –

„აქ კი ნუ ბიჭობ, წადი და შენს მამულს მიხედეო."

დედისგან შეიტყო ჭაბუკმა ვინც იყო... საიდანაც იყო. მოსულა თავისი მამა-პაპის მამულში და იქ დასახლებულების ნახირი გაურეკია.

მეპატრონეებმა – თურმე, ფარ-ხმალის ასხმა დაიწყეს, მაგრამ მათ მოხუც კაცს უთქვამს: –

„იყუჩეთ – იქნებ ამ ადგილს თავისი წიწილი გამოუჩნდაო..."

გაირკვა რომ: –

ადგილის პატრონი, მართლაც, გამოუჩნდა...

იმ ვაჟის დედის სახელიდან (ყამარიდან) წარმოსდგა ყამარაულების გვარი.

*

ყამარაულების და მარსაგიშვილების შესახებ არსებული საარქივო სტატისტიკუ-რი მონაცემებით ვსარგებლობ საველ მარსაგიშვილის წიგნიდან.

*
1774 წლის აღწერით – კარკუჩაში, მათი ორი კომლი სახლობდა: –

1. ყომარაული პაპუასშვილი მამა, შალვა, ბიძია და კურდღელა;
2. ყამარაული ვეფხისშვილი ბერი.

1781 წელს აღწერით მოხსენიებულნი არიან: –

1. პაპუას შვილი (ყამარაული) შალვა, კურდღელა, ივანე და გიორგი;
2. ვეფხიას შვილი (ყამარაული) ბერი.

1804 წლის აღირიცხნენ: –

1. ივანე ყამარაული შვილი;
2. ეფხაი ყამარაული შვილი;
3. შავხალა ამეიეო შვილი (?) (არ იკითხება) [ყამარაული];
4. გიორგი ყამარაჩა შვილი [ყამარაული];
5. ბასან ყამარაული შვილი (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 77).

1816 წელს დარეგისტრირდნენ: –

1. შავხალ ყამარაული.
2. გოგოლა ყამარაული
3. შიო ყამარაული
4. გოგია ყამარაული (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 436, გვ. 13)

1831 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. გოგი ყამარაული, 40 წლის; მისი შვილი ბერი – 3 წლის. გოგის ძმა, ტეტია – 30 წლის. ტეტიას შვილი, გლახა – 5 წლის. ძმისშვილი იოსები – 18 წლის.
2. ბერი ყამარაული – 40 წლის; მისი შვილი, ტეტია – 20 წლის. ბერის ძმა, გრიგოლი – 35 წლის.
3. გოგოლა ყამარაული – 42 წლის; მისი შვილები: ბერი – 10 წლის; ბიჭიკო – 6 წლის. გოგოლას ძმები: მანგია – 25 წლის; პაპა – 35 წლის. პაპას შვილი, იორდანე – 5 წლის.
4. შიო ყამარაული – 40 წლის; მისი შვილი, ბეკურა – 12 წლის; შიოს ძმა, სია – 33 წლის. მისი შვილი ნინია – 5 წლის.
5. გიორგი ყამარაული – 30 წლის; მისი ძმა, ნინია – 20 წლის (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1245, გვ. 59-62)

1842 წელს აღირიცხნენ: –

1. ტეტია ყამარაული – 41 წლის; მისი შვილი, გლახა – 16 წლის. ძმისშვილი, ბერი – 14 წლის.
2. იოსებ ყამარაული – 29 წლის; მისი შვილები: გლახა (იგივე მიხეილი) – 6 წლის;

ტეტია – 3 წლის. იოსების ძმა, გაგა – 37 წლის.

3. ტეტია ყამარაული – 31 წლის; მისი შვილი, იოსები – 8 წლის. ტეტიას ძმა, დავითი – 14 წლის; ბიძა, გრიგოლი – 46 წლის. გრიგოლის შვილი, ივანე – 3 წლის.
4. პაპა ყამარაული – 46 წლის; მისი შვილები: იორდანე – 16 წლის; ზაქარია – 10 წლის. პაპას ძმა, მანგია – 36 წლის. ძმისშვილები: ბერი (იგივე იაკობი) – 21 წლის; ბიჭიკო – 14 წლის; გიორგი – 2 წლის.
5. შიო ყამარაული – 51 წლის; მისი შვილები: ბეკურა – 23 წლის; გლახა – 16 წლის. ბეკურას შვილი – 3 წლის (სახელი არ წერია).
6. გიორგი ყამარაული – 41 წლის; მისი შვილი, შავხალი – 4 წლის. გიორგის ძმა, ნინია – 31 წლის. მისი შვილი, გლახა – 1 წლის (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 2037, გვ. 54–56).

1860 წელს – კარკუჩაში მოხსენიებულნი არიან: –

1. შიო გიორგის ძე ყამარაული – 70 წლის; მისი შვილი, ბაკურა (ბეკურა) – 42 წლის; ბეკურას შვილები: გირგოლა – 21 წლის; ლევანი – 16 წლის; იოსები – 13 წლის; გიორგი – 7 წლის; იაკობი – 3 წლის; შიოს ძმისშვილის, გლახას შვილები: დავითი – 13 წლის; ივანე – 5 წლის; ბეკურას ბიძაშვილი, სიმონი – 25 წლის.
2. იოსებ ბერდიას ძე ყამარაული – 55 წლის; მისი შვილები: მიხეილი – 24 წლის; ტეტია – 20 წლის; სიმონი – 12 წლის; გიგოლა – 5 წლის; იოსების ძმა, გიორგი – 40 წლის; მისი შვილები: იორდანე – 15 წლის; ბესარიონი – 5 წლის; ივანე – 2 წლის.
3. ბერი გოგიას ძე ყამარაული – 30 წლის;
4. გიორგი გიგოლის ძე ყამარაული – 50 წლის; მისი შვილი, ადამი – 16 წლის; ბიძაშვილები (პაპას შვილებ): იაკობი – 15 წლის; იორდანე – 35 წლის; ზაქარია – 30 წლის; იაკობი – 26 წლის.
5. ჟურგუნა გიორგის ძე ყამარაული – 25 წლის; მისი ძმები: იოსები – 7 წლის; ნიკოლოზი – 3 წლის.
6. ნინია ეფხიას ძე ყამარაული – 50 წლის; მისი შვილები: გლახა – 19 წლის; აბა – 10 წლის; გიორგი – 5 წლის.
7. ტეტია ბერის ძე ყამარაული – 50 წლის; მისი შვილი, იოსები – 25 წლის; ტეტიას ძმა, დავითი – 33 წლის. მისი შვილები: იაკობი – 7 წლის; მიხეილი – 1 წლის; დავითის ბიძაშვილები (გრიგოლის შვილები): ივანე – 20 წლის; ანდრია – 12 წლის (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 235, გვ. 205–212).

1873 წელს დარეგისტრირდნენ: –

1. გრიგოლი ბეკურას ძე ყამარაული – 34 წლის; მისი შვილები: კონსტანტინე – 12 წლის; კაცია – 9 წლის; პავლე – 4 წლის; გაბო – 2 წლის; გრიგოლის ძმები: ლევანი – 28 წლის; იოსები – 26 წლის; გიორგი – 20 წლის; იაკობი – 16 წლის;

გლახა – 12 წლის; გრიგოლის ბიძაშვილები: ივანე გლახას ძე – 18 წლის; სიმონ სიას ძე – 38 წლის.

2. მიხეილ იოსების ძე ყამარაული – 37 წლის. მისი შვილები: იოსები – 7 წლის; ბერა – 5 წლის; მიხეილის ძმები: ტეტია – 33 წლის; სიმონი – 25 წლის; გიგოლა – 18 წლის; ტეტიას შვილი ივანე – 4 წლის. მიხეილის ბიძაშვილი, ბერა გოგიას ძე – 43 წლის.
3. იორდანე გიორგის ძე ყამარაული – 28 წლის; მისი შვილი, გიორგი – 1 წლის. იორდანეს ძმები: ბესარიონი – 18 წლის; ივანე – 15 წლის.
4. გიორგი გიგოლას ძე ყამარაული, 63 წლის; მისი შვილი, ადამი – 29 წლის; გიორგის ძმის – იაკობის, შვილები: გლახა – 12 წლის; მიხეილი – 6 წლის; გიორგის ბიძაშვილი, იორდანე – 48 წლის; იორდანეს შვილი გაბრიელი – 4 წლის; იორდანეს ძმის, ზაქარიას შვილები: ესტატე – 10 წლის; ივანე – 6 წლის.
5. იოსებ გიორგის ძე ყამარაული – 20 წლის; მისი ძმა, ნიკოლოზი – 16 წლის. მათი ძმის, ჯღუნას შვილი, ივანე – 8 წლის.
6. ნინია ეფხიას ძე ყამარაული, 63 წლის; მისი შვილები: გლახა – 32 წლის; აბა – 23 წლის; გიორგი – 18 წლის. გლახას შვილი, ბაჭყურა (ბიჩურა) – 4 წლის.
7. იოსებ ტეტიას ძე ყამარაული, 38 წლის; მისი შვილები: გიორგი – 10 წლის; ივანე – 7 წლის.
8. დავით ბერის ძე ყამარაული, 46 წლის; მისი შვილი, იაკობი – 20 წლის.
9. ივანე გრიგოლის ძე ყამარაული, 40 წლის; მისი ძმა, ანდრია – 25 წლის (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 234, გვ. 452–461).

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. ყამარაული გრიგოლ ბეკურას ძე 55 წლის; მისი შვილები: კოტე – 25 წლის;

კაცია – 22 წლის; პავლე – 17 წლის; გაბო – 15 წლის; გრიგოლის ძმები: ლევანი – 45 წლის; იოსები – 39 წლის; გიორგი – 33 წლის; იაკობი – 29 წლის; ივანე (გლახა) – 25 წლის; ლევანის შვილი, ვანო – 6 წლის, სვიმონი – 1 წლის, იოსების შვილი, ალექსი – 6 წლის; გიორგის შვილი ივანე – 1 წლის; იაკობის შვილი, სოლომონი – 1,5 წლის; გრიგოლის ბიძაშვილები: ივანე გლახას ძე – 35 წლის; სვიმონ სოსიას (სიას) ძე – 51 წლის.

2. ყამარაული მიხეილი იოსების ძე – 50 წლის; მისი შვილები: იოსები – 20 წლის; გერისო – 18 წლის; ტეტია – 6 წლის; მიხეილის ძმა, სვიმონი – 38 წლის; სვიმონის შვილი, გრიგოლი – 4 წლის; მიხეილის ძმიშვილი, ივანე ტეტიას ძე – 17 წლის.

3. ყამარაული იორდანე გიორგის ძე, 41 წლის; მისი შვილები: გიორგი – 14 წლის; ალექსი – 10 წლის;

4. ყამარაული ბესარიონ გიორგის ძე, 31 წლის; მისი ძმა, ივანე – 28 წლის; მათი ბიძა, ბერო გოგიას ძე – 56 წლის.

5. ყამარაული ადამ გიორგის (იგივე ბერის) ძე – 42 წლის; მისი ძმა, ილიკო – 8 წლის.

6. ყამარაული გლახა იაკობის ძე – 25 წლი;. მისი ძმა, მიხეილი – 19 წლის.

7. ყამარაული იორდანე პაპას ძე, 61 წლის; მისი შვილი, გაბო – 17 წლის; იორ-

დანეს ძმისშვილები: ესტატე – 23 წლის; ივანე – 19 წლის; ესტატეს შვილი, იაკობი – 6 თვის.

8. ყამარაული იოსებ გიორგის ძე, 33 წლის; მისი შვილი, გრიგოლი – 10 წლის.

9. ყამარაული ნიკოლოზ გიორგის ძე, 29 წლის. მისი შვილი, სერგო – 1 წლის; ნიკოლოზის ძმისშვილი, ივანე ჯღუნას ძე – 21 წლის.

10. ყამარაული გლახა ნინიას ძე, 50 წლის; მისი შვილები: ალექსი (იგივე ბაჭყურა) – 17 წლის; იაკობი – 10 წლის; ივანე – 4 წლის; ვანკა – 1 წლის; გლახას ძმები: აბა – 36 წლის; გიორგი – 31 წლის.

11. ყამარაული იოსებ ტეტიას ძე, 51 წლის; მისი შვილები: გიორგი (იგივე ტარიელი) – 23 წლის; ვანო – 20 წლის; იაგორი – 8 წლის; ნიკოლოზი – 3 წლის.

12. ყამარაული იაკობ დავითის ძე, 33 წლის; მისი შვილი, ალექსი – 2 წლის.

13. ყამარაული ივანე გრიგოლის ძე, 50 წლის (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 1805, გვ. 125–146).

დათურას შვილი მარსაგიშვილები

დიდი ალბათობით, მარსაგიშვილების წინაპარი იყო გერგეტის სულთა მატიანეში მოხსენიებული ბარსაგიშვილი.

XIX ს-ის აღწერებით – ბარსაგიშვილებს თრუსოს ხეობაშიც უცხოვრიათ – სოფ. გიმარაში.

*

გადმოცემის თანახმად: –

მარსაგიშვილების წინაპარი – ქისტების სოფელ მეთხიჩოდან მესისხლეობის გამო წამოსულა და კარკუჩიდან 5 კმ-ის დაშორებით (ჯუთის ქვემოთ) – მიუვალ ადგილას დასახლებულა, მილოში – სადაც „ნასახლარები და ნაციხვრებია“ დღემდე შემორჩენილი.

როგორც რ. თოფჩიშვილი გვამცნობს: –

„იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ – დღეს, ქისტეთში მოსახლე მალსაგოვები თავიანთ თავს წარმოშობით ქართველებად მიიჩნევენ“.

მარსაგიშვილები კარკუჩაში მაშინ მისულან, როცა იქ მხოლოდ ყამარაულები სახლობდნენ: –

„გაუხარდათ, როცა მარსაგიშვილებმა ჩამოსახლება გადაწყვიტეს – მხრის დამჭერი გვეყოლებაო.“

ყანანაზის და ყაის მამულების დიდი ნაწილი – მაშინ, ყამარაულების საკუთრებას წარმოადგენდა.

მათ მთებს მარსაგიშვილები საბალახეს გადახდის პირობით ქირაობდნენ.

აღნიშნულ გვარებს შორის, დროთა განმავლობაში – ადგილ-მამულების განკერძოება მოხდა: –

ყაის მთას დაეუფლნენ ყამარაულები; მილოს მთას – მარსაგიშვილები.

ქვენამთა სასოფლოდ დარჩა, მაგრამ – საბოლოოდ, მარსაგიშვილებმა დაისაკუთრეს.

1774 წლის აღწერით, ისინი მეთხიჩოელის გვარით არიან ჩაწერილები: –

1. მეთხიჩოელი ტომას შვილი ივანე;
2. მეთხიჩოელი დათურას შვილი მამუკა, ბერი და გიორგი;
3. მეთხიჩოელი დუდულას შვილი გლომიტა, ნოვა და გიორგი;
4. მეთხიჩოელი ზარიბეგის შვილი ვარძუკა და პაპუა.

ძირად მარსაგიშვილებად არიან მიჩნეულნი, იმავე (1774) წელს, სათარგმანოში მცხოვრები ჯამარჯასშვილები: – ბერა, იასე, ზარიბეგ და პოვლია.

1781 წელს – დარეგისტრირდნენ: –

1. ტომას შვილი ივანე;
2. დათურას შვილი მამუკა, ბერი, გიორგი და ახლა (შემდგომში: – გორგენი, ახალენი და ქიჩენი);
3. დუდულას შვილი გიორგი;
4. ზარიბეგის შვილი ვარძუკა, პაპუა და გიორგი;

1804 წლის აღწერით (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ, 77) – მოხსენიებულნი არიან: –

1. მამუკა ვარდას შვილი (მარსაგიშვილი);
2. დათუნა ივანეს შვილი (მარსაგიშვილი);
3. ყაზია დუდულაშვილი (მარსაგიშვილი);
4. ბარდუკა დუდულაშვილი (მარსაგიშვილი).

ოთხივე კომლი მომდინარეობს XVIII ს-ის აღწერებში მოხსენიებული მეთხიჩოელებიდან დათურას (დათუნას) შვილებიდან, დუდულას შვილებიდან და ზარიბეგის შვილებიდან); ტომას შვილის შტო წყდება.

მარსაგიშვილიბი – დღეს, 20-ზე მეტ თაობას ითვლიან და რამდენიმე მამიშვილობად არიან დაყოფილები (ახალენი, გორგენი, ქიჩენი, ტროპენი, დუდულენი...).

1816 წლის აღწერით – კარკუჩაში დარეგისტრირდნენ: –

1. ბერი მარსაგიშვილი;
2. ბულა მარსაგიშვილი (შემდგომში – ახალეთ შტო);
3. გორგა მარსაგიშვილი (შემდგომში – გორგეთ შტო);
4. მამუკა მარსაგიშვილი;
5. (მეორე) ბერი მარსაგიშვილი;
6. თარხანი სულხან დუდულაშვილი (მარსაგიშვილი);
7. თარხანი ბასანა დუდულაშვილი (მარსაგიშვილი);
8. თარხანი ყაზია დუდულაშვილი (მარსაგიშვილი).

აღწერილი 8 კომლიდან სამი (№ 6, № 7 და № 8) ცალსახად მეთხოჩიელი დუდულას შვილებიდან მოდიან;

№ 4, მეთხიჩოელი ზარიბეგის შვილი უნდა იყოს;

№ 1, № 2, № 3 და № 5 მეთხიჩოელი დათურას (დათუნას) შვილები არიან (შემდგომში – გორგენი, ახალენი და ქიჩენი).

წინამდებარე აღწერებით, მარსაგიშვილების საერთო გვარიდან მომდინარე სამი შტო იკვეთება: –

1. დათურას (დათუნას) შვილების;
2. დუდულას შვილების;
3. ზარიბეგის შვილების.

ვნახოთ, რა ცვლილებებს განიცდიან ისინი მომდევნო აღწერებით.

1831 წელს – აღირიცხენ: –

1. პაპა მარსაგიშვილი, 30 წლის; მისი ძმა, ბათირა – 25 წლის; ბათირას შვილი, იოსები – 3 წლის; ბიძაშვილი, ჩია – 18 წლის (გორგენი, გ.ქ.).
2. იასე მარსაგიშვილი, 35 წლის; მისი შვილები: ომანა – 12 წლის; შაქარა – 9 წლის; თადია – 7 წლის (ქიჩენი); მისი ბიძაშვილი, პაპა (ახალეთ ბულას ძმა, გაღმა ახალეთი, გ.ქ.) – 29 წლის; მისი შვილი, გლახა – 10 წლის; ძმისშვილი (ბულას შვილი, გ.ქ.), იოსები – 7 წლის (ახალენი იყოფიან ორ – პაპას და ბულას შტოებად, გ.ქ.).

1842 წლის აღწერით – დარეგისტრირდნენ: –

1. პაპა მარსაგიშვილი 41 წლის; მისი ძმა, ბათირა, 36 წლის; შვილები: – იოსები – 14 წლის; ნინია – 8 წლის; აკა – 7 წლის; დონღუნა – 3 წლის (გორგენი, გ.ქ.).
2. ჩია მარსაგიშვილი, 29 წლის; მისი შვილი იოსები – 1 წლის – პირველად ამ აღწერაში ჩანს; შემდგომში, ორად იყოფიან: – ერთი ვლადიკავკაზში გადასახლდა, მეორე ამოწყდა.
3. იასე მარსაგიშვილი, 46 წლის; მისი შვილები: – ომა – 23 წლის; შაქარა – 20 წლის; თადი – 18 წლის; ივანე – 2 წლის (ქიჩენი, გ.ქ.).
4. მეორე პაპა მარსაგიშვილი, 40 წლის; მისი შვილი, გლახა – 21 წლის; შვილიშვილები: – გრიგოლი – 6 წლის; სვიმონი – 3 წლის; ძმისშვილები: იოსები – 18 წლის, დემეტრე – 17 წლის; ნინია – 15 წლის (ახალენი, გ.ქ.).

1860 წლის აღწერით მოხსენიებულნი არიან: –

1. იაკობ ჩარიას ძე მარსაგიშვილი, 28 წლის; მისი ძმა, ყანია – 26 წლის (ვლადიკავკაზში გადადიან საცხოვრებლად).
2. იოსებ ჩიას ძე მარსაგიშვილი, 19 წლის (ეს კომლი 1886 წლამდე ვერ აღწევს).
3. პაპა გიორგის ძე მარსაგიშვილი, 65 წლის; მისი ძმისშვილის ბათირას შვილები: იოსები – 32 წლის; ნინია – 22 წლის; მამუკა – 20 წლის (გორგენი, გ.ქ.).
4. დემეტრე ბულას ძე მარსაგიშვილი, 35 წლის; მისი შვილები: – გიორგი, 16 წლის; ივანე – 12 წლის; შიო – 9 წლის; თედო – 6 წლის; იოსები (ადია) – 3 წლის; დემეტრეს ძმები: იოსები – 30 წლის; ნინია – 29 წლის (ახალენი, გ.ქ.);
5. გირგოლა გლახას ძე მარსაგიშვილი, 25 წლის; მისი ძმები: სვიმონი – 20 წლის; ჯღუნა – 12 წლის (ახალენი).
6. ზაქარია იასეს შე მარსაგიშვილი, 40 წლის; მისი შვილი ტეტია – 13 წლის; ზაქარიას ძმები: თადია – 35 წლის; ივანე – 20 წლის; თადიას შვილები: სიმონი – 16 წლის; ანდრია – 10 წლის (ქიჩენი, გ.ქ.).
7. გლახა ყაზიას ძე მარსაგიშვილი, 40 წლის;

1873 წლის აღწერით – სახელდებიან: –

1. იაკობ ჩარიას ძე მარსაგიშვილი, 41 წლის (ვლადიკავკაზში გადასახლდა).
2. ნინია ჩარიას ძე მარსაგიშვილი 39 წლის (ეს კომლი ამოწყდა).
3. იოსებ ბათირას ძე მარსაგიშვილი, 45 წლის; მისი შვილები: ბეჟანი – 9 წლის; დავითი – 5 წლის; იოსების ძმები: ნინია – 35 წლის; მამუკა – 33 წლის; ნინიას შვილი, ვასილი – 2 წლის; მამუკას შვილი, სვიმონი – 10 წლის (გორგენი, გ.ქ.).
4. დიმიტრი ბულას ძე მარსაგიშვილი, 48 წლის; მისი შვილები: გიორგი – 27 წლის; ივანე – 25 წლის; შიო – 22 წლის; იორდანე (ადია) – 16 წლის; პავლე – 12 წლის; დემეტრეს ძმა, იოსები – 43 წლის (ახალენი, გ.ქ.).

5. ნინია ბულას ძე მარსაგიშვილი, 42 წლის; მისი შვილი, ლაზარე – 3 წლის (ახალენი, გ.ქ.).
6. გრიგოლ გლახას ძე მარსაგიშვილი, 38 წლის; მისი შვილები: სოლომონი – 11 წლის; გაბრიელი 5 წლის; ივანე – 1 წლის; გრიგოლის ძმები: სვიმონი – 33 წლის; ჯღუნა – 25 წლის (გაღმა ახალენი, გ.ქ.).
7. ზაქარია იასეს ძე მარსაგიშვილი, 53 წლის; მისი შვილები: ტეტია – 26 წლის; გაგა – 12 წლის; ეგნატე – 9 წლის; ზაქარიას ძმები: თადია – 48 წლის; ივანე – 33 წლის; თადიას შვილები: სვიმონი – 29 წლის; ანდრია – 23 წლის; ციკო – 10 წლის; ივანეს შვილები: მოსე – 11 წლის; დავითი – 8 წლის; მიხეილი 4 წლის; თომა – 1 წლის (ქიჩენი, გ.ქ.);
8. გლახა ყაზიას ძე მარსაგიშვილი, 53 წლის;
9. ნიკოლოზ ნინიას ძე მარსაგიშვილი, 15 წლის.

1886 წელს – კარკუჩაში, სახლობდნენ: –

1. მარსაგიშვილი სერგო იაკობის ძე; მისი ძმა, მიშო – მიხეილი (ვლადიკავკაზში ცხოვრობენ, ჩარიას შვილიშვილები არიან, გ.ქ.).
2. მარსაგიშვილი ნინია ჩარიას ძის კომლი – ამოწყდა.
3. მარსაგიშვილი იოსებ ბათირას ძე, 58 წლის; მისი შვილები: ბეჟანი (ნიკოლოზი) – 22 წლის; იაკობი – 13 წლის; იოსების ძმისშვილები: ვასილ ნინიას ძე – 15 წლის; სვიმონ მამუკას ძე – 23 წლის; ფიდო მამუკას ძე – 6 წლის (გორგენი, გ.ქ.).
4. მარსაგიშვილი დიმიტრი ბულას ძე, 61 წლის; მისი შვილები: ივანე – 38 წლის; შიო – 35 წლის; ადია – 29 წლის; პავლე – 25 წლის; ივანეს შვილი, ალექსი – 3 წლის; შიოს შვილი, კოტე – 3 წლის; დიმიტრის ძმა, იოსები – 56 წლის; დიმიტრის ძმისშვილი, ლაზარე ნინიას ძე, 16 წლის (ახალენი).
5. მარსაგიშვილი გიორგი გლახას ძე, 51 წლის; მისი შვილები: სოლომონი (მაქსინა) – 24 წლის; გაბო – 18 წლის; ვანო – 14 წლის; კიკო – 5 წლის; გიორგი – 1,5 წლის (გაღმა ახალენი, გ.ქ.).
6. მარსაგიშვილი ჯღუნა გლახას ძე, 38 წლის; მისი ძმისშვილი, ალექსი სიმონის ძე, – 12 წლის (გაღმა ახალენი, გ.ქ.).
7. მარსაგიშვილი ტეტია ზაქარიას ძე, 39 წლის; მისი შვილი, სუსუა (სვიმონი) 11 წლის (ქიჩენი, გ.ქ.).
8. მარსაგიშვილი გიორგი (გაგა) ზაქარიას ძე, 25 წლის; მისი ძმა, ეგნატე – 22 წლის (ქიჩენი, გ.ქ.).
9. მარსაგიშვილი თადია იასეს ძე, 65 წლის; მისი შვილები: სვიმონი – 42 წლის; ანდრია (დოღდი) – 36 წლის; ციკო – 23 წლის; სვიმონის შვილი, იოსები – 3 წლის; დოღდის შვილი, გიორგი – 3 წლის (ქიჩენი, გ.ქ.).
10. მარსაგიშვილი ივანე იასეს ძე, 55 წლის; მისი შვილები: მოსე – 24 წლის; იაკობი – 21 წლის; მიხეილი 17 წლის; ვანო – 14 წლის (ქიჩენი, გ.ქ.).

დუდულას შვილი მარსაგიშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დუდულენი და ტროპენი – კარკუჩის ერთ-ერთი უბნის – ზემოსოფლის, პირველმოსახლენი იყვნენ.

ძირად მარსაგიშვილები არ არიან.

ამანათები ყოფილან და მათ გვარზე დაწერილან.

დუდულენი – თუშეთიდან გადმოსახლებულან;

„ცოდო ჰქონდათ რაღაც გაკეთებული და აქ შემეეფარნენ.“

მათი ადრინდელი გვარი სულხანაური იყო.

XVIII ს-ის აღწერებით, ისინი, ახალენის, გორგენის და ქიჩენის წინაპრებთან ერთად – მეთხიჩოელებად არიან მოხსენიებულნი.

1774 წლის – კარკუჩაში სახელდება: –

მეთხიჩოელი დუდულასშვილი ლომიტა, ნოვა და გიორგი;

1781 წელს: – დუდულას შვილი გიორგი;

1804 წლის აღირიცხნენ: –

1. ყაზია დუდულაშვილი [მარსაგიშვილი];
2. ბარდუკა დუდულაშვილი [მარსაგიშვილი].

1816 წელს დარეგისტრირდნენ: –

1. სულხან დუდულაშვილი [მარსაგიშვილი];
2. ბასანა დუდულაშვილი [მარსაგიშვილი];
3. ყაზია დუდულაშვილი [მარსაგიშვილი] (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 436, გვ. 13).

1831 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. ბასანა დუდულაევი [დუდულაშვილი, იგივე მარსაგიშვილი] – 40 წლის; მისი შვილი, ნინია – 7 წლის. ძმისშვილი, გლახა – 7 წლის.
2. სურხავ (სულხან) დუდულაევი [დუდულაშვილი, იგივე მარსაგიშვილი] – 40 წლის; მისი შვილი, გრიგოლი – 10 წლის (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1245, გვ. 59-62).

1842 წელს აღირიცხნენ: –

1. გლახა დუდულაშვილი, იგივე მარსაგიშვილი – 18 წლის; მისი ძმა, ნინია – 16 წლის;
2. სურხავ დუდულაშვილი [მარსაგიშვილი] – 51 წლის; მისი შვილი, ივანე – 6 წლის (სცსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 2037, გვ. 54–56).

1860 წლის დარეგისტრირდა: –

1. ივანე სულხავის ძე მარსაგიშვილი, 23 წლის;

1873 წელს სახელდებიან: –

1. მარტია ნინიას ძე მარსაგიშვილი, 39 წლის; მისი შვილები, გლახა – 20 წლის; შიო – 5 წლის;
2. ივანე სულხანის ძე მარსაგიშვილი, 36 წლის; მისი შვილები: გიორგი – 10 წლის; ალექსი – 3 წლის.

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. მარსაგიშვილი ივანე სულხავის ძე, 49 წლის; მისი შვილები: გიორგი – 23 წლის; ალექსი – 16 წლის.

ტროპენი
(სვიმენი, მარტიენი, ნინიენი, აკენი, ომენი)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ტროპენი – ხევსურეთიდან არიან მოსულები.

1831 წლის აღწერით – კარკუჩაში სახელდებიან: –

ბერი მარსაგიშვილი, 50 წლის; მისი შვილი, პაპა – 30 წლის; ბერის ძმა, დადურა – 40 წლის; მისი შვილი, ატა – 6 წლის; ძმისშვილი, ჯღუნა 7 წლის.

1842 წელს მოხსენიებულნი არიან: –

პაპა მარსაგიშვილი, 41 წლის; მისი შვილები: – აკა, 16 წლის, ივანე – 1 წლის; პაპას ძმის (ნინიას გ.ქ.) შვილები: – დათუკა (დათუნა) – 23 წლის; გაგი – 18 წლის; გიორგი – 13 წლის; მარტია – 11 წლის.

1860 წელს აღირიცხნენ: –

1. პაპა ბერის ძე მარსაგიშვილი, 60 წლის; მისი შვილები: მამუკა – 30 წლის; ივანე – 18 წლის; ტეტია – 15 წლის; ნინია – 13 წლის; გიგოლა – 5 წლის;
2. დათუნა ზარიბეგის ძე მარსაგიშვილი, 45 წლის; მისი შვილი, ესტატე, 7 წლის; დათუნას ძმები: – გოგი – 32 წლის; გიორგი – 25 წლის; გიორგის შვილები: – სიმონი – 3 წლის; იოსები – 1 წლის;
3. მარტია ნინიას ძე მარსაგიშვილი, 26 წლის; მისი შვილი, გლახა – 7 წლის.

1873 წელს დარეგისტრირდნენ: –

1. მამუკა პაპას ძე მარსაგიშვილი, 43 წლის; მისი შვილი, გიორგი – 3 წლის; მამუკას ძმები: ივანე – 31 წლის; ტეტიკა – 28 წლის; გიგოლა – 18 წლის; ტეტიკას შვილები: – როსტომი – 8 წლის; გრიგოლი – 5 წლის.
2. დათუნა ზარიბეგის ძე მარსაგიშვილი, 58 წლის; მისი შვილები: – ესტატე – 20 წლის; ნინია – 11 წლის; დათუნას ძმა, გიორგი – 45 წლის – სოფელ სნოს მამასახლისი.
3. სვიმონ გიორგის ძე მარსაგიშვილი, 16 წლის; მისი ძმა, იოსები – 14 წლის (სვიმენი, გ.ქ.).
4. მარტია ნინიას ძე მარსაგიშვილი, 39 წლის; მისი შვილები: – გლახა – 20 წლის; შიო – 5 წლის.

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. მარსაგიშვილი მამუკა პაპას ძე, 56 წლის; მისი შვილები: – გიორგი – 16 წლის; სვიმონი – 6 წლის; იოსები – 4 წლის (აკენი, გ.ქ.);
2. მარსაგიშვილი ივანე პაპას ძე, 44 წლის; მისი შვილები: ვასილი – 7 წლის; ლევანი – 6 თვის; ივანეს ძმები: – ტეტიკა – 41 წლის; გიგოლა – 31 წლის; ტეტიკას შვილები: – როსტომი – 21 წლის; გიორგი – 18 წლის; მიხეილი – 11 წლის; თედო – 8 წლის; ალექსი – 5 წლის; ნიკოლოზი – 3 წლის.
3. მარსაგიშვილი ესტატე დავითის (თათუას) ძე, 33 წლის; მისი ძმა, ნინია – 24 წლის.
4. მარსაგიშვილი სვიმონ გიორგის ძე, 29 წლის; მისი ძმა იოსები (ოსკა) 28 წლის; ოსკას შვილი, ალექსი – 5 წლის.
5. მარსაგიშვილი მარტია ნინიას ძე, 80 წლის (?); მისი შვილები: გლახა – 35 წლის; შიო – 22 წლის; გლახას შვილები: – ფიდო – 9 წლის; გიგოლა – 4 წლის

ცხოვრობენ მანგლისში (მარტიენი, გ.ქ.).

XIX ს-ის აღწერებით ტროპეთ 3 შტო ფიქსირდება: ბერის, ზარიბეგის (დათურას) და ნინიასი.

1. ბერიდან მოდის პაპა; პაპადან: – მამუკა (აკა), ივანე, პეტრე (ტეტიკა) და გრიგოლი; მამუკადან (აკადან) მოდიან აკენი (ცხოვრობენ კარკუჩაში); ივანედან, პეტრედან (ტეტიკადან) და გრიგოლიდან მოდიან ტროპენი (ცხოვრობენ არშაში);
2. ზარიბეგიდან მოდის: – დავითი და გიორგი; დავითიდან მოდიან: – ესტატე, სვიმონი და ნინია; ესტატეს და სვიმონის შტო კახეთში ცხოვრობს; გიორგისგან მოდის: – სვიმონი (სვიმენი) და იოსები (ომა, ომენი).
3. ნინიასგან მოდის მარტია; მარტიასგან: – ივანე (გლახა) და შიო; ნინიენი (სვიმენი, ომენი და მარტიენი) კარკუჩაში სახლობენ. შიოს შტო მანგლისში გადასახლდა.

1926 წელს – მალსაგიანში (სოფ. არშასთან მდებარე ტროპეთ უბანში) – 7 კომლი მარსაგიშვილი სახლობდა; 15 მამაკაცი და 13 ქალი; სულ 28 სული.

*

კარკუჩა ბევრი სახელოვანი მოხევის სამშობლოა.

საკმაოდ ცნობილი პიროვნებები იყვნენ ძმები – ალექსანდრე და ალექსი ყამარაულები: –

ალექსი („ხევსურეთის“ ავტორი, საქ. სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქ. პროფსაბჭოს 10.05. 934 წლის 121-233 დადგებილებით, შრომის გმირი) – კავშირგაბმულობის კომისრად და მთიელთა კულტსაზოგადოების თავმჯდომარედ მსახურობდა; ალექსანდრე – თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის დირექტორად.

ვანო შადურის ცნობით: –

ალექსანდრე ყამარაული, 1924 წელს, ყაზბეგში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ თავის სასწავლებელში წაეყვანა ის მოხევე ახალგაზრდები, ვისაც სწავლის გაგრძელების სურვილი და შესაძლებლობა ჰქონდა...

ახალგაზრდების ამ ჯგუფმა შემდგომში დიდი როლი ითამაშა ხევის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ბევრმა მათგანმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მათ შორის იყვნენ: – აბრამ ალიბეგაშვილი (თბილისის მაუდის ფაბრიკის დირექტორი, რომელიც 1937 წლის მსხვერპლი გახდა), ლადო ჭიალაშვილი (ჩინებული ინჟინერი, ბუნებით პოეტი, რამდენიმე გამოქვეყნებული ლექსის ავტორი), როსტომ შადური და სხვანი...

სოფ. კარკუჩიდან წარმომავლობენ: –

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის რ. დოღონაძის სახ. თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის ხელმძღვანელი, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი, თამაზ მარსაგიშვილი – 130 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე.

საქართველოს სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის

მეცნიერებათა დოქტორი, სულიკო ყამარაული.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების ეროვნული მუზეუმის დირექტორი, გიორგი (გია) მარსაგიშვილი.

საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ყაზბეგის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, რაიკომის მეორე მდივანი – საქართველოს IV მოწვევის პარლამენტის წევრი – საველ მარსაგიშვილი იყო – სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1994-1995 წ.წ. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ვლადიკავკაზში; მოღვაწეობდა საქართველოს საპატრიარქოში: იყო სტეფანწმინდის და ხევის ეპარქიის მშენებლობის სამსახურის უფროსი; სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე; თბილისის წმინდა სამების მამათა მონასტრისა და საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის მშენებლობის ხელმძღვანელი; ავტორია წიგნისა: საარქივო მასალები მარსაგიშვილებისა და ყამარაულების გვარების შესახებ.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი – ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეა; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და მდივანი.

რევაზ მარსაგიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ანგლიკტიკის მიმართულების ხელმძღვანელი – პროფესორი.

ნანი მარსაგიშვილი – აკადემიური დოქტორი, აშმ-ს ორგანიზაციების მასტერ-ტრენერი ადამიანის რეპროდუქციის საკითხებში; კლინიკა „ლიდერმედის“ პოლიკლინიკური სამსახურის უფროსი.

საქართვლოს სახალხო არტისტი, გორის გ. ერისთავის სახ. თეატრის მსახიობი, ვალერიან (ვალიკო) მარსაგიშვილი.

მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მსახურობდა ვიცე-პოლკოვნიკი, თორნიკე მარსაგიშვილი, ამჟამად საქართველოს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი.

VII მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, სსრკ ჩემპიონატის II პრიზიორი, სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის III პრიზიორი, რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული – ყაზბეგის რაიონის ყოფილი გამგებელი, რომან (გოდერძი) მარსაგიშვილი.

მსოფლიო პრიზიორი კონტაქტურ კარატეში – ლაშა ყამარაული.

ცნობილი სპორტსმენი (ტანმოვარჯიშე) და მხატვარი ვახტანგ მარსაგიშვილი.

პოლიგლოტი – მურად მარსაგიშვილი აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ.

ლევან მარსაგიშვილის სპორტული ოჯახი

ყოფილი მოჭიდავის და მწვრთნელის, ლევან მარსაგიშვილის სამივე ვაჟი – თავისუფალი სტილის ცნობილი მოჭიდავეა: –

ირაკლი – საქართველოს ჩემპიონი და ნაკრების წევრი იყო.

გიორგი – ჭაბუკებში ევროპის III პრიზიორი; ახალგაზრდებში – ევროპისა და მსოფლიოს III პრიზიორი; საქართველოს ჩემპიონი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

დავითი – 2011 წლის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის. ამავე წელს, ევროპის ვიცე-ჩემპიონი; 2012—2013 წწ. ევროპის ორგზის ჩემპიონი; 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატის და 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი.

ალექსანდრე (შურა) მარსაგიშვილის სამედიცინო დინასტია

1978 წლის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რამდენიმე ნომერში (ნარკვევი: „მწყემსი კეთილი“) – იმჟამად გადასახლებაში მყოფი დისიდენტი, ზვიად გამსახურდია – უდიდესი სითბოთი მოიხსენიებს სოფ. კოჩუბეის ე.წ. „ქართული საავადმყოფოს“ თავკაცს – საქართველოს დამსახურებულ ექიმს, ალექსანდრე მარსაგიშვილს, რომელსაც, წლების განმავლობაში, ფასდაუდებელი ზრუნვა აქვს გაწეული საქართველოს ზამთრის საძოვრებზე მყოფი მწყემსებისათვის.

დღეს – მისი შვილები დგანან ქართველი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე: –

საქართველოს ლაზერული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლუიზა მარსაგიშვილი – საქართველოში ლაზერული თერაპიის ფუძემდებელია. ხელმძღვანელობს თბილისის ლაზერული მედიცინის სასწავლო ცენტრს. ლაზერულ მეთოდებს პოპულარიზაციას უწევდა – საფრანგეთში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებსა და სხვა ქვეყნებში.

მისი ხელმძღვანელობით ლაზეროთერაპიის ცენტრები გახსნილია მოსკოვში, იუგოსლავიაში, კვიპროსზე.

გამოქვეყნებული აქვს 130-მდე სამეცნიერო ნაშრომი;

10 გამოგონების ავტორია – ღირსების ორდენის კავალერი.

მედიცინის დოქტორი, ვაჟა მარსაგიშვილი – სახელოვანი ორთოპედ-ტრავმატოლოგია, 4 გამოგონების, 36 სამეცნიერო ნაშრომის და 2 მონოგრაფიის ავტორი.

დარბაზი და ნადარბაზევი

ნადარბაზევი ეწოდება ჯუთისწყლისა და ყორისწყლის შუა მდებარე რიყეს – ანუ, სოფ. კარკუჩის ზემოთ მდებარე მთისძირა ვაკეს.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

ორივე ტოპონიმის (დარბაზის და ნადარბაზევის) სახელწოდება იმის მაჩვენებელია რომ: – იქ, დარბაზული ტიპის საცხოვრებელი, ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკრებულო ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

„დარბაზი ეწოდებოდა როგორც საცხოვრებელ ნაგებობას – მოგვირგვინებული ბანით, ისე საკულტო შენობას (ხატის ჭურჭლისა და განძის შესანახ სენაკს.“

ძველად – იქ, წმინდა გიორგის ხატი და მისი განძ-ჭურჭლის შესანახი მცირე დარ-

ბაზი ყოფილა, სადაც სათათბიროდ იკრიბებოდნენ სოფლის ბჭეები – დარბაისელი მოხუცები.

„იმის გამო რომ – იქ საკულტო ხასიათის დარბაზი იდგა და მის ჭერქვეშ დარბაისელთა ბჭობა, ანუ დარბაზობა, იმართებოდა – ადგილს შემორჩა დარბაზის ოდესღაც არსებობისა და დარბაისელ მოხუცთა ბჭობის მანიშნებელი სახელწოდება – ნადარბაზევი, ანუ ნადარბასევი“ (ვალ. ითონიშვილი).

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მიხედვით“: –

შინოსწყლის გაღმა მდებარე ნასახლარების (ნადარბაზევის) თავზე – კლდეებით შემოსაზღვრულ მცირე ბაქანზე მდგარი (წმინდა სამების) დარბაზული ეკლესია (7,1X4,7 მ.) – განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება; ნაგებია ქვის მართკუთხა კვადრებით; ძლიერ დაზიანებულია.

ეკლესიასთან ფიქსირდება აკლდამები.

სალოცავის აღმოსავლეთით მდგარ ახლადნაგებ ნიშს – ეკლესიასთან გრძელი ქვა („კარის თავი“) აკავშირებს – რომელიც, რამდენიმე მრგვალ ქვასთან ერთად, ეკლესიიდან უნდა იყოს მიტანილი.

სალოცავს – ადრე, საყანე მიწები ჰქონია, რომელსაც ყამარაულები ამუშავებდნენ.

მნათეობა იმართება ზაფხულობით, შაბათ დღეს.

*

გადმოცემის თანახმად: –

ნადარბაზევის მიმდებარედ (სამაროვანში) – ხართიშვილები სახლობდნენ;

დვალებს გაუწყვეტია ისინი.

გადარჩენილი ერთადერთი მამაკაცის შთამომავალები – დღეს, სნოში ცხოვრობენ.

ყორა და „ყორელები“

მილოს მთის ჩრდილოეთით მდებარე, ყორას ულამაზესი ხეობა: – „შემკულია სახნავით, სათიბით, საძოვრითა და ტყით.“

ძველად – იქ, სოფელი ყოფილა, რაც დღემდე შემონახული ნანგრევებითა და აკლდამებით დასტურდება.

ვალ. ითონიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, „იქაური მცხოვრებნი კახეთში გადასახლებულან, სადაც სოფელი ყვარელი დაუარსებიათ.“

„მოხევეები „ყვარელს“ – „ყორელს“ ეძახიან და მიაჩნიათ, რომ ეს ყორადან წარმომავლობის მაჩვენებელია: ყორ-ელობისა.“

„ნასოფლარი ბოლო დროს სალოცავად იყო ქცეული.“

„მოხუცებს კარგად ახსოვთ, რომ ყვარლელები ყორაში კურატით მოდიოდნენ, საკლავს წმინდა გიორგის სახელზე კლავდნენ და წინაპრების შესანდობარს სვამდნენ.“

„ანდერძიც ჰქონიათ – წინაპართაგან დაწერილი, ყორადან წარმომავლობის შესახებ.“

„ახალციხელი მოხუცები გვარწმუნებდნენ, რომ მათ საკუთარი თვალით ჰქონდათ

ნანახი ასეთი შინაარსის ქაღალდი“ (ვალ. ითონიშვილი).

ყორა ეკუთვნოდა ხევის სამ სოფელს: – კარკუჩას, ახალციხეს და ქოსელს.

მისი ტერიტორიიდან გადადის გზა ინგუშებით დასახლებულ ჯარიახის (არმხის) ხეობაში.

ამ გადმოსასვლელით ახერხებდნენ ინგუშები სნოს ხეობაში შემოღწევას და – მეკობრეობას.

ამავე გზით მიდიოდნენ შურისმაძიებელი მოხევეები ჯარიახის ხეობაში.

*

ტოპონიმ „ყვარას“ უ. სახლთხუციშვილი – ივრის ხეობაში მდებარე თანამოსახელე სოფელს უკავშირებს („ლიტერატურული საქართველო,“ 2003 წელი, 31 ოქტომბერი).

მისი ინფორმაციით: –

„ივრის ხეობის სოფ. ყვარადან – დღევანდელ ყვარელში, მოსახლეობა ალექსანდრე კახთა მეფეს ჩაუსახლებია, 1441 წლის წინარე პერიოდში – ბარში მოსახლეობის შეთხელების გამო.“

„ივრის ხეობაში (ყვარას სიახლოვეს), ლაშარის სალოცავის არ არსებობის გამო – კახეთიდან მლოცველები ფშავში დადიოდნენ“ – რაც იმის მაუწყებელია, რომ, ოდესღაც, ყვარადან ყვარელში გადმოსახლებულთა წინაპრები – ძირად ფშავლები იყვნენ.“

კახელი მეფეები ხევის „ყორადან“ ხალხს ვერ ჩამოასახლებდნენ, რადგან ხევი მათი საკუთრება არ იყო;“

„ერწო-თიანეთი კი, სადაც ივრის ხეობის „ყვარა“ შედიოდა, მათ საკუთრებას წარმოადგენდა.“

ვ. ზურაშვილის ცნობით: –

„ყვარლის ახლანდელ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ჩამოსახლდნენ მთის ფშავლები – სოფელ ყვარადან.“

„ამ ნასოფლარის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი – თიანეთის რაიონში.“

„ყვარადან ჩამოსახლებულთ ყვარელები დაარქვეს და სოფლის სახელწოდებაც აქედან წარმოსდგება.“

„საისტორიო წყაროებში სოფელი ყვარა მეოთხე საუკუნეში იხსენიება.“

ჯუთა

ყაზბეგის რაიონის ხევსურთ სოფელია.

სნოსწყალის სათავეებში მდებარეობს, ხევის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე – ზ.დ. 2200 მ-ზე.

იქიდან – საძელის უღელტეხილით, ხევსურეთში (როშკაში) და გუდამაყრის ხეობაში (ფასანაურში) გადასვლაა შესაძლებელი;

საქართველოს ძველ სამხედრო გზას „ნაგზაური“ დიდხანს ეტყობოდა: –

„ჯერ დაოროკებული სწორი პროფილით და მეორე, ნაგზაურზე ბალახი უფრო მუქი ჩანდა“ – მიუხედავად იმისა, რომ 70 წელზე მეტი იყო გასული ამ გზის მიტოვებიდან (აკად. ნ. კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი,“ თბილისი, 1971 წ.).

ვინ არ მოუხიბლავს ჯუთის ულამაზეს ჭაუხებს – „მატყლივით რომ ჩეჩავენ ღრუბლებს.“

ღვთიური მადლი მიანიჭა ამ სოფელს – 2001 წელს, ლოდზე აღმართულმა ქვის ქათქათა ჯვარმა.

2021 წელს, არქიმანდრიტი ანდრიას (აბაიშვილის) შემწეობითა და შემოწირულობით ჯუთაში აშენდა მაცხოვრის ფერისცვალების ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.): –

ხევსურები – ჯუთაში XVIII ს-ში დასახლდნენ – ერეკლე II-ს ნებართვით.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად კი: –

ისინი – ჯუთაში, ართხმოსა და კარკუჩაში, უფრო ადრე ზურაბ არაგვის ერისთავმა დაასახლა.

XVIII ს-ის აღწერებში ხიზნებად არიან ჩაწერილები.

*

1878 წელს – ავსტრიელმა მეცნიერმა, ფ. ბაიერნმა, სოფლის ერთ-ერთ ეზოში, ადრინდელი შუა საუკუნეების სამარხები აღმოაჩინა.

გათხრებით აღმოჩნდა: – რკინის ისრისპირები, დანები, ბრინჯაოს და რკინის სამაჯურები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, მშვილდსაკინძი, მინისა და პასტის სხვადასხვა ფორმის მძივები...

გამოვლენილი ინვენტარი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

*

ერთი გადმოცემის თანახმად: –

ვინმე ქისტი – სახელად გარსი, რომელსაც კაცი შემოჰკვდომია – შურისძიების შიშით, ძმასთან ერთად – შემოხიზნულა ჯუთაში.

არაბულებს ამანათად მიუღიათ და ადგილშიც წილი მიუციათ.

იმავე დროს, ჯუთაში ამანათად ყოფილა მიბარებული სხვა ქისტიც – რომლის სახელი დავიწყებას არის მიცემული.

შემორჩენილია მხოლოდ მისი შვილის – მაჯიგას სახელი.

მის შვილს ბაკურა ჰრქმევია, ბაკურას შვილს – აბიკაი, აბიკას შვილს – გურამი.

ანუ – მაჯიგას მამიდან მოყოლებული, ხუთი თაობის არსებობა დგინდება.

შესაბამისად – გარსისა და მისი ძმის ჯუთაში შემოკედლებაც, ხუთი თაობის წინათ მოხდა.

გარსის – ჯუთელების ღალატი, თანამემამულეთა გულის მოგება და იქ დაბრუნება განუზრახავს.

ქისტების წინააღმდეგ ერთ-ერთ ლაშქრობაში, ჯუთელ ხევსურებთან ერთად, მონაწილეობა მიუღია – გარსის, მის ძმას და მაჯიგას მამას, რომელსაც არ უღალატია ამანათობის ფიცისათვის – ღალატზე თანხმობა არ მისცა გარსის.

განზრახვა ჩაიფუშა და გაცხადდა.

ჯუთელებს – გარსი და მისი ძმა ცოლ-შვილიანად ამოუწყვეტიათ.

ფიცის ერთგული მაჯიგას მამა ჯუთაში დამკვიდრებულა და არაბულობა მიუღია.

*

ჯუთელების მთავარი სალოცავი წმინდა გიორგის ხატია.

მის მიმდებარედ – ადრე, „შარვნის წმინდა გიორგის“ საყდარი მდგარა – რომლის თანამოსახელე სოფელი (შარვანი) – ქისტებმა მოსპეს.

*

1860 წელს – ჯუთაში, არაბულების 26 კომლი სახლობდა.

1873 წელს – 29;

1926 წელს 35 კომლი დარეგისტრირდა (არაბულები და წიკლაურები) – 134 სული (60 მამაკაცი და 74 ქალი).

ჯუთელი არაბულები

ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ჯუთელი და დათვისელი არაბულები მამიშვილობით ბიჩინაგურები არიან (მარაისძენი, იმედანი, თინიბექნი, თილილანი, ბაკურანი....).

„ეს არის ძველი მამიშვილობა, რომელსაც დათვისში გამოეყო ახალი მამანი: – მარაისძენი, იდიანი, თოხოლჩანი, შვიდხინკალანი“ (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

არაბულების ხევში გადმოსახლების შესახებ, ხალხური ზეპირსიტყვიერება ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას გვაწვდის.

ერთი გადმოცემის თანახმად: –

ზურაბ არაგვის ერისთავმა (XVII ს-ის დასაწყისში) ბიჩინაგურებს სამოსახლო ადგილი უბოძა ხევში – ჯუთას, ართხმოს და კარკუჩას.

განსხვავებული ვერსია, აღნიშნულ პროცესს – გვარის მამას, ბაჩანიგა არაბულს უკავშირებს – ერეკლე II-ის დროინდელ (XVIII ს-ის) მეომარს.

*

ამირან არაბულის ცნობით, ბაჩანიგადან მოდიან: – დავითა, სისკარა და ციხელა.

დავითასგან მოდიან: – დევანი, დავითაურნი და შვიდხინკალანი;

სისკარასგან: – იმედა, მარაისძე, თინიბექი და სასიკარათო;

იმედანი არიან: – იდიანი, შალვიანი, თოხოლჩანი და ბაბალანი;

მარაისძენი: – გაგიელანი, ბერიაშვილნი, თოთელნი და მარაისძენი;

თინიბექი-თილილანი არიან: – ქურსიკანი, ჭინჭარანი, ნათელისძენი და ჭრელანი (ჩანაწერები, 2013 წ. გვ. 77).

*

გიორგი არაბული – მარაისძენში მოიხსენიებს: – თოთელნს, მთიბელანს, გეჯურანს, ზარდონანს და ხუტანს (ესაჩუს, ჯუთას და დათვისის მცხოვრებთ).

იმედანიდან: – ზეისტეჩოს, ჯუთას და ართხმოში დასახლებულ – უთურნს, ჯაოხანს და ადუანს.

თინიბექის მამიშვილობიდან: – ხორიელში და ჯუთაში მცხოვრებ – ივანანს, აპარეკანს და ბაკურანს.

დევანიდან: – ჭალასა და უსტამალაში დასახლებულ დავითაურნს და შვიდხინკალანს.

ციხელაურნიდან: – ბაცალიგოსა და დათვისში მცხოვრებ – ადიონანს, მანგიურანთ და გორელაურებს (ცხოვრება და პოეზია, 2010 წ.).

ბიჩინაგურთა ნაწილის ხევიდან ხევსურეთში (ანუ, დათვისსა და გველეთში) დაბრუნებასთან დაკავშირებით, ვ. ბარდაველიძის მთხრობელი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: –

„ჯუთიდან რომ წამოვსულვართ, გველეთელებისთვის წაგვირთმევია მამული, რომელიც იმდენ ნაწილად განაწილებულა, რამდენიც მებრძოლ ხმლიანი ყოფილა – სამოცდასამად... აქ უწინ გიგაური მდგარა. მერე უთქვამთ სამოცდასამი ხმლიანი დაეტევაო და სამოცდასამად გაუყვიათ ეს ადგილი. რამდენი ჩამოვიდა, რამდენი დარჩა და რამდენი წავიდა უკან ჯუთაში – არ ვიცი. თოხოლჩანი იქაც (ჯუთაშიც) არიან და აქაც. აქ ეხლა სამი მამა ვართ: – იდიანი, თოხოლჩანი და თილილანი. იდია, თოხოლჩა და თილილა ძმები იყვნენ და ჩვენ ძმათაშვილები ვართ. გორელანი ცალკე არიან, სხვანია.“

წარმოდგენილ ცნობასთან დაკავშირებით, ვ. ბარდაველიძის კომენტარი ასეთია: –

„მთხრობელმა საქმის ნამდვილი ვითარება არ იცის. ის ცდება, როცა ფიქრობს, რომ იდია, თოხოლჩა და თილილა ძმები იყვნენ. ისიც შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ისინი ერთსა და იმავე დროს არსებობდნენ როგორც სამი ცალკეულ მამათა კოლექტივი... თოხოლჩას, რეალურად, ერთი ძმა ჰყავდა – თამარისძე. მათი შთამომავლობიდან შეიქმნა ჯერ ორი მამათა კოლექტივი: თოხოლჩანი და თამარისძენი, რომლებიც ამავე დროს ერთ საძმოს შეადგენდნენ; შემდეგში თოხოლჩას ოთხი შვილის (სუსუას, მანგიას, გარსიას და ფშაველას (ანუ, შალვას) შთამომავლობა ჩამოყალიბდა ოთხ მამათა კოლექტივად (სუხუანი, მანგიანი, გარსიანი და შალვანი, ანუ, ფშაველანი. ყველა ისინი ერთ, თოხოლჩათ საძმოს შეადგენდნენ. ასევე, თამარისძე ოთხი ვაჟიშვილის (იდიას, უთურას, გაგას და თამარისძის) შთამომავლობამ მოგვცა ოთხი მამანი (იდიანი, უთურანი, გაგანი და თამარისძენი), რომლებიც თამარისძეთ საძმოს შეადგენდნენ. ხოლო თოხოლჩათ და თამარისძეთ საძმოები – ერთ თემს, იმედათ თემს შეადგენდნენ. ანუ, თემის ეპონიმი იყო იმედა, რომელსაც ორი ძმა ჰყოლია: – თილილა და მარაისძე, რომლებიც ისევე როგორც იმედა ეპონიმები გახდნენ – მათგან განვითარებული ჯერ მამების კოლექტივებისა, შემდეგ საძმოებისა და ბოლოს, სოფლის თემისა“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).

*

ჯუთელმა არაბულებმა ბევრი საამაყო მამულიშვილი მისცეს სრულიად საქართველოს: –

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან არაბული – ხალხური სიტყვიერების ცოცხალი საგანძური და მისი პირუთვნელი მემატიანეა, უძველესი მითების, მითოლოგიური სახეების, თქმულებების, ლექსების და ანდრეზების შემგროვებელი და მკვლევარი, სიტყვაში ჩადებულ საიდუმლოებათა გამცხადებელი

და ამომხსნელი (თ. ჟურული, ლიტერატურული საქართველო, 19 ივნისი, 2015).

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ავთანდილ არაბული – ენათმეცნიერი, მწერლი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, ორი მონოგრაფიის და რამდენიმე სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი.

საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 23 ტრესტის მმართველის, ცნობილი მშენებლის – რევაზ (გიგლა) არაბულის, ხელმძღვანელობით მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი აშენდა.

მათ შორის: – კაჭრეთის პურ-პროდუქტების კომბინატი, აბაშის კომბინირებული საკვების ქარხანა, მარნეულის პურ-პროდუქტების ქარხანა, შატილისა და გუდანის საცხოვრებელი კომპლექსი, ბაზალეთის შრომის ვეტერანთა პანსეონატი და სხვ.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მინაწილე, პოლკოვნიკი გოგი არაბული – თავდაცვის სამინისტროს კახეთის სამხარეო კონტრდაზვერვის უფროსად მსახურობდა.

მთრეხი

ნასოფლარი ჯუთასწყლის მარჯვენა მხარეს, სოფ. ჯუთას მოპირდაპირედ მდებარე კლდოვან კონცხზეა შემორჩენილი.

30-მდე ნასახლარს ვარაუდობენ.

მათ მიმდებარე მამულებს ერქვა სამთრეხლო.

როგორც გადმოცემა გვამცნობს: –

ჯუთასწყლის მარცხენა მხარე ვინმე დიმიაურს სჭერია.

მთრეხელსა და მას შორის, ადგილის გამო ჩამოვარდნილა მტრობა.

„შვილდისრებით უხოციათ ერთმანეთი.“

მერე, ცეცხლი წაუკიდებია მთრეხელს მათი სახლ-კარისათვის და დიმიაურები – გაურკვეველი მიმართულებით დაკარგულან.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: ისინი – იგივე სნოში მცხოვრები დინიაურები (ელიაძეები) არიან.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, შიოლა ღუდუშაურის მკვლელობის შემდგომ – მთრეხელები კახეთში გადაიხვეწნენ.

მათ ადგილებს – დაეპატრონენ არაბულები.

გერგეტელ საყდრისშვილთა მატიანეში – მთრეხი მოხსენიებულია; ჯუთა არა.

თერგის მარცხენა მხარე
კობი-ფანშეტის მიმართულება

ყანობი

საქართველოს სამხედრო გზიდან ერთი კმ-ის დაშორებით მდებარეობს (კობიდან მეოთხე კმ-ზე, ზ.დ. 2040 მ-ზე); მოხევეებით დასახლებულ სოფლებს შორის – ხევის უკიდურეს სამხრეთის საზღვარზე.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

სოფლის სახელწოდება უკავშირდება სიტყვა ყანას – ან ნაყანარს.

მისი „დღევანდელი ტერიტორია ადრე სახნავ ადგილს წარმოადგენდა, რომელსაც ხევში ეწოდება ყანა; ნაყარი ნაკვეთის სახელად მიჩნეულია ყანობი.“

სოფლის მიმდებარე „ქაბარჯინას“ ფერდობზე, ე.წ. „ასახედზე“ – ძველი ნამოსახლარია შემორჩენილი; სავარაუდოდ, ყანობელთა ადრინდელი სამოსახლო.

„ბანთუკანაი“ – ყანობის ერთ-ერთ ახალ უბანს წარმოადგენს.

მის წინ – ადრე, ბანიანი სახლები მდგარა.

საისტორიო წყაროებში ყანობი, 1398 წელს მოიხსენიება როგორც სვეტიცხოვლის ტაძრის კუთვნილება.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

შუა სოფელში – ფერდობზე, ხელოვნურად მოსწორებულ მოედანზე მდგარი (ითონიშვილების) კოშკური – სამსართულიანი სახლი (10,4X9 მ.), XVIII ს-ით თარიღდება. შედგება კოშკის და საცხოვრებელი ნაწილისგან; ნაგებია ნატეხი ქვით.

კოშკის ზედა ნაწილი მონგრეულია და სახლის სახურავთან არის გათანაბრებული. თავდაპირველი სახით შემორჩენილია I და II სართული; III სართული გადაკეთებულია.

ამავე პერიოდის მეორე კოშკური სახლი – უფრო მეტად არის დაზიანებული. მთისკენ მიქცეული მისი ჩრდილოეთი კედელი – ყრუა. კარის წირთხლები ამოყვანილია დიდი ქვებით; თაღის ქვაზე ამოჭრილია მარტივი ჯვარი.

სახლი ეკუთვნოდა ჯუღა კობიაშვილს.

სოფლის შუაგულში მდგარი არყონის წმინდა გიორგის ნიში – ფიქალის მშრალი წყობით არის ნაგები. ჩრდილოეთის მხარეს, კედელში დატანებულ თახჩაში ასვენია ლითონის ხატი. მასზე გამოსახულია მხედარი – ჯვრით ხელში.

მხედარს გარშემოუყვება მზის შვიდი გამოსახულება.

მათ შორის წარწერაა: – „არყონის წმინდა გიორგი“.

იქვე ძევს – ბიზანტიური ფორმის ორი და ერთი – რუსულ წარწერიანი ჯვარი.

ნიშს – ფიქალის გალავანი ეკვრის.

წმინდა გიორგის მეორე ნიში – სოფლის სამხრეთით მდებარე გორაკზეა განთავსებული – მთავარანგელოზთა ეკლესიის მიმდებარედ. ნაგებია ბაზალტისა და ფიქალის მშრალი წყობით.

თავზე ქვის ჯვარი ადგას.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი წმინდა გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესია (11,5X6,4 მ.), XIX ს-ის 60-იან წლებში – მღვდელი გიორგი ითონიშვილის დაკვეთით აუგიათ.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): – „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის თავისებური ვარიაციაა. ნაგებია თლილი ქვის კვადრებით.“ ადრე, მოხატული ყოფილა. 1930 წელს შეუთეთრებიათ და მოუშლიათ სახურავზე დადგმული ხის პატარა – ცრუ გუმბათი.

1920 წლიდან სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ.

ეკლესიის სარკმელის წინ – ქვით ნაგები კვადრატული სვეტი დგას. მათ შორის გადებულ რელსზე დიდი ზომის ზარია ჩამოკიდებული.

სოფლის განაპირას მდგარი კვირიას ეკლესია გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება; დარბაზულია (6,5X5 მ.), ნაგებია ფიქალით;

გადახურვა და კედლების ზედა ნაწილი შემორჩენილი არა აქვს.

*

1774 წლის აღწერით – ყანობში (არაგვის ერისთავის საყმოსა და მისსავე სახელოში) მოხსენიებულნი არიან: –

1. კურკუმული ჭილაის შვილი ზურაბა, კურდღელა, გიორგი და ჭიალა;
2. კურკუმული პაპუას შვილი ნუგზარ და ნიკოლოზ;
3. კურკუმული ვარდაშას შვილი თადი და შიო;
4. კურკუმული ბათოშას შვილი ივანე;
5. კურკუმული ალხაზას შვილი ოღთანგი;
6. კურკუმული ალის შვილი გიორგი;
7. კურკუმული რევაზის შვილი დათუა და ბერი;
8. კურკუმული რევაზის შვილი რამინა;
9. კურკუმული დავითის შვილი ილური და ივანე;
10. კობაიძე ნოდარის შვილი ზაქარია, ხახა და ისმეილ;
11. კობაიძე შიოს შვილი გოჭა, ისე და გივ;
12. კობაიძე ელოს შვილი დათუნა;
13. კობაიძე გიორგის შვილი პეტრე;
14. კობაიძე ხუტის შვილი მგელია და ბეჟან;
15. აიდარაული ზარიბეგის შვილი კაცია და თემურა;
16. აიდარაული გიგის შვილი პაპა, ბერი და შია მსახური;
17. თაონიძე ჯაბოს შვილი ძაღლია მსახური;
18. კურკუმული კურკუმლის ობოლი გეთა, ხუჭინი და გატე.

1781 წელს დარეგისტრირდნენ: –

1. გაბოს შვილი გიორგი, გათელა, ხუჭინი (კურკუმულები);
2. რევაზის შვილი დათუა და ბერი (კურკუმულები);
3. აიდარას შვილი ძია შეუძლებელი;
4. აიდარას შვილი კაცას შვილი თეიმურაზ და გიგოლო;
5. აიდარას შვილი შია;
6. აიდარას შვილი ივანე ბერი და ქუშა;
7. ილურას შვილი დავით (კურკუმული);
8. გოგორას შვილი (ბათოშას შვილი) ივანე და შავხალი (კურკუმულები);
9. ბოგანო ვარდაშას შვილი თადი (კურკუმული);
10. ვარდაშას შვილი ივანე (კურკუმული);
11. კობაიძე მგელი და ბეჟან;
12. კობაიძე იასე და გივი;
13. კობაიძე ზაქარია, ხახა, თემურა და ისმეილ;
14. გოჭიას შვილი დავით და კიკოლა;
15. კობაიძე პეტრე და ელალდი;

16. ვარდაშას შვილი (პაპუას შვილი) ნუგზარ და ნიკოლოზ (კურკუმულები);
17. კურკუმული ზურაბ, კურდღელა, გიორგი და ჭიალა;
18. ტატეს (გატეს) შვილი ყაზი (კურკუმული);
19. ვარდაშას შვილი (კომლი ბოგანო) გიორგი (კურკუმული);
20. კობაიძე გოჭას ობოლი გიორგი;
21. რევაზას შვილი რამინა (კურკუმული);
22. ჯაბოს შვილი ძაღლია და გაფა (თაონიძეები);

1873 წელს – აღრიცხეს: –

1. სიმონ გლახას ძე გუტონოვი-აღუბოვი, 20 წლის;
2. იოსებ არჯევანის ძე კურკუმული, 50 წლის; მისი შვილები: სიმონი – 20 წლის, გაბრიელი – 15 წლის, ივანე – 8 წლის, ალეგარი – 4 წლის.
3. იასე არჯევანის ძე კურკუმული, 36 წლის; მისი შვილები: გრიგორი – 7 წლის, ალექსი – 3 წლის.
4. დავით გრიგოლის ძე კურკუმული, 20 წლის; მისი ძმა, ანტონი – 16 წლის.
5. გაბრიელ ნინიას ძე კურკუმული, 28 წლის; მისი ძმები: კაკო – 20 წლის, ივანე – 16 წლის.
6. მიხეილ მარტიას ძე კურკუმული, 35 წლის.
7. დიმიტრი ჩაგვრილას ძე კურკუმული, 27 წლის; მისი ძმისწული, ივანე – 7 წლის.
8. გრიგოლ თათარას ძე კურკუმული, 25 წლის; მისი ძმა, მიხეილი – 23 წლის.
9. დავით იაკობის ძე კურკუმული, 23 წლის; მისი შვილი, გიორგი – 1 წლის; ძმისწული, იაგორა – 8 წლის.
10. შიო ბერის ძე ზილანაშვილი, 35 წლის; მისი შვილი, ილია – 3 წლის; შიოს ძმა, ალექსი – 20 წლის.
11. შავხალა ედიას ძე კურკუმული, 48 წლის; მისი შვილი, გაბრიელი – 14 წლის.
12. სიმონ ნინიას ძე კურკუმული, 53 წლის; მისი შვილი, ნიკალა – 1 წლის; სიმონის ძმა, შიო – 27 წლის; სიმონის ძმისწული, შიო – 60 წლის.
13. შიო გლახას ძე კურკუმული, 35 წლის; მისი შვილი, იოსები – 3 წლის; ძმისწული, ალექსი – 2 წლის; ბიძაშვილი, გლახა – 20 წლის.
14. შუშანა ნინიას ძე კურკუმული, 35 წლის; მისი შვილი, ვასილი – 7 წლის.
15. მარტია შიოს ძე კურკუმული, 35 წლის; მისი შვილი, გრიგოლი – 9 წლის.
16. გაგა შიოს ძე ვარდაშაშვილი, 38 წლის; მისი შვილები: სიმონი – 8 წლის, ივანე – 6 წლის, ნიკალა – 1 წლის.
17. თევდორე გლახას ძე ვარდაშაშვილი, 27 წლის; მისი ძმები: სიმონი – 13 წლის, იოსები – 15 წლის. თევდორეს ბიძა, დიმიტრი – 45 წლის.
18. ნინია დავითის ძე ვარდაშაშვილი, 50 წლის; მისი შვილები: დავითი – 25 წლის, კიკო – 20 წლის; კიკოს შვილი, გიორგი – 1 წლის; ნინიას ძმა, გიორგი, 16 წლის.
19. გლახა გრიგოლის ძე ვარდაშაშვილი, 20 წლის. მისი ძმა, სტეფანე – 3 წლის.
20. სია დავითის ძე ვარდაშაშვილი, 50 წლის; მისი შვილები: ალექსი – 17 წლის, დიმიტრი – 12 წლის; გრიგოლი – 7 წლის, გლახა – 1 წლის; სიას ძმისწულები:

ვანკა – 16 წლის, ლევანი – 7 წლის.

21. გრიგოლ გაბრიელის ძე ვარდაშაშვილი, 65 წლის; მისი შვილი, ადამი – 21 წლის; გრიგოლის ძმები: ედია – 45 წლის, შავხალა – 38 წლის.
22. ბიჭიკო ივანეს ძე ვარდაშაშვილი, 64 წლის; მისი ძმა, შიო – 32 წლის; შიოს შვილები: გიორგი – 7 წლის, გლახა – 4 წლის.
23. თევდორე დავითის ძე ვარდაშაშვილი, 19 წლის; მისი ძმისწული, მიხეილი – 8 წლის.
24. სიმონ მარტიას ძე ვარდაშაშვილი, 23 წლის; მისი ძმა, ზურაბი – 20 წლის.
25. ივანე ლევანის ძე ვარდაშაშვილი, 52 წლის; მისი შვილები: იორდანე – 7 წლის, ალექსი – 3 წლის; ივანეს ძმისწულები: გრიგორი – 30 წლის, ვანკა – 22 წლის, გიორგი – 24 წლის, სიმონი – 13 წლის, გლახა – 10 წლის.
26. დიმიტრი ნანეს ძე ტატიშვილი, 39 წლის; მისი შვილები: დავითი – 15 წლის, გრიგორი – 12 წლის, სიმონი 1 წლის; დიმიტრის ძმები: მიხეილი – 32 წლის, სიმონი – 7 წლის, ალეგარ – 1 ქლის.
27. მარტია იოსების ძე კურკუმული, 43 წლის; მისი ძმისწულები: სვიმონი – 19 წლის, ივანე – 16 წლის, გიორგი – 6 წლის.
28. გრიგოლ იოსების ძე აიდარაშვილი, 33 წლის; მისი ძმა, გიორგი – 20 წლის; ბიძაშვილები: გიორგი – 21 წლის, გაბრიელი – 16 წლის.
29. თევდორე შიოს ძე აიდარაშვილი, 32 წლის; მისი შვილი, მიხეილი – 4 წლის.
30. დიმიტრი გიორგის ძე აიდარაშვილი, 25 წლის; მისი ძმები: ნანიკა – 16 წლის, გრიგოლი – 6 წლის.
31. გრიგოლ გიორგის ძე კობიაშვილი, 34 წლის; მისი შვილები: მისე – 12 წლის, სანდრო – 2 წლის; გრიგოლის ძმები: ივანე – 23 წლის, სვიმონი – 16 წლის, ალექსი – 11 წლის.
32. ივანე იოსების ძე კობიაშვილი, 20 წლის; მისი ძმა, ედია – 13 წლის.
33. ზაურბეგ ოჟიას ძე კობიაშვილი, 60 წლის; მისი შვილი, გიორგი – 33 წლის; გიორგის შვილი, ალექსი – 3 წლის; გიორგის ძმები: სიმონი – 28 წლის, დავითი – 23 წლის, იოსები – 13 წლის.
34. დავით მამუკას ძე კობიაშვილი, 16 წლის; მისი ძმა, იოსები – 10 წლის.
35. ნინია გოგის ძე კობიაშვილი, მისი შვილი, სვიმონი – 38 წლის; სვიმონის შვილები: ივანე – 17 წლის, თომა – 11 წლის, ვანო – 8 წლის; სვიმონის ძმა, ეგნატე – 36 წლის.
36. გიორგი გოგის ძე კობიაშვილი, 53 წლის; მისი შვილი, გრიგორი – 7 წლის.
37. სია შავბიჭას ძე კობიაშვილი, 75 წლის; მისი ძმისწულები: შაკა – 26 წლის, მიხეილი – 20 წლის.
38. ალექსი გლახას ძე კობიაშვილი, 13 წლის; მისი ძმა, როსტომი – 10 წლის.
39. ადამ ბერის ძე კობიაშვილი, 33 წლის; მისი შვილები: ლაზარე – 8 წლის, მიხეილი – 6 წლის; ადამის ძმა, იაგორი, 25 წლის.
40. შიო ზაქარიას ძე კობიაშვილი, 62 წლის; მისი შვილი, ლევანი – 33 წლის; ლევანის შვილები: ივანე – 6 წლის, გრიგორი – 3 წლის; ლევანის ძმა, სვიმონი – 23 წლის.
41. ივანე ნიკოლოზის ძე კობიაშვილი, 42 წლის; მისი ძმა, დავითი – 33 წლის; დავითის შვილი, გრიგოლი – 3 წლის;

42. ნინია თემურის ძე კობიაშვილი, 75 წლის; მისი შვილი, სვიმონი – 35 წლის; სვიმონის შვილები: შიო – 6 წლის, გაბრიელი – 3 წლის; სვიმონის ძმები: იაკობი – 33 წლის, იაგორი – 17 წლის.
43. ლევან ოსმანას ძე ბაბეშვილი, 40 წლის; მისი ძმა, წიწია – 32 წლის.

*

1903 წელს – ყანობში, გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა, რომელიც, მოგვიანებით, 8-წლიანად გადაკეთდა

1926 წელს – 285 სული სახლობდა – კურკუმულები, კობიაშვილები, ჭიალაშვილები, ვარდიშვილები, ითონიშვილები, ტატიშვილები და ზილინაშვილები.

კურკუმულები, ვარდიშვილები და ჭიალაშვილები

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

კურკუმულებს, ვარდიშვილებს და სტეფანწმინდელ ქუშაშვილებს საერთო წარმომავლობა აქვთ.

მათი ადრინდელი გვარი ზედგინიძე ყოფილა.

სამი ძმა წამოსულა იმერეთიდან; ხევში გადმოხვეწილან და სოფ. ყანობში დასახლებულან.

ერთი მათგანი – მოგვიანებით, სოფ. სათარგმნოში წასულა;

ორი – ყანობში „დამრჩალა“.

ყანობში დამკვიდრებულ ორ ძმას – ვარდიშვილების და კურკუმულების გვარისთვის მიუცია დასაბამი.

თარგმანში წასულის შთამომავლები – ქუშაშვილის გვარზე გადასულან.

*

1781 წლის აღწერით – კურკუმულების უმეტესობას, მამის სახელები აქვთ გაგვარებული (ვარდიშას შვილი, რევაზის შვილი, გაბოს შვილი, ილურას შვილი, გოგორას (ბათოშას) შვილი).

ყანობს – „გვერდზე ჩამოუდის ნაკადული, რომლის გაღმა, განცალკევებით – უცხოვრია გაბო კურკუმულს.“

„იქვე ჰქონია სახნავ-სათიბი ადგილი“, რომელსაც მოხევეები გაბოს ნასახლარად მოიხსენიებენ.

„კურკუმულების გვარში შემავალი ერთ-ერთი პატრონიმული ერთეულის სახელწოდებაა გოგორენი.“

„მათ ნაკვეთი ჰქონიათ სოფ. ხურთისის ტერიტორიაზე.“

„შემდეგ ის ადგილი ხურთისელების ხელში გადავიდა.“

„იმ დღიდან სახნავ ნაკვეთს შეარქვეს გოგორეთეული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ადრე ის გოგორეთ საკუთრებას წარმოადგენდა“ (ვალ. ითონიშვილი).

*

გადმოცემის თანახმად: –

თანასოფლელების განსაკუთრებული სიძულვილი მოიმკეს, დვალეთის სოფელ

ნარიდან გადმოსახლებულმა და კურკუმულების გვარში შეხიზნულმა ამანათებმა – რომლებსაც ალიენის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

ოჯახის მეთაურის სახელი ყოფილა ალი.

რამდენიმე თაობის შემდგომ, ისინი ისე მომრავლდნენ რომ – სოფლის ციხეს „დაჰპატრონებიან...“

იმ ციხის ნანგრევებთან ერთად, დღემდეა შემორჩენილი საცხოვრებელთა ნაშთები, სადაც ალიეთ – დიდ ოჯახად უცხოვრიათ.

„ავი ხალხი ყოფილან (სამი ძმანი)...“

ხევის სოფლებში მეკობრეობდნენ...

„წითლოვანში ორმო გაუჭრია თემსა და გაუტყუებიათ...“

„ჩაცვივლილან ორმოში...“

„მერე, მეეღორღათ და ჩაეხოცათ.“

„ხალხი დააღონეს და მოიშორეს თავიდან.“

იმასაც ამბობენ რომ: –

სათემო საბჭოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ მათი კომლის თავები ჩაქოლეს;

ოჯახის დანარჩენი წევრები მშვიდობიან ცხოვრებას ეზიარნენ.

1774 წლის აღწერით – ყანობში მოხსენიებულია – კურკუმული ალის შვილი გიორგი, რომელიც 1781 წელს აღარ ჩანს.

*

რ. თოფჩიშვილის ვარაუდით: –

ჭილაიშვილები და ვარდიშვილები (ვარდაშაშვილები) – კურკუმულებიდან შტონაყარი გვარებია.

1774 წლის აღწერაში მოხსენიებულნი არიან: –

კურკუმული ჭილაის შვილი ზურაბ, კურდღელა, გიორგი და ჭიალა;

კურკუმული ვარდაშაშვილი თადი და შიო;

კურკუმული ბათოშას შვილი ივანეს შთამომავალნიც – ვარდაშაშვილებად (ვარდიშვილებად) იწერებიან.

მათ გვარში – დღესაც ჩანს „ბოთოშეთ“ განაყრობა.

1886 წელს – ყანობში ვარდაშაშვილების 9 კომლი მკვიდრობდა; ჭიალაშვილების – 2.

ტატიშვილები და აიდარაშვილები

1774 წლის აღწერაში ტატიშვილები არ ჩანან.

1781 წლის დავთარში პირველად ჩნდება ტატეს (ტატიშვილების პატრონიმის) შვილი – ყაზი

მის შთამომავლებს მოიხსენიებენ როგორც „ყაზილეთ“ (ყაზილენი).

აღნიშნული გვარი მკვიდრობდა მთიულეთშიც (სოფ. სეფეში), სადაც – XVIII საუკუნეში, ტატიაურებად ეწერებოდნენ.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ყანობელი აიდარაშვილები ჩრდილო კავკასიიდან არიან მოსულები.

არაგვის საერისთაოდან „მორიგე ჯარში“ გამსვლელთა სიების (ანუ, 1774 წლის აღწერის) თანახმად – ყანობში სახლობდნენ: –

აიდარაული გიგის შვილი პაპა, ბერი და შია **მსახური**;

თაონიძე ჯაბოს შვილი ძაღლია **მსახური**;

მსახურები ჰყავდათ: – მოლაშქრე აზნაურებს, მთიელ მოხელეებს, აზატ-თარხანებს და მსახურ მოლაშქრეებს...

1795 წლის კრწანისის ომში – საარაგვოს და ფშავ-ხევსურეთის მაშინდელი მმართველის, ვახტანგ ბატონიშვილის მეომართა ძირითად რაზმში („მორიგე ჯარში“), გაერთიანებულნი იყვნენ: – ხევსურები, ფშავლები, მოხევეები, მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელნი და ჭართლელნი.

მათი ასაკის (1774-1781 წ.წ. აღწერებს მიხედვით) გათვალისწინებით, კრწანისის ომში (1795 წელს) – ყანობიდან, ბატონიშვილის მორიგე ჯარში, შესაძლებელია ყოფილიყვნენ: –

კობიაძე ნოდარის შვილი, ზაქარია, ხახა და იასე (თარხანი);

აიდარაული გიგის შვილი, პაპა, ბერი და შია მსახური;

თაონიძე ჯაბოს შვილი, ძაღლია მსახური;

ზემოაღნიშნულ მოლაშქრეთა **დიდი ნაწილი**, დავთრების შედგენის პერიოდში (ანუ, კრწანისის ომამდე 15-20 წლით ადრე), 40 წელზე ახალგაზრდა იყო; 1795 წელს – ჯერ კიდევ მეომართა სიებში უნდა ყოფილიყვნენ და (დიდი ალბათობით, მათი ნაწილი მაინც) კრწანისის ველზე მყოფ მეომართა შორის უნდა ყოფილიყო.

ყანობელი კობაიძეები და კობიაშვილები

1774 წლის აღწერით – ყანობში კობაიძეების 5 კომლი სახლობდა: –

კობაიძე ნოდარის შვილი ზაქარია, ხახა და ისმეილ;

კობაიძე შიოს შვილი გოჭა, ისე და გივ;

კობაიძე ელოს შვილი დათუნა;

კობაიძე გიორგის შვილი პეტრე;

კობაიძე ხუტის შვილი მგელია და ბეჟან.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

„ხუტიენი“ – ძირად კობიაშვილები არ არიან.

შეფარებული ჰყოლიათ კობიაშვილებს.

ქისტეთიდან დიდი ხნის გადმოსახლებულნი ყოფილან და მათი გვარი მიუღიათ.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

კობაიძე-კობიაშვილები – ყანობში თრუსოს სოფელ მნიდან არიან მოსულები...

„მათი გადმოსახლება XVI ს-ში უნდა მომხდარიყო.“

„თრუსოს ხევთან მოსაზღვრე მონაკვეთი და მათ შორის მნაც, ოსებით გვიან იქნა დასახლებული.“

ისინი ... თერგის დინების მიმართულებით, თანდათან ქვემოთ მოიწევდნენ და ქართველთა ნასოფლარებს იკავებდნენ.

ყანობელი კობიაშვილები – შემდგომშიც დიდხანს დადიოდნენ მნაში სალოცავად. იქ დასახლებული ოსები ვალდებულნი იყვნენ სუფრა გაეშალათ მათთვის და პატივი ეცათ.

როგორც ციტირებული მკვლევარი გვამცნობს: –

„ყანობელი კობაიძეები და კობიაშვილები – ერთნი არიან.“

„წინდუშეთში დამკვიდრებული აზნაური კობიაშვილები – მოხევე კობიაშვილების განაყრები უნდა იყვნენ.“

აზნაურ კობიაშვილებს ხევში ეკუთვნოდა „ბატრიანთ“ და მილვანას მთები – რომლებშიც მოხევეებისგან გადასახადს (საბალახეს) იღებდნენ.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

მოხევე კობიაშვილებიდან მხოლოდ ბატრიენი იყვნენ დუშელი კობიაშვილების (აზნაურების) განაყრები.

მათ ეკუთვნოდა ზემოაღნიშნული (სათიბ-საძოვრებიანი) ბატრიანთ მთა.

„დანარჩენი ყანობელი კობიაშვილები (ვანენი, ლადარიანი) რიგითი მეთემეები იყვნენ, რომლებსაც მხოლოდ ის შეეძლოთ რომ – დუშელ (აზნაურ) კობიაშვილებს მამულების ექსპლოატაციაში დახმარებოდნენ.

„ყანობის მიმდებარედ, 1969 წლამდე იდგა – საქართველოს სამხედრო გზის შემკეთებელი მუშებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლი, ე.წ. „კაზარმაი“ (ყაზარმა).“

„მის სიახლოეს იყო ივანე და დავით კობიაშვილების დუქანი, სადაც მგზავრები ჩერდებოდნენ, ისვენებდნენ, ზოგჯერ ღამეს ათევდნენ და ბარგსაც იქვე ალაგებდნენ.“

„ამის გამო შეარქვეს ამ ადგილს საბარგე“ (ვალ. ითონიშვილი).

გ. ჯიბლაძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ყანობში მოსახლე კობიაშვილები – ზაგაშვილების განაყრები არიან და მამის სახელზე მოდიან.

ითონიშვილები (ითონენი) და ზილინაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ყანობელი ითონიშვილები, თრუსოდან მოსული დვალები არიან.

XVIII საუკუნის ყანობის აღწერებში არ ჩანან, მაგრამ – იქ, დიდხანს იყო შემორჩენილი, არაერთგზის გადაკეთებული, სამსართულიანი ციხე-სახლი, რომელიც, გადმოცემის თანახმად – ითონიშვილების დიდი, გაუყრელი ოჯახის აშენებული იყო 9-10 თაობის წინ.

1831 და 1860 წლების აღწერებში – ყანობში მათი ორ-ორი კომლია მოხსენიებული (როგორც აზნაურ ფურცელაძის ყმები).

1886 წლის საოჯახო სიებში, დიდი ალბათობით – გამორჩენილები არიან.

*

ზილანიშვილები დვალეთის სოფელ ნარადან გადმოსახლბულან – მესისხლეობის გამო.

მათი წინაპარი კურკუმულების უძეო ოჯახს შეუფარებია.

დღეს – ისინი ათ თაობაზე მეტს ითვლიან.

ადრინდელი მათი გვარი დვალური წარმომავლობის მამიაური (მამაიშვილი) ყოფილა.

1780 წლის წყალობის სიგელის თანახმად, დვალეთში მცხოვრებ „ნარელ აზნაურშვილს, მამიაშვილს პეტრეს“ – მეფე წლიურად 70 მარჩილს უნიშნავს (სცსსა, ფ. 1461, რვ. 6, დოკ. 12).

მათი მოგვარეები მდინარე ანდაქის ხეობაშიც სახლობდნენ – სოფ. ხახაბოში.

ირ. გოგოლაურის ცნობით, ფშავიდან იყვნენ მიღმახევში მისულები.

გადმოცემის თანახმად: –

მინდიკაურები, ხახიაურები, ხოსიაურები და მამიაურები – გოგოჭურთა (ფშავის ტერიტორიუალურ) თემში ხარ-ქვაბით იყვნენ შეყრილნი; მიღებული ჰქონდათ გოგოჭურის გვარი და მოგვიანებით (ალბათ, ხახაბოში დასახლების შემდეგ) აღიდგინეს საკუთარი გვარ-სახელი.

ფშავის სოფლებში (ელიაგზასა და ჭიდალში) მცხოვრები მამიაურები – გ. თევდორაძის ცნობით: –

„ჩამომავლობით ხევსურები არიან.“

1886 წლის აღწერით – ყანობში ზილანიშვილების 1 კომლი სახლობდა.

*

ყანობსა და ხურთისში მიგრირებული დვალური წარმომავლობის ქართული გვარები – საადგილმამულო ურთიერთობას დიდხანს აგრძელებდნენ ადრინდელ საცხოვრისთან, მნას ხეობის – უკვე ოსებით დასახლებულ სოფლებთან (შევარდენთან, ოქროყანასთან, მნასთან...).

კობში, ყანობში, ხურთისსა და სიონში მცხოვრები – კობიაშვილები, ითონიშვილები, ბადაშვილები, ბაბაშვილები, ფაჯიშვილები, არჯინაშვილები – რელიგიური დღეობების დროს, გარკვეული სახის პრეროგატივას ინარჩუნებდნენ ზემოაღნიშნულ სოფლებში.

მათი ეს გარკვეული უფლებამოსილება ვრცელდებოდა მანამ, სანამ აღნიშნულ სოფლებს ღუდუშაურები და ყაზბეგები დაეპატრონებოდნენ.

*

ვახუშტი ბატონიშვილმა, თრუსოში, ოსებით დასახლებული 8 სოფელი აღრიცხა – მაგრამ, მას შემდეგ რაც – მათი ძალადობის შედეგად, დვალებმა ხევში გადმონაცვლება დაიწყეს – ოსებმაც, თერგის დინების მიმართულებით, თანდათან, ქვემოთ ჩამოინაცვლეს; მნიდან – კობამდე და უხათამდე დასახლდნენ და ქართველების სამოსახლოს დაეპატრონნენ.

როგორც დვალყოფილმა მოხევეებმა, ისე ოსებმა – კარგად უწყიან რომ: – თრუსოს ხეობის სოფლებში – ადრე, ქართველები ცხოვრობდნენ – კერძოდ: –

ქართული წარმომავლობის სუხიევების (ჭოპორტიდან მოსული სუხიშვილების), ბაზალეთიდან მოსული კარიაულების შთამომავალი ქასაევებისა და ოსი ცაბულოვების მნაში დასახლებამდე – იქ, კობიაშვილები და ითონიშვილები სახლობდნენ.

მნაში – დიდხანს იყო შემორჩენილი მათი საფლავები – ქართული წარწერებით.

დვალების მამულებით – ოსები, თავდაპირველად, სათანადო ვალდებულების შეს-

რულების პირობით სარგებლობდნენ.

ამიტომ იყო რომ – ისინი დვალყოფილ მოხევეებს – როგორც იმ სოფლების პირველმკვიდრებსა და ადგილობრივ სალოცავთა ყმებს – დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ.

აღსანიშნავია ისიც რომ: –

მარიამობა და ბოსლობა ყანობში მნის ყველაწმინდის სახელზე იმართებოდა, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ თრუსოს ხეობის სოფელი მნა, ადრე დვალყოფილი მოხევეებით იყო დასახლებული (ვალ. ითონიშვილი).

*

ყანობიდან წარმომავლობენ: –

ჩვენი სახელოვანი ეთნოგრაფები, მამა-შვილი ვალერიან და ვახტანგ ითონიშვილები.

ბატონი ვალერიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის და მრავალი წიგნის ავტორია. სტუდენტობის პერიოდიდან მოყოლებული, საოცარი ძალისხმევით და სიყვარულით კრებდა ხალხში გაბნეულ ფოლკლორულ მარგალიტებს.

42 წლის ასაკში – ტრაგიკულად შეწყდა ისტორიის დოქტორის, ვახტანგ ითონიშვილის – ძალზე პერსპექტიული მეცნიერის სიცოცხლე.

მოღვაწეობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივრსიტეტში. იყო ვენის ეთნოლოგიის ინსტიტურის მიწვეული პროფესორი.

მისი თაოსნობით დაფუძნდა საქართველოს ახალგაზრდა ეთნოლოგთა ასოციაცია.

არჩეული იყო ავსტრიის ეთნოლოგთა საზოგადოების და ევროპის მეცნიერების და ტექნოლოგიების ხელშემწყობი ასოციაციის წევრად.

მისი მონაწილეობით დაფუძნდა ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია.

გამოქვეყნებული აქვს 60-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია.

20-მდე მონოგრაფიის ავტორია.

ფასდაუდებელია მამა-შვილის ღვაწლი ხევის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში.

მათი შესანიშნავი შრომების გარეშე, ამაო იქნებოდა ჩემი მცდელობა – შეძლებისდაგვარად გავრკვეულიყავი ხევის ცხოვრების ნიუანსებში.

*

მოსკოვში მოღვაწეობდა რკინიგზის ჯარების ინჟინერ-პოლკოვნიკი, გერმანე აგეას ძე ითონიევი (ითონიშვილი), რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის – II მსოფლიო ომის დროს დარბეული სარკინიგზო მაგისტრალების აღდგენისა და მშენებლობის საქმეში;

მონაწილეობდა – სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში. იყო „მოსსტროის," შემდეგ კი „ცენტროტრანსსტროის" მთავარი ინჟინერი; სამი გამოგონების ავტორი; შრომის წითელი დროშის და სამამულო ომის ორდენების კავალერი.

მისი ქალიშვილი – ტატიანა ითონიევა (კონიკოვა) – წლების განმავლობაში გახლდათ მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მათემატიკური მეთოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრის დოცენტი.

მისი დისშვილი – მედიცინის მეცნიერებასთა დოქტორი, ზემფირა ითონიევა (ცალაგოევა) მოღვაწეობს რუსეთის რადიოლოგიისა და რენდგენოლოგიის ცენტრში – დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ლიტერატორი – გულო (ნაილი) კობიაშვილი, რამდენიმე პრემიის ლაურეატია.

მისი ნაწარმოებები თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე.

ზურაბ (რეზო) კობიაშვილი – ცნობილი სპორტსმენი ველომრბოლელი, სპორტის ოსტატი, წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების წევრი – არაერთი სპორტული შეჯიბრების გამარჯვებულია. თავისი წვლილი აქვს შეტანილი წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის მშენებლობაში.

ლევან კობიაშვილი – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, IX და X მოწვევის პარლამენტის წევრი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული აქვს 100 მატჩი; გატანილი აქვს 12 გოლი. თამაშობდა გერმანულ კლუბებში („ფრაიბურგი," „შალკე," „ჰერტა"). ბუნდესლიგაში ჩაატარა 351 შეხვედრა, გაიტანა 32 გოლი – რაც საუკეთესო მაჩვენებელია ქართველ ლეგიონერთა შორის.

ხურთისი (ქურთა)

ხოხის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ზ.დ. 1960 მ-ზე.

ყანობისგან ღრმა ხევი მიჯნავს – პატარა ღელეთი, რომელსაც „ლიშიაი"-ს ეძახიან.

გადმოცემის თანახმად: –

თარგმანთან ახლოს – ამჟამად, „ნახურთისალად" წოდებულ ადგილას უცხოვრია ვინმე მოხევეს, სახელად ხურთის.

ჰყოლია სამი ვაჟი, რომლებსაც სტეფანწმინდა აუკლიათ.

ვერაფერი გააგონეს და თემმა – მათივე მოდგმის ხალხს (შინშ-მამიშინშებს) – გურაპენს დაავალა მათი „შემუსვრა".

სასტიკი ხოცვა-ჟლეტის შემდგომ – ხურთის ოჯახის ქალები, თავიანთი მცირეწლოვანი შვილებით აყრილან და თერგს გაღმა, ფხელშეს მიმდებარედ ჩამოსახლბულან.

მათი მოდგმა – იქ, ისევ გამრავლდა და ახალ სამოსახლოს ხურთისი შეარქვეს.

თუ ამ გადმოცემას სარწმუნოდ მივიჩნევთ: –

ხურთის შვილების „ნახურთისალიდან" აყრა – ადრინდელ შუა საუკუნეებში უნდა მომხდარიყო – რადგან, XV საუკუნის დოკუმენტში („გერგეტის სულთა მატიანეში"), სოფ. ხურთისი უკვე მოხსენიებულია.

*

თერგს გაღმა ჩამოსახლებული სოფელი – ადრე, დღევანდელი ხურთის კოშკის ქვემოთ იყო განთავსებული, სადაც ძველი დასახლების ნანგრევებია შემორჩენილი.

ისტორიულ უბანში ბანიანი – ორ-სამ სართულიანი სახლები მდგარა – მჭიდროდ და ტერასულად განლაგებული.

იქედან წამოსულმა მოსახლეობამ – საბჭოთა კავშირის პერიოდში დააფუძნა, შედარებით ფართე ახალშენი, თუნუქითა და კრამიტით გადახურული სახლებით – რომელსაც, ახალი სამოსახლო ადგილის სახელწოდების შესაბამისად ეწოდა ჭიჟე.

ნასოფლარის განაპირას, კლდოვან კონცხზე მდგარი ზურგიანი კოშკი XVI ს-ით თარიღდება (სიმ. 15 მ.).

ამჟამად მთლიანად დანგრეულია.

კოშკის ქვემოთ, მომცრო კლდოვან ბაქანზე მდგარი „ციხის ეკლესია" გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებია ტლანქად დამუშავებული ნატეხი ქვით და ფიქალით. აღმოსავლეთის კედელში, სარკმლის მარცხნივ – ქვაზე ამოკვეთილია ხელის მტევანი.

სოფელში რამდენიმე სალოცავია: –

ძლევის წმინდა გივარგი, კვირეღვთიშვილი და ქაშეთის, ანუ, ბალღების ხატი...

ხურთისელები თავისად მიიჩნევდნენ სოფ. კობის წმინდა გივარგის ხატსაც, სადაც მის სახელზე ჰქონდათ ორი – დღიური სახნავი მიწა.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით – კლდის ძირში მდგარი კვირეძლის ხატი ოთხკუთხა, პრიზმის ფორმის მასიური ნაგებობაა. ნაშენია ფიქალის და მოწითალო ფერის ქვების მშრალი წყობით. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელის წყობაში – ჩამაგრებულია რკინის ჯოხი, რომელზეც ორი ზარია ჩამოკიდებული.

იქვე ჩატანებულია ქვაში გამოკვეთილი ჯვარი.

„ეს ხატი ჩოჩოშვილებს ჰკუთვნებია."

„ადრე მათ უცხოვრიათ ქუაკეს, სადაც ამჟამად, სალოცავი და სასაფლაოა."

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით („ტყეთანაში") – ბორცვზე მდგარი ნათლისმცემლის ხატი, ოთხკუთხა ფორმის – ვიწრო და მაღალი – ყრუ მასივია, რომელიც ლოდზე დგას. ნაგებია რიყის ქვითა და ფიქლით. თავზე ქვის ჯვარი ადგას.

მის სიახლოვეს მდგარი ხატი, „ქაშეთა" – პრიზმის მსგავსი ყრუ ნაგებობაა. ნაშენია რიყის დიდი ზომის ქვების მშრალი წყობით.

ხურთისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზ.დ. 2015 მ-ზე მდგარი წმინდა გიორგის ეკლესია, 1960 წელს – სანახევროდ, ჩაქცეული იყო.

მის გვერდით – მაღალი, სამხრეთის მხრიდან მომრგვალებული ციხე დგას – რომელსაც გიორგობის ციხედ (გიორგობის ხატად) მოიხსენიებენ.

სოფლის ყველაზე დიდი დღეობა იყო პეტრე-პავლობა, რომელიც მკათათვეში დგებოდა.

მისი დეკანოზობა – ადრე, მორიგეობით ყოფილა;

მოგვიანებით – ტუჩაშვილებმა დაისაკუთრეს აღნიშნული პრეროგატივა.

მათ ერთ-ერთ მამიშვილობას – დღესაც, დეკანოზიანთ ეძახიან.

პეტრე-პავლეს ძველი ხატი (სოფლის დასავლეთით მდგარი), გეგმით ოთხკუთხა – სვეტის მსგავსი მასიური ნაგებობაა. ნაშენია დიდი გათლილი ქვით.

მისგან სამხრეთით, პეტრე-პავლეს ახალი სალოცავია განთავსებული – გეგმით ოთხკუთხა, ვიწრო, მაღალი და მასიური ნაგებობა; ბაზალტის, ფიქალის და რიყის ქვების მშრალი წყობით ნაშენი. თავზე – ფართომკლავებიანი ჯვარი ადგას.

რელიგიურ დღეობებთან, უშუალო კავშირში იყო მნათეობა – რომელსაც რეგულარულად აღინიშნავდნენ.

მანთის მოვალეობა იმ თანასოფლელებს ეკისრებოდა, რომლებიც ხატისთვის შეწირულ ყანებს ხნავდნენ.

ასეთი (წმინდა გიორგის და პეტრე-პავლეს სახელზე შეწირული) ყანები – ხურთისში მხოლოდ ტუჩაშვილებს ჰქონდათ.

მნათეობას ერთობლივი ხარჯებით იხდიდნენ.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

სოფლის ძველ უბანში, კლდოვან ფერდობზე მდგარი ციხე-სახლი – XVIII ს-ით თარიღდება. სამსართულიანია. მისი ჩრდილოეთი ნაწილი ფერდობშია შეჭრილი. სართულები – ერთიმეორის მიმართ, ქანობის შესაბამისად არის განლაგებული. ფასადებზე გამოყენებულია – რუხი, ყავისფერი და მოწითალო ფერის თლილი ქვები.

გადმოცემის თანახმად: –

ციხე-სახლი თაზი წიკლაურს და მასთან განუყრელად მცხოვრებ ძმისწულებს – თომას და მაშვნიას აუშენებია.

ისინი – ბიძაშვილ ვაზდაგასთან ერთად, ამ ციხე-სახლის სათოფურებიდან უშენდნენ ცეცხლს – კარზე მომხდურ ლეკებს.

სოფლის ერთ შემოღობილ ადგილს, სადაც, ხალხური მეხსიერების მიხედვით, დამნაშავეებს რისხავდნენ „საწყევარაის“ ეძახიან.

სოფლელ დედაკაცებს იქ დაუწყევლიათ და დაურისხებიათ ვერაგი ხაჟი, რომელიც ხევში – თათრების ერთ-ერთ ლაშქრობას მეთაურობდა.

დასცემია ხურთისსაც.

ბავშვები სოფლის დასავლეთით მდებარე მოვაკებულ ბორცვზე დაუყრია და ცხენები უტარებია ზედ.

იმ ადგილს ხაჯის კალოს ეძახიან (ვალ. ითონიშვილი).

ციტირებული მკვლევარის ცნობით: –

ხურთისის მოპირდაპირედ, თერგის გაღმა მდებარე ტერიტორია – ძირითადად, საქართველოს სამხედრო გზის მიმდებარე ვაკე ადგილები და ნაწილობრივ მწვერვალ ქაბარჯინას კალთები (რომელსაც „საყალნო“ ეწოდებოდა და სახნავად იყო გამოყენებული) – ხურთისში მცხოვრებ გვარებზე იყო დანაწილებული: –

„დიდ მინდორი ეკუთვნოდა ტუჩაშვილებს“;

„სამხედრო გზის თავი – გოგიშვილებს, ქემაშვილებსა და წიკლაურებს;

„გვერდოი“ (ანუ, „სახილე“) – ჩქარეულებს;

საწველი ქოხების მიდამოები და ალბაინიშის ნაწილი – ჩოჩოშვილებს;

„ალბაინიშის ნაწილი დუშელი კობიაშვილებისაგან შეისყიდეს ბადაშვილებმა.“

*

1774 წლის აღწერით, „ხევის ქურთას“ (არაგვის ერისთავის საყმოსა და მისსავე სახელოში) სახლობდნენ: –

1. გოგიაური ბერის შვილი ნუგზარ და მარტია;
2. გოგიაური ყაწილას შვილი გუგუჩა და ზაქარია;
3. წიკლოური თაზის შვილი პაპა, ივანე, ვაზდაგა, პაპი და მამუკა;
4. წიკლოური მჭედლის შვილი ბერი;
5. ჩოჩოური ნუგზარას შვილი ყაზი და ფაი;

6. ჩოჩოური ჯარის შვილი ჯაბა და პეტრე;
7. ჩოჩოური თემურას შვილი ბერი და ვაკვა;
8. ჩოჩოური გელიტას შვილი პაპი და ისე;
9. ჩოჩოური ოსის შვილი გოჭი და თოაური;
10. გუგუაური ქემეს შვილი ბერი, ისე, ივანე და ფირან;
11. ბაბიაური ნადირას შვილი გოჭი, ისე და გია;
12. ბაბიაური პაპას ობოლი ბერი;
13. ბაბიაური ავთანდილის ობოლი ივანე.

1781 წელს დარეგისტრირდნენ: –

1. ტუჩაის შვილი (ბაბიაური) გოჭი და ჩინო;
2. ნადირაის შვილი (ბაბიაური) ხიზანა და გიორგი;
3. ტუჩაის შვილი (ბაბიაური) ბერი, მორიგობის შეუძლებელი;
4. ტუჩაის შვილი (ბაბიაური) იასე;
5. ქემის შვილი ბერი და ფირან;
6. ჩქარეულის შვილი ნანია, შარუმა, გაბრიელ და პავლია;
7. ჩოჩოს შვილი ვაჟიკა, ბერი და პავლია;
8. ჩოჩოს შვილი ყაზი, ფაი და ზალ;
9. ჩოჩოს შვილი გოჭი;
10. ჩოჩოს შვილი ბადა და გიორგი;
11. ჩოჩოს შვილი პაპი და ისე;
12. გოგიას შვილი ნუგზარა და მარტია;
13. გოგიას შვილი გუგუჩა და ზაქარია;
14. ბაკეძე (წიკლაური) ბერი;
15. ბაკეძე (წიკლაური) მამუკა ვაზდაგა და გიორგი;
16. ბაკეძე (წიკლაური) პაპის ობოლი ბერი და იასე;
17. ბაკეძე (წიკლაური) ივანე.

1873 წელს – მოხსენიებულნი არიან: –

1. სიმონ გლახას ძე გოგიშვილი, 23 წლის; მისი ძმები: ალექსი – 20 წლის, თედო – 18 წლის;
2. გიორგი პაპას ძე გოგიშვილი, 50 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 24 წლის, ლევანი – 16 წლის; ძმისწული ლევანის, ივანე – 1 წლის.
3. იასე დავითის ძე გოგიშვილი, 60 წლის; მისი შვილი, ივანე – 17 წლის; იასეს ძმები: ალექსი – 50 წლის, ნიკო – 40 წლის; ნიკოს შვილი, კაცა – 4 წლის.
4. ივანე პავლეს ძე გოგიშვილი, 22 წლის; მისი შვილი, მიხეილი – 3 წლის.
5. იასე მარტიას ძე გოგიშვილი, 45 წლის; მისი შვილები: ლაზარე – 20 წლის, დავითი – 17 წლის, სიმონი – 10 წლის, ალექსი – 5 წლის, გოგია – 2 წლის.
6. მოკლია შიოს ძე ჩქარეული, 65 წლის; მისი შვილები: ლევანი – 30 წლის, სვიმონი – 19 წლის.
7. შავხალა მოკლიას ძე ჩქარეული, 35 წლის; მისი შვილები: ივანე – 6 წლის, მიხეილი – 2 წლის.
8. ზურაბ რუხის ზე ჩქარეული, 50 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 20 წლის, აბრამი – 10 წლის, იოსები 6 წლის; ზურაბის ძმა, ტეტია – 45 წლის.
9. გრიგოლ ნანეს ძე გოგიშვილი, 30 წლის.

10. დავით იოსების ძე ბაკუაშვილი, 45 წლის; მისი შვილები: სიმონი – 4 წლის, სოლომონი – 1 წლის; დავითის ძმისწულები: გლახა – 22 წლის, გიორგი – 19 წლის.
11. ივანე შიოს ძე წიკლაური, 55 წლის; მისი შვილი, იოსები – 20 წლის; ივანეს ძმა, თომა – 30 წლის; თომას შვილები: სიმონი – 10 წლის, ივანე – 7 წლის.
12. შიო ივანეს ძე ჩოჩოშვილი, 50 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 23 წლის, სიმონი – 18 წლის, დავითი – 9 წლის, გაბრიელი – 2 წლის.
13. ომა ბეკურის ძე ჩქარეული, 50 წლის; მისი შვილები: ივანე – 25 წლის, სიმონი – 20 წლის, ალექსი – 8 წლის.
14. გიორგი ბაადურის ძე ჩოჩოშვილი, 50 წლის; მისი შვილი, იოსები – 22 წლის.
15. დავით შიოს ძე ჩოჩოშვილი, 38 წლის; მისი ძმა, სიმონი – 27 წლის.
16. გოგია გაგის ძე ჩოჩოშვილი, 40 წლის.
17. გიგო ათანასეს ძე ბადაშვილი, 60 წლის; მისი შვილები: სიმონი – 22 წლის, დიმიტრი – 16 წლის; გიგოს ძმა, ანდრია – 40 წლის; მისი შვილები: იასე – 5 წლის, სოლომონი – 3 წლის.
18. ალექსი ათანასეს ძე ბადაშვილი, 50 წლის; მისი შვილი, გრიგოლი – 6 წლის; ალექსის ძმა, ადამი – 45 წლის; ადამის შვილები: ლევანი – 9 წლის, მათე – 7 წლის, მოსე – 2 წლის.
19. გიორგი თასოს ძე ბადაშვილი, 35 წლის; მისი შვილი, სერგო – 1 წლის; გიორგის ძმა, თევდორე – 23 წლის.
20. პავლე გიორგის ძე ბადაშვილი, 75 წლის; მისი შვილი, ესტატე – 22 წლის; პავლეს ძმისწული, ივანე – 55 წლის; მისი შვილები: იოსები – 9 წლის, მიხეილი – 5 წლის, იობა – 3 წლის.
21. გრიგოლ გიორგის ძე ქემაშვილი, 78 წლის; მისი შვილები: სიმონი – 21 წლის, ბაი – 22 წლის; ბაის ძმისწული, იობი – 3 წლის; ბიძაშვილები: გიორგი – 22 წლის, ნინია – 18 წლის, კაცია – 16 წლის.
22. გლახა ბაეს ძე ჩოჩოშვილი, 75 წლის; მისი შვილი, იოსები – 50 წლის; იოსების შვილი, გრიგოლი – 35 წლის; გრიგოლის შვილები: ივანე – 7 წლის, სპირიდონი – 4 წლის. გლახას ძმისწული, შიო – 40 წლის; მისი შვილი, ლევანი – 5 წლის; შიოს ძმა, სიმონი – 35 წლის; მისი შვილი, მოსე – 3 წლის.
23. ივანე მახარას ძე ჩოჩოშვილი, 50 წლის; მისი შვილი, ვასილი – 1 წლის.
24. ზაქარია იოსების ძე ტუჩაშვილი, 75 წლის; მისი შვილები: ივანე – 31 წლის, მიხეილი – 25 წლის, როსტომი – 22 წლის, დიმიტრი – 20 წლის, გიორგი – 17 წლის.
25. სიმონ გრიგოლის ძე ტუჩაშვილი, 45 წლის; მისი შვილები: გიორგი – 17 წლის, ლევანი – 16 წლის, იორდანე – 9 წლის, ივანე – 8 წლის, თომა – 5 წლის.
26. ადამ შიოს ძე ტუჩაშვილი, 30 წლის; მისი შვილი, ნიკოლოზი – 1 წლის.
27. ზურაბ გაგის ძე ტუჩაშვილი, 65 წლის; მისი შვილები: ანდრია – 30 წლის, კიკო – 28 წლის, სიმონი – 24 წლის, თევდორე – 16 წლის.
28. იოსებ აქოს ძე ტუჩაშვილი, 55 წლის; მისი შვილები: დავითი – 7 წლის, შიო – 5 წლის.
29. ადამ იოსების ძე ტუჩაშვილი, 28 წლის; მისი ძმები: სტეფანე – 24 წლის, ალექსანდრე – 22 წლის.

30. იოსებ ბერის ძე ელოშვილი, 55 წლის; მისი შვილები: დიმიტრი – 22 წლის, ანდრეი – 18 წლის; იოსების ძმა, დავითი – 45 წლის.
31. გაბელა გლახას ძე ჩქარეული, 16 წლის.

*

1926 წლის აღწერით – ხურთისში, 266 სული სახლობდა (114 მამაკაცი და 152 ქალი).

გოგიშვილები და ქემაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

გოგიშვილების და ქემაშვილების ადრინდელი გვარი შვინდაიძე (თუ მშვიდაიძე) ყოფილა.

მტრისგან ძლეულნი – კახეთიდან გამოქცეულან; ხურთისში აუშენებიათ ზურგიანი კოშკი, რომელიც – თანამოსახელე სოფელს და თერგის ხეობას გადაჰყურებდა.

ამჟამად დანგრეულია.

ციხის მიმდებარედ ჰქონიათ სახლი, სადაც მათი 40 სულიანი ოჯახი სახლობდა.

სახლსა და კოშკში წყალი შედიოდა თიხის მილებით, რომელთა კვალიც დღემდე არის შემორჩენილი.

წყალს – ერთხელ, გველი შემოჰყოლია; შვინდაისძეებს – შემთხვევით, ხორცთან ერთად მოუხარშავთ და შხამიანი კერძით უვახშმიათ.

„ზოგი გარდაცვლილა, ზოგი გულწასული დავარდნილა.“

„საჭმელს არ მიჰკარებია – უგუნებოდ მყოფი მათი ორსული რძალი, რომელიც ფხელშეში გაქცეულა და მომხდარის შესახებ – მამის სახლისათვის უცნობებია.“

ამბავი მისვლიათ ყანობში მცხოვრებ ამ ქალის დედიძმებსაც;

უბედურების მიზეზად შავი ჭირი მიუჩნევიათ; მისულან და მისი გავრცელების შიშით, გადარჩენილი შვინდაიძეებისთვის – სახლის ბანი თავზე დაუქცევიათ; შხამით დახოცილებთან ერთად – ყველა საკუთარ ჭერქვეშ დაუმარხავთ.

ცოცხლად გადარჩენილ შვინდაიძეების რძალს – ტყუპი ვაჟი შესძენია.

ერთისთვის დაურქმევია – ქემა, მეორისათვის – გოგია.

მათგან წარმომდგარა ქემაშვილების და გოგიშვილების გვარი.

ისინი – დღესაც, სახლიკაცობენ და თავს შვინდაისძეების დიდი ოჯახის შთამომავლებად მიიჩნევენ.

ქემაშვილების გვარის წარმომადგენელია – თბილისის საპატიო მოქალაქე, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXVI და XXVII ყრილობების დელეგატი – ვერა ქემაშვილი.

ჩოჩოშვილები და ჩოჩიშვილები

ჩოჩოშვილი – ქართული (დვალური) წარმომავლობის გვარია, რომელმაც დვალეთიდან ხურთისში მიგრაციის თრუსოს გზა განვლო.

მათი თავდაპირველი გვარი ჩოჩოური იყო.

ოსი ავტორები მათ ოსებად – ჩოჩიევად მოიხსენიებენ;

ოსი ჩოჩიევებიც ძირად დვალები არიან.

დვალეთში ჩამოსახლებული სხვა ოსური გვარებისგან განსხვავებით, ამ ძირძველ ქართველებს – გადმოცემაც არა აქვთ ჩრდილო კავკასიის მთიანეთიდან მოსვლის შესახებ.

აბორიგენები არიან.

დვალეთის ადრინდელი მოსახლეობა წარმოდგენილი იყო: – ჩოჩითა, ჯოჯითა, ოქროთა, თაბუთა, გოგიჩათა და სხვ. სახით.

ნარას ხევის სოფლებში – ჩოჩოურების (ანუ, ჩოჩიშვილების) მეზობლად სახლობდნენ – გოგიჩაშვილები, ჯანაშვილები, ბერიაშვილები...

სოფელი „ჩოჩეთი“ მოხსენიებულია 1031-1033 წ.წ. საბუთში.

*

1860 წლის აღწერის თანახმად, ვანათელი (პატარა ლიახვის ხეობელი) ჩოჩიშვილების ადრინდელი გვარი მაისურაძეა.

1781 წელს – ტყარშეტში, მაისურაძე-ბუსიურების ორი კომლი სახლობდა.

ისინი რაჭის სოფელ წესიდან – ბატონის მოკვლის გამო გამოქცეულან;

კარკუჩის მახლობლად დასახლებულან; ხევსურებთან ჩამოვარდნიათ მესისხლეობა და იქიდან მოსულან ტყარშეტში.

(სვანეთის მთიულეთს, ანუ, დღევანდელ მთის რაჭას – დვალეთისაგან მამისონის მთის აქეთა, სამხრეთის ფერდობების სათიბ-საძოვარები „განჰყოფს“)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ქართლელი ჩოჩიშვილები – ადრე, ოქროპირიძის გვარს ატარებდნენ;

ჩოჩიშვილები, ჯოჯიშვილები, ოქროპირიძეები და თედელაურები – მონათესავე გვარებია;

ოთხი ძმიდან – ჩოჩიდან, ჯოჯიდან, ოქროპირიდან და თედედან მოდიან;

ჩოჩი – სოფელ ორტევში დასახლებულა და ჩოჩიშვილების გვარისათვის მიუცია დასაბამი.

ქართლის სოფელ კოტორაანთკარში მცხოვრები ჩოჩიშვილების ნაწილი – ხურთისიდან არის ჩამოსახლებული.

ხაშურში დასახლებული ჩოჩიშვილები – თავს ხევიდან წასულებად მიიჩნევენ.

*

ჩოჩოშვილ-ჩოჩიშვილების გვარს წარმომადგენლები არიან: –

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოკრატ ჩოჩოშვილი. გამოქვეყნებული აქვს 80 სამეცნიერო ნაშრომი და 7 მონოგრაფია.

როლანდ ჩოჩოშვილი – თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს დიდუბის რაიონის განყოფილების უფროსი; საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის; საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ჩემპიონატის პრიზიორი.

ნიკოლოზ ჩოჩიშვილი („ძია ნიკა“) გომი-ხაშურის კოლორიტი იყო; ცნობილი მეღვინე – დუგლაძეების პაპა – დედის მხრიდან.

ტუჩაშვილები (ტუჩენი)

ხურთისსა და სიონში მცხოვრები ტუჩაშვილები – სოფ. მნადან მოსული ბაბიაურ-ბაბაშვილ-ბაბეურების განაყრები არიან.

მათი ადრინდელი გვარი ბაბაშვილი იყო.

უფრო ადრინდელი – ბაბიაური.

ხურთისელი ტუჩაშვილები და სიონში მცხოვრები ბაბაშვილები – ერთმანეთთან ქალს არ ათხოვებენ.

*

1774 წლის აღწერით – მნაში ბაბეურების 7 კომლი სახლობდა: –

ბაბეური კურდღელას შვილი ზარიბეგ და იასე;
ბაბეური დავითას შვილი გელა და შარანბალ;
ბაბეური ალდათის შვილი მაი და გივი;
ბაბეური ბიასის შვილი იასე, თემურა და გივი;
ბაბეური ავთანდილის შვილი იამან;
ბაბეური ზურას შვილი ზაალ და ადამ;
ბაბეური ზაქის შვილი დაო და ბათი.

ამავე (1774) წელს – ხურთისში ბაბიაურების 3 კომლი აღირიცხა: –

1. ბაბიაური ნადირას შვილი გოჭი, ისე და გია;
2. ბაბიაური პაპას ობოლი ბერი;
3. ბაბიაური ავთანდილის ობოლი ივანე.

1781 წლის აღწერით – ხურთისში სახლობდნენ: –

ტუჩაის შვილი გოჭი და ჩინო;
ტუჩაის შვილი ბერი, მორიგობას შეუძლებელი;
ტუჩაის შვილი იასე.

როგორც ჩანს: –

ბაბიაურ-ბაბაშვილების ტუჩაშვილების გვარზე გადასვლა XVIII ს-ის ბოლოს მოხდა.

თაობათა რაოდენობის და სულადი შემადგენლობის მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში, მათი (33 სულიანი) ოჯახი – ხევში ერთ-ერთი დიდი სულადობის მაგალითი იყო. ერთად ცხოვრობდა სამი ძმა: – ხიზანა, გოჭი და გაჯალა.

გადმოცემის თანახმად, მათი შვილებიც: – გრიგოლ ხიზანას ძე; გოგია, ნიკო და შიო გოჭის ძენი – და ასალა (იგივე იოსებ) გაჯალას ძეც – გაუყრელად ცხოვრებას განაგრძობდნენ.

მესამე თაობას ეკუთვნოდნენ: –

გრიგოლის შვილები: – ზაქარია, შიო და სვიმონი;

გოგიას შვილები: – ზურაბი და სოლომონი

ასალას შვილები: – ადამა, სტეფანე, ალექსანდრე, დათიკო და უძეოდ გარდაცვლილი შიუკა.

ოჯახის გენეალოგიის მეოთხე საფეხურს ეკუთვნოდნენ: – გრიგოლის, გოგიას და

ასალას შვილიშვილები.

გრიგოლის შტოდან: –

ზაქარიას შვილები: – დიმიტრი, ვანე, გივარგი, როსტომი და მიხელა;

ადამა შიოს ძე და სვიმონის შვილები: – ივარდანე, ვანო, ლევანა, გივარგი და თომა;

გოგიას შტოდან ცნობილია: –

სოლომონის შვილები: დათიკო და სვიმონი (რომლებიც უცოლშვილოდ გარდაიცვალნენ);

ზურაბის შვილები: – ანდრია, კიკო, სვიმონი, თედო, ალექსი, გივარგი, ლადიმერი და ივანე (აღწერის მონაცემებით რამდენადმე განსხვავებულია).

ასალას მოდგმიდან მეოთხე თაობის წარმომადგენლები იყვნენ: –

გივარგი ადამას ძე;

კოტე დათიკოს ძე.

სტეფანეს შვილები: – სანდრო, ვასილა, ლევანა და ფიდა;

ალექსანდრეს შვილები: – სოლომონი, ნიკალა, ზაქარა, გაბია, გიგოლა, აბრამა და მოსე.

ვალ. ითონიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ზემოაღნიშნული სახით გამოიყურებოდა ტუჩაშვილების დიდი ოჯახი XIX ს-ის მიწურულში.

სამ საოჯახო თემად ისინი დანაწილდნენ მაშინ, როცა მეხუთე თაობა იწყებდა წარმოქმნა-განვითარებას.

დღეს – პირველ საოჯახო თემს წარმოადგენს ხიზანას შტო (ხიზანენი);

მეორე და ყველაზე დიდი ოჯახი ჩამოყალიბდა გოჭის შთამომავლობის ხაზით (დიდი ზურაბენი);

მესამე დიდი ოჯახი გაჯალენის სახელით არის ცნობილი.

*

ტუჩაშვილების გვარის წარმომადგენელია – თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავეჯის პროექტირების კათედრის გამგე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პროფესორი, მიხეილ (მიშა) ტუჩაშვილი.

მილიციის პოლკოვნიკი, შიდა ქართლის გორის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსი – გოგი ტუჩაშვილი.

არქიტექტორი და ხატმწერი ელგუჯა ტუჩაშვილი. მოხატული აქვს თბილისის წმინდა გიორგის ეკლესია (დიღმის მასივის ხიდთან), მახათას სამონასტრო კომპლექსის სულთმოფენობის მონასტრის კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია; დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი; ჯვრის სამონასტრო კომპლექსი წმინდა გიორგის სალოცავი – სოფ. მუხათგვერდთან. ამჟამად მუშაობს სოფ. ვარდისუბნის (ტორნისას) კვირიკეს და ივლიტეს ტაძრის მხატვრობაზე.

თავს ვალდებულად ვთვლი მოვიხსენიო ექიმი – ომარ ტუჩაშვილი – ჩემი მეგობარი, ვისთანაც ცხოვრების საუკეთესო წლები და დაუვიწყარი მოგონებები მაკავშირებს.

ხურთისელი წიკლაურები (გუგუტენი)

1774 წლის აღწერით – ხურთისში წიკლაურების ორი კომლი სახლობდა: –

წიკლოური თაზის შვილი პაპა, ივანე, ვაზდაგა, პაპი და მამუკა;

წიკლოური მჭედლის შვილი ბერი.

1781 წელს, ისინი (რატომღაც) ბაკეძეს გვარით არიან მოხსენიებულნი: – (ბაკეძე ბერი; ბაკეძე მამუკა, ვაზდაგა და გიორგი; ბაკეძე პაპის ობოლი ბერი და ისე; ბაკეძე ივანე).

ეჭვგარეშეა რომ: – ორივე აღწერით ერთი და იგივე პიროვნებები არიან დარეგისტრირებულნი.

თანხვედრაში არიან ისინი XIX ს-ის აღწერებში მოხსენიებულ ბაკვაშვილ-ბაკუაშვილებთანაც.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

„ხურთისელი წიკლაურები ბარშიც გადასახლებულან, სადაც ატაშვილის გვარს ატარებენ... ცხოვრობენ სოფელ გალავანში."

როგორც მკვლევარის მთხრობელი გვამცნობს: –

„ატაშვილები ძირად ვართ მოხევეები."

„კაცი შემოკვდომია და პაპის პაპა წამოსულა."

„იქ წიკლაურები ვყოფილვართ და რომ არ ეპოვათ, ატაშვილად დაეწერა."

*

1781 წელს – სოფ. ცდოს, მოხსენიებულია გუგუტას შვილი გიორგი, ბიჭა და ზაქარია;

ამავე წელს, ტყარშეტში სახელდება „გუგუტეთ" განაყარი – „ცდოელი გუგუტას შვილი გაზა".

მისი შთამომავლები – XIX ს-ის ყველა აღწერაში გუგუტიშვილებად არიან მოხსენიებულნი.

ბადაძე-ბადაშვილები (ბადენი)

„მნის ქვეყნის" უძველესი მკვიდრი იყო ბადაძე-ბადაშვილების გვარი.

გერგეტის სულთა მატიანეში, 1439 წელს არის მოხსენიებული – „მნით-ბადაისძე."

არაგვის საერისთაოდან „მორიგე ჯარში" გამსვლელთა სიების (ანუ, 1774 წლის აღწერის) თანახმად, არაგვის ერისთავის ყმის, ზანდუკელი ოტიას შვილის, გოგიას სამოურავოში – „ხევის მნას" სახლობდნენ: –

1. ბადაძე კაცოს შვილი კოზმან და გივი;
2. ბადაძე ზაღაგის შვილი, **ნაცვალი** დოლა, შავლახ და იოსებ.

ნაცვალი დოლა სხვა მთიელ მოხელეებთან, აზატ-თარხანებთან და მსახურ მოლაშქრეებთან ერთად, **შესაძლებელია ყოფილიყო,** 1795 წლის კრწანისის ომში – საარაგვოს და ფშავ-ხევსურეთის მაშინდელი მმართველის, ვახტანგ ბატონიშვილის, მეომართა ძირითად რაზმში („მორიგე ჯარში") – რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ:

– ხევსურები, ფშავლები, მოხევეები, მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელნი და ქართლელნი.

აღნიშნულ მოლაშქრეთა **დიდი ნაწილი**, დავთრების შედგენის პერიოდში (ანუ, კრწანისის ომამდე 15-20 წლით ადრე), 40 წელზე ახალგაზრდა იყო; 1795 წელს – ჯერ კიდევ მეომართა სიებში უნდა ყოფილიყვნენ და (მათი ნაწილი მაინც) კრწანისის ველზე მყოფ მეომართა შორის იქნებოდა.

ბადაძე-ბადაშვილების განაყრებად მიიჩნევენ, ერთ დროს, კობში მოსახლე ბადაევებს.

გაოსებას გადარჩენილი მათი ნაწილი – ხევში, ბადაშვილის გვარს ატარებს.

კობიდან არიან ხურთისში მისულები, მაგრამ XVIII ს-ის აღწერებში არ ჩანან.

ისინი სოფ. უხათის მკვიდრნიც იყვნენ.

ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გაოსებულმა ბადაშვილებმა – მოგვიანებით, სოფ. ხურთისში, აზნაურ კობიაშვილებისგან შეისყიდეს მიწის ნაკვეთი და იქ დასახლდნენ.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

ტუჩაშვილები – სახლიკაცობაში არიან ბადაშვილებთან.

*

გიორგი ბადაშვილი – საქართველოს შსს ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორის მოადგილედ მსახურობდა; 2013 წლიდან – საქართველოს მთავარ პროკურატურაში ხელმძღვანელობდა საგამომძიებო ნაწილის.

ფხელშე

ზ.დ 1940 მ-ზე მდებარეობს.

სოფლის სახელწოდებას (რატომღაც) უკავშირებენ სიტყვა „ფხა“-ს (რაც სიტყვაზე ძალადობის შთაბეჭდილებას ტოვებს).

ფხელშე – ძველად, „ზედვაკეს“ ყოფილა განთავსებული; თანამედროვე სოფლის მიმდებარე გორზე, რომელიც ნასახლარებით, სიმაგრეთა ნაშთებით და ღობეებით მოფენილ კონცხს წარმოადგენს.

ამჟამად, წმინდა ადგილად – სალოცავად არის ქცეული.

ნასოფლარის ნანგრევშია შემორჩენილი – სალოცავის თეთრი ნიში, რომელსაც ზედვაკის წმინდა გივარგის სახელით მოიხსენიებენ.

აღნიშნულ ადგილს და მასზე გამავალ გზას, რომელიც მოქცეულია თანამედროვე ფხელშეს და მის ძველ ნასოფლარს შორის“ – „სოფელშუაი“ ეწოდება.

მეორენაირად მას – „გუტეთ ყანად“ მოიხსენიებენ.

გუტენი – პატრონიმიული სახელია ფხელშელი ჩქარეულების ერთ-ერთი მამიშვილობისა.

ლერწმიანი ეწოდება სოფლის იმ უბანს, სადაც ელოშვილებმა დაასახლეს თავიანთი ამანათები – თუზარენი (ვალ. ითონიშვილი).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

ელოშვილების (ანუ, სოფლის ძველ) სასაფლაოზე მდგარი მთავარანგელოზთა

(თარანგელოზთა) ეკლესია IX-X სს თარიღდება. დარბაზულია (8,9X6,1 მ.). შეიმჩნევა ქრონოლგიურად განსხვავებული ორი სამშენებლო ფენა. 1985 წელს ჩაუტარდა სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი – ელოშვილების კოშკური სახლი XVIII ს-ით თარიღდება (10,4X9,5 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით; შემორჩენილი აქვს ორი სართული. ძლიერ დაზიანებულია.

ფხელშეს სამხრეთით მდებარე კლდეზე განთავსებული ქალთა სალოცავი („დაყაჭული", კვირაცხოველი, კვირაძალი, კვირეღვთისშვილი) – ნაგებია ფიქალის მშრალი წყობით; შედგება სხვადასხვა დონეზე მდგარი ერთმანეთზე მიდგმული ორი ნაგებობისგან.

ორივე შენობა, თითქმის, მთლიანად დანგრეულია.

შემოვლებული აქვს ბაზალტის ქვით ნაგები გალავანი.

მის შიგნით ხატის სათიბია.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ამაღლებას – სალოცავში მიდიოდნენ მხოლოდ ქალები; შესთხოვდნენ – ჯანმრთელობას, ვაჟიანობას, ოჯახის სიკეთესა და ბედნიერებას.

ს. მაკალათიას ცნობით: –

„ფხელშეს ერთ ნანგრევ კოშკში, სადაც ქალების კუთვნილი ხატი, „კვირეღვთისშვილია" დაბრძანებული – ერთ დროს, ქალი დეკანოზიც ჰყოლიათ" – რომელსაც ერთი წლით ირჩევდნენ; ის გაუთხოვარი და უმანკო უნდა ყოფილიყო.

„ხატი წარმოადგენს დედოფალას, რომლის სიგრძე 54 სმ-ია; შემოსილია თეთრი ტანისამოსით... პირისსახეზე მიკრული აქვს ლითონის პატარა ხატი, რომელზეც ქრისტეს სახეა გამოხატული... შემკულია მძივის ყელსაბამით, ღილებით, საყურეებით, ბეჭდებით... ყელზე ზანზალაკიც ჰკიდია" (ს. მაკალათია).

დღეს – სოფელში მოქმედებს წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელსაც სიონის მონასტრის ბერ-მონაზონთა საძმო უვლის და პერიოდულად წირვასაც აღავლენს.

*

1774 წლის აღწერით, ხევის თხელშას, არაგვის ერისთავის საყმოსა და მისსავე სახელოში სახლობდა: – ელიოურის 7 კომლი, ჩქარიული – 5, ქურთელი (ხურთისელი) ნადირას შვილი ხიზანა (ბაბეურ-ბაბიაურ-ტუჩაშვილი) და კვარხიბაიძე – 1.

1781 წელს – 13 კომლი დარეგისტრირდა: ელოს შვილი – 7, ჩქარიული – 4, თურაზას შვილი (შემდგომში – ელოური, ელოს შვილი) – 1, კვარხიბაიძე – 1.

1873 წლის აღწერით – მოხსენიებულნი არიან: –

1. ნინია გაბრიელის ძე ჩქარეული, 34 წლის; მისი შვილები: გიორგი – 7 წლის, ლევანი – 4 წლის; ნინიას ბიძაშვილი, გიგოლს შვილები: პავლე – 21 წლის, ნინია – 18 წლის; ნინიას ბიძაშვილი, თომა ბაეს ძე – 30 წლის; პავლეს შვილები: დავითი – 4 წლის, ბესარიონი – 6 თვის; თომას შვილი, ნიკალა – 4 წლის.
2. ივანე ალიხანის ძე ჩქარეული, 43 წლის; მისი ძმა, ზაქარია – 30 წლის; ზაქარიას შვილი, დავითი – 6 თვის.
3. ივანე თემურის ძე ჩქარეული, 43 წლის; მისი ძმა, ზაქარია – 30 წლის; ზაქარიას შვილი, დავითი – 6 თვის.

4. ივანე გრიგოლის ძე ჩქარეული, 20 წლის; მისი ძმისწული, იოსების შვილი ანტონი – 12 წლის.
5. გრიგოლ ივანეს ძე კორმიბაშვილი, 53 წლის; მისი შვილები: დავითი – 17 წლის, ივანე – 13 წლის, ბიძია – 1 წლის.
6. ბიძია ნანეს ძე ელოშვილი, 53 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 18 წლის, ივანე – 17 წლის, იოსები – 8 წლის; ბიძიას ძმა, იოსები – 43 წლის; მისი შვილები: ლაზარე – 8 წლის, გლახა – 2 წლის.
7. შიო მამუკას ძე ელოშვილი, 43 წლის; მისი შვილები: ნინია – 20 წლის, იაგორი – 18 წლის, გიორგი – 6 წლის, ლეონტი – 4 წლის.
8. გიორგი ბეჟანის ძე ელოშვილი, 63 წლის; მისი შვილები: პაპა – 33 წლის, ანდრია – 19 წლის; პაოას შვილი, იასე – 3 წლის.
9. აბრამ ივანეს ძე ელოშვილი, 38 წლის; მისი შვილები: ივანე – 5 წლის, იოსები – 1 წლის; აბრამის ძმები: დავითი – 36 წლის, სიმონი – 28 წლის; დავითის შვილები: მარტია – 11 წლის, ნინია – 7 წლის, ალექსი – 4 წლის.
10. გლახა ნინიას ძე ელოშვილი, 53 წლის; მისი შვილები: გიორგი, 19 წლის, სვიმონი – 14 წლის, აბრამი – 10 წლის; გლახას ძმა, გრიგოლი – 34 წლის; მისი შვილები: იასე – 10 წლის, გიორგი – 6 წლის,ივანე – 4 წლის.
11. შიო ექვთიმეს ძე ელოშვილი, 33 წლის; მისი შვილიი ივანე – 2 თვის; ბიძაშვილი: იოსებ ივანეს ძე – 33 წლის.
12. კაცია ივანეს ძე ელოშვილი, 17 წლის; მისი ძმები: ნიკოლოზი – 12 წლის, ალექსი – 5 წლის.
13. დავით სიას ძე ელოშვილი, 53 წლის; მისი შვილები: თომა – 23 წლის, ესტატე – 18 წლის, მოსე – 8 წლის.
14. მინდია ივანეს ძე ელოშვილი, 53 წლის.
15. იოსებ ივანეს ძე ელოშვილი, 48 წლის; მისი შვილები: გიორგი – 14 წლის, ალექსი – 8 წლის, შიო – 5 წლის, ნიკოლოზი – 3 წლის; იოსების ბძმისწული, თემური შიოს ძე – 18 წლის.
16. შიო ივანეს ძე ელოშვილი, 50 წლის; მისი შვილები: გიორგი – 18 წლის, მიხეილი – 10 წლის, ივანე – 5 წლის.
17. სიმონ ივანეს ძე ელოშვილი, 53 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 25 წლის, იოსები – 21 წლის, ლაზარე – 20 წლის.
18. მამუკა (?) ბერის ძე ელოშვილი, 28 წლის; მისი შვილები: გიორგი – 6 წლის, ივანე – 4 წლის, დავითი – 3 წლის; .... . . ძმა, ლევანი – 12 წლის.
19. გიორგი გაგის ძე ელოშვილი, 43 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 10 წლის, გლახა – 6 წლის.
20. თევდორე ზაქარიას ძე ელოშვილი, 33 წლის; მისი ძმა, იაკობი – 28 წლის.
21. გიორგი მამუკას ძე ელოშვილი, 30 წლის.
22. გლახა იოსების ძე ელოშვილი, 53 წლის; მისი ძმისწული, სიმონ გრიგოლის ძე – 23 წლის.
23. გიორგი ადას ძე ჩქარეული, 58 წლის; მისი შვილი, ბესარიონი – 21 წლის.
24. ქვრივი, თამარ ჩქარეული – 60 წლის.
25. ქვრივი, მარიამ ჩქარეული – 50 წლის.
26. ქვრივი, თამარ ელოშვილი – 80 წლის.

1926 წელს – ფხელშეში, 166 სული სახლობდა (79 მამაკაცი და 87 ქალი).

ფხელშეს და გორისციხეს ი. გულდენშტედტი (რატომღაც) ხევსურთსოფელად მოიხსენიებს.

ელოშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, შიდა ქართლიდან (სოფ. კავთისხევიდან) არიან მოსულები. მათი ადრინდელი გვარი ცალქალამანიძე ყოფილა.

1774 წლის აღწერით – ხევის „თხელშას“ მოხსენიებულნი არიან: –

ელოური თამაზას შვილი სედან;
ელოური თამაზას შვილი ჯაბანი;
ელოური ჩიტას შვილი პაპუა, ივანე და ზაქარია;
ელოური თურაზას შვილი ბერი;
ელოური შის შვილი ხოსრო;
ელოური თამაზას შვილი მარანბალ;
ბოგანო ელოური საღირას შვილი ბერი.

1781 წელს დარეგისტრირდნენ: –

ელოს შვილი გოგია და ივანე;
ელოს შვილი ზურაბ და ვაჟკაცა;
ელოს შვილი ერასტი და ხოსრო;
თურაზას შვილი (წინა აღწერით – ელოური) ბერი;
ელოს შვილი ზაქარია;
ელოს შვილი პაპუა;
ელოს შვილი ჩიტას შვილი ივანე;
ელოს შვილის შარანბალას ობოლი შია და პაპა.

მათი (ვაჟკაცენის, ზაქარიენის, ხოსვრნის, ერესტენის, ბიჭილენის...) თავდაპირველი და ძირითადი საცხოვრისი ფხელშეა.

ხალხური მეხსიერების თანახმად: –

მილიონას მთა – ადრე, ელოშვილებს ეკუთვნოდა.

ერთ მათგანს, უხათელი ოსი შემოჰკვდომია.

თემის კაცებს მოკლულის სისხლი 100 ჭაკ ცხენად შეუფასებიათ და ურჩევიათ – სისხლის საურავში (ანუ, 100 ცხენის საფასურში) მოკლულის ოჯახისათვის მიეცათ ეს მთა.

აღნიშნული განჩინებიდან გამომდინარე ეძახიან იმ ადგილს „ასჭაკეულს“.

გადმოცემის მიხედვით: –

ფხელშე-გორისციხეზე დვალების ერთ-ერთი თავდასხმის დროს, მოხევეებს თავიანთი ციხე-სახლებიდან – ისრების სროლით მოუგერიებიათ მტერი.

„ერესტეით ელოშვილი მეისრის“ მიერ დაჭრილ დვალს, სახელად ბადრის, გამოქვაბულსთვის შეფარებია თავი – იქ დაულევია სული.

იმ ადგილს – დღემდე შემორჩა ბადრის სახელი.

*

1886 წელს – ფხელშეში ელოშვილების 19 კომლი მკვიდრობდა.

XVIII ს-ის აღწერების თანახმად, ელვაური ვაჟკაცას შვილები: ზარიბეგ, გიორგი და ივანე – გორისციხეში სახლობდნენ.

*

ელოშვილების გვარიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, სპორტსმენები: –

გამორჩეული პიროვნება გახლდათ, ილია ელოშვილი – ცნობილი იურისტი; ყაზბეგისა და თეთრიწყაროს რაიონების პროკურორი – საქ. კპ თეთრიწყაროს რაიკომის პირველი მდივანი; თანადგომის საოცარი უნარით შემკობილი კაცი.

დმანისის რაიკომის პირველი მდივნის, ომარ ილიას ძე ელოშვილის ქვემო ქართლში მოღვაწეობა გმირობის ტოლფასი იყო.

ერთ-ერთი შეხვედრისას ვუთხარ: –

შოთა იამანიძეს მაგონებ მეთქი, „დინამოზე“ რომ აწყვეტდა ხოლმე, განწირული მატჩს გადასარჩენად...

(გამომდინარე, ლეგენდარული ბორის პაიჭაძის სიტყვებიდან – რომლითაც მან, თბილისის „დინამოს“ ჭაბუკი მეკარე – სერგო კოტრიკაძე დამოძღვრა: „დინამოს“ კარში კი არა, დარიალის კარებში დგეხარო – უთხრა).

ბ-ნი ომარი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი იყო. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. იყო III მოწვევის პარლამენტის წევრიც; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი, სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცხინვალის რეგიონში.

ილია ომარის ძე ელოშვილი – საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის და ქ. თბილისის მერის მოადგილის – მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მსახურობდა... თავზარდამცემი იყო მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული.

ბუმბერაზი მსახიობების გვერდით იდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე ვალიკო ელოშვილი.

ფხელშელი ჩქარეულები

ჩქარეული ხევის ერთ-ერთი ძირძველი – მკვიდრი გვარია. ძირითადად, ფხელშეს და გორისციხეს სახლობენ.

ადრე, მრავალრიცხოვანი ყოფილა, მაგრამ, გადმოცემის თანახმად – ჭირს გაუწყვეტია.

ერთი მღვდელი გადარჩენილა მათი გვარიდან.

მძიმე სენი რომ – სხვას არ შეყროდა, მისი მოკვლაც განუზრახავთ, მაგრამ დამალულა.

მოგვიანებით, სტეფანწმინდელ ფიცხელაურებს შეუფარებიათ და ცოლად თავიანთი ქალი შეურთავთ.

მათგან აღორძინებულა ახალად ჩქარეულების გვარი.

1774 წლის აღწერით – ფხელშეს მათი 5 კომლი სახლობდა: –
ჩქარიული ნასყიდას შვილი გუჩა;
ჩქარიული გორციხელის შვილი ბერი;
ჩქარიული გუჩას შვილი ბისახა და გიორგი;
ჩქარიული ფირანას შვილი გლახა;
ჩქარიული შავლახას შვილი გერაი.
1781 წელს – მათი 4 კომლი დარეგისტრირდა: –
ჩქარეული ბერი;
ჩქარეული გიორგი და იოსებ;
ჩქარეული სვიმონ და გიორგი;
ჩქარეული გლახა.

გორისციხე

გორისციხე – ტყარშეტის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთის ძირას მდებარეობს – ზ.დ. 1870 მ-ზე.

ფხელშესგან პატარა ნაკადული „განჰყოფს“ – ე.წ. „ხევაი,“ რომელიც, წვიმების დროს, საშიშ ღვარცოფად გადაიქცევა ხოლმე.

ვახუშტი ბატონიშვილი „გორის სოფელს“ უწოდებს ამ დასახლებას;

გულდენშტედტი ხევსურთსოფელად მოიხსენიებს.

ხევის სამი სოფელის სახელწოდებაა „ციხესთან“ დაკავშირებული: – ახალციხე, გორისციხე და არშისციხე.

სოფლის აღმოსავლეთით, მაღალ განმარტოებით მდგარ კლდეზე განთავსებული „ავსაჯანიშვილების კოშკი,“ XVII ს-ით თარიღდება. მხოლოდ ერთი სართული აქვს შემორჩენილი.

სამხრეთიდან მომავალი მგზავრის ყურადღებას შორიდანვე იპყრობს გორისციხის „მამაწმინდის ხატი“ – მცირე კლდეზე შემოდგმული, ჯიხვის რქებით და სარიტუალო ჭურჭლით შემკული კოშკის ნაშალი, სადაც სოფლის მცხოვრებნი – 13 ივლისს, დიდ დღესასწაულს იხდიან.

მთას, სადაც აღნიშნული სალოცავია განთავსებული – ეწოდება რუხე (აქედან, რუხეს – ანუ, წვერის მამაწმინდა).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

აღნიშნული ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება; დარბაზულია (7,9X5,6 მ.), უაფსიდო. ნაგებია ტლანქად დამუშავებული ნატეხი ქვით და კირის დუღაბით. ძლიერ დაზიანებულია.

აღმოსავლეთიდან პატარა ეზო ეკვრის (17X8,7 მ.), რომელიც (2,8 მ. სიმაღლის) გალავანით არის შემოფარგლული. მის შიგნით პატარა შემაღლებაზე მოწყობილ ქვის ბაზისზე დგას – ჯვრის გამოსახულებიანი მოზრდილი ქვა, რომელსაც მამაწმინდის ხატს უწოდებენ. მიმდებარე, სიპით გადახურულ ორმოში, ინახება ხატის განძი: – ვერცხლისა და სპილენძის ჯვრები, წარწერიანი და უწარწერო თასები (შემომწირველთა ვინაობის ჩვენებით).

ეკლესიის ჩრდილოეთით არსებული აკლდამები განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება; მათი არქეოლოგიური გათხრებით (2012 წელს) გამოვლინდა უძველესი ტაძრის ნაშთები, ქვის ჯვარი და საეკლესიო ნივთები.

ხალხური მეხსიერების მიხედვით: –

ვინმე ბართლომე ჩქარეულს – მამაწმინდის სალოცავისთვის შეუწირავს სახნავი ნაკვეთი, რომელიც, იმავე დღიდან ჩქარეულთა გვარის საერთო საკუთრება გამხდარა.

ყოველ წელს, მათი ორი ოჯახი ამუშავებდა იმ მამულს; მოსავალს შუაზე იყოფდნენ და მამაწმინდობაზე – გვარს თავიანთ ხარჯით უმასპინძლდებოდნენ.

ამბობენ რომ: – დღეობაზე, პირველ რიგში – ბართლომეს სულის მოსახსენიებელი ისმებოდა.

*

გორისციხე, ძირითადად, ჩქარეულების და ავსაჯანიშვილების საცხოვრისია.

მის ტერიტორიაზე – ოთხი დღიური სახნავი ადგილი სჭერიათ ფხელშელ ელოშვილებსაც.

ერთ მათგანს – ქოსლელი ფიცხელაური შემოჰკვდომია და, მისი სისხლის საურავში მიუციათ მათთვის ის ადგილი.

მოგვიანებით – სნოს ხეობელ ფიცხელაურებს გორისციხელი ავსაჯანიშვილებისთვის მიუყიდიათ უკვე მათი სახნავი მიწა.

*

1774 წლის აღწერით – ხევის გორისციხეს (არაგვის ერისთავის საყმოსა და მისსავე სახელოში) სახლობდა: ჩქარიულების 8 კომლი, ავშაჯანიურების – 5, ფხელშედან მოსული ელვაური ვაჟკაცას შვილი (ელოს შვილი) – 1, სახასო ქისტაური მამუკას შვილი – 1.

1886 წლის აღწერით მოხსენიებულნი არიან: –

1. ჩქარეული დავით გლახას ძე, 45 წლ,ის; მისი შვილები: იორდანე – 18 წლის, ივანე – 16 წლის, ვასიკო – 2 წლის; დავითის ძმები: იოსები – 44 წლის, სვიმონი – 29 წლის, ალექსი – 23 წლის, გრიგორი – 20 წლის; იოსების შვილი: შოშია – 3 წლის; დავითის ძმისწული, გიორგის შვილი ილიკო – 7 წლის.
2. ჩქარეული შიო იოსების ძე, 55 წლის; მისი შვილები: ლევანი, 35 წლის, იოსები – 22 წლის.
3. ჩქარეული არჯევან იოსების ძე, 52 წლის; მისი შვილები: იაკობი, 24 წლის, მიხეილი – 6 წლის.
4. ჩქარეული ყაბილა იასეს ძე, 45 წლის; მისი შვილები: იაკობი – 17 წლის, პავლე – 7 წლის, ვასილი – 3 წლის.
5. ჩქარეული გლახა ჯღუნას ძე, 31 წლის; მისი შვილები: ადამი – 6 წლის, ალექსი – 4 წლის, დათა – 2 წლის; გლახას ძმები: სიმონი – 27 წლის, გიორგი – 22 წლის.
6. ჩქარეული პავლე ნინიას ძე, 50 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 20 წლის, ნიკოლოზი – 16 წლის.

7. ჩქარეული გიორგი შაბურას ძე, 59 წლის; მისი შვილი, ნიკოლოზი – 21 წლის, მალია – 7 წლის.
8. ჩქარეული დიმიტრი გიორგის ძე, 62 წლის; მისი შვილი, შიო – 17 წლის – გადასახლდნენ ვლადიკავკაზის ოლქში.
9. ჩქარეული თევდორე ნანეს ძე, 35 წლის; მისი ძმა, გიორგი – 32 წლის; გიორგის შვილი, იაგორი – 1 წლის.
10. ჩქარეული გრიგოლ შიოს ძე, 45 წლის; მისი შვილები: ილია – 3 წლის, ვლადიმერი – 1,5 წლის; გრიგოლის ძმა, თომა – 35 წლის. მისი შვილები: მიხა – 7 წლის, გოთია – 4 წლის; გრიგოლის ძმისწულები, იოსების შვილები: ივანე – 24 წლის, კოლია – 16 წლის, ნიკოლოზი – 5 წლის; ივანეს შვილი, გაბრიელი – 6 თვის; გრიგოლის ძმისწული, ტეტიას შვილი – ალექსი, 23 წლის.
11. გამორჩენილია!
12. ჩქარეული პავლე იოსების ძე, 35 წლის; მისი შვილი, ნიკოლოზი – 2 წლის; პავლეს ძმები: მამუკა – 29 წლის, ივანე – 27 წლის; პავლეს ძმისწული, გრიგოლის შვილი, დათა – 6 წლის.
13. ჩქარეული გლახა ივანეს ძე, 55 წლის; მისი ძმები: შავხალა – 45 წლის, იოსები – 32 წლის; შავხალას შვილი, გრიგოლი – 14 წლის; იოსების შვილი, ზაქარია – 1 წლის; გლახას ბიძაშვილი, მამუკა თევდორეს ძე, 45 წლის; მისი ძმისწული, გაგა სვიმონის ძე – 23 წლის.
14. ჩქარეული გიორგი ივანეს ძე, 28 წლის; მისი შვილი, ადამი – 1 წლის; გიორგის ძმები: ნიკოლოზი – 21 წლის, ვლადიმერი – 16 წლის; მათი ბიძაშვილი, სიმონ ნინიას ძე – 23 წლის.
15. ჩქარეული გიორგი ივანეს ძე, 55 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 30 წლის, იაგორი – 15 წლის, იოსები – 14 წლის; გრიგოლის შვილი, სტეფანე – 3 წლის; გიორგის ძმისწულები, გლახას შვილები: ალექსი – 18 წლის, ნიკოლოზი – 6 წლის, ყასფოლი – 4 წლის.
16. ჩქარეული ზაქარია დირიჩას ძე, 61 წლის; მისი შვილი, იოსები – 36 წლის.
17. ჩქარეული გრიგოლი გაგას ძე, 31 წლის; მისი შვილები: ილიკო – 9 წ;ის, შიო – 1 წლის; გრიგოლის ბიძაშვილი: გლახა მამუკას ძე – 28 წლის;
18. ჩქარეული იაკობი ხიზანას ძე, 50 წლის; მისი შვილი, ალექსი – 2 წლის; ხიზანას ძმა, გლახა – 33 წლის; მისი შვილები: ალექსანდრე – 13 წლის, გიორგი – 2 წლის; ხიძანას ძმისწული, იაკობის შვილი, ტარიელი – 26 წლის; ხიძანას ძმისწული, დავით ივანეს ძე – 27 წლის.
19. ჩქარეული ლევან ნინიას ძე, 45 წლის;
20. ავსაჯანიშვილი სპირიდონ დავითის ძე, 40 წლის; მისი შვილები: გიორგი – 5 წლის, ვასილი – 3 წლის, ალექსი 1,5 წლის; სპირიდონის ძმა, ლევანი – 24 წლის.
21. სომხიშვილი სია გაგის ძე, 55 წლის; მისი შვილი, შიო – 21 წლის; სიას ძმები: მამუკა – 45 წლის, იოსები – 44 წლის; მამუკას შვილი, სვიმონი – 4 წლის; იოსების შვილი, გიორგი – 2 წლის; სიას ძმისშვილი, ივანე შიოს ძე – 24 წლის; სიას ბიძაშვილი, საბა...
22. ელოშვილი გლახა იოსების ძე, 28 წლის; მისი შვილები: ბიბო – 2 წლის, იოსები – 6 თვის; გლახას ბიძაშვილი, ზაქარია შიოს ძე – 19 წლის.

23. ავსაჯანიშვილი გრიგოლ ივანეს ძე, 23 წლის; მისი ძმა, იოსები – 14 წლის, გადასახლდნენ ვლადიკავკაზის ოლქში.
24. ავსაჯანიშვილი მარტია ზაალის ძე, 59 წლის; მისი შვილი, მოთია – 9 წლის.
25. ავსაჯანიშვილი ჯღუნა ზაალის ძე, 57 წლის; მისი შვილები: ნონიკა – 29 წლის, გიორგი – 24 წლის, ნინია – 17 წლის.
26. ავსაჯანიშვილი ივენე ესტატეს ძე, 11 წელის; მისი ძმები: მიხეილი – 9 წლის, გიორგი – 3 წლის.
27. ავსაჯანიშვილი ნინას შიოს (?) ძე, 37 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 3 წლის, ვასილი – 6 თვის; ნინიას ბიძაშვილი, ივანეს შვილები: ბათაკა – 7 წლის, გიორგი – 3 წლის.
28. ავსაჯანიშვილი თომა ბიჭილას (?) ძე, 35 წლის; მისი შვილები: ვასილი – 11 წლის, გრიგორი – 7 წლის; თომას ძმა, გიორგი – 32 წლის.
29. ავსაჯანიშვილი გიორგი ნინიას ძე, 35 წლის; მისი შვილები: ივანე – 9 წლის, სერგო – 3 წლის, ვასილი – 1 წლის.
30. ავსაჯანიშვილი ივანე დავითის ძე, 18 წლის; მისი ბიძაშვილი, თევდორეს შვილები: ალექსი – 14 წლის, ნიკოლოზი – 3 წლის.
31. ავსაჯანიშვილი იასე ნანეს ძე, 50 წლის; მისი შვილი, ალექსანფრე – 19 წლის; იასეს ძმები: ნიკო – 40 წლის, გრიგოლი – 32 წლის, გიორგი – 30 წლის. ნიკოს შვილები: სოლომონი – 15 წლის, ივანე – 9 წლის, ნიკოლოზი – 1 წლის.
32. ავსაჯანიშვილი იოვანე თევდორეს ძე, 19 წლის; მისი ძმა, გიორგი – 16 წლის.
33. ავსაჯანიშვილი ლევან გრიგოლის ძე, 39 წლის; მისი შვილი, ალექსანდრე – 16 წლის; გადასახლდნენ დუშეთის რაიონში.
34. ავსაჯანიშვილი ზაქარია იოსების ძე, 55 წლის; მისი შვილი, სიმონი – 24 წლის.
35. ავსაჯანიშვილი გოგია იოსების ძე, 50 წლის; მისი შვილები: ალექსი – 19 წლის, იოსები – 14 წლის, შიო – 5 წლის.
36. ავსაჯანიშვილი მოსე გლახას ძე, 35 წლის; მისი ძმისწული, ნიკოლოზ მამუკას ძე – 17 წლის.
37. ავსაჯანიშვილი იოსებ გლახას ძე, 55 წლის; მისი შვილები: მიხეილი – 18 წლის, ფირანა – 16 წლის, დავითი – 13 წლის.
38. ავსაჯანიშვილი შიო ღარიბას ძე, 45 წლის; მისი შვილი, ვანო – 5 წლის.
39. ავსაჯანიშვილი ლაზარე გეგენას ძე, 34 წლის; მისი შვილი, გაბო – 7 წლის; ლაზარს ძმები: ივანე – 32 წლის, ალექსანდრე – 19 წლის; ივანეს შვილი, ნიკოლოზი – 5 წლის.
40. ავსაჯანიშვილი იობა მიხეილის ზე, 36 წლის;
41. ავსაჯანიშვილი ივანე იოსების ძე, 36 წლის; მისი ბიძაშვილი, გრიგოლ ნანეს ძე – 20 წლის.
42. ავსაჯანიშვილი მამუკა გლახას ძე, 50 წლის.
43. ავსაჯანიშვილი სოსიკო ხუტას ძე, 55 წლის; მისი შვილები: გიორგი – 24 წლის, გრიგოლი – 16 წლის; გიორგის შვილი, ნუიშკო – 1 წლის.
44. ავსაჯანიშვილი თამაზ კოკას ძე, 60 წლის; მისი შვილი, ალექსანდრე – 26 წლის, გადასახლდნენ ვლადიკავკაზის ოლქში.
45. ავსაჯანიშვილი ნიკოლოზ მარტიას ძე, 32 წლის; მისი შვილი, კოტე – 2 წლის; ნიკალას ძმა, გოგია – 24 წლის.

46. ავსაჯანიშვილი მიხეილი მამუკას ძე, 28 წლის.
47. ავსაჯანიშვილი კიკო სიმონის ძე, 41 წლის; მისი შვილები: მისი შვილები: იაგორი – 9 წლის, გაბო 5 წლის; კიკოს ძმები: გიორგი – 37 წლის, გლახა – 33 წლის; გლახას შვილები: ალექსანდრე – 1 წლის, მალიკი – 4 წლის. გიორგის შვილები: კოლია – 9 წლის, ალექსანდრე – 3 წლის, დოდო – 5 წლის.
48. ავსაჯანიშვილი სიმონ ხარას ძე, 48 წლის; მისი შვილები: ალექსანდრე – 13 წლის, იოსები – 3 წლის.
49. ავსაჯანიშვილი ივანე ფუნჩის ძე, 31 წლის; მისი შვილი, ალექსი – 6 თვის; ივანეს ძმა, გლახა – 29 წლის;
50. ავსაჯანიშვილი ივანე გლახას ძე, 40 წლის; მისი შვილები: სია – 18 წლის, გიორგი – 4 წლის, ნიკოლოზი – 8 წლის; ივანეს ძმა, იოსები – 34 წლის.
51. სომხიშვილი თომა ნანეს ძე, 33 წლის; მისი ძმა, ბიძია – 22 წლის.

*

1926 წლის აღწერით – გორისციხეში 385 სული დარეგისტრირდა (174 მამაკაცი და 211 ქალი).

2014 წელს – 187 სული (81 მამაკაცი და 106 ქალი).

გორისციხელი ჩქარეულები

სოფლის მიმდებარედ, ოთხივე მხრიდან ძნელად მისადგომ კლდეზე მდგარი კოშკი, რომლის ნაშალზეც – დღეს, მამაწმინდის სალოცავია განთავსებული – ჩქარეულების საკუთრება ყოფილა.

1774 წლის აღწერით – გორისციხეში მათი 8 კომლია მოხსენიებული: –

ჩქარიული აღდგომლისშვილი ნაცვალი ნაცვალი ისე, ნასყიდა და მარტია;
ჩქარიული პაპუნასშვილი ცხვირა და ზაალ;
ჩქარიული შისშვილი ბერი;
ჩქარიული ვარძუკას შვილი პაპა და ციგრო;
ჩქარიული აღულასშვილი კურდღელა და ღუჭა;
ჩქარიული გელალდისშვილი დემეტრე და თათარა;
ჩქარიული გელალდისშვილი ნინია და შარამბალ;
ჩქარიული ბერიძისშვილი ისე.

1781 წელს – აღირიცხნენ: –

ჩქარიული ისე ნაცვალი, მარტია და ნასყიდა;
ჩქარიული ცხვირა და ზაალ;
ჩქარიული ბერი და გიორგი;
აღულასშვილი კურდღელა და ღუჭა;
ვარძუკას შვილი პაპა, ციგრო და ბერუა;
ჩქარიული თათარა და დავითა;
ჩქარიული ბერიძისშვილი იასე.
ჩქარიული დემეტრეს ობოლი გიორგი.
როგორც წარმოდგენილი საბუთებიდან ჩანს: –

1774 წლის აღწერაში ჩქარეულის გვარით მოხსენიებული ორი ოჯახი (ჩქარიული

ვარძუკას შვილი პაპა და ციგრო; ჩქარიული აღულასშვილი კურდღელა და ღუჭა) – 1781 წელს, მოხსენიებულნი არიან როგორც: –

აღულასშვილი კურდღელა და ღუჭა;

ვარძუკას შვილი პაპა, ციგრო და ბერუა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დროთა განმავლობაში – როგორც ფხელშელი, ისე გორისციხელი ჩქარეულების გვარი რამდენიმე მამიშვილობად დაიყო (პაპენი, დორიჩენი, კასხანენი, შიენი, ქაშენი, ყიზილენი, ათენი, ჯეჯენი, შაბურენი, ომენი, ხიხანენი...). მათ შორის გამოიყოფა ორი შტო (ლოლიტენი და აღულენი), რომელიც ძირად ჩქარეულები არ არიან.

*

არაგვის საერისთაოდან „მორიგე ჯარში“ გამსვლელთა სიების (ანუ, 1774 წლის აღწერის) თანახმად, გორისციხეში სახლობდა: – ჩქარიული აღდგომლისშვილი, ნაცვალი ისე – რომელიც სხვა მთიელ მოხელეებთან, აზატ-თარხანებთან და მსახურ მოლაშქრეებთან ერთად, **შესაძლებელია ყოფილიყო,** 1795 წლის კრწანისის ომში – საარაგვოს და ფშავ-ხევსურეთის მაშინდელი მმართველის, ვახტანგ ბატონიშვილის მეომართა ძირითად რაზმში („მორიგე ჯარში“) – რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ: ხევსურები, ფშავლები, მოხევეები, მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელნი და ქართლელნი.

აღნიშნულ მოლაშქრეთა **დიდი ნაწილი**, დავთრების შედგენის პერიოდში (ანუ, კრწანისის ომამდე 15-20 წლით ადრე), 40 წელზე ახალგაზრდა იყო; 1795 წელს – ჯერ კიდევ მეომართა სიებში უნდა ყოფილიყვნენ და (მათი ნაწილი მაინც) – **ალბათ,** კრწანისის ველზე მყოფ მეომართა შორის იბრძოდა.

ხალხური მ ეხსიერების თანახმად, ჩქარეულების დიდი ნაწილი, დროთა განმავლობაში ბარში გადასახლდა.

საგურამოში მცხოვრები მათი განაყრები – დღეს, მოხევიშვილის გვარს ატარებენ. ფხელშედან არიან მიგრირებულები. ჯერ ერწოში (სოფ. გორანასა და საყდრიონში წასულან), მერე – საგურამოში გადასახლებულან.

1886 წლის აღწერით: –

მოხევიშვილების ორი კომლი ცხოვრობდა მჭადიჯვარში;

სამი – სოფ. კობიანთკარში (დუშეთის მახლობლად).

ძირად ჩქარეულები არიან დუშეთში მოსახლე სეპერგულებიც. ხევიდან მათი მიგრაციის მიზეზი მესისხლეობა ყოფილა (რ. თოფჩიშვილი).

*

ჩქარეულების გვარს წარმოადგენს: – დიდი მეცნიერი, ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი, თსუ თეორიული ფიზიკის პროფესორი. საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი – ჯუანშერ ჩქარეული (გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი ნაშრომი; არის რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი, ევროპისა და ამერიკის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში მიწვეული პროფესორი).

გურამ ჩქარეული, თბილისის დინამოს ფეხბურთელი იყო 1980-1985 წლებში

(ჩაატარა 62 მატჩი, გაიტანა 8 გოლი).

ფირუზ ჩქარეული, სპორტის ოსტატია ველოსპორტში.

ავსაჯანიშვილები

გადმოცემის თანახმად: –

ავსაჯანიშვილბის გვარის საფუძველჩამყრელი, ვინმე ავსაჯანი – ფშავიდან მოსულა გორისციხეში, თავის ძმისწულ, ამოვანთან ერთად.

მათი ადრინდელი გვარი გოგოლაური ყოფილა.

დიდი და ძლიერი გოგოლაურთ თემიდან – „თითქმის, ნახევარი ფშავი არის გამოსული."

დიდი ტრადიციების მქონე ისტორიული გვარია.

მათი ბევრი კაი ყმის სახელი შემოინახა ხალხურმა მეხსიერებამ: –

სამ გოგოლაურ ძმას: – „ლომს, ხუზაურსა და მესამე – კოჭლს", თავი უსახელებია ზურაბ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იგივე ძმები „მაჰშველებიან" მეზობელ თემს – როცა „მტრის ჯარ დასცემია ცაბაურთას."

1659 წ. კახეთის აჯანყების დროს, ყიზილბაში დამპყრობების წინააღმდეგ ბრძოლაში, თავი ისახელა გმირმა გოგოლაურმა, რომელიც, ხალხური პოეზიის თანახმად, ფშაველთა რაზმის მეთაური იყო.

1747 წლით დათარიღებულ ერეკლე მეფის ერთ-ერთ განჩინებაში მოხსენიებულია ფშაველი გოგოლაური, რომლსაც მეფის მოურავის, გრიგოლ ჩოლოყაშვილის, მოკვლის მცდელობისთვის – „თოთხმეტჯერ თექვსმეტი" ხარის გადახდა დააკისრეს.

ხევის ისტორია ორი ამოვანის შესახებ გვამცნობს.

ავსაჯანის ძმისწულთან – გმირობაა დაკავშირებული: –

ლეკების ერთი შემოსევის დროს, მოხევეები სნოსა და არშის ციხეებში გამაგრებულან.

მტერი ჯერ „სნოვლებს" შესევია.

ერთი კვირის განმავლობაში გააფრთებული ბრძოლების შემდეგ – მეთოფეებს ტყვია-წამალი გამოელია და – ლეკები ციხის ასაღებად გაემზადნენ: –

„სნოს ციხემ მაშინ შასტირა,
თვალები დაისველაო,
ნეტავი ჩემთა მეთოფეთ
ყელან ვინ გაუსველაო,
ან ცოტა პური მიჭმივა,
ან ძილათ მამისვენაო,
თოფებ ვინ დაუგრიალა,
წამალი დამისველაო..."

არშის მეციხოვნეებს – „სნოველთ" გასაჭირი შეუტყვიათ და თოფის წამლის მიწოდება განუზრახავთ.

ამოვან ავსაჯანს „უთქომს:" –

რა წყალობის გაღება შეუძლია თემს – სნოს ციხეს წამალი რომ მივაშველოო!?

„შენი შთამომავლობისთვის ქალი უთხოვარი და სუფრა უწევარი იქნებაო" –

შეპირებიან!

ლეკურად შემოსილა ამოვან, იარაღი აუსხამს, გუდით წამალი აუკიდია და მტრის ბანაკის გავლით – სნოს ციხეში შეუღწევია.

დაუმარცხებია მტერი მოხევეებს და თემსაც შეუსრულებია დანაპირები.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: დიდი სახელი მოუხვეჭია – შედარებით ახლო წარსულში მცხოვრებ ამოვანსაც.

*

1774 წლის აღწერით – გორისციხეში სახლობდნენ: –

ავშაჯანიაური ბერასშვილი ივანე და ყაზიბეგ;

ავშაჯანიაური თათარასშვილი ატა, დათურა და ომსარა;

ავშაჯანიაური ელყანასშვილი ივანე, ბერი და ბერდია;

ავშაჯანიაური მარაიძისშვილი თადია, ბოჩოლა, ლაზარე და ბაირსამ;

ელვაური ვაჟკაცაის შვილი ზარიბეგ (ელოშვილი, გ.ქ.)

ავშაჯანიაური ავშაჯანისშვილი ბეჟან;

ბოგანო ავშაჯანიაური ისეს შვილი ბიძია და მარტია;

ხიზანი სახასო ქისტაური მამუკასშვილი ბერი.

1781 წელს – მოხსენიებულნი არიან: –

ამოანის შვილი ავშაჯან, თამაზა და მამუკა;

ბერასშვილი ივანე, ყაზიბეგ და ომან;

ავშაჯანის შვილი დათუნარა, ომსარ და თადი;

ავშაჯანის შვილი ჯუღურა;

ავშაჯანის შვილი თადია;

ავშაჯანის შვილი ლაზარე;

ავშაჯანის შვილი ბეჟან;

ვაჟკაცის შვილი ზარიბეგ, გიორგი და ივანე (ალბათ, ელოშვილი, გ.ქ.);

აქავ, ადამის ყმა, ქუცა იას შვილი შიო და ალია.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დროთა განმავლობაში – ავსაჯანიშვილების გვარი რამდენიმე მამიშვილობად დაიყო (ხარენი, სოსიკენი, ჩეჩიენი, შიუკენი, ბოჩოლენი, დაბანჩენი, გაღმანი...). მათი განაყრები სახლობდნენ აგრეთვე – არშაში, ვარდისუბანსა და ტყარშეტში.

გუდამაყარში მოპოვებული ინფორმაციით: –

სოფ. ათნოხში – აფციაურებს შეჰკედლებია „გორისციხელი მტრიანი კაცი“ – მოხევე ავსაჯანიშვილი, რომელიც დამხვდურთა გვარში შეფიცულა და აფციაურობა მიუღია.

აქედან გამომდინარე მიიჩნევენ რომ: გუდამაყრელი აფციაურების გვარსახელის ქვეშ – სამი სხვადასხვა გვარმოდენილობის ხალხია გაერთიანებული: –

ნამდვილი აფციაურები, ანუ, აფის შთამომავლები;

ხევსური ჯალაბაურები და მოხევე ავსაჯანიშვილები.

*

ავსაჯანიშვილების გვარმა ბევრი სახელოვანი მამულიშვილი მისცა სრულიად საქართველოს: –

გიორგი (გოგი) ავსაჯანიშვილი – საქართველოს დამსახურებული არქიტექტორია. მისი ნამუშევრები დაცულია კემბრიჯის უნივერსიტეტის, პეტერბურგის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში; გაკეთებული აქვს: ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთელის, გ. ფანჯიკიძის ნაწარმოებების მხატვრობა; დ. გურამიშვილის და ალ. ყაზბეგის საიუბილეო პლაკატები; საქართველოს მოსამართლის მანტიის მოდელი. დავით აღმაშენებელის, ვახტანგ გორგასალის I, II, III ხარისხისა და ღირსების ორდენის ესკიზები (ე. ბურჯანაძესთან ერთად).

შევაბერდით ერთმენეთს მე და ბატონი გოგი. სამწუხაროა რომ – არამცთუ – ყოველდღე, ვეღარც ყოველ კვირას და ვერც თვეში ერთხელ ვეღარ ვხვდებით.

ეთერ ავსაჯანიშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; 52 სამეცნიერო შრომის ავტორი გახლდათ.

ცნობილი პოეტები არიან: მირანგულ, თენგო (თენგიზ) და ლალი ავსაჯანიშვილები.

გივი ავსაჯანიშვილი – ცნობილი მხატვარია; მოღვაწეობის სფეროა – გრაფიკა, ინტერიერი, ხის და ლოთონის მხატვრული დამუშავება, ლითონმქანდაკებლობა და ოქრომჭედლობა. ძირითადი ნამუშევრებია: – თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის ინტერიერი და ჭაღები (ნ. ერგემლიძესთან ერთად); ოფორტების სერია: – „თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა," „არგონავტები," „ბრძოლა ოქროს საწმისისათვის;" ჭედურობაში: – „აკვარიუმი," ტრიპტიქი – „მედეა" და სხვ.

ტყარშეტი

სოფელი განთავსებულია თერგის მარცხნივ (ზ.დ. 1920 მ-ზე) მდებარე პლატოზე, რომელსაც საგრძნობი დაფერდება-დახრილობა აქვს.

პირდაპირ გადაჰყურებს სოფ. სიონს და მასზე გამავალ საქართველოს სამხედრო გზას.

გორისციხესა და ტყარშეტის შორის მდებარეობს მწვანით შემოსილი კლდოვანი ზეგანი, რომელსაც ეწოდება ქედური. მასზე დასახლებული იყო თანამოსახელე სოფელი – რომელიც XV ს-ის დოკუმენტში, გერგეტელ საყდრისშვილთა მატიანეშია მოხსენიებული.

მის არსებობას ადასტურებენ შემორჩენილი ნასახლარები და მიწისქვეშა აკლდამები – რომლებსაც, თანამედროვე სოფლისგან განსხვავებით – დღეს, „ზევით ტყარშეტად" მოიხსენიებენ.

ყურადღებას იპყრობს პატარა ეკლესის, სათემო საკრებულოს შენობის და საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები.

„წინ ტყარშეტი" ეწოდება თანამედროვე სოფელს.

მის სამხრეთ ნაწილში – მიწის სამუშაოების დროს, 1991 წელს, გამოვლინდა – ძვ. წ. III ათასწლეულის სამარხეული კერამიკა, თიხის მოზრდილი დერგი და მინიატურული სასმისი.

არქეოლოგიურმა მასალამ ცხადყო რომ: – ჩრდილო კავკასიაში – მტკვარ-არაქ-

სის კულტურის გავრცელების გზებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თერგის ხეობაც იყო.

*

ტყარშეტში – წიკლაურები (გუგუტენი), ნარიმანიძეები, მაისურაძეები (ბუსურენი) და ავსაჯანიშვილები (დათურენი) სახლობენ.

ისინი იმავე ხატებში ლოცულობდნენ, რომლებშიც გორისციხისა და ფხელშეს მოსახლეობა.

თავი, ანუ წვერის მამაწმინდა – სამივე სოფლის საერთო სალოცავი იყო.

მისი ნიში ტყარშეტშიც არის.

ადრე – მამაწმინდობას და მნათეობას სამივე მეზობელი სოფელი ერთობლივად იხდიდა.

მოგვიანებით წარმოქმნილი საადგილმამულო დავის გამო, „როცა ტყარშეტელებმა ბოყოვინას მთა დაინებეს – ერთობა მოიშალა“ და ტყარშეტის მოსახლეობა – მნათეობას გვარების მიხედვით ირიგებდა.

ერთ მნათეში შედიოდნენ მაისურაძეები და წიკლაურები; მეორეში – ნარიმანიძეები და ავსაჯანიშვილები.

მამაწმინდის გარდა, ტყარშეტელების სალოცავები იყო – „კვირე ღვთისშვილი“ და „ბერი წმინდა გივარგი“ (სადაც ყველიერში, დიდ ხუთშაბათს მიდიოდნენ).

*

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე – ბერი წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია VIII-IX სს თარიღდება. ნაგებია თანაბარი ზომის ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია.

სოფლის განაპირას მდგარი – კვირას (კვირიას) სალოცავი, განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. დარბაზულია (6X4,5 მ.) – ნაგებია მოზრდილი ქვის კვადრებით. ცოტა უკეთესად არის შემორჩენილი მისი აღმოსავლეთის კედელი.

დანარჩენი კედლების სიმაღლე 1 მ-ს არ აღემატება.

ინტერიერში, სარკმელის ქვემოთ, კუბური ფორმის ქვის ტრაპეზე დგას, რომელზეც ქვისგან გამოკვეთილი პატარა ჯვარია დადგმული.

*

1774 წლის აღწერით – ხევის ტყარშეთს (ყარანგოზის შვილის ადამის საყმოში) მოხსენიებულნი არიან: –

მაისურაძე ნადირას შვილი გია, მაისურ, ბიძია, შიო, ელია და გიორგი;

მაისურაძე ამირანის შვილი პაპა;

მაისურაძე ვარმუკას შვილი ბია;

ჯამხიაური მამას შვილი ძია და თათარა;

ჭვირაიძე პაპუნას შვილი თადია, გამახარე და ბია;

ავშაჯანიაური დათურას შვილი პაპი, გუჩა, ზარიბეგ, ბერა და გამიხარდი;

ბუსიური (მაისურაძე გ.ქ.) გუგუას შვილი ბიძია, ატა, ისე და ნეგოური.

1781 წელს აღირიცხნენ: –

დათურაის შვილი გულჩა, ბერა, დავითა და გამიხარდი;

დათურაის შვილი პაპა და ზარიბეგ;

ბუსიური (მაისურაძე გ.ქ.) ბიძია და ნეგოური;

ჯამნარის (ჯამხიაურის) შვილი ძია და ბერი;

ჭყირაიძე თადია და ბია (შემდგომში – ნარიმანიძეები, გ.ქ.);

ბუსიური ისე;

„აქავ, ცდოელი გუგუტას შვილი გაზა."

ჭვირაიძე – მაისურაძეების განაყარი გვარი უნდა იყოს, რადგან, შემდგომში – ჭვირენი და ქუციენი – მათ მამიშვილობებად სახელდებიან.

წინა აღწერაში არ ჩანს და სოფლის ახალმოსახლედ უნდა მივიჩნიოთ, ცდოველი გუგუტას შვილი გაზა.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

1962 წელს, ტყარშეტში ცხოვრობდა 5 გვარი: – მაისურაძე, ნარიმანიძე, ავსაჯანიშვილი, წიკლაური და ყამარაული.

„მაისურაძე რაჭიდან არის მოსული, ნარიმანიძე მთიულეთიდან;"

„ავსაჯანიშვილი – გორისციხიდან გადმოვიდა ორი თაობის წინ."

„წიკლაური (გუგუტენი) ნელადხანსაა მოსული სოფელ ცდოდან."

„ასევე ნელადხანს კარკუჩიდან მოსულან ყამარაულები (გოგოლენი)."

„დაფიქსირდა უკუპროცესიც": –

„ავსაჯანიშვილების ორი კომლი საცხოვრებლად გადავიდა ახლად დაარსებულ სოფელ ტორნისაში."

„ავსაჯანიშვილების განაყოფი დათურენი დასახლდნენ სოფელ არშაში."

1873 წლის აღწერით – ტყარშეთში აღირიცხნენ: –

1. კაცია გოგოთურის ძე ნარიმანიძე, 28 წლის; მისი შვილები: ალექსი – 10 წლის, სიმონი – 6 წლის.
2. გაბრიელ ბერის ძე ქუცაშვილი, 51 წლის; მისი შვილები: ივანე – 27 წლის, იოსები – 15 წლის.
3. ივანე მახარას ძე ნარიმანიძე, 43 წლის; გადასახლდა ვლადიკავკაზში.
4. ლაზარე მახარას ძე ნარიმანიძე, 27 წლის; მისი შვილი, დავითი – 3 წლის; გადასახლდნენ ვლადიკავკაზში.
5. გაგი პაპის ძე ქუცაშვილი, 51 წლის; მისი შვილი, დავითი – 8 წლის; გაგის ძმა, იოსები – 45 წლის; მისი ძმისწული, იოსებ შიოს ძე – 17 წლის.
6. დიმიტრი ივანეს ძე ქუცაშვილი, 43 წლის; მისი შვილი, ივანე – 8 წლის; დიმიტრის ძმა, ლევანი – 26 წლის; მისი შვილი, გიორგი – 1 წლის.
7. ლაზარე მამიკას ძე ქუცაშვილი, 43 წლის; მისი შვილები: მიხეილი – 17 წლის, სიმონი – 5 წლის, გიორგი – 2 წლის; ლაზარეს ძმები: ივანე – 41 წლის, გრიგოლი – 25 წლის; გრიგოლის შვილი, ალექსი – 1 წლის.
8. იოსებ ბიძიას ძე ქუცაშვილი, 32 წლის; მისი ძმა ივანე – 11 წლის – გადასახლდა ვლადიკავკაზში.
9. შიო ივანეს ძე ბუსური, 29 წლის; მისი შვილი, ივანე – 2 წლის.
10. გიორგი ივანეს ძე ქუცაშვილი, 45 წლის; გადასახლდა ვლადიკავკაზში.
11. ხუტუნა ბერის ძე გუგუტაშვილი, 29 წლის; მისი ძმები: ნინია – 26 წლის, ლე-

ვანი – 21 წლის.

12. სვიმონ ღარიბას ძე გუგუტაშვილი, 53 წლის; მისი შვილი, თევდორე – 16 წლის; სიმონის დისწული, სოსიკო ზურაბის ძე მოსიური? (ბუსური?) – 33 წლის; სოსიკოს შვილი, გიორგი – 5 წლის.
13. გიორგი სიას ძე ავსაჯანიშვილი, 63 წლის; მისი შვილები: იოსები – 33 წლის, გიორგი – 18 წლის; იოსების შვილი, ჯღუნა – 4 წლის; გიორგის ძმისწული, სიმონ მამუკას ძე – 18 წლის; ბიძაშვილი, გლახა დათუნას ძე – 49 წლის (გადმოსახლდნენ გორისციხედან).
14. გლახა ბეჟანის ძე ავსაჯანიშვილი, 53 წლის; მისი შვილი, ივანე – 22 წლის; გლახას შვილიშვილი, ნიკო ნინიას ძე – 1 წლის.
15. ნიკო იმედას ძე ავსაჯანიშვილი, 43 წლის; მისი შვილები: გიორგი – 16 წლის, გიგოლა – 14 წლის, ვანო – 6 წლის; ნიკოს ძმები: გოგია – 36 წლის, დავითი – 30 წლის.
16. შიო ივანეს ძე ავსაჯანიშვილი, 53 წლის; მისი შვილი, გოგოლი – 19 წლის (გადმოსახლდნენ გორისციხედან).

*

ტყარშეტელი წიკლაურების წარმომადგენელია – ტრაგიკული ბედის მქონე, ოთხი ვაჟკაცის აღმზრდელი „ქართვლის დედა“, ბელა წიკლაური-ზალდასტანიშვილი.

ომის დაწყების პირველივე დღიდან, მისი ოთხივე აღზრდილი (ორი საკუთარი შვილი და ორიც ღვიძლი – ტყუპი ძმა) – სამშობლოს ტერიტორიალური მთლიანობის დაცვის მამულიშვილური განზრახვით – აფხაზეთში წავიდა;

ოთხივე – ერთ დღეს დაიღუპა...

მაისურაძეები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – რაჭის სოფელ წედისიდან არიან ხევში მოსულები.

ბატონის მკვლელობის გამო გამოქცეულა სამი ცოლ-შვილიანი ძმა და მათი მამა.

თავდაპირველად, კარკუჩასთან (ნადარბაზევში) დასახლებულან.

იმ დროს – კარკუჩა, ნადარბაზევი, ქოსელი და ახალციხე ხევსურ მეკობრეებს დაუბეგრავთ.

ყოველ შემოდგომაზე გადმოდიოდნენ და ყალანს კრეფდნენ.

ერთ-ერთი მსვლელობისას, როცა მათ მაისურაძეები მასპინძლობდნენ – შეურაცხყოფა მიუყენებიათ რაჭველების რძლისთვის.

განაწყენებული მაისურაძეები – უკან გაბრუნებულ ხევსურებს, გზაზე ჩაუსაფრდნენ და ამოწყვიტეს.

ეს გახდა მათი აყრის და ტყარშეტში გადასახლების მიზეზი.

სისხლის აღება ხევსურებს – გახიზნულ მაისურაძეებზეც განუზრახავთ, მაგრამ ღუდუშაურებს არ გაუტარებია ისინი სნოზე.

ტყარშეტში გადასახლებულმა მაისურაძეებმა, როგორც ნადარბაზევის ყოფილმა მკვიდრებმა და ყანანაზის წმინდა გიორგის ხატში წილდებულებმა – ამღლებაზე, კარკუჩაში სიარული არ მოიშალეს.

*

1774 წლის აღწერით, ტყარშეტში მცხოვრები მაისურაძეების 4 კომლიდან – ერთი ბუსურის გვარით არის აღწერილი.

„ბუსურნი“ – მათი ერთ-ერთი პატრონიმიის სახელწოდებაა, რომელიც, XIX ს-ის აღწერებში, აღნიშნული გვარით არის ჩაწერილი.

ტყარშეტის ძველ უბანში მდგარა კოშკი, რომელსაც ბუსურთ ციხეს ეძახდნენ.

1860 და 1886 წლების აღწერებში მოხსენიებული ქუცაშვილების 6-6 კომლი – მაისურაძეების „ქუცეთ“ განაყრობის წარმომადგენლები არიან.

*

ტყარშეტელი ტარიელ მაისურაძე – ახალგაზრდებს შორის, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია თავისუფალ ჭიდაობაში.

ნარიმანიძეები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ტყარშეტში მისულ მაისურაძეებს – იქ, ნარიმანიძეები დახვედრიან.

XVIII ს-ის აღწერებში ისინი ჭვირაიძე-ჭყირაიძეებად არიან ჩაწერილები;

1831 წელს – ჭყირაშვილებად.

მათი თავდაპირველი საცხოვრისი მთიულეთშია – მდ. ლაკათხევის ხეობაში – სულ ზემოთ, მთის ფერდობზე მდებარე სოფელი – ჩონჩო (სონჩო, შონჩო).

1774 წელს – იქ, მათი 20 კომლი სახლობდა.

ხალხური მეხსიერების თანახმად: –

„გოგოთურთ კომობის“ ნარიმანიძეები – გოგოთურ ალუდაურის შთამომავალნი არიან.

ხევსურეთიდან მისული მათი წინაპარი ნარიმანიძეთა გვარს შეფიცვია, მაგრამ სალოცავად – იქაც, ხახმატის ნიში მიუბრძანებია.

მიიჩნევენ, რომ ამავე შტოს ეკუთვნიან (ანუ, ძირად ალუდაურები არიან) ხევში მცხოვრები ნარიმანიძეებიც.

გაიბოტენი

კლდოვან კონცხზე მდებარე პატარა სოფელია – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ტყარშეტის მთის ძირში – ზ.დ. 1830 მ-ზე.

XV ს-ის დოკუმენტში – გერგეტელ საყდრისშვილთა მატიანეშია მოხსენიებული.

სამეფო საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ – სოფლის მოსახლეობის ნაწილი, გერგეტის სამების საყმოდ ითვლებოდა.

XVII ს-დან არაგვის ერისთავებმაც დაიდეს მასზე წილი;

საკუთარი მეურნეობის სამართავად კი – XVIII ს-ის 70-იანი წლებში, თავიანთი მოხელეები (კერძოდ, ჩქარეულები) დანიშნეს.

სოფლის განაპირას მდგარი კვირაცხოვლის მცირე ზომის ბაზილიკა (7X5 მ.) გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. გადახურულია ფიქა-

ლით.

მოზრდილი მოედანი, ე.წ. „კვრეს კარი“, სადაც კვირეძლობა იმართება – მოგვიანებით, ყაზბეგებმა დაისაკუთრეს; მერე – თავიანთ მწყემსს, გორისციხელ დავითა იმედას ძე ავსაჯანიშვილის მისცეს ჯამაგირში (სამწყემსოში). მამული რადგან სალოცავის სახელზე იყო, ავსაჯანიშვილები მორიგეობით ხნავდნენ; რომელი ოჯახიც მოიხმარდა – კვირიეს დღეობაზე (კვირიკობაზე) – ის მასპინძლობდა გვარს.

აღნიშნული სალოცავის სახელზე ავსაჯანიშვილებს სათიბიც ჰქონიათ.

გათიბვა – მათ ნებისმიერ ოჯახს შეეძლო, რომელიც ხატობაზე – ბატკნითა და ვედრონახევარი ღვინით გაუმასპინძლდებოდა გვარს.

მნათეები (ხულელიძეები და ჩაბაკაურები), ჯერ კვირეს ხატში მასპინძლობდნენ, მერე – თავიანთ სახლებში.

სოფლის ჩრდილოეთით მდებარე კლდეზე – ბაზალტის დიდ ოთხკუთხა ლოდზე მდგარი ქვის ჯვარი („ნიშთანა“) – ზვავისგან დამცველ ხატად ითვლებოდა;

წინა მხარეს – შუაში, ამოკვეთილი აქვს პატარა ჯვარი; უკანა მხარეს – ადამიანის გამოსახულება.

გაიბოტენის ჩრდილო-დასავლეთით – მშრალად ნაგები კედლით შემოვლებულ პატარა ეზოში, კვირეღვთიშვილის ნიშია – ნათალი ქვის ოთხკუთხა (ზემოთ შევიწროებული) კვარცხლბეკი, რომელზეც ქვის ჯვარია დადგმული.

სოფლის საერთო სალოცავები იყო თარანგელოზი და ქალების ხატი.

კვირესძლობა, თარანგელოზობა და ქალების ხატობა – დიდ დღესასწაულად ითვლებოდა.

ბიჭების მფარველი – ფიქალის მშრალი წყობით ნაგები – მთავარანგელოზის ხატი, გაიბოტენის განაპირას დგას.

ძლიერ დაზიანებულია.

შემორჩენილია ქვის ჯვარი – ადამიანის გამოსახულებით; იქვეა ყოჩის ქანდაკება.

სალოცავში ინახებოდა თუნუქგადაკრული ხის ჯვარი, რომლითაც (ყველიერში, ხუთშაბათ დღეს) ბავშვები კარდაკარ დადიოდნენ – ოჯახებს ლოცავდნენ და საჩუქრდებოდნენ.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

შუა სოფელში მდგარი საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენლობაშია – კოშკი, საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო დანიშნულების სათავსები.

კოშკი – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება; ზურგიანია; ოთხსართულიანი ყოფილა; შემორჩენილია 6 მ-ის სიმაღლეზე. დასავლეთის მხრიდან, საცხოვრებელი სახლი აქვს მიშენებული – რომელიც XIX-XX სს მიჯნაზეა აგებული.

სამეურნეო ნაგებობებისგან მხოლოდ კედლების ფრაგმენტებია შემორჩენილი.

*

გადმოცემის თანახმად: –

სოფლის თავში, სადაც ანდეზიტს ქვას ამუშავებდნენ, ყოფილა გვირაბი, რომლითაც – ლეკიანობის დროს, ხალხი (სულ ცოტა) 200 მ-ით ზემოთ მდებარე სოფელ თოთში იხიზნებოდა.

XIX ს-ის შუა წლებში – გვირაბში ქვის კედელი ამოაშენეს და მოსახლეობამ ცხვარ-ძროხის საწველი მოიწყო.

*

გაიბოტენი – ხულელიძეების და ჩაბაკაურების საცხოვრისი იყო.

მოგვიანებით დასახლდნენ ბედოშვილები და მანგიშვილები.

1774 წელს აღწერით, ხევის გაიბოტენს („აზნაურშვილის ოთარის შვილის ჩრდილელის საყმოში") აღირიცხა: – ხულელიძეების 4 კომლი, ჩაბაკაურების – 2 და გერგეტელი მოჯამაგირე – საფრის შვილი (ნანაი).

1781 წელს – 10 კომლი დარეგისტრირდა: – ხულელიძე – 4, ჩაბაკაური და გუჯარაიძე 2-2, მინგის შვილი – 1 და სტეფანწმინდელი ცხვირიკას შვილი, ბერი.

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. ბედოევი მოსე მურადის ძე, 39 წლის; მისი შვილები: გაბრიელი – 33 წლის, ესტატე – 26 წლის; გაბრიელის შვილი, ისიდორე – 5 წლის; ესტატეს შვილი – ალექსანდრე – 1 წლის. მითითებულია, რომ ქართველები არიან და წერა-კითხვა იციან.
2. ჩაბაკაური იოსები ონისეს ძე, 29 წლის; მისი შვილი, იაგორი – 6 თვის; იოსების ძმები: გრიგოლი – 20 წლის, პავლე – 15 წლის; ბიძაშვილი შიოს შვილები: დავითი – 26 წლის, ივანე – 6 წლის, მიხეილი – 3 წლის.
3. ხულელიძე ბაადურ შიოს ძე, 45 წლის; მისი შვილები: ლაზარე – 15 წლის, ილია – 2 წლის; ბაადურის ძმა, გიგოლა – 44 წლის; მისი შვილები: გიორგი – 17 წლის, ივანე – 18 წლის, იაკობი – 7 წლის; გიგოლოს ოჯახი გადასახლდა ვლადიკავკაზში.
4. ხულელიძე ტეტია (იგივე დიმიტრი, ციცქა) მოსეს ძე, 35 წლის; მისი შვილები: ივანე – 15 წლის, გიორგი – 6 წლის, შიო – 4 წლის, დათიკო – 2 წლის, იობა – 1 წლის; ტეტიას ძმები: ანტონი – 30 წლის, გაბრიელი – 24 წლის; ანტონის შვილი, იოსები – 2 წლის.
5. ხულელიძე შაბურა იოსების ძე, 34 წლის; მისი შვილები: ნიკოლოზი – 13 წლის, შიო – 7 წლის, ადამი – 3 თვის; შაბურას ძმები: ანდრია (ადია) – 28 წლის, ალექსი – 19 წლის, ესტატე – 17 წლის; ანდრიას შვილები: ივანე – 2 წლის, ა;ექსი – 6 თვის.
6. ხულელიძე გლახა ონისესძე, 37 წლის;მისი შვილები: ილიკო – 4 წლის, ივანე – 1 წლის; გლახას ძმა, იოსები – 28 წლის; მისი შვილი, ისაკა – 1 წლის; გლახას ბიძაშვილის, მიხეილის შვილები: ესტატე და ივანე; ცხოვრობენ ვლადიკავკაზში.
7. ხულელიძე მარტია იოსების ძე, 41 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 5 წლის, გაბრიელი – 3 წლის; მარტიას ძმისწული პავლეს შვილები: ვანკა – 34 წლის, ალექსანდრე 31 წლის; ვანკას შვილები: ნიკო – 5 წლის, მიხეილი – 3 თვის; მარტიას ბიძაშვილი, ჩგაბრიელ გიორგის ძე – 40 წლის.
8. ხულელიძე სიმონი რუხას ძე, 45 წლის; მისი შვილი, ივანე – 16 წლის.
9. ხულელიძე იორდანე გიორგის ძე, 32 წლის; მისი შვილი, ძიბრითი; იორდანეს ძმა, იოსები – 24 წლის; იორდანეს ბიძაშვილი ბერის შვილი, ვანო – 28 წლის; მისი შვილი, ალექსანდრე – 2 წლის; ვანოს ძმისწული ბედოს შვილები: იაგორი

– 5 წლის, გრიგოლი – 2 წლის.

10. ხულელიძე ჯღუნა ბეჟანის ძე, 55 წლის; მისი შვილი, თევდორე – 30 წლის; ჯღუნას ძმა, დავითი – 50 წლის; მისი შვილები: იასონი (ბოძი) – 7 წლის, სვიმონი – 5 წლის, გიორგი – 2 თვის.
11. ხულელიძე სვიმონ ვასილის ძე, 35 წლის; მისი ძმა, გიორგი – 29 წლის.
12. ჩაბაკაური გიორგი ალხანის ძე, 35 წლის; მისი შვილი, იაგორი – 7 წლის; გიორგის ბიძაშვილი, ნიკოლოზ იოსების ძე – 3 წლის.
13. ჩაბაკაური გიორგი ნანეს ძე, 44 წლის; მისი შვილები: სპირიდონი – 15 წლის, ვანო – 5 წლის, გაბო – 4 წლის, ლევანი – 1 წლის; გიორგის ძმა, ნიკალა – 31 წლის; მისი შვილი, ლუარსაბი – 5 წლის.

*

გაიბოტენში მცხოვრები ხულელიძეები და ჩაბაკაურები აზნაურ ჩრდილელის სურვილით და ხელშეწყობით გადასახლდნენ არაგვის ხეობის ბარში – კერძოდ, მლაშესა და ჩირდილიანთკარში.

1926 წლის აღწერით – გაიბოტენში, 138 კომლი დარეგისტრირდა (60 მამაკაცი და 78 ქალი).

2014 წელს – სოფელი უკვე დაცლილი იყო.

ხულელიძეები (ხულელნი)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ქისტეთის სოფელ ღულ-ჩხორეგოდან – მესისხლეობის გამო გამოქცეულა (ქისტაურების წინაპარი) სამი ძმა.

ერთი მათგანი კოჭლი ყოფილა და ხევში დარჩენილა;

„ძმებს უთქომ, შენ აქ გაიბოტე ფეხიო.“

აქედან წარმოსდგაო სოფლის სახელწოდება.

მეორე ძმა – ფშავში დასახლებულა, სოფ. შუაფხოს;

მესამე – ჭინჭარაულებს ხარ-ქობით შეჰყრია; გუდანის გაღმა, „მთის ძირში, მიუციათ ადგილი“ – რომლისთვისაც, მათი ყოფილი სამოსახლოს (ღულ-ჩხორეგოს) ანალოგიით, დაურქმევიათ ღული.

გამოხევებული ხულელიძეები – ღულში მცხოვრები ქისტაურების განაყრებად ითვლებიან.

*

გახსოვთ ლელთ-ღუნია გაიბოტენიდან!?

რუსეთიდან მომავალ ილიას რომ შესჩიოდა: –

„ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ; ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟობდის, ქალი ქალობდის...“ მგონი – ასე უთქვამს... არა?!

*

ხულელიძეების გვართან დაკავშირებული გადმოცემის თანახმად: –

XVI საუკუნის დასასრულს, არშის ციხე ყაბარდოელებს ჩაუგდიათ ხელში;

მძიმე ხარკი დაუწესებიათ და ისიც დაუდგენიათ რომ: –

მოხევეებს, „საქორწინედ“ გამზადებული საპატარძლოები, პირველი ღამის უფლებით, დამპყრობი ციხისთავისთვის მიეგვარათ – ღვინით და „ხორაგეულით“ დატვირთულებს.

ხევი – თურმე, ბობოქრობდა, დრტვინავდა.

ბევრი ვაჟკაცი შეაკვდა მომხდურებს, მაგრამ მათი „განაჩენი“ არ შეიცვალა.

იმ დროს ცხოვრობდა, სოფ. გაიბოტენში – „პეიტერ-ბერკაცი“, ნადირა ხულელიძე;

მჭედელი „რკინისა და რვალისა;“

თოფის წამლის დამზადების მესაიდუმლე და განთქმული ქამანდარი.

ულამაზესი ქალიშვილი ჰყოლია, სახელად თანდირა – რომელიც, გათხოვების ჟამს: დამპყრობთა მიერ დადგენილი წესის თანახმად – სასიძოსთან ერთად, არშის ციხის ბატონთან წაუყვანია – უხვი სანოვაგით და ძვირფასი საჩუქრებით.

პურ-მარილი ნადირას გაუშლია; მერიქიფეობა თანდირასთვის მიუნდვია და – როცა ყაბარდოელნი კარგად გამომთვრალან, ციხის ბატონისთვის საჩუქრები წარუდგენია.

„უცხოდ ნაჭედი“ ხმალი განსაკუთრებით მოსწონებია ყაბარდოელს – მაგრამ სიმოკლის გამო, დაუწუნებია.

„ხმალს სიმოკლე რას დაუშლისო“ – უთქვამს ნადირას და ციხისთავისთვის თავი წარუკვეთავს.

თანდირას – კარი გაუხსნია ჩასაფრებული მოხევეებისთვის.

გრიგალივით შემოჭრილან ისინი;

„დასახოცი დაუხოცავთ“ და ციხეს დაპატრონებიან.

მთხრობელები სიამაყით ყვებიან: –

„უთხოვარ, მზედ-უნახველ ქალაის,“ თანდირა ხულელიძის, გადამწყვეტ როლზე – არშის ციხის მტრისაგან განთავისუფლების საქმეში...

თემმაც დააფასაო მამა-შვილის გმირული ღვაწლი: –

„სჯულის კანონით“ დადგენილი ყველა პრივილეგია მისცეს და შთამომავლობიდან შთამომავლობას გადასცეს – „მათი ამაგი, ვითარცა ანდერძი ჭირთა თმენისა, შეუპოვრობისა და გმირობისა.“

„მგზავრის წერილებში“ – ილია ჭავჭავაძის და ლელთ (ხულელთ) ღუნიას საუბრის დიდი ნაწილი – სწორედ ამ თქმულებაზეა აგებული.

*

1774 წლის აღწერით – გაიბოტენში, სახლობდნენ: –

ხულელიძე ელალდის შვილი ბერი და ივანე;

ხულელიძე პაპის შვილი თაგო, ზაზა, ივანე, პატარა და პაპუა;

ხულელიძე პაპის შვილი ისე და ღურმი;

ხულელიძე გოჭიას შვილი ლომი და ბერი;

ჩაბაკაური ბერის შვილი გიორგი, ხუტა და თადილა;

ჩაბაკაური პაპას შვილი თათარი, გიორგი და ხუტა;

„აქავ მოჯამაგირედ არის გერგეტელი საფრის შვილი ნანაი.“

1781 წელს – დარეგისტრირდნენ: –

ხულელიძე ბერი და ივანე;
ხულელიძე ზაზა, ივანე, იოსებ, პაპუა და პეტრე;
ხულელიძე ღურმა და ძაღლუა;
ხულელიძე იასე;
ჩაბაკაური გიორგი, ვაზაგა, თადილა, ბერი, დავითა და ივანე;
ჩაბაკაური თათარია შვილი გიორგი და ხუტა;
მინგის შვილი გიორგი და გოგოლა;
გუჯარაიძე ივანე და გაგა;
გუჯარაძე ნანა და ბერი;
სტეფანწმინდელი ცხვირიკას შვილი ბერი.

დროთა განმავლობაში – ხულელიძეებს რამდენიმე მამიშვილობა გამოეყო (თაგონი, ლომენი, ილიენი, ვანკენი...).

ჩაბაკაურები

ჩაბაკაურების ადრინდელი გვარი ნაროზაული ყოფილა – რომელიც არხოტის თემის, სოფ. ახიელადან წარმომავლობას.

ხევში მათი დასახლების მიზეზად მესისხლეობას ასახელებენ.

ნაროზაულებიდან სამი ქვეგვარი მოდის: – ქავთარნი, ბადანი და ჩაბაკაურნი.

მშვიდი და წყნარი ხალხი ყოფილან.

„არ უყვარდათ შუღლი და ამით კაცობა-სახელობა. თუკი ვინმე ძალით გამოიწვევდა შუღლში, სხვაზე უარესად არ დახვდებოდნენ, მაგრამ თვითონ არავის აუტეხდნენ შარს“ (ნ. ბალიაური).

რაღაც ოჯახური გაუგებრობებთან გამომდინარე, დიდი ახლობლობის მიუხედავად – არხოტელი „ოჩიაურები და ნაროზაულები, ისე აირივნენ რომ – ბოლოს, ერთმანეთთან საბრძოლველად გამოვიდნენ.“

„ბებერმა კაცებმაც კი აიღეს ხელში ქართული თოფები.“

ნაროზაულების დიდი ნაწილი არხოტიდან აიყარა და გადასახლდა.

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით – ჩაბაკაურების სამ-სამი ოჯახი სახლობდა დუშეთის რაიონის სოფ. მლაშესა და ჩრდილელიანთკარში.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ამაღლების ხატობაზე – კარკუჩაში (უფრო ზუსტად, ნადარბაზევში), ტყარშეტელ მაისურაძეებთან ერთად, ჩაბაკაურებიც დადიოდნენ – როგორც ყანანაზის ხატის წილდებულები.

ძველი კარკუჩელები მათ სახლიკაცებად მიიჩნევდნენ.

ფანშეტი

ზ.დ. 1790 მ-ზე – შიშველ, ქვიან გორებს შუაა შეყუჟული.

XVIII ს-ში – ხევის ერთ-ერთი სამოურავოს ცენტრი იყო;

მნიშვლელოვან როლს ასრულებდა თერგის ხეობის მარცხენა სანაპიროს დაცვაში.

„ძველ ფანშეტაი“, ანუ, ისტორიული სოფელი, განთავსებული იყო თანამედროვე სოფლის ჩრდილოეთით მდებარე კონცხზე, სადაც დღემდე შემორჩენილია – სამარხები, ნაკოშკარები, ნასახლარები და ხელოვნურად გაკეთებული ტერასები.

ამჟამად, წმინდა ადგილად – სალოცავად არის ქცეული, სადაც ყველაწმინდის დღეობები იმართება.

XX ს-ში – სოფელმა ვაკეზე ჩამოსახლება დაიწყო, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვა: –

მთიდან დაქანებულმა ზვავმა რამდენიმე ოჯახი იმსხვერპლა.

მათი წინაპრები უფრო წინდახედულები აღმოჩნდენ – საზვავეში რომ არ დასახლდნენ.

თანამედროვე სოფლის ძველი დასახლება – ორი საგვარეულო კოშკის (ჩონიაშვილებისა და სამქანაშვილების) ირგვლივ იყო გაშენებული.

(თავიანთი კოშკი – „ძველ ფანშეტაის“ ჰქონდათ საბაურებს)

უფრო ოსტატურად ნაგები „სამქანეთ ციხეა“: –

მაღალი, ტანწყობილი სათვალთვალო კოშკი, რომელიც სამხედრო გზიდან საკმაოდ შორს მოჩანს; პირდაპირ გასცქერის სნოს ხეობას და საოცარი ჰარმონიით ერწყმის ბუნებრივ ლანდშაფტს.

*

დასახლების სიახლოვეს („ახადეში“, აჭკალნის მთის სამხრეთ კალთაზე), შვეულ კლდეშია გამოკვეთილი გამოქვაბულების კომპლექსი – ე.წ. „ცოდვილთ ქოხები.“

თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით.

კომპლექსი სამ სართულად („იარუსად“) არის განლაგებული.

(წინა მხარე მიწისძვრის შედეგად არის ჩამოქცეული).

პირველ „იარუსზე“ ხუთი გამოქვაბული ფიქსირდება (მათგან მხოლოდ ორია მეტ-ნაკლებად შემორჩენილი).

მეორეზე – ორი „ქვაბია“;

მესამე – სამ ნაწილად არის დაყოფილი.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

„ქოხებში“ – ბეთლემის სავანის ბერები იზამთრებდნენ, რადგან – სუსხიან ზამთარში, ბეთლემში ყოფნა შეუძლებელი იყო.

ქოხებთან (ანუ, გამოქვაბულებთან) მიდიოდა გზა, რომელიც, დროთა განმავლობაში – ჩამოიშალა.

*

ფანშეტ-გერგეტის საძოვრების საზღვარზე, ადგილ „დოხტელურებში“ – ძველად, ქვის კარიერი ყოფილა.

დღემდეა შემორჩენილია ნასახლარები, სადაც – გადმოცემის თანახმად, წმინდა სამების კალატოზები ცხოვრობდნენ.

იქიდან გაყვანილი სამარხილე გზით ეზიდებოდნენო ტაძრის სამშენებლო ქვას.

*

მთავარანგელოზის სახელზე იყო დაცული, ფანშეტის მიმდებარე ხატის ტყე – სადაც, უახლოეს წარსულამდე – 7 სქელტანიანი ხე იყო შემორჩენილი.

*

ფანშეტელებს – საერთო სასოფლო სალოცავი არ ჰქონიათ;

ყველა გვარს საკუთარი ხატი გააჩნდა და დღეობებსაც გვარების მიხედვით იხდიდნენ.

საბაურების სალოცავი ყველაწმინდის ხატია, რომელიც „ძველ ფანშეტაის“ ჩრდილოეთით – მთის წვერზე მდგარი ოთხწახნაგა პრიზმის ფორმის მასიური ნაგებობაა. ნაშენია ფიქალის მშრალი წყობით.

სამქანაშვილებს – კავთისხევიდან მოუბრძანებიათ კავთის წმინდა გიორგის ხატი. მისი ნიში – თანამედროვე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთაზეა განთავსებული. ნაგებია ფიქალისა და რიყის ქვის მშრალი წყობით.

ჩონიაშვილები – თავიანთ პირვანდელ საცხოვრისში, სოფ. ქობში დადიოდნენ სალოცავად.

*

ფანშეტი – საბაურების, სამქანაშვილების და ჩონიაშვილების ძირითადი საცხოვრისია.

1774 წლის აღწერით – „ხევის ფანშეთს, არაგვის ერისთავის ყმა შაბურისშვილის ბოქაულთხუცის იოთამის სამოურავოში“: – საბაურების 3 კომლი, სამქანაიძეების – 2 და ჩონიაიძის 1 კომლი სახლობდა.

1781 წელს, მათი სამ-სამი კომლი დარეგისტრირდა.

ახალმოსახლედ აღირიცხა – ღუდუშაური მარაიძის შვილი შარანბალ.

1873 წლის აღწერით – მოხსენიებულნი არიან: –

1. სვიმონ ისმაილის ძე ჩონიაშვილი, 41 წლის; მისი შვილები: ივანე – 15 წლის, გიორგი – 7 წლის; სვიმონის ძმა, იოსები – 29 წლის.
2. ალექსი გლახას ძე ჩონიაშვილი, 25 წლის; მისი ძმები: დავითი – 23 წლის, გრიგოლი – 10 წლის.
3. გიორგი ივანეს ძე ჩონიაშვილი, 25 წლის; მისი ძმები: სიმონი – 23 წლის, დიმიტრი – 18 წლის, სპირიდონი – 8 წლის, მიხეილი – 4 წლის.
4. ბუშვია იოსებიოს ძე საბაური, 63 წლის; მისი შვილები: სიმონი – 26 წლის, გრიგოლი – 22 წლის, შიო – 17 წლის; სიმონის შვილი, ივანე – 3 წლის.
5. ივანე გლახას ძე საბაური, 23 წლის; მისი ძმები: თევდორე – 21 წლის, გიორგი – 18 წლის.
6. გლახა ივანეს ძე საბაური, 51 წლის; მისი შვილები: იოსები – 25 წლის, ივანე – 20 წლის, შიო – 17 წლის.
7. სიმონ ივანეს ძე საბაური, 49 წლის; მისი ძმა, გიორგი – 43 წლის.
8. შიო ბიძიას ძე სამქანაშვილი, 25 წლის; მისი ძმა, სვიმონი – 21 წლის.
9. ლაზარე ანდრიას ძე სამქანაშვილი, 53 წლის; მისი შვილები: ივანე – 29 წლის, გლახა – 28 წლის, დავითი – 21 წლის, სიმონი – 4 წლის.
10. ტეტის შიოს ძე სამქანაშვილი, 36 წლის; მისი შვილები: ივანე – 10 წლის, ონი-

სიმე – 8 წლის, გიორგი – 4 წლის; ტეტიას ძმა, გიორგი – 26 წლის.

11. შიო იოსების ძე სამქანაშვილი, 20 წლის; მისი შვილი, დავითი – 2 წლის; ძმისწული, ივანე – 10 წლის.
12. გიორგი იოსების ძე სამქანაშვილი, 30 წლის; მისი შვილი, ივანე – 3 წლის; გიორგის ძმები: ვლადიმერი – 23 წლის, სვიმონი – 15 წლის, შიო – 8 წლის.
13. გაბრიელ გიორგის ძე სამქანაშვილი, 25 წლის; მისი ძმისწული, სიმონი – 14 წლის.

*

1926 წელს – ფანშეტში, 151 სული აღირიცხა (63 მამაკაცი და 88 ქალი).

2014 წელს – 54 სული (28 მამაკაცი და 26 ქალი).

საბაურები

ფანშეტის პირველმოსახლენი საბაურები ყოფილან.

მათი წარმომავლობს გადმოცემა – ფშავის ცაბაურთა (იგივე, გოგოჭურების) თემს უკავშირებს.

სოფ. ცაბაურთიდან არიანო ხევში მოსულები.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

საბაურებს წვლილი აქვთ შეტანილი სამების ტაძრის მშენებლობაში.

მათ მიეწერება ტაძრის „სანცაოს“ (ხალხის სადგომის) კარის შებმა – რომელსაც „საბაურთ სანცაოს“ ეძახიან.

წმინდა სამების დეკანოზები მათ გვარს გამორჩეულად ამწყალობებენ.

*

ხალხური მეხსიერების მიხედვით, ხევის მთავარი სათემო აღდგომა ფანშეტის ყველაწმინდაში სრულდებოდა – საბაურების თაოსნობით.

თითქმის მთელი ხევიდან მოდიოდა სტუმარი.

იმასაც ამბობენ რომ: –

ძველ ფანშეტის ყველაწმინდაში, ფშავიდან მოსული ცაბაურებიც მონაწილეობდნენ.

ხატის ყანები – ფანშეტში მხოლოდ საბაურებს ჰქონდათ.

ისინი ყველაწმინდის სახელზე იყო შეწირული და, კომლობრივი მორიგეობით – მათი მნათეები ამუშავებდნენ;

სხვა დღეობებშიც (ახალწელსა და აღდგომეზე) დეკანოზობა – საბაურების წილხვედრი ყოფილა.

1774 წლის აღწერით – „ფანშეთში,“ მათი სამი კომლი სახლობდა: –

საბაური ხახონასშვილი ივანე, მათა და გიორგი;

საბაური გაგასშვილი ხუა;

საბაური ღუჭასშვილი ბერა, დავითა და მარტია.

1781 წელს – მათი ორი (საბაური გიორგის და საბაური ხუას) კომლი დარეგისტრირდა.

*

ხევის ისტორიაში სიკეთის კვალი დატოვა რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა, ლადო საბაურმა.

პროფესორი ლევან საბაური, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი.

სამქანაშვილები (სამქანენი)

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

სამქანაშვილები – ქართლის სოფელ კავთისხევიდან გამოქცევიან ბატონს და (ფხელშელი ელოშვილებს მსგავსად) – ხევში, კავთის წმინდა გიორგის ხატი მოუბრძანებიათ.

ამბობენ რომ: –

ამ ორმა – ერთი კუთხიდან მოსულმა გვარმა („როგორც სახლიკაცებმა") თავიანთი ხატი – სიონსა და ტორნისას შუა მდებარე, ზენგორის ქოხებში (გამოქვაბულში) დააბრძანეს.

დროთა განმავლობაში, რაღაც მიზეზის გამო, მათ შორის ჩხუბი მომხდარა და „ხატი სამქანაშვილებს დაუნებებიათ."

ამჟამად – ფანშეტში, სალოცავად ქცეულ მათ კოშკშია დაბრძანებული, სადაც „კავთობას იხდიან."

სოფლის ძველ უბანში მდგარი სამქანაშვილების კოშკი გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. სამსართულიანია (სიმ. 9 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით.

გადმოცემის თანახმად: –

გვარის წინაპარს – სამქანას აუშენებია; მეტად მდიდარ კაცს, რომელიც, ციხის თითო კედლის აგებისათვის – ოსტატს სამოც ხარს აძლევდა და მშენებლებს – ბატკნის ხორცით „ჰკვებამდა."

ხალხური მეხსიერების მიხედვით: –

ლეკების ერთ-ერთი შემოსევის დროს, სამქანაშვილების გვარის მეომარი, არშის ციხის შვეული კლდიდან გადმოხტა – რათა მტრის საწინააღმდეგოდ მიეღო სასწრაფო ზომები.

იმ კლდეს „სამქანეთ ნახტომს" ეძახიან.

1774 წლის აღწერით – „ფანშეთს", სამქანაიძეების ორი კომლი სახლობდა: –

სამქანაიძე გივისშვილი ბიძია, ბერი, იოსებ და პაპუა;

სამქანაიძე ყაწილასშვილი კურდღელა.

1781 წელს – მათი სამი კომლი დარეგისტრირდა: –

სამქანიძე კურდღელა და გიორგი;

სამქანაიძე შია;

სამქანაიძე პაპუა და ნეღო.

დროთა განმავლობაში, სამქანაშვილების გვარი რამდენიმე მამიშვილობად დაიყო (სოსიენი, კალიენი, ბიძიენი, გაბალენი).

ჩონიაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ჩონიაშვილები – სამქანაშვილების დისწულები არიან.

მათი თანადგომით გადმოსახლებულან ფანშეტში, სოფელ ქობიდან.

თანამედროვე სოფლის განაპირას მდგარი მათი კოშკი (ანუ, „ჩონიეთ ციხე“) – განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. ოთხსართულიანია. ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ტლანქად დამუშავებული ქვით. 1995 წელს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

ძველი სოფლის დასავლეთ ნაწილში – მთის ფერდობზე მდგარი ჩონიაშვილების ციხე-სახლი – სათავდაცვო კოშკის და საცხოვრებელი სახლის ერთობლიობას წარმოადგენს.

კოშკი XVII ს-ით თარიღდება. გეგმით ოთხკუთხაა, ორსართულიანი (სიმ. 12 მ.). ნაგებია სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვით. მოგვიანებით აღდგენილი კედლების ნაწილი ამოყვანილია ფიქალის და ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. პირველი სართულის კუთხეში – ქვითკირის ღრმა ორმოა (2-მეტრი სიღრმის), რომელსაც – ალბათ, სურსათის შესანახად იყენებდნენ.

კოშკზე – მოგვიანებით მიუშენებიათ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

1774 წლის აღწერით – ფანშეთში სახლობდნენ: – ჩონიაიძე გისშვილი დათუნა, მიქელა და ისე.

1781 წელს – მათ 3 კომლი დარეგისტრირდა: –

ჩონიაიძე მარტია, პაპი და დავითა;

ჩონიაიძე მიქელა, ისე და გავდინა;

ჩონიაიძე ხუა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მათი შთამომავლების დიდი ნაწილი, დროთა განმავლობაში – ჯარიახის (ინგუშეთის) ხეობაში და ჩრდილო ოსეთის სოფელ სანიბაში გადასახლდა.

თოთი

თერგის მარცხენა მხარეს მდებარე „ფერდა პლატოზეა განთავსებული“ – ზ.დ. 2000 მ-ზე.

ხევის – ყველაზე მაღლა მდებარე სოფელია.

პირველად – იქ, ოსეთიდან კაცის მოკვლის გამო გამოქცეული თათო სალბიევი დასახლებულა.

„სოფლის სახელწოდება უშუალო კავშირშია მისი პირველი მკვიდრის, თათოს, საკუთარ სახელთან“ (ვალ. ითონიშვილი).

მტრისგან თავდაცვის მიზნით – თოთი საკმაოდ გრძელი გვირაბით უკავშირდებოდა სიფ. გაიბოტენს.

საკმაოდ მიუდგომელ სოფელს, სახიზარი გამოქვაბულებიც ჰქონდა, რომელებსაც „დევის ქოხს“, ანუ, „დევთ ქობს ეძახდნენ.

XVII ს-ის I მეოთხედში, შიოლა ღუდუშაურმა – თოთში დაასახლა და ყმებად

გაიხადა ოსი სალბიევები და მირაქოვები.

ისინი, დროთა განმავლობაში, გაქართველდნენ.

მათი ასიმილაციის პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა – სნოველი ღუდუშაურების (ჯაბანენის), გაიბოტნელი ხულელიძეების, ცდოველი წიკლაურებისა და გორისციხელი ავსაჯანიშვილების – იქ, დასახლების შემდგომ.

ღუდუშაურების პრივილეგიის დასრულების შემდეგ: აჩხოტი, თოთი და უხათი – ყაზბეგიანთ დაისაკუთრეს, ანუ – გვიანდელ შუა საუკუნეებში, თოთის მოსახლეობას გარკვეული გამოსაღები ჰქონდა დაკისრებული – ჯერ, ღუდუშაურების და მერე – ყაზბეგების სასარგებლოდ.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, თოთში სახლობდა ხულელიძეების დიდი ოჯახი („დიდი ხულელნი“) – რომელიც 4 თაობას აერთიანებდა; ერთხანს – 54 სულს ითვლიდა და გაყრის წინ – 44 სულისგან შედგებოდა.

დიდი ოჯახის პირველი მეთაური ყოფილა ბადა.

მათ საცხოვრისს წარმოადგებდა ორსართულიანი ბანიანი სახლი;

ჰქონიათ საკუთარი წისქვილიც.

ბადას გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის სათავეში მოექცა მისი უფროსი ვაჟი – იასე.

*

XIX ს-ის II ნახევარში – სნოდან თოთში გადასახლდნენ იოსებ ღუდუშაურის შვილები (ჯაბანენი): გიორგი – 21 წლის, იორდანე – 18 წლის და ივანე ღუდუშაურის (ბუშკიას) ოჯახი; მისი შვილი, შიო – 6 წლის; ივანეს ძმისშვილი, გლახა – 2 წლის.

XX საუკუნის დასაწყისში – თოთში სახლობდა ხულელიძეების 21 კომლი; 7 კომლი ღუდუშაური, 2 წიკლაური და 1 ავსაჯანიშვილი.

XX ს-ის II ნახევრიდან (ძირითადად, მიუდგომელი მდებარეობის გამო), სოფელი – თანდათან, დაიცალა.

ოსები – ოსეთში გადასახლდნენ; მოსახლეობის უმეტესობა – ახალ არშაში დასახლდა; ნაწილი – ვლადიკავკაზსა და თბილისში წავიდა.

გერგეტი

ისტორიული ხევის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა.

მდ. ჩხერის მარჯვენა ნაპირზე, მყინვარწვერის კალთაზე მდებარეობს – საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე.

ზემოდან წმინდა სამების ტაძარი გადმოჰყურებს.

1392 წლის გუჯარში – გერგეტის სამების მონასტერთან ერთად, მოიხსენიება – „არაგუზე ციხე გერგეტული.“

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, კლდოვან ბორცვზე მდგარი ზურგიანი კოშკი XVI-XVII სს თარიღდება. შემორჩენილი აქვს მხოლოდ პირველი სართული (მიწის დონიდან 6 მ-ის სიმაღლეზე).

ქობის ციხეს და, მდინარე ყუროს „პირად“ მდგარ – „ყოდანთ კოშკს“ გაჰყურებს.

„სათიკნიასთან“ – ორი კოშკი მდგარა, რომელთა ნანგრევზეც – დროთა განმავლობაში, ქალთა სალოცავი მოაწყეს.

„ლიჯეში“ – სოფლის საძოვარ მთაზე (ანუ „მარიამ წმიდის კარში“, სადაც ასკეტი ბერები სახლობდნენ) – ე.წ. „მეჯოგის ციხე“ მდგარა – მომხდურებისგან ჯოგის დასაცავად.

სოფ. გერგეტის მიმდებარე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებიდან ყურადღებას იპყრობს – მისგან დასავლეთით (1 კმ-ის დაშორებით) მდებარე წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (4,5X2,3 მ.), რომელიც – სავარაუდოდ, ადრინდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია დამუშავებული ქვის დიდი კვადრების მშრალი წყობით. ძლიერ დაზიანებულია.

სოფლის დასავლეთით მდებარე ფერდობზე – წმინდა სამების გზის პირას მდებარე ერთნავიან ბაზილიკაში – მეფე ერეკლეს დროს, მღვდლად ყოფილა ვინმე, კუთარა სუჯაშვილი. სალოცავს დღემდე შემორჩა მისი სახელი.

„ქვიშა-ქვიანი უდაბნოს“ (ანუ, „ნაბერალნის“) მიდამოებში მდგარა: – მცირე ეკლესია, საცხოვრებელი ქოხები და ქვის ჯვარი, რომელიც ანდრია პირველწოდებულს მიერ აღმართულად იყო მიჩნეული.

სამების ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, მთის დავაკებაზე მდგარი ნინოწმინდის ნიში ოთხკუთხა – სვეტის ფორმის, ფიქალით ნაგები – მასიური ნაგებობაა. მთავარი ფასადის კედელში დატანებული აქვს – მაღალი და ღრმა თაღოვანი თახჩა, რომლის შიდა მხარე ორნამენტირებულია. მოჩანს წარწერა, რომელიც შებოლვის გამო, ვერ იკითხება.

სოფელში შემორჩენილია რამდენიმე კოშკური სახლის ნანგრევი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

სოფლის განაპირას (სამხრეთ-დასავლეთით), მთის ძირში მდგარი იაგორ სუჯაშვილის საცხოვრებელი სახლი (11X5,5 მ.) – XVII-XVIII სს თარიღდება; ორსართულიანია, ბანიანი. ნაგებია ქვიშაქვით, ანდეზიტით და ფიქალით. მეორე სართულის შესასვლელს – ისტორიული ხევისთვის უჩვეულო მორთულობა აქვს – კარის თავზე, ორი რელიეფური გველია გამოსახული.

სოფლის გზის პირას – დიდი ლოდი ძევს (დიდქვა), სადაც საახალწლო რიტუალი ტარდება. მის მიმდებარედ, „კალატაის (კალატოზის) წყაროა,“ რომელსაც, გადმოცემის თანახმად – „სამების“ მშენებლები იყენებდნენ.

*

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, 1903 წელს – გერგეტში პირველდაწყებითი ერთკლასიანი სამრევლო სკოლა გახსნა, რომელიც, 1910 წელს, სამაზრო სკოლად გადაკეთდა. მიიღეს 38 მოსწავლე. პირველი მასწავლებელი იყო ისიდორე ტატიშვილი.

1914 წლის მონაცემებით – სკოლაში სამი განყოფილება იყო;

სწავლობდა 110 მოსწავლე.

*

სოფელის ცენტრში აღმართულია II მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი,

რომელიც 1965 წელს დაიდგა – ახალგაზრდების თაოსნობით. ობელისკი 4 მეტრი სიმაღლისაა. მარმარილოს თეთრ დაფაზე ოცი შინმოუსვლელი ჯარისკაცის სურათი, გვარები და შემდეგი წარწერაა ამოტვიფრული: –

„1941-1945 წწ. სამამულო ომიდან შინმოუსვლელები.“

მემორიალის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შუა საუკუნეების – გაძარცვული აკლდამა ფიქსირდება.

ნაგებია დიდი ქვების მშრალი წყობით.

*

გერგეტში სახლობენ: –

სუჯაშვილები (კეტენენი, იაკობიანი, ჯაიანი, ციცქინენი, ნადუენი, უძილენი);

ხუციშვილები (აწკვენი, ოვლიენი, გურიენი, შინენი);

ჩაბაშვილები (ბუსენი – მათი ერთ-ერთი შტოს პატრონიმიული სახელია – რომელიც ამოწყდა);

წიკლაურები (ვანენი, ნანენი, თამაზენი, მამსურენი); ქისტაურები, არაბულები, თამასხანოვები და ქსნის ხეობიდან მიგრირებულები ქაწაშვილები, რომელთა ნაწილიც – ბალთაში გადასახლდა.

1774 წლის აღწერით – ხევის გერგეტს („არაგვის ერისთავიანთგან შეწირულ წმინდის სამების ყმათაგან – მათივე სახელოში“) მოხსენიებულნი არიან: –

1. სუჯასშვილი ბერი;
2. სუჯასშვილიუ ძაი და ლომი;
3. სუჯასშვილი სეხნია, მათაი და გიორგი;
4. სუჯასშვილი მღვდელი იაკობ, ხახუა და ბერი;
5. სუჯასშვილი მღვდელი მარკოზ;
6. სუჯასშვილი ივანე;
7. სუჯასშვილი ბერუა და მათაი;
8. სუჯასშვილი ბერი;
9. სუჯასშვილი დავით, უძილა და რუხია;
10. სუჯასშვილი ივანე;
11. სუჯასშვილი კუთარა;
12. ქისტაური პეტიასშვილი ქისტაური და პეტრე;
13. ქისტაური პეტიასშვილი ნასყიდა;
14. ხუცისშვილი პოვლე და ბერი;
15. ხუცისშვილი ბერი, პაპა და ნეღო;
16. ხუცისშვილი ლაზარე, გიორგი და ივანე;
17. ხუცისშვილი ბიძია და ნია;
18. რანბულისშვილი დათუნა, გელა, ქრისტესია და მაღლია;
19. რანბული პაპასშვილი კაბილა;
20. რანბული თვალასშვილი პაპუა და ივანე;
21. ჩიბუანთ მამუკასშვილი ბერი, მამუკა და გლახა;
22. ჩიბუანთ ზაქარიასშვილი თათაი;
23. ჩიბუანთ მამუკასშვილი გია და იოსებ;

24. ჩიბუანთ ბუსასშვილი ნასყიდა და ბეჟან;
25. ჩიბუანთ ეღისშვილი გიორგი;
26. ჩიბუანთ სუხასშვილი ხახაი, მარტია და გერი;
27. წიკლოური ცანცუკასშვილი ხოტა;
28. ეგუასშვილი (წიკლაური) ჭოჭა, ბერი და გიორგი;
29. რანბული (არაბული) თადისშვილი იასეს ობოლი რუხიაი, მახარა და ღარიბა.

ჯამში აღირიცხულია: – სუჯასშვილების 11 კომლი (მათ შორის, ორი მღვდელი – იაკობი და მარკოზი); ქისტაურების – 2 კომლი; ხუცისშვილების – 4, ჩიბუანთ (ჩიბაშვილების) – 6, რანბულისშვილი (არაბული) – 1, რანბული (არაბული) – 3, წიკლოური – 1, ეგუასშვილი – 1.

1781 წელს – დარეგისტრირდნენ: –

1. ჩიბოს შვილი (ჩიბაშვილი) მამუკა გლახა და იოსებ;
2. ბასიას შვილი (სუჯაშვილი) კუთარა;
3. ჩიბოს შვილი (ჩიბაშვილი) ბერი;
4. რანბული (არაბული) დათუნა, ძაღლია, კურდღელა და ქრისტესია;
5. ხუცის შვილი ნია;
6. ხუცის შვილი ბერი;
7. ხუცის შვილი შიო და ივანე;
8. წიკლოური ბერი და გიორგი;
9. დავითის შვილი (სუჯაშვილი) უძილა, რუხია და პოვლია;
10. პეტის შვილი (ქისტაური) პეტრე;
11. პეტის შვილი (ქისტაური) ნასყიდა და გივი;
12. სუჯას შვილი გიორგი და მათა;
13. სუჯას შვილი ბერი;
14. სუჯას შვილი ლომნია და ივანე;
15. სუჯას შვილი მღვდელი მარკოზ და ბერი;
16. სუჯას შვილი მათა;
17. სუჯას შვილი კვამლი და ქოჩორა;
18. სუჯას შვილი ხახუა და ანდრია (მღვდელი იაკობი აღარ ჩანს);
19. საფრაის შვილი ნანა;
20. თვალაის შვილი (რანბული, არაბული) პაპუა;
21. რანბულის (არაბულის) შვილი კობილა;
22. ხუცის შვილი ივანე, გურია და აფცაური;
23. წიკლოური ხოტაი;
24. ჩიბოს შვილი (ჩიბოშვილი) ბუაი;
25. ჩიბოს შვილი (ჩიბოშვილი) ბეჟან;
26. ჩისუხაის შვილი (ჩიბოშვილი) მარტია და გერი.

ჯამში აღირიცხა: – სუჯას შვილი – 7 კომლი, ბასიას შვილი (სუჯაშვილი) – 1, დავითის შვილი (სუჯაშვილი) – 1, ჩიბოს შვილი – 4, ჩისუხაის შვილი (ჩიბოშვილი) – 1, ხუცის შვილი – 4, წიკლოური – 2, პეტის შვილი (ქისტაური) – 2, რანბული (არაბული) – 1, თვალაის შვილი (რანბული, არაბული) – 1, რანბულაიას შვილი (არაბული) –

1 და საფარაის შვილი ნანა (რომელიც, ამავე წელს, გაიბოტებში ჩანს მოჯამაგირედ.

1886 წლის აღწერით – გერგეტში მოხსენიებულნი არიან: –

1. წიკლაური გიორგი ნანეს ძე, 35,5 წლის, მისი შვილი, მიხეილი – 3,5 წლის; გიორგის ძმები: თომა – 31,5 წლის, სვიმონი – 24,5 წლის; თომას შვილები: ვანო – 2 წლის, გრიგოლი – 6 თვის.
2. წიკლაური კაცია ბულეჯანის ძე, 26 წლის; მისი ძმები: გიორგი – 32 წლის, ივანე – 21 წლის; გიორგის შვილი, შამილი – 3 წლის (ცხოვრობდნენ ვლადიკავკაზში).
3. წიკლაური ლევან შიოს ძე, 40 წლის; მისი ძმა, გრიგოლი – 30 წლის.
4. ჩიბაშვილი იოსებ ბაის ძე, 52 წლის; მისი შვილები: ნინია – 26 წლის, გიორგი – 20 წლის, კოტე – 9 წლის.
5. ჩიბაშვილი დავით შიოს ძე – 50 წლის; მისი შვილები: ივანე – 20 წლის, ნინია – 16 წლის, არსენა – 5 წლის.
6. არაბული გრიგოლ ნინიას ძე, 42 წლის.
7. არაბული ნანე ღარიბას ძე, 21 წლის (ცხოვრობს ვლადიკავკაზში).
8. არაბული სვიმოს გაგისონის ძე, 22 წლის.
9. ჩიბაშვილი მამუკა იოსების ძე, 35 წლის; მისი ძმისწული, სვიმონის შვილი, ალექსი – 11 წლის.
10. ჩიბაშვილი გიორგი მარტიას ძე, 41 წლის. მისი შვილი, ვანო – 5 წლის.
11. ჩიბაშვილი მამუკა ივანეს ძე, 52 წლის; მისი შვილები: ივანე – 24 წლის, გლახა – 23 წლის, ესტატე – 19 წლის, პავლე – 17 წლის.
12. არაბული საბრალო (იგივე სვიმონი) ნინიას ძე, 36 წლის.
13. ხუციშვილი ნანე სურხანის ძე, 76 წლის; მისი შვილები: ბიძია, 36 წლის, იოსები – 31 წლის, ვასილი – 24 წლის. ნანეს შვილიშვილი, ნიკალა, შავხლას ძე – 16 წლის; ბიძიას შვილები: გიორგი – 16 წლის, მოსე – 13 წლის; იოსების შვილები: ალექსი – 7 წლის, ნინიკო – 3 წლის.
14. ხუციშვილი გიორგი შავხლას ძე, 56 წლის; მისი შვილები: სტეფანე – 27 წლის, ივანე – 5 წლის.
15. ხუციშვილი სვიმონ იასეს ძე, 56 წლის; მისი შვილები: ბიძია – 30 წლის, იაგორა – 13 წლის, იოსები – 7 წლის, პავლე – 5 წლის, ნიკალა – 2 წლის. ბიძიას შვილები: მათე – 2 წლის, ანდრო – 6 თვის.
16. ხუციშვილი იოსებ ტეტიას ძე, 36 წლის; მისი შვილი, გაბრიელი – 3 წლის; ძმისწული, გაბრიელ გლახას ძე, 16 წლის.
17. ხუციშვილი გიორგი იოსების ძე, 49 წლის; მისი ძმა, ივანე, 35 წლის; ივანეს შვილი, დიმიტრი, 3 წლის (გადასახლდნენ ვლადიკავკაზში).
18. ხუციშვილი იოსებ ლაზარს ძე, 46 წლის; მისი შვილები: ივანე – 8 წლის, გიორგი – 4 წლის, ლევანი – 2 წლის; იოსების ძმისწული, გლახა გრიგილის ძე – 20 წლის.
19. ხუციშვილი გიორგი ნინიას ძე, 46 წლის; მისი შვილები: ლევანი – 13 წლის, თალალა – 10 წლის; გიორგის ძმა, შიო – 31 წლის.
20. ხუციშვილი ხუტა ნინიას ძე, 35 წლის; მისი შვილები: ლაზარე – 16 წლის, ილიკო – 8 წლის, ივანე – 3 წლის.

21. წიკლაური იოსებ ზაქარიას ძე, 36 წლის; მისი შვილები: ვანო – 4 წლის, ალექსანდრე – 2 წლის. იოსების ძმები: გიორგი – 27 წლის, ნინია – 23 წლის;
22. წიკლაური შიო მამსირის ძე, 26 წლის; მისი ძმები: – გლახა – 20 წლის, გიორგი – 16 წლის.
23. წიკლაური მოსე მარტიას ძე, 35 წლის; მისი შვილები: ლევანი – 4 წლის, ციკო – 1 წლის; მოსეს ძმა, ტეტია – 32 წლის.
24. წიკლაური თომა დავითის ძე, 52 წლის; მისი შვილები: ივანე – 23 წლის, გრიგოლი – 19 წლის, ნიკო – 8 წლის.
25. წიკლაური გრიგოლ თამაზის ძე, 52 წლის; მისი შვილები: იაკობი – 25 წლის, დავითი – 21 წლის. იაკობის შვილი, სვიმონი – 4 წლის.
26. წიკლაური გლახა ტეტიას ძე, 39 წლის; მისი შვილი – ილია – 5 წლის; გლახას ძმა, გაბო – 42 წლის; მისი შვილები: ივანე – 15 წლის, სერგე – 2,5 წლის, შიო – 6 თვის (ცხოვრობენ ვლადიკავკაზში).
27. სუჯაშვილი კიკო სვიმონის ძე, 36 წლის; მისი შვილები: გიორგი – 7 წლის, სვიმონი – 4 წლის, იოსები – 1 წლის; კიკოს ძმები: ივანე – 23 წლის, შიო 20 წლის.
28. წიკლაური ბიძინა იოსების ძე, 55 წლის; მისი შვილი, ივანე – 16 წლის; ბიძინას შვილიშვილი, თევდორე გიორგის ძე – 2 წლის.
29. ქისტაური შავხალა იოსების ძე, 51 წლის; მისი შვილები: ნიკალა – 15 წლის, კოტე – 13 წლის.
30. სუჯაშვილი ივანე გიორგის ძე, 64 წლის; მისი შვილი, გიორგი – 36 წლის; გიორგის შვილები: იოსები – 16 წლის, ნიკალა – 14 წლის, სტეფანე – 7 წლის, მიხაკა – 3 წლის; ივანეს ძმა, ნინია, 46 წლის; მისი შვილები: ვანო – 18 წლის, გრიგოლი – 15 წლის, ონისე – 4 წლის; ივანეს ძმისწული, გლახა პაპას ძე, 23 წლის.
31. სუჯაშვილი სვიმონ იოსების ძე, 54 წლის; მისი შვილები: იოსები – 23 წლის, შიო – 19 წლის; იოსების შვილი, ლევანი – 2 წლის; სვიმონის ძმისწული მამუკას შვილები: გრიგოლი – 33 წლის, ივანე – 27 წლის; გრიგოლის შვილი, ვანო – 2 წლის; ივანეს შვილი, ნიკო – 6 თვის.
32. სუჯაშვილი დავით თადის ძე, 51 წლის; მისი შვილი, გლახა – 19 წლის.
33. სუჯაშვილი შიო იოსების ძე, 61 წლის.
34. სუჯაშვილი სიმონ იოსების ძე, 43 წლის; მისი შვილები: ალექსი – 5 წლის, დიმიტრი – 1 წლის; ცხოვრობენ ვლადიკავკაზში.
35. სუჯაშვილი ტეტია პავლეს ძე, 48 წლის; მისი შვილები: გიორგი – 23 წლის, ნიკო – 11 წლის, ვანო – 8 წლის, ნინიკა – 2 წლის; გიორგის შვილი, ვანო – 4 წლის; ტეტიას ძმისწული, ბესო ნინიას ძე – 16 წლის.
36. სუჯაშვილი ადამ გიორგის ძე, 56 წლის; მისი ძმა, იობა – 49 წლის; მათი ძმისწული, სპირიდონ შიოს ძე – 33 წლის; სპირიდონის შვილი, გლახა – 1 წლის.
37. სუჯაშვილი იოსებ გიორგის ძე, 49 წლის; მისი შვილი, ივანე – 3 წლის; ცხოვრობენ ვლადიკავკაზში.
38. სუჯაშვილი ივანე იოსების ძე, 33 წლის; მისი შვილი, სვიმონი – 8 წლის.
39. სუჯაშვილი სოლომონ ლაზარს ძე, 51 წლის; მისი შვილები: გლახა – 24 წლის, გრიგოლი – 16 წლის.
40. სუჯაშვილი გიორგი ლაზარს ძე, 46 წლის; მისი შვილი, ივანე – 12 წლის.

41. სუჯაშვილი სვიმონ ადამის ძე, 17 წლის; მისი ძმა, ივანე – 10 წლის.
42. სუჯაშვილი ზაალ ლაზარს ძე, 33 წლის; მისი შვილი, სტეფანე – 6 თვის.
43. სუჯაშვილი ონისე ბერის ძე, 56 წლის; მისი შვილები: კოტე – 14 წლის, ესტატე – 12 წლის, გიორგი 3 თვის.
44. სუჯაშვილი მარტია ბიჭილას ძე, 54 წლის; მისი შვილი, მიხა – 9 წლის; მარტიას ძმა, სოსია – 46 წლის;
45. სუჯაშვილი ივანე იოსების ძე, 51 წლის; მისი შვილი, ფიდო – 20 წლის; ივანეს ძმა, ნინია – 48 წლის; მისი შვილები: იაგორი – 9 წლის, გიორგი – 7 წლის;
46. სუჯაშვილი პავლე იოსების ძე, 34 წლის;
47. სუჯაშვილი ივანე (ნანე) გრიგორის ძე, 54 წლის; მისი შვილი, სტეფანე – 20 წლის, მიხეილი – 15 წლის.
48. სუჯაშვილი გრიგოლ მარტიას ძე, 49 წლის; მისი შვილი, გიორგი – 20 წლის; გრიგოლის ძმები: კიკო – 46 წლის, გლახა – 45 წლის, თევდორე – 30 წლის; თევდორეს შვილი, მოსე – 6 თვის; კიკოს შვილები: ალექსანდრე – 10 წლის, იობა – 6 თვის; გლახას შვილები: ვანო, 3 წლის, გიორგი – 6 თვის;
49. სუჯაშვილიჩგაბრიელ (საბრალო) 22 წლის.
50. სუჯაშვილი ონისე თევდორეს ძე, 33 წლის; მისი შვილი, ვანო – 4 წლის;
51. სუჯაშვილი იაკობ ბიჩინას ძე, 38 წლის; მისი შვილები: მიხეილი – 9 წლის, ნიკალა – 3 წლის;
52. სუჯაშვილი შიო ზაალის ძე, 62 წლის; მისი შვილი, გიორგი – 31 წლის; გიორგის შვილები: სვიმონი – 10 წლის, გაბო – 7 წლის;
53. სუჯაშვილი გიორგი პავლეს ძე, 31 წლის; მისი შვილები: ნიკალა – 6 წლის, აბრამი – 4 წლის;
54. ჩიბაშვილი იაკობ შიოს ძე – ცხოვრობს სოფ. ფხელშეში.
55. არაბული იოსებ შიოს ძე, 51 წლის; მისი შვილი, ნიკალა – 6 წლის.
56. სუჯაშვილი პავლე (მამა მითითებული არ არის), 53 წლის; მისი შვილები: იოსები – 25 წლის, მოსე – 23 წლის, ივანე – 10 წლის; იოსების შვილი – გიორგი – 6 თვის. ცხოვრობენ ვლადიკავკაზში.
57. სუჯაშვილი პავლე გიორგის ძე, 32 წლის; მისი შვილი, გიორგი – 3 წლის; პავლეს ძმა, გიორგი – 7 წლის;
58. სუჯაშვილი გიორგი გრიგოლის ძე, 38 წლის;
59. სუჯაშვილი იოსებ გრიგოლის ძე, 43 წლის; მისი შვილები: ლევანი – 17 წლის, ლაზარე – 10 წლის, გიორგი 7 წლის.
60. სუჯაშვილი გიორგი გიორგის ძე, 53 წლის; მისი შვილები: გრიგორი (იგივე ალექსი) – 29 წლის, ვატო – 28 წლის, ივანე – 15 წლის, მამუკა – 3 წლის

სუჯაშვილები

წმინდა სამების საყდრისშვილობის პრივილეგია გერგეტელებს – გიორგი ბრწყინვალეს და ბაგრატ V-ს მიერ ჰქონდათ სათანადო სიგელებით დადასტურებული.

„თუ ვინმეს თქუენიგანი კაცი შემოაკდუეს, სამ სისხლად აზღუეინეთ-ო“ – გუჯარით მოძღვრავენ მეფენი მათ.

აღნიშნული ფრაზა მეტყველებს რომ: – გერგეტის მცხოვრებნი, როგორც წმინდა სამების საყდრისშვილები, უფლებრივად – დანარჩენ მოხევეებზე მაღლა იდგნენ.

ალ. ყაზბეგის ცნობით: –

XIX საუკუნის 70-იან წლებში, „გერგეტელებს... მთელს ხევში და თრუსოს ხეობაშიაც კი, კომლზედ ყოველწლივ თითო მათარა (ფუთნახევარ) ქერს აძლევდნენ“).

ფეოდალურ საქართველოში საყდრისშვილები მოსახლეობის პრივილიგირებულ ჯგუფის წარმომადგენდნენ; თავიანთი საქმიანობით – რომელიმე საეპისკოპოსო ტაძარს უკავშირდებოდნენ და – ეკლესიის წინამძღვრები, მათი „თანადგომითა და ერთნებაობით“ მართავდნენ სამწყსოს.“

„საყდრიშვილობა“ ცალკეული პიროვნებების პრეროგატივა იყო, მაგრამ გერგეტელები – ყველა „საყდრიშვილებად“ ითვლებოდნენ.

ისინი არ იყვნენ მოლაშქრენი.

მათ ნაწილს საერთოდ ეკრძალებოდა აბჯრის ასხმა.

მათი ვალდებულება – ტაძრის მოვლა-პატრონობა, ხევში ქრისტიანული წესების დაცვა და განმტკიცება იყო.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

სუჯაშვილების წინაპარი მღვდელი ყოფილა, რომელიც ხევში ქრისტიანობას ავრცელებდა.

1774 წლის აღწერით, სუჯაშვილების სხვადასხვა კომლის თავებად მოხსენიებული – ძაი, სეხნია, უძილა და სხვ. ოჯახური დაყოფების შემდგომ – თავად გახდნენ უფრო მოზრდილი კომლების (ძაიენის, სეხნიენის, უძილენის, იაკობიანის, ბერენის, ნახუცვარენის, მარკოზიანის, ყურეშენის, ნადუენის და სხვ. მოთავენი.

დროთა განმავლობაში, მათი ნაწილი ბარში გადასახლდა და გვარი შეიცვალა.

ხალხური მეხსიერების მიხედვით, დუშეთის რაიონის სოფ. ბაგაში მცხოვრები ცქიმანაურები – ძირად სუჯაშვილები არიან.

როგორც რ. თოფჩიშვილის მთხრობელი გვამცნობს: –

„სუჯაშვილები ხევში მოჭარბებული ხალხი იყო. ადგილმამული არ ჰყოფნიდათ... ერთი მათგანი წამოსულა და სოფ. ბაგაში დასახლებულა, სადაც თავისი გვარი ცქიმანაურით შეუცვლია.“

1781 წელს – ბაზალეთის საშაბუროში, ცქიმანაურების სამი კომლი მკვიდრობდა.

„ცქიმანაურ-სუჯაშვილების ხევიდან ბარში მიგრაცია XVII-XVIII სს მიჯნაზე უნდა იყოს საგულვებელი“ (რ. თოფჩიშვილი, მოხეური გვარები, 1998 წ.).

*

სუჯაშვილთა გვარიდან მოდიან ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, სპორტსმენები: –

ბადრი სუჯაშვილი, ამ ქვეყნიდან, 43 წლის ასაკში წავიდა, მაგრამ ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო. იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ათამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მუშაობდა ყაზბეგის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორად. გერგეტში გაშენებულ „ოხარეშთ“ ფიჭვის კორომს, მოხევეები

დღესაც ბადრის ტყეს ეძახიან.

მის სახელს უკავშირდება ელიას მთაზე გაშენებული ტყეც.

საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, ინჟინერ-ტექნოლოგი, რევაზ სუჯაშვილი – ფირმა „სამების“ და საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმოს „ჩალას ვაინსის“ თანადამფუძნებელი და დირექტორია.

მისი თანადგომით, ელიას მთაზე აშენდა წმინდა ელია თეზბიტელის ეკლესია.

ყოფილი პარლამენტარი, კობა სუჯაშვილი – ვისთანაც საუკეთესო წლების (ახალგაზრდობის) მოგონებები მაკავშირებს.

სუჯაშვილი გურამი – ყაზბეგის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე.

მილიციის პოლკოვნიკი, სპორტის ოსტატი ველოსპორტში – ოთარ სუჯაშვილი.

დუშეთის რაიონის ყოფილი სამხედრო კომისარი, ოთარ სუჯაშვილი.

დავით სუჯაშვილი საქართველოს უშიშროების დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობს.

სუჯაშვილი ვიქტორი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი გახლდათ.

ლიტერატორი – ნაზი სუჯაშვილი, სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოღვაწეობს.

ირჯიაულები

სოფ. გერგეტის სამხრეთ-დასავლეთით (0,5 კმ ზე) მდებარეობდა „ზემოსოფელი“; დღემდე შემორჩენილია ძველი ნამოსახლარის ნაშთები; ნახევრად დანგრეული ზურგიანი კოშკი და სალოცავი – ზემოსოფლის ყველაწმინდის სახელწოდებით.

იმ ადგილს ეძახიან – „ციხეს.“

ადრე – იქ, ირჯიაულებს უცხოვრიათ.

მათი ნამოსახლარი წარმოადგენს კლდოვან ბორცვს – პატარა ვაკით.

გვიანფეოდალური ხანის ზურგიანი კოშკი, ე.წ. „ირჯეულთ ციხე“ – თავდაპირველად, სოფლის ყოფილა; მერე – ირჯიაულებს მიუთვისებიათ და მხოლოდ თვითონ გამაგრებულან.

ისინი ეწეოდნენ მეკობრეობას, მკვლელობებს, იტაცებდნენ ქალებს.

მათი ბოროტება ხალხმა „თათრობას“ გაუთანაბრა და მოხეური გვარი, ირჯიაული – ურჯულოსთან დააკავშირა.

შეწუხებული თემი წმინდა სამების საბჭეოში შეიკრიბა; ფიცი დადო მათ „გარეკვაზე.“

ხატობა დღეს დარევიან და გაწყვიტეს.

„იქვე – ვაკეზე მდგარა მათი სამსართულიანი ციხე-სახლი“, რომელიც საფეხურებიანი ასასვლელით უკავშირდებოდა მათ მიერ დაჩემებულ კოშკს.

ციხე-სახლში ირჯიაულების ერთიანი, დიდი ოჯახი სახლობდა.

60 სულამდე რომ მიუღწევიათ, რამდენიმე მოწილედ გაყრილან, მაგრამ კოშკი და ციხე-სახლი არ გაუყვიათ.

საერთო სახლის კედლებზე მიაშენეს ახალი ნაგებობები, რომლებიც ციხე-სახლთან და კოშკთან დააკავშირეს.

ამგვარად გამაგრებულ ირჯიაულებს – იქვე ფერდობებზე ჰქონიათ სახნავ-სათესი ადგილები, სათიბები და საძოვრები. ჰყოლიათ საქონლის ჯოგი; ყოფილან საუკეთესო

მონადირეები და მარჯვე მებრძოლნი – მაგრამ არც სამოსახლოს გამაგრებამ უშველა მათ და არც საბრძოლო გამოცდილებამ.

მარიამობა დღეს დაიგეგმა მათი ციხის აღება და განადგურება.

ხატობაში ირჯიაულებიც მონაწილეობდნენ...

ციხე-სახლში მხოლოდ ყარაული ჰყავდათ დატოვებული.

როცა ხატობაში ქეიფი გაჩაღდა, ორმა გერგეტელმა მწყემსმა (ქისტაურმა და წიკლაურმა) – ირჯიაულების ყანაში საქონელი შეუშვა.

ყარაული საქონლის გასარეკად გაიქცა – „თან სცემდა და თან ხოცდა“.

მწყემსებმა ამით ისარგებლეს; შეიპარნენ ციხეში და სალოცავში მყოფ თანამზრახველებს ნიშანი მისცეს.

შეთქმულებმა იარაღი იშიშვლეს და (ხატის მოედანზე) ირჯიაულების დიდი ნაწილი ამოწყვიტეს (ანუ, თემმაც მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა).

გაქცეული ირჯიაულების ნაწილი ჩაცვივდა ხევში, რომელსაც მოხევეებმა „საგორავთ რუი“ შეარქვეს.

გადმოცემის თანახმად, გადარჩენილებს „ბახნის მთაზე ქვები დაუწყვიათ და დაუძახნიათ“: – „გერგეტელებო, ამდენი გადავრჩით – თქვენ ჭირადო...“

*

ირჯიაულები რომ „ურჯულო თათრები“ არ იყვნენ – იმითაც დასტურდება რომ, ამოწყვტის დღეს, ისინიც გერგეტის სამებაში იმყოფებოდნენ სალოცავად.

როგორც ჩანს, მათი ამოწყვეტის მიზეზი თემთან დაპირისპირება იყო.

„რეალურად მოხდა თემის ურთიერთობებში დისონანსის შემტანი ქართული გვარის ამოწყვეტა“´(რ. თოფჩიშვილი).

გერგეტელი ქისტაურები და წიკლაურები (ეგუენი)

1774 წლის აღწერით – გერგეტში ქისტაურების ორი კომლი სახლობდა:

1. ქისტაური პეტიასშვილი ქისტაური და პეტრე;
2. ქისტაური პეტიასშვილი ნასყიდა;

1781 წელს აღირიცხნენ: –

1. პეტის შვილი (ქისტაური) პეტრე;
2. პეტის შვილი (ქისტაური) ნასყიდა და გივი;

წლის აღწერით მოხსენიებულია: –

ქისტაური შავხალა იოსების ძე, 51 წლის; მისი შვილები: ნიკალა – 15 წლის, კოტე – 13 წლის.

გერგეტში – ქისტაურებს თავიანთი დასახლება ჰქონდათ.

ირჯიაულების ამოწყვეტის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, მათი გვარის (პეტიენს) წარმომადგენელს, ირჯიაულების ერთ-ერთი მამული მისცეს (რომელსაც პეტიენს სახელწოდებით მოიხსენიებენ).

გერგეტელი ქისტაურების საგვარო სალოცავი „თარანგელოზია.“

*

1774 წელს – გერგეტში, წიკლაურის გვარით მოხსენიებულია ერთი კომლი: – წიკლოური ცანცუკას შვილი ხოტა.

ცალკე კომლად არის აღრიცხული: – ეგუასშვილი ჭოჭა, ბერი და გიორგი.

„ეგუენი“ – გერგეტელი წიკლაურების ერთ-ერთი მამიშვილობაა.

1781 წელს – გერგეტში აღირიცხნენ: –

1. წიკლოური ბერი და გიორგი;
2. წიკლოური ხოტაი;

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. წიკლაური გიორგი ნანეს ძე, 35,5 წლის, მისი შვილი, მიხეილი – 3,5 წლის; გიორგის ძმები: თომა – 31,5 წლის, სვიმონი – 24,5 წლის; თომას შვილები: ვანო – 2 წლის, გრიგოლი – 6 თვის.
2. წიკლაური კაცია ბულეჯანის ძე, 26 წლის; მისი ძმები: გიორგი – 32 წლის, ივანე – 21 წლის; გიორგის შვილი, შამილი – 3 წლის (ცხოვრობდნენ ვლადიკავკაზში).
3. წიკლაური ლევან შიოს ძე, 40 წლის; მისი ძმა, გრიგოლი – 30 წლის.
4. წიკლაური იოსებ ზაქარიას ძე, 36 წლის; მისი შვილები: ვანო – 4 წლის, ალექსანდრე – 2 წლის. იოსების ძმები: გიორგი – 27 წლის, ნინია – 23 წლის;
5. წიკლაური შიო მამსირის ძე, 26 წლის; მისი ძმები: – გლახა – 20 წლის, გიორგი – 16 წლის.
6. წიკლაური მოსე მარტიას ძე, 35 წლის; მისი შვილები: ლევანი – 4 წლის, ციკო – 1 წლის; მოსეს ძმა, ტეტია – 32 წლის.
7. წიკლაური თომა დავითის ძე, 52 წლის; მისი შვილები: ივანე – 23 წლის, გრიგოლი – 19 წლის, ნიკო – 8 წლის.
8. წიკლაური გრიგოლ თამაზის ძე, 52 წლის; მისი შვილები: იაკობი – 25 წლის, დავითი – 21 წლის. იაკობის შვილი, სვიმონი – 4 წლის.
9. წიკლაური გლახა ტეტიას ძე, 39 წლის; მისი შვილი – ილია – 5 წლის; გლახას ძმა, გაბო – 42 წლის; მისი შვილები: ივანე – 15 წლის, სერგე – 2,5 წლის, შიო – 6 თვის (ცხოვრობენ ვლადიკავკაზში).
10. წიკლაური ბიძინა იოსების ძე, 55 წლის; მისი შვილი, ივანე – 16 წლის; ბიძინას შვილიშვილი, თევდორე გიორგის ძე – 2 წლის.

1842 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში სახლობადა: –

წიკლაურა დოლათიშვილი – 46 წლის; მისი ძმისშვილები: ნიკოლოზი – 27 წლის, ცაცუნა – 19 წლის, იოსები – 24 წლის.

1847 წელს – ისინი, გერგეტში გადავიდნენ საცხოვრებლად.

ხუციშვილები

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საკმაოდ გავრცელებული – სხვადასხვა წარმომავლობის გვარია.

ხევში – აბორიგენები არიან.

1774 წელს – გერგეტში მათი 4 კომლი სახლობდა: –

1. ხუცისშვილი პოვლე და ბერი;
2. ხუცისშვილი ბერი, პაპა და ნეღო;

3. ხუცისშვილი ლაზარე, გიორგი და ივანე;
4. ხუცისშვილი ბიძია და ნია;

1781 წელს აღირიცხნენ: –

1. ხუცის შვილი ნია;
2. ხუცის შვილი ბერი;
3. ხუცის შვილი შიო და ივანე;
4. ხუცის შვილი ივანე, გურია და აფცაური;

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

1. ხუციშვილი გიორგი შავხლას ძე, 56 წლის; მისი შვილები: სტეფანე – 27 წლის, ივანე – 5 წლის.
2. ხუციშვილი სვიმონ იასეს ძე, 56 წლის; მისი შვილები: ბიძია – 30 წლის, იაგორა – 13 წლის, იოსები – 7 წლის, პავლე – 5 წლის, ნიკალა – 2 წლის. ბიძიას შვილები: მათე – 2 წლის, ანდრო – 6 თვის.
3. ხუციშვილი იოსებ ტეტიას ძე, 36 წლის; მისი შვილი, გაბრიელი – 3 წლის; ძმისწული, გაბრიელ გლახას ძე, 16 წლის.
4. ხუციშვილი გიორგი იოსების ძე, 49 წლის; მისი ძმა, ივანე, 35 წლის; ივანეს შვილი, დიმიტრი, 3 წლის (გადასახლდნენ ვლადიკავკაზში).
5. ხუციშვილი იოსებ ლაზარს ძე, 46 წლის; მისი შვილები: ივანე – 8 წლის, გიორგი – 4 წლის, ლევანი – 2 წლის; იოსების ძმისწული, გლახა გრიგილის ძე – 20 წლის.
6. ხუციშვილი გიორგი ნინიას ძე, 46 წლის; მისი შვილები: ლევანი – 13 წლის, თალალა – 10 წლის; გიორგის ძმა, შიო – 31 წლის.
7. ხუციშვილი ხუტა ნინიას ძე, 35 წლის; მისი შვილები: ლაზარე – 16 წლის, ილიკო – 8 წლის, ივანე – 3 წლის.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

მოხევე ხუციშვილების ნაწილი – გერგეტიდან ხდეს ხეობაში გადასახლდა;

იანდიევის გვარი მიიღეს და ქისტებად დაეწერნენ. უფრო მოგვიანებით, ვლადიკავკაზის სიახლოვეს გადასახლდნენ – სადაც იანდიევის ხუტორი დააფუძნეს.

გერგეტელი რანბული-(ნარბული) არაბულები და თამასხანოვები

გერგეტელ არაბულებს „თადიეთ“ და „ნარბულთ“ სახელებით მოიხსენიებენ. მათი ადრინდელი გვარი რანბული ყოფილა.

1774 წელს აღწერით – გერგეტში სახლობდნენ: –

1. რანბულისშვილი დათუნა, გელა, ქრისტესია და მაღლია;
2. რანბული პაპასშვილი კაბილა;
3. რანბული თვალასშვილი პაპუა და ივანე;
4. რანბული (არაბული) თადისშვილი იასეს ობოლი რუხიაი, მახარა და ღარიბა.

1781 წელს აღირიცხნენ: –

1. რანბული (არაბული) დათუნა, ძაღლია, კურდღელა და ქრისტესია;
2. თვალაის შვილი (რანბული, არაბული) პაპუა;
3. რანბულის (არაბულის) შვილი კობილა;

1886 წელს აღწერით მოხსენიებულნი არიან: –

1. არაბული გრიგოლ ნინიას ძე, 42 წლის.
2. არაბული ნანე ღარიბას ძე, 21 წლის (ცხოვრობს ვლადიკავკაზში).
3. არაბული სვიმოს გაგისონის ძე, 22 წლის.
4. არაბული საბრალო (იგივე სვიმონი) ნინიას ძე, 36 წლის.
5. არაბული იოსებ შიოს ძე, 51 წლის; მისი შვილი, ნიკალა – 6 წლის.

1913 წელს – აკ. შანიძეს, ფოლკლორული მასალა აქვს ჩაწერილი საბრალა რამ-ბულისაგან (არაბულისგან), რომელსაც მოიხსენიებს როგორც – ნარბულსაც.

„ნარბულთ“ სახელით მოიხსენიებენ გერგეტელ თამასხანოვებსაც.

„ნარბული ჩემი გვარიაო“ – ლექსად გვამცნობს მათი ერთ-ერთი წინაპარი, იაგორ თამასხანოვი;

მისი წინაპრები, გადმოცემის თანახმად – ხევსურეთიდან არიან მოსულები რადგან: –

„იქ აღარ ედგომებოდათ – მტრის სისხლი ჰქონდათ დაღვრილი“.

პირველად – ხდეს ხეობაში დასახლებულან;

იქიდან წასულან ინგუშეთის სოფელ ხამხაში; მერე – ალკუნში გადასახლებულან, სადაც 30 წელი უცხოვრიათ და თამასხანოვის გვარზე დაწერილან.

ინგუშეთიდან მოსულან გერგეტში და როგორც ძველი ქრისტიანები, წმინდა სამე-ბის ყმები გამხდარან.

ერთი ვერსიის თანახმად, თამასხანოვ-რანბულებს არაბულებთან სისხლისმიერი ნათესაობა არ აკავშირებთ.

აღნიშნულის დასტურად მოჰყავთ გვარში შემორჩენილი ხალხური ლექსი: –

„არხოტით გადმოიხვეწნენ
არაბული და ნარბული,
მათი ძმობა და კაცობა
საქვეყნოდ იყო განთქმული...“

არხოტში არაბულებს არ უცხოვრიათ.

მეტი ალბათობით: – თამასხანოვების წინაპრები ხევსურეთის სხვა რეგიონიდან გადმოიხვეწნენ; ძირად არაბულები არიან და მტრისგან დამალვის მიზნით ჰქონდათ გვარი გადაკეთებული.

გერგეტის სამება

მოხევეების მთავარი სალოცავია.

თანამოსახელე სოფლის დასავლეთით, სამიოდე კმ-ზე მდებარეობს, მთის წვერზე – ზ.დ. 2170 მ-ზე.

აგებულია სოფელ გერგეტის ყოფილ ტერიტორიაზე;

მოსახლეობამ – შემდგომში ჩამოინაცვლა ქვემოთ, თერგის პირას.

ლეგენდის თანახმად: –

ქართლის, კახეთის და იმერეთის მეფეებს დავა ჰქონიათ – სად აშენებულიყო ტაძარი.

მცხეთელ ბერიკაცს ურჩევია: –

„ფურბერწი დაკალით, მისი სამგორველი (მენჯის ნაწილი) სოფლის ბოლოს დატოვეთ და სადაც შავი ყორანი წაიღებს – იქ ააშენეთო...“

„აუტაცნია ყორანს სამგორველი“...

პირველად შეუსვენია ანანურის თავზე, სადაც მეფეებმა სამების ნიში აღმართეს.

მეორედ, ბიდარაზე დაფრენილა;

მეფეებმა – იქ, ჯვარი დადგეს.

მერე – გერგეტში გაფრენილა შავი ყორანი;

„ელოგეშის“ ნიშთან კიდევ ერთხელ შეუსვენია და სამების წვერზე დაფრენილა...

გამოუხრავს სამგორველი და ძვალი – დაუგდია.

*

გერგეტის სამება ქართული კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია.

მისი ხუროთმოძღვარი – უცნობია.

არავითარი წარწერა შემონახული არ არის.

ამბობენ რომ: –

მშენებლობის პროცესში – იქ, ქვის საჭირო რაოდენობა არ იყო და უზარმაზარი ლოდები – მშენებლებს 5 ვერსტის მანძილიდან ამოჰქონდათ – ციცაბო აღმართზე.

ხევი – მცხეთის სვეტიცხოვლის სამფლობელოს წარმოადგენდა და, აქედან გამომდინარე მიიჩნევენ: –

„ტაძრის აგების ინიციატორი საქართველოს უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება, მცხეთის საპატრიარქო უნდა ყოფილიყო, მონღოლთა ბატონობის შედეგად, ჩრდილო კავკასიაში შესუსტებული ქრისტიანობის მომძლავრების მიზნით“ (თ. სანიკიძე).

ტაძარი – ანდეზიტის თლილი ქვით არის ნაგები;

ჯვრის ფორმისაა და ქვით გადახურული.

შემკულია ჩუქურთმიანი ჯვრებით და ორნამენტებით.

აქვს მაღალი და ლამაზი გუმბათი.

სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადის კონქზე – ყოჩის თავია გამოქანდაკებული.

დასავლეთის კედელში – თაღიანი სარკმელია, რომელზეც ორი გრძელკუდა ცხოველია გამოსახული.

„სარკმლის მახლობლად გამოქანდაკებულია მშენებელი მამაკაცი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ის მწყემსია, რომელიც ტაძრის მშენებლებს რძესა და წყაროს წყალს უზიდავდა.“

„ამავე რძითა და წყლით იზილებოდა-ო სამების ლამ-კირი.“

კომპლექსის შემადგენლობაშია: – ეკლესია, სამრეკლო და გალავანი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

აგებულია XIV ს-ის 30-იან წლებში.

მშენებლობა უკავშირდება – ხევზე და ჩრდილო კავკასიაში მიმავალ გზაზე, მონღოლთა ბატონობით შესუსტებული გავლენის აღდგენას და გაძლიერებას.

ამავე მიზნით მოხდა, გიორგი ბრწყინვალეს მიერ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის – „ძეგლის დება.“

გერგეტის სამება იქცა, არა მხოლოდ ხევის – არამედ ჩრდილო-კავკასიელ ქრისტიანთა კულტ-რელიგიურ ცენტრად; საქართველოს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის იდეოლოგიურ იარაღად.

შიშიანობის დროს, მყინვარის კალთაზე განთავსებული ტაძარი – სვეტიცხოვლის „სამკაულის სახიზარს“ წარმოადგენდა.

დიდი ხნის განმავლობაში ესვენა – იქ, ქართველთა უწმინდესი რელიკვია – წმინდა ნინოს ჯვარი, რომლის ფლობის პატივსაც, გერგეტის სამება – სვეტიცხოველთან და თბილისის სიონთან ინაწილებს.

*

სპეციალისტების აზრით: –

გერგეტის სამება – სამრეკლო და „საბჭეო“ – კომპოზიციურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს წარმოადგენს, მაგრამ სამივე ნაგებობა – სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ოსტატის ხელითაა ნაგები.

ტაძარის სამხრეთის პორტალზე მიშენებული – თემის უხუცესთა სათათბირო შენობა, ე.წ. „საბჭეო“ – ტაძრის ხუროთმოძღვრის აგებული არ არის – მაგრამ ანსამბლის საერთო გეგმარებაში დისონანსი არ შეაქვს.

ავტორმა ისე მიაშენა ის რომ: – სამების ყველაზე მდიდრულად მორთული პორტალი, თავისი ნაგებობის ცენტრში მოაქცია და მისი მორთულობის ელემენტად გახადა. „ამ პატარა ნაგებობის ინტერიერს – მდიდრულად გაფორმებული, ეფექტური იერი მისცა“ (თ. სანიკიძე).

„საბჭეოს“ ასეთ თვალსაჩინო ადგილას მიშენება (რამაც ტაძრის მთავარი, „სამეფო კარი,“ დაახშო), განპირობებული იყო მისი უდიდესი მნიშვნელობით – მოხევეთა ყოფა-ცხოვრებაში.

ამ ნაგებობაში ინახებოდა სათემო დროშა, „ორუყი“ – რომელზეც თემის წევრები ერთგულების ფიცს სდებდნენ.

„სათემო დროშას არ ემტყუნებოდა.“

საბჭეო ნაგებობის შიგნით მოწყობილი იყო „სასხდომი ყადები.“

დღეს, მხოლოდ რამდენიმე მათგანია შემორჩენილი.

ალ. ყაზბეგის ცნობით: –

„საყდარი შიგნიდან იყო შემკობილი მშვენიერის მხატვრობით.“

„ნამეტნავად კაცის თვალს იზიდავდა პირი მღვთისა – სურათი, რომელიც თავის სიდიდით მთელს გუმბათსა ჰფარავდა...“

„ტაძრის შელამაზების მიზნით“... ხევის „ბლაღოჩინს“ – „ეს მშვენიერი ფრესკა თეთრი კირით გადაუღებავს.“

(მის ნარჩენებს – კანკელის კედელზე მიაკვლიეს, 2006 წელს).

*

სამებაში – „კუბოს კარად“ წოდებული, ორი ძველი ხატი იყო დაცული: –

„ისინი ფიცარზე ნახატი და ვერცხლის პერანგით არიან შემოსილნი.“

„ორივეს კარის ფორმა აქვს;“

ერთს, „საავდრო“ ეწოდება, მეორეს, „სადარო.“

„საავდროზე“ გამოსახულია: – ყოვლადწმინდა, ხარება, შობა, მირქმა და ნათლის-

ღება.“

„სადაროზე“: – ჯვარცმა, წმ. სამება, აღდგომა, თომას გვერდის განხილვა, ლაზარეს აღდგენა და ქრისტეს იერუსალიმში შებრძანება...

როცა ხევში გვალვა იყო, გერგეტელებს საავდრო ხატი გამოჰქონდათ და წყაროს წყალში ბანდნენ.

ავდრობისას – „სადარო“ ხატის ეიმედებოდათ.

დღეს – სალოცავში მხოლოდ ღვთისმშობლის ერთი ძველთაძველი ხატია შემორჩენილი.

სხვა ძველი აღარაფერი დარჩა.

*

ტაძრის გალავანში ორსართულიანი შენობა დგას; მის პირველ სართულზე საყარაულოა; მეორეზე – სამრეკლო, ჩუქურთმიანი არშიებით და კოპულიანი როზეტებით შემკული.

*

გერგეტის სამება – ხევის სიმდიდრე და სიამაყეა.

მტრის წინააღმდეგ ამხედრებული მოხევეები მის წინაშე სდებდნენ ფიცს.

ყოველ 28 აგვისტოს – იქ, „მარიამობის“ უდიდესი დღესასწაული იმართება.

2004 წლიდან – იქ, სამონასტრო ცხოვრება აღდგა;

მუდმივი წირვა-ლოცვა აღევლინება და წმინდა ბერები – ქართველთა ცოდვის პატიებას შესთხოვენ მამაზეციერს.

ბეთლემი

სამებიდან გზა – ბეთლემის და მყინვარის მიმართულებით მიდის – გრძელი, ძნელად სავალი.

ჩვენს წინაპრებს, 4000 მ-ის სიმაღლეზე – მყინვარის კლდეში გამოუკვეთიათ სამლოცველო, რომელსაც „ბეთლემი“ (ებრაულად – „პურის სახლი“) უწოდეს.

(იმ ადგილის მსგავსად, სადაც იშვა იესო ქრისტე – „ზეციური პური“)

სამონასტრო კომპლექსი მყინვარწვერიდან განშტოებულ – ბეთლემის ქედზე მდებარეობს.

თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: –

„მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გადმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ. იტყვიან უფლისა აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომსა უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათა საკვირველითა... კვალად ძირს მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და აწ ცალიერი“

სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაშია: –

ეკლესია, ქვაჯვარი, „ამირანის ნაქოხარი,“ „მარიამ წმინდის საბრძანისი,“ „ირმების საწველი,“ „ბერების აბანო“ – მრავალი მღვიმე, გამოქვაბული და საერთოდ „ნაბერალი,“ რომლის საერთო ფართობი 2000 კვ.მ-ს აღემატება.

გადმოცემის თანახმად: –

ბეთლემის მღვიმე – წმინდა გიორგის საბრძანისი იყო.

იქიდან დაჰყურებდა საქართველოს და, გაჭირვების ჟამს, თავად მიუძღვოდა წინ მის მხედრობას.

საყმოს რწმენით: –

იქ ინახებოდა ქრისტეს აბგა, მოსეს კარავი, ცის მანანა და ოქროს აკვანი, რომელსაც მტრედი არწევდა.

მიდამო წმინდა ადგილად არის შერაცხული.

ხატის განაწყენების შიშით, ადამიანები მასთან მიახლოვებას ვერ ბედავდნენ.

მის ფარგლებში თოფის სროლა და ნადირობა იკრძალებოდა: –

„და ის ადგილი, ის არემარე
ესოდენ წმინდათ სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა“ (ილია, „განდეგილი“).

*

ბეთლემთან არის დაკავშირებული ლეგენდა – „კავკასიის ქედზე მოჯაჭვული ამირანის“ შესახებ: –

ახალი წლის წინ – „ამირანის ქოხთან“, მონადირეს უნახავს მიჯაჭვული გოლიათი – რომელსაც ხმლის მიწოდება უთხოვია.

რაკი მონადირეს ვერ დაუძრავს მისი ხმალი – გოლიათს „უთქომს:“ –

„სანამ ახალწელიწადი გათენდებოდეს, წადი – შენი სახლიდან საკიდელი უმძრახად წამოიღე; მიაბი ხმალს, რათა მე დავითრევო – ძაღლის ლოკვით გათხელებულ ჯაჭვს დავკრა და გავწყვიტოო.“

მონადირე შინ გაქცეულა, საკიდელი წამოუღია – მაგრამ უკან დაბრუნებულს, ქოხში ვეღარ შეუღწევია.

*

„შეფიცულთა ლეგენდის“ თანახმად: –

„ურჯულოები ჩათას მხრიდან შემოესივნენ ხევს.“

აუღიათ დარიალის ციხე, დაუპყრიათ ხევი და სამების განძეულის ხელში ჩაგდება განუზრახავთ.“

„მწყემსს, სახელად ლეგას, ცხრა შეფიცულთან ერთად – „ოქროს აკვანი,“ „წმინდა ნინოს ჯვარი“ და „სულის სახარება“ – მყინვარწვერის გამოქვაბულში დაუმალავს... მანამ ვახტანგ გორგასალი ხევს ურჯულოთაგან გაათავისუფლებდა.“

*

მეფე ერეკლეს დროს, მოხუცი მღვდელი – შვილთან ერთად ასულა ბეთლემის გამოქვაბულში.

მოხუცი ყინულეთში დაკარგულა.

ჭაბუკს იქიდან წამოუღია – ოქროს მონეტები, უცნობი ხის და აბრეშუმის ნაჭრები.

„მონეტები ზუსტად ის ოქრო ყოფილა, რომელიც ქრისტე-მაცხოვარს მიართვეს მოგვებმა.“

(მათეს სახარების თანახმად: როცა მოგვებმა ყრმა იესო იხილეს – „დაემხნენ... თაყვანი სცეს მას; გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს ძღვენი: – ოქრო, გრუნდრუკი და მური“).

ბეთლემთან დაკავშირებული ცნობილი ლეგენდა, მარადიული ყინულეთის ზღვარზე – ოდესღაც, მყინვარის გამოქვაბულებში მცხოვრები ბერების შესახებ – ილიამ გამოიყენა თავის „განდეგილში.“

*

XVIII ს-ის II ნახევარში, ბეთლემის გამოქვაბულში ღვთისმსახურებას ეწეოდა მღვდელი, წმინდა იოსებ მოხევე (სუჯაშვილი).

იოანე ბატონიშვილის ცნობით: –

„იყო ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი...“ „ესე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან მიუვალსა და იხილა მუნ კარავი აბრამისა მამამთავრისა, რომელ ჯერეთცა არავინ აღსრულ არს მთასა მასა, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარვისა მის...“ „ესეცა მიიწია საზომსა სასწაულმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა“ („კალმასობა“).

აღესრულა 1763 წელს.

მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შერაცხილ იქნა წმინდანად.

ხსენების დღედ 20 ოქტომბერი განაწესეს.

დაიწერა მისი ხატი წარწერით: – „ღირსი იოსებ მოხევე საკვირველმოქმედი.“

ბეთლემში ღვთისმსახურებას ეწეოდა – წმინდა იოსებ მოხევე (სუჯაშვილის) ღრმადმორწმუნე ვაჟი – მღვდელი მარკოზიც: –

„ერთ კვირას მარხულობდა – უმძრახობდა, რძეში ბანაობდა და ბეთლემში ასე განწმენდილი ადიოდა.“

გადმოცემის თანახმად: –

მისი გარაცვალების შემდეგ (XVIII ს-ის ბოლოს), ბეთლემის მღვიმეებში ბერების ცხოვრება-მოღვაწეობა შეწყდა; სამონასტრო კომპლექსი დადუმდა და მხოლოდ ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა, ოდესღაც, მისი არსებობის ამბავი.

ჟამთა სიავემ ყველაფერი წალეკა;

სენაკები და გამოქვაბულები დაშალა – დაანგრია;

ნიაღვარმა კლდე ჩამოანგრია და განდეგილის გამოქვაბული დაიტანა.

„ნაგებ-ნადგომების“ ყოველგვარი კვალი წაიშალა.

ანდეზიტის ერთ დიდ მორენზე, შემორჩენილია ქვის კრავი; ლოდის აღმოსავლეთის მხრიდან ამოჭრილი ხუცური წარწერიდან – მხოლოდ რამდენიმე ასო მოჩანს. სამხრეთის მხრიდან – ლოდს მიშენებული ჰქონია სამლოცველო. ჩრდილოეთით – მრგვალი სენაკის ნანგრევები და ორი კედელი იყო დარჩენილი, რომელსაც ირმის საწველს უწოდებდენ. მათ გასწვრივ – კლდის ძირში, მეუდაბნოთა სენაკები იდგა;

მათ ზემოთ იყო გადმოკიდებული გამოქვაბულში ასასვლელი ცნობილი ჯაჭვი...

*

1927 წელს, მყინვარწვერის ალპინისტურმა ექსპედიციამ (ს. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით), ბეთლემის მიდამოებში მიაკვლია ექვს სენაკს და კლდეში გამოკვეთილი ეკლესიის ნანგრევებს.

მათ ქვეშ იყო მოქცეული: – ხის კარი, ხის სვეტები, გათლილი ქვები (ერთ-ერთ მათგანში ჩასმული – ქვისავე ჯვარით).

კომპლექსის ტერიტორიაზე – 1930 წელს, ს. მაკალათიამ აღმოაჩინა სამ სტრიქონიანი ხუცური წარწერა.

1947 წელს – ცნობილმა ალპინისტმა, ლევან სუჯაშვილმა – მყინვარის ერთ ძნელ კონცხზე ასვლისას, კლდეში შეამჩნია – რკინის ფირფიტებით შეჭედილი კარი, რომელზეც მობმული იყო ციცაბო ფერდობზე ჩამოშვებული რკინის ჯაჭვი. მთამსვლელი მარტო ავიდა გამოქვაბულში და პირველმა აღწერა იგი.

1948 წელს, იმავე გამოქვაბულში (სადაც – ოდესღაც, წმინდა ბერები ცხოვრობდნენ) – შეაღწია ქართველ მთამსვლელთა ჯგუფმა (ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით); მიაკვლიეს სხვადასხვა დროით (XIII – XV – XVII – XVIII – XIX საუკუნეებით) დათარიღებულ ნივთებს: –

ჭდეურ ხატს რელიეფური გამოსახულებებით და ასომთავრული წარწერებით; ხის ორ პატარა სანაწილეს; სამფეხა ბრინჯაოს შანდალს, საზიარებელ რკინის კოვზს და სხვ. რელიკვიას (რომელიც სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება).

იქვეა დაცული: – რკინის ფრაგმენტებით შეჭედილი კარი; ჯაჭვი, რომელიც გამოქვაბულში ასასვლელად იყო გადმოკიდებული; ვერცხლის ხატი, სპილენძის შანდალი, საეკლესიო ინვენტარი და სხვადასხვა მონეტები.

1978-80 წლებში – თსუ-ს ახალგაზრდა მეცნიერთა ექსპედიციამ (პ. მარგველაშვილის ხელმძღვანელობით) – მიაკვლია 10 ნაგებობის ნანგრავს. გამოვლინდა: – ლითონის ისრისპირები, ჭრაქები, სასანთლე, მინის ლამპადის და სასმისის ფრაგმენტები – ქვის ჭურჭელი, თიხის ჭრაქები, ხის მაგიდის ფრაგმენტები და ვერცხლის საკიდები – რომლებიც X-XI სს თარიღდება და სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ბეთლემის კედელზე ამოკვეთილი წარწერის ფრაგმენტები.

*

1999 წელს – მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ს ლოცვა-კურთხევით – მყინვარის კალთაზე, ზღვის დონიდან 4200 მ-ის სიმაღლეზე – წმ. სამების ალუმინისგან დამზადებული მცირე ზომის საყდარი ჩაიდგა.

2000 წლის – ქრისტეშობის დღესასწაულზე, ბეთლემის გამოქვაბული ეკლესიად აკურთხეს.

დღეს, მთელ საქართველოს, იქიდან – კვლავ სწვდება – ღირსი მამების ლოცვის მადლი.

გერგეტის სულთა მატიანე,
ანუ,
„მოსახსენებელი სულთა“

გერგეტის სამებაში იწერებოდა მატიანე – „მოსახსენებელი სულთა“; დოკუმენტების კრებული – რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის, არა მხოლოდ ხევის – არამედ სრულიად საქართველოს ისტორიის – მრავალ საკვანძო საკითხზე.

საბუთების კრებული წარმოადგენს ხელნაწერს; შედგება ეტრატის არათანაბარი 20 ფურცლისგან.

ოდესღაც, ერთ წიგნად – „წვრილი თოკით და ტყავის თასმებით“ ყოფილა აკინძული;

„ხის ყდა ჰქონია – ტყავგადაკრული.“

მისგან შემორჩენილია – „მხოლოდ ერთი, კიდეჩამომტვრეული ფიცარი.“ საგრძნობლად დაზიანებულია, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს მკლევარებისთვის.

ტექსტის უდიდესი და უძველესი ნაწილი – ნუსხა-ხუცურით არის ნაწერი.

შესავალი და მეფეთა მოსახსენიებელის უძველესი ფენა – შესრულებულია XV საუკუნის პირველ ათეულში; ჩინებული ხელით; უხუნარი – ღია ყავისფერი მელნით – სათაურის და საწყისი ასოების სინგურით გამოყოფით.

გვხვდება მხედრული კალიგრაფიით შედგენილი დოკუმენტებიც.

*

„მატიანეს“ ერთი დოკუმენტი გვამცნობს, თემობის მიერ „კრებულობის“ (ყრილობის) გამართვის თაობაზე მიღებულ ერთსულოვან გადაწყვეტილებას: –

„შევიყარენით ხევი ხეობით – კობით და გველეთამდი...“

ასეთი დიდი თავყრილობა დაკავშირებული ყოფილა მეფის მიერ გერგეტელთა შეწყალებასთან, რომელსაც მეფის ბრძანებაც მოჰყოლია.

საბუთის მიხედვით: –

ხევი არ ასრულებდა ვალდებულებებს გერგეტის საყდრისშვილების მიმართ და მეფემ – ურჩობის ასალაგმავად, შესაბამისი ზომები მიიღო;

„შეეწყალნეს“ მოხევეები და, მთელს „ხევს – კობით და გუელეთამდი“ დაუდგენია „მზევლების მიცემა.“

„ესე მძევლები ამათ საყდრისშვილობისთვის მივეცით-ო.“

(„მზევლები“ გერგეტელი საყდრისშვილებს შუამავლები იყვნენ ხევის სოფლებთან; მათ შორის ურთიერთობებს აწესრიგებდნენ).

საყდრისშვილთა საბუთი დაიწერა „ქრონიკონისა ასოცდა შვიდსა, ფებერვალსა ოცსა“, ანუ 1439 წელს – მეფე ალექსანდრე დიდის მეფობის პერიოდში (1412-1443 წ.წ.).

უნდა აღინიშნოს რომ: –

გერგეტელთა საყდრისშვილობას უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ ბაგრატ V-ს (1360-1393 წ.წ.) გაუახლებია „ძუელი“ სასისხლო სიგელი, რომელშიც გერგეტელები „საყდრიშვილებად და წმინდა სამების მოსამსახურეთ“

იწოდებიან (ს. მაკალათია, ხევი, 1934, გვ. 228).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მათი საყდრიშვილობა ბაგრატ V-ზე ადრინდელია და თ. სანიკიძის ცნობით, გიორგი ბრწყინვალეს უკავშირდება (1299-1346 წ.წ.).

*

XV ს-ის დასაწყისიდან – XVIII ს-ის მიწურულამდე, გერგეტის სულთა მატიანის ჩანაწერები, დიდი ალბათობით, წმინდა სამების ტაძარში ინახებოდა.

„1897 წლის ახლო პერიოდში – მატიანე თ. ჟორდანიას ჰქონია ხელში."

„ქრონიკების" II ტომის 203-ე გვერდზე – ავტორი აღნიშნავს: –

„**ჩვენგან პოვნილს ტყავზე** – 1439 წელს დაწერილს გერგეტის სამების სულთა მატიანეში..."

„არ არის ცხადი რა მნიშვნელობით უწოდებს ისტორიკოსი ამ ძეგლს „**მისგან პოვნილს**"; „ხევში – გერგეტის სამების ტაძარში ნახა ის... იქვე გამოიყენა, თუ – თან წამოიღო." „უკანასკნელი ვარაუდი უფრო ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან" (ქ. შარაშიძე}.

*

როგორც აღწერილობის მ. ჯანაშვილის მინაწერებიდან ირკვევა, 1897 წლის შემდეგ – გერგეტის სულთა მატიანეს ჩანაწერები – როგორღაც მოხვედრილა კახეთში – საიდანაც დიმიტრი დეანოზიშვილს ჩამოუტანია და მ. ჯანაშვილისათვის გადაუცია (იხ. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი: Q, 579. მ. ჯანაშვილის ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდის (A) 1041-1640 ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 34); საქართველოს მუზეუმის ყოფილ საეკლესიო ფონდში – ის, 1035 ნომრით არის აღნიშნული (ფონდი A).

ხევში არსებული გადმოცემის თანახმად: –

ხბოს ტყავზე დაწერილი საბუთი აღმოუჩენია სიონელ დიაკვან – სვიმა კვირჭიშვილს, ხუციშვილების სიძეს;

სამების ეკლესიაში მიუტანია მღვდელ, მარკოზ სუჯაშვილს, საიდანაც – დროთა განმავლობაში, დაკარგულა.

XV ს-ის ხევის სოფლები და გვარ-სახელები გერგეტელ საყდრიშვილთა საბუთის მიხედვით

გერგეტელ საყდრისშვილთა მატიანეს თანახმად: –

„**ჴევი ჴეობით – კობით და გუჭლეთიმდი**" თავმოყრილმა მოხევეთა ერთობამ, ქ. შარაშიძის (1954 წლის) წანაკითხის მიხედვით, **გერგეტელ საყდრიშვილთა** შემდეგი მზევლები დაადგინა: –

„**გუჭლეთით**" (ანუ, გველეთით) – **ანი და ხარსილაჲ**;

ცდოჲთ – გიშელი და ბარზანდელი;

სტეფანწმინდით – ხეთაგი ... ... (თედო ჟორდანიას წაკითხვით – „ხეთაგა") **და ქადორაჲ. ადის ძე ნავროზი არჯიმაგიშვილი გოგოლაჲ** [**პაპრ**] ... ... [**შვილი**] (თედო

ჟორდანიას – 1897 წლის წაკითხვით – „არჯიმა გიშელი გოგოითაი“);

[**პარდარის ძე და არსლანის შვილი**] (ამ ჩამატებული სტრიქონის პირველ სამ სიტყვას თედო ჟორდანია კითხულობს როგორც „ღარდარის ძე“);

ქობით – შამბათაჲს ძე ივანე, სოლემანის ძე აჩაჲ.

ფანშტით – ელგუჯაჲს ძე და სუბაუ ... ... თით ... .. დ .... ნ ... ... [ღ]არს .... კიშვილი გ ... ცით ..... თ[ო]თ[ია]. ნადირაული აფია.

(ამ სტრიქონის ოთხ უკანასკნელ სიტყვას თედო ჟორდანია კითხულობს როგორც „თუთია ნადირაული აფგაი);

გაჲბოტნით – ეკალაური;

[**გა**]**რბნით – განგლიშვილი ხუგაზ**, [**ო**]**ნიასშვილი გონგლია**;

(თედო ჟორდანიას წაკითხვით – „გოცნით ეკლაურ“ ... ბარბნით გონგლიშვილი“);

სიონით – სასნა[**შვილი**] **და ბაადინიშვილი და ცოფა** [**ურა**?];

ტყარშეტით – ჯაუნარიშვილი და ხარსილაჲ;

(თედო ჟორდანიას მიხედვით – „ხაისილაი“);

ქედურით – ბულნია;

(თედო ჟორდანიას მიხედვით – „ქედყრით ბათნია“);

გორის ციხითა – [შა]ლიმანის შვილი ივანე;

(თედო ჟორდანიას მიხედვით – „გოთის ციხით – ბალიმანისშვილი“);

ხარაგაული საერაჲ (თედო ჟორდანიას მიხედვით – „ხარიგაუთისა ერაი“);

წამალისშვილი პაპონაჲ (თედო ჟორდანიას მიხედვით – „წამაღისშვილი“);

ფხვ ლიშვილი [**ფხოვლიშვილი** ?]

(თედო ჟორდანიას მიხედვით – „ფხელშ ვილი“ . . სუბელი;

ჯისშვილი დარჩია; (თედო ჟორდანიას მიხედვით – იჯის შვილი);

ღაღნიაჲშვილი და ბე (თედო ჟორდანიას მიხედვით –“ღაღნიაშვილი“);

და მნაველთაჲცა მათ (გორისციხელთ, გ.ქ.) **მ**[**ოი**]**კიდეს**[**ა**] **ჯურთა**[**შვილი** :] **ჩიტურა და ბაჩხისძე და აბიაური და სე**[**დუ**[**ვათ**]**ძე**;

ყანობით – ყალარდოჲშვილი და რაჲ\ს ძე;

თრუსოველთაჲცა – ჯურთიელ [**ყან**]**ობელთა მოიკიდეს**;

მნით – ბადაჲსძე და ადოჲთ – ცისკარაშვილი.

საღმრთოჲთა – ს[**ა**]**რო და ბაღიაჲშვილი და ანდრია;**

(თედო ჟორდანიას წაკითხვით – „საერო და ბალაისშვილი“) **კჯრაჲს ძალთაჲთ – ღუდუშაური შალვა**;

ახალციხით – დათჯვური შალვა და ჩ[**ქაშ**];

(თედო ჟორდანიას წაკითხვით – „დათყური“);

ართხმოჲთ – შალიკაჲს შვილი და ქიშვარ;

ყანანაზით – აბარუშ და ლაშქარაული;

მთრეხით – ვარსილის ძე და საერაჲს შვილი.

*****

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მოწმენი, ანუ –

„**ამისნი მოწამენი არიან**“: –

სტეფანწმიდით – ანდირა შვილი და ... და... ი[**შ**]**ვილი**;

ფანშტით – შაშარ;

(თედო ჟორდანიას წაკითხვით –“შაბარ“);
ᲧᲔᲕᲘᲗ – ᲧᲐᲠᲐᲑᲣᲚᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲘᲐ;
ᲢᲧᲐᲠᲨᲔᲢᲘᲗ – ᲑᲔᲙᲝᲫᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲝᲕᲐᲜᲔ;
ᲧᲣᲠᲗᲘᲡᲘᲗ – – ᲪᲝᲪᲘᲙᲘᲡ ᲫᲔ;
(თედო ჟორდანიას წაკითხვით –“ცოციკასძე“);
ᲡᲜᲝᲫᲗ – ᲑᲐᲠᲡᲐᲒᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ.

*

საბუთის თანახმად: –

„ესე **ᲛᲖᲔᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲜᲐᲗ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲬᲡ ᲛᲘᲕᲔᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔ ᲛᲔᲤᲔᲡᲐ ᲨᲔᲔᲬᲧᲐᲚᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲔᲑᲠᲫᲐᲜᲐ Ჩ[ᲣᲩᲭ]Ნ ᲗᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲜᲘᲪᲐ ᲛᲫᲔᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲣᲢᲧᲣᲗᲔᲡ, ᲠᲘᲡᲮᲕᲡᲛᲪᲐ ᲬᲛᲘᲓᲐᲫ ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲫ ᲔᲠᲗᲐᲠᲡᲔᲑᲐᲫ; ᲙᲠᲣᲚᲛᲪᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲝᲒᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲪᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲫᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ. ᲕᲘᲜᲪᲐ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲡ, ᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲪᲐ ᲘᲮᲐᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲜ.“

„**ᲓᲐᲘᲬᲔᲠᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲝᲜᲡᲐ ᲐᲡᲝᲪᲓᲐ ᲨᲯᲓᲡᲐ, ᲤᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡᲐ ᲝᲪᲡᲐ**: –; –;“

*

როგორც ციტირებული ტექსტიდან ჩანს – ზოგიერთი სოფლიდან თითო მძევალია მოთხოვნილი, ზოგიდან – ორი, ან სამი.

მათი რიცხვი 50-ზე მეტია (ბევრის სახელი ან გვარი – ძნელად, ან საერთოდ, აღარ იკითხება).

„მოწმედ“ 8 კაცია დასახელებული.

დოკუმენტის თანახმად, ხევში უცხოვრიათ: –

ᲮᲔᲗᲐᲒᲣᲠᲔᲑᲡ, არჯიმაგიშვილებს, **ᲐᲠᲡᲚᲐᲜᲘ ᲨᲕᲘᲚ**ებს, ნადირაულებს, ეკალაურებს, განგლიშვილებს, ონიაშვილებს, **ᲡᲐᲡᲜᲐᲨᲕᲘᲚ**ებს, **ᲑᲐᲐᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚ**ებს, **ᲪᲝᲤᲣᲠᲔᲑᲡ,** ჯაუნარიშვილებს, **ᲨᲐᲚᲘᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚ**-ბალიმანისშვილებს, ხარაგაულებს, **ᲬᲐᲛᲐᲚᲘᲡᲨᲕᲘᲚ** – წამალისშვილებს, **ᲤᲮᲕ ᲚᲘᲨᲕᲘᲚ**-ფხელშვილებს, იჯის შვილ-**ᲯᲘᲡᲨᲕᲘᲚ**ებს, **ᲦᲐᲦᲜᲘᲐᲫᲨᲕᲘᲚ**ებს, **ᲧᲣᲠᲗᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲑᲐᲩᲮᲘᲡᲫᲔᲔᲑᲡ ᲐᲑᲘᲐᲣᲠ**ებს, **ᲡᲔ**[**ᲓᲣ**[**ᲕᲐᲗ**]**ᲫᲔ**ს, **ᲧᲐᲚᲐᲠᲓᲝᲫᲨᲕᲘᲚ**ს **ᲓᲐ ᲠᲐᲫ\Ს ᲫᲔ**ს, **ᲑᲐᲓᲐᲫᲡᲫᲔᲡ**, **ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚ**ს, **ᲑᲐᲦᲘᲐᲫᲨᲕᲘᲚ**ს, ან ბალაისშვილს, **ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲡ,** დათყურს, **ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲫᲡ ᲨᲕᲘᲚ**ს, ლაშქარაულებს... **ᲕᲐᲠᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ**ს **ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲐᲫᲡ ᲨᲕᲘᲚ**ს, **ᲐᲜᲓᲘᲠᲐ ᲨᲕᲘᲚ**ს **ᲓᲐ**... **Ი**[**Შ**]**ᲕᲘᲚ**ს, **ᲧᲐᲠᲐᲑᲣᲦᲐ ᲨᲕᲘᲚ**ს, **ᲑᲔᲙᲝᲫᲨᲕᲘᲚᲡ, ᲪᲝᲪᲘᲙᲘᲡ ᲫᲔᲡ, ᲑᲐᲠᲡᲐᲒᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ...**

*

საყდრისშვილთა საბუთში, სავარაუდოდ – ხევის მხოლოდ ის სოფლებია მოხსენიებული, რომელთა წაკითხვაც შესაძლებელი გახდა დაზიანებული საბუთიდან.

რაც ეხება მოხსენიებულ და ამჟამად არ არსებულ სოფლებს – „ქედურს“ და „საღმრთოის“: –

XV ს-ის სოფლების ჩამონათვალის თანამიმდევრობის გათვალისწინებით – „ქედური“, რომელიც გორისციხის სიახლოვეს ფიქსირდება, შესაძლებელია ფხელშეს ადრინდელი სახელწოდება იყოს.

ვითვალისწინებ იმ გარემოებასაც რომ, თედო ჟორდანიას წანაკითხის მიხედვით, გორისციხეში – იკითხება გვარი „ფხელშვილი“.

რაც ეხება „საღმრთოის“: –

იმავე თანამიმდევრობის გათვალისწინებით, შესაძლებელია – მნის ხეობის რომელიმე სოფლის ადრინდელი სახელწოდება იყოს.

*

განსასჯელია – მნას და თრუსოველ-ხურთიელ-ყანობელთა ჩანაწერებში მოხსენიებული სიტყვა – „მოკიდება“: –

„მნაველთაიცა მოიკიდესა...“

„თრუსოველთაიცა ხურთიელ-ყანობელთა მოიკიდეს...“

ქ. შარაშიძე, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, განმარტავს: –

„მოკიდებული“ „მნაველ-ყანობელი“ და „თრუსოველ-ხურთიელნი“ – გერგეტელი საყდრისშვილების მიმართ (ალბათ, გ.ქ.), ხევის სხვა სოფლებთან შედარებით – უფრო იოლ, მაგრამ მაინც გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობენო...

მოხეური დიალექტის მიხედვით: –

„მონაკიდვარი“ – „სახლიკაცობაში“ შემავალ ყველაზე შორეულ ნათესავთა აღმნიშვნელი სიტყვაა.

არ არის გამორიცხული – „მატიანეს“ ტექსტშიც ამ მნიშვნელობით იყოს გამოყენებული.

თუ ეს ასეა – შეიძლება ვიფიქროთ რომ: –

XV ს-ის დასაწყისში, თრუსოდან და მნიდან დვალური წარმომავლობის (და სხვ.) გვარების ხევში (კერძოდ, ყანობსა და ხურთისში) მიგრაცია – ბევრად ადრე იყო დაწყებული;

განსჯილი პერიოდისათვის, ისინი (ქორწინების ან ნათლობის მეშვეობით) უკვე დანათესავებულნი (ანუ, „მოკიდებულნი“) იყვნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

*

საყდრიშვილთა საბუთის შემდგომი პერიოდის ჩანაწერებში – ანუ, ცოცხალთა და მიცვალებულთა მოსახსენიებელ სიებში – მატიანეში იხსენიება შემდეგ პიროვნებათა სულები: –

„მი(დე)ლაურისა ყარაბულასი,“ ბურდული მიქასი, **ნაცვალი ინდო ზაქაძესი, ზაქიის ძისა შნ..ს ღ..ნ–სი, ზაქას ძისა გორგასლისა,** პაპრუას შვილი შიბლიასი, მიქოს ძე ლომიასი, ხადელას ძე ზალიასი, ბეგინს შვილი გებუასი, ალუთხარის შვილი ირემასი, ყარას შვილი დავითის, **მოურავი – აბაზაის ძე ქვა(ი)ს, „მოძღუარისა ღუდუშაურისა ჯერასიმესი, სული მოძღვრისა ღუდუშაურისა გიორგისა, ზაქარია კავკასისძისა** და სხვ.

როგორც ციტირებული დოკუმენტებიდან ჩანს: –

XV საუკუნის ხევში მცხოვრებ ბევრ გვარს – ჩვენამდე არ მოუღწევია.

ზოგი გადაშენდა, ზოგი გადასახლდა – ზოგმა გვარი შეიცვალა.

*

„მატიანეში“ ჩართული (ხევთან დაკავშირებული), მეორე საბუთი – უცნობი კათალიკოსის მიერ გერგეტელ საყდრისშვილთათვის დადებულ – „რჯულსა და მცნებას“ წარმოადგენს.

დოკუმენტი უთარიღოა;

დაწერილია 36 გვერდზე, ჟანგისფერი მელნით (სავარაუდოდ, XVI-XVII სს მიჯნაზე).

კათალიკოსი გერგეტელ საყდრისშვილებს მიმართავს; უქადაგებს რჯულსა და მცნებას – რომელიც მათ მორწმუნეთა შორის უნდა დანერგონ.

კათალიკოსი ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მორწმუნეთა შეცოდებისათვის – პასუხისმგებლობას საყდრიშვილებს აკისრებს.

ძეგლში – ზოგადი, მაგრამ საკმაოდ საყურადღებო დამოძღვრაც არის შეტანილი: –

„იყუენით საყდრისა შვილნი ერთსულობით: უფროსნი – უფროისად და უმცროისანი უმცროისად; მღვდელნი – მღვდელთა წესითა და ერისგანნი – ერისგანთა წესითა.“

როგორც ჩანს, ციტირებული საბუთის შედგენის პერიოდში – გერგეტელთა შორის გარკვეული დაყოფა არსებობდა.

ყოფილან „მღვდელნი“ და „ერისგანნი;“

„ერთსულობა და უფროს-უმცროსობა – მერყევ მდგომარეობაში ყოფილა;

სასულიერო და საერო წოდებებს შორის ფუნქციების განცალკევება – დარღვეული.

ამას, დოკუმენტის დამაგვირგვინებელი სტრიქონები მოწმობენ: –

„რომენმანცა ხუცესმა აბჯარი აიღოს, ვინცა ნახოს, წაართოს და ჯურუმცა აზღვევინოს.“

როგორც ჩანს: –

ხევის ხუცები, იმ ხანებში – თავიანთ მღვდლურ პატივს ივიწყებდნენ; აბჯარს იღებდნენ და – საერთოდ, ისე იქცეოდნენ, როგორც ერისკაცები.

კათალიკოსის ბრძანება საყდრიშვილებს ამ მოვლენის აღსაკვეთად მოუწოდებს: – ვინც აბჯარასხმული მღვდელი ნახოთ, იარაღი აჰყარეთ და ჯარიმა გადაახდევინეთო.

ციტირებულ დოკუმენტში განსაკუთრებული სიცხადით მჟღავნდება გერგეტელ საყდრისშვილთა ვალდებულება: –

ისინი წარმოადგენდნენ გარკვეულ ორგანოს, რომლის მეშვეობითაც კათალიკოსი განაგებდა და აწესრიგებდა ხევის მოსახლეობის რელიგიურ მხარეს (ქ. შარაშიძე).

*

მატიანეში ჩართული მესამე საბუთიც უთარიღოა.

დაწერილია გაუმართავი ნუსხა-ხუცურით.

სავარაუდოდ, XVI-XVII სს განეკუთვნება.

ეხება სამების ტაძართან თავმოყრილი „კრებულის“ „ერთსულოვან“ განაჩენსა და დადგენილებას.

დოკუმენტი სოფლის და საყდრის უთანხმოების ამსახლელია.

დაპირისპირებული ჩანს „სოფელი“ და „საყდარი“.

„საყდრის წინაშე“ გამართული ამ კრების, გაკითხვა-გამოძიების და საჩივარის საგანი – „კრებულობის“ გამართვის ადგილი ყოფილა.

სადავო გამხდარა – სად უნდა იმართებოდეს კრება: „სოფელს – თუ საყდრის წინაშე.“

პრაქტიკაში – სოფელად შეკრება ყოფილა მიღებული.

გადაწყვიტეს რომ: –

„სოფელს აღარ ვკრებულოთ-ო!“

საგანგებოდ დაუდგენიათ: –

საყდრის მსახურთა და სოფლის „ურთიერთ და ორთავ რჩევით“ მოქმედება.

დაუდგენიათ ისიც: რა შემთხვევაში შეიძლებოდა კრების მოწვევა: –

„სოფელს თუ იქნას ჭირი თუ რა-ო...“

ანუ, კრებას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში – საერთო, საზოგადო საკითხი უნდა ჰქონოდა გადასაწყვეტი.

ქ. შარაშიძის ცნობით: –

„კრების დადგენილების საგანს – სოფლისა და საყდრის ურთიერთობის მოწესრიგება... საქვეყნო მნიშვნელობის საქმეების „საყდრის წინაშე“, „საღმრთო“ ადგილას გადაწყვეტა შეადგენს.“

„საბუთი საყდრის შერყეული ავტორიტეტის აღდგენის და განმტკიცების; საყდრის შებღალული გავლენის და მოქმედების სფეროს კვლავინდებურად დაცვისათვის მიმართულ აქტს წარმოადგენს.“

დოკუმენტი მთავრდება წყევა-კრულვლით მათ მიმართ – ვინც დაარღვევს კრების დადგენილებას და „ერთმანეთს უღალატებს.“

*

ხევთან დაკავშირებული ბოლო საბუთი, რომელიც გერგეტის სულთა მატიანემ შემოინახა – ნაცვალი, ინდო ზაქაძის შეწირულობის წიგნია (15-16 გვ.).

ჩართულია ზაქაძეთა მოსახსენებელში.

დაწერილია მსხვილი საკმაოდ გამართული მხედრულით: –

„მე, ზაქაძე ინდომან შევსწირე წმინდას სამებას ფანშეტს ჭიელისეული დღენახევრის ყანა.“

შეწირულობა გაღებულია შემდეგი პირობით: –

„ფერისცვალებასა დღესა ერთობილნი სტეფანწმინდელნი და გერგეტელნი ჩუენთუის და ძეთა ჩუენთათუის ლოცვა-კურთხევასა და შენდობასა ბრძანებდნენ...“

დოკუმენტი უთარიღოა.

სავარაუდოდ, XVI-XVII სს განეკუთვნება.

*

ქ. შარაშიძის ცნობით: –

„კონსტანტინე მეფის მოსახსენებლის ჩაწერის დროიდან (რომელიც 1505 წელს გარდაიცვალა) – თითქმის ორი საუკუნის მანძილზე (188 წლის განმავლობაში) – გერგეტის მატიანეს თავის ფურცლებზე საქართველოს არც ერთი მეფის სახელი არ აღუბეჭდავს.“

„მეჩვიდმეტე საუკუნის 90-იანი წლებიდან მეფეთა სახელები კვლავ ჩნდება.“

როგორც ცნობილია: –

XVII საუკუნის 90-იან წლებში, ქართლის მეფე გიორგი XI სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდა; საშამხლოს მიმხრობას ცდილობდა და – „ლექში“ (ლეკეთში) მძევლად გაგზავნა თავისი ძმისწული – ვახტანგი (შემდგომში – ვახტანგ VI), რომელიც – დარიალის გზით მიმავალი, ხევში შეჩერდა – სამების ტაძარში ილო-

ცა და გერგეტის სულთა მატიანის 38-ე გვერდზე (სავარაუდოდ, 1693 წლის), საკუთარი ხელით – „მსხვილი, გაკრული მხედრულით დაწერილი სტრიქონებით“, შემდეგი ჩანაწერი გააკეთა: –

„ჷე, **ყო[ვ]ლად ძლიერო ღმერთო, რომელმან ერთისა ბძანებითა შექმენ ცანი და ქვეყანა, ზღვა და ყოველი რა არს მა[ს] შინა და ჩვენ გვქმენ ხატად შენდა და ჩვენის ცხორებისათვინ ხორცი შეისხ და ჯვარსა დაემსჭვალე და გამოგვიხსენ ჩვენ, თაყვანის მცემელი თქვენი. და ბძანებითა შენით ჰქმენ ქვეყანად მეფენი და მთავარი და აწ ქართლის მთავრად ჰქმენ გიორგი, ბძანებითა შენითა. სძლიეს სპარსთა და გარ[-და]ვარდა; დაყო წელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი; სთხოვა სპარსთა და არ მოსცა და მე, ვახტანგ, გამაგზავნა ლექში, და მე, ბძანებითა [მისითა], შემოვიარე აქ და მივდი[ო]დი, რათა შეგვეწიონ სპარსთა ზედა[ძა]ლი ამა სამებისა წმიდანი. და აწ, გევედრები, რათა წარმიმართო სავალნი ჩემი. შემინდევ და ორსავე შინა ცხოვრებისად ღირს მყავ**...“

ციტირებული ტექსტის თანახმად: –

ლეკეთში მიმავალ ვახტანგს, გერგეტის სამებაში საგანგებოდ შეუვლია სალოცავად – რათა „(ძა)ლი ამა სამებისა წმიდანი“ შეწეოდა შეთქმულ ქართველობას „სპარსთა ზედა“... პირადად მას კი – „წარმართოდა სავალნი მისნი“ (საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVIII სს-ში, გვ. 242).

სტეფანწმინდა

მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე, ყუროს ქედის ძირში მდებარეობს (ზ.დ. 1750 მ-ზე) – რამდენიმე ღელის დანალექ უშველებელ კონცხზე, რომელიც ფარავს ყუროს მთებიდან – ოდესღაც, ჩამოცურებულ მყინვარის მორენს.

დასახლებას – თითქოს, ზურგი აქვს შექცეული პირქუში ყუროსათვის;

მთელი ფასადით მყინვარს გადასცქერის – ხევის დედოფალს.

ვინც ერთხელ მაინც ნახავს, ყუროს მთის მწვერვალიდან დანახულ საოცრებას – ვერასდროს დაივიწყებს თოვლიან შინოს; უფრო შორს – აღმოსავლეთ კავკასიონის მშვენება ტებულოს, ხუთი მდინარის სათავე ბორბალოს და სხვათა სილამაზეს.

მარჯვნივ, ფშავ-ხევსურეთია;

მის გადაღმა მთათუშეთი... მყინვარწვერი და მისი გამყოლი ქედი – ულამაზესი მწვერვალებით.

მარცხენა მხარეს, ჯვარის ზეკარი მოჩანს – ცხრაძმა, წითელი მწვერვ-ალი...

ქვემოთ – მოხევეთა თვალწარმტაცი სოფლები და თერგი, რომელიც საშინელი სისწრაფით ეშვება დარიალის ვიწროებში.

*

1852 წელს – სტეფანწმინდაში საგანძურს წააწყდნენ, რომელშიც ხარის ოქროს ქანდაკებაც ყოფილა.

მონაპოვარი უკვალოდ გაქრა.

1871 წელს – პატარა სამლოცველოსთან, უპოვიათ მამაკაცის ბრინჯაოს სკულპტურა, რომელიც ფ. ბაიერნმა ერმიტაჟს გადასცა.

უფრო მოგვიანებით, ალ. ყაზბეგის სახლმუზეუმთან აღმოჩნდა ლითონის ოთხი

ჭურჭელი – 200-მდე ბრინჯაოს ნივთით, ე. წ. „ყაზბეგის განძი," რომელიც ძვ. წ. VI-V სს-ით თარიღდება.

განძის შემადგენლობაში იყო აქემენიდური ხელოვნების ნიმუშები: –

ვერცხლის ფიალა, ბრინჯაოს ჭურჭელი, ფიბულები (ენიანი ქინძისთავები), ირმის მცირე ქანდაკება, ადამიანის გამოსახულება, კვერთხის თავი, სარტყელი, ყობანური კულტურის რკინის სატევრები, შუბი, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები და სხვ.

მოპოვებული ინვენტარიდან ყველაზე საინტერესოა არამეულ წარწერიანი ვერცხლის ღრმა, პირგაშლილი თასი – რომელიც საქართველოში შემოტანილად ითვლება.

მასზე – ერთმანეთთან პირშექცევით, გამოსახულია ლამაზად ყელმოღერებული ორი გედი.

ექსპონატი ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებს განეკუთვნება.

დანარჩენი მონაპოვარი – ქართული ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშებია, რომლებსაც კავშირი აქვს ანტიკურ სამყაროსთან – აქემენიდურ ირანთან, სკვითებთან.

შემდგომი არქეოლოგიური გათხრების დროს, იმავე ადგილას აღმოჩნდა: –

ოქრო-ვერცხლის სამკაულები, რკინის იარაღი, მძივები, თხელი სპილენძის ფირფიტისგან დამზადებული ბრინჯაოს მათარები, რომლებსაც მაღალი, ვიწრო ყელი, მრგვალი ძირი და შეზნექილი გვერდები აქვთ.

მათზე – ჭდეული წერტილებით, ფანტასტიკური ცხოველებია გამოსახული.

განსაკუთრებული მონაპოვარია: ოქროს შვიდსხივიანი საყურე – საიუველირო ქმნილება, რომლის შექმნაც დიდ ოსტატობას და ცოდნას მოითხოვდა.

მასი არქეოლოგიური თარიღია ძვ.წ. V საუკუნე.

მოპოვებული მუსიკოსის ქანდაკებით, შეიძლება ვივარაუდოდ რომ – მოხევეთათვის უცხო არ იყო ხუთლარიანი ჩანგი.

სტეფანწმინდის განძი – რომელსაც მთელ მსოფლიოში მოჰყვა გამოძახილი, იმდროინდელი ხევის ეკონომიურ სიძლიერესა და კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს. მისი დიდი ნაწილი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება; ნაწილი – ერმიტაჟის, საქართველოს სახელმწიფო და ხელოვნების მუზეუმთა საცავებში.

*

ბორის და სიმონ ესაძეების ცნობით: –

1864 წელს, სტეფანწმინდაში სადგურის ორსართულიანი კოხტა შენობა მდგარა – რომლის წინაც, რკინის ლამაზი ღობით შემოვლებული – ყვავილნარი იყო გაშენებული. მის შუაგულში იდგა, დარიალის სხვადასხვა ფერის ქვებით ნაგები – ნატიფი ქანდაკება, რომლის ერთ მხარეს რუსეთის სახელმწიფო ღერბი იყო გამოსახული.

ღერბის ქვეშ ამოტვიფრული იყო, ლომის მასიური თავი – რომლის პირიდანაც, პატარა აუზში – წყალი გადმოჩქეფდა.

ქანდაკების მეორე მხარეს – დიდ მოოქროვილ დაფაზე იყო წარწერა: –

„Вь благополучное царствование Александра III вь 20 день сентября 1888 г. государыня Императрица Мария Феодордвна сь Августийшими Сыновьями Их императорскими Высочествами Наследникомь Цесаревичьем Николаем Александровичемь и Великимь князем Георгием Александровичем изволили поставить станцию Казбекь. Посеыщение это Кавказа впервые совершено Государыней Императрицей."

ზემოაღნიშნულ სადგურის ორსართულიან შენობას (ადმინისტრაციულ სახლს)

მოხეურად ეწოდებოდა „სტანციაი“.

გასაბჭოების შემდგომ – იქ, ყაზბეგის რაიაღმასკომი იყო განთავსებული.

1953 წლის 11 იანვარს, აღნიშნული ნაგებობა – ხანძრის შედეგად დაიწვა.

მის ადგილას ალ. ყაზბეგის ბრინჯაოს ქანდაკება დგას: –

მარმარილოს (5 მ. სიმაღლის) კვარცხლბეკზე აღმართულია მწერლის ნაბადწამოსხმული ფიგურა (მოქანდაკე ი. ოჩიაური, არქიტექტორი გ. ლეჟავა). მონუმენტის უკან, მოხევეთა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ჰორელიეფური პანოა.

*

ძმები ესაძეების (1864 წლის) „აღწერილობას“ მიხედვით: –

სადგურის მახლობლად „ყაზბეგიანთ“ ძალიან ლამაზი სახლი დგას.

იქვეა ეკლესია, არცთუ ძველი, მაგრამ დიდი გემოვნებით ნაგები.

მისი სარკმელების კარნიზებსა და ამობურცულ არაბესკებში – ხუროთმოძღვარის დიდი შრომაა ჩადებული.

ეკლესიის მთავარ შესასვლელთან – კედელზე, რელიეფურად არის გამოსახული ორი ცხოველი – რომლებიც ჯაჭვით არიან რგოლთან მიბმულები.

სალოცავის კართან წარწერაა: –

„1890 года июня месяца, во славу Святыя животворщия «Тройцы» построень храмь сей во имя свитого архангела Михаила, подполковникомь Гаврилою Димитриечемь сыномъ Казбеком,~ а слевой стороны на маленкой белой мраморной дощечке, написанно: ` Церковь сия заложена 1809 года и окончена внышним и с внутренним украшением 1814 года старанием и иждивением генераль-майора Ивана Дмитриевича Казбека.“

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია და ეკვტერი – სრულყოფილების განსახიერება – შესანიშნავი გემოვნების ბრწყინვალე ნაკეთობაა; „ქვათა წყობაა ისეთი, ნატიფი ალბომის ფურცელს ჰგავს – სათუთი ხელით ჩაწებებულს.“

იმდენი არქიტექტურული იმპროვიზაციაა მასში, რომ ავტორი – უდავოდ იმსახურებს ქებათა-ქებას.

შედევრი – უცნობი, მაგრამ დიდი ალბათობით, ქართველი ხუროთმოძღვარის ქმნილებაა.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი) – სტეფანწმინდის ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსის შემადგენლობაშია: ეკლესია, სამრეკლო, ალ. ყაზბეგის, მისი მშობლების და პაპის გაბრიელ ყაზბეგის საფლავთა ძეგლები, ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გიორგი და ნიკოლოზ ყაზბეგის სახლები.

ღვთისმშობლის ეკლესია – ყაზბეგთა საგვარეულო სასაფლაოზე დგას.

ფასადზე არსებული წარწერის თანახმად, აგებულია 1809-14 წლებში – გაბრიელ ყაზბეგის მიერ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (8,2X12,4 მ.), ნაგებია მოყვითალო-მოყავისფრო ქვის კარგად გათლილი კვადრებით. თაღოვანი აფსიდის კონქში გაჭრილია ეკლესიის სახურავზე დადგმულ სამრეკლოზე ასასვლელი ხვრელი.

სამრეკლოს ნახევარსფერული კამარა მრავალბაზისიან ექვს სვეტს ეყრდნობა; სვეტების მარტივი პროფილის კაპიტელებს – სვეტებშორისი თაღები.

ეკლესიის კარის ტიმპანზე რთული გეომეტრიული ორნამენტია, რომელშიც სტილიზებული ჯვარია ჩაწნული.

თითო მარტივი ჯვარი გამოსახულია შესასვლელის წირთხლებზეც.

კარის მაღლა, მარმარილოს ფილებზე – მხედრული წარწერებია. მათ ზემოთ – ორრგოლიანი კოპი, რომელთანაც (ჯაჭვებით) არის დაკავშირებული ლომების რელიეფური გამოსახულება.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით – XIX ს-ის ორსართულიანი სამრეკლო დგას. ნაგებია რუხი ქვის კვადრებით.

მისი პირველი სართული კომპლექსის საპარადო შესასვლელს წარმოადგენს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ, ალ. ყაზბეგის საფლავია.

მასზე – ყაზბეგის მთის მსგავსი (3 მ. სიმაღლის) გრანიტის ლოდი დევს – რომელზეც მწერლის ბრინჯაოს ჰორელიეფი და შესაბამისი წარწერაა: –

„ალექსანდრე (მოჩხუბარიძე) ყაზბეგი 8/I-1848-10/XII-1893“.

საფლავს თუჯის მესერი აქვს შემოვლებული.

ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთით (5 მ-ზე) ალ. ყაზბეგის მშობლების საფლავებია.

მათზე აღმართული ნაგებობა XIX ს-ით თარიღდება.

ნაგებია მოყავისფრო-მოყვითალი ქვის კარგად დამუშავებული კვადრებით.

ბაქანის კუთხეების და გვერდების შუაში, დადგმულია რვა მონოლითური რვაწახნაგა ბოძი – რომლებსაც ნახევარწრიული თაღები ეყრდნობა.

ბოძებით და თაღებით შემოსაზღვრული სივრცე გადახურულია რთული ფორმის სეგმენტებით შეკრული ბრტყელი ჭერით.

ნაგებობა დასრულებულია კვადრატულ კვარცხლბეკზე დადგმული ვიწრო ოთხწახნაგა სამრეკლოთი – რომელიც პირამიდული ფორმის თუნუქის სახურავით, არის გადახურული.

ეკლესიის აღმოსავლეთით (დაახლოებით 5 მ-ზე) ალ. ყაზბეგის პაპის, გაბრიელ ყაზბეგის საფლავია. ნაგებია კარგად გათლილი მოყავისფრო-მოყვითალო ქვით. ბაქანის ოთხივე კუთხესა და გვერდებს შუა დადგმულ – რვა რვაწახნაგა ბოძს – ნახევარწრიული თაღები ეყრდნობა.

თაღებით და სვეტებით შექმნილი კონსტრუქცია – შიგნით, გუმბათიანი კამარით არის გადახურული.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – ყაზბეგიანთ ორსართულიან სახლშია განთავსებული. შენობაზე მიმაგრებულია მარმარილოს დაფა წარწერით: –

„ამ სახლში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი 1848 წ. (20) I. აქვე გაატარა მან ბავშვობა და ყრმობა“.

მუზეუმი დაარსდა 1934 წელს – ტიციან ტაბიძის თაოსნობით.

1937 წლამდე – პოეტი მის მიერ დაარსებული მუზეუმის დირექტორი გახლდათ.

მუზეუმიდან ხუთიოდე მ-ის დაცილებით, ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ყაზბეგის სახლი დგას – რომელშიც მუზეუმის ფონდსაცავია განთავსებული.

1983 წელს გაიხსნა სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ფილიალი – იაგორ კაზალიკაშვილის სახელობის მთამსვლელობის მუზეუმი – ცნობილი მთამსვლელის კუთვნილ სახლში; მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

*

„სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორიის“ თანახმად (2018 წელი): –

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის საკათედრო ტაძარში – 1924 წლიდან 1989 წლამდე, განთავსებული იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდსაცავი.

1989 წლის ზაფხულში – უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა დეკანოზი ტარიელი (სიკინჭელაშვილი) – რომელმაც, მოსახლეობის დახმარებით, ტაძარი – ფონდსაცავისგან გაათავისუფლა და ღვთისმსახურება აღადგინა.

2002 წლიდან (ანუ, სტფანწმინდისა და ხევის ეპარქიის დაარსებისთანავე) – წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი – კათედრალური გახდა.

2003 წელს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები: –

მოეწყო პატრონიკე მგალობელთა გუნდისათვის; ხის კანკელი შეიცვალა ახლით – რომელიც ზურაბ სუჯაშვილმა, ჯემალ სუჯაშვილმა და ბიძინა ჯანუყაშვილმა მოაჩუქურთმეს.

ხატები დაწერა ხატმწერმა ლიზი ჩქარეულმა.

2015 წელს – ბერმა შიომ (ჭკუასელმა), მორჩილ მერაბთან (ბუკიასთან) ერთად, შეაკეთა ტაძრის დაზიანებული სახურავი და შეცვალა ჯვარი.

ინიციატორი და შემომწირველი იყო ვაჟა ჩოფიკაშვილი.

2017 წლის გაზაფხულზე, სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსის, იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით, არქიმანდრიტი ნიკოლოზის და იღუმენ ეგნატეს ძალისხმევით – ტაძარს კვლავ ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც დავით ჭიჭინაძემ განახორციელა: შეთეთრდა ინტერიერი, შეიცვალა შიდა განათება, გამოიცვალა ჭაღი, კეთილმოეწყო პატრონიკე.

*

„საქართველის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით“, ყუროს ხეობის სამხრეთით, ელიას მთაზე – ხედენიშის წმინდა გიორგის – ანუ, წმინდა ელია თეზბიტელის ძველი ნიში, ელიას ხატია განთავსებული. ნაგებია ფიქალის მშრალი წყობით. თახჩაში დასვენებულია წმინდა ელია თეზბიტელის ქვის ხატი, რომელსაც მლოცველი დარ-ავდარს შესთხოვს.

*

სტეფანწმინდის ყველა გვარი დღესასწაულობს პეტრე-პავლობას.

ადრე – მას ხედენიშობას და ელიობას ეძახდნენ.

სალოცავს ერქვა ხედენიშის წმინდა გიორგი.

ლეგენდის თანახმად: –

მის ნიშთან ღვინით წვიმდა და თეთრი პურით თოვდა.

მერე, ერთ უგნურ დედაკაცს, რომელიღაც ხედენიშობაზე, ეს ადგილი ბალღისგან გაუუწმინდურებია – პურის ნაჭრით მოუწმენდია დასვრილი სხეული.

გამწყრალი ხედენიშის წმინდა გიორგი – დედაკაცს გამოჰკიდებია და, ყუროს წყლის გაღმა, ბებერას რომ ეძახიან იმ ადგილას – დედა-შვილი ქვად უქცევია.

ის ქვა, ცოტა ხნის შემდეგ – ქვემოთ ჩამოგორებულა;

ხედანიშის წმინდა გივარგი – ხალხს დამალვია და მიწაში ჩასულა.

იმ დღიდან – ყუროს რიყეზე აღარც პური თოვდა და აღარც ღვინო წვიმდა.

უძებნია ხალხს დამალული ხატი; იქაურობა გადაუთხრიათ, მაგრამ ვერ უპოვიათ.

როცა ორმო – უფრო ფართედ და ღრმად ამოუღიათ, მაშინ სმენიათ მისი ხმა: –

„რამდენ თოხსაც დამკრავთ, იმდენს უფრო ღრმად ჩავიმარხები – რამდენ საკლავსაც დამიკლავთ – იმდენს უფრო ზემოთ ამოვალო."

შეშვებიან ორმოს თხრას და ხარის დაკვლა დაუწესებიათ ყუროს რიყეზე.

სამანი, რომელზეც დასაკლავ ხარს თავს დაუდებდნენ ხოლმე – იმ დედაკაცის საწყევარი ყოფილა. ხარს როცა კლავდნენ – ხედენიშის წმინდა გივარგის ვედრებით მიმართავდნენ: –

„შენ სახელზე იმ უგუნური დედაკაცის სამანს სისხლში ვბანთ და ეხლა მაინც მოგვხედეო..."

შემომწყრალი ხატი მიწიდან მაინც არ ამოსულა...

იმ ამოთხრილ ორმოს ხალხმა ელიას ტბა შეარქვა; ხედენიშის წმინდა გივარგის საბრძანისის მიმდებარედ – ელიას და ზაქარიას ხატები დადგეს და ვაცსაც იმათ უკლავდნენ.

ხედენიშობა და ელიობა – ასე შეენაცვლა ერთიმეორეს.

ხედენიშობა ხარის შეწირვით აღინიშნებოდა.

წმინდა გივარგის შემოწყრომის შემდეგ, ვაცის შეწირვა დაიწყო – ელიას და ზაქარიას სახელზე.

დღეობას – ხან ხედენიშობას უწოდებდა ხალხი, ხან ელიობას.

მოგვიანებით, მას პეტრე-პავლობა ჩაენაცვლა და ადრე მოქმედი ხედენიშის ხატობა – პეტრე-პავლობით შეიცვალა.

*

2005 წელს – საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის, სულხან მოლაშვილის და მუნიციპალიტეტის იმდროინდელი მაჟორიტარი დეპუტატის – რევაზ სუჯაშვილის თაოსნობით – ელიას მთაზე აშენდა წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის დარბაზული ეკლესია.

ნაგებია ღია ფერის კვადრებით. გადახურულია თუნუქით.

კარის ზედა წირთხლის თავზე არის ლოფრინი, რომელზეც წმინდა ელიას და ჯვრის ბარელიეფური გამოსახულებებია.

სალოცავი გადაჰყურებს დაბა სტეფანწმინდას და სოფელ გერგეტს.

2006 წელს, აღნიშნული ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა – ციხე-დარბაზის ფორმის მამათა მონასტერი.

2012 წელს აიგო ორსართულიანი სამრეკლო – რომელიც სპეციალურად მოწყობილ მცირე ბაქანზე დგას. მისი ფასადები შემკულია – წმინდა ელია თეზბიტელის, წმინდა ნიკოლოზის და წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის ბარელიეფებით. გადახურულია თუნუქით.

სამრეკლოს პირველ სართულზე – მონასტრის ბიბლიოთეკაა განთავსებული.

2013 წელს – ელია თეზბიტელის სახელობის ეკლესიის წინა ეზოში, ბუნებრივად არსებულ ბაზისზე დამაგრდა ქვის ჯვარი, რომელზეც ჯვარცმაა ამოკვეთილი.

2014 წელს – სალოცავი მოხატა ხატმწერმა ბერიკა კბილაშვილმა.

2017 წელს, მამა ეგნატეს ძალისხმევით და მრევლის შემოწირულობით – ელიას

მთაზე დასრულდა წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის სახელობის ტაძრის მშენებლობა („სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორია“, 2018 წელი).

*

ელიას მამათა მონასტრის მოპირდაპირე მთაზე – წმინდა ნინოს ჯვარია აღმართული.

მისკენ მიმავალ ბილიკს თუ გავუყვებით – რამდენიმე მეტრის შემაღლებაზე, „წითელი ეკლესიის“ ნანგრევებია შემორჩენილი.

*

სტეფანწმინდელთა დიდი რელიგიური დღესასწაულია ათენგენობა, ანუ სპარსანგელოზობა.

ძირითადად – ალიბეგაშვილების, გიგაურების და გომიაშვილების სალოცავია.

ადგილს – სადაც ხატში მიმავალი მხვეწარი ღამეს ათევს, საღამისთეო ეწოდება.

ძველი საყდარი – ხატების საბრძანისით და ლუდის სადუღით, სტეფანწმინდის და სნოს გამმიჯნავ მთის წვერზე მდებარეობს.

მის წინ, უფრო მოზრდილი სალოცავი დგას – სპარსანგელოზის ხატის და ოთხი ზარებიანი დროშის საბრძანისით.

ლეგენდის თანახმად: –

ხატი და დროშები, ადრე – სპარსელებს „მოუტაცნიათ.“

მათ დაბრუნებას, ერთი გადმოცემა სეენჯა გოდერძიშვილს უკავშირდებს.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

მიტაცებულ სიწმინდეებს მოხევეები – დიდხანს ეძებდნენ;

მათ კვალს, მეორე ომის დროს მიაკვლია სპარსეთში – სამმა მოხევემ (ღუდუშაურმა, გოდერძიშვილმა და კაზალიკაშვილმა).

მიაგნეს იმ ციხეს, სადაც მოტაცებული ხატი და დროშები ინახებოდა; ხევის დაუბრუნეს დაკარგული სიწმინდეები და თემისგან ჯილდო დაიმსახურეს.

*

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

სტეფანწმინდის განაპირას, მთის ფერდობზე მდგარი – ამაღლება-აღდგომის ხატი (ქუშიშვილების, შადურების და ქავთარაშვილების საერთო საგვარო სალოცავი) – გეგმით ოთხკუთხა ფორმისაა. ნაგებია ფიქალის მშრალი წყობით. შიგადაშიგ გამოყენებულია მთის ბროლი.

მისგან სამხრეთით, ხელოვნურად გავაკებულ ადგილზე, მოწყობილია საუფროსო: – ოვალურად დაწყობილი ფიქლის სკამების წინ – ფიქალისავე მაგიდა დგას.

*

სტეფანწმინდის თავისებური სიმბოლოა „ცოფიანი ღელე,“ რომელიც ყუროს მასივის ფერდობიდან მოედინება.

არავითარ ყურადღებას არ იპყრობს, მაგრამ ზაფხულის ძლიერი წვიმების, ან თოვლის დნობის დროს – საშინელი ღვარცოფი ჩამოაქვს.

ალ. პუშკინმა, რომელიც „მთლად დაწრეტილს“ შეესწრო მას – ირონიით აღნიშნა: – „საშიშს მხოლოდ მისი სახელი წარმოადგენსო“ („არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს“).

*

მდ. ყუროს ღრმა და ვიწრო კალაპოტში, წვიმიან ამინდში იწრიტება მისი თანამოსახელე მწვერვალის ფერდობების და ხევების ჩამონადენი წყალი; ზვავდება წყლით გაჟღენთილი მიწა; იქმნება საშინელი ღვარცოფი, რომელიც დიდი სიჩქარით მოექანება და უზარმაზარ ლოდებს მოატივტივებს.

ყუროს მოპირდაპირე მხარეს – მყინვარწვერიდან ასეთივე დაქანებით მოედინება საკმაოდ მოზრდილი მდ. ჩხერი.

ორივე მდინარე პირისპირ ხვდება ერთმანეთს მდინარე თერგში და ორივე მათი ღვარცოფის ერთმანეთთან შეჯახებას – არაერთხელ შეუგუბებია მდინარე თერგი – რომელიც, დარიალის ხეობაში, განსაკუთრებით დიდი სიჩქარით, სწორედ ამ ადგილიდან ეშვება (ვალ. ითონიშვილი).

*

ხევის ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარები სტეფანწმინდაში სახლობენ.

1774 წლის აღწერით, სტეფან წმინდას (არაგვის ერისთავის საყმოსა და მათსავე სახელოში) – 46 კომლი დარეგისტრირდა (100 სული): –

ჩოფიკას შვილების 4 კომლი (მათ შორის მოურავი ყაზიბეგ), ალიბეგას შვილების – 4, ხეთაგიძე – 5, ჩავას შვილი – 2, ყაზაის შვილი – 2, ქირიკას შვილი – 2, ეფხოს შვილი – 2, გურაპას შვილი – 2, გოჩიას შვილი – 2, მირიანას შვილი – 2, შიბლიას შვილი – 2, ქავთარაძე – 2, გომიას შვილი – 1, ჯათის შვილი – 1, ხაიკის შვილი – 1, ურჯუკაის შვილი – 1, გოდეს შვილი – 1, შამხალას შვილი – 1, თოლიკას შვილი – 1, ჯარიას შვილი – 1, ნეღოის შვილი – 1, პაპის შვილი – 1, ხახლის შვილი – 1, დათოს შვილი – 1, ქუშაის შვილი – 1, გერის შვილი – 1, აბაზაიძე – 1, ბოგანო კარძალაკის შვილი – 2, ბოგანო ბაიშიძას შვილი – 1, ბოგანო ფარის შვილი – 2.

1781 წელს აღირიცხა: –

ჩოფიკას შვილის 4 კომლი, ალიბეგას შვილის – 7, ხეთაგიძე (ხეთაგური) – 3, ჩავიას შვილი – 2, ყაზის შვილი – 1, ქირიკას შვილი – 3, ეფხოს შვილი (ღუდუშაური) – 3, გურასპას შვილი – 2, გოჩიას შვილი (ფიცხელაური) – 1, მირიანას შვილი – 1, შიბლის შვილი (შადური) – 2, ქავთარას შვილი – 1, გომიას შვილი – 1, ჯათის შვილი (წიკლაური) – 1, ხაიკას შვილი – 1, ურჯუკაის შვილი – 1, გოდეს შვილი (შადური) – 2, შამხალას შვილი (ფიცხელაური) – 1, თოლიკას შვილი (ფიცხელაური) – 1, ჯარიას შვილი – 1, ნეღოს შვილი – 1, პაპიას შვილი – 1, ხახილას შვილი – 1, ჩაკიას შვილი (გიგაური) – 1, საჩიას შვილი (შადური) – 1, თადოს შვილი – 1, ქუშაის შვილი – 1, აბაზაიძე – 1, ბოგანო კარძალაკის შვილი – 2, ბოგანო ფარიას შვილი – 1, ბოგანო სეთურიძე – 1.

ციტირებულ აღწერებში მოხსენიებულია ისეთი გვარებიც – რომლებიც სტეფანწმინდაში აღარ სახლობენ. მაგ. აბაზაშვილები და გოგიშვილები.

დგინდება რომ: გოგიშვილები ამავე აღწერებით მოხსენიებული შიბლიშვილების შთამომავლები არიან.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – მათ, „შიბლიეთ“ ეძახდნენ (ნინო შიოლაშვილი, მასალები ხევის მოსახლეობის ისტორიისათვის, წიგნი I, სოფელი სტეფანწმინდა, 1774-1918 წწ.).

XIX ს-ის აღწერებში მოხსენიებულნი არიან აგრეთვე აზნაურ ყაზბეგთა მსახური გვარები: ბარკუაშვილი, ვალიშვილი, თათრიშვილი, თამასხანოვი, თიბილოვი, თინიკაშვილი, თოფაძე, ივანოვი, მამადოვი, ნაბიჭვრიშვილი, ოკმელი, ქისიშვილი, ყალაგონაშვილი, ჩერკოევი, ჩოლბარცი, წიკლაური და ხობაევი.

ჩოფიკაშვილები
და
„ყაზბეგიანთ“ გაბატონება

სტეფანწმინდაში ოთხი კოშკი მდგარა.

ოთხივე ჩოფიკაშვილების გვარს ეკუთვნოდა.

დღეს მხოლოდ ორი კოშკის სილუეტია შემორჩენილი („ზალიეთ“ და „გუგუეთ“ ციხე).

ორივე XVII ს-ის II ნახევრით თარიღდება.

ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კოშკი ორსართულიანია (სიმ. 11 მ.);

სამხრეთ-დასავლეთით განთავსებული – უფრო მეტად არის დაზიანებული.

რ. თოფჩიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

სტეფანწმინდის (სათარგმნოს) პირველმოსახლენი ქუშიშვილები არიან.

მერე მოსულან ჩოფიკაშვილები და ქავთარაშვილები.

ჩოფიკაშვილები – მესისხლეობის გამო, ქისტეთიდან გადმოსახლებული კაცის შთამომავალნი არიან. მათი ნაწილი ხევსურეთის სოფელ ხახაბოში გადასახლებულა, სადაც – მთხრობელის მიხედვით, გვარად „ბატარანი“ ყოფილან. XIX ს-ის შუა წლებში, ისინი ჯერ თიანეთის სოფელ ალოტში ჩამოსახლებულან – მერე, XX ს-ის დასაწყისში, პანკისის ხეობის სოფ. ხალაწანში.

ხახაბოში – ბატარანი მართლაც სახლობდნენ.

ხევსურული ანდრეზის მოხედვით: –

მათ მამას, ბატარიას, კახეთში კაცი შემოკვდომია; სოფელ მატანში მოუპარავს „გიორგი წყაროსგორულის ჯვარი“ – გამოქცეულა და ზამთარში – წელიწად-დილას მისულა ხახაბოში...

*

გვარსახელი ჩოფიკაშვილი – მათი წინაპარის, ჩოფიკას საკუთარი სახელიდან მოდის.

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში მათი 4 კომლი სახლობდა: –

ჩოფიკას შვილი მოურავი ყაზიბეგ, იასე, ბადურ, გაბრიელ და ივანე.

ჩოფიკას შვილი იოსებ, მამა, ივანე და ბადურ.

ჩოფიკას შვილი შიო და ღანუყო.

ჩოფიკას შვილი ბეჟან.

მოურავი ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი ალ. ყაზბეგის პაპის – გაბრიელის მამა იყო.

აღნიშნული დასტურდება მიხეილ ყაზბეგის მიერ 1820 წელს შედგენილი გენიალოგიის მიხედვით.

1831 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში მოხსენიებულნი არიან: –

№ 61, გიორგი ჩოფიკაშვილი – 60 წლის. მისი შვილები: 1. ყაზი – 28 წლის. 2. ბიჭიკა – 27 წლის. 3. ივანე – 15 წლის. ძმისშვილი, გლახა – 12 წლის.

№ 62, ივანე, იგივე ნანე ჩოფიკაშვილი – 40 წლის.

№ 63, იასე ჩოფიკაშვილი – 50 წლის. მისი შვილი, ბაადური – 20 წლის.

№ 64, გრიგოლ ჩოფიკაშვილი – 38 წლის. მისი შვილები: 1. გლახა – 20 წლის. 2. დავითი – 12 წლის. 3. იოსები – 4 წლის.

№ 65, მამუკა ჩოფიკაშვილი – 30 წლის. მისი შვილი, მოსე – 9 წლის. ძმა, ლაზარე – 20 წლის.

№ 66, ნინია ჩოფიკაშვილი – 35 წლის. მისი ძმა, ბიჭი – 30 წლის.

№ 67, შიო ჩოფიკაშვილი – 40 წლის. მისი შვილები: 1. გიორგი – 6 წლის. 2. იოსები – 4 წლის. 3. გრიგოლი – 2 წლის. ძმა, მარტია – 35 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 73, გიორგი ჩოფიკაშვილი – 72 წლის. მისი შვილები: 1. კუზმა, იგივე ყაზი – 39 წლის. 2. ივანე – 26 წლის. ძმისშვილი, გლახა – 23 წლის. ყაზის შვილები: 1. ალექსანდრე – 9 წლის. 2. ანდრია – 4 წლის. ივანეს შვილი, იოსები – 3 წლის. გლახას შვილი, გრიგოლი – 2 წლის.

№ 74, ივანე, იგივე ნანია ჩოფიკოვი – 51 წლის.

№ 75, იასე ჩოფიკოვი – 61 წლის.

№ 76, გრიგოლ ჩოფიკაშვილი – 49 წლის. მისი შვილები: 1. გლახა, იგივე მიხეილი – 31 წლის. 2. იოსები – 14 წლის. გლახას შვილები: 1. ბაადური – 5 წლის. 2. კუზმა – 1 წლის.

№ 77, მამუკა ჩოფიკაშვილი(სიც) – 41 წლის. მისი შვილები: 1. მოსე – 20 წლის. 2. ეგნატე – 7 წლის. მამუკას ძმა, ზაალი – 31 წლის. მისი შვილები: 1. გიორგი – 6 წლის. 2. ივანე – 3 წლის.

№ 78, ნინია ჩოფიკაშვილი – 46 წლის. გარდაიცვალა 1848 წელს. მისი შვილი, სოლომონი – 8 წლის. გარდაიცვალა 1853 წელს.

№ 79. ბიჭი ჩოფიკაშვილი – 41 წლის. მისი შვილი, ბახდური – 6 წლის.

№ 80, გიორგი ჩოფიკაშვილი – 17 წლის. მისი ძმები: 1. გრიგოლი – 13 წლის. 2. ივანე – 8 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს სახლობდნენ: –

№ 94, მამუკა გიორგის ძე ჩოფიკაშვილი – 60 წლის. მისი შვილი, ეგნატე – 20 წლის.

№ 95, ლაზარე გიორგის ძე ჩოფიკაშვილი – 50 წლის. მისი შვილი, ნანე – 25 წლის.

№ 96, მიხეილ გრიგოლის ძე ჩოფიკაშვილი – 50 წლის. მისი შვილები: 1. ბაადური – 20 წლის. 2. კუზმა – 19 წლის. 3. ვანია – 3 წლის. მიხეილის ძმები: 1. დავითი – 30

წლის. 2. იოსები – 28 წლის. დავითის შვილი ივანე – 3 წლის.

№ 97, ივანე გიორგის ძე ჩოფიკაშვილი – 55 წლის. მისი შვილები: 1. იოსები – 19 წლის. 2. ივანე – 8 წლის. ივანეს ძმის კოზმას შვილები: 1. ალექსანდრე – 25 წლის. 2. ანდრია – 20 წლის. 3. ესტატე – 10 წლის.

№ 98, გლახა ჩოფიკაშვილი – 40 წლის. მისი შვილი, გრიგოლი – 19 წლის.

№ 99, გიორგი შიოს ძე ჩოფიკაშვილი – 35 წლის. მისი შვილი, პავლე – 1 წლის. გიორგის ძმები: 1. გრიგოლი – 25 წლის. 2. ივანე – 20 წლის.

№ 101, თომა ისმელის ძე ჩოფიკაშვილი – 60 წლის. მისი შვილები: 1. ბაადური – 25 წლის. 2. მისო – 15 წლის. 3. კასია [ყაზია?] – 6 წლის(სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს აღირიცხნენ: –

№ 97, მამუკა გიორგის ძე ჩოფიკაშვილი – 73 წლის. მისი შვილი, ეგნატე – 33 წლის. ეგნატეს შვილი, გიორგი – 10 წლის. კომლი ამოღებულია საგადასახადო სიიდან.

№ 98, ნანე ლაზარეს ძე ჩოფიკაშვილი – 38 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 8 წლის.

№ 99, მიხეილ გრიგოლის ძე ჩოფიკაშვილი – 63 წლის. მისი შვილები: 1. კუზმა – 32 წლის. 2. ივანე – 16 წლის.

№ 100 ალექსანდრე კოზმას ძე ჩოფიკაშვილი – 38 წლის. მისი ძმები: 1. ანდრია – 33 წლის. 2. ესტატე – 23 წლის. ესტატეს შვილი, არტემი – 8 წლის.

№ 101, გლახა ნინიას ძე ჩოფიკაშვილი – 53 წლის. მისი შვილი, გრიგოლი – 32 წლის.

№ 102, გიორგი შიოს ძე ჩოფიკაშვილი – 48 წლის. მისი შვილები: 1. მიხეილი – 14 წლის. 2. იოსები – 10 წლის. 3. ილია – 4 წლის. გიორგის ძმები: 1. გრიგოლი – 38 წლის. 2. ივანე – 33 წლის. გრიგოლის შვილები: 1. სიმონი – 5 წლის. 2. პავლე – 1 წლის. ივანეს შვილი, ნიკოლოზი – 3 წლის.

№ 104, თომა ისმელის ძე ჩოფიკაშვილი – 73 წლის. შვილები: 1. ბაადური – 38 წლის. 2. მისო – 28 წლის. 3. სიმონი – 19 წლის. ბაადურის შვილი, სოლომონი – 6 წლის.

№ 106, იოსებ გრიგოლის ძე ჩოფიკაშვილი – 41 წლის. მისი შვილი, მიხეილი – 2 წლის და 6 თვის.

№ 111, ივანე გიორგის ძე ჩოფიკოვი – 68 წლის. მისი შვილი, იოსები – 32 წლის. იოსების შვილები: 1. ციცკა – 6 წლის. 2. ისააკი – 3 წლის(სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 107, ჩოფიკაშვილი ნანე ლაზარეს ძე – 45 წლის. მისი შვილი, ნიკოლოზი – 21 წლის. ნიკოლოზის შვილები: 1. დავითი – 5 წლის. 2. ილია – 6 თვის.

№ 108, ჩოფიკაშვილი კუზმა მიხეილის ძე – 44 წლის.

№ 109, ჩოფიკაშვილი ალექსანდრე კოზმას ძე – 38 წლის: „გაურკვეველია სად

იმყოფება“. მისი ძმები: 1. ანდრია – 45 წლის. 2. ესტატე – 41 წლის. ესტატეს შვილები: 1. არტემი – 20 წლის. 2. მიხეილი – 11 წლის. 3. ნიკოლოზი – 4 წლის.

№ 110, ჩოფიკაშვილი გრიგოლ გლახას ძე – 44 წლის. მისი შვილები: 1. აბრაამი – 10 წლის. 2. ივანე – 5 წლის. 3. ადამი – 6 თვის.

№ 111, ჩოფიკაშვილი გიორგი შიოს ძე – 60 წლის. მისი შვილები: 1. მიხეილი – 26 წლის. 2. იოსები – 22 წლის. 3. ილია – 17 წლის. მიხეილის შვილები: 1. ალექსანდრე 4 წლის. 2. გიორგი – 6 თვის. გიორგის ძმები: 1. გრიგოლი – 50 წლის. 2. ივანე – 45 წლის.

გრიგოლის შვილები: 1. სიმონი – 18 წლის. 2. დავითი – 11 წლის. 3. იობი – 9 წლის. ივანეს შვილები: 1. ნიკოლოზი – 16 წლის. 2. სპირიდონი – 10 წლის.

№ 113, ჩოფიკაშვილი ბაადური თომას ძე – 38 წლის. ცხოვრობს ქ. ვლადიკავკაზში. მისო – 40 წლის. მისი შვილები: 1. იაგორი (მუნჯი) – 8 წლის. 2. სტეფანე – 6 წლის. 3. ივანე – 2 წლის.

№ 114, ჩოფიკაშვილი სიმონ თომას ძე – 31 წლის.

№ 116, ჩოფიკაშვილი იოსებ გრიგოლის ძე – 53 წლის. მისი შვილები: 1. მიხეილი – 15 წლის. 2. ალექსი – 10 წლის. 3. ესტატე – 8 წლის.

№ 119, ჩოფიკაშვილი იოსებ ივანეს ძე – 32 წლის. მისი შვილები: 1. ციცკო – 6 წლის. 2. ისააკი – 3 წლის. 10 წელია ცხოვრობენ ქ. ვლადიკავკაზში.

№ 122, ჩოფიკოვი სპირიდონ დავითის ძე – 28 წლის. მისი შვილი, ვლადიმერი – 4 წლის.

ჩოფიკაშვილი მამუკა გიორგის ძის „ოჯახი ამოწყდა“ (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ჩოფიკას ჰყოლია ოთხი ვაჟი: – ზალია, ლევანი, გუგუა და ყაზი.

როცა ისინი ერთიან ოჯახს გამოეყვნენ – ზალიას შტოს მოხევეებმა უწოდეს ზალიენი; ლევანისას – ლევანენი; გუგუასას – გუგუენი; ყაზისას – ყაზიბეგიანი.

ერეკლე II-ის ხელდასმით – ყაზი, სტეფანწმინდის მოურავი და დარიალის კარის კლიტე-გასაღების მფლობელი გახდა.

მისი რაზმი – მოქარავნე ვაჭრებს დარიალიდან ჯვრის უღელტეხილამდე აცილებდა – ყაჩაღებისგან იცავდა.

არაბ მოქარავნეებს უწოდებიათ მისთვის „ბეგი“ (ბატონი); ასე გახდა ყაზი ჩოფიკაშვილი, ყაზი – ბეგი!

რუსეთთან ურთიერთობის გააქტიურებამ, ანუ – დარიალის გზის უფრო მეტად გამოცოცხლებამ, ხელი შეუწყო ყაზი-ბეგ ჩოფიკაშვილის ავტორიტეტის გაზრდას – საქართველოს სამეფო კარზე.

*

ყაზი ჩოფიკაშვილს სიკვდილის შემდგომ, ერეკლე II-ს უერთგულესი მოხელე გახდა ყაზი ბეგის ვაჟი – გაბრიელი.

მასთან „მიმოწერას აწარმოებდნენ ქართველი მეფეები და უფლისწულები.“

საქართველოს სამეფო კარმა მას აზნაურობა უბოძა.

ეს პატივი, რომელიც თემის ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა – ჩოფიკაშვილებმა უყოყმანოდ მიიღეს და წოდების შესაფერისი პირობებიც შეიქმნეს: –

„დაუახლოვდნენ სხვა ქართველ აზნაურებს, თავადებს, სამხედრო პირებს, დიდ მოხელეებს.“

„მკვეთრად გაემიჯნენ არა მარტო მოხევეებს, არამედ საკუთარი საგვარეულოს იმ განაყარსაც კი, რომლებიც გლეხ ჩოფიკაშვილებად დარჩნენ“ (ვ. ითონიშვილი).

გააზნაურებული და სამხედრო სამსახურში დაწინაურებული გაბრიელ ყაზბეგი – რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ, იმპერიის სამსახურში ჩადგა; ქართულ სამეფო კარს განუდგა; „ღენერლობა“ და გვარად მამის სახელი (ყაზბეგი) მიიღო. რუსებმა საგვარეულო ეკლესია აუშენეს; სტეფანწმინდას და მყინვარწვერს მამამისის სახელი – ყაზბეგი, დაარქვეს და ამაგი დაუფასეს.

*

ახალი გვარით და აზნაურის სტატუსით ყაზბეგები 1831 წლის აღწერაში ჩანან: –

№ 68, პორუჩიკი სიმონ ყაზბეგი – 40 წლის; მისი შვილები: სოლომონი – 19 წლის, დავითი – 8 წლის, გიორგი – 7 წლის.

№ 69, პორუჩიკი მიხეილ ყაზბეგი (ალ. ყაზბეგის მამა) – 30 წლის; მეუღლე ქეთევანი – 28 წლის; დედა, გენერალ-მაიორინა ელისაბედი – 50 წლის; ძმა პრაპორშჩიკი ნიკოლოზი – 23 წლის; ბიძაშვილი ადამი – 23 წლის.

№ 70, პრაპორშჩიკი გიორგი ყაზბეგი – 27 წლის; მისი ძმები: ზაალი – 23 წლის, ნიკოლოზი – 20 წლის, ყაზიბეგი – 10 წლის; ბიძაშვილები: ბაადური – 15 წლის, ანდრია – 10 წლის (სცსა ფონდი 254, აღწერა 1, № 1245).

გეორგიევსკის ტრაქტატის თანდართულ – ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ჩამონათვალში – ყაზბეგები არ ჩანან.

მათი 6 ოჯახი რუსეთის საიმპერატორო კარმა – აზნაურთა სიაში შეიყვანა 1850 წელს – ე.წ. „ხავერდოვან წიგნში“ („Бархатная Книга“).

გაბრიელის შემდეგ, ყაზბეგის გვარს ატარებდნენ მისი შვილები: – გენერალი მიხეილი და პოლკოვნიკი ნიკოლოზი.

მათი მომდევნო თაობაა დიდი ქართველი მწერალი, ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი.

ნიკოლოზის შვილებიდან: –

დიმიტრი იყო ხალხოსნური იდეებით გამსჭვალული ფრიად განათლებული პიროვნება.

გიორგი, ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1900წ.), დაამთავრა გენშტაბის აკადემია; იყო ქ. ივანგოროდის, ვარშავისა და ვლადივოსტოკის კომენდანტი. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდგომ – შესანიშნავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და სამხედრო-სტატისტიკური შრომების ავტორი; ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე. განაგრძო ძმის – დიმიტრი ყაზბეგის, მიერ სტეფანწმინდაში დაწყებული საგანმანათლებლო საქმიანობა; დის, ელისაბედის თანადგომით – საკუთარ სახლში გახსნა სკოლა.

ტრაგიკული ბედის გენერალი სამი ვაჟიშვილის სიკვდილს მოესწრო.

გადმოცემის თანახმად: –

1921 წელს – პოლონეთში, შვილის საფლავის საძებრად წავიდა...
იმავე წელს – სტამბულში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

*

ვასო ჩოფიკაშვილი ტყვიამფრქვევით ხელში იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

მის შესახებ ლეგენდარულ ამბებს ყვებიან: –

1918 წლის მოვლენების დროს, სტეფანწმინდაში შესული საშა გეგეჩკორის სამი ცხენოსანი – გუგუეთ ციხეს მისდგომია და ვასოსთვის – გარეთ გამოსვლა უბრძანებიათ, ქედმაღლურად.

გამოსულა ისიც... მაგრამ – ორივე ხელში „ლიმონკებ“ – ჩაბღუჯული...

ცხენები წაურთმევია მომხდურთათვის და გაურეკავს.

ვასოს მიაწერენ დასახვრეტად გაყვანილი მღვდლის, ბართლომე ღუდუშაურის დახსნასაც.

*

ჩოფიკაშვილების გვარიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, სპორტსმენები: –

უდავოდ საინტერესო პიროვნება იყო ფოტოხელოვანი, ჩიტო ჩოფიკაშვილი.

მისი ნამუშევრები დ. ერმაკოვის ფონდშია შეტანილი;

რეალური ავტორი, სამწუხაროდ – დავიწყებულია.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ნიკოლოზ ივანეს ძე ყაზბეგი (1910-1983) – ქართული თეატრის და კონოს ცნობილი მხატვარი იყო.

მოღვაწეობდა: – ქართულ მოზარდ მაყურებელთა, მუსკომედიის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის და სხვა თეატრებში; იყო სოხუმის დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი.

კინოსტუდია „ქართული ფილმში“ გააფორმა: – „ნინო“ (1959 წ.), „პაპა გიგია“ (1960 წ.), „ჯარისკაცის მამა“ (1964 წ. ზ. მეძმარიაშვილთან ერთად), „სამკაული სატრფოსათვის“ (1971 წ.), „ჩარირამა“ (1972 წ.), „მე დავბრუნდები“ (1982 წ.) და სხვ.

*

ვასილ ჩოფიკაშვილი (მოხეურად, ზალიეთ ვასკაი) – ალექსანდრე ყაზბეგის „ციკოს“ მთავარი პერსონაჟის – გუგუას, პროტოტიპი ყოფილა.

გიორგი ნათაძის ცნობით: –

ციკო და მისი მომტაცებელი, ზალიეთ ვასკა („გუგუა“), ოციან წლებში – ცოცხლები იყვნენ და კავკავში ცხოვრობდნენ.

ციკო მომტაცებელს წაართვეს – რადგან მასთან შეუღლება არ ისურვა;

ვასკამ – ძალა არ დაატანა და გაუშვა.

„კავკავში ისინი ერთ ქუჩაზე ცხოვრობდნენ“: –

„ხვდებიან ერთმანეთს ერთი მთიდან ჩამოფრენილი ბებერი არწივები და კარგი ნაცნობებივით კეთილ სალამს არ ულევენ ერთმანეთს“ (საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 13185).

პროფ. ვანო შადურის ცნობით: –

ვასკას შვილს, ალექსანდრე ჩოფიკაშვილს (1888-1961), მიმზიდველი და ლაზათიანი გარეგნობა ჰქონდა. მოხდენილი ტანის იყო; ყოველთვის ჩოხა-ახალუხში კოხტად გამოწყობილი დადიოდა. ბარიტონის სასიამოვნო ტემბრით – ხალისიანი, „ყინჩი“ ლაპარაკი იცოდა.

კავკავში ცხოვრობდა და საამქროების უფროსად მუშაობდა.

ამქრებს უფროსად აურჩევიათ – როგორც საუკეთესო ოსტატი და ამხანაგი.

კავკავში მცხოვრებ ქართველებს – ხშირად უწევდა მატერიალურ დახმარებას.

ალექსანდრე ჩოფიკაშვილის ვაჟი, ვანო შადურის მიხედვით – „ოქროს ვაშლი“ (ანუ, მისი პატარა – დაობლებული დისშვილი), კავკავიდან ყაზბეგში ამოიყვანეს და მასთან ერთად იზრდებოდა.

ნათლობისას – პაპის სახელი, ვასილი შეარქვეს – მაგრამ ყველა ვალოდიას ეძახდა.

ბ-ნი ვალოდია ცნობილი პიროვნება გახლდათ საქართველოში: –

1956 წლის 9 მარტს განვითარებული მოვლენების დროს, გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მსახურობდა.

მოსკოვიდან ჩამოსული გენერლები – სტალინის სამშობლოშიც იარაღის გამოყენებით აპირებდნენ – მრავალათასიანი მომიტინგეების დაშლას.

ვ. ჩოფიკაშვილმა, როგორც ქალაქის თავკაცმა, თავის თავზე აიღო უდიდესი პასუხისმგებლობა – უსისხლოდ მოახერხა ურთულესი სიტუაციის განმუხტვა.

ბ-ნი ვალოდია სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზეც მსახურობდა: –

სხვადასხვა დროს ეკავა ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობები. იყო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი... მისი, როგორც ყაზბეგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წამყვანი წევრის გამოცდილებას, ავტორიტეტსა და გავლენას – ხშირად იყენებდნენ ხევის საკეთილდღეო საქმეების მოსაგვარებლად...

დიდი მორიდებით (პიეტეტით) ვიხსენებ ბ-ნ ვალოდიასთან ჩემს პირად შეხვედრებს და ურთიერთობას – დაკავშირებულს შემდეგ გარემოებასთან: –

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს შენობამ – პროექტით გათვალისწინებული შესაძლებლობები ამოწურა.

დღის წესრიგში დადგა მისი რეაბილიტაცის საკითხი – რაც ძალზე სერიოზულ ფინანსირებას მოითხოვდა (საერთო ჯამში: რესპუბლიკის მასშტაბით – რამდენიმე ახალი საავადმყოფოს მშენებლობის ტოლფასს).

ბ-მა ედუარდ შევარდნაძემ – სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაავალა საჭირო რესურსების მოძიება.

აღნიშნულმა პრობლემამ დამაკავშირა ბ-ნ ვალოდიასთან.

ქვეყნის პირველი პირის მხარდაჭერით ეიფორიაში მყოფი – თავისი გულწრფელი და გონივრული თანადგომით, სწორ გზაზე დამაყენა.

ერთობლივად შევიმუშავეთ ოპტიმალური ვარიანტი და რეაბილიტაციის პროცესიც გეგმაზომიერად დაიწყო.

*

ცნობილი პიროვნება გახლდათ ქ-ნი ელენე ჩოფიკაშვილი – საქართველოს კპ ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი, თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე – ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე – ხევზე მზრუნველი და მოამაგე ქალბატონი.

ვიცნობდი ჩემი მეგობრის – მისი სიძის, თემო პეტრიაშვილისგან.

ალიბეგაშვილები

გვარსახელი, დიდი ალბათობით, მამაკაცის საკუთარი სახელიდან – ალიბეგადან, უნდა მოდიოდეს, რომელიც ორი ფუძისგან შედგება: – ალი (ცეცხლი) და ბეგა (ბეგი, ბატონი).

სტეფანწმინდის ერთ-ერთი ძირძველი, დიდი გვარია, რომელიც (სავარაუდოდ, XVIII ს-ის დასასრულს) ოთხ განაყრობად დაიყო: „ხოტენი," „ყაზგერენი," „ხვიენი," და „ცაცვენი."

უფრო მოგვიანებით, მათ კიდევ გამოეყო ორი მამიშვილობა – „მაქსიმენი და ქოჩორენი".

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში, ალიბეგას შვილების 4 კომლი სახლობდა: –

ალიბეგას შვილი ვარძუკა, ივანე და გიორგი;
ალიბეგას შვილი ბერი, ბუსა და ჩია;
ალიბეგას შვილი იაა და ატა;
ალიბეგას შვილი ყაზგერი, ხუაა და გიორგი.

1781 წელს, სტეფანწმინდაში აღრიცხული 43 კომლიდან – 7 ალიბეგას შვილი იყო, კერძოდ: –

ალიბეგას შვილი ვარძუკა,
ალიბეგას შვილი ივანე,
ალიბეგას შვილი ბუსა და ივანე,
ალიბეგას შვილი პაპა,
ალიბეგას შვილი იაა და ატა,
ალიბეგას შვილი ყაზგერი, გიორგი და ხუა,
ალიბეგას შვილი ხუა.

1886 წლის აღწერით სტეფანწმინდაში მოხსენიებულნი არიან: –

№ 72, ალბეგაშვილი სიმონ ივანეს ძე – 58 წლის. მისი შვილები: 1. მაქსიმე – 33 წლის. 2. ყაზიხანი – 23 წლის. 3. დავითი – 18 წლის.

№ 73, ალბეგაშვილი იოსებ გლახას ძე – 32 წლის. მისი შვილები: 1. ალექსანდრე – 8 წლის. 2. მიხეილი – 5 წლის. იოსების ძმა, იაკობი – 24 წლის. იაკობის შვილები: 1. ივანე – 4 წლის. 2. გაბრიელი – 1 წლის.

№ 74, ალბეგაშვილი გიორგი ბიჭის ძე (Бичиев) – 51 წლის. მისი შვილები: 1. სიმონი – 28 წლის. 2. ივანე – 20 წლის. 3. ნიკო – 12 წლის. სიმონის შვილი, გიორგი –

3 წლის.

№ 75, ალბეგაშვილი დავით ანდრიას ძე – 40 წლის. მისი შვილები: 1. მიხეილი – 20 წლის. 2. იოსები – 15 წლის. 3. გიორგი – 6 თვის. დავითის ძმა, გრიგოლი – 26 წლის. გრიგოლის შვილები: 1. ლევანი – 9 წლის. 2. ნიკოლოზი – 7 წლის. 3. ვანო – 5 წლის.

№ 76, ალბეგოვი იოსებ გრიგოლის ძე – 32 წლის. მისი შვილი, გიორგი – 4 წლის.

№ 86, ალბეგაშვილი გლახა ბიჭიკოს ძე – 60 წლის. მისი შვილები: 1. ივანე – 25 წლის. 2. გიორგი – 15 წლის. 3. სოლომონი – 13 წლის.

№ 87, ალბეგაშვილი გიორგი ბერის ძე – 64 წლის. მისი შვილები: 1. მოსე – 31 წლის. 2. დიმიტრი – 24 წლის.

№ 88, ალბეგაშვილი იოსებ ბიჭიკოს ძე – 84 წლის. მისი შვილები: 1. სიმონი – 38 წლის. 2. გრიგოლი – 35 წლის. სიმონის შვილები: 1. მიხეილი – 12 წლის. 2. გიორგი – 9 წლის. გრიგოლის შვილები: 1. სტეფანე – 10 წლის. 2. დათიკო – 6 თვის.

№ 89, ალბეგაშვილი ბიჭილა ელბერდის ძე – 65 წლის. მისი შვილები: 1. იოსები – 42 წლის. 2. ალექსი – 35 წლის. ალექსის შვილი, იაგორი – 12 წლის.

№ 90, ალიბეგაშვილი ალექსი ბიჭიკოს ძე – 80 წლის. მისი შვილთაშვილები: 1. კოტე – 25 წლის. 2. სანდრო ივანეს ძე – 2 წლის.

*

ხევის მოჭირნახულე ადამიანთა შორისაც კი, გამორჩეული გახლდათ – სტეფანე ალიბეგაშვილი.

სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად მისი დანიშვნა – მუზეუმის დამაარსებლის, პოეტ ტიციან ტაბიძის რეკომენდაციით მოხდა.

„თავის კუთხეზე, თავის ხალხზე, თავის ისტორიასა და თანამდებობაზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება... რომ იტყვიან, სწორედ სამუზეუმო საქმისათვის იყო დაბადებული...“ „არაერთხელ ჰქონდა ხევის სოფლები ფეხით მოვლილი... რუდუნებით აგროვებდა ყველა საინტერესო ნივთს, საგანსა თუ მასალას – რაც წარმოაჩენდა მოხევეთა ყოფას, ზნე-ჩვეულებას, ადათებს... რათა დროს არ წაეშალა ამ მრავალფეროვანი და მომხიბლავი კუთხის ამსახველი გარეგანი და შინაგანი სახე.“ „ძნელია იმის გადმოცემა, თუ რანაირი სიყვარულით ევლებოდა თავს სამუზეუმო ექსპონატებს, როგორ უფრთხილდებოდა მათ...“ „გასაოცარი ალღო ჰქონდა – სამუზეუმოდ რაიმე ღირებულის მიგნებისა...“

„ხევის მეორე საამაყო კაცთან – არჩილ კობაიძესთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში“ (მანონი გომიაშვილი და ნათია ფიცხელაური, ხევის მატიანე, 2016 წ.).

*

ალიბეგაშვილების გვარმა ბევრი ღირსეული წარმომადგენელი მისცა სრულიად საქართველოს: –

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი – შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის, ქანდაკებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების გამორჩეული სპეციალისტი – გაიანე ალიბეგაშვილი;

საქართველოს დამსახურებული არტისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატო-

რიის პროფესორი, მრავალი კონკურსის ლაურეატი კომპოზიტორი – როდენ ალიბეგაშვილი;

ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოღვაწეობდა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი. იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო დარგში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივესიტეტის პროფესორი. ასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი ხელმძღვანელობით მზადდება სამაგისტრო ნაშრომები და სადოქტორო დისერტაციები. 2017 წლიდან საქართველოს ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარე გახლდათ.

ცნობილი მომღერალი – სოპრანო, ხევის კოლორიტის სერგა მარსაგიშვილის შვილიშვილი, იანო ალიბეგაშვილი – იტალიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მონაწილეობს მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრების დადგმებში.

ლელა ალიბეგაშვილი – რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის წამყვანი მსახიობია. მიღებული აქვს პრემიები: – „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოები“ – ლილიენის როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „საშობაო სიზმარი;“ ნიას როლისათვის – სპექტაკლში „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი;“ რუსთავის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიღებული აქვს „ოქროს ნიღბის“ პრიზი – ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის...

ნანა ალიბეგაშვილი – კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანების მხატვრი გახლდათ.

ბიოლოგი-გენეტიკოსი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის კათედრის დოცენტი – მანანა ალიბეგაშვილი, 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ტარიელ ალიბეგაშვილი – საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი და მსოფლიოს III პრიზიორი გახლდათ – თავისუფალ ჭიდაობაში.

ვალიკო ალიბეგაშვილი – ცნობილი სპორტსმენი-ველოსიპედისტი იყო.

ხეთაგურები
(ყუთუზენი, სიენი, კოტიენი)

ვახტანგ ითონიშვილის ცნობით: –

„ხეთაგურები თექთურმანიძეების შთამომავალნი არიან. გვარის შეცვლა უკავშირდება ერთ-ერთი ეპონიმის ხეთაგ თექთურმანისძის სახელს, რასთან დაკავშირებითაც ფეხი მოიკიდა მცდარმა ვერსიამ, თითქოს ხეთაგურები ოსური წარმომავლობის არიან. სინამდვილეში მხოლოდ ფონეტიკური მსგავსებაა ოსურ გვარს ხეთაგუროვსა და მოხევე ხეთაგურს შორის. თვით ოსური გვარი ხეთაგუროვი წარმომავლობით ყაბარდოულია – როგორც ამის შესახებ წერდა ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი კოსტა ხეთაგუროვი.“

თექთურმანიძეები – შუა საუკუნეებში, ხევის მეპატრონენი (გამგებლები) ყოფილან, რომლებიც არაგვის ერისთავების წინაპრებმა ამოწყვიტეს.

როგორც ხალხური მეხსიერებით, ისე ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება რომ: – ვახტანგ VI-ის დროს (1675-1737 წ.წ.) – ხეთაგურებს ხევის რამდენიმე სოფელზე ბატონობის შესაძლებლობა მისცემიათ.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ერთ-ერთ ბრძოლაში გამარჯვება, მოწინააღმდეგეთა წინასწარი შეთანხმებით, იმ მხარეს უნდა დარჩენოდა, ვისი მეომარიც – სამიზნედ დაყენებულ დანის პირს – ტყვიას მოარტყამდა.

ლეკის ტყვიას – სამიზნე დანა გაუფხაჭნია.

ვახტანგ მეფეს შეჯიბრში გამოუყვანია იასე ხეთაგური.

მისი ნასროლი ტყვია – დანას ზუსტად შუაზე გაუჭრია.

გამარჯვებული იასესთვის მეფეს აზნაურობა და სოფლები უძლევია – „სიონ-გარბანი და თოთის მთა-ბარი.“

ხევის კანონი მეთემის წოდებრივ აღმატებულებას ვერ ჰგუობდა და უარი უთქვამს ვაჟკაცს: – არც ბატონობა მინდა, არც ვინმეს ყმობაო – განუცხადებია და სანაცვლოდ, თავისი თხოვნა შეუბედავს მეფისთვის: –

ყოველ ახალწელს, ხევისბერები როცა გერგეტის სამებიდან წმინდა ნინოს ჯვარს სტეფანწმინდაში ჩამოაბრძანებენ – ჯერ ჩემ კართან დაასვენონ და ახალი წელი – პირველად, ხეთაგურებს მიულოცონო.

ასეთი პატივი მეც არა მაქვსო, უთქვამს მეფეს – მაგრამ თხოვნა შეუსრულებია.

საისტორიო წყაროების მიხედვით: –

სამეფო ხელისუფლების წინაშე დამსახურებისათვის – თექთურმანიძეებს (კურდღელას, იასეს, პაპას, ბერის, ივანეს და ანგვიშტუყოს) – ვახტანგ მეექვსემ (1732 წლის 9 თებერვალს გაცემული სიგელით) – ყოველწლიური ჯამაგირი უწყალობა 33 მარჩილის სახით.

ორი წლის შემდეგ, ბაქარ მეფის მიერ – იასე და პაპა თექთურმანიძეების სახელზე გაცემული სიგელიდან ირკვევა, რომ – მეფემ მათ განუახლა „ნაქონი სოფლების – სიონისა და გარბანის პატრონობა და – თუ ააშენებდნენ თოთისაც.“

სიტყვა „ნაქონი“ იმის მაუწყებელია, რომ – აღნიშნული სოფლები, „სიგელის გაცემამდეც – თექთურმანიძეებს ეკუთვნოდა.“

აღნიშნულიდან გამომდინარე: –

„გაუმართლებელია მთხრობელთა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, თექთურმანიძეებმა, ხელისუფლების მიერ სოფლების წყალობაზე – უარი თქვეს და მხოლოდ გერგეტელი დეკანოზების მიერ ხეთაგურების დამწყალობნებას დასჯერდნენ.“

როგორც ჩანს: – მათ „სამეფო ხელისუფლების წყალობაც მიიღეს და დეკანოზების მიერ დამწყალობნების უფლებაც აღისრულეს“ (ვახტანგ ითონიშვილი, „ნარკვევები არაგველთა ისტორიიდან“, 2006 წ. გვ. 94-109).

*

XVIII საუკუნის აღწერებში ხეთაგურები ხეთაგიძეებად არიან ჩაწერილები.

1774 წელს – სტეფანწმინდაში მათი 5 კომლი სახლობდა: –

ხეთაგიძე ყაწილას შვილი სედან და თამაზა;

ხეთაგიძე ელალდის შვილი მაჩინა;

ხეთაგიძე პაპას შვილი ანგუსთუყო და გულა;

ხეთაგიძე იასეს შვილი ივანე, ჩია და ისე;
ხეთაგიძე გივის შვილი ივანე.
1781 წელს აღირიცხნენ: –
ხეთაგიძე თამაზა და სედან;
ხეთაგიძე მაჩინა და ბერუა;
ხეთაგიძე ანგუსთუყო, გულა, ისე და ბერა.
ხეთაგურის გვარი 1860 წლიდან ჩნდება.
1886 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში მოხსენიებულნი არიან: –
№ 54, ხეთაგური იოსებ ჩიას ძე, 43 წლის; მისი შვილები: – გაბრიელი – 33 წლის, გიორგი – 26 წლის.
№ 55, ხეთაგური გლახა გოგიას ძე – 24 წლის.
№ 56, ხეთაგური იასე შიოს ძე, 58 წლის; მისი შვილები: გლახა – 29 წლის, საბა – 22 წლის, სოლომონი – 14 წლის, სტეფანე – 12 წლის; იასეს ძმისშვილი, იოსებ თომას ძე – 20 წლის.
№ 57, ხეთაგური გიორგი გრიგოლის ძე, 45 წლის; მისი შვილები: ნიკოლოზი – 18 წლის, იოსები – 16 წლის, იაკობი – 13 წლის, დიმიტრი 9 წლის, კოტე – 7 წლის; გიორგის ძმები: სიმონი – 22 წლის, იასე – 32 წლის, იოსები – 30 წლის, ივანე – 28 წლის, ესტატე – 26 წლის, მიხეილი – 19 წლის; სიმონის შვილი, ნიკო (ასაკი მითითებული არ არის; ცხოვრობენ ქ. ვლადიკავკაზში).
№ 58, ხეთაგური შიო გიორგის ძე (ბრმა) – 47 წლის; მისი შვილი, გიორგი – წლინახევრის.
№ 95, ხეთაგური შიო იოსების ძე, 35 წლის; მისი შვილები: ნიკოლოზი – 6 წლის, ესტატე – 3 წლის, ვლადიმერი – 6 თვის.
ხეთაგურები სახლობდნენ სოფ. გარბანშიც, სადაც „ყუთუზეთ“ სახელით მოიხსენიებდნენ.
1774 წლის აღწერაში ისინი ყუთიაურის გვარით არიან ჩაწერილები („ყუთიაური დავითის ობოლი გიორგი და ელისბარ“).
1781 წელს მოხსენიებულია: – „ყუთუზასშვილი გიორგი და ელისბარ“.

საახალწლო დამწყალობნების რიტუალი გერგეტსა და სტეფანწმინდაში

რელიგიური დღესასწაულები – ხევში შესაბამისი თანამიმდევრობით სრულდებოდა.
განსაკუთრებული ტრადიციულობით გამოირჩეოდა სათემო ახალწლობა, რომელიც ყველა ოჯახის, გვარის და სოფელის დღეობა იყო.
იმართებოდა სოფ. გერგეტში.
ახალი წლის წინა ღამეს დეკანოზები წმინდა სამების ტაძარში მიდიოდნენ; მიჰყავდათ ორი კვირის ხბო. მოილოცავდნენ და ხბოს დაკლავდნენ.
განთიადისას – მას შემდეგ, რაც კულტის მსახურნი სალოცავიდან ხატებს გამოაბრძანებდნენ – თემის დეკანოზების მიერ დაკლული რვა ჭედილის შემდეგ, ჩონიაშვილები მეცხრე ჭედილას კლავდნენ. ისინი – ადრე, საეკლესიო მამულზე ცხოვრობდნენ (სოფ. ქობში); გერგეტელები მათგან ყალანს ღებულობდნენ – რომელიც

„ერთი დიდი სახმთო აღაპობა იყო“ და – ეს პროცესი ჩონიაშვილების ფანშეტში გადასახლების შემდეგაც გაგრძელდა.

ახალწლის დილას, პროცესია – ხატებითა და დროშებით, სოფელ გერგეტთან ჩამოდიოდა.

„სოფლის თავში“ – „ნაბულთ ბანზე“ ხატებს დააბრძანებდნენ და გერგეტელებს ულოცავდნენ ახალ წელს.

როცა კარგად ინათებდა – მთელი სოფელი იქ იყრიდა თავს;

მოიტანდნენ ტკბილეულს, ნამცხვარს, ხილის, პურ-ღვინოს, არაყს – ვისაც რისი შესაძლებლობა ჰქონდა.

მიცვალებულთა პატრონები „ხილიანით“ (ხილით, ტკბილეულით) და „კუტაბით“ (ერბოში მომწვარი გულიანი კვერებით) მიდიოდნენ.

დეკანოზები „საწირს იღებდნენ“; გარდაცვლილთა სულების გადასარჩენად – შენდობას შესთხოვდნენ მამაზეციერს და ტკბილეულს მაღლიდან აყრიდნენ შეკრებილ ხალხს.

მზის სხივი როცა მყინვარს გაანათებდა – „დამწყალობნება იწყებოდა;“

ხატით ხელში მდგარი დეკანოზი – ასეთი სიტყვებით მიმართავდა საყმოს: –

„ღმერთო, წმინდაო სამება, ღვთისმშობელო, წმინდაო გივარგი, ბეთლემის ყველაწმინდაო, ნინოწმინდაო, ბედრიანო – შენი წყალობა მოუტანე ჩვენს თემობასა, ჩვენს სოფლობასა; მოუმართე ხელი კარს გასულსა და შაწუხებულსა; შენი კალთა დააფარე შენს მახვეწართა... უპატრონე და უწინამძღვრე, ამინ!“

„წმინდაო სამებაო, შენ შეეწიე, ვისაც ღმერთისთვისაცა, სოფლისთვისაცა, კაცისთვისაცა და თემობისთვისაც კარგი უკეთებია, ვისაც შეცივებული გაუთბია, მშიერი გაუძღია, ვისაც ობოლ-ქვრივისთვის დახმარება გაუწევია და მადლი მოუსხია...“

„სულსა იმათას შაუნდოს, ვინც შანდობას მეელის; დამრჩოთ იმათას სწყალობდე, წმინდაო სამებაო, ამინ!“

„წმიდის სამების საძირის გასათხრელად – პირველად, ხურთიელ ბაჩხიძეს დაუკრია თოხი და ოფლი მოუწურია; სულსა იმისას შაუნდე, მოდგმას იმისას სწყალობდე, ამინ!“

„ღმერთო! წმინდაო სამებაო, ყინვრის წმინდა გივარგიო, ოხარეშთ წმინდა გივარგიო, ბეთლემის ყველაწმინდაო, ვინც წმინდის სამების კართ ფეხიშველი გასულა, სამხთო და შასაწირი გაუწირია, მეფისა და საქართველოს ბედრივნობა და დღეგრძელობა უთხოვია – ნამუსისა და ქოყნის არ წახდენას შეღვედრებია – სულს იმათას შაუნდოს და დამრჩოთ იმათას სწყალობდე, ამინ!“

„შენი მადლისა და სახელის ჭირიმე – ვინც თავის მოძმეთ არც ჭირჩი გაღქცევია და არც ლხინჩი, არც თავდადებაჩი და არც სახელის განთქმაჩი – ვინც არც მეფეს შჩვენებია ქუდლაფიანი, არც ხალხსა და მეზობელსა – სულს იმათას შაუნდოს და დამრჩოთ იმათას სწყალობდე, ამინ!“

„შენს მადლსა, წმინდაო სამებაო – შენ გეხვეწებიან მუხლის კვერას დამდგარი შენი ყმანი!“

*

საახალწლო დღეობის შემდეგი რიტუალი ითვალისწინებდა – სამების დეკანოზების (ხატ-დროშებით) სტეფანწმინდაში წვევას და ხეთაგურების გამორჩეულად დამწყალობნებას.

მეტად შთამბეჭდავი იყო მათი მისვლა-დახვედრის ტრადიცია: –

სამების ოთხი გერგეტელი დეკანოზი, 10 ღვაწლმოსილი მოხუცის თანხლებით – სტეფანწმინდისკენ გაემართებოდა.

მთელი სოფლი გამოდიოდა მათ დასახვედრად.

ყველა გზისთავთან ჩერდებოდა.

მხოლოდ ხეთაგურები მიდიოდნენ თერგის პირას;

წყალგაღმა შეჩერებული დეკანოზები – თავდაპირველად, იქიდან ამწყალობნებდნენ მათ.

აღნიშნულის შემდგომ – დეკანოზების პროცესია სტეფანწმინდა-გერგეტის დამაკავშირებელ ხიდზე გადადიოდა;

იქ ეგებებოდა ხეთაგურების დეკანოზი – რამდენიმე მოხუც თანმხლებ პირთან ერთად.

მთავარი გერგეტელი დეკანოზი იქაც დაამწყალობნებდა დამხვდურებს;

ხეთაგურები სამების ხატებს ეამბორებოდნენ და უკვე ყველა სტეფანწმინდელი (რომლებიც, მანამ – 100 საჟენის ზევით იდგნენ) – დიდების სიმღერით მიემართებოდნენ „ხეთაგეთ უბნისკენ“, სადაც – ნაეკლესიარზე, სამების ტაძრის „ახალწლის ნიში“ დგას.

ხეთაგურები მუხლმოყრილი ეგებებოდნენ სტუმრებს.

სამების ტაძრიდან ჩამოსულ მისიას ხელთ ჰქონდა მათი საახალწლო მილოცვისათვის განკუთვნილი საკვლევი პური.

გერგეტელი დეკანოზები ხატებს დააბრძანებდნენ; ნიშის თაროზე – ვახტანგ VI-ის ნაბოძებ სიგელს გაშლიდნენ... მთავარი დეკანოზი ახალწელს მიულოცავდა ხეთაგურებს და – ხალხს იასე თექთურმანიძის „განასაჯობას“ (დამსახურებას) შეახსენებდა.

აღნიშნულის შემდგომ, დეკანოზი – იმავე ნიშთან, ხეთაგურების საღმთო ცხვარს დაკლავდა და – „საკლევარით“ ხელში, მათ ოჯახებს შემოივლიდა – როგორც ახალი წლის მეკვლე.

გვარის უხუცესის სახლიდან იწყებოდა შემოვლა.

„საკვლევს“ ბოლო ოჯახში ტოვებდნენ;

ასეთი ტადიციული რიტუალის შემდგომ, ჯანღონით სავსე სამი ვაჟკაცი – საეკლესიო რელიკვიას მორიდებით ჩამოართმევდა დეკანოზებს და თავის საბრძანისში – გერგეტის სამებაში აბრუნებდა.

იწყებოდა საახალწლო დროსტარება...

*

ს. მაკალათიას ცნობით: –

მიხეილ ყაზბეგს უთხოვია ხეთაგურებისთვის – ახალწლის მოსალოცად ერთი დეკანოზი მაინც დამითმეთო;

უარი მიუღია: – „შენ რათ მოგცემთ მეკვლესა, შენ ჩინები და ბატონობა ირჩიე;

ჩვენს პაპასაც ბატონობა აძლიეს, მაგრამ თემს არ უღალატა და უარი თქვა-ო...“

ამბობენ რომ: ერთმა დეკანოზმა, გვარად ქისტაურმა – ახალი წელი მალულად მიულოცა ყაზბეგიანთ.

მოხევეებმა ხატი წაართვეს და კარგად მიბეგვეს.

ქავთარაშვილები
და
შადურები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

მოხევე ქავთარაშვილების და მთიული ქავთარაძეების წინაპარი ორი ძმა (გვარად ქავთარაძეები) – კაცის მკვლელობის გამო გამოქცეულან იმერეთიდან და მთიულეთში შეხიზნულან.

უმცროსი ძმა – მოგვიანებით, სტეფანწმინდაში გადმოსახლებულა და ქავთარაშვილად გამოუცხადებია თავი.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

შადურის გვარი – ქავთარაშვილების შტონაყარად ითვლება.

ვალ ითონიშვილის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: –

სტეფანწმინდელი ქუშაშვილების, ქავთარაშვილების და მათი გვარიდან გამოყოფილი შადურების საგვარეულო სალოცავი იყო წმინდა გიორგის ხატი.

ამ სამი გვარის ერთობის საფუძველს ისიც ქმნიდა, რომ მათი საცხოვრებელი სახლები ერთ მჭიდრო უბნად იყო განთავსებული.

მჭიდროდ დასახლებული გვარები არა მარტო ერთი ხატის ყმანი იყვნენ – მოსალოდნელ საფრთხეებსაც ერთობლივად უმკლავდებოდნენ.

ერთი ვერსიის თანახმად: –

არსებობს ქავთარაშვილების ჩოფიკაშვილებთან დამოყვრებით შექმნილი „ბადაის“ და „შადურაის“ შტო.

პირველის შთამომავლობა „ბადეთ“ სახელწოდებით არის ცნობილი და ქავთარაშვილობაზე ეწერებიან;

„შადურაის“ შტო – მათი თავკაცის სახელის გაგვარების შემდეგ, „შადურობაზე“ დაეწერა.

როგორც პროფ. ვანო შადური გვამცნობს: –

შადურები ესპანეთშიც ცხოვრობენ.

ლიტერატურული ვერსიის თანახმად: –

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მთავარ გმირს, გივი შადურსაც – „ესპანური სისხლი უდუღდა“.

*

ვანო შადურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

შადურების პატრონომიული სახელებია: გოდენი, ალოშკენი, კაჭუენი, კალიენი, ბუენი (იგივე შიბლიენი) და საჩიენი...

„1774 წლის აღწერაში შეტანილია შადურების წინაპრის „გოდესშვილის“ მხოლოდ

ერთი ოჯახი, მის უფროსად (მამამთავრად) დასახელებულია ყაზია, რომლის უმცროსი ძმები თუ შვილები ყოფილან ბეჟანი და მამა. როგორც ჩანს, ისინი ცხოვრობდნენ ერთად – სათემო, დიდ ოჯახად. შემდგომ მათი გამრავლება-გაყრისა და ინდივიდუალური ოჯახების შექმნის პროცესში წარმოშობილან ალოშკენი, კაჭუენი, კალიენი, ბუენი და საჩიენი. საერთოდ კი შადურების ოჯახთა რიცხვი ჩემი ბავშვობის დროს 12-14-ს არ აღემატებოდა."

სოფელიც პატარა იყო.

1774 წლის აღწერის მიხედვით, 51 კომლისაგან შედგებოდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში 60-70 კომლისაგან, ხოლო 1934 წელს 213 კომლი (969 სული) ყოფილა...

ამჟამად შადურების უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს.

„ამ 70 წლის წინ კი ისინი ბინადრობდნენ ყაზბეგის ორ უბანში: სოფლის ზემო ნაწილში – საჩიენი, შუა სოფელში – ალოშკენი, კაჭუენი, გოდენი, კალიენი და ბუენი."

„ასეთი თანამიმდევრობით იყო ჩამწკვრიებული მათი სახლები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ."

„ხევის სხვა სოფლების მსგავსად, ყაზბეგიც დასახლებული იყო ძირითადად საგვარეულო უბნებად (იყო ქუშაშვილების უბანი (ქუშეთი), ხაიკაშვილებისა (ხაიკეთი), კაზალიკეთი და სხვ.), თანაც იმდენად მჭიდროდ, რომ მეზობლებს ხშირად ერთი კედელი ყოფდა, ერთი საერთო ბანი და „დერეფანაი" ჰქონდათ..."

ვინაიდან სტეფანწმინდა დასახლებულია მთის ფერდობზე, რომელსაც დაქანება აქვს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (ყურის მთის მხრიდან თერგისაკენ), ჩვენი უბნისა და საერთოდ სოფლელების სახლების ფასადები მყინვარწვერს გაჰყურებდა..."

„ადრე, თურმე, ალოშკეთაც „გოდეთ" ეძახდნენ."

„ალოშკა გოდეთი – გიორგი და დიმიტრი ყაზბეგების მოურავი, თავის პატიოსნებით განთქმული მთელს ხევში, გარდაიცვალა 1888 წლის მკათათვეში..."

„ლიტერატურული წყაროები, ხალხური გადმოცემები და ლექსები მას ახასიათებენ როგორც მამაცობით, გამჭრიახი გონებითა და რაინდული ბუნებით განთქმულ ვაჟკაცს, საუკეთესო მონადირეს (ვანო შადური, ჩვენი საგვარეულოსა და ოჯახის შესახებ, 1987 წ.).

*

გოგი შადურის ცნობით: –

სოფელ გველეთის მოპირდაპირედ – თერგის მარჯვენა მხარეს მდებარეობს სათიბი მთა „დილო", რომელსაც შადურები მორიგეობით იყენებდნენ.

„დილოს გამეფდა შადური"-ო – გვამცნობს ხალხური ლექსი.

სტეფანწმინდაში კუთვნილი სახნავი და სათიბი ადგილები – შადურებს მომიჯნავედ ჰქონდათ: –

გოდეთ და ბუეთ ეკავათ სახნავი „ღეჯენაური";

„მაკარის კარი" – ბუეთ (შიბლიეთ ხუტუას და კაუჭას) ეკუთვნოდა.

*

რ. თოფჩიშვილის მთხრობელი (დუშეთის რაიონის სოფ. საშაბუროში მცხოვრები, არა აზნაურული წარმომავლობის შაბურიშვილი) ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: –

„ჩვენ მოხევეები ვართ. ეგრე იტყვიან ხოლმე ჩვენი მამა-პაპანი. ყოფილა ერთი მაგარი კაცი. აქ, ბოდორნასთან სადმე მომხდარა ბრძოლა. მაგრა უომია იმ კაცსა. შადურ ყოფილა. მეფეს მისთვის მამულები მიუცია ბაზალეთში. აქ დასახლებულა და შაბურიშვილის გვარი მიუღია... ბაგაში შაბურიშვილები ოც კომლამდე ვიქნებით. ჩვენი გვარის კაცი სხვაგან არსად მინახია. ძირითადად საშაბუროს ფარგლებში ვართ. ნაგლიანი, ბაგა და საშაბურო საერთოდ საშაბურო იყო წინათ“ (საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, 2002 წ. გვ. 38-39).

*

XVIII-XIX სს აღწერები ქავთარაშვილების და შადურების ურთიერთობასთან დაკავშირებით, ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: –

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში სახლობდა ქავთარაშვილების ორი კომლი: –

ქავთარაიძე ივანეს შვილი ბერა და გივი,
ქავთარაიძე ბერაი და გია.

ამავე წელს – სტეფანწმინდაში შადურების 3 კომლი აღირიცხა: –
შიბლიას შვილი ივანე და ატაი,
შიბლიას შვილი გიორგი,
გოდეს შვილი ყაზია, ბეჟან და მამა.

1781 წელს – დარეგისტრირდა ქავთარაშვილების – 1 და შადურების 5 კომლი: –
ქავთარას შვილი ბერა და გია,
შიბლის შვილი გულა, ატა და ბერი,
შიბლის შვილი გიორგი,
გოდეს შვილი ყაზია და გივი,
გოდეს შვილი ბეჟან და მამუკა,
საჩიას შვილი მამაი.

1804 წელს მოხსენიებულნი არიან: –
№ 7, გოგია ქავთარაშვილი,
№ 19, რუხა გოდაშვილი,
№ 23, ათა Шабларашвили,
№ 36, პეტრე შადოშვილი,
№ 38, Гула Шаблияшвили (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს აღირიცხნენ: –
№ 4, ბერი ქავთარაშვილი,
№ 9, გიორგი საჩიაშვილი,

№ 15, რუხა გოდეშვილი,
№ 16, კოზმანა გოდეშვილი,
№ 17, იასე გოდეშვილი (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წელს – სტეფანწმინდაში სახლობდნენ: –
№ 36, გოგია ქავთაროვი;
№ 41, ბერი საჩიევი – 30 წლის. მისი ბიძაშვილი, დავითი – 20 წლის.
№ 42, მამუკა საჩიევი – 39 წლის. მისი შვილი, გიორგი – 3 წლის. მისი ძმისშვილები: 1. ივანე – 13 წლის. 2. პეტრე – 8 წლის. 3. პავლე – 6 წლის.
№ 43, სია საჩიევი – 38 წლის. მისი ძმები: 1. იოსები – 30 წლის. 2. უძილა – 20 წლის.
№ 44, ბუა შიბლიევი, 30 წლის. მისი შვილი, გლახა – 10 წლის. ბიძაშვილი, გრიგოლი – 27 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს – დარეგისტრირდნენ: –

№ 38, **დორიჩა ქავთაროვი, იგივე შავდური** – 46 წლის; მისი შვილები: 1. შავხალი – 23 წლის 2. ბიძია – 19 წლის 3. ანდრია – 13 წლის 4. დემეტრე – 6 წლის.
№ 39, **მამუკა ქავთაროვი, იგივე შავდური** – 41 წლის; მისი შვილები: 1. გლახა – 7 წლის 2. იოსები, იგივე ბოდა (ბადა? ბადო?) – 4 წლის.
№ 45, დავით საჩიევი – 31 წლის. მისი შვილი, სიმონი – 2 წლის.
№ 46, მამუკა საჩიევი – 50 წლის. მისი შვილი, გიორგი, იგივე იოსები – 14 წლის.
№ 47, ივანე, იგივე ნანე საჩიევი, იგივე შავდური – 24 წლის. მისი ძმები: 1. პეტრე – 19 წლის 2. პავლე – 17 წლის.
№ 48, სია საჩიევი – 49 წლის. საცხოვრებლად გადავიდა ვლადიკავკაზში, 1845 წელს. მისი შვილი, ივანე – 3 წლის. ძმა, იოსები – 41 წლის. მისი შვილები: 1. თევდორე – 4 წლის. 2. გრიგოლი – 2 წლის.
№ 49, უძილა საჩიევი, იგივე შავდური – 31 წლის.
№ 50, ბუა, იგივე დავით შიბლიაშვილი, იგივე შავდური – 41 წლის. მისი შვილი, გლახა – 21 წლის.
№ 51, გრიგოლ შიბლიაშვილი, იგივე შავდური – 38 წლის.
№ 54, ბერი საჩიევი, იგივე შავდური – 41 წლის. მისი შვილი, ალექსანდრე – 4 წლის. ძმისშვილი, იოსები – 23 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

როგორც აღწერიდან ჩანს, ქავთარაშვილ-ქავთაროვები – უკვე, ორი გვარით: ქავთაროვით და შავდურით არიან ჩაწერილები.

მომდევნო (1860, 1873, 1886 წ.წ.) აღწერებში ქავთარაშვილები – საერთოდ აღარ ჩანან. შადურის გვარზე გადადიან და, დიდი ალბათობით, მხოლოდ XX ს-ში იბრუნებენ თავდაპირველ გვარს.

1860 წელს აღწერით – სტეფანწმინდაში მოხსენიებულია შადურის გვარზე გადასული ქავთარაშვილების 3 კომლი (№ 2, № 3 და № 4): –

№ 2, ლაზარე დავითის ძე შადური – 80 წლის;

№ 3, შავხალა დორიჩას ძე შადური – 35 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 7 წლის 2. ივანე – 5 წლის 3. თამაზი – 1 წლის. ძმები: 1. ანდრია – 28 წლის 2. დემეტრე – 25 წლის.

№ 4, გლახა მამუკას ძე შავდურიშვილი – 25 წლის; მისი ძმა, ბადო – 22 წლის.
არა ქავთარაშვილი შადურები არიან: –

№ 36, დავით გულას ძე შადური – 55 წლის; მისი შვილიშვილები, სიმონის შვილები: 1. ნონე – 10 წლის 2. იოსები – 2 წლის.

№ 37, დავით იოსების ძე შადური – 49 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 20 წლის 2. იოსები – 8 წლის 3. ანდრია – 5 წლის.

№ 38, გრიგოლ ნონეს ძე შადური – 40 წლის; მისი შვილები: 1. ავქსენტი – 12 წლის 2. გიორგი – 10 წლის.

№ 39, მარტია გიორგის ძე შადური – 50 წლის; მისი შვილი, ივანე – 6 წლის.

№ 40, იოსებ ნონეს ძე შადური – 35 წლის; მისი შვილი, შიო – 15 წლის.

№ 41, ალექსანდრე ბაის ძე შადური – 22 წლის.

№ 44, ივანე კოზმას ძე შადური – 40 წლის; მისი შვილები: 1. ანდრია – 17 წლის 2. ბესარიონი – 7 წლის 3. მოსე – 4 წლის 4. ანტონი – 3 წლის; ივანეს ძმები: 1. პეტრე – 31 წლის 2. ივანე – 30 წლის.

№ 45, უძილა გიორგის ძე შადური – 50 წლის.

№ 92, იოსებ მამუკას ძე შადური – 30 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

1873 წელს – აღირიცხა შადურის გვარზე გადასული ყოფილი ქავთარაშვილების 2 კომლი (№ 2 და № 3): –

№ 2, ანდრია დორიჩას ძე შადური – 38 წლის; მისი ძმა, დიმიტრი – 36 წლის; დიმიტრის შვილი, ესტატე – 8 წლის; სხვა ძმების შვილები: 1. სიმონი – 20 წლის 2. ივანე – 18 წლის 3. თამაზი – 14 წლის 4. გრიგოლი – 10 წლის.

№ 3, გლახა მამუკას ძე შადური – 35 წლის; მისი ძმისშვილი, პავლე მიხეილის ძე – 8 წლის.

არა ქავთარაშვილი შადურები არიან: –

№ 36, გიორგი ნანიას ძე შადური – 53 წლის; მისი შვილები: 1. ალექსი – 25 წლის 2. გიორგი – 23 წლის.

№ 37, იოსებ ნანის ძე შადური – 48 წლის; მისი შვილები: 1. შიო – 28 წლის 2. სიმონი – 6 წლის.

№ 38, ალექსანდრე ბაის ძე შადური – 35 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 7 წლის 2. ლევანი – 4 წლის.

№ 96, ივანე იოსების ძე შადური – 11 წლის.

№ 105, გიორგი იოსების ძე შადური – 34 წლის (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წელს – მოხსენიებულია შადურის გვარზე გადასული ქავთარაშვილების 3 კომლი (№ 2, № 3 და № 4): –

№ 2, შადური ანდრია დორიჩას ძე – 50 წლის; მისი შვილები: 1. მიხეილი – 12 წლის 2. ილიკო – წლინახევრის; ანდრიას ძმა დიმიტრი – 48 წლის; დიმიტრის შვილები: 1. ესტატე – 20 წლის 2. ნიკალაი – 6 წლის 3. სტეფანე – 5 წლის.

№ 3, შადური სიმონ ზაქარიას ძე – 32 წლის; მისი შვილი კოტე – 1 წლის; სიმონის ძმები: 1. ივანე – 30 წლის 2. მიხა – 26 წლის 3. გიგოლო – 19 წლის.

№ 4, შადური ბადა მამუკას ძე – 47 წლის; მისი შვილები: 1. დათიკო – 4 წლის 2.

იაგორი – 2 წლის; ბადას ძმისშვილი, პავლე მიხეილის ძე – 20 წლის.

არა ქავთარაშვილი შადურები არიან: –

№ 45, შადური ანდრია ივანეს ძე – 30 წლის; მისი ძმები: 1. ბესო – 20 წლის 2. მოსე – 17 წლის; ანდრიას შვილი, სპირიდონი – 6 თვის (ცხოვრობენ ვლადიკავკაზის ოლქის ტარცკის დასახლებაში).

№ 46, შადური სიმონი პეტრეს ძე – ასაკი მითითებული არ არის; „აღწერის დროს არ იმყოფებოდა ადგილზე".

№ 106, შადური ივანე იოსების ძე – 23 წლის.

№ 115, შადური გაგოლი იოსების ძე – 44 წლის (ცხოვრობს ერთ კომლად ზაქრო ჯამარჯაშვილის ოჯახში (№103).

№ 136, შადური სიმონ დავითის ძე – 39 წლის; მისი შვილი, ივანე – 10 წლის; სიმონის ძმები: 1. **იოსები – 34 წლის** 2. ანდრია – 27 წლის; იოსების შვილი, ილარიონი – 3 წლის; ანდრიას შვილი ნიკოლოზი – 6 წლის.

№ 137. შადური ივანე გლახას ძე – 35 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 8 წლის 2. ალექსანდრე – 2 წლის 3. ივანე – 6 თვის; ივანეს ძმა, იოსები – 27 წლის.

პავლე კოზმას ძე შადურის „ოჯახი ამოწყდა" (სცსა, ფონდი 254, აღწერა 3, დოკუმენტი №1818).

*

შადურებმა და ქავთარაშვილებმა ბევრი ღირსეული მამულიშვილი მისცეს სრულიად საქართველოს: –

სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად – 1918 წლის გაზაფხულზე, რუსი და ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა – იმ პერიოდის ხევის ერთ-ერთი თავკაცი და აღნიშნული ბრძოლების მემატიანე – სიმონ (მოხეურად – სვიმაი, სვიმანაი) იოსების ძე შადური. დროის კვალობაზე, ფრიად განათლებული და გონიერი მთისკაცი (იხ. წინამდებარე წიგნში: – „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დარიალის დაცვა 1918 წლის გაზაფხულზე").

თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია," „ცნობის ფურცელი") – პირადი ნაცნობობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, ვაჟა-შაველასთან, პეტრე უმიკაშვილთან, კოსტა ხეთაგუროვთან და ბევრ სხვა საზოგადო მოღვაწესთან.

ჰყავდა ათი შვილი – ექვსი ქალი და ოთხი ვაჟი.

როსტომმა ლენინგრადის ინდუსტრიული ინსტიტუტი დაამთავრა – თეორიული ფიზიკის განხრით. მუშაობდა – თბილისში, ფიზიკის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად; გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად; რესპუბლიკის უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამმართველოს უფროსად; საქართველოს ხელისუფლების პირველი პირის – კ. ჩარკვიანის თანაშემწედ; სათავეში ედგა საქართველოს ხელოვნებათა სამმართველოს; იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნი; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

1947 წელს აირჩიეს ხევის დაპუტატად;

1951 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

*

ლიტერატორი ვანო შადური (როსტომის ძმა) – მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ყაზბეგის სახალხო უნივერსიტეტის პირველი რექტორი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე გახლდათ; სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი დიდი რუსი მწერლების კავკასიური ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლაში.

სიცოცხლის ბოლომდე დაუღალავად იღწვოდა;

მომავალ თაობებს დაუტოვა ფუნდამენტური ნაშრომები.

ორივე ძმას – გულთან მიჰქონდა ხევის სატკივარი.

ბევრი კარგი საქმე კეთდებოდა მათი თანადგომით, მაგრამ – მავანმა ვერ გაიხარა სხვისი სიკეთით, სხვისი ნიჭიერებით.

გამოჩნდნენ მოენეები, რომლებმაც შესაბამის სამსახურს „შეახსენეს“ სიმონ შადურის ბრძოლა – საქართველოს დამოუკიდებლობას.

დაიწყო მისი შვილების დევნა-შევიწროება.

მხოლოდ შემთხვევით გადავურჩნენ ძმები – ფიზიკურ განადგურებას.

*

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ბ-ნ ვარლამ შადურთან ერთად – ერთ სამთავრობო კომისიაში მომიწია მუშაობამ.

ვხვდებოდი ხშირად, მაგრამ არაოფიციალური დაკონტაქტება – მერიდებოდა.

ერთხელ, როკის გვირაბის მშენებლობიდან დაბრუნებულმა – შინაგან საქმეთა სამინისტროს „მრისხანე“ გენერალმა (მინისტრის პირველმა მოადგილემ) – მკლავზე ხელი მომკიდა, ცალკე გამიხმო და საკმაოდ ფამილიარულად მითხრა: –

როკის გვირაბის მშენებლობა – კარგს არაფერს მოუტანსო ჩვენს ხალხს.

შევცბი!

საბჭოთა გენერლის მუნდირში – უცებ, ქართველი კაცი დავინახე.

*

იმ პერიოდში მოღვაწე „თანამდებობის პირებს“ – დღეს, თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში – ბევრი, რბილად რომ ვთქვა, უნიჭო ირონიით ამკობს.

„წითელი დირექტორობა,“ ისევე როგორც „წითელი ინტელიგენცია“ – უნიჭო პოლიტიკანების სიტყვამრუშობაა.

იმ ადამიანების ღირსეული ნაწილი – ქართულ საქმეს აკეთებდა; ქართველი ხალხის გვერდით იდგა; მისი ჭირის და ლხინის უფალი იყო;

ჭეშმარიტი ოჯახიშვილობის და მამულიშვილობის მაგალითს იძლეოდა.

*

ბ-ნი არჩილ შადური დუშეთში გავიცანი, სადაც რაიკომის პირველ მდივნად მსახურობდა.

ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული როგორც დუშეთის, ისე ყაზბეგის რაიონში.

სტეფანწმინდის ცენტრში მდგარი ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი (ავტორი ირაკლი ოჩიაური) მისი თაოსნობით არის აღმართული...

თბილისში მეზობლად ვცხოვრობდით.
შესანიშნავი ადამიანი იყო – კაცთმოყვარე, თავმდაბალი, სასიამოვნოდ მოუბარი. სიცოცხლის ბოლო წლებში, ფეხით შეუყვებოდა ხოლმე საირმის ქუჩის აღმართს. ფიზიკური დატვირთვით ებრძოდა სიბერეს...
ღირსეული შვილები დატოვა: –
მანანასთან ერთად გავატარე სტუდენტობის წლები;
მარინას ოჯახთან ვმეგობრობ;
გივი – კაცის კაცობის ეტალონია.

*

საოპერო მომღერალი – ნანა ქავთარაშვილი (მირიანი), იტალიაში მოღვაწეობს. მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრებში მღერის.

დემურ ქავთარაშვილი – ცნობილი სპორტსმენი: 1965 წლის სსრკ-ს II პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში; 1966 წლის სსრკ ჩემპიონი. 1968 წელს სსრკ სტუდენტთა უნივერსეტიადის ჩემპიონი; 1969 წელს ულან-ბატორის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული – ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ყაზბეგის რაიონის მთავარი ექიმი გახლდათ.

ცნობილი სპორტსმენი-რაგბისტი – არჩილ ქავთარაშვილი: საქართველოს ორგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია შვიდკაცაში; საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი იყო; ორგზის ერთა თასის მფლობელი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილე...

ბევრ ცნობილ ქართველ რაგბისტს გაუკვლია გზა საზღვარგარეთ.

ქირიკაშვილები და გომიაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ქირიკაშვილები და გომიაშვილები – ერთი მამიდან მოდიან.

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში, ქირიკაშვილების ორი და გომიაშვილების ერთი კომლი სახლობდა: –
ქირიკას შვილი ღუღია და გოგია.
ქირიკას შვილი პაპუა და გიორგი.
გომიას შვილი ბერი და ივანე.
1781 წელს აღირიცხნენ: –
ქირიკას შვილი გოგია, პაპუა და ნასყიდა.
ქირიკას შვილი პაპუა.
ქირიკას შვილი გიორგი და პოპუა.
გომიას შვილი ბერი და ივანე.
1816 წელს დარეგისტრირდნენ: –
ნასყიდა ქირიკაშვილი, გოგი ქირიკაშვილი, მამუკა გომიაშვილი, ბიასლან გომიაშვილი და გიორგი გომიაშვილი.
1831 წელს მოხსენიებულნი არიან: –
№ 23, ბერი ქირიკოვი – 40 წლის; მისი შვილები: 1. პაპა – 15 წლის 2. გიორგი – 8 წლის 3. ივანე – 6 წლის. მისი ძმა, პეტრე – 38 წლის.

№ 24, დავით ქირიკოვი – 30 წლის; მისი ძმა, ივანე – 20 წლის; მათი ბიძა, ივანე – 60 წლის; ივანეს შვილი, სიმონი – 18 წლის.

№ 25, ბერი ქირიკოვი – 30 წლის.

№ 51, ბიასლანა გომია შვილი – 55 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 30 წლის 2. გლახა – 18 წლი; შვილიშვილი, გრიგოლი – 8 წლის.

№ 52, მამუკა გომია შვილი – 60 წლის; მისი შვილი, ივანე – 8 წლის. ძმისშვილი, შიო – 30 წლის. შიოს შვილი, თევდორე – 8 წლის.

№ 53, გაბრიელ გომია შვილი – 32 წლის; მისი შვილი, დავითი – 3 წლის; ბიძა, გიორგი – 50 წლის; მისი შვილი, სიმონი – 15 წლის.

1842 წელს სახელდებიან: –

№ 25, დავით ქირიკოვი – 41 წლის; მისი შვილი, გიორგი – 8 წლის; დავითის ძმა, ივანე – 31 წლის; ბიძაშვილები:

სიმონი – 29 წლის; მისი შვილები: 1. იასე – 6 წლის 2. მარტია – 3 წლის;

პაპა – 26 წლის;

ივანე – 17 წლის.

№ 26, ბერი ქირიკოვი – 41 წლი;. მისი შვილები: 1. დავითი – 7 წლის 2. შიო – 5 წლის.

№ 57, ბიასლან გომიაშვილი – 66 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 40 წლის 2. გლახა – 29 წლის; შვილიშვილი, გრიგოლი – 19 წლის. იოსების შვილები: 1. შიო – 7 წლის 2. ივანე – 2 წლის.

№ 58, შიო გომიაშვილი – 41 წლის.

№ 59, გაბრიელა გომიაშვილი – 43 წლის; მისი შვილები: 1. დავითი – 14 წლის 2. პეტრე – 5 წლის 3. ივანე – 2 წლის. ბიძაშვილი გიორგი – 61 წლის; მისი შვილი, სიმონი – 26 წლის.

1860 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 56, დავით ნასყიდას ძე ქირიკაშვილი – 52 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 27 წლის 2. არჩავან [არჯევან] – 16 წლის; დავითის ძმა, ივანე – 36 წლის; მისი შვილი, პავლე – 3 წლის.

№ 57, სიმონ ქირიკიძე – 47 წლის; მისი შვილები: 1. იასე – 24 წლის 2. მარტია – 20 წლის 3. ანდრია – 13 წლის 4. იაკობი – 1 წლის.

№ 58, ივანე ბერის ძე ქირიკაშვილი – 38 წლის; მისი შვილი, გიორგი – 1 წლის. ივანეს ძმისშვილი, ბიჭი პაპას ძე – 12 წლის.

№ 61, ბერი გიორგის ძე ქირიკაშვილი – 60 წლის; მისი შვილები: 1. დავითი – 35 წლის 2. შიო – 25 წლის 3. კოზმა – 14 წლის.

№ 81, იოსებ ბიასლანის ძე გომიაშვილი – 60 წლის; მისი შვილები: 1. შიო – 25 წლის 2. ივანე – 20 წლის 3. გიორგი – 13 წლის 4. თევდორე – 4 წლის. იოსების ძმა, გლახა – 40 წლის. მისი შვილები: 1. ლევანი – 7 წლის 2. იაკობი – 4 წლის.

№ 82, სიმონ გიორგის ძე გომიაშვილი – 40 წლის; მისი ბიძაშვილები: 1. დავითი – 30 წლის 2. ივანე – 29 წლის 3. პაპა – 28 წლის.

1873 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 57, ივანე ნასყიდას ძე ქარიკაშვილი – 49 წლის; მისი შვილი, პავლე – 16 წლის. ივანეს ძმისშვილები: 1. გიორგი – 40 წლის 2. თომა – 5 წლის. [გიორგის] შვილი, ივანე – 8 წლის; გიორგის ძმა, არჯევანი – 29 წლის.

№ 58, იასე სიმონის ძე ქირიკაშვილი – 37 წლის; მისი ძმა, მარტია – 33 წლის; მარტიას შვილი, ივანე – 2 წლის.

№ 59, ანდრია სიმონის ძე ქირიკაშვილი – 26 წლის; მისი ძმა, იაკობი – 14 წლის.

№ 60, დავით ბერის ძე ქირიკაშვილი – 48 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 10 წლის 2. ივანე – 8 წლის 3. ანდრია – 6 თვის. დავითის ძმა, შიო – 38 წლის; მისი შვილი, სიმონი – 15 წლის; შიოს ძმა, კოზმა – 27 წლის.

№ 81, იოსებ ბიასლანის ძე გომიაშვილი – 73 წლის; მისი შვილი, შიო – 38 წლის. შიოს შვილები: 1. ივანე – 8 წლის 2. გრიგოლი – 5 წლის 3. დავითი – 3 წლის; იოსების ძმები: 1. ივანე – 33 წლის 2. თევდორე – 17 წლის.

№ 82, გლახა ბიასლანის ძე გომიაშვილი – 53 წლის; მისი შვილები: 1. ლევანი – 20 წლის 2. იაკობი – 17 წლის 3. სიმონი – 5 წლის.

№ 83, ივანე გაბრიელის ძე გომიაშვილი – 42 წლის; მისი ძმა, პეტრე – 41 წლის. პეტრეს შვილი, ივანე – 8 წლის.

1886 წელს სახელდებიან: –

№ 59, ქირიკაშვილი პავლე ივანეს ძე – 28 წლის; მისი შვილი, გრიგოლი – 3 წლის.

№ 60, ქირიკაშვილი თომა გიორგის ძე – 17 წლის; მისი ძმები: 1. ივანე – 11 წლის 2. გაბრიელი – 2 წლის.

№ 61, ქირიკაშვილი არჯევან ნასყიდას ძე – 41 წლის.

№ 62, ქირიკაშვილი იასე სიმონის ძე – 49 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 6 წლის 2. გიორგი – 3 წლის; იასეს ძმისშვილი, იოსებ მარტიას ძე – 14 წლის.

№ 63, ქირიკაშვილი ანდრია ბერის ძე – 38 წლის; მისი ძმა, იაკობი – 26 წლის.

№ 64, ქირიკაშვილი დავით ბერის ძე – 48 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 10 წლის 2. ივანე – 8 წლის 3. ანდრია – 6 თვის (ცხოვრობენ ვლადიკავკაზის ოლქის ტარცკის დასახლებაში).

№ 65, ქირიკაშვილი შიო ბერის ძე – 50 წლის; მისი შვილი, სიმონი – 24 წლის.

№ 66, ქირიკაშვილი კოზმა ბერის ძე – 39 წლის; მისი შვილები: 1. გაბრიელი – 15 წლის 2. ივანე – 3 წლის.

№ 117, ქირიკაშვილი ბიჭი პაპას ძე – 25 წლის (ცხოვრობს ვლადიკავკაზში).

ქირიკაშვილი გიორგი ივანეს ძის ოჯახი ამოწყდა.

№ 91, გომიაშვილი შიო იოსების ძე – 50 წლის; მისი შვილები: 1. ვანო – 20 წლის 2. გრიგოლი – 17 წლის 3. დავითი – 15 წლის. ვანოს შვილი, მიხა – 6 თვის. შიოს ძმები: 1. ივანე – 45 წლის 2. თევდორე – 29 წლის; ივანეს შვილები: 1. გიორგი – 10 წლის 2. იოსები – 6 წლის; თევდორეს შვილი, ალექსი – წლინახევრის.

№ 92, გომიაშვილი გლახა ბიასლანის ძე – 65 წლის; მისი შვილები: 1. ლევანი – 32 წლის 2. იაკობი – 29 წლის 3. სიმონი – 17 წლის; ლევანის შვილი, დიმიტრი – 5 წლის; იაკობის შვილი, გიორგი – 5 წლის.

№ 93, გომიაშვილი ივანე გაბრიელის ძე – 54 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 7 წლის 2. გიორგი – 3 თვის.

№ 94, გომიაშვილი პეტრე გაბრიელის ძე – 52 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 20 წლის 2. ნიკოლოზი – 7 წლის 3. გიორგი – 3 თვის.

*

ქირიკაშვილების და გომიაშვილების გვარს წარმოადგენენ ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსნენები: –

ვახტანგ ქირიკაშვილი ცნობილი მთამსვლელი იყო.

სპორტის ოსტატი, ზურბ (შალვა) ვახტანგის ძე ქირიკაშვილი – ალპინისტი და კინომსახიობია; გადაღებულია გოდერძი ჩოხელის ფილმებში: – „მწვერვალი", „იმედის მწვანე კუნძული", „ბაკურხეველი ხევსური", „ადამიანთა სევდა", „ცოდვის შვილები", „ლუკას სახარება"...

ცნობილი რაგბისტი, დავით ქირიკაშვილი – ანდორის სახელით გამოდიოდა. მათი ეროვნული გუნდის კაპიტანი გახლდათ.

გიორგი (გოგი) ქირიკაშვილი ყაზბეგის რაიონის გამგებლად მსახურობდა.

საკუთარი ფუძის და კერის დიდი სიყვარული მოჩანს პოეტ ალექსანდრე გომიაშვილის შემოქმედებაში; ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას: – იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი; ლიტფონდის, გამომცემლობა „ცოდნის" და წიგნთა პალატის დირექტორი.

ოსტაპ ბენდერის როლის საუკეთესო შემსრულებელმა (მიხეილ გაიდაის ფილმში, „12 სკამი") – საქართველოს სახალხო არტისტმა, არჩილ გომიაშვილმა – სასცენო მოღვაწეობა თბილისში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში დაიწყო; იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობიც. თავისი პანტომიმით – „მხიარულისა და ნაღვლიანის შესახებ" – წარმატებით მოიარა საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქი.

მიხეილ (მიშა) გომიაშვილი – კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი გახლდათ; არაერთი შთამბეჭდავი როლი აქვს განსახიერებული – სცენასა თუ კინოში. მრავალი სპექტაკლის მონაწილეა; გადაღებულია ოცამდე ფილმში. მიღებული აქვს: – საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია – „წლის საუკეთესო მამაკაცის როლი" – 1987-1988 წლებში; „ბუდვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის" გრან-პრი; საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის, „ოქროს ნიღბის" გრან-პრი; 2000 წელს ჩატარებული რეიტინგით – დასახელებული იყო საუკუნის 10 მამაკაც მსახიობს შორის.

წლების განმავლობაში – ყაზბეგის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ; შემდეგ კი, საქ. კპ ყაზბეგის რაიკომის პირველ მდივანად მსახურობდა – ჯუმბერ გომიაშვილი: – ინჟინერ-ტექნოლოგი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ქვეყანაზე და თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებული კაცი;

გავიცანი -მოგვიანებით, მაგრამ – უცბად დავმეგობრდით...

კვების მრეწველობის ტექნოლოგი, საავტორო მუსიკალური კომპოზიციებისა და სიმღერების ავტორი-შემსარულებელი, ტარიელ (რობიკო) გოგიაშვილი კრასნოდარის მხარეში ცნობილი ბიზმესმენი და ქველმოქმედია.

სტეფანწმინდელი ღუდუშაურები (ეფხვენი და ყაზიენი)

სტეფანწმინდაში ღუდუშაურების ისმელეთ შტოდან წარმომდგარი სამუკენის (სამუკაშვილების) განაყრი ორი რიცხვმრავალი შტო გადასახლდა – ეფხვენი და ყაზიენი.

ეფხოშვილების სნოდან გადასახლებისა და გვარის შეცვლის მიზეზი მესისხლეობა ყოფილა.

1774 წელს აღწერეთ – სტეფანწმინდაში, მათი ორი კომლი სახლობდა: –

ეფხოს შვილი ბიძია, დემეტრე და ისე;

ეფხოს შვილი – სახელად, ღუდუშაური და დავითი.

1781 წელს მოხსენიებულია: –

ეფხოს შვილი დემეტრე და დავითა.

ეფხოს შვილი იასე და ღუდუშაური.

1804 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 27, ჩეხია ეფხოშვილი,

№ 28, დკემისტრო ეფხოშვილი.

1816 წელს აღირიცხნენ: –

№ 19, ღარიბა ეფხოშვილი,

№ 20, რუხია ეფხოშვილი,

№ 21, დემეტრე ეფხოშვილი.

1831 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 46, გლახა ეპხოევი – 20 წლის; მისი ძმები: 1. შიო – 15 წლის 2. სიმონი – 10 წლის 3. ივანე – 5 წლის.

№ 47, ჩიკა ეფხოევი – 50 წლის; მისი შვილი, ივანე – 25 წლის.

№ 48, გივი ეფხოევი – 50 წლის; მისი ძმა, თევდორე – 35 წლის. გივის შვილები: 1. გიორგი – 10 წლის 2. იასე – 7 წლის.

№ 49, გაბრიელ ეპხოევი – 30 წლის; მისი ბიძაშვილები: 1. ბიჭი – 25 წლის 2. ანდრია – 13 წლის.

1842 წელს სტეფანწმინდაში სახლობდნენ: –

№ 53, გლახა ეპხოვი (Епхов) – 31 წლის; მისი ძმები: 1. შიო – 26 წლის 2. სიმონი – 21 წლის 3. ივანე – 16 წლის.

№ 55, გივი ეპხოევი – 61 წლის; მისი შვილი, იოსები – 7 წლის. ძმისშვილები: 1. ივანე – 36 წლის 2. გიორგი, იგივე ჯივა (Жива) – 21 წლის 3. იასე – 18 წლის.

№ 56, გაბრიელ ეპხოევი – 41 წლის; მისი შვილები: 1. დავითი – 16 წლის 2. ხუტუნა – 6 წლის 3. პავლე – 3 წლის.

№ 69, ბიჭია ეპხოშვილი – 35 წლის; მისი ძმა, ანდრია – 27 წლის.

1860 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 42, გლახა რევაზის ძე ეპხაშვილი – 50 წლის; მისი შვილები: 1. ალექსანდრე – 10 წლის 2. გრიგოლი – 6 წლის 3. ნიკოლოზი – 3 წლის; გლახას ძმები: 1. სიმონი – 30 წლის 2. ივანე – 25 წლის.

№ 43, ბიძია ღარიბას ძე ეპხოშვილი – 50 წლის.

№ 46, დავით გაბრიელის ძე ეფხიაშვილი – 35 წლის; მისი შვილი, ივანე – 4 წლის; ძმები: 1. ხუტუნა – 24 წლის 2. პავლე – 20 წლის 3. ივანე – 12 წლის.

№ 49, იოსებ გრიგოლის ძე ეპხიაშვილი – 22 წლის.

№ 50, ჟივა [ჯივა] ტეტრევის ძე ეპხოშვილი – 35 წლის.

№ 51, ივანე ჟივას ძე ეპხიაშვილი – 50 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 8 წლის 2. გრიგოლი – 5 წლის.

1873 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 39, გლახა რევაზის ძე ეპხოშვილი – 63 წლის; მისი შვილები: 1. ალექსი – 23 წლის 2. გრიგოლი – 19 წლის 3. ნიკოლოზი – 16 წლის. [გლახას] ძმები: 1. სიმონი – 43 წლის 2. ივანე – 38 წლის.

№ 40, ბიძია (წერია Бичия) ღარიბას ძე ეფხოშვილი, 63 წლის – „ამოღებულია საგადასახადო სიიდან“.

№ 48, იოსებ გრიგოლის ძე ეფხოაშვილი – 35 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 11 წლის 2. მიხეილი – 7 წლის.

№ 49, ჯივა თევდორეს ძე ეფხოაშვილი – 48 წლის.

№ 50, გიორგი ივანეს ძე ეფხოაშვილი – 21 წლის. მისი ძმა, გიორგი – 18 წლის.

1886 წელს აღირიცხნენ: –

№ 43, ეფხოშვილი ალექსი გლახას ძე – 35 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 6 წლის 2. ნიკოლოზი – 4 წლის; ალექსის ძმა, გრიგოლი – 31 წლის. გრიგოლის შვილები: 1. ფიდო – 4 წლის 2. იობი – 6 თვის; ალექსის ბიძა, სიმონი – 55 წლის.

№ 44, ეფხოშვილი ივანე რუხიას ძე – 50 წლის; მისი შვილები: 1. მიხეილი – 11 წლის 2. შიო – 3 წლის.

№ 47, ეფხოშვილი დავითი გაბრიელის ძე – 60 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 20 წლის 2. მაქსიმე – 18 წლის; დავითის ძმები: 1. დიმიტრი – 49 წლის 2. პავლე – 47 წლის 3. ივანე – 31 წლის.

№ 51, ეფხოშვილი იოსებ გრიგოლის ძე – 47 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 23 წლის 2. მიხეილი – 19 წლის 3. აბრაამი – 6 წლის.

№ 52, ეფხოშვილი გიორგი ჯივას ძე (ცხოვრობს ვლადიკავკაზში).

№ 53, ეფხოშვილი გრიგოლ ივანეს ძე – 30 წლის; მისი ძმისშვილი, სპირიდონ გიორგის ძე – 8 წლის.

ეფხოშვილი ბიჭია ღარიბას ძის „ოჯახი ამოწყდა.“

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –
ეფხვენიდან მოდიან: – თევდორენი და გიგიენი;
თევდორენიდან: – ვასკენი, გიგიენი, ბაწაწუნენი და გაბრიელენი;
ვასკენიდან: – მიხელენი და გივარგენი;
მიხელენიდან: – ვანუენი;
გივარგენიდან – სტეფანიენი;
გიგიენიდან მოდიან: – კაჭუენი, კასინენი და ხუტენი;
კასინენიდან: – პოვლიენი, მაქსენი და ვანიენი;
ბაწაწუნანიდან: – რუხიენი.
რუხიენიდან: – თუზენი და ალექსენი;
თუზენიდან – მიხენი.
გაბრიელენიდან: – ჯივენი.
ჯივენიდან – იაგორენი.

*

1774 წელს – სტეფანწმინდაში, ყაზაის შვილების ორი კომლი სახლობდა: –
ყაზაის შვილი ტერენტი და გრიგოლი.

ყაზაის შვილი დავით, ყაზიაი და გიორგი.

1781 წელს – ერთი კომლი აღირიცხა: –

ყაზის შვილი ტერენტი, გრიგოლი და იოსებ.

1804 წელს ორი კომლი: –

№ 4, ბიჭიკო ყაზიაშვილი,

№ 35, პაპა ყაზიაშვილი.

1816 წელს მოხსენიებულია: –

№ 24, შიო ყაზიაშვილი,

№ 25, სტეფანე ყაზიაშვილი,

№ 26, ონოფრე ყაზიაშვილი.

1831 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 26, სიმონ ღუდოშაური – 35 წლის; მისი შვილი, გიორგი – 8 წლის.

№ 58, გიორგი ღუდაშაური – 25 წლის; მისი ძმები: 1. გოგია – 15 წლის 2. გრიგოლი – 10 წლის.

1842 წელს აღირიცხნენ: –

№ 27, სიმონ ღუდაშაური – 44 წლის; მისი შვილი, გიორგი – 18 წლის. გიორგის შვილი, ივანე – 4 წლის.

№ 64, გიორგი ღუდოშაური (Гудошаури) – 36 წლის; მისი ძმები: 1. გოგია – 26 წლის 2. გრიგოლი – 10 წლის. გიორგის შვილები: 1. სიმონი – 5 წლის 2. სტეფანე – 2 წლის.

1860 წლის აღწერით მოხსენიებულნი არიან: –

№ 59, გიორგი პაპას ძე ღუდუშაური – 50 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 20 წლის 2. პავლე – 11 წლის.

№ 60, გოგია პაპას ძე ღუდუშაური – 40 წლის; მისი შვილები: 1. იაგორი – 11 წლის 2. ევსტატი – 3 წლის.

№ 63, გიორგი ონოფრეს ძე ღუდუშაური – 35 წლის; მისი შვილი, ტერენტი – 16 წლის.

№ 91, ვანკა გიორგის ძე ღუდუშაური – 20 წლის.

1873 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 61, გიორგი პავლეს ძე ღუდუშაური – 63 წლის; მისი შვილი, პავლე – 24 წლის.

№ 62, გიორგი პაპას ძე ღუდუშაური – 53 წლის; მისი შვილები: 1. იაგორი – 24 წლის 2. ესტატე – 16 წლის.

№ 64, გიორგი ონოფრეს ძე ღუდუშაური – 48 წლის; მისი შვილები: 1. ტერენტი – 29 წლის 2. იოსები – 11 წლის 3. ივანე – 7 წლის; გიორგის შვილიშვილი, ეფრემი – 6 თვის.

№ 95, ვანკა გიორგის ძე ღუდუშაური – 33 წლის; მისი შვილი, გიორგი – 2 წლის და 6 თვის.

1886 წელს აღირიცხნენ: –

№ 67, ღუდუშაური გიორგი პაპას ძე – 79 წლის; მისი შვილი, პავლე – 34 წლის. პავლეს შვილები: 1. დიმიტრი – 7 წლის 2. ნიკიფორე – 4 წლის 3. ნიკოლოზი – წლინახევრის.

№ 68, ღუდუშაური იაგორ გოგიას ძე – 36 წლის; მისი შვილები: 1. სტეფანე – 9 წლის 2. კონსტანტინე – 7 წლის 3. იორდანე – 4 წლის 4. ილია – 2 წლის.

№ 69, ღუდუშაური ესტატე გოგიას ძე – 28 წლის.

№ 70, ღუდუშაური ტერენტი გიორგის ძე – 41 წლის; მისი შვილები: 1. ეფრემი – 13 წლის 2. ალექსი – 8 წლის; ტერენტის ძმები: 1. იოსები – 23 წლის 2. ვანო – 19 წლის.

№ 105, ღუდუშაური ვანკა გიორგის ძე – 45 წლის; მისი შვილი გიორგი – 15 წლის.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ყაზიენიდან მოდიან: – იაგორენი, ეფრემენი, პოვლიენი და ესტატენი.

*

სტეფანწმინდელი ღუდუშაურების, ურჯუკაშვილების, ხახლიშვილების და მირიანაშვილების სალოცავი იოანე ნათლისმცემელია.

მის ნიშთან – სტეფანწმინდელები (გადმოცემის თანახმად), ყუროს წყლით ინათლებოდნენ;

„წყალი ვერცხლის თასით მიჰქონდათ და მოსანათლს იმით ბანდნენ.“

„ცდოს ძირებში – მაშინ, ტყე ყოფილა, სადაც ზღმარტლისა და პანტის საკრეფად ქალები დადიოდნენ.“

„ერთხელაც – ქისტები დასცემიან მათ და ტყვედ წაუყვანიათ.“

სწორედ იმ დროს – გიგა და თევდორე ეფხოშვილებს (ქოქობანთ), ივანწმინდის თავში – ჯიხვები მოუკლავთ;

ნანადირევი დაუდიათ იმ ლოდზე, რომელზეც თემმა (შემდგომში) ახალი სალოცავი დადგა.

მონადირეებს – ქალების კივილი შემოესმათ;

ქისტებს გაეკიდნენ და ტყვეები დაიხსნეს.

„ეფხვეთ ვაჟკაცებს ჯილდო ამორჩევით შესთავაზა“ თემმა;

ითხოვეს: –

ივანე ნათლისმცემელის ხატი ძველი ადგილიდან იმ ადგილას გადაებრძანებინათ – სადაც, ზემოაღნიშნული შემთხვევის დროს – ნანადირევი ეწყოთ.

ხატის დეკანოზებმა (მირიანაშვილებმა, ხახლიშვილებმა, ურჯუკაშვილებმა) – თანხმობა განაცხადეს და თემმა ივანწმინდის ნიში იმ ლოდზე დადგა.

დაკლეს 9 ქორა ხარი და გაიმართა სათემო ნადიმი.

იმ დღიდან, ივანწმინდა სათემო სალოცავად იქცა;

ივანობა – სათემო დღეობად;

დეკანოზებად – მირიანაშვილები, ხახლიშვილები და ურჯუკაშვილები დარჩნენ.

ხახლიშვილები

რ. თოფჩიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ხახლიშვილი – ეფხოშვილებითან თავშეფარებული გვარია.

1774 წელს – სტეფანწმინდაში მათი ერთი კომლი სახლობდა – ხახლის შვილი პაპაი და შავხალა.

1781 წელს მოხსენიებულია – ხახილას შვილი პაპი, შავხალა და გულა.

1816 წელს – გიორგი ხახლიშვილი;

1831 წლის აღწერით აღირიცხა: – გოგი ხახლიშვილი, 27 წლის; მისი შვილი, იორ-

დანე – 1 წლის;

1842 წელს დარეგისტრირდა: – გოგია ხახლიშვილი, 41 წლის; მისი შვილი, იოსები – 14 წლის;

1860 წელს მოხსენიებულია: – გოგია იოსების ძე ხახლიშვილი, 60 წლის; მისი შვილი, იოსები – 20 წლის;

1873 წელს აღირიცხა: – გოგია იოსების ძე ხახლიშვილი, 73 წლის; მისი შვილი, იოსები – 33 წლის; შვილიშვილი, საბა – 12 წლის.

1886 წელს დარეგისტრირდა: – საბა იოსების ძე ხახლიშვილი, 24 წლის; მისი ძმა, ლევანი – 11 წლის.

მირიანაშვილები

რ. თოფჩიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

მირიანაშვილი – ქუშაშვილებთან თავშეფარებული გვარია.

1774 წელს – სტეფანწმინდაში მათი ორი კომლი სახლობდა: –

მირიანას შვილი მამაი და ბერი;

მირიანას შვილი ჩია.

1781 წელს – ერთად აღირიცხნენ: – მირიანას შვილი მამაი და ჩია.

1816 წელს დარეგისტრირდა – ლაზარე მირიანაშვილი.

1831 წლის აღწერით მოხსენიებულნი არიან: –

№ 12, გლახა მირიანოვი – 40 წლის; მისი შვილები: 1. შიო – 7 წლის 2. ნინია – 5 წლის.

№ 13, ლაზარე მარიანოვი – 45 წლის; მისი შვილი, მარტია – 15 წლის.

1842 წელს სახლობდნენ: –

№ 12, გლახა მირიანოვი – 51 წლის; მისი შვილები: 1. შიო – 18 წლის 2. ნინია – 16 წლის 3. დიმიტრი – 3 წლის.

№ 13, ლაზარე მირიანოვი, იგივე შავდური – 56 წლის.

1860 წელს აღირიცხნენ: –

№ 1, გლახა ჩიას ძე მირიანაშვილი – 74 წლის; მისი შვილები: 1. შიო – 36 წლის 2. ნონე – 30 წლის 3. დემეტრე – 20 წლის; ნონეს შვილი, სიმონი – 6 თვის.

1873 წელს მოხსენიებულია: –

№ 1, შიო გლახას ძე მირიანაშვილი – 49 წლის; მისი ძმა, დიმიტრი – 33 წლის; ძმისშვილი, სიმონი – წლინახევრის.

1886 წელს დარეგისტრირდა: –

№ 1, მირიანაშვილი შიო გლახას ძე – 91 წლის. მისი ძმა, დიმიტრი – 45 წლის. მათი ძმისშვილი, სიმონ ნანიკას ძე – 26 წლის.

ურჯუკაშვილები

„ურჯუკენი“ – სტეფანწმინდელი შადურების მეზობლად სახლობდნენ.

XVIII ს-ის აღწერებში მოხსენიებულია – ურჯუკაის შვილი ჯებანაი (ჯაბანა) და გია.

1816 წელს აღირიცხა – ბია ურჯუკაშვილი (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წელს – სტეფანწმინდაში სახელდებიან: –

„ჯა... ურჯიკოვი“ (70 წლის); მისი შვილები: 1. ბერი (38 წლის), ბერის შვილი, გიორგი (3 წლის); 2. ნინია (30 წლის); ნინიას შვილი, იოსები (6 თვის); 3. გიორგი – 22 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1842 წელს – დარეგისტრირდნენ: – გიორგი ურჯიროვი, 33 წლის; მისი ძმის შვილი, იოსები – 8 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 2037).

1860 წელს ურჯიკაშვილების ორი კომლი აღირიცხა: –

№ 34, გაგი იოსების ძე ურჯიკაშვილი (40 წლის); მისი შვილი, დიმიტრი (7 წლის).

№ 35, ბაი იოსების ძე ურჯუკაშვილი (60 წლის); მისი შვილები: გიორგი (26 წლის), ივანე (23 წლის), შიო (20 წლის), დანიელი (16 წლის), ლაზარე (14 წლის). გიორგის შვილი, ნიკოლოზი – 5 კვირის (სცსსა, ფ. 254, აღწ. II, დოკ. 235).

1873 წელს – სახლობდნენ: –

№ 110, გიორგი ბიას ძე ურჯუკაშვილი (39 წლის); მისი ძმები: – დანიელი (29 წლის), ბესარიონი – 27 წლის.

№ 114, იოსებ ნინიას ძე ურჯუკაშვილი (38 წლის) – ამოღებულია საგადასახადო სიიდან (ფ. 254, აღწ. III, დოკ. 257).

1886 წელს მოხსენიებულია: –

ურჯუკაშვილი დიმიტრი გოგიას ძე, 32 წლის; მისი შვილი სტეფანე – 4 წლის.

იოსებ ნინიას ძე ურჯუკაშვილის ოჯახი ამოწყდა.

XX ს-ში, ისინი – ჩემთვის უცნობი მიზეზით, გეთახაზოვებად ეწერებიან.

რ. თოფჩიშვილის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: –

გეთახაზოვი ფიცხელაურებთან თავშეფარებული გვარია;

სტეფანწმინდაში მათი დამკვიდრება – სავარაუდოდ, XVIII ს-ის დასაწყისში მოხდა.

ვ. შადურის ცნობით: –

ურჯუკაშვილ-გეთახაზოვების „ოჯახის უფროსი, მოხუცი ტეტია – კოლორიტული ფიგურა იყო;“

„საუბარში ხშირად მიმართავდა აფორიზმებსა და ორიგინალურ შედარებებს;“

„ერთხელ მეზობელი აღფრთოვანებითა და გატაცებით ლაპარაკობდა ვიღაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალის სილამაზეზე, მის თეთრ კანზე...“

ტეტიამ მას მოკლედ მოუჭრა: –

„თეთრი თოვლიც არის, მაგრამ ზედ ძაღლები გორაობენო.“

ფშაველი ურჯუკაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ჩარგლელების დამოუკიდებელ თემად ჩამოყალიბებამდე, მისი ხეობის მცხოვრებნი – ზურაბ არაგვის ერისთავმა აყარა, დაქსაქსა და გაყიდა კიდეც.

ზურაბის სიკვდილის შემდეგ – შიშით გახიზნულმა, ტყვედ წაყვანილმა თუ გაყიდულმა ფშავლებმა, მშობლიურ კუთხეში დაბრუნება დაიწყეს: –

ოსეთში გაყიდული ტყვის შთამომავალი – პირქუში, ჩარგალში დაბრუნდა და მასმა შთამომავლებმა პირქუშაშვილის გვარი მიიღეს;

ლეკეთში გაყიდული ტყვე-ქალს ორი ვაჟი – რაზიკა და შავერდი, დედის ანდერ-

ძის თანახმად დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს;

ბაიათ წინაპარი – თათრეთიდან დაბრუნებულა;

გორზამაული – ქისტეთიდან;

გურასპაული – ხევიდან.

როგორც ადგილობრივი, ისე შეყრილი და ამანათად მოსული მთიელებით შეიქმნა ჩარგლის თემი.

ზემოაღნიშნული ექვსი ძირითადი გვარი (პირქუშანი, შავერდანი, რაზიკაანი, ბაიანი, გორზამაულნი და გურასპაულნი) – დროთა განმავლობაში, კიდევ რამდენიმე მამიშვილობად დაიყო და განაყარი კომლის მამების სახელები გაიგვარა.

პირქუშიანიდან წარმოსდგნენ: – ფადიურაშვილები, ბაჩიაშვილები, მოლოდინაშვილები, მამუკაშვილები;

შავერდაანი დაიშალნენ: – გარსევანაშვილებად, მარტიაშვილებად და ურჯუკაშვილებად.

გურასპაულებიდან მოდიან: – მარცვალაშვილები და მთიბელაშვილები...

არის თუ არა რაიმე კავშირი ზემოაღნიშნულ ფშაურ და მოხეურ გვარებს შორის – დაუდგენელია.

ხაიკაშვილები

XVIII ს-ის (1774-1781 წ.წ.) აღწერებით – სტეფანწმინდაში, ხაიკაშვილების 1 კომლი სახლობდა: – ხაიკის შვილი ბეჟაი და ივანე.

1804 წელს – **ტომეო** ხაიკაშვილი აღირიცხა.

1816 წელს – პაპა ხაიკაშვილი.

1831 წლის აღწერით სახელდებიან: –

№ 27, პაპა ხაიკაევი – 31 წლის; მისი შვილი, თამაზი – 4 წლის; პაპას ძმა, იოსები – 28 წლის. ბიძაშვილი, გიორგი – 25 წლის.

№ 28, ბერი ხაიკოვი – 25 წლის.

1842 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 28, პაპა ხანჩაევი (Ханчаев) – 42 წლის; მისი ძმა, იოსები – 39 წლის; იოსების შვილები: 1. თამაზი – 15 წლის 2. ივანე – 6 წლის.

№ 29, ბერი ხაინოვი (Хаинов) – 36 წლის; მისი შვილი, გლახა – 5 წლის.

1860 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 69, იოსებ ივანეს ძე ხაიკაშვილი – 60 წლის; მისი შვილები: 1. თამაზა – 30 წლის 2. ივანე – 25 წლის.

№ 70, გლახა ბერის ძე ხაიკაშვილი – 22 წლის; მისი ძმა, მოსე – 10 წლის.

1873 წელს აღირიცხნენ: –

№ 71, გიორგი ივანეს ძე ხაიკაშვილი – 73 წლის; მისი შვილები: 1. თამაზი – 43 წლის 2. ივანე – 38 წლის; თამაზის შვილი, თევდორე – 10 წლის.

№ 72, გლახა ბერის ძე ხაიკაშვილი – 35 წლის; მისი შვილი, სიმონი – 10 წლის; ძმა, მოსე – 23 წლის.

1886 წელს სახელდებიან: –

№ 77, ხაიკაშვილი თამაზი გიორგის ძე – 55 წლის; მისი შვილები: 1. თევდორე – 22 წლის 2. საბრალა – 8 წლის 3. ალექსი – 3 წლის.

№ 78, ხაიკაშვილი ივანე გიორგის ძე – 50 წლის; მისი შვილი, პავლე – 4 წლის.

№ 79, ხაიკაშვილი გლახა ბერის ძე – 47 წლის; მისი შვილი, სიმონი – 22 წლის. გლახას ძმა, მოსე – 35 წლის.

კაზალიკაშვილები

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში, კაზალიკაშვილების ორი კომლი სახ-ლობდა: –

კარძალაკის შვილი ზაზა, ივანე და აბაი;

კარძალაკის შვილი შარანბალ და მარტია.

1781 წელს: –

კარძალაკის შვილი ივანე, აბაი და ნასყიდა;

კარძალაკის შვილი მარტია.

1816 წელს – მამუკა კაზალიკაშვილი და ბაი კაზალიკაშვილი დარეგისტრირდნენ.

1831 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 34, თამაზ კაზალკიევი – 35 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 11 წლის 2. იოსები – 8 წლის; თამაზის ძმა, ბერი – 43 წლის; მისი შვილი, გიორგი – 12 წლის.

№ 35, მამუკა კაზალკიევი – 50 წლის; მისი შვილები: 1. მარტია – 20 წლის 2. იოსები – 14 წლის.

1842 წელს აღრიცხნენ: –

№ 36, თამაზ კაზალიკოვი – 46 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 22 წელს 2. იოსები – 19 წელს; ძმისშვილი, გიორგი – 23 წლის.

№ 37, მამუკა კაზალიკოვი – 61 წლის; მისი შვილი, იოსები – 25 წლის; იოსების შვილი, ივანე – 3 წლის.

1860 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 72, იოსებ მამუკას ძე კაზალიკაშვილი – 40 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 26 წლის 2. ზაქარია – 6 წლის; ივანეს შვილი, ზაქარია – 2 წლის.

№ 79, სია პაპას ძე კაზალკაშვილი – 45 წლის.

№ 84, იოსებ თამაზის ძე კაზალკაშვილი – 38 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 7 წლის 2. ვანია – 3 წლის; იოსების ძმის, გიორგის შვილები: 1. დავითი – 8 წლის 2. ანდრია – 5 წლის.

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 63, ივანე ბერის ძე კაზალიკიშვილი – 28 წლის; მისი შვილი გიორგი – 6 თვის.

№ 74, იოსებ მამუკას ძე კაზალიკაშვილი – 52 წლის; მისი შვილი, ივანე – 39 წლის; ივანეს შვილები: 1. მიხეილი – 3 წლის 2. გიორგი – 15 წლის 3. ზაქარია – 20 წლის 4. შიო – 10 წლის.

№ 85, იოსებ თამაზის ძე კაზალიკოვი – 51 წლის; მისი შვილები: 1. გრიგოლი – 20 წლის 2. ივანე – 16 წლის 3. გიორგი – 11 წლის 4. თევდორე – 8 წლის.

№ 86, დავით გიორგის ძე კაზალიკოვი – 21 წლის; მისი ძმა, ანდრია – 18 წლის.

1886 წელს აღირიცხნენ: –

№ 96, კაზალიკაშვილი ივანე იოსების ძე – 28 წლის; მისი შვილი, იაგორი – 3 წლის; ივანეს ძმები: 1. გიორგი – 23 წლის 2. თევდორე – 20 წლის.

№ 97, კაზალიკაშვილი დავით გიორგის ძე – 33 წლის; მისი შვილი, ტარიელი – 3

თვის. დავითის ძმა, ანდრია – 30 წლის; ანდრიას შვილი, გრიგოლი – 2 წლის.

№ 99, კაზალიკოშვილი ივანე ბაის (Баиов) ძე – 40 წლის; მისი შვილი, მიხეილი – 9 წლის.

№ 81, კაზალიკაშვილი იოსებ მამუკას ძე – 65 წლის; მისი შვილი, შიო – 22 წლის.

№ 82, კაზალიკაშვილი ივანე იოსების ძე – 51 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 27 წლის 2. მიხეილი – 14 წლის.

№ 83, კაზალიკაშვილი ზაქარია იოსების ძე – 32 წლის; მისი შვილი, ვანო – 9 წლის.

სოფელ თარგმანის ზემოთ მდებარე ოქროს ბურთუსოვანი – ძირითადად, კაზალიკაშვილების, ქირიკაშვილების და ჩოფიკაშვილების სალოცავი იყო.

ითვლება რომ: –

1923 წლის 28 აგვისტოს, ჩაეყარა საფუძველი ქართული ალპინიზმის ისტორიას.

იმ დღეს – მყინვარწვერზე ავიდა ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი;

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა – სპორტსმენი მეცნიერი გ. ნიკოლაძე.

ჯგუფი 18 ახალგაზრდა მთამსვლელისგან შედგებოდა.

მათი მეგზური იყო – ქართული ალპინზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; ხევში საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები და ყაზბეგის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე – იაგორ კაზალიკაშვილი.

პირველად, 1907 წელს – უცხოელებთან ერთად ავიდა მყინვარწვერზე; დაიპყრო: – იალბუზი, ადაი-ხოსე, თეთნულდი, მახური, უშბა...

გამოცემულია მისი ლექსების კრებულიც...

სახელიანი წინაპრის თანამოსახელე მისი შვილიშვილი – იაგო კაზალიკაშვილი, წარმატებული მთამსვლელია. ხელმძღვანელობს ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ღირსეულად აგრძელებს ცნობილი მოღვაწეების – ტიციან ტაბიძის, სტეფანე ალიბეგაშვილის, ვლადიმერ წიკლაურის და სხვათა დაწყებულ საქმეს. მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამო – დიდი რუდუნებით შეგროვებული (იოლად ფუჭებადი) ექსპონატები – თითქმის, მთლიანად განადგურდა;

ბ-მა იაგომ – თავიდან დაიწყო საშვილიშვილო საქმის აღორძინება.

სტეფანწმინდელი წიკლაურები
(ვანენი, ნანიენი, თამაზენი, მამსურენი)

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში სახლობდა ჯათის შვილი (იგივე წიკლაური) ივანე და გიორგი.

1781 წელს – ჯათის შვილი ივანე და ჯანუყო.

1842 წელს მოხსენიებულია: –

№ 71, წიკლაურა დოლათიშვილი – 46 წლის; მისი ძმისშვილები: 1. ნიკოლოზი – 27 წლის 2. ცაცუნა – 19 წლის 3. იოსები – 24 წლის (რომელიც, 1847 წელს, საცხოვრებლად გადავიდა სოფელ გერგეტში).

1860 წელს – პროპორშჩიკ, კიკო ყაზბეგის გლეხებიშია აღწერილი: – ხუტინა ივანეს ძე წიკლაური – 36 წლის.

1873 წელს აღირიცხა: –

ხუტუნა ივანეს ძე წიკლაური – 49 წლის; მისი შვილი, გიორგი – 8 წლის.

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 120, ჯათიშვილი, იგივე წიკლაური იაკოი იოსების ძე – 27 წლის; მისი შვილი, სტეფანე – წლინახევრის.

№ 128, წიკლაური ხუტუნა ივანეს ძე – 61 წლის; მისი შვილი გიორგი – 20 წლის.

დათვისელ-გველეთელი და ჭართლელი გიგაურები

„თბილისიდან ხევსურეთისკენ მიმავალ გზაზე, ფშავის ხეობას ორწყალთან რომ ავცდებით, იქ სადაც დათვისის წყალი არაგვს უერთდება, მივადგებით ხეობიდან ოდნავ შემაღლებულ პატარა მინდორს, რომელსაც დღესაც „გიგაურთ ველს“ ეძახიან.“

ადრე იქ სახნავ-სათესი მიწები იყო; კარგა ხანია გაყამირდა.

ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვნარს უკავია გზისძირობა...

დათვისის ხეობის ადგილები – ადრე, გიგაურების კუთვნილება ყოფილა.

ისინი დაახლოებით ოთხასი წლის წინ აიყარნენ, მინდორს კი, დღესაც გიგაურების სახელი შემორჩა.

იმ ადგილას, სადაც „ადრე დროშათ საბრძანისი და მცირე სალოცავი ნიში იდგა, გამოდიოდნენ თავადი მთავარანგელოზის ჯვრის ყმები, აღზევებული გველეთელ-დათვისელი გიგაურები და გზას უკეტავდნენ ფშაველ-ხევსურთ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმ. საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1992 წ. გვ. 53).

*

დათვისელ-გველეთელი გიგაურები – ფშავის ერთ-ერთ ძირითად თემს წარმოადგენდნენ;

ლაშარის ჯვარის ყმები იყვნენ და საკუთარი საჯარე გამორჩეულ – ცენტრალურ ადგილას ჰქონდათ გამართული.

ისინი ბარისახოს ხმალას (მთავარანგელოზსაც) ყმობდნენ, მაგრამ – კარგად იცოდნენ, რომ ლაშარის ჯვარი მათი მამა-პაპის სალოცავი იყო.

დღესაც ცოცხლობს ანდრეზი – ლაშარის ჯვარის დამფუძნებლის, ლაშა გიორგის უერთგულესი გიგაური მსახურის შესახებ, რომელიც გარდაცვლილ მეფეს – საკუთარი ხანჯალით ზედ დააკვდა.

ცნობილია ისიც რომ: – გიგაურთ გვარის ზოგიერთ დედაკაცსაც კი ნება ჰქონდა – ლაშარის ჯვარში საკლავი დაეკლა.

*

ს. მაკალათიას ცნობით – „გიგაურთ წინაპარი“ ზვიადაური იყო.

პოეტი გიორგი გიგაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ხევსურეთში ყოფილა სამი ძმა: – გიგა, თეთრა და წოწკა; გიგამ – გიგაურების გვარი აწარმოა და სოფელ ბლოში დასახლდა; თეთრა – სოფელ ჭიმღაში, ხოლო წოწკა, რომელმაც წოწკოლაურების გვარი აწარმოა – საცხოვრებლად ფშავის ხეობაში გადავიდა.

ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობის შემდგომ, დათვისელ-გველეთელი გიგაურები ჭართალში გადასახლდნენ.

გადმოცემის თანახმად: –

მათი წინაპარი, „ვინმე გაგა გიგაური," ზურაბს ხევსურეთის დამორჩილებაში ეხმარებოდა და მის მარცხს მოჰყვა გიგაურების გადასახლება;

„სხვა არჩევანი აღარ ჰქონდათ... თუ არ გადასახლდებოდნენ... ხევსურული თემებისგან მოიკვეთებოდნენ" (რ. თოფჩიშვილი).

განსხვავებული ვერსიის მიხედვით, მათი აყრა ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან არის დაკავშირებული: –

ვიღაც გიგაურმა – მაშინ მოკლა ისრით ბაცალიგოს ციხის პატრონი – სახელოვანი თინიბექი, როცა ის ზურაბ ერისთავისკენ – ხმალში შესაბმელად მიისწრაფოდა;

ზურაბის ჯარში ერიაო – მაშინ, მოღალატე გიგაური.

უფრო სარწმუნო ვერსიით: –

გიგაურები თემის სასჯელს არ გაჰქცევიან. პირიქით – ბუჩუკურების, სამხარაულების და ბევრი სხვა გვარის მსგავსად, ისინიც მსხვერპლნი გახდნენ ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობებისა.

ამას ადასტურებს გიგაურების მიერ მეფე ერეკლე II-ის ძის, გიორგი ბატონიშვილისადმი წარდგენილი უსტარი: –

„ყმაც თქვენი ვართ და მამულიც თქვენია, მაგრამ იმთავითვე დათვის-გველეთი და წინკარი ჩვენი არის, მაგრამ ზურაბ ერისთავმა ჩვენ რომ აგვყარა, ის მამული იქაც გაოხრდა. ერთი ობოლი დაგვრჩა, ფშავში გაიზარდა. ჯერ ღმერთსა ვფიცავ და მერე თქვენ მზესა, რომ იმ თავით ამ თავამდინ ამ ობოლთან განუყრელნი გახლავართ. მამულიც, ხატიც ყველა საერთო გვაქვს. დღეს ადგილი ნათხოვრათა გვაქვს. ყმა თქვენი ვარ, ისევ ჩემს სამკვიდრო მამულს უნდა მოვეჭიდო. ფშავნი სულ იმისაკენ არიან, ხადილასაც ამათ თქვენი მზე აფიცეთ, თუ რამ არ შემიფიცავს, ესენი მოგახსენებენ" (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები; 1794 წლის 21 სექტემბერს გიორგი ბატონიშვილისადმი მიმართული წერილი, ტ. VIII, გვ. 292-293, 1985 წ.).

როგორც ჩანს – გიგაურები ფშავიდან თანამოძმეთა სასჯელს არ გაქცევიან.

ისინიც ზურაბმა აყარა.

*

არაგვის ერისთავები შუღლს აღვივებდნენ მთიელთა შორის.

მათმა მოსყიდულმა კაცებმა ჩამოაგდეს მტრობა – გიგაურებს, სისაურებსა და სამხარაულებს შორის;

გათიშეს საარაგვოს მცველი სამი ძლიერი გვარი.

დათვის-გველეთიდან აყრილი გიგაურები გვიანობამდე დადიოდნენ წინაპართა სალოცავში.

საკუთარი მამულების დაბრუნებაც სცადს;

კუთვნილი ვერ მიიღეს და: –

„ერთ ახალ წელს, დღეობაზე კიდევ მისულან გველეთში;"

„მთავარანგელოზის ჯვარში წინაპართა ნაგები საიდუმლო სამალავი მოურღვევიათ; თას-განძი ამოუღიათ და „თავისი ჯვრები" ჭართალში წაუღიათ."

*

დათვისელ-გველეთელი გიგაურები, XVIII ს-ში – უკვე ჭართლის მკვიდრნი იყვნენ.

1774 წელს – სარეკთუბანში, მათი 4 კომლი სახლობდა;

ზენუბანში და კოლოტაში 9-9;

მუგუდაში 12; სულ 34 კომლი (275 სული).

აღნიშნულ სოფლებში – იმავე პერიოდში სახლობდნენ მათი შტონაყარი გვარებიც (ჩიტაურები, ჯიქურები, ციხელაშვილები, შალვაშვილები, ხარებაშვილები, გუდაშვილები, გოგიშვილები, კოტორაშვილები, პაპიაშვილები).

ხევსურეთიდან ჭართალში გადმოსახლებულ ერთ გიგაურს – 9 ვაჟი შესძენია და თითოეულს, სხვადასხვა გვარისათვის მიუცია დასაბამი.

განსხვავებული ვერსიის თანახმად: –

ჭართლელი გიგაურები სხვადასხვა გვარის წარმომედგენლები არიან; ღვთისმშობლის ხატში შემდგარან ერთ გვარზე; ერთმანეთისთვის ძმობა შეუფიცავთ და გიგაურებად დაწერილან.

ბლოველი გიგაურები

ბლო – პირაქეთი ხევსურეთის უკიდურესი სოფელია.

როშკის და ბაცალიგოს ხეობებს შუა, „არხვატის მთის ძირში“ მდებარეობს.

გიგაურების თავდაპირველი საცხოვრისია.

იქიდან წასულან ისინი – დათვისის თემის სოფელ გველეთში;

არხოტის თემის სოფელ ჭიმღაში.

„აქედან წასულა გიგაურის ბიძაშვილი ზვიადაური – პირიქითა ხევსურეთის სოფელ არდოტში და წოწკოლაური – უკანაფშავის სოფელ მუქოში“ (ალ. ნაზღაიძე).

აქედან წასულა გიგაურის ბიძაშვილი, ანთაური – წინაფშავის სოფელ კაწალხევში და გუდამაყრის სოფელ ლუთხუბში (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).

აქედან წასულან ბლოველი გიგაურები – ხევში.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

საერთო წარმომავლობა აქვთ ხევსურ გიგაურებს, ზვიადაურებს და ფშაველ წოწკოლაურებს.

აღნიშნული სამი გვარის წინაპარი სამი ძმა – მცხეთიდან მოსულან;

ბლოში დასახლებულს – გიგაურის გვარისათვის მიუცია დასაბამი;

არდოტში დასახლებულს – ზვიადაურის გვარისთვის;

ფშავის სოფელ მუქოში დასახლებულს – წოწკოლაურებისათვის (ქართული გვარსახელების ისტორიიდან, ხევსურული გვარები, წ. I, 2003 წ. გვ. 20-21).

განსხვავებული ვერსიის თანახმად: –

ოთხი ხევსური ძმიდან: – გიგა, ბლოში დასახლდა; ზვიადი – არდოტში; წოწკა – ფშავის სოფელ მუქოში; თეთრამ – საცხოვრებლად ჭიმღა აირჩია და მისგან თეთრაულების გვარი წარმოსდგა.

გიგა გიგაური

დათვისში ედგა საკუთარი კოშკი გიგა გიგაურს.

გოლიათური აღნაგობის სახელგანთქმულ ვაჟკაცს, რომელსაც – „კისერში სამ-ჯერ განასკვული – ვერძის რქასავით დაგრეხილი ულვაში და შვიდმტკაველიანი ცელი“ ჰქონდა; მთავარანგელოზის ჯვარის ხევისბერი და თემის უფროსი – მთელს ფხოვში განთქმული პიროვნება იყო. ვაჟკაცობაში, კაც-შუაკაცობაში, მთიბელ-მამ-კალში ტოლს არავის უდებდა...

შიშის ზარს სცემდა არაგვის ხეობას.

ბოლოჟამს, ისე გათავმეტდა – მთელი ხეობის ბატონ-პატრონობა მოინდომა...

რითი დამთავრდა მისი გაბუდაყება – არავინ იცის.

გიგას ნადგომი ნაკოშკარი ადგილი – „უნჯის ანგელოზის ჯვარმა დაიჭირა“.

მის „ეპიტაფიად“ შემოგვრჩა ხალხური მელექსის ტევადი სტროფი: –

„ბლოელ ყოფილა გიგაი,
ოსაურ მეომარია,
ხმლითა სჭერია ადგილი,
მტრისგან სდგომია ძალია...“

ბერდია მამუკაური (გიგაური)

XVII საუკუნის ბლოველმა სახალხო გმირმა – ბერდია მამუკაურმა, ზურაბ არაგვის ერისთავთან და მის მოურავთან – შიოლა ღუდუშაურთან ბრძოლით გაითქვა სახელი.

ადრე, ერისთავების გვერდით მდგარა.

საჩუქრად მიუღია მათგან სოფელი კარკუჩა – მაგრამ, თრუსოს სისხლიანი ნადი-მის შემდგომ, ზურაბისა და მისი მოურავის მოსისხლე მტრად იქცა.

იძულებული გახადეს, ბოძებული სოფელი მიეტოვებინა – მაგრამ უბრძოლველად არ დათმო იგი...

თემმა დააფასა მამუკაურის ღვაწლი: –

„საკარგყმო დაუდგამთ“ და „ჯარზეით ქალიც აურჩევიათ...“

ჯაჭვის მკვეთელი მისი „ფრანგული“ (ე.წ. „მამუკაურა“) გვიანობამდე ჰქონდათ შემონახული მის შთამომავლებს.

ამჟამად, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

აბა ბიტურას ძე გიგაური

ბლოველი გოლიათი, აბა ბატურას ძე გიგაური (ბიტურათ აბა ბიტურაული) – იმ „შვიდ ხევსურს“ შორის სახელდება, რომლებიც ასპინძის ომში ახლდნენ მეფე ერ-ეკლეს.

შვიდივე საარაკო სიქველით და შემართებით იბრძოდა საყვარელი მეფის გვერ-დით. იბრძოდნენ მეფის გმირობით ფრთაშესხმულნი, საკუთარ მიწაზე, საკუთარი ცის ქვეშ, საკუთარი ქვეყნის დასახსნელად (ლ. სანიკიძე).

გოლიათი ყოფილა აბას მამაც – ბიტურა გიგაური, რომელსაც ორი ვაჟი ჰყოლია

– აბა და ნათელისძე.

ორივე მამასავით სრული და ძლიერი: –

„ნეკნები და მკერდის ძვალი მთლიანი, ფიცარივით მასიური ჰქონდათ.“

ნათელისძე – დეკანოზ-ხევისბერი იყო – ბლოს მიქელ მთავარანგელოზის ჯვარში.

გადმოცემის თანახმად: –

„ბლოელნი, ძველი დროიდანვე გამოირჩეოდნენ ტანიანობითა და ახოვნებით. გავიხსენოთ – გიგა გიგაური, ბერდია მამუკაური, ძმანი აბაბუხნელნი, აფშინათ აბა, ალავერდანი...“ (შ. არაბული).

იმასაც ამბობენ რომ: – მათი ჩამომავალი იყო გოლიათი – გიორგი სააკაძე.

„სააკაძეობა... მაშინ დაირქვა, როცა უკვე დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული (გ. შატბერაშვილის, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 15, 1975 წ.).

(აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით: ხევსურეთიდან XVII საუკუნეში აყრილი გიგაურების ნოსტე-ახალციხე-კასპის რაიონებში ჩასახლება – როგორც ჩანს, შემთხვევითი არ იყო – ისინი თავიანთ ბარელ თანამოძმეებთან წასულან).

*

გიგაურები – დღეს, 50-მდე შტონაყარ გვარს ითვლიან.

მათ შორის არიან: –

ქსნის ხეობელი ცინარიძეები; თიანელი მეჭიაურები; ფშაველი წოწკოლაურები და ანთაურები; მესტუმრეები, ხუციშვილები, ბაბულაშვილები, ჯღლანტიაშვილები, ქადაგიშვილები, მაზარაშვილები; გაბრიელაშვილები, თათარაშვილები, ჭოხურები, ჩაჩაურები...

ძირად ჭართლელი გიგაურები არიან: – ფერხულები, ეთვალისელი ჩანადირები, ღანიაშვილები და მელიწკაურები; მისაქციელელი მახარაშვილები; არღუნელი მერაბიშვილები;

ადრე გიგაურები ყოფილან ახალგორელი გათენაშვილები და არაგვისპირელი თათიკიშვილები;

გიგაურთა შტონაყარია ყარსიმაშვილების გვარი;

ძირად გიგაურები არიან არაგვისპირელი ჯიქურაულები (ადრე, ჯიქურები).

გიგაურებიდან მოდის არღუნელი ჯანგირაშვილების ნაწილი (ზოგი მათგანი პავლეურიდან გადმოსახლებული პეტრიაშვილის შთამომავალია).

სოფ. ქადაგიანებში მცხოვრები ქადაგიძეებიც – ჭართლიდან გადმოსახლებული გიგაურები არიან.

გიგაურები ყოფილან დუშელი პირმისაშვილები; ზემო ბულაჩაურში მოსახლე კავთელიშვილები; სოფ. ყვავილში მცხოვრები საღირაშვილები; ქსოვრისელი ლოხიშვილები და წილკნელი ლაშაურები.

სოფ. იკოთში მცხოვრები გიგაურების განაყრები არიან თორელაშვილები, მაწიაშვილები, მამამთავრიშვილები, როსტევანიშვილები, გიგნიაშვილები, ჩიტაშვილები...

ძირად გიგაურები არიან ფრიდონაშვილებიც;

გიგაურები ყოფილან – ზემო აშში საგურამოდან მისული ნანიაშვილები.

„საგიგაუროს“ („სამღვთო გამოსაღებს“) იხდიდნენ ვეძათხევში მცხოვრები ქაფიაშვილები და ქაისხეველი ნამგალაურები.

მათი ძირხატი ლაშარის ჯვარია, იგივე მუხის (ბერმუხის) გიორგის (ხმელგორაზე

დაბრძანებულის) სალოცავი.

ბლოველი გიგაურები – „მიქაელ – მთავარ ანგელოსსა“ და „გიორგი მგზავრის ანგელოსს“ ლოცულობდნენ.

ჭართლელი გიგაურები – დედაღვთიშობელს.

მიგრაციული პროცესების დროს, გიგაურებს თან მიჰქონდათ როგორც სათემო, ისე საერთო საგიგაურო სალოცავის ნიშები.

ლაშარობას – ფშავში დადიოდნენ სალოცავად.

საერთო საგვარეულო ხატობის დროს – „სამღვთო გამოსაღები“ (ე.წ. „საგიგაურო“) ყველა გიგაურებში გროვდებოდა („ჭართლიდან მცხეთამდე“).

ეს ადათი ერთგვარად ჰკრავდა გიგაურთა ძველ თემს, გიგაურთა დიდ გვარს და მისგან შტონაყარ ათეულობით საგვარეულოს – სოციალურ ერთობას უნარჩუნებდა.

სტეფანწმინდეწლი გიგაურები

ხევში – გიგაურები ბლოდან არიან მოსულები.

1804 წელს მათი ერთი კომლი აღირიცხა: – ელელა (?) ჩეკიაშვილი (სავარაუდოდ, სტეფანწმინდაში პირველმოსახლე გიგაური).

ხევში მოსვლის დროს, რაღაც მიზეზის გამო – გვარი დაუმალავს და ჩეკიაშვილად ჩაწერილა.

1816 წელს – სტეფანწმინდაში, გიგაურყოფილების 5 კომლია აღირიცხული: – ჩიკოს, იოსების, ბერის, ლაზრეს და მამუკა ჩეკიაშვილების სახით (№ 29-33).

1831 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 37, თამაზ ჩეკიევი, 46 წლის; მისი შვილები: – გლახა (30 წლის), გიორგი – 20 წლის; თამაზის ძმები: – ბერი (35 წლის), ხუნა (30 წლის).

№ 38, ისმელა ჩეკიევი, 60 წლის; მისი შვილი ბერი (22 წლის); ნათესავი – ნინია ჩეკიევი (35 წლის).

№ 39, გიორგი ჩეკიევი (27 წლის); მისი ძმები: – შიო (15 წლის), სია (10 წლის), გიორგი (7 წლის).

№ 40, ლაზარე ჩეკიევი (50 წლის); მისი შვილი – იოსები (4 წლის).

1860 წელს აღირიცხნენ: –

№ 47, შიო მამუკას ძე ჩოკიაშვილი – 45 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 19 წლის 2. სიმონი – 15 წლის 3. გიგო – 10 წლის 4. გლახა – 6 წლის.

№ 48, გიორგი ჩენიაშვილი (ჩოკიაშვილი) – 35 წლის; მისი შვილი, დავითი – 3 წლის; გიორგის ძმა, იასე – 30 წლის; იასეს შვილები: 1. ივანე – 9 წლის 2. გიორგი – 3 წლის; გიორგის ბიძა, ბერი – 64 წლის.

№ 71, ბერი გიგაურის ძე (Гигауров) ჩეკიაშვილი – 65 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი 19 წლის 2. გრიგოლი – 11 წლის 3. მოსე – 8 წლის. ამავე კომლშია მოხსენიებული: გიორგი ბიჭიკოს ძე გიგაური – 50 წლის.

№ 73, ბაი ისმელას ძე ჩეკიაშვილი – 51 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 20 წლის 2. ლაზარე – 10 წლის 3. ანდრია – 8 წლის 4. გლახა – 3 წლის 5. ამბროსი – 1 წლის.

1873 წელს აღწერილი 5 კომლიდან ყველა ჩიკიაშვილად არის ჩაწერილი: –

№ 45, შიო მამუკას ძე ჩიკიაშვილი – 58 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 28 წლის 2. გრიგოლი – 23 წლის 3. გლახა – 19 წლის 4. სტეფანე – 8 წლის; შიოს ძმისშვილები:

1. ალექსი – 8 წლის 2. იოსები – 5 წლის 3. ლეონტი – 4 წლის.

№ 46, გიორგი მამუკას ძე ჩიკიაშვილი – 48 წლის; მისი შვილები: 1. დავითი – 16 წლის 2. ალექსი – 5 წლის 3. ივანე – 3 წლის.

№ 47, იასე მამუკას ძე ჩიკიაშვილი – 43 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 22 წლის 2. გიორგი – 16 წლის 3. ალექსი – 5 წლის; ივანეს შვილი, დავითი – 3 წლის.

№ 73, გიორგი ბერის ძე ჩეკიაშვილი – 32 წლის; მისი შვილი, ივანე – 6 თვის. გიორგის ძმები: 1. გრიგოლი – 24 წლის 2. მოსე – 21 წლის.

№ 75, ბაი ისმელის ძე ჩეკიაშვილი – 64 წლის; მისი შვილები: 1. ლაზარე – 23 წლის 2. გლახა – 16 წლის 3. ჟაბიხანი – 8 წლის.

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 48, ჩეკიაშვილი, იგივე გიგაური სიმონ შიოს ძე – 38 წლის; მისი შვილები: 1. სოლომონი – 6 წლის 2. ილია – 3 წლის; სიმონის ძმები: 1. გრიგოლი – 35 წლის 2. გლახა – 31 წლის 3. სტეფანე – 9 წლის; გრიგოლის შვილები: 1. გიორგი – 9 წლის 2. შიო – 5 წლის; სიმონის ძმისშვილები: 1. ალექსი – 19 წლის 2. იოსები – 16 წლის 3. ლევანი – 14 წლის.

№ 49, ჩეკიაშვილი დავით გიორგის ძე – 28 წლის; მისი შვილი გიორგი – 2 წლის. დავითის ძმა, ივანე – 15 წლის.

№ 50, ჩეკიაშვილი იასე მამუკას ძე – 55 წლის; მისი შვილი, ივანე – 34 წლის; ივანეს შვილები: 1. მიხეილი – 13 წლის 2. იობი – 11 წლის 3. იორდანე – 6 წლის 4. ივანე – 3 წლის 5. ალექსი – 6 თვის.

№ 84, ჩეკიაშვილი ლაზარე ბაის ძე – 35 წლის; მისი შვილები: 1. სოსო – 5 წლის 2. გეჯური (Геджур) (შიო) – 2 წლის.

№ 85, ჩეკიაშვილი გლახა ბაის ძე – 28 წლის; მისი შვილი, სტეფანე – 4 წლის; გლახას ძმა, გიორგი – 20 წლის.

როგორც წარმოდგენილი საბუთებიდან ჩანს, XIX ს-ის აღწერებში – სტეფანწმინდელი გიგაურები – ძირითადად, ჩეკიაშვილებად არიან ჩაწერილები.

საკუთარი გვარი მათ – მოგვიანებით, XX ს-ში აღიდგინეს.

როგორც ვალ. ითონიშვილი გვამცნობს: –

„სტეფანწმინდას არსებობდა გიგაურების დიდი ოჯახი (დიდი ჩეკიენი), რომელთაც სახნავი ნაკვეთი იყიდეს ალ. ყაზბეგისაგან (სანდროსგან) და დაარქვეს სანდროსეული.

ოჯახს მეთაურობდა შიო.

მისი გარდაცვალების შემდეგ, დიდი ოჯახის სათავეში მოექცა მისი უფროსი ვაჟი – ვანკაი; მის დროს დაისახეს მიზნად დიდ ჩეკიეთ – ცხვრის გაშენება.

„ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ალ. ყაზბეგის სიყმის მეგობარს, ჩეკიეთ სვიმონს, რომელსაც შინაურობაში ეძახდნენ – მასინაის.“

(ამბობენ რომ: –ჩეჩნეთის საძოვრებზე ყოფნის დროს, სვიმონი, ალ. ყაზბეგთან ერთად – 1000 ცხვარს აზამთრებდა).

მასინაის და მისი ძმების მუყაითობით, ჩეკიეთ ფარა, თანდათან – 8000 სულამდე გაზრდილა;

აღნიშნულის შემდგომ, სვიმონ გიგაური – კარკუჩელ ლევანა ყამარაულთან და გერგეტელ ტოგოლა სუჯაშვილთან ერთად – პირველი გასულა ყიზლარის ველებზე ცხვრის გამოსაზამთრებლად.

*

გიგაურების გვარიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, ლიტერატორები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები – სპორტსმენები: –

1921 წლის 25 თებერვალს, როცა თბილისის თავზე – უკვე, საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებდა – დარიალის ხეობაში ჩასაფრებული ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი, წმინდა გიორგის 4 საბრძოლო ორდენის კავალერის, ნიკო გიგაურის მეთაურობით – თებერვილის ბოლომდე თავგანწირვით ებრძოდა ჩრდილოეთიდან მომხდურ საბჭოთა არმიას.

საბრძოლო პოზიციები მხოლოდ მას შემდეგ დათმეს – როცა გაიგეს რომ – თბილისში ყველაფერი დამთავრდა.

ბატონმა ნიკომ მისი საკადრისი შთამომავლობა დატოვა: –

გიორგი (გიგო) გიგაური – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 165 სამეცნიერო ნაშრომის, 12 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს ავტორი – საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი; სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს მეტყევეთა საზოგადოების პრეზიდენტი.

მისი ბიოგრაფია შეტანილია აშშ-ს ბიოგრაფიის ინსტიტუტისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოჩენილ პიროვნებათა ცნობარში.

დავით გიგაური – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ეროვნული პარკის დირექტორი, საქართველოს სატყეო კომიტეტის თავმჯდომარე.

წლების განმავლობაში – თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის, „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი გახლდათ სპირიდონ გიგაური.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი – მედიც. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ვლადიმერი (ვოვა) გიგაური – მოღვაწეობდა მოსკოვში; იყო კლინიკური და ექსპერიმენტალური ქირურგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური განყოფილების ხელმძღვანელი.

50 გამოგონების დამუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის მიენიჭა რუსეთის ფედერაციის დამსახურებული გამომგონებლის წოდება.

მოსკოვში გამაცნო იგი ჩემმა მასწავლებელმა, აკად. ვ. შუმაკოვმა.

მეტად თავმდაბალი ადამიანი გახლდათ.

აშკარად ჩანდა მისი კეთილშობილება, დიდსულოვნება, დელიკატურობა.

კარგი მეგობრული რჩევა მომცა ჩემს ექსპერიმენტთან დაკავშირებით.

რავაზ გიგაურს, ცნობილ მორაგბეს – საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოპოვებული აქვს 40 კეპი; „რაგბი ევროპის“ (ერთა თასის) ჩემპიონია; ორი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.

გივი გიგაური ცნობილი ალპინისტი გახლდათ – საქართველოს ნაკრების წევრი; 1989 წელს მიენიჭა „თოვლის ჯიქის“ ლაურეატობა.

დალაშქრული აქვს მსოფლიოს უდიდესი მწვერვალები.

ვალიშვილები

ძირად – ქართველი დვალები არიან.

ოსთაგან შევიწროებულნი – დვალეთის მამისონის (ჟღელეს) ხეობიდან მოსულან თრუსოში (წოწოლთასა და ბურმასიგში)

რუსების შემოსვლამდე – მათი გვარი იყო თვაური (უფრო ადრე, თავაური). გაოსების პერიოდში – თავაევი და თუაევი.

თვაურების განაყრები არიან დვალიშვილები (შემდგომში – ვალიშვილები და ვალიევები).

1831 წლის აღწერით, პოდპორუჩიკ მიხეილ ყაზბეგის და მისი ძმების მსახურთა ჩამონათვალში მოხსენიებულია, ვინმე ვალიევი: – (45 წლის) და მისი შვილები: – ლუა – 24 წლის, სოსია – 6 წლის, როჟომა(?) – 20 წლის. ვალიევის ძმა, მირმანი – 35 წლის. მათი ძმისშვილები: სია – 28 წლის ნინია – 25 წლის (სცსა ფონდი 254, აღწერა 1, №1245).

1860 წელს – სტეფანწმინდაში სახლობდნენ: –

№ 4, როსტომ თომას ძე ვალიშვილი – 54 წლის; მისი ბიძაშვილი, სოლომონი – 28 წლის.

№ 17, პორუჩიკ ნიკოლოზ გაბრიელის ძე ყაზბეგის გლეხი – ალექსი ლუას შვილი ვალიევი – 19 წლის.

ამავე წელს – გენერალ-მაიორ, მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგის გლეხების ჩამონათველში სახელდება: – ბუცი გიორგის ძე ვალიშვილი, 36 წლის; მისი შვილი, გიორგი – 2 წლის; ძმის შვილი, იაკობი, 18 წლის (სცსა ფონდი 254, აღწერა 2, დოკუმენტი №235).

როგორც ჩანს: –

1831 წელს აღწერილი ვალიევის შთამომავლობა ვალიევად რჩება.

პარალელურად ჩნდება ახალი კომლი – ვალიშვილის გვარით.

1873 წელს – გენერალ-მაიორ მიხეილ ყაზბეგის დროებით ვალდებული გლეხების ჩამონათვალში აღრიცხულნი არიან: –

გიორგი ბუციას ძე ვალიშვილი, 15 წლის; მისი ძმისშვილი, იაკობი – 31 წლის.

როსტომ თომას ძე ვალიშვილი, 67 წლის; მისი ბიძაშვილი, ივანე, სოლომონას შვილი, 10 წლის.

ალექსი ლუას შვილი ვალიევი, 32 წლის (სცსა, ფონდი №254, აღწერა 3, დოკუმენტი №257).

1886 წლის – სტეფანწმინდაში დარეგისტრირდნენ: –

№ 125, ვალიშვილი გიორგი ბუჩიას ძე – 27 წლის; მისი შვილი, ივანე – 3 წლის.

№ 126, კალაგაშვილი, იგივე ვალიშვილი – სტეფანე მირიმანის ძე – 19 წლის (აღნიშნულია, რომ ცხოვრობს სოფ. მანგლისში).

№ 127, ვალიშვილი ივანე სოლომონის ძე, 22 წლის.

№ 135. 13. ვალიევი ალექსი ლუას ძე (Луев), 32 წლის (მითითებულია, რომ ქ. ვლადიკავკაზში ცხოვრობს).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

დვალიშვილი-ვალიშვილების ნაწილი – დვალეთსა და თრუსოში შექმნილ ოსურ

ეთნიკურ გარემოში გაოსდა – ვალიევის გვარზე გადავიდა და ოსეთში გადასახლდა. მათი დიდი ნაწილი დედით ოსი იყო.

*

სტეფანწმინდელი ვალიშვილების გვარს წარმოადგენს – ეთნომუსიკოლოგი, ნანა ვალიშვილი – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი. მსახურობდა სამუსიკო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში – ხალხური სიმღერის მასწავლებლად; სარეგენტო-სალოტბარო ჯგუფების ფოლკლორის პედაგოგად;

ეწევა საექსპედიციო საქმიანობას;

არის ხალხური სიმღერების კრებულების მუსიკალური რედაქტორი;

მღერის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზეთამზეში“;

ხელმძღვანელობს მოხეური ხალხური სიმღერების შემსრულებელ ვაჟთა ანსამბლ „ჯვარულს.“ ედიშერ გარაყანიძის სახელობის ბავშვთა სტუდია „ამერ-იმერის“ პედაგოგი და თბილისის წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ტაძრის რეგენტია.

თოფაძეები

1860 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში სახლობდნენ: –

დავით ლაზარს ძე თოფაძე, 50 წლის; მისი შვილი, ლევანი – 8 წლის; დავითის ძმა, ანდრია – 29 წლის (სცსა, ფ. 254, აღწ. 2, დოკ. 235).

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

ანდრია ლაზარეს ძე თოფაძე – 49 წლის; მისი შვილები: ილია – 10 წლის, ლაზარე – 4 წლის, ნიკოლოზი 2 წლის; ანდრიას ძმისშვილი, ლევანი – 21 წლის (ფ. 254, აღწ. 3, დოკ. 257).

1886 წელს დარეგისტრირდნენ: –

თოფაძე ანდრია ლაზარს ძე, 65 წლის; მისი შვილები: ილია – 23 წლის, ლაზარე – 16 წლის, ნიკოლოზი – 14 წლის, გიორგი – 11 წლის, ლევანი – 6 წლის, ივანე – 4 წლის, იოსები – 2 წლის.

*

ხევის ცხოვრებაში თოფაძეებმა სიკეთის კვალი დატოვეს.

მოხევეები სტეფანწმინდელებლად მიიჩნევენ.

მათი შთამომავალია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი – გიორგი (გოგი) თოფაძე – 4 მონოგრაფიის, 20 სამეცნიერო ნაშრომის და 1 სახელმძღვანელოს ავტორი;

პოლიტიკური მოძრაობის – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თავმჯდომარე.

იყო საქართველოს პარლამენტის წევრი; ევროპის სავაჭრო პალატის და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი – სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი...

თავის შვილობილ საწარმოს – ხევის სიყვარულით, „ყაზბეგი“ დაარქვა.

მოხევეებს მისი სწამთ და ეიმედებათ.

სათარგმანო (თარგმანი)

„თანახმად ხალხური განმარტებისა, სოფლის სახელი თარგმანი წარმოიშვა ხევის შორეულ წარსულში არსებული დასახლების – სათარგმნო-ს სახელწოდებიდან“, რომელიც უფრო გვიანდელი სოფელი თარგმანის ჩრდილოეთით, მდ. ყუროს ნაპირას მდებარეობდა და ხევის უძველეს სათემო ცენტრს წარმოადგენდა.

„ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, ძველ მოხეურში – „თარგმანი“ ნიშნავდა ბჭობას, თათბირს, მსჯელობას...“

„იმ ადგილსაც, სადაც ხევის თავკაცების ბჭობა იმართებოდა“ – აღნიშნულის გამო უწოდესო თარგმანი (ვალ. ითონიშვილი).

ხალხური მეხსიერების მიხედვით: –

ყუროს მთის ძირას შემორჩენილი ძველი ნასოფლარის მიმდებარედ, „წითელ ეკლესიაში“ მდგარა სტეფანე ბერი – გვარად ფიცხელაური (ქოსლელი); ერისკაცობაში ღურბელა – დაქვრივების შემდეგ სტეფანეს სახელით ბერად შემდგარი;

ჯერ ბეთლემის უდაბნოში უმოღვაწია – მერე, ყუროს გამოქვაბულში.

ამბობენ რომ: – „წითელი ეკლესია“ მას აუშენა ხალხმა.

აღნიშნულ სალოცავს ვ. ბარდაველიძე – „სისხლის ეკლესიად“ მოიხსენიებს, რადგან „დიდი ცოდვა-ბრალი მომხდარა – იქ, როცა თარგმანი ყუროდან წამოსულმა ლავამ დაიტანა...“

ხანგრძლივი წვიმის შემდგომ, შუაღამისას ადიდებულა მდინარე ყურო.

საშინელ ნიაღვარს დაუწყია დენა.

სტეფანე ბერს უგრძვნია მოსალოდნელი საფრთხე.

ზარების საგანგაშო რეკვით გაუღვიძებია სოფელი.

მოსახლეობამ – გახიზვნა მოასწრო;

მათი სახლკარი (ანუ, ძველი სათარგმანო) ღვარცოფმა წალეკა.

ასეთი უბედურების შემდგომ, ხალხი მდ. ყუროს მეორე (მარჯვენა) ნაპირზე დასახლდა და ახალ სამოსახლოს – სტეფანე ბერის მადლიერების გრძნობით – სტეფანწმინდა უწოდა.

დღეს – თარგმანი სტეფანწმინდის ერთ-ერთი უბანია, სადაც ქუშაშვილები, ბულაშვილები, ჯამარჯაშვილები, შავხალაშვილები, ხურთიშვილები და გურაპიშვილები სახლობდნენ.

XVIII ს-ის აღწერებში მხოლოდ ორი გვარია მოხსენიებული – ბულაშვილი და ჯამარჯაშვილი.

ქუშაშვილები, ვარდიშვილები და კურკუმულები

გადმოცემის თანახმად: –

სათარგმანოში – ყველაზე ადრე, ქუშაშვილები მოსულან;

„სტეფანწმინდის პირველი დასახლება ყოფილა ქუშეთი.“

ქუშენი – პატრონიმიული სახელია მათი გვარისა.

„თავიანთ წარმომავლობას ისინი ზედგენიძეების გვარიდან ანგარიშობენ.“

„სამი ძმანი ზედგენიძეები იმერეთიდან – ხევში გადმოხვეწილან და სოფ. ყანობში

დასახლებულან“ (ვალ. ითონიშვილი).

ერთი მათგანი – მოგვიანებით, სათარგმნოში გადასულა საცხოვრებლად.

ყანობში დამკვიდრებულ ძმებს – ვარდიშვილების და კურკუმულების გვარისთვის მიუცია დასაბამი.

სათარგმნოში მისული ძმის შთამომავლობა – სახევისბეროში მომხდარი ჩხუბის დროს, ჩიბაშვილებს ამოუწყვეტია. გადარჩენილა მხოლოდ მათი ორსული რძალი – „რომლის მოყვანიდან ერთ წელს გაევლო და, როგორც წესი, საიწილოდ იყო წასული მამის სახლში, სოფ. დოღურბაშოში“ (ჯარიახის ხეობა).

იქ შესძენია მას ვაჟი, რომლისგანაც გადმოცემის თანახმად, ახალად წარმოსდგა სტეფანწმინდელი ქუშაშვილების გვარი.

*

ნასოფლარ სათარგმანოს ტერიტორიაზე მდებარე სალოცავს – „ქუშენის წმინდა გიორგის“ ეძახიან.

ამბობენ რომ: – უფრო ადრინდელი სალოცავის ადგილზე დგას.

ქუშაშვილებს – კოშკი ჰქონიათ; ნაკოშკარზე დაუდგამთ წმინდა გიორგის ნიში და იმ ადგილს – დღესაც, „ქუშეთ ციხეს“ ეძახიან.

იმდენად პატარა შესასვლელი აქვს – მლოცველი დაჩოქილი შედის.

სალოცავი, ადრე – მხოლოდ ქუშაშვილების კუთვნილება იყო.

მოგვიანებით შეუზიარებიათ ჩოფიკაშვილები. შემდგომში, მათთან ერთად, აღდგომას აღნიშნავდნენ – იქ: შადურები, ქავთარაშვილები, შავხალაშვილები, ხეთაგურები და ხაიკაშვილები.

ქუშაშვილები და ჩოფიკაშვილები – დღემდე, აღნიშნული სალოცავის მლოცველებად დარჩნენ;

შადურებმა და ქავთარაშვილებმა – ცალკე დადგეს თავიანთი წმინდა გიორგის ნიში.

სალოცავის მთავარი ხატი წარმოადგენდა ვერცხლის ყოჩს – რომელიც, ერთი ვერსიის თანახმად, ქოსელთ მოუპარიათ; ქუშაშვილებმა – ნაქურდალს მიაგნეს და დიდი სისხლისღვრის შემდეგ – დაიბრუნეს.

(განსხვავებული ვერსია იხილეთ წინა თავებში: – „სტუმარ-მასპინძლობა“; „ქოსლელი ფიცხელაურები და ფადიაურები“).

*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ – 1980 წლის ივლისში, დაბა სტეფანწმინდის ქუშეთ უბანში დააარსა წმინდა იოანე ნათლისმცემელის ნიში.

მის მიმდებარედ – 2004 წელს, სოსო (იოსებ) ქუშაშვილის ფინანსური შემწეობით, აშენდა ორნავიანი ბაზილიკა (არქიტექტორი რევაზ ჯანაშია);

მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ გოგი და თამაზ ქუშაშვილები.

სალოცავი ნაგებია მოყვითალო ფერის კარგად გათლილი კვადრებით. სამხრეთით მდებარე კარის წირთხლს აგვირგვინებს თაღში ჩასმული ბარელიეფი – მოჩუქურთმებული ჯვრის გამოსახულებით. აღმოსავლეთის ფასადზე – საკურთხევლის სარკმლის თავზე, მოზრდილი ჯვრის ბარელიეფია.

ინტერიერში: – აღსავლის კარზე, ხარების სცენა და მახარებლებია ამოკვეთილი; ჩრდილოეთის და სამხრეთის კარზე – მთავარანგელოზები.

კანკელი გაფორმებულია ორნამენტებით.

ხეზე კვეთა შეასრულეს: ბიძინა ჯანუყაშვილმა, ზურაბ და ჯემალ სუჯაშვილებმა.

2013 წელს აშენდა ტაძრის სამრეკლო და გალავანი;

2016 წელს – წმინდა იოანე ნათლისმცემელის სახელობის დედათა მონასტერი („სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორია“, 2018 წელი).

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

სტეფანწმინდაში მცხოვრები ქუშაშვილების დიდი (ერთ დროს, 55 სულიანი) ოჯახის (ქუშენის, ქეცუენის, თომენის) მეთაური იყო – ბერი ქუშაშვილი – რომელსაც ჰყავდა 4 ვაჟი: – ღაბა, სვიმონი, სოსია და ბერი.

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში მათი 1 კომლი სახლობდა: – ქუშაის შვილი ვარძუკა, ხაბოჭა, შოან და მამაი.

1781 წელს აღირიცხა: – ქუშაის შვილი ხაბაჭა, ამოან, მამა, ისე და ძია.

1816 წელს აღირიცხნენ: – მამუკა ქუშაშვილი, ლომნია ქუშაშვილი და (მეორე) ქუშაშვილი მამუკა.

1831 წელს – სახელდებიან: –

№ 14, მამუკა ქუშაევი – 42 წლის; მისი შვილები: 1. ბერი – 20 წლის 2. იოსები – 18 წლის 3. სიმონი – 10 წლის; მამუკას ძმები: 1. გულა – 30 წლის; მისი შვილი, გიორგი – 6 წლის 2. გრიგოლი – 25 წლის; მისი შვილი, გაბრიელი – 7 წლის 3. ტოჩელა – 20 წლის.

№ 15, შიო ქუშაევი – 50 წლის; მისი შვილები: 1. ანდრია – 10 წლის 2. ტეპია(?) – 8 წლის; შიოს ძმა, ბიძი – 40 წლის.

№ 16, ივანე ქუშაევი – 30 წლის; მისი შვილები: 1. ღარიბა – 12 წლის 2. დავითი – 8 წლის; ივანეს ძმა, იასე – 20 წლის; მისი შვილი, გლახა – 4 წლის.

№ 17, ლომნია ქუშაევი – 40 წლის; მისი შვილები: 1. თევდორე – 10 წლის 2. სიმონი – 2 წლის; ლომნიას ძმები: 1. იასე – 25 წლის 2. ივანე – 20 წლის.

1842 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 15, გულა ქუშაევი (Кушаев) – 41 წლის; მისი შვილები: 1. ჯარია – 11 წლის 2. თომა – 6 წლის; გულას ძმა, გიორგი – 31 წლის; მისი შვილი, ივანე, იგივე ტოჩელა – 7 წლის.

№ 16, შიო ქუშაევი (Кушаев) – 61 წლის; მისი შვილები: 1. ანდრია – 21 წლის 2. ტეტია – 19 წლის; შიოს ძმა, ბიჭი – 51 წლის; ძმისშვილი, იოსები – 11 წლის.

№ 17, ივანე ქუშაევი (Кушаев) – 41 წლის; მისი შვილები: 1. ღარიბა – 21 წლის 2. დავითი – 19 წლის 3. პეტრე – 4 წლის; ივანეს ძმა, იასე – 31 წლის; მისი შვილები: 1. გლახა – 15 წლის 2. იოსები – 1 წლის.

№ 18, თევდორე ქუშაევი (Кушаев) – 21 წლის; მისი ძმა, სიმონი – 13 წლის.

1860 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 5, იოსებ ბერის ძე ქუშაშვილი – 45 წლის; მისი შვილები: 1. გლახა – 35 წლის 2. იაკობი – 20 წლის. გლახას შვილი, სიმონი – 6 თვის.

№ 6, ჟარია გელას ძე ქუშაშვილი – 35 წლის; მისი ძმა, თომა – 20 წლის.

№ 7, გიორგი ბიძიას ძე ქუშაშვილი – 54 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 25 წლის 2. დემეტრე – 15 წლის.

№ 8, სიმონ მამუკას ძე ქუშაშვილი – 32 წლის; მისი შვილები: 1. ნიკოლოზი – 3 წლის 2. სპირიდონი – 6 თვის; სიმონის ძმა, ღარიბა – 25 წლის; მისი შვილი, სტეფანე – 1 წლის.

№ 9, იოსებ მამუკას ძე ქუშაშვილი – 40 წლის; მისი შვილები: 1. ნანე – 5 წლის 2. სიმონი – 1 წლის; იოსების ძმის, ბერის შვილები: 1. ნინია – 16 წლის 2. იოსები – 8 წლის 3. სტეფანე – 6 წლის.

№ 10, ანდრია შიოს ძე ქუშაშვილი – 45 წლის; მისი შვილი, ივანე – 3 წლის. ანდრიას ძმა, ტერენტი – 30 წლის.

№ 11, გრიგოლ გიორგის ძე ქუშაშვილი – 60 წლის. მისი შვილები: 1. გაბრიელი – 30 წლის 2. ივანე – 25 წლის 3. ნიკოლოზი – 22 წლის 4. ბიძია – 19 წლის. გაბრიელის შვილი, ბესარიონი – 3 წლის.

№ 12, გრიგოლ დორიჩას ძე ქუშაშვილი – 28 წლის; მისი შვილი, ესტატე – 2 წლის. გრიგოლის ძმა, გლახა – 16 წლის.

№ 13, ღარიბა ივანეს ძე ქუშაშვილი – 32 წლის; მისი ძმები: 1. დავითი – 30 წლის 2. პეტრე – 20 წლის 3. კიკო – 15 წლის.

1873 წელს – სახელდებიან: –

№ 4, გლახა იასეს ძე ქუშაშვილი – 48 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 13 წლის 2. სტეფანე – ორწლინახევრის; გლახას ძმა, პავლე – 33 წლის.

№ 5, ჟარია გელას ძე ქუშაშვილი – 48 წლის; მისი შვილები: 1. ალექსი – 11 წლის 2. იაკობი – 6 წლის 3. სტეფანე – 3 წლის; ჟარიას ძმა, თომა – 33 წლის.

№ 6, დიმიტრი გიორგის ძე ქუშაშვილი – 28 წლის; მისი ძმის შვილები: 1. სიმონი – 10 წლის 2. ნიკოლოზი – 3 წლის.

№ 7, ღარიბა მამუკას ძე ქუშაშვილი – 38 წლის; მისი შვილები: 1. სტეფანე – 14 წლის 2. ალექსი – 8 წლის 3. ნიკოლოზი – 2 წლის.

№ 8, იოსებ მამუკას ძე ქუშაშვილი – 53 წლის; მისი შვილები: 1. ნანე – 18 წლის 2. სიმონი – 14 წლის 3. ბესარიონი – 10 წლის.

№ 9, ნინია ბერის ძე ქუშაშვილი – 29 წლის; მისი ძმები: 1. იოსები – 21 წლის 2. სტეფანე – 19 წლის; ბიძაშვილი, სპირიდონი – 10 წლის.

№ 10, ტერენტი შიოს ძე ქუშაშვილი – 41 წლის; მისი შვილი, გიორგი – 4 წლის. ძმისშვილი, ივანე – 16 წლის.

№ 11, გაბრიელ გრიგოლის ძე ქუშაშვილი – 43 წლის; მისი შვილი თევდორე – 10 წლის; გაბრიელის ძმები: 1. ივანე – 42 წლის 2. ნიკოლოზი – 39 წლის 3. ბიძია – 35 წლის; ნიკოლოზის შვილი, იოსები – 6 თვის.

№ 12, გრიგოლ დორიჩას ძე ქუშაშვილი – 41 წლის. მისი შვილი ესტატე – 15 წლის.

№ 13. გაბრიელ ივანეს ძე ქუშაშვილი – 45 წლის; მისი შვილი, ივანე – 2 წლის.

№ 14, დავით ივანეს ძე ქუშაშვილი – 43 წლის; მისი ძმები: 1. პეტრე – 33 წლის 2. ნიკოლოზი – 28 წლის; ნიკოლოზის შვილი, სიმონი – 4 წლის.

1886 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 5, ქუშაშვილი პავლე იასეს ძე – 45 წლის; მისი შვილები: 1. სპირიდონი – 5 წლის 2. ნიკოლოზი – 2 წლის; პავლეს ძმისშვილები: 1. სვიმონი – 25 წლის 2. სტეფანე

გლახას ძე – 15 წლის. სიმონის შვილი, ფიდო – 1 წლის.

№ 6, ქუშაშვილი ალექსი, იგივე ნიკოლოზ ჯარიას ძე – 23 წლის; მისი ძმები: 1. იაკობი – 18 წლის 2. სტეფანე – 15 წლის 3. ივანე – 8 წლის.

№ 7, ქუშაშვილი სიმონ ივანეს ძე – 22 წლის; მისი ძმა, ნიკოლოზი – 15 წლის; ბიძაშვილი, თევდორე დიმიტრის ძე – 7 წლის.

№ 8, ქუშაშვილი ღარიბა მამუკას ძე – 50 წლის; მისი შვილები: 1. სტეფანე – 26 წლის 2. ალექსი – 20 წლის.

№ 9, ქუშაშვილი ნანე სოსიას ძე – 30 წლის; მისი შვილი ლაზარე – 4 წლის; ნანეს ძმები: 1. გრიგოლი – 26 წლის 2. ბესო – 22 წლის; გრიგოლის შვილი, ეგნატე – 5 წლის.

№ 10, ქუშაშვილი ნინია ბეროს ძე (Бероев) – 41 წლის; მისი ძმა, იოსები – 33 წლის; იოსების შვილები: 1. სიმონი – 7 წლის 2. აბრაამი – 3 თვის; ნინიას ბიძაშვილი, სპირიდონი – 22 წლის.

№ 11, ქუშაშვილი ტერენტი შიოს ძე – 41 წლის; მისი შვილი გიორგი – 4 წლის; ტერენტის ძმისშვილი, ივანე ანდრიას ძე – 28 წლის (ვლადიკავკაზში გადავიდა საცხოვრებლად).

№ 12, ქუშაშვილი გაბრიელ გაბრიელის ძე – 55 წლის; მისი შვილი თევდორე – 22 წლის; გაბრიელის ძმა, ბიძია – 47 წლის; ბიძიას შვილი, ილია – 2 წლის.

№ 13, ქუშაშვილი ნიკოლოზ გრიგოლის ძე – 49 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 13 წლის 2. იობი – 7 წლის.

№ 14, ქუშაშვილი იოსებ დორიჩას ძე – 53 წლის; მისი შვილი, ესტატე – 27 წლის. ესტატეს შვილი, ლევანი – 6 თვის.

№ 15, ქუშაშვილი ღარიბა ივანეს ძე – 57 წლის; მისი შვილი, ივანე – 5 წლის.

№ 16, ქუშაშვილი დავითი ივანეს ძე – 55 წლის.

№ 17, ქუშაშვილი პეტრე ივანეს ძე – 45 წლის; მისი შვილი, ვლადიმერი – 3 წლის.

18, ქუშაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე – 40 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 15 წლის 2. ლევანი – 6 თვის.

*

ქუშაშვილების გვარს წარმომადგენელია – მჭიდა მასალების ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალისტი – მეცნიერი და რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებელი – ციცო (ჟუჟუნა) ქუშაშვილი; 35 სამეცნირო ნაშრომის და 12 გამოგონების ავტორი.

თარგმანელი ბულაშვილები

ძირად ღუდუშაურები არიან – პაპენის განაყრები.
1774 წელს – თარგმანში მათი ორი კომლი სახლობდა: –
ბულას შვილი ვეფხია და ისე.
ბულას შვილი სოლთანბეგ და დავით.
1781 წელს – აღირიცხნენ: –
ბულა შვილი იასე და დავით;
ბულა შვილი სოლთანბეგ და ივანე;
ბულა შვილი ვეფხია.

1831 წელს – სტეფანწმინდაში დარეგისტრირდნენ: –

№ 54, შაქარა ბულაშვილი – 40 წლის.

№ 55, სია ბულაშვილი – 35 წლის; მისი შვილები: 1. გრიგოლი – 6 წლის 2. გიორგი – 3 წლის; სიას ძმა, ბერი – 18 წლის.

№ 76, პოდპორუჩიკ სიმონ ყაზბეგის მსახური – თალია (Талия) ბულიაშვილი – 10 წლის.

1842 წელს სახელდებიან –

60, შანარა ბულაშვილი, 51 წლის (გარდაიცვალა 1850 წელს).

61, ზალია ბულაშვილი, 32 წლის (გარდაიცვალა 1855 წელს); მისი ძმა, პეტრე – 29 წლის (გარდაიცვალა 1852 წელს).

1860 წელს აღრიცხეს: –

№ 88, გიორგი ბულაშვილი – 12 წლის; მისი ძმები: 1. ნანე – 8 წლის 2. ბერი – 3 წლის. ძმისშვილი, გიორგი – 4 წლის.

1873 წელს მოხსენიებულია: –

№ 91, გიორგი ზაალის ძე ბულაშვილი – 25 წლის; მისი ძმა, ნანე – 21 წლის.

1886 წელს დარეგისტრირდნენ: –

№ 102, ბულაშვილი გიორგი ზაალის ძე – 44 წლის; მისი ძმა, ნანე – 37 წლის. ნანეს შვილი, არტემი – 4 წლის.

ჯამარჯაშვილები

გადმოცემიდ თანახმად: –

კარკუჩიდან მიგრირებული კაცის შთამომავალნი არიან.

მათი ადრინდელი გვარი მარსაგიშვილი ყოფილა.

1774 წლის აღწერით – თარგმანში სახლობდა – ჯამარჯას შვილი ბერა, ისე, ზარიბეგ და პოვლია.

1781 წელს – დაფიქსირდნენ: – ჯამარჯას შვილი ბერა, ისე, ზარიბეგ, პავლია და ივანე.

1831 წელს – სტეფანწმინდაში მოხსენიებულია: –

№ 56, ბიძია ჯამარჯოვი – 60 წლის; მისი შვილიშვილი, ივანე – 8 წლის. ბიძიას ძმები: 1. პავლე – 20 წლის 2. პეტრე – 15 წლის; ძმისშვილი, გლახა – 28 წლის.

№ 57, ყაზი ჯამარჯოვი – 35 წლის; მისი შვილები: 1. შიო – 10 წლის 2. პეტრე – 6 წლის.

1842 წელს აღრიცხნენ: –

№ 62, გლახა ჯამარჯოვი – 39 წლის; მისი ძმები: 1. პავლე – 31 წლის 2. პეტრე – 26 წლის. პეტრეს შვილები: 1. ივანე – 3 წლი. 2. სია – 1 წლის.

1860 წელს დარეგისტრირდა: –

№ 85, პეტრე ბერის ძე ჯამარჯაშვილი – 36 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 20 წლის 2. იასე – 19 წლის 3. იოსები – 4 წლის.

№ 86, ნინია ყაზილას ძე ჯამარჯაშვილი – 32 წლის; მისი ძმა, კიკო – 30 წლის.

№ 87, ივანე იოსების ძე ჯამარჯაშვილი – 25 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 10 წლის 2. გიორგი – 3 წლის.

№ 89, გლახა ჯამარჯაშვილი – 40 წლის.

№ 90, ზაქარია ჯამარჯაშვილი – 10 წლის.

1873 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 87, პეტრე ბერის ძე ჯამარჯაშვილი – 49 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 33 წლის 2. იოსები – 18 წლის 3. გრიგოლი – 7 წლის.

№ 88, ნინია კოზმას ძე ჯამარჯაშვილი – 45 წლის („ჭკუასუსტი; ამოღებულია საგადასახადო სიიდან).

№ 89, კიკო კოზმას ძე ჯამარჯაშვილი – 43 წლის; მისი შვილი, გიორგი – 8 წლის.

№ 90. ივანე იოსების ძე ჯამარჯაშვილი – 38 წლის. მისი შვილები: 1. გიორგი – 16 წლის 2. ანდრია – 5 წლის.

№ 92, ზაქარია პავლეს ძე ჯამარჯაშვილი – 23 წლის. მისი შვილი, გიორგი – 1 წლის.

93. ხუტუა გლახას ძე ჯამარჯაშვილი – 25 წლის; მისი შვილი, გიორგი – 1 წლის.

1886 წელს სახელდებიან: –

№ 98, ჯამარჯაშვილი იოსებ პეტრეს ძე – 30 წლის; მისი შვილი ვანო – წლინახევრის; იოსების ძმა, გრიგოლი – 19 წლის.

№ 100, ჯამარჯაშვილი კიკო ყაზიას (Казиев) ძე – 55 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 26 წლის 2. მიხეილი – 6 თვის.

№ 101, ჯამარჯაშვილი ივანე იოსების ძე – 57 წლის; მისი შვილები: 1. გიორგი – 28 წლის 2. ანდრია – 17 წლის.

№ 103, ჯამარჯაშვილი ზაქარია პავლეს ძე – 35 წლის; მისი შვილები: 1. სპირიდონი – 3 წლის 2. გიორგი – 6 თვის; ზაქარიას ძმისშვილი, მიხეილ ხუტიას (Хутиев) ძე – 9 წლის.

ჯამარჯაშვილი ნინია კოზმას ძის „ოჯახი ამოწყდა“.

ბაცალიგოელი და აყნელი ფიცხელაურები

ფიცხელაურთა გვარმოდენილობა ბაცალიგოდან მოდის.

სოფელი ხევსურეთის არაგვის და გუდანისწყალის ხეობათა გამყოფი ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს – ზ.დ. 1900 მ-ზე.

„აქ ქისტ მდგარ, ბაცა ხქვივნებივ... იმაზე ხქვიან“ ეს სახელი.

გვარსახელი – საერთო წინაპრის, გვარის მამის საკუთარ სახელს უკავშირდება.

ბაცალიგოელ ფიცხელა არაბულზე მოდიანო ფიცხელაურები.

გადმოცემის თანახმად: –

არაბულების გვარში – ჩუჩაყეურთა ძველი მამა (სავარაუდოდ, XIV-XV სს-ში), სამ ახალ მამად დაშლილა – ბუღნიაურებად, თინიბექაურებად და ფიცხელაურებად.

ბუღნიაურ-თინიბექაურნი – არაბულებად დარჩნენ.

ხევსურეთიდან სხვადასხვა დროს გადახვეწილმა, ფიცხელაურთ მამის არაბულებმა – ფიცხელაურობა გაიგვარეს.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ფიცხელაურების მამიდან 16 მამიშვილობა მოდის, კერძოდ: –

აყნელში მცხოვრები ალუდიკანი და მილხანი;

ოხერხევში მცხოვრები: – გამრეკელნი, ღერენანი, ტუჩუფერნი, ფაშურნი და კუკუანი;

აჭეხასა და ბაკურხევში მცხოვრები – კოტორანი (ნახშირაულნი), მარტიანი და ბაგრატანი;

მოწმაოში მცხოვრები – თინიბექნი, კიწონი, ურჯუკანი, ხარანი, ხონდანი და კოკოშანი.

ფიცხელაურები ცხოვრობდნენ აგრეთვე – ჩხუბაში, წინხადუში, გველეთსა და ბარისახოში.

მათი სასოფლო სალოცავი – „მუხისწვერი შევარდენი“, ანუ მუხისკრელი იყო – სოფელ აყნელში.

სათემო სალოცავი – ბაცალიგოს „პირქუში ცეცხლისალიანი“.

საერთო სამეგანძურო ჯვარი: – „სამხთო ბერი ბაადური“, სოფელ გუდანში.

ამბობენ რომ: –

ფიცხელაურთ მამის არაბულები, თავდაპირველად, ორ მამად – მარტიანად და ალუდიკანად გაიყვნენ.

ალუდიკანი გუდამაყარში წასულან.

გუდამაყრელი ფიცხელაურები

„ბაკურხევის სოფელ საკერპოში მცხოვრები ფიცხელაურები ხევსურეთის სოფელ აყნელიდან არიან მისულები.“

„სამი ძმა – გოგოთური, ბერდია და გამრეკელა წასულან სანადიროდ.“

„იქ, სადაც ახლა საკერპოა, გაუკაფავთ ტყე, ჩაუდგამთ ქოხები და ყანა დაუთესიათ...“ „გოგოთური სამუდამოდ დამკვიდრებულა ბაკურხევში“ (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ. გვ. 24).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

არაბულებთან შემდგარი ფიცხელაურების (ან, ფიცხელაურთ მამის არაბულების) ორი შტოდან – გორშელმის ხეობაში (აყნელსა თუ ბაცალიგოში) – მარტიანი „დამრჩალან.“

ალუდიკანი გუდამაყარში გადასახლებულან.

მიგრაცია – სავარაუდოდ, XVI ს-მდე მოხდა.

გადასახლებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ბერდია და გამრეკელი ხევსურეთში დაბრუნდნენ.

გოგოთური – ფიცხელაურის გვარით, ბაკურხევში დარჩა.

ბერდია – არაბულის გვარით, მოწმაოში დასახლდა და სათავე დაუდო იქაური ჩუჩაყეურების ერთ-ერთ შტოს.

გამრეკელამ – ლიქოკის ხეობა აირჩია საცხოვრისად.

მისგან – აჭელი (ლიქოკელი) ფიცხელაურები მოდიან: – მამესწვერა (XVII საუკუნე), ჩაბაკის ივანაური (XVIII საუკუნე), სუმბატა ლოხაურის ძე (1770 წელი).

დასტურდება, რომ საერთო წარმომავლობა აქვთ – ბაკურხევში, მოწმაოსა და აჭეხაში მცხოვრებ არაბულ-ფიცხელაურების დიდ ნაწილს.

მათი ერთი შტო ხევში (იქიდან ქსნის ხეობაში) გადასახლდა.

მეორე – ერწო-თიანეთში (საიდანაც კახეთის სოფლებში გადაინაცვლეს). ფიცხელაურთა კოშკები დღესაც დგანან – მარტყოფში, პატარძეულსა და ხოდაშენში.

*

ბაკურხევში დარჩენილი გოგოთურის ჩამომავლებიდან, დროთა განმავლობაში, ალუდიკანთ ახალი მამიშვილობები წარმოსდგნენ: – ახალი მარტიანი და ახალი ალუდიკანი (წინაპართა გვარსახელების განმეორება მოხდა).

დ. ფიცხელაურის ცნობით: –

მისი წინაპრები – „კოტორანი“ (ანუ, კოტორათ ბერდიას შვილები: ომა და ალუდაური) – ბაცალიგოდან გუდამაყარში (სავარაუდოდ, XVII ს-ის დასაწყისში), ანუ, ალუდიკანის (პირველი) მიგრაციიდან სამი საუკუნის შემდეგ მისულან:

იქ დახვედრიან მათი შორეული განაყრები, მარტიანი – რომლებიც „თოთლიაურთ“ (ძირად ჭინჭარაულების) ნასახლარში ცხოვრობდნენ – სოფ. თოთიაურთას.

ფიცხელაურთა ორივე ამ ახალ მოდგმას, სათავისოდ დაუწყია ბაკურხევის მიწების ათვისება: –

მარტიანთ (აბას და თათუას ჩამომავლებს) – ცალკე;

კოტორათ ომას ცალკე და ალუდაურს – რომელიც ქისტათ პაპა იყო – ცალკე.“

ბაკურხევი – მალე, თანამოძმეთა შორის საადგილმამულო დავის ასპარეზად იქცა.

რამდენიმე მამიშვილობა სხვა მიზეზით ამოწყდა, კერძოდ: ბაბუანი (რომლებიც ჯვარის მამულებს ითვისებდნენ); ხორჯანი (თუ ხარაჯანი) – რომლებიც „ქურდობდნენ, ამაყობდნენ, ხოცავდნენ ხალხს... არავის ეპოვებოდნენ....“

ბაკურხევის ტერიტორია, საბოლოოდ, ორ სამეზობლოდ – „მარტიათ“ და „კოტორათ“ კუთვნილ მიწებად გაიყო.

„მარტიანი თოთიაურთადან ამოსახლდნენ და დაარსდა სოფელი.“

*

დროთა განმავლობაში, ბაკურხეველი ფიცხელაურებიდან შვიდი ქვეგვარი წარმოსდგა: – მარტიანი, ქისტანი, ფიცხელაურნი, ბრიყვნი, ალუდიკანი, საბუდარანი და კოტორანი.

ბაცალიგოდან გადასახლების შემდგომ, ისინი ცხრა-ათ მამას ითვლიან.

მარტიანი იმდენად ადრე გაყოფილან ორ შტოდ – დავიწყებული ჰქონიათ თავიანთი გენიალოგია.

არ სცოდნიათ მერამდენე შინშები იყვნენ.

(თუ დადგენილი წესის თანახმად, თაობათა შორის მანძილად 35 წელს მივიჩნევთ – მათი გადმოსახლება, არანაკლებ, სამი საუკუნის წინათ უნდა მომხდარიყო).

აბანს – თავიანთი სამი მამა-შვილობა ახსოვთ;

თათუანი – ხუთი ძმანი ყოფილან;

ორივე მოდგმას – რაღაც ტრაგედიასთან დაკავშირებით, გული გასტეხია ბაკურხევში ცხოვრებაზე და ხევსურეთში დაბრუნებულან.

„წავიდნენ ოთხი ძმანი თათუაშვილნი და აბა – თავისი შვილებით.“

„მოწმაველმა“ განაყრებმა, მიწის სიმცირის გამო, ვერ მიიღეს;

იძულებული გახდნენ, გველეთელი ველგუჯაურ არაბულებისთვის წაერთმიათ სოფ. აჭეხა – სადაც თათუას ჩამომავლები „რამდენიმე გვარად გამრავლდნენ.“

აბას შვილები გუდამაყარში დაბრუნდნენ.

*

ბაკურხევში მცხოვრები კოტორათ ბერდიას შვილების (ომას და ალუდაურის) ჩამომავლები, დროთა განმავლობაში, ორ მამიშვილობად ჩამოყალიბდნენ: –

ომასი – კოტორად დარჩნენ; ალუდაურისანი – ქისტანად იწოდებიან.

ომას ხუთი ვაჟიდან – ორი: მგელა და მანგია (ნახშირაული), დუშეთის მაღლა, სოფ. მგლიანებში დასახლდნენ, სადაც – ნაწილი ფიცხელაურად იწერება, ნაწილი მგლიშვილად (დ. ფიცხელაური, პირქუში ფიცხელაურების სალოცავია, 2019 წ.).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

საერთო წარმომავლობა აქვთ ბაკურხევში, მოწმაოსა და აჭეხაში მცხოვრებ არაბულ-ფიცხელაურების დიდ ნაწილს.

*

ფიცხელაურების მიგრაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ორი ვერსია (ბ. გამყრელიძის და დ. ფიცხელაურის) – შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთს ავსებს.

შეუსაბამობაა – სხვადასხვა ეტაპზე მიგრირებულ მამიშვილობათა სახელებში, კერძოდ: –

ალბათ, უფრო ადრინდელი გადმოცემის თანახმად (ანუ, მიგრაციის პირველ ეტაპზე) – ფიცხელაურთ მამის არაბულებიდან ბაცალიგოში რჩებიან მარტიანი; გუდამაყარში მიდიან – ალუდიკანი.

დ. ფიცხელაურის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით (ანუ, მიგრაციის მეორე ეტაპზე): –

„ბაკურხევში“ წასულ „კოტორათ“ – მარტიანი იქ ხვდებიან.

თუ ორივე ვერსიას სარწმუნოდ მივიჩნევთ და გავითვალისწინებთ იმასაც რომ: ფიცხელაურების მეორე მიგრაცია სამ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ მოხდა, გამორიცხული არ არის: – „კოტორანთ“ (ანუ, პირველი ვერსიის თანახმად, ბაცალიგოში დარჩენილ მარტიას ჩამომავლებს) – გუდამაყარში – ალუდიკათ დიდი პაპისგან წარმომდგარი ახალი მამიშვილობები დახვდნენ (ახალი მარტიანი და ახალი ალუდიკანი).

აჭელი (ლიქოკელი), მოხევე და ქსნისხეველი ფიცხელაურები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მოხევე ფიცხელაურები მოსული არიან ლიქოკის ხეობის სოფ. აჭედან, სადაც გუდამაყრიდან ხევსურეთში დაბრუნებული, ძირად ბაცალიგოელი ფიცხელაურები დასახლდნენ (ალუდიკანის ერთ-ერთი მამიშვილობის, გამრეკელას შტოდან).

მათ განაყრებად მიიჩნევენ ქოსლელ და სტეფანწმინდელ ფიცხელაურებს, რომლებსაც – XIX საუკუნის დასაწყისში, ქსნისხეველი – შემდგომში, აზნაურის რანგში ამაღლებული ფიცხელაურები გამოეყვნენ (არჯევანის შვილები – არქიეპისკოპოსი დოსითეოსი და მისი ძმები).

„აზნაურობა მათ მეფისგან მიუღიათ.“

„მეფესვე გადმოუყვანია ისინი ხევიდან ქსნის ხევის სოფელ წირქოლსა და იკოთ-

ში“ (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი, „მაცნე“, 1987 წ.).

იოანე ბატონიშვილის (1768-1830) „საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერის“ მიხედვით: –

აზნაურ ფიცხელაურთა „წინაპარნი არიან ძველადვე კავკასიის მთით მოსულნი და მოსახლენი ქსნის ხეობასა შინა. ცნობილნი ადრევე დროსა მეფისა დავითისასა წელსა 1299-სა და შემდგომად მეფისა თეიმურაზისა და მეფისა ირაკლისაგანცა პატივცემულნი და მოხელედაცა დადგინებულნი ქსანსა შინა და არიან აწ რაოდენიმე სახელად: 1. ბოქოულთ ხუცის შვილები 2. არჯევანის შვილები 3. რამინის შვილები 4. გიორგის შვილები 5. ივანეს შვილები 6. საამის შვილები 7. ბეჟანის შვილები 8. ამირანის შვილები 9. ბერის შვილები 10. თექთუმანის შვილები“ (გვ. 48, რიგითი № 9).

გააზნაურებული (ახალგორის მოურავი) ფიცხელაურები აქტიურად დაუპირისპირდნენ ქსნის ერისთავებს; გულმოდგინედ ირჯებოდნენ სამეფო კარის სამსახურში; ფლობდნენ სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობებს;

ყმები ჰყავდათ: – ლამისყანაში, ქირქოლში, იკოთში, ძეგლევში და კორინთაში.

ერისთავებთან მათმა დაპირისპირებამ, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო, ქართული სამეფოს დამხობის შემდეგ – რუსული მმართველობის დამკვიდრების ადრეულ პერიოდში.

არქიეპისკოპოსი დოსეთიოს ფიცხელაური

ყოფილი საერისთაოს მამულების – რუსეთის მიერ საქართველოს მოღალატე ერისთავებისთვის დაუბრუნამ – ქსნის მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია – რომელიც რუსული მმართველობის დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა.

შფოთის წამომწყები და მთავრობის ურჩნი იყვნენ აზნაურები: გლახა, ლუარსაბ და ნიკოლოზ ფიცხელაურები (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. IV, გვ. 458).

განსაკუთრებით აქტიურობდა მათი უმცროსი ძმა, მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი, ერისკაცობაში დიმიტრი ფიცხელაური (1774-1830 წ.წ.) – ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე; ქვათახევის, შიომღვიმის, თირის, ხოფის და ლარგვისის მონასტრების წინამძღვარი; ურბნისის, გორის, ოსეთის ეპარქიის ეპისკოპოსი, ეგზარქოსი და კავკასიის მთის ქორეპისკოპოსი, გორის სავიკარიოს მღვდელთმთავარი... ახალგორის მოურავის არჯევან ფიცხელაურის მეოთხე ვაჟი...

ოთხივე ძმა (გლახა, ლუარსაბი, ნიკოლოზი და დიმიტრი) თავგამოდებით იბრძოდნენ ქსნის ერისთავების წინააღმდეგ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს კათალიკოს, ანტონ II-თან ერთად, 1811 წელს – დოსითეოს ფიცხელაური რუსეთში გადაასახლეს.

სამშობლოში დაბრუნებას ველარც ელირსებოდა, მაგრამ – გაუღიმა ბედმა: –

რუსეთის საიმპერატორო კარი კავკასიელი მთიელების, განსაკუთრებით ოსების გაქრისტიანებით დაინტერესდა; იმპერატორ ალექსანდრე პირველს დოსითეოსის პროექტი მოიწონა და სპეციალურ სასულიერო კომისიას ჩაუყენა სათავეში.

1815 წლის გაზაფხულზე, არქიეპისკოპოსი თბილისში დაბრუნდა; სასულიერო საქმიანობას შეუდგა და ქსნის ერისთავების წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელა.

იმპერიის ადგილობრივი მმართველების მხარდაჭერით, ქსნის ერისთავებმა გაიმარჯვეს...

*

ამჟამად – ანანურის ღვთისმშობლის ეკლესიაში „განისვენებს გვამი მოწამებრივად გარდაცვალებულის დოსითეოს მიტროპოლიტისა...

მარხია მარცხნივ – გვერდით კლიროსისა.

წარწერა ქვაზედ გადასულია, რადგან მისი დამარხვიდან დიდი დროა გასული (დ. ღამბაშიძე, „ანანურის ტაძრის წარწერილობანი“, „მწყემსი“, 1895 წ. № 5-6).

სტეფანწმინდელი და თარგმანელი ფიცხელაურები

სტეფანწმინდელი ფიცხელაურები – XVIII ს-ის აღწერებში, გოჩიას შვილების და თოლიკას შვილების გვარებით არიან ჩაწერილები.

XIX საუკუნეში – როგორც „გოჩიენი“ და „თოლიკენი“, ისე „შავხალენი“, ძირითადი გვარით – ფიცხელაურით არიან მოხსენიებულნი.

მათ უბნებს მოხევეები – გოჩიეთ, შავხალანთ და თოლიკეთ დასახლებებს ეძახიან.

„შავხალენი“ – სტეფანწმინდელი ფიცხელაურების ერთ-ერთი მამიშვილობის პატრონიმიული სახელია.

რაღაც პერიოდის განმავლობაში – ისინი შავხალაშვილებად იწერებოდნენ;

მერე – ფიცხელაურობას დაუბრუნდნენ.

ძველ სათარგმნოში მდგარა შავხალის ციხე.

მისი აგება, ყოფილი ხევისბერის – შავხალის სახელთან არის დაკავშირებული.

მდინარე ყუროს პირას მდგარი შავხალაშვილებს კოშკი – XX ს-ის დასაწყისში, სვიმონ შავხალაშვილმა დაანგრია და მისი ქვით – სახლი აიშენა.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

„შავხალის და შავხალეთ ციხე სხვადასხვა დროისაა.“

„ასაკით პირველი დიდად უსწრებს მეორეს.“

შავხალეთ კოშკი ყუროს შავი ქვით ყოფილა ნაგები;

ისევე როგორც თარგმანის სიახლოვეს მდგარი „სამძირთ ციხე.“

(„სამძირნი“ ეწოდება ბორცვს, სადაც შემორჩენილია აღნიშნული კოშკის ნანგრევები).

ორივე კოშკს მოხევეები – შავციხედაც მოიხსენიებდნენ.

(ანუ, სტეფანწმინდა-თარგმანის ტერიტორიაზე ორი შავციხე მდგარა).

*

ახლო ნათესავების დიდი ჯგუფი იყო გაერთიანებული ფიცხელაური გოჩიენის იმ კომლში, რომლის ეპონიმიც იყო, გოჩა ფიცხელაური – ალ. ყაზბეგის ცნობილი პერსონაჟის, ხევისბერი გოჩას პროტოტიპი;

იგი – რეალურად იყო ხევისბერი.

XVII ს-ის I მეოთხედში მოღვაწეობდა.

„გოჩიანთ დიდი ჯალაბობა“ 7 ნაწილად გაყრილა მაშინ, როცა მათი ერთიანი ოჯახი – 50 სულისგან შედგებოდა.

აღნიშნული კომლის პირველ თაობას, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – წარმოადგენდა ორი ძმა და ერთი ბიძაშვილი.

ძმას – ორ-ორი ვაჟი ჰყავდა;

ერთს – არჯევანი და ლეგა;

მეორეს – სოლომონი და ალია.

ბიძაშვილს ჰყავდა სამი ვაჟი: – გიგოლო, გაგი და გლახა.

(ანუ, ორი ძმის და ერთი ბიძაშვილის შვილები წარმოადგენდნენ დიდი ოჯახის მეორე თაობას).

მესამე თაობის წარმომადგენლები იყვნენ მეორე თაობის 7 წევრის შვილები.

(უფრო ზუსტი ინფორმაცია იხ. ქვემოთ – XVIII-XIX სს-ის აღწერებში).

*

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში სახლობდნენ: –

გოჩიას შვილი გიორგი,

გოჩიას შვილი ზალია და ბერი,

თოლიკას შვილი პაპუა და ღრუბელა.

1781 წელს: –

გოჩიას შვილი გიორგი, ზალ და ბერი.

თოლიკას შვილი პაპუა, ღრუბელა და ივანე.

1831 წელს – მათი 11 კომლი აღირიცხა: –

1. ბიჭი ფიცხელაური – 40 წლის; მისი შვილი ნინია – 6 წლის; ბიჭიკას ძმა, ივანე – 30 წლის; ივანეს შვილი, იაკობი – 3 წლის.

2. ბერი ფიცხელაური – 70 წლის; მისი ძმისშვილები: 1. დემეტრე – 27 წლის 2. ნინა – 3 წლის 3. გიორგი – 25 წლის.

3. გლახა ფაცხალაური – 30 წლის; მისი შვილები: 1. მამუკა – 6 წლის 2. იოსები – 3 წლის; გლახას ძმა, ნინია – 25 წლის.

4. ნანე ფაცხალაუროვი – 35 წლის; მისი შვილები: 1. დავითი – 10 წლის 2. პეტრე – 7 წლის 3. შიო – 3 წლის.

5. ბიჭიკო ფაცხალაუროვი – 40 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 10 წლის 2. გრიგოლი – 7 წლის 3. გიორგი – 3 წლის.

ბიჭილას ბიძაშვილი: ივანე – 40 წლის. მისი შვილი, იასე – 8 წლის.

6. გიორგი ფაცხალაუროვი – 25 წლის; მისი ძმა, გლახა – 15 წლის.

7. შიო ფაცხალაუროვი – 40 წლის; მისი შვილი, ნინია – 2 წლის.

8. გაბრიელ ფარცხალაუროვი – 30 წლის; მისი შვილი, გიორგი – 2 წლის.

9. ივანე ფაცხალაური – 35 წლის; მისი შვილები: 1. თამაზი – 15 წლის 2. მამუკა – 6 წლის.

10. ნინია ფაცხალაუროვი – 30 წლის; მისი შვილი, გრიგოლი – 1 წლის; ნინიას ძმა, გიორგი – 25 წლის; მისი შვილი, პეტრე – 6 თვის.

11. ივანე ფაცხალაუროვი – 70 წლის; მისი შვილები: 1. ბიჭიკო – 35 წლის 2. იოსები – 30 წლის 3. არჯევანი – 5 წლის; ბიჭიკოს შვილი, შიო – წლინახევრის; იოსე-ბის შვილი, ომანი – 3 წლის.

1860 წელს – დარეგისტრირდნენ: –

№ 14, გიორგი ზაქარიას ძე ფიცხელაური – 54 წლის; მისი ძმა, მიხეილი – 32

წლის; მიხეილის შვილები: 1. კაცია, იგივე იოსები – 14 წლის 2. პავლე – 1 წლის.

№ 15, პეტრე ივანეს ძე ფიცხელაური – 35 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 15 წლის 2. გრიგოლი (ასაკი მითითებული არ არის); პეტრეს ძმა, გიორგი – 25 წლის; მათი ძმისშვილი, გრიგოლ დავითის ძე – 20 წლის.

№ 16, ივანე ბიჭიკოს ძე ფიცხელაური – 35 წლის; მისი შვილი, სიმონი – 11 წლის; ივანეს ძმები: 1. გიორგი – 30 წლის 2. შიო – 25 წლის.

№ 17, გრიგოლ ბიჭიკოს ძე ფიცხელაური – 35 წლის.

№ 18, იაკობ ალის ძე (Алиев) ფიცხელაური – 25 წლის; მისი ძმა, ივანე – 20 წლის.

№ 19, ობოლი ნინია გლახას ძე ფიცხელაური – 2 წლის.

№ 20, შიუკა ივანეს ძე ფიცხელაური – 25 წლის.

№ 21, ნინია ჟარიას ძე ფიცხელაური – 50 წლის; მისი შვილები: 1. იორდანე – 11 წლის 2. ანდრია – 3 წლის.

№ 22, ნანე თექთურის ძე (Тектуров) ფიცხელაური – 70 წლის; მისი შვილები: 1. იასე – 35 წლის 2. გრიგოლი – 12 წლის.

№ 23, ჟარია იოსების ძე ფიცხელაური – 55 წლის; მისი ძმა, გიორგი – 45 წლის.

№ 24, სოლომონ დიმიტრის ძე ფიცხელაური – 25 წლის; მისი ბიძაშვილი, ივანე – 10 წლის.

№ 25, ნონე შიოს ძე ფიცხელაური – 30 წლის.

№ 26, ივანე დავითის ძე ფიცხელაური – 60 წლის; მისი შვილი, გრიგოლი – 40 წლის.

№ 27, გიორგი დავითის ძე ფიცხელაური – 50 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 14 წლის 2. დავითი – 13 წლის.

№ 28, **ომა იოსების ძე ფიცხელაური** – 30 წლის; მისი ძმა, ესტატე – 17 წლის.

№ 29, შიო ბიჭიკოს ძე (Бициков) ფიცხელაური – 25 წლის; მისი ძმა, ზაალი – 20 წლის.

№ 33, გიორგი გაბრიელის ძე ფიცხელაური – 35 წლის; მისი შვილი, მოსე – 3 წლის; გიორგის ძმები: 1. ივანე – 20 წლის 2. გიგოლა – 16 წლის.

№ 100, არჯევან ფიცხელაური – 45 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 14 წლის 2. გიორგი – 5 წლის 3. დიმიტრი – 3 წლის.

1886 წელს მოხსენიებულნი არიან: –

№ 19, ფიცხელაური მიხეილ ზაქარიას ძე – 57 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 39 წლის 2. პავლე – 26 წლის; იოსების შვილები: 1. იაგორი – 14 წლის 2. ნიკო – 9 წლის 3. სტეფანე – 1 წლის.

20, ფიცხელაური პეტრე ივანეს ძე – 60 წლის; მისი შვილები: 1. დავითი – 34 წლის 2. სიმონი – 35 წლის; სიმონის შვილები: 1. გიორგი – 7 წლის 2. კონსტანტინე – 4 წლის; დავითის შვილი, ნიკოლოზი – 12 წლის.

№ 21, ფიცხელაური გრიგოლ დავითის ძე – 45 წლის.

№ 22, ფიცხელაური ივანე ბიჭიკოს ძე – 60 წლის; მისი შვილი, ილია – 20 წლის.

№ 23, ფიცხელაური გიორგი ბიჭიკოს ძე – 57 წლის; მისი შვილები: 1. ივანე – 18 წლის 2. მიხეილი – 10 წლის 3. პავლე – 3 წლის.

№ 24, ფიცხელაური ივანე გრიგოლის ძე – 22 წლის; მისი ძმა, სიმონი – 11 წლის.

№ 25, ფიცხელაური შიო ბიჭიკოს ძე – 50 წლის; მისი შვილი, გიორგი – 5 წლის.

№ 26, ფიცხელაური გიორგი მამუკას ძე – 28 წლის.

№ 27, ფიცხელაური გიორგი იოსების ძე – 70 წლის.

№ 28, ფიცხელაური სოლომონ დიმიტრის ძე – 50 წლის; მისი შვილები: 1. ლევანი – 14 წლის 2. გიორგი – 17 წლის 3. ესტატე – 8 წლის 4. თევდორე – 5 წლის.

№ 29, ფიცხელაური გრიგოლ ივანეს ძე – 65 წლის; მისი შვილი, მიხეილი – 20 წლის.

№ 30, ფიცხელაური სიმონ გიორგის ძე – 39 წლის; მისი შვილი, ივანე – 1 წლის.

№ 31, ფიცხელაური დავით გიორგის ძე – 38 წლის; მისი შვილი კონსტანტინე 3 – წლის.

№ 32, ფიცხელაური თომა იოსების ძე – 59 წლის; მისი შვილები: 1. გლახა – 23 წლის 2. ივანე – 20 წლის 3. ნიკოლოზი – 18 წლის 4. გიორგი – 14 წლის; თომას ძმა, ესტატე **(ჯლუნა)** – 42 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 23 წლის 2. გაბრიელი – 20 წლის 3. ნიკოლოზი – 17 წლის 4. ანდრია – 15 წლის 5. ვასილი – 9 წლის.

№ 33, ფიცხელაური შიო ბიჭიკოს ძე – 50 წლის; მისი შვილები: 1. სიმონი – 23 წლის 2. თომა – 19 წლის 3. გიორგი – 16 წლის 4. იოსები – 14 წლის.

№ 34, ფიცხელაური იასე ბიჭიკოს ძე – 45 წლის; მისი შვილები: 1. დავითი – 9 წლის 2. ივანე – 2 წლის.

№ 37, ფიცხელაური მათე გიორგის ძე – 28 წლის; მისი შვილი, მიხეილი – 5 წლის; მათეს ძმა, იოსები – 15 წლის.

№ 38, ფიცხელაური ივანე გაბრიელის ძე – 45 წლის; მისი შვილები: 1. სვიმონი – 22 წლის 2. სპირიდონი – 4 წლის 3. დავითი – 6 თვის; ივანეს ძმა, გრიგოლი – 31 წლის; გრიგოლის შვილი, პავლე – 1 წლის.

№ 112, ფიცხელაური არჯევან ბიჭიკოს ძე – 61 წლის; მისი შვილები: 1. იოსები – 27 წლის (ცხოვრობს ქ. ვლადიკავკაზში). 2. გიორგი – 18 წლის (გადასახლებულია ციმბირში). 3. ბესარიონი – 23 წლის.

ფიცხელაური იასე ნინიას ძის „ოჯახი ამოწყდა“.

*

ვალ. ითონიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

სტეფანწმინდელების ერთ-ერთი სალოცავის („სემღისაის“) – ყუროს მთიდან ჩამოგორებულ ვეებერთელა ლოდზე დაშენებული პატარა ეკლესის აშენებას – ფიცხელაურები ჩემულობენ და საგვარო ხატად მიიჩნევენ.

ფაქტობრივად, საერთო სათემო სალოცავია;

სხვა გვარებიც ლოცულობენ (ღუდუშაურები, ხაიკაშვილები, წიკლაურები (ხურმუშკენი).

ამბობენ რომ: –

როცა ღუდუშაურები სნოდან ჩამოსახლდნენ, ფიცხელაურებმა „სემღისაის წილი მათაც მისცეს.“ „მონახევრედ გაიხადეს ღუდუშაურების მხოლოდ ერთი მამიშვილობა – ყაზიენი.“

„იმ დღიდან ხატის სამხრეთი მხარე ფიცხელაურების გახდა – ჩრდილოეთი – ყაზიენის.“

„დანარჩენ ღუდუშაურებს (ეფხვეთ, ტუხვეთ) – სემღისაში წილი არ ჰქონიათ“ (ვალ. ითონიშვილი).

*

ანდეზიტის ხევში აღმოჩენა და მისი დამუშავების წამოწყება – დაკავშირებულია ყაზბეგელი გლეხის, ივანე ომას ძე ფიცხელაურის სახელთან.

ქვის დამუშავება მან, სოფ. ცდოს მიმდებარე საბადოსთან, ე.წ. საკეცეთში დაიწყო.

დღეში ერთი მანეთის გადახდის პირობით – მასთან ჯერ 5-6 კაცი მუშაობდა;

1910 წლიდან – შეიქმნა არტელი, რომელშიც 150-200 მუშა იყო ჩაბმული.

დიდი წარმოება გაიხსნა 1930 წელს.

*

მოხევე ფიცხელაურებმა ჯიშიანების თიკუნი დაიმკვიდრეს.

სახელიანი მეომარი ყოფილა – ღურბელა ფიცხელაური.

შემდგომში – სტეფანეს სახელით ბერად აღკვეცილი – ვის სახელსაც უკავშირდება დაბა სტეფანწმინდას სახელწოდება.

გოჩა ფიცხელაურის შესახებ არსებული გადმოცემა – საფუძვლად დაედო ალ. ყაზბეგის ნაწარმოებს „ხევისბერ გოჩას.“

ჯღუნა ფიცხელაური – მწერლის მეგობარი იყო.

ალ. ყაზბეგმა – “მამის მკვლელში“ წარმოგვიდგინა იგი ერთ-ერთ დადებით პერსონაჟად.

ფიცხელაურების ჯიში და ჯილაგი დღემდე ღირსეულად გრძელდება: –

საბჭოთა კავშირის დედაქალაქში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ივანე (ვანო) კონსტანტინეს ძე ფიცხელაური – „მოსტრანსტროის“ მმართველი, ცნობილი ინჟინერ-მშენებელი და საოცრად კეთილშობილი პიროვნება.

1941-1946 წლებში – ხელმძღვანელობდა მოსკოვის რკინიგზის ხაზის აღდგენით სამუშაოებს, რომელიც დედაქალაქს ფრონტთან აკავშირებდა.

მისი ხელმძღვანელობით აშენდა დომოდედოვოს აეროპორტი, „ლოკომოტივის“ სტადიონი; რეკონსტრუქცია ჩაუტარდა კურსკის სარკინიგზო სადგურს და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს.

იყო რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მშენებელი და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რუსეთის სატრანსპორტო მშენებლობის ისტორიაში. დაჯილდოებულია 6 ორდენით.

*

გერმანე ივანეს ძე ფიცხელაური – 28 წლის განმავლობაში მუშაობდა ალმასების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში – სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების უფროსად.

მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ალმასის ფრეზებით ასფალტო-ბეტონის საფარის მჭრელი დანადგარი, რომელმაც სპეციალისტთა დიდი აღიარება მოიპოვა.

იყო 15 გამოგონების ავტორი.

მისი ვაჟი და დიდი პაპის ღირსეული შვილიშვილი, კოტე ფიცხელაური – „ცენტროტრანსსტროის“ ერთ-ერთ დიდ სამმართველოს ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით აშენდა: – ადმინისტრაციულ-ტექნიკური შენობა „ლუჟნიკები“; სავაჭრო ცენტრები – „პრაჟსკაია“ და „იზმაილოვო“; აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული

მოსკოვის „გოსტნი დვორის“ აღდგენა-რეკონსტრუქციის საქმეში (მეორე სიცოცხლე აჩუქა – იტალიელი არქიტექტორის კვარენგის მიერ, XVII საუკუნეში აგებულ უნიკალურ ძეგლს); აწარმოებდა ლეფორტოვოს სასახლის აღდგენით სამუშაოებს...

*

„ცენტროტრანსსტროის“ – შემდგომში, ვიქტორ ფიცხელაური ჩაუდგა სათავეში.

ამ უზარმაზარი ტრესტის შემადგენლობაში – ათი დიდი სამშენებლო სამმართველო იყო, სადაც ოთხი ათასი კაცი მუშაობდა.

1992 წლიდან მოყოლებული, ვიქტორ ფიცხელაურმა – მოსკოვში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული სამი ათასამდე ქართველი მიიღო სამუშაოდ, საერთო საცხოვრებელში ჩაასახლა, უფასო სასადილო გაუხსნა და საკმაოდ მაღალი ანაზღაურება დაუნიშნა...

მინიჭებული ჰქონდა საპატიო სატრანსპორტო მშენებლის, მოსკოვის საპატიო მშენებლის, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მშენებლის და რუსეთის საპატიო მშენებლის წოდებები.

დაკრძალულია სტეფანწმინდის საგვარეულო სასაფლაოზე.

სამი ძმანი იყვნენ (პავლე, ვიქტორი და ოთარი); სამივე ერთიმეორეზე უკეთესები.

მათი ფინანსური მხარდაჭერით მოხდა: – სტეფანწმინდაში წყლის გაყვანა, სასწრაფო დახმარების მანქანის შეძენა, საავადმყოფოს აპარატურითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; პროჟექტორები დაამონტაჟეს ეკლესიასთან; რიტუალების სახლისათვის შეიძინეს საჭირო ინვენტარი და ავეჯი, სამკურნალო მინერალურ წყლებთან ააშენეს დიდი აუზი...

მათი შთამომავალია ცნობილი ბიზნესმენი და ფოტოხელოვანი – ვანო ფიცხელაური.

*

ცნობილი თეთრგვარდიელი გენერალი, ალ. ფიცხელაური (რომელიც მ. შოლოხოვს „წყნარ დონში“ ყავს მოხსენიებული) – ემიგრაციაში წავიდა;

დაკრძალულია პარიზში.

*

ფიცხელაურების გვარიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, მშენებლები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

ცნობილი მშენებელი და პირველი ქართველი დოქტორი არქიტექტურის დარგში, სიმონ ფიცხელაური – მშენებლობებს თავკაცობდა თბილისში, ერევანში, მახაჩკალაში, ჭიათურაში, ფოთში... მისი ავტორობით გაკეთდა მრავალი კურორტის პროექტი აჭარასა და აფხაზეთში, აბასთუმანში, ახტალაში, მენჯში, წყალტუბოში...

საქართველოს სახალხო მხატვარი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, იოსებ ფიცხელაური 19 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და ცნობილი გამომგონებელია.

მოსკოვში მოღვაწე საამაყო მოხევეა – დავით ფიცხელაური, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სკ ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ალექსანდრე ფიცხელაური, სამრეწველო-საპროექტო საქმიანობას ეწეოდა კერამიკისა და საერთოდ, სილიკატური მრეწველობის დარგში. 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის და 2 წიგნის ავტორია. მის მიერ შედგენილი 30 პროექტით 40 საწარმო აშენდა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მისი უშუალო მონაწილეობით გაიხსნა კერამიკის ფაკულტეტი, რომელსაც – თითქმის, 40 წელი ხელმძღვანელობდა.

მხატვარ თინათინ ფიცხელაურის ნამუშევრები დაცულია მოსკოვის მხატვართა კავშირის საცავში, ბიშკეკის – ხელოვნების სახელმწიფო და ალმა-ატის სახელმწიფო მუზეუმებში; პოლონეთისა და იტალიის კერძო კოლექციებში. მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კოსტუმების მხატვრად.

უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი, გიორგი ფიცხელაური – „თბილავიამშენის“ დირექტორის მოადგილის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მსახურობდა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტი, სერთიფიცირებული აუდიტორი, მარიამ ფიცხელაური – საქართველოს ბიზნეს აკადემიის მიწვეული ლექტორია.

დარიალის ხეობა

სტეფანწმინდიდან ვლადიკავკაზამდე 48 კმ-ია.

გზა თანდათან ვიწროვდება და მიიკლაკნება ღრმა, კლდოვანი უფსკრულის პირას, რომლის ფსკერზეც ბობოქარი თერგი „ღრიალებს.“

შევდივართ ფანტასტიკური სილამაზის დარიალის ხეობაში, რომელიც (11 კმ. სიგრძისაა) მდინარე ჩხერის შესართავთან იწყება და მთავრდება ზემო ლარსთან.

მისი ყველაზე ვიწრო და კლდოვანი მონაკვეთი, მდინარეების: ყაბახის და ხდეს – თერგთან შეერთების მიდამოებში მდებარეობს.

სტეფანწმინდიდან „დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიცა ყოველთა მნახველთათვის არს განსაკვირვებელ. მიიღებს რა გარდმოქანილთა მთათაგან მდინარეთა – თერგი დუღდების, ჭრისხდების და ვითარცა გაცოფებული ჰყრის ქაფსა და ჭრბის გრიალითა.“

„ვერარასა ძალუძს წინააღუდგეს მისსა გიჟურსა სიჩქარესა.“

„შეხვდებიან მას დიდრონნი, საზარელნი ლოდნი, ჰხლტების მაღლა და მთაზედა გარდაევლების...“

„მაშინ წარმოუდგების თვალთა მშვენიერ შადრევნად, ანუ მთათ ალმასებრ გარდმოფანტულად“ (გრ. ორბელიანი, მგზავრობა ჩემი ტიფლისიდამ პეტერბურღამდის).

დარიალის ხეობა მაღალმხატვრულ დონეზეა აღწერილი ა. მარლინსკის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ძმები ბორის და სიმონ ესაძეების ნაწარმოებებში.

თავს უფლებას ვაძლევ, მათი მიბაძვითი თარგმნი შემოგთავაზოთ: –

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს დარიალი, ვერ დაივიწყებს.

შეუძლებელია, წარმოიდგინოთ უფრო მრისხანე, მოღუშული, ფანტასტიკური ბუნება.

მთები იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთს მიბჯენილი – სავალ გზას ძლივს უთმობენ ბობოქარ თერგს.

არც ტყე, არც ბუჩქი;

ხეობა სავსეა ნანგრევებით, ქვებით, ლოდებით.

იქმნება საშინელი ნგრევის – მთათა მასების ატომური კატასტროფის შთაბეჭდილება.

ცოფიანი თერგი და მრისხანე კლდენი – უზარმაზარ ქაოტურ ნახატად ერწყმიან ერთმანეთს.

არავითარ აღწერას, არც ნახატს, არც ფოტოს – მიახლოებითაც კი არ ძალუძს, წარმოდგენა შეგიქმნათ – მის გრანდიოზულობასა და მომხიბვლელობაზე.

მგრგვინავი თერგი – ხან მახვილივით სწორი და ელვარე მიარღვევს გრანიტის სადინარს – ხანაც კლდეებში ელავს, ბღავის, როგორც მძვინვარე მხეცი... ანგრევს, გლეჯს და ნამსხვრევებს მიაქანებს.

შეუძლებელია იმაზე მეტი საშინელების წარმოდგენა, როცა უკუნ ღამეში, ბანჯგვლიან ნაბადში გახვეული მგზავრი – თერგის ზემოთ, თვალის ცეცებით მიუყვება კლდოვან ბილიკებს... წვიმის ნაკადი ფეხებქვეშ ასხამს და თავზე ჩამოსდის...

ელვის შუქზე – მაღლა, შავად გახლეჩილ ღრუბელს დაინახავს; დაბლა, ელვარე უფსკრულს, სადაც ცეცხლოვანი ქაფით მიისწრაფის მძვინვარე თერგი...

დამაბრმავებელ გაელვებას წყვდიადი მოსდევს, შემდეგ საშინელი ქუხილი და ხანგრძლივი გრგვინვა, რომლსაც ასობით ამოგლეჯილი მუხის, ჩამოქცეული კლდეების და უფსკრულში ჩაჭყლეტილი გოლიათების ხმა ერთვის.

ქარი გრიგალში გადადის.

თავსხმაა...

შეშინებული ცხენი უკანა ფეხებზე დგება, კანკალებს...

მისი ფაფარი მხედარს თვალებში ედება და ის – უნებლიედ იწყებს ლოცვას...

*

ძველ ისტორიულ წყაროებში – დარიალის ხეობა მოიხსენიება როგორც „წანარეთის ხევი“.

მასზე გამავალ, ამიერ და იმიერ კავკასიის დამაკავშირებელ, სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე ბატონობას – დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საქართველოს, ისე – რომის, არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაზე;

მის ხელში ჩასაგდებად აღნიშნული ქვეყნები ერთამანეთს ეცილებოდნენ;

რომაელების პირველი შემოსვლის დროს (ძვ.წ. I საუკუნეში), ხეობას იბერიის სამეფო აკონტროლებდა.

ლეონტი მროველის ცნობით: –

ახ. წ. I ს-ის 70-იან წლეში, ქართველთა ლაშქარმა – ჯავახეთთან სძლია სომეხთა უფლისწულ ზარენს, რომელიც – ტყვედ ჩავარდნილი, ქართველებმა „დასუეს პყრობილად ციხესა დარიალანისასა.“

VI ს-ის 30-იანი წლებიდან – დარიალის ხეობას და მის ციხეს სპარსელები აკონტროლებდნენ.

არაბთა ბატონობის პერიოდში (VII-X სს) – მათ ხელში გადავიდა;

ისტორიკოსები (იბნ ალ ფარიკი, მასაუდი, იბნ-რუსთა და სხვ.) – არა ერთგზის მოიხსენიებენ დარიალის ხეობას და მის ციხეს.

X-XIII სს-ში, „დარი ალანის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ამ გზით ამყარებდა საქართველო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ

ურთიერთობას კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებთან.

XV ს-ის I ნახევარში – დარიალის კარს კახთა მეფე ალექსანდრე ფლობდა.

XVIII ს-ის ბოლოს – გიორგი XII-მ, რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა (დარიალის კარის სამუდამოდ დახშობა) გადაწყვიტა – მაგრამ განზრახვა მალევე შეცვალა.

შემოვლითი გზები
და
ძირითადი ტრასის მოწესრიგება

ალ. ყაზბეგის ცნობით: –

„დარიალის ვიწროებში, სადაც ეხლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება, უწინ მხოლოდ ბილიკები იყო, რომელზედაც ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა. ეს გზა მოდიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში – ჯერ ლარსით ვიწრო ხეობაზედ, მაგრამ რაკი დარიალის უზარმაზარ მთებს მოადგებოდა, იქ კლდე იყო გახვრეტილი და გზა ქანქანით გაყვანილი, რომლის სათაურშიაც მოხევეთა ყარაულები იდგნენ და საქართველოს დაუპატიჟებელი სტუმრებისაგან იცავდნენ“ („ელგუჯა“).

აღნიშნული გზით სარგებლობის ყველაზე მოსახერხებელი პერიოდი იყო სექტემბრიდან მაისამდე – როცა თერგის დინება მცირდებოდა და შესაძლებელი ხდებოდა – პრიმიტიული ხიდების გამოყენება, რომლებიც სხვადასხვა ადგილზე გადაჰქონდათ – თერგის დინებისა და ფონის შესაბამისად.

მდინარის მეორე ნაპირზე – ხშირად, ორი მორისგან „შეკრული ხიდით“ გადადიოდნენ.

ფრიალოზე ასვლა – ტოტებისაგან დაწნული კიბეებით ხდებოდა.

1801 წლამდე – თერგზე, 30-მდე პრიმიტიული ხიდი ყოფილა გადებული.

ბილიკები ატმოსფერული ნალექების ზეგავლენით ნადგურდებოდა.

თერგის მარცხენა ნაპირზე (დარიალის ქვედა რკინის ხიდთან) – დღემდე შემორჩენილია კლდეში გამოკვეთილი ერთი ნახევარგვირაბი (სიგრძით დაახლოებით 120, სიგანით 1-2 მეტრი).

გზის დანარჩენი მონაკვეთი წაშლილია.

როდის მოხდა გვირაბის კლდეში გამოკვეთა, ვერ დგინდება.

გადმოცემის თანახმად: –

ამავე ადგილას (თერგს ზემოთ მდებარე ციცაბო კლდეზე), არსებობდა სახიფათო, ვიწრო ბილიკი, რომელზეც – ქისტების ერთ-ერთი თავდასხმის დროს, ტყვედ ჩავარდნის შიშით – მოხევის ქალს – ზურგზე აკიდებული აკვნით, ჩვილი ბავშვი გადაუყვანია...

*

დარიალის ვიწროებში, სადაც წელიწადის არცერთ დროს, თერგს ფონი არა აქვს, უძველესი დროიდან – მაღლა მთებზე (მდინარის ორივე მხარეს) გადიოდა ძირითადი ტრასის შემოვლითი – საცალფეხო და სასაპალნე ციცაბო ბილიკები.

მათი გამოყენება ხდებოდა მხოლოდ ზაფხულში, როცა მთებზე დიდი თოვლი არ

იდო და სამხედრო გზა – მაშინ იკეტებოდა რაიმე მიზეზით.

მთხრობელები სამ შემოვლით გზაზე მიგვითითებენ: –

პირველი (ხეობის მარცხენა მხარეს) – ჩათას მთაზე გადადიოდა და დევდორაკის მყინვარის მიმდებარედ, ვლადიკავკაზისკენ მიემართებოდა;

მეორე – თერგის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა და დარიალის ციხის გავლით აღწევდა ლარსამდე;

მესამე, სტეფანწმინდიდან ყუროს მთის ძირში გადიოდა, მიუყვებოდა თერგის მარჯვენა ნაპირს, ადიოდა „ხდეს“ და იქიდან, ჯარიეხის ხეობის გავლით – ძაუგს ჩადიოდა.

ა. კობაიძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად: –

1891 წლის დიდი წყალდიდობის დროს, როცა თერგმა გველეთთან მდებარე რკინის ხიდი წაიღო და სამხედრო გზაზე მოძრაობა შეწყდა – მიმოსვლა იმ ძველთაძველი, თოვლიან მთებზე გადამავალი ბილიკებით აღდგა, რომლითაც მთიელები – ვახტანგ გორგასალის დროიდან სარგებლობდნენ.

დარიალის გზის ადგილობრივი „მებატონენი“ მის კეთილმოწყობაზე არ ზრუნავდნენ; დაინტერესებულნი იყვნენ მისი სირთულეებით – რათა უკეთესად შეძლებოდათ მგზავრების ძარცვა და მეზობელ ტომებსაც ხელი შეშლოდათ ავაზაკური თავდასხმებისთვის.

1769 წლიდან, როცა რუსეთთან ურთიერთობის დამყარება – ერეკლე II-ის პოლიტიკურ ინტერესებში შევიდა; დარიალის გზის მოწესრიგებაც დღის წესრიგში დადგა.

მგზავრებს უმოწყალოდ ძარცავდნენ თაგაურელი ოსები.

საქართველოს სამეფო კარი იძულებული გახდა – გზის მიმართულება შეეცვალა ქურთაულის ხეობით, რომელიც კობიდან – თერგის სათავისაკენ მიემართებოდა; გადაკვეთდა ზაყისა და სტირსკის უღელტეხილებს; ქურთაულის ვიწრო ხეობით, მდინარე ფიაგ-დონის სადინარის მიუყვებოდა და, აღნიშნული მდინარის თერგთან მიერთების ადგილას – უერთდებოდა დარიალის გზას.

ახალი მიმართულება – ბევრად ძნელი, გრძელი და მოუხერხებელი აღმოჩნდა.

ძირითად მიმართულებად – დარიალის გზა დარჩა.

დარიალის ხეობის მარჯვენა სანაპირო

დარიალის უძველესი გზა – ყუროს გავლით, თერგის მარჯვენა მხარეს მიუყვებოდა.

ხეობის ჩრდილოეთით მდებარე ქვა-ღორღიანი (ვაკე) ადგილების დიდი ნაწილი – XIX ს-ში, სახნავად იყო გამოყენებული.

სავარგულების პირველ მონაკვეთს, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით – ეწოდება „ყოდანი;“ მეორეს – „ვეშნი.“ მისგან ნახევარი კმ-ის დაშორებით მდებარე ადგილის (ისევე როგორც მდინარის) სახელწოდებაა „ხახმელაი.“

მის ერთ-ერთ ფერდობს, სადაც გურაპეთ ნასახლარებია შემორჩენილი, ეწოდება „თეთრჯორნი.“

ალაგ-ალაგ ეკლის ჯაგებით და ტყის ბუჩქებით მოფენილი მიმდებარე ტერიტორია – მოიხსენიება როგორც „წოწეხნი.“

ზემოდან დაჰყურებს მას „საბალახე რუვი“, სადაც ნახურთისალის ნანგრევებია შემორჩენილი.

ხურთიშვილები და გურაპიშვილები

სტეფანწმინდიდან სამი კილომეტრის დაშორებით – ნახურთისალში მცხოვრებ ვინმე – მოხევე ხურთის, სამი ვაჟი ჰყოლია, რომლებსაც – გადმოცემის თანახმად, სტეფანწმინდა აუკლიათ. ვერაფერი გააგონეს და მათივე მოდგმის ხალხს (შინშ-მამიმინშებს) გურაპიშვილებს ამოაწყვეტინეს.

კაცის მკვლელობის გამო, საიდანღაც გამოქცეული ექვსი გურაპიშვილი ძმა – ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ხევში – მიუდგომელ ადგილას დასახლებულა.

აუშენებიათ ციხე-სახლი და მაღალი კოშკი.

ახლოს ჰქონიათ წყალი და წისქვილი.

სახნავად იყენებდნენ – „წოწეხნს.“

მათი ნაგებობების კვალი დღემდე არის შემორჩენილი.

გურაპიშვილთა ძალმომრეობას გადარჩენილი ხურთის ოჯახის ქალები, მცირეწლოვანი შვილებით – აყრილან და დღევანდელი ხურთისის ტერტორიაზე დასახლებულან.

მათი ადგილები მოძალადე გურაპიშვილებმა დაიკავეს.

დროთა განმავლობაში, ისინი საკმაოდ გამრავლდნენ და უფრო მეტად გაყოყოჩდნენ. საქმე იქამდე მივიდა რომ: –

ხახმელაიდან გველეთის ხიდამდე ადგილში – სტეფანწმინდელების საქონელს აღარ უშვებდნენ; ცოცხალ ძროხებს აძრობდნენ ტყავს და ნამეტანი თავგასულობის გამო – გერგეტელი ირჯიაულების ბედი გაიზიარეს: –

„ყოფილან და აღარ არიან.“

„ავი ხალხი იყოო, დაუმორჩილებელი.“

1774 წლის აღწერით – სტეფანწმინდაში მათი ორი კომლი სახლობდა: –

გურაპას შვილი ივანე.

გურაპას შვილი უძილა, პაპუა, ბიძია და კაცია.

1781 წელს აღრიცხნენ: –

გურასპას შვილი ივანე და უძილა;

გურასპას შვილი პაპუა, ბიძია და კაცია.

1873 წელს მოხსენიებული, „ჭკუასუსტი“ – 19 წლის ივანე მარტიას ძე გურაპაშვილი, „ამოღებულია საგადასახადო სიიდან“.

1886 წელს აღნიშნულია რომ: – მისი „ოჯახი ამოწყდა“.

ამბობენ რომ: –

გურაპიშვილების ნაწილი ხევიდან გაურკვეველი მიმართულებით გადაიხვეწა.

ფშაველი გურასპაულები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ზურაბ არაგვის ერისთავის სასტიკი ანგარიშსწორებით შეძრული ფშავის მოსახ-

ლეობა – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხიზნა – ნაწილი ერისთავმა დაქსაქსა და ბევრი გაყიდა კიდეც.

გურასპაულები ხევში წასულან.

ზურაბის სიკვდილის შემდგომ – შიშით გახიზნულმა, ტყვედ წაყვანილმა თუ გაყიდულმა ფშავლებმა – მშობლიურ კუთხეში დაბრუნება დაიწყეს.

იმ ექვს ძირითად გვარს შორის, რომლებიც უკან დაბრუნდნენ და ფშავის ახალი – ჩარგლის თემი შექმნეს – გურასპაულებიც სახელდებიან.

არსებობს თუ არა რაიმე კავშირი გურაპიშვილებსა და გურასპაულებს შორის – უცნობია.

წოწეხნიდან ხდეს ხეობამდე

წოწეხნის ქვემოთ, ცხვირწამოწვდილი კლდოვანი კონცხი და ბუნებრივი გამოქვაბული იპყრობს მნახველის ყურადღებას.

მათ ზემოთ, მიუვალ კლდეზე – ნახერეთის იოანე ნათლისმცემელის სახელობის სათემო სალოცავია განთავსებული.

მისი აღმოსავლეთის კედელი მიშენებულია კლდეზე.

ჩრდილოეთის კედლად გამოყენებულია კლდე.

აფსიდში მოხატულობის კვალია შემორჩენილი.

*

იოანე ნათლისმცემელის ხსენების დღეს (11 სექტემბერს) – სავარაუდოდ, XVII ს-ში, სტეფანწმინდელმა ღუდუშაურებმა იმ ადგილას – ლეკთაგან მიტაცებული ტყვე-ქალები გამოიხსნეს. აღნიშნული – ღვთის წყალობად იქნა მიჩნეული და მადლიერმა საყმომ – იქ, იოანე ნათლისმცემელის ნიში აღმართა.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის თანახმად (2008 წელი): –

იოანე ნათლისმცემელის ხატი ორი ნიშისგან შედგება.

ორივე სვეტისმაგვარი მასიური ნაგებობაა.

ერთ მათგანზე მხედრული წარწერაა ამოკვეთილი.

*

„ნახერეთიდან“ 1 კმ-ის დაშორებით, „სამშვილდის რუვი“ მდებარეობს – რომელსაც ჩრდილოეთიდან აკრავს ადგილი – „საბადური“.

საბადურიდან გველეთის ხიდამდე, დაახლოებით 1,5 კმ-ის მანძილზე გრძელდება – ნახერეთის ტერიტორია (ვალ. ითონიშვილი).

ხდეს ხეობა

გველეთის ხიდიდან ხდეს ხეობამდე მდებარე ადგილს ეწოდება „ბარჭენი“.

მისი ქვედა საზღვრიდან იწყება ხდეს ხეობა, რომელსაც დიდი სისწრაფით ჩამოუდის – თეთრი ქაფქაფა მდინარე – ხდე (ანუ, ხდის წყალი, „ქისტურაი“).

გადმოცემის თანახმად: –

როცა 16 წლის ვახტანგ გორგასალმა დარიალის ციხე ოსების და ხაზარებისგან გაათავისუფლა – ბრძოლაში გერგეტელებს და სტეფანწმინდელებს უმარჯვიათ.

მეფეს – განსაკუთრებით გამოსდგომია მოხუცი თადოშვილის რჩევა – რისთვისაც მისთვის ყაი და ყანანაზი უჩუქებია (სოფ. კარკუჩასთან);

უბრძანებია ისიც რომ: –

„ქალი უთხოვარი და სიფრო უწევარი ჰქონდესო."

(რაც ნიშნავდა რომ: – უცოლო თადოშვილისთვის საცოლეზე უარის თქმის და სუფრაზე არ მიწვევის უფლება – აღარავის ჰქონდა).

იმასაც ამბობენ რომ: –

აღნიშნული ბრძოლის შემდგომ, ვახტანგ გორგასალმა მოხევეებს ჩააბარა დარიალის ციხე და ორი დროშა გადასცა.

ერთი მათგანი – მათ ლარსთან აღმართეს;

მეორე – ხდეს, გვირგალაის („მგრგვალაის") წვერზე.

„იმდროიდან ხდე – თურმე, სტეფანწმინდელებს ეკუთნოდა თამარ მეფემდის."

*

„როცა თამარი ხევში შემოსულა, სტეფანწმინდელები დაუბარებია და უთქვამს: –

„თქვენ – ვახტანგ მეფიდან ჩვენი ერთგულები ხართ და როგორც გულადი მეომრები თქვენგან სამი კაცი ჩემს მუდმივ სამსახურში უნდა იყოსო. ამასთანავე – განთავისუფლებთ ხდეს ყარაულობიდან და ამ საქმეს ხევსურებს ვაკისრებო."

„იმ დროიდან ხდეში ხევსურები გადმოსახლებულან და ეს ადგილი მათ სჭერიათ რუსების შემოსვლამდის" (ს. მაკალათია, ხევი).

რუსების შემოსვლის შემდგომ: –

თამარის მიერ დავით აღმაშენებელის ციხეში ჩაყენებული ხევსური მეციხოვნეები – რუსებმა გაყარეს; ხდეზე და ლარსზე საქართველოს დროშები მოხსნეს და მთელი ხეობა გაბრიელ ყაზბეგს ჩააბარეს.

ხდეს ხეობაში – დიდხანს უცხოვრიათ: არაბულებს, გოგოჭურებს, ქისტაურებსა და ხორნაულებს.

მათი ნასახლარები დღესაც არსებობს.

დროთა განმავლობაში: –

ხორნაულები ფშავში გადასახლდნენ;

არაბულების ნაწილი სოფ. გერგეტსა და სტეფანწმინდაში დასახლდა;

გოგოჭურებმა – სოფ. ახალციხეს მიაშურეს.

ხდეს ხეობაში მიტოვებული მათი სამოსახლო ადგილები – ქისტმა (თუ ინგუშმა) იანდიევებმა დაიკავეს.

ერთი ვერსიის თანახმად, ისინი გერგეტიდან ჩამოსახლებული – გაქისტებული ხუციშვილები იყვნენ, რომლებიც – უფრო მოგვიანებით, ვლადიკავკაზის სიახლოვეს გადასახლდნენ და იანდიევის ხუტორი დააფუძნეს.

ხდეს ხეობა – კარგი საძოვრებით, ტყითა და საჯიხვეევით იყო ცნობილი.

მოხევეებსა და ქისტებს მასზე დავა ჰქონიათ.

ქისტები ამტკიცებდნენ: –

რაკი მდინარეს ქისტურა ჰქვია, ხეობა ჩვენ გვეკუთვნისო.

მოხევეები, თავის მხრივ, ასაბუთებდნენ: –

ოდითგან – აქ, მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ და თვითონ იანდიევებიც, სოფ. გერგეტიდან ჩამოსახლებული და გაქისტებული ხუციშვილები არიანო.

დავა – თურმე, მოხევეთა სასარგებლოდ გასაწყდა.

*

ხდეს ხეობის სათავიდან ინგუშეთში გადასასვლელს მოხეური დიალექტით ეწოდება – „მგრგვალაი."

ყუროს მთიდან ხდეს ხეობაში გადასასვლელს, რომელიც თავისი კლდოვანი მისადგომებით კიბეს მოგვაგონებს – „კიბენს" ეძახიან.

ჯარიახის (არხმის) ხეობიდან – ქისტები „მგრგვალაიზე" გადმოდიოდნენ და – ხევიდან საქონელს იტაცებდნენ.

ხდეს ჩრდილოეთით, 1,5 კმ-ის სიგრძეზე – წიწვიანი ტყით შემოსილი კლდეებია – ე.წ. ფალხატი.

XIX ს-ის II ნახევარში (როცა ნავთის ლამპა – ხევში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ), მოხევეები – იქ, ჩირაღის (კვარის) მოსატანად მიდიოდნენ (ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკური აღწერილობა).

*

ფალხატის შემდეგაა „საწისქვილო რუვი".

იქიდან დარიალის ხიდამდე არსებულ ადგილს (საძოვარს, ტყიან-ჯაგიან და კლდოვან ზოლს) – ეწოდება დარიალაი.

დარიალის ხიდის მიდამოს „ჩხატის ძირს" ეძახდნენ.

იქიდან ბილიკი, ჩხატზე გავლით – „არკაის წვერამდე," მიდის – საიდანაც ქისტებით (ინგუშებით) დასახლებულ ჯარიახის ხეობაში ეშვება.

არკა ორია: – დიდი და პატარა.

„ბატარა არკაი" – ხევს ეკუთვნის;

„დიდი არკაი" – ჯარიახის ხეობის კუთვნილებაა.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წელი): –

„არკასთან" მდებარე (IX ს-ის) – ე.წ. „გიგიას სათიბის" სამაროვანი – საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის სასაზღვრო რაიონშია განთავსებული.

აქ მთავრდება მდ. თერგის მარჯვენა მხარეს მდებარე საქართველოს ტერიტორია.

ქვემოთ – ჩრდილო ოსეთის და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთ მომიჯვავე ადგილებია: – არხმის (ჯარიახის) ხეობის მთათა კალთები („დლინაია დალინა" – სადაც ინგუშები ცხოვრობენ); „ჩერნორეჩინსკაია" (ოსების, ინგუშების და რუსების დასახლება); ძირითადად ოსებით დასახლებული – „მამილოვის ხუტრი" და „სარაჯოვის ზავოდი" – დავით სარაჯიშვილის ნაქონი სპირიტს ქარხანა, მისი ბაღები და მიმდებარე ტერიტორია.

ჯარიეხის ციხე

ძმები ესაძეების ცნობით: –

ბალთიდან – ორი ვერსტის დაცილებით, თბილისისკენ მიმავალი დარიალის გზა – ზიგზაგებიან ნახევარგვირაბში შედის...

უფრო ნაკლები სიგრძის, ასეთივე ნახევარგვირაბი – გზის საწინააღმდეგო მხარეს, საც მოჩანს, თერგის მარჯვენა ნაპირზე.

ის, 40-იან წლებში, კავკასიის ომის დროს გააკეთეს – როცა რუსის ჯარის შეყვანა გახდა საჭირო – ჩეჩენო-ინგუშური ტომებით დასახლებულ გალგაის რეგიონში.

აღნიშნული ნახევარგვირაბიდან – ჯარიეხის ხეობაში „გალგაის ბილიკი“ მიემართებოდა.

ბალთიდან მერვე ვერსტზე თერგის ხეობა მაქსიმალურად ფართოვდება.

აღმოსავლეთიდან მას უერთდება ჯარიეხის ხეობა – მდინარე არხმით;

დასავლეთიდან – „Воровская балка,“ с ручьем того-же имени.“

ხეობის შუაგულში დგას ჯარიეხის ციხე, ქვის კედლებით შემოვლებული ორი თავდაცვითი კოშკით – რომლებშიც ვიწრო სათოფურებია გამოჭრილი.

„მიუვალ კლდეზეა გადმომდგარი.“

„შავ, შიშველ ქვებს შორის – კლდის სიღრმიდან ამოდის პირქუში, მოღუშული ოთხკუთხა კოშკი – სიძველით შემოღრღნილი ქონგურებით და ჩაშავებული სათვალთვალო ხვრელებით.“

„ლამაზი, რომანტიკული ნანგრევები იმ დროს გვაგონებენ, როცა, კავკასიის ამ მიყრუებულ მინდვრებზე – აქაური „დიდგვაროვნები“ ბატონობდნენ და თავიანთი მიუვალი ციხე-კოშკებიდან – შუა საუკუნეების დასავლეთ-ევროპელი ბარონების მსგავსად, როგორც მტაცებელთა ხროვა, ისე ესხმოდნენ თავს მგზავრებს – არბევდნენ და ძარცვავდნენ მათ.“

„ციხესთან – გზის მიმდებარედ, რამდენიმე ქოხმახია, რომელსაც „მაქსიმკას ჩმის“ ეძახიან.“ მის მახლობლად, XIX საუკუნის II სახევარში, ნეკროპოლი იპოვეს, სადაც, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ღირებული ნივთები აღმოჩნდა: –

ოქროს საყურეები, მონეტები, ყელსაბამი, ღვინის სასმისები, რომლებიც ქრისტესშობამდე პერიოდს განეკუთვნებოდა და ძველ სირიაში იყო დამზადებული;

ნაპოვნი იქნა ძალზე იშვიათი, დიდი ზომის ონიქსი (მინერალი), რომელიც ახალი წელთაღრიცხვით II-III საუკუნეებს განეკუთვნებოდა.“

„ჯარიეხის ციხის მოპირდაპირედ, მისგან დასავლეთით – დუდაროვების უძველესი, ციხე-კოშკი იდგა.“

„თერგის მეორე მხარეს განთავსებული იყო ინგუშების რამდენიმე აული.“

ძმები ესაძეების თანახმად: –

„დუდაროვებმა – თავიანთი კოშკი რუსებს საკუთარი სურვილით დაუთმეს;“

„მის სანაცვლოდ, ვლადიკავკაზის სიახლოვეს მიიღეს მამულები.“

(ალბათ, მთიულეთის აჯანყების შემდეგ – იძულებით დაათმობინეს, გ.ქ.).

XIX საუკუნის II ნახევარში, დუდაროვების კოშკის ადგილას – მხოლოდ ნანგრევები იყო შემორჩენილი;

ყოფილი სამხედრო პოსტის ნაცვლად – სოფ. ჩმიში, ახალი დასახლება გაშენდა და სადგური – 3 ვერსტით საქართველოსკენ იქნა გადმოტანილი;

იქ, სადაც თერგის ნაპირას იდო „ერმოლოვის ქვა.“

*

ჩმიდან (თბილისის მიმართულებით) დარიალის ხეობა თანდათან ვიწროვდება.

„ცას მიბჯენილი კლდეები თერგის ნაპირებს ბოჭავენ და გარემოს – შავ ჩრდილებს ჰფენენ.“

„თერგის ღრიალი შემზარავი ხდება.“

„აბობოქრებული მდინარე გრიალებს, შხეფებს ისვრის, ქაფქაფებს, ჩუხჩხუხებს – წყალი კი არ ჩანს, მის ზემოთ მხოლოდ შხეფების მტვერია.“

„ადამიანს აყრუებს გააფთრებული მდინარის გრგვინვა, რომელიც უზარმაზარ ლოდებს მოაგორებს და ცოფიანივით იჭრება იქ, სადაც სადინარს პოულობს... კლდეები ილესება მისი საშინელი ნაკადის სიძლიერით“ (ბორის და სიმონ ესაძეები, „საქართველოს სამხედრო გზა,“ 1864 წ.).

*

ჩმიდან – ციცაბო ბილიკი მიდის სოფელ სანიბანში, რომელსაც, ერთ დროს ქართველი ოსტატების მიერ აგებული ეკლესია ამშვენებდა.

ჩვენი ტერიტორიალური პრეტენზიის მოსპობის მიზნით – XIX საუკუნის ბოლოს დაანგრიეს.

დარიალის ხეობის მარცხენა სანაპირო
ქობი

დარიალის ხეობის დასაწყისს, რომელიც მდ. ჩხერიდან ქვემოთ, ორ კმ-მდე გრძელდება, ეწოდება – „ჭარაი“.

მის ფარგლებში იყო: –

ქავთარეთ ქოხი და სათიბი; სიმაგრენი და გევეთ მუხლი.

უფრო ქვემოთაა: – ქობის წყალი, ყაზიეთ რუვი და ცდოს ძირები.

ცდომდე – მდ. ჩხერის მარცხენა ნაპირზე მდებარე ზეგანზე განთავსებული იყო სოფელი ქობი (ქვაბი, ქუბაი – ამჟამად ნასოფლარი) – რომელიც დოკუმენტებში იხსენიება, როგორც წმინდა სამების სახელზე არსებული საეკლესიო სოფელი.

სამების ეკლესიისთვის – ის, ქართლის მეფე ვახტანგს (გიორგი მერვეს შვილს) შეუწირავს 1484 წელს.

აღნიშნული შეწირულობა – შემდგომში (1765 წ.), განუახლებია ერეკლე მეორეს – უკანასკნელ მეფეს, რომლის სახელითაც არის დაწერილი გერგეტის სულთა მატიანის დოკუმენტი:

„ცხებული მეფის თეიმურაზის ძე, მეორე ირაკლი, მეფე საქართველოსი, დარეჯან დედოფალთან ერთად ამტკიცებს გუჯარს, რომლითაც „სოფელი ქვაბი, ძველთაგან გერგეტის წმინდის სამების ეკლესიის შეწირული ყოფილა“ (ქ. შარაშიძე).

ვალ. ითონიშვილის მთხრობელს – თავად ჰქონია წაკითხული ხბოს ტყავზე დაწერილი სიგელი იმის თაობაზე, რომ ქობი საეკლესიო სოფელი იყო.

საბუთი აღმოუჩენია სიონელ დიაკვან – სვიმა კვირჭიშვილს, ხუციშვილების სიძეს;

შემდეგ – სამების ეკლესიაში შეუტანია მღვდელ, მარკოზ სუჯაშვილს – სადაც, დროთა განმავლობაში, დაკარგულა.

ქობში – ჩიბაშვილები და ჩონიაშვილები სახლობდნენ.

მათი საერთო სალოცავი იყო კვირიკე.

ორივე გვარს მამულები ჰქონდა შეწირული მისი ნიშის სახელზე, რომელიც (ძლიერ დაზიანებული) ბეთლემის ქედზე მდებარე კლდეზე დგას.

მის ზემოთ, კვირიკეს უფრო ძველი ნიში მდგარა, რომელიც – ქვების გროვად არის ქცეული).

ჩიბაშვილები – მოგვიანებით, „ვაკე კოლტეშთას“ ჩამოსახლდნენ.

იქიდან, უგზოობის გამო აყრილან, გერგეტში გადასახლებულან და კვირიკეს ნიშიც გადაუტანიათ.

ჩონიაშვილებმა – იმავე მიზეზით, ფანშეტი შეირჩიეს საცხოვრისად.

კოლტეშნის მთა, რომელიც მხოლოდ მათ საკუთრებას წარმოადგენდა – თავიანთ დისწულებს, ხეთაგურებს მისცეს – რომლებმაც – მგვიანებით, გერგეტელებს დაუსაკუთრეს.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ქობიდან მოსახლეობის აყრა ერეკლე მეორის დროს მოხდა.

დღემდეა შემორჩენილი ტოპომიმები: – ქობის ძირნი, ქობიმთა, ქობირუვი, ქობის ბეთლემი, ქობთციხე...

*

ამბობენ რომ: –

მოსახლეობისგან დაცლილი ქობის ტერიტორიის მისაკუთრებას – ყაზბეგები შეეცადნენ.

კოლტეშნის მთის დაკანონების მიზნით – იქ, თავიანთი ყმა ოსები დაასახლეს – საუკეთესო ადგილას, „ქობთ ვაკეზე“.

„იქ უხვნიათ მათ... ბარაქიანად უცხოვრიათ და გერგეტელების შევიწროება დაუწყიათ.“

„დასევიან ისინი ოსებს და მათი ხარ-გუთანი – საკეცეთს გადაუყრიათ...“

კოლტეშნის მისაკუთრებას ყაზბეგები „მაინც ცდილან – მაგრამ ვერას გამხდარან.“

„გერგეტელებმა საჩივრით დაინებესო ქობი.“

ცდო

სალ კლდეებს – სადაც მთის ციცაბო, ქვიანი ფერდობი ცვლის – დარიალის გზას განეტოტება, კლდოვან მასივზე გამავალი ბილიკი, რომელიც ცდოსკენ მიემართება.

სოფელი – სტეფანწმინდიდან 6 კმ-ის დაცილებით მდებარეობს. მის აღმოსავლეთით მდებარე გორზე შემორჩენილია – კლდეებზე შეყურსული ნასახლარები და კოშკის ნანგრევები.

თხასეტის გორზე მდგარი სალოცავი – ოთხკუთხა სვეტის ფორმის, ვიწრო (1,7 მ. სიმ.) მასიური ნაგებობაა. თავზე ბაზალტის ქვაში გამოკვეთილი ჯვარი ადგას.

დასახლების უმაღლეს წერტილზე დაუდგამთ ნაცრისფერი ანდეზიტისგან უხეშად

გამოკვეთილი ვერძი, რომელსაც მოხევეები ნაყოფიერების ღვთაებად – „კვირეღვთისშვილად“ მიიჩნევენ და მასთან გამრავლების ვედრებას აღავლენენ.

„კვირიეს ყოჩს“ ევედრებიან თვალის სისაღეს, ცხვრის გამრავლებას, ნაყოფიერებას და ვაჟიანობას.

ახლადშეძენილ ბიჭს, პირველად – იქ ალოცებენ.

დეკანოზი მას საკლავის სისხლით განათლავს.

კვირიას ნიშის ქვემოთ – ოთხკუთხა, პრიზმის ფორმის ყრუ მასივია – ბაზალტის მშრალი წყობით ნაგები, ე.წ. „ჟმის ხატი“ – „ჟამის საწირავის“ ნიში, სადაც „ცდოველები“ – სალოცავს, სახადისა და ყოველგვარი მოარულისგან მფარველობას შესთხოვენ.

დასახლების ბოლოს – კლდეში, მოზრდილი სახიზარი – გამოქვაბულია.

კლდის ძირას – „კვირიას ხატი.“

როგორც ს. მაკალათია გვამცნობს: –

„ჟამის ნიშთან“ მდებარე, ფიქალ-ქვით ნაგები ძველი აკლდამა „წარმოადგენს თაღიან ოთახს, რომელშიც ადამიანის ძვლებია თავმოყრილი.

გადმოცემის თანახმად – აკლდამა ჟამობის დროს აუშენებიათ.

მასში „ჭირიანებს“ ათავსებდნენ – მანამ ისინიც დაიხოცებოდნენ.

სოფლის სამხრეთით, გზის პირას, ლოდების მშრალი წყობით ნაგები წმინდა გიორგის ხატია.

საურმე გზის მარცხნივ – ე.წ. „თათრის სასაფლაო“, სადაც, გადმოცემის თანახმად, მოხევეებს სპარსელები დაუმარცხებიათ და დახოცილები იქვე დაუმარხავთ.

ცდოს ძირას, კლდეში, რომელიც მის ქვემოთ გამავალ სამხედრო გზას გადმოჰყურებს, ანდეზიტის ამუშავებდნენ.

ქვის ასაფეთქებელ დინამიტს ინახავდნენ გამოქვაბულში, რომელსაც ეფრემა ივანეს ძე წიკლაური დარაჯობდა.

იმ გამოქვაბულს მოხევეებმა „ეფრემაის ქოხი“ შეარქვეს.

წიკლაურები

ცდოში – ზაგაშვილები და წიკლაურები სახლობენ.

მოხევე წიკლაურთა ძირები ისტორიული ხევსურეთიდან მოდის.

მათი ერთ-ერთი უძველესი, დიდი და ძლიერი დასახლება იყო სოფ. როშკა.

ერთი ვერსიის თანახმად: –

„ჯიხვიანთ კაცს ამანათად დაუყენებავ... ემაგ მაშარასა“ (ფშავში) ვინმე წიკლაური.

„ერთ ქობ-კოკან მიუციან იმას, ოლომც მანდ გაგვიშვიო და... დამდგარა...“

„იმას კიდევ სხვა მაუყვანავ, იმას კიდევ სხვა... და ამასობაში გაკეთებულა სოფელი“ (გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1978 წ. გვ. 150).

მეორე (ალბათ უფრო გვიანდელი), გადმოცემის თანახმად: –

წიკლაურების ერთ-ერთ მდიდარ, ძლიერ და ხალხმრავალ კომლს – მაშარაში, „ხატი გამიზეზებია“ და 11 მამაკაცი ერთ დღეს დაღუპულა.

გადარჩენილა პატარა იმედა და დედამისი.

წამოსულან და ხევსურეთის სოფელ ღელისვაკეში დასახლებულან.

იმ დროს – როშკაში, თურმე, არავინ ცხოვრობდა.

„ხევსურთ საჯოგე“ და „ქისტების სამზირი“ იყო – სადაც „ხალხს ხოცდნენ“.

„როშკა-აბუდელაურის გაუვალი ტყით დაფარული მთა-ხეობები მზირ-მეკოპრეთა, მონადირეთა და ნადირ-ფრინველთა სამფლობელოდ იყო ქცეული.“

დავაჟკაცებულ იმედას – სამი ვაჟი შესძენია.

ისინი წინ აღუდგნენ, თურმე – ქისტებს თარეშს და, ტყით დაფარული როშკის მიდამოები – საკარგყმოდ მოიპოვეს.

დროთა განმავლობაში, იმედას შთამომავალი სამი ძმიდან: – ერთი, ამღაში გადასახლდა, მეორე – უკანაახოში, მესამე – როშკაში დარჩა.

როშკასა და ქმოსტ-ღელისვაკეში მდგარ სხვადასხვა წარმომავლობის მცხოვრებთ (ჩურთაულებს, კალაურებს, სინდაურებს და სხვ.) – მოგვიანებით, ორი გვარი მიუღიათ: –

როშკოვნებს – წიკლაური;

ქმოსტელ-ღელისვაკელებს – ბურდული.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით, წიკლაურების ფაფარენელი (როშკელი) წინაპარი – გვარად თურმანიძე, ადრე – ჟინვალთან „მდგარა“; კახელი თავადები (ჭავჭავაძეები) მტრობდნენ და – ამის გამო გახიზნულა ხევსურეთში: –

„თურმან ვარ ფაფარენელი, კითხვა რად გინდათ გორისა, ხორხი დავწვი და მაღარო, ჟინვან ჯავრი მაქ ორისა – თიანეთ ჭავჭავაძისა – გაუმაძღარის ღორისა...“ – გვამცნობს ხალხური ლექსი.

მესამე ვერსიის თანახმად, წიკლაურების წინაპარი – ახმეტელი შანას შვილი (შანაშვილი) ყოფილა – გავლენიანი, მდიდარი, დიდი მამულების და მრავალი ცხვარ-ძროხის პატრონი.

თავად ჭავჭავაძეებთან უთანხმოების გამო, მისი ერთ-ერთი შთამომავალი, სახელად ბასილი, იძულებული გამხდარა – ცოლით და სამი ვაჟით, უკანა ფშავის სოფ. მაშარაში გახიზნულიყო, სადაც, ზაფხულობით „დაუდიოდა საქონელი“.

ვერც იქ უგრძვნიათ თავი უასფრთხოდ და ხევსურეთში გადაკარგულან.

„ბასილაის ძეთ“ ლეკებთან ბრძოლებში უსახელებიათ თავი;

როშკის ტერიტორია საკარგყმოდ მიუღიათ და ფაფანერას დამკვიდრებულან.

დროთა განმავლობაში, მათი შთამომავლები – პაპის სახელისგან ნაწარმოებ გვარზე – ბასილაურზე გადავიდნენ.

უფრო მოგვიანებით – ამ გვარის შიგნით გამოიკვეთა, მათი თვალსაჩინო წარმომადგენლის, წიკვას (წიკლაურების პატრონიმის), ძლიერი შტო, რომელიც – შემდგომში, სამ მამიშვილობად დაიყო: –

ერთი – გაღმა როშკაში დასახლდა;

მეორე – არხოტის სოფ. ამღაში;

მესამე – ბუდე ხევსურეთის ჩირდილის ხევში (სოფ. უკანაახოში).

ასე დაედო სათავე ნამდვილი წიკლაურების სამ შტოს: – „როშკიონს“, „ამღიონს“ და „უკანაახოელებისას“.

ამღელი წიკლაურებიდან წარმოსდგნენ, მათთან გაერთიანდნენ და, დღეს – წიკლაურის გვარს (მთლიანად, ან ნაწილობრივ) ატარებენ – შემდეგი მამიშვილობები: –

ბასილანი, ბერდიშვილნი, გაგანი, ნისლაურნი, ბაიანი, აბაისძენი, ჩაჩაურნი, გიორგანი, ბახანი, ჭოლიკაურნი, უთურგანი, მარაისძენი, ბახილაურები (ქარჩანი, ძმაურნი, ჩინგლანი) და სხვ.

როშკელი წიკლაურებიდან მოდიან: – ქირციანი, გადალახულანი, გურიანი, ჯოყოლიკანი და კიბალაურნი.

სხვა გვარების მათთან „შედგომის“ ფაქტი არ დასტურდება.

არხოტელი და უკანახოელი წიკლაურების ზოგი შტო ნამდვილია, ზოგი – წიკლაურობაზე შემდგარ-შეფიცული.

ალ. ნაზღაიძის ცნობით: –

„უკანახოელი წიკლაურები მთლიანად გუდამაყარში გადაიკრიფნენ“.

მათი საცხოვრისი იყო: – მაქართა, სიჯანანი, ფახვიჯი, საჩალისჭალა, ზანდუკი, დიხჩო და ლუთხუბი.

ამ კუთხის ორი ძირითადი გვარის – წიკლაურის და ბექაურის წინაპრები („წიკვაი და ბექაი“), ანდრეზის თანახმად – უკანაახოში ძმად გაიფიცულან.

მერე – თურმე, ხასიათით ვერ შეწყობიან ერთმანეთს და გაყრილან.

„ბექაი ბექაურად დამრჩალა, წიკვაი – წიკლაურად“.

როგორც გ. თევდორაძე გვამცნობს: –

„ხევსურეთის ფუძემდებელ გვარად წიკლაურს არ სცნობენ,“ მაგრამ – „სიმრავლით ისინი, თითქმის, ყველაზე ძლიერები არიან და არაბულებსაც კი ეჯიბრებიან.“

ხევში გადასახლებული – ფშაველი წიკლაურების განაყარნი „გვაროვნულ ურთიერთობას არ სწყვეტენ, თავიანთ ფშაველ მოგვარეებთან.“

„ფშაველების თქმით, ეს წიკლაურები ხევსურეთიდან – სოფ. ბლოდან გადმოსახლებული იმ წიკლაურის ჩამომავლები არიან“ – რომელიც „კაცის მოკვლის გამო ყოფილა გამოქცეული“ (გ. თევდორაძე).

*

თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა როგორც წიკლაურების შტონაყარი გვარების წარმოქმნის, ისე მათთან დანათესავების პროცესი.

სხვადასხვა მამიშვილობების წარმოქმნის პარალელურად, წიკლაურებს ბევრი სხვა გვარის ხალხი შეეკედლა, შეეფიცა და რიტუალური ადათ-წესების დაცვით – გაწიკლაურდა.

გუდამაყრელი წიკლაურების დიდი ნაწილი – მთიულეთში, ხევში, ქსნის ხეობაში, თრიალეთის მთებში და ბარში ჩამოსახლდა.

მთიული წიკლაურების მამიშვილობებია: – ლომიანი, თღამნიაურნი, ბუბულაურნი, ნატიანი, ვაიდაგიანი და კოტორიანი (ს. მაკალათია).

*

ერთი ვერსიის თანახმად, ხევსურეთიდან ხევში – ამღელი წიკლაურები გადასახლდნენ.

მეორე ვერსიის მიხედვით, მოხევე წიკლაურები – გუდამაყრიდან (უკანაახოელთა შტოდან) არიან მისულები.

1774 წლის აღწერით – ცდოში („არაგვის ერისთავის ყმა ჩოფიკაშვილის ყაზი-

ბეგისა და ნადიბაიძე შიოს სამოურავოში“) – წიკლაურების ორი კომლი სახლობდა ჩოფნიაშვილის გვარით: –

ჩოფნიას შვილი პატარკაცი;

ჩოფნიას შვილი მამა და ბიძია.

1781 წელს აღირიცხნენ: –

გერის შვილი ისე;

ჩოფანის შვილი პატარკაცი, ივანე და გიორგი;

ჩოფანას – მამა და ბიძია;

გუგუტას შვილი გიორგი, ბიჭა და ზაქარია;

გერის შვილები („გერიანი“) მოხევე წიკლაურების ერთ-ერთი განაყრობაა, რომელსაც თავისი უბანი ჰქონდა ცდოში. ცნობილი მთამსვლელი – გახა წიკლაური მათი წარმომადგენელი იყო.

გუგუტას შვილების („გუგუტეთ“) განაყარი – „ცდოელი გუგუტას შვილი გაზა“, იმავე (1781 წლის) აღწერით – ტყარშეტში სახელდება. მისი შთამომავლები, XIX ს-ის ყველა აღწერაში, გუგუტიშვილებად არიან ჩაწერილები.

ჩოფანას შვილები („ჩოფანენი“) – ცდოველი წიკლაურების ძირძველი და ერთ-ერთი დიდი შტოა. „სურხავეთ“განაყოფთან ერთად – ისინი გუდამაყრის „პირიმზის ფუძის ანგელოზს“ ყმები იყვნენ და, XIX ს-ში – წიკლაურის გვარი დაიბრუნეს.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

მოხევე წიკლაურების ერთ-ერთი დანაყოფი – „ბუჩუნენი“, „შემოსახლებული შტო იყო“, რომელმაც ცდოში დასახლების შემდეგ მიღო წიკლაურის გვარი.

ისინი „პირიმზეში“ სალოცავად არ დადიოდნენ („მოხეური გვარსახელები“, 1998 წ. გვ. 9-10).

ცდოდან წასული წიკლაურები – სიონში (გოთიენი), ტყარშეტში, გერგეტსა და ხურთისში (გუგუტენი) სახლობდნენ.

1774 წელს – ქურთაში (ხურთისში), მათი ორი კომლია მოხსენიებული: –

1. წიკლაუროვი თაზის შვილი პაპა, ივანე, ვაზდაგა, პაპი და მამუკა;

2. წიკლაუროვი მჭედლის შვილი ბერი.

XIX ს-ის ხევის რამდენიმე აღწერაში წიკლაურები არ ჩანან, მაგრამ მოხსენიებული ბაკაძეები, ბაკვაშვილები და ბაკუაშვილები იგივე წიკლაურები არიან;

მამის სახელები აქვთ გაგვარებული და, შემდგომში, ისევ ძირძველ გვარს იბრუნებენ.

ხურთისელი წიკლაურები (გუგუტენი), დროთა განმავლობაში, ბარში გადასახლდნენ;

მათი ნაწილი – ატაშვილის გვარზე დაეწერა.

როგორც რ. თოფჩიშვილის მთხრობელი აღნიშნავს: –

„ატაშვილები ძირად ვართ მოხევეები. პაპის პაპა წამოსულა იქიდან. კაცი შემოკვდომია. წიკლაურები ვყოფილვართ და რომ არ ეპოვათ, ატაშვილად დაწერილა. ხევში ჩვენი სოფელი ხურთისია...“

1886 წლის აღწერით – საგურამოს სოფ. ბოკოწინში, 3 კომლი (ხიზანი) ატაშვილია მოხსენიებული.

1774 წელს, გერგეტში აღირიცხა – „წიკლოური ცანცუკას შვილი ხოტა“.

ამავე სოფელში მოხსენიებული – „ეგუაშვილი ჭოჭა, ბერი და გიორგი“ – გერ-

გეტელი წიკლაურების ერთ-ერთი მამიშვილობის – „ეგუენის“, წინაპრები არიან.

1774 წელს სიონში მცხოვრები „წიკლოური წიკლოურის შვილი შაშვას“ განაყრები, აღნიშნულ სოფელში, გოთიაურის გვარით არიან ჩაწერილები („გოთიაური თამაზას შვილი გია, იასე, გიორგი და პაპუა“).

მოხევეები მათ მოიხსენიებენ როგორც „გოთიეთ“.

*

1873 წლის აღწერით – ცდოში სახლობდნენ: –

1. შიო წიკლაური, 36 წლის; მისი ძმები: იასე – 33 წლის, გრიგორი – 25 წლის, ლევანი – 14 წლის.
2. კიკო ივენეს ძე წიკლაური, 39 წლის; მისი შვილები: ფარჩო – 8 წლის, გიორგი – 5 წლის, ვასილი – 3 წლის; კიკოს ძმის, დავითის შვილები: თომა – 21 წლის, იოსები – 4 წლის; კიკოს ძმის, მიხეილის შვილები: კონსტანტინე – 8 წლის, ივანე – 3 წლის.
3. შიო გიორგის ძე წიკლაური, 21 წლის; მისი ძმები: ონისე – 15 წლის, სიმონი – 4 წლის.
4. იორდანე სიმონის ძე წიკლაური, 33 წლის; მისი ძმები: თომა – 22 წლის, არ-ჯევანი – 20 წლის, კიკო – 18 წლის; იორდანეს ბიძა, ზაალი – 38 წლის; მისი შვილი, ივანე – 7 წლის.
5. მამუკა იოსების ძე წიკლაური, 63 წლის; მისი ძმის, მოსეს შვილი, სიმონი – 22 წლის; მამუკას ძმის, ივანეს შვილი, ივანე – 10 წლის.
6. დავით ვასილის ძე წიკლაური, 53 წლის; მისი შვილები: გიორგი – 33 წლის, იასე – 22 წლის, ევსტაფე – 20 წლის.
7. დავით გრიგორის ძე წიკლაური, 53 წლის; მისი შვილები: გრიგოლი – 30 წლის, ხუტუნა – 20 წლის. ხუტუნას შვილი, მიხეილი – 4 წლის.
8. გიორგი ივანეს ძე წიკლაური, 20 წლის.
9. ნიკოლოზ ლაზარს ძე წიკლაური, 53 წლის; მისი შვილი, გიორგი – 33 წლის; გიორგის შვილები: ივანე – 9 წლის, ილია – 2 წლის.
10. მუსა ნიკოლოზის ძე წიკლაური, 25 წლის; მისი შვილები: სპირიდონი – 3 წლის, გიორგი – 1 წლის.
11. თევდორე გიორგის ძე ზაგაევი, 25 წლის; მისი შვილი, დავითი – 3 წლის; თევდორეს ბიძაშვილი: იაგორი – 26 წლის. მისი შვილი, ზაქარია – 1 წლის; იაგორის ძმა, ივანე – 14 წლის; თევდორეს ძმისწული, შაბათა სვიმონის ძე – 8 წლის; მისი ბიძა, გრიგოლი – 40 წლის.
12. სოლომონ ადამის ძე ზაგაევი, 48 წლის; მისი ძმა, შიო – 38 წლის; სოლომონის შვილები: სპირიდონი – 5 წლის, გიორგი – 2 წლის, ფილიპე – 1 წლის.
13. სიმონ ლაზარს ძე ზაგაშვილი, 23 წლის; მისი ძმა, ჯახოტა – 22 წლის.
14. ობოლი ივანე შიოს ძე ზაგაშვილი, 4 წლის.
15. ზურაბ იოსების ძე ზაგაშვილი, 47 წლის; მისი შვილები: ნიკოლოზი – 18 წლის, გრიგორი – 16 წლის, ივანე – 6 თვის; ზურაბის ძმა, სვიმონი – 45 წლის, ლაზარე – 33 წლის; სვიმონის შვილი, ნიკოლოზი – 2 წლის; ლაზარს შვილი, ნიკოლოზი – 4 წლის; ზურაბის ძმისწული, დავითი – 35 წლის; დავითის ძმი-სწული, გრიგოლი – 3 წლის.

*

ბევრი ცდოველი ვაჟკაცის სახელი შემოინახა ხევის ისტორიამ: –

თავისი კუთხის ლეგენდას, მთამსვლელ გახა წიკლაურს – მყინვარზე 20-მდე ასვლა ჰქონდა განხორციელებული.

1854-1917 წ.წ. სახელდება გენერალ-მაიორი ვალერიან წიკლაური;

პოლკოვნიკი – შალვა წიკლაური ქართული დივიზიის ლეგენდარული მეთაური იყო.

სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე – მეცნიერებათა კანდიდატი, ვლადიმერ წიკლაური – ტიციან ტაბიძის და სტეფანე ალიბეგაშვილის ღირსეული მემკვიდრე გახლდათ.

ვანო წიკლაური, ყაზბეგის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ მსახურობდა;

გივი წიკლაური – ყაზბეგის რაიაღმასკომის თავმჯდომარეებისა და გამგებლების შეუცვლელი მოადგილე იყო წლების განმავლობაში.

წიკლაური მირიანი – საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, ყაზბეგის რაიონის პრეფექტი, საქართველოს მერვე და მეცხრე მოწვევების პარლამენტის წევრი გახლდათ; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილს).

ხევის უახლესი ისტორიის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელ შრომას ეწევა ჯიმშერ წიკლაური.

*

„ცდოს ძირებში," სადაც საქართველოს სამხედრო გზა გვირაბით გრძელდება, XIX საუკუნის შუა წლებში, „მნახველს აძრწუნებდა" მთის აფეთქებებით შექმნილი ანომალია – კლდეზე ავისმომასწავებლად დაყრდნობილი, უზარმაზარი (6000 კუბომეტრი) გრანიტის ლოდი, რომელიც, ტრასაზე სახიფათოდ გადმოკიდებული – თითქმის ნახევარგვირაბს ქმნიდა.

მგზავრები მას „პრონესი გოსპოდით" მოიხსენიებდნენ.

ამავე ტერიტორიის ფარგლებშია: –

ცდოვის ველნი, მზორე და ნათლისმცემლის მუხლი.

(მუხლი – ხევში, მოსახვევის აღმნიშვნელი სიტყვაა).

კონკრეტულ შემთხვევაში, იგულისხმება საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთი მკვეთრი მოსახვევი და კონცხი, რომელზეც იოანე ნათლისმცემლის ნიში დგას.

უფრო ქვემოთ, ზაგაშვილების ყოფილი სათიბი ადგილია – ე.წ. დემჩულეთი, რომელსაც საზვავე ადგილი აკრავს – „ჩხუაი" (ანუ, ფარაი).

მის ქვემოთ – სოფ. გველეთის ადგილებია: – ბორძაისყანა, ყორუღი, დაბაი და ტბები.

დაბაის დასავლეთით მდებარე მთების სიღრმეშია – მყინვარწვერის კალთები და კონცხები – ე.წ. დაბაის კუდები.

*

სტეფანწმინდიდან მე-9-ე კმ-ზე საქართველოს სამხედრო გზა – თერგისა და გველეთისწყალის შეერთების ადგილს მიადგება, სადაც ყურადღებას იპყრობს კლდიდან „ორ საფეხურად" ვარდნილი ჩანჩქერი.

გველეთი

სოფ. გველეთი – ვახუშტის მიერ დაბად წოდებული, მდინარე დევდორაკის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ზ.დ. 1560 მ-ზე.

ხევის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა.

მისი სახელწოდება, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს – მომდინარეობს დევდორაკის ხევის (ანუ, გველეთისწყალის) ადრინდელი სახელიდან, რომელსაც გელათი (გელათის ხევი) ერქვა.

რ. შმერლინგისა და ვ. დოლიძის ვარაუდით, სოფ. გველეთსაც, ადრე – გელათი უნდა რქმეოდა.

სოფლის მიდამოებში – 1882 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩნდა: – მუხლზამბარიანი საკინძები, სამაჯურები, მძივები და სხვა მასალა, რომელიც გვიანდელი რომაული და ადრინდელი შუა საუკუნეებით თარიღდება.

ამბობენ რომ: – გამოვლენილი ინვეტარი ერმიტაჟს ჩაბარდა.

სოფლის ჩრდილოეთით (0,8 კმ-ზე), მაღალი კლდის ძირას მდებარე სამაროვანი – VI ს-ის მიწურულით და VII საუკუნით თარიღდება. არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩნდა: – რკინის შუბისპირები, დანები, რკინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის ფიბულები, აბზინდები, ბალთები, ბეჭდები (მათ შორის სასანური გემებით შემკული), ბრინჯაოს სამაჯურები, ვერცხლის საყურეები, დიადემები, ბრინჯაოს სარკე, საკიდი – ცხენოსნის გამოსახულებით; მინის, პასტის, სარდიონის, ქარვის, მთის ბროილს, გიშრის და სხვა მასალისაგან დამზადებული მძივები... გამოვლინდა ჩალისფრად და შავად გამომწვარი ხელადები, ბრინჯაოს ფიალა, კავადის (488-531 წ.წ.) ვერცხლის მონეტა და სხვა ინვენტარი, რომელიც დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაშია დაცული (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წელი).

ადრინდელ შუა საუკუნეებში – გველეთი საქართველოს სამეფო კარის საკუთრებას წარმოადგენდა.

მის ციხეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის დასაცავად.

როცა მონღოლთა დიდმა – ყაზან ყაენმა, მის წინააღმდეგ აჯანყებული დავით VIII-ს შესაპყრობად – 1301 წელს, ხუტლუბუღა ნოინი გამოგზავნა – დავით VIII-მ გველეთის ციხეს შეაფარა თავი.

ორგზის წარუმატებელი ლაშქრობის შემდგომ – მონღოლთა მესამე ლაშქრობა წარმატებული აღმოჩნდა;

დავით VIII იძულებული გახდა – ჯავახეთისა და ალასტანის სანაცვლოდ, გველეთის ციხე მისი ძმისთვის – მონღოლთა ხელშეწყობით გამეფებული ვახტანგისათვის დაეთმო.

ქართველი (ქრისტიანი) გველეთელები – როგორც ჩანს, სემხის ყოვლაწმინდასა და ციხემცავის მამაწმინდაში ლოცულობდნენ.

სოფლის დასავლეთით, მთის წვერზე მდებარე სემღისის („სემხის ყოვლაწმინდა“) ეკლესიისკენ ციცაბო ბილიკს მივყევართ.

სალოცავი – XIII-XIV სს თარიღდება. დარბაზულია (6,2X4,2 მ.), უაფსიდო. ნაგებია მოზრდილი ზომის, ტლანქად დამუშავებული ფიქალით. კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაქცეულია. იატაკი მოფენილია ფიქლით და გათლილი ქვებით. ფასადის

მხრიდან დადგმულია სასანთლე ნიში, რომელზეც ოთხი ჯვარია გამოსახული.

ინტერიერი – ადრე, მოხატული ყოფილა.

ჩრდილოეთის კედელზე იკითხება „ჯვარცმა“ (მოჩანან მღვდელთმთავარები... მხედარი, რომელიც ლახვარით გმირავს გველეშაპს);

დასავლეთის კედელზე – „განკითხვის დღეა“...

სხვადასხვა ცხოველები – შთანთქმულ არსებებს ანთხევენ...

იქვეა მხედარი – თავისებური, მაღალი ჩაჩქანით...

მკვლევართა აზრით, ეს რამდენადმე პრიმიტიული და ტლანქი ფერწერა – XIII–XIV სს გაეკუთვნება.

მოხატულობის ფრაგნენტები სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული...

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, „სემხის ყოვლაწმინდა“ – ძირითადად, ზაგაშვილების სალოცავი იყო.

ისინი – იქ, ყოველ აღდგომას საგვარეულო საღრმთოს იხდიდნენ.

სოფლის სამხრეთით, განაპირა კლდეზე მდგარი – მოზრდილი ქვებით ნაგები, ციხემცავი მამაწმიდა – ძლიერ დაზიანებულია. სალოცავში ინახებოდა: – ჯვრები, სხვადასხვა ფორმის, დანიშნულების და სიდიდის ჭურჭელი. ნაგებობის აღმოსავლეთით – ვიწრო მოედანია, სადაც პატარა ოთხკუთხა ქვის ბაზისზე – ქვისავე ჯვარია აღმართული.

მთის ძირა ზოლში გველეთიდან მიემართება ბილიკი, რომელიც მდ. დევდორაკზე გადადის; გაივლის ძველ დარიალას (თამარის ციხის მიდამოებს) და მიადგება ტყიანი ღელის დიდ აღმართს – დახრამულსა და ლოდებით მოფენილს – რომელსაც პატარა ნაკადული ჩამოუდის.

აღმართის შემდეგ, ბილიკი უღელტეხილზე გადადის;

სამხედრო გზაზე ჩადის – დარიალის ხიდსა და ზემო ლარს შორის.

ძირითადი ტრასის ან ხიდის დაზიანების შემთხვევაში – ცხვრის გადასარეკად (ოდესღაც) გამოყენებულ ამ უღელტეხილს – ეწოდება ხურნუკის ყელი (ანუ, ხურნუკის გადასასვლელი).

*

XVIII საუკუნის ხევის აღწერებში – გველეთი, რატომღაც, მოხსენიებული არ არის.

XIX საუკუნის აღწერებში – ხევის სოფლების ჩამონათვალშია და ინგუშებით (ქისტებით) არის დასახლებული.

მათი ჩამოსახლება, სავარაუდოდ, XVII ს-დან დაიწყო.

1888-1890 წლებში, ინგუშების (ქისტების) 50-მდე კომლი რუსეთის მთავრობამ – მოგონილი ბრალდებით, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში გადაასახლა.

„დატოვეს მხოლოდ ბეზურტანოვების (სახელგანთქმული მთამსვლელებისა და მონადირეებისა) 5 ოჯახი“ (ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, 1971 წ.).

საბჭოთა ხელისუფლებამ – 1944 წელს, ისინიც გადაასახლა და XX ს-ის ბოლოს, გველეთის მოსახლეობას წარმოადგენდა – ცდოდან და ყაზბეგიდან ჩამოსახლებული მოხევეების 15-მდე კომლი.

1926 წლის აღწერით – გველეთში 14 კომლი აღრიცხეს (6 მამაკაცი და 8 ქალი).
2014 წელს – 2 სული დარეგისტრირდა.

ზაგაშვილები

ძირად დვალები არიან (ზაქაგორის, მნას, გველეთისა და ცდოს ძირძველი მცხოვრებნი).

გერგეტელ საყდრისშვილთა მძევლებს შორის, 1439 წელს – გველეთალი „ანი და ხარსილაჲც“ სახელდება.

გერგეთის სულთა მატიანეშია ჩართული (სავარაუდოდ, XVI-XVII სს. საბუთი) მოსახსენებელი და შეწირულების წიგნი – „ნაცულის (ნაცვალის, გ. ქ.) ზაქაძისა ინდოსსა და მეუღლისა მისისა გულქანისსა“: –

„შეუნ[დ]ნეს ღმერთმა და სული მათი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.“

„შვილნი მისნი დღეგრძელობით და მშვიდობით დალოცნეს ღმერთმან.“

„მე, ზაქაძემ ინდომან შევსწირე წმიდას სამებას ფანშეტს ჭიელისეული დღენახევრის ყანა. უბნის[ჯ]უარითა [უ]რთ, მეფეთა სიგლით ნაბოძვარი.“

„რომე [ფე]რისცვალებასა დღესა ერთობილნი ს[ტეფანწმიდ]ელნი და გერგეტელნ[ი] ჩუენთუის და [ძეთა] ჩუენთათუის ლოცვა-კურთხევასა და შე[ნ]დობასა ბრძანებდენ.“

„პაპრუაშვილის შიბლიასა, მიქოსძეს ლომიასა, ჴადელასძე ზალია, ბეგნის შვილი გებუასა, ალუთხარისა შვილი ირემასა ამათის თავდებობითა ესე ლოცვა-კურთხევა ნიადაგ ჩემთუის ითქმოდეს და არა ოდეს მოიშალოს.“

„ვინცა ესე მოშალოს, წყეულმცა არს ჴსენება მათი.“

„დამამ\ტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.“

„ინდოსა და მის მეუღლეს გულქანს შეუნდნეს ღმერთმან და შვილნი მათნი მშუიდობით დაიცვნეს ღმერთმან და ნათესავნი მისნი. ამინ. კირიელესუ.“

ციტირებული ტექსტის შემდგომ პერიოდში, „მატიანეში“ მოხსენიებულია აგრეთვე სულები: – ზაქიის ძისა შნ..ს ღ..ნ–სი და ზაქას ძისა გორგასლისა.

დიდი ალბათობით – ისინი გველეთელი ზაგაშვილების წინაპრები უნდა იყვნენ.

ოსთაგან შევიწროებულმა, დევნილმა და ნაწილობრივ გაოსებულმა ამ მრავალტანჯულმა გვარმა, დვალეთიდან – თრუსოს და მნას ხეობების გავლით, იძულებითი მიგრაციის ისტორიული გზა განვლო.

მდიდარი ეთნოგრაფიული მასალაა მათ შესახებ.

ერთი ვერსიის თანახმად: –

ხევსურეთიდან წამოსული ზაქაიძე-ზაქაძე-ზაგაშვილ-ზაგაკოვების წინაპარი სამი ძმიდან – ორი ხევში დასახლდა; ერთი – თრუსოს ხეობაში.

განსხვავებული (ალბათ, უფრო სარწმუნო) ვერსიის მიხედვით, ზაგაშვილების წინაპარი სამი ძმა დვალეთის – ზაქის (ზახის) ხეობიდან წამოსულა; ერთი მათგანი – თრუსოს სოფელ აბანოში დასახლდა; ორი – ხევის სოფელ გველეთში.

გადმოცემის მიხედვით: –

გველეთში დამკვიდრებული ძმებს შთამომავლები – ქისტებთან ბრძოლაში გაწყდნენ. გადარჩენილა მხოლოდ მათი ერთადერთი რძალი რომელიც – მამის სახლში

(მთიულეთში, სოფ. ხადას) ყოფილა წასული; იქ შესძენია ტყუპი ვაჟი.

„დედიძმითას გაზრდილი ტყუპები რო მოღერებულან“ – შურის საძიებლად წამოსულან ხევში.

ცდოსთან – გამოქვაბულში შეუფარებიათ თავი და ერთი მათგანი გველეთში წასულა დასაზვერად...

ქისტებისთვის უთქვამს: –

„მწყემსი ხომ არ გინდათო... მიუღიათ და იქავ დამრჩალა ღამის გასათევად...“

შუაღამისას წამომდგარა, მოსისხლე ქისტები დაუხოცავს და მათი ყურები – ძმისთვის მიუტანია – ნივთმტკიცებად.

მოსვლიათ ჩხუბი: –

„მტერი რატომ დახოცე უჩემოდ-ო და ძმა, რომელსაც შურისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია – დედიძმათას დაბრუნებულა.

იმ ტყუპისცალიდან წარმომდგარა ხადელი ზაქაიძეების გვარი.

ხევში დარჩენილი ძმიდან – მოხევე ზაგაშვილები მოდიან...

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

დვალეთიდან – ზაქის (ზახის) ხეობიდან (ოსებისგან) დევნილი ზაგაშვილების წინაპარი სამი ძმიდან: – ერთი, თრუსოს სოფელ სოფ. აბანოში დასახლდა; ორი – ხევის სოფელ გველეთში.

თრუსოში დამკვიდრებული ძმების შთამომავლები ისევ ოსების ძალმომრეობით ჩამოსახლდნენ სოფ. მნაში.

მოგვიანებით, მათი ნაწილი ცდოში გადასახლდა; ნაწილი მნაში დარჩა და, იქ შექმნილ ოსურ ეთნიკურ გარემოში – თანდათან გაოსდა.

მთხრობელების საერთო აზრით: –

მთიულ ზაქაიძეებს, მოხევე ზაქაძე-ზაგაშვილებსა და მნაში გაოსებულ ზაგაშვილ-ზაგაკოვებს – საერთო წარმომავლობა აკავშირებთ.

*

ამჟამად, ცდოში მცხოვრები ზაგაშვილების (კოლენის, ლოლენის, ბაწაწიენის და გარბანში გადასახლებული ბაბუყენის) – პატრონიმიული სახელია „ზაგანი.“

მოსკოვში მცხოვრები ცნობილი მოხევე გახლდათ – სტეფანე ნიკოლოზის ძე ზაგაშვილი. რსფსრ-ს მშენებლობის სამინისტროს მთავარი სატრანსპორტო სამმართველოს უფროსი, შემდგომში – სსრკ ტრასპორტის სამინისტროს მძიმე ინდუსტრიის საწარმოების სატრანსპორტო სამმართველოს ხელმძღვანელი. შრომის წითელი დროშის ორდენისა და ორგზის საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი.

ვლადისლავ სტეფანეს ძე ზაგაშვილმა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი დაამთავრა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი; მუშაობს შესაბამისი პროფილით.

ალექსანდრე (შურა) ზაგაშვილი უშიშროების პოლკოვნიკი გახლდათ.

არქიტექტორ გიორგი ზაგაშვილის საქმიანობის სფეროა: – სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოების კოორდინაცია და ხელმძღვანელობა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტირება, ინტერიერის გაფორმება, დიზაინი.

იყო თბილისის დიზაინისა და კეთილმოწყობის სამმართველოს თბილქალაქგაფორმების სპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი.

ავტორია ქართული მხატვრულ-დეკორატიული შრიფტებისა („აიალამა“, „კალო“, „ლილე“, „კამარა“, „დარიალი“, „სივანი“, „შხარა“...).

ცნობილი ეთნოგრაფი და ჰერალდიკოსია – ავტორი წიგნებისა: – „ჰერალდიკის საფუძვლები“ და „ვისი გორისა ხარ.“

თანაავტორია 100-მდე ისტორიული საგვარეულო გერბის ახალი რედაქციისა.

ასოციაცია „ქართული შრიფტის“ თანადამფუძნებელია.

მუშაობს ხევის არქიტექტურულ-კულტურულ ძეგლთა და ეთნოგრაფიულ პრობლემებზე.

მოხევეები და მუსლიმი მეზობლები

ალ. ყაზბეგმა სპეტაკი გულით გაიზიარა რუსეთის იმპერატორის მიერ – ჩეჩნების, ჩერქეზების და დაღესტნელთა გადასახლების ტრაგედია; დიდი გულისტკივილით გადმოგვცა ეს სისხლიანი ეპოპეა და გულწრფელად იგლოვა ამ ხალხების ძალდატანებით აყრა – მშობლიური კავკასიონის მთიანეთიდან.

მწერალი დიდი თანაგრძნობით აღწერს – გასასახლებლად გამზადებული ჩეჩნების წარმოუთქმელ სულიერ ტანჯვას; გულს უზარავს სასოწარკვეთილი ხალხის საერთო ვაება, სადაც „ერთის გმინვაში გამოითქმოდა გრძნობა და მდგომარეობა მთელი ხალხისა.“

„შოვინიზმის სამსალათი გულგამოქმული რუსები“, ჩეჩნებთან ერთად, ქართველებსაც ღვთისგან მოვლენილ რისხვად მიიჩნევდნენ და მათ გადასახლებაზეც ოცნებობდნენ: –

„რომ შემეძლოს, სუყველას, სუყველას გადაგასახლებდით, თავიდან მოგიშორებდით-ო“ – არ მალავს თავის უნაპირო სიძულვილს ალ. ყაზბეგის პერსონაჟი – „რუსის ოფიცერი.“

ალ. პუშკინი დაუფარავად აღნიშნავს: –

„ჩერქეზებს ვძულვართ. ჩვენ განვდევნეთ ისინი ლაღი საძოვრებიდან.“

„მათი აულები აოხრებულია, მთელი ტომები მოსპობილი.“

„ისინი დღითი-დღე უფრო და უფრო ღრმად იჭრებიან მთებში და იქიდან აწყობენ თავდასხმებს.“

„მშვიდობიანი ჩერქეზების მეგობრობაც არ არის საიმედო;“

„ისინი მუდამ მზადყოფნაში არიან, რათა მოუსვენარ თანამემამულეებს დაეხმარონ.“

„აქაურობა სავსეა ხმებით მათ ავკაცობაზე.“

„არ არსებობს არავითარი საშუალება მათ დასაწყნარებლად, ვიდრე არ განაიარაღებენ ყველას, როგორც განაიარაღეს ყირიმელი თათრები...“

„ხანჯალი და ხმალი მათი სხეულის ნაწილებია.“

„ბავშვი ენის ამოდგმამდე იწყებს მათ ხმარებას.“

„მკვლელობა მათთვის სხეულის უბრალო მოძრაობაა“ (ალ. პუშკინი, „არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს“).

დიდ რუს მწერალს, ისევე როგორც მისი ქვეყნის სხვა დიდ ადამიანებს – სამ-

წუხაროდ, სრულიად გაუცნობიერებელი დარჩათ – რუსთაგან დაპყრობილი ერების ტრაგედია.

არცერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლებიც რუსი ხალხის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისთვის იბრძოდა – არასოდეს არ დაუყენებია რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების განთავისუფლების საკითხი;

არ აღუმაღლებიათ ხმა ამ ერების რუსიფიკაციის წინააღმდეგ.

*

არავინ მალავს: –

ქართველ მთიელებს ბევრი ბრძოლები ჰქონდათ მეზობელ ქისტებთან;

იყო მტრობა, შუღლი – მაგრამ იყო დიდი ურთიერთგაგება და ურთიერთდაფასებაც – რომელსაც დიდი პიროვნებები ქმნიდნენ.

ასეთ ურთიერთობაზე იდგა კავკასიური ერთობა.

მუსლიმანის და ქრისტიანის „ყონაღობა“ – ძმადნაფიცობის განსაკუთრებული ფორმა გახლდათ...

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ სიმონ შადურის მონათხრობს: –

1918 წლის გაზაფხულზე, როცა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, მოხევე პატრიოტების მცირერიცხოვანი რაზმი, გაქცეული ბოლშევიკების გზის მოსაჭრელად – ხდეს ხეობაში – ქისტი მეცხვარეების ბინაზე მივიდა – ქისტები (რომლებსაც მოხევეები, რატომღაც, ინგუშებს ეძახიან!) – იმ პერიოდში, თერგის რესპუბლიკის ბოლშევიკური მთავრობის მომხრენი იყვნენ; აღნიშნულიდან გამომდინარე, ჰაუდი იაჰკუროვს – ს. შადურის მეგობრების საწინააღმდეგო პოზიცია უნდა დაეკავებინა – მაგრამ, არა მარტო გულუხვი მასპინძელობა გაუწია ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ მოხევეებს, არამედ – თავის ძმასთან, შვილთან და მეგობრებთან ერთად – იარაღით ხელში დადგა მათ გვერდით.

ასეთი იყო მთიელთა დაუწერელი კანონი „ყონაღობისა,“ მეცხვარეობისა, მეზობლობისა და სტუმართ-მასპინძლობისა.

*

XVII ს-დან მოყოლებული, ცდოველ მოხევეებსა და გველეთელ ქისტებს შორის კარგი მეზობლური ურთიერთობა სუფევდა.

ჭირსა თუ ლხინში – ერთმანეთის გვერდით იდგნენ.

გადმოცემის თანახმად: –

გველეთელ ქისტს, გვარად ბეზურტანოვს – ცხვარი ჰყავდა ცდოვლებთან ერთად.

1944 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლება მათ (ბეზურტანოვების, ანუ „ცოგოლეთ“) გადასახლებას შეუდგა, ერთ-ერთ მათგანს (რომლის შთამომავლობაც – დღეს, გროზნოში ცხოვრობს) – ცდოველი ალექსა წიკლაურისთვის უთქვამს: –

„მე ამ ცხვარს თან არავინ გამაყოლებს... შენთვის მიჩუქნია...“

„თუ ოდესმე დაბრუნება მეღირსა – ვიცი რომ ხელს გამიმართავ და ცხოვრებას სიპ ქვაზე არ დამაწყებინებო.“

1956 წელს, როცა ალექსა წიკლაურის ძმადნაფიცი ქისტი რეაბილიტაციით დაბრუნდა, გაირკვა რომ: –

ცდოვლს – ქისტის ცხვრის ნამატიც მისივე ნიშანით დაუდაღავს (როგორც მეცხ-

ვარეები იტყვიან, მისივე სერზე დაუსერავს – ანუ, თავიდანვე, მის საკუთრებად დაუდგენია)...

როცა მოხევე – 12 წლის ნამატით, ქისტის თავის ცხვარს უბრუნებდა, გაოცებულს უთქვამს: –

ნამატს, რა ნამუსით წავიყვანო... მაგრამ ცდოველს – თავისი გაუტანია.

ისიც ცნობილია რომ: –

გადასახლებიდან დაბრუნებულ ყველა ქისტს მოხევეებმა ცხელი კერა დაახვედრეს;

თავიანთი საკუთრება დაუბრუნეს და საარსებო საშუალებებიც უფეშქაშეს.

დევდორაკი

დევდორაკის მიდამო მოიცავს: –

მყინვარწვერის უდიდეს მყინვარს, იქიდან გამოსულ მდინარეს, მის თანამოსახელე ხეობას და – გველეთის ქვემოთ არსებულ, თერგის მიმდებარე ტერიტორიას.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აქედან გადადიოდა ძურძუკეთსა, ქისტეთსა და გუდამაყარში მიმავალი სახიფათო საუღელტეხილო ბილიკი.

ისტორიად ქცეული ფაქტები მოწმობენ რომ: –

ყინულის დნობის პერიოდში, მდინარე დევდორაკს (ყაბახს), რომელიც საშინელი სიჩქარით ჩამოედნება – ხშირად, უზარმაზარი ყინულოვანი (ნამზღვლევი) მასა ჩამოაქვს.

განსაკუთრებით საშიში ადგილია – გველეთის ხიდიდან 2 კმ-ის დაშორებით.

1776 წელს, ზვავმა – იქ, 3 დღით ჩახერგა თერგის დინება;

მდინარემ – მერე, ყინულის პლატინა გაარღვია და ყველაფერი წალეკა, მიწასთან გაასწორა.

ალ. პუშკინის ცნობით: –

დევდორაკთან „გზა მიდიოდა ზვავზე, რომელიც 1827 წელს, ივლისის დამლევს ჩამოწოლილა.“

„ასეთი შემთხვევა ჩვეულებრივი მოვლენაა, თურმე, ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ.“

„ზევიდან წამოსულ უზარმაზარ ზვავს მთელ შვიდ ვერსზე ამოუვსია ხეობა – დაუგუბებია თერგი...“

„ქვემოთ მდგომ გუშაგებს საშინელი გუგუნი სმენიათ...“

„დაუნახავთ, რომ მდინარე სწრაფად ილეოდა... 15 წუთის შემდეგ კი – მთლიანად დაწრეტილა...“

„თერგს – ორი საათის შემდეგ გაურღვევია საგუბარი...“

„საზარელი სანახავი ყოფილა ყოველივე ეს“ („არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს“).

ისტორიას შემორჩა 1832 წლის 13 აგვისტოს საშინელი ტრაგედიაც.

დევდორაკის ხეობიდან (დილის 4 საათზე) ჩამოიქცეული ყინულის, თოვლისა და ქვების უზარმაზარი მასა – ვერაფერმა ვერ შეაკავა და თერგის დინება – 2 ვერსტი სიგრძის და 300 ფუტი (80 მეტრის) სიმაღლეზე გადაკეტა.

მდინარე მთლიანად „დაიწრიტა.“

ვლადიკავკაზში – მისი ერთი ნაპირიდან მეორეზე ფეხით გადადიოდნენ...

აბობოქრებულმა თერგმა 8 საათის შემდეგ გაარღვია „კაშხალი“ და ყველაფერი წალეკა.

საშინელ ღვარცოფებს მოიხსენიებენ – 1842, 1855; 1953, 1967, 2008 წლებში, როცა სტიქიამ ასობით ადამიანის და პირუტყვის სიცოცხლე შეიწირა.

წარსულში მომხდარ ტრაგედიებს ხალხი უკავშირებდა „ხვთის რისხვას“.

ამბობდნენ რომ: –

მოხევეებმა „ღმერთსა სცოდეს;“

ყურად არ იღეს მისი მინიშნებები და სასტიკად დაისაჯნენ;

ცოდვების გამოსყიდვის მიზნით, დევდორაკის ხეობის შუაგულში (მდინარე ყაბახის პირას) – საყმომ მსხვერპლთშეწირვის ნიში ჩადგა – „დაბას“ სახელწოდებით;

ივნისის თვეში – იქ, მსხვერპლთშეწირვის რიტუალს აღავლენდნენ.

ამბობენ რომ: იმ პატარა – სადა, მარტივი ნიშის აგების შემდგომ (რომელთანაც უამრავი შეწირული პირუტყვის რქების გროვა იყო დახვავებული) – მოხევეებმა ღმერთის ნდობა დაიბრუნეს.

საუბედუროდ – დღემდე არა ვართ დაზღვეულნი დევდორაკიდან წამოსული ღვარცოფებისგან; იმის მიუხედავად რომ: მეტეოროლოგიური კატასტროფები შედარებით ნაკლები სიძლიერით და ინტენსივობით მიმდინარეობს.

აღნიშნულის მიზეზად, სპეციალისტები გლობალურ დათბობას და დევდორაკის მყინვარიდან გამოსასვლელის ბუნებრივ გაფართოებაას მიიჩნევენ (დიდი მორევის შეგუბება აღარ ხდება).

*

მდ. დევდორაკის მარცხენა ნაპირზე მდგარი კოშკი და კოშკური სახლი XVI ს-ით თარიღდება.

კოშკი – კვადრატულია (4X4 მ.); ზემოთ – თანდათან ვიწროვდება. ნაგებია ნატეხი ქვით.

ძლიერ დაზიანებულია; შემორჩენილი აქვს სამი სართული.

კოშკური სახლი სამსართულიანია;

მესამე სართულის კედლებში რამდენიმე სარკმელ-სათოფურია გაჭრილი (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წელი).

*

დევდორაკის ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ეკვრის – ქვიან-კლდიანი და ჯაგნარ-ბალახოვანი ადგილი – სახელად „ქუბაი.“

„ამავე ზოლში მდებარე მყინვარწვერის ერთ-ერთ კალთას, სადაც მყინვარის ორი წყალი (დევდორაკი და ჩათაი) იყრის თავს – „ვაკე ორწყალნი“ ეწოდება; მეორე კალთას – „მზორე ორწყალნი.“

„ამ მიდამოებს თავზე ორწყალთ წვერები დაჰყურებენ: – ჩათაი, მწყრობი, ხრეკი, ტყისთავი და საჯოგე“.

ქუბას ჩრდილოეთით მდებარე ადგილს, რომელიც თამარის ციხემდე (1 კმ-ზე) გრძელდება – მოხევეები „ძველ დარიალაის“ უწოდებენ.

მისი სახელწოდება „გაჩენილი უნდა იყოს, რუსთა გარნიზონის ჩადგომისა და მათ მიერ დარიალის ახალ სიმაგრეთა აშენების დროიდან.“

როცა ისტორიულ სიმაგრეთა მიმდებარედ – ახალიც აშენდა, მათი ერთმანეთისგან გარჩევის მიზნით, ხალხმა – „ისტორიულად არსებულ ნაგებობათა სისტემას“ (ანუ, მათი განლაგების ტერიტორიას) – „ძველ დარიალაი“ უწოდა (ვალ. ითონიშვილი).

დარიალის კარი

ისტორიული წყაროების თანახმად, მდინარე თერგის უძველესი სახელწოდება – არაგვია;

დარიალის შემოსასვლელის – „არაგვის კარი.“

„არის ზღვის კარი – დარუბანდი და არაგვის კარი, რომელ არს დარიალანი“ – გვამცნობს ლეონტი მროველი.

„დარი ალანი“ – „ოვსთა“ (ალანთა) კარს ნიშნავს.

მ. ჯანაშვილის ცნობით, „დარღ“ ოსური სიტყვაა და დარღ-ალანთ-კარი – ალანთა გრძელი კარის აღმნიშვნელი.

„დარი ალანი“, ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე იცავდა სამხრეთ კავკასიას – ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე მეომარი ტომების თავდასხმებისგან.

კასპიის ზღვასთან მდებარე დარუბანდთან ერთად იგი – ამიერკავკასიის კარიბჭედ ითვლებოდა კავკასიონის მთაგრეხილზე.

იქ მდგარა სიმაგრე კუმანია, რომელსაც – დღეს, დარიალის ციხესთან აიგივებენ.

ამბობენ – თითქოს, კედელი – იქ, ალექსანდრე მაკედონელმა ააგო.

ბორის და სიმონ ესაძეების ცნობით, აღნიშნულის თაობაზე, წინასწარმეტყველი მუჰამედი „ყურანში“ მიუთითებს (თავი XVIII, გვ. 82-98)...

მაკედონელი – ისტორიის თანახმად, კავკასიაში არ შემოჭრილა...

არაბი მწერლის, მასუდის, ცნობით: –

ციხე – იქ, „ისფანდირმა“ ააგო, „გასტაფსის“ შვილმა (სპარსული თქმულების მითიურმა პერსონაჟიმა) და მანვე, ალანების შემოჭრის აღსაკვეთად – ძლიერი გარნიზონიც ჩააყენა (ნავარაუდებია VI საუკუნე).

ერთი თქმულების მიხედვით: –

დარიალის ციცაბო კლდეზე მდგარ ციხეში – ოდესღაც, დედოფალი დარია ცხოვრობდა. მისი სახელი შემორჩაო ამ ხეობას.

აღნიშნული ლეგენდა, რომელიც დარიალის ციტადელს, ზღაპრული მეფე-ქალის – ავხორცი დარიას ციხე-დარბაზად წარმოგვიდგენს, მიამიტმა მთქმელებმა – მ. ლერმონტოვის „დემონის“ ზეგავლენით, შეცვალეს: –

დარია – თამარად აქციეს და დიდებული ქართველი მეფის სახელი შეურაცხყვეს.

„ზღაპარიაო!“ ამბობს აღნიშნული ლეგენდის შესახებ ალ. პუშკინი: –

„დარიალი ძველ სპარსულ ენაზე კარს ნიშნავს.“

„პლინიუსის მოწმობით, კავკასიონის კარი – შეცდომით კასპიის კარად წოდებული, აქ იყო.“

„ხეობა ჩაკეტილი ყოფილა რკინით მოჭედილი ხის კარით.“

„ხიდქვეშ, მდინარე დირიოდორისი გადისო, აღნიშნავს პლინიუსი“ („არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს“).

*

ქართველი მემატიანის ცნობით: –

დარიალის კარი და ციხე, რომელსაც „დარუბალა“ ეწოდებოდა, მირიან მეფემ აღმართა – ქრისტესშობამდე 162-112 წ.წ.

V ს-ის „დარი ალანში – ვახტანგ გორგასალმა მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობა წამოიწყო: –

აღადგინა ძველი სიმაგრე;

„დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაღნი.“

„შექმნა კარნი ოვსეთისანი.“

„აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი.“

ქართული წყაროების მოწმობით, იბერიის შემოსასვლელი – შემდგომში დავით აღმაშენებელმა გაამაგრა: –

დაჰკიდა რკინის კარი, რომელიც დერბენდის ხეობას „შეხსნა“ (XII საუკუნე).

როგორც ჩანს: –

დარიალის კარის კონტროლი – როგორც ქართული სამეფოს, ისე მისი დამპყრობი ქვეყნების (სპარსეთის, ბიზანტიის, არაბების, მონღოლთა და სხვ.) მუდმივი ფიქრის საგანს წარმოადგენდა;

განსაკუთრებით იყო ის გამაგრებული: –

თერგის მარჯვენა ნაპირზე, კლდეზე იდგა – დავითის ციხედ წოდებული კოშკი, საიდანაც საქართველოში შემოსასვლელ კარს უმზერდნენ მეციხოვნენი და სათანადო ნიშანს აძლევდნენ დარიალის ციხის გუშაგებს.

მისგან ერთი კილომეტრის დაშორებით – მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე იდგა – ბახტრის ციხე.

საქართველოს კარიბჭის მთავარი დამცველი იყო დარიალის ციტადელი (თამარის ციხე).

იქ გამაგრებული მოხევეები უხსოვარი დროიდან იცავდნენ სამშობლოს.

საქართველოს სამხედრო გზაზე საკუთარი ჯარის ჩაყენების მიზნით, რუსებმა, 1808 წელს – თერგის მარჯვენა ნაპირზე, თავიანთი ციხე-სიმაგრე ააგეს.

ნაგებობა ევროპული ტიპისაა (56X24 მ.); ნაგებია ნატეხი ქვით, ზოგან გამოყენებულია აგური. კუთხეებში ჩართულია აბრისს გარეთ გასული წრიული კოშკები. კარიბჭეს – ოდნავ შეისრული თაღი აქვს, გალავანზე მაღალია და შესასვლელს საზეიმო იერს აძლევს.

ამჟამად, ძლიერ დაზიანებულია.

4 კოშკიდან შემორჩენილია მხოლოდ ორი (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წელი)..

დარიალის (თამარის) ციხე

გველეთიდან 1,5 კმ-ზე მდებარეობს – წყალგაღმა, ციცაბო კლდის წვერზე.

მრავალგზის შეკეთებული და განახლებულია.

ამჟამად – უკიდურესად დაზიანებული.

ნანგრევებში მოჩანს როგორც ანტიკური, ისე ადრინდელი და გვიანდელი შუა საუკუნეების ნაშთები.

არსებობს ლეგენდა, რომელიც ქართველი მეფეების (მირიანის, ვახტანგის, დავითის) ხელქმნილ ციტადელს, იმ ზღაპრული მეფე-ქალის – ავხორცი დარიას, ციხე-დარბაზად წარმოგვიდგენს, რომელიც (ლუკრეცია ბორჯიას თუ კლეოპატრას მსგავსად) – სიცოცხლის ფასად „ჩუქნიდა“ თავის სარეცელს – რჩეულ ვაჟკაცებს.

მშფოთვარე ღამის შემდგომ, მათი გვამები თერგს მიჰქონდა იმ ხეობიდან – რომელმაც, იმავე ლეგენდის თანახმად, დარიასგან მიიღო სახელწოდება.

მერე – „ამ ციხეზე ითაღლითა ლერმონტოვმა;“

„ლუკრეცია ბორჯიაზე მოჭრილი ლეგენდა დარიალში გადმოიტანა.“

„ცარიცას“ მაგიერ „ცარევნა“ მაინც დაეწერა: – ტყუილსაც აღარ იტყოდა, აღარც თამარს შებილწავდა და თავის შხამსაც დამალავდა“ (მ. ჯავახიშვილი, „გივი შადური,“ 1929 წ. გვ. 112).

რუსეთუმეები „ნამუსს წმენდენ“ დიდ რუს მწერალს: –

თამარ ცბიერზეა-ო საუბარი.

არ არის მართალი!

მ. ლერმონტოვმა დარია – თამარ მეფით შეცვალა.

„დემონის“ ავტორი ცალსახად მიუთითებს მეფე თამარზე.

*

თამარის ციხე – მაღალ, თავწაკვეთილ, კონუსისებრ კლდეზეა აგებული, რომელიც, თითქმის, 60 მეტრითაა აცილებული გაცოფებულ თერგს.

ზღუდედ – მაღალი კოშკებით გამაგრებული, შვერილგოდოლიანი გალავანი ჰქონია შემოვლებული

მასში სათოფურები და შუკუნები იყო გამოჭრილი.

კლდოვანი მთის პლატო (დაახ. 100X80 მ.) – მთლიანად მოკავებული ყოფილა.

აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით – თერგი უვლის;

დასავლეთიდან – კლდის მაღალი კედელი აკრავს.

ერთადერთი და მეტად ძნელად მისასვლელი – ჩრდილოეთის მხრიდან აქვს.

იქიდან – აზვირთებულ თერგზე გადასვლაა საჭირო;

მერე – სამი საყარაულო კოშკით გამაგრებული გალავნის გადალახვა – რომელის შიგნით, კიდევ ერთი გალავანია.

ციხის სამხრეთის კედელში – თაღიანი გასასვლელი ყოფილა, საიდანაც გზა ჩადიოდა თერგთან.

უფრო ადრე – იქ, გვირაბი ყოფილა, რომლის გავლითაც, წყალი ამოჰქონდათ.

ციხის კედლის სისქე ზოგან 2 მეტრამდე აღწევს.

თავისი არქიტექტურული ფორმით, ნაგებობის ნაშთები უდავოდ ძველია და ბერძნულ-რომაული ეპოქის უნდა იყოს.

1988-89 წლებში – არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 5 მ-ის სიღრმემდე შეისწავლა დარიალის ციხის დასავლეთი ფერდობის ძირი;

ცენტრალურ ნაწილში – დადასტურდა განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების კერამიკული მასალა;

ჩრდილოეთის კარიბჭესთან – იზოდომური წყობით ნაგები კედლის ქვეშ აღმოჩნდა – მშრალი წყობით ნაგები (6 მ. სისქის) კედელი, რომელიც ძვ.წ. II ს-ით თარიღდება.

კედლის პერანგად გამოყენენულია ქვიშაქვის დაუმუშავებელი ლოდები.

პერანგებს შორის სივრცე პატარა ქვებით არის ამოვსებული.

ციხის სამხრეთ-დასავლეთი ზღუდის გარეთ, ფერდობის ძირში გამოვლენილი სათავსი – X-XI სს თარიღდება.

სათავსში აღმოჩნდა: –

სამეურნეო ხარო, რომელიც ქვებით იყო ამოშენებული და შიგნით შელესილი;

საქარიანი თონე და ფიქლის ფილებით შედგენილი კვადრატული კერა;

იატაკის დონეზე – მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა.

*

ციტადელის დასავლეთით – მაღალი მთის მწვერვალზე, საყარაულო კოშკია – საიდანაც მთელი დარიალის კარი მოჩანს.

ბორის და სიმონ ესაძეების ცნობით: –

დარიალის ციხეში შეღწევა, მხოლოდ მეციხოვნეთა თანხმობით იყო შესაძლებელი.

იქ გამაგრებულ ერთ ადამიანს – მრავალი თავდამსხმელის მოგერიება შეეძლო.

„ცაში გამოკიდებული ციხე-სიმაგრე“ აკონტროლებდა ხიდსაც, გზასაც და მდინარესაც („საქართველოს სამხედრო გზა,“ 1864 წ.).

ბახტრის ციხე

მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდგარა, დავითის ციხის მოპირდაპირედ – მისგან ერთი კილომეტრის დაშორებით.

მისი ნაშთები სალოცავად არის ქცეული – ბახტრის წმინდა გივარგის სახელწოდებით.

ბახტრი დარიალის ხეობის ქვედა ნაწილს ერქვა;

მოხევეები მას დარიალის ხიდიდან მდინარე სავარისწყლამდე მოიაზრებდნენ.

„სავარი“ – მოხეურ დიალექტზე საზღვარს ნიშნავს.

საქართველო-ოსეთის საზღვარი – ადრე, სოფ. ჩიმის ახლოს გადიოდა.

აქედან მოდის აღნიშნული მდინარის სახელწოდება.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: –

დარიელა არს არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა...

მეფის მირვანის მიერ შეიბა იქ კარი: –

„ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოთ ვერღარა ვიდოდნენ...“

მის ქვეით არს ნასასახლევი მეფეთა;

„ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 67-68).

„ადგილი დარიალას ქვემოთ,“ რომელიც, ვახუშტის მიხედვით, ოსეთში მოლაშქრე ქართველ მეფეთა „ნასასახლევს“ წარმოადგენდა – ვალ. ითონიშვილის ცნობით, „ის ტერიტორია იყო, რომელსაც მოხევეები ბახტარს უწოდებენ“ (ხევის ტოპონიმიკა, 1971 წ.).

საქართველო-ოსეთის საზღვარზე, დაახლოებით ათი კმ-ის მანძილზე გაჭიმული, ბახტრის ზემოაღნიშნული ტერიტორია – ნეიტრალურ ზონას წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობა არ ცხოვრობდა.

იქ მდგარა ქართული ჯარი.

სახელმწიფო საზღვარს მთიელი მეციხოვნეები (ძირითადად, მოხევეები) იცავდნენ.

საზღვარი სავარისწყალთან გადიოდა და ლარსის ციხის აქეთ – საქართველოს სამეფო დროშა ფრიალებდა.

იმ ადგილს, სადაც საქართველოს დროშა (ბაირაღი, ბაირახი) იყო აღმართული, გადმოცემის თანახმად – ძველად, ბაირაღტარი, ანუ ბაირახტარი ერქვა... მოხევე მთხრობელები ირწმუნებიან რომ – მისი შეკვეცილი ფორმაა ბახტარი.

იმასაც ამბობენ რომ: – ბახტრის წმინდა გივარგი ლაშქრის მფარველი ღვთაებაა.

„ხალხმა იქ მიუჩინა ადგილი... სადაც მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები ტარდებოდა“ (ვალ. ითონიშვილი).

*

ისტორიული ბახტრის ტერიტორიას, ამჟამად – დარიალის წმინდა მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სამონასტრო კომპლექსი ამშვენებს. მისი მშენებლობა – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების შემდგომ დაიწყო.

მთელი საქართველო გამოეხმაურა ამ საშვილიშვილო საქმის აღსრულებას.

განსაკუთრებულია ბიზნესმენ, ლევან ვასაძის ღვაწლი.

ქვეყნის კარიბჭესთან განთავსებულ ამ ულამაზეს არქიტექტურულ ქმნილებას – უდიდესი პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ლარსი

სტეფანწმინდიდან მეთხუთმეტრე კილომეტრზე – საქართველოს სამხედრო გზა, დარიალის ხეობის ყველაზე ვიწრო მონაკვეთში (ლარსის ყოფილ სადგურთან) – თერგის მარცხენა ნაპირზე გადადიოდა საბაგირო გადასასვლელით, რომელსაც „ეშმაკის ხიდს“ ეძახდნენ.

თერგი – განსაკუთრებით ავია იმ ადგილას; ღრიალით ასკდება ლოდებს.

გვერდში მდგომ ადამიანს ყურთან ყვირილით თუ გააგონებ სათქმელს.

„ორივე მხარეს – კლდეები პარალელურ კედლებად არის აყუდებული.“

„ისეთი სივიწროეა – არა მარტო ხედავ, გრძნობ კიდეც მას... “

„ცის ნაგლეჯი ძლივს მოჩანს – ლურჯ ზოლად.“

„მთებიდან – წვრილ, გაფანტულ შხეფებად გადმოშვებული ნაკადები მაგონებდ-

ნენ „განიმედეს გატაცებას“ – რემბრანდტის საოცარ სურათს...“

„ხეობაც რემბრანდტის გემოვნებითაა განათებული.“

„საგუშაგოს მახლობლად თერგზე გადადებული ხიდი ისე ზანზარებს... დგეხარ მასზე და თავი წისქვილში გგონია...“

„შემზარავია ეს დახშული სივრცე... დარიალის ხეობა – ავისმომასწავებლად ჩაშავებული“ (ა. პუშკინი, „არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს“).

*

საქართველოში სამოგზაუროდ მყოფი რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრის, ალექსანდრ ნიკოლაევიჩის გადაწყვეტილებით, 1850 წელს – თერგზე, საბაგირო გადასასვლელის ნაცვლად, ქვის ხიდი აშენდა – რომელიც მცირე ხნით ატარებდა მის სახელს.

მოგვიანებით – ისევ „ეშმაკის ხიდად“ მოიხსენებდნენ.

რკინის ხიდი აშენდა 1879 წელს.

*

„თბილისიდამ პეტერბურღს“ მიმავალი გრ. ორბელიანის ცნობით: –

ლარსის „ადგილი არს საზარელი სამყოფი.“

„ოთხთა საშინელთა მაღალთა კლდეთა შუა არს აღშენებული პოსტი ესე, სადაცა კაცი ვერარასა დაინახავს ას ნაბიჯზედ, თუ არა გამხმართა კლდეთა და მაღლა ცის მეტსა...“

„თერგი ღრიალითა თავისითა უმატებს საზარელებასა.“

„უბნობენ, ვითომც ორნი აფიცერნი გაგიჟებულიყვნენ აქა ცხოვრებითა და არცა საკვირველ არს...“

„გამოვლიეთ 18 ვერსი და გამოვედით მთებიდგან, ვითარცა საპყრობილეთგან და ვიწყე თავისუფლებით სუნთქვა. მართლად თერთმეტი დღე ვერარასა ვხედავდი, თვინიერ საშინელთა მთათა და ღრმათა უფსკრულთა.“

„საკვირველ არს, თუ ვითარ გადმოვიდა ამა მთათა რუსის ჯარი... არავითარსამე ძლიერსა ჯარსა ვერა ძალუძს გადმოსვლად ამა მთათა ზედა, უკეთუ წინააღუდგების მას გინა ფრიად მცირედი ჯარი.“

„მოსასვლელი არსაით არს. გზა არს ფრიადი ვიწრო, რომელიცა ადვილად სრულებით აღიხოცების.“

*

„ეშმაკის ხიდიდან“ 2 კმ-ის დაცილებით, თერგის მარცხენა მხარეს – ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი ლოდი (29 მ. X 16,5 მ. X 14,5 მ.), ე.წ. „ერმოლოვის ქვა,“ რომელიც – იქ, 1832 წელს ჩამოუტანია დევდორაკის მყინვარიდან წამოსულ ღვარცოფს.

*

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

საქართველოს სამხედრო გზაზე – ლარსი, სამ სოფლად არის დასახლებული.

ზემო და ქვემო დასახლება – II მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა.

შუა, ანუ, ცენტრალური ლარსი – ძველი დსახლებაა.

სამივე სამოსახლო ჩრდილო ოსეთის ფარგლებშია.

ძირითადად ცხოვრობენ ყაზბეგის რაიონიდან ჩასახლებული მოხევეები.

მათი ლარსში დასახლება 1918 წლიდან დაიწყო, როცა იქ მცხოვრები ოსები – ბარში გადასახლდნენ.

ხევის დემოგრაფია

„ეს სოფლები:
ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა
ეს პარტახი საიგავო,
მეშინია,
ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ
მოვიდეს და დაიკავოს...“ (მ. ლებანიძე).

1774 წელს აღწერით – ხევში, 18 სოფელია მოხსენიებული: –

1. ცდო 2. გერგეტი 3. სტეფან წმინდა 4. თარგმანი, 5. სნო, 6. კარკუჩა 7. ახალ-ციხე 8. ფანშეთი 9. არშის ციხე 10. გორის ციხე 11. თხელშა (ფხელშე) 12. ქურთა (ხურთისი) 13. ყანობი 14. გაიბოტენი 15. გარბანი 16. სიონი 17. ტყარშეთი 18. მნა.

დაფიქსირდა: – 289 კომლი და 554 მოლაშქრე;

თითოეულ სოფელში – საშუალოდ, 16 კომლი და 32 „თავი“ (ანუ, ცოლშვილიანი მამაკაცი);

კომლში საშუალოდ 7 სული.

სულ 2023 მცხოვრები; მათ შორის 12 ბოგანო (უმიწაწყლო გლეხი), ერთი ხიზანი და 5 კულტის მსახური (მღვდელი).

1781 წელს 17 სოფელი აღრიცხეს.

მოხსენიებული აღარ არის მნა.

*

XIX საუკუნეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და პოლი-ტიკურ ისტორიაში, სპეციალისტები გამოიყოფენ სამ პერიოდს.

თითოეული მათგანი ქრონოლოგიურად მოიცავს XIX საუკუნის ერთ მესამედს, ანუ 1801-1832; 1832-1864 და 1864-1897 წლებს.

პირველი ოცდაათწლეული (1801-1832 წ.წ.) საქართველოში რუსული მმართვე-ლობის დამყარების ხანაა.

მოსახლეობის მძიმე ფეოდალურ ჩაგვრას, აღნიშნულ პერიოდში – დაემატა რუსი მოხელეების აგრესიული განუკითხაობა.

დემოგრაფიულ პროცესებზე დიდი გავლენა იქონია რუსეთის ომებმა ირანთან და თურქეთთან.

სურსათის ნაკლებობას და რუსის ჯარის განუწყვეტელ – ძარცვა-გლეჯით სავსე გადაადგილებას, მთიელთა აჯანყებები და დამპყრობთა მიერ მათი სისხლში ჩახშობა მოჰყვა.

*

1831 წლის აღწერით – ხევში, 21 სოფელი დაფიქსირდა (არშა, ართხმო, ახალციხე, აჩხოტი, გაიბოტენი, გველეთი, გერგეტი, გარბანი, გორისციხე, თოთი, კარკუჩა, მიგუდა, ფხელშე, სიონი, სნო, სტეფანწმინდა, ტყარშეტი, ყანობი, ცდო, ხურთისი, ჯუთა).

მოხევეების კომლთა რაოდენობა – 385-ს შეადგენდა (2457 სულს); გველეთში ცხოვრობდა ქისტების 21 კომლი (85 სული); თოთში 12 კომლი ოსი (77 სული); ჯუთასა და ართხმოში ერთად 25 კომლი ხევსური სახლობდა (71 სული).

ყველა ეთნიკური ჯგუფის მცხოვრებთა გათვალისწინებით – ხევში აღირიცხა 443 კომლი (2690 სული).

წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, ზემოაღნიშნული პრობლემების მიუხედავად – ხევის დემოგრაფიული მაჩვენებლები – აღნიშნულ პერიოდში, XVIII საუკუნესთან შედარებით – უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაუმჯობესდა.

*

1832 წლიდან იწყება ხევის დემოგრაფიული ისტორიის II პერიოდი, რომელიც ბატონყმობის გადავარდნამდე, ანუ, 1864 წლამდე გძელდება.

აღნიშნულ ინტერვალში, იმავე რუსეთის წყალობით – საქართველოში მშვიდობა დამყარდა – რომელიც, მხოლოდ პერიოდულად ირღვეოდა – ჩრდილოკავკასიელ მთიელთა თავდასხმებით.

1860 წლის კამერალური აღწერის თანახმად, ხევის მოსახლეობამ (1831 წელთან შედარებით) – თითქმის, 65%-ით მოიმატა.

დაფიქსირდა 22 სოფელი (დაემატა მიგუდა);

აღირიცხა მოხევეების 531 კომლი (3725 სული);

გველეთში მცხოვრები ქისტების კომლთა რაოდენობა 40-მდე გაიზარდა და 255 სულს მიაღწია;

ოსების რაოდენობა 2 კომლით შემცირადა (12-ის ნაცვლად 10 გახდა);

ხევსურთა რაოდენობა 35 კომლამდე (172 სულამდე) გაიზარდა.

ყველა ეთნიკური ჯგუფის მცხოვრებთა გათვალისწინებით, 1860 წელს – ხევში 606 კომლი დაფიქსირდა (4152 მცხოვრები).

*

დემოგრაფიული ისტორიის III ოცდაათწლეულში, რომელიც 1864 წლიდან იწყება და საუკუნის ბოლომდე გრძელდება – რუსებმა სრულ მორჩილებაში მოიყვანეს ჩრდილოკავკასიელი მთიელები; საქართველოზე თავდასხმები შეწყდა; დამყარდა მეტი მშვიდობა.

აღნიშნულმა თავისი ასახვა ჰპოვა მთელი ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებლებში.

1886 წელს (1831 წელთან შედარებით) ხევის მოსახლეობა – თითქმის, გაორმაგდა. მოხევეების კომლთა რაოდენობამ 681-ს (4898 სულს) მიაღწია; ხევსურებისამ – 45 კომლს (222 სულს); არაქართველი დაფიქსირდა 57 კომლი (345 სული).

ხევის მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა – 783 კომლს (5465 მცხოვრებს).

როგორც რ. თოფჩიშვილი გვამცნობს: –

მოსახლეობის აღწერილი რაოდენობა, იმ დროისათვის, ხევში რეალურად არ ცხ-

ოვრობდა – რადგან მას, 1860 წლის რაოდენობაზე (4152 სულზე) მეტი მცხოვრების ადგილზე გამოკვება – არ შეეძლო.

ამას მოყვა ინტენსიური მიგრაციული პროცესები, რომელიც არც ხევის და არც მთლიანად საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას არ ემსახურებოდა...

„ხევის მოსახლეობა თერგის დინებას მისდევდა და ჩრდილო კავკასიაში, ძირითადად ოსეთში მკვიდრდებოდა."

„100-მდე ოჯახი (690 სული) მოხევეებისა, 1886 წელს – ხევში იყო ჩაწერილი, მაგრამ – რეალურად, უკვე – ვლადიკავკზსა და მის შემოგარენში ცხოვრობდა."

ხევში მოხევეების რაოდენობა, ფაქტობრივად – 585 კომლს (4208 სულს) არ აღემატებოდა.

*

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, ხევში – აშკარად ჩანს მოსახლეობის ზრდის (მატების) ტენდენცია: –

1831 წელს: – სოფელი, საშუალოდ 22 კომლს ითვლიდა; 1860 წელს – 28-ს; 1886 წლისათვის – 37-ს.

1831 წელს: – ოჯახში, საშუალოდ 6,38 სული იყო; 1860 წელს – 7; 1886 წელს – 7,19.

*

ოჯახის წევრთა რაოდენობის აშკარა კლება – ხევში, 1926 წელიდან დაიწყო.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

მოხეური ოჯახის საშუალო სიდიდე 4,8 სულამდე შემცირდა – მაგრამ შენარჩუნებული იქნა მოსახლეობის – თითქმის იგივე საერთო რაოდენობა (1886 წელს – 783 კომლიდან, 5465 სული; 1926 წელს – 1160 კომლიდან 5598 სული).

*

1926 წელს, ყაზბეგის რაიონში – 25 დასახლებული პუნქტი აღირიცხა.

გლეხური ტიპის მეკომურთა რაოდენობა იყო – 1073; სხვა მეკომურები – 65; სულ – 1138 კომლი (5598 მცხოვრები: მამაკაცი – 2535; ქალი – 3059).

1939 წლის აღწერით, ხევში სახლობდა 10183 სული (ქართველი – 6098, ოსი – 3529, რუსი – 397).

როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდშიც – ხევის მოსახლეობას სერიოზული მატების ტენდენცია ჰქონდა შენარჩუნებული.

*

1989 წელს – ყაზბეგის რაიონში 6,4 ათასი ადამიანი სახლობდა: ქალაქის (დაბა ყაზბეგის) მოსახლეობა იყო – 1,9 ათასი; სოფლის მოსახლეობა – 4,5 ათასი.

1886-1998 წლების ხევის მოსახლეობის დინამიკა ასე გამოიყურება:

წელი	1886	1926	1939	1959	1970	1979	1989	1998
მოსახლეობა	88.7	88.7	110.2	88.2	77.1	66.7	66,4	66.2

1960-1997 წლებში ხევის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა ყოველ 1000 კაცზე ბ. გოიაშვილის მიხედვით:

წელი	შობადობა %	სიკვდილიანობა %	ბუნებრივი მატება %
1960	18.0	7.7	10.3
1970	13.4	9.1	4.3
1980	11.1	9.2	1.9
1990	8.6	8.7	0.2
1997	7.4	8.0	0.6

XX საუკუნის ბოლოს, ხევში – უკვე აშკარად იჩინა თავი მოსახლეობის მასიურმა გადინებამ, ბუნებრივი ნამატის შემცირებამ და ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრითი წონის ზრდამ.

ყოველივე ამან თავისი გამოხატულება პოვა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკაში: –

შობადობა – 1960 წლის მაჩვენებლიდან (18%), 1997 წელს – 7,4%-მდე დაეცა.

შობადობა-სიკვდილობის თანაფარდობაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და ამავე (1997) წელს – ხევში მოსახლეობის ბუნებრივი კლება, ანუ დეპოპულაცია (– 0,6%) დაფიქსირდა.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესების მახასიათებელია ქორწინების მაჩვენებლის დაქვეითებაც.

მისი კოეფიციენტი 1979-1996 წლებში, 7,4-დან – 6,3-მდე შემცირდა.

რეგიონში ჩამოყალიბდა რეგრესული მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ტიპი. რამდენიმე სოფელი სრულიად გაუკაცურდა. გამოჩნდა დაქცეული ნასახლარები; სახლის ლიბოზე გალაღებული ჭინჭარი – ნახევრად ჩავარდნილი ჭერი და თავხე.

ნასოფლარად იქცა მიგუდა; 1989 წელს არცერთი მცხოვრები არ აღრიცხულა ართხმოში...

თბილისში გადმოსახლდა ყაზბეგის რაიონის მცხოვრებთა 81%; დაბა ყაზბეგში – 4,6%; ქვეყნის ფარგლებს გარეთ დასახლდა 19,0%.

შრომის ასაკამდელი მოსახლეობის ხვედრითი წილი – 32,2%-დან, 24,5%-მდე შემცირდა.

11,2-დან, 16,3%-მდე გაიზარდა შრომის ასაკს გადაცილებულთა რიცხვი.

ნიშანდობლივი გახდა მოსახლეობის დაბერება.

საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი, 1989 წელს შეადგენდა 16,3%-ს – რაც აღემატება არა მხოლოდ მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების საყოველთაოდ მიღებულ სასტარტო მაჩვენებელს – არამედ საქართველოს საშუალო მაჩვენ-

ებელსაც, რომელიც, 1995 წელს – 12,1% შეადგენდა.

2002 წელს – ხევში, 5,3 ათ. მცხოვრები აღირიცხა: –

ქალაქის (დაბა ყაზბეგის) მოსახლეობა – 1,8 ათასი; სოფლის მოსახლეობა – 3,5 ათასი („საქართველოს მოსახლეობა," თბილისი, 2003 წ.).

ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე – ხევის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის უარყოფითმა მაჩვენებლებმა – შემდგომში, კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღეს.

აღნიშნულის დასტურად წარმოგიდგენთ პროფ. ანზ. თოთაძის მიერ მოწოდებულ მაჩვენებლებს:

შობადობის კოეფიციენტები (პრომილეებში)

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	5,7	6,2	6.0	6.1	10.6	13.5	13.9	16.1
დაბა ყაზბეგი	8.8	8.9	10.0	10.0	21.1	7.2.	25.0	30.0

გარდაცვალების კოეფიციენტები (პრომილეებში)

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	4.3	8.3	12.8	16.7	18.0	19.4	17.1	16.5
დაბა ყაზბეგი	10.0	16.1	23.3	24.4	32.3	28.9	27.8	27.2

ბუნებრივი მატების კოეფიციენტები (პრომილეებში)

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	1.5	-2.1	-6.8	10.6	-7.3	-5.9	-3.3	-0.4
დაბა ყაზბეგი	-1.2	-7.2	13.3	14.4	-11.1	-11.7	-2.8	2.8

1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების კოეფიციენტები (პრომილეებში)

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	0.0	0.0	0.0	0.0	19.2	0.0	0.0	0.0
დაბა ყაზბეგი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ქორწინებათა რიცხოვნობა

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	2.2	3.0	3.0	3.9	1.2	6.1	5.1	5.5
დაბა ყაზბეგი	7.1	8.9	7.2	10.6	1.1	16.7	13.9	15.0

განქორწინების რიცხოვნობა

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	0.0	0.0	0.0	0.2	0.4	0.0	0.8	0.0
დაბა ყაზბეგი	0.0	0.0	0.0	0.6	1.1	0.0	2.2	0.0

მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	5.4	5.3	5.3	5.1	4.9	4.9	4.9	4.9
დაბა ყაზბეგი	1.7	1.8	1.8	1.8	1.8	1.8	1.8	1.8

დაბადებულთა რიცხოვნობა

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	31	33	32	31	52	66	68	79
დაბა ყაზბეგი	15	16	18	18	38	31	45	54

გარდაცლილთა რიცხოვნობა

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	23	44	68	85	88	95	84	81
დაბა ყაზბეგი	17	29	42	44	58	52	50	49

ბუნებრივი მატება

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	8	-11	-36	-54	-36	-29	-16	-2

დაბა ყაზბეგი	-2	-13	-24	-26	-20	-21	-5	5

1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	0	0	0	0	1	0	0	0
დაბა ყაზბეგი	0	0	0	0	0	0	0	0

მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ყაზბეგის რაიონი	5.5	5.2	5.3	5.3	4.9	4.9	4.9	4.9
დაბა ყაზბეგი	1.7	1.7	1.8	1.8	1.8	1.8	1.8	1.8

* * *

1984 წლის აღწერით, საქართველოში 5 მილიონ 200 ათასი ადამიანი სახლობდა; 2007 წლის მონაცემებით 4 მილიონი.

საგანგაშოა რომ – სულ რაღაც 23 წლის განმავლობაში, ქვეყნის მოსახლეობა მილიონ 200 ათასით შემცირდა.

შემზარავია XXI საუკუნის პოგნოზებიც.

მოსახლეობის რაოდენობის კლება თუ ასე გაგრძელდა, მალე ქართველი ერი უმ-ცირესობაში აღმოჩნდება თავის მიწა-წყალზე.

ბუნების კანონი მკაცრია: –

რასაც ზრდის ნიშანი არა აქვს, იღუპება!

გახსოვთ – გოდერძი ჩოხელის ფილმი: –

მიტოვებული და უკაცრიელი სოფლის ფონზე ჩამოშვებული ბაწრის მარყუჟი?!

დღეს რამდენი სოფელია კისერზე მარყუჟჩამოცმული?!

*

ხევი კატასტროფულად ცარიელდება.

მოხევეს იქ გული აღარ უჩერდება.

მიზეზიც ბევრი აქვს: –

მკაცრი ბუნებრივი პირობები;

მიწათმოქმედებისა და მშენებლობისთვის საჭირო ფართობის სიმცირე – რაც მო-სახლეობის სამეურნეო საქმიანობას ზღუდავს (რაიონის სახნავ-სათესი მიწის ფართი 865 ჰექტარია, სათიბი – 2856; საძოვარი – 41969).

მრეწველობის, სოციალური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა – უგზოობა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ქალაქებისკენ ლტოლვა.

ადრე ცხვარი იყო მათი მარჩენალი და სათიბ-საძოვრების პრობლემა ჰქონდათ.

რუსეთთან ურთიერთობის მოსპობამ – ზამთრის საძოვრები დაგვაკარგინა და ხალხმა ცხვარი იძულებით გაწყვიტა;

თავის რჩენა სათბურებით სცადეს და გაზი გადაუკეტეს.

როგორ იცხოვროს, რითი ირჩინოს თავი მოხევემ!?

ეს მწარე – ცხოვრებისეული კითხვა, განსაკუთრებულ ყურადღებას, მოსახლეობის ადგილზე დამაგრების მცდელობას და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითხოვს – რათა მოხევემ საბოლოოდ არ აშალოს თავისი კერა;

რათა საბოლოოდ არ გაპარტახდეს ეს კუთხე.

ბუნება სიცარიელეს ვერ ითმენს;

ვაკუუმი უნდა ამოივსოს!

ჰოდა, ამაზე უკეთეს ამოსავსებ ადგილს – როგორიც საქართველოა, სად იპოვის – სომეხი, აზერბაიჯანელი თუ ოსი?!

ჩვენი მიწა-წყლის ნაწილი უკვე მიტაცებული აქვთ ისტორიულ მეზობლებს: –

თურქეთს – ტაო-კლარჯეთი,

რუსეთს – სოჭის ოლქი, აფხაზეთი და სამაჩაბლო,

აზერბაიჯანს – საინგილო,

სომხეთს – ლორეს ოლქი.....

ამას არ ჯერდებიან... ცდილობენ, კვლავაც ჩამოგგვლიჯონ და მიისაკუთრონ: –

სომხეთმა ჯავახეთი,

აზერბაიჯანმა საბარათიანო...

რუსეთმა... მთლიანად საქართველო.

„უმადური ხიზანი – ქართველი ერის მესაფლავე ხდება“ (კ. ბუაჩიძე; „შავი წიგნი“).

*

1801 წელს, როცა ქართველი ხალხი ცხარე ცრემლებით დასტიროდა თავისი ქვეყნის ტრაგედიას, ჩვენდამი მტრულად განწყობილი სომხობა ზეიმობდა.

პავლე I-ის მანიფესტით გამოწვეული სიხარულის ნიშნად, ეჩმიაძინიდან საგანგებოდ ჩამოსულმა სრულიად სომხეთის კათოლიკოსმა, იოსებ არღუთინსკიმ – ვანქის საკრებულოში პარაკლისი გადაიხადა – „შეუდარებელის ზეიმით.“

მათი სიხარული განპირობებული იყო რუსეთის იარაღით – ივერიის ნანგრევებზე დიდი სომხეთის სახელმწიფოს შექმნის ბოროტი იდეალით.

დღესაც – მავანი კვლავ ცდილობს ამ პროექტის რეანიმაციას.

ჩვენ კი – საზარელ მიჯნამდე მივედით: –

ქართველებში – სიკვდილობა სჭარბობს შობადობას;

ქართველები თავიანთ მიწა-წყალს ტოვებენ.

დროა დავინახოთ რომ: –

ბევრი მტერია მოდარაჯებული ჩვენს ნასახლარზე დასასახლებლად – ჩვენს მიერვე ჩაქრობილი კერა ხელახლა რომ მოანთონ – ცამდე კოცონი გააჩაღონ... იმღერონ და იცეკვონ: –

ზოგმა „წიწერნაქი,“

ზოგმა „ჯუჯალარი,“

ზოგმაც – „სიმდი“ (კ. ბუაჩიძე).

წყაროები:

1. კ. ანთაძე, „საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში," თბილისი, 1973.
2. ა. არაბული „მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა..." კლდეკარი, 1993, №2.
3. შ. არაბული, ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა, თბილისი, 2006.
4. შ. არაბული, „ნარჩევი ხევსურები" თბილისი, 1999.
5. ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები.
6. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ ართლის ცხოვრება," თბ. 1973.
7. ლ. ბალიაური, ძმის მკვლელი.
8. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II ხევსურეთი, თბ. 1974.
9. დიმიტრი ბენაშვილი, „ვაჟა – ფშაველა," თბ. 1989.
10. გ. ბედოშვილი, კორესპონდენცია ხევიდან, „მწყემსი," 1898.
11. ნ. ბერძენიშვილი, „ხევის ისტორიული ფოლკლორიდან," მრავალთავი, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული, I, 1964; ღუდუშაურების ამბავი.
12. ნ. ბუჩუკური, ქრისტესთვის წამებულნი, თბ. 2009.
13. გაბური, ძველი აღთქმა და ხევსურთა წეს-რწმუნებანი, თბ. 2009.
14. ჯ. გვასალია, „საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის," „მაცნე," №2, 1972 წ.
15. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955.
16. გიულდენშტედტი, „მოგზაურობა საქართველოში", ტ. I; ტ. II; თბილისი, 1962.
17. დავით გოგოჭური, „ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები," თბ. 1977.
18. გიორგი გოგოჭური, „სათავეები," თბილისი, 2005.
19. ბ. გოიაშვილი, სოციალურ-დემოგრაფიული ვითარება ხევში, ჟ. ეკონომიკა, 1999, №8-9.
20. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ. 1957.
21. მ. დუმბაძე, მთავარსარდალი ციციანოვი საქართველოში, საქატთველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5.
22. ბორის და სიმონ ესაძეები, საქართველოს სამხედრო გზა, 1864.
23. გ. ზაგაშვილი, ვისი გორისა ხარ, სტეფანწმინდა, 2007.
24. პ. ზაქარაია, არაგვის ხეობა.
25. პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბილისი, 1973.
26. პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, 1988. თბილისი.
27. ზეპირსიტყვიერი მასალა შეკრებილი ხევში (ყაზბეგის რაიონი) 1964 წლის ივლის-აგვისტოს თვეში იური ალექსის ძე ჯაფარიძის მიერ, დაცული თსუ არქივში.
28. ე. თაყაიშვილი, „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა XVIII საუკუნეში," ტფილისი, 1907.
29. ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ. 1991.
30. რ. თოფჩიშვილი „მოხეური გვარსახელები," თბილისი, 1998.
31. რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები.

32. რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარები.
33. ვალ. ითონიშვილი „ხევის ტოპონიმიკა“ თბ. 1971.
34. ვალ. ითონიშვილი, „ხევი ძველად და ახლა“, 1967.
35. ვალ. ითონიშვილი, ძიებანი საქართველოს ეთნოგრაფიაში.
36. ვალ. ითონიშვილი, ისტორიულ ეთნოგრაფიული შტუდიები.
37. ვალ. ითონიშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყუდი“ ხევში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1957წ. №9.
38. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1960.
39. ვ. ითონიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, თბ. 2006.
40. ვ. ითონიშვილი, მეგობრობის გზა, თბ. 1983.
41. ვალ ითონიშვილი, მოხევეების ყოფა-ცხოვრება, 2015.
42. ვახტანგ ითონიშვილი, ნარკვევები არაგველთა ისტორიიდან, თბილისი 2006; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ. 1992.
43. ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე), სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია, 2008.
44. გიორგი კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957.
45. ნ. კვეზერელი-კოპაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო გზის ისტორიიდან, თბ. 1996;
46. არ. კობაიძე, ხევი 1774 წლის სღწერით, გაზეთი „დარიალი“ 1972, 15 თებერვალი.
47. ჯ. კეკელია, საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თბ. 2006;
48. ნ. კეცხოველი, მორბის არაგვი, არაგვიანი, თბ. 1971.
49. ნ. ლომოური, ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, თბ. 2009.
50. ილია მაისურაძე, „ქართული გვარსახელები“ თბ. 1979.
51. ს. მაკალათია „ხევი;“ ტფილისი, 1934.
52. ს. მაკალათია, „ხევსურეთი,“ თბილისი, 1984.
53. ს. მაკალათია, „მთიულეთი,“ ტფილისი, 1930.
54. ა. მარლინსკი, კავკასიური ნარკვევები, 1838 წ.
55. საველ და გელა მარსაგიშვილები, საარქივო მასალები მარსაგიშვილებისა და ყამარაულების გვარების შესახებ 1733-1935 წწ.
55. ა. მოჩხუბარიზე „მოხევეები და მათი ცხოვრება,“ გაზეთი „დროება“ 1880, №164.
56. ტ. მახაური, „თავაღებული აზნაური“ მთის ხალხის პოეზიაში – წიგნში: რ. ჩხეიძე, ორი შიოლა, თბ. 1999.
57. ტ. მახაური, ქართული ხალხური ბალადა „შიოლა და მთრეხელი“.
58. მ. მოწერელია, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ. 1987.
59. გრ. ორბელიანი, მგზავრობა ჩემი ტიფლისიდამ პეტერბურღამდის.
60. ე. ორჯონიკიძე, ალ ბატონიშვილის წერილები, თბ. 1999.
61. თ. ოჩიაური „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ თბილისი, 1967.
62. თ. ოჩიაური, „ხევსურეთი და ხევსურები“ 1947. 63. თ. ოჩიაური, „საქართ-

ველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“. 64. რ. ოჩიაური, „ისტორიულ-ეთ-ნოგრაფიული შტულიები.“
63. ალ. ოჩიაური, სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, თბ. 1980.
64. თამარ და აკაკი პაპავები, მარიამი. საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, ბუენოს-აირესი, 1906.
65. ა. პუშკინი, არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს.
66. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფილისი, 1897 წ.
67. გ. რობიტაშვილი „საქართველოს სამხედრო გზა“ თბილისი, 1984 წ.
68. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი II, თბილისი, 2004 წელი.
69. საქართველოს სსრ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930.
70. უ. სახლთხუციშვილი, ყვარელის ონომასტიკური მასალა, ლიტ. საქართველო, 2003, 31 ოქტომბერი.
71. თ. სანიკიძე, გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამლი, თბ. 1975.
72. ალ ფრონელი, მთიულეთი 1804 წელს, თბ. 1894.
73. ქართული პოეზია ტ. 17, ხალხური პოეზია.
74. ქართული ხალხური პოეზია, ტ. V, გვ. 96; დედიძმათაზე ნატირალი.
75. ალ. ღლონტი, ქიზიყის ტოპონიმია, გვ. 68.
76. ც. ღუდუშაური, როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს გერგეტში, გაზ. მადლიანი სტეფანწმინდა, 2002 წ. №2.
77. ა. ყაზბეგი „მოხევეები და იმათი ცხოვრება,“ „მოგონებები.“
78. თ. შიოშვილი, სტუმარ-მასპინძლობა ქართულ ფოლკლორში, 2009 წ.
79. რ. შმერლინგი და ვ. დოლიძე, „თბილისიდან კავკავამდე“ თბილისი, 1991 წ.
80. ვ. შადური, ჩვენი საგვარეულოსა და ოჯახის შესახებ, 1987 წ.
81. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, XV – XVIII სს; „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“ ტ. XXX, გვ. 247, 272; თბ.1954.
82. ნ. შიოლაშვილი, ხევის ისტორიული წარსულიდან, გაზ. მადლიანი სტეფანწ-მინდა, 2003 წ. №5.
83. ნ. შიოლაშვილი, მასალები სოფელ სნოს მოსახლეობის ისტორიისათვის (1732-1918 წწ.).
84. ნ. შიოლაშვილი, მასალები ხევის მოსახლეობის ისტორიისათვის წიგნი I (სოფე-ლი სტეფანწმინდა) (1774-1918 წწ.).
85. გ. ჩაჩაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1955 წ. VII, თბილისი.
86. შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში.
87. რ. ჩხეიძე, ორი შიოლა, თბ. 1999.
88. ჯ. წიკლაური, დარიალის დაცვა 1918 წელს, გაზ. „მთელი კვირა“ 13 ივლისი.
89. ხაჩიძე, „საქართველოს მოსახლეობა 1926 – 1939 წ.წ.“
90. რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI,ნაკ.2; 1959 გვ.79.
91. გ. ხორნაული, „ქართული გვარების წარმოშობის შესახებ“, თბილისი, 2000.
92. 1923 წლის სასოფლო აღწერა საქართველოში.
93. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII – XX საუკუნეში.

94. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ. 1967; აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები.

95. 1812 წლის 7 სექტემბრის წერილი ალ ბატონიშვილისა ჩგაბრიელ ყაზბეგისადმი. საქ. ცსია. ფ. 1448. №9384.

96. ფ.1448; 3427; ბრძანება ლევან ბატონიშვილისა მარტია ღუდუშაურისადმი ქოსელებისა და ფადიაურების სადაო მთის სანახევროდ გადანაწილების შესახებ 2.07.1780 1.

სარჩევი

მშვენიერი წიგნი ხევსა და მოხევეებზე 5
რედაქტორის წინათქმა.....5
ცოდნითა და სიყვარულით ამონათქვამი.....8
ხევის საკრალური წარსულის მატიანე.....9
ხევის ტერიტორია და საზღვრები 20
მოხევეები.....24
სოფლების ტოპონიმიკა.....27
მოხეური „გორი“ და „საგორეულო“ 29
ამანათობა („შაყრილ-შაკედლებულნი“).....32
უფროს-უმცროსობის ტრადიცია და ქალის კულტი 34
სახელის მოხვეჭის ტრადიცია 35
„სამან-სამძღვრის“ ხელშეუხებლობის ტრადიცია 37
ხევის გაგა, ხევსბერი, მესისხლეობის ტრადიცია და „სამან-საყუდი“ 38
თემობა და სათემო საბჭეო 42
ხევის დეკანოზები და მნათეები 44
დარისხება-დაწყევლის და თემიდან მოკვეთის ტრადიცია.....48
მოხევეთა გაქრისტიანება 51
მოხევეები და ბატონყმობა.....55
წერა-კითხვიდან განათლებამდე.....60
მთიელები და საქართველოს სამეფო კარი.....65
„იალბუზზე ფეხის შედგმა“.....66
ბუღა-თურქის სისხლიანი ზამთარი 67
დავით აღმაშენებელის „მშვიდობის გზა“ 68
თამარ მეფე და „მთიელთ განდგომა“.....68
დავით VIII – „გველეთის მეფე“ 69
გიორგი ბრწყინვალე და „ძეგლისდება“ 71
თემურ ლენგი და გიორგი VII 73
საქართველოს სამეფო კარის ურთიერთობა
რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატამდე 74
ალექსანდრე კახთა მეფე.....74
თეიმურაზ I 75
კახეთის 1659 წლის აჯანყება ბახტრიონის ომი 75
ერეკლე I (ნიკოლოზ დავითის ძე, ნაზარ-ალი-ხანი).....76
არჩილი.....78
ვახტანგ VI რუსეთის მორიგი მსხვერპლი 79

თეიმურაზ II 80
ლეკიანობა 81
გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართლ-კახეთის სამეფოს აღსასრული 83
მეფე ერეკლე და საქართველოს გაერთიანების შანსი 86
კრწანისის ომი და მოხევეები 88
ერეკლეს შემდგომი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები 92
რუსული მმართველობა 95
1802 წლის შეთქმულება 97
1804 წლის მთიულეთის აჯანყება 102
1812 წლის აჯანყება 110
1812 წლის კახეთის აჯანყების ხევსურული რეკვიემი 114
შამილი კავკასიური ომები და საქართველო 116
დამოუკიდებლობის აღდგენა და დარიალის დაცვა
1918 წლის გაზაფხულზე 119
ოქმი. სხდომისა დუშეთის მაზრის გლეხთა ორგანიზაციის ერთის
მხრით და მეორეს მხრით ყაზბეგ-სნოელების წარმომადგენლებისა
მომხდარ ინციდენტის გამო 1918 წ. 25 ივნისს
სოფ. სტეფანწმინდაში 124
დარიალის დაცვა 1921 წლის თებერვალში რუსეთის მიერ
საქართველოს მეორე ოკუპაცია 139
კვლავ დამოუკიდებლობა და ოკუპაცია 142
საქართველოს სამხედრო გზა 145
საქართველოს ძველი სამხედრო გზა ქვეშეთი-კობის
მიმართულებით 146
ფასანაური-სნოს მიმართულება 152
საქართველოს სამხედრო გზის მლეთა-კობის მიმართულება 154
მლეთა 154
ღუდას ხეობა 155
ლეგენდა ღუდაზე 155
სოფელი ღუდა 156
ზემო მლეთა 159
სეთურთკარი და სეთურიძეები 160
ქუმლისციხე 161
გუდაური 162
ჯვრის უღელტეხილის უმაღლესი მონაკვეთი 162
ბიდაროვები და ყველაზე ზვავსაშიში მონაკვეთები 163
ხევის სათავეები 167

ალმასიანი 167
კობი და კობიაშვილები 168
წანარეთი და წანარები 172
დვალეთი 173
„თრუსოს ქვეყანა“ 176
თრუსოს თერგის მარჯვენა სანაპირო 179
ნოგაყუ (ნავაკევი) 179
კეტრისი (ქეთრისი) 180
ზემო და ქვემო დესი 181
ცოცოლთა (წოწოლთა) 182
თრუსოს თერგის მარცხენა სანაპირო სოფელი აბანო 183
ზაქაგორი (ზაკაგორი, ჟაკაგორი, ჯახაგორი) 184
სუათისი (შუატისი, სუატისი) 186
კართსოფელი (კარატკავი, ყარათყაუ, ადრინდელი ხუცური) 187
ბურმასიგი (ბურმასეკი) 188
გიმარა (ჯიმარა) 189
გუსალთა 189
ტეფე (თეფე, ტეფი) 190
რესი (რეში) და სივრათა (სივრატა) 191
„მნის ქვეყანა“ 191
შევარდენი 193
ქვემო ოქროყანა 194
ზემო ოქროყანა 194
მნა 195
ქართველები და ოსები 197
თერგის ხეობის მარჯვენა მხარე კობი-აჩხოტის მიმართულება 200
უხათი 201
ვარდისუბანი (ტორნისა) 202
სიონი 203
წამალაიძეები 212
კობაიძეები 213
სისაურები 214
ოდიშვილები 216
დავითაშვილები 217
გარბანი 221
გელაძე-გელიაიძეები 225
გუჯარაიძეები 226

არშა (ანდეზიტი) 228
არშის ციხე და მისი თანამოსახელე სოფელი 230
სულიაურები..... 234
ბაზალები 234
გოგბაიძე-ოგბაიძეები 235
სნოს ხეობა..... 236
აჩხოტი 236
სნო 237
ღუდუშაურები 241
ღუდუშაურების შტონაყარი გვარები..... 246
აქიაშვილები (აქენი)..... 246
ბულაშვილები (ბულენი)..... 247
ვარძუკაშვილები (ვარძუკენი) 248
თათარენი..... 249
თათულენი..... 250
ლომნიენი 251
პაპიაშვილები (პაპენი) 252
სამუკაშვილები (სამუკენი)..... 254
ძირად სნოველი ვაჟა-ფშაველა სამუკაშვილები, გოგოჭურები
და რაზიკაშვილები 255
ფირანიშვილები (ფირანიანი) 258
ჯაბანენი (ჯაბანაშვილები) 260
ჯანუყაშვილები (ჯანუყენი)..... 262
შიოლაშვილები (შიოლენი) 264
სნოში მცხოვრები სხვა გვარები..... 268
ხართიშვილები..... 268
გელაშვილები 269
ჯოჯიკაურ-ჯოჯიკაშვილ-ჟორჟიკაშვილები 272
ელიაძეები 273
გოდერძიშვილები 275
სპათანგელოზი (წვერისანგელოზი, სპარსანგელოზი) და
ათენგენობა 278
ახალციხე 281
ხევსურები და მოხევეები..... 284
გოგოჭურები 285
გახუა მეგრელაური (გოგოჭური)..... 288
გოგოჭურები და არაგვის ერისთავები 289

მარტია მისურაული....290
მამუკა ქალუნდაური....291
მამუკა ბუჩუკურთელი....292
ბუჩუკურები....293
ბუჩუკური ბულელიანები....295
ხაფიეთ-ბუჩუკურები (ხაფიენი)....296
ქერაშვილები....298
ღუდუშაურები და ქერაშვილები....300
დამოყვრება....300
ურვადი და „გორმეტობა“....301
და-ძმობის ფიცი....303
სტუმარ-მასპინძლობა....304
ღუდუშაურები, ქერაშვილები და მთრეხელი....304
ქერაშვილები და ოჩიაურები....312
ქერას შტო თომა და ნისრაული მათენი, დეკანოზიანი, ტიბაანელი ქერაშვილები, ბადენი და ზურაბენი....313
ხაფანას შტო ჯანუყო და ნია ხაფანეთ-ქერაშვილები, ხაფანეთ-ბუჩუკურები და ნინიენი (ჯუგაანელი ქერაშვილები)....316
ხაფანეთ ბუჩუკურები....322
ქოსა და ქოსელი (ქოსელთა)....324
ქოსლელი ფიცხელაურები....325
ფადიაურები და ქოსლელი ფიცხელაურები....327
ფადიაურები და „სისხლივაკე“....329
მიგუდა და როსტომაულები....329
ჩაბაიძეები....330
ჩაბაიძეები და მოსისხლეთა შერიგების რიტუალი....331
ართხმო....333
კარკუჩა....334
ყამარაულები....335
დათურას შვილი მარსაგიშვილები....340
დუდულას შვილი მარსაგიშვილები....343
ტროპენი (სვიმენი, მარტიენი, ნინიენი, აკენი, ომენი)....345
ლევან მარსაგიშვილის სპორტული ოჯახი....347
ალექსანდრე (შურა) მარსაგიშვილის სამედიცინო დინასტია....348
დარბაზი და ნადარბაზევი....348
ყორა და „ყორელები“....349
ჯუთა....350

ჯუთელი არაბულები 352
მთრეხი 354
თერგის მარცხენა მხარე კობი-ფანშეტის მიმართულება ყანობი 354
კურკუმულები, ვარდიშვილები და ჭილაიშვილები 359
ტატიშვილები და აიდარაშვილები 360
ყანობელი კობაიძეები და კობიაშვილები 361
ითონიშვილები და ზილინაშვილები 362
ხურთისი (ქურთა) 365
გოგიშვილები და ქემაშვილები 370
ჩოჩოშვილები და ჩოჩიშვილები 370
ტუჩაშვილები 372
ხურთისელი წიკლაურები (გუგუტენი) 374
ბადაძე-ბადაშვილები 374
ფხელშე 375
ელოშვილები 378
ფხელშელი ჩქარეულები 379
გორისციხე 380
გორისციხელი ჩქარეულები 384
ავსაჯანიშვილები 386
ტყარშეტი 388
მაისურაძეები 391
ნარიმანიძეები 392
ხულელიძეები 395
ჩაბაკაურები 397
ფანშეტი 397
საბაურები 400
სამქანაშილები 401
ჩონიაშვილები 402
თოთი 402
გერგეტი 403
სუჯაშვილები 409
ირჯიაულები 411
გერგეტელი ქისტაურები და წიკლაურები 412
ხუციშვილები 413
გერგეტელი რანბული-(ნარბული) არაბულები და თამასხანოვები 414
გერგეტის სამება 415
ბეთლემი 418

გერგეტის სულთა მატიანე, ანუ, „მოსახსენებელი სულთა“ 422
XV ს-ის ხევის სოფლები და გვარ-სახელები გერგეტელ
საყდრიშვილთა საბუთის მიხედვით 423
სტეფანწმინდა 429
ჩოფიკაშვილები და „ყაზბეგიანთ“ გაბატონება 437
ალიბეგაშვილები 444
ხეთაგურები (ყუთუზენი, სიენი, კოტიენი) 446
საახალწლო დამწყალობნების რიტუალი გერგეტსა და
სტეფანწმინდაში 448
ქავთარაშვილები და შადურები 451
ქირიკაშვილები და გომიაშვილები 458
სტეფანწმინდელი ღუდუშაურები (ეფხვენი და ყაზიენი) 461
ხახლიშვილები 465
მირიანაშვილები 466
ურჯუკაშვილები 466
ფშაველი ურჯუკაშვილები 467
ხაიკაშვილები 468
კაზალიკაშვილები 469
სტეფანწმინდელი წიკლაურები (ვანენი, ნანიენი, თამაზენი,
მამსურენი) 470
დათვისელ-გველეთელი და ჭართლელი გიგაურები 471
ბლოველი გიგაურები 473
გიგა გიგაური 474
ბერდია მამუკაური (გიგაური) 474
აბა ბიტურას ძე გიგაური 474
სტეფანწმინდეწლი გიგაურები 476
ვალიშვილები 479
თოფაძეები 480
სათარგმანო (თარგმანი) 481
ქუშაშვილები, ვარდიშვილები და კურკუმულები 481
თარგმანელი ბულაშვილები 485
ჯამარჯაშვილები 486
ბაცალიგოელი და აყნელი ფიცხელაურები 487
გუდამაყრელი ფიცხელაურები 488
აჭელი (ლიქოკელი), მოხევე და ქსნისხეველი ფიცხელაურები 490
არქიეპისკოპოსი დოსეთიოს ფიცხელაური 491
სტეფანწმინდელი და თარგმანელი ფიცხელაურები 492

დარიალის ხეობა 498
შემოვლითი გზები და ძირითადი ტრასის მოწესრიგება 500
დარიალის ხეობის მარჯვენა სანაპირო 501
ხურთიშვილები და გურაპიშვილები 502
ფშაველი გურასპაულები 502
წოწეხნიდან ხდეს ხეობამდე 503
ხდეს ხეობა 503
ჯარიეხის ციხე 506
დარიალის ხეობის მარცხენა სანაპირო ქობი 507
ცდო 508
წიკლაურები 509
გველეთი 515
ზაგაშვილები 517
მოხევეები და მუსლიმი მეზობლები 519
დევდორაკი 521
დარიალის კარი 523
დარიალის (თამარის) ციხე 525
ბახტრის ციხე 526
ლარსი 527
ხევის დემოგრაფია 529
წყაროები: 537

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ვახუშტი ბაგრატიონის, №84
☎ 214-77-33
E-mail: meridiani777@gmail.com

გურამ ქერაშვილი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მუშაობდა დუშეთის რაისაავადმყოფოს ქირურგად, ბარისახოს საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად. დაამთავრა ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის კლინიკური ორდინატურა. იყო ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სამგორის საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანების მთავარი ექიმი, ბავშვთა IV კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარების სამსახურის უფროსი, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, რესპუბლიკური ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე. მედიცინის დოქტორია. 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. პროფესიული საქმიანობის დასრულების შემდეგ, გამოაქვეყნა ეთნოგრაფიული კვლევები: „ხევი და მოხევეები" – 2012 წელს; „საარაგვო და არაგველები" I წიგნი – 2017 წელს; II წიგნი – 2020 წელს. „ხევი და მოხევეების" მეორე გადამუშავებული გამოცემა მისი ბოლო ნამუშევარია.

9 789941 346026